შესავალი თანამედროვე აზროვნებაში

II

წიგნი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2018

კრებულში შეტანილია სხვადასხვა დროს მოღვაწე ცნობილ მოაზროვნეთა ნაშრომები სრულად ან ნაწყვეტების სახით. წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის პირველკურსელთათვის საგანში — შესავალი კურსი თანამედროვე აზროვნებაში.

ტექსტები თარგმნეს:

მთარგმნელთა ჯგუფმა — დარვინის „სახეობათა წარმოშობა“; გია ნოდიამ — ფრაგმენტები ფრიდრიხ ნიცშეს ნაწარმოებებიდან „ასე იტყოდა ზარათუსტრა“, „მხიარული მეცნიერება“ და „კეთილისა და ბოროტის მიღმა“; ანა პეტრიაშვილმა — ზიგმუნდ ფროიდის „კულტურით უკმაყოფილება“; თამარ ცოფურაშვილმა — ჰანა არენდტის „ტოტალიტარული მოძრაობა“; ლელა ჯანგულაშვილმა — ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკის „გზა ბატონყმობისკენ“; სანდრო გაბისონიამ — იუვალ ნოა ჰარარის „საპიენსი: კაცობრიობის მოკლე ისტორია“; ლუკა ნახუცრიშვილმა — ჟან-პოლ სარტრის „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“; მზია გომელაურმა — ბლოკის „ისტორიის აპოლოგია“; ნანა ლებანიძემ — ჯონ დიუის „გამოცდილება და განათლება“; ლამარა ნაროუშვილმა — კონრად ზაქარიას ლორენცის „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“.

ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკის „გზა ბატონყმობისკენ“ იბეჭდება კრებულიდან „ლიბერალიზმი და ძალაუფლება“.
მერაბ მამარდაშვილის ლექცია იბეჭდება კრებულიდან „საუბრები ფილოსოფიაზე“, თბილისი 2015.

შესავალი და კომენტარები დაურთეს:

დავით თარხნიშვილმა (დარვინი); გია ნოდიამ (ნიცშე); გიგა ზედანიამ (ფროიდი); თამარ ცოფურაშვილმა (არენდტი); გიგა ზედანიამ (მამარდაშვილი); ემზარ ჯგერენაიამ (ჰაიეკი); ზაალ კიკვიძემ (ჰარარი); ლუკა ნახუცრიშვილმა (სარტრი); მალხაზ თორიამ (ბლოკი); მაკა ლაშხიამ (დიუი); ნათია კოპალიანმა (ლორენცი).

დაკაბადონება: ქეთევან გოგავა, თინათინ კვირკველია

მეექვსე გადამუშავებული გამოცემა

ISBN 978-9941-18-278-5
ISBN 978-9941-18-280-8

© **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,** 2006, 2007, 2010, 2013, 2014, 2018
Ilia State University, 2006, 2007, 2010, 2013, 2014, 2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათქმა 5

ჩარლზ დარვინი 7

შესავალი 7

სახეობათა წარმოშობისა და არსებობისათვის ბრძოლაში უპირატესობის მქონე სახეობების გადარჩენის შესახებ 20

ფრიდრიხ ნიცშე 34

შესავალი 34

ასე იტყოდა ზარათუსტრა 43

მხიარული მეცნიერება 57

კეთილისა და ბოროტის მიღმა 60

ზიგმუნდ ფროიდი 67

შესავალი 67

კულტურით უკმაყოფილება 74

ჯონ დიუი 99

შესავალი 99

გამოცდილება და განათლება 104

მარკ ბლოკი 156

შესავალი 156

ისტორიის აპოლოგია 161

ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკი 209

შესავალი 209

გზა ბატონყმობისკენ 217

კონრად ზაქარიას ლორენცი 242
შესავალი 242
ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა 248

ჟან-პოლ სარტრი 309
შესავალი 309
ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია 315

ჰანა არენდტი 341
შესავალი 341
ტოტალიტარული მოძრაობა 353

მერაბ მამარდაშვილი 418
შესავალი 418
საუბრები ფილოსოფიაზე 421

იუვალ ნოა ჰარარი 428
შესავალი 428
საპიენსი: კაცობრიობის მოკლე ისტორია 435

წინათქმა

ეს წიგნი წარმოადგენს შესავალს დასავლური აზროვნების ისტორიაში. ესაა ყველაზე დიდი მოაზროვნეების ყველაზე გავლენიანი ტექსტების ნაკრები, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის წიაღში შექმნილა.

ხშირად ჩვენ გვგონია, თითქოს სამყაროს გასაგებად საკმარისი იყოს ჩვენი აზროვნება მივმართოთ მასზე; თითქოს ჩვენსა და სამყაროს შორის არაფერი იდგეს, რაც აზროვნების მცდელობას ხელს შეუწყობდა ან შეუშლიდა. ეს, რასაკვირველია, მცდარი წარმოდგენაა, პირველ რიგში იმიტომ, რომ აზროვნებას არავინ არასოდეს იწყებს ცარიელ სივრცეში, ვაკუუმში. ჩვენ აზროვნება ყოველთვის უკვე მომზადებულია იმ ადამიანების ფიქრებით, რომელებიც ჩვენამდე ცხოვრობდნენ. წინამორბედთა აზრები ჩვენთვის ნიადაგიცაა და ჰორიზონტიც. საკუთარი აზრის მოფიქრება მხოლოდ სხვა, სხვების, წინმსწრები აზრების ფონზე შეიძლება.

აზროვნება, რომელზეც ახლა ვსაუბრობ, ცდილობს პასუხები მოუნახოს ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვებს: როგორაა სამყარო მოწყობილი? რა არის რელიგია? როგორია სახელმწიფოს აგებულება? რა არის თავისუფლება? როგორია საზოგადოების ლოგიკა და ცოცხალი ბუნების კანონები? როგორ არის შესაძლებელი სამყაროს შემეცნება? რანაირად ხდება სიმდიდრის დაგროვება? როგორი უნდა იყოს ქალის ადგილი საზოგადოებაში?

ბუნებრივია, რომ ამ და ბევრი სხვა ფუნდამენტური საკითხისადმი მიძღვნილი ტექსტები, რომლებსაც ამ კრებულში შეხვდებით, ცოდნის სხვადასხვა სფეროდანაა აღებული: ფილოსოფიიდან, თეოლოგიიდან, პოლიტიკის მეცნიერებიდან, ბიოლოგიიდან, ეკონომიკიდან, ფსიქოლოგიიდან და ა. შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა ეს ტექსტი განუმეორებელია და ჩაუნაცვლებადი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტექსტების წაკითხვის გარეშე თქვენ ვერ მოახერხებთ სრულყოფილად გაიგოთ მათში გადმოცემული იდეები. მაგალითისათვის, პლატონის ფილოსოფიის გასაგებად სწორედაც რომ მისი დიალოგი „სახელმწიფო“ უნდა წაიკითხოთ; ენციკლოპედიის, ვიკიპედიისა თუ სახელმძღვანელოს გაცნობა თქვენ ამ ფილოსოფიაზე რაღაც ინფორმაციას მოგაწოდებთ, მაგრამ მისი გაგებისათვის თავად ავტორის ტექსტია აუცილებელი. სხვათა შორის, არსებობენ მნიშვნელოვანი ავტორები, რომელთა შესახებაც იმავეს ვერ ვიტყვით. მაგალითად, ნიუტონმა თავისი რევოლუციური აღმოჩენები ფიზიკაში, რასაკვირველია, საკუთარ ნაწარმოებებში გადმოსცა. მაგრამ დღეს ჩვენ ნიუტონის კანონებს ფიზიკის სახელმძღვანელოდან ვსწავლობთ და არავინ გვთხოვს თვითონ ნიუტონის წიგნების წაკითხვას. ამიტომაც ვერ მოხვდნენ ისინი ჩვენს ამ კრებულში. მაგრამ ტექსტები, რომლებიც მასში შევიტანეთ, სხვა სახისაა. მათი წაკითხვის გარეშე კარგ განათლებას ვერ მივიღებთ, რადგან სწორედ მათი კითხვის პროცესში ისწავლება აზროვნება ყველაზე ეფექტიანად.

ეს არცაა გასაკვირი. აზროვნების საუკეთესო სკოლა მართლაც მისი ისტორიის შესწავლაა. ცხადია, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ის, ვინც აზროვნების ისტორიას შეისწავლის, თავადაც მოახერხებს ორიგინალურ და თვითმყოფად აზროვნებას.

მაგრამ არსებობს სხვა გარანტია – ვისაც არ ეცოდინება აზროვნების ისტორია, მისი ნებისმიერი მცდელობა ამ მიმართულებით მარცხისათვის იქნება განწირული.

არადა, აზროვნება და თავისუფლება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ამიტომ იყო, რომ ძველად მონას მხოლოდ ხელობას ასწავლიდნენ, თავისუფალი ადამიანი კი იძენდა „თავისუფალი ხელოვნებების“ შესახებ ცოდნას, რომელიც, მნიშვნელოვანწილად, ამ წიგნში გადმოცემული სწავლებების მსგავსი იყო. თანამედროვე ეპოქაში ეს ძველი განსხვავება მონასა და თავისუფალს შორის, საბედნიეროდ, აღარ არსებობს; მაგრამ თავისუფლად აზროვნების შესაძლებლობა ჩვენს დროშიც პრივილეგიაა. ლიბერალური განათლება (ლათინური სიტყვიდან “liber”, თავისუფალი) სწორედ იმისათვის არსებობს, რომ ეს შესაძლებლობა მისცეს სტუდენტებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიბერალური განათლების მისაღებად სწორედ ის კურსია საჭირო, რომლისთვისაც წინამდებარე წიგნი შექმნეს ამ უნივერსიტეტის პროფესორებმა. ეს კურსი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გააზრებულად აირჩიონ მომავალი პროფესია, ჩამოიყალიბონ ღირებულებითი მიდგომა ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების მიმართ და მოემზადონ იმ გამოწვევისა და სიამოვნებისათვის, რასაც თავისუფალი აზროვნება ჰქვია.

გიგა ზედანია

ჩარლზ დარვინი

1809-1882

შესავალი

დარვინი, ინგლისელი ნატურალისტი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია იმ მოღვაწეთაგან, რომელთა გვარებიც სამუდამოდ შემორჩა ადამიანთა მეხსიერებას.

დარვინი წარჩინებულ და მდიდარ ოჯახში დაიბადა. საშუალო წარმატების მქონე სტუდენტს სოფლის მღვდლობა და ექიმობა ერთობ მოსაწყენ და უინტერესო პროფესიებად მიაჩნდა. მყარი ფინანსური მდგომარეობის გამო, მას არ სჭირდებოდა შემოსავლისთვის მუშაობა, დარვინს ჰქონდა თავისუფლება – საკუთარი განათლება და ტალანტი სურვილისამებრ გამოეყენებინა. ჩარლზის მამის, წარმატებული ექიმის ოცნება – შვილიც მის პროფესიას გაჰყოლოდა, უშედეგო გამოდგა. ჩარლზი ოპერაციებზე დასწრებისას ცუდად ხდებოდა და ხშირად გულიც კი მისდიოდა.

დარვინის მამა დარწმუნდა, რომ ჩარლზს მედიცინა არ აინტერესებდა და ურჩია კემბრიჯში ღვთისმეტყველებას დაუფლებოდა. დარვინმა წინადადება მიიღო. დათანხმდა გამოსულიყო სოფლის მღვდელი, მაგრამ ამასთანავე, ემუშავა ზოოლოგიაში, როგორც მოყვარულ ნატურალისტს. 1831 წელს ჩარლზმა დაასრულა კემბრიჯის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით.

დარვინის ინტერესი მცენარეების, ცხოველებისა და გეოლოგიური ნაშთების მიმართ შეამჩნია მისმა ბოტანიკის პროფესორმა და 1831 წელს პატაგონიაში კვლევით ექსპედიციაში მიმავალ გემ „ბიგლზე“ თავის სტუდენტს ადგილი მოუძებნა. კაპიტანს გემზე ესაჭიროებოდა ნატურალისტი, რომელიც სადილად მისი კომპანიონიც იქნებოდა. 5 წლის შემდეგ დარვინი მის მიერ მოპოვებული მდიდარი საკოლექციო მასალით ინგლისში დაბრუნდა და აღარსად წასულა. მოგზაურობისას შეძენილმა ტროპიკულმა დაავადებამ იგი თითქმის ინვალიდად აქცია.

დარვინისთვის ცნობილი იყო მისი პაპის, ერთობ საინტერესო პიროვნების, ერაზმ დარვინის ნაშრომი *„ზოონომია, ანუ ორგანული სიცოცხლის კანონები“,* აგრეთვე ცნობილი ფრანგი ზოოლოგის, ჟან-ბატისტ ლამარკის მიერ მანამდე გამოთქმული ევოლუციური მოსაზრებები. 1838 წელს იგი გაეცნო თომას მალთუსის ნაშრომს *„ესეი მოსახლეობის ბუნებრივი პრინციპის შესახებ“,* რომელმაც ძალზე დააინტერესა.

1842 წელს დარვინმა ევოლუციური კონცეფციის შავი მონახაზი გააკეთა. იგი თანდათან მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ დედამიწაზე ორგანიზმები ევოლუციის შედეგად წარმოიშვნენ, ისინი მუდმივად იცვლებიან და ყველა მცენარესა და ცხოველს ოდესღაც საერთო წინაპარი ჰყავდა.

1859 წლის 24 ნოემბერს დარვინმა გამოაქვეყნა წიგნი *„სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით, ანუ უკეთ შეგუებული ჯიშების გადარჩენა არსებობისათვის ბრძოლაში“.* შესანიშნავად არგუმენტირებული და მრავალ მაგალითზე აგებული ნაშრომი ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების მიზეზებსა და კანონზომიერებებზე ბიოლოგიის ახალი ერის დასაწყისია.

დარვინის თეორიის მიხედვით, ახალი სახეობის ჩამოყალიბება ხდება მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის საფუძველზე და ევოლუციის მთავარი წარმმართველი ფაქტორია ბუნებრივი შერჩევა, რაც არსებობისათვის ბრძოლის შედეგია.

წიგნი მაშინვე ბესტსელერად იქცა და ავტორის სიცოცხლეში ხუთჯერ გამოიცა. უმოკლეს დროში იგი ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა. გამოქვეყნებიდან პირველ წლებში დარვინის ეს ნაშრომი მწვავე კამათს იწვევდა, თუმცა, ახალმა აღმოჩენებმა (კერძოდ, გენეტიკაში, პალეონტოლოგიაში, შედარებით მორფოლოგიაში) ზურგი გაუმაგრა ევოლუციურ თვალთახედვას და დღეს დარვინის თეორია თანამედროვე ბიოლოგიის ძირითადი ფილოსოფიური საფუძველია. მეტიც, ამ შრომამ უდიდესი გავლენა მოახდინა ზოგადად თანამედროვე მეცნიერების განვითარებაზე და დასაბამი მისცა სოციოლოგიის ზოგიერთ მიმართულებასაც კი.

თავისი იდეები დარვინმა გააღრმავა და განავითარა უფრო გვიან გამოცემულ თხზულებებში. ნაშრომში – *„შინაური ცხოველებისა და კულტურული მცენარეების შეცვლა“* განხილულია კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ჯიშების ხელოვნური გადარჩევით გამოყვანის კანონზომიერებები. ადაიანის წარმოშობისა და ევოლუციის საკითხები მან დეტალურად განიხილა მონოგრაფიებში: *„ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი გადარჩევა“* და *„ემოციების გამოხატვა ადამიანსა და ცხოველებში“.*

დარვინი დაკრძალულია უესტმინსტერის სააბატოში, ინგლისის პანთეონში.

* * *

2009 წელს ჩარლზ დარვინის მთავარ ნაშრომს, „სახეობათა წარმოშობას ბუნებრივი გადარჩევის გზით“, 150 წელი შეუსრულდა. ეს წიგნი ოდესმე გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებს შორის დღესაც ყველაზე გავლენიანად რჩება. ამან შესაძლოა გაგვაკვირვოს: ნუთუ ევკლიდის გეომეტრიამ, ნიუტონის მექანიკამ ან აინშტაინის ფარდობითობის თეორიამ ნაკლები გავლენა მოახდინა პროგრესზე? ცხადია არა. ამ თეორიებისგან განსხვავებით, ევოლუციურ თეორიას არ გააჩნია პრედიქციის უნარი. ნიუტონის კანონების ცოდნით შეიძლება გამოითვალო ტყვიის ტრაექტორია ან დახვეწო მანქანა. დარვინის თეორიის ცოდნით ასეთი რამ შეუძლებელია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ შეიცვლება გარემოს პირობები, დროის განმავლობაში ამ გარემოში არსებული მცენარისა ან ცხოველის აგებულებაც შეიცვლება, ვერ ვიტყვით, რას დაემსგავსებიან ისინი. დარვინის თეორიამ ნაკლებად შეუწყო ხელი ტექნიკურ პროგრესს, მაგრამ რადიკალურად შეცვალა ადამიანის აზროვნება.

„სახეობათა წარმოშობაში“ გამოთქმული ვარაუდების და თეორიების დიდი უმრავლესობა შემდგომში დადასტურდა დაკვირვებებით და ექსპერიმენტებით. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. დღევანდელი წარმოდგენა დნმ-ზე და მუტაციის პროცესზე სრულ თანხმობაშია დარვინის აზრთან „შემთხვევითი ცვლილებების“ ევოლუციური მნიშვნელობის შესახებ. დარვინის ვარაუდი, რომ ევოლუციურად ახლომდგომი სახეობები მსგავს რესურსებს იყენებენ და, ამდენად, ძლიერ კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, დღეს ეკოლოგების მიერ აღიარებული ფაქტია და ვიტო ვოლტერას კონკურენციის თეორია ამ ფაქტს ემყარება. ის, რომ ადამიანს მაიმუნისმაგვარი წინაპარი ჰყავდა შორეულ წარსულში, დარვინის დროს ლოგიკური მოსაზრება იყო; დღეს ამ მოსაზრებას უამრავი ნამარხი ჩონჩხი ადასტურებს, უახლეს გენეტიკურ გამოკვლევებთან ერთად.

შევეცდები მოკლედ განვიხილო ბუნებრივი გადარჩევის თეორიის ძირითადი თეზისები და ის, თუ როგორ დაადასტურა ან უარყო ეს თეზისები მეცნიერების განვითარებამ. იქამდე კი უნდა გავერკვეთ, რა კავშირშია ბუნებრივი გადარჩევის თეორია ევოლუციის მოვლენასთან – ეს საკითხი ცოტათი უფრო რთულია, ვიდრე შეიძლება მოგეჩვენოთ.

ევოლუციური შეხედულებები დარვინამდე და მის მერე

იცვლება თუ არა შეუქცევადად ბუნება – უფრო ფილოსოფიური საკითხია, ვიდრე სამეცნიერო. ანტიკური ფილოსოფოსების, პარმენიდეს და ჰერაკლიტეს კამათი ამ საკითხს ეხება. პარმენიდეს კრედო იყო სამყაროს უცვლელობა. ჰერაკლიტე ამბობდა, რომ შეუძლებელია ორჯერ ერთ მდინარეში შესვლა: მეორე ჯერზე წინა დროის წყალი წასული იქნება. სინამდვილეში, ორივე ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებული კუთხით უყურებდა. მათი კამათის შედეგად არც კალაპოტი იცვლებოდა, არც წყალი ჩერდებოდა მდინარეში. უმჯობესია ამ პოზიციიდან შევხედოთ ევოლუციონისტებისა და კრეაციონისტების კამათს. უძველესი დროიდან ადამიანი ვარაუდობდა, რომ ცხოველები ან მცენარეები ადრე „სხვანაირები“ იყვნენ. ერთ-ერთი აფრიკული მითის მიხედვით ქამელეონის თავი სამკუთხედია იმიტომ, რომ მან თავისი გრძელი ენით ღვთაება გააბრაზა და ღვთაებამ მას სამჯერ სილა გაარტყა. ესე იგი, ქამელეონს ოდესღაც მრგვალი თავი ჰქონდა. უამრავი პირველყოფილი მითი უკავშირებდა ადამიანის წარმოშობასაც ცხოველებს ან საგნებს – დაწყებული დათვითა და ბიზონით და დამთავრებული ზღვის მიერ ნაპირზე გამოტანილი ფიცრებით. ამასთან ერთად, არსებობდა წარმოდგენა უცვლელობის შესახებაც. ძველი ბერძნების მითებში სამყაროს გაჩენა ხდებოდა საფეხურებრივად და ერთხელ შექმნილი ცოცხალი არსება აღარ იცვლებოდა. დაახლოებით ასევე წერია ბიბლიურ დაბადებაში. თუ მის ტექსტს პირდაპირ გავიგებთ, და არა მეტაფორულად, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სამყარო შეიქმნა შვიდი დღის განმავლობაში, და ამის შემდეგ აღარ იცვლებოდა. ამავე ტექსტის ანალიზი, იმის გაცნობიერებით, რომ უძველეს ტექსტებს ხშირად მეტაფორული (არაპირდაპირი) მნიშვნელობა ჰქონდა, საინტერესო რამეს გვეუბნება. მაგალი-

თად, რომ ძველების წარმოდგენით უფალმა ჯერ მარტივი არსებები შექმნა, შემდეგ კი – უფრო რთულად აგებული: მცენარეები, თევზები, „ქვეწარმავლები“, და მხოლოდ ბოლოს – „მხეცნი“ და ადამიანი. ასე რომ, ევოლუციის უარყოფა წმინდა წიგნების მიერ არც ისე აშკარაა, როგორც შეიძლება გვეჩვენოს.

როდესაც ვმსჯელობთ ევოლუციაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერება დღევანდელი გაგებით (ანუ ცოდნა, რომელიც გადამოწმებას ექვემდებარება) მხოლოდ მე-16 – მე-17 საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ამ დრომდე გამოთქმული მოსაზრებები უფრო ფილოსოფიური იყო, ვიდრე მეცნიერული. თავად სიტყვა „ევოლუცია“ (ლათინურიდან e-volvo, ვვითარდები) პირველად გამოიყენა შვეიცარიელმა ზოოლოგმა შარლ ბონემ. ამ სიტყვით მან აღწერა ცხოველების თანდათანობითი გართულების სავარაუდო პროცესი. მან ჩამოაყალიბა „არსებათა კიბის“ ცნება; ამ კიბის ძირში ერთუჯრედიანი ორგანიზმები განალაგა, კიბის თავში კი – ადამიანი. ბონე თვლიდა, რომ უფალმა სამყარო ერთიანად შექმნა და მასში ისევე ჩადო განვითარების უნარი, როგორც ყოველი არსების ჩანასახში. კვერცხს არაფერი ეტყობა ქათმის აღნაგობის, მაგრამ მასში „მომავალი ქათამი“ არის ჩადებული. მსგავსად, პირველად სამყაროში უკვე იდო მრავალფეროვანი სამყაროს, რთულად აგებული ცხოველების პოტენციალი.

ევოლუციის თეორია დახვეწა ფრანგმა ნატურალისტმა ჟან ბატისტ ლამარკმა თავის „ზოოლოგიის ფილოსოფიაში“ (1809). მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მეცნიერები თვლიდნენ, რომ მარტივი ერთუჯრედიანი არსებები შესაძლოა ქიმიური რეაქციების შედეგად მკვდარი ნივთიერებიდან წარმოიქმნას (მე-19 საუკუნეში ეს ვარაუდი საბოლოოდ გაქარწყლდა). ლამარკმა ივარაუდა, რომ რთული ცხოველები – მწერები, ძუძუმწოვრები – თანდათან განვითარდნენ უმარტივესებიდან, რომელთა ნერვული სისტემა, სითხეების მოძრაობის შედეგად, რთულდებოდა თაობების განმავლობაში და ამას აღნაგობის გართულებაც მოჰყვებოდა. ლამარკი თვლიდა, რომ თუ ცხოველის ორგანო იცვლება „ვარჯიშის“ შედეგად (მაგალითად, ჟირაფი ავარჯიშებს კისერს, როდესაც ხის ფოთლებს ჭამს), ეს ცვლილებები მემკვიდრეობით გადადის. ამიტომ ყოველი ცხოველის აღნაგობა მის ცხოვრების ნირზეა დამოკიდებული. ჟირაფს აქვს გრძელი კისერი, ხოლო თხუნელას, რომელიც სიბნელეში ცხოვრობს და თვალებს ვერ იყენებს, აქვს გაუვარჯიშებელი და დაპატარავებული თვალები. ლამარკმა გამოთქვა აზრი, რომ მისი ლოგიკა უშვებს ადამიანის წარმოშობასაც ნაკლებად დახვეწილი წინაპრისაგან, კერძოდ შიმპანზისგან (რომელიც აღნაგობით ადამიანს განსაკუთრებით ჰგავს), თუმცა პირდაპირი დასკვნებისგან მან თავი შეიკავა.

ლამარკის ლოგიკა ფაქტების საკმაოდ თავისუფალ ინტერპრეტაციას ემყარებოდა. მისი ორი ძირითადი ჰიპოთეზა – შეძენილი თვისებების მემკვიდრეობით გადაცემა და მარტივი ორგანიზმების ჩასახვა ქიმიური რეაქციების შედეგად – მეცნიერების მომდევნო განვითარებამ უარყო. ლამარკის თეორია მიივიწყეს. დარვინმა წაიკითხა ლამარკის შრომები, მაგრამ, როგორც თავად აღიარებდა, ამ შრომებმა მასზე გავლენა ვერ მოახდინა და ვერ ჩააფიქრა ევოლუციის შესაძლებ-

ლობაზე. ჟორჟ კიუვიეს, ლამარკის თანამედროვე უდიდეს ფრანგ ბიოლოგს, რომელმაც ცხოველების შედარებით ანატომიას ჩაუყარა საფუძველი და ნამარხებს შეისწავლიდა, ეჭვი არ შეუტანია სახეობების უცვლელობაში. მან იცოდა, რომ ოდესღაც დედამიწაზე განსხვავებული არსებები ბინადრობდნენ, მაგრამ ამის ასახსნელად „კატასტროფების თეორია“ ჩამოაყალიბა. მისი აზრით, არსებული სამყარო რამდენჯერმე განადგურდა კატასტროფების შედეგად, რის შემდეგ იგი ისევ იქმნებოდა, ოღონდ განსხვავებული სახით.

მნიშვნელოვანია, რომ დარვინი თავის "სახეობათა წარმოშობაში" მრავლად აღწერდა არგუმენტებს, რომლებიც ირიბად მეტყველებენ ევოლუციაზე, მაგრამ ნაკლებად – მის პირდაპირ მტკიცებულებებს. არასამეცნიერო საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ევოლუცია დღესაც ჰიპოთეზად რჩება. თუმცა, მეცნიერები თანხმდებან ევოლუციის არსებობაზე. კამათი დარვინის თეორიის ზოგიერთი კონცეფციის შესახებ დღესაც გრძელდება, მაგრამ თავად ევოლუციის მოვლენა მათში ეჭვს არ იწვევს. დღეს ევოლუციის რეალობა დადასტურებულია პირდაპირი მტკიცებულებებით. სიცოცხლის მრავალფეროვნება არაა შექმნილი ერთჯერადად; ის თანდათანობითი განვითარების შედეგია. ცალკეული ევოლუციური მოვლენებიც, მაგალითად ადამიანის წარმოშობა მაიმუნისმაგვარი წინაპრისაგან, არ იწვევს კამათს ბიოლოგებს შორის. ეს რაც ეხება *ევოლუციის მოვლენას, ევოლუციის ფაქტს.* სხვა ამბავია – *ევოლუციის თეორია,* რომელიც დღესაც იხვეწება და მისი განვითარება თეორიული ბიოლოგიის მთავარი საგანია.

ევოლუციის მოვლენა და ევოლუციის თეორია

როდესაც დარვინი წერდა ადამიანის წარმოშობაზე მაიმუნისმაგვარი წინაპრისაგან, ის ლოგიკურ, არგუმენტირებულ, მაგრამ მართლაც ჰიპოთეზას გამოთქვამდა. იმ დროისთვის არ იყო ცნობილი არც გარდამავალი ნამარხი ფორმები, არც მემკვიდრეობის გადაცემის მექანიზმი. აღმოჩენები მოგვიანებით დაიწყო. ფრანგმა ეჟენ დიუბუამ 1891 წელს კუნძულ იავაზე თავის ქალას ფრაგმენტები აღმოაჩინა, რომლებიც ადამიანის და ადამიანისმაგვარი მაიმუნის ნიშნებს ითავსებდნენ. დიუბუამ მიიჩნია, რომ ეს იყო ზუსტად ის „დაკარგული რგოლი“, რომელიც, დარვინის აზრით, ადამიანს და მის წინაპარ მაიმუნებს აკავშირებდა. თუმცა, მისი არგუმენტები არ იქნა ფართოდ აღიარებული. 1925 წელს ავსტრალიელმა მეცნიერმა რაიმონდ დართმა სამხრეთ აფრიკაში აღმოაჩინა თავის ქალა, რომელიც დიუბუას ნამარხთან შედარებით კიდევ უფრო ემსგავსებოდა შიმპანზეს და ნაკლებად – ადამიანს. თავის ქალას ასაკი 3.6 მილიონ წელს აღწევდა. ამ აღმოჩენიდან გასული წლების განმავლობაში აღმოჩენილია ათეულობით ნამარხი, რომლებიც ადამიანისმაგვარ მაიმუნებს და თანამედროვე ადამიანებს შორის გარდამავალი ფორმების თითქმის უწყვეტ რიგს ქმნიან. ბოლო მნიშვნელოვანი აღმოჩენა 1994 წელს მოხდა, როდესაც აღმოსავლეთ აფრიკაში იპოვეს ყველაზე ძველი ნამარხი, რომელიც თანამედროვე ადამიანთან ასოცირდება: „არდიპითეკი“, რომლის ასაკი 4.4 მილიონი წელია. დღეს მეცნიერებს შეუძლიათ ნამარხების

საკმაოდ ზუსტი დათარიღება იზოტოპების შემცველობის ანალიზით. ნამარხების დათარიღებამ აჩვენა, რომ რაც უფრო ძველია ნამარხი, მით უფრო განსხვავება ის ადამიანისაგან. ესე იგი, ადამიანის აგებულება ყოველთვის არ ყოფილა დღევანდელის მსგავსი, ის ყალიბდებოდა მილიონობით წლის განმავლობაში და 3-4 მილიონი წლის წინად ადამიანები გაცილებით უფრო მსგავსი იყვნენ მაიმუნების, კერძოდ კი – შიმპანზესი. დღეს ფიზიკურ და ევოლუციურ ანთროპოლოგებს შორის არსებობს თანხმობა, რომ თანამედროვე ადამიანის აღნაგობა ყალიბდებოდა 5 მილიონ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ხოლო ჩვენი უძველესი წინაპრების აღნაგობა ადამიანისმაგვარი მაიმუნების მსგავსი იყო.

პალეონტოლოგიური აღმოჩენები არა მხოლოდ ადამიანის ევოლუციურ წარმოშობას ადასტურებს. 1876 წელს ამერიკელმა ოთნაიელ მარშმა აღმოაჩინა კატის ზომის ძუძუმწოვრის ჩონჩხი, რომლის აღნაგობა ცხენისას ჰგავდა. მან აღმოჩენილ სახეობას „ეოჰიპუსი“ ანუ „ქვეცხენი“ დაარქვა. ეოჰიპუსი ჩრდილოეთ ამერიკაში 50-60 მილიონი წლის წინათ ბინადრობდა. შემდგომ ათწლეულებში პალეონტოლოგებმა აღმოაჩინეს მრავალი ნამარხი, რომელიც ზომითა და აღნაგობით შუალედური იყო ეოჰიპუსსა და თანამედროვე ცხენს შორის. ამ ნამარხების დათარიღებაც შუალედური იყო: უფრო გვიანდელი ნამარხები ზომითა და აღნაგობით მეტად ცხენს მიემსგავსებიან, ხოლო უფრო ძველები – ეოჰიპუსს. ასეთი მაგალითები დღეს მრავალია. არსებობს ნამარხი შუალედური ფორმები, რომლებიც აკავშირებენ დინოზავრებს და ფრინველებს, მტევანფარფლიან თევზებს და ამფიბიებს, ბეჰემოტისმაგვარ ვეშაპის წინაპრებს და თანამედროვე ვეშაპებს. დარვინის დროს გაცილებით ნაკლები ნამარხი ფორმა იყო ცნობილი და ის „სახეობათა წარმოშობის“ მეორე თავში (ცვალებადობა ბუნებაში) და, ნაწილობრივ, სხვა თავებშიც, მიმოიხილავს მხოლოდ დღეს არსებულ სახეობებს და ფორმებს, რომელთაც „შუალედური“ ნიშნები გააჩნიათ. დარვინი მათ მიიჩნევს ევოლუციის არსებობის მხარდასაჭერ არგუმენტად, თუმცა, ნამარხი დათარიღებული შუალედური ფორმები ევოლუციის უკვე პირდაპირი მტკიცებულებებია.

1902 წელს მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ცოცხალი ორგანიზმების ნიშნები შთამომავლობას მემკვიდრეობით გადაეცემა უჯრედის ბირთვში არსებული ორგანელების, ქრომოსომების მეშვეობით. 1953 წელს ამერიკელმა უოტსონმა და ბრიტანელმა კრიკმა აღწერეს დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) სტრუქტურა. დნმ განსაზღვრავს ცოცხალი ორგანიზმის მემკვიდრეობით მიღებულ ნიშნებს, ხოლო მისი სტრუქტურა თანდათან იცვლება შემთხვევითი პროცესის – მუტაციის – შედეგად. თუ ერთი სახეობის ორ ჯგუფს შორის შეჯვარება არ არსებობს (მაგალითად, თუ ისინი გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონებში ბინადრობენ), მათი დნმ-ის სტრუქტურა დროის განმავლობაში სულ უფრო განსხვავებული ხდება. 1980-იანი წლების დასასრულიდან დნმ-ის სტრუქტურის შესწავლა გამარტივდა ტექნოლოგიური განვითარების გამო. მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩვეულებრივ, ნაკლებად მსგავსი აგებულების მქონე ცხოველებისა და მცენარეების დნმ-ის სტრუქტურა უფრო განსხვავებულია, ვიდრე მეტად მსგავსების,

რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ განსხვავებულ სახეობებს წარსულში ერთიანი წინაპარი ჰყავდათ. მაგალითად, ადამიანისა და შიმპანზეს დნმ-ის სტრუქტურა ნაკლებად განსხვავდება, ვიდრე შიმპანზესა და ჰამადრილის დნმ; ხოლო ადამიანისა და ცხენის დნმ უფრო ახლოა სტრუქტურულად, ვიდრე ადამიანისა და ქათმის დნმ, რაც მეტყველებს, რომ ადამიანს და ცხენს (ორივე ძუძუმწოვარია) უფრო გვიან ჰყავდა საერთო წინაპარი, ვიდრე ადამიანსა და ქათამს.

ეს ფაქტები გვეუბნებიან, რომ დარვინი მართალი იყო, და დღეს არსებული ცხოველები და მცენარეები, თავად ადამიანიც, მრავალმილიონწლიანი ევოლუციური განვითარების შედეგად ჩამოყალიბდნენ. არცერთი ცხოველის, მცენარის ან სოკოს წინაპარი არ გამოიყურებოდა ზუსტად ისე, როგორც მათი დღევანდელი შთამომავლები. ევოლუცია – რეალური მოვლენაა, და ჩვენი სამყარო თანდათანობით იცვლება. თუმცა, სხვა საკითხია – რა ახსნა აქვს ევოლუციას. ტერმინ „ევოლუციის“ ავტორის – შარლ ბონეს მიხედვით, სამყარო იყო შექმნილი, ოღონდ შექმნილი სამყაროს მოდელში უკვე იყო ჩადებული მისი შემდგომი განვითარების მთლიანი სურათი, ისევე, როგორც ჩანასახის დნმ-ში ჩადებულია ამ ჩანასახის განვითარების გზა. დარვინის მიხედვით კი, ევოლუცია უამრავი შემთხვევითი ფაქტორისა და შემთხვევითი ცვალებადობის შედეგია.

ევოლუციის მიზეზები: დარვინისეული და თანამედროვე წარმოდგენები

„სახეობათა წარმოშობის“ მე-2 – მე-4 თავებში დარვინი აღწერს ევოლუციის მარტივ სავარაუდო მექანიზმს. ევოლუციის მამოძრავებელი ძალებია: მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, და გადარჩევა. მემკვიდრეობითობა ცოცხალი ორგანიზმის უნარია, გადასცეს ნაშიერს თავისი ნიშნები. ადამიანს ადამიანი ებადება, ქათამს – ქათამი, ხოლო ფიჭვის თესლიდან ისევ ფიჭვი იზრდება. მეტიც, შვილის სახის ნაკვთები მშობლების სახის ნაკვთებს ემსგავსება; ხალებიანი კატა უფრო ხშირად შობს ხალებიან კნუტებს, ვიდრე ზოლიანი ან შავი. ცვალებადობა ნიშნავს განსხვავებებს ერთი და იმავე სახეობის ინდივიდებს შორის. ჩვენ ვარჩევთ ნაცნობებს თვალის ფერით, სახის ნაკვთებით: ცხვირისა და შუბლის შედარებითი სიგრძით, სახის სიგანისა და სიმაღლის შეფარდებით და ასე შემდეგ. ასევე არ არსებობს ორი ზუსტად ერთნაირი ცხენი, კალმახი ან კაკლის ხე: ყველა ინდივიდი ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ მაინც განსხვავდება. ამ განსხვავებებს ზოგჯერ სასიცოცხლო პირობები განსაზღვრავს. მაგალითად, პატარა ტბაში მცხოვრები კარჩხანა თევზები პატარა ზომის არიან იმავე სახეობის თევზებთან შედარებით, რომლებიც დიდ ტბაში (მაგალითად, ფარავანში) ბინადრობენ. ასეთი, გარემო პირობებით განსაზღვრული ჯგუფური ცვლილებები მემკვიდრეობით არ გადაიცემა. პირიქით, ინდივიდუალური ცვლილებები, რომლებიც აშკარად ვერ უკავშირდება გარემოს პირობების ზეგავლენას, გადაიცემა მემკვიდრეობით, და სწორედ მათ ეყრდნობა ევოლუციის პროცესი. ეს დარვინის დაკვირვება დადასტურდა შემდგომში; არამემკვიდრეობით, გარემოს მიერ გამოწვეულ ცვალებადობას ზოგჯერ „მოდიფიკაციას“ უწოდებენ (ეს დარვინის ტერმინია), ხოლო ინდივიდუალური,

მემკვიდრეობითი ცვალებადობა ორი მიზეზითაა გამოწვეული: რეკომბინაციით (ორივე მშობლის დნმ-ის მონაკვეთების გადანაწილებით შთამომავლის ქრომოსომებში) და მუტაციით (დნმ-ის სტრუქტურის შემთხვევითი ცვლილებებით ბიოქიმიური პროცესების შედეგად). ევოლუციის მესამე მამოძრავებელი ძალაა ბუნებრივი გადარჩევა. თუ ორგანიზმის ნიშანი, რომელიც მას, ინდივიდუალური ცვალებადობის ფარგლებში, იმავე სახეობის სხვა ინდივიდებისგან არჩევს, გავლენას ახდენს მის გადარჩენის ან გამრავლების უნარზე, ეს ნიშანი ან მოედება თანდათან მთელს ჯგუფს, ან სრულიად გაქრება. ჩვეულებრივად, მნიშვნელოვანი განსხვავება ორგანიზმის წარმატებას უშლის ხელს. მაგალითად, უჩვეულო ფერის პეპელა (შავი ან, პირიქით, თეთრი) ადვილი დასანახია ფრინველისთვის, ამიტომ ასეთი პეპელა სწრაფად დაიღუპება და შთამომავლობის დატოვებას ვერ მოასწრებს. ბაყაყი, რომელიც ჩვეულებრივისგან განსხვავებულად ყიყინებს, ნაკლებად მოიზიდავს მდედრს და შთამომავლობის დატოვება გაუჭირდება. თუმცა, თუ პირობები შეიცვალა, ახალმა ნიშანმა შესაძლოა (იშვიათად) ორგანიზმს უპირატესობა მისცეს. „სახეობათა წარმოშობის“ გამოქვეყნებიდან გასული 155 წლის განმავლობაში მეცნიერებმა აღწერეს ასეულობით ბუნებრივი გადარჩევის მაგალითი. ერთ-ერთი ქარიზმატული მაგალითია პეპელა არყის მზომელა. მეცნიერებმა აჩვენეს, რომ მელანისტი (მუტაციით გამოწვეული შავი ფერის ინდივიდი) იშვიათად ჩნდება მზომელას პოპულაციაში და უმალვე იღუპება, რადგან ფრინველები ადვილად ხედავენ ღეროზე მჯდომარე ასეთ კონტრასტულ ინდივის. თუმცა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინდუსტრიული ბუმის შედეგად დასავლეთ ევროპის (მათ შორის ინგლისის) ქალაქები იმდენად დაბინძურდა, რომ იქ დარგული ხეების ღეროები ნამწვისგან შავად შეიღება. ასეთ ხეებზე მელანისტი მზომელები უფრო ეფექტურად იმალებოდნენ, ვიდრე მათი ბუნებრივად (ნაცრისფრად) შეფერილი ნათესავები. რამდენიმე წელიწადში ქალაქ მანჩესტერის პოპულაცია მთლიანად მელანისტებისაგან შედგებოდა. ასე რომ, მარტივ სქემად რომ წარმოვიდგინოთ დარვინისეული ევოლუციის მექანიზმი, (1) ინდივიდუალური ცვალებადობა აჩენს ორგანიზმებს, რომელთა ნიშნები ცოტათი განსხვავებულია იმავე სახეობის ორგანიზმებისგან, (2) განსხვავებული ნიშნების მქონე ორგანიზმებს შეიძლება ცოტათი განსხვავებული წარმატება ჰქონდეთ სხვებთან შედარებით (რაც გამოიხატება იმავე დროის განმავლობაში უფრო მეტი შთამომავლის დატოვებაში); ეს ბუნებრივი გადარჩევის საფუძველია და (3) წარმატებული ორგანიზმის ნიშნები მის შთამომავლობას გადაეცემა. ამ სქემამ, უმნიშვნელო ცვლილებებით, დროით შემოწმებას გაუძლო და დღესაც არსებობს.

ჯერ კიდევ დარვინის თანამედროვე გრეგორ მენდელმა მათემატიკურად აღწერა მემკვიდრეობის წესები. მოგვიანებით თომას ჰანთ მორგანმა ჩამოაყალიბა თეორია, რომლის მიხედვით მემკვიდრეობა გადაიცემა მცირე ნაწილაკების – ქრომოსომების მეშვეობით, რომლებიც ყველა ცოცხალ უჯრედში არსებობენ. როგორც უკვე ვახსენეთ, ქრომოსომები დეზოქსირიბონუკლეინის მჟავისგან შედგება (რომლის სტრუქტურაც უოთსონმა და კრიკმა 1953 წელს აღწერეს), ხოლო

ეს მჟავა ოთხი განსხვავებული ნუკლეოტიდის თანმიმდევრობაა. დადგენილია, რომ ნუკლეოტიდების თანმიმდევრობა განაპირობებს ორგანიზმის ცილების სტრუქტურას. სწორედ ამ სტრუქტურაზეა დამოკიდებული ორგანიზმის ნიშნები, ნივთიერებათა ცვლის თავისებურება, ეკოლოგია, ქცევაც კი. დადგენილია, რომ ინდივიდუალურ განსხვავებებს განაპირობებს ორი მშობლისგან მიღებული დნმ-ს სტრუქტურის კომბინაცია და მუტაციები – ქიმიური პროცესების შედეგად დნმ-ს ჯაჭვში ცალკეული ნუკლეოტიდების შემთხვევითი შენაცვლება.

დღევანდელი ევოლუციის თეორია განსხვავდება დარვინისეულისგან უმნიშვნელო შესწორებებით. აქედან პირველია – მიმართული და მასტაბილიზებელი ბუნებრივი გადარჩევის ცნება. დარვინი „ბუნებრივ გადარჩევად“ პირველს გულისხმობდა, მაგრამ მეორე გაცილებით უფრო გავრცელებული მოვლენაა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ენ არბორში (მიჩიგანი, აშშ) ქარიშხალმა მიწაზე დაცვენილი ასეულობით ბეღურა დატოვა. ბიოლოგმა ჰერმონ ბამპუსმა შეაგროვა ბეღურები და აღწერა თითოეულის ზომა და სხეულის პროპორციები. ბეღურების ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი გადარჩა. ბამპუსმა აჩვენა, რომ გადარჩნენ არა მოკლე ან გრძელფრთიანი ბეღურები, არა ძალიან დიდები ან პატარები, მოკლე ან გრძელნისკარტიანები: გადარჩნენ საშუალო ზომის და აღნაგობის მქონე ჩიტები. ასე რომ, ბუნებრივი გადარჩევა, ძირითადად, ორგანიზმებს კი არ ცვლის, არამედ პირიქით, მათი აღნაგობის უცვლელობას უწყობს ხელს. რუსმა ბიოლოგმა შმალჰაუზენმა ასეთ გადარჩევას „მასტაბილიზებელი“ დაარქვა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც არ აძლევს ორგანიზმებს საშუალებას, უსასრულოდ იცვლებოდნენ. სხვა სახის, მიმართული გადარჩევა ძალზე იშვიათია, მაგრამ სწორედ ის უწყობს ხელს სიახლეების დამკვიდრებას და ევოლუციურ ცვლილებებს.

დღევანდელი თეორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა დარვინისეულისგან – გენების დრეიფი. დღეს მეცნიერები თვლიან, რომ გენების დრეიფი, ბუნებრივ გადარჩევასთან ერთად, ევოლუციის მნიშვნელოვანი მექანიზმია და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანიც კი. გენების დრეიფის ცნება უკავშირდება დიდ ამერიკელ გენეტიკოსს, სიუელ რაითს. თუ რაითამდე მომუშავე ბიოლოგები დიდად არ ფიქრდებოდნენ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ევოლუციაზე პოპულაციაში შემავალი ინდივიდების რაოდენობა, რაითი ჩაფიქრდა და საინტერესო დასკვნამდეც მივიდა: ხშირად ცხოველები და მცენარეები მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ, რომელშიც სულ რამდენიმე ან რამდენიმე ათეულამდე ზრდასრული ინდივიდი შედის. ასეთ ჯგუფებში კი, ჩვეულებრივი შემთხვევითი პროცესის გამო, გადარჩებიან ერთი და იმავე გენის შემთხვევითად შერჩეული ალელები (გენის ნაირსახეობები). თუ ადამიანების ჯგუფში ცისფერთვალა და შავთვალა ინდივიდები თანაარსებობენ, ამ შემთხევითი პროცესის გამო, საბოლოო ჯამში, ყველა შთამომავალს *ან* ცისფერი, *ან* შავი თვალები ექნება, რაც სრულიად შემთხევითია და რასაც მიმართული გადარჩევის პროცესი არ სჭირდება. ზოგიერთი წამყვანი ევოლუციური ბიოლოგი თვლის, რომ გენების დრეიფი ევოლუციაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბუნებრივი გადარჩევა. მათგან ალ-

ბათ ყველაზე ცნობილია იაპონელი მოტოო კიმურა, "ნეიტრალური ევოლუციის" თეორიის ავტორი.

ძირეულად კი, დრომ აჩვენა, რომ დარვინის ევოლუციური თეორია საკმაოდ ძლიერ ლოგიკურ კონსტრუქციას წარმოადგენს, და თანამედროვე ბიოლოგებს შორის არსებობს კონსენსუსი როგორც ევოლუციის არსებობასთან მიმართებაში, ასევე, დარვინის მიერ გამოყოფილი ფაქტორების მნიშვნელოვანი როლის შესახებ.

მემკვიდრეობის კანონები: დარვინი და მენდელი. სინთეზური თეორია

„სახეობათა წარმოშობის“ გამოქვეყნებიდან სულ რაღაც შვიდი წლის გასვლის შემდეგ ჩეხმა ღვთისმსახურმა და მეცნიერმა გრეგორ მენდელმა გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით „ცდები მცენარეთა ჰიბრიდიზაციის შესახებ“. მენდელმა აჩვენა, რომ მემკვიდრეობითი ნიშნები გადაიცემა არა „სისხლის შერევით“, როგორც მანამდე ფიქრობდნენ (მათ შორის, დარვინიც), არამედ დისკრეტული (დაუშლელი) ნაწილაკების მეშვეობით. ამის გამო ნიშანი, რომელიც აქვს ორგანიზმს, შეიძლება არ გააჩნდეს მის უშალო მემკვიდრეს, მაგრამ გამოჩნდეს შემდგომ თაობაში, თუნდაც დიდი დროის შემდეგ (დარვინი ამ ფენომენს ახსენებდა, მაგრამ ახსნა ვერ მოუძებნა). მენდელის ცდები აღწერილია ყველა სასკოლო ბიოლოგიის სახელმძღვანელოში. მნიშვნელოვანია ის, რომ დარვინი, რომელმაც მემკვიდრეობის კორპუსკულური (ურყევი ნაწილაკებით განპირობებული) ბუნება არ იცოდა, თავად ეჭვობდა სასარგებლო ნიშნების გადაცემის მექანიზმის შესახებ და ლაპარაკობდა „სისხლის შერევაზე“. წარმოვიდგინოთ, რომ ინდივიდი მცირეოდენ განსხვავდება იმავე სახეობის სხვა წარმომადგენლებისაგან და ეს განსხვავება მცირე უპირატესობას აძლევს. მაგალითად, მისი ფერი ოდნავ უკეთაა შერწყმული გარემოსთან და ამიტომ იმის ალბათობა, რომ სწორედ მას შეამჩნევს და შეჭამს მტაცებელი, ოდნავ მცირეა. თუ ეს ინდივიდი შეჯვარდება ჩვეულებრივად შეფერილ ინდივიდთან, „სისხლის შერევის“ (დარვინის ტერმინოლოგიის) შედეგად მათ ნაშიერს უჩვეულო ფერთან დაკავშირებული უპირატესობა გაუნახევრდება. ეს ნიშანი თაობებში რომ შენარჩუნდეს, უნდა არსებობდეს წარმოუდგენლად მაღალი გადარჩევის წნეხი. მართალია, დარვინი აღნიშნავდა, რომ შთამომავლობაში დაკარგულმა ნიშან-თვისებამ შესაძლოა თაობების შემდეგ თავი იჩინოს, მაგრამ არც ცდილობდა ეს ფენომენი აეხსნა. მენდელის მემკვიდრეობითობის თეორიამ აჩვენა, რომ არავითარი „სისხლის შერევა“ არ ხდება და ნიშნები ან სრულად გადაეცემა შთამომავალს ან არ გადაეცემა; შესაბამისად, „სისხლის შერევა“ არ წარმოადგენს პრობლემას ბუნებრივი გადარჩევის დასაბუთებისთვის.

საინტერესოა, რომ მენდელის მნიშვნელოვანი ნაშრომი არ იყო სათანადოდ შეფასებული და მისი კანონები ჰუგო დე ფრიზმა და კარლ კორენსმა ახლიდან აღმოაჩინეს 1900 წელს. 1900-იანების დასაწყისში ჩამოყალიბდა მემკვიდრეობის ქრომოსომული თეორიაც. დე ფრიზი და მისი თანამედროვე გენეტიკოსები ვერ ხედავდნენ კავშირს დარვინის თეორიის და მენდელისეული მემკვიდრეობის პრინციპებს შორის. პირიქით: ჰუგო დე ფრიზი აკრიტიკებდა დარვინს და თვლი-

და, რომ ევოლუცია მიმდინარეობს, მაგრამ ახალი სახეობები თანდათანობითი ცვლილებების შედეგად კი არ ვითარდებიან, არამედ სპონტანურად წარმოიქმნებიან მსხვილი გენეტიკური ცვლილებების, მუტაციების შედეგად. მსგავსი შეხედულებები ჰქონდა დიდ ექსპერიმენტატორს და „ჩანასახოვანი პლაზმის“ კონცეპტის ავტორს, ბიოლოგს და ფილოსოფოსს აუგუსტ ვაისმანს. მან აჩვენა, რომ სიცოცხლე უწყვეტია: ის, რასაც ჩვენ სქესობრივ უჯრედებს ვუწოდებთ, ე.წ. „ჩანასახოვანი პლაზმა“ უსაზღვროდ მრავლდება და ცოცხლად გადადის თაობიდან თაობამდე, ხოლო დროებითია „სომა“, ორგანიზმის სხეულის უჯრედები, რომლებიც საბოლოო ჯამში ემსახურება ჩანასახოვანი პლაზმის გადარჩენა-გამრავლებას. 50-წლის მოგვიანებით მსგავსი კონცეფცია გათანამედროვებული სახით (დნმ-ის სტრუქტურა უკვე ცნობილი იყო) ჩამოაყალიბა მეცნიერების ცნობილმა პოპულარიზატორმა, რიჩარდ დოუკინსმა წიგნში „ეგოისტური გენი“, რომელიც 1976 წელს გამოიცა და უმალვე ბესთსელერი გახდა.

1918 წელს რონალდ ფიშერმა დაბეჭდა სტატია, სადაც მან აჩვენა, რომ მენდელის კანონები კი არ აბათილებენ დარვინის თეორიას, არამედ აადვილებენ ამ თეორიის დასაბუთებას, და, რომ სწორედ მენდელის კანონების გათვალისწინებით ბუნებრივი გადარჩევა ბუნებრივად ხსნის ახალ სახეობათა წარმოშობას და ევოლუციას. ფიშერი, ჯეიმს ჰოლდეინთან და სიუელ რაიტთან ერთად, არის თანამედროვე *პოპულაციური გენეტიკის* დამაარსებელი. ეს მიმართულება თანამედროვე თეორიული ბიოლოგიის საფუძველია, რომელიც აღწერს გენების გადანაწილებას და ცვლილებას ორგანიზმების ჯგუფში, რაც საბოლოო ჯამში ევოლუციურ ცვლილებებს იწვევს. პოპულაციურ გენეტიკოსებთან ერთად, თანამედროვე ევოლუციური თეორიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ექსპერიმენტატორებმა: თეოდოსიუს დობჟანსკიმ, სერგეი ჩეტვერიკოვმა, მოგვიანებით – ზოოლოგმა ერნსტ მაირმა და გენეტიკოსმა ფრანსისკო აიალამ.

დარვინის თეორიამ ხელი შეუწყო მეცნიერების ფილოსოფიის განვითარებასაც. 1956 წელს ავსტრიელმა ზოოლოგმა ვილი ჰენიგმა, პირველად კარლ ლინეს შემდეგ, ჩამოაყალიბა ორგანიზმთა სისტემატიკის თეორიული საფუძველი – კლადისტიკა. კლადისტიკა ამბობს, რომ ორგანიზმების სწორი დაჯგუფება მათ გენეტიკურ ნათესაობას უნდა უკავშირდებოდეს და არა უბრალოდ მსგავსებას, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს ეს მსგავსება. კლადისტიკის პრინციპების მიხედვით, თუ ორი სახეობა ერთმანეთთან უფრო ახლოა, ვიდრე მესამესთან, არ შეიძლება ერთ-ერთი მათგანი ამ მესამესთან უფრო ახლოდ ჩაითვალოს. ამ პრინციპებს ბიომრავალფეროვნების აღწერა ეყრდნობა.

ტექნიკური პროგრესი და ევოლუციური თეორია

მე-20 საუკუნის ტექნიკური პროგრესის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ევოლუციური თეორიის განვითარება, და თავად ევოლუციის არსებობის თაობაზე კონსენსუსის მიღწევა. ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იყო რადიომეტრიული დათარიღება, რომელსაც მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში ბერტრამ ბოლთ-

ვუდმა ჩაუყარა საფუძველი. ეს მეთოდი ეყრდნობა იზოტოპების (იგივე ქიმიური ელემენტის განსხვავებულად დამუხტული ფორმეის) არსებობის ფაქტს ნამარხებში. დათარიღება საკმაოდ ზუსტია, და მეთოდები ყოველდღიურად იხვეწება. ამ აღმოჩენას ვუმადლით, რომ ვიცით, როდის ცხოვრობდნენ დინოზავრები, ადამიანის წინაპარი პრიმატები და ეოჰიპუსი. შუალედური ფორმის შუალედური დათარიღება (მაგალითად, თანამედროვე ადამიანისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ნამარხების უფრო დიდი ასაკი, ვიდრე ნაკლებად განსხვავებული ნამარხების) ევოლუციის ერთ-ერთი პირდაპირი მტკიცებულებაა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მემკვიდრეობის გაშიფრვა – ჯერ ქრომოსომების, შემდეგ კი დნმ-ის სტრუქტურის აღმოჩენა. ეს აღმოჩენები შეუძლებელი იქნებოდა ჯერ მიკროსკოპული ტექნიკის, შემდეგ კი ფიზიკო-ქიმიური მეთოდების დახვეწის გარეშე.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1983 წელს კერი მულისის და მისი თანაავტორების მიერ პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციის აღმოჩენა. ამ ტექნოლოგიის წყალობით შესაძლებელი გახდა, დიდი დანახარჯების გარეშე, ცხოველების, მცენარეების თუ ადამიანის ნებისმიერი ქსოვილიდან დნმ-ის გამოყოფა, გამოყოფილი დნმ-ისგან ცალკეული გენების იზოლირება და ამ გენებში ნუკლეოტიდების ზუსტი თანმიმდევრობის გაშიფვრა. დღეს ეს მეთოდი ილიას უნივერსიტეტის გენეტიკურ ლაბორატორიაშიც გამოიყენება (საქართველოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ასეთი საუნივერსიტეტო ლაბორატორიაა). პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციის (პჯრ, ინგლისურად PCR) წყალობით შეგვიძლია დავადგინოთ სხვადასხვა სახეობებს შორის გენეტიკური სიახლოვის (და არა უბრალოდ ზედაპირული მსგავსების) დონე. ამ მეთოდის გამოყენებით მეცნიერებმა აჩვენეს, რომ შევარდენი წარმოშობით ბეღურასთანა უფრო ახლოსაა, ვიდრე მიმინოსთან, როგორც მისი ზედაპირული შესწავლა აჩვენებს; რომ ვეშაპის წინაპრები ბეჰემოტის ნათესავები იყვნენ; რომ სოკოები ცხოველებთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე მცენარეებთან და, რომ ჩვენსა და შიმპანზეს შორის გენეტიკური სიახლოვე უფრო დიდია, ვიდრე შიმპანზესა და გორილას შორის.

უმნიშვნელოვანესი იყო გენების ექსპრესიის (აქტივობის ცილების სინთეზის პროცესში) შესწავლის მეთოდური დახვეწა. დღეს მეცნიერები ადგენენ, რა გენებია აქტიური ამა თუ იმ ნიშნის (მაგალითად, პეპლის ფრთაზე არსებული ხალის, ან ადამიანის მემკვიდრეობითი დაავადების) გამოვლენისას. ამ მეთოდებმა მეცნიერებს საშუალება მისცა, ებრძოლონ დაავადებას გენეტიკურ დონეზე, სანამ ის გამოვლინდება. ამ მეთოდებს ეყრდნობა გენური ინჟინერია – ტექნიკა, როდესაც ხდება დნმ ჯაჭვის ხელოვნური ცვლილება, რომლის შედეგად სასურველი ნიშნების მქონე („გენ-მოდიფიცირებული“) ორგანიზმი გამოდის.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია 2010 წელს ჩატარებული კვლევა, რომელსაც გარკვეული დისონანსი შემოაქვს იმ წარმოდგენაში, რომ გარემო პირობების გავლენით განვითარებული ნიშნები მემკვიდრეობით არ გადაეცემა, შემთხვევითი ინდივიდუალური ცვლილებებისგან განსხვავებით. ფრენკლინმა და მენსიუმ აჩვე-

ნეს, რომ თაგვების ყოფნას ხანგრძლივი სტრესის გავლენის ქვეშ მოჰყვება მათი შთამომავლობის გაზრდილი აგრესიულობა გარემო პირობების მიუხედავად. გამოდის, რომ ლამარკი სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მართალი იყო.

ვაჯამებ: დარვინის ევოლუციურმა თეორიამ, განსაკუთრებით კი წიგნმა „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით“ უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ბიოლოგიაზე, არამედ ზოგადად თანამედროვე სამეცნიერო აზროვნებაზე. დრომ და ფაქტებმა შემოიტანეს თეორიაში გარკვეული კორექტივები, მაგრამ ამისდა მიუხედავად არსებობს სამეცნიერო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ორგანიზმები იცვლება ევოლუციურად, და რომ ცვალებადობა, მემკვიდრეობითობა და ბუნებრივი გადარჩევა ამ ცვლილებების საფუძველს წარმოადგენს.

სახეობათა წარმოშობისა და არსებობისათვის ბრძოლაში უპირატესობის მქონე სახეობების გადარჩენის შესახებ

[...]

თავი III
ბრძოლა არსებობისათვის

მისი დამოკიდებულება ბუნებრივ გადარჩევასთან; ტერმინი „ბრძოლა არსებობისათვის“ მრავალი მნიშვნელობის შემცველია; რიცხოვნობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება; ნატურალიზებული ცხოველებისა და მცენარეების გამრავლების სწრაფი ტემპები; რიცხოვნობის მატების ხელშემშლელ ფაქტორთა ბუნება; კონკურენციის უნივერსალურობა; კლიმატის გავლენა; დაცვა, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდთა რაოდენობაზე; ცხოველებსა და მცენარეებს შორის ურთიერთობების სირთულე ბუნებაში; ბრძოლა არსებობისთვის ყველაზე მწვავედ ერთი სახეობის ინდივიდებსა და ნაირსახეობებს შორის მიმდინარეობს, ხშირად – ერთი გვარის სახეობებს შორის; ურთიერთობები ორგანიზმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია.

სანამ ამ თავის საკვლევი თემის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, რამდენიმე წინასწარი განცხადება უნდა გავაკეთო, რათა წარმოვაჩინო, როგორ აისახება გადარჩენისათვის ბრძოლა ბუნებრივ გადარჩევაზე. წინა თავში ვნახეთ, რომ ველურ ბუნებაში მცხოვრები ორგანული არსებები განსხვავდებიან ინდივიდის დონეზე. დიახ, ამაზე არავის არასოდეს უკამათია. ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანი არ არის ის ფაქტი, ტიპურ[1] თუ არატიპურ ფორმებს სახეობას ვუწოდებთ თუ ქვესახეობებს. ანუ ის, ბრიტანეთში არსებულ 200 ან 300 საეჭვო ფორმას სახეობას დავარქმევთ თუ მკვეთრ ნაირსახეობას, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ინდივიდუალური ცვალებადობისა და ზოგი კარგად გამოკვეთილი ნაირსახეობის არსებობა, მართალია, ამ ნაშრომის ძირითადი არგუმენტია, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტი ვერ ახსნის სახეობის წარმოქმნას და ვერც იმას, როგორ მოხდა სხეულის ერთი ნაწილის შეგუება სხვა ნაწილთან თუ სასიცოცხლო პირობებთან და ერთი რომელიმე არსების შეგუება მეორესთან. ურთიერთშეგუების შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს კოდალა და ფითრი, აგრეთვე ის პარაზიტი, რომელიც ჩიტის ბუმბულს თავისი ოთხი ფეხით ჩაბღაუჭებია, ან კიდევ წყალში მყვინთავი ხოჭოები თუ ბუ-

სუსიანი თესლები, რომელთაც ნიავი გაიტაცებს ხოლმე. მოკლედ, ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ შეგუების ძალზე ლამაზი ნიმუში ორგანული სამყაროს ყველა არსებაში; და მაინც, ჩნდება კითხვა: როგორ ხდება ჩემს მიერ ჩანასახოვან სახეობებად წოდებული ნაირსახეობების ნელ-ნელა გარდაქმნა კარგად გამოკვეთილ სახეობებად ისე, რომ საბოლოოდ ისინი ბევრად უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ერთი და იმავე სახეობის ნაირსახეობები? როგორ წარმოიქმნება სახეობათა ის ჯგუფები, რომელთაც გვარებს ვუწოდებთ და რომლებიც თავის მხრივ, კიდევ უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე გამოკვეთილი სახეობები? ეს ყველაფერი არსებობისათვის ბრძოლის შედეგია, რაზედაც კიდევ უფრო ამომწურავად შემდეგ თავში ვისაუბრებთ. სწორედ არსებობისათვის ბრძოლა განაპირობებს იმას, რომ ნებისმიერი, თუგინდ უმნიშვნელო სახეცვლილებაც კი, თუ იგი ხელსაყრელია სახეობის ნებისმიერი ინდივიდისთვის, ხელს უწყობს ამ ინდივიდის შენარჩუნებას. შემდგომში ეს თვისება მის შთამომავალს გადაეცემა და, ამგვარად, გადარჩენის უკეთესი შანსი მიეცემა, იმის გათვალისწინებით, რომ დაბადებულთა შორის მხოლოდ მცირე რაოდენობა შეიძლება გადაურჩეს განადგურებას. სწორედ ამ პრინციპს, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ ხელსაყრელი ცვლილების შენარჩუნებას, ვუწოდე ბუნებრივი გადარჩევა, რათა იგი ადამიანის მიერ ჩატარებული გადარჩევისაგან განმესხვავებინა. უკვე ვნახეთ, რომ ადამიანმა სელექციის მეშვეობით მიიღო შესანიშნავი შედეგები და შესაძლებელი გახადა ორგანულ არსებათა თავისი საჭიროებისამებრ მართვა ბუნებისაგან ბოძებული უმნიშვნელო, მაგრამ ხელსაყრელი ცვლილებების დაგროვების საშუალებით. თუმცა, ბუნებრივი გადარჩევა, როგორც ამას შემდგომში ვნახავთ, ბუნების მარად მოძრავი ძალაა და წარმოუდგენლად აღემატება ადამიანის მწირ შესაძლებლობებს.

ახლა კი დაწვრილებით განვიხილავ არსებობისათვის ბრძოლის საკითხს. განზრახული მაქვს ჩემს შემდეგ ნაშრომში მას კიდევ უფრო მეტი ადგილი დავუთმო. პატივცემულმა დე კანდოლმა და ლაიელმა მთელი სიგრძე-სიგანით და ფილოსოფიურად წარმოაჩინეს, რომ ორგანული არსებები ჩაბმულნი არიან ერთგვარ კონკურენციაში. ამ კუთხით მცენარეთა შესწავლა, მანჩესტერის დეკანის უ. ჰერბერტის მსგავსად, მთელი ძალისხმევით ჯერ არავის უწარმოებია, რაც ალბათ მის მიერ მებაღეობის საფუძვლიანი ცოდნის შედეგია. არაფერია იმაზე ადვილი, რომ აღწერო არსებობისათვის ბრძოლის უნივერსალური ჭეშმარიტება, მაგრამ გაცილებით უფრო რთულია (ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში), მუდამ გახსოვდეს მისი არსებობის შესახებ. ღრმად მწამს, რომ, თუ არა არსებობისათვის ბრძოლა, ისეთი მოვლენები, როგორიცაა სახეობის გავრცელება, მათი მეტ-ნაკლები სიხშირე, გადაშენება თუ ცვალებადობა არასწორად იქნება აღქმული და გაგებული. ჩვენ ბედნიერებით აღსავსენი შევყურებთ ბუნებას, ხშირად ვხედავთ საკვების სიუხვეს, მაგრამ ვერ ვამჩნევთ ან გვავიწყდება, რომ ჩვენ გარშემო მყოფი მოჭიკჭიკე, ერთი შეხედვით, უწყინარი ჩიტები ძირითადად მარცვლეულითა და მწერებით იკვებებიან და, ამდენად, განუწყვეტლივ ანადგურებენ სხვათა სიცოცხ-

ლეს; თავად ჩიტები და მათი კვერცხები კი ხშირად მტაცებელი ფრინველებისა და ცხოველების სამიზნეა. ყოველთვის როდი გვახსოვს, რომ, თუ დღეს საკვები უამრავია, ეს არ ნიშნავს, რომ ასე იქნება ყოველ წელს და ყველა სეზონზე.

უნდა აღვნიშნო, რომ ტერმინს „არსებობისათვის ბრძოლა“ ფართო, მეტაფორული მნიშვნელობით ვიყენებ, რაც გულისხმობს ცოცხალი და არაცოცხალი არსებების ერთმანეთზე დამოკიდებულებას, და ეს ბრძოლა არა მხოლოდ ინდივიდის გადარჩენისთვის მიმდინარეობს, არამედ, ამასთანავე, მის წარმატებისთვისაცაა შთამომავლობის დატოვებაში. ორი ძაღლი შიმშილობის ჟამს საკვებისა და თვითგადარჩენისათვის ებრძვის ერთმანეთს, მაგრამ მცენარე, რომელიც უდაბნოს განაპირას ხარობს, სიცოცხლის შესანარჩუნებლად გვალვის წინააღმდეგ იბრძვის, ანუ მისი სიცოცხლე ტენიანობაზეა დამოკიდებული. თუ ვისაუბრებთ მცენარეზე, რომლის მიერ ყოველწლიურად მოცემული ათასობით თესლიდან ზოგჯერ მხოლოდ ერთი აღწევს სიმწიფემდე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ებრძვის იმ მცენარეებს, რომლებიც უკვე მოდებულია დედამიწაზე. ფითრი ვაშლის ხეზე და კიდევ რამდენიმე სხვა სახეობის ხეზეა დამოკიდებული, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ის ებრძვის მათ, რადგან, თუ ხეს პარაზიტი დაეხვევა, ფითრი აუცილებლად მოიწყენს და გახმება. ამავე დროს შეიძლება ითქვას, ერთსა და იმავე ტოტზე მოდებული ფითრის რამდენიმე ამონაყარიც კი ერთმანეთს ებრძვის. იმის გამო, რომ ფითრის თესლს ფრინველები მიმოაბნევენ და, ამდენად, ხელს უწყობენ მის გამრავლებას, ვამბობთ ფითრი, გადატანითი მნიშვნელობით, ებრძვის სხვა მცენარეებსაც: ფრინველები სწორედ მის და არა სხვა მცენარეების თესლს ავრცელებენ. აქედან გამომდინარე, ამ მრავალი, ერთმანეთზე დამოკიდებული მიზეზის გამო და მათ აღსანიშნავად, მეტი მოსახერხებლობისათვის ვიყენებ ტერმინს „ბრძოლა არსებობისათვის“.

არსებობისათვის ბრძოლა აუცილებლად გამომდინარეობს ორგანულ არსებათა გამრავლების თვისებიდან. ყველა არსება, რომელიც ცხოვრების მანძილზე რაღაცნაირად მაინც მრავლდება თესლითა თუ კვერცხით, ერთ დღეს აუცილებლად უნდა დაიღუპოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოცხალ არსებათა რაოდენობა ისე გაიზრდებოდა, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვეღარ დაიტევდა. გამომდინარე იქედან, რომ იმაზე გაცილებით მეტი არსება იბადება, ვიდრე გადარჩება, აუცილებელია დავუშვათ ბრძოლა არსებობისათვის. შესაძლოა, ეს იყოს ბრძოლა ერთი და იმავე სახეობის წარმომადგენლებს შორის, განსხვავებულ სახეობებს შორის ან ბრძოლა ცხოვრების ფიზიკურ პირობებთან. მალთუსის[2] დოქტრინა (ადამიანთა რაოდენობის ზრდის შესახებ) დედამიწაზე არსებულ ცხოველებსა და მცენარეებს ათმაგად ეხება, რამდენადაც მათ საკვებს ხელოვნურად ვერ გავზრდით და ვერც მათ თავისუფალ შეჯვარებას შევუშლით ხელს. ზოგი სახეობის რიცხოვნობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, თუმცა ამის უნარი ყველას როდი შესწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში დედამიწა ვერ დაიტევდა ცოცხალ არსებებს. თითოეული ორგანული არსება მრავლდება, და მისი შთამომავლობიდან ყველა რომ ზრდასრულობას აღწევდეს, მალე დედამიწაზედაც ვეღარ დავეტეოდით. ადამიანმა ნაყოფის ნელი

ტემპით მომცემი ცხოველების შობადობის მაჩვენებელი ისე გაზარდა ბოლო 25 წლის მანძილზე, რომ რამდენიმე ათასწლეულში უკვე თავად ადამიანისათვის ადგილი აღარსად იქნება. ლინემ[3] გამოთვალა: თითოეული მცენარე რომ მხოლოდ ორ თესლს გვაძლევდეს და შემდეგ მისმა ჩითილმა კიდევ ორი თესლი გამოიღოს, 20 წელიწადში ერთი მილიონი მცენარე იქნება. მიჩნეულია, რომ სპილო ყველაზე ძნელად მრავლდება, ამიტომ შევეცადე მისი სავარაუდო მატება გამომეთვალა – იგი პირველ ნაშიერს, ალბათ, 13 წლის ასაკში იძლევა, 90 წლამდე აქვს გამრავლების უნარი და ამ შუალედში 6 სპლიყვს შობს. ამგვარად, 740-750 წლის განმავლობაში ერთი წყვილის ნამატი 15 მილიონს მიაღწევს.

ამ საკითხთან დაკავშირებით თითოეულ ასეთ გამოთვლაზე უფრო დამაჯერებელი ფაქტებიც მოგვეპოვება, სახელდობრ, გარეული ცხოველების საოცრად სწრაფი მატების შემთხვევები ხელსაყრელი გარემო პირობების არსებობისას ზედიზედ 2 ან 3 წლის განმავლობაში. კიდევ უფრო საოცარია ინფორმაცია იმ შინაური ცხოველების მატების შესახებ, რომლებიც დედამიწის ზოგიერთ ადგილში გაველურდნენ. დაბალპროდუქტიული მსხვილფეხა საქონლისა და ცხენების ნამატი სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში ზუსტად რომ არ იყოს დადგენილი, იგი სრულიად დაუჯერებელად მოგვეჩვენებოდა. ეს მცენარეებსაც ეხება. შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი მცენარეებისა, რომლებიც 10 წლის განმავლობაში მთლიანად მოედვნენ რამდენიმე კუნძულს. ლა პლატას გადაშლილ ველებზე[4] ევროპიდან შემოტანილ მცენარეთა ზოგიერთი სახეობა ისეა მოდებული, რომ თითქმის არც ერთ სხვა მცენარე აღარ ახარებს; ასევე, დოქტორ ფალკონერისაგან მსმენია, რომ ინდოეთში კუმარის კონცხიდან ჰიმალაის მთებამდე გავრცელებული ზოგიერთი მცენარე იქ ამერიკიდან შეუტანიათ. ამგვარი მაგალითები უსასრულოდ შეიძლება მოვიყვანოთ და ვერ ვივარაუდებთ, რომ ამ მცენარეთა ნაყოფიერება უცებ გაიზარდა. მათი რიცხოვნობის მატება იმით შეიძლება აიხსნას, რომ მათთვის ახალი საცხოვრებელი პირობები უაღრესად ხელსაყრელი აღმოჩნდა და, როგორც ახალგაზრდა, ასევე ხანდაზმული ინდივიდები ნაკლებად ნადგურდებოდა, შედეგად კი თითქმის ყველა ახალგაზრდა ინდივიდს გამრავლების საშუალება მიეცა. ასეთ შემთხვევაში გეომეტრიული პროგრესიით ზრდა, რომელიც უმეტეს შემთხვევებში გამაოგნებელია, ხსნის ახალ მიწაზე მცენარეთა მატებასა და ფართოდ გავრცელებას.

ველურ ბუნებაში თითქმის ყველა მცენარე იკეთებს თესლს. ცხოველებს შორისაც იშვიათად მოიძებნება ისეთი, წელიწადში ერთხელ მაინც რომ არ წყვილდებოდეს. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია მტკიცება, რომ ყველა მცენარისა და ცხოველის რიცხოვნობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და ყოველი სახეობა ძალიან სწრაფად სრულიად გაავსებდა კიდეც არსებულ სივრცეს, თუკი ამგვარი მატება არ შეფერხდებოდა ინდივიდების პერიოდული განადგურებით. როცა გარეულ ცხოველებს შინაურს ვადარებთ, შეიძლება კითხვაც დაგვებადოს – აბა, შინაურ ცხოველებს ხომ არ ვანადგურებთ? მაგრამ არ უნდა

გამოგვრჩეს, რომ მრავალ მათგანს საკვებად ვკლავთ – ისევე, როგორც ველურ ბუნებაშიც, ორგანიზმები ასე თუ ისე ნადგურდება.

ერთადერთი განსხვავება იმ ცოცხალ არსებებს შორის, რომელთაგან ერთნი ყოველწლიურად ათასობით კვერცხსა თუ თესლს გვაძლევენ, ხოლო მეორენი ბევრად უფრო ნაკლებად მრავლდებიან, არის ის, რომ ნელა გამრავლებად სახეობებს რამდენიმე წლით მეტი დრო და უფრო ხელსაყრელი

პირობები ესაჭიროება გარკვეულ ტერიტორიაზე გასავრცელებლად. კონდორი *Vultur gryphus* სულ ორ კვერცხს დებს, სირაქლემა კი – ოცს, მაგრამ შესაძლოა, კონდორი უფრო მრავალრიცხოვანი იყოს სირაქლემაზე. ფულმერული ქარიშხალა[5] მხოლოდ ერთ კვერცხს დებს, მაგრამ იგი მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვან ფრინველადაა მიჩნეული. ზოგი ბუზი ასობით კვერცხს დებს, სხვა სახეობები კი, მაგალითად *Hippobosca* – ერთადერთს, მაგრამ ეს სხვაობა სულაც არ აისახება ამა თუ იმ რეგიონში ამ სახეობათა რაოდენობაზე. კვერცხების დიდი რაოდენობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სახეობებისთვის, რომელთა საკვების წყარო არ არის სტაბილური და ეს მათ სწრაფად გამრავლების საშუალებას აძლევს. დიდი რაოდენობით თესლი და კვერცხი ზოგიერთი სახეობისათვის სიცოცხლის გარკვეულ (როგორც წესი, საკმაოდ ადრეულ) ეტაპზე დიდი სიკვდილიანობის კომპენსაციაა. თუ ცხოველი მოახერხებს და თავის ნაშიერს ან კვერცხს გადაარჩენს, მაშინ სახეობის რიცხოვნობა მცირეოდენი ნამატის შემთხვევაშიც შენარჩუნდება. მაგრამ თუკი მრავალი კვერცხი ან ნაშიერი ნადგურდება, საკმარისად ბევრი უნდა დაიბადოს, რომ სახეობა არ განადგურდეს. ასე მაგალითად, ერთი რომელიმე ხე საშუალო რაოდენობით რომ შევინარჩუნოთ, ამისათვის ისიც კი საკმარისია, ერთადერთი თესლი რომ წარმოიქმნას ათასი წლის მანძილზე, ოღონდ უნდა დავუშვათ, რომ ეს თესლი არ დაიღუპება და აუცილებლად ხელსაყრელ ადგილას გაღვივდება. ასეა თუ ისე, ნათელია, რომ ცხოველისა თუ მცენარის საშუალო რიცხოვნობა მაინც მხოლოდ არაპირდაპირაა დამოკიდებული მისი თესლის ან კვერცხის რაოდენობაზე. როდესაც ბუნებაზე ვსაუბრობთ, არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ თითოეული ორგანული ქმნილება, შეიძლება ითქვას, მიისწრაფვის მატებისაკენ და თითოეულ მათგანს სიცოცხლის ამა თუ იმ ეტაპზე უწევს არსებობისათვის ბრძოლა, რადგან განადგურება პერიოდულად ემუქრება ახალგაზრდასაც და ხანდაზმულსაც თითოეულ თაობაში. როგორც კი ნებისმიერი დაბრკოლება ოდნავ მაინც შემსუბუქდება ან განადგურების საფრთხე შესუსტდება, სახეობათა რაოდენობა მაშინვე შეუზღუდავად მატულობს. აქედან გამომდინარე, ბუნება შეიძლება შევადაროთ ელასტიკურ ზედაპირს, რომელშიც ათასობით წაწვეტებული სოლია ჩარჭობილი და განუწყვეტლად ხან ერთ სოლს არტყამენ მთელი ძალით და ხან – მეორეს, რათა კიდევ უფრო ღრმად ჩააჭედონ.

სახეობების მატებისაკენ მიდრეკილების შემაკავებელ ფაქტორებს არასაკმარისად ვიცნობთ. დააკვირდით ყველაზე ძლიერ სახეობებს: რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მათი რიცხოვნობა, სულ უფრო იზრდება მათი გამრავლების სიჩქარე. ერთი შემთხვევაც კი არ გვეგულება, ბოლომდე რომ გვესმოდეს, რა ფაქ-

ტორები აკავებს მატებას. ეს ალბათ გასაკვირიც არ არის, რამდენადაც ჩვენთვის ადამიანთა მოდგმის მატების შემაკავებელი ფაქტორებიც კი გაურკვეველია, არამც თუ – ცხოველებისა და მცენარეებისა. ეს თემა საკმაოდ კარგად არის დამუშავებული არაერთი მეცნიერის მიერ და მეც ჩემს მომავალ ნაშრომებში ზოგიერთ შემაკავებელ ფაქტორს სიღრმისეულად განვიხილავ სამხრეთ ამერიკის ველური ცხოველების მაგალითზე, აქ კი მხოლოდ რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებ, რათა მკითხველს მნიშვნელოვანი ფაქტები შევახსენო. როგორც წესი, კვერცხები და ახალშობილნი ყველაზე დიდ ზეწოლას განიცდიან, თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. მცენარეებშიც ყველაზე მეტად თესლი ნადგურდება, მაგრამ ჩემი დაკვირვებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ჩითილები განიცდის ყველაზე მეტ ზეწოლას, იმიტომ რომ გაღვივება ხდება სხვა მცენარეებით უკვე მთლიანად დაფარული მიწის ქვეშ. დიდი რაოდენობის ჩითილებსა და ნერგებს ანადგურებს ასევე სხვა მრავალი მტერი. მაგალითად, სამი ფუტი სიგრძისა და ორი ფუტი სიგანის მიწის ნაკვეთზე, სადაც ყველა პირობა იყო საიმისოდ, რომ სარეველას არ შეეშალა ხელი ზრდის პროცესისათვის, ყველა ჩითილი დავთვალე და აღვნუსხე, აღმოჩნდა, რომ 357 ჩითილიდან 295 გაანადგურა ლოქორამ ან მწერმა. იგივე მოხდება, თუ გაუსუფთავებელ ნაკვეთში ოთხფეხა პირუტყვს შეუშვებენ. ხოლო თუ მას არ გამარგლავენ, უფრო ძლიერი მცენარეები თანდათანობით გაანადგურებენ შედარებით სუსტებს, რის შედეგადაც ჩვენს პატარა ნაკვეთზე (სამ-ოთხ კვადრატულ ფუტზე) ოცი სახეობიდან ცხრას სხვა სახეობის მცენარეები გაანადგურებენ და მხოლოდ დარჩენილები გააგრძელებენ განვითარებას.

საკვების ნაკლებობაც ყოველი სახეობის მატების ერთ-ერთი შემზღუდველი ფაქტორია, მაგრამ ხშირად სირთულეს ქმნის არა იმდენად საკვების მოპოვება, რამდენადაც ის, რომ თავად ეს სახეობა ხდება რომელიმე მტაცებელი ცხოველის ნადავლი, და ხშირად ეს აისახება მათ რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ გნოლის, როჭოსა და კურდღლის რაოდენობა ნებისმიერი დიდი სამფლობელოს ფარგლებში ძირითადად დამოკიდებულია მცირე მტაცებელ ცხოველთა მიერ მათ განადგურებაზე. მომავალი ოცი წლის მანძილზე ერთი ცხოველიც რომ არ მოკლან ინგლისში ნადირობისას, მაგრამ ამავე დროს არც მტაცებელი ცხოველები გაანადგურონ, მათი რიცხვი, ალბათ, მაინც შემცირდება. მით უმეტეს, მცირდება მათი რაოდენობა, თუ ყოველწლიურად ასობით ათასს კლავენ ნადირობისას. მეორე მხრივ კი, არსებობს ისეთი ცხოველებიც, მაგალითად, სპილო და მარტორქა, რომლებსაც მტაცებელი ცხოველებისაგან რაიმე საფრთხე არ ემუქრებათ (ვეფხვიც კი იშვიათად ბედავს თავს დაესხას სპლიყვს, რომელსაც დედა სპილო იცავს).

სახეობათა საშუალო რაოდენობის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს კლიმატიც თამაშობს. გამოვთვალე, რომ 1854-55 წლების ზამთარმა ჩემს დიდ გალიაში ჩიტების ოთხი მეხუთედი გაანადგურა. ეს ძალიან სერიოზული დანაკლისია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეპიდემიური დაავადებებით გამოწვეული ადამიანთა სიკვდილიანობის 10%-იანი მაჩვენებელიც კი ძალიან დიდად

ითვლება. კლიმატის ზემოქმედება, ერთი შეხედვით, არსებობისათვის ბრძოლისაგან სრულიად დამოუკიდებელი ფაქტორია. მაგრამ, რამდენადაც კლიმატის ზემოქმედება განაპირობებს საკვების რაოდენობას, იგი იწვევს სასტიკ დაპირისპირებას ერთი რომელიმე სახეობის ან სხვადასხვა სახეობის იმ ინდივიდებში, რომლებიც კლიმატის პირდაპირი გავლენის დროს ერთი და იმავე სახის საკვებით იკვებებიან. ძლიერი სიცივის პირდაპირი მოქმედების შემთხვევაშიც კი, ზარალდებიან ყველაზე სუსტი ან ისეთი ინდივიდები, რომლებმაც ნაკლები საკვები იშოვეს ზამთრის მანძილზე. როდესაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ვმოგზაურობთ, ან ნესტიანი რეგიონიდან მშრალში გადავინაცვლებთ, ვამჩნევთ, როგორ მცირდება ზოგიერთი სახეობა და ბოლოს სულ ქრება, და რადგან კლიმატური პირობების გავლენა ასეთი თვალსაჩინოა, ამ მოვლენას ძალაუნებურად მივაწერთ კლიმატის პირდაპირ მოქმედებას. თუმცა, ეს შესაძლოა მცდარი თვალსაზრისი იყოს: ჩვენ გვავიწყდება, რომ, რაგინდ მრავალრიცხოვანიც აქამდე უნდა იყოს ესა თუ ის სახეობა, ის დროდადრო მნიშვნელოვნად ნადგურდება მტაცებლების ან იმ კონკურენტების მიერ, რომლებიც იმავე ტერიტორიაზე სახლობენ და იმავე საკვებით იკვებებიან. თუკი მტრებსა და კონკურენტებს კლიმატური პირობების ცვლილებით ოდნავი უპირატესობა მაინც მიეცემათ, ისინი რაოდენობრივად ძალიან მოიმატებენ, რაც იმავე ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა სახეობების კლებას გამოიწვევს. როდესაც ჩვენ სამხრეთისაკენ ვმოგზაურობთ და ვამჩნევთ, რომ ესა თუ ის სახეობა რიცხობრივად ძალიან იკლებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი სახეობის მატების მიზეზი იგივეა, რაც მეორე სახეობის კლებისა. ზუსტად იგივე ხდება, როდესაც ჩრდილოეთისაკენ ვმოგზაურობთ, თუმცა კი ცვლილება ნაკლებად თვალში საცემია, რადგან ჩრდილოეთის მიმართულებით კლებულობს სახეობათა საერთო რაოდენობა და, ცხადია, კონკურენტ სახეობათა რაოდენობაც. ამიტომ ჩრდილოეთში ან მაღალმთიანეთში უფრო ხშირად გვხვდება ტანდაბალი და მშრალი ინდივიდები, რაც კლიმატის პირდაპირი ზემოქმედებითაა განპირობებული. როდესაც თოვლიან მწვერვალს ან არქტიკის რეგიონს მივაღწევთ ანუ სრულ უდაბნოში შევალთ, აქ არსებობისათვის ბრძოლა მხოლოდ სტიქიასთან მიმდინარეობს.[6]

კლიმატური პირობების სახეობებზე ზემოქმედება ნათელი ხდება ჩვენი ბაღების იმ მცენარეებზე დაკვირვებით, რომლებიც შესანიშნავად იტანენ ჩვენებურ კლიმატს, მაგრამ მაინც ვერ იკიდებენ ფეხს მყარად, იმის გამო, რომ ვერც ადგილობრივ სახეობებს უწევენ კონკურენციას და ვერც ბალახისმჭამელ ცხოველებს აღწევენ თავს.

როდესაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების გამო სახეობის რიცხოვნობა გამოკვეთილად იმატებს, ამას ხშირად მოჰყვება რაიმე ეპიდემია, რაც არსებობისათვის ბრძოლისაგან დამოუკიდებელი ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორია მატებისა. თუმცა, ზოგი ეპიდემია სწორედ იმ პარაზიტი ჭიებით არის გამოწვეული, რომლებიც აგრეთვე პირობების გაუმჯობესებისგამო, რომ მათი

გავრცელება ცხოველებში საგრძნობლად გაადვილდა, მომრავლდნენ და აი, ვხედავთ თავისებურ ბრძოლას პარაზიტსა და მის მსხვერპლს შორის

მეორე მხრივ, სახეობის გადარჩენისათვის ინდივიდთა დიდი რაოდენობა აუცილებელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასევე დიდია მისი მტრების რაოდენობა. ჩვენს ყანებში დიდი რაოდენობით მარცვლისა და თესლის მოყვანა სწორედ იმიტომ შეგვიძლია, რომ მოსავალი ბევრად აღემატება მარცვლეულის მოყვარული ფრინველების მოთხოვნას. თავის მხრივ, არც ფრინველების რაოდენობამ შეიძლება იმატოს მარცვლის პროპორციულად, რადგანაც ზამთრის განმავლობაში ეს რაოდენობა ყოველთვის მცირდება. ყველამ, ვისაც კი უცდია, კარგად იცის, რა ძნელი საქმეა ბაღში ხორბლის მარცვლების პოვნა, პირადად მე ხშირად ვერც ერთი მარცვალი ვერ მიპოვია. სახეობის გადარჩენისათვის ინდივიდთა დიდი რაოდენობით არსებობის აუცილებლობა, ჩემი აზრით, კარგად ხსნის ზოგიერთ ყურადსაღებ მოვლენას: მაგალითად, ცალკეულ ადგილებში იშვიათ მცენარეთა მაღალ რიცხოვნობას ან ზოგიერთი მცენარის რაოდენობის მკვეთრ ზრდას გავრცელების არეალის განაპირა ზოლში. აქვე დავამატებდი, რომ ხშირად ერთმანეთთან შეჯვარების დადებითი და მონათესავე ჯიშებთან შეჯვარების უარყოფითი გავლენა ალბათ ერთმანეთს აწონასწორებს, მაგრამ ამ სირთულეებით აღსავსე თემას მეტად არ ჩავუღრმავდები.

უამრავი ინფორმაცია არსებობს იმის თაობაზე, რაოდენ რთული და მოულოდნელი წინააღმდეგობებით აღსავსეა ურთიერთობები ორგანულ არსებათა იმ სახეობებს შორის, რომლებსაც არსებობისათვის ბრძოლა ერთსა და იმავე ქვეყანაში უწევთ. აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან, რომელმაც სიმარტივის მიუხედავად, ჩემი დიდი დაინტერესება გამოიწვია. სტეფორდშირში, ნათესავის მამულებში, სადაც მე საკვლევი სამუშაოების დიდ ნაწილს ვატარებდი, ერთი მოშიშვლებული და ვერანი მანანას *(Erica)* ბუჩქნარით დაფარული ადგილი იყო, რომელსაც ადამიანის ხელი არასოდეს შეხებია. იქვე რამდენიმე ასობით აკრი მიწის ზუსტად ისეთივე ნაკვეთი იყო შემოღობილი 25 წლის მანძილზე და შოტლანდიური ფიჭვი იქ თავისით მოშენდა. აღსანიშნავია მცენარეთა ცვლილებები იმ ფიჭვნარში. ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნებოდა, თითქოს სულ სხვა მიწაზე მოვხვდიო. იმის გარდა, რომ შეიცვალა მცენარეთა რაოდენობა, 12 ისეთმა სახეობამ გაიხარა, რომლებიც ადრე აქ არასოდეს ყოფილა. ამის გარდა ფიჭვების კორომში 6 სახის მწერიჭამია ფრინველი გამოჩნდა, იქ რომ ადრე არასოდეს უნახავთ. ამან კი მწერებზე იქონია გავლენა. მიწის ვერან ნაწილში სრულიად განსხვავებული ორი თუ სამი მწერიჭამია ფრინველი მოფრინდებოდა ხოლმე. ამ მაგალითიდან ნათელი ხდება, რამდენად ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ერთადერთი სახეობის ხესაც კი, თუ მიწის მონაკვეთს შევღობავთ და შიგ საქონელს არ შევუშვებთ. რამდენად მნიშვნელოვანია ტერიტორიის შემოღობვა, იმითაც დავრწმუნდი, რაც ფარნჰემთან ახლოს, სერიში[7] ვიხილე. აქ უამრავი გავერანებული მიწის ნაკვეთია, ხოლო, გორაკებზე, ალაგ-ალაგ შოტლანდიური ფიჭვი ხარობს. ბოლო 10 წლის მანძილზე აქ დიდი ტერიტორიები შემოიღობა და

ყველაფერს თავისით მოედო ფიჭვის ხეები, ზოგან ისე მჭიდროდაც, რომ ერთმანეთის ზრდას აბრკოლებდნენ.

როდესაც დავრწმუნდი, რომ ეს ახლად წამოზრდილი ხეები არავის დაურგავს და მართლა თავისთავად მოშენდა, ძალიან გამიკვირდა, რომ იქვე, გვერდით, გავერანებული და შემოუღობავი მიწების დათვალიერებისას, ერთი ფიჭვიც კი ვერსად შევამჩნიე; თუმცა, როდესაც კარგად დავაკვირდი, ჯაგები მივწი-მოვწიე, მრავალი ახალნაყარი ნერგი აღმოვაჩინე, რომელიც საქონელს გადაეთელა. ერთ კვადრატულ იარდ ფართობზე, ერთ-ერთი ძველი ნარგავიდან ასიოდე იარდის მოშორებით, 32 ახლად ამოსული ხე აღმოვაჩინე, და ერთი მათგანის ასაკის მაჩვენებელი რგოლების გადათვლით მივხვდი, რომ იგი 26 წლის მანძილზე ცდილობდა ტანი აეყარა, მაგრამ ვერ შეძლო. ამიტომ, სრულიად ლოგიკურია, რომ შემოღობვისთანავე მიწა ხშირი ფიჭვნარით დაიფარა. მაგრამ, ისიც აღსანიშნავია, ეს ვერანი ადგილი იმდენად მოშიშვლებული იყო, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, საქონელი ასე მიზანდასახულად თუ დაუწყებდა იქ საკვებს ძებნას.

ამგვარად, თვალნათლივ ვიხილეთ, როგორ განსაზღვრა საქონელმა მიწის ნაკვეთზე შოტლანდიური ფიჭვის ყოფნა-არყოფნის საკითხი. სწორედ ამგვარადვე დედამიწის ზოგიერთ ნაწილში მწერები განსაზღვრავენ საქონლის ბედს. ამის ყველაზე საინტერესო მაგალითია პარაგვაი, რადგანაც იქ არც ცხენებს, არც საქონელს და არც ძაღლებს ადრე არასოდეს უარსებია ველური სახით, თუმცა ქვეყნის სამხრეთით და ჩრდილოეთით უამრავი გაველურებული ცხოველია. აზარასა[8] და რენგერის აზრით ეს ფაქტი განპირობებულია პარაგვაიში ერთ-ერთი სახეობის ბუზის არსებობით, რომელიც კვერცხს ამ ცხოველთა ახალშობილი ნაშიერის ჭიპში დებს. კიდევ კარგი, რომ ამ ისედაც მრავალრიცხოვანი ბუზის გამრავლებას, როგორც ჩანს, სხვა პარაზიტი მწერები აფერხებენ. აქედან გამომდინარე, თუ მწერიჭამია ფრინველთა რაოდენობა პარაგვაიში შემცირდებოდა, მაშინ მოიმატებდა პარაზიტული მწერების რიცხოვნობა და ბუზებისა დაიკლებდა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ველური პირუტყვისა და ცხენების გავრცელებას, მცენარეთა სამყაროს შეცვლა კი თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუცვლიდა სახეს იქაურ მცენარეულობას; ეს კი, რა თქმა უნდა, მწერებზეც აისახება, რაც კარგად გამოჩნდა სტაფორდშირის მაგალითზე და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... თანდათანობით შედეგების უფრო და უფრო რთულ სურათთან გვექნებოდა საქმე. ჩვენ ამ თემაზე საუბარი მწერებზე მონადირე ფრინველებით დავიწყეთ და ამითივე ვასრულებთ, თუმცა ბუნებაში ყველაფერი ასე მარტივად როდი ხდება. არსებობისათვის ბრძოლა განსხვავებული შედეგებით მთავრდება ხოლმე, მაგრამ, საბოლოოდ, ძალები ისე კარგად წონასწორდება, რომ ბუნების სახე უცვლელი რჩება დიდი ხნის მანძილზე, თუმცა ცხადია, სულ მცირე, თუნდაც უმნიშვნელო უპირატესობის გამო ერთი სახეობა იმარჯვებს მეორეზე, და მიუხედავად ჩვენი ერთგვარი უცოდინრობისა და უამრავი დაუდასტურებელი ვარაუდისა, მაინც გაგვიკვირდება ხოლმე, როცა შევიტყობთ, რომ ესა თუ ის სახეობა გაქრა. მიზეზს რომ ვერ ვპოულობთ, დედამიწის ზედაპირზე ცოცხალ არსებათა განადგურებას

ან კატაკლიზმებს მივაწერთ ან სიცოცხლის ფორმების არსებობის ხანგრძლივობაზე კანონებს შევთხზავთ ხოლმე!

ცდუნებას ვერ გავუძელი, რომ არ მეჩვენებინა, ერთმანეთისაგან სრულიად დაშორებული მცენარეები და ცხოველები როგორ არიან დაკავშირებულნი რთული ურთიერთობების მთელი ქსელით. ჩემს ბაღში ეგზოტიკურ მცენარე *Lobelia fulgens*-ს (მაჩიტასებრთა ოჯახის წარმომადგენელი) არასოდეს ამტვერიანებენ მწერები, და ამის გამო მისი აგებულების თავისებურებიდან გამომდინარე, ის თესლს არ იკეთებს. ჩვენებური ორქიდეების უმრავლესობისათვის აუცილებელია მწერების სტუმრობა, რათა მოხდეს მათი დამტვერვა და განაყოფიერება. ასევე, უნდა ითქვას, რომ იის, *Viola tricolor*-ის განაყოფიერება ველური ფუტკრის დამსახურებაა, რადგან სხვა მწერები ამ ყვავილს არ სტუმრობენ. ჩემს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბაზების სტუმრობა აუცილებელი თუ არა, გარკვეულწილად სასარგებლო ნამდვილად არის ჩვენი სამყურასათვის. წითელ სამყურას *(Trifolium pratense)* მხოლოდ ველური ბაზი სტუმრობს ხოლმე, რადგან სხვა ფუტკრები ვერ სწვდებიან მის ნექტარს. ამიტომ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თუ ინგლისის მთელ ტერიტორიაზე ამ ბაზის მთელი მოდგმა გადაშენდება, წითელი სამყურა და იასამფერა დიდი იშვიათობა გახდება ან საერთოდ გაქრება. თავის მხრივ, ბაზის არსებობა მნიშვნელოვნად განპირობებულია მინდვრის თაგვების რიცხოვნობით – ისინი მათ ფიჭასა და ბუდეებს ანადგურებენ. პოლკოვნიკი ნიუმენი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე შეისწავლიდა ბაზს, თვლის, რომ მათი „ორი მესამედი სწორედ ასე განადგურდა“. მინდვრის თაგვების რაოდენობა კი დიდად არის დამოკიდებული კატების რაოდენობაზე. ბატონი ნიუმანის თქმით, „სოფლებისა და დაბების სიახლოვეს გაცილებით მეტი მინახავს ველური ფუტკრის ფიჭები, რასაც იმით ვხსნი, რომ იქ ბევრი კატაა“. აქედან გამომდინარე, უკვე სარწმუნოდ მოგვეჩვენება ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ რეგიონში კატების არსებობა, ჯერ თაგვისა და შემდეგ უკვე ფუტკრის ზემოქმედებით, პირდაპირ განაპირობებს აღნიშნულ რეგიონში ზოგიერთი ყვავილისა თუ მცენარის სიმრავლეს.

სახეობებზე დიდ გავლენას ახდენს ის დაბრკოლებები, რომლებიც სიცოცხლის ამა თუ იმ ეტაპზე ან წელიწადის სხვადასხვა დროს იჩენს ხოლმე თავს. ზოგიერთი მათგანი უფრო ძლიერია, მაგრამ თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს ამა თუ იმ სახეობის ან მათი საშუალო რაოდენობის განსაზღვრაში. ზოგ შემთხვევაში ისეც ხდება, რომ სხვადასხვა რეგიონში ერთსა და იმავე სახეობაზე სრულიად განსხვავებული დაბრკოლებები ახდენს ზემოქმედებას. როდესაც სანაპიროზე ამოსულ მცენარეებსა და ბუჩქებს ვხედავთ, ამ ამბავს შემთხვევითობას მივაწერთ ხოლმე. მაგრამ, რომ იცოდეთ, რა მცდარია ამგვარი შეხედულება! ალბათ ყველას სმენია, რომ ამერიკული ტყის გაჩეხვის შემდეგ მის ადგილზე ძალიან განსხვავებული მცენარეები აღმოცენდებიან ხოლმე. ისიც შემჩნეულია, რომ ძველ ინდიელთა ნანგრევებზე, სამხრეთ შტატებში, მცენარეთა იგივე სახეობები ხარობს, რომლებიც ახლომდებარე ხელუხლებელ ტყეებში იზრდება. ალბათ, რა ბრძოლა

მიმდინარეობდა საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სახეობის ხეებს, ასევე თავად მწერებს ან მწერებსა და ლოკოკინებს, ასევე მტაცებლებსა და ფრინველებს თუ მტაცებელ ცხოველებს შორის. თითოეული მათგანი ცდილობს გამრავლდეს და თავი გამოკვებოს ხეებითა თუ მათი თესლით ან იმ მცენარეებით, რომლებიც ხელს უშლიან ხეების ზრდას! ააგდეთ ჰაერში ერთი მუჭა ბუმბული და თითოეული მათგანის დედამიწაზე დაცემა შეიძლება კონკრეტული კანონებით აიხსნას, მაგრამ რა მარტივი ჩანს ეს პრობლემა იმ უთვალავი მცენარის თუ ცხოველის საქციელთან შედარებით, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე თავად განსაზღვრეს ძველ ინდიელთა ნანგრევებზე რა სახეობის ხეები და რა თანაფარდობით უნდა ამოსულიყო! ერთი ორგანული ქმნილების მეორეზე დამოკიდებულება, მაგალითად, პარაზიტისა მის მსხვერპლზე, ორგანულ საფეხურებზე ერთმანეთისაგან მეტად შორს მდგომ არსებებს შორის ყალიბდება. ეს ეხება იმ სახეობებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ერთმანეთს ებრძვიან გადარჩენისათვის, როგორც, მაგალითად, კალიები და მსხვილფეხა საქონელი. მაგრამ ყველაზე გააფთრებული ბრძოლა ერთი სახეობის წარმომადგენელ ინდივიდებს შორის იმართება, რადგან ისინი ერთ რეგიონში ბინადრობენ, ერთნაირ საკვებს საჭიროებენ და ერთი და იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. ასევე ცხარე ბრძოლა იმართება ერთი და იმავე სახეობის სხვადასხვა ნაირსახეობებს შორის, სადაც გამარჯვებული მალევე გამოვლინდება. ასე, მაგალითად, თუ ერთად დათესილი რამდენიმე ნაირსახეობის ხორბლიდან მიღებულ შერეულ თესლს ხელახლა დავთესავთ, ის ნაირსახეობები, რომლებიც ყველაზე უკეთ ეგუებიან მოცემულ კლიმატურ პირობებსა და ნიადაგს, ან ყველაზე მეტად გამოავლენენ გამრავლების უნარს, სხვა ნაირსახეობებს დაჯაბნიან, უამრავ თესლს გამოიტანენ და მალე მთელს სივრცეს მოედებიან. ისეთი ახლოს მდგომი ნაირსახეობების შესანარჩუნებლადაც კი, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა შეფერილობის მქონე სურნელოვანი ბარდის ფორმები, ისინი ყოველ წელს ცალ-ცალკე უნდა ავიღოთ და შემდეგ თესლი საჭირო პროპორციით შევურიოთ ერთმანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო სუსტი ჯიშები ნელ-ნელა შემცირდება და ბოლოს სულ გაუჩინარდება. იგივე შეიძლება ითქვას ცხვრის ჯიშებზეც. ითვლება, რომ განსხვავებული ჯიშის მთის ცხვარი არ შეიძლება ერთ ფარაში ვამყოფოთ, რადგან ზოგიერთი ჯიში დანარჩენ ცხვარს ბალახის ძოვას არ ანებებს და აშიმშილებს. იგივე შედეგი შეიძლება მივიღოთ, თუ სამკურნალო ნაირსახეობებს ერთად გავაჩერებთ. ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევენ იმ საკითხს, ეყოფა თუ არა შინაურ ცხოველებსა და მცენარეებს ძალა, ჩვევები და სხვა რესურსები იმისათვის, რომ ათასობით თაობის მანძილზე ერთნაირი პროპორციით გააგრძელონ არსებობა, თუ მათ ველურ ბუნებაში მყოფი არსებების მსგავსად მოუხდებოდათ ბრძოლა გადარჩენისათვის, თუკი მათ თესლსა და ნაშიერთ ყოველწლიურად არ შეარჩევდნენ.

რამდენადაც ერთი და იმავე გვარის სახეობებს უმეტესწილად ჩვევები, აღნაგობა და აგებულებაც კი ერთგვარი აქვს, მათ შორის გადარჩენისათვის ბრძოლა ბევრად უფრო დაუნდობელი იქნება, ვიდრე განსხვავებული გვარების სახეობებს

შორის. ვიცით, რომ შეერთებული შტატების ზოგიერთ ტერიტორიაზე მერცხლის ერთი სახეობის მატებამ მეორე სახეობის კლება გამოიწვია, ხოლო ჩხართვის გამრავლებას მგალობელი შაშვის შემცირება მოჰყვა შედეგად. ხშირად გვსმენია, რომ განსხვავებულ კლიმატურ პირობებში ვირთხის ერთი სახეობა მეორეს ცვლის. სანამ რუსეთში აზიური ტარაკანი მოიკიდებდა ფეხს, იქ მისი თანამოძმე სახეობა იყო გავრცელებული. ზუსტად ასევე, ველური მდოგვის ერთი სახეობა მეორეს გადააჯიშებს ხოლმე და ა. შ. მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, თვალნათლივ მაინც არ ჩანს, რატომ უნდა იყოს ბრძოლა ასეთი დაუნდობელი ერთმანეთის მონათესავე ფორმებს შორის, და, ალბათ, ერთ შემთხვევაშიც ვერ ვიტყვით დაზუსტებით, რატომ მიენიჭა უპირატესობა რომელიმე სახეობას სხვასთან შედარებით.

ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან ერთი მეტად მნიშვნელოვანი ლოგიკური დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, სახელდობრ ის, რომ ყველა არსების სამყოფელი და გავრცელება მნიშვნელოვანწილად, თუმც კი ზოგჯერ ფარულად, უკავშირდება იმ ორგანული არსებების სამყოფელს და გავრცელებას, რომლებთანაც იგი საკვებისა და საცხოვრებელი ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ებმება ან გაურბის მას, ან თავად ნადირობს მათზე. ამაზე მეტყველებს ვეფხვის კბილებისა და ბრჭყალების აგებულების შედარება იმ პარაზიტის ფეხებისა და კლანჭების აგებულებასთან, რომელიც ვეფხვის ბეწვს ებღაუჭება. ბაბუაწვერას ლამაზი ბუსუსებით დაფარული თესლი და წყლის ხოჭოს გაბრტყელებული და არშიამოვლებული ფეხები ადამიანს, პირველი შეხედვით, ჰაერისა და წყლის სტიქიებით განპირობებული ჰგონია, მაგრამ ბუსუსებიანი თესლის უპირატესობა აშკარაა მცენარეებით ისედაც გადაჭედილ მიწაზე, რადგან იგი ხელს უწყობს თესლის მიმოფანტვასა და მიწის თავისუფალ ადგილზე დაცემას. წყლის ხოჭოს შემთხვევაში კი, ფეხების აგებულება მას ყვინთვის პროცესში წყლის სხვა მწერებთან ნადავლის მოპოვებისათვის გამართულ ბრძოლაში ეხმარება. ზოგიერთი მცენარის თესლში საკვები ნივთიერების სიჭარბე თითქოს სხვა მცენარეებს არაფრით უკავშირდება, მაგრამ სინამდვილეში ამგვარი თესლის მქონე მცენარე (ბარდა, ლობიო) მაღალ ბალახშიც რომ დავთესოთ, მის თესლში არსებული საკვები ხელს შეუწყობს ამ მცენარის ამოსვლას და მის გარშემო არსებული ძლიერი მცენარეების დათრგუნვას. დააკვირდით მცენარეს მისი გავრცელების შუაგულში – რატომაა, რომ აქ მისი რიცხოვნობა ორჯერ ან ოთხჯერ მეტია, ვიდრე არეალის[9] განაპირა უბანზე? მას ხომ ცოტა უფრო მეტი სიცხის ან სიცივის, სიმშრალის ან სინესტის გაძლება თავისუფლად შეუძლია, რადგან მისი გავრცელების კიდეზე ბევრად უფრო თბილა ან ცივა, მეტი ნესტი ან სიმშრალეა? ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ თუ მცენარის უფრო სწრაფად გამრავლება გვსურს, მას თავის კონკურენტებთან შედარებით ხელსაყრელი გარემო უნდა შევუქმნათ ან ის ცხოველები მოვაშოროთ, რომლებიც მას საკვებად იყენებენ. გავრცელების კიდეზე აუცილებლად შეიცვლება მათი აგებულება კლიმატური პირობების გათვალისწინებით, რაც ძალიან დიდი უპირატესობაა მცენარისათვის. აქ ისიც უნდა

გავითვალისწინოთ, რომ მცირეა იმ მცენარეთა და ცხოველთა რიცხვი, რომლებზეც, მათი ძალიან ვრცელ ტერიტორიებზე გავრცელების გამო, მხოლოდ მკაცრი კლიმატური პირობები იმოქმედებდა. დიდ როლს თამაშობს კონკურენციაც, რომელიც მხოლოდ არქტიკულ ზონებში და უდაბნოს საზღვართან წყდება. მიწა შეიძლება იყოს უკიდურესად მშრალი და ცივი, მაგრამ ბრძოლა უფრო თბილი და ნოტიო ადგილის მოსაპოვებლად იმართება როგორც ერთი და იმავე, ისევე სხვადსხვა სახეობის ინდივიდებს შორის. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ როდესაც მცენარეს ან ცხოველს უცხო ქვეყანაში გადაიყვანენ და ახალ კონკურენტებს შორის განათავსებენ, თუნდაც ზუსტად იმავე კლიმატურ გარემოში, მისი სასიცოცხლო პირობები მაინც არსებითად იცვლება და თუ გვინდა, რომ ეს უცხო სახეობა სწრაფად გამრავლდეს, მას იმაზე უფრო ხელსაყრელი პირობები უნდა შევუქმნათ კონკურენტებთან შედარებით, ვიდრე სამშობლოში ჰქონდა.

წარმოსახვაში მეტად ადვილია ხელსაყრელი პირობების შექმნა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ზუსტად არ ვიცით, რა უნდა ვიღონოთ. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ორგანულ არსებათა ურთიერთმიმართების შესახებ. ჩვენი ცოდნის ზედაპირულობაში ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ არის ის, რომ ყოველთვის გვახსოვდეს – ყველა ორგანული არსება ისწრაფვის გამრავლებისაკენ, და თითოეულ მათგანს, წელიწადის რომელიმე დროს ან ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე აუცილებლად მოუწევს არსებობისათვის ბრძოლა და განადგურებისაგან თავის დაღწევა. როდესაც ამ ბრძოლაზე დავფიქრდებით, თავი იმით უნდა დავიმშვიდოთ, რომ ბუნებაში ბრძოლა უსასრულოდ არ გრძელდება, დამარცხებული მაშინვე კვდება, საბოლოოდ, მხოლოდ ყველაზე ძლიერები, ჯანმრთელები და ბედნიერები გადარჩებიან და გამრავლდებიან.

[...]

განმარტებები

1. ტიპური ფორმა: ცხოველის, მცენარის ან სხვა ორგანიზმის ახალი სახეობის აღწერისას მეცნიერები გარკვეულ წესებს იცავენ. ერთ-ერთი ასეთი წესია, რომ ისინი გამოყოფენ ახალი სახეობის ინდივიდს და აღწერენ მის ნიშნებს, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა ამავე სახეობის ყველა ინდივიდისთვის არ იყოს დამახასიათებელი. ასეთ ინდივიდს „ტიპს“, „ჰოლოტიპს“ ან „ტიპურ ფორმას“ (ინგლისურად type specimen) უწოდებენ.
2. თომას მალთუსი – ინგლისელი ბერი და ეკონომისტი, პოპულაციის გეომეტრიული ზრდის კონცეფციის ავტორი (იხილეთ კომენტარი 7).
3. კარლ ლინე (1707-1778) – დიდი შვედი ბიოლოგი, ბოტანიკოსი, ცოცხალი ორგანიზმების პირველი დახვეწილი სისტემის ავტორი, სადაც სახეობები ერთიანდებიან გვარებად, გვარები – ოჯახებად, ოჯახები – რიგებად, რიგები – კლასებად.
4. არგენტინაში, სამხრეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში.
5. ქარიშხალები – ზღვის ფრინველების ოჯახი, გვხვდებიან ძირითადად სამხრეთ ნახევარსფეროში.
6. დღეს ეკოლოგები იზიარებენ ეგრეთწოდებულ „გაუზეს პრინციპს“, რომელიც ამბობს, რომ თუ ორი სახეობა ერთსა და იმავე რესურსის გამოყენებაზეა დამოკიდებული, მათ არ შეუძლიათ თანაარსებობა ბუნებაში. ეს დადასტურებულია როგორც ექსპერიმენტალურად, ასევე მათემატიკური მოდელებით.
7. სერი (ან სურეი) პროვინციაა სამხრეთ ინგლისში, ფარნჰამი – იქ მდებარე ქალაქი.
8. ფელიქს მანუელ დე აზარა (1746-1821) ესპანელი სამხედრო ოფიცერი, ინჟინერი და ნატურალისტი. შეისწავლიდა სამხრეთ ამერიკის ცხოველებს. აღწერა ფრინველების 400-ზე მეტი მეცნიერებისთვის ახალი სახეობა.
9. არეალი – ცხოველის ან მცენარის გეოგრაფიული გავრცელება.

ფრიდრიხ ნიცშე

1844-1900

შესავალი

ეპოქა და ბიოგრაფიული ცნობები

ფრიდრიხ ნიცშე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი მოაზროვნეა. ეს ევროპაში შედარებითი მშვიდობის, კეთილდღეობის და განვითარების ხანაა. სამხედრო კონფლიქტები და შიდაარეულობა დროდადრო ხდება, მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის ომების მასშტაბამდე ბევრი უკლია. პირველ მსოფლიო ომამდე (1914 წ.) ევროპელების დიდ უმრავლესობას ჰქონდა ილუზია, რომ ცივილიზებულმა კაცობრიობამ ხანგრძლივი სტაბილობის და წინსვლის რეცეპტს მიაგნო.

ეპოქის სულისკვეთებას მეცნიერებაზე დამყარებული პროგრესის და ადამიანთა მზარდი კეთილდღეობის რწმენა შეადგენს. ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით, ამ პერიოდს „პოზიტივიზმის ხანას“ უწოდებენ, რაშიც იგულისხმება, რომ რელიგიის გავლენა მცირდება, სამაგიეროდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერება აზროვნების მოდელადაა მიჩნეული. სწორედ ამ დროს იქმნება წარმოდგენა სოციალურ მეცნიერებებზე, რომლებიც თავისი მეთოდებით ბუნებისმეტყველებას ბაძავენ და გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ მათ სიზუსტით არ ჩამორჩებიან და კაცობრიობის პროგრესში მათემატიკის, ფიზიკის ან ქიმიის სადარ წვლილს შეიტანენ.

რაც შეეხება პოლიტიკის სფეროს, თუმცა ევროპის უდიდეს ნაწილში მონარქიული რეჟიმებია, ინტელექტუალურ და მორალურ ლიდერობას ერთმანეთს ეცილებიან ლიბერალები და სოციალისტები, რომლებსაც უნივერსალური მშვიდობის, სამართლიანობის და ეკონომიკური განვითარების საკუთარი რეცეპტები აქვთ.

ამ ფონზე ჩნდებიან მოაზროვნეები, რომლებიც დინების საწინააღმდეგოდ მიდიან და თვით მეცნიერულ პროგრესსა და ადამიანთა თანასწორობაზე აგებული საყოველთაო კეთილდღეობის იდეალებში სერიოზულ დეფექტებს ხედავენ. ამ უკანასკნელთა შორის ნიცშეს გამორჩეული ადგილი უკავია.

მისი ინტერესები თავდაპირველად უფრო მეტად კლასიკური ფილოლოგიის სფეროზე იყო ფოკუსირებული. 1869 წელს ის ძალიან ახალგაზრდა, 24 წლისა ბაზელის (შვეიცარია) უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. მალე მისი ინტერესები უფრო მეტად ფილოსოფიისკენ გადაიხარა. 1879 წელს, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, პროფესორის თანამდებობაზე უარის თქმა მოუხდა და ამის შემდეგ ცხოვრობდა, როგორც დამოუკიდებელი მოაზროვნე, მისი შემოსავლის წყაროს

კი ბაზელის უნივერსიტეტიდან მიღებული პენსია და მეგობრების დახმარება შეადგენდა. მან რამდენიმე წიგნის გამოცემა შეძლო, თუმცა უჩვეულო სტილის და შინაარსის გამო მისი ნაშრომები მიუღებელი აღმოჩნდა მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის და ცუდად იყიდებოდა. თუმცა სიცოცხლის ბოლო პერიოდში ინტერესი მისი იდეების მიმართ რამდენადმე გაიზარდა.

1889 წელს ნიცშე სულიერად დაავადდა და სიცოცხლის ბოლო წლები დის, ელისაბედის მეურვეობის ქვეშ გაატარა.

ღირებულებათა გადაფასება

ნიცშე აზროვნების ისტორიაში შევიდა, როგორც ეპოქის რადიკალური კრიტიკოსი. ეპოქა, რომელიც აქ მხედველობაში გვაქვს, შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც „მოდერნი“, ახალი დრო, რომელიც, თავის მხრივ, შუა საუკუნეებს უპირისპირდება. თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ნიცშეს კრიტიკა სულაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალ დროში აღმოცენებული იდეოლოგიებით და შესაბამისი რეალობით: ის აგრეთვე მკვეთრად აკრიტიკებს ქრისტიანობას, ოღონდ არა მხოლოდ როგორც რელიგიას, რომელიც მიღმურ სამყაროში ხსნას გვპირდება (რისთვისაც მას ამქვეყნიური ხსნის წინასწარმეტყველი, კარლ მარქსი უტევდა), არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ევროპული ცივილიზაციის ძირითად ღირებულებათა (მათ შორის, სოციალისტურ ღირებულებათა) საფუძველს. ამ აზრით, ნიცშესთვის ახალი დროის ევროპელი ქრისტიანული ღირებულებების მატარებელია, თუნდაც ათეისტი იყოს. ნიცშეს კრიტიკა გადასწვდება აგრეთვე ქრისტიანობის ფილოსოფიურ წინამორბედებს, მაგალითად, პლატონს.

მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ნიცშეს რადიკალური კრიტიკის ობიექტი ასე განვაზოგადოთ: ეს არის წარმოდგენა ადამიანის და საზოგადოების „კარგ“ სასურველ მდგომარეობაზე, რომელიც ძირითადად გაბატონდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ანუ პერიოდში, რომელშიც ნიცშე ცხოვრობდა. ეს წარმოდგენა შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც „ლიბერალური“ ამ სიტყვის ყველაზე ფართო აზრით – ამ აზრით ის სოციალიზმსაც მოიცავს, რადგან თუმცა ეს უკანასკნელი კლასიკურ ლიბერალიზმს უპირისპირდება, ის მისსავე ამოსავალი ღირებულებებიდან, თავისუფლებისა და თანასწორობიდან ამოდის, ოღონდ მათ სხვაგვარ, „რადიკალურ“ ინტერპრეტაციას ახდენს (ამიტომ მე-19 საუკუნეში სოციალისტებს ხშირად უბრალოდ „რადიკალებად“ მოიხსენიებდნენ). ოღონდ, როგორც ითქვა, ამ ღირებულებათა მსოფლმხედველობრივი ძირები, ნიცშეს აზრით, გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ახალი დროის ევროპული აზროვნება: მათ ქრისტიანობამდე და ბერძნულ ფილოსოფიამდე მივყავართ.

„ლიბერალიზმს ფართო აზრით“ შეგვიძლია დავარქვათ აგრეთვე „განმანათლებლობის მსოფლმხედველობა“: შეხედულება, რომლის თანახმად უკეთესი, უფრო სამართლიანი საზოგადოება არის ის, სადაც რაციონალური ინდივიდები საკუთარი გონების კარნახით იღებენ გადაწყვეტილებებს (და ამ აზრით თავისუფალნი არიან), და თანასწორად აღიარებენ ყველა სხვა ინდივიდს, ვისაც მათ-

სავით აქვს საკუთარი გონების კარნახით მოქმედების უნარი. როგორც ვთქვით, განმანათლებლური მსოფლმხედველობა ორი ძირითადი იდეოლოგიური ნაკადის სახით არსებობს: კლასიკური ლიბერალიზმის (რომელიც ინდივიდის თავისუფლების მხოლოდ მინიმალურ შეზღუდვას თვლის დასაშვებად) და სოციალიზმის (რომელიც ადამიანთა „რეალური“ თავისუფლების და თანასწორობის სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობების შექმნას ანიჭებს პრიორიტეტს); მაგრამ ნიცშესთვის ეს მეორეხარისხოვანი ნიუანსებია. მისთვის მთავარი და ამავე დროს მიუღებელია ზოგადად განმანათლებლური იდეოლოგიის ბატონობა, ანუ ვითარება, როდესაც მის ღირებულებებს უნივერსალურის და პროგრესულის სტატუსი აქვთ მოპოვებული და ადამიანთა ცხოვრების რევოლუციური თუ ევოლუციური ტრანსფორმაცია მათთან შეჯერებით ხდება.

ნიცშე სწორედ მათ უპირისპირდება: „ღირებულებათა გადაფასების“ მოთხოვნა მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია. ამის – ანუ მისი ეპოქის გაბატონებულ ღირებულებათა მკვეთრი უარყოფის გამო – მას ხშირად „ნიჰილისტს“ უწოდებენ. მაგრამ ნიჰილიზმი ამ შემთხვევაში არ უნდა ავურიოთ ცინიზმში – ნიცშე ყოველგვარ ღირებულებებს კი უარყოფს, მას აქვს პრეტენზია, რომ ახალ ღირებულებებს, ადამიანის განვითარების ახალ პერსპექტივას ადგენს. თუმცა, როგორც არაერთი სხვა მოაზროვნის შემთხვევაში, მისი მოძღვრების კრიტიკული ნაწილი უფრო დასამახსოვრებელი და გავლენიანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი დასახული პოზიტიური ორიენტირები, ამიტომ აზროვნების ისტორიაში ის უფრო ხშირად „ნიჰილისტად“, გაბატონებული ღირებულებების რადიკალურ უარმყოფლად მოიხსენიება.

ადამიანის დაკნინება და „ბოლო ადამიანი“

რა არის ის ძირითადი, რაც ნიცშესთვის მიუღებელია თანამედროვე ცივილიზაციაში? მისი აზრით, დემოკრატია, რომელსაც თავისუფალ და თანასწორ ინდივიდთა მშვიდობა და კეთილდღეობა მიუჩნევია საბოლოო ორიენტირად, ამით ადამიანის, როგორც გვარის, დაკნინებას, გამდაბიურებას უწყობს ხელს. მოდერნული დემოკრატიული იდეალი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ადამიანის ერთგვარი გასაშუალეობის, გაორდინარულების ხარჯზე. ამისთვის აუცილებელია, ადამიანმა ჩაიკლას განსაკუთრებულობის, სხვაზე აღმატებულობის ამბიცია.

ამის საპირისპიროდ, ნიცშეს პათოსი ადამიანის კეთილშობილების, სიდიადის, განსაკუთრებულობის აღიარებაა. ადამიანი – როგორც ინდივიდი და როგორც გვარი – იმით ფასობს, რომ მხოლოდ კეთილდღეობით ვერ დაკმაყოფილდება, მას რაღაც უჩვეულოს, აღმატებულის მიღწევა უნდა. სიცოცხლე, ფიზიკური არსებობა მხოლოდ იარაღია ამ ამბიციის დასაკმაყოფილებლად. ნიცშეს სხვადასხვა ტექსტი გვახვედრებს, რაში შეიძლება გამოვლინდეს ეს აღმატებულება: შეიძლება ეს იყოს ქვეყნების დაპყრობა და დიდი იმპერიის მშენებლობა, შეიძლება – კულტურის შედევრების შექმნა. მაგრამ მთავარია თავად სწრაფვა აღმატებულებისკენ, არსებული მდგომარეობის დაძლევისკენ. ამასთან ამ მიზნის

მისაღწევად ადამიანი მზად უნდა იყოს საკუთარი და სხვისი ფიზიკური არსებობის საფრთხეში ჩასაგდებად. თანასწორობის გამაკერპებელი დემოკრატიული იდეოლოგია უპირისპირდება და კლავს ადამიანის ამ ბუნებრივ და, ნიცშეს აზრით, განსაკუთრებით ღირებულ სწრაფვას.

ამავე კონტექსტში უნდა დავინახოთ ისტორიციზმის კრიტიკა, რასაც ეხება ნიცშეს ადრეული შრომები, კერძოდ, მისი ესსე „სიცოცხლისთვის ისტორიის სარგებლობასა და ზიანზე“ (1874). ნიცშეს აზრით, თანამედროვე ადამიანი ისტორიული არსებაა – ეს გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ მას ახსოვს წარსული, ანუ ისტორია (რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია, რაც მას ცხოველისგან განასხვავებს), არამედ იმასაც, რომ ადამიანი თავისი არსებობის საზრისს, თავისი ქმედების განმსაზღვრელ ღირებულებებს ხშირად ისტორიის საფუძველზე ადგენს, ამით კი აწმყოს და მომავალს წარსულზე დამოკიდებულად აქცევს. აი, ეს კი სერიოზული საფრთხეა. ნიცშე არ არის ისტორიის ცოდნის წინააღმდეგი: შეიძლება, წარსულში მომხდარი საგმირო საქმეები დღეს მცხოვრებ ინდივიდს შთაგონების წყაროდ ექცეს იმისთვის, რომ თავადაც რაღაც დიადის მიღწევა სცადოს. მაგრამ თანამედროვე ადამიანი, როგორც წესი, ასე არ უყურებს ისტორიას. მისთვის ეს უკანასკნელი არის ერთიანი დიდი პროცესი, რომელსაც თავისი გამჭოლი ლოგიკა აქვს და წინასწარ განსაზღვრავს ცალკეული ინდივიდების ადგილს და როლს სამყაროში (ისტორიის ამგვარი ხედვა ჩამოაყალიბა გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა, (რომელიც ამ შემთხვევაში ნიცშეს კრიტიკის კონკრეტული სამიზნეა). ამ დროს ისტორიული პროცესი დანახულია როგორც პროგრესი, წინსვლა, რომელიც ნაკლებად არის დამოკიდებული ცალკეული ადამიანის ნებაზე და მოქმედებაზე. პირიქით, ინდივიდს ექმნება ერთგვარი ვალდებულება, ამ პროგრესს ემსახუროს, მასში წვლილი შეიტანოს, ანუ მიიღოს ისტორიით დადგენილი როლი და მაქსიმალურად კარგად მოერგოს მას.

მეტიც, ჰეგელის მოძღვრება გვამცნობს „ისტორიის დასასრულს“ იმ აზრით, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანი და დიადი, რაც ისტორიაში უნდა მომხდარიყო, უკვე მოხდა. ისტორიამ უკვე მიაღწია თავის საბოლოო წერტილს, როდესაც კაცობრიობამ თავისუფლების და კეთილდღეობის საუკეთესო რეცეპტს მიაგნო: ახლა ადამიანებს მხოლოდ ამ რეცეპტით გათვალისწინებული მოთხოვნების პირუთვნელი დაცვის ამოცანა დარჩათ. საგმირო საქმეები მხოლოდ წარსულში იყო საჭირო: დღეს შეიძლება, პატივს მივაგებდეთ წარსულის გმირებს, თუმცა, ამავე დროს, იმ გარდასულ ეპოქებს, განმანათლებლური იდეების და მიღწეული საზოგადოებრივი პროგრესის პერსპექტივიდან, ბარბაროსულად და დრომოჭმულად ვთვლით. ისტორიის სიდიადე ცხოვრებას დაშორდა და არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ჩაიკეტა (დღეს ამ სიას ჰოლივუდის ისტორიულ ბლოკბასტერებს ან ისტორიულ ტელესერიალებსაც დავამატებდით). დღევანდელი ადამიანები უნდა შეეგუონ, რომ პრინციპულად ახალს და დიადს ვეღარაფერს შექმნიან: მათ ეპიგონების, განმმეორებლების როლი რჩებათ. ეს მათ პატარა ადამიანებად აქცევს.

ნიცშეს ერთ-ერთ (შეიძლება, ყველაზე) ცნობილ წიგნში „ასე იტყოდა ზარათუსტრა“ ნიცშე გვიხატავს ერთგვარ წინასწარმეტყველურ კარიკატურას თანამედროვე „კეთილდღეობის საზოგადოებისა“ (საზოგადოების ეს მოდელი, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთებით გავრცელებული იყო ევროპაში და ნაწილობრივ დღესაც ინარჩუნებს პოპულარობას, ლიბერალური და სოციალისტური იდეების ნაზავს ემყარება). ასეთ საზოგადოებაში მცხოვრებლებს ის „ბოლო ადამიანებად“ მოიხსენიებს, როგორც ადამიანის ბუნების დაკნინების ბოლო სტადიას. მათ მიუღწევიათ მდგომარეობისთვის, სადაც უზრუნველყოფილია საყოველთაო მშვიდობა და კეთილდღეობა, ისინი ტკივილის, სტრესის, კონფლიქტებისგან განთავისუფლებულან. სამაგიეროდ, მათ აღარა აქვთ დიადი ვნებები, მათ შორის ძალაუფლების ან რომანტიკული ტრფობის ნება, რადგან ასეთ ვნებებს სტრესი, საფრთხე და გაურკვევლობა მოაქვს. ნიცშესთვის ეს ადამიანის გვარის უკიდურეს დაკნინებას ნიშნავს.

კეთილშობილება და ზიზღი

განმანათლებლობის რაციონალისტური, ისტორიცისტული და დემოკრატიული პრინციპების მატარებელი „ბოლო ადამიანი“ ნიცშესთვისთვის, უპირველეს ყოვლისა, ზიზღის ღირსია. ზიზღი მისთვის უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა: ადამიანი მანამდეა პატივისცემის ღირსი, ვიდრე საკუთარი თავისადმი ან სხვისადმი ზიზღის გრძობა შერჩენია; ბოლო ადამიანი იმიტომაა უიმედო, რომ ეს გრძნობა დაუკარგავს. სამაგიეროდ, ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავი ეზიზღება, ერთი რამ მაინც რჩება პატივსაცემი საკუთარ თავში: თავად ეს ზიზღის გრძნობა.

ქართული სიტყვა „ზიზღი“ ბოლომდე ვერ გამოხატავს შინაარსს, რაც აქვს გერმანულ სიტყვას Verachtung, verachten და მის შესატყვისებს თანამედროვე ევროპულ ენებში. ქართულად ამ სიტყვას ხშირად „სიძულვილის“ მნიშვნელობით ვხმარობთ: ნიცშეს შემთხვევაში ეს შეცდომა იქნებოდა, რადგან სიძულვილი შეიძლება რაღაც დონის აღიარებას გულისხმობდეს, ზიზღის შემთხვევაში კი ეს არ გვაქვს. ზიზღი არის, უპირველეს ყოვლისა, ის გრძნობა, რაც მაღალს, კეთილშობილს ეუფლება მდაბიურთან, ბოგანოსთან შეჯახებისას. ამ აზრით, ზიზღი პატივისცემის საპირისპირო ცნებად შეიძლება განვიხილოთ: გეზიზღება ის, რაშიც სრულებით არაფერია პატივისცემის ღირსი. მაგალითად, მტერი გძულს, მაგრამ არ გეზიზღება, თუ, სულ მცირე, მის ძალას სცემ პატივს.

ისტორიულად, ეს ის გრძნობაა, რაც არისტოკრატს აქვს მდაბიოს მიმართ, ამიტომ ნიცშე დაუფარავად ახდენს არისტოკრატიზმის, კერძოდ, დიდგვაროვანის მდაბიოსადმი ზიზღიანი დამოკიდებულების აპოლოგიას, რაც ცხადია, რადიკალურად უპირისპირდება ახალი დროის სულისკვეთებას, რომელიც სწორედ დაბადების უფლებით მოპოვებული წოდებრივი პრივილეგიების უარყოფიდან ამოიზარდა. არისტოკრატის ზიზღი ბოგანოს მიმართ ნიცშესთვის განსაკუთრებით ღირებულია იმიტომ, რომ ის ქმნის თუ აფართოვებს დისტანციას თვით ადამიანის სულის შიგნით, ანუ ასწავლის ადამიანს ორდინარულით, ჩვეულებრივით

დაუკმაყოფილებლობას და მაღალის, დიადის, გამორჩეულისკენ სწრაფვას. მდაბიო, ბოგანო რომ ეზიზღება, არისტოკრატს საკუთარ სულში ყოველივე მდაბიურის შეზიზღების მოთხოვნაც უჩნდება; მას მდაბიური ქცევა „აღარ ეკადრება“: არისტოკრატი თავისი ქცევით მუდამ უნდა აჩვენებს, რომ მდაბიოზე მაღლა დგას, ეს კი მისი სულიერი განვითარების, ამაღლების წყაროა. ამიტომ უთანასწორობა, ბატონებისა და მონების (მსახურების, ქვეშევრდომების და ა. შ.) არსებობა აუცილებელია ადამიანის, როგორც გვარის, განვითარებისთვის.

მაგრამ ამ უთანასწორობას, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ძალადობა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. არისტოკრატია სწორედ ასე შეიქმნა: ვისაც უფრო მეტად ჰქონდა განვითარებული ძალაუფლებისადმი სწრაფვა და ვინც მზადაა, თავისი ფიზიკური არსებობა საფრთხეში ჩააგდოს სხვებზე აღმატებულების მოსაპოვებლად, ანუ ვინც სხვაზე სულიერად ძლიერია და ამის ხარჯზე ომში გამარჯვებას შეძლებს, სწორედ ის უდებს სათავეს არისტოკრატულ გვარებს. მეორე მხრივ, ის, ვისთვისაც მშვიდობა, უსაფრთხოება, ფიზიკური არსებობის შენარჩუნება ომში გამარჯვებაზე ძვირფასია, ეგუება მონის მდგომარეობას. უთანასწორობა ამითაც გამართლებულია, თუმცა ამგვარ გამართლებას, ცხადია, არაფერი აქვს საერთო „სამართლიანობასთან“, როგორც ის ქრისტიანულ ან განმანათლებლობის იდეალებზე აღზრდილ საზოგადოებას ესმის.

რელატივიზმი, სიცოცხლე და ძალაუფლებისადმი სწრაფვა

არისტოკრატული ქედმაღლობის აპოლოგია საფუძვლად უდევს ნიცშეს მნიშვნელოვან წარმოდგენას „ბატონების მორალის“ და „მონების მორალის“ შესახებ, რაც, თავის მხრივ, მორალური რელატივიზმის ან იმორალიზმის დამოკიდებულებას ამკვიდრებს. ეს უკანასკნელი ნიშნავს უნივერსალური მორალური ნორმების უარყოფას: ნიცშეს აზრით, ისინი სინამდვილეში გამოხატავს იმ ჯგუფის ინტერესებს, ვინც მათ დამკვიდრებას ცდილობს. აქედან გამომდინარე, ბატონების ან არისტოკრატების მორალი უპირატესობას ანიჭებს იმ თვისებებს, რისი წყალობითაც ისინი ბატონები არიან: ეს არის ძალა, სიამაყე, ვაჟკაცობა, „მაგარი გული“ (რაც გამორიცხავს გულჩვილობას და სენტიმენტალობას), ეგოიზმი, წარსულის და იერარქიის პატივისცემა და ა. შ. სამაგიეროდ, ზიზღის ღირსადაა მიჩნეული სარგებლიანობა, ლაჩრობა, ეჭვიანობა, ტყუილი და ა. შ. „მონების მორალი“ კი (რისი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითიც ქრისტიანული მორალია) პატარა, შეშინებული ადამიანის განწყობას გამოხატავს. მისი ძირითადი მიზანია, შეზღუდოს ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინია – ძალა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს. ამიტომ ის ადამიანებისგან მოითხოვს მოყვასისადმი კეთილგანწყობას, მოთმინებას, თავმდაბლობას და ა. შ.

ნიცშე არა მხოლოდ მორალის საკითხებშია რელატივისტი: ის ზოგადად უნივერსალურ ჭეშმარიტებას უარყოფს. ამით ის უპირისპირდება მისი დროის პოზიტივისტურ განწყობას, რისთვისაც პროგრესის გზა მეცნიერების (როგორც ბუნებისმეტყველების, ისე სოციალური მეცნიერების) განვითარებაა. მეცნიერე-

ბა კი სწორედ ობიექტურ, უნივერსალურ, ადამიანისგან დამოუკიდებელ ჭეშმარიტებებს ეძებს. ნიცშეს აზრით, ასეთი ორიენტაციაც აკნინებს და აბეჩავებს ადამიანს. ალტერნატიული პრინციპი ნიცშესთვის სიცოცხლე, სიცოცხლის ინტერესია: ამის გამო ნიცშეს ხანდახან „სიცოცხლის ფილოსოფოსს“ უწოდებენ. რომელიმე დებულება, მოსაზრება, პრინციპი ადამიანისთვის მისაღები უნდა იყოს არა იმის მიხედვით, თვლის თუ არა მას მეცნიერება, რაღაც ობიექტურ საზომებზე დაყრდნობით, „ჭეშმარიტად“, ანუ ყველასათვის სავალდებულოდ, არამედ იქიდან გამომდინარე, შეესაბამება თუ არა ის მისი სიცოცხლის ინტერესს. სიცოცხლის ინტერესი კი საკუთარი თავის და გვარის გაძლიერება, გაგრძელებაა, უპირატესობის მოპოვებაა, რაც გარდუვალად მოითხოვს სხვის დაჩაგვრას, სხვისთვის ზიანის მიყენებას და სხვაზე გაბატონებას. სიცოცხლის ძირეული ინსტინქტი, ნიცშეს აზრით, ძალაუფლებისადმი სწრაფვაა. თანამედროვე კულტურა თავისი ისტორიციზმით, უნივერსალისტური („მონების“) მორალით, ობიექტური ჭეშმარიტების პოზიტივისტური კულტურით სწორედ იმიტომ აკნინებს ადამიანს, რომ თრგუნავს ადამიანის ამ ყველაზე ძირეულ, ამოსავალ საწყისს, და ამით საშუალებას არ აძლევს ადამიანს ჭეშმარიტ სიდიადეს მიაღწიოს.

ზეკაცი, ბავშვი და ახალი ფილოსოფოსები

და მაინც, რისკენ მოგვიწოდებს ნიცშე? რა არის მისი პოზიტიური იდეალი? ამის გარკვევა, ამ კითხვაზე ნათელი, ცალსახა პასუხის პოვნა უფრო რთულია, ვიდრე იმის გაგება, თუ რა არ მოსწონს ნიცშეს თანამედროვე კულტურაში. შეიძლება ზოგადად ვთქვათ, რომ ის განსაკუთრებით აფასებს ადამიანის დაუკმაყოფილებლობას ჩვეულებრივი, ორდინარული არსებობით, მის სწრაფვას, დაძლიოს, ამაღლდეს ასეთ ყოფაზე და ამ დროს წავიდეს რისკზე, თავისი (და სხვების) სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს, „სახიფათოდ იცხოვროს“. ხიფათით აღსავსე ცხოვრების კულტი, როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ნაკადი, სწორედ ნიცშეს სახელს უკავშირდება.

მაგრამ ნიცშე მხოლოდ ამის თქმით არ შემოიფარგლება. რისკზე წასვლა რაღაცით უნდა იყოს გამართლებული, მას რაღაც საზრისი, რაღაც პერსპექტივა უნდა ჰქონდეს. „ასე იტყოდა ზარათუსტრაში“ ნიცშე ამბობს, რომ ადამიანი უნდა გადაილახოს, რომ იგი არის ხიდი უფრო მაღალი რანგის არსებისკენ – ზეკაცისკენ. მაგრამ მაინც როგორია ეს მაღალი რანგის არსება?

ამ კითხვაზე სრულ პასუხს თუ არა, მინიშნებას გვაძლევს ნიცშეს იგავი „სამი სახეცვლილების“, ანუ ადამიანის სულის განვითარების სამი ეტაპის შესახებ, რასაც ავტორი წარმოგვიდგენს როგორც აქლემს, ლომს და ბავშვს. აქლემი ქრისტიანული მორალის, ანუ დადგენილი ნორმების მიმართ მოწიწების და მორალური მოვალეობის მატარებლად შეიძლება აღვიქვათ, ხოლო ლომი – გაბატონებული კულტურის უარმყოფლად, ნიჰილისტად, „ზეკაცის“ იდეალი ბავშვში უნდა დავინახოთ. ბავშვის დამოკიდებულება რეალობისადმი განისაზღვრება, როგორც „ღვთაებრივი დასტური“, როგორც სამყაროს, სიცოცხლის მიღება და მისით ხა-

რობა. ეს არის თავისუფლება, მაგრამ არა ლიბერალური სამყაროს ადამიანის (ან აქლემის) თავისუფლება, რომელიც სხვების თანასწორი ღირსების აღიარებით და მორალური თუ სახელმწიფოებრივი კანონების მოთხოვნებით არის დამძიმებული, არამედ თამაშის თავისუფლება, სილაღე და მხიარულება, რომელმაც არც კი უწყის რაიმე შეზღუდვების შესახებ და არ წუხს მათ დაცვასა თუ გადალახვაზე. ბავშვი უმანკოა და სწორედ ეს უმანკოება აყენებს მას „ბოროტისა და კეთილის მიღმა“: ეს უკანასკნელი კატეგორიები მისთვის უაზროა.

მაგრამ ბავშვი მაინც მატაფორაა. რაში შეიძლება იყოს იმედის წყარო ზრდასრული და გონიერი ადამიანისთვის, ვინც თავის გარშემო ადამიანის გვარის დაკნინებას ხედავს? ზარათუსტრა თავდაპირველად იმედოვნებს, რომ დაეხმარება ადამიანებს კრიზისიდან გამოსვლაში და ასწავლის ზეკაცისკენ მიმავალ გზას, მაგრამ მალევე ასკვნის, რომ მთელ საზოგადოებაზე, კაცობრიობაზე ზრუნვა უპერსპექტივოა: ადამიანები დაბრმავებულან კეთილდღეობის და მშვიდობის ლიბერალურ-სოციალისტური იდეალით და სხვა არაფრის გაგონება არ უნდათ. მაგრამ იმედი მაინც არის და ის უკავშირდება რჩეულთა ჯგუფებს, ახალ სულიერ არისტოკრატიას, ვისაც გააჩნია არა მხოლოდ ნათელი და ღრმა ინტელექტი, რომ ცივილიზაციის კრიზისი და მისი სიღრმე დაინახოს, არამედ ხასიათის სიმტკიცე, რათა გარემოს ზეწოლას გაუძლოს, ღირებულებათა გადაფასება შეძლოს და ზეკაცისკენ მიმავალ ვიწრო და რთულ გზას გაუდგეს.

ასეთ ახალ არისტოკრატიას ნიცშე „თავისუფალ სულებს“ ან „ახალ ფილოსოფოსებს“ უწოდებს. მათი კიდევ ერთი ვარიანტია ხელოვანები, ოღონდ არა ტრადიციული, მოედანზე შეკრებილი ხალხის მდაბიო გემოვნებაზე მომუშავე ხელოვანები (დღეს მათ „მასობრივი კულტურის მწარმოებლებს ვუწოდებით), არამედ ისინი, ვინც პრინციპულად სხვა, „თავისუფალი სულებისთვის“ გასაგებ ხელოვნებას ქმნის.

მემკვიდრეობა და გავლენა

ნიცშე მრავალმხრივი და, ამავე დროს, წინააღმდეგობით აღსავსე მოაზროვნეა. ასევე წინააღმდეგობრივია მისი გავლენა, რომელიც მრავალ სფეროში: ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში, ზოგადად კულტურაში შეიძლება დავინახოთ. მაგალითად, მის მიერ ინდივიდის და მისი შემოქმედებითი საწყისის დამაკნინებელი მასობრივი კულტურის კრიტიკა, მისგან რადიკალურად განსხვავებული „ახალი ხელოვნების“ მოთხოვნა შთაგონების წყაროდ იქცა მე-20 საუკუნის ბევრი მოაზროვნისთვის და ხელოვანისთვის. ნიცშეს იდეებს ხშირად უკავშირებენ მე-20 საუკუნის დასასრულის ისეთ გავლენიან ინტელექტუალურ მიმდინარეობას, როგორიცაა პოსტმოდერნიზმი.

განსაკუთრებით საკამათოა ნიცშეს კავშირი მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მიუღებელ და დესტრუქციულ პოლიტიკურ მიმდინარეობასთან, ფაშიზმთან, განსაკუთრებით კი მის გერმანულ სახესხვაობასთან – ჰიტლერის ნაციზმთან. მისი იდეოლოგები ნიცშეს თავიანთი მოძღვრების ინტელექტუალურ წინამორბე-

დად თვლიდნენ, ხოლო ჰიტლერი თავს მის მოტრფიალედ ასაღებდა და ვაიმარში მისი მუზეუმის ხშირი სტუმარი იყო. ნიცშეს მკვლევართა უმრავლესობა ფაშიზმთან და ნაციზმთან ნიცშეს დაკავშირებას მისი მოძღვრების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად მიიჩნევს. მაგალითად, ნიცშესთვის სრულიად მიუღებელი იყო ანტისემიტიზმი, რომელიც ნაციზმის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. მაგრამ, ბევრის აზრით, ნიცშეს ნამდვილად აქვს იდეები (მაგალითად, გამორჩეულთა უფლება, უგულვებელყონ მორალური ნორმები საკუთარი ინტერესებისთვის), რომლებმაც კარგი არგუმენტები მისცა ნაციზმის იდეოლოგებს საკუთარი მსოფლმხედველობის გასამართლებლად.

ასე იტყოდა ზარათუსტრა

ნაწილი პირველი:
ზარათუსტრას საუბრები

ზარათუსტრას პროლოგი

1.

ზარათუსტრა ოცდაათისა რომ გახდა, თავისი სამშობლო და თავისი სამშობლოს ტბა მიატოვა და მთაში წავიდა. აქ თავისი სულითა და მარტოობით ტკბებოდა და ეს ათი წელი არ მობეზრებია. მაგრამ ბოლოს შემოუბრუნდა გული. ერთ დილას მზის სხივთან ერთად ადგა, მზეს შეეგება და ასე ეტყოდა:

„დიდო ვარსკვლავო! რაში ნახავდი ბედნიერებას, რომ არ გყავდეს ისინი, ვისაც ანათებ!

ათი წელია ჩემს მღვიმესთან ამოდიხარ. ყელში ამოგივიდოდა შენი შუქიც და შენი გეზიც, მე, ჩემი არწივი და ჩემი გველი რომ არ გყავდეთ.

ჩვენ კი ყოველ დილით გელოდით, შენს სიუხვეს ვიზიარებდით და ამისთვის გლოცავდით.

შემომხედე! მეც, როგორც ჭარბი თაფლით გაჯერებულ ფუტკარს, ჩემმა სიბრძნემ თავი შემაწყინა; ჩემკენ გამოწვდილი ხელები მჭირდება.

მსურს გავიღო და გავცე, სანამ კაცთა შორის ბრძენნი თავისი სიბრიყვით გაიხარებენ, ხოლო ღარიბნი – თავისი სიმდიდრით.

ამიტომ სირღმისკენ უნდა გავეშურო: როგორც შენ იზამ საღამოს, როდესაც ზღვის მიღმა ჩახვალ და ქვესკნელს გაანათებ, უმდიდრესო ვარსკვლავო!

მეც შენსავით უნდა ჩავიდე,[1] როგორც ამას ხალხი ეძახის, ვისკენაც ახლა ვისწრაფი.

ხოდა, დამლოცე, უდრტვინველო თვალო, ვისაც ისე შეუძლია უდიდესი ბედნიერების დანახვა, რომ ოდნავაც არ შეშურდეს!

---

1 ნიცშესთვის მნიშვნელოვანი სიტყვაა untergehen (სიტყვასიტყვით: „ქვევით ჩასვლა“), რომელიც ამ შემთხვევაში გულისხმობს უბრალოდ მზის ჩასვლას. მაგრამ სხვა შემთხვევაში იგივე სიტყვა აღნიშნავს მთიდან ბარში ჩასვლას (ამ შემთხვევაში ვიხმართ „დაღმასვლას“) ან, რაც განსაკუთრებით ნიშნეულია, დაღუპვას (ქვემოთ, კაცის ბაგირზე გადასვლის კონტექსტში, მას ვთარგმნით „გადაჩეხვად“). ამ შემთხვევაში არ ხერხდება სიტყვის მნიშვნელობებით ნიცშესეული თამაშის ქართულად გადმოტანა.

დალოცე თასი, რომელსაც გადმოღვრა უნდა, რათა მისგან ოქროსფერმა წყალმა იდინოს და შენი განცხრომის ანარეკლი გაიყოლოს!

შეხედე! ეს თასი ისევ დაცარიელდება, ზარათუსტრა ისევ განკაცდება."

ასე დაიწყო ზარათუსტრას დაღმასვლა.

2.

ზარათუსტრამ მთა მარტომ ჩაიარა და არავინ შეხვედრია. მაგრამ ტყეში რომ შევიდა, უცებ მოხუცი შეეჩეხა, რომელიც თავისი წმიდა ქოხიდან გამოსულიყო ტყეში ფესვების საძებნელად. და ამას ეტყოდა ბერიკაცი ზარათუსტრას:

„უცხო არ არის ჩემთვის ეს მოგზაური: მრავალი წლის წინ ჩამოიარა მან აქ. ზარათუსტრა ერქვა, მაგრამ შეიცვალა. მაშინ მთაში საკუთარი ფერფლი მიგქონდა; ახლა ბარში შენი ცეცხლი უნდა ჩაიტანო? არ გეშინია, დაგსაჯონ, როგორც ხანძრის გამჩაღებელი?

კი, ვიცანი ზარათუსტრა. სუფთაა მისი თვალი და ამრეზა აღარ ეტყობა მის ბაგეს. განა მოცეკვავესავით არ მიდის?

შეცვლილა ზარათუსტრა, ბავშვად ქცეულა ზარათუსტრა, უფრო ფხიზელი გამხდარა ზარათუსტრა: რაღა გინდა მძინარეებთან?

მარტოობაში ისე ცხოვრობდი, როგორც ზღვაში და ზღვა გატივტივებდა თავის ზედაპირზე. ვაი, ახლა რად მოგდომებია ნაპირზე გასვლა ? ვაი, რად მოგდომებია, ისევ თავად ათრიო შენი გვამი?"

ზარათუსტრამ უპასუხა: „მე ადამიანები მიყვარს."

„მაშ მე რად წავედი ტყესა და უკაცრიელში? – თქვა წმინდანმა, – იმიტომ ხომ არა, რომ ადამიანები ზედმეტად მიყვარდა?

ახლა ღმერთი მიყვარს: ადამიანები არ მიყვარს. ადამიანი მეტისმეტად არასრულყოფილი რამაა ჩემთვის. მისი სიყვარული დამღუპავდა."

ზარათუსტრამ უპასუხა: „სიყვარულზე განა რამე ვთქვი? მე ადამიანებისთვის ძღვენი მიმაქვს."

„არაფერი მისცე მათ", – უთხრა წმინდანმა, – „ჯობს, ტვირთის ნაწილი გამოართვა და მათთან ერთად ატარო – ამით ყველაზე დიდ სიკეთეს გაუკეთებ, თუ ეს შენთვისაც მისაღები იქნა!

ხოლო თუ რამეს მისცემ, არაფერი მისცე, გარდა მოწყალებისა, და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეგევედრებიან."

„არა"– უპასუხა ზარათუსტრამ, – „მე მოწყალებას არ გავცემ. საამისოდ არასაკმარისად ღარიბი ვარ."

წმინდანმა გაიცინა ზარათუსტრას ნათქვამზე და ასე ეტყოდა: „მაშ ყურადღებით იყავი, რომ მათ შენი ძღვენი მიიღონ! ისინი განდეგილებს არ ენდობიან და არ სჯერათ, რომ მათ დასასაჩუქრებლად მივდივართ მათთან.

ქუჩაში ჩვენი ფეხის ხმა ზედმეტად მარტოდ ხვდებათ ყურზე. და როცა ღამით, თავის საწოლებში მოკალათებულებს, მოესმებათ, რომ მზის ამოსვლამდე ვიღაც გარეთ დადის, ამას ეკითხებიან თავს: ნეტა სად მიდის ეს ქურდი?

ნუ წახვალ ხალხთან, დარჩი ტყეში! მხეცებთან მისვლა ჯობია! რატომ არ გინდა, ჩემსავით იცხოვრო – დათვად დათვებს შორის, ჩიტად ჩიტებს შორის?“

„და რას აკეთებს ტყეში წმინდანი?“ – იკითხა ზარათუსტრამ.

წმინდანმა უპასუხა: „სიმღერებს ვთხზავ და ვმღერი, ხოლო როცა სიმღერებს ვთხზავ, ვიცინი, ვტირი და ვბუტბუტებ. ამით ღმერთს ვადიდებ.

მღერით, ტირილით, სიცილით და ბუტბუტით ვადიდებ ღმერთს, რომელიც ჩემი ღმერთია. შენ კი რა მოგაქვს ძღვნად?“

ზარათუსტრამ ეს სიტყვები რომ გაიგო, წმინდანს დაემშვიდობა და უთხრა: „შენთვის მოსაცემი რა მაქვს? ჯობს დროზე წავიდე, ვიდრე რამეს წაგართმევდე“: – და ასე დაშორდნენ ერთმანეთს მოხუცი და კაცი, თან იცინოდნენ, როგორც ორი პატარა ბიჭი.

მარტო რომ დარჩა ზარათუსტრა, საკუთარ გულს ეუბნებოდა: „ნუთუ ეს შესაძლებელია? ამ ბებერ წმინდანს ჯერ არ გაუგია თავის ტყეში, რომ ღმერთი მოკვდა!“

3.

ზარათუსტრა უახლოეს, ტყის პირას მდებარე ქალაქში რომ მივიდა, მოედანზე ბევრი ხალხი დახვდა შეკრებილი: მათ თოკზე მოცეკვავის წარმოდგენას დაპირებოდნენ. და ზარათუსტრა ასე ეტყოდა ამ ხალხს:

„მე თქვენ ზეკაცს გასწავლით. კაცი ისაა, რაც დასაძლევია. თქვენ რა გაგიკეთებიათ მის დასაძლევად?

აქამდე ყველა არსს რაღაც შეუქმნია საკუთარი თავის მიღმა. თქვენ კი რა გსურთ, ამ დიდი ნაკადის დაშრეტა იყოთ და უმალ ცხოველს დაუბრუნდეთ, ვიდრე კაცი გადალახოთ?

რა არის მაიმუნი კაცის თვალში? რაღაც დასაცინი ან მტკივნეულოდ სამარცხვინო. იგივე უნდა იყოს კაცი ზეკაცისთვის: რაღაც დასაცინი ან მტკივნეულოდ სამარცხვინო.

თქვენ გამოგივლიათ გზა ჭიიდან ადამიანამდე და ბევრი რამ ისევ ჭიისა გამოგყვათ. ერთ დროს მაიმუნები იყავით და ახლაც ადამიანი უფროა მაიმუნი, ვიდრე რომელიმე მაიმუნი.

მაგრამ ვინც თქვენგან უბრძენესია, ისიც ჯერ მხოლოდ მცენარისა და ზმანების შეხლაა და მათი ნაჯვარია. ახლა რისკენ მოგიწოდოთ: მცენარეები გახდეთ, თუ ზმანებები?

შემომხედეთ, მე თქვენ ზეკაცს გასწავლით!

ზეკაცი მიწის საზრისია! ათქმევინეთ თქვენს ნებას: ზეკაცი მიწის საზრისი უნდა იყოს!

გევედრებით, ძმებო, იყოთ მიწის ერთგული და არ დაუჯეროთ მათ, ვინც ზემიწიერ იმედებზე გელაპარაკებათ! ისინი მომწამვლელები არიან, თუნდაც ეს თავად არ იცოდნენ!

სიცოცხლის მოძულენი არიან ისინი, თავად ხრწნადნი და მოწამლულნი, მიწა დაქანცულა მათი ტარებით. ხოდა, გაგვცილდნენ!

ერთ დროს ყველაზე დიდი მკრეხელობა ღვთის მიმართ მკრეხელობა იყო, მაგრამ ღმერთი მოკვდა, და ეს მკრეხელობებიც მას გაჰყვა. ახლა ყველაზე საშინელი ცოდვა მიწის მიმართ მკრეხელობაა, და კიდევ ის, რომ ამოუცნობის წიაღი მიწის საზრისზე მაღლა დააყენო!

ერთ დროს, სული ზიზღით უყურებდა სხეულს. მაშინ ყველაზე მაღალი იყო ეს ზიზღი: სულს სხეული დამცრობილი, საძაგელი, დამშეული სურდა. ამით მისგან და მიწისგან თავის დაღწევას ლამობდა.

ოჰ, თავად ეს სულიც დამცრობილი, საძაგელი და დამშეული იყო! და სისასტიკე იყო მისი ტკბობა!

მაგრამ, ძმებო, თქვენც მითხარით: რას გაუწყებთ თქვენი სხეული თქვენს სულზე? განა თქვენი სულიც სიღატაკე, ჭუჭყი და უბადრუკი კმაყოფილება არ არის?

და მართლაც, ადამიანი მღვრიე ნაკადია. ოდენ ზღვას ძალუძს, ეს მღვრიე ნაკადი მიიღოს და თავად არ აიმღვრეს.

შემომხედეთ, მე ზეკაცს გასწავლით. იგია ეს ზღვა, მასში შეიძლება თქვენი დიდი ზიზღი ჩაიღვაროს.

რა არის უმაღლესი, რაც შეგიძლიათ განიცადოთ? ეს დიადი ზიზღის ჟამია. ჟამი, ოდეს თქვენი ბედნიერებაც გძაგთ, თქვენს გონებასა და სიქველესთან ერთად.

ეს ჟამია, ოდეს ამბობთ: „რა ყრია ჩემს ბედნიერებაში? ეს სიღატაკეა, ჭუჭყი და უბადრუკი კმაყოფილება. ჩემს ბედნიერებას კი თვით არსებობა უნდა გაემართლებინა!“

ეს ჟამია, ოდეს ამბობთ: „რა ყრია ჩემს გონებაში? განა ისე ელტვის ცოდნას, როგორც ლომი საკვებს? ის სიღატაკეა, ჭუჭყი და უბადრუკი კმაყოფილება.“

ეს ჟამია, ოდეს ამბობთ: „რა ყრია ჩემს სიქველეში? მას ჯერ შლეგად არ ვუქცევივარ. როგორ მომაბეზრა თავი ჩემმა სიკეთემ და ჩემმა ბოროტებამ! ეს ყოველივე სიღატაკეა, ჭუჭყი და უბადრუკი კმაყოფილება.“

ეს ჟამია, ოდეს ამბობთ: „რა ყრია ჩემს სამართლიანობაში? არაფერი მეტყობა, გზნება და ნაღვერდალი ვიყო. სამართლიანი კაცი კი გზნება და ნაღვერდალია.“

ეს ჟამია, ოდეს ამბობთ: „რა ყრია ჩემს თანაგრძნობაში? განა თანაგრძნობა ჯვარი არაა, რაზეც გაკრულია ის, ვისაც ადამიანები უყვარს? მაგრამ ჩემი თანაგრძნობა ჯვარცმა არ არის.“

გითქვამთ ეს ოდესმე? დაგიყვირიათ ეს ოდესმე? ო, ნეტა გამეგონოს, რომ თქვენ ამას გაჰყვირით!

თქვენი ცოდვები კი არა, თქვენი თავშეკავება შეჰღაღადებს ზეცას! თვით შეცოდებაში თქვენი სიძუნწე შეჰღაღადებს ზეცას!

სად არის ელვა, ენით რომ აგლოკავთ? სად არის შეშლილობა, რითაც აიცრებით?

შემომხედეთ, მე ზეკაცს გასწავლით: იგია ის ელვა, იგია ის შეშლილობა.“

ეს რომ თქვა ზარათუსტრამ, ბრბოდან ვიღაცამ წამოიძახა: „გვეყო ბაგირზე მოცეკვავის სმენა, დროა, დაგვანახონ კიდეც!“ და მთელმა ხალხმა სიცილი დააყარა ზარათუსტრას. თოკზე მოცეკვავეს კი ეგონა, რომ ნათქვამი მას ეხებოდა და თავის საქმეს შეუდგა.

4.

ზარათუსტრამ კი შეხედა ხალხს და განცვიფრდა. მერე კი ასე იტყოდა:

„კაცი თოკია, გადაჭიმული მხეცსა და ზეკაცს შორის – თოკი უფსკრულის თავზე.

სახიფათოა გადასვლა, სახიფათოა გზაში ყოფნა, სახიფათოა უკან მოხედვა, სახიფათოა შეკრთომა და გაჩერება.

კაცის სიდიადე ისაა, რომ ის ხიდია და არა მიზანი: მასში ის შეიძლება გიყვარდეს, რაც გადასვლა და გადაჩეხვაა.

მიყვარს, ვისაც არ ესმის ცხოვრებისა, თუ ის გადაჩეხვა არ არის, რადგან მხოლოდ მათ ძალუძთ გადასვლა.

მიყვარს დიდი ზიზღის მატარებელნი, რადგან მხოლოდ მათ ძალუძთ, თაყვანი სცენ, მხოლოდ ისინი არიან გაღმა ნაპირისკენ ლტოლვის ისრები.

მიყვარს, ვინც ვარკვლავებს მიღმა არ ეძებს გამართლებას, რომ გადაიჩეხოს და თავი გაწიროს, არამედ მიწას შეეწირება, რათა ის ოდესმე ზეკაცისა გახდეს.

მიყვარს, ვინც შეცნობისთვის ცხოვრობს და იმისთვის შეიცნობს, რომ ოდესმე ზეკაცმა იცხოვროს. ამით ის საკუთარ გადაჩეხვას ეძიებს.

მიყვარს, ვინც შრომობს და გამომგონებლობს, რათა ზეკაცს სახლი აუშენოს და მიწა, ცხოველები და მცენარეები დაახვედროს: რადგან ამით თავის გადაჩეხვასაც ეძიებს.

მიყვარს, ვისაც თავისი სიქველე უყვარს: რამეთუ სიქველე გადაჩეხვის ნდომაა და ლტოლვის ისარი.

მიყვარს, ვინც სულის ერთ წვეთსაც არ იტოვებს, არამედ მხოლოდ ის სურს, თავისი სიქველის სული იყოს: რადგან ის, როგორც სული, ხიდზე გადადის.

მიყვარს, ვინც საკუთარ სიქველეს თავის მიდრეკილებად და ბედისწერად აქცევს: ამით სურს, თავისი სიქველისთვის იცოცხლოს, ან არ იცოცხლოს.

მიყვარს, ვინც მრავალი სიქველის ქონას არ ესწრაფვის. ერთი სიქველე ორზე უფრო ქველია, რადგან ის უფრო გამოდგება ნასკვად, რასაც ბედისწერა ჩამოეკიდება.

მიყვარს, ვისი სულიც ხელგაშლილია, ვინც მადლიერებას არ ეძებს და არაფერს აბრუნებს: რადგან ის ყოველთვის გასცემს და თავისთვის არაფერს ინახავს.

მიყვარს, ვინც დაირცხვენს, როცა კამათელი მის სასარგებლოდ დაჯდება და იკითხავს: „რამე ხომ არ ვითაღლითე?“ – რადგან მას სურს, დაიღუპოს.

მიყვარს, ვინც კეთილი საქმის ჩადენამდე ოქროს სიტყვებს აპნევს და მეტს აკეთებს, ვიდრე ჰპირდება: რადგან მას გადაჩეხვა სურს.

მიყვარს, ვინც მომავლებს ამართლებს და წასულებს მიუტევებს – რამეთუ ის მზადაა, აწმყოში მცხოვრებთა ხელით დაიღუპოს.

მიყვარს, ვინც თავის ღმერთს სჯის, იმიტომ რომ თავისი ღმერთი უყვარს: რამეთუ ის თავისი ღმერთის რისხვას უნდა შეეწიროს.

მიყვარს, ვისი სულიც იმითაც ღრმაა, რომ იოლია მისი დაჭრა, და პატარა განცდასაც შეიძლება გადაჰყვეს: ის მეტი ხალისით გადავა ხიდზე.

მიყვარს, ვისი სულიც ისე გადავსებულა, რომ თავიც დავიწყებია, ხოლო ყველაფერი მასშია: ამგვარად, ყველაფერი მის გადაჩეხვად იქცევა.

მიყვარს, ვისი სულიც თავისუფალია და გულიც: ამრიგად, მისი თავი ოდენ გულის წიაღია, გული კი გადაჩეხვისკენ უბიძგებს.

მიყვარს ყველა, ვინც მძიმე წვეთია, სათითაოდ რომ ეცემა კაცთა თავზე მოქუფრული ღრუბლიდან: ისინი ელვის მოახლოებას ამცნობენ და იღუპებიან, როგორც მაცნეები.

შემომხედეთ, მე ვარ მაცნე ელვისა და მძიმე წვეთი ღრუბლისა: ამ ელვას კი ზეკაცი ჰქვია.“

5.

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა ზარათუსტრამ, ერთხელაც შეხედა ხალხს და დადუმდა. „შეხედე,“ – ეტყოდა ის საკუთარ გულს, – „დგანან და იცინიან. მათ ჩემი არ ესმით; ჩემი ბაგე მათი ყურისთვის არაა.

იქნებ ჯერ ყურები უნდა ამოუგლისო, რომ თვალით მოსმენა ისწავლონ? თუ ლიტავრების ან მონანიების მომთხოვნი ქადაგის რახარუხს უნდა მივბაძო, რომ გავაგონო? იქნებ მხოლოდ ენაბლუებისა სჯერათ?

რაღაც აქვთ, რითაც ამაყობენ. მაინც რით მოაქვთ ასე თავი? ისინი მას კულტურას უწოდებენ, ამით გამოარჩევენ თავს თხის მწყემსებისგან.

ამიტომ არ სიამოვნებთ, როდესაც ვინმე ზემოდან, „ზიზღით“ უყურებთ. ხოდა, ისე ველაპარაკები, რომ მათ სიამაყეს შევეხო.

ამიტომ მოვუთხრობ მასზე, ვინც ყველაზე უფრო ღირსია ზიზღისა: ასეთი კი ბოლო ადამიანია.“

და ასე ეტყოდა ზარათუსტრა ხალხს:

„დროა, ადამიანმა თავს მიზანი დაუსახოს. დროა, მან თავისი უზენაესი იმედის თესლი ჩარგოს.

ჯერ საამისოდ საკმარისად მდიდარი ნიადაგი აქვს. მაგრამ ოდესმე ეს ნიადაგი დაიწრიტება და გამოიფიტება და იქიდან მაღალი ხე ვეღარასოდეს ამოიზრდება.

ვაგლახ, რომ მოვა დრო, როცა კაცი ვეღარ გაისვრის ვნების ისარს ადამიანის მიღმა, როცა მისი მშვილდის სიმს წუილი დაავიწყდება.

მე გეტყვით: საკუთარ თავში ჯერ ქაოსი უნდა გქონდეთ, რომ მოცეკვავე ვარსკვლავი შვათ. მე გეტყვით: თქვენ ჯერ შეგრჩენიათ ქაოსი.

ვაგლახ, რომ მოვა დრო, როცა კაცი ვეღარ შობს ვარსკვლავს. ვაგლახ, რომ მოვა დრო ადამიანისა, ვინც ყველაზე უფროა ზიზღის ღირსი, ვისაც საკუთარი თავის ზიზღი აღარ შეუძლია.

შეხედეთ! მე გაჩვენებთ ბოლო ადამიანს!

„რა არის სიყვარული? რა არის ქმნა? რა არის ლტოლვა? რა არის ვარკვლავი?“ – კითხულობს ბოლო ადამიანი და თვალებს ახამხამებს.

დედამიწა დაპატარავებულა და მასზე დახტის ბოლო ადამიანი, რომელიც ყველაფერს აპატარავებს. მისი მოდგმა ისევე მოუშლელია, როგორც ბაღლინჯოსი; ბოლო ადამიანი ყველაზე დიდხანს ცხოვრობს.

„ჩვენ ვპოვეთ ბედნიერება“, – ამბობენ ბოლო ადამიანები და თვალებს ახამხამებენ.

მათ მიატოვეს ქვეყნები, სადაც ცხოვრება უძნელდებოდათ: რამეთუ ადამიანს სითბო უნდა. ადამიანს კვლავ უყვარს მოყვასი და ეხახუნება მას: იმიტომ, რომ სითბო უნდა.

დაავადებას და უნდობლობას ცოდვად დაგიდევენ: ყველა ფრთხილად დგამს ნაბიჯს. ბრიყვია, ვინც ქვას ან კაცს ფეხს წამოჰკრავს.

ხანდახან ცოტა საწამლავს იღებენ: ტკბილი სიზმრები იცის. სულ ბოლოს კი მეტ საწამლავს, რომ სიკვდილი გატკბილდეს.

კვლავ შრომობენ, შრომა გართობაა. მაგრამ იმაზეც ზრუნავენ, გართობით არ გადაიქანცონ.

ღარიბები და მდიდრები აღარ არსებობენ: ორივე ტვირთად დააწვებოდათ. ვიღას უნდა მართვა? ვიღას უნდა მორჩილება? ორივე ტვირთია.

არა მწყემსი და მხოლოდ ფარა! ყველას ერთი უნდა, ყველა ერთია: ვისაც განსხვავებული გრძნობა ეწვევა, თავისი ფეხით მიდის საგიჟეთში.

„ოდესღაც მთელი ქვეყანა შეშლილი იყო“, – ამბობენ ყველაზე დახვეწილნი და თვალებს ახამხამებენ.

ხალხი ჭკვიანია და ყველაფერი იცის, რაც კი მომხდარა: ამიტომ ღლიცინს ბოლო არ უჩანს. ზოგან ჩხუბობენ, მაგრამ მალევე რიგდებიან, რომ საჭმლის მონელებაში ხელი არ შეეშალოთ.

აქვთ დღის პატარა სიამეები და ღამის პატარა სიამეები – მაგრამ ჯანმრთელობას არაფერი უნდა დააკლდეს.

„ჩვენ ვპოვეთ ბედნიერება“, – ამბობენ ბოლო ადამიანები და თვალებს ახამხამებენ.“

და აქ დამთავრდა ზარათუსტრას პირველი სიტყვა, რომელსაც „წინათქმასაც“ ეძახიან: რამეთუ ბრბომ შეაწყვეტინა შეძახილებითა და ხორხოცით. „მოგვეცი ეს ბოლო ადამიანი, ო, ზარათუსტრა“, – გაყვიროდნენ ისინი, – „გვაქციე ასეთ

ბოლო ადამიანებად! ზეკაცი კი შენ გყავდეს!“ და მთელი ხალხი მხიარულებდა და ენებს აწკლაპუნებდა. ზარათუსტრა კი დამწუხრდა და თავის გულს ეტყოდა:

„მათ ჩემი არ ესმით: ჩემი ბაგენი მათი ყურისთვის არაა.

ვინძლო, დიდხანს მომიხდა მთაში ცხოვრება; ზედმეტად ვუსმინე ტოტებს და ხეებს; ახლა ამათ ისე ვესაუბრები, როგორც თხის მწყემსებს.

უდრტვინველია ჩემი სული და დაწმენდილი, როგორც მთები განთიადისას. მათ კი ჰგონიათ, თითქოს ცივი ვარ და ბოროტად ვეხუმრები.

ახლა კი მიყურებენ და იცინიან: და რომ იცინიან, ვძულვარ კიდეც. ყინულია მათ სიცილში.“

6.

ამ დროს მოხდა რაღაც, რამაც ყველა პირი გააჩუმა და ყველა თვალი გააშტერა. ამასობაში, თოკზე მოცეკვავე, ცხადია, თავის საქმეს შესდგომოდა: პატარა კარიდან გამოსულიყო და ორ კოშკს შორის, მოედანზე შეკრებილი ხალხის თავზე გადაჭიმულ თოკზე გადადიოდა. უცებ, ნახევარი გზა რომ გავლილი ჰქონდა, პატარა კარი კვლავ გაიღო და იქიდან მასხარასავით ჭრელა-ჭრელებში გამოწყობილი ჯეელი გამოხტა და პირველს სწრაფი ნაბიჯებით დაედევნა. „მიდი, შე კოჭლო“, – დაიყვირა მან შემაშინებელი ხმით, – „მიდი, შე მცონარავ, შე ჭანარის ვაჭარო, შე უცხვირპირო. ფრთხილად, ქუსლებით არ შეგიღუტუნო! რა გინდა შენ ამ კოშკებს შორის? კოშკშია შენი ადგილი, ვინმემ უნდა ჩაგკეტოს, რომ შენზე უკეთესებს ფეხებში არ გაებლანდო!“ თითოეული სიტყვის წარმოთქმისას დაწინაურებულს ეწეოდა; როცა მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა აშორებდა, შემზარავი რამ მოხდა, ყველა პირი რომ გააჩუმა და ყველა თვალი გააშტერა. მასხარამ ეშმაკისეული შეძახილი ამოუშვა და გადაახტა მას, ვინც გზას უღობავდა. ამ უკანასკნელს კი, მეტოქე მასზე გამარჯვებული რომ ნახა, თავგზა აებნა და თოკზე თავი ვეღარ შეიკავა. ჭოკი მოისროლა, თავად კი მასზე უსწრაფესად დაეშვა ქვევით ხელების და ფეხების ქარბორბალად. მოედანი და ხალხი დაემსგავსა ზღვას, რომელშიც ქარიშხალი ამოვარდა: ყველა გამოიქცა და ერთმანეთს ეჯახებოდა, განსაკუთრებით იქ, სადაც სხეული უნდა დაცემულიყო.

ზარათუსტრა კი არ განძრეულა და სხეული ზუსტად მის გვერდით დაეცა, დასახიჩრებული და დამტვრეული, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი. ცოტა ხნის შემდეგ დაშავებული კაცი გონს მოვიდა და გვერდით დაჩოქილი ზარათუსტრა დაინახა. „რას აკეთებ აქ?“ – იკითხა მან ბოლოს, – „დიდი ხანია ვიცოდი, რომ ბოლოს ეშმაკი ფეხს დამიდებდა. ახლა ჯოჯოხეთისკენ მიმათრევს. მისი გაჩერება გინდა?“

„პატიოსანი კაცის სიტყვას გაძლევ, მეგობარო“, – უპასუხა ზარათუსტრამ, – „რაზეც შენ ლაპარაკობ, ეს ყველაფერი არ არსებობს: არც ეშმაკია და არც ჯოჯოხეთი. შენი სული შენს სხეულსაც კი დაასწრებს სიკვდილს: ახლა მეტი ნუღარაფრის გეშინია.“

კაცმა უნდობლად ამოხედა. „თუ მართალს ამბობ, ზარათუსტრა, უთხრა მან ბოლოს, მაშინ გამოდის, რომ სიცოცხლესთან ერთად არაფერს ვკარგავ. თურმე დიდად განსხვავებული არ ვყოფილვარ ცხოველისგან, რომელსაც ცემა-ტყეპით და დამშევის შიშით ცეკვა ასწავლეს.“

„სულაც არაა ასე“, – მიუგო ზარათუსტრამ, – „საფრთხე შენს ხელობად გიქცევია, ამაში ზიზღის ღირსი არაფერია. ახლა შენს ხელობას შეეწირე: ამის გამო ჩემი ხელით დაგმარხავ.“

ზარათუსტრას ამ სიტყვებისთვის სულთმობრძავს აღარ უპასუხია; ხელი კი ისე აამოძრავა, თითქოს ზარათუსტრასთვის მადლიერების ნიშნად ხელის ჩამორთმევა სურდა.

7.

ამასობაში მოსაღამოვდა და ბაზრის მოედანი ბინდმა მოიცვა. ხალხი გაიფანტა, რადგან თვით ცნობისმოყვარეობამ და შიშმაც დაღლა იცის. ზარათუსტრა კი გარდაცვლილის გვერდით მიწაზე იჯდა და ფიქრში წასულიყო: დრო აღარ ახსოვდა. საბოლოოდ, დაღამდა და მარტო დარჩენილს ცივმა ქარმა დაქროლა. მაშინ ადგა ზარათუსტრა და თავის გულს ასე ეტყოდა:

„ჭეშმარიტად, კარგად უთევზავია დღეს ზარათუსტრას! ვერც ერთი კაცი ვერ დაიჭირა, ოდენ გვამი.

სასტიკია კაცის არსებობა და აზრს მოკლებული: მასხარა შეიძლება გახდეს შენი წერა.

მსურს, ადამიანებს მათი ყოფნის აზრი ვასწავლო: ეს კი ზეკაცია, კაცის მრუმე ღრუბლიდან ელვად გამოსული.

მაგრამ მათგან შორს ვრჩები, ჩემი აზრი მათ აზრს ვერ სწვდება. ხალხისთვის რაღაც საშუალო ვარ მასხარასა და გვამს შორის.

ბნელია ღამე, ბნელია ზარათუსტრას გზები. წამოდი, ჩემო ცივო და გაშეშებულო თანამგზავრო! წაგიღებ იქ, სადაც ჩემი ხელით დაგმარხავ.“

8.

ეს რომ უთხრა თავის გულს, ზარათუსტრამ გვამი მხარზე გაიდო და გზას გაუდგა. ასი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, რომ კაცი წამოეპარა და ყურში ჩასჩურჩულა. და შეხედე! ის კოშკიდან გამოსული მასხარა არ აღმოჩნდა? „ოჰ, ზარათუსტრა, გაეცალე ამ ქალაქს“, – ეუბნებოდა ის – „მეტისმეტად ბევრს სძულხარ აქ! კეთილებს და სამართლიანებს სძულხარ, მათ მიმართ ზიზით აღვსილ მტრად მიგიჩნევენ; მართლმორწმუნეებს სძულხარ და შენში უმრავლესობისთვის საფრთხეს ხედავენ. შენი ბედი, რომ ხალხმა იცინა შენზე; მართალიც იყვნენ, იმიტომ რომ მასხარასავით ლაპარაკობდი. შენი ბედი, რომ მკვდარ ძაღლს აეკიდე; თავი ასე რომ დაიმცირე, დღეს ამან გადაგარჩინა. მაგრამ შორს წადი ამ ქალაქიდან,

თორემ ხვალ შენც გადაგახტები, როგორც ცოცხალი მკვდარს.“ ეს რომ თქვა, კაცი გაუჩინარდა; ზარათუსტრამ კი წყვდიადით მოცული გზა გააგრძელა.

ქალაქის კარიბჭესთან მესაფლავეები შემოხვდნენ: სახეში ჩირაღდანი მიანათეს და ზარათუსტრა რომ იცნეს, დასცინეს: „ზარათუსტრას მკვდარი ძაღლი აუკიდებია; ბარაქალა ზარათუსტრას, მესაფლავე რომ გამხდარა! აბა, ჩვენ ხორცის ამ ნაჭრისთვის ხელებს არ გავისვრით. ზარათუსტრას ხომ არ მოსდომებია, ეშმაკს მისი საკბილო წაართვას? ძალიანაც კარგი, ბედნიერ ქეიფს გისურვებთ! მაგრამ ეშმაკი ხომ ზარათუსტრაზე მაგარი ქურდია, ორივეს მოიპარავს და შესანსლავს!“ ეს რომ თქვეს, გადაიხარხარეს და თავები ერთმანეთს მიადეს.

ზარათუსტრას მათთის ხმა არ გაუცია და გზა გააგრძელა. ორი საათი რომ იარა ტყისა და ჭაობის გასწვრივ და მშიერი ლომების ყმუილს რომ უსმინა, თვითონაც მოშივდა. ასე რომ, განცალკევებით მდგომ სახლთან გაჩერდა, საიდანაც შუქი გამოკრთოდა.

შიმშილი ყაჩაღივით დამესხა თავს, თქვა ზარათუსტრამ. ტყესა და ჭაობში წამომეწია შიმშილი და ბნელ ღამეში.

უცნაური ახირება იცის ამ ჩემმა შიმშილმა. ხანდახან, ჭამას რომ მოვრჩები, იმის მერე მეწვევა, დღეს კი მთელი დღე არ მიგრძვნია: სად იყო აქამდე?

ეს რომ გაფიქრა, ზარათუსტრამ სახლის კარზე დააკაკუნა. მოხუცი კაცი გამოვიდა; სანათი ეჭირა ხელში და ჰკითხა: „ვინ გვეწვია მე და ჩემს ბეჩავ ძილს?“

„ერთი ცოცხალი და ერთი მკვდარი,“ – უპასუხა ზარათუსტრამ, – „მომეცი საჭმელი და სასმელი, დღეს მთელი დღე არც ერთი არ გამხსენებია. მშიერის დამპურებელი თავის სულსაც ანაყრებსო, ბრძენ ხალხს უთქვამს.“

მოხუცი შეტრიალდა და ცოტა ხანში პურით და ღვინით დაბრუნდა. „ცუდი მხარეა დამაშვრალთათვის,“ – თქვა მან, – „ამიტომაც ვცხოვრობ აქ. მხეციც და კაციც ჩემთან მოდის, განდეგილთან. მაგრამ შენს თანამგზავრსაც შესთავაზე საჭმელ-სასმელი, ის შენზე უფრო დაქანცული ჩანს.“ ამაზე ზარათუსტრამ უპასუხა: „მკვდარია ჩემი თანამგზავრი, გამიჭირდება, დავიყოლიო.“ „ეს მე არ მეხება, ჩაიბურტყუნა მოხუცმა. ვინც კარზე მომადგება, უნდა მიიღოს, რასაც შევთავაზებ. მიირთვი და კარგად იყავი!“

ამის შემდეგ ზარათუსტრამ კიდევ ორ საათს იარა, გზას და ვარკვლავების შუქს მიენდო. შეჩვეული იყო ღამე სიარულს და უყვარდა ყოველივე მძინარის სახეში ჩახედვა. მაგრამ ცოტა რომ ირიჟრაჟა, ზარათუსტრა უსიერ ტყეში აღმოჩნდა და მეტი გზა აღარ ჩანდა. მაშინ გარდაცვლილი თავზემოთ ფუღუროში მოათავსა – არ უნდოდა, რომ მგლები მისწვდენოდნენ, თვითონ კი ხავსიან მიწაზე დაწვა. და მაშინვე დაიძინა, ტანით დაქანცულმა, მაგრამ სულით უდრტვინველმა.

9.

დიდხანს ეძინა ზარათუსტრას, მხოლოდ განთიადმა კი არ გადაუარა თავზე, არამედ მთელმა დილამ. ბოლოს გაახილა თვალი: განცვიფრებულმა შეხედა

ტყეს და სიწყნარეს, განცვიფრებულმა ჩაიხედა საკუთარ თავში. მერე სწრაფად წამოდგა, როგორც მეზღვაური, რომელმაც უცებ ხმელეთი დაინახა, და სიხარულის შეძახილი აღმოხდა, რადგან ახალი ჭეშმარიტება ეწვია. და ასე ეტყოდა საკუთარ გულს:

„შუქი ამობრწყინდა ჩემთვის: მე თანამგზავრები მჭირდება, ოღონდ ცოცხლები, და არა მკვდარი თანამგზავრები და გვამები, რომელთაც თან ვატარებ, სადაც წასვლას მოვინდომებ.

არა, ცოცხალი თანამგზავრები მჭირდება, რომლებიც გამომყვებიან, იმიტომ რომ თავად უნდათ, გამომყვნენ იქ, სადაც წასვლას მოვინდომებ.

შუქი ამობრწყინდა ჩემთვის: ხალხს კი არ უნდა ელაპარაკოს ზარათუსტრა, არამედ თანამგზავრებს! ზარათუსტრა ფარას არ უნდა დაუდგეს მწყემსად და ძაღლად!

ბევრია ფარიდან გამოსატყუებელი – მე ამად ვარ მოსული. ამის გამო ხალხიც და მწყემსებიც გამიბრაზდებიან: მწყემსები მძარცველს უწოდებენ ზარათუსტრას.

მწყემსებიო, ვამბობ, თორემ თვითონ კეთილ და სამართლიან ადამიანებს უწოდენ თავს. მწყემსებიო, ვამბობ, თორემ თვითონ მართლმორწმუნეებს უწოდენ თავს.

შემომხედეთ, კეთილებო და სამართლიანებო! ყველაზე მეტად ვინ გძულთ? ის, ვინც ღირებულებათა მწკრივებს გირღვევთ, მრღვეველი, კანონდამრღვევი. – მაგრამ სწორედ ისაა შემქმნელი!

შემომხედეთ, მორწმუნენო ყველა სარწმუნოებისა! ყველაზე მეტად ვინ გძულთ? ის, ვინც ღირებულებათა მწკრივებს გირღვევთ, მღვრეველი, კანონდამრღვევი. – მაგრამ სწორედ ისაა შემქმნელი!

შემქმნელი თანამგზავრებს ეძებს და არა გვამებს, და არა ფარებს და მორწმუნეებს. შემქმნელი თანაშემქმნელებს ეძებს, ვინც ახალ ღირებულებებს ახალ ფიცრებზე დაწერს.

შემქმნელი თანამგზავრებს ეძებს და თანამომკელებს, რადგან მოსამკელად მზა მოსავალი ელის. მაგრამ მას ასი ნამგალი აკლია: ამიტომ ჯეჯილს ხელით გლეჯს და ბრაზობს.

შემქმნელი თანამგზავრებს ეძებს და მათ, ვინც ნამგლის ალესვა იცის. დამანგრეველები უნდა ერქვათ მათ და კეთილის და ბოროტის მოზიზღარნი. მაგრამ ისინი მომკელები არიან და მომლხენები.

თანაშემქმნელებს ეძებს ზარათუსტრა, თანამომკელებს და თანამომლხენებს ეძებს ზარათუსტრა. აბა ფარებთან, მწყემსებთან და გვამებთან ერთად რა უნდა შექმნას?

შენ კი, ჩემო პირველო თანამგზავრო, მშვიდობით განისვენე! კარგად დაგმარხე ფუღუროში, კარგად დაგიცავი მგლებისგან!

მაგრამ ახლა ჩვენი დაშორების ჟამი დადგა. განთიადსა და განთიადს შორის ახალი ჭეშმარიტება მეწვია.

არც მწყემსი მინდა ვიყო და არც მესაფლავე. მეტი აღარ მინდა ხალხთან ლაპარაკი; ეს ბოლო იყო, მკვდარს რომ ველაპარაკე.

ახლა შემქმნელებთან, მომკელებთან, მომლხენებთან ერთად უნდა ვიყო! მათ ცისარტყელა უნდა ვაჩვენო და ზეკაცისკენ მიმავალი ყველა კიბე!

ჩემი სიმღერა მარტო მცხოვრებ განდეგილებს უნდა ვუმღერო, ან წყვილ განდეგილებს; ხოლო ვის ყურსაც ჯერ კიდევ შეუძლია, გაუგონარი გაიგონოს, ჩემი ბედნიერებით გულს დავუმძიმებ.

ახლა ჩემი მიზნისკენ უნდა გავემართო, ჩემს გზას უნდა დავადგე. მერყევს და ფეხისამთრევს თავზე გადავახტები. დე, იყოს ჩემი წინსვლა მათი დაღმასვლა!

10.

ასე ეტყოდა ზარათუსტრა თავის გულს, როცა მზე შუადღის ზენიტში იდგა. ამ დროს ზევით აიხედა, რადგან ფრინველის მჭახე ხმა მოესმა. და შეხედე! არწივმა ჰაერში დიდი კამარა შეკრა, ზედ კი გველი ეკიდა, ოღონდ არა ნადავლად, არამედ მეგობრად, რადგან კისერზე ჰყავდა შემოხვეული.

„ეს ჩემი მხეცები არიან“, – თქვა ზარათუსტრამ და გული გაუნათდა.

„მზისქვეშეთში უამაყესი მხეცი და მზისქვეშეთში უბრძენესი მხეცი, ორივე დასაზვერადაა გამოსული.

იმის გაგება სურთ, ზარათუსტრა კიდევ ცოცხალია თუ არა. მართლაც, კიდევ ცოცხალი ვარ?

ადამიანებს შორის მეტი ყოფილა ხიფათი, ვიდრე მხეცებს შორის, ხიფათიანი გზებით დადის ზარათუსტრა. მაშ, წინ გამიძღვნენ ჩემი მხეცები!“

ეს რომ თქვა ზარათუსტრამ, ტყეში მცხოვრები წმინდანის სიტყვები მოაგონდა, ამოიოხრა და ასე ეტყოდა თავის გულს:

„ნეტავ უფრო ჭკვიანი ვიყო! მინდა ჩემი ჭკუა ძირისძირიდან მოდიოდეს, როგორც ჩემი გველისა!

მაგრამ ამით შეუძლებელს ვითხოვ. ამიტომ შევთხოვ ჩემს სიამაყეს, ჩემს ჭკუას არასოდეს დაცილდეს!

და თუ ერთხელაც ჭკუა მიმატოვებს, – ოჰ, მას კი უყვარს შორს გაფრენა – მაშინ მსურს, ჩემმა სიამაყემ ჩემს სიშლეგესთან ერთად იქროლოს!

ასე დაიწყო ზარათუსტრას დაღმასვლა.

ზარათუსტრას საუბრებიდან

სამი სახეცვლილება

სულის სამ სახეცვლილებას დაგისახელებთ: როგორ იქცევა სული აქლემად, აქლემი – ლომად, ბოლოს კი ლომი – ბავშვად.

ბევრი სიმძიმე ხვდება სულს, ღონიერ, მზიდავ სულს, რომელშიც მოწიწება ჩასახლებულა: მისი ღონე სულ მეტ და მეტ სიმძიმეს ელტვის.

„რა არის მძიმე? – კითხულობს მზიდავი სული და აქლემივით ჩაიმუხლებს, რათა რაც შეიძლება მეტი ტვირთი აიკიდოს.

რა არის უმძიმესი, გმირებო, – კითხულობს მზიდავი სული, – რომ ის ზურგზე ავიკიდო და ჩემი ღონით გავიხარო?“

განა ეს არ არის: დაიმცირო თავი, რათა საკუთარი ამპარტავნება დათრგუნო? შენი სიშლეგე სამზეოზე გამოიტანო, რათა საკუთარი სიბრძნე მასხრად აიგდო?

თუ ეს: საკუთარ საქმეს გაემიჯნო, როდესაც ის გამარჯვებას ზეიმობს? მაღალ მთებზე ახვიდე, რათა მაცდური აცდუნო?

თუ ეს: ცოდნის რკოთი და ბალახით გამოიკვებო და ჭეშმარიტების ხათრით სული შიმშილით გატანჯო?

თუ ეს: ავადმყოფმა, მანუგეშებლები დაითხოვო და ყრუს დაუმეგობრდე, ვინც ვერასდროს გაიგებს, რა გსურს?

თუ ეს: ბინძურ წყალში შეხვიდე, ოღონდ ეს ჭეშმარიტების წყალი იყოს, და ცივი ბაყაყები თუ ცხელი გომბეშოები არ განირიდო?

თუ ეს: გიყვარდეს ისინი, ვისაც ვეზიზღებით, და ხელი გავუწოდოთ აჩრდილს, რომელსაც ჩვენი შეშინება სურს?

მზიდავი სული ყველა ამ უმძიმეს ტვირთს იკიდებს: როგორც დატვირთულ აქლემს ეჩქარება უდაბნოში წასვლა, ისე მიიჩქარის ის თავისი უდაბნოსკენ.

მაგრამ ყველაზე უკაცრიელ უდაბნოში მეორე სახეცვლილება ხდება: სული ლომად იქცევა. მას სურს, თავისუფლება მოიპოვოს და საკუთარ უდაბნოში ბატონად იქცეს.

აქ თავის უკანასკნელ ბატონს ეძებს: მან უნდა უმტროს მას და თავის ბოლო ღმერთს, დიდ ურჩხულს უნდა შეებრძოლოს, რათა სძლიოს.

ვინაა ის დიდი ურჩხული, სულს რომ აღარ უნდა, ბატონად და ღმერთად აღიაროს? „შენ უნდა“ ჰქვია დიდ ურჩხულს. ლომის სული კი მიუგებს: „მე მინდა“.

„შენ უნდა“ გზას უღობავს, ოქროსფერი ქერცლები მზეზე უელვარებს და თითოეულს აწერია: „შენ უნდა“.

ათასწლოვანი ღირებულებებია ამ ქერცლებზე რომ ბზინავს, და ურჩხულთა შორის უძლიერესი ეტყოდა: „საგანთა ყველა ღირებულება ჩემზე ბზინავს.

ყველა ღირებულება უკვე შექმნილია და ყველა შექმნილი ღირებულება – ეს მე ვარ. ჭეშმარიტად, „მე მინდა“ უკვე ვეღარ იარსებებს“. ასე იტყოდა ურჩხული.

ძმებო, რისთვის სჭირდება სულს ლომად ყოფნა? რით არ ჰყოფნის ტვირთისმზიდავი პირუტყვი, საკუთარი თავისთვის უარის მთქმელი და მოწიწებით სავსე?

ახალი ღირებულებების შესაქმნელად – ეს კი არც ლომს ძალუძს. მაგრამ თავს რომ თავისუფლება მოუპოვოს ახალი ქმნისთვის – ამას კი ჰყოფნის ლომის ძალა.

თავს რომ თავისუფლება მოუპოვო და მოვალეობასაც ღვთაებრივი უარი დაახვედრო – ძმებო, ამისთვისაა საჭირო ლომი.

ახალი ღირებულებების უფლება რომ დაისაკუთროს – მზიდავი და მოწიწებით აღსავსე სულისთვის ეს ყველაზე საშიში სახეა დასაკუთრებისა. ჭეშმარიტად, მისთვის ეს მიტაცებაა, მტაცებელი მხეცის ქცევაა.

ოდესღაც, სულს „შენ უნდა“ უყვარდა, როგორც წმიდათაწმიდა: ახლა, თუ უნდა თავის სიყვარულს თავისუფლება გამოსტაცოს, მან ამ სიწმიდეშიც მოჩვენება და თვითნებობა უნდა დაინახოს. ამ გამოტაცებას სჭირდება ლომი.

მაგრამ მითხარით, ძმებო, რა შეუძლია ბავშვს, რაც ლომსაც არ შეუძლია? მაინც რატომ უნდა იქცეს მტაცებელი ლომი ბავშვად?

უმანკოებაა ბავშვი და დავიწყება, ახალი დასაწყისი, თამაში, თავისით გაგორებული ბორბალი, პირველი მოძრაობა, ღვთაებრივი დასტური.

დიახ, ძმებო, შექმნის თამაშს სულის ღვთაებრივი დასტური სჭირდება: ახლა სული საკუთარი ნებით ნებელობს, სამყაროდაკარგული, საკუთარ სამყაროს მოიპოვებს.

სულის სამი სახეცვლილება დაგისახელეთ: როგორ იქცევა სული აქლემად, აქლემი – ლომად, ბოლოს კი ლომი – ბავშვად.

ასე იტყოდა ზარათუსტრა. ამ დროს ის ცხოვრობდა ქალაქში, რომელსაც ერქვა „ჭრელი ძროხა“.

მხიარული მეცნიერება

3.

როგორც ხვდებით, არ მინდა უმადურად დავშორდე დროს, როდესაც მძიმე სენით ვიყავი დაავადებული: მისი სარგებელი დღესაც კი ბოლომდე არ ამომიწურავს. კარგად მესმის, რა უპირატესობას მანიჭებს ჩემი არამდგრადი ჯანი ტლუ ჯეელებთან შედარებით. ფილოსოფოსს, რომელსაც ჯანმრთელობის სხვადასხვა მდგომარეობა გამოუვლია და ბევრი სხვაც მოელის, ფილოსოფიაც ამდენჯერვე შეუცვლია; მას, უბრალოდ, არ შეუძლია, საკუთარი ჯანის ყოველი ცვლა მაქსიმალურად გონით ფორმად და დაშორებად არ გარდაქმნას: ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა ასეთი გარდასახვის ხელოვნება. ჩვენ, ფილოსოფოსები, თავს უფლებას ვერ მივცემთ, სხვების მსგავსად, ერთმანეთისგან გავყოთ სული და სხეული, ან თუნდაც სული და გონი [Seele und Geist]. ჩვენ არა ვართ მოაზროვნე ბაყაყები, ან ობიექტივაცია-რეგისტრაციის ცივი, გულ – და ჯიგარამოცლილი ხელსაწყოები. აზრები კვლავ და კვლავ ჩვენივე ტკივილიდან უნდა ვშვათ და, როგორც დედა შვილს, თან უნდა გავაყოლოთ, რაც კი სისხლი, გული, გზნება, სიამოვნება, ვნება, ტკივილი, სინდისი, ბედისწერა თუ განსაცდელი გაგვაჩნია. ჩვენი სიცოცხლე იმისია, რომ ყველაფერი, რაც ვართ, ან ყველაფერი, რაც გვატკენს, მუდამ შუქად და ცეცხლად ვაქციოთ; სხვაგვარად, უბრალოდ, არ ძალგვიძს. რაც შეეხება ავადმყოფობას, განა ხანდახან კითხვა არ გვებადება, საერთოდ შეგვიძლია კი მის გარეშე? საბოლოოდ მხოლოდ დიდ ტკივილს ძალუძს გონის განთავისუფლება, მხოლოდ ისაა მასწავლებელი დიადი ეჭვისა, რომელიც ყოველ u-ს x-ად აქცევს, ნამდვილ x-ად, ანუ ასოდ სულ ბოლო ასოს წინ.[1]

მხოლოდ დიდი ტკივილი, ხანგრძლივი, ნელი ტკივილი, არაფრით რომ არ გვეხსნება და ნედლი შეშასავით გვწვავს, გვაიძულებს ფილოსოფოსებს, საკუთარ უსაკუთრეს სიღრმეებში ჩავიდეთ და თავიდან მოვიწყვიტოთ ყოველგვარი ნდობა, ყოველგვარი კეთილგანწყობა, ყველაფერი, რაც ფარავს, არბილებს, აშუალებს, რამაც, სავარაუდოდ, თავის დროზე ჩვენი ადამიანობა გვაპოვნინა. არა მგონია, ასეთმა ტკივილმა „უკეთესად“ გვაქციოს, მაგრამ ვიცი, რომ ის უფრო ღრმას გაგვხდის.

---

1 არსებობს გერმანული გამოთქმა, რომელიც ვინმეს მოტყუებას ნიშნავს, ბუკვალურად კი ამბობს: “u-ს x-ად ასაღებს”; მისი ძირია ასოების რიცხვითი მნიშვნელობები რომაულ ალფაბეტში: V-ს X-ად, ანუ 5-ის 10-ად გასაღება. თუმცა ამ შემთხვევაში ნიცშე x-ს უფრო მათემატიკოსივით ხმარობს: როგორც უცნობი სიდიდის აღმნიშვნელს.

შეიძლება, ამ ტკივილისთვის სიამაყის, ზიზღის, ნებისყოფის დახვედრება ვისწავლოთ, როგორც ამერიკელი ინდიელი, რაც გინდა აწამო, მწამებელს გესლიან პასუხს აგებებს; ან, შესაძლოა, ტკივილს გავექცეთ აღმოსავლურ არარაში, რასაც ისინი ნირვანას ეძახიან: მუნჯ, ხისტ, ყრუ უარყოფაში, თვითდავიწყებაში, თვითამოძირკვაში; საკუთარი თავის მართვის ამ სახიფათო და ხანგრძლივი წვრთნიდან სულ სხვა პიროვნებად გამოვალთ, რომელსაც ახალი კითხვები გაუჩნდება და, რაც მთავარია, თან დაჰყვება იმის ნება, რომ ეს კითხვები ადრინდელზე უფრო მეტად, ღრმად, მკაცრად, შეუბრალებლად, ბოროტად და მშვიდად დასვას. სიცოცხლის მიმართ ნდობა დაიკარგა: თვით სიცოცხლე ქცეულა პრობლემად. მაგრამ აქედან ავტომატურად არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ შედეგად აუცილებლად კაეშანში ჩავვარდებით. არც სიცოცხლის სიყვარულის უნარს დავკარგავთ: მაგრამ ეს სულ სხვა სიყვარული იქნება. ეს იმ ქალის სიყვარულს ჰგავს, რომელზეც ვეჭვიანობთ.

სამაგიეროდ, უფრო გონით, უფრო შთაგონებულ ადამიანებს ყოველივე პრობლემური იმდენად იზიდავს, ნებისმიერი x იმდენად ხიბლავს, რომ კვლავ და კვლავ აუგიზგიზდებათ სიხარული, რომელიც თვალისმომჭრელი ალივით გაანათებს ყოველგვარ პრობლემას, გაურკვევლობის საფრთხეს, შეყვარებულის ეჭვიანობასაც კი. ჩვენ ახალი ბედნიერება ვუწყით.

4.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი რომ არ დაგვრჩეს უთქმელი: ასეთი უფსკრულებიდან, ასეთი მძიმე სენიდან, მათ შორის მომაკვდინებელი ეჭვის სენიდან, ახალშობილი ბრუნდები, კანგაცლილი, უფრო მგრძნობიარე, უფრო ბოროტი, უფრო მეტად გაქვს სიხარულის შნო და შენი ენაც უკეთ იგებს ყველანაირ გემოს, უფრო ხალისიანად შეიგრძნობ და სიხარულს მეორე უფრო ხიფათიანი უმანკოებით განიცდი, უფრო ბავშვურით, მაგრამ, ამავე დროს, ჯერ გაუგონარით და მილიონჯერ უფრო დახვეწილით. ო, რაოდენ სძაგს ეს ტკბობა ჩვენს „განათლებულებს“, ჩვენს მდიდრებსა და მბრძანებლებს, ვისაც, თვით სიამოვნების განმცდელთაგან განსხვავებით, ის ტლანქ, ყრუ და ყავისფერ ტკბობად წარმოუდგენია. ამიერიდან რა ბოროტულად მოვუსმენთ დიდი ბაზრის ხორხოცს, რითაც „განათლებულები“ და დიდი ქალაქის მცხოვრებნი ხელოვნების, წიგნებისა და მუსიკის „სულიერ ღირებულებებს“ აუპატიურებინებენ თავს შესაფერისად მაღალგრადუსიანი[2] სასმელების თანხლებით! როგორ გვტკენს ყურს თეატრის ვნებიანი შეკივლებები, როგორ ეუცხოვება ჩვენს გემოვნებას მთელი ეს რომანტიული მღელვარება და აბურდული გრძნობები, ეგზომ რომ იტაცებს ამაღლებულის, დიადისა და ზვიადის მოყვარულ განათლებულ ბრბოს! არა, თუ გამოჯანმრთელებულებს რაღაც-

2 ნიცშე აქ სიტყვით თამაშობს: სიტყვა geistig ერთ შემთხვევაში სულიერს (გონითს) ნიშნავს, მეორე (სასმელების) შემთხვევაში კი – სპირტიანს.

ნაირი ხელოვნება კიდევ დაგვჭირდება, ის სულ სხვა იქნება: დამცინავი, მსუბუქი, დაუდევარი, ღვთაებრივად უდრტვინველი, ღვთაებრივად ხელოვნური, მოწმენდილ ცაზე ნათელ ალად ანთებული! უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება ხელოვნება ხელოვანთათვის და მხოლოდ ხელოვანთათვის! ამიერიდან ჩვენ უკეთ გვესმის, პირველ რიგში რა გვჭირდება: მხიარულება, ყოველგვარი მხიარულება, ჩემო მეგობრებო. და ამასაც ვამტკიცებ: [ეს გვესმის] აგრეთვე როგორც ხელოვანებს. ერთი რამე ვიცით განსაკუთრებით კარგად, ჩვენ, მცოდნეებმა: ამიერიდან, როგორც ხელოვანები, ვსწავლობთ კარგ დავიწყებას, კარგ არცოდნას!

რაც შეეხება ჩვენს მომავალს: ჩვენ ვეღარ გვნახავთ იმ ეგვიპტელ ჭაბუკთა გზებზე, ვინც ღამღამობით ტაძრის წესს შელახავს, ქანდაკებას ჩაეხუტება და მოინდომებს, ყოველივე იმას, რაც სრულიად მართებულად არის დაფარული, საბურველი შემოაცალოს, გახსნას, მზის შუქზე გამოიტანოს.[3] არა, ეს უგემოვნება, ეს ნდომა ჭეშმარიტებისა, „ჭეშმარიტებისა ნებისმიერ ფასად“, ეს ჭაბუკური სიშლეგე ჭეშმარიტების სიყვარულისა ჩვენში ზიზღს იწვევს: საამისოდ ჩვენ მეტისმეტად გამოცდილნი, მეტისმეტად სერიოზულნი, მეტისმეტად მხიარულნი, მეტისმეტად ცეცხლგამოვლილნი, მეტისმეტად ღრმანი ვართ... აღარ გვჯერა, რომ ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად დარჩება მას შემდეგაც, რაც საბურველს შემოვაცლით: საკმარისად გვიცხოვრია ამის გასაგებად. დღეს უხერხულად მიგვაჩნია იმის სურვილი, ყველაფერი გავაშიშვლოთ, ყველაფერს დავესწროთ, ყველაფერი გავიგოთ და „ვიცოდეთ“: „მართალია, რომ ჩვენი საყვარელი ღმერთი ყველგან ჩვენთანაა?“ – ეკითხება პატარა გოგო დედას. „მე მგონი, ეს უხერხული იქნებოდა“, – ფილოსოფოსებმა ეს მინიშნებად უნდა მიიღონ! მეტი პატივი უნდა ვცეთ სიმორცხვეს, რითაც ბუნება გამოცანებისა და ფერად-ფერადი გაურკვევლობების უკან გვემალება. იქნებ, ჭეშმარიტება ქალია, ვისაც საიმისო მიზეზი აქვს, მიზეზი არ გვითხრას? იქნებ, ბერძნულად მას ბაუბო ქვია?[4]

ოჰ, ეს ბერძნები! მათ კი იცოდნენ სიცოცხლის ყადრი! საამისოდ საჭიროა, გაბედო გაჩერება ზედაპირთან, მოკეცვის ადგილთან, კანთან, თაყვანი სცე ხილულს, ფორმას, ტონს, სიტყვას, თვალხილულობის მთელი ოლიმპოსი გწამდეს! ეს ბერძნები ზედაპირულები იყვნენ – სიღრმისა გამო! და განა ჩვენც, თავზეხელაღებული სულები, ამასვე არ ვუბრუნდებით, ჩვენ, ვინც თანამედროვე აზროვნების უმაღლეს და უსაშიშეს მწვერვალებზე ავცოცებულვართ და იქიდან გადმოვიხედეთ, ჩვენ, ვინც ყველაფერს ზევიდან შევხედეთ? განა სწორედ ამით ბერძნები არ ვართ: ფორმების, ტონების, სიტყვების თაყვანისმცემლები? და სწორედ ამის გამო – ხელოვანნი?

---

3 ალუზია ფრიდრიხ შილერის ლექსზე Das Verschleierte Bild zu Sais. ამ ლექსში სრულყოფილ ცოდნას მოწყურებული ჭაბუკი არღვევს აკრძალვას, ღამით ეგვიპტურ ტაძარში შეიპარება და საბურველს შემოაცლის ქანდაკებას, რომელიც ჭეშმარიტებას განასახიერებს – რის შემდეგაც დაკარგავს სიხარულის უნარს და სიცოცხლის ხალისს.

4 ბაუბო – ბერძნულ მითოლოგიაში, პრიმიტიული და ვულგარული მდედრი დემონი, სიტყვასიტყვით – ქალის გენიტალია.

კეთილისა და ბოროტის მიღმა

ნაწყვეტები

4. ჩვენთვის დებულების სიყალბე მისი უარყოფის საფუძველი სულაც არ არის. ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ამით ეუცხოებათ ჩვენი ახალი ენა. საკითხი ასე დგას: რამდენადაა დებულება სიცოცხლისდამამკვიდრებელი, სიცოცხლისშემნახველი, გვარისშემნარჩუნებელი, იქნებ გვარისგამომყვანიც; არსებითად, იქითკენ ვიხრებით, რომ ყველაზე ყალბი დებულებები (რასაც აპრიორულად სინთეზური დებულებებიც მიეკუთვნება) ჩვენთვის ყველაზე აუცილებელიცაა, რომ ადამიანი ვერ იცოცხლებს, თუ ლოგიკურ ფიქციებს მნიშვნელობა არ მიანიჭა, თუ რეალობა აბსოლუტურისა და საკუთარ თავთან იგივეობრივის წმინდად წარმოსახვით სამყაროს არ შეუფარდა, თუ სამყარო რიცხვების მეშვეობით მუდმივად არ გააყალბა; რომ ცრუ დებულებების უკუგდებით სიცოცხლესაც უკუვაგდებთ, სიცოცხლეზეც ვამბობთ უარს. ცხადია, სიყალბის სიცოცხლის წინაპირობად მიჩნევა ყველაზე უფრო ხიფათიანად გვაპირისპირებს ღირებულებათა ჩვეულ განცდას; ესეც საკმარისია, რომ ამის გამბედავი ფილოსოფია კეთილისა და ბოროტის მიღმა დადგეს.

203. ჩვენ, ვისაც სხვაგვარად გვწამს, ჩვენ, ვინც დემოკრატიულ მოძრაობას არა მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაციის გადაგვარებულ ფორმად, არამედ ადამიანის გადაგვარებად, კერძოდ, მის დაკნინებად, მის გამამდაბიურებლად და ღირებულების დამამცრობლად მივიჩნევთ, რას უნდა დავაფუძნოთ ჩვენი იმედები? არჩევანი ერთადერთია: ახალ ფილოსოფოსებს; მათ გონებას, ვისაც ძალა და თავისთავადობა ყოფნის, ღირებულებათა საწინააღმდეგო შეფასებებს დაუპირისპირდეს და „მარადიული ღირებულებები“ გადააფასოს, შეატრიალოს; წინ წარგზავნილებს, მომავლის ადამიანებს, ვინც დღეს კრებს ძალებს და კრავს კვანძებს, რაც ათასწლეულთა ნებას ახალ გზებზე გადაიყვანს. ადამიანს რომ ასწავლო, რომ კაცობრიობის მომავალი მისი ნებაა, მის ნებაზეა დამოკიდებული, რომ შეამზადო ის დიდი მსხვერპლისა და ერთობლივი ძალისხმევისთვის, რომელიც აღზრდისა და წვრთნის გზაზე ელოდება, ამით რომ ბოლო მოუღო უგუნურებისა და შემთხვევითობის ამაზრზენ ბატონობას, რომელსაც აქამდე „ისტორიას“ ეძახდნენ („რაოდენობრივი მეტობის“ უგუნურება ოდენ მისი ბოლო ფორმაა): ამისთვის ოდესმე დაგვჭირდება ახალი ტიპის ფილოსოფოსები და მბრძანებლები. მათზე წარმოდგენაც კი გააფერმკრთალებს და დაამცრობს ყველა დაფარულ, ავ თუ კეთილ

სულს, რაც კი ქვეყნად ყოფილა. ასეთი წინამძღოლების სახებაა, რაც თვალწინ გვიტრიალებს: მომცემთ ნებას, ეს ხმამაღლა გითხრათ, თავისუფალო სულებო? მათი გაჩენისთვის აუცილებელი პირობები, რაც ნაწილობრივ უნდა შევქმნათ, ნაწილობრივ კი გამოვიყენოთ; სავარაუდო ხერხები და გამოცდები, რაც სულს ისეთ სიმაღლეს და ძალას მიაღწევინებს, რომ შინაგანი იძულება იგრძნოს ამ ამოცანათა შესასრულებლად; ღირებულებათა გადაფასება, ანუ ის წნეხი და ურო, რაც სინდისს გამოაწრთობს და გულს ბრინჯაოდ აქცევს, რათა მან ახალი პასუხისმგებლობის ტვირთს გაუძლოს; მეორე მხრივ, ასეთ წინამძღოლთა აუცილებლობა, თავზარდამცემი საფრთხე, რომ ისინი შეიძლება არც გამოჩნდნენ, ან ხელი მოეცაროთ და გადაგვარდნენ: ესაა ჩვენი მთავარი წუხილი და ჯავრი – ეს ხომ კარგად უწყით, თავისუფალო სულებო! ესაა მძიმე შორეული ფიქრები და ქარიშხლები, რაც ჩვენი ცხოვრების ზეცაზე დაქრის. ცოტა რამ შეედრება იმ ტკივილს, თუ ერთხელ მაინც გინახავს, მიხვედრილხარ, შეგიგრძვნია, განსაკუთრებულ ადამიანს თავგზა როგორ აებნა და გადაგვარდა; მაგრამ ვისი მზერაც იმდენად მახვილია, რომ თავად „ადამიანის“ [მოდგმის] გადაგვარების ზოგადი საფრთხეც არ ეპარება, ვისაც ჩვენსავით შეუცვნია საზარელი შემთხვევითობა, კაცობრიობის მომავალს თავის ნებაზე რომ ათამაშებს – ოღონდ ამ თამაშში ღმერთის ხელი კი არა, თითიც არ ურევია; ვინც ხვდება, რა საბედისწერო საფრთხე იმალება „თანამედროვე იდეების“ ჩლუნგი მიამიტობისა და მიმნდობლობის, კიდევ უფრო მეტად კი – ზოგადად ქრისტიანულ-ევროპული მორალის მიღმა, [ასეთი ადამიანის] სული ჯერაც გაუგონარ ძრწოლას შეუპყრია. მას ერთი მზერის შევლებით შეუძლია, სრულად დაინახოს, რა შეიძლება გამოიყვანო ადამიანისგან, თუ მის ძალებს სათანადოდ შეახამებ და ამოცანებს სწორად დაუსახავ; მას საკუთარი სინდისის ძირისძირამდე აქვს შეცნობილი, რომ ადამიანს ჯერ არ ამოუწურავს დიადი შესაძლებლობები და რომ ადამიანი, როგორც გვარი, ადრეც არაერთხელ მდგარა იდუმალი გადაწყვეტილებების პირისპირ და ახალი გზების გასაყართან; მან კიდევ უფრო კარგად უწყის, საკუთარი ყველაზე მტკივნეული მოგონებებიდან, თუ რა უბადრუკი დაბრკოლებების გამო დამსხვრეულა, გაცამტვერებულა, ჩაძირულა და დაბეჩავებულა უმაღლესი რანგის წამოწყებები. ადამიანის მთლიანი გადაგვარება, მისი იმ დონემდე დაცემა, რაც დღეს სოციალისტ რეგვნებს და ტვინგარეცხილებს „მომავლის ადამიანის“ იდეალად ესახებათ, ადამიანის ამგვარი დაბეჩავება და ჯოგის რიგითი წევრის დონემდე, თანაბარი უფლებებისა და მისწრაფებების მქონე ფინიამდე დამცრობა (რასაც ისინი „თავისუფალი საზოგადოების“ ადამიანს უწოდებენ), ნამდვილად შესაძლებელია, ეს ეჭვს არ იწვევს! იმის სულს, ვისაც ეს საფრთხე ერთხელ მაინც ბოლომდე გაუაზრებია, ყველა სხვისთვის უცხო ზიზღის გრძნობა დაუფლებია – მასთან ერთად კი, შესაძლოა, ახალი ამოცანის შეგნებაც!..

257. ადამიანის გვარის ამაღლება აქამდე მუდამ არისტოკრატული საზოგადოების მონაპოვარი ყოფილა, და ეს ყოველთვის ასე იქნება. ასეთ საზოგადოებას სწამს, რომ ადამიანები ერთმანეთისგან წოდებრივი დანაწევრების გრძელი სკალისა და ღირსების მიხედვით უნდა განსხვავდებოდნენ, და რაღაც სახით მას მო-

ნობა სჭირდება. თუ არ იქნა დისტანციის პათოსი, რომელსაც ჰქმნის ძვალ-რბილში გამჯდარი წოდებრივი განსხვავებები, გაბატონებული კლასის მუდამ უცხო და ქედმაღალი მზერა ქვეშევრდომების და მოსამსახურეების მიმართ, და ამ უკანასკნელთა მუდმივი გავარჯიშება ბრძანების მიცემასა და შესრულებაში, შორს დაჭერასა და თვითდამცრობაში, არ აღმოცენდებოდა არც სხვა, გაცილებით უფრო იდუმალი პათოსი, სწრაფვა იმისკენ, რომ თვით სულის შიგნით გავიფართოვოთ დისტანცია, რომ სულ უფრო მაღალ, იშვიათ, შორეულ, შეფრთიანებულ, სრულყოფილ მდგომარეობას მივაღწიოთ, მოკლედ, არ იარსებებდა ლტოლვა „ადამიანის“, როგორც გვარის, ამაღლებისკენ, ადამიანის მუდმივი „თვითგადალახვისკენ“, მორალური ფორმულა ზემორალური აზრით რომ ვიხმაროთ. რა თქმა უნდა, თუ არისტოკრატული საზოგადოების წარმოშობაზე (ანუ „ადამიანის“, როგორც გვარის, ამაღლების წინაპირობაზე) ვილაპარაკებთ, ჰუმანისტურ ილუზიებში არ უნდა ჩავვარდეთ: ჭეშმარიტება სასტიკია. პირუთვნელად ვაღიაროთ, როგორ მიეცა დასაბამი დღემდე დედამიწაზე არსებულ ყველა მაღალ ცივილიზაციას! ჯერ კიდევ სრულიად ბუნებითი ბუნების მქონე ადამიანები, ბარბაროსები ამ სიტყვის ყველაზე საშიში აზრით, გაუტეხელი ნებისყოფისა და ბატონობისკენ ლტოლვის მატარებელი მტაცებლები თავს ესხმოდნენ უფრო სუსტ, ზნეობრივ, მშვიდობიან, შესაძლოა, ვაჭრობით თუ მესაქონლეობით დაკავებულ რასებს, ან ძველ დაუძლურებულ ცივილიზაციებს, სიცოცხლის ბოლო ნაპერწკლები სულიერებისა და გარყვნილების კაშკაშა ფეიერვერკებში რომ ენავლებოდათ. კეთილშობილთა ყველა კასტა ბარბაროსების კასტიდან მოდის. უპირატესობა მათ უპირველეს ყოვლისა სულიერი და არა ფიზიკური ძალით მოიპოვეს: ისინი უფრო მთლიანი ადამიანები იყვნენ (რაც, ნებისმიერ საფეხურზე, „უფრო მთლიან მხეცსაც“ ნიშნავს).

259. ურთიერთზიანის მიყენებისგან, ძალადობისგან, ჩაგვრისგან თავის შეკავება, ჩვენი და სხვისი ნების ერთ დონეზე დაყენება: გარკვეული, მიახლოებითი აზრით, ეს შეიძლება ინდივიდებს შორის ურთიერთობაში კარგ ზნედ ჩაითვალოს, ოღონდ შესაფერის პირობებში (სახელდობრ, თუ ადამიანები თავისი ძალითა და ღირსებით რეალურად თანასწორნი არიან და ერთ ერთობას შეადგენენ). მაგრამ როგორც კი ამ პრინციპის გაფართოებას მოვინდომებთ და მას საზოგადოების ძირეულ პრინციპადაც კი გამოვაცხადებთ, მაშინვე გამოვლინდება ამ მიდგომის ნამდვილი არსი: ეს სიცოცხლის უარყოფის, მისი დაშლის და განადგურების გზაა. საქმის არსი ძირისძირობამდე უნდა გავიაზროთ და სენტიმენტალური გულჩვილობა უკუვაგდოთ: სიცოცხლე თავისი არსით მოხვეჭა, სხვისი დაზიანება, უცხოსა და სუსტზე ძალადობა, ჩაგვრა, სისასტიკე, საკუთარი წესების [სხვაზე] თავს მოხვევა, მითვისება და სულ მცირე, ყველაზე რბილ ვარიანტში, ექსპლუატაციაა. მაგრამ რატომ ვხმარობთ მაინცდამაინც იმ სიტყვებს, რომელთაც ოდითგანვე ბოროტ განზრახვებს უკავშირებდნენ? თუ ზემოთ ნახსენებ ერთობებს, რომელთა შიგნითაც ინდივიდები ერთმანეთს თანასწორად ეპყრობიან (ასეა ყოველ ჯანსაღ არისტოკრატიაში), სურთ სიცოცხლე შეინარჩუნონ და არ დაიღუპონ, სხვების მიმართ ყველაფერი ის უნდა ჩაიდინონ, რისგანაც მისი წევრები ერთმანეთის მი-

მართ თავს იკავებენ: ისინი უნდა იქცნენ ბატონობისკენ ლტოლვის განსახიერებად, უნდა გაიზარდონ, მიითვისონ, მიიზიდონ, უპირატესობა მოიპოვონ, და ეს გააკეთონ არა მორალურობის ან ამორალურობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ცოცხლობენ, რომ სიცოცხლე ძალაუფლებისკენ ლტოლვაა. მაგრამ თანამედროვე ევროპელის ცნობიერება არც ერთ სხვა საკითხში არ არის ისე შეუსმენელი, როგორც ამაში: დღეს ყველა ოცნებობს (ხანდახან ამას მეცნიერებასაც კი არქმევენ) საზოგადოების მომავალ მოწყობაზე, რომელსაც აღარ ექნება „ექსპლუატაციის ხასიათი“. ეს რომ მესმის, მგონია, რომ ვიღაც გვპირდება ისეთი სიცოცხლის გამოგონებას, არც ერთი ორგანული ფუნქცია რომ აღარ ექნება. „ექსპლუატაცია“ არ არის არც გადაგვარებული და არც არასრულყოფილი ან პრიმიტიული საზოგადოების ნიშანი: ის სიცოცხლის არსში ძევს, როგორც მისი ძირეული ორგანული ფუნქცია, ის მომდინარეობს ძალაუფლებისკენ შინაგანი ლტოლვისგან, რომელიც იგივე სიცოცხლის ლტოლვაა. თუნდაც, როგორც თეორია, ეს აზრი ახალი იყოს, სინამდვილეში, ის ყოველგვარი ისტორიის ამოსავალი ფაქტია; საჭიროა მხოლოდ, საკუთარი თავის წინაშე პატიოსნები ვიყოთ!

260. მას შემდეგ, რაც ბევრი ვიხეტიალე მორალის მრავალგვარ, დახვეწილ თუ ტლანქ, სახეობათა შორის, ოდესმე რომ უბატონია თუ დღესაც ბატონობს ამ დედამიწაზე, დავინახე, რომ მათში გარკვეული ნიშნების ერთობლიობა რეგულარულად მეორდება და ერთმანეთს უკავშირდება. საბოლოოდ, ჩემ თვალწინ გამოიკვეთა ორი ძირითადი ტიპი და ნათელი გახდა მათ შორის ღრმა განსხვავება. არსებობს ბატონების მორალი და მონების მორალი; აქვე დავძენ, რომ ყველა მაღალ და მრავალსახოვან ცივილიზაციაში ჩანს აგრეთვე ორივე მორალის გაშუალების მცდელობები, კიდევ უფრო ხშირად – მათი ურთიერთგამსჭვალვა და მრავალმხრივი გაუგებრობები; ხანდახან კი ისინი მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს: ეს შეიძლება ერთი და იმავე ადამიანის სულშიც მოხდეს. მორალურ ღირებულებათა გამიჯვნას ახდენს ან გაბატონებული ჯგუფი, რომელიც კმაყოფილებით ხვდება ქვემოთ მდგომთაგან თავის განსხვავებას, ან დაბალი ფენები, მონები და სხვადასხვა რანგის ქვეშევრდომები. პირველ შემთხვევაში, როცა ბატონები ადგენენ, რას ნიშნავს „კარგი“, სულის ამაყი, ამაღლებული განწყობები ხდება ის ამოსავალი წერტილი, რასთან მიმართებაშიც აიგება რანგების იერარქია. კეთილშობილი ადამიანი ემიჯნება არსებებს, რომლებიც ასეთი ამაღლებული და ამაყი განწყობის საპირისპირო თვისებებს ავლენენ: ის მათ ზიზღით უყურებს. ადვილად შესამჩნევია, რომ მორალის ამ პირველ გაგებაში „კარგის“ და „ცუდის“ დაპირისპირებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია განსხვავება „კეთილშობილსა“ და „მდაბიოს“ (ზიზღის ღირსს) შორის – „კეთილისა“ და „ბოროტის“ ოპოზიციას სულ სხვა ძირი აქვს. ზიზღის ღირსია სულმოკლე, ლაჩარი, მეწვრილმანე, ის, ვინც ვიწრო სარგებლიანობაზე ფიქრობს; იგივე ეხება ეჭვიან კაცს თავისი გაუბედავი გამოხედვით, ადამიანის ძაღლურ ტიპს, რომელიც თავსაც იმცირებს და სხვისგან აბუჩად აგდებასაც ადვილად იტანს, პირმოთნე მათხოვარს, უპირველეს ყოვლისა – მატყუარას: ყველა არისტოკრატს ღრმად აქვს გამჯდარი რწმენა,

რომ მდაბიო ხალხი ცრუპენტელაა. „ჩვენ, მართლები“ – ასე მოიხსენიებდნენ თავს კეთილშობილნი ძველ საბერძნეთში. საგულისხმოა, რომ მორალური ღირსების აღმნიშვნელი სიტყვები ყველგან პირველ ყოვლისა პიროვნებებს მიეწერებოდათ, ცალკეული ქმედებების ამ სიტყვებით დახასიათება კი მეორადი, გვიანი ფენომენია: ამიტომაა უხეში შეცდომა, როცა მორალის ისტორიკოსი დაიწყებს შეკითხვით: „რატომ ვაქებთ თანაგრძნობაზე აგებულ ქცევას?“ ადამიანის კეთილშობილი ტიპი თავს ღირებულებათა დამდგენად მიიჩნევს, მას სხვისი შექება არ სჭირდება. ის ასე განსჯის: „რაც ჩემთვის საზიანოა, თავისთავადაც საზიანოა“, ის საკუთარ თავს ცნობს იმად, ვისაც საგანთა ზოგადი ღირებულების განსაზღვრა ეკუთვნის, ის ღირებულებათა შემოქმედია. ის განადიდებს ყველაფერს, რასაც თავის თავში შეიცნობს: ასეთი მორალი თვითგანდიდებაა. მისი სათავეა სისავსის, ძალის შეგრძნება, რომელსაც გადმოღვრა სწადია, მაღალი დაძაბულობით გამოწვეული ბედნიერება, განცდა სიმდიდრისა, რომელსაც სურს, გასცეს და დაასაჩუქროს. კეთილშობილი ადამიანიც ეხმარება გაჭირვებულებს, მაგრამ ამას არასოდეს ან იშვიათად სჩადის შეცოდების გამო: მისი მამოძრავებელი ძალის სიჭარბით გამოწვეული წადილია. კეთილშობილი კაცი თავის თავში ძლიერს განადიდებს, აგრეთვე იმას, ვისაც საკუთარი თავის მიმართ აქვს ძალა, ვინც იცის, როდის თქვას და როდის დადუმდეს, ვინც სიხარულით ექცევა საკუთარ თავს ხისტად და მკაცრად და ყველაზე მეტად სიხისტეს და სიმკაცრეს სცემს პატივს. „ვოტანმა მაგარი გული ჩამიდო მკერდში“, – გვეუბნება ძველი სკანდინავური საგა: ასე გამოხატავს თავს ამაყი ვიკინგის სული, და ეს სრულიად მართებულია. ამ ტიპის ადამიანი ამაყობს იმით, რომ სხვისი შეცოდებისთვის არ არის შექმნილი. ამაზე საგის გმირი საგანგებოდ გვაფრთხილებს: „ვისაც ჯეელობაში არ ჰქონია მაგარი გული, არც არასოდეს გაუმაგრდება“. კეთილშობილი და მამაცი, ვინც ასე ფიქრობს, ყველაზე შორს დგას იმგვარი მორალისაგან, რომელიც ზნეობის არსს სწორედ რომ თანაგრძნობაში, სხვისთვის ქმედებაში ან დაუინტერესებლობაში ხედავს. საკუთარი თავის რწმენა და ქედმაღლობა, მტრული და ირონიული დამოკიდებულება „უანგარობისადმი“ ისეთივე უეჭველი ნიშნებია კეთილშობილი მორალისა, როგორც სკეპტიკური და დამცინავი დამოკიდებულება თანაგრძნობის და გულჩვილობის გამოვლინებათა მიმართ. პირველ რიგში ძლიერებმა უწყიან, როგორ სცენ პატივი, ეს მათი ხელობაა, მათი შემოქმედების სფეროა. ძლიერთა მორალს ახასიათებს ღრმა მოწიწება ასაკისა და წარმომავლობის მიმართ (სამართლის მთელი სისტემა ამ ორმაგ მოკრძალებას ემყარება), წინაპრების რწმენა და ახალბედებთან შედარებით მათთვის უპირატესობის მინიჭება. და პირიქით, როცა „თანამედროვე იდეებით“ გატაცებულ ადამიანებს ლამის ინსტინქტად ექცევათ „პროგრესისა“ და „მომავლის“ რწმენა, სიძველის პატივისცემა კი უჭირთ, ამით ისინი სრულად ავლენენ ამ „იდეათა“ მდაბიო წარმომავლობას. მაგრამ ის, რაც ბატონთა მორალს თანამედროვე გემოვნებისთვის განსაკუთრებით მიუღებელს და უსიამოს ხდის, არის მისი შეუვალი მრწამსი, რომ ადამიანი მოვალე მხოლოდ თანასწორთა მიმართ შეიძლება იყოს; რომ დაბალი რანგის ქმნილებებს ან უცხოებს შეგვიძლია ისე

მოვექცეთ, როგორც მოგვეპრიანება ან „ჩვენს გულს გაუხარდება“ და ამ დროს „კეთილისა და ბოროტის მიღმა“ ვიმყოფებით: სწორედ აქ შეიძლება მოვუნახოთ ადგილი თანაგრძნობას და მისთანებს. უნარი და მოვალეობა, ხანგრძლივად შეინარჩუნო მადლიერების გრძნობაც და შურისძიების წადილიც (ორივეს მხოლოდ თანასწორთა შორის აქვს ძალა), დახვეწილობა ანგარიშსწორებაში, მეგობრობის რაფინირებული გაგება, მტრების ყოლის ერთგვარი საჭიროება (რომელიც გამოსავალს უქმნის შურის, ჩხუბის, ქედმაღლობის აფექტებს და არსებითად ეხმარება [ადამიანს], კარგი მეგობრობა გასწიოს): ყოველივე ეს ტიპური ნიშნებია კეთილშობილი მორალისა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, სულაც არ არის „თანამედროვე იდეების“ მორალი და, ამის გამო, ძნელი გასაზიარებელია, მაგრამ, აგრეთვე, ძნელი საპოვნელი და გამოსავლენია. სულ სხვაგვარადაა საქმე მეორე ტიპის, მონების მორალის შემთხვევაში. წარმოვიდგინოთ, რომ ძალმომრეობის მსხვერპლი, დაჩაგრული, გატანჯული, არათავისუფალი, თავის თავში დაურწმუნებელი და დაქანცული ადამიანები მორალიზირებას იწყებენ: რა ექნება საერთო მათ მორალურ შეფასებებს? სავარაუდოდ, თავს იჩენს პესიმისტური უნდობლობა იმ ზოგადი ვითარების მიმართ, რაშიც კაცობრიობა აღმოჩნდა, შესაძლოა, გაკიცხვის საგანი არა მარტო ეს ვითარება, არამედ თავად ადამიანიც გახდეს. მონა ძლიერთა სიქველეს კეთილი თვალით ვერ უყურებს: მას თან დაყვება სკეფსისი და ეჭვი, დახვეწილი უნდობლობა ყოველივე „კარგის“ მიმართ, რასაც ქვეყნად განადიდებენ; ის სიამოვნებით დაირწმუნებდა თავს, რომ [ძლიერთა] ბედნიერებაც მოჩვენებითია. სამაგიეროდ, ის წინ წამოწევს და გულუხვად გააშუქებს იმგვარ თვისებებს, რაც ტანჯულთ განსაცდელის შემსუბუქებაში დაეხმარება: აქ იგულისხმება თანაგრძნობა, დასახმარებლად გამოწვდილი კეთილი ხელი, მოთმინება, გულმოდგინება, მოკრძალება, გულითადობა; რადგან ესენი აქ ყველაზე საჭირო თვისებებია: არ არსებობს უკეთესი საშუალება ცხოვრებისეული გაჭირვების გადასატანად. მონების მორალი, არსებითად, სარგებლიანობის მორალია. სწორედ ამ ღუმელში გამოდნა ცნობილი დაპირისპირება „კეთილსა“ და „ბოროტს“ შორის: ბოროტის ცნებაში ჩადებულია ძალის და ხიფათის განცდა, რაღაც ისეთისა, რაც შიშისმომგვრელია, დახვეწილი და მაგარი, რაც თავს აბუჩად არავის ააგდებინებს. მონების მორალის თანახმად, „ბოროტება“ შიშისმომგვრელია, მაშინ როდესაც ბატონთა მორალი „კარგს“ სწორედ იმას ეძახის, რაც შიშს იწვევს და უნდა გამოიწვიოს, ხოლო „ცუდი“ისაა, ვინც შეიძლება აბუჩად აიგდო. წინააღმდეგობა თავის კულმინაციას იმაში აღწევს, რომ, მონების მორალის თანახმად, საბოლოოდ იმ ადამიანსაც კი, ვინც ამ ლოგიკით „კეთილად“ უნდა მოვიხსენიოთ, ოდნავი, თუნდაც მსუბუქი და კეთილგანწყობილი აგდებით ეკიდებიან, რადგან მონური ცნობიერება კეთილი ადამიანისგან მოითხოვს, უვნებელიც იყოს: ის ბუნჩულაა, იოლი მოსატყუებელი, იქნებ ცოტათი მოსულელოც, un bonhomme. საერთოდ, იქ, სადაც მონების მორალია გაბატონებული, ენა მიდრეკილია, „კეთილი“ და „ბრიყვი“ ერთმანეთს დაუახლოვოს. და ბოლო ძირეული განსხვავება: სწრაფვა თავისუფლებისადმი, ბედნიერების ინსტინქტი და თავისუფლების შეგრ-

ძნების სხვადასხვა ნიუანსი ისევე გარდუვალად მიეკუთვნება მონების მორალს და მორალურობას, როგორც მოწიწებასა და თავგანწირვაში დახელოვნება და შთაგონებულობა მყარად ახასიათებს აზროვნების და შეფასების არისტოკრატულ წესს. აქედან სრულიად ცხადი ხდება, რატომაა, რომ სიყვარული როგორც ვნება, რაც ჩვენი, ევროპული სპეციალობაა, უპირობოდ კეთილშობილი წარმოშობისა უნდა იყოს. როგორც ცნობილია, მისი წარმოშობა უკავშირდება პროვანსის პოეტ რაინდებს, gai saber-ის [მხიარული მეცნიერების] ამ ბრწყინვალე და შემოქმედ ადამიანებს, ვისაც ევროპა ძალიან ბევრს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც უნდა უმადლოდეს.

ზიგმუნდ ფროიდი

1856-1939

შესავალი

როდესაც ზიგმუნდ ფროიდი ფსიქოანალიტიკური კონცეფციის მნიშვნელობას აფასებდა, რომელიც თავადვე შექმნა, მას ორი მეცნიერული აღმოჩენა მოჰყავდა მაგალითად. ფროიდის აზრით, უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ადამიანის თავმოყვარეობამ მეცნიერებისგან ორი მძიმე დარტყმა განიცადა. პირველი დარტყმა, რომელიც კოპერნიკის სახელს უკავშირდება, იმ აღმოჩენაზე მოდიოდა, რომლის მიხედვითაც დედამიწა სამყაროს ცენტრი კი არა, არამედ თვალუწვდენელი კოსმოსის მცირე ფრაგმენტია. მეორე დარტყმის ავტორი ჩარლზ დარვინია, რომელმაც დაადგინა, რომ ადამიანი ცხოველისაგან წარმოიშვა და არ წარმოადგენს პრივილეგირებულ არსებას ამ სამყაროში. მაგრამ, ფროიდის მიხედვით, ყველაზე დიდი დარტყმა ადამიანის საკუთარ თავზე წარმოდგენას მიაყენა ფსიქოანალიზმა, რომელმაც აჩვენა, რომ ადამიანი თავის სახლშიც კი არაა ბატონ-პატრონი, რომ მან არც კი იცის, რა ხდება მისი ფსიქიკის შიგნით.

ფროიდის ფსიქოანალიტიკური კონცეფცია ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. ფსიქიკურ მოვლენებს აქვთ საზრისი. ისინი არ ხდება შემთხვევით, მექანიკურად. თუ შეცდომით ვამბობ სახელს ან არასწორად ვწერ სიტყვას, ეს არ ნიშნავს, რომ „უბრალოდ გადავიღალე“; თუ ვხედავ აბსურდულ სიზმარს, ეს არ ნიშნავს, რომ „უბრალოდ სისულელეები მესიზმრება“; თუ სახლში მრჩება გასაღები, ეს არ ნიშნავს, რომ „უბრალოდ დაბნეული ვარ“. თითოეულ ამ არასწორ მოქმედებას აქვს საზრისი, აზრი, მნიშვნელობა, რომლის ახსნაც შეიძლება;

2. ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიმდინარეობს არაცნობიერად; ჩვენ ძალიან ხშირად არ ვიცით, რა გვამოძრავებს, რატომ განვიცდით ამა თუ იმ ემოციას, რატომ ვმოქმედებთ ასე და არა – სხვაგვარად. ასე იმიტომ ხდება, რომ ცნობიერება ჩვენი ფსიქიკის მხოლოდ მცირე ნაწილია. ჩვენს ფსიქიკურ ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს არაცნობიერი ასრულებს. სწორედ ესაა მიზეზი, რატომაც ვნახულობთ აბსურდულ სიზმარს ან რატომ გვავიწყდება გასაღები. თუ გავაანალიზებთ არაცნობიერს, აღმოჩნდება, რომ გასაღები იმიტომ დამრჩა, რომ სინამდვილეში სამსახურში მისვლა არ მინდა, ხოლო აბსურდულ სიზმარში აღმოვაჩენ ჩემს დაფარულ სურვილებს, რომლებიც ცნობიერებამდე დამახინჯებული და შეცვლილი სახით მოდის.

ზიგმუნდ ფროიდი 1856 წელს დაიბადა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პატარა ქალაქში. ცხოვრების დიდი ნაწილი ვენაში გაატარა, ამიტომ მისი სახელი მჭირ-

დოდაა დაკავშირებული ამ ქალაქთან. ცხოვრების ბოლოს, ნაცისტებისაგან დევნილს, ლონდონში მოუხდა გადასახლება, სადაც გარდაიცვალა 1939 წელს.

ფროიდი არცთუ შეძლებული ებრაული ოჯახიდან იყო. თუმცა მან ადრეული ასაკიდანვე უარყო იუდაიზმი და რელიგია ზოგადად, ის რჩებოდა ადამიანად, რომლისთვისაც ებრაული წარმოშობა და იდენტობა მნიშვნელოვანი იყო, რასაც ხელს უწყობდა ანტისემიტიზმი, რომელიც იმდროინდელ ევროპაში ძალზე ძლიერი იყო და რომელიც ხელს უშლიდა ფროიდის საუნივერსიტეტო კარიერას. მრავალმხრივი ინტერესების მქონე მეცნიერი და ინტელექტუალი, ფროიდი განსაკუთრებით დაინტერესდა ფსიქიკური აშლილობების მკურნალობის საკითხით. ის პრაქტიკოსი ექიმი იყო და პაციენტების მკურნალობის პროცესში იყენებდა უახლეს სამედიცინო ტექნიკებს, მაგალითად, იმ დროს ძალზე პოპულარულ ჰიპნოზის მეთოდს ნევროზის მკურნალობისას. მაგრამ 1890-იანი წლების განმავლობაში ფროიდმა ნელ-ნელა უარი თქვა მის დროს არსებულ მიდგომებზე თეორიაშიც და პრაქტიკაშიც, რათა საფუძველი ჩაეყარა ფსიქოლოგიის ახალი მიმართულებისათვის, რომელსაც ფსიქოანალიზი უწოდა.

ფსიქოანალიტიკური თეორიის პრინციპები, ისევე როგორც ანალიზის სხვადასხვა ტექნიკა, რომელთა საშუალებითაც არაცნობიერის აღმოჩენა შეგვიძლია, ფროიდმა გადმოსცა შრომებში: „სიზმრების ინტერპრეტაცია“ (1900), რომელშიც სიზმარი განხილულია როგორც „სამეფო გზა არაცნობიერისაკენ“; „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია“ (1901), სადაც ავტორი ასაბუთებს, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავლენს არაცნობიერ მოტივაციათა კვალს; „სამი ესეი სექსუალობის თეორიის შესახებ“ (1905) – აქ ფროიდი გადმოსცემს სექსუალობის შესახებ საკუთარ თეორიას, რომლის ცენტრშიც დგას ოიდიპოსის კომპლექსი – ეროტიკულ-აგრესიულ ლტოლვათა ერთობლიობა, რომელსაც ბავშვი განიცდის საკუთარი მშობლების მიმართ. ეს კომპლექსი გადმოცემულია ძველბერძნულ მითში, რომელიც მეფე ოიდიპოსზე მოგვითხრობს და რომლის მთავარი ელემენტებიცაა იმავე სქესის მშობლის, როგორც მეტოქის, სიკვდილის სურვილი და სექსუალური ლტოლვა საპირისპირო სქესის მშობლისადმი. ოიდიპოსის ტრაგედიაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან მოკლა მამა და დედა შეირთო ცოლად (ამბავი, გადმოცემული სოფოკლეს ტრაგედიაში, რომლის მიხედვითაც დაარქვა ფროიდმა კომპლექსს ოიდიპოსის სახელი).

1920-იან წლებში ფროიდმა ფსიქიკის სქემა შეიმუშავა, რომელიც სამნაწილიანია. ამ სქემის მიხედვით, ადამიანში სამი ძირითადი ინსტანცია მოქმედებს: იგი, მე და ზე-მე.

იგი (ინგლისურ თარგმანში გერმანული სიტყვა das Es გადმოიტანეს ლათინური სიტყვით Id, ამიტომ შეიძლება ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში „იგის“ მაგივრად „იდიც“ შეგვხდეთ, როგორც ამ ინსტანციის სახელი) არაცნობიერი ლტოლვების ადგილია. ის პრიმიტიულია, არაორგანიზებული, არალოგიკური,

ემოციური. ჩვენ მას უშუალოდ ვერ დავაკვირდებით. ცოდნას მის შესახებ სიზმრების ანალიზისა და ნევროზების მკურნალობის პროცესების გავლით ვიღებთ.

მე (გერმანულად das Ich; ისევ ინგლისური თარგმანის გავლით შეიძლება შეგვხვდეს ამ ინსტანციის სახელი „ეგო“, Ego) ინდივიდის გარემოსთან მიმართებაზეა პასუხისმგებელი.

ზე-მე (გერმანულად das Über-Ich, ინგლისური თარგმანის გავლენით იყენებენ აგრეთვე ტერმინს „სუპერ-ეგო“, Super-Ego) მოიცავს მორალურ მოთხოვნებსა და ჩვენს მისწრაფებებს იდეალურისაკენ.

ლტოლვები ადამიანს დაბედებიდანვე აქვს, მაგრამ ინტერესი გარემოსადმი და მორალური ვალდებულებები უფრო გვიანდელი განვითარების შედეგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი (იდი), როგორც ფსიქიკური ინსტანცია, ინდივიდს დაბადებიდანვე აქვს, ხოლო მე (ეგო) და (სუპერ-ეგო) დაბადებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყალიბდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაბადებისას იგი (იდი) მოიცავს მთელს ფსიქიკურ აპარატს, ხოლო მე და ზე-მე თავდაპირველად იგი-ს ნაწილები არიან, ხოლო მოგვიანებით გამოეყოფიან მას და იწყებენ დამოუკიდებელი ფუნქციების შესრულებას.

ჯერ იწყება მე-ს გამოყოფა. ბავშვი ინტერესდება გარემოთი და იწყებს მისი კონტროლის მცდელობას ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მას მორალის გაგება ჩამოუყალიბდება. მაგრამ ბავშვობის პერიოდი, როდესაც ადამიანი დამოკიდებულია მშობლებზე (ან მათზე, ვინც მის მშობლების მაგივრობას სწევს: აღმზრდელი და ა. შ.) აყალიბებს აგრეთვე ფსიქიკის მესამე ინსტანციას, რომელიც მშობლებისა და საზოგადოების გავლენის აგენტია. ეგომ უნდა გაითვალისწინოს სუპერ-ეგოს მოთხოვნები, რადგან სწორედ მასშია როგორც იდეალი, რომელსაც ეგო ესწრაფვის, ისე შემფასებელი ინსტანცია, რომელიც აკვირდება, შეესაბამება თუ არა ეგო მოთხოვნებს. ჩვენს ყოველდღიურ ენას თუ გამოვიყენებთ, „სინდისი“ არის ის, რასაც ფროიდი აღწერს, როგორც სუპერ-ეგოს მთავარ ფუნქციას.

ფროიდი შეეცადა, საკუთარი ფსიქოანალიტიკური თეორია გამოეყენებინა კულტურისა და საზოგადოების ზოგადი თეორიის ასაგებად. ამას მან მიუძღვნა შემდეგი შრომები: „ტოტემი და ტაბუ“ (1913), „ერთი ილუზიის მომავალი“ (1927), „კულტურით უკმაყოფილება“ (1929) და სხვ., რომლებშიც მოცემულია როგორც ცალკეული სოციალური ინსტიტუტების, ისე მთლიანად კულტურის წარმოშობის ახსნის მცდელობა ფსიქოანალიტიკური პოზიციიდან.

„კულტურით უკმაყოფილება“ ფროიდის გვიანდელი ნაშრომია. ის 1930 წელს გამოქვეყნდა, პერიოდში, რომელიც მსოფლიოში ეკონომიკურსა და პოლიტიკურ კრიზისებს დაემთხვა. 1929 წელი დიდი დეპრესიის დასაწყისია, რომელმაც ამერიკასა და ევროპაში სიღარიბისა და უმუშევრობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. 1930 წელს გერმანიის პარლამენტში (რაიხსტაგში) უმრავლესობით აირჩიეს ნაცისტური პარტია, რამაც გზა გაუხსნა ჰიტლერის დიქტატურას. ფროიდის ნაწერს ამ პერიოდის დამღა ნათლად ემჩნევა. ის კარგად ხედავდა, რომ მომავალი საშიშ

და ბნელ ტენდენციებს მისცემდა გასაქანს, რაც აისახა კიდეც მისი ნაწერის პესიმისტურ ტონში. შეიძლება ეპოქის სულისკვეთებასთან სწორედ ეს შესაბამისობა იყო ფაქტორი, რომლის გამოც „კულტურით უკმაყოფილება“ მალევე იქცა უაღრესად პოპულარულ წიგნად. ის სწრაფადვე ითარგმნა რამდენიმე ენაზე და დღემდე რჩება ფროიდის ერთ-ერთ ყველაზე წაკითხვად ტექსტად.

„კულტურით უკმაყოფილება“ წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას ფროიდისავე ნაშრომისა „ერთი ილუზიის მომავალი“ (1927). ეს უკანასკნელი ტექსტი რელიგიის საკითხის ფსიქოანალიტიკურ განხილვას ეთმობოდა. ფროიდი ათეისტი იყო და ცდილობდა ეჩვენებინა, რომ რელიგიური გრძნობის დასაბამი ამქვეყნიურია და მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის საფუძველზე შეიძლება აიხსნას. რელიგიური საკითხების განხილვას წინამდებარე ნაშრომშიც საკმარისად დიდი ადგილი ეთმობა, მაგრამ აქ ფროიდს უფრო ზოგადი ინტერესი ამოძრავებს – განსაზღვროს ადამიანის ადგილი კულტურაში, რომლის მიზანია ადამიანისავე დაცვა, მაგრამ რომელიც მას განადგურებითაც ემუქრება. ეს წინააღმდეგობა გამოწვეულია სისოცხლის სწრაფვისა და სიკვდილის სწრაფვის კონფლიქტით. იმის გამო, რომ კულტურამ უნდა შეაკავოს ადამიანის სექსუალური და აგრესიული სწრაფვები, ის შედის კონფლიქტში ცალკეულ ადამიანებთან, რათა დაიცვას საზოგადოების ერთიანობა, მაგრამ ადამიანები ჯანყდებიან კულტურის წინააღმდეგ, რაც საზოგადოებას განადგურებით ემუქრება. ოღონდ ფროიდი აქ არ ჩერდება. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ის გარეგანი კონფლიქტი, რომელსაც ადგილი აქვს ინდივიდსა და კულტურას შორის, აირეკლება თითოეული ადამიანის შინაგან კონფლიქტში. ესაა კონფლიქტი სუპერ-ეგოს (გარეგანი ავტორიტეტის გაშინაგანებული ინსტანცია) და ეგოს (ინდივიდის ინტერესები) შორის. ეს კონფლიქტი ადამიანში წარმოშობს ბრალეულობის განცდას, რომელიც არის დასაბამი კულტურით უკმაყოფილების იმ გრძნობისა, რომელმაც სათაური მისცა ფროიდის ნაშრომს.

ფროიდის მიხედვით, ცხოვრების მიზანს სიამოვნების პრინციპი განსაზღვრავს. მაგრამ ბედნიერების მოპოვება ადამიანისათვის უაღრესად რთულია. ამის მიზეზი თავად კულტურაა, რომელიც ვერ ახერხებს, ადამიანს ააცილოს ტანჯვა, მეტიც, კულტურა თავად იწვევს ტანჯვას. მაგრამ, პირველ რიგში, განვსაზღვროთ, რა არის კულტურა ფროიდისათვის. „კულტურის“ ცნება იმ მონაპოვართა და ინსტიტუტთა ერთობლიობის აღსანიშნავად გამოიყენება – წერს ფროიდი, – რომლებიც ჩვენს ცხოვრებას წინაპარი ცხოველების ცხოვრებისაგან აშორებს და ორ მიზანს ემსახურება: ადამიანების ბუნებისაგან დაცვასა და ადამიანებს შორის ურთიერთობათა მოწესრიგებას“. ცხადია, რომ ამ მონაპოვართა და ინსტიტუტთა წინსვლისა და პროგრესის ჩამონათვალი შთამბეჭდავია. მეცნიერებამ აქ განსაკუთრებული როლი შეასრულა და საშუალება მოგვცა, ბუნებაზე კონტროლის მანამდე არნახული ხარისხისათვის მიგვეღწია. მაგრამ ადამიანი მაინც ვერ გახდა ბედნიერი. სამაგიეროდ კულტურამ მოახერხა და თითოეულ ადამიანს დაუწესა შეზღუდვები სექსუალური და აგრესიული ლტოლვების დაკ-

მაყოფილებაზე, რათა შეენარჩუნებინა საზოგადოების ერთიანობა. კულტურის საფუძველი ლტოლვების სწორედ ასეთი 'კულტურული' უარყოფაა, რომელიც წარმოადგენს ადამიანებს შორის ურთიერთობის კანონს, მაგრამ, თავის მხრივ, იწვევს ადამიანების უკმაყოფილებას კულტურით.

რაც შეეხება სექსუალური ლტოლვების შეზღუდვას, სურათი აქ ფროიდისათვის ნათელია. კულტურა ზღუდავს სექსუალობის ველს: ინცესტის აკრძალვა, ტაბუ, კანონი, ჩვეულებები – ყოველივე ეს გარკვეული მიმართულებით წარმართავს ინდივიდის სექსუალობას, რომელსაც ასევე ეზღუდება სექსუალური 'ობიექტების' არჩევანი საპირისპირო სქესითა თუ მასთან მხოლოდ გენიტალური კონტაქტით. ჩვეულებრივ, კულტურა, ფროიდის მიხედვით, „არ აღიარებს სექსუალობას სიამოვნების დამოუკიდებელ წყაროდ და მას ადამიანების მხოლოდ გამრავლების შეუცვლელ საშუალებად განიხილავს". ეს ყოველივე საგრძნობლად ასუსტებს სექსუალობის, როგორც ბედნიერების წყაროს მნიშვნელობას.

მაგრამ სექსუალური ლტოლვები ერთადერთი არაა, რასაც კულტურა ზღუდავს. კულტურა ასევე მიმართულია ინდივიდის აგრესიული ლტოლვების წინააღმდეგაც. საქმე ისაა, რომ ფროიდის მიხედვით, „ადამიანი არაა რბილი და მოსიყვარულე არსება...მისი ლტოლვების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრესიისკენ მიდრეკილებით ხასიათდება... ადამიანისათვის მოყვასი არა მხოლოდ შესაძლო მხარდამჭერი და სექსუალური ობიექტია, არამედ ცდუნებაც – აქციოს ის თავისი აგრესიის დაკმაყოფილების საშუალებად, მისი შრომა ანაზღაურების გარეშე გამოიყენოს, მისი თანხმობის გარეშე გაიხადოს სექსუალურ ობიექტად, დაეპატრონოს მის ქონებას, დაამციროს, ტკივილი მიაყენოს, აწამოს და მოკლას ის". ადამიანი აგრესიული არსებაა. ძველი რომში გაჩენილი გამოთქმა, რომლის მიხედვითაც „ადამიანი ადამიანისათვის მგელია" და რომელიც საფუძვლად დაედო თომას ჰობსის ანთროპოლოგიას (წარმოდგენებს ადამიანზე), არც ფროიდისათვისაა უცხო. ამიტომაცაა საჭირო, კულტურამ საფუძველი ჩაუყაროს ეთიკას, რომელიც ადამიანს ამ აგრესიული ლტოლვების დაკმაყოფილების საშუალებას არ მისცემს. ფროიდის მიხედვით, სწორედ აქედან მომდინარეობს ეთიკის მოთხოვნა, გიყვარდეს შენი მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი. მაგრამ კულტურას არ შეუძლია, ამოძირკვოს აგრესიული და ბოროტი მიდრეკილებები ადამიანისაგან. ფროიდი აქ ეხება კომუნისტურ წარმოდგენებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანი კეთილი და სხვებისადმი კეთილმოსურნეა, რის გამოც მისი ბოროტებისაგან გათავისუფლება შესაძლებელია. ფროიდი სიმპათიით იყო განწყობილი თანასწორობისათვის ბრძოლის მიმართ და ინტერესით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირის პროექტს, რომელიც კომუნისტური მომავლის აშენებას ისახავდა მიზნად. მაგრამ ფროიდი ილუზიად მიიჩნევდა კომუნისტურ იდეას, რომლის მიხედვითაც ადამიანი, არსებითად, კეთილია. აგრესიულ ლტოლვებს ის მიიჩნევდა ადამიანის იმდენად აუცილებელ მახასიათებლად, რომ ისინი ნებისმიერ საზოგადოებაში გამოიწვევენ კონფლიქტს ინდივიდსა და კულტურას შორის.

მაშასადამე, ადამიანის ბუნებაში არსებობს აუცილებელი კონფლიქტი. ეს

კონფლიქტი, ყველაზე ზოგადი ფორმით, იღებს სიცოცხლის ლტოლვასა და სიკვდილის ლტოლვას შორის კონფლიქტის სახეს. სიცოცხლის ლტოლვის პრინციპის გაგება შედარებით ადვილია: ესაა ადამიანის თვითშენარჩუნების ლტოლვა, როგორც ინდივიდისა და როგორც გვარისა. ესაა ეროსის, სიყვარულის, გამრავლების პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას; ის მიმართულია სიამოვნების მიღებაზე.

ამის საპირისპიროდ, ფროიდი ადგენს, რომ ადამიანში მეორე ფუნდამენტური პრინციპიც მოქმედებს. ესაა სიკვდილის ლტოლვა, თვითგანადგურების, თვითგაქრობის სურვილი. ეს ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის ლტოლვაა, დაუბრუნდეს არაორგანულ მდგომარეობას. როდესაც ეს ლტოლვა მიმართულია ფსიქიკური აპარატის გარეთ, სახეზეა განადგურების ლტოლვა, ან ის, რასაც, ფროიდის მიხედვით, ფრიდრიხ ნიცშე აღწერდა, როგორც ძალაუფლების ნებას. როდესაც ის უკავშირდება სექსუალობას, სახეზე გვაქვს სადიზმი (ანუ სიამოვნება, მიღებული სხვისთვის მიყენებული ტკივილისაგან). ხოლო როდესაც ეს ლტოლვა რჩება ფსიქიკის შიგნით, შედეგად ვიღებთ მაზოხიზმს (ტკივილისაგან მიღებულ სიამოვნებას).

მას შემდეგ, რაც ამ ორი პრინციპის გავლენას დაადგენს ადამიანის ცხოვრებაზე, ფროიდი წერს: „ახლა კულტურული განვითარების არსი უკვე ნათელია. მან კაცობრიობის მაგალითზე უნდა გვიჩვენოს, როგორ ებრძვიან ერთმანეთს ეროსი და სიკვდილი, სიცოცხლისკენ ლტოლვა და ლტოლვა დესტრუქციუობისაკენ. სწორედ ეს ბრძოლა შეადგენს სიცოცხლის არსსა და შინაარს და ამიტომ, კულტურის განვითარებას შეიძლება უბრალოდ კაცობრიობის გადარჩენისათვის ბრძოლა ვუწოდოთ“.

მაგრამ თუ კულტურას აგრესიულობა და დესტრუქციულობა ემუქრება, როგორ ახერხებს ის ამ ლტოლვების კონტროლს? ფროიდი პასუხს ავტორიტეტის ინტერიორიზაციას ანუ გაშინაგანებაში პოულობს. ეგოსა და სუპერ-ეგოს შორის დაპირისპირების გამო ინდივიდში ჩნდება დანაშაულის გრძნობა. ამ გრძნობას ორი წყარო აქვს: გარე ავტორიტეტის შიში და შიში სუპერ-ეგოს წინაშე. თავდაპირველად შიშს, რასაკვირველია, გარე ავტორიტეტი იწვევს (მაგ., მშობელი, აღმზრდელი, მასწავლებელი), მაგრამ დროსთან ერთად გარე ავტორიტეტი თავად ფსიქიკის ნაწილი ხდება და აყალიბებს სუპერ-ეგოს ინსტანციას. თუ აქამდე შეიძლებოდა საკუთარი ფიქრები და გრძნობები დაგემალა, სუპერ-ეგოს გაჩენის შემდეგ ვეღარაფერს დაფარავ. ბოროტი ქმედება და ბოროტი განზრახვა დანაშაულის ერთნაირ გრძნობას იწვევს. ეგოს აგრესიას სუპერ-ეგოს აგრესია მოჰყვება ეგოს მიმართ.

ფროიდი აჩვენებს, რომ ბრალის განცდისა და დანაშაულის გრძნობის გაძლიერება წარმოადგენს კულტურის განვითარების ფაქტორს, რომელსაც, თავის მხრივ, ბედნიერების განცდის დაკარგვა სდევს თან. ხშირად სუპერ-ეგოს მოთხოვნები გადაჭარბებულია და ინდივიდში ჯანყის სურვილს ან ნევროზს აჩენს. ამიტომაც კულტურათა უმრავლესობა – და, შესაძლოა, ადამიანური კულტურა,

როგორც ასეთი – ნევროტულია. ნევროზი ფსიქიკურ აშლილობას წარმოადგენს, რომლის მკურნალობის პროცესშიც ჩამოყალიბდა ფსიქოანალიზი როგორც დისციპლინა. მაგრამ ფსიქოანალიზი ინდივიდიალური ადამიანის განკურნვაზე არის მიმართული და ინდივიდუალური ნევროზის თერაპიას გვთავაზობს. ფროიდს არ აქვს რეცეპტი კულტურული ნევროზის განსაკურნებლად. ის არ უყურებს ოპტიმიზმით კულტურის პროგრესს, არ გვთავაზობს გამოსავალს იმ ჩიხიდან, რომელიც ინდივიდის სურვილებსა და კულტურის მოთხოვნებს შორის დაპირისპირებამ გააჩინა. ამის გამო ფროიდს ზოგიერტი პესიმისტს უწოდებს, სხვები კი მას რეალისტად მიიჩნევენ, რომელიც უარს ამბობს საზოგადოების ძირეული შეცვლის ფუჭ ილუზიებზე.

ფროიდის კონცეფციამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მე-20 საუკუნის ფსიქოლოგიასა და, ზოგადად, თეორიულ აზროვნებაზე, არამედ ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაზეც. ფროიდის თეორიისგან დავალებულ თეორეტიკოსთა და შემოქმედთა სიაში არიან: კარლ-გუსტავ იუნგი, სალვადორ დალი, ჰერბერტ მარკუზე, კლოდ ლევი-სტროსი, ჯეიმზ ჯოისი, თომას მანი, დ. ჰ. ლოურენსი, ალფრედ ჰიჩკოკი, ვუდი ალენი და მრავალი სხვა. მაგრამ ეს შთამბეჭდავი ჩამონათვალი ვერ შეგვიქმნის წარმოდგენას ფროიდის გავლენის მასშტაბზე. ფროიდმა შეცვალა ადამიანის შესახებ აზროვნების წესი. და თუმცა მისმა თეორიამ, სექსუალობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების გამო, მისივე თანამედროვე ევროპულ კულტურაში დიდი სკანდალი გამოიწვია (სკანდალურობა, რომელიც მას ბოლომდე დღესაც არ დაუკარგავს), არაცნობიერის აღიარება თანამედროვე კულტურასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვე ღრმადაა ფესვგამდგარი. ფროიდი, მარქსთან და ნიცშესთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თანამედროვე მოაზროვნეა.

კულტურით უკმაყოფილება

მაშ, მოდით, დავსვათ შეკითხვა: რამ მისცა ბიძგი კულტურის განვითარებას, როგორ წარმოიშვა ის და რა წარმართავს მას?

IV

როგორც ჩანს, ამ საკითხის გადაწყვეტა ძალიან რთული ამოცანაა, და ცოტა არ იყოს, საგონებელშიც კი შეიძლება ჩაგვაგდოს. აი ის მცირედი, რისი გარკვევაც მე შევძელი.

ჯერ კიდევ უძველეს დროში, პირველყოფილმა ადამიანმა აღმოაჩინა, რომ ის თავად იყო ქვეყნად თავისი ბედის გამგებელი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და თავისი ყოფის გაუმჯობესება შრომით შეეძლო. ამიტომაც, მისთვის სულ ერთი ვერ იქნებოდა, მასთან ერთად იმუშავებდა სხვა ადამიანი, თუ მის წინააღმდეგ. ადამიანისთვის „სხვამ“ თანამშრომლის მნიშვნელობა შეიძინა და მასთან ერთად ცხოვრება მისთვის სარგებლის მომტანი გახდა. ოჯახური ცხოვრების ჩვეულება ჯერ კიდევ ანთროპოიდობის პერიოდში დამკვიდრდა და ალბათ სწორედ ოჯახის წევრები იყვნენ ადამიანის პირველი დამხმარეები. სავარაუდოა, რომ ოჯახის ჩამოყალიბება დაკავშირებულია გენიტალური დაკმაყოფილების მოთხოვნილებასთან. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მოულოდნელი სტუმრიდან, რომელიც წასვლის მერე დიდი ხნით იკარგება, მუდმივ ბინადრად იქცა, მამრს გაუჩნდა მდედრის, ან უფრო ზოგადად, სექსუალური ობიექტის თავისთან ყოლის მოტივაცია. მდედრი კი, რომელსაც არ სურდა თავის უსუსურ ჩვილებთან განშორება, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებული იყო მასზე ძლიერ მამრთან დარჩენილიყო.

ამ პრიმიტიულ ოჯახს ჯერ კიდევ აკლია კულტურის ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. აქ, ოჯახის უფროსის და მამის ძალაუფლება შეუზღუდავია. „ტოტემი და ტაბუში“ მე შევეცადე, მეჩვენებინა ის გზა, რომელსაც ასეთი ოჯახიდან თანაცხოვრების შემდეგი საფეხურისკენ – ძმური კავშირისაკენ – მივყავართ. მას შემდეგ, რაც ვაჟიშვილები მამას მოერივნენ, ისინი მიხვდნენ, რომ ძალა ერთობაშია და ტოტემური კულტურა იმ შეზღუდვების საფუძველზე აღმოცენდა, რომელიც მათ ამ ახალი მდგომარეობის შესანარჩუნებლად შემოიღეს. ტაბუ ყველაზე ადრეულ, პირველ „კანონს“ წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, ადამიანების ერთობლივი თანაცხოვრების საფუძველი, ერთი მხრივ, გარემოს იძულებით განსაზღვრულმა შრომის აუცილებლობამ, მეორე მხრივ კი იმ სიყვარულის ძალამ შეადგინა, რომელიც კაცისთვის ქალის – როგორც სექსუალური ობიექ-

ტისკენ, ხოლო ქალისთვის – ბავშვის, როგორც საკუთარი სხეულის განუყოფელი ნაწილისაკენ არის მიმართული. კულტურის წინაპრები ეროსი და ანანკე გახდნენ. კულტურის ყველაზე დიდი წარმატება ის იყო, რომ ადამიანების სულ უფრო მეტ რაოდენობას შეეძლო საზოგადოებებში გაერთიანება და იმდენად, რამდენადაც ეს ორი ძალა ერთობლივად მოქმედებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემდგომი განვითარება, გარე სამყაროს კიდევ უფრო მეტად დასაპატრონებლად და ადამიანური საზოგადოების საზღვრების გასაფართოებლად, შეუფერხებლად წარიმართება. გაუგებარია, ბედნიერების გარდა, სხვას რას უნდა ანიჭებდეს თავის წევრებს კულტურა!

მანამ, სანამ უშუალოდ დარღვევების მიზეზებს გავარკვევდეთ, მოდით, შევეცადოთ წინამდებარე მსჯელობაში გაშვებული ხარვეზების გამოსწორებას. კულტურის საფუძვლად ჩვენ სიყვარული მივიჩნიეთ და აღვნიშნეთ, რომ გენიტალური სიყვარული ადამიანს უდიდეს დაკმაყოფილებას ანიჭებს, რომელიც თავისთავად ყოველგვარი ბედნიერების პირველსახეა. შესაბამისად, ბედნიერება ისევ და ისევ სქესობრივ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ და გენიტალური ეროტიკა ცხოვრების ცენტრად ვაღიაროთ. ჩვენ ასევე აღვნიშნეთ, რომ აღნიშნულ გზაზე ადამიანი გარე სამყაროს გარკვეულ ნაწილზე, არჩეულ სიყვარულის ობიექტზე დამოკიდებული ხდება და საშინელ ტანჯვას განიცდის, თუ ეს ობიექტი მას უგულვებელყოფს, ანდა, როდესაც ადამიანი კარგავს ამ ობიექტს ღალატის, ან სიკვდილის შემთხვევაში. ამიტომაც, ყველა დროის ბრძენი ადამიანები დაჟინებით გვირჩევენ თავი ავარიდოთ ამ გზას, თუმცა ამით ის ადამიანების უმრავლესობისთვის თავის მიმზიდველობას არ კარგავს.

ადამიანების მცირე ნაწილს, აგებულება საშუალებას აძლევს, რომ ბედნიერება სიყვარულის გზით მოიპოვოს, მაგრამ ამ შემთხვევაში გარდაუვალი ხდება თავად სიყვარულის ფუნქციის ფართომასშტაბიანი სულიერი ცვლილებები. აღნიშნული პიროვნებები, ობიექტის თანხმობისგან დამოუკიდებელნი ხდებიან და ეს იმით მიიღწევა, რომ ძირითადი ღირებულება აღარ არის „უყვარდე," ის საკუთარი სიყვარულით ჩაენაცვლება. ეს ადამიანები სიყვარულის ობიექტის დაკარგვისგან თავს იმით იცავენ, რომ საკუთარ სიყვარულს ცალკეული ობიექტის მაგივრად ყველა ადამიანისკენ თანაბრად წარმართავენ; ხოლო გენიტალური სიყვარულის ცვალებადობას და იმედგაცრუებებს, სექსუალური მიზნიდან ყურადღების გადატანით იცილებენ თავიდან; ისინი საკუთარ ლტოლვებს მიზანშეკავებულ ლტოლვებად გადააქცევენ და ამ გზით მიღწეულ, გაწონასწორებულ, შეურყეველ და ნაზ გრძნობას არავითარი გარეგნული მსგავსება აღარა აქვს სქესობრივი სიყვარულის მშფოთვარე ცხოვრებასთან – თუმცა ის ნამდვილად ამ უკანასკნელისგან წარმოსდგება. ფრანცისკ ასიზელი ალბათ ყველაზე შორს წავიდა შინაგანი ბედნიერების განცდის მისაღწევად სიყვარულის გამოყენებაში. სიამოვნების პრინციპის შესრულების ეს ტექნიკა არაერთხელ დაუკავშირეს რელიგიას და ეს კავშირი, ალბათ ფსიქიკის იმ შორეულ სფეროშია შესაძლებელი, სადაც, ისევე, როგორც ეგოს და ობიექტებს – თავად ობიექტებს შორის განსხვავებაც აღარაა

განსაზღვრული. ეთიკური თვალსაზრისით (რომლის ღრმა მოტივები ჩვენთვის მალე გახდება ცნობილი), ყველაზე ამაღლებულ განცდას, რომელსაც ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს, სწორედ კაცთმოყვარეობისა და სამყაროს სიყვარულისათვის მზაობა წარმოადგენს. უპრიანია, აქვე გაგაცნოთ ამასთან დაკავშირებული ჩვენი ორი უმთავრესი ეჭვი. საქმე ის არის, რომ განურჩევლად ყველაფრის სიყვარული უსამართლოა ობიექტთან მიმართებაში და ის თავისი ღირებულების გარკვეულ ნაწილს კარგავს – უფრო მეტიც, ყველა ადამიანი ხომ არც არის სიყვარულის ღირსი.

სიყვარული, რომელმაც ოჯახის ინსტიტუტს ჩაუყარა საფუძველი, კვლავ განაგრძობს არსებობას და უშუალო სექსუალურ დაკმაყოფილებაზე უარს არ ამბობს. თუმცა კი, თავდაპირველი ფორმისაგან განსხვავებით, ის მიზანშეკავებულ გრძნობადაც მოდიფიცირდება და ორგვარი ფუნქციის მატარებელი ხდება. თითოეული ამ ფუნქციით ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეაკავშიროს და ამასთან უფრო ინტენსიურად, ვიდრე ამას შრომითი გაერთიანებების პირობებში წარმოქმნილი ინტერესი ახერხებს. სიტყვა „სიყვარულის“ დაუდევარ გამოყენებას თავისი გენეტიკური საფუძველი გააჩნია. მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობას, რომლებიც სქესობრივი მოთხოვნილების საფუძველზე აარსებენ ოჯახს, სიყვარულს უწოდებენ, მაგრამ სიყვარულს ხომ მშობლებსა და შვილებს და და-ძმებს შორის არსებულ დადებით გრძნობებსაც ვუწოდებთ, ჩვენ კი, ასეთ ურთიერთობებს მიზანშეკავებულ სიყვარულს, ან სინაზის გრძნობას ვარქმევთ. მიზანშეკავებული სიყვარული თავდაპირველად სავსებით გრძნობადი სიყვარული იყო და ადამიანის არაცნობიერში ის დღესაც ასეთად რჩება. ორივე, როგორც გრძნობადი, ასევე მიზანშეკავებული სიყვარული, სცილდება ოჯახის ფარგლებს და ახალ კავშირებს ამყარებს ადრე ერთმანეთისთვის უცხო ადამიანებს შორის. სქესობრივ სიყვარულს ახალ ოჯახურ კავშირებამდე მივყავართ, მიზანშეკავებულ სიყვარულს კი – „მეგობრობამდე“, რომელიც კულტურისთვის მნიშვნელოვანი ხდება იმდენად, რამდენადაც ის გენიტალური სიყვარულის ზოგიერთ შეზღუდვას, მაგალითად, მის განსაკუთრებულობას გამორიცხავს. მაგრამ განვითარების პროცესში კულტურის მიმართ სიყვარულის დამოკიდებულება თავის ერთმნიშვნელოვნებას კარგავს. ერთი მხრივ, სიყვარული კულტურის ინტერესების წინააღმდეგ გამოდის, მეორე მხრივ კი, კულტურა სიყვარულს მნიშვნელოვანი შეზღუდვებით ემუქრება.

ეს გაორება გარდაუვალი ჩანს, მაგრამ მისი მიზეზების დადგენა ადვილი არ არის. ის, უპირველეს ყოვლისა, ოჯახსა და უფრო ფართო საზოგადოებას (რომელსაც ცალკეული ინდივიდი განეკუთვნება) შორის კონფლიქტის სახით იჩენს თავს. კულტურის მთავარ მიზნად ჩვენ ადამიანების უფრო მრავალრიცხოვან საზოგადოებებში გაერთიანება ვივარაუდეთ, მაგრამ ოჯახს ინდივიდის გაშვება არ სურს. რაც უფრო ძლიერია ოჯახის წევრებს შორის შინაგანი კავშირი, მით უფრო მიდრეკილი არიან ისინი სხვებისგან თავის შემოზღუდვისაკენ და მით უფრო ძნელია მათთვის საზოგადოების ფართო წრეში შესვლა. ფილოგენეტურად უფრო

ძველი და ბავშვობის ასაკში გავრცელებული ერთობლივი თანაცხოვრების ერთადერთი ფორმა, თავს იცავს იმისგან, რომ მოგვიანებით შეძენილმა, კულტურულმა ფორმამ მისი ადგილი დაიკავოს. ყოველი ახალგაზრდისათვის ოჯახისგან გამოყოფა ისეთ ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაჭრაშიც მას საზოგადოება ხშირად სქესობრივი მომწიფების და უფროსების წრეში მიღების რიტუალებით ეხმარება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს სიძნელეები ყოველგვარი ფსიქიკური და არსებითად ყოველგვარი ორგანული განვითარებისათვის არის დამახასიათებელი.

შემდგომ უკვე ქალები გადაელობნენ გზაზე კულტურას. ისინი აფერხებენ და უკან სწევენ მის განვითარებას, სწორედ ისინი, ვინც სიყვარულის მოთხოვნით ჩაუყარეს საფუძველი კულტურას. ქალები ოჯახის და სექსუალური ცხოვრების ინტერესებს წარმოადგენენ, კულტურული საქმიანობა კი უფრო მეტად კაცების საქმე გახდა. კულტურის განვითარება სულ უფრო მძიმე ამოცანების წინაშე აყენებს ადამიანს და ლტოლვების სუბლიმაციას აიძულებს, ეს უკანასკნელი კი ქალებს ნაკლებად ეხერხებათ. ვინაიდან და რადგანაც, ადამიანი ფსიქიკური ენერგიის შეზღუდულ რაოდენობას ფლობს და თავისი ამოცანები მან ლიბიდოს მიზანმიმართული განაწილებით უნდა გადაჭრას, მისი კულტურულ მიზნებზე დახარჯვა, ძირითადად ქალების და სექსუალური ცხოვრების ხარჯზე ხდება: მუდმივად მამაკაცების წრეში ტრიალი და მათთან ურთიერთობაზე დამოკიდებულება მეუღლის და მამის მოვალეობებისადმი გაუცხოებასაც კი იწვევს. ამრიგად, ქალი ხედავს, რომ, კულტურის მოთხოვნების გამო, მისი მნიშვნელობა იჩქმალება და ამიტომ მტრულად განეწყობა კულტურის მიმართ.

კულტურის მხრიდან სექსუალური ცხოვრების შეზღუდვის ტენდენცია არანაკლებ აშკარაა, ვიდრე მეორე – კულტურული წრის გაფართოების ტენდენცია. ობიექტის ინცესტუოზური არჩევა, ჯერ კიდევ კულტურის პირველ, ტოტემისტურ ეტაპზე აიკრძალა და ეს აკრძალვა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი დარტყმაა, რომელიც კი ადამიანის სასიყვარულო ცხოვრებას ოდესმე განუცდია. ტაბუს, კანონის და ჩვეულებების საშუალებით სხვა ისეთი შეზღუდვებიც შემოიღეს, რომლებიც, კაცებსაც ეხებოდა და ქალებსაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კულტურა ამ მიმართულებით მეტ-ნაკლებად შორს წავიდა. დარჩენილი სექსუალური თავისუფლების საზომზე მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოების არსებული ეკონომიკური სტრუქტურაც ახდენს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, კულტურა ეკონომიკური აუცილებლობის იძულების ძალით მოქმედებს, როცა საკუთარი მიზნებისთვის სექსუალობას ფსიქიკური ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს ართმევს. ბუნებრივია, ამ დროს, სხვისი მჩაგვრელი და დამმონებელი ტომის, ან საზოგადოების მსგავსად, კულტურა სექსუალობის წინააღმდეგ გამოდის. ჩაგრულთა მხრიდან ამბოხების შიში მკაცრი გამაფრთხილებელი ზომების მიღების აუცილებლობას ბადებს. ამგვარი განვითარების უმაღლეს წერტილს ჩვენი დასავლეთევროპული კულტურა წარმოადგენს. ჩვენი კულტურა ბავშვის სექსუალობის გამოვლინებებს გმობს და ეს ფაქტი ფსიქოლოგიურად სავსებით გამარ-

თლებული ჩანს, რადგან უფროსებთან სექსუალური ჟინის მოთოკვაზე ლაპარაკი, ბავშვობაში მათი წინასწარი დამუშავების გარეშე, უაზრობა იქნებოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულმა განვითარებამ აქ ძალიან ღრმად შეტოპა და სრულიად აშკარა და თვალსაჩინო ფენომენების უარყოფამდეც კი მივიდა, რაც, ვფიქრობ, ყოვლად გაუმართლებელია. საზოგადოების მოთხოვნების თანახმად, მოწიფული ინდივიდის მიერ არჩეული ობიექტი აუცილებლად საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს, სასქესო ორგანოების გარეშე დაკმაყოფილებათა უმრავლესობა გარყვნილებად აღიქმება და მიუღებლად არის მიჩნეული. ამ აკრძალვებში ნაგულისხმევი ყველასათვის ერთნაირი სექსუალური ცხოვრების მოთხოვნა არ ითვალისწინებს ინდივიდის სექსუალური აგებულებით გაპირობებულ, თანშობილ, თუ შეძენილ განსხვავებებს. საზოგადოება სექსუალური ტკბობის მნიშვნელოვან ნაწილს ართმევს ადამიანს და, ამდენად, ის უსამართლობის აუტანელ წყაროდ იქცევა. ზემოხსენებული აკრძალვების და ნორმების წარმატებულობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, ნორმალური და ხელსაყრელი კონსტიტუციის მქონე ინდივიდების მთელ სექსუალურ ინტერესს, დანაკლისის გარეშე წარმართავენ მისაღები მიმართულებით. დასაშვებად კი, მხოლოდ ჰეტეროსექსუალური, გენიტალური სიყვარულია მიჩნეული და ამ შემთხვევაშიც, მისი ლეგიტიმურობის და მონოგამიის შეზღუდვები იჩენს თავს. თანამედროვე კულტურა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის, მხოლოდ ერთხელობრივ და ურღვევ კავშირს მიესალმება. ის არ აღიარებს სექსუალობას სიამოვნების დამოუკიდებელ წყაროდ და მას ადამიანების მხოლოდ გამრავლების შეუცვლელ საშუალებად განიხილავს.

ეს, რა თქმა უნდა, უკიდურესობაში გადავარდნის ტოლფასია და ცხადია, დროის თვით მოკლე მონაკვეთშიც კი სავსებით განუხორციელებელი ამოცანაა. პიროვნების სექსუალურ ცხოვრებაში ასეთ უხეშ ჩარევას მხოლოდ სუსტები დაემორჩილნენ, ძლიერი ნატურა კი, ასეთ ჩარევას მხოლოდ გარკვეული კომპენსაციის პირობებში იტანს (ამ კომპენსაციებს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ). კულტურული საზოგადოება იძულებულია, თვალი დახუჭოს მრავალ ისეთ დარღვევაზე, რომლებიც მისი წესების მიხედვით აღკვეთას იმსახურებს, თუმცა, მეორე მხრივ, კულტურის ზოგიერთი მიზნის მიუღწევლობამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს ამგვარი კულტურული განწყობა სავსებით უვნებელია. კულტურული ადამიანის სექსუალურ ცხოვრებას ნამდვილად სერიოზული ზიანი აქვს მიყენებული და ამჟამად ის ისეთივე გაქრობის პროცესში მყოფ ფუნქციად წარმოგვიდგება, როგორც ჩვენი ყბები და თავზე თმა. ჩვენ ალბათ სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სექსუალობის, როგორც ბედნიერების წყაროს – აქედან გამომდინარე კი, როგორც ჩვენი ცხოვრების მიზნების რეალიზაციის – მნიშვნელობა საგრძნობლად შესუსტდა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საქმე არა მხოლოდ კულტურის ზეწოლას ეხებოდეს, არამედ სრული დაკმაყოფილებისათვის ხელისშემშლელი პირობა თავად ამ ფუნ-

ქციის არსში იყოს წარმოდგენილი და სხვა გზებისკენ გვიბიძგებდეს. ნამდვილად ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება აღნიშნული სიმართლეს.*

V

როგორც ფსიქოანალიზურმა მუშაობამ გვიჩვენა, ნევროზით დაავადებულებისათვის სწორედ სექსუალური ცხოვრების ეს უარებია აუტანელი. ისინი თავიანთი სიმპტომების საშუალებით იღებენ ერზაც დაკმაყოფილებას, მაგრამ იმის გამო, რომ ეს სიმპტომები დიდ სიძნელეებს უქმნით გარემოსა და საზოგადოებაში, ან თვითონ იტანჯებიან, ან სხვას აყენებენ ტანჯვას. ეს უკანასკნელი ქმედება ადვილი გასაგებია, მაგრამ პირველი კი ნამდვილი თავსატეხი გამოცანაა. მაგრამ, თურმე, კულტურა სექსუალური დაკმაყოფილების გარდა, სხვა მსხვერპლსაც მოითხოვს.

კულტურის განვითარების სიძნელე, ჩვენ ზოგადად ევოლუციის სიძნელის მაგალითის სახით განვიხილეთ და ეს სიძნელე ლიბიდოს ინერტულობას, მისი მხრიდან ძველი პოზიციის დათმობისა და ახლის მიღების უუნარობას დავუკავშირეთ. დაახლოებით იგივეს გავიმეორებთ, თუ კულტურასა და სექსუალობას შო-

---

* ზემოთქმული მოსაზრების მხარდასაჭერად შესაძლებელია, შემდეგი შენიშვნა გამოითქვას: თვით ადამიანი, თავისი ბუნებით, ერთმნიშვნელოვნად ბისექსუალური, ცხოველური არსებაა. ინდივიდი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორი სიმეტრიული ნახევრის შერწყმა, რომელთაგან ერთი, ზოგიერთი მკვლევრის აზრით – წმინდად მამაკაცური, ხოლო მეორე – წმინდად ქალურია. ამასთან, შესაძლებელია თავდაპირველად ორივე ნახევარი ჰერმაფროდიტული იყო. სქესი – ბიოლოგიური ფაქტია, რომელიც სულიერი ცხოვრებისათვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, ფსიქოლოგიურად ძნელი გასაგებია. ჩვეულებრივ, ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველი ადამიანი მამაკაცურ ლტოლვებს, მოთხოვნილებებს და ნიშნებსაც ამჟღავნებს და ქალურსაც. მაგარამ, მამაკაცურ და ქალურ ხასიათს ანატომია განაპირობებს და არა ფსიქოლოგია, ამ უკანასკნელისათვის კი სქესობრივი განსხვავება აქტიურობასა და პასიურობაზე დაიყვანება და ყოველგვარი ეჭვის გარეშე აქტიობას – მამაკაცურ, პასიობას კი – ქალურ საწყისს ვუკავშირებთ (თუმცა ცხოველებთან ზოგჯერ გამონაკლისებსაც ვხვდებით). ბისექსუალობის შესახებ მოძღვრება ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრ გაურკვევლობას შეიცავს და ფსიქოანალიზს მნიშვნელოვანხინჯად უნდა ჩავუთვალოთ, რომ ლტოლვების შესახებ მოძღვრებას არავითარი შეხების წერტილი არ გააჩნია ამ მოძღვრებასათან. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ნამდვილად დავუშვებთ, რომ თითოეულ ინდივიდს თავის სექსუალურ ცხოვრებაში მამაკაცური სურვილების დაკმაყოფილებაც სურს და ქალურისაც, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ერთი ობიექტით ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებელია და თუ ადამიანი მათ არ გააცალკევებს და თითოეულს განსაკუთრებულ, მისთვის განკუთვნილი გზას არ მიუჩენს, აღნიშნული ლტოლვები ხელს შეუშლიან ერთმანეთს. მეორე სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ეროტიკულ ურთიერთობას, მისი საკუთარი სადისტური კომპონენტების გარდა, ხშირად შიშველი აგრესიისკენ მიდრეკილებაც ახლავს თან და ერთი გლეხის ქალის მსგავსად, რომელიც ჩიოდა, ქმარს აღარ ვუყვარვარ, რადგანაც უკვე ერთი კვირაა აღარ ვუცემივარო, ასეთი გართულებების მიმართ სიყვარულის ობიექტი ყოველთვის გაგებასა და მიმღებლობას ვერ გამოიჩენს...

რის წინააღმდეგობის მიზეზის შესახებ ვიტყვით, რომ სექსუალური სიყვარული ორ პიროვნებას შორის ურთიერთობას გულისხმობს – სადაც მესამე პირი ყოვლად ზედმეტი და ხელისშემშლელია – კულტურა კი, სწორედ ადამიანთა დიდი რაოდენობის ურთიერთობას ეფუძნება. სასიყვარულო ურთიერთობის მწვერვალებზე გარეშე სამყაროსადმი ინტერესი ქრება. შეყვარებული წყვილისათვის ერთმანეთი სრულიად საკმარისია და ბედნიერებისთვის საერთო ბავშვიც კი არ არის საჭირო. არც ერთ სხვა შემთხვევაში ეროსი ასე ცხადად არ ამჟღავნებს თავის არსს და მიზანს – მრავლისგან შექმნას ერთი, მაგრამ, როდესაც – ერთი ანდაზისა არ იყოს – ორი ადამიანის სიყვარულით გაერთიანების მიზანი მიღწეულია, ამაზე შორს ის აღარ მიდის.

კულტურული საზოგადოება ინდივიდთა ლიბიდოზურად დაკმაყოფილებული და ერთმანეთთან საერთო საქმით დაკავშირებული წყვილებისაგან შედგება. ამ შემთხვევაში, კულტურას თითქოს არ უნდა სჭირდებოდეს ენერგია წაართვას სექსუალობას, მაგრამ ამგვარი იდეალური მდგომარეობა არ არსებობს და არც არასდროს არსებულა. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ კულტურა უკვე არსებული კავშირებით არ კმაყოფილდება – მას სურს საზოგადოების წევრები ლიბიდოზურადაც გააერთიანოს, რისთვისაც ნებისმიერ საშუალებას მიმართავს და ცდილობს საზოგადოების წევრები ძლიერი იდენტიფიკაციით დააკავშიროს ერთმანეთთან. საზოგადოებრივი კავშირების მეგობრული ურთიერთობებით გასაძლიერებლად კულტურა ფაქტიურად მიზანშეკავებული ლიბიდოს ფართომასშტაბიან მობილიზაციას ახდენს. ამ შემთხვევაში სექსუალური ცხოვრების შეზღუდვები გარდაუვალია, მაგრამ მთლად ცხადი არ არის კულტურის მიერ სექსუალობისათვის ომის გამოცხადების აუცილებლობა – როგორც ჩანს, აქ ჩვენთვის ჯერ უცნობი წინააღმდეგობა მოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით კულტურული საზოგადოების ერთმა ე. წ. იდეალურმა მოთხოვნამ შეიძლება სწორ გზაზე გაგვიყვანოს. საყოველთაოდ ცნობილი დებულება – „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ უეჭველად გაცილებით ძველია, ვიდრე ქრისტიანობა, რომელსაც ის თავის ყველაზე საამაყო მოწოდებად მიიჩნევს. და მაინც, ეს მცნება სინამდვილეში არც თუ ისე ძველია და ჯერ კიდევ ისტორიულ ხანაში სრულიად უცხო იყო ადამიანისათვის. თუ ამ მოთხოვნას გულუბრყვილოდ მივუდგებით, ვითომ პირველად გვესმის მის შესახებ – მაშინ, ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ექნება. რატომ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ დებულებით? რა სარგებლობას მოგვიტანს ის? და რაც მთავარია – როგორ მოვახერხოთ ეს? როგორ არის ეს შესაძლებელი? ჩემი სიყვარული, ჩემთვის უდავოდ ძვირფასი რამაა და მისი უაზრო ფანტვა არ შეიძლება. ის გარკვეულ ვალდებულებას მაკისრებს და მე მსხვერპლიც უნდა გავიღო, რათა ისინი პირნათლად შევასრულო. თუ მე ვინმე მიყვარს, მან ეს სიყვარული როგორმე უნდა დაიმსახუროს (მე არ ვგულისხმობ სარგებელს, რომელიც მან შეიძლება მომიტანოს და არც მისი, როგორც სექსუალური ობიექტის შესაძლო ღირებულებას. მოყვასის სიყვარულის მნიშვნელობა ურთიერთობის ამ ორ სახეს არ ითვალისწინებს). ის

ჩემს სიყვარულს იმ შემთხვევაში დაიმსახურებს, თუ გარკვეული მნიშვნელოვანი ასპექტების მიხედვით იმდენად მგავს მე, რომ მასში საკუთარ თავს შევიყვარებ. ის მაშინ დაიმსახურებს სიყვარულს, თუ ის ბევრად ჩემზე სრულყოფილია და მასში ჩემი საკუთარი თავის იდეალი შემიძლია მიყვარდეს. მე ის უნდა მიყვარდეს, თუ ის ჩემი მეგობრის ვაჟიშვილია და განსაცდელის შემთხვევაში, მე მეგობრის ტკივილი უნდა გავიზიარო. მაგრამ, თუ ის უცხოა და მისი ღირსებები ჩემთვის მიმზიდველი არ არის და არც ჩემი გრძნობებისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა, მაშინ მისი სიყვარული ნამდვილად გამიჭირდება. ეს უსამართლობაც კია ჩემი ახლობლების მიმართ, რადგან ისინი ჩემს ასეთ სიყვარულს სხვებისათვის უპირატესობის მინიჭებად ჩათვლიან და ჩემი მხრიდან უსამართლობაა მათი და უცხო ადამიანების გაიგივება. მაგრამ, თუ მე ის საყოველთაო სიყვარულით მხოლოდ იმიტომ უნდა მიყვარდეს, რომ ისიც ცოცხალი არსებაა მწერის, ჭიაყელას, ან ჩხრიალა გველის მსგავსად, მაშინ, ვშიშობ, მას ძალიან მცირე სიყვარული ერგება წილად. ყოველ შემთხვევაში, იმაზე ნაკლები, ვიდრე საღი აზრის გათვალისწინებით საკუთარი თავისთვის შემიძლია დავიტოვო. მაშინ რა საჭიროა ასეთი ხმამაღალი მოწოდება, თუ მისი შესრულება გონივრულადაც კი ვერ ჩაითვლება? თუ დაკვირვებით შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ სირთულე კიდევ უდრო დიდია.

ეს უცხო ადამიანი არა თუ ჩემი სიყვარულის ღირსია, მართალი გითხრათ, მტრობას და სიძულვილსაც კი იმსახურებს. ის ჩემ მიმართ იოტისოდენა სიყვარულს არ ამჟღავნებს და არავითარ პატივისცემას არ გამოხატავს. ის უეჭველად მომაყენებდა ზიანს, თუ ამით რამეს ისარგებლებდა და არც დაფიქრდებოდა, ღირს თუ არა ჩემთვის მოყენებული ზიანი მის მოგებად. მისთვის სარგებლის მიღებაც კი ზედმეტია, საკმარისია ამით რაიმე სურვილი დაიკმაყოფილოს, მას არაფრად უღირს ჩემი დაცინვა, შეურაცხყოფის მოყენება, ცილისწამება და საკუთარი ძალების ჩემზე დემონსტრირება. და რაც უფრო თავდაჯერებულად გრძნობს ის თავს და უფრო უსუსური ვარ მე – მით უფრო მოსალოდნელია მისგან ესეთი საქციელი. როცა ის სხვანაირად იქცევა, და მიუხედავად იმისა, რომ უცხოა ჩემთვის, მაინც პატივისცემას და ყურადღებას იჩენს, მაშინ მე სულაც არ მჭირდება მოყვასის სიყვარულისაკენ მოწოდება იმისთვის, რომ სიკეთეს სიკეთით ვუპასუხო. მე არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო ეს დიდებული მცნება ასე რომ ჟღერდეს: „გიყვარდეს მოყვასი შენი ისე, როგორც მას შენ უყვარხარ;“ მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მცნება, რომელიც კიდევ უფრო წარმოუდგენლად მეჩვენება, და უფრო დიდ წინააღმდეგობას აღძრავს ჩემში – „გიყვარდეს მტერი შენი.“ თუმცა ახლა ვხვდები, რომ ეს ორი მცნება ფაქტიურად ერთი და იგივეა და მე ვცდებოდი, როდესაც უარვყავი ეს მეორე მოთხოვნა, როგორც უფრო კატეგორიული.*

* დიდი პოეტი უფლებამოსილია ხუმრობით მაინც გამოთქვას დაფარული ფსიქოლოგიური სინამდვილე. ჰაინრიხ ჰაინე აღიარებს: „მე მშვიდობიანი ადამიანი ვარ. ჩემი სურვილია მქონდეს მოკრძალებული ქოხი ჩალის სახურავით, მაგრამ აუცილებლად – კარგი საწოლი, კარგი საჭმელი, ახალი რძე და კარაქი, ფანჯრის წინ ყვავილები, ზღურბლთან რამდენიმე ლამაზი ხე და თუ მაღალ ღმერთს ჩემი სრულად გაბედნიერება მოესურვება, ამ ხეებზე ექვსი-შვიდი ჩამოხრჩობილი ჩემი

ავტორიტეტული ხმა კი გვაფრთხილებს: სწორედ იმიტომ უნდა გიყვარდეს ის შენი თავის მსგავსად, რომ შენი მტერია და შენი სიყვარულის ღირსი არ არის. ეხლა კი კარგად ვხედავთ, რომ ეს Credo quia absurdum[1]-ის მსგავსი შემთხვევაა.

ადვილი შესაძლებელია, რომ მოყვასი, რომელსაც საკუთარი თავის მსგავსად ჩემი შეყვარებისაკენ მოუწოდებენ, ასეთივე პასუხს გასცემს ამ მოწოდებას და იგივე არგუმენტებით დაასაბუთებს. დარწმუნებული ვარ, ის გაიზიარებს ჩემს მოსაზრებას, თუმცა არა იგივე ობიექტური უფლებით. ადამიანის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ქცევებს ეთიკა, მათი ყოველგვარი განპირობებულობის გათვალისწინების გარეშე, „კეთილ“ და „ბოროტ“ ქცევებად ყოფს. მანამ, სანამ ეს განსხვავებები უდავოდ არის მიჩნეული, მაღალი ეთიკური მოთხოვნების მიყოლა ბოროტებას წაახალისებს და შესაბამისად დიდ ზიანის მომტანი იქნება კულტურისთვის. აქ საფრანგეთის პარლამენტში მომხდარი ერთი ამბავი მახსენდება, სადაც სიკვდილით დასჯის საქმე განიხილებოდა. ორატორი აღელვებული ითხოვდა მის გაუქმებას და მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა, სანამ დარბაზიდან ვიღაცამ არ დაიყვირა: “Que messieurs les assassins commencent”.[2]

ამ ყველაფრის უკან ხშირად უარყოფილი ჭეშმარიტება იმალება – ადამიანი არ არის რბილი და მოსიყვარულე არსება, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში თავდასხმისგან თავის დაცვა შეუძლია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი ლტოლვების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრესიისკენ მიდრეკილებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, ადამიანისთვის მოყვასი არა მხოლოდ შესაძლო მხარდამჭერი და სექსუალური ობიექტია, არამედ ცდუნებაც – აქციოს ის საკუთარი აგრესიის დაკმაყოფილების საშუალებად, მისი შრომა ანაზღაურების გარეშე გამოიყენოს, მისი თანხმობის გარეშე გაიხადოს სექსუალურ ობიექტად, დაეპატრონოს მის ქონებას, დაამციროს, ტკივილი მიაყენოს, აწამოს და მოკლას ის. Homo homini lupus.[3] ვინ გაბედავს ამის უარყოფას მრავალი ცხოვრებისეული და ისტორიული გაკვეთილის შემხედვარე? ეს სასტიკი აგრესია, როგორც წესი, პროვოკაციას ელოდება, ან სხვა ისეთ მიზნებს ემსახურება, რომელთა მიღწევაც უფრო რბილი საშუალებებითაც იქნებოდა შესაძლებელი. ხელსაყრელ პირობებში, როდესაც მისი შემაკავებელი სულიერი ძალები არ მოქმედებს, აგრესია შეიძლება სპონტანურადაც გამოვლინდეს და მაშინ ადამიანი წარმოგვიდგება ურჩხულად, რომელიც საკუთარ მოდგმასაც კი არ ინდობს. თუ გავიხსენებთ ხალხთა გადასახლების მრავალრიცხოვან საშინელ მაგალითს, ჰუნების, ჩინგის ხანის და მონღოლების შემოსევებს თემურ-ლენგის მეთაურობით, ღვთისმოსავი ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის დალაშქვრას, ან თუნდაც უკანასკნელი მსოფლიო ომის კოშმარს, იძულებული შევიქნებით მორჩილად მოვიხაროთ ქედი ამ მოსაზრების ჭეშმარიტების წინაშე.

მტერი. სიკვდილის წინ მე მათ გულაჩუყებული ვაპატიებდი ჩემთვის მოყენებულ ყველა ბოროტებას – დიახ, მტერს უნდა აპატიო, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩამოახრჩობენ!“

სწორედ აღნიშნული აგრესიისადმი მიდრეკილება, რომელსაც ჩვენ საკუთარ თავშიც აღმოვაჩენთ და სრული უფლება გვაქვს სხვებთანაც ვივარაუდოთ მისი არსებობა, უშლის ხელს მოყვასთან ჩვენს ურთიერთობას და აფერხებს კულტურის წინსვლას. ადამიანებს შორის ამ პირველადი მტრობის გამო, კულტურული საზოგადოება მუდმივად დაშლის საშიშროების წინაშე დგას. მას ვერ შეინარჩუნებს მშრომელი საზოგადოების ინტერესები, რადგან ლტოლვები გაცილებით ძლიერია, ვიდრე რაციონალური ინტერესები. საწინააღმდეგო ფსიქიკური რეაქციების ჩამოყალიბებით ადამიანის აგრესიული ლტოლვების დასამორჩილებლად და აგრესიის შესაკავებლად, კულტურას მთელი ძალების მობილიზაცია სჭირდება. სწორედ აქედან მოდის ის მეთოდები, რომლებიც ადამიანს იდენტიფიკაციისაკენ და მიზანშეკავებული სასიყვარულო ურთიერთობებისაკენ მოუწოდებს. აქედან მოდის სექსუალური ცხოვრების შეზღუდვაც და მოყვასისადმი სიყვარულის იდეალური მცნებაც. ეს მცნება იმით არის გამართლებული, რომ ყველაზე ძლიერად ეწინააღმდეგება ადამიანური საწყისის ბუნებას. ჯერჯერობით კულტურამ თავისი მცდელობებით ბევრს ვერაფერს მიაღწია. სასტიკი ძალადობის ყველაზე უხეშ გამოვლინებებს კულტურა საზოგადოების მიერ დამნაშავის დასჯით ებრძვის, მაგრამ კანონი უძლურია ადამიანის აგრესიის უფრო ფრთხილი და დახვეწილი ფორმების წინააღმდეგ. ყოველი ადამიანი ერთხელ მაინც განიცდის მოყვასთან დაკავშირებული ახალგაზრდული იმედების მსხვრევას და შეიცნობს სხვების ბოროტი ნებით შექმნილი ცხოვრების სიმძიმესა და ტკივილს. ამასთან, უსამართლობა იქნება კულტურას ბრძოლის და შეჯიბრის ადამიანის საქმიანობიდან გამორიცხვის სურვილი დავაბრალოთ. ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ მეტოქეობა აუცილებლად მტრობას არ ნიშნავს – ეს მისი ბოროტად გამოყენების შემთხვევაა.

კომუნისტებს სჯერათ, რომ ბოროტებისგან გათავისუფლების გზა იპოვეს. ადამიანი ერთმნიშვნელოვნად კეთილია და სხვისთვის სიკეთე სურს, მაგრამ კერძო საკუთრების ინსტიტუტმა წაახდინა მისი ბუნება. კერძო საკუთრება ადამიანს ძალაუფლებას ანიჭებს და შესაბამისად აცდუნებს სხვაზე იძალადოს. ადამიანი, რომელსაც ქონება წაართვეს გაბოროტებულია და მჩაგვრელის წინააღმდეგ ამბოხება სურს. კერძო საკუთრების გაუქმების შემთხვევაში კეთილდღეობა ყველასთვის საერთო და ხელმისაწვდომი გახდება და შესაბამისად ადამიანებს შორის ბოროტება და მტრობაც გაქრება. ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემთხვევაში, არავის არ ექნება საფუძველი, ვინმე მტრად იგულვოს და ყველა ხალისით შეუდგება აუცილებელ შრომას. ჩემი ამოცანა არ არის კომუნისტური სისტემის ეკონომიკური კრიტიკა და არც იმის განხილვას ვაპირებ, მიაღწევს თუ არა დასახულ მიზანს და იქნება თუ არა სასარგებლო კერძო საკუთრების გაუქმება.*

* ეჭვგარეშეა, რომ ის ადამიანები, ვინც ახალგაზრდობაში სიღატაკე, შეძლებულთა გულგრილობა და ქედმაღლური დამოკიდებულება გამოცადა, ქონებრივი თანასწორობისთვის და ანალოგიური პრობლემებისათვის ბრძოლას თანაუგრძნობენ. მაგრამ, როდესაც ეს ბრძოლა ყველა ადამიანის თანასწორობის აბსტრაქტული

რაც შეეხება მის ფსიქოლოგიურ წანამძღვრებს, აქ კი უნდა ვაღიარო, რომ ისინი გრძნობამორეული ილუზიაა. კერძო საკუთრების გაუქმებით ადამიანურ აგრესიას ერთ იარაღს წავართმევთ – ერთ-ერთ ნამდვილად ძლიერ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ყველაზე ძლიერ იარაღს. ისეთ ძალაუფლებასა და გავლენაში, რომელთაც აგრესია საკუთარი მიზნებისათვის ბოროტად იყენებს განსაკუთრებული და განსხვავებული არაფერია და არც თავად აგრესიის არსი იცვლება ასეთ შემთხვევაში. აგრესია ქონებას არ მოუტანია, ის გაცილებით ადრე ბატონობდა შეუზღუდავად, როცა საკუთრება ჯერ კიდევ მეტად უსუსური ფორმით არსებობდა. ეს ბავშვობაშივე იჩენს თავს, როდესაც საკუთრება თავის საწყის ანალურ ფაზას ეთხოვება. სწორედ საკუთრებაა ადამიანებს შორის ყველა ალერსიანი და სასიყვარულო ურთიერთობის ნივთიერი მტკიცება, ალბათ მხოლოდ ერთი – დედისა და მისი ვაჟიშვილის ურთიერთობის გამოკლებით. მატერიალურ კეთილდღეობაზე პიროვნული უფლებების გაუქმების მიუხედავად, პრივილეგიები სექსუალური ურთიერთობების სფეროში მაინც დარჩება და ის უძლიერესი არაკეთილმოსურნეობის და უდიდესი მტრობის წყარო გახდება. თუ ამასაც მოვიშორებთ, სექსუალურ ცხოვრებას სრულიად გავათავისუფლებთ და ოჯახს, როგორც კულტურის ქვაკუთხედს გავანადგურებთ, მაშინ კულტურის განვითარების მიმართულების წინასწარმეტყველება შეუძლებელი გახდება. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ადამიანის ბუნების ეს განუყოფელი ნიშანი მას ამ გზაზეც თან გაჰყვება.

ცხადია, ადამიანს უჭირს უარის თქმა თავისი აგრესიული მიდრეკილების დაკმაყოფილებაზე და ამას ცუდად იტანს. ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია სარგებლობა სარგებელი, რომლითაც ადამიანს ვიწრო კულტურული კოლექტივი უზრუნველყოფს – ეს ხომ შესაძლებლობას აძლევს, აგრესიულ ლტოლვა ამ წრის გარეთ მყოფთა მიმართ მტრობით დაიკმაყოფილოს. ყოველთვის შესაძლებელია სიყვარულით ერთმანეთთან დავაკავშიროთ ადამიანთა დიდი რაოდენობა, მაგრამ აუცილებლად უნდა არსებობდეს ვინმე, ვინც აგრესიის ობიექტი გახდება. ერთხელ ყურადღება მივაქციე ურთიერთმტრობისა და დაცინვის ფენომენს ისეთ მეზობელ და სხვა ყოველმხრივ ახლობელ საზოგადოებებს შორის, როგორებიცაა, მაგალითად ესპანელები და პორტუგალიელები, ჩრდილო და სამხრეთ გერმანელები, ინგლისელები და შოტლანდიელები. მე ამას „მცირე განსხვავებათა ნარცისიზმი“ ვუწოდე, თუმცა ეს მნიშვნელოვან განმარტებას არ იძლევა. ეს ფენომენი მხოლოდ აგრესიული მიდრეკილების მოხერხებული და შედარებით უვნებელი დაკმაყოფილების მაგალითია, რომელიც საზოგადოების წევრებს ერთმანეთის მხარდაჭერას უადვილებს. თუმცა მთელ მსოფლიოში გაბნეულ ებრაელ ხალხს ნამდვილად მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის მასპინძელი ხალხების კულტურების წინაშე, სამწუხაროდ, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ებრაელების ხოცვა-ჟლეტა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ უფრო

მოთხოვნის სახეს იღებს, ეს აუცილებლად სადავო გახდება. ბუნებამ ხომ მეტად არათანაბრად დაასაჩუქრა ადმიანები სხეულებრივი თუ სულიერი უნარებით, ამ უთანასწორობის წინააღმდეგ კი არავითარი საშუალება არ არსებობს.

მშვიდობიანი და უსაფრთხო ეპოქა დამდგარიყო მათი ქრისტიანი თანამემამულეებისათვის. მას შემდეგ, რაც პავლე მოციქულმა ქრისტიანული საზოგადოების საფუძვლად კაცთმოყვარეობა გამოაცხადა, შედეგად სხვა რელიგიების მიმართ ქრისტიანობის უკიდურესი შეუწყნარებლობა მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ რომაელებისათვის რელიგია სახელმწიფო საქმეს წარმოადგენდა, თავად სახელმწიფო რელიგიური სულით იყო გაჟღენთილი და საზოგადოებრივი წყობა სიყვარულზე სულაც არ აუშენებიათ – მათთვის უცხო იყო რელიგიური შეუწყნარებლობა. უცნაური დამთხვევა სულაც არ არის, რომ მსოფლიო ბატონობის გერმანულ ოცნებას ანტისემიტიზმის მოწოდება დაერთო და ასევე სავსებით გასაგებია, რომ რუსეთში ახალი კომუნისტური კულტურის შექმნის მცდელობა, თავის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას ბურჟუაზიის დევნაში პოულობს. ნამდვილად დამაფიქრებელია, თუ რას მოიმოქმედებენ საბჭოები, მას შემდეგ, რაც ყველა ბურჟუას გაჟლეტენ.

როგორც ვხედავთ, კულტურა არა მხოლოდ სექსუალობის, არამედ ადამიანის აგრესიული მისწრაფებების უდიდესი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს, ამიტომ ჩვენთვის გასაგებია, რომ ასეთ კულტურაში ადამიანს გაუჭირდება თავი ბედნიერად იგრძნოს. პირველყოფილი ადამიანი თავს ფაქტიურად იმიტომ გრძნობდა უკეთესად, რომ მან არ იცოდა ლტოლვების შეზღუდვის შესახებ. სამაგიეროდ, ძალიან მცირე იყო ამ ბედნიერებით ხანგრძლივი ტკბობის გარანტია. კულტურულმა ადამიანმა თავისი შესაძლო ბედნიერების გარკვეული ნაწილი უსაფრთხოების გარანტიაზე გაცვალა. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველყოფილ ოჯახში მხოლოდ ოჯახის უფროსი სარგებლობდა ლტოლვების დაკმაყოფილების თავისუფლებით, სხვები კი მონურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ამრიგად, კონტრასტი კულტურის სარგებლით დამტკბარ უმცირესობას და ამ სარგებელს მოკლებულ უმრავლესობას შორის კულტურის არსებობის ამ ეტაპზე მაქსიმალურად იყო გამოხატული. პრიმიტიული ხალხების გულდასმით შესწავლამ გამოავლინა, რომ მათი ლტოლვების თავისუფლება შესაშური ნამდვილად არ არის და ის სხვა – შეიძლება გაცილებით ძლიერ – შეზღუდვებსაც კი განიცდის, ვიდრე თანამედროვე კულტურული ადამიანის ლტოლვები.

როდესაც ჩვენ სამართლიანად ვადანაშაულებთ კულტურის დღევანდელ მდგომარეობას ბედნიერი ცხოვრების წესის ჩვენეული მოთხოვნების არასაკმარისად შესრულებაში, იმაში, რომ ის მრავალ ტკივილს გვაყენებს, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია, როდესაც ჩვენ უხეში კრიტიკით ვცდილობთ მისი არასრულყოფილების მიზეზების გამოვლენას, ჩვენ ამის სრული უფლება გვაქვს და ამის გამო კულტურის მტრებად არ უნდა ჩავითვალოთ. ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ ჩვენი კულტურის ისეთ ცვლილებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებას და ჩვენი კრიტიკაც ზედმეტი გახდება. თუმცა იმ აზრსაც უნდა შევეგუოთ, რომ არსებობს სიძნელეები, რომლებიც თან ახლავს თავად კულტურის არსს და რომლებიც არავითარ რეფორმას არ ექვემდებარება. ლტოლვების შეზღუდვის გარდა (რომლისათვისაც

ჩვენ უკვე მზად ვართ), ჩვენ კიდევ ერთი საშიშროება გვემუქრება, რომელსაც „საზოგადოების ფსიქოლოგიური სიღატაკე“ შეიძლება ვუწოდოთ. ეს საფრთხე ყველაზე ძლიერია იქ, სადაც საზოგადოების კავშირი, ძირითადად, მისი წევრების ურთიერთიდენტიფიკაციის გზით იქმნება, ბელადებს კი ის მნიშვნელოვნება არ შეუძენიათ, რომელიც მათ, წესით, საზოგადოების ჩამოყალიბებისას უნდა მიეღოთ. ამერიკის დღევანდელი კულტურული მდგომარეობა კარგი მაგალითია ამ შესაძლო ზიანის შესასწავლად. მაგრამ მე არ ავყვები ამერიკული კულტურის კრიტიკის ცდუნებას. არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დავტოვო, თითქოს მეც ამერიკულ მეთოდებს ვიყენებ.

VI

არც ერთ სხვა ნაშრომზე მუშაობისას არ მქონია ასეთი ძლიერი განცდა, რომ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებაზე ვსაუბრობ, მელანსა და ქაღალდს, შემდეგ კი ამწყობის შრომასა და სტამბის საბეჭდ საღებავს ისეთი რაიმეს გადმოსაცემად მოვუწოდებ, რაც ყველასათვის ისედაც ნათელია. ამიტომაც, სიამოვნებით გავიზიარებ მკითხველის წარმოდგენას იმის შესახებ, რომ გარკვეული, თავისთავადი აგრესიული ლტოლვის არსებობის აღიარება, ფაქტიურად ინსტინქტების შესახებ ფსიქოანალიზური მოძღვრების გადასინჯვას ნიშნავს.

თუმცა, როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ეს მთლად ასე არ არის, რადგან საქმე უძველეს დროში მომხდარი გარდატეხის თვალსაჩინოდ ჩამოყალიბებასა და მისგან ყველა დანარჩენი შედეგის გამოყვანას შეეხება. ფსიქოანალიზური მოძღვრების თანდათანობით განვითარებულ თეორიებს შორის, მოძღვრება ლტოლვების შესახებ ყველაზე ნელა ვითარდებოდა. და მაინც, ის ისე აუცილებელი იყო ფსიქოანალიზური თეორიის გასამთლიანებლად, რომ საჭირო გახდა მის ადგილას არსებული სიცარიელის რაიმეთი შევსება. თავიდან, სრულიად უმწეოს, პოეტისა და ფილოსოფოსის შილერის სიტყვები გამომადგა საყრდენ წერტილად – მსოფლიოს მართვის მექანიზმის არსი ორ სიტყვაში „შიმშილსა და სიყვარულში“ გამოიხატებაო, ამბობს მწერალი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, შიმშილი იმ ლტოლვების გამოხატულებაა, რომელიც ინდივიდის გადარჩენას ემსახურება, სიყვარული კი, ობიექტზე მიმართული ლტოლვებისა და ამ უკანასკნელის მთავარი ფუნქცია, რომელსაც ბუნება ყოველმხრივ მფარველობს, გვარის გაგრძელებაში მდგომარეობს. ასე რომ, ეგო-ლტოლვები ობიექტ-ლტოლვებს დაუპირისპირდა და სწორედ ამ უკანასკნელთა ენერგიას ეწოდა სახელი ლიბიდო. ამგვარად, ეგო-ლტოლვებსა და ობიექტზე მიმართული „ლიბიდოზური“ სიყვარულის (ამ სიტყვის ყველაზე ფართე გაგებით) ლტოლვებს შორის წინააღმდეგობა გაჩნდა. ერთ-ერთი ასეთი, ობიექტზე მიმართული ლტოლვა (ობიექტ-ლტოლვა) მიზნისადმი არცთუ დიდი სიყვარულით გამოირჩევა. ამავე დროს, მისი მიზანი გარკვეულწილად ეგოს ლტოლვებს ესაზღვრება და თვალნათლივ ჩანს მისი ნათესაობა ლიბიდოზური მიზნებისაგან თავისუფალ ფლობის ინსტინქტთანაც. ეს შეუთავსებლობა იმთა-

ვითვე ყურადღების მიღმა დარჩა და სადიზმი ერთმნიშვნელოვნად სექსუალურ ცხოვრებასთან დავაკავშირეთ, სადაც ნაზი თამაშები შეიძლება სასტიკმა შეცვალოს. მაშინ ნევროზი თვითგადარჩენის ინტერესებსა და ლიბიდოს მოთხოვნებს შორის ბრძოლოს შედეგად მოგვევლინება – ბრძოლისა, რომელშიც ეგომ გაიმარჯვა – თუმცა კი, მძიმე ტანჯვისა და დანაკარგების ფასად.

ანალიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ დღესაც კი ეს საკითხები საკმაოდ აქტუალურია. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევების განვითარებასთან ერთად აუცილებელი გახდა მათი (კვლევების) მიმართულების შეცვლა – განდევნილი ძალების კვლევებიდან, განმდევნი ძალების კვლევებზე, ანუ ობიექტზე მიმართული ლტოლვებიდან – ეგოზე. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა „ნარცისიზმის“ ცნების, ანუ იმ მოძღვრების შემოტანამ შეიძინა, რომლის მიხედვითაც თავად ეგო ლიბიდოთია აღსავსე და წარმოადგენს რა მის საწყის საცხოვრისს, შემდგომში, გარკვეულწილად მაინც, მის შტაბ-ბინად რჩება. ნარცისისტული ლიბიდო ობიექტებზე მიემართება და ობიექტ ლიბიდოდ იქცევა, რომელსაც შეუძლია უკან დაბრუნდეს და ისევ ნარცისისტულ ლიბიდოდ გადაიქცეს. ნარცისიზმის ცნებამ შესაძლებელი გახადა ტრავმატული ნევროზების, ფსიქოზის მაგვარი აფექტებისა და თავად ფსიქოზის ანალიზური გაგება. ძალაში დარჩა გადატანის ნევროზების, როგორც ეგოს სექსუალობისაგან თავდაცვის გაგება, თუმცა, იმის გამო, რომ თავად ეგოს ლტოლვებიც ლიბიდოზურად იქნა წარმოდგენილი, საფრთხის წინაშე თვით ლიბიდოს ცნება აღმოჩნდა. როგორც მანამდე კ. გ. იუნგთან, გარკვეული დროის განმავლობაში, ლიბიდოსა და ლტოლვების ენერგია ერთმანეთთან იყო გაიგივებული. თუმცა, გარკვეული, არცთუ დაუსაბუთებული ეჭვი იმის შესახებ, რომ ყველა ლტოლვა ერთნაირი ვერ იქნება, მაინც არსებობდა. შემდეგი ნაბიჯი მე „სიამოვნების პრინციპს მიღმაში“ გადავდგი (1920), სადაც პირველად მივაქციე ყურადღება ინსტინქტური ცხოვრების განმეორების აკვიატებულ სურვილს და მის კონსერვატულ ხასიათს. ბიოლოგიური პარალელებიდან და სიცოცხლის საწყისის შესახებ სპეკულაციებიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივედი, რომ არსებობს თვითშენახვის ინსტინქტის საწინააღმდეგო ლტოლვა და თუკი ეს უკანასკნელი ცოცხალ სუბსტანციას ინარჩუნებს და მას უფრო მასშტაბურ ერთეულებში აწევრიანებს, მის საწინააღმდეგოდ, ის ასეთი გაერთიანებების დასაშლელადაა მოწოდებული და მათ საწყის, არაორგანულ მდგომარეობაში დაბრუნებას ესწრაფვის. ასე რომ, ეროსის გარდა, არსებობს სიკვდილის ინსტინქტი, სიცოცხლის ფენომენი კი მათი ურთიერთ– და ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებით აიხსნება. სიკვდილის ასეთი ჰიპოთეტური ინსტინქტის მოქმედების დამადასტურებელი მაგალითების აღმოჩენა არცთუ ადვილი აღმოჩნდა. ეროსის ხმაურიანი გამოვლინებები საკმაოდ თვალშისაცემია და არგუმენტი, თითქოს სიკვდილის ინსტინქტის დამანგრეველი მოქმედება ჩუმად მიმდინარეობს ცოცხალი არსების შიგნით – რაიმეს დასასაბუთებლად არ გამოდგება. თანდათან ჩამოყალიბდა იდეა იმის შესახებ, რომ ამ ინსტინქტის ნაწილი გარე სამყაროს წინააღმდეგ მიემართება და აგრესიისა და დესტრუქციისაკენ ლტოლვაში ვლინდე-

ბა. ამგვარად, ეს ლტოლვა მაინც ეროსის იძულებით სამსახურში აღმოჩნდა, რადგან სხვისი (სულიერი ან უსულო არსების) და არა საკუთარი თავის გასანადგურებლად იყო მიმართული, გარეთ მიმართული აგრესიის შეზღუდვა კი პირიქით, გააძლიერებდა მის გარეშე უკვე მიმდინარე თვითგანადგურების პროცესს. ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ ორივე ეს ინსტინქტი იშვიათად და, შეიძლება ითქვას, არასოდეს მოქმედებს ცალ-ცალკე. ისინი მრავალფეროვან, ცვალებად და ჩახლართულ შეხამებებად არის შედუღებული და ამიტომ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა გვიჭირს. სიყვარულისა და დესტრუქციული ლტოლვების განსაკუთრებით ძლიერი შენადნობი წარმოდგენილია სადიზმში, რომელიც კარგა ხანია სექსუალობის კომპონენტად არის ცნობილი. მის საწინააღმდეგო მაზოხიზმში კი შიგნით მიმართული დესტრუქციისა და სექსუალობის ერთიანობაა წარმოდგენილი, რაც ფაქტიურად გასაგებს ხდის ამ აქამდე მიუწვდომელ მიდრეკილებას.

ჰიპოთეზას სიკვდილის დესტრუქციული ინსტინქტის არსებობის შესახებ თვით ფსიქოანალიტიკურ წრეებშიც კი დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ხშირად თავს იჩენს ტენდენცია, რომ ყველა საშიში და მტრული მიდრეკილება, რომელიც კი სიყვარულში მოიძებნება, მის ბიპოლარულ ბუნებას მიაწერონ. აქ განვითარებული მოსაზრებები თავიდან საცდელი მასალის სახით წარმოვადგინე, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ იმდენად ძლიერი ძალაუფლება მოიპოვეს ჩემზე, რომ ახლა სხვაგვარად აზროვნება აღარ ძალმიძს. ვფიქრობ, ეს ჰიპოთეზა თეორიულად გაცილებით მისაღებია, ვიდრე ყველა სხვა, რადგან ის შესაძლებლობას გვაძლევს, ფაქტების უგულვებელყოფის, ან მათზე ძალადობის გარეშე გავამარტივოთ უამრავი რამ – სწორედ ის, რისკენაც ჩვენ თეორიული მუშაობის დროს ვისწრაფვით. მზად ვარ ვაღიარო, რომ სადიზმისა და მაზოხიზმის შემთხვევაში, ეროტიკისა და დესტრუქციულობის შენადნობთან გვაქვს საქმე, რომელიც შესაბამისად გარეთ და შიგნით არის მიმართული, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ მივაქციეთ ყურადღება არაეროტიკული აგრესიის და დესტრუქციულობის საყოველთაოდ გავრცელებას და როგორ მოხდა, რომ ადამიანის ცხოვრების ახსნის დროს, მას სათანადო როლი არ მივანიჭეთ (სანამ შიგნით მიმართული დესტრუქციულობა ეროტიკულ ელფერს მოკლებულია, ხშირ შემთხვევაში ის უხილავი რჩება). მახსოვს, რა ძლიერი წინააღმდეგობა აღძრა ჩემში დესტრუქციული ინსტინქტის პირველად გამოჩენამ ფსიქოანალიზურ ლიტერატურაში და რაოდენ ხანგრძლივად გრძელდებოდა ის, სანამ უფრო მეტ მიმღებლობას გამოვიჩენდი ამ ტერმინის მიმართ. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ სხვები უარყოფდნენ და დღესაც უარყოფენ მას. ბავშვებიც კი გულგრილად ისმენენ „ბოროტებისადმი," აგრესიისადმი, დესტრუქციულობისა და ყოველგვარი სისასტიკისადმი ადამიანის თანდაყოლილი მიდრეკილების შესახებ. ღმერთმა ხომ საკუთარი სრულყოფილების ხატად შექმნა ადამიანი და Christian Science-ს გაფრთხილებების მიუხედავად, არავის არ სურს მუდამ ახსოვდეს, რომ ბოროტების აუცილებელი არსებობა ღმერთის ყოვლისშემძლეობასთან არის დაკავშირებული. ეშმაკი ღმერთის არსებობის გასამართლებელი საუკეთესო არგუმენტი გახდა და მან განტევების ვაცის ეკო-

ნომიკურად სასარგებლო როლი შეასრულა – ებრაელების მსგავსად, არიული იდეალების სამყაროში. და მაინც, ეშმაკის და საერთოდ ბოროტების არსებობაზე პასუხისმგებელი ღმერთია. ასეთი სირთულეების გამო, ნებისმიერ ჩვენგანს ისღა დარჩენია, თაყვანი სცეს ადამიანის ესოდენ ღრმად ზნეობრივ ბუნებას – ამით ის საყოველთაო პატივისცემას მოიპოვებს და ამის გამო მას ბევრი რამ მიეტევება.

ასე რომ, „ლიბიდოს“ სახელი კვლავ შეგვიძლია ვუწოდოთ ეროსის ძალებს, რათა განვასხვავოთ ის სიკვდილის ინსტინქტის ენერგიისაგან. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უკანასკნელის დანახვა ისევ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ იმის შესახებ, რომ ის ეროსის უკან დგას და სანამ ეროსს არ დაუკავშირდება, ჩვენთვის ფაქტიურად მიუწვდომელია. ეს ყოველივე კარგად ჩანს სადიზმის შემთხვევაში, როდესაც სექსუალური ლტოლვის სრული დაკმაყოფილებისას ის გვერდს უვლის ეროტიკულ მიზანს. და მაინც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიკვდილის ინსტინქტი საერთოდ უარს ამბობს სექსუალურ მიზანზე, ბრმად მძვინვარებს და ყველაფერს ანგრევს, მისი დაკმაყოფილება არაჩვეულებრივი სიძლიერის ნარცისისტულ ტკბობასთან არის დაკავშირებული, რომლითაც ეგო თავის უძველეს, ყოვლისშემძლეობის სურვილს იკმაყოფილებს. ზომიერი და მოთვინიერებული, ამასთან მიზანშეკავებული დესტრუქციული ინსტინქტის ობიექტზე მიმართვა ეგოს სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და ბუნებაზე მის მბრძანებლობას ემსახურება. ჰიპოთეზა ასეთი ინსტინქტის არსებობის შესახებ თეორიულ საფუძვლებს ეყრდნობა და ამიტომ მთლიანად ვერ იქნება დაცული თეორიული კრიტიკისაგან, მაგრამ, როგორი რთულიც არ უნდას გვეჩვენებოდეს ის ჩვენი დღევანდელი ცოდნის გადასახედიდან, მომავალი კვლევები და აზრობრივი დამუშავება შეძლებს საბოლოოდ მოჰფინოს შუქი ყველაფერს.

ამრიგად, შემდგომი განხილვისას მე იმ თავლსაზრისზე შევჩერდები, რომ აგრესიული სწრაფვა ადამიანში იმთავითვე მოცემული, თავისთავადი ინსტინქტია და ის ძალიან ძლიერ წინააღმდეგობას უწევს კულტურას. ჩვენ საოცრად მომხიბვლელად გვეჩვენება იდეა, რომ კულტურა სრულიად განსაკუთრებულ, მსოფლიოს მომცველ პროცესად წარმოვიდგინოთ და ეროსის სამსახურში ჩავაყენოთ, რომელსაც, პირველ რიგში ცალკეული ინდივიდების, შემდეგ კი ოჯახების, თემების, ხალხების და ერების ერთად დიდ მთლიანობად – კაცობრიობად თავმოყრა სურს. ჩვენ არ ვიცით, რატომ უნდა მოხდეს ასე – ეს ეროსის საქმეა. ხალხის მასები ერთმანეთთან ლიბიდოზურად უნდა იყვნენ დაკავშირებული, თორემ, მხოლოდ საერთო საჭიროებები და ერთობლივი შრომის პროდუქციით მიღებული მოგება მათ ერთად ვერ დააკავებს. კულტურის ამ პროგრამას ეწინააღმდეგება აგრესიულობის ბუნებრივი ინსტინქტი, ერთის ყველას მიმართ და ყველას ყველას მიმართ მტრობა. აგრესიული ლტოლვა – ნაშიერი და მთავარი წარმომადგენელია სიკვდილის ინსტინქტისა, რომელიც ჩვენ ეროსის გვერდით, სამყაროზე მბრძანებლობის მეწილედ აღმოვაჩინეთ. ახლა კულტურული განვითარების არსი უკვე ნათელია. მან კაცობრიობის მაგალითზე უნდა გვიჩვენოს, როგორ ებრძვიან

ერთმანეთს ეროსი და სიკვდილი, სიცოცხლისაკენ ლტოლვა და ლტოლვა დესტრუქციულობისაკენ. სწორედ ეს ბრძოლა შეადგენს სიცოცხლის არსსა და შინაარს და ამიტომ, კულტურის განვითარებას შეიძლება უბრალოდ კაცობრიობის გადარჩენისათვის ბრძოლა ვუწოდოთ! გიგანტებს შორის ამ ორთაბრძოლის შემსუბუქებას ჩვენი ძიძების „ზეციურ ნეტარებათა ზღაპრებში“ შელამაზებული ამბები მოგვითხრობენ!

VII

რატომ არ ახასიათებთ ჩვენს ნათესავებს – ცხოველებს – ასეთი ბრძოლა კულტურის წინააღმდეგ? იქნებ ამის შესახებ ჩვენ, უბრალოდ, არაფერი ვიცით? სავარაუდოა, რომ ზოგიერთები – მაგალითად ფუტკრები, ჭიანჭველები, ტერმიტები – ათასწლეულების მანძილზე მძიმე ბრძოლით მივიდნენ სახელმწიფო ინსტიტუტების, ფუნქციების განაწილებისა და ინდივიდუალურ შეზღუდვების იმ ფორმამდე, რომელსაც ჩვენ დღეს ასეთ აღტაცებაში მოვყავართ. მაგრამ შინაგანი ალღო გვკარნახობს, რომ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერც ერთ ასეთ ცხოველთა სახელმწიფოში, მასში ინდივიდებისათვის განკუთვნილი ვერც ერთი კონკრეტული როლის შესრულების შემთხვევაში, ჩვენ ბედნიერი ვერ ვიქნებით. ცხოველების სხვა სახეობები შესაძლოა, კიდეც მისულიყვნენ გარემო ზემოქმედებასა და შინაგან ინსტინქტებს შორის ბრძოლის გარკვეულ დროებით წონასწორობამდე, რაც ფაქტიურად განვითარების დამუხრუჭების ტოლფასია. პირველყოფილ ადამიანში კი ლიბიდოს ახალ ტალღას ახალი დესტრუქციულ წინააღმდეგობა უნდა გამოეწვია. ამ საკითხთან დაკავშირებით გაცილებით მეტი კითხვა დაისმის, ვიდრე პასუხი გვაქვს.

ჩვენ სხვა საკითხი გვაინტერესებს: რა საშუალებებით ახერხებს კულტურა შეაკავოს და უვნებელყოს – ან სულაც, საერთოდ აღმოფხვრას – მის წინააღმდეგ მიმართული აგრესია? ზოგიერთ მათგანს, მაგრამ ალბათ მათ შორის არა ყველაზე მნიშვნელოვანს, ჩვენ უკვე გავეცანით. თითოეული ინდივიდის განვითარების ისტორიის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია, შევისწავლოთ ისინი და ვნახოთ, თუ რა მოსდის ინდივიდს, როდესაც ის საკუთარი აგრესიის გაუვნებელყოფას ცდილობს. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ ყოველივე მაინც გასაოცარი და გამოუცნობი რჩება. როგორც ჩანს, ხდება აგრესიის ინტროეცირება და შიგნით მიმართვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის უბრუნდება იმ ადგილს, სადაც პირველად წარმოიშვა და თვითონ ეგოზე მიიმართება. აქ მას მიიტაცებს ეგოს ის ნაწილი, რომელიც ეგოს სხვა ნაწილებს უპირისპირდება, როგორც სუპერ-ეგო და ახლა უკვე სინდისის სახით, ის ისეთივე მზადყოფნას ამჟღავნებს ეგოს წინააღმდეგ აგრესიისათვის, როგორც სხვა, მისთვის უცხო ინდივიდების წინააღმდეგ მიმართვისას. გაძლიერებულ სუპერ-ეგოსა და მისადმი დაქვემდებარებულ ეგოს შორის დაძაბულობას, რომელიც დასჯის მოთხოვნილებაში ვლინდება, დანაშაულის გრძნობას ვუწოდებთ. ასე და ამგვარად, ინდივიდების

საშიში აგრესიული მისწრაფებების დაძლევას კულტურა მათი დასუსტებით, განიარაღებითა და შინაგანი ინსტანციის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემით ახერხებს – თითქოს დაპყრობილ ქალაქში მტრის გარნიზონი იყოს ჩაყენებული.

დანაშაულის გრძნობის წარმოშობას ფსიქოანალიზის სპეციალისტები სხვა ფსიქოლოგებისაგან განსხვავებულად უყურებენ, თუმცა ამ გრძნობის შესახებ სრული ანგარიშის წარმოდგენა ფსიქოანალიტიკოსებსაც გაუჭირდებათ. თუ ვიკითხავთ, როგორ უჩნდება ვინმეს დანაშაულის გრძნობა, თავდაპირველად მივიღებთ პასუხს, რომელსაც ვერაფრით შევეწინააღმდეგებით: დამნაშავედ („ცოდვილად“ – ასე იტყოდა ღვთისმოსავი ადამიანი) თავს ის გრძნობს, ვინც ჩაიდინა რაიმე, რასაც „ბოროტებას“ უწოდებენ. ჩვენ მხოლოდ შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ ეს პასუხი დამაკმაყოფილებელი არ არის. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ამ პასუხს ალბათ დაამატებენ, რომ დამნაშავედ თავი შეიძლება ჩათვალოს იმანაც, ვისაც ბოროტება არ ჩაუდენია, მაგრამ ამის განზრახვა კი ჰქონდა. მაშინ, რატომ არის გათანაბრებული ერთმანეთთან ბოროტების ჩადენის განზრახვა და მისი განხორციელება? ორივე შემთხვევაში ხომ უკვე იგულისხმება, რომ ბოროტება საძრახისია და ასეთი მოქმედება განხორციელებამდე უნდა აღიკვეთოს. როგორ მიდიან ადამიანები ასეთ გადაწყვეტილებამდე? თავიდანვე უნდა გამოვრიცხოთ მოსაზრება, თითქოს ადამიანს კეთილისა და ბოროტის გარჩევის იმთავითვე მოცემული, ასე ვთქვათ, ბუნებრივი უნარი აქვს. ხშირად ბოროტება, ეგოსათვის სრულიად უვნებელი და უსაფრთხო, ზოგჯერ კი სასურველი და სიამოვნების მომტანიც კია. გამოდის, რომ გარკვეული გარეშე გავლენა განსაზღვრავს იმას, თუ რას უნდა ეწოდოს კეთილი და ბოროტი. ვინაიდან შინაგანი გრძნობა არ უბიძგებს ადამიანს ამ გზისაკენ, მას სჭირდება მოტივი, რათა დაემორჩილოს ასეთ გარეშე ზეგავლენას. ასეთ მოტივად თამამად შეიძლება ადამიანის უსუსურობა და სხვებზე დამოკიდებულება ჩაითვალოს. ყველაზე შესაფერისი იქნება, თუ მას სიყვარულის დაკარგვის შიშს ვუწოდებთ. როდესაც ადამიანი კარგავს მფარველის სიყვარულს, ამასთან ერთად ის უსაფრთხოებასაც კარგავს და დაუცველი აღმოჩნდება სხვადასხვაგვარი საფრთხის – პირველ რიგში უფრო ძლიერის მხრიდან ამ უკანასკნელის უპირატესობის, დასჯის სახით გამოვლენის საშიშროების წინაშე. ასე რომ, თავდაპირველი ბოროტება სიყვარულის დაკარგვის საშიშროებაა და ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ მას, როგორც ასეთი დანაკარგის საფრთხეს. მნიშვნელობა არა აქვს, ბოროტება უკვე ჩაიდინეს, თუ მხოლოდ აპირებენ მის ჩადენას: ორივე შემთხვევაში, ავტორიტეტულმა ინსტანციამ ის შეიძლება გამოავლინოს და მაშინ ეს ინსტანცია ორივე შემთხვევაში ერთნაირად დამსჯელად იმოქმედებს.

ასეთ მდგომარეობას ჩვენ „სინდისის ქენჯნას“ ვუწოდებთ, მაგრამ სინამდვილეში ის ასეთ სახელს არ იმსახურებს, რადგან ცნობიერების აღნიშნულ დონეზე ეს მხოლოდ „გასოციალურებულ“ შიშად წარმოდგენილი სიყვარულის დაკარგვის შიშია. პატარა ბავშვისათვის სხვაგვარად ვერც იქნება, მაგრამ მრავალ ზრდასრულთან საქმის ვითარება თითქმის არ იცვლება, დიდი-დიდი, მამის, ან ორივე მშობლის ადგილი უფრო ფართო საზოგადოების ფენომენმა დაიკავოს. ადამიანე-

ბი მუდმივად აძლევენ თავს უფლებას, დაუშვან მათთვის სასურველი ბოროტება, თუ ამის შესახებ ავტორიტეტი ვერაფერს შეიტყობს, ან არ დაისჯებიან ამისათვის – და ამ შემთხვევაში, მათი შიში მხოლოდ მხილების შიშია. დღევანდელმა საზოგადოებამ ამ გარემოებასაც უნდა გაუწიოს ანგარიში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ზემოაღნიშნული ავტორიტეტის ინტერიორიზაციასთან, ანუ სუპერ-ეგოს ჩამოყალიბებასთან ერთად ხორციელდება და სინდისზე და დანაშაულის გრძნობაზე ლაპარაკი მხოლოდ მას შემდეგ არის უპრიანი, როდესაც სინდისთან დაკავშირებული ფენომენები არსებითად უფრო მაღალ დონეზე გადაინაცვლებენ. ამჯერად, მხილების შიში საერთოდ ქრება და განსხვავება ბოროტმოქმედებასა და ბოროტ სურვილს შორის აღარ არსებობს, რადგან სუპერ-ეგოს ვერაფერი, თვით ფიქრიც კი ვერ დაემალება. მართალია, სიტუაციის რეალური სერიოზულობა ძალას კარგავს, რადგან ახალ ავტორიტეტს, სუპერ-ეგოს, არავითარი საფუძველი არა აქვს სასტიკად მოექცეს მასთან შინაგანად გადაჯაჭვულ ეგოს, მაგრამ, გენეზისით გაპირობებული გავლენის გამო, რომელიც წარსულს, უკვე გადალახულს, არსებობას უნარჩუნებს, თავდაპირველი სიტუაცია მაინც არ იცვლება. სუპერ-ეგო ცოდვილ ეგოს იგივე მძაფრი შიშებით ტანჯავს და ხელსაყრელ შემთხვევას ელოდება, რათა მას გარე სამყაროდან სასჯელი მოუვლინოს. განვითარების ამ მეორე საფეხურზე, სინდისს უჩნდება ერთი თავისებურება, რომელიც მას პირველ საფეხურზე არ გააჩნდა და რომლის ახსნაც სულაც არაა ადვილი საქმე. რაც უფრო კეთილშობილია ადამიანი, მით მკაცრია და ეჭვიანი მისი სინდისი და გამოდის, რომ საბოლოო ჯამში, თავის თავს უბოროტეს ცოდვებში სწორედ ისინი ადანაშაულებენ, ვინც ყველაზე შორს წავიდა წმინდანობისკენ მიმავალ გზაზე. სათნოებისათვის მიუწვდომელია მისთვის განკუთვნილი ჯილდო, მორჩილი და თავშეკავებული ეგო ვერ იმსახურებს თავისი მენტორის ნდობას და, სულაც, ტყუილუბრალოდ ცდილობს მის მოპოვებას. აქ აუცილებლად შეგვეკამათებიან, გვეტყვიან, რომ ეს ყოველივე ხელოვნურად შექმნილი სირთულეებია და რომ მკაცრი და ფხიზელი სინდისი სწორედ ზნეობრივი ადამიანის დამახასიათებელი ნიშანია. წმინდანებს სრული უფლება აქვთ, ცოდვილად წარმოაჩინონ თავი, გამომდინარე იქიდან, რომ ცდუნება მათთვის გაცილებით ძლიერია – ინსტინქტების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა ხომ გაცილებით ძლიერია მუდმივი თავშეკავების შემთხვევაში და სუსტდება მისი დაკმაყოფილების შემდეგ. ამ, ეთიკის პრობლემებით მდიდარ სფეროში, შემდეგი ფაქტი ისაა, რომ სინდისის ძალაუფლებას სუპერ-ეგოში უბედურება აძლიერებს. სანამ ყველაფერი კარგადაა, ადამიანის სინდისი რბილი და დამთმობია, ხოლო როგორც კი უბედურება მოხდება, ის თავის თავში იკეტება, აღიარებს რომ ცოდვილია, სინდისის ქენჯნას განიცდის და თავშეკავებას და მარხვას ეძლევა. ასე იქცეოდნენ და დღესაც ასე იქცევიან მთელი რიგი ხალხები. ამის ახსნა ადვილად შეიძლება სინდისის პირველადი, ინფანტილური საფეხურიდან გამომდინარე, რომელიც სუპერ-ეგოს ინტროექციის შემდეგ კი არ ქრება, არამედ მის გვერდით და მიღმა განაგრძობს არსებობას. საბოლოო ჯამში, ბედ-იღბალი მშობლის ინსტანციის ჩანაცვლებად

შეიძლება ჩაითვალოს. როდესაც ადამიანს უბედურება შეემთხვევა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან დაკარგა ამ უმაღლესი ინსტანციის სიყვარული. ასეთი დანაკარგის საშიშროება გვაიძულებს, კვლავ მოვიხაროთ ქედი სუპერ-ეგოს მშობლისეული ინსტანციის წინაშე, რომელსაც ადამიანი ბედნიერების ჟამს უგულვებელყოფდა. ეს უფრო გასაგები გახდება, თუ მკაცრად რელიგიური თვალსაზრისის მიხედვით ბედისწერაში მხოლოდ ღვთიური ნების გამოხატულებას დავინახავთ. ებრაელებს თავი ღვთის რჩეულ შვილად მიაჩნდათ და როდესაც დიდებულმა მამამ უბედურება უბედურებაზე დაატეხათ თავს, მათ ეჭვი კი არ შეიტანეს უფლის ძალაუფლებასა და სამართლიანობაში – წინასწარმეტყველები მოავლინეს, რომლებმაც მათ ცოდვებზე მიუთითეს და საკუთარი დანაშაულის გრძნობიდან გამომდინარე, მათ ქურუმთა რელიგიის ძალზე მკაცრი დოგმები დააწესეს. გასაოცარია, პირველყოფილი ადამიანები ხომ სრულიად სხვანაირად იქცეოდნენ! უბედურების შემთხვევაში ისინი საკუთარ თავს კი არა, ფეტიშს ადანაშაულებდნენ და თავს კი არ ისჯიდნენ, კერპს სცემდნენ.

ამრიგად, ჩვენთვის დანაშაულის გრძნობის ორი წყაროა ცნობილი: ავტორიტეტის წინაშე შიში და მოგვიანებით კი, შიში „სუპერ ეგო“-ს წინაშე. პირველი აიძულებს ადამიანს უარი თქვას ლტოლვების დაკმაყოფილებაზე, მეორე კი სჯის მას, რადგან აკრძალული სურვილების არსებობა სუპერ-ეგოს ვერ დაემალება. როგორც ვნახეთ, სუპერ-ეგოს სიმკაცრე – ანუ სინდისის მოთხოვნები – უბრალოდ გარეშე ავტორიტეტის სიმკაცრის გაგრძელებაა, რომელსაც სინდისი ჩაენაცვლა. ახლა კი ვხედავთ, თუ რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან ლტოლვების უარყოფა და დანაშაულის გრძნობა. თავიდან, ლტოლვებზე უარის თქმა ავტორიტეტის წინაშე შიშის შედეგი იყო და სიამოვნებაზე უარს იმიტომ ამბობდნენ, რომ როგორმე არ დაეკარგათ სიყვარული. ასეთი უარით, ადამიანი თითქოს ვალს იხდის გარეშე ავტორიტეტის წინაშე და დანაშაულის გრძნობა თითქოს აღარ რჩება. სულ სხვაგვარადაა საქმე სუპერ-ეგოს წინაშე შიშის შემთხვევაში. აქ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა აღარ კმარა, დარჩენილი სურვილი სუპერ-ეგოს ვერ დაემალება, დაკმაყოფილებაზე უარის მიუხედავად, დანაშაულის გრძნობა მაინც აღმოცენდება და ეს სუპერ-ეგოს, ანუ სინდისის უზარმაზარი ეკონომიკური ნაკლია. ლტოლვების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უკვე აღარ ათავისუფლებს ადამიანს სინდისის ქენჯნისაგან, კეთილგონივრული თავშეკავება კი აღარ დაჯილდოვდება გარანტირებული სიყვარულით. როგორც ჩანს, გარემოდან მომდინარე უბედურების მუქარა – სიყვარულის დაკარგვა და გარეშე ავტორიტეტის სასჯელის საშიშროება – ადამიანმა მუდმივი შინაგანი უბედურებით, დანაშაულის შეგნების დაძაბული გრძნობით შეცვალა.

ვშიშობ, რამდენადმე გავიმეორებ უკვე ნათქვამს, მაგრამ ეს ურთიერთობები, მართლაც, ძალიან რთული და ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ, მსურს ეს საკითხები კიდევ ერთი მხრიდან განვიხილო. ამრიგად, მოვლენების დროში მიმდინარეობის თანმიმდევრობა ასეთია: თავიდან, გარეშე ავტორიტეტის მხრიდან აგრესიის წინაშე შიშის შედეგად, თავს იჩენს უარი ლტოლ-

ვების დაკმაყოფილებაზე. აქედან გამომდინარეობს სიყვარულის დაკარგვის შიში – რადგანაც სიყვარული იცავს ასეთი აგრესიის საშიშროებისაგან. შემდეგ იქმნება შინაგანი ავტორიტეტი და ლტოლვებზე უარის თქმა მისი ანუ სინდისის წინაშე შიშის გამო ხდება. ამ დროს ერთმანეთს უთანაბრდება ბოროტმოქმედება და ბოროტი განზრახვა. აქედან ჩნდება დანაშაულის გრძნობა და დასჯის მოთხოვნილება. სინდისის აგრესია ზღუდავს ავტორიტეტის აგრესიას. ჯერჯერობით ყველაფერი ნათელია, მაგრამ საკითხავია, რჩება თუ არა აქ ადგილი უბედურების ისეთი ზემოქმედებისათვის (გარედან თავსმოხვეული უარის აუცილებლობა), რომლიც გააძლიერებს სინდისს – განსაკუთრებულად მკაცრი სინდისის შემთხვევაში – უმორჩილესთა და უკეთილშობილესთა შორის? სინდისის ორივე აღნიშნული თავისებურება ჩვენ უკვე ავხსენით, მაგრამ შესაძლებელია ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს ჩვენი ახსნა მთლიანად ვერ ჩასწვდა მოვლენის არსს და საქმის ვითარება ნაწილობრივ აუხსნელი დარჩა. და აქ, ბოლოს და ბოლოს, თავს იჩენს იდეა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოანალიზისათვის არის დამახასიათებელი და უცხოა ადამიანის ჩვეულებრივი აზროვნებისათვის. ამ იდეის წყალობით, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ჩვენი კვლევის საგნის უაღრესად რთული და ბუნდოვანი არსი. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად სწორედ სინდისი (ანუ, შიში რომელიც შემდეგ სინდისად იქცევა) არის ლტოლვების დაკმაყოფილებაზე უარი თქმის მიზეზი, ამ იდეის მიხედვით, მოგვიანებით ასეთი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება უკუღმა შემოტრიალდება. ყოველი ახალი უარი სინდისის დინამიკური წყარო ხდება და ყოველ ჯერზე აძლიერებს მის სიმკაცრესა და შეუწყნარებლობას. თუ ამ ფაქტს, სინდისის წარმოშობის ჩვენთვის უკვე ცნობილ ისტორიასთან მოვიყვანთ თანხმობაში, პარადოქსს ვერ ავცდებით: სინდისი ლტოლვებზე უარის თქმის შედეგია. ან ლტოლვებზე უარი (გარედან თავს მოხვეული) ქმნის სინდისს, რომელიც შემდგომ, მუდამ ხელახლა მოითხოვს ლტოლვების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კაცმა რომ თქვას, აღნიშნული საქმის ვითარება არც თუ ძალიან ეწინააღმდეგება სინდისის წარმოშობის ზემოთ აღწერილ პროცესს და მათი სამომავლო დაახლოება შესაძლებელია. თვალსაჩინოებისათვის, განვიხილოთ აგრესიული ლტოლვის მაგალითი და დავუშვათ, რომ აგრესიაზე უარის თქმის აუცილებლობა მუდმივად არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაშვებაა. მაშინ სინდისზე ზემოქმედება შემდეგი გზით განხორციელდება – აგრესიულობის ყოველ შემადგენელ ნაწილს, რომელიც ვერ დაკმაყოფილდება, სუპერ-ეგო მიიტაცებს, რითიც გაზრდის აგრესიულობას ეგოს წინააღმდეგ. აღნიშნულთან ნაკლებად მოდის თანხმობაში ის გარემოება, რომ სინდისის თავდაპირველი აგრესიულობა გარე ავტორიტეტის სისასტიკის გაგრძელებაა და არავითარი კავშირი არა აქვს ლტოლვების დაკმაყოფილებაზე უარის თქმასთან. თუმცა, თუ დავუშვებთ, რომ სუპერ-ეგოს აგრესიით თავდაპირველი მომარაგება სხვა წყაროებიდან ხორციელდება, ზემოხსენებული უთანხმოება შემცირდება. მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო პირველი აკრძალვები, ბავშვს აუცილებლად განუვითარდებოდა მნიშვნელოვანი

აგრესია იმ ავტორიტეტის წინააღმდეგ, რომელიც მისი ყველზე ძირეული ლტოლვების დაკმაყოფილებას ზღუდავს. ბავშვი იძულებულია, უარი თქვას ავტორიტეტის წინააღმდეგ თავისი შურისმაძიებლური აგრესიულობის დაკმაყოფილებაზე და ამ რთული ეკონომიკური სიტუაციიდან ის ცნობილი მექანიზმის – იდენტიფიკაციის – საშუალებით ახერხებს გამოსვლას. ამ დროს მას შიგნით, საკუთარ თავში გადააქვს ის ხელშეუხებელი ავტორიტეტი, რომელიც შემდეგ სუპერ-ეგოდ იქცევა. ამით ის თავის გამგებლობაში მიიღებს მთელ აგრესიულობას, რომელსაც ბავშვობაში სიამოვნებით წარმართავდა ავტორიტეტის წინააღმდეგ. ბავშვის ეგო იძულებულია ესოდენ დამამცირებელი მამისეული ავტორიტეტის სევდიანი როლი იკმაროს. ამ შემთხვევაშიც, როგორც ეს საერთოდ ხშირად ხდება ხოლმე, სიტუაცია შებრუნებულად წარმოგვიდგება: „მე რომ მამა ვიყო, შენ კი შვილი, ნახავდი, როგორ მკაცრად მოგექცეოდი“: ეგოსა და სუპერ-ეგოს ურთიერთდამოკიდებულება ჯერ გაუხლეჩავ ეგოსა და ობიექტს შორის რეალური დამოკიდებულების, სურვილებით დამახინჯებულ ვარიანტს წარმოადგენს. ეს ტიპური სიტუაციაა, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სუპერ-ეგოს თავდაპირველი სიმკაცრე განსხვავდება იმისაგან, რომელიც მამის მხრიდან მომდინარედ განიცდება, ან მას მიეწერება. ეს უფრო საკუთარი აგრესიაა ობიექტის მიმართ. თუ ეს მართალია, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სინდისი აგრესიის დათრგუნვის შედეგად წარმოიშვა და შემდგომში ისევ ასეთი დათრგუნვების შედეგად ძლიერდება.

რომელია ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებიდან ჭეშმარიტი? თავდაპირველი – რომელიც გენეტიკური თავლსაზრისით არავითარ ეჭვს არ იწვევს, თუ ახალი, რომელიც ასე მოხერხებულად აწესრიგებს მთელ თეორიას? უშუალო დამკვირვებელს ორივე მათგანი უდავოდ სწორად ეჩვენება. ისინი ხომ არც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, უფრო მეტიც, მათ საერთო გადაკვეთის წერტილი აქვთ – ბავშვის შურისმაძიებლურ აგრესიას მამის მხრიდან ამ აგრესიის აღსაკვეთად წარმართული მოსალოდნელი სასჯელის მასშტაბები განსაზღვრავს. მაგრამ გამოცდილება გვკარნახობს, რომ ბავშვში ჩამოყალიბებული სუპერ-ეგოს სიმკაცრე, არავითარ შემთხვევაში არ გადმოსცემს იმ სიმკაცრეს, რომლითაც მას თვითონ ეპყრობოდნენ. ზედმიწევნით რბილი აღზრდის დროსაც კი, ბავშვს შეიძლება უაღრესად მკაცრი სინდისი განუვითარდეს. მაგრამ არც ამ დამოკიდებულების გადაფასება იქნება სწორი: ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, რომ მკაცრი აღზრდა ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბავშვის სუპერ-ეგოს ჩამოყალიბებაზე. მაშასადამე, სუპერ-ეგოს ჩამოყალიბება და სინდისის წარმოშობა, ერთდროულად თანშობილი, კონსტიტუციური და გარემო ფაქტორების ზემოქმედებას განიცდის. არცაა გასაკვირი, აღნიშნული ხომ ყველა მსგავსი პროცესის ზოგად ეტიოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც ბავშვი ლტოლვებზე პირველ სერიოზულ უარს მომეტებული აგრესიულობითა და სინდისის შესაბამისი სიმკაცრით პასუხობს, ამ დროს ის ფილოგენეტური წანამძღვრებით ხელმძღვანელობს. რეაქციის

არაადეკვატურობა იმით აიხსნება, რომ პირველყოფილი მამა, ალბათ მართლაც საშიში იყო და უკიდურესი აგრესიის გამოვლენა შეეძლო. ასე რომ, სინდისის წარმოშობის ორ თეორიას შორის განსხვავება კიდევ უფრო მცირდება, როცა ინდივიდის განვითარების ისტორიიდან ფილოგენეზზე გადავდივართ. თუმცა, აქ თავს იჩენს ახალი განსხვავება ამ ორ პროცესს შორის. ჩვენ ისევ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დანაშაულის გრძნობას კაცობრიობა ოიდიპოსის კომპლექსს უნდა უმადლოდეს და ის მამის მოკვლის დროს შეიძინეს მის წინააღმდეგ გაერთიანებულმა შვილებმა. ამ შემთხვევაში აგრესია კი არ დაითრგუნა, არამედ განხორციელდა და ეს იგივე აგრესიაა, რომლის დათრგუნვაც ბავშვში დანაშაულის გრძნობას წარმოშობს. სულაც არ გამიკვირდება, თუ რომელიმე მკითხველი აღშფოთებული წამოიძახებს: „მაშ, მნიშვნელობა არა აქვს მოკლავ თუ არა მამას – დანაშაულის გრძნობა მაინც ყველა შემთხვევაში გაგიჩნდება! ნება მიბოძეთ, ეჭვი შევიტანო ამ მოსაზრებაში. დანაშაულის გრძნობა ან არ გამომდინარეობს დათრგუნული აგრესიისაგან, ან „მამის მკვლელობის“ მთელი ეს ისტორია რომანია და მეტი არაფერი – პირველყოფილი შვილები თავიანთ მამებს ისეთივე სიხშირით ხოცავდნენ, როგორც თანამედროვენი. მოკლედ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რომანი კი არა, უტყუარი ისტორიაა, აქ არაფერია მოულოდნელი: დანაშაულის გრძნობა ხომ გარკვეული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას ჩნდება. ასეთი ყოველდღიური შემთხვევების ახსნას კი ფსიქოანალიზი არ იძლევა.“

მართალია, ჩვენ როგორმე უნდა გამოვასწოროთ ეს ხარვეზი. აქ საიდუმლო არაფერია. დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეულ დანაშაულის გრძნობას უფრო მართებული იქნება მონანიება ვუწოდოთ. ის უშუალოდ ჩადენილ ქმედებას ეხება და სინდისის არსებობას, ანუ თავის დამნაშავედ გრძნობისათვის მზაობას, ჯერ კიდევ დანაშაულის ჩადენამდე გულისხმობს. მონანიება ვერაფრით დაგვეხმარება სინდისისა და დანაშაულის გრძნობის წარმომავლობის დადგენაში. ყოველდღიურ შემთხვევებში ლტოლვა იძენს გარკვეულ ძალას, რომლითაც მას შეუძლია გადალახოს სინდისის საკმაოდ შეზღუდული ძალის წინააღმდეგობა. მაგრამ, მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად ის თანდათანობით ბუნებრივად სუსტდება და ძალთა თანაფარდობა თანდათან აღდგება. ამიტომაც, ფსიქოანალიზი სამართლიანად გამორიცხავს მონანიებიდან მომდინარე დანაშაულის გრძნობას – რაოდენ ხშირადაც არ უნდა მოხდეს მათი თანხვედრა და როგორიც არ უნდა იყოს ამის პრაქტიკული მნიშვნელობა.

მაგრამ, თუ დანაშაულის გრძნობას პირველყოფილ მამის მკვლელობასთან მივყავართ, განა ეს სინანული არ არის? განა ეს არ გულისხმობს სინდისისა და დანაშაულის გრძნობის არსებობას ჯერ კიდევ ქმედების ჩადენამდე? მაშ საიდან მოდის მონანიება? სწორედ ამ შემთხვევამ უნდა აგვიხსნას დანაშაულის გრძნობასთან დაკავშირებული საიდუმლოება და ბოლო მოუღოს ჩვენს ეჭვებს. ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია. მონანიება მამასთან დაკავშირებული გრძნობების თავდაპირველი ამბივალენტობის შედეგია: მართალია, ის შვილებს სძულდათ, მაგრამ ამავე დროს უყვარდათ კიდეც. სიძულვილის აგრესიის საშუალებით

დაკმაყოფილების შემდეგ სიყვარული ჩადენილისათვის სინანულის სახით გამოვლინდა. ამგვარად, მამასთან იდენტიფიკაციით ჩამოყალიბდა სუპერ-ეგო. მან, თითქოსდა ჩადენილისათვის სასჯელად, მამის ძალაუფლება მიიღო, რომლის შესაბამისადაც ჩადენილის ხელახლა განმეორების აკრძალვები დააწესა. მამის წინააღმდეგ მიმართული აგრესიისაკენ მიდრეკილება შემდეგ თაობებშიც მეორდებოდა, ამიტომ შენარჩუნდებოდა დანაშაულის გრძნობაც, რომელიც აგრესიის დათრგუნვისა და მისი სუპერ-ეგოში გადატანის ყოველი ახალი შემთხვევისას კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ახლა ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რა როლს თამაშობს სინდისის ჩამოყალიბებაში სიყვარული და რატომ არის ასე გარდაუვალი დანაშაულის გრძნობა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მართლა მოხდა მამის მკვლელობა, თუ ამის ჩადენისაგან თავი შეიკავეს. დანაშაულის გრძნობა ორივე შემთხვევაში იჩენს თავს, რადგანაც ის ამბივალენტური კონფლიქტის – ეროსსა და სიკვდილისაკენ დამანგრეველ ლტოლვას შორის მარადიული ბრძოლის გამოხატულებაა. როგორც კი ადამიანი სხვებთან თანაცხოვრების ამოცანის წინაშე დგება, ეს კონფლიქტი მაშინვე მწვავდება. მანამ, სანამ ასეთი თანაცხოვრება ოჯახის ფორმით ხდება, კონფლიქტი ოიდიპოსის კომპლექსში, სინდისსა და პირველად დანაშაულის გრძნობაში ვლინდება. საზოგადოების გაფართოების მცდელობასთან ერთად, იგივე კონფლიქტი წარსულზე დამოკიდებული ფორმებით განაგრძობს არსებობას, ძლიერდება და კიდევ უფრო აძლიერებს დანაშაულის გრძნობას. კულტურა ადამიანების შინაგანად დაკავშირებულ მასად გამაერთიანებელ ეროტიკულ ლტოლვას ემორჩილება და ამიტომაც, ეს მიზანი მუდმივად მზარდი დანაშაულის გრძნობის თანხლებით მიმდინარეობს. ის, რაც მამით დაიწყო, მასაში პოვებს დასასრულს. თუ კულტურა ოჯახიდან კაცობრიობისაკენ განვითარების აუცილებელი გზაა, მაშინ მას განუყრელად თან სდევს თანშობილი ამბივალენტური კონფლიქტის – სიკვდილისა და სიყვარულის მარადიული ორთაბრძოლის – შედეგი, ანუ დანაშაულის მზარდი გრძნობა, რომელიც ზოგჯერ ისეთ სიმაღლეებს აღწევს, რომ აუტანელი ხდება ცალკეული ინდივიდისათვის. გავიხსენოთ, თუნდაც, დიდი პოეტის ამაღელვებელი ბრალდება „ზეციური ძალების მიმართ“:

„თქვენ გვაცდუნებთ, გვაბეჩავებთ ერთხმად,
და გვხდით საგნად ტანჯვისა და გვემის,
რადგან ყველა დანაშაულს ქვეყნად, ბოლო-ბოლო
შურისგება ელის“.[4]

ისღა დაგვრჩენია, ამოვიოხროთ იმის გაფიქრებისას, რომ ზოგიერთებს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლიათ თავისი გრძნობების ორომტრიალიდან უღრმესი სიბრძნის გამოტანა, სხვებს კი ხელის ცეცებით გვიხდება გზის გაკვლევა მტანჯველ განუსაზღვრელობაში.

1. „მწამს, რადგან აბსურდია“ – ლათინური გამონათქვამი, რომელიც მიეწერება ადრეული ქრისტიანობის გამოჩენილ თეოლოგ ტერტულიანეს.
2. „დაე, ბატონმა მკვლელებმა დაიწყონ“ (ფრანგ.).
3. „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ – ლათინური გამონათქვამი, რომლის ავტორიაცაა ძველი რომაელი დრამატურგი პლავტუსი. გამონათქვამი პოპულარული გახდა თომას ჰობსის გავლენით.
4. გოეთე, „ვილჰელმ მაისტერის თეატრალური მოწოდება“, თარგმანი ნიკა ჯორჯანელისა.

ჯონ დიუი

1859-1952

შესავალი

ჯონ დიუი ამერიკელი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და განათლების სპეციალისტი, დაიბადა ბარლინგტონში, ვერმონტში. უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ დიუი სწავლას აგრძელებს ვერმონტის უნივერსიტეტში. 1879 წელს ამთავრებს ვერმონტის უნივერსიტეტს და მუშაობას იწყებს უმაღლესი სკოლის მასწავლებლად ოილ სიტიში, პელსილვანიაში. 1882 წელს დიუი სწავლას აგრძელებს ბალტიმორში ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ჩარლზ სენდერს პირსი, სტენლი ჰოლი და ჯორჯ სილვესტერ მორისი. სწორედ ჰოპკინსის უნივერსიტეტში სწავლის დროს განიცდის ჯონ დიუი კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიების უდიდეს გავლენას, რისი შედეგიცაა მისი სადისერტაციო ნაშრომი კანტის ფსიქოლოგიის შესახებ (1882წ).

დისერტაციის დაცვისთანავე ჯონ დიუი ჯერ მიჩიგანის უნივერსიტეტში იკავებს აკადემიურ თანამდებობას (1884-1888 წწ), ხოლო შემდეგ – მინესოტის უნივერსიტეტში. 1894 წლიდან ჯონ დიუი არის ჩიკაგოს ახლადდაარსებული უნივერსიტეტის პროფესორი და იმავდროულად ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორი.

სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში დიუი აკადემიური მოღვაწეობის პარალელურად ეძებს ცხოვრებისეული გამოცდილების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემების კავშირს.

1904 წელს ჯონ დიუი ტოვებს ჩიკაგოს უნივერსიტეტს. ცოტა ხნის შემდეგ ის ხდება კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ფილოსოფიის ფაკულტეტზე და მასწავლებელთა კოლეჯშიც. 1930-იანი წლების ჩათვლით, პენსიაზე გასვლამდე, ჯონ დიუი კოლუმბიის უნივერსიტეტის აქტიური მკვლევარია. სწორედ აქ შექმნა მან თავისი ცნობილი შრომები: დარვინის გავლენა ფილოსოფიაზე და სხვა ნარკვევები თანამედროვე აზროვნებაში (1910), ნარკვევები ექსპერიმენტულ ლოგიკაში (1916), რეკონსტრუქცია ფილოსოფიაში (1920), ადამიანის ბუნება და ქცევა (1922), გამოცდილება და ბუნება (1925), ჭეშმარიტების ძიება (1929), ხელოვნება და გამოცდილება (1934), ლოგიკა: გამოკვლევის თეორია (1938), შემეცნება და ცოდნა (1949). დიუის ეკუთვნის ძირითადი სახელმძღვანელოები განათლების შესახებ: როგორ ვაზროვნებთ (1910), დემოკრატია და განათლება (1916).

ჯონ დიუი ინსტრუმენტალიზმის ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელია. მისი აზრით, ცოდნა საფუძველშივე პრაქტიკულია, ინსტრუმენტულია, რადგან ის (ცოდნა) ვალდებულია, უზრუნველყოს იმ პრობლემების გადაჭრა, რომელსაც ადამიანი აწყდება თავისი ცხოვრების მანძილზე. ინსტრუმენტალიზმი მეცნი-

ერულ ცნებებს, თეორიებსა და ჰიპოთეზებს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანისთვის, რათა მან გარე სამყაროსთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა დაამყაროს. კაცობრიობის არსებობის მანძილზე იცვლება პრობლემები და შესაბამისად, ამ პრობლემების გადაჭრის გზებიც, ინსტრუმენტებიც უნდა შეიცვალოს.

დიუის მთავარი საზრუნავი ადამიანები და მათი პრაქტიკული პრობლემები იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანები არა მხოლოდ აქტიური, არამედ ასევე სოციალური ცხოველები არიან, დიუის ამოსავალი წერტილი სოციალური ფსიქოლოგია გახლდათ. დიუის მიხედვით, განათლების მიზანს წარმოადგენს ინდივიდის ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და მორალური განვითარება დემოკრატიულ საზოგადოებაში. განათლების ამ მიზნის ნათელყოფას ემსახურება დიუის შრომები: სკოლა და საზოგადოება, ბავშვი და ცოდნის სტანდარტი, როგორ ვაზროვნებთ, დემოკრატია და განათლება. პირველი მათგანი დღემდე ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტრაქტატია განათლების სფეროში შექმნილი. მასში განვითარებულია ცნობილი თეზისი განათლებაში პრაქტიკისა და „კეთებით სწავლის“ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც საყოველთაოდაა გაზიარებული. დიუისეულ განათლების თეორიაში სწავლას თანამშრომლობითი ხასიათი აქვს. „განათლების სისტემაში ახალი მიმდინარეობის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართო ანუ სოციალური შეხედულების ქონა. სხვა შემთხვევაში, ცვლილებები სკოლის მართვასა და ტრადიციებში დამოკიდებული იქნება კონკრეტული მასწავლებლების თვითნებურ გადაწყვეტილებებზე, დროებით ახირებებსა და, საუკეთესო შემთხვევაში, გარკვეული დეტალების უმნიშვნელო გაუმჯობესებაზე, ჩვეულებრივ, ამ სიბრტყეში განიხილება სასკოლო ცვლილებები.”[1] აღნიშნული სასკოლო ცვლილებები უკვე შეცვლილი სოციალური სიტუაციის შედეგადაა განპირობებული. ამერიკელი ფილოსოფოსის აზრით, სკოლა მხოლოდ ის ადგილი კი არ უნდა იყოს, სადაც მოსწავლე ისეთ გაკვეთილებს ისწავლის, რომლებსაც არანაირი კავშირი არ ექნება მის მომავალთან, არამედ სწორედ ”სკოლა იღებს შანსს, გახდეს მინიატურული, ჩანასახოვანი საზოგადოება.“[2] ამ მიზნით, დიუის ხელმძღვანელობით, 1896 წელს ჩიკაგოში იხსნება პირველი სკოლა-ლაბორატორია. სკოლა-ლაბორატორიას კონკრეტული პრაქტიკული დანიშნულება აქვს. იქ უნდა შეიქმნას ისეთი კურსი, რომელიც ბავშვის უნარებისა და გამოცდილების ზრდის ბუნებრივ ისტორიას შეესაბამება. საქმე ეხება სასკოლო დისციპლინების იმგვარ შერჩევას, რომელიც ბავშვის ზრდისა და განვითარების განსაზღვრული პერიოდის საჭიროებებს სრულად და ადეკვატურად შეესაბამება.

დიუის მიხედვით, ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის, ეკონომიკურის, პოლიტიკურის, სამართლებრივისა თუ რელიგიურის ღირებულების საზომი ისაა,

1 დიუი, ჯონ, სკოლა და საზოგადოება; ბავშვი და ცოდნის სტანდარტი, სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010, გვ. 6.

2 დიუი, ჯონ, სკოლა და საზოგადოება; ბავშვი და ცოდნის სტანდარტი, სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010, გვ. 14.

თუ რამდენად უწყობს იგი ხელს ინდივიდის გამოცდილების ზრდასა და გაუმჯობესებას. სოციალური ცხოვრება ადამიანთა გამოცდილებას მუდმივად ამრავალფეროვნებს. ის ამდიდრებს წარმოსახვას, ხელს უწყობს აზროვნების სიცხადისადმი მიდრეკილებას, მეტყველების დახვეწას. მარტოობაში მცხოვრებ ადამიანს არანაირი შესაძლებლობა არა აქვს, გადახედოს თავის წარსულ გამოცდილებას და მისი ნამდვილი მნიშვნელობა და ღირებულება შეაფასოს. მარტოობაში მყოფს (ფიზიკურად თუ გონებრივად) არა აქვს არც სწავლების და არც სწავლის მოთხოვნილება. სოციალური ცხოვრების უწყვეტი არსებობისათვის განათლება ისევე აუცილებელია, როგორც ფიზიოლოგიური არსებობისათვის კვება და გამრავლება. განათლება, ძირითადად, კომუნიკაციის გზით გადაცემას გულისხმობს. კომუნიკაციის პროცესში მონაწილე ორივე მხარე სწორედ გამოცდილების გაზიარებისა და განათლების გადაცემის წყალობით, ერთ მთლიანობად აღიქმება. ამ მთლიანობაში, დიუი ახალგაზრდებისა და უფროსების კავშირს ხედავს. როდესაც საზოგადოება ახალგაზრდის საქმიანობას მიმართულებას აძლევს, ამით ის საკუთარ მომავალსაც განსაზღრავს, რადგან ახალგზარდა ადამიანი ხვალ უკვე სწორედ ამ საზოგადოების წევრი ხდება. საზოგადოება, რომელიც თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის ფორმაზეა დაფუძნებული, მხოლოდ მრავალფეროვანი საერთო ინტერესების საფუძველზე ვითარდება. სოციალური ცხოვრების ის ფორმა, სადაც ინტერესები ორმხრივ გადახლართულია და სადაც პროგრესს, განვითარებასა და განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, დემოკრატიულ საზოგადოებას წარმოადგენს. დემოკრატია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მმართველობის ფორმა. იგი, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთთან დაკავშირებული ცხოვრების ურთიერთშეკავშირებული გამოცდილებისა და ცოდნის მდგომარეობაა, რომელიც ეწინააღმდეგება რა გარე ავტორიტეტის პრინციპს, ამ ავტორიტეტის შემცვლელს – თავისუფალ განლაგებასა და ინტერესს – განათლებაში პოულობს. მხოლოდ განათლების საშუალებითაა შესაძლებელი სიახლის გავრცელება, თითოეულ ინდივიდში პირადი ინიციატივისა და ადაპტაციის უნარის განვითარება, საკუთარი მოქმედებებისთვის აზრისა და მიმართულების მიცემა და ამ მოქმედებების შეფარდება სხვათა მოქმედებებთან. ადამიანური ცხოვრების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავად ქმნის საკუთარ თავს მისივე ნებელობითი ძალისხმევით. მან საკუთარი თავი განათლების საშუალებით უნდა აქციოს ჭეშმარიტად მორალურ, რაციონალურ და თავისუფალ არსებად. სახელმწიფოს ფუნქცია სწორედ და მხოლოდ აქ ვლინდება.

საზოგადოება იმდენადაა დემოკრატიული, რამდენადაც იგი ქმნის შესაბამის პირობებს, რომ საზოგადოებრივი სიკეთით მისმა თითოეულმა წევრმა ისარგებლოს თანასწორუფლებიანობის პრინციპით.

გამოცდილება და განათლება

დიუის მიხედვით, გამოცდილება, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფორმა, რომლითაც ჩვენ გამოცდილება მოგვეწოდება. მასწავლებლის მიერ მომავალი გამოცდილების დაგეგმვა და მოსწავლის წინა გამოცდილება ერთად აღებული განსაზღვრავს საზოგადოების მომავალს. აუცილებელია განათლებასა და პიროვნულ გამოცდილებას შორის ორგანული კავშირი არსებობდეს. მასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს ისეთი გამოცდილებები, რომელიც მოწაფის ინიციატივის მოზიდვას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს, წაახალისებს მას და უბიძგებს აქტიურად ჩაერთოს საქმიანობაში. სხვაგვარად სწავლის პროცესი მომაბეზრებელი და მოსაწყენი გახდება და ბევრი მოსწავლე აღმოჩენს, რომ მის მიერ ნასწავლი საგნები ძალიან შორსაა სკოლის გარეთ მიმდინარე პროცესებისაგან. ადამიანების სურვილებისა და განზრახვებისაგან დამოუკიდებლად, ყოველი გამოცდილება განაგრძობს არსებობას შემდგომ გამოცდილებაში. ასე იქმნება გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების კონცეფცია, რომლის უმთავრესი მიზანია ისეთი აწმყო გამოცდილებების შერჩევა, რომლებიც ნაყოფიერად და შემოქმედებითად განაგრძობენ არსებობას მომდევნო გამოცდილებაში.

დიუის აზრით, სავსებით შესაძლებელია განათლების ისეთი სისტემის შექმნა, სადაც მოსწავლის სუბიექტურ პირობებს დაექვემდებარება ობიექტური პირობები. ეს მოხდება მაშინ, როცა მასწავლებლის, სასკოლო წიგნის, სასწავლო ინსტრუმენტებისა და თვით სასკოლო გარემო, ანუ ყველაფერი ის, რაც უფროსების გამოცდილების პროდუქტია, დაექვემდებარება მოზარდების უშუალო მიდრეკილებებს, გრძნობებსა და სურვილებს. ტრადიციული განათლების სისტემის ნაკლი ის კი არ იყო, რომ ის სასკოლო მასალების შერჩევას, მასწავლებელთა გადამზადებას ან სკოლის საჭირო აღჭურვილობას ვერ აკმაყოფილებდა, არამედ ის, რომ ტრადიციული განათლების წარმომადგენლები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლის/მოზარდის უნარებსა და მიზნებს. სწორედ ამის გამო გახდა სწავლებისა და სწავლის პროცესი შემთხვევითობაზე დამოკიდებული: ის, ვინც კარგად ეგუებოდა არსებულ, უკვე პატივსაცემ და მარადიულ ფასეულობად ქცეულ სასკოლო გარემოს, კარგად სწავლობდა, ხოლო ისინი, რომლებსაც უჭირდათ ამ პირობებთან ადაპტაცია, სწავლობდნენ ისე, როგორც შეეძლოთ. „ყველაზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რაც შეიძლება სწავლის პროცესში გაჩნდეს, არის სურვილი სწავლის გაგრძელებისა. თუ საამისო სტიმული და მამოძრავებელი ძალა გაძლიერების ნაცვლად შესუსტდა, საქმე გვაქვს გაცილებით სერიოზულ პრობლემასთან, ვიდრე უბრალოდ, მომზადების ნაკლებობა ან უქონლობაა. მოსწავლე, ფაქტობრივად, განიძარცვება თავისი ბუნებრივი, თანდაყოლილი შესაძლებლობებისაგან, რაც, სხვა შემთხვევაში ცხოვრებისეულ სიტუაციებთან გამკლავების საშუალებას მისცემდა,“[3] – წერს დიუი.

3 დიუი, ჯონ, გამოცდილება და განათლება, გვ. 293.

განათლების ფილოსოფია, რომელსაც საფუძვლად თავისუფლების იდეა უდევს, შემდეგ კითხვებზე მოითხოვს პასუხს: რას ნიშნავს თავისუფლება და რა პირობებია საჭირო მისი რეალიზაციისათვის. მასწავლებელთა მხრიდან ძალდატანებასა და საკითხებისადმი დამოკიდებულების თავზე მოხვევას პროგრესული განათლების სისტემაში უპირისპირდება ინდივიდუალურობის გამოხატვა და განვითარება; მკაცრ დისციპლინას – თავისუფალი მოქმედება; ტექსტების დაზეპირებას – გამოცდილების მეშვეობით სწავლა. ტრადიციულ განათლებაში ე.წ. წესრიგს სკოლაში მასწავლებელი იცავდა, პროგრესული განათლების სისტემაში კი, სოციალური კონტროლი ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა განახორციელოს და პასუხისმგებლობაც თითოეულ მათგანზე უნდა გადანაწილდეს. მასწავლებელიც, ისევე, როგორც მისი მოსწავლეები, ამ ჯგუფის წევრები არიან. მასწავლებელმა, როგორც ჯგუფის წევრმა, მინიმუმამდე უნდა შეამციროს პერსონალური ძალაუფლების გამოვლენის აუცილებლობა და მისი მხრიდან ჯგუფის საქმიანობაში ჩარევა ისევ ჯგუფის საერთო ინტერესების სახელით უნდა მოხდეს და არა პიროვნული ნებისა და ძალაუფლების დემონსტრირების სახით. პედაგოგის მოვალეობაა, თითოეული ინდივიდისა და საგნის არსის ცოდნის საფუძველზე ისე შეარჩიოს სასწავლო აქტივობები, რომ თითოეულ ინდივიდს მიეცეს საშუალება მასში (აქტივობებში) საკუთარი წვლილი შეიტანოს და სადაც კონტროლი იმ საქმიანობის მეშვეობით განხორციელდება, რომელშიც ყველა ერთად მონაწილეობს. მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ჯგუფის შესაძლებლობები და მოთხოვნილებები და შექმნას ისეთი პირობები, სადაც ამ შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების განვითარება მოხდება. პედაგოგის მხრიდან განხორციელებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა იმდენად მოქნილი უნდა იყოს, რომ სრული თავისუფლება უნდა მიეცეს ინდივიდუალურ გამოცდილებას. თავისუფლება ნიშნავს უნარისა და შესაძლებლობათა თავისუფლებას, იქნება ეს მიზნების ჩამოყალიბების თუ გონივრული განსჯის, საკუთარი სურვილების თუ მათგან მომდინარე შედეგების შეფასების თავისუფლება. ჯგუფში მასწავლებლის შეთავაზებები და იდეები გეგმად და პროექტად უნდა გარდაიქმნას სხვა, ახალი იდეების მეშვეობით, რომელთა ჩამოყალიბება და ორგანიზება ჯგუფის წევრების მიერ ხორციელდება. განათლების დაგეგმვაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა იმ ადამიანის გამოცდილება, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული. ეს განვითარება მიიღწევა აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად.

ამდენად, იმისათვის, რომ განათლებამ თავის მიზანს მიაღწიოს, როგორც ინდივიდუალური შემსწავლელისათვის, ასევე საზოგადოებისათვის, უნდა დაეფუძნოს გამოცდილებას, რომელიც ყოველთვის რომელიმე პიროვნების რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებაა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ წავალთ წინ და მივაღწევთ იმ პროგრესს, როცა განათლება რეალობა იქნება და არა უბრალოდ ცარიელი სიტყვა ან ლოზუნგი.

გამოცდილება და განათლება

თავი პირველი

ტრადიციული განათლება პროგრესული განათლების წინააღმდეგ

კაცობრიობას უკიდურესობებით აზროვნება და უკიდურესი ოპოზიციების ენაზე საუბარი უყვარს. ის თავისი შეხედულებების ფორმულირებას ხშირად „ან... ან“ ოპოზიციის სახით ახდენს და შუალედური შესაძლებლობის არსებობას არ აღიარებს. ხოლო, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, იძულებული ხდება აღიაროს რომ უკიდურესობების შესაბამისად მოქმედება დაუშვებელია, ის კვლავ დაჟინებით ამტკიცებს, რომ უკიდურესობები თეორიულად მისაღებია, მაგრამ, როდესაც ჯერი პრაქტიკულ საკითხებზე მიდგება, გარემოებები გვაიძულებს, კომპრომისზე წავიდეთ. გამონაკლისი არც განათლების ფილოსოფიაა. განათლების თეორიის ისტორია ორი იდეის მუდმივი დაპირისპირების მოწმეა. ერთის მიხედვით, განათლება განვითარებისა და ფორმირების შიგნიდან მართვადი პროცესია, მეორის მიხედვით კი, პირიქით – იგი გარედანაა განპირობებული. ერთი თვალსაზრისით, განათლება ეფუძნება ინდივიდის ბუნებრივ უნარსა და შესაძლებლობებს, მეორე თვალსაზრისით კი, იგი არის ბუნებრივი მიდრეკილებების გადალახვისა და გარეშე ფაქტორების ზეწოლის შედეგად შეძენილი ჩვევებით მათი ჩანაცვლების პროცესი.

დღეს, სკოლის პრაქტიკული საკითხების ირგვლივ არსებული უთანხმოება ტრადიციულ განათლებასა და პროგრესულ განათლებას შორის დაპირისპირებით გამოიხატება. თუ მოვახდენთ ტრადიციული განათლების მამოძრავებელი იდეების ზოგად ფორმულირებას, ზუსტი დახასიათებისთვის საჭირო დეტალური შეფასებების გარეშე, მათი გადმოცემა ასე შეიძლება: ტრადიციული სწავლების შინაარსი წარსულში შემუშავებული ინფორმაციისა და გარკვეული უნარ-ჩვევებისგან შედგება. შესაბამისად, სკოლის ძირითადი დანიშნულებაა ამ დაგროვილი, მზა მასალის ახალი თაობებისთვის გადაცემა. წარსულში ასევე ჩამოყალიბდა ქცევის სტანდარტები და წესები. მორალური აღზრდა ნიშნავს ამ წესებისა და სტანდარტების შესაბამისი ქცევის ჩვევების ჩამოყალიბებას. საბოლოოდ, ორგანიზაციის ზოგადი მოდელი (ვგულისხმობ მოსწავლეთა დამოკიდებულებას ერთმანეთისა და მასწავლებლებისადმი) სკოლას სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებებისგან მკვეთრად განსხვავებული ტიპის დაწესებულებად აქცევს. თუ წარმოსახვაში აღიდგენთ ჩვეულებრივ სასკოლო ატმოსფეროს, წარმოიდგენთ

საკლასო ოთახს, გაკვეთილების ცხრილებს და გაიხსენებთ კლასიფიკაციის, გამოცდებისა და კლასიდან კლასში გადაყვანის სისტემას, წესრიგსა და დისციპლინის წესებს, ვფიქრობ, უკეთესად გაიგებთ, რა იგულისხმება „ორგანიზაციულ მოდელში“. ხოლო თუკი ამ სცენას ოჯახურ გარემოს შეადარებთ, კიდევ უფრო უკეთესად აღიქვამთ იმ განსხვავებას, რაც სკოლას ასე მკვეთრად გამოარჩევს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნებისმიერი სხვა ფორმისგან.

ზემოთ აღნიშნული მახასიათებლები მონაწილეობს სწავლებისა და დისციპლინის დამყარების მეთოდებისა და მიზნების დადგენაში. ახალგაზრდების მთავარი ამოცანაა სამომავლო პასუხისმგებლობისთვის და ცხოვრებისეული წარმატებებისთვის მომზადება წინასწარ ორგანიზებული ინფორმაციული მარაგისა და უნარ-ჩვევების მზა ფორმების ათვისებით. ვინაიდან სწავლების შინაარსი და მართებული ქცევის ნორმები თაობიდან თაობას წარსულიდან გადმოეცემა, მოსწავლეთა დამოკიდებულებაც შესაბამისი უნდა იყოს – დამყოლობა, ათვისების უნარი და მორჩილება. წარსულის ცოდნისა და სიბრძნის გადმოცემაში მთავარ როლს წიგნები, განსაკუთრებით კი სახელმღვანელოები, ასრულებს. ხოლო მასწავლებელი კი ის რგოლია, რომლის დახმარებითაც მოსწავლე ეფექტურ კავშირს ამყარებს მასალასთან. მასწავლებლები ის შუამავლები არიან, რომელთა მეშვეობით ხდება ცოდნისა და უნარ-ჩვევების ურთიერთდაკავშირება და ქცევის წესების დამკვიდრება.

ამ მოკლე მონახაზის გაკეთებისას ჩემი მიზანი არ ყოფილა განათლების ფუნდამენტური ფილოსოფიის კრიტიკა. ახალი განათლებისა და პროგრესული სკოლების აღმოცენება ტრადიციული განათლებით მასობრივი უკმაყოფილების შედეგია. თავისი არსით ახალი განათლება სწორედ ამ უკანასკნელის კრიტიკას მოიცავს. თუ ნაგულისხმევ კრიტიკას მკაფიოდ ჩამოვაყალიბებთ, ის დაახლოებით ასეთი იქნება: ტრადიციული სისტემა, თავისი არსით, არის ძალდატანება, თავს მოხვევა. იგი თავს ახვევს მოწიფული, ზრდასრული ადამიანების სტანდარტებს, სწავლების შინაარსსა და მეთოდებს მათ, ვინც ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების, მომწიფების პროცესშია. განსხვავება იმდენად დიდია, რომ საგნობრივი შინაარსიც, სწავლისა და ქცევის მეთოდებიც სრულიად უცხოა ახალგაზრდების შესაძლებლობებისთვის. ყოველივე ეს ამ ეტაპზე სცდება კომპეტენციისა და გამოცდილების ფარგლებს, შესაბამისად, ხდება ამ მეთოდების იძულებით თავს მოხვევა. თუმცა კარგი მასწავლებლები ამ ძალდატანების შესანიღბად თავიანთ პედაგოგიურ ოსტატობასა და ხელოვნებას მიმართავენ, რათა თვალშისაცემი „სისასტიკე“ აიცილონ.

მაგრამ ჩამოყალიბებულ, ზრდასრულ ადამიანთა პროდუქტსა და მოზარდთა გამოცდილებასა და შესაძლებლობებს შორის არსებული უფსკრული იმდენად ღრმაა, რომ თავად ეს სიტუაცია გამორიცხავს სასწავლო მასალის შემუშავებაში მოსწავლეთა აქტიური ჩაბმის შესაძლებლობას. ისინი უბრალოდ იძულებულნი არიან, ისწავლონ. ამ შემთხვევაში სწავლა ნიშნავს იმის ათვისებას, რაც წიგნებსა და უფროსების გონებაშია თავმოყრილი. უფრო მეტიც, იმას, რაც ისწავლება, არ-

სებითად სტატიკური გაგება აქვს – იგი ისწავლება, როგორც დასრულებული, მზა პროდუქტი. ხოლო იმას, როგორ მოხდა ამ მასალის შექმნა ან რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს მასში მომავალში, ნაკლები ყურადღება ექცევა. მსგავსი სიტუაცია ძირითადად იმ საზოგადოების კულტურული პროდუქტია, რომელიც მიიჩნევს, რომ მომავალი წარსულის მსგავსი იქნება, თუმცა მისით ის საზოგადოებაც საზრდოობს, რომლისთვისაც ცვლილება კანონია და არა გამონაკლისი.

თუკი შევეცდებით ახალი განათლების პრაქტიკაში ნაგულისხმევი ფილოსოფიის ფორმულირებას, შესაძლოა, დღეს არსებული სხვადასხვა ტიპის პროგრესულ სკოლებს შორის გარკვეული საერთო პრინციპები აღმოვაჩინოთ. ზემოხსენებულ ძალდატანებას და თავზე მოხვევას უპირისპირდება ინდივიდუალურობის გამოხატვა და განვითარება; მკაცრ დისციპლინას – თავისუფალი მოქმედება; ტექსტებისა და მასწავლებლების დახმარებით სწავლას – გამოცდილების მეშვეობით სწავლა; წვრთნითა და ვარჯიშით იზოლირებულ უნარსა და ტექნიკას უპირისპირდება მათი, როგორც საშუალების ათვისება, სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზნების მისაღწევად; ცოტად თუ ბევრად შორეული მომავლისთვის მზადებას უპირისპირდება აწმყოს, დღევანდელი დღის შესაძლებლობათა რეალიზაცია; სტატიკურ მიზნებს და მასალას – ცვალებადი სამყაროს გაცნობა.

როგორც ვხედავთ, ყველა პრინციპი თავისთავად აბსტრაქტულია. ისინი კონკრეტულ სახეს მხოლოდ მათი გამოყენების შედეგად მიღებულ მოვლენათა განვითარებისას იღებენ. რადგან წარმოდგენილი პრინციპები თავისთავად ფუნდამენტური და კომპლექსურია, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ინტერპრეტაციას გავუკეთებთ მათ, პრაქტიკული განხორციელებისას სკოლასა თუ სახლში. ზემოთ ხსენებული „ან-ან“ ფილოსოფია განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ამ შემთხვევისთვის იძენს. ახალი განათლების ზოგადი ფილოსოფია შესაძლოა ჯანსაღ ლოგიკას ეფუძნებოდეს, მაგრამ აბსტრაქტულ პრინციპებში განსხვავება ვერ გადაწყვეტს, როგორ უნდა მოხდეს სასურველი მორალური და ინტელექტური ალტერნატივის განხორციელება პრაქტიკაში. ახალ მოძრაობას მუდამ თან სდევს საფრთხე, რომ იმ სისტემის მიზნებისა და მეთოდების უარყოფისას, რომლის ჩანაცვლებასაც იგი აპირებს, საკუთარი პრინციპები უფრო ნეგატიურად განავითაროს, ვიდრე პოზიტიურად და კონსტრუქციულად. ამის გამო, ამ პრინციპების პრაქტიკული ხორცშესხმისას იგი ძველის უარყოფაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე საკუთარი, ახალი, კონსტრუქციული ფილოსოფიის შექმნაზე.

ჩემი აზრით, ახალი ფილოსოფიის ფუნდამენტური მთლიანობა რეალური გამოცდილებისა და განათლების პროცესებს შორის არსებული მჭიდრო და გარდაუვალი ურთიერთკავშირით აისახება. თუ ეს ასეა, მაშინ ახალი განათლების ფუნდამენტური იდეის პოზიტიური და კონსტრუქციული განვითარება დამოკიდებულია გამოცდილების იდეის შესახებ მისივე სწორ წარმოდგენაზე. მაგალითად, ავიღოთ ორგანიზებული სწავლების შინაარსის საკითხი, რომელიც მოგვიანებით დეტალურად იქნება განხილული. პროგრესული განათლების წინაშე დგას შემ-

დეგი პრობლემა: რა ადგილი და მნიშვნელობა ენიჭება სწავლების შინაარსსა და ორგანიზაციას გამოცდილების ფარგლებში? როგორ ფუნქციონირებს შინაარსი? აქვს თუ არა გამოცდილებას ისეთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც განაპირობებს მისი შინაარსის პროგრესულ ორგანიზაციას? რა შედეგებს ვიღებთ, როდესაც გამოცდილების მასალები არ არის პროგრესულად ორგანიზებული? ძველის სრულ უარყოფასა და ოპოზიციაზე დაფუძნებული ფილოსოფია ამ კითხვებს უპასუხოდ ტოვებს. იგი ცალსახად მიიჩნევს, რომ რადგან ძველი განათლება მზა სახით მოცემულ ორგანიზაციას ემყარებოდა, ახალი განათლებისთვის ამგვარი ორგანიზაციული პრინციპის სრული უარყოფაც საკმარისია. ის უბრალოდ გმობს ძველ პრინციპს და არ ცდილობს გაიგოს, რას ნიშნავს და როგორ მიიღწევა ორგანიზაცია გამოცდილების პრინციპზე დაყრდნობით. შეიძლება ახალ და ძველ განათლებას შორის არსებულ ყველა განმასხვავებელ ნიშანს ცალ-ცალკე შევეხოთ და არაერთი მსგავსი დასკვნა გამოვიტანოთ. როდესაც გარეშე კონტროლის უარყოფა ხდება, დღის წესრიგში დგება ახალი პრობლემა – გამოცდილებისთვის დამახასიათებელი კონტროლის ფაქტორების აღმოჩენა. გარეშე ფაქტორების ზემოქმედების, გარედან მართვის უარყოფა გულისხმობს არა ნებისმიერი სახის მართვაზე უარის თქმას, არამედ მართვის უფრო ეფექტური წყაროს ძიების საჭიროებას. რადგან ძველი განათლება მოზარდს თავს ახვევდა ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანის ცოდნას, მეთოდებსა და ქცევის წესებს, ეს არ ნიშნავს, რომ მოწიფული ადამიანის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ახალგაზრდის გამოცდილებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია. პირიქით, განათლების პირად გამოცდილებაზე დაფუძნება, შესაძლოა გულისხმობდეს გაცილებით უფრო ხშირ და ახლო კონტაქტს მოზარდსა და მოწიფულს შორის, ვიდრე ტრადიციულ სკოლაში; ეს კი ნიშნავს უფროსების ხელმძღვანელი ფუნქციის არა თუ შემცირებას, არამედ გაზრდას. პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: როგორ უნდა დამყარდეს ეს კონტაქტები ისე, რომ არ დაირღვეს პირადი გამოცდილების საფუძველზე სწავლის პრინციპი? ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს იმ სოციალური ფაქტორების კარგად გააზრებას, რომლებიც აქტიურადაა ჩართული ინდივიდუალურ გამოცდილებაში.

ზემოაღნიშნულ შენიშვნებში ნაჩვენებია, რომ ახალი განათლების ზოგად პრინციპებს დამოუკიდებლად არ შეუძლია გადაწყვიტოს პროგრესული სკოლების ფუნქციონირებისა და მართვის რეალური თუ პრაქტიკული პრობლემები. უფრო მეტიც, ისინი თავად ქმნიან ახალ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა სწორედ გამოცდილების ახალი ფილოსოფიის საფუძველზე უნდა მოხდეს. როდესაც ფიქრობენ, რომ საკმარისია ძველი განათლების იდეებისა და პრაქტიკის დაგმობა და მისი საპირისპირო, მეორე უკიდურესობის არჩევა, ეს ნიშნავს, რომ პრობლემის არსს ვერ აცნობიერებენ, აღარაფერს ვამბობ მის გადაჭრაზე. დარწმუნებული ვარ, სათანადოდ შეაფასებთ, რას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ ახალი სკოლების დიდი ნაწილი ცოტას ან, უარეს შემთხვევაში, არაფერს აკეთებს სწავლების ორგანიზებული შინაარსის შესაცვლელად. მცდარია ის პო-

ზიცია, რომლის მიხედვითაც უფროსების მხრიდან ნებისმიერი სახის მითითება და ხელმძღვანელობა პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფაა; არც აწმყოსა და მომავალზე ორიენტირებული განათლების იდეა ნიშნავს იმას, რომ წარსულის ცოდნა უმნიშვნელო ან საერთოდ, არავითარ როლს არ ასრულებს განათლებაში. ეს დეფექტები და ნაკლოვანებები გვიჩვენებს, რა იგულისხმება განათლების იმ თეორიასა და პრაქტიკაში, რომელიც ნეგატიურად წარიმართება ან იღებს არსებული საგანმანათლებლო სისტემის საწინააღმდეგო რეაქციის სახეს, ნაცვლად იმისა რომ პოზიტიურად და კონსტრუქციულად განავითაროს საკუთარი მიზნები და ამოცანები, საკუთარი მეთოდები და შინაარსი, რომელიც დაფუძნებული იქნება გამოცდილების თეორიასა და მის საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პოტენციალზე.

ალბათ ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით – განათლების ფილოსოფია, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ მისი საფუძველი თავისუფლების იდეაა, შესაძლოა, ერთ დღეს ისეთივე დოგმატური გახდეს, როგორიც ერთ დროს ის ტრადიციული განათლება იყო, რომლის პროტესტის ნიშნადაც ახალი განათლება დაიბადა. ვინაიდან ნებისმიერი თეორია და პრაქტიკა, რომელიც კრიტიკული თვალით არ უყურებს მის მიერ არჩეულ პრინციპებს, თავისთავად დოგმატურია. მოდით ვაღიაროთ, რომ ახალი განათლება აქცენტს აკეთებს მოსწავლის თავისუფლებაზე. ძალიან კარგი! მაგრამ აქვე ჩნდება პრობლემა: რას ნიშნავს თავისუფლება და რა პირობებია საჭირო მისი რეალიზაციისათვის? მოდით ვთქვათ, რომ გარედან ძალდატანება, რაც ასე დამახასიათებელი იყო ტრადიციული სკოლისთვის, არათუ ხელს უწყობდა, არამედ პირიქით, ზღუდავდა ახალგაზრდების ინტელექტურ და მორალურ განვითარებას. ესეც ძალიან კარგი. ამ სერიოზული დეფექტის აღმოჩენა და აღიარება კვლავ პრობლემას წარმოშობს: მაშინ რა როლს ასრულებს მასწავლებელი და წიგნი მოზარდის ცოდნის გაღრმავებაში? ვაღიაროთ, რომ ტრადიციული განათლება სწავლების შინაარსის განსაზღვრისას ეყრდნობოდა წარსულთან დაკავშირებულ ფაქტებსა და იდეებს, რაც ნაკლებად გამოსადეგია აწმყოსა და მომავლის საკითხებში გარკვევისათვის. ძალიან კარგი. ახლა კი ჩვენი ამოცანაა თვით გამოცდილებაში წარსულის მიღწევებსა და აწმყოს საკითხებს შორის რეალურად არსებული კავშირის აღმოჩენა. ასევე უნდა გავარკვიოთ, როგორ შეიძლება წარსულის ცოდნა მომავალთან ურთიერთობის ეფექტურ საშუალებად იქცეს. ჩვენ შეიძლება, უარი ვთქვათ წარსულის ცოდნაზე, როგორც განათლების საბოლოო მიზანზე და ამგვარად, აქცენტი გავაკეთოთ მისი, როგორც მხოლოდ საშუალების მნიშვნელობაზე. ამ შემთხვევაში აღმოვჩნდებით ისეთი პრობლემის წინაშე, რომელიც თავისი არსით ახალია განათლების ისტორიაში: როგორ უნდა გაეცნონ ახალგაზრდები ისტორიას იმგვარად, რომ ცოცხალი აწმყოს შეფასების ეფექტურ საშუალებად იქცეს?

თავი მეორე

გამოცდილების თეორიის აუცილებლობა

მოკლედ, ჩემი აზრით, ტრადიციული განათლების ფილოსოფიისა და პრაქტიკის უარყოფა ახალი ტიპის და უფრო რთული საგანმანათლებლო პრობლემის წინაშე აყენებს მათ, ვისაც ახალი ტიპის განათლების სწამს. თუ ამ ფაქტს არ ვაღიარებთ და ბოლომდე არ გავაანალიზებთ ბრმად და გაურკვევლად ვიმოქმედებთ. მხოლოდ ძველი გზიდან გადახვევით პრობლემებს ვერ გადავჭრით. შესაბამისად, ის რაც წიგნში შემდეგაა ნათქვამი, მიზნად ისახავს ახალი განათლების წინაშე არსებული ზოგიერთი მთავარი პრობლემის წარმოჩენას და მათი მოგვარებისთვის აუცილებელი გზებისა და მიმართულებების ჩვენებას. ჩემი აზრით, ყველა გაურკვევლობას სდევს ერთი მუდმივი კრიტერიუმი, რომელიც ათვლის წერტილად უნდა მივიჩნიოთ: კერძოდ, ეს არის განათლებასა და პიროვნულ გამოცდილებას შორის არსებული ორგანული კავშირი, ანუ ის, რომ განათლების ახალი ფილოსოფია არის გარკვეული ტიპის ემპირიული და ექსპერიმენტული ფილოსოფია. მაგრამ გამოცდილება და ექსპერიმენტი არ წარმოადგენენ თვითგანმარტებით, თავისთავად, ცხად, ცნებებს. მათი მნიშვნელობის გაგება იმ პრობლემის ნაწილია, რომელიც უნდა განვიხილოთ. ემპირიზმის მნიშვნელობა რომ გავიგოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა არის გამოცდილება.

ნამდვილი განათლების წყაროდ გამოცდილების მიჩნევა არ ნიშნავს, რომ ყველა სახის გამოცდილებას ჭეშმარიტი ან თანაბარი საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. გამოცდილებისა და განათლების ერთმანეთთან გაიგივება შეუძლებელია, ვინაიდან ზოგჯერ გამოცდილებას, შესაძლოა, საპირისპირო შედეგი ჰქონდეს. ნებისმიერი გამოცდილება, რომელიც ამახინჯებს ან აფერხებს გამოცდილების შემდგომ ზრდას, შეიძლება ჩაითვალოს არასწორი განათლების წყაროდ. ზოგიერთმა გამოცდილებამ, შესაძლოა ინდივიდში ერთგვარი მოუქნელობა, სიტლანქე გამოიწვიოს, გახდეს ინდიფერენტულობისა და მოვლენებზე რეაგირების უნარის დაქვეითების მიზეზი. ეს ზღუდავს მომავალში უფრო მდიდარი გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას. გარკვეულმა გამოცდილებამ, შესაძლოა, გაზარდოს პიროვნების ავტომატური უნარ-ჩვევა მხოლოდ ერთი, კონკრეტული მიმართულებით და აიძულოს იგი, ერთი ადგილი ტკეპნოს და ჩვეული, გაკვალული გზიდან არ გადაუხვიოს.ამ შემთხვევაშიც იმავე შედეგს მივიღებთ: პიროვნების შემდგომი გამოცდილების სფერო დავიწროვდება. თავად გამოცდილება, შესაძლოა, სასიამოვნოც იყოს, მაგრამ უზრუნველი, დაუდევარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება გამოიწვიოს. ეს დამოკიდებულება კი იმდენად ცვლის პიროვნების შემდგომი გამოცდილებების ხასიათს, რომ ხელს უშლის სრულფასოვნად მიიღოს ის, რისი მიღებაც მას ამ გამოცდილებიდან შეუძლია. გარდა ამისა, სხვდასხვა სახის გამოცდილება, შეიძლება იმდენად განსხვავებული იყოს, რომ მაშინაც კი, როცა ყოველი მათგანი სათითაოდ მისაღები და სასიამოვნოა, თუკი ისინი მოკლებული არიან თანმიმდევრულობას და ვერ ქმნიან ერთობ-

ლიობას, ადამიანის ენერგია იფანტება და თავქარიანი, არაკონცენტრირებული ხდება. თავისთავად გამოცდილება შესაძლოა, მხიარული, ენერგიული, ცოცხალი და „საინტერესო“ იყოს, მაგრამ თუ სხვადასხვა გამოცდილება ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, ეს ხელოვნურად იწვევს გაფანტული, დანაწევრებული, „ცენტრიდანული“ თვისებების წარმოქმნას. ამგვარი ჩვევებისა და თვისებების ჩამოყალიბების ლოგიკური განვითარება კი განაპირობებს ადამიანის უუნარობას აკონტროლოს მომავლის გამოცდილება და ის, რასაც მას ეს გამოცდილებები სთავაზობენ. იგი ამ გამოცდილებებს ხვდება სიამოვნებით, უკმაყოფილებით, ან ამბოხით. ასეთ სიტუაციაში თვითკონტროლზე საუბარიც ზედმეტია.

ტრადიციული განათლება ამ ტიპის გამოცდილებათა უამრავ მაგალითს გვთავაზობს. დიდი შეცდომა იქნება, თუ ვიტყვით, ან თუნდაც ვიგულისხმებთ, თითქოს ტრადიციული საკლასო ოთახი არასოდეს ყოფილა ის ადგილი, სადაც მოსწავლეებს გამოცდილების მიღება შეეძლოთ. თუმცა ეს თავისთავად იგულისხმება, როდესაც პროგრესული განათლება, როგორც გამოცდილების საფუძველზე სწავლების გეგმა, ძველ განათლებას უპირისპირდება. ამგვარი შეტევის დროს სამართლიანი და სწორი იქნება, თუ ვიტყვით რომ გამოცდილება, რომელიც ერთნაირად ჰქონდათ მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც, მეტწილად მცდარი იყო. ვინ მოთვლის, რამდენი მოსწავლე გახდა ინდიფერენტული იდეების მიმართ და რამდენმა დაკარგა სწავლის სტიმული ისევ და ისევ სწავლის პროცესში მიღებული გამოცდილების გამო? რამდენმა შეიძინა კონკრეტული უნარ-ჩვევები ავტომატური ვარჯიშით, მსჯელობისა და ახალ სიტუაციებში გონივრულად მოქმედების უნარის შეზღუდვის ხარჯზე? რამდენი ადამიანისთვის იქცა სწავლის პროცესი მობეზრებისა და მოწყენის სინონიმად? რამდენმა აღმოაჩინა რაოდენ შორს იყო სკოლაში ნასწავლი სკოლის გარეთ მიმდინარე პროცესებისგან? რამდენისთვის იქცა წიგნი უაზრო, მოსაბეზრებელ, იაფფასიან საკითხავ მასალად?

ამ კითხვების წამოჭრისას, ჩემი მიზანი არ ყოფილა ძველი განათლების დაგმობა. ამით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ახალგაზრდები ტრადიციულ სკოლებში, მართლაც, იღებენ გამოცდილებას, მაგრამ პრობლემა გამოცდილების არქონა კი არ არის, არამედ მათი დეფექტური და მცდარი ხასიათი შემდგომ გამოცდილებებთან დაკავშირების თვალსაზრისით. ამ საკითხის პოზიტიური, დადებითი მხარე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პროგრესულ განათლებასთან მიმართებაში. საკმარისი არ არის მხოლოდ დაჟინება იმისა, რომ გამოცდილება აუცილებელია, ვინაიდან საბოლოოდ, ყველაფერი დამოკიდებულია მიღებულ გამოცდილებაზე. ნებისმიერი გამოცდილების სახეს ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს. პირველი ასპექტი უკავშირდება უშუალო განცდას – გამოცდილება სასიამოვნოა თუ უსიამოვნო. მეორე ასპექტი გულისხმობს მის გავლენას უფრო გვიანდელ გამოცდილებაზე. პირველი ასპექტი თვალსაჩინოა და განსასჯელად მარტივი. რაც შეეხება გამოცდილების შედეგს, ის არათვალსაჩინოა და უშუალოდ არ აღიქმება. ეს უკანასკნელი პედაგოგის წინაშე შემდეგ ამოცანას სახავს: უნდა შეიქმნას ისეთი გამოცდილებები, რომელიც არათუ განიზიდავს მოწაფის ინიციატივას, არამედ

პირიქით, აქტიურად ჩააბამს საქმიანობაში და წაახალისებს მასში მონაწილეობას; ამგვარი გამოცდილების დანიშნულება კი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ სიამოვნების მიღება, ვინაიდან ის უზრუნველყოფს სასურველი სამომავლო გამოცდილების არსებობას. ისე, როგორც ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი არ არის დამოკიდებული მის ნებაზე, გამოცდილების „სიცოცხლე და სიკვდილიც“ ვერ იმართება მისი ნებით. სურვილისა და განზრახვისგან დამოუკიდებლად, ყოველი გამოცდილება განაგრძობს არსებობას შემდგომ გამოცდილებაში. აქედან გამომდინარე, გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების ცენტრალური პრობლემაა ისეთი აწმყო გამოცდილებების შერჩევა, რომლებიც ნაყოფიერად და შემოქმედებითად იარსებებენ მომდევნო გამოცდილებაში.

მოგვიანებით, უფრო დეტალურად განვიხილავთ გამოცდილების თანმიმდევრული უწყვეტობის პრინციპს, რასაც შეიძლება გამოცდილების კონტინუუმი, ან ემპირიული კონტინუუმი ეწოდოს. აქ მინდა უბრალოდ ხაზი გავუსვა ამ პრინციპის დიდ მნიშვნელობას საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი გამოცდილების ფილოსოფიის საკითხში. ნებისმიერი სხვა თეორიის მსგავსად, განათლების ფილოსოფიის ჩამოყალიბება სიტყვების, სიმბოლოების საშუალებით ხდება. მაგრამ აქ ვერბალური ფორმულირება საკმარისი არ არის, რადგან საქმე გვაქვს განათლების წარმართვის პრაქტიკულ გეგმასთან. მსგავსად ნებისმიერი გეგმისა, ის უნდა ჩამოყალიბდეს იმის გათვალისწინებით, რა, და როგორ უნდა გაკეთდეს. რაც უფრო ნათელი წარმოდგენა გვექნება იმის შესახებ, რომ განათლება გამოცდილების განვითარებაა, გამოცდილებისთვის და გამოცდილების ფარგლებში, მით უფრო მნიშვნელოვანი გახდება გამოცდილების შესახებ მკაფიოდ გამოკვეთილი კონცეფციების შემუშავებაც. თუ გამოცდილების შედეგად ვერ ჩამოვაყალიბებთ სწავლების შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და დისციპლინის, სკოლის მატერიალური აღჭურვისა და სოციალური ორგანიზაციის გეგმას, მაშინ ეს გამოცდილება ფუჭია. იგი სხვა არაფერია, თუ არა სიტყვების უბრალო ჯგუფი, რომელიც შესაძლოა ემოციური თვალსაზრისით ეფექტური იყოს, მაგრამ მისი შეცვლა სიტყვათა სხვა ნებისმიერი კომბინაციითაც იქნება შესაძლებელი, თუ ეს სიტყვები არ მიუთითებს იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომლებიც უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ტრადიციული განათლება იყო შაბლონი და რუტინა, სადაც გეგმები და პროგრამები წარსულიდან გადმოეცემოდა თაობებს, არ ნიშნავს, რომ პროგრესული განათლება დაუგეგმავი იმპროვიზაცია უნდა იყოს.

ტრადიციულ სკოლას შეეძლო ეარსება თანმიმდევრულად შემუშავებული განათლების ფილოსოფიის გარეშე. თავისი ტრადიციული კურსის შესანარჩუნებლად მას სჭირდებოდა არაერთი აბსტრაქტული სიტყვა, როგორიცაა კულტურა, დისციპლინა, ჩვენი დიადი კულტურული მემკვიდრეობა და ა. შ. თუმცა, იგი რეალურად არა ამ ცნებებით, არამედ წარსულში დადგენილი წესებითა და დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ტრადიციებით ხელმძღვანელობდა. რადგან პროგრესული სკოლა ვეღარ დაეყრდნობა დადგენილ ტრადიციებსა და ინსტიტუციურ

წესებს, ან მეტ-ნაკლებად უსისტემოდ უნდა იმოქმედოს, ან იხელმძღვანელოს ისეთი იდეებით, რომელთა მკაფიო, თანმიმდევრული ჩამოყალიბებაც განათლების ფილოსოფიას მოგვცემს. პროტესტი ტრადიციული სკოლისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციის წინააღმდეგ იწვევს ახლებურ იდეებზე დაფუძნებული ორგანიზაციის არსებობის აუცილებლობას. ჩემი აზრით, განათლების ისტორიის უმნიშვნელო ცოდნაც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ განათლების ფილოსოფიის შექმნის საჭიროება მხოლოდ განათლების რეფორმატორებმა და ნოვატორებმა იგრძნეს. მათთვის კი, ვინც დადგენილი სისტემის ერთგული რჩებოდა, რამდენიმე ლამაზი სიტყვაც საკმარისი იყო არსებული პრაქტიკის გასამართლებლად. რეალური სამუშაო სრულდებოდა იმ წესების მიხედვით, რომლებიც იმდენად ფიქსირებული და უცვლელი იყო, რამდენადაც ინსტიტუციური. ეს პროგრესული განათლებისთვის დიდი გაკვეთილია. ახლა მისი ამოცანაა გამოცდილების ფილოსოფიაზე დაფუძნებული განათლების ფილოსოფიის შექმნა. ეს მოთხოვნა დღეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

სხვათა შორის აღვნიშნე, რომ, დემოკრატიის შესახებ ლინკოლნის ცნობილი გამონათქვამის პარაფრაზს თუ მოვახდენთ, ეს ფილოსოფია გულისხმობს გამოცდილების, გამოცდილებით და გამოცდილებისთვის განათლებას. გამოცდილების, გამოცდილებით და გამოცდილებისთვის – ამ სიტყვებიდან არც ერთი არ არის ჩვენთვის თავისთავად გასაგები. თითოეული მათგანი ასახავს ურთულეს ამოცანას, რაც გულისხმობს წესრიგისა და ორგანიზაციის პრინციპის მიგნებასა და ამოქმედებას, რაც საბოლოოდ, გამომდინარეობს გამოცდილების ცნების ადეკვატური გაგებიდან.

შესაბამისად, ახალი განათლებისთვის შესაფერისი მასალების, მეთოდებისა და სოციალური უთიერთობების შემუშავება გაცილებით რთული ამოცანაა, ვიდრე ტრადიციული განათლების შემთხვევაში. ჩემი აზრით, პროგრესული სკოლის მართვასთან დაკავშირებული სირთულეებისა და ამ სკოლების წინააღმდეგ გამოთქმული უამრავი კრიტიკის მიზეზი სწორედ ეს გარემოებაა. სირთულეები მწვავდება და კრიტიკაც მატულობს, როდესაც ფიქრობენ, რომ ახალი განათლება ძველზე ადვილია. ვფიქრობ, ეს შეხედულება, მეტ-ნაკლებად გავრცელებულია დღეს. შესაძლოა, ესეც ჩვენ მიერ არაერთხელ ხსენებული „ან-ან“ ფილოსოფიის გავლენაა.

სიამოვნებით ვაღიარებ, რომ ახალი განათლება, თავისი საფუძვლებითა და პრინციპებით ძველთან შედარებით მარტივია. ის ჰარმონიაშია ზრდისა და განვითარების პრინციპებთან, საგნებისა და მეთოდების ძველ კომპლექტსა და ორგანიზაციაში კი ბევრი რამ ხელოვნური იყო, რასაც ყოველთვის არასასურველ, და რაც მთავარია, სრულიად უსარგებლო სირთულემდე მივყავართ. მაგრამ არ შეიძლება ადვილს და მარტივს ერთნაირი გაგება მივცეთ. იმის აღმოჩენა, რა არის მართლაც მარტივი და შემდეგ ამ აღმოჩენის შესაბამისად მოქმედება, უაღრესად რთული ამოცანაა. როდესაც ხელოვნური და რთული ოდესღაც ინსტიტუციურად გამყარებული და შემდეგ ტრადიციასა და რუტინაში მყარად ფესვგადგ-

მულია, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია გაკვალული გზებით სიარული, ვიდრე ახალი ხედვისა და კურსის არჩევის შემდეგ იმის ჩამოყალიბება, პრაქტიკულად რა იგულისხმება ამ ახალ ხედვაში. პტოლემეს[1] ძველი ასტრონომიული სისტემა უფრო რთული იყო თავის ციკლებითა და ეპიციკლებით, ვიდრე კოპერნიკის[2] სისტემა. მაგრამ სანამ ასტრონომიული მოვლენების ორგანიზაციას საფუძვლად კოპერნიკისეული პრინციპი დაედებოდა, ყველაზე ადვილი გზა ძველი ინტელექტუალური ტრადიციით ხელმძღვანელობა იყო, მინიმალური წინააღმდეგობის გარეშე. მაშასადამე, კვლავ ვუბრუნდებით იდეას, რომ სკოლების მუშაობის ახალი მიმართულებების დასახვისათვის, საჭიროა გამოცდილების შეთანხმებული, თანმიმდევრული თეორია, რომელიც საშუალებას მოგვცემს პოზიტიური მიმართულება მივცეთ სათანადო საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მეთოდებისა და მასალების შერჩევასა და ორგანიზაციას. ეს ზრდის ნელი და დაძაბული პროცესია და არსებობს უამრავი დაბრკოლება, რომელმაც შესაძლოა, ეს ზრდა შეაფერხოს ან გეზი შეუცვალოს.

ორგანიზაციის შესახებ მოგვიანებით კიდევ ვისაუბრებთ. ამჯერად კი აუცილებელია აღინიშნოს, რომ მასზე მსჯელობისას უნდა მოვერიდოთ ტენდენციას, ვიგულისხმოთ ტრადიციული განათლებისთვის დამახასიათებელი ორგანიზაცია, იქნება ეს შინაარსის, მეთოდების თუ სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით. ჩემი აზრით, ორგანიზაციის იდეის მიმართ ამჟამად არსებული წინააღმდეგობის დიდი ნაწილი იმითაა განპირობებული, რომ ჩვენთვის არც ისე ადვილია ტრადიციული სკოლის ხატისგან განთავისუფლება. მაშინვე, როგორც კი „ორგანიზაციას“ ვახსენებთ, ჩვენს წარმოსახვაში ავტომატურად აღვადგენთ ჩვენთვის ნაცნობი ორგანიზაციის სურათს და როცა მას „ავუჯანყდებით“ ხოლმე, მასთან ერთად ვგმობთ იდეას ნებისმიერი სხვა სახის ორგანიზაციის შესახებ. მეორე მხრივ, რეაქციული ძალები, რომლებიც ახლა მკვიდრდებიან განათლების სფეროში, ცდილობენ ახალი ტიპის სკოლაში ადეკვატური ინტელექტური და მორალური ორგანიზაციის არარსებობით დაადასტურონ, რომ ორგანიზაციის არსებობა აუცილებელია. უფრო მეტიც, ყველა სახის ნებისმიერ ორგანიზაციაში ისინი გულისხმობენ იმ ორგანიზაციას, რომელიც ექსპერიმენტული მეცნიერების აღმოცენებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე დამყარდა. ემპირიულ და ექსპერიმენტულ საფუძველზე დამყარებული ორგანიზაციის ცნების არარსებობა კი სწორედ ამ რეაქციული ძალების წისქვილზე ასხამს წყალს. ასეთ პირობებში ისინი იოლად შეძლებენ გამარჯვებას. მაგრამ, ის ფაქტი, რომ ემპირიული მეცნიერებები გვთავაზობენ საუკეთესო ტიპის ინტელექტური ორგანიზაციის მოდელს, რომელსაც საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ვხვდებით, გვაჩვენებს, რომ მას, ვინც თავს ემპირიკოსს უწოდებს, არ აქვს მიზეზი, წესრიგისა და ორგანიზაციის საკითხში საკუთარი თავი „სუსტ მოწინააღმდეგედ“ მიიჩნიოს.

თავი მესამე

გამოცდილების კრიტერიუმები

ზემოთ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ აუცილებელია გამოცდილების თეორიის შემუშავება, რაც გამოცდილების საფუძველზე განათლების გონივრულად წარმართვის საშუალებას მოგვცემს. თუ ეს აუცილებლობა რეალურია, მაშინ ჩვენი დისკუსიის მომდევნო საკითხი იქნება იმ პრინციპების განხილვა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თეორიის ჩამოსაყალიბებლად. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ დისკუსიაში გარკვეული დოზით შემოგთავაზოთ ფილოსოფიური ანალიზიც, რაც სხვა სიტუაციაში, შესაძლოა, უადგილო ყოფილიყო, მაგრამ ამ კონტექსტში მასზე საუბარი რელევანტურად მიმაჩნია. ამასთან, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ანალიზი ჩვენი საბოლოო მიზანი არ არის. ის დისკუსიაში გამოყენებულია იმ კრიტერიუმებზე სასაუბროდ, რომლებსაც მოგვიანებით განვიხილავთ წიგნში, უფრო კონკრეტული და უმრავლესობისთვის ალბათ მეტად საინტერესო საკითხებზე მსჯელობისას.

უკვე აღვნიშნე, რას ვუწოდებ გამოცდილების თანმიმდევრული უწყვეტობის, განგრძობითობის კატეგორიას ანუ გამოცდილების (ემპირიულ) კონტინუუმს. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ პრინციპის საფუძველზე ჩვენ ვცდილობთ, განათლების თვალსაზრისით ფასეული გამოცდილება იმ გამოცდილებისგან განვასხვავოთ, რომელსაც საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა არ გააჩნია. ალბათ ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ამგვარი განსხვავების პოვნა აუცილებელია არა მხოლოდ ტრადიციული განათლების კრიტიკის, არამედ ახალი ტიპის განათლების დანერგვისა და წარმართვის პროცესშიც. და მაინც, სასურველია ცოტა ხნით მაინც შევჩერდეთ იმ საკითხზე, რომ გამოცდილებათა დიფერენციაცია ორივე სისტემისთვის თანაბრად აუცილებელია. შეიძლება თამამად ვაღიაროთ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ნამდვილად პროგრესული მოძრაობის სასარგებლოდ მეტყველებს, არის ის, რომ იგი უფრო მეტ შესაბამისობაშია დემოკრატიის იმ იდეალთან, რომელიც ჩვენმა ხალხმა აირჩია, ვიდრე ტრადიციული სკოლის მეთოდიკა, რომელსაც ავტოკრატიის მეტის-მეტად ბევრი ნიშანი აქვს. მეორე ფაქტორი, რამაც ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროგრესული განათლების წარმატებით შემოღებაში, არის ის, რომ მისი მეთოდები გაცილებით უფრო ჰუმანურია იმ უხეშ, მკაცრ მეთოდებთან შედარებით, რაც ასე დამახასიათებელი იყო ტრადიციული სასკოლო პოლიტიკისთვის.

კითხვა: რატომ ვანიჭებთ უპირატესობას დემოკრატიულს და ჰუმანურს ავტოკრატიულთან და მკაცრთან შედარებით? კითხვაში „რატომ?“ ვგულისხმობ იმ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ამ არჩევანს ვაკეთებთ და არა უბრალოდ მიზეზებს, რომლებსაც ამ არჩევანთან მივყავართ. მაგალითად, ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ჩვენ არა მარტო სკოლაში, არამედ კათედრების, ტრიბუნების, საკანონმდებლო ორგანოების, პრესისა და კანონის მეშვეობით გვასწავლიდნენ, რომ დემოკრატია საუკეთესო საზოგადოებრივი წყობაა.

შესაძლოა, ეს იდეა ჩვენი გარემოს გავლენით იმდენად შევისისხლხორცეთ, რომ ის გონებრივი და მორალური სისტემის ჩვეულ, განუყოფელ ნაწილად იქცა. მაგრამ მსგავსმა მიზეზებმა განსხვავებულ გარემოში მცხოვრები სხვა ადამიანები სხვა დასკვნებამდე მიიყვანა – ზოგიერთმა, მაგალითად, ფაშიზმი აირჩია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი არჩევანის მიზეზი არ არის იგივე, რაც საფუძველი, რომლის გამოც ეს არჩევანი უნდა გავაკეთოთ.

ჩემი მიზანი ამჟამად არ არის ამ საფუძვლის დეტალური ანალიზი. მაგრამ დავსვამ ერთ კითხვას: შეიძლება მივაკვლიოთ ისეთ საფუძველს, რომელიც, საბოლოო ჯამში მაინც არ მიგვიყვანს იმ არჩევანთან, რომ დემოკრატიული სოციალური სისტემა უზრუნველყოფს ადამიანური გამოცდილების უკეთეს დონეს, ისეთს, რომელიც უფრო ადვილად მისაწვდომი და სასიამოვნოა, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების არადემოკრატიული ან ანტიდემოკრატიული ფორმების შემთხვევაში? ნუთუ ინდივიდუალური თავისუფლებისა და ადამიანთა ურთიერთობებში წესიერებისა და კეთილი ნების პატივისცემის პრინციპს საბოლოოდ მაინც არ მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ეს უფრო მეტად უწყობს ხელს გამოცდილების მაღალ დონეს, ვიდრე რეპრესიული და ძალადობრივი მეთოდები? ნუთუ ჩვენი არჩევანისთვის საკმარის საფუძველს არ იძლევა იმის რწმენა, რომ აზრთა ურთიერთგაცვლის, ორმხრივი კონსულტაციისა და დიალოგის საფუძველზე ჩამოყალიბებული შეხედულებები უკეთეს გამოცდილებას უზრუნველყოფს, ვიდრე სხვაგვარი პირობები?

თუ ამ კითხვებზე პასუხი დადებითია (პირადად მე ვერ ვხედავ, კიდევ რის საფუძველზე შეიძლება გავამართლოთ დემოკრატიისა და ჰუმანურობის არჩევანი), საფუძველი იმისა, რომ მივესალმებით პროგრესულ განათლებას მისი ჰუმანური მეთოდებისა და დემოკრატიასთან სიახლოვის გამო, ისევ და ისევ განსხვავებულ გამოცდილებათა ერთმანეთისგან დიფერენციაციას უკავშირდება. ამგვარად, დავუბრუნდი გამოცდილების კონტინუუმის პრინციპს, რომელიც ამ დიფერენციაციის კრიტერიუმია.

ეს პრინციპი არსებითად ეფუძნება ჩვევის ფაქტს, როდესაც ჩვევას ბიოლოგიური ინტერპრეტაცია აქვს. ჩვევის ძირითად მახასიათებელია ის, რომ თითოეული გამოცდილება, რომელსაც ადამიანი შეიძენს და გამოსცდის, ცვლის მას, როგორც ამ გამოცდილებაში მონაწილეს, ხოლო, ეს ცვლილება, ადამიანის სურვილისგან დამოუკიდებლად, გავლენას ახდენს მომდევნო გამოცდილებებზე, ვინაიდან, ყოველი მორიგი გამოცდილების გავლის შემდეგ, მომდევნო გამოცდილებაში რაღაცით შეცვლილი, განსხვავებული ადამიანი გადადის. ამგვარად გაგებულ ჩვევას აშკარად უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვევის ჩვეულებრივ ცნებას, როგორც დროთა განმავლობაში შემუშავებულ, მეტ-ნაკლებად უცვლელ, ფიქსირებული ქცევის წესს, თუმცა ის მოიცავს ამ უკანასკნელს, როგორც მის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებას, აგრეთვე ემოციური და ინტელექტური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასაც, ჩვენს მგრძნობელობას და იმას, როგორ ვხვდებით მოვლენებს და როგორ ვრეაგირებთ იმ გარემოებებზე, რომელსაც ცხოვრებაში

ვაწყდებით. ამ თვალსაზრისით, გამოცდილების თანმიმდევრულობის პრინციპი ნიშნავს, რომ თითოეული გამოცდილება მუდამ რაღაცას იღებს მისი წინამორბედი გამოცდილებისგან და გარკვეულწილად ცვლის მომდევნო გამოცდილებათა ხასიათს. როგორც პოეტი[3] ამბობს: „...მთელი გამოცდილება თაღია, რომლის მიღმაც კაშკაშებს უცნობი სამყარო, მისი საზღვარი მისკენ ყოველი მორიგი ნაბიჯის გადადგმასთან ერთად, თანდათანობით უსასრულობაში ქრება."

ჯერჯერობით გამოცდილებათა შორის დიფერენციაციის საფუძველი არ ჩამოგვიყალიბებია. ეს უნდა იყოს პრინციპი, რომელსაც საყოველთაოდ გამოიყენებენ. დავიწყოთ იქიდან, რომ თითოეული შემთხვევა რაღაც ტიპის უწყვეტობას გულისხმობს. გამოცდილებათა დიფერენციაციის, მათი ერთმანეთისგან განსხვავების შესაძლებლობა გვექნება იმ შემთხვევაში, თუ გამოცდილების უწყვეტობის სხვადასხვა ფორმაზე ვისაუბრებთ. იმის საილუსტრაციოდ, რას ვგულისხმობ ყოველივე ამაში, მაგალითად მოვიყვან იდეას ზრდის შესახებ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სწავლის პროცესი შეიძლება შევადაროთ ზრდას, როგორც უწყვეტ, თანმიმდევრულ პროცესს.

ზრდა, როგორც ფიზიკური, ინტელექტური და მორალური განვითარების პროცესი, კონტინუუმის პრინციპის ერთ-ერთი მაგალითია. მაგრამ ეს იდეა წარმოშობს გარკვეულ წინააღმდეგობას, ვინაიდან ზრდა, შესაძლოა, უამრავი სხვადასხვა მიმართულებით წარიმართოს: მაგალითად, ადამიანი, რომელიც ქურდობას მიჰყოფს ხელს, შესაძლოა, სწორედ ამ მიმართულებით გაიზარდოს, და გარკვეული პრაქტიკის შემდეგ, მაღალი დონის პროფესიონალი მძარცველი გახდეს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ „ზრდა" საკმარისი არ არის. უნდა დავაკონკრეტოთ ზრდის მიმართულებაც, საბოლოო მიზანი, რომელზედაც ის ორიენტირებულია. თუმცა სანამ საბოლოოდ ვიტყვით, რომ ამგვარი მიდგომა მართებულია, ეს სიტუაცია უფრო დეტალურად უნდა გავაანალიზოთ.

შეუძლებელია დავეჭვდეთ იმაში, რომ ადამიანის ზრდა, შესაძლოა, სწორედ მსგავსად წარიმართოს და მისგან კარგი მძარცველი, ყაჩაღი ან კორუმპირებული პოლიტიკოსი ჩამოყალიბდეს. მაგრამ, რაც შეეხება ზრდას, როგორც განათლებას, და განათლებას, როგორც ზრდას, აქ გასარკვევია საკითხი – ამ მიმართულებით ზრდა ხელს უწყობს თუ აფერხებს ზრდას ზოგადად? ქმნის თუ არა ზრდის ეს ფორმა შემდგომი ზრდისთვის ხელსაყრელ პირობებს? ხომ არ ართმევს ის გარკვეული მიმართულებით გაზრდილ ადამიანს პირობებს, სტიმულსა და შესაძლებლობებს, ზრდა ახალი მიმართულებებით გააგრძელოს? რა გავლენას ახდენს სპეციფიკური მიმართულებით ზრდა ადამიანის იმ დამოკიდებულებათა და ჩვევათა ფორმირებაზე, რომელთა მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს მისი ახალი კუთხით განვითარება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდვია. უბრალოდ გეტყვით, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი რომელიმე მიმართულებით განვითარება ხელს უწყობს შემდგომ ზრდას, შეიძლება ვისაუბროთ განათლების, როგორც ზრდის კრიტერიუმზე. ეს

არის კონცეფცია, რომელმაც უნდა ჰპოვოს საყოველთაო და არა სპეციალიზებული, შეზღუდული გამოყენება.

ახლა კი ვუბრუნდები გამოცდილების კონტინუუმის საკითხს, რომელიც, განათლებისთვის სასარგებლო და გამოუსადეგარი გამოცდილებების დიფერენციაციის კრიტერიუმია. როგორც უკვე ვნახეთ, გამოცდილებებს შორის მუდამ არსებობს გარკვეული კავშირი, ვინაიდან თითოეული გამოცდილება გავლენას ახდენს და უკეთესობისკენ ან უარესობისკენ ცვლის ჩვენს ხედვასა და პოზიციას, რომლებიც გვეხმარება შემდგომ გამოცდილებათა ხასიათის განსაზღვრისას. გამოცდილებები გვიქმნის გარკვეული სახის დამოკიდებულებას – კეთილგანწყობას ან ანტიპათიას და გვიადვილებს ან პირიქით, გვირთულებს ამა თუ იმ მიზნით მოქმედებას მომავალში. უფრო მეტიც, თითოეული გამოცდილება გარკვეული დოზით გავლენას ახდენს იმ ობიექტურ გარემოებებზე, რომელშიც წარიმართება მომდევნო გამოცდილება. მაგალითად, ლაპარაკის სწავლისას ბავშვს ახალი უნარი და ახალი სურვილი უყალიბდება. ამასთანავე ლაპარაკის სწავლა ქმნის პირობას შემდგომი სწავლისთვის. კითხვის სწავლით, იგი, კიდევ ერთ ახალ გარემოს აღმოაჩენს. როდესაც ადამიანი, რომელმაც მასწავლებლობა, იურისტობა, ექიმობა თუ ბირჟის მაკლერობა გადაწყვეტა, აღასრულებს თავის განზრახვას, მას გარკვეულ დონეზე მაინც აქვს განსაზღვრული იმ გარემოს ხასიათი, რომელშიც წარმართავს საქმიანობას მომავალში. ის თავად იღებს გადაწყვეტილებას – მხოლოდ გარკვეული გარემოს მიმართ ხდება მეტად გახსნილი და გულისხმიერი, ხოლო შედარებით ინდიფერენტული სხვა ყველაფრის მიმართ, რაც, შესაძლოა, სტიმულიც კი ყოფილიყო მისთვის სხვა პირობებში, მაგალითად, სხვა პროფესიის არჩევისას.

მაგრამ მაშინ, როდესაც კონტინუუმის პრინციპი გარკვეული დოზით ყველა სიტუაციაში მოქმედებს, აწმყოში მიღებულ გამოცდილების ხასიათი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ამ პრინციპის მოქმედებაზე. მაგალითად, შეიძლება ვისაუბროთ ბავშვის გათამამებასა და გათამამებულ ბავშვზე. ბავშვის ზედმეტად განებივრება განგრძობითი პროცესია, რომელიც ერთ ეტაპზე არ სრულდება. ბავშვს უყალიბდება ერთგვარი ქრონიკული დამოკიდებულება, რომელიც მოქმედებს ავტომატური მოთხოვნის სახით – ყველა და ყველაფერი მომავალშიც მის სურვილებსა და კაპრიზებს დაემორჩილოს. ეს აიძულებს მას მუდამ ისეთი გარემო და სიტუაცია ეძებოს, რომელიც საშუალებას მისცემს გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას იმ მომენტში სურს. იგი უარყოფითად განეწყობა და გარკვეულწილად ისეთ სიტუაციაში მოქმედების უნარს კარგავს, სადაც დაბრკოლებათა გადასალახად ძალისხმევა და შეუპოვრობაა საჭირო. პარადოქსი არ არის, რომ გამოცდილების კონტინუუმის პრინციპის მოქმედებით ადამიანი შეიძლება განვითარების დაბალ დონეზე დარჩეს და ზრდის შემდგომი ნაყოფიერებაც შეიზღუდოს.

მეორე მხრივ, თუ გამოცდილება აღძრავს ცნობისწადილს, განამტკიცებს ინიციატივას და წარმოშობს მოტივაციასა და მიზნებს, რომლებიც იმდენად მძლავრია, რომ ადამიანს მომავალში ნებისმიერ დაბრკოლებას გადაალახინებს,

კონტინუუმის პრინციპი განსხვავებულად მოქმედებს. ყოველი გამოცდილება მამოძრავებელი ძალაა. მისი მნიშვნელობის შეფასება მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება, საით და რასთან მივყავართ მას. პედაგოგს, როგორც ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ ადამიანს, უფრო მდიდარი გამოცდილება აქვს, რაც საშუალებას აძლევს შეაფასოს ახალგაზრდის თითოეული გამოცდილება ისე, როგორც ამას ვერ შეძლებდა ნაკლები გამოცდილების მქონე ადამიანი. ასეთ შემთხვევაში პედაგოგისა და აღმზრდელის მოვალეობაა, სათანადოდ შეაფასოს, რა მიმართულებით ვითარდება ახალგაზრდის გამოცდილება. თუმცა, მის ხანგრძლივ გამოცდილებას აზრი არ ექნება, თუკი ამ განჭვრეტის უნარსა და მდიდარ ინტუიციას ახალგაზრდებისთვის სასარგებლო გამოცდილების პირობების შესაქმნელად არ გამოიყენებს. თუ გათვალისწინებული არ იქნება გამოცდილების მამოძრავებელი ძალა ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი შეფასება და წარმართვა იმის მიხედვით, რაზეა იგი ორიენტირებული, მაშინ ეს თავად გამოცდილების პრინციპის უგულვებელყოფას ნიშნავს. ამ პრინციპის დარღვევა ხდება ორი მიმართულებით: პედაგოგი ღალატობს იმგაგებისა და თანაგრძნობის იმ უნარს, რაც მას წარსული გამოცდილებით უნდა შეეძინა. იგი ასევე არ არის დარწმუნებული, რომ ყველა ადამიანურ გამოცდილებას საბოლოოდ სოციალური ხასიათი აქვს, ანუ გულისხმობს კონტაქტსა და კომუნიკაციას. ჩამოყალიბებულ ადამიანს, მორალური კუთხით რომ მივუდგეთ, უფლება არა აქვს არ გაუზიაროს ახალგაზრდას საკუთარი პოზიტიური გამოცდილება და არ გამოავლინოს მის მიმართ გულისხმიერება და კეთილგანწყობა, რისი უნარიც მან საკუთარი გამოცდილებით შეიძინა.

თუმცა ამგვარი პოზიციის გამოხატვისას თავს იჩენს მეორე უკიდურესობა. კერძოდ, ეს იდეები, შესაძლოა, ვინმემ გარეშე ძალების მხრიდან შენიღბული ჩარევის მოწოდებად აღიქვას. ამასთან დაკავშირებით, მართებული იქნება, ორიოდ სიტყვით განვმარტოთ, თუ როგორ შეუძლია უფროს ადამიანს გამოამჟღავნოს თავისი მდიდარი გამოცდილების შედეგად დაგროვილი ცოდნა და სიბრძნე ისე, რომ ამან არ მიიღოს გარედან ჩარევის, გარეშე კონტროლის სახე. ერთი მხრივ, მისი ვალია, ფხიზლად ადევნოს თვალი რა დამოკიდებულებები და ტენდენციები უყალიბდებათ ახალგაზრდებს. პედაგოგმა უნდა განასხვავოს ამ დამოკიდებულებებს შორის რომელია შემდგომი ზრდისთვის ხელშემწყობი და რომელი – საზიანო. გარდა ამისა, იგი ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი უნდა იყოს და ჰქონდეს გაგების უნარი, რაც საშუალებას მისცემს გაარკვიოს, რა ხდება რეალურად მოსწავლეთა გონებაში. ის, რომ მშობელსა და მასწავლებელს ამის უნარი უნდა ჰქონდეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ის მოთხოვნაა, რომელიც ცოცხალ გამოცდილებაზე დამყარებულ განათლებას გაცილებით რთულად განსახორციელებელ საქმედ აქცევს, ვიდრე ტრადიციული განათლების მოდელის შესაბამისად მოქმედებაა.

ამ საკითხს აქვს მეორე ასპექტიც. გამოცდილება არ არის უბრალოდ ადამიანის შიგნით მიმდინარე პროცესი. რა თქმა უნდა, ის შიდა პროცესიცაა იმდენად, რამდენადაც გავლენას ახდენს სურვილების, მიზნებისა და დამოკიდებულებების

ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. თითოეულ ჭეშმარიტ გამოცდილებას აქვს აქტიური მხარე, რომელიც გარკვეული დოზით სახეს უცვლის იმ ობიექტურ გარემოებებს, რომელშიც მჟღავნდება ეს გამოცდილება. ფართო მასშტაბის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ ცივილიზაციასა და ველურ საზოგადოებას შორის განსხვავება იმით განისაზღვრება, რა დონეზე შეცვალა წინა გამოცდილებამ ის ობიექტური პირობები, რომელშიც მომდევნო გამოცდილებები ისხამდა ხორცს. კეთილმოწყობილი გზების, სწრაფი გადაადგილების საშუალებების, ტრანსპორტირების სისტემის, სამუშაო იარაღისა და ინსტრუმენტების, ავეჯის, სინათლისა და ელექტროენერგიის არსებობა სწორედ ამის მაჩვენებელია. ჩვენ რომ თანამედროვე ცივილიზებული გამოცდილების ხელშემწყობი პირობები აღვკვეთოდ, ჩვენი გამოცდილებაც პირველყოფილი ადამიანების გამოცდილებას დაემსგავსება.

მოკლედ რომ ვთქვათ, დაბადებიდან სიკვდილამდე, ადამიანებისა და ნივთიერი საგნების იმ სამყაროში ვცხოვრობთ, რომლის დიდი ნაწილი იმიტომ არის ისეთი, როგორიც არის, რომ ჩვენამდე ასეთად შექმნეს და ასეთი სახით გადმოგვეცა ადამიანის წინა საქმიანობის შედეგად. თუ ამ ფაქტს მხედველობაში არ მივიღებთ, გამოცდილებას გავიგებთ, როგორც მარტოოდენ ადამიანის სხეულსა და გონებაში მიმდინარე მოვლენას. ალბათ აუცილებელი არ არის იმის მტკიცება, რომ გამოცდილება ვაკუუმში მოქცეული არ არის. ადამიანის გარემომცველ სამყაროში უამრავი წყაროა, რომელიც მას ბადებს. გამოცდილება მუდმივად ამ წყაროებით იკვებება. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ღარიბულ ჯურღმულში მცხოვრები ბავშვის გამოცდილება განსხვავდება კულტურულ სახლში მცხოვრები ბავშვის გამოცდილებისგან; სოფლელი ყმაწვილის გამოცდილება – ქალაქელი ბიჭუნას გამოცდილებისგან; ზღვის პირას გაზრდილი ბავშვის გამოცდილება განსხვავებულია ქვეყნის ცენტრალური რაიონების პრერიებში გაზრდილი ბავშვის გამოცდილებისგან. ჩვეულებრივ, ამგვარი ფაქტების არსებობას იმდენად ბუნებრივად ვიღებთ ხოლმე, რომ მათზე ინფორმაციის ჩაწერა მეტისმეტად ბანალურადაც კი მიგვაჩნია. მაგრამ, როდესაც ჯერი მათ საგანმანათლებლო-აღმზრდელობით მნიშვნელობაზე მიდგება, ვითარება იცვლება. ეს ფაქტები გვიჩვენებს, რომ გამოცდილების პირობების შექმნა მუდამ არ გულისხმობს იძულებას. პედაგოგს შეუძლია ახალგაზრდის გამოცდილება ძალდატანების გარეშე წარმართოს. გარდა იმისა, რომ პედაგოგები, უმთავრესად, მოვალენი არიან შეგნებული ჰქონდეთ ზოგადი პრინციპი, რომელიც რეალური გამოცდილების შექმნაში გარემომცველი პირობების განსაკუთრებულ როლს უკავშირდება, მათ უნდა იცოდნენ, კონკრეტულად რა გარემო უწყობს ხელს სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გამოცდილების შეძენას. და ბოლოს, მათ უნდა იცოდნენ, როგორ გამოიყენონ არსებული ფიზიკური და სოციალური გარემო ისე, რომ მისგან აიღონ ყველაფერი, რაც მათ ღირებული სასწავლო გამოცდილების შექმნაში დაეხმარება.

ტრადიციული გამოცდილების წინაშე ეს პრობლემა არ იდგა. ის სისტემატურად არიდებდა თავს ამ პასუხისმგებლობას. უცვლელი სასკოლო გარემო ტრადიციული მერხებით, დაფით, პატარა ეზოთი – მისთვის საკმარისი იყო. მასწავლებელს არ მოეთხოვებოდა, ახლოს გაცნობოდა ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკურ, ისტორიულ, ეკონომიკურ, საქმიანობისა და სხვა პირობებს და გამოეყენებინა ისინი, როგორც საგანმანათლებლო- აღმზდრელობითი რესურსი. განათლების სისტემამ კი, რომლის საფუძველიც განათლებისა და გამოცდილების აუცილებელი ურთიერთკავშირია, პირიქით, გამუდმებით მხედველობაში უნდა მიიღოს ეს მოთხოვნები, თუ იგი თავისი პრინციპების ერთგულია. პასუხისმგებლობის ამ ტვირთის პედაგოგისთვის დაკისრება კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რატომ არის პროგრესული განათლების წარმართვა ნებისმიერ ტრადიციულ განათლების სისტემასთან შედარებით უფრო რთული.

სავსებით შესაძლებელია განათლების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ობიექტურ პირობებს სისტემატურად დაუქვემდებარებს ინდივიდთა „შიდა;" სუბიექტურ პირობებს. ეს მოხდება მაშინ, როდესაც მასწავლებლის, წიგნის, სასწავლო ინსტრუმენტებისა და სასკოლო აღჭურვილობის ადგილი, ფუნქცია, და ზოგადად, ყველაფერი, რაც ზრდასრული უფროსების გამოცდილების პროდუქტია, დაექვემდებარება მოზარდების უშუალო მიდრეკილებებსა და გრძნობებს. ნებისმიერი თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ ობიექტურ ფაქტორებს მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ გარეშე კონტროლის დაწესებისა და ინდივიდთა თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე, საბოლოოდ, ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ გამოცდილება ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც ობიექტური პირობები ექვემდებარება გამოცდილებაში ჩართული ინდივიდის სუბიექტურ პირობებს ანუ იმას, რაც ინდივიდის „შიგნით" ხდება.

რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომ შესაძლებელია ობიექტური პირობების გამორიცხვა. მათი როლი და მონაწილეობა თავისთავად აღიარებულია: ჩვენ ვემორჩილებით იმ გარდაუვალ ფაქტს, რომ ადამიანებისა და მატერიალური საგნების გარემოცვაში ვცხოვრობთ. მაგრამ, თუ დავაკვირდებით სიტუაციას ოჯახსა და სკოლაში, დავინახავთ, რომ ზოგიერთი მშობელი და მასწავლებელი აქტიურად ხელმძღვანელობს იმ იდეით, რასაც ჩვენ ობიექტური პირობების სუბიექტური პირობებისადმი დაქვემდებარება ვუწოდეთ. თუმცა მსგავს შემთხვევებში იგულისხმება არა მარტო ის, რომ სუბიექტური პირობები პირველხარისხოვანია (რაც, გარკვეული გაგებით, მართლაც ასეა), არამედ ისიც, რომ მათი არსებობა დროებითია.

საილუსტრაციოდ მოვიყვან ჩვილი ბავშვის მაგალითს. ისეთი მოთხოვნილებები, როგორიცაა საკვები, დასვენება და ფიზიკური აქტიურობა, გარკვეული გაგებით, უმთავრესი და გადამწყვეტია ბავშვისთვის. მშობელმა მას საკვები უნდა მისცეს, კომფორტული ძილისთვის საჭირო პირობები შეუქმნას და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ მშობელმა ბავშვს საკვები უნდა მისცეს ნებისმიერ დროს, როცა ის გაბრაზებული ან გაღიზიანებულია, არამედ უნდა არსებობდეს

კვებისა და ძილისთვის გამოზომილი საათების სპეციალური გეგმა. ჭკვიანი დედა ანგარიშს უწევს ბავშვის მოთხოვნილებას, მაგრამ არა ისე, რომ თავად გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან – დაარეგულიროს ის ობიექტური პირობები, რომლებიც აუცილებელია ბავშვის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასეთ შემთხვევაში იგი იშველიებს პროფესიონალების, ექსპერტებისა და, რა თქმა უნდა, საკუთარ გამოცდილებას, რაც საშუალებას აძლევს გაარკვიოს, ზოგადად რომელი გამოცდილებაა ბავშვის ნორმალური განვითარების ხელშემწყობი. ასეთ შემთხვევაში არა ობიექტური პირობების ბავშვის უშუალო, სუბიექტური პირობებისადმი დაქვემდებარება ხდება, არამედ მათი დარეგულირება იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს შორის სპეციფიკური ტიპის ურთიერთქმედება.

სიტყვა „ურთიერთქმედება“ რომელიც ეს-ეს არის ვახსენეთ, გამოხატავს გამოცდილების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქციისა და ძალის განსაზღვრის მეორე მთავარ პრინციპს. ის თანაბარ უფლებებს ანიჭებს გამოცდილების ორივე ფაქტორს – ობიექტურ და შიდა სუბიექტურ პირობებს. ნებისმიერი ნორმალური გამოცდილება ამ ორი სახის ფაქტორთა ურთიერთქმედებაა. ისინი ერთად, ანუ ურთიერთქმედებისას ქმნიან სიტუაციას. ტრადიციული განათლების პრობლემა იყო არა ის, რომ იგი აქცენტს აკეთებდა იმ გარეშე პირობებზე, რომლებიც მონაწილეობენ გამოცდილების მართვაში, არამედ მცირე ყურადღება შიდა ფაქტორებისადმი, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ გამოცდილების ხასიათს. ის არღვევდა ურთიერთქმედების პრინციპს ერთი მხრიდან. მაგრამ, ეს არ არის მიზეზი, რის გამოც ახალმა განათლებამ უნდა დაარღვიოს ეს პრინციპი მეორე მხრიდან – თუ, რა თქმა უნდა, აქ არ ჩაერთვება განათლების „ან-ან“ ფილოსოფია, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

როგორც ბავშვის განვითარების ობიექტური პირობების დარეგულირების შესახებ ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვაჩვენებს, მშობელი, ერთი მხრივ, პასუხისმგებელია ბავშვისთვის უზრუნველყოს კვების, ძილისა და სხვა ტიპის გამოცდილებისთვის აუცილებელი პირობები, და, მეორე მხრივ, ამ პასუხისმგებლობის აღსრულებისას გამოიყენოს წარსულში დაგროვილი გამოცდილება, როგორიცაა, მაგალითად, იმ კომპეტენტური ექიმებისა და სხვათა რჩევა, რომლებსაც ბავშვის ნორმალური ფიზიკური განვითარების თაობაზე სპეციალური კვლევები აქვთ ჩატარებული. ხომ არ ზღუდავს დედის თავისუფლებას ბავშვის კვებისა და ძილის ობიექტური პირობების დარეგულირებისას ამ გზით დაგროვილი ცოდნის გამოყენება? თუ, პირიქით, ცოდნის გაფართოება მშობლის ფუნქციის შესრულებისას მეტ თავისუფლებას ანიჭებს მას? ბუნებრივია, რჩევებისა და მითითებების მეტის-მეტად „გაფეტიშება“ მათ აქცევს მოუქნელ დირექტივებად, რომელთაც ნებისმიერ ვითარებაში უნდა დავემორჩილოთ. ამ შემთხვევაში მშობლისა და ბავშვის თავისუფლების შეზღუდვა გარდაუვალია. მაგრამ, გარდა ამისა, ეს ზღუდავს პირადი მოსაზრების სახით ინდივიდუალური აზროვნების გამოვლენის თავისუფლებას.

რა გაგებით ზღუდავს ობიექტური პირობების დარეგულირება ბავშვის თავისუფლებას? რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს თამაშის გაგრძელება უნდა, ჩვენ კი ვაწვენთ, ან არ ვაჭმევთ მაშინ, როდესაც მას სურს, ან ხელში არ აგვყავს და ვეფერებით იმ მომენტში, როცა ყურადღებას ითხოვს, თავისთავად ნიშნავს მისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას. შეზღუდვა ხდება მაშინაც კი, როდესაც დედა ან ძიძა ბავშვს ცეცხლს მოარიდებს, რათა შიგ არ ჩავარდეს. მოგვიანებით კიდევ ვისაუბრებ თავისუფლებაზე. აქ მხოლოდ ერთი შეკითხვით შემოვიფარგლები: რის საფუძველზე უნდა განისაზღვროს თავისუფლება – შედარებით ხანმოკლე, წუთიერი შემთხვევების თვალსაზრისით, თუ ხანგრძლივი, განვითარებადი გამოცდილების კონტინუუმის საფუძველზე?

ფორმულირება იმის შესახებ, რომ ადამიანები სამყაროში ცხოვრობენ, კონკრეტულად გულისხმობს იმას, რომ ისინი ცხოვრობენ თანმიმდევრული სიტუაციების ჯაჭვში. ხოლო, როდესაც ამბობენ, რომ ისინი ამ სიტუაციებში ცხოვრობენ, მნიშვნელობა სუფიქსისა „-ში“ სავსებით განსხვავდება იმ მნიშვნელობებისგან, რაც მას ისეთ შემთხვევებში აქვს როგორიცაა: „ჯიბეში ხურდაა“ ან „ქილაში საღებავია“. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ინდივიდები არა პასიურად არსებობენ ამ სიტუაციათა ფარგლებში, არამედ ურთიერთქმედებენ საგნებთან და სხვა ინდივიდებთან. ამგვარად, სიტუაციისა და ურთიერთქმედების ცნებები ერთმანეთისგან განუყოფელია. გამოცდილებაც მუდამ შედეგია იმ ურთიერთქმედებისა, რომელიც აღინიშნება ინდივიდსა და იმ მოვლენას შორის, რომელიც კონკრეტულ მომენტში მისი გარემოცვაა, იქნება ეს ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ის ესაუბრება რაიმე საკითხის ან მოვლენის ირგვლივ, თუ საუბრის საგანი, რომელიც ასევე მოცემული სიტუაციის ნაწილია; იქნება ეს სათამაშოები, რომლითაც ის თამაშობს, თუ წიგნი, რომელსაც ის კითხულობს (სადაც მისი გარემომცველი კონკრეტულ მომენტში შეიძლება იყოს ინგლისი ან ძველი საბერძნეთი ან რომელიღაც გამოგონილი ქვეყანა), თუ მის მიერ იმ მომენტში ჩატარებული ექსპერიმენტის მასალები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემო, როგორიც არ უნდა იყოს ის, ურთიერთქმედებს ინდივიდის პიროვნულ მოთხოვნილებებთან, სურვილებთან, მიზნებთან და გამოცდილების შექმნის უნართან. მაშინაც კი, როდესაც ადამიანი კოშკს აგებს ჰაერში, ის ურთიერთქმედებს იმ წარმოსახვით ობიექტებთან, რომლებსაც თავის ფანტაზიაში ქმნის.

ეს ორი პრინციპი – კონტინუუმისა და ურთიერთქმედების პრინციპები, ერთმანეთისგან განუყოფელია. ისინი გადაკვეთენ ერთმანეთს და ერთიანდებიან. და გამოცდილების, ასე ვთქვათ, გრძივი და განივი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ასპექტები და სხვადასხვა სიტუაციები ერთმანეთს მოსდევს. მაგრამ, განგრძობითობის პრინციპის გამო, ადრეული გამოცდილებიდან გვიანდელ გამოცდილებას მუდამ რაღაც გადაეცემა. როდესაც ინდივიდი ერთი სიტუაციიდან მეორეში გადადის, მისი სამყარო, მისი გარემო, შესაბამისად ფართოვდება ან ვიწროვდება. ის საკუთარ თავს სხვა სამყაროში აღმოაჩენს ხოლმე, იმავე სამყაროს შემადგენელ სხვა ნაწილში ან ასპექტში. ხოლო ის, რასაც იგი ცოდნისა

და უნარ-ჩვევების თვალსაზრისით ერთ სიტუაციაში სწავლობს, მომდევნო სიტუაციებში გარკვევისა და მათთან ეფექტური ურთიერთობის ინსტრუმენტად იქცევა. ეს პროცესი უსასრულოდ გრძელდება მანამ, სანამ სიცოცხლე და სწავლა გრძელდება. გამოცდილების ფორმირებაში მონაწილე ინდივიდუალური ფაქტორის გათიშვა გამოიწვევს გამოცდილებათა ქაოსურ, მოუწესიგებელ დაგროვებას. გახლეჩილი სამყარო კი, ანუ სამყარო, რომლის შემადგენელ ნაწილებსა და ასპექტებს შორის ურთიერთკავშირი დარღვეულია, პიროვნების გახლეჩის ნიშანი და მიზეზია. პიროვნული გახლეჩის გარკვეულ დონეზე ადამიანს უკვე შეშლილს ვუწოდებთ. მეორე მხრივ, პიროვნების მთლიანობა, სრული პიროვნული ინტეგრაცია მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც თანმიმდევრული გამოცდილებები ერთმანეთთან მჭიდროდაა ინტეგრირებული. ამგვარი პიროვნების ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთდაკავშირებული მოვლენებისაგან აგებულ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად.

განგრძობითობისა და ურთიერთქმედების ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ერთგვარი საზომია გამოცდილების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობისა და ღირებულების განსაზღვრისათვის. პედაგოგის უშუალო და პირდაპირი ინტერესის საგანი კი ის სიტუაციებია, რომლის ფარგლებშიც ხდება ურთიერთქმედება. ინდივიდი, რომელიც ამ სიტუაციაში ერთვება როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, არის უბრალოდ ის, რასაც იგი იმ მომენტში წარმოაგენს. მხოლოდ მეორე – ობიექტური პირობების – ფაქტორი ექვემდებარება (ისიც გარკვეულ დონემდე) დარეგულირებას პედაგოგის მხრიდან. როგორც უკვე ვახსენეთ, ფრაზა „ობიექტური პირობები“ ბევრ რამეს გულისხმობს. ის გულისხმობს ყველაფერს, რასაც პედაგოგი აკეთებს. ეს ეხება არა მარტო სიტყვების, არამედ მათი თქმის ტონსაც. ეს მოიცავს ტექნიკურ საშუალებებსა და წიგნებს, ხელსაწყოებსა და ინსტრუმენტებს, სათამაშოებსა და თავად თამაშებს, აგრეთვე მასალას, რომელთანაც ინდივიდი ურთიერთქმედებს და, რაც ყველაზე მთავარია, იმ სიტუაციების მთელ სოციალურ სტრუქტურას, რომელშიც ეს ინდივიდია ჩაბმული.

როდესაც ვამბობთ, რომ ობიექტური პირობები ის ფაქტორია, რომლის დარეგულირება პედაგოგს ხელეწიფება, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, რომ მისი უნარი – პირდაპირი გავლენა მოახდინოს სხვების გამოცდილებაზე და ამ გზით – მათ განათლებაზე, მას აკისრებს მოვალეობას, სწორად განსაზღვროს ის გარემო, რომელიც ეფექტურ ურთიერთქმედებაში მოვა მოსწავლეთა კომპეტენციასთან და მოთხოვნილებებთან, რაც ხელს შეუწყობს ღირებული გამოცდილების დაგროვებას. ტრადიციული განათლების ნაკლი იყო არა ის, რომ პედაგოგები საკუთარ თავზე არ იღებდნენ გარემოს შექმნის პასუხისმგებლობას, არამედ პრობლემა იყო ის, რომ ისინი, გამოცდილების შექმნისას, მხედველობაში არ იღებდნენ მეორე ფაქტორს. კერძოდ კი, იმ ადამიანების უნარსა და მიზნებს, რომლებსაც ასწავლიდნენ. მიაჩნდათ, რომ არსებობდა გარკვეული ფიქსირებული პირობები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებში აღძრავდა გარკვეულ საპასუხო სტიმულს, გახლდათ უცვლელი ფასეულობებიც, რომელთა გამოყენება

ყოველთვის სასურველი იყო. ორმხრივი ადაპტაციის მსგავსი ნაკლებობა სწავლებისა და სწავლის პროცესს შემთხვევითობაზე აგებულს ხდიდა. ის, ვისთვისაც ეს პირობები შესაფერისი და ხელსაყრელი იყო, ახერხებდა სწავლას. სხვები კი, რომლებიც ადაპტაციას ვერ ახდენდნენ, სწავლობდნენ ისე, როგორც შეეძლოთ. მაშასადამე, ობიექტური პირობების შერჩევის პასუხისმგებლობა თავისთავად გულისხმობს იმ ინდივიდთა მოთხოვნილებებისა და უნარების გაგებასა და გათვალისწინებას, რომლებიც მოცემულ მომენტში სწავლობენ. საკმარისი არ არის იმის ცოდნა, რომ სხვა ადამიანების შემთხვევაში გარკვეული მასალები და მეთოდები გამოდგა ეფექტური. უნდა არსებობდეს გონივრული მიზეზი, რომლის საფუძველზეც გადავწყვეტთ, რომ ეს მეთოდები შეასრულებს თავის ფუნქციას ისეთი გამოცდილების შექმნაში, რომელიც ეფექტური იქნება კონკრეტულ დროს კონკრეტული ადამიანებისათვის.

ბიფშტექსი ბავშვის რაციონში გათვალისწინებული არ არის, არა იმიტომ რომ ვინმეს მის ნოყიერებაში ეჭვი ეპარება. ანდა სკოლის პირველ ან მეხუთე კლასში ტრიგონომეტრია არ ისწავლება, არა მისი ღირსებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო. საქმე იმაშია, რომ საგანი თავისთავად სასარგებლოა განათლებისთვის და ის არ განაპირობებს ზრდას. არ არსებობს საგანი, რომელსაც შეიძლება თავისთავად, უსიტყვოდ მივაწეროთ უნივერსალური საგანმანათლებლო-ამზრდელობითი ღირებულება, თუ არ გავითვალისწინებთ განვითარების იმ კონკრეტულ საფეხურს, რომელზეც შემსწავლელი იმყოფება. ერთი და იგივე საგანი ვერ იქნება თანაბრად ეფექტური სწავლების ყველა ეტაპზე. სწორედ სასწავლო საგნის შემსწავლელთა მოთხოვნილებებთან და შესაძლებლობებთან ადაპტაციის აუცილებლობის გაუთვალისწინებლობა წარმოშობს შეხედულებას, თითქოს არსებობს გარკვეული საგნები და მეთოდები, რომლებიც თავისი არსით და დანიშნულებით მუდამ კულტურული და კარგია გონებრივი განვითარებისთვის. საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ღირებულების, აბსტრაქტული გაგება არ არსებობს. წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ არსებობს ზოგიერთი საგანი და მეთოდი, ზოგიერთი ფაქტი და სიმართლე, რომელთა ცოდნა ნებისმიერ ეტაპზე აღმზრდელობითი ღირებულებისაა, არის მიზეზი, რის გამოც ტრადიციულმა განათლებამ მთელი სასწავლო მასალა წინასწარ გადამუშავებული მასალების ფარგლებში მოაქცია. ამ მოსაზრების თანახმად, საკმარისი იყო წარმოდგენილი მასალის რაოდენობისა და სირთულის დარეგულირება კლასების მიხედვით, თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე. მოსწავლე საგანს ითვისებდა გარედან მიწოდებული დოზით. თუ მოსწავლე საგანს ხელს არ ჰკიდებდა, აცდენდა გაკვეთილებს ან გაკვეთილს ფიზიკურად ესწრებოდა, მაგრამ გონებით სხვაგან დაფრინავდა, საბოლოოდ კი ამ საგნის მიმართ ემოციური ზიზღი უჩნდებოდა, დამნაშავედ ითვლებოდა. არავინ აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ თავად საგნის შინაარსსა და იმ მეთოდს, რომლითაც ის მოსწავლეებს მიეწოდებოდა. ურთიერთქმედების პრინციპი ნათელყოფს, რომ ინდივიდთა მოთხოვნილებებთან და შესაძლებლობებთან მასალის შეუთავსებლობა, რაც საშუალებას არ აძლევს ინდივიდს, მოახდინოს

საკუთარი უნარის ადაპტაცია საგანთან, შესაძლოა, საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი თვალსაზრისით სრულიად უსარგებლო გამოცდილების ჩამოყალიბების მიზეზი გახდეს.

კონტინუუმის პრინციპის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი გამოყენება ნიშნავს, რომ მომავალი გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის თითოეულ საფეხურზე. ტრადიციული განათლება არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს და უხეშად ამახინჯებს ამ იდეას. მისი მოსაზრებით, გარკვეული უნარ-ჩვევების შეძენა და გარკვეული საგნების შესწავლა, რომლებიც მოსწავლეებს მომავალში დასჭირდებათ (შესაძლოა, კოლეჯში ან უფრო ხანდაზმულობისას), მათ თავისთავად ამზადებს მომავალი ცხოვრების მოთხოვნილებებთან და სიტუაციებთან გასამკლავებლად. „მომზადება“ ძალზე არასაიმედო, არასანდო იდეაა. გარკვეული თვალსაზრისით, თითოეულმა გამოცდილებამ პიროვნება უნდა მოამზადოს მომდევნო, უფრო ღრმა და ფართო გამოცდილებებთან შესახვედრად. სწორედ ამაში მდგომარეობს გამოცდილების ზრდის, თანმიმდევრულობის, უწყვეტობის, მთლიანობისა და რეკონსტრუქციის მნიშვნელობა. მაგრამ შეცდომაა, თუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელია არითმეტიკის, გეოგრაფიის, ისტორიისა და სხვა საგნების მეტ-ნაკლებად ათვისებით, რომლებიც სკოლაში იმ მიზნით ისწავლება, რომ შეიძლება ოდესღაც, მომავალში სასარგებლოც გახდეს. ასევე მცდარია შეხედულება, თითქოს კითხვისა და გამოთვლის უნარ-ჩვევების ათვისება ავტომატურად ამზადებს მოსწავლეებს მათი მართებული და ეფექტური გამოყენებისთვის ისეთ პირობებში, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება იმ პირობებისგან, რომლებშიც მათი ათვისება მოხდა.

თითოეულ ჩვენგანს ერთხელ მაინც გადაუხედავს სკოლის პერიოდისთვის და დაფიქრებულა იმაზე, სად გაქრა ის ცოდნა, რომელიც სკოლაში სწავლისას უნდა დაეგროვებინა და რატომ ხდება, რომ იმ ტექნიკური უნარ-ჩვევების ათვისება, რომლებიც თითქოს სკოლაში ისწავლა, ხელახლა მოუხდა განსხვავებული ფორმით, ისეთით, რომელიც რეალურ ცხოვრებაში უფრო გამოსადეგი იყო. და მართლაც, გაუმართლა მას, ვისაც წარმატების მისაღწევად და ინტელექტური წინსვლისთვის სკოლაში ნასწავლის დავიწყება და ხელახლა შესწავლა არ დასჭირდა. ამ საკითხებს ვერ მოვაგვარებთ მხოლოდ იმის განცხადებით, რომ ეს საგნები სკოლაში რეალურად არ ისწავლებოდა. ფაქტია, ისინი გარკვეულ დონეზე ისწავლებოდა, ყოველ შემთხვევაში, საკმარისად, რათა მოსწავლეს ამ საგნებში გამოცდა ჩაებარებინა. ერთ-ერთ პრობლემაა საგნის იზოლირებული შესწავლა. ის თითქოს მისთვის განკუთვნილ, საგანგებოდ იზოლირებულ ნიშაში იყო შენახული. როდესაც ვსვამთ კითხვას, რა ბედი ეწია მას, სად გაქრა, მართებული პასუხი იქნება თუ ვიტყვით, რომ ის კვლავ იმ სპეციალურ ნიშაში იმყოფება, სადაც თავიდან მოვათავსეთ. თუ ისეთივე პირობებში აღმოვჩნდებით, როგორშიც ოდესღაც ის ავითვისეთ, ალბათ გამოვლინდება და გამოსადეგიც გახდება. მაგრამ ათვისების პროცესში იმდენად განცალკევებით მოვათავსეთ და იმდენად იზოლირებული აღმოჩნდა დანარჩენი გამოცდილებისაგან, რომ რეალურ ცხოვ-

რებისეულ პირობებში აბსოლუტურად გამოუსადეგარია. წარმოდგენა, თითქოს ამგვარი შესწავლა, იმის მიუხედავად, რამდენად მტკიცედ მოხდა მისი დანერგვა შესწავლის დროს, ინდივიდის ჭეშმარიტ მომზადებას ემსახურება და გამოცდილების კანონებს ეწინააღმდეგება.

მომზადების არასრულფასოვნება ამით არ შემოიფარგლება. ყველაზე დიდი პედაგოგიური შეცდომაა მოსაზრება, თითქოს, მოცემულ პერიოდში, მოცემული საგნის შესწავლისას, ინდივიდი მხოლოდ ამ კონკრეტულ საგანს სწავლობს. საგნების შეჯერებული, ურთიერთდაკავშირებული შესწავლა, რაც ხელს უწყობს პიროვნებაში მტკიცე დამოკიდებულებების, სიმპათიებისა და ანტიპათიების ფორმირებას, ხშირ შემთხვევაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკე აღებული წერის, გეოგრაფიის ან ისტორიის გაკვეთილი, რადგან, მომავალში პრინციპულად ამ დამოკიდებულებებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყველაზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება კი, რაც შეიძლება სწავლის პროცესში გაჩნდეს, არის სურვილი სწავლის გაგრძელებისა. თუ საამისო სტიმული და მამოძრავებელი ძალა გაძლიერების ნაცვლად შესუსტდა, საქმე გვაქვს გაცილებით სერიოზულ პრობლემასთან, ვიდრე უბრალოდ, მომზადების ნაკლებობა ან უქონლობაა. მოსწავლე, ფაქტობრივად, განიძარცვება თავისი ბუნებრივი, თანდაყოლილი შესაძლებლობებისგან, რაც, სხვა შემთხვევაში ცხოვრებისეულ სიტუაციებთან გამკლავების საშუალებას მისცემდა. ხშირად ვხვდებით ადამიანებს, ვისთვისაც დადებითი ფაქტორია ის, რომ ხანგრძლივად არ უსწავლიათ სკოლაში. მათ სულ ცოტა, შეინარჩუნეს თანდაყოლილი საღი აზრი და განსჯის უნარი, რომელთა გამოვლინებითაც რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, უძვირფასესი საჩუქარი – გამოცდილებიდან სწავლის უნარი შეიძინეს. რა სარგებელი მოაქვს გეოგრაფიის და ისტორიის შესახებ წინასწარ განსაზღვრული მოცულობის ინფორმაციის მიღებას, წერისა და კითხვის უნარის განვითარებას, თუკი ამ პროცესში ინდივიდი კარგავს თავის სულს – მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული ღირებულებების შეფასების უნარს და თუკი ის კარგავს სურვილს, გამოიყენოს ის, რაც ისწავლა.რაც ყველაზე მთავარია, კარგავს უნარს, ჩასწვდეს მომავალი გამოცდილებების მნიშვნელობას.

რა არის ის ჭეშმარიტება, რასაც მომზადება უნდა გულისხმობდეს? უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ ინდივიდი, ახალგაზრდა იქნება იგი თუ ხანდაზმული, მიმდინარე გამოცდილებიდან იღებს ყველაფერს, რაც მისთვისაა განკუთვნილი და რისი მიღებაც მოცემულ მომენტში შეუძლია. როდესაც მომზადება მიზანია, მაშინ რეალური აწმყოს პოტენციალი მსხვერპლად ეწირება ჰიპოთეზურ, სავარაუდო მომავალს. ასეთ შემთხვევაში, მომავლისთვის რეალური მზადება დამახინჯებულ სახეს იღებს ან საერთოდ აღარ ხდება. აწმყოს მომავლისთვის გამოყენების იდეა, წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან. ის სწორედ იმ პირობებს უგულვებელყოფს, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდს რეალურად შეუძლია მოემზადოს მომავალთან შესახვედრად. ჩვენ მუდამ მოცემულ დროში ვცხოვრობთ და არა სხვა რომელიმე დროში და მხოლოდ ამ დროში მიმდინარე

თითოეული გამოცდილების სრული მნიშვნელობის გაგება გვაძლევს საშუალებას, მოვემზადოთ ანალოგიური მოქმედებისთვის, როდესაც მსგავსი ვითარება მომავალში განმეორდება. ეს არის ერთადერთი მომზადება, რომლითაც საბოლოოდ, ყველაფერი შესაძლებელია.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პირობებს, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეულ აწმყო გამოცდილებას. არ შეიძლება დავსაკვნათ, თითქოს სულერთია, როგორი სახისაა აწმყო გამოცდილება, მთავარია, ის სასიამოვნო იყოს. დასკვნა სრულიად საპირისპიროა. აქვე თავს იჩენს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც შეიძლება ორი უკიდურესი პოზიციიდან შევაფასოთ. ვინაიდან ტრადიციულ სკოლებში აწმყო განწირული იყო შორეული და მეტ-ნაკლებად უცნობი მომავლის გამო, ჩნდება აზრი, რომ პედაგოგი ნაკლებად პასუხისმგებელია მოსწავლეთა აწმყო გამოცდილებებზე. მაგრამ, აწმყოსა და მომავლის ურთიერთობა „ან-ან“ ფილოსოფიის საკითხი არ არის. აწმყო ნებისმიერ შემთხვევაში გავლენას ახდენს მომავალზე. მათ შორის გარდაუვალი კავშირის შესახებ წარმოდგენა, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ, ვინც მოწიფულობას მიაღწია. შესაბამისად, სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, შექმნან პირობები იმ ტიპის გამოცდილებისათვის, რომელიც დადებით, სასარგებლო გავლენას მოახდენს მომავალზე. განათლება, როგორც ზრდა და ჩამოყალიბება, „ყველგან მყოფი“ და ყველაფრის მომცველი პროცესი უნდა იყოს.

თავი მეოთხე

სოციალური კონტროლი

როგორც უკვე აღვნიშნე, საგანმანათლებლო გეგმები და პროექტები, განათლების რეალური გამოცდილების კუთხით დანახვა მიზნად ისახავს გამოცდილების ინტელექტური თეორიის, გნებავთ გამოცდილების ფილოსოფიის ჩამოყალიბებასა და დამტკიცებას. სხვაგვარად, ისინი იმ ინტელექტური „ტალღის“ გავლენის ქვეშ მოექცევიან, რომლებიც, ვინ იცის, საიდან გამოჩნდება ხოლმე. მე შევეცადე მეჩვენებინა ამგვარი თეორიის არსებობის აუცილებლობა. ამ მიზნით თქვენი ყურადღება მივაპყარი იმ ორ პრინციპს, რომლებიც ფუნდამენტურია გამოცდილების შექმნისთვის: ეს არის ურთიერთქმედებისა და გამოცდილების კონტინუუმის პრინციპები. შესაძლოა გაგიჩნდეთ კითხვა, რატომ დავუთმე ამდენი დრო მეტწილად აბსტრაქტულ ფილოსოფიაზე მსჯელობას. ამ კითხვას ასე ვუპასუხებდი: გამოცდილების იდეაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სკოლების ჩამოყალიბების პრაქტიკულმა მცდელობებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს გარკვეული შეუსაბამობები, წინააღმდეგობები და დაბნეულობა, თუ მათ საფუძვლად არ დაედო ნათლად ჩამოყალიბებული შეხედულება, რა არის გამოცდილება და რა ნიშნით ხდება საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო გამოცდილებათა დიფერენციაცია. ახლა კი შევჩერდები უფრო რეალურ საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საკით-

ხებზე, რომელთა განხილვა, ვიმედოვნებ, უფრო კონკრეტულ საკითხებსა და მასალას მოგვაწვდის, ვიდრე ის დისკუსია, რაც ამ მომენტამდე იყო.

განგრძობითობისა და ურთიერთქმედების პრინციპები, როგორც გამოცდილების ღირებულების განმსაზღვრელი კრიტერიუმი, იმდენად ახლო კავშირშია ერთმანეთთან, რომ რთულია იმის გარჩევა, რომელი კონკრეტული საგანმანათლებლო პრობლემა უნდა განვიხილოთ თავდაპირველად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრობლემებს მოხერხებულად დავყოფთ ისეთ სპეციფიკურ საკითხებად, როგორებიცაა სწავლა და სწავლების შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, და ა. შ. მაინც ვერ შევძლებთ განსახილველი საკითხების სათანადო თანმიმდევრობით შერჩევას და ორგანიზაციას. შესაბამისად, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ საკითხთა თანმიმდევრობა რამდენადმე პირობითია. თუმცა დავიწყებ ზემოხსენებული საკითხით ინდივიდუალური თავისუფლებისა და სოციალური კონტროლის შესახებ და შემდეგ გადავალ იმ საკითხებზე, რომლებიც ბუნებრივად გამომდინარეობს მათგან.

საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი საკითხების განხილვისას ხშირად უმჯობესია, თავიდან დროებით ავუაროთ გვერდი სკოლას და დავფიქრდეთ სხვა სოციალურ სიტუაციებზე. დარწმუნებული ვარ, არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჩვეულებრივი კარგი მოქალაქე, როგორც წესი, მოქცეულია სერიოზული სოციალური კონტროლის ქვეშ იმგვარად, რომ სულაც ვერ გრძნობს პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას. თეორეტიკოსი ანარქისტიც კი, რომლის ფილოსოფიის თანახმად, ყოველგვარი სახელმწიფო და სამთავრობო კონტროლი აშკარა აბსოლუტური ბოროტებაა, მიიჩნევს, რომ პოლიტიკური სახელმწიფოს გაუქმების შემდეგაც კი სოციალური კონტროლის სხვა ფორმები უნდა ამოქმედდეს. მართლაც, მისი პროტესტი სამთავრობო კანონების წინააღმდეგ, მომდინარეობს მისივე რწმენიდან, რომ სახელმწიფოს გაუქმების შემთხვევაში, ამოქმედდება კონტროლის სხვა, მისთვის უფრო მისაღები და ნორმალური ფორმები.

ამ უკიდურესი პოზიციის გაზიარების გარეშე, მოდით, შევჩერდეთ სოციალური კონტროლის რამდენიმე მაგალითზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქმედებენ და შემდეგ ვეძებოთ ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ. მოდით, დავიწყოთ თავად მოზარდის მაგალითით. არდადეგებზე ან სასწავლო დღის დასრულების შემდეგ ბავშვები სხვადასხვა თამაშს თამაშობენ, იქნება ეს დაჭერობანა და ბურთაობა, ბეისბოლი თუ ფეხბურთი. ამ თამაშებს აქვთ წესები, რომლებიც არეგულირებენ თამაშის მსვლელობას. თამაშები არ მიმდინარეობს ალალბედზე, როგორც შემთხვევითობის ან წინასწარ შეუთანხმებელი იმპროვიზაციის თანმიმდევრობა. თამაში წესების გარეშე არ არსებობს. როდესაც უთანხმოება ჩნდება, მხარეები მსაჯს მიმართავენ, თუ არა და გადაწყვეტილების მიღება ხდება კამათითა და გარკვეული სახის შუამავლობით: სხვაგვარად, თამაში ჩაიშლება და დასრულდება.

არსებობს ამგვარი სიტუაციების მაკონტროლირებელი გარკვეული სახის, საკმაოდ ნათელი ნიშნები, რომლებზედაც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

პირველი არის ის, რომ წესები თამაშის ნაწილია. ისინი მის ფარგლებს გარეთ არ არსებობს. თუ წესები არ არის, არ არის თამაშიც. თუ წესები სხვაა, თამაშიც სხვაა. სანამ თამაში მშვიდად და შეუფერხებლად მიმდინარეობს, მოთამაშეები ვერ გრძნობენ, რომ ისინი ემორჩილებიან გარეშე კონტროლს. მათ იციან, რომ უბრალოდ თამაშობენ. თამაშში მონაწილე პირმა, შესაძლოა, ხანდახან იგრძნოს, რომ გადაწყვეტილება არასამართლიანია და შეიძლება გაბრაზდეს კიდეც. მაგრამ, ამ დროს იგი ეწინააღმდეგება არა თავად წესს, არამედ იმას, რასაც იგი ამ წესის დარღვევად მიიჩნევს. ის ეწინააღმდეგება მიკერძოებულ და უსამართლო გადაწყვეტილებას. წესები და აქედან გამომდინარე, თამაშის წარმართვაც საკმაოდ სტანდარტულია. ეს გულისხმობს გათვლის, მხარეების არჩევის, პოზიციების, მოძრაობათა აღიარებულ წესებს. ეს წესები სანქცირებულია ტრადიციისა და პრეცედენტის ძალით. მოთამაშეებს ალბათ უნახავთ პროფესიონალთა მატჩები და სურთ შეეჯიბრონ უფროსებს. ყოველივე ამაში ტრადიციულობის ელემენტი საკმაოდ მძლავრია. როგორც წესი, ბავშვთა გუნდები თამაშის წესებს უფროსების მიბაძვით ცვლიან მას შემდეგ, რაც მათთვის სანიმუშო გუნდი შეიტანს ცვლილებებს წესებში, ხოლო უფროსები წესებს მეტწილად იმიტომ ცვლიან, რომ თამაში უფრო დახვეწილი, ოსტატური და მაყურებლისთვის საინტერესო გახდეს.

აქვე შეიძლება გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნა, რომ ინდივიდუალურ ქმედებებს აკონტროლებს მათთვის საერთო სიტუაციები, რომლებშიც ეს ინდივიდები არიან ჩართული და რომელთა ფარგლებშიც თანამშრომლობენ. ვინაიდან, ყველაზე დაძაბული თამაშიც კი მეტოქეთა გარკვეული ურთიერთობა და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებაა. თამაშში მონაწილე მხარეები ვერ გრძნობენ, რომ მათ ერთი პიროვნება აკონტროლებს ან ერთი „უზენაესი“ გარეშე პირის ნებას ემორჩილებიან. ხოლო როდესაც მათ შორის დავა წარმოიშობა, ამის საფუძველი, როგორც წესი, არის ეჭვი, რომ მსაჯი ან მეორე მხარის რომელიმე წარმომადგენელი არასამართლიანია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარ სიტუაციებში ერთი ადამიანი ცდილობს ინდივიდუალური ნება სხვა ადამიანებს მოახვიოს თავს.

ამ ერთი ცალკეული შემთხვევის ანალიზი არ იქნება საკმარისი პიროვნული თავისუფლების დარღვევის გარეშე ინდივიდთა სოციალური კონტროლის ზოგადი პრინციპის სრულყოფილი ინტერპრეტაციისთვის. მაგრამ თუ ამ საკითხის განხილვას სხვა შემთხვევების საფუძველზე გავაგრძელებთ, ვფიქრობ, დასკვნა იმის თაობაზე, რომ ეს კონკრეტული მაგალითი, მართლაც, გამოხატავს ამ ზოგად პრინციპს, გამართლებული იქნება. ზოგადად, თამაშებს კონკურენციის, შეჯიბრის ხასიათი აქვს. თუ აქვე მაგალითად მოვიყვანთ შეთანხმებული საქმიანობების შემთხვევებს, რომელშიც ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს როგორც მოწესრიგებულ ოჯახში, რომლის საფუძველიც ურთიერთნდობაა, ეს საკითხი უფრო ნათელი გახდება. ამგვარ სიტუაციაში წესებს ამყარებს არა ცალკეული პიროვნების ნება ან სურვილი, არამედ მთელი ჯგუფის მამოძრავებელი სულისკვეთება. კონტროლს საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, მაგრამ ინდივიდები

არსებობენ არა საზოგადოებისგან იზოლირებულად, არამედ თავად ქმნიან საზოგადოებას და მისი განუყოფელი ნაწილი არიან.

არ ვგულისხმობ, რომ არ არსებობს შემთხვევები, როდესაც თუნდაც მშობელი ერევა ბავშვის ცხოვრებაში და არ ცდილობს პირდაპირი კონტროლის განხორციელებას, მაგრამ ამგვარი შემთხვევები არაა ხშირი. უმეტესად მაკონტროლირებელი არის სიტუაცია, რომელშიც ყველა იღებს მონაწილეობას. და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც კონტროლი ხდება კარგად ორგანიზებულ ოჯახში ან სხვა საზოგადოებრივ ჯგუფში, იგი არ არის ერთი პიროვნების ნების გამოვლინება: მშობელი თუ მასწავლებელი აკონტროლებს, როგორც მთელი ჯგუფის წარმომადგენელი და აგენტი. მოწესრიგებულ სკოლაში ამა თუ იმ ინდივიდის გაკონტროლება იმ სიტუაციების მეშვეობით ხდება, რომელშიც ამ ინდივიდებს უხდებათ საქმიანობა. მასწავლებელი მინიმუმამდე ამცირებს იმ სიტუაციებისა და შემთხვევების რიცხვს, რომელშიც მას პერსონალური ძალაუფლების გამოვლენა უხდება. მაშინაც კი, როდესაც მისი მხრიდან მკაცრი საუბარი ან ქმედებაა საჭირო, იგი ამას ჯგუფის საერთო ინტერესების სახელით აკეთებს და არა საკუთარი პიროვნული ნებისა და ძალაუფლების დემონსტრირების სახით. ეს მოსწავლის თვალში თვითნებურ, დაუსაბუთებელ ქმედებას სამართლიანი, ობიექტური ქმედებისგან განასხვავებს.

უფრო მეტიც, სულაც არ არის აუცილებელი ამ განსხვავებაზე მასწავლებელმა ან მოსწავლემ ხმამაღლა ისაუბროს, რათა იგი უფრო ადვილად მისახვედრი გახდეს ყველასთვის. ისეთი ბავშვების რიცხვი, რომლებიც ვერ გრძნობენ (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ამის თეორიულად გამოთქმა და ინტელექტური პრინციპის სახით ჩამოყალიბება არ შეუძლიათ) პიროვნული ძალაუფლებითა და ბრძანების სურვილით მოტივირებულ ქმედებებსა და სამართლიან, ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებებს შორის განსხვავებას, რეალურად ძალიან მცირეა. მთლიანობაში, ამ განსხვავების მაჩვენებელი ნიშნებისა და სიმპტომებისადმი ბავშვები გაცილებით უფრო მგრძნობიარენი არიან, ვიდრე უფროსები. ბავშვები ამ განსხვავებას ერთმანეთთან თამაშის დროს სწავლობენ. ისინი მზად არიან, თამაშის დროს გაითვალისწინონ იმ ბავშვის რჩევა და მითითება, ვინც მათზე მეტი იცის და თავისი ქცევით გამოცდილებას მატებს დანარჩენებს იმ საქმეში, რასაც ერთად აკეთებენ. ისინი მზად არიან ნებაყოფლობით დაუთმონ მას ლიდერობაც კი. მაგრამ ბავშვები ვერ ეგუებიან პირდაპირ კარნახს ან ბრძანებას. ასეთ შემთხვევაში ისინი თამაშიდან გადიან და რომ ჰკითხოთ, რატომ მოიქცნენ ასე, გიპასუხებენ: ის „ზედმეტ ბრძანებებს იძლევა“.

არ მინდა ტრადიციული სკოლა იმგვარად მოვიხსენიო, თითქოს სურათის ნაცვლად ის კარიკატურა უფროა, მაგრამ ვფიქრობ, სამართლიანი იქნება თუ ვიტყვი, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მასწავლებლის პერსონალური ბრძანებები ასე ხშირად ასრულებდა არასათანადო როლს და არსებული წესრიგი უფროსის ნებისადმი უსიტყვო მორჩილების შედეგი იყო, არის ის, რომ სიტუაცია თითქმის აიძულებდა მასწავლებელს ასე მოქცეულიყო. სკოლა არაა ერთად შეკრული,

საერთო საქმეში ჩაბმული საზოგადოებრივი ჯგუფი. შესაბამისად, არ არსებობდა კონტროლის სათანადო, ნორმალური პირობები. მათი უქონლობის კომპენსაციას პირდაპირი ჩარევით ახდენდა (მეტწილად, იმის გამო, რომ იძულებული იყო ასე მოქცეულიყო) მასწავლებელი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, „წესრიგს იცავდა“. წესრიგს მართლაც მასწავლებელი განსაზღვრავდა და არა ჯგუფის მიერ განხორციელებული ერთობლივი საქმიანობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალ სკოლებში, როგორც მათ უწოდებენ, სოციალური კონტროლის ძირითადი წყარო თავად იმ საქმიანობის ბუნებაა, რომელიც ერთობლივ საზოგადოებრივ წამოწყებას, ჯგუფურ ინიციატივას მოიცავს. უკლებლივ ყველას აქვს შესაძლებლობა მასში საკუთარი ინდივიდუალური წვლილი შეიტანოს და რომლის მიმართ ყველა თანაბარ პასუხისმგებლობას გრძნობს. ბავშვების უმრავლესობა ბუნებრივად კომუნიკაბელური, „საზოგადოების მიმართ გახსნილია“. იზოლაცია მათთვის კიდევ უფრო მოსაწყენია, ვიდრე უფროსებისთვის. ჭეშმარიტი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი სწორედ ეს ბუნებრივი კომუნიკაბელურობაა. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების მყარი ორგანიზაცია სპონტანურად, თავისთავად არ ხდება. ის წინასწარ მოფიქრებას და დაგეგმვას საჭიროებს. პედაგოგის მოვალეობაა, თითოეული ინდივიდისა და საგნის არსის ცოდნის საფუძველზე შეარჩიოს სასწავლო აქტივობები და საქმიანობა, სოციალური ორგანიზაციისთვის ანუ იმ ორგანიზაციისთვის ეფექტური, რომელშიც ყველა ინდივიდს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს და სადაც კონტროლი იმ საქმიანობების მეშვეობით ხორციელდება, რომელშიც ყველა ერთად მონაწილეობს.

მე არ ვარ იმდენად რომანტიკული, ვიფიქრო, რომ ყველა მოსწავლე თანაბრად წამოგვყვება ან ძლიერი იმპულსების მქონე ნებისმიერი ჩვეულებრივი ბავშვისგან ყველა სიტუაციაში თანაბარ რეაგირებას უნდა ველოდოთ. ისეთი ბავშვებიც არსებობენ, რომლებიც ჯერ კიდევ სკოლაში მოსვლამდე აღმოჩნდნენ მავნე გარემოებების მსხვერპლნი და ისეთი პასიურები და არაბუნებრივად მორჩილები გახდნენ, რომ ძალისხმევის გამოვლენის უნარი აღარ შესწევთ. არიან ისეთებიც, რომლებიც წინანდელი გამოცდილების გამო თავხედები, უმართავები და შესაძლოა, გამოუსწორებელი ბუნტისთავებიც იყვნენ. მაგრამ ცხადია, რომ სოციალური კონტროლის ზოგადი პრინციპი არ შეიძლება მსგავსი შემთხვევების საფუძველზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბოთ. ცხადია ისიც, რომ შეუძლებელია შევქმნათ ზოგადი წესი, რომლითაც ამგვარ შემთხვევებში ვიხელმძღვანელებდით. მასწავლებელი ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს თოთოეულ ბავშვს. ისინი საერთო კლასებად იყოფიან, მაგრამ მათ შორის ორი იდენტური ბავშვიც არ მოიძებნება. პედაგოგმა უნდა მიაკვლიოს ამგვარი ურჩი დამოკიდებულების მიზეზებს. თუ მასწავლებელს არ სურს სასწავლო პროცესის ნორმალური მსვლელობა შეფერხდეს, არ შეიძლება ერთი ბავშვის ნება მეორისას დაუპირისპიროს, რათა ნახოს, რომელი მათგანი უფრო ძლიერია. მან არც ის უნდა დაუშვას, რომ პასიური და ინდიფერენტული ან ურჩი და უმართავი ბავშვები მუდმივად ხელს

უშლიდნენ სხვებს სწავლაში. სკოლიდან გარიცხვა ალბათ ერთადერთი ღონისძიებაა, რომელსაც შეიძლება ასეთ ვითარებაში მივმართოთ, თუმცა ის საუკეთესო გამოსავალი არ არის, ვინაიდან ამით პრობლემა ვერ მოგვარდება. ამან, შესაძლოა, კიდევ უფრო გაამწვავოს ის მიზეზები, რომლებმაც ბავშვებში ისეთი არასასურველი ანტისოციალური დამოკიდებულებები გამოიწვიოს, როგორიცაა ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი ან ზედმეტი თავმომწონეობა.

გამონაკლისები ვერც ადასტურებენ წესს და ვერც გვკარნახობენ, როგორი უნდა იყოს ეს წესი. აქედან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი გამონაკლის შემთხვევებს, თუმცა ფაქტია, რომ ამჟამად მსგავსი შემთხვევების მეტი წილი პროგრესულ სკოლებზე მოდის, ვინაიდან მშობლებისთვის შვილების ამგვარ სკოლებში გაგზავნა, მათი უკანასკნელი იმედი და საშუალებაა. არა მგონია, პროგრესულ სკოლებში კონტროლის სისუსტეს ეს გამონაკლისი შემთხვევები განაპირობებდეს. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ წინასწარ არ არის განსაზღვრული ის სამუშაო (ამაში ვგულისხმობ ყველა ტიპის სასკოლო საქმესა და სასწავლო აქტივობას), რომელიც შექმნის სიტუაციებს, რომლებიც თავად გააკონტროლებენ იმას, რას და როგორ აკეთებს ესა თუ ის მოსწავლე. ამგვარი სიტუაციების ნაკლებობა გამოწვეულია კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი, წინასწარი დაგეგმვის ნაკლებობით. ამის მიზეზი კი სხვადასხვაა. ერთერთი მიზეზი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზემოთქმულთან დაკავშირებით, არის შეხედულება იმის თაობაზე, რომ ამგვარი წინასწარი დაგეგმვა ზედმეტია, უფრო მეტიც, არსებითად საზიანოც კია მოსწავლეთა ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის.

ახლა, რა თქმა უნდა, არსებობს მასწავლებლების მიერ შემუშავებული წინასწარი დაგეგმვა, რაც იმდენად მოუხერხებელი და ინტელექტურად მოუქნელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ტაქტითა და ინდივიდუალური თავისუფლებისადმი მოჩვენებითი, გარეგნული პატივისცემით არის შემუშავებული, მაინც უფროსების მიერ ძალდატანებასთან მივყავართ. მაგრამ, ამგვარი დაგეგმვა არ გამომდინარეობს ზემოხსენებული სოციალური კონტროლის პრინციპიდან. რა აზრი აქვს მასწავლებლის უფრო მდიდარ გამოცდილებას, მასწავლებლის მიერ სამყაროს, ინდივიდთა და შესასწავლი საგნების უფრო ღრმა ცოდნას, თუკი მას არ ძალუძს ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს საზოგადოებრივ, ჯგუფურ აქტივობასა და ორგანიზაციას, განახორციელებს კონტროლს ინდივიდუალურ იმპულსებზე, იმისთვის, რომ ყველა ჩაებას კოლექტიურ პროექტებში. ის, რომ დღემდე არსებული წინასწარი დაგეგმვა რუტინული იყო და ადგილს არ უტოვებდა ინდივიდუალურ აზროვნებასა და გამოკვეთილ ინდივიდუალურ გამოცდილებებს, არ ნიშნავს რომ ნებისმიერი სახის დაგეგმვაზე უარი უნდა ვთქვათ. პირიქით, პედაგოგს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს უფრო გონივრული, და შესაბამისად, უფრო რთული გეგმა. მან უნდა შეისწავლოს ინდივიდთა იმ კონკრეტული ჯგუფის შესაძლებლობები და მოთხოვნილებები, რომელთანაც ურთიერთობა აქვს მოცემულ პერიოდში და ამასთანავე,

უნდა შექმნას პირობები, რომლებიც განაპირობებს ისეთ გამოცდილებათა ფორმირებას, რომლებიც დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს და განავითარებს შესაძლებლობებს. დაგეგმვა უნდა იყოს იმდენად მოქნილი, რამდენადაც სრულ თავისუფლებას უნდა აძლევდეს ინდივიდუალურ გამოცდილებას და ამასთან, იმდენად მტკიცე, რომ იძლეოდეს შესაძლებლობათა მზარდი, უწყვეტი განვითარებისკენ მიმართულებას.

სწორედ ახლაა ხელსაყრელი ორიოდე სიტყვით შევეხოთ მასწავლებლის კომპეტენციას, ფუნქციებსა და მოვალეობებს. პრინციპი – გამოცდილების განვითარება სოციალური ურთიერთქმედების შედეგად ხდება, ნიშნავს, რომ განათლება თავისი არსით სოციალური პროცესია. განათლების ამ თვისების რეალიზაცია ხდება იმდენად, რამდენადაც ინდივიდები ერთიანდებიან საზოგადოებრივ ჯგუფად. აბსურდია მასწავლებელი ამ ჯგუფის წევრობიდან გამოვრიცხოთ. როგორც ჯგუფის ყველაზე მოწიფულ წევრს, მას ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა – წარმართოს ის კომუნიკაცია, ურთიერთქმედებები და ურთიერთკავშირები, რომლებიც ჯგუფის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის არსებობის საფუძველია. ის, რომ ბავშვები პიროვნებები არიან, რომელთა თავისუფლებას პატივი უნდა ვცეთ, ხოლო მოწიფული ადამიანი, როგორც სრულუფლებიანი ინდივიდი არანაირი თავისუფლებით არ უნდა სარგებლობდეს, მეტისმეტად აბსურდული იდეაა იმისთვის, რომ საკამათოდ ღირდეს. ტენდენცია იმისა, რომ მასწავლებელს ჩამოერთვას პოზიტიური და წამყვანი როლი იმ საზოგადოების საქმიანობის წარმართვაში, რომლის წევრიცაა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში მოხვედრის კიდევ ერთი მაგალითია. როდესაც მოსწავლეები მოიაზრებოდნენ ფორმალურ კლასად და არა სოციალურ ჯგუფად, მასწავლებელი აუცილებლად მოქმედებდა გარედან და არა, როგორც იმ ურთიერთგაცვლის პროცესების უშუალო მონაწილე და წარმმართველი, რომელშიც ყველას თავისი წილი ჰქონდა. როდესაც განათლება დაფუძნებულია გამოცდილებაზე და საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი გამოცდილება მიჩნეულია სოციალურ პროცესად, სიტუაცია რადიკალურად იცვლება. მასწავლებელი კარგავს გარეშე ზედამხედველის ან მოკარნახის როლს და ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს.

თამაშებზე, როგორც სოციალური კონტროლის მაგალითზე საუბრისას, სტანდარტული, ტრადიციისა და პირობითობის ფაქტორი ვახსენეთ. სასკოლო ცხოვრებაში ამ ფაქტორის ანალოგია დახვეწილი ყოფაქცევის, კარგი მანერების საკითხი, რომელიც ძირითადად ზრდილობიანობასა და თავაზიანობაში გამოვლინდება. რაც უფრო მეტი ვიცით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არსებული ტრადიციების, ადათებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ, მით უფრო მეტად ვიგებთ, რამდენად განსხვავებულია კარგი მანერების ინსტიტუტი სხვადასხვა ადგილასა და სხვადასხვა დროს. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ აქ მნიშვნელოვანწილად პირობითობის ფაქტორია ჩართული. მაგრამ, არ არსებობს არც ერთი ჯგუფი, მიუხედავად გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული პერიოდისა, რომელსაც არ გააჩნია ქცევის კოდექსი, როგორიცაა,

მაგალითად, მისალმების სათანადო ფორმები. იმ სპეციფიკურ ფორმაში, რომელსაც პირობითობა იძენს, არაფერია უცვლელი, მუდმივი და აბსოლუტური. მაგრამ პირობითობის გარკვეული ფორმის არსებობა, თავად პირობითობა არ არის. ის ყველა სოციალური ურთიერთობის უცვლელი თანმხლები ატრიბუტია. ყოველ შემთხვევაში, იგი „საპოხია, რომელიც ამცირებს ხახუნის ძალას."

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ეს სოციალური ფორმები „უბრალო ფორმალობებად" იქცეს. ისინი შეიძლება უბრალოდ გარეგნულ სანახაობად გადაიქცეს, რომლის მიღმა არანაირი შინაარსი არ დევს. მაგრამ სოციალური ურთიერთობის ცარიელი, უშინაარსო რიტუალური ფორმებისგან თავის არიდება არ ნიშნავს ყველა ფორმალური ელემენტის უარყოფას. ეს უმალ მიუთითებს ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარების საჭიროებაზე, რომლებიც მეტად შეეფერება სოციალურ სიტუაციებს. ზოგიერთ პროგრესულ სკოლაში მისული სტუმრებისთვის ნამდვილი შოკია იმის ნახვა, რამდენად ნაკლებად იცავენ აქ კარგ მანერებს. ხოლო მან, ვინც სიტუაციას უკეთ იცნობს, კარგად იცის, რომ კარგი მანერების ამგვარი ნაკლებობა გარკვეულწილად განპირობებულია ბავშვების მხურვალე ინტერესით, განაგრძონ ის საქმიანობა, რითაც იმ მომენტში არიან დაკავებულნი. ასეთი აღფრთოვანებისას, ისინი შეიძლება ერთმანეთს და სტუმრებს დაეჯახონ ისე, რომ ბოდიშიც არ მოიხადონ. ზოგიერთმა შესაძლოა თქვას, რომ ამგვარი პირობები უკეთესია, ვიდრე უბრალოდ გარეგნული ფორმალობების დაცვა და პედანტიზმი, რაც სასკოლო მუშაობის მიმართ ინტელექტური და ემოციური ინტერესის ნაკლებობას სდევს თან. მაგრამ ეს კვლავ არასათანადო აღზრდაზე მეტყველებს, ვინაიდან ჯერ არ არის ათვისებული უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული გაკვეთილი, რაც ადამიანების ურთიერთშეწყობასა და ადაპტაციაში გამოიხატება. განათლების პროცესი ცალმხრივად მიმდინარეობს, ვინაიდან დამოკიდებულებები და ჩვევები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და გეზი აღებულია მომავლის განათლებისკენ, რომელიც სათავეს სოციალური კონტაქტებიდან და კომუნიკაციიდან იღებს.

თავი მეხუთე

თავისუფლების ბუნება

ამჯერად მინდა ვისაუბრო სოციალური კონტროლის პრობლემის მეორე მხარეზე, კერძოდ, თავისუფლების ბუნებაზე. ერთადერთი თავისუფლება, რომელიც მუდამ მნიშვნელოვანია, აზროვნების ანუ დაკვირვებისა და განსჯის თავისუფლებაა, რაც ფუნდამენტურად ღირებული მიზნების სამსახურში დგას. ყველაზე ხშირი შეცდომა, რასაც საერთოდ თავისუფლებაზე საუბრისას უშვებენ ხოლმე, არის ის, რომ მას მოძრაობის თავისუფლებასთან ან მოქმედების გარეგნულ და ფიზიკურ მხარესთან აიგივებენ. აქტივობის ეს გარეგნული და ფიზიკური მხარე არ შეიძლება დავაცილოთ აქტივობის შინაგან მხარეს: ფიქრის, სურვილისა და მიზნის თავისუფლებას. ის ფიზიკური შეზღუდვები, რაც ბავშვებს დაწესებული

ჰქონდათ ტრადიციულ სკოლაში, მისი ტიპური საკლასო ოთახებით, მკაცრად განლაგებული მერხებითა და მოსწავლეთა ლამის სამხედრო რეჟიმით, რომლებსაც მოძრაობის ნებას მხოლოდ განსაზღვრულ მომენტებში აძლევდნენ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ზღუდავდა ბავშვთა ინტელექტურ და მორალურ თავისუფლებას. საგიჟის ან სატუსაღოს მსგავს ატმოსფეროს სკოლაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი, თუ გვსურს რომ პიროვნებებს ზრდისა და განვითარების შანსი მივცეთ, გზა გავუხსნათ ინტელექტური თავისუფლებისკენ, რომლის გარეშეც ჭეშმარიტი და უწყვეტი ზრდის გარანტია არ არსებობს.

მაგრამ ის, რომ ფიზიკური მოძრაობის თავისუფლება მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი, ძალაში რჩება. თავისუფლების ამ ასპექტის მიღწევით, საგანმანათლებლო პრობლემა ვერ მოგვარდება. მაშასადამე, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ ამ დამატებით თავისუფლებას. რა მიზანს ემსახურება იგი? რა შედეგებს მოიტანს ის? ნება მიბოძეთ, თავდაპირველად ვისაუბრო იმ დადებით მხარეებზე, რაც, პოტენციურად აქვს ფიზიკურ თავისუფლებას. უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური თავისუფლების გარეშე, მასწავლებლისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია, გაიცნოს ის ადამიანები, რომელთანაც საქმე აქვს. იძულებით თავს მოხვეული სიჩუმე და უსიტყვო მორჩილება ხელს უშლის მოსწავლეებს გამოამჟღავნონ თავიანთი ნამდვილი ბუნება. ისინი განასახიერებენ ხელოვნურ ერთსახოვნებას, ერთგვარობას, მოჩვენებითს რეალურად არსებულზე წინ აყენებენ. მათთვის მთავარია ყურადღების, ზრდილობისა და მორჩილების გარეგნულად შენარჩუნება. და ყველამ, ვინც იცნობს იმ სკოლებს, სადაც ამგვარი სისტემა მოქმედებდა, კარგად იცის, რომ ფიქრები, ფანტაზიები, სურვილები თუ მავნე საქმიანობები თავისი გზით მიემართებოდა ამ ფასადს მიღმა. მათით არავინ ინტერესდებოდა და არც არავინ ამოწმებდა. მასწავლებელი მათ შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში იგებდა, თუ ისინი ამ მოჩვენებითი იდილიის დამრღვევი რაიმე შემთხვევის გამო მოულოდნელად გამოშკარავდებოდა. იმის გასაცნობიერებლად, რამდენად მავნებელია ეს უკიდურესად ხელოვნური სიტუაცია მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობისთვის, რამდენად უშლის ხელს მასწავლებლის მიერ იმ ადამიანების გაცნობასა და გაგებას, რომლებსაც ასწავლის, საკმარისია ეს სიტუაცია საკლასო ოთახის გარეთ, თუნდაც მოწესრიგებულ ოჯახში არსებულ ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობებს შევადაროთ. ამ გაცნობიერების გარეშე, მინიმალურია შანსი, სასწავლო მასალა და სწავლების მეთოდები იმდენად მისაღები იყოს მოსწავლისთვის, რომ რეალურად შეუწყოს ხელი მას და მიმართულება მისცეს მისი გონებისა და ხასიათის განვითარებას. აქ საქმე გვაქვს მანკიერ წრესთან. სწავლისა და სასწავლებლის მეთოდების მექანიკური ერთფეროვნება იწვევს გარკვეული სახის პასიურობასა და უძრაობას, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს სწავლის მუდმივ ერთფეროვნებას, სადაც არაფერი იცვლება, მოსწავლეების მიერ გაკვეთილის მოყოლის მანერაც კი, მაშინ, როდესაც ამ ძალდატანებითი ერთსახოვნების მიღმა ინდივიდუალური ტენდენციები „უკანონოდ“ და მეტ-ნაკლებად აკრძალულად მოქმედებს.

ფიზიკური თავისუფლების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი დადებითი მხარე თავად სასწავლო პროცესის ბუნებიდან გამომდინარეობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი მეთოდები წინა პლანზე აყენებდა პასიურობას და მორჩილებას. ფიზიკური პასიურობისთვის ეს თვისებები გადამწყვეტია. სტანდარტულ სკოლაში, წესების დარღვევა და ურჩი საქციელი პასიურობისგან თავის დაღწევის ერთდადერთი საშუალებაა. სკოლის ლაბორატორიასა და სახელოსნოში სიჩუმის დაცვა შეუძლებელია. ტრადიციული სკოლის არასოციალური ხასიათი იმით მჟღავნდება, რომ იგი, საკლასო ოთახში გამეფებულ სიჩუმეს თავის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად მიიჩნევდა. რა თქმა უნდა, სიჩუმის ფაქტორი მნიშვნელოვანია დაძაბული ინტელექტური საქმიანობის დროს, რომელიც არ საჭიროებს სხეულის განსაკუთრებულ მოძრაობას ან სხვა სახის ზედმეტ ფიზიკურ აქტივობას. მაგრამ ამ ტიპის ინტელექტური აქტივობის უნარი შედარებით გვიან, მას მერე მიიღწევა, რაც ეს პრაქტიკა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდება. ბავშვებსაც კი სჭირდებათ დროის მოკლე ინტერვალი ფიქრისთვის. მაგრამ, ფიქრის ეს პერიოდები ნამდვილად სასარგებლოა, თუ ისინი მოსდევს ფიზიკურად უფრო აქტიურ პერიოდებს და შეჯამებას, ორგანიზაციას უკეთებს იმას, რაც მოსწავლეებმა ფიზიკურად აქტიურ პერიოდებში მიიღეს, რაშიც ტვინის გარდა, ხელები და სხეულის სხვა ნაწილებიც მონაწილეობდა. მოძრაობის თავისუფლება ასევე მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ჩვენ კვლავ გვიხდება სწავლა ძველი ბერძნებისგან, რომლებიც ნათლად ხედავდნენ კავშირს ჯანსაღ სხეულსა და ჯანსაღ გონებას (სულს) შორის. Yმაგრამ, ზემოთ ხსენებული ყველა თვალსაზრისით, გარეგნული, ფიზიკური თავისუფლება საშუალებაა თავისუფალი აზროვნების, მსჯელობისა და არჩეული მიზნების განხორციელების შესაძლებლობათა თავისუფალებისა. ფიზიკური თავისუფლება სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარად გამოვლინდება. მოწიფულობასთან ერთად, ის ბუნებრივად კლებულობს, თუმცა მისი სრული უქონლობა მოწიფულ ასაკშიც კი, ხელს უშლის ადამიანს ისეთი კონტაქტების დამყარებაში, რაც მას ინტელექტური საქმიანობისთვის საჭირო ახალი საშუალებებით უზრუნველყოფს. ამ ტიპის თავისუფალი მოქმედებების, როგორც ზრდის მნიშვნელოვანი საშუალების, რაოდენობა და ხარისხი, ის პრობლემაა რასაც მასწავლებელმა ყურადღება უნდა დაუთმოს განვითარების თითოეულ ეტაპზე.

თუმცა უდიდესი შეცდომა იქნება, თუ ფიზიკურ თავისუფლებას საბოლოო მიზნად მივიჩნევთ. ასეთ შემთხვევაში, დაირღვევა ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის ატმოსფერო და ერთობლივი საქმიანობის ნორმალური, მოწესრიგებული მიმდინარეობა. მეორე მხრივ, ეს თავისუფლებას, რომელიც პოზიტიური უნდა იყოს, ნეგატიურად აქცევს. რამეთუ შეზღუდვისაგან, როგორც ნეგატიური მხარისგან, განთავისუფლება სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფლება ნიშნავს უნარისა და შესაძლებლობათა თავისუფალებას: იქნება ეს მიზნების ჩამოყალიბების თუ გონივრული განსჯის, საკუთარი სურვილების, მათგან გამომდინარე შედეგების შეფასების, ან არჩეული მიზნების სისრულეში

მოყვანის საშუალებათა შერჩევისა და ორგანიზაციის უნარი. ნებისმიერ შემთხვევაში, ბუნებრივი იმპულსები და სურვილები საწყისი, ამოსავალი წერტილია. მაგრამ, არ არსებობს ინტელექტუალური ზრდა მისწრაფებებისა და სურვილების თავდაპირველი ფორმების რეკონსტრუქციის, გადაკეთების გარეშე. ეს გადაკეთება გულისხმობს იმპულსის შეკავებას თავდაპირველ, საწყის მდგომარეობაში. გარედან ძალდატანებითი აკრძალვის ალტერნატივაა ინდივიდის მიერ საკუთარი ფიქრით და განსჯით მიღებული გადაწყვეტილება. პოპულარული ფრაზა „შეჩერდი და დაფიქრდი“ მართლაც, გონივრული ფსიქოლოგიაა, ვინაიდან ფიქრი იმპულსის უცაბედ გამოვლინებას ამუხრუჭებს იქამდე, სანამ არ მოხდება ამ იმპულსის დაკავშირება მოქმედების სხვა შესაძლო ტენდენციებთან და მოქმედების უფრო კომპლექსური და თანმიმდევრული, დალაგებული გეგმის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ფიქრი დაუყოვნებლივი მოქმედების გადადებაა, ვინაიდან იგი ახდენს იმპულსის შინაგან კონტროლს. ამ პროცესში ერთობლივად არის ჩართული დაკვირვება და მეხსიერება, რომელთა კავშირიც, ფაქტობრივ, ფიქრისა და შინაგანი მსჯელობის ბირთვია. ყოველივე ზემოთქმული განმარტავს გაცვეთილი სიტყვის „თვითკონტროლის“ მნიშვნელობას. განათლების იდეალური მიზანი სწორედ თვითკონტროლის უნარის განვითარებაა. მაგრამ გარეშე კონტროლის უბრალო უგულვებელყოფა არ იძლევა თვითკონტროლის წარმოქმნის გარანტიას. ადვილია „ტაფიდან ცეცხლში გადახტომა.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადვილია გარეშე კონტროლის ერთ ფორმას გაექცე მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა, კიდევ უფრო საშიში გარეშე კონტროლის მსხვერპლი გახდე. იმპულსები, სურვილები და განზრახვები, რომლებიც გონივრულად დალაგებული არ არის, შემთხვევითი გარემოებების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება. ერთი ადამიანის კონტროლისგან თავის დაღწევა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფალი იყო და საკუთარი ქცევა კაპრიზებსა და დაუფიქრებელ ახირებებს დაუქვემდებარო, ალბათ დანაკარგი უფროა, ვიდრე სარგებელი. ეს ნიშნავს იმ იმპულსების კარნახით მოქმედებას, რომელთა ფორმირებაში გონივრულ განსჯას მონაწილეობა არ მიუღია. ადამიანს, რომლის მოქმედება ამგვარად იმართება, მხოლოდ თავისუფლების ილუზია აქვს. ფაქტობრივად, მას ის ძალები მართავს, რომლებზეც არავითარი კონტროლი არ გააჩნია.

თავი მეექვსე

მიზნის მნიშვნელობა

როგორც აღვნიშნეთ, ჯანსაღი ინსტინქტია, თავისუფლება გავიგოთ, როგორც მიზნების დასახვისა და ამ მიზნების განხორციელების სისრულეში მოყვანის უნარი. ამგვარი თავისუფლება, თავის მხრივ, თვითკონტროლს უტოლდება. ვინაიდან მიზნების ჩამოყალიბება და მათი აღსრულებისთვის საჭირო საშუალებების ორგანიზაცია, ინტელექტის, აზროვნების საქმეა. პლატონი მონას განსაზღვრავდა, როგორც ადამიანს, რომელიც სხვა ადამიანის მიზნებს აღასრულებს, და

როგორც ახლახან აღვნიშნეთ, მონაა ის ადამიანიც, ვინც საკუთარი ბრმა სურვილების ტყვეობაშია. ჩემი აზრით, პროგრესული განათლების ყველაზე ჯანსაღი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აქცენტს აკეთებს და განსაკურებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა მონაწილეობას იმ მიზნების ფორმირებაში, რომლებიც წარმართავენ მათ საქმიანობას სასწავლო პროცესში. სწორედ ასევე, ტრადიციული განათლების უდიდესი დეფექტი ის იყო, რომ ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას და თანამშრომლობას სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებაში. მაგრამ მიზნებისა და განზრახვების მნიშვნელობა არ არის თავისთავად ისე ცხადი და გასაგები, რომ განმარტებას არ საჭიროებდეს. რაც უფრო იკვეთება მიზნის სასწავლო მნიშვნელობა, მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გაგება, რა იგულისხმება ამ მიზანში, როგორ იბადება და ფუნქციონირებს იგი რეალურ გამოცდილებაში.

ჭეშმარიტი მიზანი მუდამ იმპულსით იწყება. ხოლო დაბრკოლება ამ იმპულსის დაუყოვნებლივ შესრულებისას მას სურვილად გადააქცევს. თუმცა არც იმპულსი და არც სურვილი, თავად არ არის მიზანი. მიზანი საბოლოო სურათია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გულისხმობს იმ შედეგების წინასწარ განჭვრეტას, რომლებსაც ამ მიზნის შესაბამისი მოქმედება გამოიღებს. მოსალოდნელი შედეგების წინასწარ გათვალისწინება კი, თავისთავად, გულისხმობს აზროვნების მონაწილეობას. უწინარეს ყოვლისა, ის საჭიროებს ობიექტური პირობებისა და გარემოებების შესწავლას. ვინაიდან იმპულსები და სურვილები შედეგებს წარმოქმნის არა დამოუკიდებლად, არამედ გარემომცველ პირობებთან ურთიერთქმედების შედეგად. იმპულსი ისეთი მარტივი მოქმედების შესასრულებლადაც კი, როგორიც მაგალითად, ფეხით სიარულია, ხორციელდება მხოლოდ იმ ნიადაგთან აქტიურ კავშირში, რომელსაც მოსიარულე ეყრდნობა. ჩვეულებრივ პირობებში, განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევთ ნიადაგს, რომელზეც ვმოძრაობთ. მაგრამ სახიფათო სიტუაციებში, მაგალითად, ციცაბო მთაზე ასვლისას, რომელზეც ადამიანის კვალიც კი არ სჩანს, იძულებული ვართ გარემომცველი პირობების მიმართ მეტი ყურადღება და სიფრთხილე გამოვიჩინოთ და კარგად დავაკვირდეთ ჩვენს მოქმედებას. დაკვირვების უნარის გამოვლენა, იმპულსის მიზნად გადაქცევის ერთ-ერთი პირობაა სწორედ ისე, როგორც რკინიგზის გადასასვლელის ნიშანთან – ვჩერდებით, აქეთ-იქით ვიხედებით და მატარებლის სიგნალს ვაყურადებთ.

მაგრამ, მხოლოდ დაკვირვება საკმარისი არ არის. უნდა გავიგოთ და გავაცნობიეროთ იმის მნიშვნელობა, რასაც ვხედავთ, გვესმის ან ვეხებით. მნიშვნელობაში შედის იმ შესაძლო შედეგების გაცნობიერებაც, რაც მოცემული სიტუაციის შესაბამისად მოქმედებას მოჰყვება. მაგალითად, ბავშვმა, მოგიზგიზე ცეცხლის დანახვაზე შეიძლება მისი შეხება მოინდომოს. ცეცხლის მნიშვნელობა ამ დროს არა მის ელვარებაშია, არამედ მის ძალაში – დაწვას. დაწვა არის სწორედ ის შედეგი, რასაც მისი შეხება გამოიწვევს. შესაძლო შედეგებში დარწმუნებული მხოლოდ წინა გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ვიყოთ. ისეთ ნაცნობ

სიტუაციაში კი, რაც არაერთხელ გამოგვიცდია წარსულში, არ გვჭირდება საგანგებოდ დავფიქრდეთ და გავიხსენოთ, რა განვიცადეთ ამ გამოცდილების დროს. ჩვენს გონებაში ცეცხლი მომენტალურად ასოცირდება სინათლესთან და სიცხესთან ისე, რომ სულაც არ გვჭირდება სპეციალურად დავფიქრდეთ და გავიხსენოთ წარსულში გამოცდილი სიცხე ან დამწვრობა. მაგრამ უცნობ სიტუაციაში ადვილად ვერ ვიტყვით, როგორი შეიძლება იყოს ზუსტი შედეგი, თუ გონებაში არ აღვიდგენთ და გავაანალიზებთ წარსულის გამოცდილებას. ასე შევძლებთ გავარკვიოთ, რა იყო მათში აწმყო გამოცდილების მსგავსი და დაახლოებით როგორ შედეგს შეიძლება მოველოდეთ აწმყო გამოცდილებისგან.

მიზნების ფორმირება უაღრესად კომპლექსური ინტელექტური ოპერაციაა. ის შემდეგ საფეხურებს მოიცავს: (1) გარემომცველ პირობებზე დაკვირვება და შესწავლა; (2) მსგავს სიტუაციაში წარსულში მომხდარის ცოდნა, რომელიც ნაწილობრივ მიღებულია წარსულის გახსენებით, ნაწილობრივ კი იმ ადამიანების ინფორმაციით, რჩევით ან გაფრთხილებით, ვისაც უფრო ფართო გამოცდილება აქვს; (3) მსჯელობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დაკვირვებისა და წარსულის გახსენების შედეგად მიღებულ ცოდნას, იმის გასარკვევად, რას აღნიშნავენ ისინი. მიზანი განსხვავდება თავდაპირველი იმპულსისა და სურვილისგან იმით, რომ ის გარდაისახება მოქმედების გეგმად და მეთოდად, რომელიც დაფუძნებულია მოსალოდნელი შედეგების წინასწარ გათვალისწინებაზე. მაგრამ მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. სურვილი, შესაძლოა, ძალიან ძლიერი იყოს, იმდენად ძლიერიც, რომ ადამიანმა გვერდი აუაროს მოსალოდნელი შედეგების წინასწარ შეფასებას. ამგვარი შემთხვევები, განათლების კუთხით სანიმუშო მოდელი ვერ არის გადამწყვეტი აღმზრდელობითი პრობლემა სურვილით ნაკარნახევი, დაუყოვნებლივი, იმპულსური მოქმედების გადადება მანამ, სანამ პროცესში დაკვირვება და მსჯელობა არ ჩაერევა. თუ არ ვცდები, ეს საკითხი ზუსტად რელევანტური უნდა იყოს პროგრესული სკოლებისთვის. მიზანმიმართული გონიერი მოქმედების ნაცვლად, გადაჭარბებული აქცენტი პიროვნებათა უბრალო აქტივობაზე, სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების გაიგივება იმპულსებისა და სურვილების დაუფიქრებელ შესრულებასთან, იმპულსური მოქმედებების თავისუფლებასთან. ამგვარი გაიგივება ხდება მაშინ, როდესაც იმპულსი მიზანში ერევათ. თუმცა როგორც უკვე ვთქვით, არ არსებობს მიზანი, თუკი ის ეფუძნება უცაბედ გადაწყვეტილებას. არ არსებობს მიზანი, თუ მას წინ არ უსწრებს მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტა და გათვალისწინება, რაც დაკვირვების, ინფორმაციისა და მსჯელობის გარეშე შეუძლებელია. უბრალო განჭვრეტა, თუნდაც მას ზუსტი წინასწარმეტყველების ფორმა ჰქონდეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ინტელექტუალური მოლოდინი, შედეგების იდეა, სურვილთან და იმპულსთან ერთობლიობაში იძენს მამოძრავებელ ძალას. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს იდეა მიმართულებას იმას, რაც სხვაგვარად გაურკვეველი, ბუნდოვანი იქნებოდა, ხოლო იდეას ბიძგსა და სტიმულს სურვილი აძლევს. მაშინ იდეა მოქმედების გეგმად იქცევა. მაგალითად, ადამიანს სურვილი აქვს სა-

კუთარი სახლი ააშენოს. რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს ეს სურვილი, იგი დაუყოვნებლივ ვერ განხორციელდება. ამ ადამიანმა ჯერ უნდა ჩამოაყალიბოს იდეა, თუ როგორი სახლი სურს, როგორი უნდა იყოს ოთახების რაოდენობა, მათი განლაგება და ა. შ. მან უნდა ააგოს პროექტი, დახაზოს გეგმა, ჩამოაყალიბოს სპეციფიკური დეტალები. ყოველივე ეს ფუჭი და უსარგებლო საქმიანობა იქნება, თუ დაგეგმვის დროს ასევე მხედველობაში არ მიიღებს თავის მატერიალურ რესურსებს. მან უნდა გაითვალისწინოს მშენებლობის გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა მის ხელთ არსებული ფინანსები, კრედიტის მოძიების შესაძლებლობები და ა. შ. ასევე დაათვალიეროს თავისუფალი სამოსახლო ადგილები, გაიგოს მათი ფასი, ნახოს რამდენად ახლოსაა ისინი მის სამსახურთან, სკოლასთან და სხვ. ყოველივე ეს – გადახდისუნარიანობა, ოჯახის წევრთა რაოდენობა და მოთხოვნილებები, შესაძლო მდებარეობა და სხვ. ობიექტური ფაქტებია და არ არის პირვანდელი სურვილის ნაწილი. მაგრამ მათი შემოწმება და შესწავლა აუცილებელია, რათა სურვილი მიზნად იქცეს, ხოლო მიზანი – მოქმედების გეგმად.

სურვილები ყველა ჩვენგანს აქვს, ყოველ შემთხვევაში, ყველას, ვინც აპათიაში არ არის. ეს სურვილები მოქმედების უდიდესი მამოძრავებელი წყაროა. პროფესიონალ ბიზნესმენს სურს წარმატებას კარიერაში მიაღწიოს; გენერალს სურს ბრძოლა მოიგოს; მშობელს სურს ჰქონდეს კომფორტული სახლი თავისი ოჯახისთვის, განათლება მისცეს შვილებს, და ასე დაუსრულებლად. სურვილის ინტენსივობა განსაზღვრავს მოქმედების ინტენსივობას: რაც უფრო ძლიერია სურვილი, მით უფრო ძლიერია მის მისაღწევად გამოვლენილი ძალისხმევა. მაგრამ სურვილები ჰაერში აგებულ ცარიელ კოშკებს დაემსგავსება, თუ ისინი არ გარდაიქმნა იმ საშუალებებად, რომელთა მეშვეობითაც მათი რეალიზაცია მოხდება. დაგეგმილი, წარმოსახვითი მიზნის ადგილს ამ ეტაპზე იკავებს საშუალებების საკითხი, რომელთა შესწავლა და გაგება აუცილებელია ჭეშმარიტი მიზნის მისაღწევად.

ტრადიციული განათლება იგნორირებას უკეთებდა პიროვნულ იმპულსებს და სურვილს, როგორც მიზნისკენ სწრაფვის მამოძრავებელ ძალას. მაგრამ ეს არ არის მიზეზი იმისა, რომ პროგრესულმა განათლებამ იმპულსი და სურვილი მიზანთან გააიგივოს და შესაბამისად, უკანა პლანზე გადასწიოს დაკვირვების, ინფორმაციის, მსჯელობის აუცილებლობა, თუკი მას სურს რომ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ მათი მამოძრავებელი მიზნების ჩამოყალიბებაში. აღზრდა-განათლების საქმეში, სურვილისა და იმპულსის არსებობა საბოლოო მიზანი არ არის. ის მხოლოდ პირობა და მოთხოვნაა მოქმედების გეგმისა და მეთოდების ფორმირებისთვის. ამგვარი გეგმის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ პირობების შესწავლით და ყველა საჭირო რელევანტური ინფორმაციის მოპოვებით.

მასწავლებლის საქმეა ნახოს, არის თუ არა მოცემული შემთხვევა სასარგებლო. ვინაიდან მოსწავლეთა თავისუფლება მდგომარეობს გონიერ დაკვირვებასა და მსჯელობაში, რისი მეშვეობითაც მიზნის განვითარება ხდება, მასწავლებლის მიერ ნაჩვენები გეზი, რომელიც მოსწავლეთა აზროვნების უნარის გამოვლენის-

კენაა მიმართული, თავისუფლების ხელშეწყობაა და არა გარეშე ძალის მიერ განხორციელებულ შეზღუდვა. ხანდახან მასწავლებლებს ეშინიათ კიდეც, შესთავაზონ ჯგუფის წევრებს რჩევები და წინადადებები. ისეთი შემთხვევების შესახებაც მსმენია, როდესაც ათასნაირი სასწავლო ნივთითა და მასალებით გარშემორტყმული ბავშვები საკლასო ოთახში სხედან თავის ნებაზე მიშვებულნი, მასწავლებელს კი მათთვის იმის ახსნაც არ სურს, რა შეიძლება გაკეთდეს ამ მასალისგან, რადგან შიშობს, ეს ბავშვების თავისუფლების შეზღუდვად არ ჩაეთვალოს. მაშინ საერთოდ რა აზრი აქვს მოსწავლეთათვის ისეთი მასალების მიწოდებას, რომელთა გამოყენება სპეციალური რჩევების გარეშე არ შეუძლიათ? მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ იდეა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებმა უნდა იმოქმედონ კლასში, ნებისმიერ შემთხვევაში საიდანღაც უნდა წამოვიდეს. გაუგებარია, რატომ არ უნდა ჩაითვალოს იმ ადამიანის შეთავაზება, რომელსაც უფრო მდიდარი გამოცდილება და ფართო ჰორიზონტი აქვს, იმ იდეაზე უფრო მნიშვნელოვნად მაინც, რომელიც სხვა, მეტ-ნაკლებად შემთხვევითი წყაროდან მოდის.

რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეუძლია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და მოსწავლეთა საქმიანობის წარმართვა ისეთი მიმართულებით, რომელიც მის საკუთარ მიზანს უფრო ემსახურება, ვიდრე მოსწავლეებისას. მაგრამ ამ პროცესებიდან უფროსების სრული გამორიცხვა თავის დაღწევის გზა ნამდვილად არ არის. ეფექტურია უპირველეს ყოვლისა ის, რომ მასწავლებელი კარგად იცნობდეს იმ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მოთხოვნილებებსა და წარსულ გამოცდილებას, რომლებსაც ასწავლის, და მეორე, მან ხელსაყრელი პირობა უნდა შექმნას იმისთვის, რომ შეთავაზებები და იდეები გეგმად და პროექტად გარდაიქმნას სხვა, ახალი იდეების მეშვეობით, რომელთა ჩამოყალიბება და ორგანიზება ჯგუფის წევრების მიერ ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გეგმა თანამშრომლური ინიციატივაა და არა კარნახი. მასწავლებლის წინადადება არ არის ნიმუში, წინასწარ „ყალიბში ჩამოსხმული“ შედეგის მისაღებად, არამედ საწყისი პუნქტია, რომლის განვითარებასა და გეგმის სახით ჩამოყალიბებაში წვლილი უნდა შეიტანოს ყველა იმ ადამიანის გამოცდილებამ, ვინც კი სასწავლო პროცესშია ჩაბმული. ეს განვითარება მიიღწევა აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად, პრინციპის „გაეცი-და-მიიღე“ საფუძველზე, სადაც მასწავლებელი მიმღებია, მაგრამ ამასთან არ ეშინია, თავადაც გასცეს. ძირითადი მომენტია ის, რომ მიზანი იზრდება და საბოლოო სახეს იძენს სოციალური აზროვნების გამოვლენის პროცესში.

თავი მეშვიდე

განათლების შინაარსის პროგრესული ორგანიზაცია

ჩვენ არაერთხელ მოვიხსენიეთ გამოცდილებასთან დაკავშირებული ობიექტური პირობები და ვისაუბრეთ იმ ფუნქციაზე, რომელსაც ისინი შემდგომი გამოცდილების უფრო გამდიდრებულ ზრდაში ასრულებენ, ან ვერ ასრულებენ.

დაკვირვების, მეხსიერების, სხვებისგან მიღებული ინფორმაციის, წარმოსახვისა და სხვა ობიექტურ პირობებზე საუბრისას ნაგულისხმევი იყო მათი კავშირი სასწავლო საგნისა და სწავლების შინაარსთან, თუმცა შინაარსზე აქამდე კონკრეტულად არაფერი თქმულა. ამ საკითხზე ახლა ვისაუბრებთ. როდესაც განათლებას გამოცდილების კუთხით განვიხილავთ, ნათლად იკვეთება ერთი მოსაზრება: ნებისმიერი რამ, რასაც სასწავლო საგანი შეიძლება ვუწოდოთ, იქნება ეს არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია თუ რომელიმე საბუნებისმეტყველო საგანი, იმ მასალისგან უნდა იყოს ნაწარმოები, რომელიც დასაწყისში ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გამოცდილების ნაწილი იყო. ამ კუთხით, ახალი განათლება მკვეთრად უპირისპირდება იმ მეთოდებს, რომლებიც მოსწავლეთა გამოცდილების ფარგლებს მიღმა არსებულ ფაქტებსა და სინამდვილეს ეფუძნება და აქედან გამომდინარე, პრობლემა მათი გამოცდილებასთან შეთანხმების გზებისა და საშუალებების მოძიებაა. დაწყებითი განათლების ახალი მეთოდების წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ის, რომ ეს მეთოდები სწორედ საწინააღმდეგო პრინციპის საფუძველზე მოქმედებენ.

მაგრამ გამოცდილებასთან შეთანხმებული სასწავლო მასალის მოძიება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მომდევნო ნაბიჯი არის უკვე გამოცდილის პროგრესული განვითარება, ანუ მისთვის უფრო სრული, მდიდარი და ორგანიზებული ფორმის მინიჭება, რომელიც თანდათანობით უახლოვდება შინაარსის მიწოდების ფორმას უკვე კვალიფიციური, ჩამოყალიბებული პიროვნებისათვის. ის, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელება განათლებისა და გამოცდილების ორგანული ურთიერთკავშირიდან გადახვევის გარეშეც შესაძლებელია, კარგად ჩანს იქიდან, რომ ეს ცვლილება ხდება სკოლის გარეთ და ფორმალური განათლებისგან შორს. მაგალითად, ჩვილი ბავშვი განვითარებას იწყებს იმ საგნებით, რომელთა რაოდენობა ძალზე შეზღუდულია დროსა და სივრცეში. გამოცდილების დაგროვების პარალელურად ეს გარემო განუწყვეტლივ ფართოვდება, რაც ბუნებრივად ხდება, სასკოლო ინსტრუქციების დახმარების გარეშე. როდესაც ბავშვი სწავლობს საგანთა შეხებას, ცოცვას, სიარულსა და ლაპარაკს, მისი გამოცდილებისთვის ჩვეული შინაარსი ფართოვდება და ღრმავდება. ის ურთიერთობას ამყარებს ახალ საგნებთან და მოვლენებთან, რომლებიც მასში ახალი უნარების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ამ უნარების გამოვლენა კი, თავის მხრივ, ამდიდრებს და უფრო დახვეწილს ხდის გამოცდილების შინაარსს. სასიცოცხლო სივრცე და დრო ფართოვდება. მისი გარემო, გამოცდილების სამყარო, ასევე გამუდმებით ფართოვდება და მდიდრდება. როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი ამ პერიოდის დასრულების შემდეგ ბავშვს ხვდება, ვალდებულია მოძებნოს გზები, რათა უკვე შეგნებულად და წინასწარ განზრახულად გააკეთოს იგივე, რაც წინა წლებში „ბუნებამ“ ასე სრულყოფილად შეასრულა.

ალბათ არ არის აუცილებელი ზედმეტად შევჩერდეთ ზემოთ ხსენებული ორი პირობიდან პირველზე. განათლების ახალი სკოლის ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ სწავლება უნდა დაიწყოს იმ გამოცდილების ფარგლებში, რაც მოსწავლეებს

უკვე აქვთ. ეს გამოცდილება და ამ გამოცდილების პროცესში განვითარებული შესაძლებლობები შემდგომი სწავლისთვის საწყისი პუნქტის, ათვლის სათავეა. რაც შეეხება მეორე პირობას, რომელიც მოიცავს შინაარსის გაფართოებისა და ორგანიზაციის ეტაპობრივ განვითარებას გამოცდილების გაზრდის გზით, არ ეთმობა ასეთივე ყურადღება. თუმცა სასწავლო გამოცდილების განგრძობითობის პრინციპი მოითხოვს, რომ განათლების პრობლემის ამ ასპექტს თანაბარი ყურადღება დაეთმოს. უდავოა, რომ პრობლემის ეს ფაზა უფრო რთულია, ვიდრე პირველი. მათთვის, ვისაც საქმე აქვს სკოლამდელ და საბავშვო ბაღის ბავშვებთან, ზოგადად, ადრეული ასაკის გოგონებთან და ბიჭებთან, ძნელი არ არის წარსული გამოცდილების დიაპაზონის განსაზღვრა და იმ სასწავლო აქტივობების განსაზღვრა, რომლებიც კავშირშია ამ გამოცდილებასთან. უფრო მოზრდილ ბავშვებთან პრობლემის ორივე ფაქტორი გაცილებით დიდ სირთულეებს უქმნის პედაგოგს. ამ შემთხვევაში უფრო ძნელია ამ ადამიანების გამოცდილების ისტორიის დადგენა, კიდევ უფრო ძნელია იმის მიგნება, როგორ შეიძლება ამ გამოცდილების შინაარსის წარმართვა უფრო ფართო და კარგად ორგანიზებული სფეროებისკენ.

შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ გამოცდილების ახლისკენ და განსხვავებულისკენ წარმართვის პრინციპის ადეკვატურად დასაკმაყოფილებლად, უბრალოდ, საკმარისია მოსწავლეებს ახალი გამოცდილება შევძინოთ, თუ არ დავრწმუნდებით, რომ მათ უკვე ნაცნობ საგნებთან და მოვლენებთან ურთიერთობის უფრო მეტი უნარი აქვთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალი საგნები და მოვლენები ინტელექტურად იყოს დაკავშირებული უწინდელ გამოცდილებებში მონაწილე საგნებთან და მოვლენებთან. ეს კი ნიშნავს, რომ გონებაში მოხდება პროგრესი ფაქტებისა და იდეების დაკავშირების თვალსაზრისით. ამგვარად, პედაგოგის ფუნქციაა არსებული გამოცდილების ფარგლებში შეარჩიოს ისეთი საგნები და მოვლენები, რომლებსაც აქვთ პოტენცია და პერსპექტივა, წამოჭრან ახალი პრობლემები, რომლებიც სტიმულს მისცემენ დაკვირვებისა და მსჯელობის ახალ გზებს და ამით გააფართოებენ მომდევნო გამოცდილების არეალს. იმას, რასაც მოსწავლეებმა მიაღწიეს, მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს არა როგორც უცვლელ მონაპოვარს, არამედ საშუალებას და დამხმარე ფაქტორს იმ ახალი სფეროების გასაშლელად, რომლებიც დაკვირვებისა და მეხსიერების გონიერი გამოყენების უნარს ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენებს. ზრდის პროცესში მსგავსი ურთიერთდაკავშირების პრინციპი მასწავლებლის მუდმივი სახელმძღვანელო იდეა უნდა იყოს.

პედაგოგი, სხვა ნებისნიერი პროფესიის წარმომადგენელზე მეტად, ვალდებულია შორეული მომავალი განჭვრიტოს. ექიმი თავის საქმეს შესრულებულად მიიჩნევს, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება. უდავოდ, ის ვალდებულია, ურჩიოს პაციენტს, როგორ იცხოვროს, რათა მომავალში მსგავსი პრობლემები თავიდან აიცილოს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცხოვრების წარმართვა მისი საკუთარი საქმეა, და არა ექიმისა. მაგრამ ამ სიტუაციაში ჩვენთვის განსაკურებით მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი: როდესაც ექიმი

სამომავლო რჩევასა და ინსტრუქციას აძლევს პაციენტს, იგი ამ დროს სწორედ მასწავლებლის როლში გვევლინება. ადვოკატი, თავისი კლიენტის ინტერესების დაცვისას, ზრუნავს იმაზე, რომ მოიგოს სასამართლო პროცესი თავისი კლიენტის სასარგებლოდ ან ეს უკანასკნელი იმ რთული მდგომარეობიდან გამოიყვანოს, რომელშიც თავისით აღმოჩნდა. თუ ეს ურთიერთობა კონკრეტული საქმის ფარგლებს გასცდება, მაშინ ადვოკატიც მასწავლებელი ხდება. რაც შეეხება პედაგოგს, ის თავად მისი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარეა ვალდებული აწმყოში შესრულებული საქმე დაინახოს იმ კუთხით, რა შედეგს გამოიღებს ან სულაც უშედეგო იქნება მომავალში, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული აწმყოსთან.

აქაც პროგრესული პედაგოგი ბევრად უფრო რთული პრობლემის წინაშე დგას, ვიდრე ტრადიციული სკოლის მასწავლებელი. ამ უკანასკნელს, მართლაც, უხდებოდა წინ, მომავალში გახედვა. მაგრამ, თუ საკუთარი პიროვნება და ენთუზიაზმი არ აიძულებდა ტრადიციული სკოლის ზღუდეებს გასცილებოდა, მისი სამომავლო ხედვა შემოიფარგლებოდა მოსწავლეთა მომდევნო საგამოცდო პერიოდით, ან მომდევნო კლასში გადაყვანით. იგი მომავალს განიხილავდა სასკოლო სისტემის მოთხოვნებით გათვალისწინებული ტრადიციული ფაქტორების თვალსაზრისით. იმ მასწავლებლის წინაშე კი, რომელიც განათლებასა და რეალურ გამოცდილებას ერთმანეთთან კავშირში განიხილავს, გაცილებით სერიოზული და რთული ამოცანა დგას. ის კარგად უნდა იცნობდეს ყველა იმ პოტენციურ შესაძლებლობას, რითაც მოსწავლეებს გაუძღვება იმ ახალი სფეროებისკენ, რომლებიც უკვე არსებულ გამოცდილებას ეკუთვნის და ეს ცოდნა უნდა გამოიყენოს იმ პირობების შერჩევისა და ორგანიზაციის კრიტერიუმად, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა აწმყო გამოცდილებაზე.

რადგან ტრადიციულ სკოლაში სწავლების შინაარსი შერჩეული და ორგანიზებული იყო უფროსების მოსაზრებათა მიხედვით იმის თაობაზე, რა იქნებოდა ახალგაზრდებისთვის სასარგებლო მომავალში, სასწავლო მასალაც არ იყო მოქცეული მოსწავლის აწმყო გამოცდილების ფარგლებში. შესაბამისად, ის წარსულს ეხებოდა. მას ისეთივე შინაარსი ჰქონდა, როგორიც სასარგებლო იყო, მაგალითად, წინა საუკუნეების ადამიანებისთვის. მეორე უკიდურესობის თანახმად კი (რომელიც ისეთივე წარუმატებელი იყო, როგორც, ალბათ, ბუნებრივი იმ გარემოებებში) გონივრული იდეა იმის თაობაზე, რომ განათლებამ თავისი მასალა აწმყო გამოცდილებიდან უნდა აიღოს და მოსწავლეს აწმყოსა და მომავლის პრობლემებთან გამკლავების საშუალება მისცეს, ხშირად გარდაიქმნებოდა მოსაზრებად, რომ პროგრესულ სკოლებს შეუძლიათ იგნორირება გაუკეთონ წარსულს. შესაძლებელი რომ იყოს აწმყოს განცალკევება წარსულისგან, ეს დასკვნა, შესაძლოა სარწმუნოც ყოფილიყო. მაგრამ წარსულის მიღწევები ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი საშუალებაა აწმყოს გასაგებად. სწორედ ისე, როგორც ცალკეულ პიროვნებას უხდება მეხსიერებაში საკუთარი წარსულის მოშველიება იმ სიტუაციის უკეთ გასაგებად, რაშიც ის აღმოჩნდება ხოლმე, აწმყო სოციალური ცხოვრების საკითხებიცა და პრობლემებიც იმდენად უშუალო და მჭიდრო კავშირშია

წარსულთან, რომ შეუძლებელია მოსწავლეები მოვამზადოთ ამ პრობლემების ან მათი გადაჭრის საუკეთესო გზების გაგებისათვის წარსულში მათი ფესვების მოძიების გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კეთილგონივრული პრინციპი, რომლის თანახმად სწავლის მიზნები მომავალშია, მისი უშუალო მასალა კი – აწმყო გამოცდილებაში, შეიძლება განხორციელდეს რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია აწმყო გამოცდილების „გაჭიმვა“ უკან, წარსულისკენ. იგი მომავლისკენ გაფართოებას შეძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ასევე გაფართოვდება წარსულისკენ, იმგვარად, რომ წარსულიც მოიცვას.

დრო რომ ამის საშუალებას გვაძლევდეს, იმ პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების განხილვა, რომლის წინაშეც დღევანდელი თაობები მომავალში აღმოჩნდება, ამ ზოგად განცხადებას უფრო კონკრეტულსა და ნათელს გახდიდა. მოვლენათა ჭეშმარიტ ბუნებას ვერ შევიცნობთ, თუკი არ ვიცით, საიდან იღებენ ისინი სათავეს. აწმყოში არსებული ინსტიტუტები და ტრადიციები, რომლებიც წარმოქმნიან თანამედროვე საზოგადოებრივ ნაკლოვანებებსა და მოშლილობას, ერთ დღეში არ აღმოცენებულა. მათ ხანგრძლივი ისტორია აქვთ. თუ ვეცდებით, ეს საკითხები მხოლოდ იმ მონაცემთა საფუძველზე განვიხილოთ, რაც ნათელია აწმყოში, აუცილებლად გამოიწვევს ზედაპირული ზომების მიღებას: ეს საბოლოოდ მხოლოდ გაამწვავებს არსებულ პრობლემებს და გაართულებს მათ გადაწყვეტას. პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ აწმყოს ცოდნას ეყრდნობა და მოწყვეტილია წარსულისგან, არის დაუფიქრებელი, დაუდევარი ინდივიდუალური ქცევის ანალოგია. იმ საგანმანათლებლო სისტემებისთვის, რომლებისთვისაც წარსული მიზანი იყო, გამოსავალია საშუალებად აწმყოს გასაგებ წარსულის დანახვა. სანამ ეს პრობლემა ბოლომდე არ შემუშავდება, საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი იდეებისა და პრაქტიკის თაობაზე შეხლა-შემოხლა გაგრძელდება. ერთ მხარეს იქნებიან რეაქციული ძალები, რომლებიც დაიწყებენ მტკიცებას, რომ განათლების უმთავრესი თუ არა, რიგითი საქმე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გადაცემაა. მეორე მხარეს კი ისინი, რომლებიც გამოაცხადებენ, რომ საჭიროა წარსულის იგნორირება და მხოლოდ აწმყოსა და მომავალთან ურთიერთობა.

ამჟამად პროგრესული სკოლების ყველაზე სუსტი მხარე ინტელექტური შინაარსის შერჩევა და ორგანიზაციაა, რაც ჩემი აზრით, გარდაუვალია ასეთ პირობებში. ეს იმდენადვე გარდაუვალია, რამდენადაც მართალი და დროული იმ საკითხში, რომ აუცილებელია იმ წინასწარ მომზადებული, ტრაფარეტული მასალისგან გათავისუფლება, რომელიც ძველი განათლების ძირითადი პროდუქტი იყო. გარდა ამისა, გამოცდილების სფერო ძლიან ფართოა და იცვლება თავისი შინაარსით, ადგილისა და დროის მიხედვით. ყველა პროგრესული სკოლისთვის საერთო სასწავლო კურსისა და პროგრამის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ეს რეალურ გამოცდილებასთან კავშირის ფუნდამენტური პრინციპის დარღვევა იქნებოდა. გარდა ამისა, პროგრესული სკოლები ახალია. მათი განვითარების ისტორია ერთ თაობაზე მეტს არ მოიცავს. აქედან გამომდინარე, სასწავლო შინაარსის შერჩევასა და ორგანიზაციაში გარკვეული უზუსტობა და გაურკვევლობა მოსა-

ლოდნელიც იყო. ეს არ არის საკმარისი საფუძველი პრინციპული კრიტიკისა და პრეტენზიებისთვის.

თუმცა სამართლიანი კრიტიკის საფუძველი ნამდვილად არსებობს მაშინ, როდესაც პროგრესული განათლების სახელით მიმდინარე მოძრაობა არ აღიარებს, რომ სწავლების შინაარსის შერჩევა და ორგანიზაცია ფუნდამენტური, გადამწყვეტი ფაქტორია. იმპროვიზაცია, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება, ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესს, რათა ის არ იყოს სტერეოტიპული და უსიცოცხლო. მაგრამ ძირითადი სასწავლო მასალის ნაჩქარევად და ზერელედ შერჩევა დაუშვებელია. ისეთი შემთხვევები, რომლებიც არ არის და არც შეიძლება იყოს წინასწარ გათვალისწინებული, ინტელექტური თავისუფლების პირობებში აუცილებლად წარმოიშობა. ამგვარი შემთხვევები ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავებაა მათი გამოყენების მიზნებს შორის ანუ გააჩნია, საკლასო საქმიანობის უწყვეტი ხაზის განვითარების მიზნით ვიყენებთ მათ, თუ ვეყრდნობით, როგორც ძირითად სასწავლო მასალას.

თუ მოცემულ გამოცდილებას მანამდე უცნობ სფეროსთან არ მივყავართ, პრობლემები არ წარმოიქმნება. პრობლემები კი აუცილებელია, რადგან სწორედ ისინი აძლევენ სტიმულს ფიქრს. ის, რომ აწმყო გამოცდილებასთან დაკავშირებული პირობები გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც პრობლემების წყარო, გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების ტრადიციული განათლებისგან განმასხვავებელი მახასიათებელია. რადგან ტრადიციულ სკოლაში პრობლემები ბუნებრივად არ ჩნდებოდა. ხოლო ზრდა დამოკიდებულია სიძნელეთა გადალახვაზე პრობლემურ სიტუაციაში, აზროვნების გამოვლენის გზით. კიდევ ერთხელ ვიტყვი – პედაგოგის პასუხისმგებლობაში შედის – თანაბარი ყურადღება მიაქციოს ორ საკითხს: 1. პრობლემა უნდა გამომდინარეობდეს აწმყოში განფენილი გამოცდილების პირობებიდან და მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში იყოს; 2. პრობლემამ მოსწავლეს ინფორმაციის ძიებისა და ახალი იდეების შემოტანის სტიმული უნდა მისცეს. ამგვარად მიღებული ახალი ფაქტები და იდეები საფუძველი ხდება შემდგომი გამოცდილებებისა, რომლებშიც, თავის მხრივ, ახალი პრობლემებია მოცემული. ეს უწყვეტი სპირალური პროცესია. აწმყოსა და წარსულის გარდაუვალი კავშირი ის პრინციპია, რომელსაც არა მარტო ისტორიის საგანი იყენებს. მაგალითად, ავიღოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების სახე მნიშვნელოვანწილად ფიზიკის მეცნიერების გამოყენების შედეგია. ქალაქსა თუ სოფელში მცხოვრები თითოეული ბავშვის გამოცდილების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის მოწყობილობები, რომლებიც ელექტროენერგიის, სითბოსა და სხვადასხვა ქიმიური პროცესების ხარჯზე მუშაობენ. ბავშვი გარკვეული ქიმიური და ფიზიკური პრინციპების შესაბამისად მომზადებულ საკვებს მიირთმევს. ის ვერც ხელოვნურ სინათლეზე წაიკითხავს, ვერც ავტომობილით ან მატარებლით იმგზავრებს იმ ოპერაციებთან და პროცესებთან უშუალო კონტაქტის გარეშე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მეცნიერებასთან.

საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პრინციპი ჯანსაღი იქნება, თუ მოსწავლეებს მეცნიერულ საგნებს ისე ვასწავლით, მეცნიერულ ფაქტებსა და კანონებს ისე მივაწოდებთ, რომ გავაცნობთ მათ გამოყენებას ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მეთოდით ხელმძღვანელობა არა მარტო ყველაზე პირდაპირი გზაა თავად მეცნიერების გაგებისაკენ, არამედ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გააზრების უტყუარი საშუალებაც, ვინაიდან ისინი ფართო მოხმარების საგნებისა და სერვისების წარმოებასა და დისტრიბუციაში არის მეცნიერების გამოყენების პროდუქტი, ხოლო ეს პროცესები ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მაშინ აბსურდია იმის მტკიცება, რომ ლაბორატორიებსა და კვლევით ინსტიტუტებში შესწავლილი პროცესები არ არის ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილების ნაწილი და აქედან გამომდინარე, არ მოიაზრება გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების ფარგლებში. უსიტყვოდაც ნათელია, რომ მოზარდი ვერ ისწავლის მეცნიერულ ფაქტებსა და პრინციპებს ისევე, როგორც მოწიფული, ჩამოყალიბებული ექსპერტი. ეს პედაგოგს არამც თუ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან – გამოიყენოს აწმყო გამოცდილება იმგვარად რომ ფაქტებისა და კანონების შესწავლით მოსწავლეები თანდათანობით მიუახლოვოს სუფთა მეცნიერულ გამოცდილებას, არამედ პირიქით – ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის წინაშე აყენებს.

ვინაიდან, თუ სიმართლეა რომ არსებული გამოცდილება როგორც დეტალურად, ისე ფართო მასშტაბით, საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესში, აგრეთვე ადამიანების სოციალურ ურთიერთობებში მეცნიერების გამოყენების პროდუქტია, მაშინ შეუძლებელია სოციალური ძალების გაგება (რომელთა გარეშე მათი დაუფლება და წარმართვა შეუძლებელია) იმ განათლებისგან მოწყვეტით, რასაც მოსწავლეები იმ ფაქტებისა და პრინციპების ცოდნისკენ მიჰყავს, რომლებიც, თავიანთი საბოლოო ორგანიზაციით, მეცნიერებებს ქმნიან. იმ პრინციპის მნიშვნელობა, რომ მოსწავლეები მეცნიერულ ცოდნამდე უნდა მივიდნენ, არ სრულდება იმით, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია მიმდინარე სოციალური საკითხების გაგება. მეცნიერების მეთოდები ასევე გვიჩვენებს იმ ღონისძიებებისა და პოლიტიკისაკენ მიმავალ გზას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია უკეთესი სოციალური წყობის ჩამოყალიბება. მეცნიერების გამოყენებით თანამედროვე სოციალური პირობების მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოქმნისას არ ამოიწურება მისი გამოყენების პოტენციური დიაპაზონი. ვინაიდან ამ დრომდე მეცნიერება გამოიყენებოდა მეტ-ნაკლებად უსისტემოდ და ისეთი მიზნების გავლენით, როგორიცაა პირადი სარგებელი და ძალაუფლება, რომლებიც წინა მეცნიერული ხანის ინსტიტუტების მემკვიდრეობაა.

სხვადასხვა წყაროს მეშვეობით თითქმის ყოველდღე გვეუბნებიან, რომ ადამიანისთვის შეუძლებელია სხვა ადამიანებთან ერთობლივი ცხოვრება გონივრულად წარმართოს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ, ერთი მხრივ, ადამიანთა საშინაო თუ საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურობა, და მეორე მხრივ

ის, რომ ადამიანები მეტწილად ემოციებითა და ჩვევებით მართული ქმნილებები არიან, შეუძლებელს ხდის გონივრულ ფართომასშტაბიან სოციალურ დაგეგმვასა და მართვას. ეს თვალსაზრისი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, ნებისმიერი სისტემატური ძალისხმევა, დაწყებითი განათლებიდან დაწყებული, სწავლის მომდევნო საფეხურებით გაგრძელებული, ოდესმე მიმართული რომ ყოფილიყო იქითკენ, რომ განათლებაში უზენაესი როლი მინიჭებოდა აზროვნების მეთოდს, რომლის მაგალითია მეცნიერება. ეს კი უზენაესია განათლებისთვის. ჩვევის ბუნებაში არაფერია ისეთი, რაც ხელს შეუშლის აზროვნების მეთოდის ჩვევად ჩამოყალიბებას და არც ემოციის ბუნებაშია ამ მეთოდის ინტენსიური გამოყენების ხელისშემშლელი რამ. მეცნიერების მაგალითი აქ მოყვანილია იმის საილუსტრაციოდ, როგორია აწმყო გამოცდილების შინაარსის პროგრესული შერჩევა მისი ორგანიზაციის მიზნით: ორგანიზაციისა, რომელიც თავისუფალია და არავითარ შემთხვევაში გარედან თავს მოხვეული, რადგან იგი შესაბამისობაშია თავად გამოცდილების ზრდასთან. აწმყო გამოცდილების შინაარსის გამოყენება მეცნიერების შესწავლის მიზნით, ალბათ საუკეთესო მაგალითია იმ ძირითადი პრინციპისა, რომელიც უკავშირდება არსებული გამოცდილების გამოყენებას მოსწავლეთა იმ გარემომცველი სამყაროსკენ გაძღოლის საშუალებად, რომელიც უფრო ფართო, უფრო დახვეწილი და უკეთ ორგანიზებულია, ვიდრე იმ გამოცდილებაში მოცემული სამყარო, საიდანაც საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ზრდა იღებს სათავეს. ლანსელოტ ჰოგბენის[4] წიგნი „მათემატიკა მილიონებისთვის“ გვიჩვენებს, როგორ შეუძლია მათემატიკას, თუკი მას ჩავთვლით ცივილიზაციის სარკედ და კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად, ისევე შეუწყოს ხელი სასურველი მიზნის შესრულებას, როგორც ფიზიკას და მის მომიჯნავე მეცნიერებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ძირითადი მამოძრავებელი იდეა ცოდნის პროგრესული ორგანიზაციაა. სწორედ ცოდნის ორგანიზაციასთან დაკავშირებით არის ჩვენ მიერ ნახსენები „ან-ან“ ფილოსოფია ყველაზე აქტიური. პრაქტიკაში და თეორიულ საუბრებშიც კი, ხშირად მიიჩნევენ, რომ ვინაიდან ტრადიციული განათლება ცოდნის ორგანიზაციის ისეთ ცნებას ეყრდნობოდა, რომელიც თითქმის არაფრად აგდებდა ცოცხალ, აწმყო გამოცდილებას, შესაბამისად, ცოცხალ გამოცდილებაზე დაფუძნებულმა განათლებამაც იგნორირება უნდა გაუკეთოს ფაქტებისა და იდეების ყოველგვარ ორგანიზაციას.

როდესაც ცოტა ხნის წინ ამ ორგანიზაციას იდეალი ვუწოდე, ნეგატიურ მხარეში ვგულისხმობდი, რომ შეუძლებელია პედაგოგს ხელთ ჰქონდეს წინასწარ ორგანიზებული ცოდნა, რომელსაც იგი დოზებად გასცემს სწავლის პროცესში. მაგრამ, როგორც იდეალი, ფაქტებისა და იდეების ორგანიზაციის აქტიური პროცესი აწმყოს კვალდაკვალ მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესია. გამოცდილებას ვერ ექნება საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი დანიშნულება, თუ იგი მიმართული არ არის უფრო მეტი ფაქტების ცოდნის, უფრო მეტი იდეების წარმოშობისა და ამ ფაქტებისა და უკეთესი, უფრო მოწესრიგებული ორგანიზაციისკენ. ის, რომ ორგანიზაცია გამოცდილებისთვის სრულიად უცხო პრინციპია, მართალი

არ არის. ეს რომ ასე იყოს, გამოცდილება დამაბნეველი და ქაოსური იქნებოდა. ბავშვების გამოცდილება ძირითადად ადამიანებზე, ოჯახის წევრებზეა კონცენტრირებული. თანამედროვე ფსიქიატრიამ უკვე კარგად იცის, რომ ნორმალური ოჯახური ურთიერთობების მოშლა შემდგომში ბავშვის გონებრივი და ემოციური პრობლემების გამომწვევი სერიოზული მიზეზი ხდება. ეს ფაქტი მეტყველებს ამ ტიპის ორგანიზაციის რეალურობაზე. დაწყებით კლასებსა და საბავშვო ბაღში პირველდაწყებითი განათლების ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა ის, რომ იგი ცდილობს გამოცდილების ორგანიზაციას შეუნარჩუნოს სოციალური და ადამიანური ცენტრი, სიმძიმის ცენტრის უწინდებურად, ძალით გადაადგილების ნაცვლად. მაგრამ განათლების ერთ-ერთი უცვლელი პრობლემა, მუსიკის მსგავსად, მოდულაციაა. განათლების შემთხვევაში, მოდულაცია ნიშნავს სოციალური და ადამიანური ცენტრიდან ორგანიზაციის უფრო ობიექტურ ინტელექტუალურ სქემაზე გადასვლას, აგრეთვე იმის გათვალისწინებასაც, რომ ინტელექტუალური ორგანიზაცია არის არა მიზანი, არამედ საშუალება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სოციალური ურთიერთობებისა და ადამიანური კავშირების უკეთ გაგება და მათი უფრო გონივრული ორგანიზაცია.

როდესაც განათლება თავისი თეორიითა და პრაქტიკით ეფუძნება გამოცდილებას, უსიტყვოდ ნათელია, რომ უფროსი ადამიანისა და სპეციალისტისთვის განკუთვნილი, ორგანიზებული შინაარსი ვერ იქნება ამოსავალი წერტილი. თუმცა იგი ის მიზანია, რომლისკენაც განათლება განუწყვეტლივ უნდა მიემართებოდეს. ვფიქრობ, იმის მტკიცება, რომ ცოდნის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპია, აუცილებელი არ არის. მეცნიერის მიერ ამ პრინციპის გაგება და ფორმულირება მკვეთრად განსხვავდება ბავშვის გამოცდილებაში არსებულისაგან. მაგრამ მასთან კავშირი და მისი მნიშვნელობის გაგება მცირეწლოვანი ბავშვის გამოცდილებისთვისაც კი არ არის უცხო. როდესაც ორი-სამი წლის ბავშვი სწავლობს, რომ ცეცხლს ზედმეტად არ უნდა მიუახლოვდეს, ამასთანავე, საკმაოდ ახლოს მიდის გასათბობად, იგი იყენებს კაზუალურ, მიზეზობრივ კავშირს. გონიერი მოქმედება შესაბამისობაშია მიზეზობრივი კავშირის მოთხოვნებთან და ეს მოქმედება გონივრულია იმდენად, რამდენადაც არა მხოლოდ ემორჩილება ამ მოთხოვნებს, არამედ შეგნებულად არის დამახსოვრებული.

გამოცდილების ადრეულ ფორმებში, მიზეზობრივი კავშირი მოცემულია არა აბსტრაქტულად, არამედ მიღწეულ შედეგებთან გამოყენებული საშუალებების კავშირის სახით, საშუალებებისა და შედეგების ურთიერთქმედებისა და ურთიერთკავშირის ფორმით. აზროვნების, გონივრული განსჯისა და გაგების უნარის ზრდა ძირითადად გულისხმობს მიზნების ჩამოყალიბებისა და მათი რეალიზაციისათვის საჭირო საშუალებების შერჩევისა და ორგანიზაციის უნარის ზრდას. მცირეწლოვანთა ყველაზე ადრეული, ელემენტარული გამოცდილებები სავსეა მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით. ისეთი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მოვლენებიც კი, როგორიცაა სადილის მომზადება ან განათების საშუალებე-

ბის გამოყენება, ამ კავშირის მაგალითებია. განათლების პრობლემა იმ სიტუაციების არარსებობა კი არ არის, სადაც მიზეზობრივი კავშირი მიზნებისა და საშუალებების ურთიერთკავშირში ჩანს. განათლების წინაშე მდგარი გადაუჭრელი პრობლემაა ამ სიტუაციების ეფექტურად გამოყენება – გამოყენება იმგვარად, რომ მოსწავლეს მოცემული გამოცდილების შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირების დადგენა შეეძლოს. იმ ოპერაციებს, რომელთა მეშვეობით ხდება საშუალებების შერჩევა და ორგანიზება მიზანთან მიმართებაში, ლოგიკოსები „ანალიზსა და სინთეზს“ უწოდებენ.

ეს პრინციპი განსაზღვრავს სასკოლო აქტივობათა გამოყენების ძირითად საფუძველს. არაფერია საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი თვალსაზრისით უფრო მეტად აბსურდული, ვიდრე მოწოდება მრავალფეროვანი სასკოლო აქტივობებისა და საქმიანობებისკენ მაშინ, როცა ინფორმაციისა და იდეების პროგრესული ორგანიზაციის საჭიროების მნიშვნელობა შემცირებულია. შეგნებული, მიზანმიმართული საქმიანობა განსხვავდება უმიზნო საქმიანობისგან იმით, რომ იგი გულისხმობს საშუალებების შერჩევას – ანალიზს – გარემომცველი მრავალფეროვანი პირობებიდან და მათ ორგანიზაციას – სინთეზს – განზრახული შედეგის ან მიზნის მისაღწევად. ნათელია, რომ რაც უფრო მოუმწიფებელი და ჩამოუყალიბებელია მოსწავლე, მით უფრო მარტივი უნდა იყოს მიზნები და ელემენტარული – გამოყენებული საშუალებები. მაგრამ საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპი, რომელიც გულისხმობს შედეგისა და საშუალებების ურთიერთკავშირის აღქმას, მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაშიც კი მოქმედებს. სხვაგვარად, საქმიანობა კარგავს საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დანიშნულებას და უსარგებლო ხდება, ვინაიდან ბრმად მოქმედებაა. მოწიფულობასთან ერთად, საშუალებათა ურთიერთკავშირის პრობლემა უფრო აქტუალური ხდება. მიზეზ-შედეგობრიობის იდეა უფრო მკაფიო და ექსპლიციტური ხდება იმის მიხედვით, რა დონეზე მიმდინარეობს დაკვირვების გადატანა მიზნებისა და საშუალებების ურთიერთკავშირიდან უფრო კომპლექსურ საკითხზე – საშუალებების ერთმანეთთან კავშირზე. სკოლაში სახელოსნოებისა და სამზარეულო ოთახების არსებობა საბოლოოდ გამართლებულია არა იმიტომ რომ მოსწავლეებს უბრალოდ საქმიანობის საშუალებას აძლევენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ქმნიან ისეთი საქმიანობისა და ისეთი ტექნიკური უნარ-ჩვევების ათვისების შესაძლებლობას, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მიზნებისა და საშუალებების ურთიერთკავშირზე დაკვირვება, შემდეგ კი განხილვა იმისა, როგორ ურთიერთქმედებენ მოვლენები ერთმანეთთან კონკრეტული შედეგის მისაღწევად. პრინციპში, ისინი ამ შემთხვევაში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ლაბორატორიები მეცნიერული კვლევების დროს.

თუ ინტელექტური ორგანიზაციის საკითხი ვერ შემუშავდება გამოცდილების საფუძველზე, ცხადია, აღინიშნება რეაქცია გარედან დაძალებული ორგანიზაციის მეთოდების წინააღმდეგ. ამ რეაქციის ნიშნები უკვე შეიმჩნევა. ხშირად გვეუბნებიან, რომ სკოლები, ახალიც და ძველიც, ვერ ასრულებენ თავიანთ უმ-

თავრეს დანიშნულებას. როგორც ამბობენ, ისინი ვერ ავითარებენ კრიტიკული აზროვნების, მსჯელობისა და არგუმენტაციის უნარს. ბავშვებს ფიქრის უნარი არა აქვთ. სხვადასხვა ტიპის გადაუმუშავებელი ინფორმაციის დაგროვების შედეგად და იმის გამო, რომ მათ უნარ-ჩვევების ისეთი ფორმების პირდაპირ, ავტომატურ ათვისებას აიძულებენ, რომლებიც სასარგებლო იქნება ბიზნესისა და კომერციის სამყაროში. გვეუბნებიან, რომ ეს ნაკლოვანებები განპირობებულია წარსულის გამოცდილი კულტურული მემკვიდრეობის ხარჯზე, თანამედროვე მოთხოვნების ზრდითა და მეცნიერების გავლენით. ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, რომ მეცნიერებასა და მეცნიერულ მეთოდს ნაკლები მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს, რომ დროა დავუბრუნდეთ არისტოტელესა[5] და თომა აქვინელის[6] ლოგიკაში ჩამოყალიბებულ, ადრეულ ფუნდამენტურ პრინციპებს, რათა ახალგაზრდებს თავიანთ ინტელექტურ და მორალურ ცხოვრებაში ჭეშმარიტი საყრდენი ჰქონდეთ და ყველა უსაფუძვლო და წარმავალი იდეის გავლენის ქვეშ არ მოექცნენ.

მეცნიერების მეთოდი რომ ოდესმე თანმიმდევრულად და შეთანხმებულად ყოფილიყო გამოყენებული ყოველდღიურ სასკოლო მუშაობაში, ყველა საგნის სწავლებისას, მართლაც, მოხიბლული ვიქნებოდი ამ ემოციური მოწოდებებით. საბოლოოდ ვხედავ ორ ალტერნატივას, რომელთა შორისაც განათლებამ არჩევანი უნდა გააკეთოს, თუ სურს, რომ მისი კურსი არ იყოს უმიზნო და უმისამართო. ერთ-ერთი მათგანი გამოიხატება პედაგოგთა წაქეზებაში, დაუბრუნდნენ იმ ინტელექტურ მეთოდებსა და იდეალებს, რომლებიც მეცნიერული მეთოდის განვითარებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე წარმოიშვა. ეს მიდგომა, შესაძლოა, დროებით წარმატებულიც გამოდგეს, განსაკუთრებით იმ პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ემოციურად, ინტელექტურად, ეკონომიკურად და ზოგადად, არასაიმედო მდგომარეობა. ასეთ პირობებში განსაკუთრებით აქტიურია სურვილი – დაეყრდნო ტრადიციულ, უცვლელ ავტორიტეტს. თუმცა ეს პოზიცია იმდენად შორსაა იმისგან, რასაც თანამედროვე ცხოვრების ყველა პირობა მოიცავს, რომ, ვფიქრობ, სისულელეა, ხსნა ამ მიმართულებით ვეძებოთ. მეორე ალტერნატივაა მეცნიერული მეთოდის სისტემატური გამოყენება, რაც გულისხმობს გამოცდილების პოტენციური შესაძლებლობების გონივრულ შესწავლასა და გამოყენებას.

ეს პრობლემა განსაკუთრებული ძალით ეხმაურება პროგრესულ სკოლებს. თუ მუდმივი ყურადღება არ დაეთმობა გამოცდილებათა ინტელექტური შინაარის განვითარებას, ფაქტებისა და იდეების მუდმივად მზარდ ორგანიზაციას, ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს საწინააღმდეგო რეაქცია – გააძლიეროს ინტელექტურ და მორალურ ავტორიტარიზმში დაბრუნების ტენდენცია. ამჟამად მეცნიერული მეთოდის გამოკვლევის არც დროა და არც ადგილი, მაგრამ მისი გარკვეული თვისებები იმდენად მჭიდრო კავშირშია გამოცდილებაზე დაფუძნებულ, სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო სისტემასთან, რომ აუცილებლად მიმაჩნია მათი აღნიშვნა.

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერების ექსპერიმენტული მეთოდი, სხვა ნებისმიერ მეთოდთან შედარებით, მეტ მნიშვნელობას ანიჭებს იდეებს. მეცნიერული გაგებით, ექსპერიმენტი არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედებას მართავს რომელიმე წამყვანი იდეა. ის, რომ გამოყენებული იდეები მხოლოდ ჰიპოთეზებია და არა საბოლოო ჭეშმარიტებანი, არის მიზეზი, რის გამოც იდეებს უფრო გულმოდგინედ უფრთხილდებიან და გამოცდიან მეცნიერებაში, ვიდრე სხვა ნებისმიერ სფეროში. იმ მომენტიდან კი, როდესაც იდეების ჭეშმარიტებას აღიარებენ, ქრება ყოველგვარი მიზეზი მათი სკრუპულოზური შესწავლისა. იდეებს აღიარებენ უცვლელ ჭეშმარიტებად და საკითხიც დასრულებულია. მაგრამ, როგორც ჰიპოთეზებს, მათ განმეორებით ცდიან და ამოწმებენ. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა მათი ზუსტი ფორმულირებისთვის.

მეორე მხრივ, იდეებისა და ჰიპოთეზების გამოცდა შეიძლება იმ შედეგების მიხედვით, რომლებსაც ისინი იძლევიან მათზე მოქმედების შედეგად. ეს ნიშნავს, რომ მოქმედების შედეგები საგულდაგულოდ, სკრუპულოზურად უნდა იქნეს შესწავლილი. ისეთი საქმიანობით, რომელიც არ მოწმდება მისგან გამომდინარე შედეგებზე დაკვირვებით, შეიძლება მხოლოდ დროებითი სიამოვნება მიიღო. მაგრამ ინტელექტურად არაფრის მომცემი არ არის. ის არც ცოდნას იძლევა იმ სიტუაციების შესახებ, რომლებშიც მოქმედება ხდება და არც იდეების გარკვევისა და გავრცობისკენ მივყავართ.

გარდა ამისა, ექსპერიმენტულ მეთოდში წარმოდგენილი აზროვნების მეთოდი მოითხოვს იდეებზე, საქმიანობასა და დაფიქსირებულ შედეგებზე დაკვირვებას. ეს საკითხი ხელახლა უნდა გადაიხედოს და შეჯამდეს, რაც გულისხმობს განვითარებადი გამოცდილების მნიშვნელოვანი თვისებების დიფერენციაციასაც და საბოლოო ანგარიშსაც. ფიქრი ნიშნავს იმის ხელახლა გადახედვას, რაც გაკეთდა, იმ წმინდა, საბოლოო დასკვნითი მნიშვნელობების მისაღებად, რომლებიც მომდევნო გამოცდილებებთან ეფექტური ურთიერთობის ძირითადი კაპიტალია. ეს არის ინტელექტური ორგანიზაციისა და დისციპლინებული გონების არსი.

იძულებული ვიყავი ზოგადად, ხშირ შემთხვევაში აბსტრაქტულ ენაზე მესაუბრა. მაგრამ ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, ორგანულადაა დაკავშირებული იმ მოთხოვნასთან, რომ გამოცდილებას საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ღირებულება ჰქონდეს, მოსწავლეს მიუძღვოდეს შინაარის თანმიმდევრულად გაფართოებული სამყაროსკენ, ეს იქნება ფაქტების, ინფორმაციისა და იდეების შინაარსი. ეს პირობა დაკმაყოფილებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი ხედავს სწავლებისა და სწავლის პროცესს, როგორც გამოცდილების რეკონსტრუქციის უწყვეტ პროცესს. ამ პირობის დაკმაყოფილება შესაძლებელია, თუ პედაგოგი იხედება წინ, შორეულ მომავალში და თითოეულ აწმყო გამოცდილებას აღიქვამს, როგორც მამოძრავებელ ძალას, რომელიც მომავალი გამოცდილებების ბუნებას განაპირობებს. კარგად მესმის, რომ ის აქცენტი, რომელიც მეცნიერულ მეთოდზე გავაკეთე, შესაძლოა შეცდომაში შემყვანიც იყოს, რადგან იგი მხოლოდ და მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის იმ სპეციალურ ტექნიკას

გვახსენებს, რომელსაც პროფესიონალები იყენებენ. მაგრამ მეცნიერულ მეთოდზე აქცენტს არაფერი აქვს საერთო სპეციალიზებულ ტექნიკასთან. ეს ნიშნავს, რომ მეცნიერული მეთოდი ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი უტყუარი საშუალებაა გარემომცველი სამყაროს ყოველდღიურ გამოცდილებათა მნიშვნელობის შესაცნობად. ეს ნიშნავს, რომ მეცნიერული მეთოდი გვთავაზობს სამუშაო მოდელს, როგორ და რა პირობებში უნდა მოხდეს გამოცდილებების გამოყენება შემდგომი წინსვლისა და ზრდის მიზნით. ამ მეთოდის მორგება და ადაპტაცია იმ პიროვნებებთან, რომლებიც მომწიფების სხვადასხვა ეტაპზე არიან, პედაგოგისთვის სერიოზული პრობლემაა, ხოლო ამ პრობლემის მუდმივი ფაქტორებია იდეების ფორმირება, იდეების შესაბამისად მოქმედება, შედეგებზე დაკვირვება და ფაქტებისა და იდეების ორგანიზაცია მათი სამომავლოდ გამოყენების მიზნით. იდეები, საქმიანობა, დაკვირვებები და ორგანიზაცია არ შეიძლება ერთნაირი იყოს ექვსი წლის ბავშვისთვისა და თორმეტი ან თვრამეტი წლის ახალგაზრდისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ზრდასრულ მეცნიერზე. მაგრამ, ნებისმიერ დონეზე ხდება გამოცდილების მზარდი განვითარება, თუ ეს გამოცდილება თავისი შედეგით საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი დანიშნულებისაა. შესაბამისად, როგორიც არ უნდა იყოს გამოცდილების დონე, არ გვაქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ან ვიმოქმედოთ იმ მოდელის შესაბამისად, რასაც ის გვთავაზობს, ან უგულებელვყოთ აზროვნების როლი ცოცხალი და მამოძრავებელი გამოცდილების განვითარებასა და კონტროლში.

თავი მერვე

გამოცდილება – განათლების საშუალება და მიზანი

ყველაფერში, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ბუნებრივად, თავისთავად ცხადად წარმოვაჩინე იმ პრინციპის გონივრულობა, რომლის მიხედვითაც განათლება, იმისათვის, რომ მიაღწიოს თავის მიზნებს როგორც ინდივიდუალური შემსწავლელისთვის, ისე მთლიანად, საზოგადოებისთვის, უნდა დაეფუძნოს გამოცდილებას, რომელიც მუდამ რომელიმე პიროვნების რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებაა. მე არც ამ პრინციპის მიღების მოწოდებით გამოვსულვარ და არც მისი გამართლება მიცდია. განათლების სფეროში მოღვაწე კონსერვატორებიც და რადიკალებიც უკიდურესად უკმაყოფილონი არიან არსებული საგანმანათლებლო სიტუაციით. საგანმანათლებლო სფეროს ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული სკოლის წარმომადგენლები, სულ ცოტა, ამ საკითხში მაინც ეთანხმებიან ერთმანეთს. განათლების სისტემამ გეზი უნდა აიღოს ორიდან ერთი მიმართულებით: უკან – წინარე მეცნიერული ხანის ინტელექტური და მორალური სტანდარტებისკენ ან წინ – მზარდი გამოცდილების შესაძლებლობათა განვითარებაში მეცნიერული მეთოდის კიდევ უფრო ფართო გამოყენებისკენ. მე მხოლოდ ვეცადე, წარმომედგინა ზოგიერთი პირობა, რომლებიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ განათლება ზემოაღნიშნული ორი ალტერნატივიდან მეორე კურსს აირჩევს.

იმდენად ღრმად ვარ დარწმუნებული განათლების დიდ პოტენციალში, რომ, როდესაც ის გაგებულია, როგორც ჩვეულებრივი გამოცდილების შესაძლებლობების გონივრულად წარმართული განვითარება, აუცილებლობად არ მიმაჩნია არც მეორე კურსის გაკრიტიკება და არც გამოცდილების კურსის სასარგებლო არგუმენტების წამოყენება. ერთადერთი, რაც საფუძველს მაძლევს ვიფიქრო ახალი კურსის შესაძლო წარუმატებლობაზე, არის იმის საშიშროება, რომ გამოცდილება და ექსპერიმენტული მეთოდი, შესაძლოა, არ იქნეს ადეკვატურად გაგებული. დედამიწის ზურგზე არ არსებობს უფრო რთული დისციპლინა, ვიდრე გამოცდილების დისციპლინა, რომელიც პასუხისმგებელია გონივრულ განვითარებასა და მართვაზე. აქედან გამომდინარე, ახალი განათლების სტანდარტების, მიზნებისა და მეთოდების საწინააღმდეგო, თუნდაც დროებითი რეაქციის ერთადერთი საფუძველი იმ პედაგოგთა წარუმატებლობაა, რომლებიც მხოლოდ მოჩვენებითად მიიღებენ მათ და ერთგულად არ გამოიყენებენ პრაქტიკაში. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, ახალი განათლების გზა, არათუ უბრალოდ არ არის ძველ გზაზე ადვილი, არამედ, პირიქით, გაცილებით რთული და დაძაბულია. ეს ასე იქნება, სანამ იგი უმრავლესობას არ მოიცავს, ამის მიღწევას კი მისი მიმდევრების მხრიდან სერიოზული თანამშრომლური საქმიანობის მრავალი წელი დასჭირდება. უდიდესი საფრთხე, რაც თან ახლავს ახალი განათლების მომავალს, არის იდეა, თითქოს ის ადვილი გზაა, იმდენად ადვილი, რომ შესაძლებელია მისი კურსის იმპროვიზაცია, ექსპრომტად თუ არა, დღიდან დღემდე ან კვირიდან კვირამდე მაინც. სწორედ ამ მიზეზის გამოა, რომ მისი პრინციპების ქება-დიდების ნაცვლად, შემოვიფარგლე მხოლოდ გარკვეული პირობების ჩვენებით, რომელთა აღსრულება აუცილებელია, თუ გვსურს, რომ ახალმა განათლებამ მიაღწიოს წარმატებას, რასაც ისსამართლიანად იმსახურებს.

განათლებაზე საუბრისას ხშირად ვახსენებდი სიტყვებს „პროგრესული“ და „ახალი“. თუმცა არ მინდა საუბრის დასასრულს არ გამოვხატო ჩემი მტკიცე შეხედულება იმის თაობაზე, რომ ფუნდამენტური საკითხია არა ახალი განათლება ძველის წინააღმდეგ ან პროგრესული განათლების ტრადიციულისადმი დაპირისპირება, არამედ როგორი უნდა იყოს ის, რაც ღირსეულად იმსახურებს სახელს – განათლება. ვიმედოვნებ და მწამს, რომელიმე მიზნის ან მეთოდის მიმართ ჩემი კეთილგანწყობის მიზეზი მხოლოდ ის არ არის, რომ მათ შეიძლება სახელად პროგრესული ეწოდოს. ძირითადი საკითხი ეხება თავად განათლების ბუნებას, მისთვის ყოველგვარი მახასიათებელი ზედსართავი სახელის წამძღვარების გარეშე. ის, რაც ჩვენ გვსურს და გვჭირდება, არის წმინდა, მარტივი განათლება და უფრო დამაჯერებლად და სწრაფად მივაღწევთ პროგრესს, როდესაც საკუთარ თავს მივუძღვნით იმის ძიებას, რა არის განათლება და რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ განათლება რეალობა იყოს და არა ცარიელი სახელი ან ლოზუნგი. სწორედ ეს გახლავთ ის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ხაზი გავუსვი გამოცდილების ჯანსაღი ფილოსოფიის შექმნის აუცილებლობას.

1 კლავდიუს პტოლემე (97-165) – ალექსანდრიელი ასტრონომი, გეოგრაფი და მათემატიკოსი, მზის სისტემის გეოცენტრული მოდელის შემქმნელი.

2 ნიკოლოზ კოპერნიკი (1473-1543) – პრუსიელი ასტრონომი. მზის სისტემის ჰელიოცენტრული მოდელის შემქმნელი.

3 ალფრედ ლორდ ტენისონი (Alfred, Lord Tennyson) (1809-1892) – ინგლისელი პოეტი, ციტატა მოყვანილია ლექსიდან „ულისე“.

4 ლანსელოტ ჰოგბენი (1895-1975) – ინგლისელი ზოოლოგი და გენეტიკოსი.

5 არისტოტელე (384-322) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი.

6 თომა აქვინელი (1225-1274) – შუა საუკუნეების ფილოსოფოსი და თეოლოგი.

მარკ ბლოკი

1886-1944

შესავალი

მარკ ბლოკი/Marc Bloch „ანალების“ ისტორიოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ცნობილი წარმომადგენელი იყო. იგი ანტიკური კულტურის პროფესორის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა პარიზის უმაღლესი სკოლა (1908). შემდეგ ლაიფციგსა და ბერლინში მიიღო განათლება გეოგრაფიასა და ისტორიაში (1908-1909). 1912 წლიდან ასწავლიდა მონპელიესა და ამიენში. მისი აკადემიური მოღვაწეობა იძულებით შეწყდა 1914 წელს, როდესაც ის პირველ მსოფლიო ომში გაიწვიეს. ომიდან ოფიცრის წოდებით და საბრძოლო დამსხურებისთვის მიღებული ჯილდოებით დაბრუნდა. 1919 წელს სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. 1929 წელს მან თავის კოლეგა, ასევე ცნობილ ფრანგ ისტორიკოს ლუსიენ ფევრთან (1878-1956) ერთად დაარსა ჟურნალი „ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ანალები“ (Annales d’histoire économique et sociale). 1936 წელს ბლოკი სორბონის უნვერსიტეტის ეკონომიკის ისტორიის პროფესორი გახდა. მალევე ისევ მოუწია უკვე მორე მსოფლიო ომში (1939-1945) წასვლა. საფრანგეთის ოკუპაციის და ნაცისტური რეჟიმის პირობებში მისთვის, როგორც ებრაელისთვის, ჩვეული აკადემიური საქმიანობა საშიში იყო. ის წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი გახდა. 1944 წელს ბლოკი გერმანელებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ და მერე მსოფლიო ომით დაღდასმული „შავბნელი დროების“ პირობებში ბლოკი ახერხებდა მრავალმხრივ და ნაყოფიერ მუშაობას ევროპული ფეოდალიზმის, შუა საუკუნეებში აგრარული ურთიერთობების, მედიევალური კულტურის, ასევე ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე. მაგალითად, საყოველთაოდ არის ცნობილი მისი ნაშრომი შუა საუკუნეებში გავრცელებულ რწმენაზე, რომლის თანახმად „მეფის შეხებას“ შეეძლო განეკურნა კანის დაავადებები. ბლოკმა ამ კონკრეტული რწმენის მაგალითზე აღმოაჩინა კავშირები მეფის საკრალური ბუნების შესახებ წარმოდგენებსა და მონარქიულ იდეოლოგიას შორის.

1941-42 წლებში ბლოკი იატაკქვეშეთში მუშაობდა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომზე „ისტორიის აპოლოგია“, რომელიც ბოლომდე ვერ დაასრულა. ტექსტი ავტორის სიკვდილის შემდეგ 1949 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ ის ისტორიკოსთა მრავალი თაობისთვის სახელმძღვანელო წიგნად იქცა.

ისტორიის აპოლოგიაში ავტორი მთელ რიგ, დარგისთვის ძირეულ და განმსაზღვრელ პრობლემებს ეხება და ცდილობს პასუხი გასცეს მთავარ კითხვებს, რა არის ისტორია, თავშესაქცევი საქმიანობა თუ რეალური და ლეგიტიმური სამეც-

ნიერო დისციპლინა თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამეცნიერო ენით, თეორიული მიდგომებით და მეთოდოლოგიით.

ბლოკი მიმოიხილავს მიზეზებს, თუ რატომ ეკავა მის დროს ისტორიას ადამიანის შესახებ მეცნიერებების „ყველაზე მიყრუებულ კუთხეში“ ადგილი. ეს იყო პერიოდი, როდესაც „საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით მონუსხული სამყარო“ სამეცნიერო დარგის ვალიდურობის ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად მის პრაქტიკულ სარგებლიანობას მიიჩნევდა.

ამ ფონზე რამდენად საჭირო და პრაქტიკულია ისტორია? ზოგადად, რამდენად მართებულია მეცნიერების ღირებულების მხოლოდ პრაქტიკული გამოსადეგარობით გაზომვა? ბლოკის აზრით, ასე მხოლოდ კაბინეტში მოკალათებული ადამიანები ფიქრობენ, რომლებსაც არაფერი გაეგებათ, რას ნიშნავს „სახელოსნოში“ მუშაობა. ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიის უმცირესი დეტალები კი სწორედ სახელოსნოში უნდა მუშავდებოდეს და იხვეწებოდეს.

ასეთი სახელოსნო გახდა სწორედ ჟურნალი „ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ანალები“, რომელსაც საზოგადოდ „ანალების“ სახელით მოიხსენიებენ. შესაბამისად, ჟურნალის გარშემო შემოკრებილ საკმაოდ ჭრელ აკადემიურ საზოგადოებასაც „ანალების სკოლის“ ქვეშ აერთიანებენ.

ანალების სკოლის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში მისმა დამაარსებლებმა, მარკ ბლოკმა და ლუსიენ ფევრმა, საფუძველი გამოაცალეს ტრადიციულ პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიას, რომლის ჩამოყალიბება გერმანელი ისტორიკოსის ლეოპოლდ ფონ რანკეს (1795-1886) სახელთან არის დაკავშირებული. ის უმთავრესად „თხრობითი ისტორია“ იყო. მისი მიმდევრები შესწავლის ღირსად, ძირითადად, პოლიტიკას, დიპლომატიურ ურთიერთობებს, ომებს და მსგავს თემატიკას თვლიდნენ. ისტორიული კვლევის სხვა მიმართულებები, მაგალითად, ხელოვნების ისტორია, „ჭეშმარიტი“ ისტორიის პერიფერიულ „ქვედარგებად“ განიხილებოდა. გარდა ამისა, ამ ე.წ. „ზემოდან დანახული“ ისტორიის არეალში ძირითადად, მეფეები, სახელმწიფო მოხელეები, გენერლები, საეკლესიო მოღვაწეები და საზოგადოების სხვა მაღალი ფენების წარმომადგენლები ფიგურირებდნენ. ეს იყო ერუდიტების გაუთავებელი კვლევა-ძიება და წარსულში ქექვა ერთმანეთთან დაუკავშირებელი მშრალი ფაქტებისთვის თავის მოყრის მიზნით.

ანალების სკოლის მასშტაბური და ფუნდამენტური ნოვაციები შეეხო ისტორიის მეცნიერების ყველა ძირეულ ასპექტს მათ შორის დარგის არეალის, მიზნების, მეთოდების და წყაროებს გააზრებას. „რანკეანული“ ისტორიოგრაფიის საპირისპიროდ, ანალების სკოლის ხედვა ანთროპოლოგიურ მიდგომას ემყარებოდა. ბლოკის აზრით, ისტორიკოსის მოვალეობა უნდა იყოს წარსულის ცოცხალი ადამიანის ყოფის მრავალმხრივი და კომპლექსური, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ასპექტების რეკონსტრუირება ინსტიტუციების, პერიოდიზაციის სქემების და მშრალი დოკუმენტების მიღმა. ამის გარეშე ისტორიკოსი ერუდიიციის „შავი მუშაა“, რომელმაც არ აქვს სიცოცხლის აღქმის უნარი და მხოლოდ წვრილმანების ცოდნით შეიძლება იტრაბახოს.

ამიტომაც ბლოკი „ისტორიის აპოლოგიას“ იწყებს მიძღვნით ლუსიენ ფევრისადმი, სადაც აღნიშნავს, რომ ისინი ერთად იბრძოდნენ, რათა ისტორია უფრო ჰუმანური და ფართო ყოფილიყო. რეალურად, ეს სიტყვები წარსულისადმი ჰოლისტურ მიდგომას გამოხატავს. ადამიანი არ შეიძლება დანაწევრდეს, რადგან ის ერთი მთლიანობაა. ასევე არ უნდა დანაწილდეს წარსულის კვლევა ცალკე პოლიტიკის, ეკონომიკის თუ რელიგიის ისტორიებად ისე, რომ არ იყოს დანახული მათი კავშირი სხვა ფენომენებთან, სტრუქტურებთან და მოვლენებთან. შესაბამისად, ისტორიკოსები მივიდნენ „ტოტალური ისტორიის“ გაგებამდე, რომელიც არ არის გლობალური და ყოვლისმომცველი ისტორია. პირიქით, ეს არის კონკრეტული მოვლენის, მოკლე ქრონოლიგიური მონაკვეთის თუ ლოკალური მასშტაბის კონტექსტში დანახული ადამიანების ისტორია გაანალიზებული, რაც შეიძლება მრავალი – სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული პერსპექტივებიდან. ისტორიის საკვლევი ობიექტიც წარსულის ადამიანის და საზოგადოების ცოცხალი, მრავალფეროვანი და კომპლექსური სამყაროა. შედეგად, ისტორიკოსის ინტერესების სფეროში შედიოდა არა მარტო პოლიტიკური პროცესები, არამედ აქამდე ისტორიის არმქონედ მიჩნეული ფენომენები. მაგალითად, დროისა და სივრცის აღქმა, ყოველდღიურობა, ბავშვობა, ქალურობა, სიკვდილი, სიგიჟე, სხეული, სუნი, სისუფთავე და სიბინძურე და მრავალი სხვა ისეთი პრობლემატიკა, რომელიც უბრალოდ პოზიტივისტი ისტორიკოსის თვალსაწიერის მიღმა იყო. შეიცვალა პერსპექტივაც, აქტუალური გახდა „ჩვეულებრივი ხალხის“ თვალით, ანუ „ქვემოდან დანახული“ ისტორია.

ტოტალური ისტორიის კონტექსტში ბლოკისა და ფევრისთვის ერთ-ერთი ძირითადი სამუშაო კატეგორია იყო „მენტალობის“ ცნება. მენტალობაში იგულისხმება კონკრეტულ ეტაპზე ამა თუ იმ საზოგადოების მსოფლაღქმა, სამყაროს სტრუქტურირების და რეპრეზენტაციის სპეციფიკური ფორმები. საუბარია არა მკაფიო თეორიულ რეფლექსიაზე, არამედ გაუცნობიერებელ, გამჯდარ შეხედულებებზე, რომლებიც ვლინდება მიღებულ სიმბოლოებში, მეტაფორებში, რიტუალებში და ა.შ.

მენტალობის დასახასიათებლად, აღსაწერად და გასაანალიზებლად, მრავალფეროვანი წყაროები და კვლევითი მეთოდების მდიდარი რეპერტუარია საჭირო.

ტრადიციული ისტორიოგრაფია წერილობით დოკუმენტებს ეყრდნობოდა. ისტორიკოსის მთავარი ველი სახელმწიფო არქივები იყო და მისი კვლევაც ოფიციალურ ჩანაწერებს ეფუძნებოდა. შესაბამისად, სხვა ტიპის წყაროების იგნორირება ხდებოდა. ანალების სკოლამ შეცვალა წყაროების გაგება. ისტორიკოსის ინტერესის არეალში შევიდა ყველაფერი, რასაც ადამიანის ხელი ატყვია – წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, სტატისტიკური და კიდევ მრავალი სახის მონაცემები. გარდა ამისა, შეიცვალა მიდგომა საკუთრივ წერილობითი წყაროების მიმართ. აქამდე მხოლოდ პირდაპირ ინფორმაციას ეძებდნენ. ტრადიციული წყაროთმცოდნეობთი ანალიზი მიზნად ისახავდა დოკუმენტის კრიტიკულ შესწავლას, მისი სანდოობის დადგენას, მასში ასახული პირ-

დაპირ ცნობების ანალიზს. ანალების სკოლის ისტორიკოსებმა დაიწყეს ფიქრი და მუშაობა არაპირდაპირი ინფორმაციის გამოვლენაზე. მთავარია, თავისთავად მუნჯ წყაროს სწორად დავუსვათ შეკითხვები და ავალაპარაკოთ, ჩავერთოთ მასთან დიალოგში. ეს გაუადვილებს ისტორიკოსს გამოკვეთოს ახალი და საინტერესო შესასწავლი საკითხები.

ახალი ისტორიკოსების ინტერესი ადამიანის აქტივობის ყველა სფეროს მიმართ უბიძგებს მათ, ითანამშრომლონ ანთროპოლოგებთან, ფსიქოლოგებთან, გეოგრაფებთან, ეკონომისტებთან, ლიტერატურის კრიტიკოსებთან, სოციოლოგებთან და სხვა სფეროების წარმომადგენლებთან.

ვინაიდან ბლოკთან ისტორია „ანთროპოლოგიური“ გაქანების დისციპლინად მოიაზრება, მისი დეფინიციაც უფრო ყოვლისმომცველი უნდა იყოს. ბლოკს ასეთად მიაჩნია ტერმინი „ისტორია“; მიუხედავად მისი სიძველისა და მნიშვნელობის არაერთგვაროვნებისა, „ისტორიის“ სახელწოდების შენარჩუნება „ყველაზე ფართო გაგებით“ უფრო წაადგება დარგის განვითარებას, რომელიც ჯერ კიდევ „ბავშვობის ასაკშია“. ზედმეტად ზუსტი, მკაფიო და შემოფარგლული განსაზღვრებები, პირიქით, შეიძლება საზიანოც კი აღმოჩნდეს, რადგან ამით იზღუდება დარგის თვალსაწიერი.

ამასთან, ბლოკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიკოსის პატიოსნებას და მიუკეძოებლობას. ეს მორალური კატეგორიები ყოველთვის ორაზროვანია, ამიტომ ისტორიკოსისთვის ძნელი დავალებაა, იმოქმედოს რანკეს მოწოდების თანახმად და მოვლენები აღწეროს ისე, როგორც ეს იყო (wie es eigentlich gewesen). თუმცა ბლოკს გარკვეული რჩევები ამ მიმართულებით მაინც აქვს. მაგალითად, ისტორიკოსი არ უნდა იყოს აწმყო კონიუნქტურის და პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი. ეს პრობლემა ლამის ყოველთვის აქტუალური იყო. მისი აზრით, წარსულის მოვლენების კვლევა არც თუ ისე უწყინარი და მშვიდი საქმინაობაა. ასეთ დროს ძნელია, სამუშაო მაგიდასთან დაიცვა ტვინი „აწმყოს ვირუსისაგან“. ეს საფრთხე მხოლოდ ახლო წარსულის ისტორიას ანუ თანამედროვეთათვის ჯერ კიდევ სენსიტიურ საკითხებს არ ეხება. ვისაც ეს ვირუსი შეეყრება, ის ამ სენს „ილიადას“ ან „რამაიანას“ კომენტარებშიც გამოავლენს.

გარდა ამისა, ისტორია ხშირად ხდება ბრალდებების, განსჯის, და გასამართლების ინსტრუმენტი. „დაუმტკიცებელი ბრალდებანი ერთბაშად უაზრო რეაბილიტაციებით იცვლება“. ზოგადად განსჯის ჩვეულება კლავს ახსნის სურვილს. გაცილებით ადვილია, იყო ლუთერის მომხრე ან მოწინააღმდეგე, ვიდრე ეცადო, ჩაწვდე მის სულს – მიიჩნევდა ბლოკი. ამიტომ, ისტორიკოსის მოვალეობაა, არა დაუმუშავებლად გადმოცემული ნედლი მასალის და დაუკავშირებელი ფაქტების უბრალო ჩამოთვლა, არამედ მათი გონივრული კლასიფიკაცია და ანალიზი. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, წარსულის რეკონსტრუირებას მაშინდელი პერსპექტივიდან. ისტორიკოსმა უნდა იხელმძღვანელოს ლუთერის, კალვინის თუ ლოიოლას დროის გონებრივი ატმოსფეროთი და არა მისი თანამედროვე სააზროვნო პრობლემებით.

ბლოკი, ასევე, აკრიტკებს ისტორიის პერიოდიზაციის ხელოვნურ და უსაფუძვლო სქემებს. არ შეიძლება ერთფეროვან, ხანგრძლივ, ბნელ და უნაყოფო ეპოქად წარმოვაჩინოთ შუა საუკუნეებად წოდებული დროის უზარმაზარი მონაკვეთი. ეს ეპოქა სინამდვილეში გამოირჩევა თავის მიღწევებით ხელოვნებაში, ტექნიკაში, რელიგიური აზროვნებაში და ა.შ. მისი აზრით, არა თარიღები, დღეები, წლები და საუკუნეები, არამედ ამა თუ იმ მოვლენის თუ ფენომენის ტიპოლოგიური მახასიათებლები უნდა იყოს ქრონოლოგიის საფუძველი. სოციალური, ეკონომიკური თუ რელიგიური ტრანსფორმაციების დროში ლოკალიზება თვითონ ამ მოვლენების ბუნებას უნდა შევუსაბამოთ და არა ქრონომეტრაჟს.

ანალების სკოლის მთავარი კონცეპტები, იდეები, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ გაჩენილა, ტრადიციული კვლევის პარადგიმის გადასინჯვის ტენდენციები უფრო ადრეც შეიმჩნეოდა. ერთ-ერთ წინამორბედ მეცნიერად შეიძლება მივიჩნიოთ ფრანგი ფილოსოფოსი, „ისტორიული სინთეზის“ თეორიის შექმნელი ანრი ბერი/Henri Berr (1863-1954), რომელიც აღნიშნავდა, რომ ისტორიოგრაფია თანამედროვე სამყაროს მოთხოვნების ადეკვატური არ იყო. მისი აზრით, დრო იყო, რომ ისტორია დამსგავსებოდა სამეცნიერო დისციპლინას, რომელიც შეძლებდა ცალკეული მოვლენის და ზოგადად რეალობის ნებისმიერი ასპექტის განზოგადებას. ანრი ბერის მიერ დაარსებული “Revue de synthèse Historigue” ფილოსოფოსების, ისტორიკოსების, გეოგრაფების და სოციოლოგების ინტერდისიცპლინარული თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი პლატფორმა გახდა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ახალი ტიპის ისტორიოგრაფიის წარმოშობისას. სწორედ ამ წამოწყების ლოგიკური გაგრძელება იყოს ანალების სკოლის, რეფორმატორულად განწყობილი ისტორიკოსების თავშეყრის აკადემიური სივრცის, გაჩენა. სხვა ინტელექტუალურ წინამორბედებს შორის შეიძლება დავასახელოთ ლუსიენ ლევი-ბრიული/Lucien Lévy-Bruhl (1857-1939), რომლის ნაშრომიდან „პირველყოფილი მენტალობა“/La mentalité primitive (1922), აიღეს ლუსიენ ფევრმა და მარკ ბლოკმა ანალების სკოლისთვის ერთ-ერთი ძირითადი ცნება „მენტალობა“.

ანალების სკოლის და მარკ ბლოკის თვალთახედვით, მას შემდეგ რაც ეს ინტერდისციპლინური თანამშრომლობით გამდიდრებული ისტორია რეალურ ფორმას მიიღებს, ყველასთვის ცხადი გახდება, რომ ადამიანების შესახებ მეცნიერებებში დროის ფაქტორი გადამწყვეტია. „ისტორიკოსი არ ფიქრობს მხოლოდ ‘ადამიანურზე’. გარემო, რომელშიც მისი აზრი ბუნებრივად სუნთქავს – არის განგრძობითობის კატეგორია“. შესაბამისად, მომიჯნავე მეცნიერებები აუცილებლად ისტორიული უნდა იყოს. ისტორიას შეუძლია, პრეტენზია განაცხადოს პერიფერიული დისციპლინიდან ძირითად დარგად გადაქცევაზე. ისტორიას შეუძლია, ყოველდღიურობის და ადამიანური ყოფის განმსაზღვრელი სტრუქტურების დიაქრონულ ჭრილში ანალიზი. ეს იქნება, როგორც არასდროს, უფრო მდიდარი და ფართო საისტორიო მეცნიერება.

ისტორიის აპოლოგია

[...]

თავი პირველი
ისტორია, ადამიანები და დრო

1. ისტორიის არჩევანი

სიტყვა ისტორია ძალიან ძველი სიტყვაა: [ისეთი ძველი, რომ ზოგჯერ მომაბეზრებელიც კია. მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა, რომ ლამის მთლიანად ამოეღოთ ლექსიკონიდან]. თვით დიურკჰეიმის ეპოქის სოციოლოგებმა მიუჩინეს მას ადგილი ადამიანის შესახებ არსებული მეცნიერებების ყველაზე მიყრუებულ კუთხეში: იმ მივიწყებულ კუთხეში, სადაც სოციოლოგია ათავსებდა ყველაფერს, რაც საეჭვოდ ეჩვენებოდა რაციონალური ანალიზისათვის. მათ შორის იმ ადამიანურ ქმედებებს, რასაც ყველაზე ზედაპირულად და შემთხვევითად თვლიდა. ჩვენ კი, პირიქით, ამ სიტყვას მისი ყველაზე ფართო გაგებით შევინარჩუნებთ [იგი წინასწარ არ კრძალავს არანაირ კვლევას, იქნება ის მიმართული უპირატესად ინდივიდისა თუ საზოგადოებისაკენ, დროებითი კრიზისების აღწერისა თუ უფრო ხანგრძლივი მოვლენების შესწავლისაკენ. არანაირი კრედოს შემცველი არ არის. თავდაპირველი ეტიმოლოგიის მიხედვით, არაფერს გვავალდებულებს, გარდა „ძიებისა“]. რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც ეს სიტყვა ადამიანთა ბაგეთაგან გაისმის, ანუ აგერ უკვე ორ ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, მისი შინაარსი ძალზე შეიცვალა. ასეთია ყველა ცოცხალი ტერმინის ბედი ენაში. მეცნიერებს ყოველი ახალი აღმოჩენისათვის ახალ-ახალი სახელწოდება რომ მოეგონებინათ, რამდენი ნათლობა და რამდენი დროის კარგვა იქნებოდა აკადემიების სამეფოში! რაგინდ მორჩილად ერთგულიც უნდა დავრჩეთ მისი დიდებული ელინური სახელისა, ჩვენი ისტორია მაინც აღარ იქნება ისეთი, როგორიცაა ჰეკათე დე მილეთელის დაწერილი. ისევე, როგორც ლორდ კელვინის ან ლანჟევენის ფიზიკა აღარ არის არისტოტელეს ფიზიკა.

[მაშ, რას წარმოადგენს იგი?

არავითარი აზრი არა აქვს გრძელი და მშრალი განმარტების მოტანას იმ წიგნის დასაწყისში, რომელიც კვლევის რეალურ პრობლემებს ეხება. რომელ სერიოზულ მუშაკს შეუწუხებია თავი მსგავსი დოგმების გამო?] ეს პედანტური

სიზუსტე არა მხოლოდ ინტელექტუალური აღმაფრენის საუკეთესო მომენტებს აფერხებს: იგულისხმება ჯერ კიდევ შეუცნობელი ცოდნისაკენ ჩვეულებრივი სწრაფვის სურვილი და მისი გაფართოების შესაძლებლობა. მთავარი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი საგულდაგულო განსაზღვრებები უფრო მეტად შეზღუდვას ემსახურება. „ეს თემა", ამბობს ტერმინთა ღმერთების მცველი, ან „მისი განხილვის ფორმა არის უეჭველად ის, რაც ხიბლავს. მაგრამ გაფრთხილდი, ო, ეფებ: ეს არ არის ისტორია." განა ჩვენ ძველი დროის ხელოსანთა გილდიის უფროსობა ვართ, რომ ამა თუ იმ ხელობის ადამიანებისათვის ნებადართული საქმიანობის სახეობათა კოდირება მოვახდინოთ, და ერთხელ დადგინდება რა სია, მათი შესრულება მხოლოდ ჩვენს პატენტიან ოსტატებს მივანდოთ? ფიზიკოსები და ქიმიკოსები უფრო ჭკვიანები არიან. რამდენადაც ვიცი, ჯერ არავის გაუგონია მათი კამათი ფიზიკის, ქიმიის, ქიმიური ფიზიკის ან, თუ ასეთი ტერმინი არსებობს, ფიზიკური ქიმიის უფლებების შესახებ.

და მაინც, მართალია, რომ ამ უზარმაზარ და გაურკვეველ რეალობაში ისტორიკოსი იძულებულია, გამოარჩიოს განსაკუთრებული ნიშა თავისი საქმიანობისათვის. შემდეგ გააკეთოს არჩევანი, რომელიც, ცხადია, იგივე არ იქნება, რაც, მაგალითად, ბიოლოგისა. ეს იქნება სწორედაც რომ ისტორიკოსის არჩევანი. ეს არის მოღვაწეობის ჭეშმარიტი პრობლემა. იგი მთელი ჩვენი კვლევის მანძილზე გაგვყვება.

2. ისტორია და ადამიანები

არაერთხელ უთქვამთ: „ისტორია წარსულის მეცნიერებაა." ეს, ჩემი აზრით, ცუდი ნათქვამია.

რადგან, ჯერ ერთი, თვით ის აზრი, რომ წარსული, როგორც ასეთი, შეიძლება მეცნიერების საგანი იყოს, აბსურდია. მოვლენები, რომელთაც მხოლოდ ისა აქვთ საერთო, რომ თანამედროვენი არ არიან, როგორ შეიძლება წინასწარი გაცხრილვის გარეშე ჩაითვალოს რაციონალური შემეცნების საგნად? შეიძლება წარმოვიდგინოთ სამყაროს ყოვლისმომცველი მეცნიერება თანამედროვე მდგომარეობაში?

უეჭველია, ისტორიოგრაფიის სათავეებთან ძველი ანალიტიკოსები ამ წვრილმანებით თავს არ იწუხებდნენ. ისინი არეულად მოგვითხრობდნენ მოვლენებზე, რომელთაც ერთმანეთთან მხოლოდ ის აკავშირებდა, რომ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მოხდა: მზის დაბნელება, სეტყვა, უცნაური მეტეორების გამოჩენა ბრძოლების დროს, ხელშეკრულებები, გმირებისა და მეფეების სიკვდილი. მაგრამ კაცობრიობის ამ პირველყოფილ, ბავშვის აღქმასავით ბუნდოვან მეხსიერებაში ანალიზის დაუოკებელმა სურვილმა ნელ-ნელა მიგვიყვანა კლასიფიკაციის საჭიროებამდე. თუმცა ღრმად ტრადიციონალისტური ენა ინარჩუნებს სახელწოდება „ისტორიას" დროში განფენილი მოვლენების კვლევის აღსანიშნავად, ეს ჩვეულება სახიფათო არ არის, რადგან იგი არავის ატყუებს. ამავე აზრით

არსებობს მზის სისტემის ისტორია, რაკი მისი შემადგენელი ციური სხეულები ყოველთვის ისეთი არ იყო, როგორიც ახლაა. ეს ისტორია ასტრონომიას ეკუთვნის. არსებობს ვულკანური ამოფრქვევების ისტორია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ჩვენი პლანეტის ფიზიკის დიდ ინტერესს იწვევს. იგი არ განეკუთვნება ისტორიკოსების ისტორიას.

ანდა მხოლოდ იმდენად ეკუთვნის, რამდენადაც მისი დაკვირვებები, თუნდაც ირიბად, მაგრამ მაინც, შეიძლება უკავშირდებოდეს ჩვენი ისტორიის სპეციფიკურ საკითხებს. მაშასადამე, პრაქტიკულად როგორ უნდა გავმიჯნოთ კვლევის სფეროები? ვფიქრობ, კონკრეტული მაგალითი ამას უკეთ გვიჩვენებს, ვიდრე ხანგრძლივი სჯა-ბაასი.

ჩვენი წელთაღრიცხვის X საუკუნეში, ფლანდრიის სანაპიროზე შეჭრილი იყო ზღვის ღრმა ყურე. შემდეგ იგი ქვიშით ამოივსო. რომელმა დარგმა უნდა შეისწავლოს ეს ფენომენი? ერთხმად ყველა გეოლოგიას დაასახელებს. ნარიყის წარმოქმნის მექანიზმი, ზღვის დინებების როლი, ოკეანის სიღრმეში წარმოქმნილი ცვლილებები – განა იმიტომ არ შეიქმნა გეოლოგია, რომ ყველაფერი ეს შეისწავლოს? რასაკვირველია. თუმცა, თუ კარგად ჩავუკვირდებით, საქმე არც ისე მარტივადაა.

იქნებ ჯერ კარგად უნდა გავერკვეთ ცვლილების მიზეზებში? და აი, ჩვენი გეოლოგია იძულებულია დასვას შეკითხვები, რომელიც მთლად მის სფეროს არ განეკუთვნება. რადგან, უეჭველია, ფსკერის აწევა გამოიწვია კაშხლების მშენებლობამ, არხების გადატანამ, ამოშრობამ. ეს არის კოლექტიური საჭიროებით გამოწვეული ადამიანური ქმედებები, რაც მხოლოდ გარკვეულ სოციალურ სტრუქტურაშია შესაძლებელი.

ჯაჭვის მეორე ბოლოს ახალი პრობლემა იჩენს თავს: შედეგები. ყურის სიღრმეში, ნაპირიდან არც ისე მოშორებით, ქალაქი იყო გაშენებული. ეს იყო ბრიუგე. ქალაქი ყურეს პატარა მდინარით უკავშირდებოდა. ზვინის წყლების საშუალებით იგი იღებდა და აგზავნიდა ისეთი რაოდენობის სავაჭრო საქონელს, რითაც, პროპორციებს თუ დავიცავთ, დღევანდელ ლონდონს ან ნიუ-იორკს გაუტოლდებოდა. ყურის ამოვსება დღითი-დღე უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. როგორ არ შეეცადა ბრიუგე, წყლის უკან დახევასთან ერთად, მდინარის შესართავისკენ გადაეწია თავისი ავან-პორტები, მაგრამ მისი სანაპიროები თანდათან მაინც უკაცრიელდებოდა. რასაკვირველია, ეს არ იყო მისი დაცემის ერთადერთი მიზეზი. განა ფიზიკურ მოვლენებს შეუძლია გავლენა მოახდინოს სოციალურზე, თუკი მის ქმედებებს არ მოამზადებს, არ დაეხმარება და არ განაპირობებს სხვა, ადამიანისგან მომდინარე ფაქტორები? მაგრამ კაზუალური ტალღების მიმოქცევაში ეს მიზეზი, უეჭველია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

მაშასადამე, საქმიანობა საზოგადოებისა, რომელიც საჭიროების მიხედვით ძერწავს საცხოვრებელ ნიადაგს, არის უაღრესად „ისტორიული“ ფაქტი და ამას თითოეული ინსტინქტურად გრძნობს. იგივე შეიძლება ითქვას აღებ-მიცემის მსხვილი ცენტრის ბედუკუღმართობის შესახებაც. „ცოდნის ტოპოგრაფიის“ ეს

საკმაოდ ტიპური მაგალითი გვიჩვენებს, ერთი მხრივ, კვეთის წერტილს, რომელშიც ორი დისციპლინის კავშირი აუცილებელი ჩანს მისი ახსნის ნებისმიერი მცდელობისას. მეორე მხრივ, გადასვლის წერტილს, რომელშიც, დასრულდება რა ფენომენის აღწერა და დაიწყება მისი შედეგების აწონ-დაწონა, ერთი დისციპლინა გარკვეულწილად ადგილს უთმობს მეორეს. რა ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც, როგორც ჩანს, აუცილებელია ისტორიის ჩარევა? ეს ნიშნავს, რომ გამოჩნდა ადამიანური ფაქტორი.

მართლაც, ჩვენმა დიდმა წინამორბედებმა, მიშლემ, ფიუსტელ დე კულანჟმა, დიდი ხნის წინ გვასწავლეს ამის შეცნობა: ისტორიის საგანი არის ადამიანი. უკეთესია, თუ ვიტყვით: ადამიანები. მეცნიერებას რაიმე მრავალსახოვანის შესახებ მრავლობითი რიცხვი უფრო შეეფერება, რომელიც თანაფარდობის გრამატიკული გამოხატულებაა, ვიდრე მხოლობითი, რაც აბსტრაქციას უფრო უხდება. პეიზაჟის მგრძნობიარე მონახაზის [ხელსაწყო-იარაღების თუ მანქანების] ერთი შეხედვით მშრალი დოკუმენტებისა და დამაარსებელთაგან გარეგნულად სრულიად განსხვავებული ინსტიტუციების მიღმა ისტორიას სწორედ ადამიანების დანახვა სურს. ვინც ამას ვერ ახერხებს, ის, უკეთეს შემთხვევაში, ყოველთვის მხოლოდ ერუდიციის შავი მუშა იქნება. კარგი ისტორიკოსი ლეგენდის კაციჭამიას ჰგავს – იცის, რომ მისი მსხვერპლი იქ არის, საიდანაც ადამიანის სუნი სცემს.

ისტორიის, როგორც ადამიანის შესახებ მეცნიერების ხასიათიდან მომდინარეობს გამოხატვის პრობლემებისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება „მეცნიერებაა“ იგი თუ „ხელოვნება“? ამის თაობაზე ჩვენს წინაპრებს 1800-იან წლებში სერიოზული სჯა-ბაასი უყვარდათ. მოგვიანებით, ცოტა არ იყოს, პრიმიტიული პოზიტივიზმის ატმოსფეროში გახვეული 1890-იანი წლებისათვის, მეთოდის სპეციალისტები აღშფოთდნენ იმის გამო, რომ ისტორიულ ნაშრომებში, მათი აზრით, საზოგადოება გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რასაც ისინი „ფორმას“ უწოდებდნენ [ხელოვნება მეცნიერების წინააღმდეგ, ფორმა სიღრმის წინააღმდეგ]. რამდენი დავაა, რომელიც მშვენივრად მოთავსდებოდა სქოლასტიკის სასამართლო პროცესების არქივში. ზუსტ განტოლებაში არანაკლები სილამაზეა, ვიდრე სწორ ფრაზაში. მაგრამ ყოველ მეცნიერებას მისთვის დამახასიათებელი ენობრივი ესთეტიკა აქვს. ადამიანური ფაქტები თავისი არსით მეტად დელიკატურ ფენომენს წარმოადგენს, რომელთაგან ბევრი მათემატიკურ განზომილებებში ვერ თავსდება, რადგან მის კარგად გადმოსაცემად და შემდგომში კარგად გასაგებად (ხომ ვერ გავიგებთ კარგად იმას, რაც ცუდადაა ნათქვამი?), ძალიან დახვეწილი ენაა საჭირო, [ზუსტი ფერი სიტყვიერ ტონში]. იქ, სადაც გამოთვლა შეუძლებელია, საჭიროა დარწმუნება. საერთო ჯამში, ფიზიკური სამყაროს რეალობისა და ადამიანის სულიერი რეალობისა გამოხატვას შორის იგივეა სხვაობა, რაც მღარავისა და სიმებიანი საკრავების ოსტატის საქმიანობას შორის: ორივე მილიმეტრების სიზუსტით მუშაობს, მაგრამ მღარავი იყენებს მექანიკურ საზომ ხელსაწყოებს, საკრავების ოსტატი კი – თავისი ყურისა და თითების მგრძნობელობას. კარგი არაფერი მოჰყვება იმას, თუკი მღარავი სიმებიანი

საკრავების ოსტატის ემპირიზმით დაკმაყოფილდება ან საკრავების ოსტატი მიბაძავს მღარავს. მაგრამ, ვის შეუძლია უარყოს, რომ სიტყვებს ისეთივე მგრძნობელობა ახასიათებს, როგორც თითებს?

3. ისტორიული დრო

„მეცნიერება ადამიანების შესახებ", – ვთქვით ჩვენ. მაგრამ ეს ძალიან ბუნდოვანია. საჭიროა დავამატოთ: „ადამიანების შესახებ დროში". ისტორიკოსი არ ფიქრობს მხოლოდ „ადამიანურზე". გარემო, რომელშიც მისი აზრი ბუნებრივად სუნთქავს – არის განგრძობითობის კატეგორია.

რასაკვირველია, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ მეცნიერებამ, როგორიც არ უნდა იყოს იგი, შეძლოს დროის აბსტრაგირება. თუმცა, ბევრი მათგანისათვის, ვინც პირობითად ხელოვნურად ანაწილებს მას ერთგვაროვან ფრაგმენტებად, დრო სხვა არაფერია, თუ არა საზომი. თავისი სწრაფვით შეუქცევადი, კონკრეტული და ცოცხალი რეალობა, ისტორიის დრო, პირიქით, არის პლაზმა, რომელშიც ფენომენები ცურავენ და არის ის ადგილი, სადაც მათი გაგება შესაძლებელია. წამების, წლების ან საუკუნეების რიცხვი, რომელიც რადიოაქტიურ ნივთიერებას სჭირდება, რათა სხვა ნივთიერებად გარდაიქმნას, ატომური მეცნიერებისათვის ფუნდამენტური სიდიდეა, მაგრამ ის შეხედულება, რომ ესა თუ ის მეტამორფოზა მოხდა ათასი წლის წინ, გუშინ, დღეს თუ მოხდება ხვალ, უეჭველად დააინტერესებდა გეოლოგს, რადგან გეოლოგია თავისებურად ისტორიული დისციპლინაა. მაშინ, როდესაც ამ მოვლენის მიმართ ფიზიკოსი გულგრილია. სამაგიეროდ, არც ერთი ისტორიკოსი არ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ კეისარმა 8 წელი მოანდომა გალიის დაპყრობას და ლუთერს 15 წელი დასჭირდა, რომ ერფურტის ახალბედა ორთოდოქსიდან ვიტენბერგის რეფორმატორად ჩამოყალიბებულიყო. ისტორიკოსისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ გალიის დაპყრობას მიუჩინოს ზუსტი ქრონოლოგიური ადგილი ევროპული საზოგადოებების ბედ-იღბალში და სულაც არ უარყოფს იმას, რომ ძმა მარტინის მიერ გადატანილი სულიერი კრიზისი მარადიულობას მოიცავს. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსი მაინც გადაწყვეტს, ყოველივე ეს სწორად აღწეროს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზუსტად დააფიქსირებს ამ მომენტს ბედის მრუდზე, რომელიც წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ადამიანს, როგორც ამ მოვლენის გმირს, და მეორე მხრივ, ამ კრიზისისათვის კლიმატის შემქმნელ ცივილიზაციას.

მაშასადამე, ეს ნამდვილი დრო თავისი ბუნებით უწყვეტია. ის იმავდროულად მუდმივი ცვალებადობაა. ამ ორი ატრიბუტის ანტითეზიდან მომდინარეობს ისტორიული კვლევის დიდი პრობლემები. უწინარეს ყოვლისა, ეს არის პრობლემა, რომელიც საეჭვოს ხდის ჩვენი კვლევის არსებობის უფლებასაც კი. ავიღოთ თუნდაც ორი თანმიმდევრული პერიოდი საუკუნეთა უწყვეტი მდინარებიდან. როგორ გავიგოთ, რა დოზითაა აუცილებელი ან უსარგებლო გაცილებით ძველი პერიოდის ცოდნა უფრო ახალი მოვლენების გასაგებად? მათ შორის რო-

მელია მთავარი, მსგავსება თუ განსხვავება – ორივეს ხომ დროის უწყვეტი დინება წარმოშობს?

4. სათავეების კერპი

[არასოდეს საზიანო არ არის *mea culpa*-თი დაწყება. ბუნებრივია, იმ ადამიანებისათვის, რომელთაც წარსული თავიანთი კვლევის ძირითად თემად აურჩევიათ, ძალზე სასურველია ახლო პერიოდის მოვლენების ახსნა უფრო შორეულით, რაც ზოგჯერ ჰიპნოზივით მოქმედებს ჩვენს კვლევაზე. ისტორიკოსთა ტომის ამ ძალზე დამახასიათებელი ფორმის კერპს საკუთარი სახელიც აქვს: აკვიატებული აზრი წარმოშობაზე. ისტორიული აზროვნების განვითარების გზაზე მას თავისი, განსაკუთრებულად სასიამოვნო მომენტიც ჰქონდა].

თუ არ ვცდები, მგონი რენანი წერდა (ციტირებას მეხსიერებით ვახდენ, ამიტომ ვშიშობ, შეიძლება ზუსტი არ იყოს): „ადამიანურ მოვლენებს შორის პირველ რიგში წარმოშობაა შესწავლის ღირსი“. მასზე ადრე კი სენტ-ბევმა თქვა: „მე ცნობისმოყვარეობით ვაკვირდები და ვინიშნავ ყველაფერს, რაც იწყება“. ეს იდეა მათ დროს ეკუთვნის. ასევე სიტყვა „სათავეებიც“. „ქრისტიანობის სათავეების“ პასუხად მოგვიანებით გაჩნდა „თანამედროვე საფრანგეთის სათავეები“. ეპიგონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სიტყვა უხერხულობას ქმნის, რადგან იგი ორაზროვანია. ნიშნავს თუ არა იგი უბრალოდ დასაწყისს? მაშინ იგი, ასე თუ ისე, გასაგები იქნება. თუმცა იმ პირობით, რომ ისტორიულ რეალობათა უმრავლესობისათვის ამ საწყისი წერტილის ცნება ცოტა უცნაურად მოუხელთებელი რჩება. ეს კი უეჭველად განმარტების საქმეა, განმარტებისა, რომლის ჩამოყალიბებაც [სამწუხაროდ] ძალზე ადვილად ავიწყდებათ.

იქნებ, პირიქით, წარმოშობაში მიზეზები უნდა ვიგულისხმოთ? მაშინ მხოლოდ ის სირთულეები დაგვრჩება, რომელიც ადამიანის შესახებ მეცნიერებებში განსაკუთრებით დამახასიათებელია მიზეზობრივი კვლევებისათვის.

მაგრამ ამ ორ მნიშვნელობას შორის, ძალიან ხშირად, ურთიერთდასნებოვნებას აქვს ადგილი, რაც ზოგადად სახიფათოა, რადგან იგი მაინცდამაინც აშკარად არ იგრძნობა. სასუბრო ენაში – სათავეები – ეს არის დასაწყისი, რაც ახსნას წარმოადგენს. კიდევ უარესი: საკმარისია ახსნისათვის. სწორედ აქაა ორაზროვნება, სწორედ ამაშია საფრთხე.

საჭირო იქნებოდა დაგვეწყო მეტად საინტერესო კვლევა ამ ემბრიონულ აკვიატებაზე, რაც ასე აშკარად არის გამოხატული დიდ მოაზროვნეთა ერთიან ოჯახში. როგორც ხშირად ხდება ხოლმე – რადგან არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე ცოდნის ორ განსხვავებულ კატეგორიას შორის ზუსტი თანადროულობის დადგენა, – ადამიანის შესახებ მეცნიერებები ამ სფეროში ჩამორჩება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რადგან ამ უკანასკნელზე XIX საუკუნის შუა წლებისთვის უკვე ბატონობდა ბიოლოგიური ევოლუციონიზმი, რომელიც, პირიქით, უშვებს პროგრესულ დაცილებას წინამორბედი ფორმებისაგან და ამას ხსნის, ყოველ

ეტაპზე, ცხოვრების პირობებით ან იმ დროისათვის დამახასიათებელი გარემოთი. ისტორიის ფრანგულმა ფილოსოფიამ, [ვიქტორ] კუზენიდან რენანამდე, სათავეებით გატაცება, უწინარეს ყოვლისა, გერმანული რომანტიზმისაგან მიიღო. მაშასადამე, იქ იგი პირველივე ნაბიჯებიდანვე იყო ფიზიოლოგიის თანამედროვე, რომელიც ჩვენსაზე ადრე წარმოიშვა. ჩვენი კი იყო პრერეფორმისტების ფიზიოლოგია, რომელიც მოზრდილი ასაკის არსს ხან თესლუჯრედში ეძებდა და ხანაც კვერცხუჯრედში. ამას დაუმატეთ პრიმიტიულის ხოტბა-დიდება, რაც დამახასიათებელი იყო XVIII საუკუნის საფრანგეთისათვის. მაგრამ ამ თემის მემკვიდრეებმა, რომანტიკული გერმანიის მოაზროვნეებმა, სანამ მას ხელახლა გადმოსცემდნენ თავიანთ მიმდევრებს – ჩვენს ისტორიკოსებს, თავის მხრივ, იგი ბევრი ახალი იდეოლოგიური საცდურით შეამკეს. ჩვენი ენის რომელი სიტყვა შეძლებდა გადმოეცა გერმანული Ur პრეფიქსის ძალა: *Urmensch, Urdichtung?* მაშასადამე, ამ თაობებს ყველაფერი უბიძგებდა იმისკენ, რომ ადამიანურ მოვლენებში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინათ საწყისი ფაქტებისათვის.

თუმცა ამოქმედდა ერთი, ძალზე განსხვავებული ბუნების ელემენტი. რელიგიის ისტორიაში სათავეების კვლევამ სპონტანურად დაიკავა უმნიშვნელოვანესი ადგილი, რადგან ჩანდა, რომ იგი თვით რელიგიების ფასეულობის გარკვეულ კრიტერიუმს აწესებდა. სახელდობრ, ქრისტიანული რელიგიისას. კარგად ვიცი: ზოგიერთ კათოლიკოსთა შორის, რომელთაგან ბევრი სულაც არ არის კათოლიკე, დღეს მოდაშია ეგზეგეტიკოსთა გამასხარავება. „არ მესმის თქვენი შეშფოთება, – ეუბნებოდა ბარესი ერთ მღვდელს, რომელმაც რწმენა დაკარგა, – რა საერთო აქვს ჩემს მგრძნობელობასთან ერთი მუჭა მეცნიერების დისკუსიებს რამდენიმე ებრაული სიტყვის გარშემო? ჩემთვის საკმარისია „ეკლესიების ატმოსფერო“. მორასი კი, თავის მხრივ, აცხადებდა: „რა მესაქმება ოთხი ბნელი ებრაელის სახარებებთან?“ (ჩემი აზრით, „ბნელი“ აქ უნდა ნიშნავდეს „პლებეებს“, რადგან ძნელია, არ აღიარო მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს გარკვეული ლიტერატურული ღვაწლი). ამ ლაზღანდარობით დაგვცინიან. არც პასკალი და არც ბოსუე, რასაკვირველია, ასე არ ილაპარაკებდნენ.

უეჭველია, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რელიგიური გამოცდილება, რომელიც არაფრითაა დავალებული ისტორიისაგან. ნამდვილი დეისტისათვის შინაგანი გასხივოსნებაც საკმარისია, რომ ღმერთი იწამოს. არა ქრისტიანების ღმერთი, რადგან ქრისტიანობა [როგორც უკვე აღვნიშნე] თავისი არსით, ისტორიული რელიგიაა. ანუ ისეთი, რომლის ძირითადი დოგმები მოვლენებს ეფუძნება. გადაიკითხეთ „მრწამსი“: „მწამს უფალი იესო ქრისტე... რომელიც ჯვარს ეცვა პონტოელისა პილატეს ზე...და აღსდგა მესამესა დღესა...“ აქ რწმენის დასაწყისი ამავე დროს მისი საფუძველია.

ეს შეხედულებები, მათი გადამდები თვისებების გამო, რელიგიური ანალიზის გარკვეული ფორმით გავრცელდა კვლევის სხვა სფეროებზე, სადაც მათი გამართლება გაცილებით უფრო საკამათო იყო. აქ ასევე წარმოშობაზე კონცენტრირებული ისტორიაც ჩადგა ფასეულობების განსაზღვრის სამსახურში. თავისი

დროის საფრანგეთის „სათავეების“ ძიებისას რას გვთავაზობდა ტენი, თუ არა იმ პოლიტიკის შეცდომის აღიარებას, რომელიც, მისი აზრით, ადამიანის შესახებ ყალბი ფილოსოფიური შეხედულებიდან მომდინარეობდა? სულ ერთია, საქმე ეხება გერმანიკულ შემოსევებს თუ ნორმანდიელების დაპყრობებს [ინგლისში], წარსულს ასე აქტიურად მხოლოდ იმიტომ იყენებდნენ აწმყოს ასახსნელად, რომ გაემართლებინათ ან გაეკიცხათ იგი. ასე რომ, ბევრ შემთხვევაში სათავეების დემონი იყო მხოლოდ სახეცვლილება ნამდვილი ისტორიის სხვა სატანური მტრისა: განკითხვის მანიისა.

თუმცა დავუბრუნდეთ ქრისტიანობის შესწავლას. ერთია, როცა თავისი თავისათვის წესის მძებნელი აფორიაქებული შეგნება ყოველდღიურად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კათოლიკური რელიგიის მიმართ ჩვენს ეკლესიებში და სულ სხვაა ისტორიკოსისათვის დღევანდელი კათოლიციზმის, როგორც დაკვირვების ობიექტის, ახსნა. თავისთავად ცხადია, რომ თანამედროვე რელიგიური ფენომენების სწორი გაგებისა და ახსნისათვის მათი წარმოშობის ცოდნა საკმარისი არ არის. პრობლემის გასამარტივებლად საკუთარ თავსაც კი დავუსვამთ შეკითხვას: იმ სახელით, რომელიც სულ არ შეცვლილა, რა დონეზე დარჩა რწმენა თავის არსში რეალურად უცვლელი? რაოდენ ურყევიც უნდა გვეჩვენებოდეს ტრადიცია, მაინც დაგვჭირდება მისი შენარჩუნების მიზეზების პოვნა. რა თქმა უნდა, ადამიანური მიზეზებისა. სასწაულებრივი ქმედებების ჰიპოთეზა მეცნიერების მიღმა რჩება. ერთი სიტყვით, საქმე იმაში კი არ არის, რომ ქრისტე ჯვარს ეცვა და შემდეგ აღსდგა, არამედ იმის წვდომაში, თუ როგორ მოხდა, რომ ამდენ ხალხს ჩვენ გარშემო სწამს ჯვარცმისა და აღდგომის. ასე რომ, აშკარაა, რწმენის ერთგულება არის მხოლოდ იმ ჯგუფის ერთობლივი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი, რომელშიც ეს ხასიათი ვლინდება. იგი კვანძად იკვრება იქ, სადაც ერთმანეთში იხლართება სულიერი თუ სოციალური სტრუქტურის მქონე შემხვედრი თვისებები. ერთი სიტყვით, იგი წამოჭრის ადამიანური გარემოს მთელ პრობლემას. მუხა რკოდან აღმოცენდება, მაგრამ იგი მუხად იქცევა, თუკი შეექმნება შესაფერისი გარემო პირობები, რაც უკვე ემბრიოლოგიაზე აღარ არის დამოკიდებული.

რელიგიის ისტორია აქ მხოლოდ მაგალითისთვის მოვიყვანეთ. ადამიანური საქმიანობის რომელ სფეროსაც არ უნდა უკავშირდებოდეს კვლევა, სათავეების მაძიებელს ერთი და იგივე შეცდომა ელის ჩასაფრებულივით: ჩამომავლობის1 აღრევა ახსნა-განმარტებასთან.

ერთი სიტყვით, ეს უკვე იყო ძველი ეტიმოლოგების ილუზია, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი თქვეს, როდესაც სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობის გვერდით მოჰყავდათ მათთვის ცნობილი ყველა ძველი მნიშვნელობა, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ სიტყვა „ბიურო“ თავდაპირველად ნიშნავდა ქსოვილს, ანდა „ტემბრი“ – დოლს. ისე, თითქოს საჭირო აღარ ყოფილიყო ამ ცვლილების ახსნა. თითქოს სიტყვის მნიშვნელობა ენაში არ ყოფილიყო, ისევე, როგორც მისი საკუთარი წარსული, ნაკარნახევი ლექსიკონის თანამედროვე მდგომარეობით – რაც, თავის მხრივ, მოცემული მომენტის სოციალური ანარეკლია.

„ბიუროები“ სიტყვათა ჯგუფში “bureux de ministère” ბიუროკრატიას ნიშნავს. როდესაც ფოსტის სარკმელთან ვითხოვ საფოსტო მარკებს (timbres), ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მნიშვნელობით ჩემ მიერ ნახმარ სიტყვას დასამკვიდრებლად საფოსტო სამსახურის თანდათანობით ჩამოყალიბებასთან ერთად, ტექნიკური ცვლილებებიც დასჭირდა. აზრების გაცვლა-გამოცვლის გაადვილების მიზნით ტვიფრიანი ბეჭედი შეიცვალა წებოვანი ნახატიანი ქაღალდით. სიტყვის ამ მნიშვნელობით ხმარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სპეციალობებიდან გამომდინარე, სიტყვის ძველი მნიშვნელობები ერთმანეთს დასცილდა. ასე რომ, დღეს არანაირი საფრთხე არ არსებობს მათი ერთმანეთში აღრევისა. მარკას, რომელსაც მე ვაკრავ კონვერტზე, არაფერი აქვს საერთო იმ მუსიკალურ ტემბრთან, რომელსაც ასე უქებს თავის ინსტრუმენტს მუსიკალური საკრავების ოსტატი.

„ფეოდალური რეჟიმის სათავეებიო,“ – ამბობენ. სად ვეძებოთ ისინი? ერთნი გვპასუხობენ: „რომში,“ მეორენი – „გერმანიაში.“ ამ მირაჟის მიზეზები გასაგებია. აქაც და იქაც, მართლაც, არსებობდა გარკვეული წეს-ჩვეულებები – კლიენტელა, სამხედრო დრუჟინები, გაწეული სამსახურის საფასურად მსახურთა რჩენა – რომელიც შემდგომ თაობებს ევროპაში, ფეოდალურად წოდებულ ხანაში უნდა გაეგრძელებინათ, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებებით. ორივე ნაწილში ხმარობდნენ სიტყვებს: „კეთილის ქმნა“ (benefcium) – ლათინებში და „ფეოდი“ – გერმანელებში – ამ სიტყვებს შემდეგი თაობებიც იყენებდნენ, ოღონდ თანდათან, თავისდაუნებურად, თითქმის სრულიად სახეცვლილი მნიშვნელობით, რადგან ისტორიკოსების სავალალოდ, ადამიანებს არ სჩვევიათ ლექსიკონის შეცვლა ჩვეულების შეცვლის კვალდაკვალ. რასაკვირველია, დადგენილი ფაქტები ძალზე საინტერესოა, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის პრობლემის მიზეზებს ამოწურავს? ევროპული ფეოდალიზმი, მისთვის დამახასიათებელი წყობით, არ იყო გადარჩენილი ნაშთების არქაული ქსოვილი. ჩვენი წარსულის გარკვეულ ეტაპზე იგი ერთიანი სოციალური გარემოდან წარმოიშვა.

მ. სენიობოსი სადღაც ამბობს: „ვფიქრობ, რომ XVIII საუკუნის რევოლუციური იდეები XVII საუკუნის ინგლისური იდეებიდან იღებს სათავეს.“ ამით მას იმის თქმა ხომ არ უნდოდა, რომ განმანათლებლობის ეპოქის ფრანგმა პუბლიცისტებმა, წინა საუკუნის ზოგიერთი ინგლისური თხზულების წაკითხვის შემდეგ ან მათი არაპირდაპირი ზეგავლენის შედეგად ჩამოაყალიბეს თავიანთი პოლიტიკური პრინციპები? შეიძლება ასეც იყოს. თუმცა გავითვალიწინოთ, რომ უცხოურ ფორმულირებებში ჩვენს ფილოსოფოსებს ორიგინალური ბევრი არაფერი შეუტანიათ არც ინტელექტუალური სუბსტანციის და არც გრძნობების ტონალობის თვალსაზრისით. მაგრამ ნასესხობის ფაქტამდე ასე თვითნებურად დაყვანილი სახითაც კი აზროვნების განვითარების ისტორია ძალიან შორს არის გარკვეულობისაგან, რადგან იმის გაგება, თუ რატომ მოხდა ცვლილება მითითებულ დროს – არც უფრო ადრე და არც უფრო გვიან – ყოველთვის პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. დასნებოვნება ორ მომენტს გულისხმობს: მიკრობების წარმოშობას და დაავადებისათვის ხელსაყრელი „ნიადაგის“ არსებობას.

ერთი სიტყვით, ისტორიული ფენომენის სრული ახსნა არასოდეს ხდება იმ მომენტის შესწავლის გარეშე, რომელშიაც მას ადგილი ჰქონდა. ეს მართებულია როგორც ჩვენი, ასევე სხვების ცხოვრების ევოლუციის ყველა ეტაპისათვის. ძველი არაბული ანდაზა ამბობს: „ადამიანები თავიანთ დროს უფრო ჰგვანან, ვიდრე საკუთარ მამებს“. ამ აღმოსავლური სიბრძნის დავიწყების გამო მეცნიერებას წარსულის შესახებ არაერთხელ დაუკარგავს ნდობა.

5. წარსული და „აწმყო“

[სათავეების მკვლევრებისაგან ძალიან შორს დგანან აწმყოს მხურვალე დამცველები. მონტესკიე ერთ-ერთ თავის ახალგაზრდობისდროინდელ ნაშრომში საუბრობს „მიზეზთა დაუსრულებელ ჯაჭვზე, რომლებიც მრავლდებიან და ერთმანეთს ერწყმიან საუკუნეთა მანძილზე“. თუ ზოგიერთ მწერალს დავუჯერებთ, ამ ჯაჭვის ჩვენთან ყველაზე ახლოს მდებარე ნაწილი აშკარად უფრო კარგად იქნება შენახული, რადგან ის გადმოგვცემს ცოდნას წარსულისაგან თითქმის სრულიად მოცილებული ე. წ. აწმყოს შესახებ. ეს აზრი მეტისმეტად გავრცელებულია საიმისოდ, რომ ღირდეს მისი დეტალური ანალიზი.]

[თავდაპირველად საჭიროა შევნიშნოთ:] სიტყვა-სიტყვით აღებული ეს აზრი წარმოუდგენლად მოგვეჩვენება. მართლაც, რა არის აწმყო? დროის უსასრულო დინებაში ეს არის პაწაწინა წერტილი, რომელიც ყოველ წუთს იპარება. ეს არის წამი, რომელიც დაბადებისთანავე კვდება. ვთქვი თუ არა და ვიმოქმედე თუ არა, ჩემი სიტყვები და ქმედებები მაშინვე მოგონების საუფლოში დაინთქა. აი, ახალგაზრდა გოეთეს სიტყვები, ბანალური და იმავდროულად ღრმა: არ არსებობს აწმყო, არის მხოლოდ გარდაქმნა, *nichts gegenwärtig, alles vorübergehend*. მუდმივი გარდაქმნისათვის განწირული ე. წ. მეცნიერება აწმყოს შესახებ, თავისი არსებობის ყოველ წუთს წარსულის შესახებ მეცნიერებად გარდაიქმნება.

კარგად მესმის: აქ სოფიზმში გვამხელენ. ყოველდღიურ მეტყველებაში „აწმყო“ ნიშნავს უახლოეს წარსულს. მაშ, უყოყმანოდ დავთანხმდეთ ამიერიდან ამ სიტყვის ცოტა არ იყოს ბუნდოვან ხმარებას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი სერიოზულ სირთულეებს არ გამოიწვევს. სიახლოვის ცნებას არა მხოლოდ სიზუსტე აკლია – რამდენ წელს ეხება საქმე? – არამედ გვაყენებს ყველაზე ეფემერული განსაზღვრების წინაშე. თუკი ამწუთიერი ყოფა, ამ ტერმინის ყველაზე ზუსტი მნიშვნელობით, სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი გაუჩინარება, მაშინ ზღვარი აწმყოსა და წარსულს შორის საკმაოდ ხშირად იცვლება. თუკი სტაბილური ვალუტის და ოქროს ეტალონის რეჟიმი ჯერ კიდევ გუშინ ეკონომიკური პოლიტიკის ყველა სახელმძღვანელოში გვხვდებოდა, როგორც თანამედროვეობის ნორმა, დღევანდელი ეკონომისტისათვის იგი ისევ აწმყოა თუ ისტორია, რომელსაც უკვე ობის სუნი ასდის? თუმცა ამ პარალოგიზმების მიღმა ძნელი არ არის აღმოვაჩინოთ ნაკლებ უსაფუძვლო იდეების კონა, რომლის სისადავემაც, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, არაერთი მკვლევარი მოხიბლა.

დროის ფართო მდინარებაში თითქოს შესაძლებელია ცალკე გამოვყოთ ახლო წარსულის ერთი ფაზა. დროში ჩვენგან შედარებით მცირედ დაცილებული, თავისი ამოსავალიდან ბოლო წერტილამდე იგი მთლიანად მოიცავს ჩვენს ყოფას. მასში არაფერი, არც სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობის ყველაზე დამახასიათებელი თვისებები, არც მატერიალური მხარე, არც ცივილიზაციის ზოგადი შეფერილობა, როგორც ჩანს, დიდად არ განსხვავდება იმ სამყაროსგან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი წეს-ჩვეულებებით. ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ ჩვენთან მიმართებაში მას მინიჭებული აქვს „თანამედროვეობის“ ძალიან მაღალი კოეფიციენტი, საიდანაც მომდინარეობს სწორედ მისი ღირსება ან ნაკლი, არ აერიოთ იგი დანარჩენ წარსულთან. „1830 წლის შემდგომი პერიოდი ისტორია აღარ არის, ეს პოლიტიკაა“, – გვეუბნებოდა ჩვენი ლიცეუმის ერთ-ერთი პროფესორი, რომელიც [ძალიან] მოხუცი იყო, როდესაც მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. დღეს უკვე აღარავინ იტყვის: „1830 წლის შემდგომი პერიოდი“; „სამი დიადი დღეც“2, თავის მხრივ, ხანში შევიდა; აღარც: „ეს პოლიტიკაა“, არამედ მოწიწებით აღნიშნავენ: „ეს სოციოლოგიაა“; ან ნაკლები პატივისცემით: „ეს ჟურნალისტიკაა“. თუმცა ბევრი სიამოვნებით გაიმეორებდა: „1914 ან 1940 წლის შემდგომი პერიოდი აღარ არის ისტორია“, ისე, რომ კარგად არც გაერკვეოდა ამ ოსტრაკიზმის მიზეზებში.

ზოგიერთი, მიიჩნევს რა, რომ ჩვენთვის უახლოესი მოვლენები ხელს უშლის ყოველგვარ მშვიდ კვლევას, უბრალოდ ცდილობს აარიდოს მისი მხურვალე კონტაქტი უმანკო კლიოს [ასე ფიქრობდა, ალბათ ჩემი მოხუცი მასწავლებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოტა უნდა დავიმორჩილოთ ნერვები და დავივიწყოთ, რომ როგორც კი თამაშში გრძნობები ერთვება, ძალიან ძნელი ხდება მათემატიკური საზომით დროის ერთ ინტერვალში მოაქციო ზღვარი აწმყოსა და წარსულს შორის]. ნუთუ ასე ცდებოდა ჩემი დირექტორი, რომელიც ლანგედოკის ლიცეუმში ჩემი მასწავლებლობის დასაწყისში მაფრთხილებდა: „აქ XIX საუკუნე არც ისე საშიშია, მაგრამ როდესაც რელიგიურ ომებს შეეხებით, ძალიან ფრთხილად იყავით“. მართლაც, ვისაც სამუშაო მაგიდასთან ვერ უპოვია ძალა, რომ დაიცვას ტვინი აწმყოს ვირუსისაგან, მაშინ მას დიდი საფრთხე ემუქრება, რომ ამ ტოქსინებს „ილიადას“ ან „რამაიანას“ კომენტარებშიც კი შეაღწევინოს.

სხვა მეცნიერები, პირიქით, სამართლიანად მიიჩნევენ ადამიანურ აწმყოს მეცნიერული კვლევისათვის სავსებით შესაფერისად. მაგრამ აქ იგულისხმება იმათგან განსხვავებული დისციპლინები, რომელთა კვლევის ობიექტიც წარსულია. ეს მეცნიერები ანალიზს აკეთებენ: მაგალითად, მიიჩნევენ, რომ რამდენიმე ათწლეულზე დაკვირვებით შესაძლებელია თანამედროვე ეკონომიკის გაგება. ერთი სიტყვით, ისინი ეპოქას, რომელშიც ცხოვრობენ, წინა ეპოქებისაგან კონტრასტულად განცალკევებულად განიხილავენ, რაც მათ აიძულებს მისი ახსნა ამავე ეპოქაში ეძებონ. ასეთივეა ბევრი უბრალო ცნობისმოყვარის ინსტინქტური დამოკიდებულება. შედარებით შორეული პერიოდების ისტორია მათ ხიბლავთ, როგორც სულისათვის უწყინარი ფუფუნება. ცალ მხარეს არიან ერთი მუჭა ან-

ტიკვარები, სევდიანი თანაგრძნობით სახვევებს რომ აცლიან მკვდარ ღმერთებს. მეორე მხარეს კი – სოციოლოგები, ეკონომისტები, პუბლიცისტები – ცოცხალთა ერთადერთი მკვლევარები.

უცნაურია, რომ ამ განხეთქილების იდეა სულ ცოტა ხნის წინ დაიბადა. ძველი ბერძენი ისტორიკოსები: ჰეროდოტე, თუკიდიდე, უფრო აქეთ, ჩვენი მეცნიერების ნამდვილი მეტრები, წინამორბედები, რომელთა სახელები ღირსია, რომ ფიგურირებდეს ჩვენი კორპორაციის ყველაზე წმინდა და საპატიო ადგილზე, ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ ნაშუადღევის ასახსნელად შესაძლოა, საკმარისი ყოფილიყო დამატებითი ცოდნა დილის შესახებ. „ის, ვინც შემოიფარგლება მხოლოდ აწმყოთი, დღევანდელობით, ვერ გაიგებს დღევანდელობას“, – წერდა მიშლე მშვენიერი წიგნის – „ხალხის“ დასაწყისში, რომელიც ამავდროულად გაჯერებულია თავისი საუკუნის მგზნებარებით. ჯერ კიდევ ლეიბნიცი ისტორიის მიერ ბოძებულ სიკეთეებს შორის გამოყოფდა „წარსულის მოვლენებში აღმოჩენილ თანამედროვე მოვლენების სათავეებს“, რადგან „რეალობის გაგება ყველაზე უკეთ მისივე მიზეზებით შეიძლება“, – ამატებდა იგი.

მაგრამ ლაიბნიცისა და მიშლეს შემდეგ მნიშვნელოვანი რამ მოხდა: ერთიმეორეს მიყოლებულმა ტექნიკურმა რევოლუციებმა უზომოდ გააფართოვა ფსიქოლოგიური ინტერვალი თაობათა შორის. ელექტრობის და ავიაციის ეპოქის ადამიანი გრძნობს, და ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ძალზე დაშორდა თავის წინაპრებს და სიამოვნებით აკეთებს კატეგორიულ დასკვნებს, რომ ისინი ვეღარ განსაზღვრავენ მის ყოფას. ამას დაუმატეთ ინჟინრული აზროვნებისათვის დამახასიათებელი მოდერნისტული მიდრეკილება. დინამო რომ აამუშაო ან შეაკეთო, განა აუცილებელია მოხუცი ვოლტას გალვანიზმის იდეებში გარკვევა? ამავე ანალოგიით, რაც უეჭველად მცდარია, მაგრამ მაინც წარმოიშობა ტექნიკის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების გონებაში, მათ შეიძლება იფიქრონ, რომ კაცობრიობის დღევანდელი დიდი პრობლემების ასახსნელად და მათ გადასაჭრელად სულაც არ არის საჭირო უწინდელის გაანალიზება. ამ მექანიკის ატმოსფეროთი შეპყრობილი ისტორიკოსების ერთი ნაწილი ანგარიშმიუცემლად, ჯგუფურად იმეორებს: „აწმყოს ასახსნელად ისტორია უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ თანამედროვე პერიოდის შესწავლით.“ ორ მათგანს კი 1899 წელს ამის დაწერისაც არ მოერიდა.

[თუ კარგად ჩავუკვირდებით] აწმყოსათვის ასე დამახასიათებელი თვითშეცნობის პრივილეგია მთელ რიგ უცნაურ პოსტულატებს ეფუძნება.

ჯერ ერთი, მიიჩნევენ, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობებმა ერთი ან ორი თაობის მანძილზე განიცადა არა მხოლოდ სწრაფი, არამედ ტოტალური ცვლილებები. ისე, რომ ვერც ერთი ოდნავ მოძველებული ინსტიტუცია, საქმიანობის ვერც ერთი ტრადიციული სფერო ვერ გაექცეოდა ლაბორატორიების თუ ქარხნების რევოლუციურ გავლენას. ეს იმას ნიშნავს, რომ ავიწყდებათ ინერციის ძალა, რაც ასე დამახასიათებელია სოციალური მიღწევებისათვის. ადამიანი მთელ თავის დროს უთმობს იმ მექანიზმების შექმნას, რომლის ტყვეც, ძალაუნებურად, თვითონვე ხდება. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მოგზაურობისას ვინ არ მოხიბ-

ლულა ველ-მინდვრების უცნაური მოხაზულობით? მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რასაც საუკუნეთა მანძილზე ადგილი ჰქონდა მამულების პირვანდელ სქემაში, ის ვიწრო და წაგრძელებული მიწის ზოლები, რომელიც სახნავს ყოფს აურაცხელ პატარა ნაკვეთებად, დღესაც თავგზას უბნევს აგრონომებს. ენერგიის უაზროდ ფლანგვა, რასაც ამგვარი დანაწილება იწვევს, უხერხულობები, რაც მიწის დამუშავებისას იქმნებოდა – უდავოა. რით აიხსნება ეს ყოველივე? სამოქალაქო კოდექსით და მისი გარდაუვალი შედეგებით, – პასუხობდნენ სულსწრაფი პუბლიცისტები. მოაწესრიგეთ ჩვენი კანონები მემკვიდრეობის შესახებ, – ამატებდნენ ისინი, – და მოისპობა ყოველგვარი გაუგებრობა. მათ რომ უკეთ სცოდნოდათ ისტორია, უკეთ რომ შეესწავლათ გლეხის აზროვნება, რომელიც ჩამოყალიბდა საუკუნეთა მანძილზე პრაქტიკული საქმიანობით, ასე მარტივ ახსნას არ მოუძებნიდნენ ამ საკითხს. მართლაც, ეს ზოლმიწიანობა ისეთ შორეულ წარსულში იწყება, რომ დღემდე ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ შეძლო მისი დამაკმაყოფილებლად ახსნა. ამ საქმეში დოლმენების ეპოქის მხვნელებს მეტი დანაშაული მიუძღვით, ვიდრე პირველი ეპოქისას. აქ მიზეზების არასწორი ახსნა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, აფერხებს სწორ თერაპიას. წარსულის არცოდნა მხოლოდ აწმყოს გაგებას კი არ უშლის ხელს, დღევანდელ საქმიანობასაც აფერხებს. უფრო მეტიც: იმისათვის, რომ საზოგადოება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მთლიანად იქნეს გამოკვლეული და დეტალურად შესწავლილი უახლოესი წარსულის გათვალისწინებით, საკმარისი არ არის ცვლილებებზე სრულყოფილად მორგებული სტრუქტურა. კიდევ საჭიროა, რომ თაობებს შორის ურთიერთობა დამყარდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მწკრივში, ანუ ბავშვებს თავის წინაპრებთან კონტაქტი ჰქონდეთ მხოლოდ მამების საშუალებით.

მაგრამ ასე არ ხდება აბსოლუტურად ზეპირი კომუნიკაციების შემთხვევაშიც კი [შეხედეთ, მაგალითად, ჩვენს სოფლებს]. სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, თითქმის მთელი დღის განმავლობაში დედ-მამა მოცილებულია მცირეწლოვან შვილებს, ამ უკანასკნელთ ძირითადად ბებია-ბაბუა უვლის. ამრიგად, აზროვნების ჩამოყალიბების თითოეულ ეტაპზე ერთი ნაბიჯი იდგმება უკან, რაც ცვლილების მატარებელი თაობის გავლით ყველაზე მოქნილ გონებას ყველაზე მტკიცესთან აკავშირებს [ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ აქედან მოდის, უპირველეს ყოვლისა, ბევრი გლეხური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციონალიზმი. ეს განსაკუთრებით ნათელი შემთხვევაა. იგი ერთადერთი როდია. ბუნებრივი ანტაგონიზმი ძირითადად დამახასიათებელია მომიჯნავე ასაკობრივი ჯგუფებისათვის; ახალგაზრდობა უფრო ხშირად მეტს სწავლობს ხანდაზმულებისაგან, ვიდრე შუახნის ადამიანებისაგან].

მით უმეტეს ააღვილებს აზრების გადაცემას წერილობითი ტექსტი [ზოგჯერ ერთმანეთთან ძალზე დაშორებული თაობებისთვისაც კი], რაც ქმნის ცივილიზაციის უწყვეტობას. ლუთერი, კალვინი, ლოიოლა: ესენი არიან წარსულის ადამიანები, XVI საუკუნის ადამიანები. ისტორიკოსს, რომელსაც სურს გაუგოს მათ და სხვებისთვისაც გახადოს გასაგები, პირველ რიგში, ისინი თავიანთ საკუთარ გა-

რემოში, მათი დროის გონებრივ ატმოსფეროში უნდა მოაქციოს იმ სააზროვნო პრობლემების პირისპირ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენს პრობლემებთან. თუმცა, ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ თანამედროვე სამყაროს ზუსტი აღქმისათვის ჩვენგან ასწლეულებით დაშორებული პროტესტანტული ან კათოლიკური რეფორმის არსში წვდომა ნაკლებ მნიშვნელოვანია, [ვიდრე ჩვენთვის დროში უფრო ახლობელი, მაგრამ უფრო ეფემერული გონებრივი თუ მგრძნობელობითი ცვლილებები]?

შეცდომა აქ, საერთო ჯამში, ნათელია და მის დასაძლევად საკმარისია მისი ფორმულირება. კაცობრიობის ევოლუციური მიმდინარეობა წარმოუდგენიათ, როგორც მოკლე და ძლიერი ბიძგების თანმიმდევრობა, რომელთაგან თითოეული გრძელდება მხოლოდ რამდენიმე ცხოვრების მანძილზე. დაკვირვება, პირიქით, მოწმობს, რომ ამ უსასრულო კონტინიუმში დიდ ბიძგებს თავისუფლად შეუძლია გავრცელება ყველაზე შორეული მოლეკულებიდან ყველაზე ახლომდებარემდე. რა შეიძლება ითქვას იმ გეოფიზიკოსზე, რომელიც დაკმაყოფილდება მირიამეტრების გადათვლით და გადაწყვეტს, რომ მთვარის გავლენა ჩვენს დედამიწაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მზისა? [არც დროში და არც სივრცეში რაიმე ძალის ზეგავლენა მხოლოდ მანძილით არ განისაზღვრება.]

წარსულის მოვლენები, როგორიცაა, მაგალითად, უკვალოდ გამქრალი სარწმუნოებები, ვერშემდგარი სოციალური ფორმები, ყავლგასული ტექნიკა, რომელიც, როგორც ჩანს, ვეღარ მართავს აწმყოს, მხოლოდ ამის გამო შეიძლება ჩავთვალოთ მისი შეცნობისათვის უსარგებლოდ? ეს იქნებოდა იმის დავიწყება, რომ არ არსებობს ნამდვილი ცოდნა გარკვეული შედარებების გარეშე. რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ეს შედარება უნდა ემყარებოდეს განსხვავებულ, თუმცა ამავდროულად მონათესავე რეალობებს. ვერავინ უარყოფს, რომ საქმე სწორედ მსგავს შემთხვევასთან გვაქვს. რასაკვირველია, დღეს უკვე აღარ ვთვლით, როგორც მაკიაველი წერდა და როგორც ჰიუმი და ბონალდი ფიქრობდნენ, რომ დროში „სულ ცოტა ერთი რამ მაინც არის უცვლელი: ეს ადამიანია.“ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადამიანიც ძალიან შეიცვალა: გონებრივადაც და, უეჭველია, თავისი სხეულის ყველაზე ფაქიზი მექანიზმებითაც. სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა? მისი გონებრივი ატმოსფერო სიღრმისეულად გარდაიქმნა. არანაკლებ შეიცვალა მისი ჰიგიენა, კვება. თუმცა რაღაც უნდა არსებობდეს ადამიანის ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებებში ისეთი, რაც მუდმივია, ურომლისოდაც თვით ადამიანთა სახელები და საზოგადოებათა სახელწოდებები არაფრის მთქმელი იქნებოდა. ნუთუ გვჯერა, რომ გავუგებთ ამ ადამიანებს, თუკი შევისწავლით მხოლოდ მათ რეაქციებს დროის ერთი რომელიმე მონაკვეთის კონკრეტულ შემთხვევაში? ეს მცდელობა იმის გასაგებადაც კი არ იქნებოდა საკმარისი, თუ რას წარმოადგენენ ეს ადამიანები ამ მოცემულ მომენტში. ჩრდილში დარჩება დროებით შეუმჩნეველი ბევრი შესაძლებლობა, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეუძლია იჩინოს თავი, ბევრი მამოძრავებელი ძალა, მეტ-ნაკლებად გაუცნობიერებელი, ინდივიდუალური თუ კოლექტიური ქმედებები. ერთჯერადი ექსპერიმენტი ყოველთვის უძლურია,

ამოიცნოს თავისივე შემადგენელი ნაწილები და, აქედან გამომდინარე, უძლურია მოგვაწოდოს საკუთარი ინტერპრეტაცია.

[ეპოქათა ერთიანობა ისეთი ძლიერია, რომ მათ შორის შემეცნებით კავშირებს ორმაგი მნიშვნელობა აქვს. აწმყოს გაუგებ რობა ფატალურად მომდინარეობს წარსულის არცოდნიდან. მაგრამ ალბათ ამაოა ძალ-ღონის ხარჯვა წარსულის გაგებაზე, თუ არაფერი იცი აწმყოს შესახებ]. ერთხელ უკვე გავიხსენე ეს ამბავი: სტოკჰოლმში ანრი პირენს გავყევი. როგორც კი ჩავედით, მითხრა: „პირველად რა ვნახოთ? მგონი სულ ახლახან ქალაქის რატუშა ააშენეს. იმით დავიწყოთ.“ შემდეგ, თოთქოს მიხვდა ჩემს გაოცებას, დაუმატა: „მე რომ ანტიკვარი ვყოფილიყავი, მხოლოდ სიძველეებს ვნახავდი, მაგრამ ისტორიკოსი ვარ, ამიტომაც მიყვარს სიცოცხლე.“ მართლაც, სიცოცხლის აღქმის უნარი არის ისტორიკოსის უმთავრესი თვისება. ნუ მოვტყუვდებით სტილის გარკვეული სიმკაცრით, ჩვენ შორის ყველაზე დიდ პიროვნებებსაც ახასიათებდა ეს: ფიუსტელს თუ მეტლანდს, რომელთა მიდგომაც ყველაზე მკაცრი იყო, არანაკლებ მკაცრი, ვიდრე მიშლესი. შესაძლოა ეს ფერიას საჩუქარია, რომელსაც ვერ შეიძენ, თუ აკვანში არ მიგიღია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას მუდმივი დახვეწა და განვითარება არ სჭირდება. ამის მაგალითს იძლეოდა თვით პირენი დღევანდელობასთან მუდმივი კონტაქტით.

ადამიანური ცხოვრების თრთოლვა, რომელიც წარმოსახვის დიდი ძალისხმევით ძველ ტექსტებში უნდა აღვადგინოთ, სწორედ აქ, დღევანდელობაში აღიქმება უშუალოდ ჩვენი გრძნობებით. ბევრჯერ წამიკითხავს და მომიყოლია ომებისა და ბრძოლების შესახებ. მაგრამ, ნამდვილად ვიცნობდი კი, ამ ზმნის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, მის არსს, სანამ თვითონ არ გამოვცადე ის საშინელი გულზიდვა, რასაც არმიისათვის ალყა და ხალხისათვის დამარცხება წარმოადგენს? სანამ მე თვითონ არ შევისუნთქე გამარჯვების სიხარული 1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე? – იმედი მაქვს, კვლავაც შევივსებ ფილტვებს თავისუფლების ჰაერით, მაგრამ ვაი, რომ მას სხვა სურნელი ექნება! – ნამდვილად ვიცოდი ნეტავ ამ მშვენიერი სიტყვის არსი? სიმართლე რომ ითქვას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყოველთვის ჩვენი ყოველდღიური გამოცდილებიდან ვიღებთ და, სადაც საჭიროა, ახალ ფერებს ვუმატებთ იმ ელემენტებს, რომელიც წარსულის აღდგენაში გვეხმარება. რა აზრი ექნება ჩვენთვის თვით იმ სიტყვებს, რომელსაც ვხმარობთ გარდასული სულიერი მდგომარეობის თუ გამქრალი სოციალური ფორმების დასახასიათებლად, თუკი ჯერ ადამიანთა ცხოვრებას არ დავაკვირდებით? უკეთესი იქნება, თუ ამ ინსტინქტით გაჯერებულ ქმედებას შევცვლით შეგნებული და გაკონტროლებული დაკვირვებით. ვფიქრობ, დიდი მათემატიკოსის სიდიადეს არაფერი მოაკლდება, თუ ამ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობს, თვალახვეული შემოივლის. მაგრამ ერუდიტი, რომელსაც არ აინტერესებს გარე სამყარო, ადამიანები, საგნები და მოვლენები, ალბათ ღირსია, რომ, როგორც პირენი ამბობდა, ანტიკვარი ვუწოდოთ. კარგს იზამს, თუ ისტორიკოსის სახელზე უარს იტყვის.

გარდა ამისა, მხოლოდ ისტორიული მგრძნობელობის გამომუშავებაში არ არის საქმე. ხდება ხოლმე, რომ რაღაც მოცემულ ეტაპზე აწმყოს ცოდნა უფრო პირდაპირ ეხმარება ადამიანს წარსულის გაგებაში.

მართლაც, სერიოზული შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ისტორიკოსების მიერ კვლევაში გამოყენებული თანმიმდევრობა აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს მოვლენების თანმიმდევრობას. ზოგჯერ ისტორიკოსისთვის მომგებიანია თხრობის დაწყება, როგორც მეტლანდი ამბობდა, „უკუღმა," რადგან ყოველგვარი კვლევისთვის ბუნებრივია შედარებით ცნობილიდან უფრო ბუნდოვანზე გადასვლა. თუმცა იგულისხმება, რომ შემდეგ ისტორია თავისი ნამდვილი მიმდინარეობით აღდგება. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით აწმყოს, მით უფრო ნათელია დოკუმენტალური მასალა. ჩვენ გაცილებით ნაკლები ვიცით ჩვ.წ.აღ.-ის X საუკუნის მოვლენებზე, ვიდრე, მაგალითად, კეისრის ან ავგუსტუსის ეპოქაზე. უმეტეს შემთხვევაში, ჩვენთან უფრო ახლოს მყოფი პერიოდები ემთხვევა შედარებით შესწავლილ მონაკვეთებს. დაუმატეთ ისიც, რომ შორეულიდან ახლობელ ეპოქაზე მექანიკური გადასვლისას დროის დაკარგვის საფრთხე გვექმნება იმ ფენომენის საწყისის ან მიზეზების ძებნაში, რომელიც სინამდვილეში შეიძლება წარმოსახვის ნაყოფი იყოს. ჩვენ შორის ყველაზე ცნობილებიც კი უშვებდნენ ზოგჯერ უცნაურ შეცდომებს, როდესაც უარს ამბობდნენ ფრთხილი რეგრესული მეთოდის გამოყენებაზე იქ, სადაც ეს საჭირო იყო. ფიუსტელ დე კულანჟმა ყურადღება გადაიტანა ფეოდალური ინსტიტუციების „სათავეებზე," რომელზეც, ჩემი აზრით, მას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და ბატონყმობის ჩანასახს, რომლის წყაროებსაც მეორე ხელიდან გაეცნო, სრულიად ყალბ ფერებში ხედავდა.

არც ისე იშვიათად, როგორც ფიქრობენ, საქმის ნათელსაყოფად, დღევანდლობამდე უნდა მივყვეთ მას. როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენი სოფლის პეიზაჟის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები ძალიან შორეულ ეპოქაში ჩამოყალიბდა. მაგრამ იმ იშვიათი დოკუმენტების განმარტებისათვის, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შევაღწიოთ ამ ბნელით მოცულ გენეზისში, პრობლემის სწორად დასასმელად და მასზე წარმოდგენის შესაქმნელად, უნდა შესრულდეს პირველი პირობა: დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ დღევანდელი პეიზაჟი, რადგან მხოლოდ ის იძლევა მთლიანის პერსპექტივას, რომელიც კვლევის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. მაგრამ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთხელ ჩამოყალიბებული ეს სურათი უცვლელი სახით მიესადაგება ყველა ეტაპს, ქვედა პერიოდიდან დასაწყისამდე. აქ, ისევე, როგორც სხვაგან, ისტორიკოსს სურს დაინახოს ცვლილება, მაგრამ ფილმში, რომელსაც იგი უყურებს, მხოლოდ ბოლო კადრებია მთელი. დაზიანებული კადრების აღსადგენად, პირველ რიგში, საჭიროა ფირის უკან დატრიალება.

მაშასადამე, ადამიანის შესახებ დროში არსებობს ერთადერთი მეცნიერება, რომელშიც მუდმივად ერთმანეთს უკავშირდება ცოცხლებისა და გარდაცვლილების კვლევა. რა ვუწოდოთ მას? მე უკვე ვთქვი, თუ რატომ მეჩვენება ძველი სახელწოდება ისტორია ყველაზე უფრო ტევადი, ნაკლებ შეზღუდული, ყველაზე

მეტად დატვირთული მრავალი საუკუნის ამაღელვებელი მოგონებებით, აქედან გამომდინარე – საუკეთესო. როდესაც გთავაზობთ, რომ ზოგიერთი ცრურწმენის მიუხედავად, რომელიც მასზე ნაკლები ხნისაა, ეს სახელი მოიცავდეს პერიოდს დღევანდლობამდე, ამით სულაც არ ვცდილობ – ნუთუ საჭიროა თავის მართლება? – ვიწრო კორპორაციული მოთხოვნების წამოყენებას. ცხოვრება მეტის-მეტად ხანმოკლეა, ხოლო ცოდნის შეძენა – მეტისმეტად ხანგრძლივი პროცესი, იმისათვის, რომ რაგინდ გენიოსი იყო, მთლიანად აითვისო კაცობრიობის მონაპოვარი. თანამედროვეობას ყოველთვის ეყოლება თავისი სპეციალისტები, ისე, როგორც ქვის ხანას ან ეგვიპტოლოგიას. ერთსაც და მეორესაც უბრალოდ უნდა ახსოვდეს, რომ ისტორიულ კვლევებს ავტარკია არ სჭირს. დამოუკიდებლად ვერც ერთი მათგანი სრულყოფილად ვერაფერს გაარკვევს თვით თავის სფეროშიც კი. ერთადერთი ნამდვილი ისტორია, რომელიც მხოლოდ ურთიერთდახმარებით იქმნება, არის მსოფლიო ისტორია.

თუმცა მეცნიერება არ განისაზღვრება მხოლოდ თავისი საგნით. ამდენად, მისი საზღვრები შეიძლება დადგენილ იქნას თვით მისი კვლევის მეთოდების ბუნებიდან გამომდინარე. ისღა დაგვრჩენია, რომ დავსვათ შეკითხვა: იმისდა მიხედვით, ვუახლოვდებით თუ ვშორდებით აწმყოს, კვლევის ტექნიკა უნდა იყოს თუ არა არსებითად განსხვავებული? ეს გახლავთ სწორედ ისტორიული დაკვირვების პრობლემა.

[...]

თავი მეოთხე
ისტორიული ანალიზი

განსჯა თუ გაგება

მოხუცი რანკეს ცნობილი ფორმულის მიხედვით: ისტორიკოსის ამოცანაა, აღწეროს მხოლოდ ისტორიული ამბავი „ისე, როგორც მოხდა, wie es eidenthich dewesen." ჰეროდოტემ ეს მასზე ადრე თქვა: „ta eonta legein – იმის მოყოლა, რაც იყო." სხვა სიტყვებით, მეცნიერი ფაქტებს უნდა დაემორჩილოს. ეს ნააზრევი, როგორც ბევრი სხვა, ალბათ, თავისი ორაზროვნების გამო გახდა ცნობილი. მასში შეიძლება, უბრალოდ, ამოვიკითხოთ რჩევა – ვიყოთ პატიოსანი. და არავინ დაეჭვდება, რომ რინკემ ასეთი აზრი ჩადო მასში. აგრეთვე, პასიურობის რჩევა. ჩვენ წინაშე ერთბაშად ორი პრობლემა წამოიჭრება: ისტორიული მიუკერძოებლობისა და ისტორიული მეცნიერების, როგორც ისტორიის შექმნის ან ანალიზის მცდელობისა.

მაგრამ არსებობს კი მიუკერძოებლობის პრობლემა? იგი მხოლოდ იმიტომ წარმოიშობა, რომ, ეს სიტყვა თვითონ არის ორაზროვანი. ორი სხვადასხვა ხერხი არსებობს, იყო მიუკერძოებელი, როგორც მეცნიერი და როგორც მოსამართლე.

მათ საერთო საფუძველი აქვთ, ეს არის ჭეშმარიტების პატიოსანი მორჩილება. მეცნიერი უფრო უკეთ აღნიშნავს მაპროვოცირებელ ფაქტებს, რომლებმაც შესაძლებელია მისთვის ყველაზე ძვირფასი თეორიებიც კი უარყონ. პატიოსანი მოსამართლე, როგორიც უნდა იყოს მისი საიდუმლო სურვილი, მოწმეებს იმის გამო დაკითხავს, რომ ცრული უტყუარობით მეცნიერისთვისაც და მოსამართლისთვისაც, ორივესთვის, ეს სინდისის მოვალეობაა, რომელზეც არ დავობენ.

მაინც, დგება მომენტი, როდესაც მათი გზები იყრება: როდესაც მეცნიერი დაკვირვების შედეგად განმარტავს, რომ მისი ამოცანა შესრულდა, მოსამართლეს განაჩენი რჩება გამოსატანი. და თუ მას პირადი სიმპათიები გაუჩნდება და მაინც კანონის მიხედვით გამოიტანს განაჩენს, თავს მიუკერძოებლად ჩათვლის. ეს მართლაც ასე იქნება, ოღონდ მოსამართლეების და არა მეცნიერების აზრით – რადგან შეუძლებელია დასაჯო ან უდანაშაულოდ აღიარო ისე, რომ არ დაეყრდნო რომელიმე დადებითი მეცნიერებისაგან დამოუკიდებელ ღირებულებათა რაღაც სკალას. ერთმა ადამიანმა რომ მეორე მოკლა, ეს ფაქტია, რომლის დამტკიცებაც ძალიან კარგად შეიძლება. მაგრამ მკვლელი რომ დასაჯო, უნდა დაეყრდნო თეზისს – მკვლელობა დანაშაულია, მაგრამ თავისი არსით ეს მხოლოდ აზრია, რომელთან დაკავშირებითაც ყველა ცივილიზაცია ერთსულოვანი არ ყოფილა.

ამგვარად, დიდი ხნიდან ისტორიკოსი მიწისქვეშა სამეფოს ერთგვარი მოსამართლეა, რომლის მოვალეობაა აქოს ან სამარცხვინო დაღი დაასვას მკვდარ გმირებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მისია პასუხობს მტკიცედ ფესვგადგმულ ცრურწმენას. ყველა მასწავლებელმა, რომელიც სტუდენტთა ნაწერებს ასწორებს, იცის, რა ძნელია ახალგაზრდები დაარწმუნო, რომ მათ თავიანთი მერხების სიმაღლიდან არ გაითამაშონ მინორის ან ოსირისის როლი. აქ განსაკუთრებით მართებულია პასკალის შენიშვნა: „ყველა განასახიერებს ღმერთს იმ დროს, როდესაც განიკითხავს: ეს კარგია, ეს კი – ცუდი“. ამასთან ავიწყდებათ, რომ ფასეულობათა განსჯა გამართლებულია მხოლოდ, როგორც მზადება ქმედებისათვის და მას აზრი აქვს მხოლოდ შეგნებულად მიღებული ზნეობრივი რეკომენდაციის სისტემასთან კავშირში. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენი ქცევის განსაზღვრის საჭიროება, იძულებულს გვხდის, ჩვეულებრივად, საკმაოდ ზერელე იარლიყი მივიკრათ. იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე ძალა აღარ შეგვწევს, რაიმე შევცვალოთ, და საყოველთაოდ მიღებული იდეალები ძირ-ფესვიანად განსხვავდება ჩვენი საკუთარი იდეალებისაგან, ეს ჩვევა მხოლოდ ხელისშემშლელია. საკმაოდ ვართ დარწმუნებული საკუთარ თავსა და დროში, რომ ჩვენი წინაპრების დასიდან მართალნი და განკიცხულნი გამოვყოთ? სისულელე არ არის, აბსოლუტამდე აიყვანო ინდივიდთან, პარტიასთან ან თაობასთან დაკავშირებული კრიტერიუმები და ამით შეურაცხყოფა მიაყენო ნორმების იმ სახეობას, რომლითაც სულა მართავს რომს და რიშელიე – ძალიან უქრისტიანესი მეფის გენერალურ შტაბს? თავისი ბუნებით იმაზე უფრო ცვალებადი არაფერია, ვიდრე მსგავსი განაჩენები, რომლებიც ადვილად ექვემდებარება კოლექტიურ ცნობიერებას ან პიროვნულ ახირებას. და ისტორიამ, რომელიც ძალიან ხშირად უპირატესობას ანიჭებს

ლაბორატორიის ბლოკნოტის ლაურეატთა სიას, ყველაზე უფრო არაზუსტი დისციპლინის იერი შეიძინა: დაუმტკიცებელი ბრალდებანი ერთბაშად უაზრო რეაბილიტაციებით იცვლება. რობესპიერის მომხრეებო, რობესპიერის მოწინააღმდეგეებო, გთხოვთ წყალობას: გვითხარით, ღმერთმანი, უბრალოდ, როგორი იყო რობესპიერი?

და კიდევ, განაჩენი რომ მხოლოდ ახსნას მოსდევდეს, მაშინ მკითხველი მას ერთი გადაფურცვლით ადვილად გამოტოვებდა. საუბედუროდ, განსჯის ჩვეულება, ბოლოს და ბოლოს, ახსნის სურვილს კლავს. როდესაც წარსული ვნებების ანარეკლები ამჟამინდელ მიკერძოებულობასთან ირევა, რეალური ადამიანური ცხოვრება შავ-თეთრ სურათად გარდაიქმნება. მონტენმა ამაზე უკვე გაგვაფრთხილა: „როდესაც მსჯელობა ერთ მხარეს გეწევა, შეუძლებელია, არ გადაიხარო და თხრობა არ დაახინჯო“. იმისათვის, რომ შეაღწიო უცხო ცნობიერებაში, რომელიც ჩვენგან თაობებით არის დაშორებული, საჭიროა, თითქმის მთლიანად გათავისუფლდე საკუთარი „მე“-სგან. მაგრამ, იმისათვის, რომ ამ ცნობიერებას საკუთარი შტრიხები მიაწერო, სავსებით შესაძლებელია, დარჩე საკუთარ „მე“-დ. რასაკვირველია, ძალისხმევა ნაკლებად დამქანცველი იქნება. რამდენად ადვილია, იყო ლუთერის მომხრე ან მოწინააღმდეგე, ვიდრე მის სულში ჩაწვდომა. რამდენად ადვილია ირწმუნო პაპ გრიგორ VII-ის სიტყვები, იმპერატორ ჰენრიხ IV-ის, ან ჰენრიხ IV სიტყვების პაპ გრიგორ VII-ის შესახებ, ვიდრე დასავლეთის ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი დრამის ძირეული მიზეზების გარკვევა! მოვიყვან მაგალითის სახით – უკვე არა პიროვნული, არამედ ეროვნული ქონების საკითხს: რევოლუციურმა მთავრობამ შეწყვიტა ადრინდელი კანონმდებლობა და გადაწყვიტა ეროვნული ქონება გაეყიდა ნაწილ-ნაწილად და უაუქციონოდ, რაც, უეჭველია, სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ხაზინას. უკვე ჩვენი დროის ზოგიერთი სწავლული ამხედრდა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. როგორი გამბედაობა იქნებოდა, ისინი რომ კონვენტს დასწრებოდნენ და იქ გაებედათ ასეთი ტონით ლაპარაკი! გილიოტინიდან შორს, ასეთი აბსოლუტურად უსაფრთხო გულადობა მხოლოდ სასაცილოა. უკეთესი იქნებოდა, გამოერკვიათ, სინამდვილეში რა სურდათ მე-3 წლეულის ადამიანებს. პირველ რიგში, მათ სურდათ, რომ წვრილ გლეხობას შემსუბუქებოდა მიწის გამოყენება. ბიუჯეტის ბალანსზე მეტად ისინი ღარიბი გლეხების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრობდნენ, რაც ახალ წესწყობილებაში მათი ერთგულების გარანტია იქნებოდა. ცდებოდნენ ეს მოღვაწენი თუ მართალნი იყვნენ? აქ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს რომელიმე ისტორიკოსის დაგვიანებულ დასკვნას! ერთადერთი, რასაც ჩვენ მისგან ვითხოვთ, არის შემდეგი: არ მოინუსხოს საკუთარი აზრით იმდენად, რომ ვეღარ წარმოიდგინოს წარსულში სხვა გადაწყვეტილება. კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების გაკვეთილი ნათელია: მეცნიერება ყოველთვის იმდენად ნაყოფიერი ჩანდა და შემდეგ იმდენად გამოსაყენებელი, რომ ის, პრაქტიკულად, შეგნებულად შორდებოდა ძველ ანთროპოცენტრიზმს კეთილისა და ბოროტის გაგებაში. დღეს უეჭველად დავცინებდით იმ ქიმიკოსს, რომელსაც აზრად არ მოუვიდოდა განე-

ცალკევებინა ბოროტი და კეთილი აირები – ქლორისა და ჟანგბადის სახით. და ქიმიას თავისი განვითარების დასაწყისში ასეთი კლასიფიკაცია რომ მიეღო, ამით შემოიფარგლებოდა და პრაქტიკულად ვერაფერს მიაღწევდა ნივთიერებების შესწავლის საქმეში. მაინც თავი შევიკავოთ, ამ ანალოგიებში ჩაღრმავებისაგან. ადამიანის შესახებ მეცნიერების ტერმინოლოგიას ყოველთვის თავისი განსაკუთრებული შტრიხები ექნება. ფიზიკური მოვლენების შემსწავლელი მეცნიერების ტერმინოლოგია გამორიცხავს ფინალიზმს, რომელიც დაკავშირებულია მიზანმიმართულებასთან. წარმატების ან მარცხის, მოუხერხებლობის ან მოხერხებულობის გამომსახველი სიტყვები იქ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვიხმაროთ და ყოველთვის დიდი სიფრთხილით. სამაგიეროდ, ისინი ისტორიის ნორმალურ ლექსიკას ეკუთვნის, რადგან ისტორიას საქმე აქვს არსებებთან, რომლებსაც ბუნებით მიენიჭათ უნარი, დაისახონ მიზანი და შეგნებულად ისწრაფონ მისი განხორციელებისათვის.

ბუნებრივია, რომ ჯარების სარდალი, რომელიც ბრძოლაში ჩაებმება, ჩვეულებრივ, ცდილობს მის მოგებას. დამარცხების შემთხვევაში, თუ ძალები ორივე მხარეს თანასწორი იყო, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მან ბრძოლას ცუდად უხელმძღვანელა. და თუ გავიგებთ, რომ ასეთი დამარცხება მისთვის პირველი არ იყო? ჩვენ ნამდვილად არ შევცოდავთ, თუ ფაქტს პატიოსნად შევაფასებთ და გავაკეთებთ დასკვნას, რომ ეს სარდალი კარგი სტრატეგი ვერ არის. ან კიდევ, მაგალითად, ავიღოთ ფულადი რეფორმა. როგორც მე ვფიქრობ, მისი მიზანი იყო მევალეების მდგომარეობის გაუმჯობესება სესხის გამცემის ხარჯზე. თუ ამას მივიჩნევდით შესანიშნავ ან ძალიან ცუდ ღონისძიებად, ჩვენ ამ ორი ჯგუფიდან ერთ-ერთის მხარეს დავდგებოდით, შემდეგ ხალხის კეთილდღეობაზე ჩვენს სუბიექტურ წარმოდგენას თვითნებურად წარსულში გადავიტანდით. წარმოვიდგინოთ, რომ ოპერაციამ, რომელიც სესხების ტვირთის შესამსუბუქებლად ჩატარდა, სინამდვილეში – ეს ზუსტად არის დადგენილი – რაღაც მიზეზების გამო საწინააღმდეგო შედეგი მოგვცა. „კრახი განიცადა“ – ვიტყვით და ეს იქნება სინამდვილის მხოლოდ პატიოსანი კონსტატაცია. წარუმატებელი აქტი – ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ადამიანურ ევოლუციაში, ისე როგორც მთელ ფსიქოლოგიაში.

უფრო მეტიც, რა იქნება, თუ ჩვენ უცბად აღმოვაჩენთ, რომ ჩვენმა გენერალმა შეგნებულად წაიყვანა არმია დასამარცხებლად? მაშინ უყოყმანოდ განვაცხადებთ,რომ მან ღალატი ჩაიდინა. რადგან, უბრალოდ, საგანს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ისტორიის მხრიდან, ეს იქნებოდა მეტისმეტი პედანტური წესიერებით უკუგდება, მარტივი და არაორაზროვანი ყოველდღიური ლექსიკის გამოყენებაზე უარის თქმა. შემდეგ გამოსარკვევი დარჩება კიდევ, თუ როგორ ფასდებოდა მსგავსი საქციელი იმ დროის საყოველთაოდ მიღებული მორალის მიხედვით. ღალატი ხანდახან შესაძლებელია თავისებური კეთილგონიერება აღმოჩნდეს – ამის მაგალითია ძველი იტალიის კონდოტიერები.

მოკლედ, ჩვენს შრომებში მეფობს და ყველაფერს ანათებს ერთი სიტყვა – „გაგება“. არ უნდა ვიფიქროთ, რომ კარგი ისტორიკოსი თავისუფალია ვნე-

ბებისაგან – მას უკიდურეს შემთხვევაში, აქვს ჟინი – თქვას მართალი სიტყვა, სიძნელეებით, მაგრამ, ამავდროულად, იმედებით დამძიმებული, განსაკუთრებით მეგობრული სიყვარულით დატვირთული. მოქმედების დროსაც კი ჩვენ ძალიან ხშირად მსჯავრს ვადებთ. ადვილია დაიყვირო: „სახრჩობელაზე“. ჩვენ ყოველთვის არასაკმარისად ვიგებთ. ყველა, ვინც ჩვენგან განსხვავდება – უცხოელი, პოლიტიკური მეტოქე – თითქმის ყოველთვის აუცილებლად მოსულელო ადამიანად ითვლება. ჩვენ გვჭირდება ადამიანის სულის ღრმად ჩაწვდომა თუნდაც იმიტომ, რომ გარდაუვალი ბრძოლები კარგად წარვმართოთ და სანამ ამის დროა, ისინი თავიდან ავიცილოთ – იმ პირობით, რომ ისტორია უარს იტყვის მთავარანგელოზის დამსჯელ ჩვევებზე და შეძლებს, დაგვეხმაროს ამ ნაკლისაგან განკურნებაში. ისტორია ხომ კაცობრიობის ვრცელი და სხვადასხვაგვარი გამოცდილებაა, ადამიანთა შეხვედრებია საუკუნეების განმავლობაში. და თუ ეს შეხვედრა მეგობრული იქნება, მეცნიერება და ცხოვრება ფასდაუდებელ სარგებელს მიღებენ.

2. ადამიანური ფაქტების ნაირსახეობიდან შეგნების ერთიანობამდე

გაგებისაკენ მისწრაფებას მაინც არაფერი აქვს საერთო პასიურობასთან. მეცნიერული საქმიანობისათვის ყოველთვის საჭირო იქნება ორი რამ – საგანი და ადამიანი. ადამიანური სამყაროს სინამდვილე, ისევე, როგორც ფიზიკური სამყაროსი, უზარმაზარი და ჭრელია. შეუძლებელი იქნებოდა გარკვევა მის უბრალო ფოტოგრაფულ გამოსახულებაში მაშინაც კი, თუ დავუკვირდებით, რომ ამგვარ ყოვლისმომცველ მექანიკურ ასახვას აზრი გააჩნია: ჩვენ გვეტყვიან, რომ წარსულსა და ჩვენ შორის, პირველი ფილტრის სახით დოკუმენტები გამოდის. დიახ, მხოლოდ, ისინი ხშირად იმას არ ფილტრავენ, რაც საჭიროა. და პირიქით, თითქმის არასოდეს აწესრიგებენ მასალას შემეცნებისაკენ მსწრაფი გონების მოთხოვნილების შესაბამისად. როგორც სწავლული და როგორც მთელი ტვინი, რომელიც უბრალოდ აღიქვამს, ისტორიკოსი არჩევს და ახარისხებს. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი ანალიზს აკეთებს.

ჩემ თვალწინ რომაული ეპიტაფიაა: ტექსტის შინაარსის მიხედვით ერთიანი და მთლიანი. მაგრამ დოკუმენტთა ჩვენებების რაოდენი სხვადასხვაობა იმალება მასში, რომელიც სწავლულის ჯოხის შეხებას ელის! ენა გვაინტერესებს? – ლექსიკა და სინტაქსი მოგვითხრობს ლათინური ენის მდგომარეობაზე, რომელზეც იმ დროს და განსაზღვრულ ადგილას ცდილობდნენ წერას. ამ არც მთლად სწორ და მკაცრ ენაში ჩვენ გამოვავლენთ ზეპირმეტყველების ზოგიერთ თავისებურებას. იქნებ მეტ უპირატესობას სარწმუნოებებს ვანიჭებთ? – ჩვენ წინაშეა საიქიო ცხოვრების იმედების ნათელი გამოხატვა. პოლიტიკური ცხოვრება გვაინტერესებს? – უდიდესი სიხარულით წავიკითხავთ იმპერატორის სახელს, მისი მმართველობის თარიღს. ეკონომიკა? – შესაძლებელია, რომ ეპიტაფიამ გამოავლინოს ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ხელობა და ა. შ.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ არა ერთი განცალკევებული დოკუმენტი, არამედ სხვადასხვა დოკუმენტის უმრავლესობა გვამცნობს რომელიღაც მომენტის შესახებ ცივილიზაციის ისტორიაში. ადამიანები, რომლებიც იმ დროს ცხოვრობდნენ, თითოეული, ერთსა და იმავე დროს, ადამიანური საქმიანობის მრავალ სფეროში მონაწილეობდნენ: ის ლაპარაკობდა და გარშემომყოფნი უსმენდნენ, ის ლოცულობდა, იყო მწარმოებელი, ვაჭარი ან მომხმარებელი, შეიძლება პოლიტიკურ მოვლენებში არავითარ როლს არ ასრულებდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, განსჯიდა მათ ზეგავლენას. აღვწერთ ჩვენ თუ არა ყველა ამ ქმედების სხვადასხვა სახეს შერჩევისა და ფაქტების დაჯგუფების გარეშე იმ ქაოსურ გადაადგილებაში, როგორსაც თითოეული დოკუმენტი და პირადი ან კოლექტიური ცხოვრება წარმოგვიდგენს? ეს იქნებოდა სიცხადის შეწირვა არა ნამდვილი რეალობისათვის, რომელიც ბუნებრივი მსგავსებითა და ღრმა კავშირებით იქმნება, არამედ სინქრონულ მოვლენათა სუფთა შინაგანი წესრიგისათვის. ჩატარებული ექსპერიმენტების ანგარიში არ არის დღიური, რომელშიც წუთი წუთზე დაფიქსირებულია თუ რა ხდება ლაბორატორიაში.

მართლაც, კაცობრიობის ევოლუციის გზაზე, როცა ჩვენ ვფიქრობთ განსხვავებული ფენომენები დავაჯგუფოდ ნატესაობის ნიშნით, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს, რომ ყოველი ამგვარად გამოყოფილი ინსტიტუციური ტიპი, სარწმუნოება, პრაქტიკული მოღვაწეობა და მოვლენაც კი თითქოს გამოხატავს განსაკუთრებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ რამდენადმე მტკიცე ტენდენციებს ინდივიდის ან საზოგადოების ცხოვრებაში. მაგალითად, შეიძლება უარვყოთ, რომ ყველა განსხვავების მიუხედავად, რელიგიურ ემოციებში რაღაც საერთოა? აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ, ადამიანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფაქტი, ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ ასეთი სახის სხვა ფაქტები ჩვენთვის უკვე ცნობილია. ფეოდალიზმის საწყის ეტაპზე ფული ასეულთა საზომის როლს უფრო ასრულებდა, ვიდრე გადახდის საშუალებისა, რაც არსებითად განსხვავდება დასავლეთის ეკონომიკის მიერ დაახლოებით 1850 წელს დადგენილი ნორმისაგან. თავის მხრივ, არანაკლებ მკვეთრი განსხვავებაა მე-19 საუკუნის შუა წლებისა და ჩვენს ფულად სისტემებს შორის. და მაინც, სწავლულს, რომელსაც საქმე აქვს მხოლოდ იმ მონეტებთან, რომლებიც დაახლოებით 1000 წელს მოქმედებდა, საეჭვოა, რომ თავისუფლად განესაზღვრა მისი მოხმარების თავისებურება. ეს სწორედ ის არის, რაც ამართლებს ზოგიერთ, ერთგვარად ვერტიკალურ სპეციალიზაციას: საფიქრებელია, რომ ყველაზე მცირე მნიშვნელობით, რომელშიც კი შეიძლება არსებობდეს ასეთი სპეციალიზაცია კანონიერად, როგორც საშუალება, რომელიც ავსებს ჩვენი აზროვნების არასაკმარის სიდიდესა და ადამიანის ცხოვრების ხანმოკლეობას.

უფრო მეტიც, ჩვენთვის დაუმუშავებლად გადმოცემული მასალის გონივრულად მოწესრიგების უგულებელყოფა, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს მხოლოდ დროის და შემდეგ ისტორიის უარყოფამდეც. შევძლებთ კი გავიგოთ ლათინური ენის მდგომარეობა მოცემულ სტადიაში, თუ მას ამ ენის ადრეულ განვითარებას

ჩამოვაშორებთ? ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ საკუთრების გარკვეული სტრუქტურა, ან ესა თუ ის სარწმუნოება, ნამდვილად არ წარმოადგენენ აბსოლუტურ საწყისებს. შესაბამისად, ადამიანური ცხოვრების ფენომენთა შესწავლა ხდება უფრო ძველიდან ამჟამინდლამდე და ისინი, უპირველესად, მსგავსი ფენომენების ჯაჭვში ერთვებიან. სახეობების მიხედვით მათი კლასიფიკაციის შედეგად, ჩვენ დიდი მნიშვნელობის მქონე ძალწირებს ვაშიშვლებთ.

მაგრამ, ზოგიერთები შეგვეკამათებიან, რომ წირები, რომლებსაც თქვენ ადამიანური საქმიანობის სხვდასხვა სახეობას შორის ავლებთ, მხოლოდ თქვენს გონებაშია და არ არსებობს სინამდვილეში, სადაც ყველაფერი ერთმანეთშია არეული. მაშასადამე, თქვენ „აბსტრაქციით“ სარგებლობთო. გეთანხმებით. რატომ უნდა გვეშინოდეს სიტყვებისა? ვერც ერთი მეცნიერება ვერ გათავისუფლდება აბსტრაქციისაგან, ისევე, როგორც წარმოსახვისაგან. აღსანიშნავია, სიტყვამ მოიტანა, რომ იგივე ადამიანები, რომლებიც პირველის განდევნას ცდილობენ, როგორც წესი, მეორესაც ისევე მტრულად ეპყრობიან. ეს ერთი და იმავე ცუდად გაგებული პოზიტივიზმის ორი ასპექტია. მეცნიერება ადამიანის შესახებ გამონაკლისი არ არის. ფრანსუა სიმიანდი ამას წინათ ენერგიულად ამხედრდა „ნორმალისტური ხუმრობების“ წინააღმდეგ, რომლებისთვისაც „განსაკუთრებული უპირატესობის“ მინიჭება სურდათ. უკიდურესი რეალიზმის მნიშვნელობით, შეიძლება თუ არა ქლოროფილის ფუნქცია ჩაითვალოს უფრო „რეალურად“, ვიდრე მოცემული ეკონომიკური ფუნქცია?

ჩვენ მხოლოდ ფაქტების სათანადოდ დაჯგუფების მოთხოვნის უფლება გვაქვს. დამღუპველი სწორედ თვითნებური კლასიფიკაციაა. ხოლო ისტორიკოსის ვალია, კვლავ და კვლავ შეამოწმოს და დახვეწოს საკუთარი კლასიფიკაციები, რომელთაც მუდმივად ცვალებადი ხასიათი აქვთ.

ახლა მაგალითისათვის განვიხილოთ საგანი, რომელსაც საზოგადოდ „სამართლის ისტორია“ ეწოდება. ლექციების კურსმა თუ სახელმძღვანელოებმა, როგორც სკლეროზის გამოწვევის „საუკეთესო საშუალებებმა“, ამ სიტყვების მნიშვნელობა საბოლოოდ გაცვითა და გააუბრალოა. თუმცა, აბა ვნახოთ, სინამდვილეში რას გულისხმობს ეს გამოთქმა. ოფიციალური სამართალი ადგენს და აკანონებს გარკვეულ რეგლამენტაციას, რომელიც თავისთავად ერთგვარი სოციალური ნორმაა და თანაც აშკარად იმპერატიულ ხასიათს ატარებს იმიტომ, რომ ხელისუფლების მიერაა სანქცირებული. ხოლო ხელისუფლება კი ის ძალაა, რომელიც იძულებისა და დასჯის კარგად გააზრებული სისტემის საშუალებით დადგენილი ნორმებისადმი მორჩილებას ყველას თავს ახვევს. კანონმდებლობის ამგვარი სისტემით პრაქტიკულად ნებისმიერი და თუნდაც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული საქმიანობის მართვაა შესაძლებელი. თუმცა გავიხსენოთ, რომ ოფიციალურ სამართლებრივ მითითებებთან ერთად, არსებობს მორალური, პროფესიული ან თუნდაც საზოგადოებრივი იმპერატივები, რომელთა შესახებ ოფიციალური კოდექსი დუმს. მაგრამ ჩვენ ამ იმპერატივებს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამუდმებით ვაწყდებით და ვემორჩილებით კიდეც. თუ სამართლის მიერ

დადგენილი კოდექსის საზღვრები გარემოებათა გათვალისწინებით განუწყვეტლივ მერყეობს და იცვლება, საზოგადოების მიერ აღიარებული იმპერატივები უცვლელია, იმის მიუხედავად, იზიარებს თუ არა კანონი მათ.

მაშ ასე, სამართალი ამ სიტყვის ყველაზე ზუსტი გაგებით, ყოფილა ერთგვარი ფორმალური გარსი, ხოლო ამ გარსში გახვეული რეალობები იმდენად განსხვავებული და მრავალფეროვანია, რომ მათი ცალ-ცალკე კვლევა არაგონივრულია, რადგან სამართალი სრულად ვერც ერთ მათგანს ვერ მოიცავს. მაგალითისათვის განვიხილოთ ოჯახი: თანამედროვე არასტაბილური წყვილი იქნება ეს თუ მრავალრიცხოვანი, გრძნობებითა და საერთო ინტერესებით მტკიცედ შეკრული ერთობა, ანუ შუა საუკუნეების გვაროვნული ოჯახი. განა საოჯახო სამართლის კოდექსის კანონთა თვით ყველაზე გრძელი ნუსხაც კი მოახერხებს, რომ მათ ოჯახურ წიაღში ბოლომდე შეაღწიოს? თუმცა, როგორც ჩანს, ოდესღაც სჯეროდათ, რომ ეს სრულიად შესაძლებელია და ალბათ სწორედ ამ მცდარი მიდგომის სავალალო შედეგია, რომ დღეს ფრანგული ოჯახის შინაგანი ევოლუციის დადგენაც კი გვიჭირს.

სამართლებრივ ფაქტს, მართალია, სხვა ფაქტებისაგან სრულიად განსხვავებული, განყენებული ხასიათი აქვს, მაგრამ უდავოდ რაღაც რეალურად არსებულსა და ზუსტს უნდა ასახავდეს. ასე მაგალითად, ბევრ საზოგადოებაში სამართლებრივი ნორმების დადგენა და, შესაბამისად, მათი შემუშავება ამ დარგში მეტ-ნაკლებად დახელოვნებული ადამიანების გარკვეულ ჯგუფს ევალებოდა (რასაკვირველია, ჯგუფის წევრები ამ მოვალეობას სხვა სოციალურ ფუნქციებს უთავსებდნენ). კანონშემომქმედთა ჯგუფს საკმარისი ავტონომია და, რა თქმა უნდა, საკუთარი ტრადიციებიც გააჩნდა, რაც, თავის მხრივ, მათი აზროვნების თავისებურებასაც განაპირობებდა. აქედან გამომდინარე, „სამართლის ისტორია“ დამოუკიდებლად მხოლოდ „იურისტთა ისტორიის“ სახით თუ იარსებებდა, რაც, თავისთავად, ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე ცალკე აღებული სფეროსთვის არსებობის, არცთუ მიუღებელი ფორმაა. ამგვარად გაგებული ისტორია საერთო ადამიანური ქმედებით გამოწვეულ სულ სხვადასხვა მოვლენებს განიხილავს და მათ ფარგლებში შეიძლება მრავლისმთქმელიც კი იყოს, მაგრამ ეს განმარტებები არასრულია და რეალობის შესახებ მხოლოდ გარკვეულ შეხედულებას გვაწვდის..

დისციპლინა, რომელსაც, ჩვეულებრივ, „ადამიანთა გეოგრაფიას“ ვუწოდებთ, სულ სხვა ტიპის დაყოფას გვთავაზობს. აქ თვალთახედვის კუთხე ჯგუფის გონებრივი ქმედებით არ განისაზღვრება, როგორც ეს სამართლის ისტორიის შემთხვევაშია (თუმცა თვითონ მას ამაზე წარმოდგენაც არა აქვს). „ადამიანთა გეოგრაფია“ არც ადამიანური ფაქტის სპეციფიკურ ბუნებას მიმართავს რელიგიის ისტორიის მსგავსად, რომლის ინტერესის საგანია რწმენა, ემოციები, სულიერი ძვრები, იმედი თუ წუხილი ანუ ყოველივე ის, რაც კაცობრიობის შემეცნებისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელ ძალებთან არის დაკავშირებული და არც

მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და მათი ორგანიზების მცდელობები აინტერესებს, როგორც ეკონომიკის ისტორიას...

„ანთროპოგეოგრაფიული“ კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას ურთიერთკავშირთა იმ ტიპზე ამახვილებს, რომელიც სოციალური მოვლენების დიდი უმრავლესობისათვის საერთოა. ეს დარგი საზოგადოებას ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობაში შეისწავლის. ურთიერთობები კი, რა თქმა უნდა, ორმხრივია: ადამიანი მოქმედებს გარე სამყაროზე და თვითონაც განიცდის მის ზემოქმედებას. მოცემულ შემთხვევაშიც, არც მეტი, არც ნაკლები, კვლევის მარტო ერთი ასპექტი ჩანს, რომლის წარმატებას მხოლოდ მისი ნაყოფიერება თუ დაადასტურებს, ვინაიდან მას სხვა ასპექტებით შევსება და დასრულება სჭირდება. ანალიზის როლი ნებისმირი სახის კვლევაში ასეთია: მეცნიერება რეალობას იმიტომ აქუცმაცებს, რომ ჯვარედინი ცეცხლის მოციმციმე შუქზე უკეთესად დაინახოს და დააკვირდეს მას. მანათობელი სხივები ამ დროს ურთიერთზემოქმედებენ და ერთმანეთში ადვილად აღწევენ, მაგრამ საფრთხე სწორედ მაშინ იჩენს თავს, თუ მოლიცლიცე სხივთა ყოველ კონას მიაჩნია, რომ მხოლოდ თვითონ ხედავს ყველაფერს. ცუდია, როდესაც ერთ უბრალო კანტონს თავი სახელმწიფო ჰგონია.

საფრთხე ასეთივე სერიოზულია, როდესაც საბუნებისმეტყველო და ადამიანთა შესახებ მეცნიერებებს შორის არსებული ყალბად გეომეტრიული და ჩემთვის გაუგებარი პარალელიზმი პოსტულატად ითვლება. ხედი, რომელიც ჩემი ფანჯრიდან მოჩანს, ყველა მეცნიერისათვის თავისებურად საინტერესოა. თითოეულ მათგანს შეუძლია აქ თავისთვის სასარგებლო იპოვოს და თანაც ისე, რომ პეიზაჟის მთლიანობა აინუნშიც არ ჩააგდოს. ფიზიკოსი ცის სილურჯეს ახსნის, ქიმიკოსი ნაკადულის წყლის შემადგენლობას დაადგენს, ბოტანიკოსი კი ბალახს აღწერს. რაც შეეხება მთელ პეიზაჟს, რომელსაც მე ვხედავ და მაღელვებს, მეცნიერები მის აღწერას ხელოვნებას მიანდობენ. თუკი, რა თქმა უნდა, ხელოვანი მოისურვებს და ამ დავალებას ხელს მოჰკიდებს. შემეცნების მსგავსი ფორმები მეცნიერული კვლევის ხსენებული მეთოდის გამოყენებას მისი წარმატებულობით ამართლებს. კვლევის ამ მეთოდის თანახმად, აღნიშნული პეიზაჟი, როგორც მთლიანობა, მხოლოდ ჩემს ცნობიერებაში არსებობს, რომელიც ჭვრეტს და მთელ ძალისხმევას ჭვრეტის ობიექტის შეცნობისაკენ მიმართავს. ვინაიდან შემეცნების ზემოაღნიშნულ ფორმებს მიაჩნიათ, რომ მოვლენებსა და საგნებს შორის კავშირებს თვითნებურად ჩვენვე ვაბამთ, ამიტომ ისინი ამ კავშირებს გამიზნულად წყვეტენ და ჰგონიათ, რომ ამით სინამდვილის საწყის მრავალსახეობას აღადგენენ. თუმცა ორგანული სამყარო მკვლევარების წინაშე ბევრ საჭოჭმანო საკითხს სვამს. ბიოლოგს, თუ ეს მისთვის უფრო ხელსაყრელია, ცალ-ცალკე შეუძლია გამოიკვლიოს სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი, სამოძრაო აპარატი. მაგრამ ვერ დაივიწყებს, რომ ყველაფერზე მაღლა დგას ინდივიდი, რომლის შესახებაც მან უნდა მოგვითხროს. ისტორიკოსის წინაშე არსებული პრობლემები კიდევ უფრო რთულია, რადგან მისი კვლევის საგანი, ამ სიტყვის ზუსტი და უპირველესი გაგებით, ადამიანთა ცნობიერებაა. ყველაფერი, რაც ადამიანთა ცნობიერებას გადაკვეთს, იქნება ეს

მათ შორის გაბმული კავშირები, ურთიერთზეგავლენა და წამოჭრილი უთანხმოებებიც კი – ისტორიისთვის ნამდვილი ჭეშმარიტებაა. მაშ ასე, homo religious, homo economicus, homo politicus … აი, ადამიანის (homo) განსაზღვრებათა მთელი ჩამონათვალი, რომელიც, თუ სურვილი გვექნება შეიძლება გავზარდოთ კიდეც. თუმცა, ალბათ, ჯობია, თავი შევიკავოთ, რადგან მოგვიანებით მათი ამოცნობა შეიძლება გაგვიჭირდეს, შევცდეთ და რაღაც მოგვეჩვენოს. მოჩვენებების არსებობა კი მხოლოდ მანამდეა ხელსაყრელი, სანამ ხელს არ შეგვიშლიან. ამ სიაში ერთადერთი ხორციელი არსება ადამიანია (homo) და ამ განსაზღვრებებსაც სწორედ "homo" კრებს და აერთიანებს.

ცხადია, რომ ადამიანის ცნობიერებას შიდა ტიხრები აქვს. ზოგი ჩვენგანი კი განსაკუთრებით გაწაფული ჩანს ამ ტიხრების აღმართვაში. გუსტავ ლენოტრი დაუზარებლად გამოხატავს თავის გაოცებას იმის გამო, რომ რევოლუციონერ ტერორისტთა შორის ბევრ სამაგალითო მამას ხედავს. ჩვენი დიდი რევოლუციონერები, მართლაც, ისეთი სასტიკი სისხლისმსმელები რომ ყოფილიყვნენ, როგორადაც მათ ჩვენი მხატვრობა წარმოგვიდგენს და ამით გასათუთებულ და გაბურჟუებულ საზოგადოებას ელაქუცება, ლენოტრის ეს ახირებული გაოგნება ალბათ მაინც ფსიქოლოგიის შეზღუდული გაგების მაჩვენებელია. რამდენი ადამიანი ცხოვრობს ერთდროულად სამი ან ოთხი განსხვავებული ცხოვრებით, რომელსაც დიდი სიამოვნებით დააცალკევებდნენ (თუმცა ზოგიერთი ამ მრავალსახეობითაც ახერხებს ცხოვრებას)! რა თქმა უნდა, აქედან „მე"-ს ძირითადი მთლიანობის უარყოფამდე შორი გზაა გასავლელი და ვერც ამ სხვადასხვა სახეების მუდმივ ურთიერთშეღწევადობაზე ვიტყვით უარს. განა პასკალი_მათემატიკოსი და პასკალი_ქრისტიანი ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ? ნუთუ მეცნიერ-მედიკოსის – ფრანსუა რაბლესა და სახელოვანი პანტაგრუელის – მეტრ ალკოფრიბასის გზები არასოდეს გადაკვეთილა და თუკი ერთი მსახიობის მიერ შესრულებული სხვადასხვა სახეები ისეთი წინააღმდეგობრივი ჩანს, როგორც მელოდრამის სტერეოტიპული პერსონაჟები, ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ანტითეზა უბრალოდ უფრო სერიოზული ერთიანობის ნიღაბი იყოს. ასე მაგალითად, ელეგიების ავტორი ფლორიანი, რომელიც, როგორც ამბობენ, თავის საყვარელ ქალებს სცემდა, რის გამოც ხშირად გამხდარა დაცინვის ობიექტი. ადვილად შესაძლებელია, რომ ფლორიანი ლექსებში ამდენ სინაზეს იმიტომ აქსოვდა, რომ ცხოვრებაში ამით ვერ კმაყოფილდებოდა. ანდა, თუნდაც, შუა საუკუნეების დიდვაჭარი, რომელიც მთელი დღე მკრეხელობდა, ეკლესიის მიერ დადგენილ მცნებებს მევახშეობასა თუ სინდისიერებაზე ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევდა და ამის შემდეგ ეკლესიაში შესული ღვთისმშობელს ევედრებოდა, სიბერის ჟამს კი წყალობას და შესაწირს აგროვებდა. ასევე კარგ მაგალითად გამოდგება მსხვილი მეწარმე, რომელიც ჩამოკონკილი ბავშვების საცოდავი ხელფასიდან დაზოგილი ფულით „უბედურების ჟამს" თავშესაფარს აშენებდა. ნეტავ რა სურდათ ამ ადამიანებს? რატომ იქცეოდნენ ასე? რას ელოდნენ სანაცვლოდ? იქნებ ამ საქციელით, მარტივად რომ ვთქვათ, ზეციურ ძალებთან გარიგებას დებდნენ (ოღონდ საკ-

მაოდ იაფად)? ანდა იქნებ რწმენისა და დიდსულოვნების ამგვარი შემოტევისას იმ იდუმალ სულიერ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ, რომელსაც ყოველდღიურობაში ვერ გამოხატავდნენ, რადგან მძიმე ცხოვრებამ მათ სულიერების ჩაკვლა მიუსაჯა? ყველა ამ მაგალითში აღწერილი წინააღმდეგობრივი ქმედება ძალიან ჰგავს რეალობიდან გაქცევას.

ახლა ინდივიდიდან საზოგადოებაზე გადავინაცვლოთ. რა კუთხიდანაც არ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს, ბუნებრივია, რომ საზოგადოება ვერ შეძლებს ინდივიდისაგან ძალიან შორს წასვლას, ვინაიდან საბოლოო ჯამში (შესაკრებთა ჯამის ხსენებას მოვერიდოთ, რადგან, ცოტა არ იყოს, დამამცირებელია), საზოგადოება ინდივიდთა ცნობიერების პროდუქტია.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საზოგადოებაში ინდივიდისათვის დამახასიათებელ მუდმივ ინტერაქციათა მონაცვლეობას აღმოვაჩენთ. უტყუარი ფაქტია, რომ მე-12 საუკუნეში, ყოველ შემთხვევაში, რეფორმამდე, ე. წ. ფეიქართა გაერთიანებები ერესისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენდა. აი, ინებეთ მშვენიერი საკართოტეკო ბარათი რელიგიის ისტორიისთვის! მაშ, აკურატულად მოვათავსოთ მუყაოს ეს ნაჭერი მისთვის განკუთვნილ ადგილას. ხოლო მომიჯნავე უჯრებში სხვა ბარათებიც გავანაწილოთ, წარწერით „ეკონომიკის ისტორია“, როგორ ფიქრობთ ამით ბოლომდე შეივსება მაქოს ოსტატთა ამ პატარა და მშფოთვარე ერთობების ისტორია? თუმცა ახლა ასახსნელი დარჩა ყველაზე მნიშვნელოვანი! რატომ იყო ფეიქრებისათვის ესოდენ პრინციპულად დამახასიათებელი რელიგიურისა და ეკონომიკურის ერთმანეთში გადახლართვა და არა მათი უბრალო თანაარსებობა? „საკუთარი მორალური პოზიციისადმი ასეთი სიმტკიცისა და თავდაჭერილობის“ ფაქტით (მსგავსი მორალური წონასწორობით უშუალოდ ჩვენი წინამორბედი თაობები გამოირჩეოდნენ) გაოცებული ლუსიენ ფევრი ამის გამომწვევ სხვა მიზეზებთან ერთად ორ ძირითად მიზეზს პოულობს: ერთი – დე ლაპლასის კოსმოგონიური სისტემის გონებაზე ბატონობა და მეორე – ფინანსური სისტემის „არანორმალური სიმყარე“. ერთი შეხედვით იშვიათია ორი ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული ადამიანური ფაქტორის თანაარსებობა. მაგრამ სწორედ მათმა ერთობლივმა ქმედებამ, ყველა სხვა დანარჩენ თავისებურებასთან ერთად, განაპირობა ჯგუფის მენტალური პოზიციის განსაკუთრებულობა.

ეჭვგარეშეა, რომ კოლექტიური ურთიერთობები სირთულით არაფრით ჩამოუვარდება ინდივიდის ცნობიერების ფარგლებში განხორციელებულ ურთიერთობებს. დღეს ალბათ ვერავინ გაბედავდა, უბრალოდ ეთქვა: „ლიტერატურა საზოგადოების ანარეკლია“, – განსაკუთრებით თუ სარკისებრ ანარეკლზეა ლაპარაკი. ლიტერატურაში ხომ თანხმობასთან ერთად უთანხმოებაც აირეკლება? ლიტერატურა კარს უღებს და მოუშორებელი ტვირთივით თან მიათრევს მემკვიდრეობით შეძენილ უამრავ თემას, სახელოსნოებში შექმნილ ფორმალურ მექანიზმებს, გარდასულ დროთა ესთეტურ პირობითობებს ანუ ყოველივე იმას, რაც ამავდროულად მისი ჩამორჩენის მიზეზი ხდება. ამის თაობაზე მახვილგო-

ნივრულად აღნიშნავს ფოსილიონი: „პოლიტიკა, ეკონომიკა და ხელოვნება თანადროულად, თანაბარ პოზიციას ვერ დაიკავებენ“ – უფრო მეტიც, მე ვიტყოდი „ვერასოდეს დაიკავებენ“. თუმცა სწორედ ეს განსხვავებულობა ქმნის სოციალური ცხოვრების რიტმს, რომელიც ყოველთვის არათანაბარია. იგივე მიზეზის გამო ინდივიდთა ერთმანეთისაგან განსხვავებული სულები, ანტიკური ფსიქოლოგიის პლურალისტური ენით თუ ვიტყვით, იშვიათად არიან ერთ ასაკში. გავიხსენოთ, რამდენი სიმწიფეში შესული ადამიანი ინარჩუნებს ბავშვობის ნიშნებს!

1837 წელს მიშლე უხსნიდა სენ-ბევს! „ჩემს მონათხრობში მე რომ მხოლოდ პოლიტიკის ისტორიას დავჯერებოდი და ანგარიში არ გამეწია სხვა ისტორიული ელემენტებისათვის (რელიგია, სამართალი, გეოგრაფია, ლიტერატურა, ხელოვნება და ა. შ.) ჩემი, როგორც მეცნიერის ხელწერა, სულ სხვაგვარი იქნებოდა. თუმცა უდიდესი ძალისხმევა დამჭირდა, რომ მძლავრ ცხოვრებისეულ დინამიკას მივყოლოდი და არ ჩამოვრჩენოდი, რადგან ყველა ზემოხსენებული ელემენტი მონათხრობის მთლიანობაში ერთდროულად ბრუნავდა და ტრიალებდა“.

1880 წელს, ფიუსტელ დე კულანჟი სორბონში მსმენელებს მიმართავდა: „წარმოიდგინეთ, რომ ასი სპეციალისტი ერთმანეთში ნაჭერ-ნაჭერ ინაწილებდეს საფრანგეთის მთელ ისტორიას, ვეჭვობ, რომ მათ ფაქტებს შორის კავშირი აუცილებლად დააკლდებათ. ეს კავშირია სწორედ ისტორიული ჭეშმარიტება!“ მიშლე დროის კატეგორიებით აზროვნებდა და შეიგრძნობდა, ფიუსტელი, როგორც საკუთარი ეპოქის ნამდვილი შვილი, რომელსაც ნიოტონისეულმა სამყარომ მეცნიერების სრული მოდელი მისცა, თავისი მეტაფორებისათვის სივრცეს მიმართავდა. მათი ურთიერთთანხმობა, შესაძლოა, სწორედ ამის გამოა სრულყოფილი. ორმა დიდმა ისტორიკოსმა ნამდვილად იცოდა, რომ ცივილიზაცია, ისევე, როგორც ნებისმიერი ინდივიდი, არაფრით ჰგავს მექანიკურად, კარტებით აწყობილ პასიანსს. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შესწავლილი ცალკეული ფრაგმენტების ცოდნა ვერასოდეს მიგვიყვანს მთლიანის შეცნობამდე, უფრო მეტიც, თვით ამ ფრაგმენტის შეცნობის საშუალებასაც კი ვერ მოგვცემს.

მთლიანის აღდგენის ის სამუშაო, რომელსაც მიშლე გვთავაზობს, მხოლოდ ჩატარებული ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი. უკეთ რომ ვთქვათ, ეს სამუშაო ისევ და ისევ ანალიზის შემადგენელი ნაწილია და მის არსებობას ამართლებს კიდეც. შეიძლება თუ არა საწყის გამოსახულებაზე (რომელსაც ვჭვრეტთ და არა ვაკვირდებით), გავარჩიოთ ურთიერთკავშირები მაშინ, როდესაც გამოკვეთილი ჯერ არაფერია. ურთიერთკავშირების ფაქიზი და რთული სისტემა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გაიმიჯნოს, რაც ფაქტების სპეციალურ ჯგუფებად დაყოფა მოხდება. ამგვარად, თუ ჩვენ გვსურს, რომ ერთგულად მივსდიოთ თანხვედრებითა და ურთიერთდაპირისპირებებით აღსავსე ცხოვრების მდინარებას, აუცილებელი არ არის ის თავიდან ბოლომდე შევიცნოთ, ამის გაკეთება ნებისმიერი მეცნიერის ძალებს აღემატება: ამ შემთხვევაში ყველაზე გამართლებული და სასარგებლოა საზოგადოების ერთი რომელიმე განსაკუთრებული ასპექტის შესწავლა, ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება ამა თუ იმ ასპექტით წარმოქმნილი კონკრეტული

პრობლემის კვლევა. იქნება ეს სარწმუნოება, ეკონომიკა, ჯგუფისა თუ კლასის სტრუქტურა, პოლიტიკური კრიზისები. გონივრული შერჩევის შემთხვევაში არა მარტო პრობლემა დაისმება უფრო ზუსტად, არამედ თვით ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების ფაქტებიც უფრო ნათელ სახეს მიიღებს. ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ მათი აღმოჩენის სურვილი გვექნება. გინდათ გაეცნოთ რენესანსის პერიოდის დიდ ევროპელ ვაჭრებს, გსურთ გაიგოთ, რას ყიდდნენ ისინი? გაინტერესებთ, როგორ ვაჭრობდნენ ქსოვილებითა და სანელებლებით? ანდა როგორ შოულობდნენ სპილენძს, ვერცხლისწყალს თუ შაბს? ვინ იყვნენ ის ბანკირები, თვით იმპერატორები და მეფეები რომ ჰყავდათ მოვალეებად? მაშინ თქვენ უნდა გაიხსენოთ, რომ ეს ადამიანები თავიანთ პორტრეტებს ჰოლბაინს უკვეთდნენ, ანდა ის, რომ ერაზმუსსა და ლუთერს კითხულობდნენ. თუ გსურთ გაარკვიოთ, როგორი ურთიერთობა ჰქონდა შუა საუკუნეებში ვასალს თავის სენიორთან, თქვენ ჯერ მისი ღმერთთან ურთიერთობის გარკვევა მოგიწევთ. მართალია, ისტორიკოსი მოცემული დროის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ იძულებულია, ამ საზღვრებში განუწყვეტლად იმოძრაოს, რაც ნათლად გამოჩნდა ისტორიულ წყაროებზე კამათისას. ისტორიკოსის შესწავლის საგანი ხან ერთმანეთის მონათესავე დიდი ტალღისებური მოვლენებია, რომლებიც მოცემული დროის მონაკვეთს თავიდან ბოლომდე გადაკვეთს, ხან კი ის ადამიანური მომენტი, სადაც ყველა მოვლენა თავს იყრის და ძლიერ ნასკვად იკვრება.

3. ტერმინოლოგია

თუ ადამიანის ან საზოგადოების ძირითადი ასპექტების მხოლოდ ამოცნობით შემოვიფარგლებით, შესრულებული სამუშაო ალბათ არასაკმარისი და უმნიშვნელო იქნება.

ვფიქრობ, რომ ფაქტებისაგან შემდგარი თითოეული ეს დიდი ჯგუფი ახლებურ და უფრო დახვეწილ ანალიზს უნდა დაექვემდებაროს. პოლიტიკური სისტემიდან უნდა გამოიყოს მისი შემადგენელი სხვადასხვა ინსტიტუციები. ისევე, როგორც რელიგია უნდა დაიშალოს კონფესიებად, საკულტო წეს-ჩვეულებებად ან თუნდაც ემოციებად ანუ იმ ნაწილებად, რისგანაც ის თავის დროზე შეიქმნა. ამის შემდეგ აუცილებელია თითოეულ ამ დეტალში და მათ ერთობლიობაში ამოვიცნოთ და აღვწეროთ ის შტრიხები, რომლებიც ხელს უწყობს მოცემული ელემენტების იმავე რიგის რეალობებთან დაახლოება-დაშორებას.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კლასიფიკაციის პრობლემა ტერმინოლოგიის პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია. ნებისმიერ ანალიზს სამუშაო იარაღად მისთვის შესაფერისი ენა ესაჭიროება, რომელიც შეძლებს და ყოველგვარი ბუნდოვნებისა და ორაზროვნების გარეშე მოახერხებს ფაქტების აღწერას, შეინარჩუნებს იმ აუცილებელ მოქნილობას, რომელიც აღმოჩენების თანდათანობით ადაპტირებისათვის არის საჭირო. სწორედ ეს არის ჩვენი, ისტორიკოსების სუსტი წერტილი. ერთმა უჭკვიანესმა მწერალმა, რომელსაც ჩვენ გულზე დიდად

არ ვეხატებით, კარგად დაინახა ჩვენი ეს სისუსტე: „ისტორიამ ჯერ ვერ მოახერხა, რომ ბუნდოვანი და სტატისტიკური მონაცემები ნათელი და კარგად მორგებული განსაზღვრებებით და ნიშნებით ჩაენაცვლებინა, ეს დრო მისთვის ჯერ არ დამდგარა“, – ამბობდა პოლ ვალერი. თუმცა სადაც ის ითქვა, რომ „დრო სიზუსტისა“ ჯერ არ დამდგარა, ე. ი. ოდესმე აუცილებლად დადგება.

ქიმიამ ნიშნების საკუთარი „ინვენტარი გამოჭედა“. მათ შორის არის სიტყვებიცაა, მაგალითად, სიტყვა ”gaz“ (გაზი), თუ არ ვცდები, ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც ფრანგულში არ ყოფილა და ნამდვილად გვიან შეიქმნა. მაგრამ ქიმიის დიდი უპირატესობა ის არის, რომ ის რეალობები, რომლებთანაც მას აქვს საქმე, საკუთარ თავს თვითონ ვერ დაარქმევენ სახელს.

კლასიფიცირებული და კონტროლს დაქვემდებარებული ახალი ენა, რომელმაც ქიმიის მიერ დაწუნებული ბუნდოვანი პერცეფციის ენა ჩაანაცვლა, არანაკლებ თვითნებურია და შესასწავლი საგნისაგან დამოუკიდებელი. ანუ თუთიის გოგირდმჟავას ვიტყვით თუ უბრალოდ გოგირდმჟავას, თვით ნივთიერება ამას არ გააპროტესტებს. სულ სხვაა მეცნიერება ადამიანთა შესახებ. ადამიანები თვითონ არქმევენ სახელს თავიანთ ქმედებებს, რწმენას თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებს, და ამისათვის ისინი ვერ დაელოდებიან რაიმე, თუნდაც მიუკერძოებელ, მეცნიერულ კვლევას. მაშ ასე, ისტორია თავისი ლექსიკონის დიდ ნაწილს საკუთარი კვლევის საგნიდან ავსებს, თუმცა ეს სიტყვები ხანგრძლივი ხმარების გამო უკვე გაცვეთილი და ფორმადაკარგულია. უფრო მეტიც, სიტყვა შიძლება შექმნის დღიდან ორაზროვანი იყოს, როგორც გამოხატვის ყველა ის სისტემა, რომელსაც სპეციალისტთა მკაცრად შეთანხმებული შრომა არ დადებია საფუძვლად. ყველაზე უარესი ის არის, რომ თვით სიტყვათა სესხების მეთოდში ერთიანობა არ არსებობს. ყველა დოკუმენტი საკუთარი ტერმინოლოგიის დამკვიდრებას ცდილობს. ისტორიკოსი კი, რომელიც მათზე მუშაობს სულ სხვადასხვა ეპოქის დიქტატს ემორჩილება, მაგრამ ბუნებრივია, რომ ის ამავე დროს თავისი დროის კატეგორიებით აზროვნებს, ანუ ლექსიკაც, შესაბამისად, თავისი დროის აქვს. პატრიციების შესახებ საუბარი მოხუცი კატონის თანამედროვეთათვის ალბათ ადვილად გასაგები იქნებოდა, მაგრამ რომის იმპერიის კრიზისის დროს „ბურჟუაზიის“ როლზე საუბრისას ამ სიტყვის ან მისი საზრისის გადატანა ლათინურად ხომ საკმაოდ გაჭირდებოდა? ამგვარად, ისტორიაში თითქმის ყოველთვის ორი განსხვავებული ორიენტაცია მეტოქეობს. განვიხილოთ ისინი რიგრიგობით.

წარსულის ტერმინოლოგიის აღდგენა ან კალკირება, ერთი შეხედვით, შეიძლება სასარგებლო მცდელობად ჩაითვალოს, მაგრამ ეს მცდელობა შეიძლება მრავალ სირთულესაც წააწყდეს.

ჯერ ერთი, საგანთა შეცვლა, ყოველთვის არ იწვევს მათი დასახელების იმავდროულად შეცვლას, რაც ყველა ენისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ხასიათის შედეგია, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია ადამიანთა უმრავლესობაში, ბუნებრივი გამომგონებლობის უნარის სისუსტით.

იგივე შეიძლება ითქვას ტექნიკაზეც კი, რომელიც ხშირად და ძალიან მნიშვნელოვნად, მაგალითად, თუ მეზობელი მეტყვის: "Je sorrs en voiture", – რა უნდა ვიფიქრო, ავტომობილით მიდის თუ ეტლით? მხოლოდ იმის აპრიორული ცოდნა, მეზობელს ეზოში ეტლის სადგომი აქვს თუ გარაჟი, მომცემს ამ სიტყვის (voiture) გაგების საშუალებას. Aratrum ადრე უბორბლებო სახნავ იარაღს ერქვა, ხოლო carruca – ბორბლებიანს. თუ ამ ძველ სიტყვას წავაწყდებით რომელიმე ტექსტში, რა უნდა ვიფიქრო? იქნებ ის მხოლოდ იმიტომ შეინარჩუნეს, რომ მოგვიანებით შექმნილი იარაღისათვის დაერქმიათ? Aratrum ხომ პირველი გაჩნდა. ანდა პირიქით, მატიე დე დომბალმა თავის მიერ შექმნილ უბორბლო იარაღს დაარქვა "*charue*", რომელიც სინამდვილეში რაღაც კავის მაგვარი იყო (araire).

მოდით ახლა ვნახოთ, რამდენად ძლიერია ტრადიციული სიტყვებისადმი ერთგულება, თუ ნაკლებად მატერიალური რიგის რეალობებისკენ გადავინაცვლებთ! მსგავს შემთხვევაში ხომ გარდაქმნები იმდენად ნელა ხორციელდება, რომ თვით ამ ცვლილებებში მონაწილე ადამიანებსაც კი უჭირთ მათი აღქმა. მათ არ უჩნდებათ ეტიკეტის შეცვლის სურვილი, რადგან თვით მისი შინაარსის ცვლილებას ვერც კი ამჩნევენ. ლათინურმა სიტყვამ "servus", რომელმაც დასაბამი მისცა ფრანგულ სიტყვას "serf", საუკუნეები გამოიარა. ამ ხნის განმავლობაში, მისმა მნიშვნელობამ იმდენჯერ განიცადა ცვლილება, რომ ძველ რომაულ servus-სა და სენ-ლუის დროინდელ serf-ს შორის მსგავსებაზე მეტი განსხვავებაა. ამის გამო ისტორიკოსები ამ სიტყვის – „სერფ" – შუა საუკუნეების პერიოდისათვის გამოყენებას მხარს უჭერენ. და თუ საქმე ანტიკურ ეპოქას ეხება? მაშინ ისტორიკოსები ირჩევენ სიტყვას "esclave". სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში კალკირებას ეკვივალენტის პოვნა ურჩევნიათ, თუმცა ამ დროს ენისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ სიზუსტეს ნაწილობრივ ეწირება ის ნიუანსები, რომლებიც ჰარმონიას ქმნის. ამგვარად, რომაულ ნიადაგში დანერგილი ტერმინი მხოლოდ პირველ ათასწლეულში გაჩნდა ადამიანთა ბაზარზე, სადაც, როგორც ჩანს, სლავი ტყვეები სრული მორჩილების მოდელს ქმნიდნენ, რაც დასავლური წარმოშობის ყმებისათვის უცხო იყო. ეს ხერხი გამოსადეგია მანამ, სანამ მოვლენის მხოლოდ დასაწყისი და დასარული გვაინტერესებს. მაგრამ შუალედში რაღა მოხდა? მაინც ზუსტად რა დროს შეცვალა სიტყვამ "serf" სიტყვა "esclave"? აი, მუდმივი სოფიზმი ე. წ. „ხორბლის გროვის" შესახებ. ყველა ამგვარ შემთხვევაში, ჩვენ იძულებულნი ვართ, თვით ფაქტების სინამდვილეს გავუწიოთ ანგარიში და მათი საკუთარი პირველადი ენა ტერმინოლოგიით შევცვალოთ, რომლის შეთხზვა თუ არა, მოხერხებულად გადაკეთება და გადაადგილება მაინც შესაძლებელია.

ისეც ხდება, რომ, პირიქით, თვითონ სახელები იცვლება დროსა თუ სივრცეში, იმისგან დამოუკიდებლად, თვით საგნები განიცდიან თუ არა ცვლილებას. ხანდახან სიტყვის გაქრობას ენის ევოლუციით გამოწვეული მიზეზები განაპირობებს მაშინაც კი, როცა თვით ის საგანი ან ქმედება, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავდა, არავითარ ცვლილებას არ განიცდის. ლინგვისტურ ელემენტებს გამძლეობისა და მოქნილობის საკუთარი კოეფიციენტი აქვთ. ერთმა ერუდიტმა დაადგინა, რომ

რომაული ენებიდან გაქრა სიტყვა “emere” (ყიდვა) და მისი ადგილი დაიკავა სხვადასხვა წარმოშობის სიტყვებმა: “acheter”, “comprar” და ა. შ. ამგვარმა ცვლილებამ შესაძლებელი გახადა ყველაზე უფრო შორს მიმავალი და მახვილგონივრული დასკვნები გაკეთებულიყო იმ ტრანსფორმაციების შესახებ, რომელთაც, ვითომ, რომის მემკვიდრე საზოგადოებებში კომერციული სისტემის შეცვლა უნდა გამოეწვიათ.

რამდენი კითხვა გაჩნდებოდა, ეს უტყუარი ფაქტი იზოლირებულად რომ განეხილათ! ლათინური ენიდან წამოსულ ენებს საერთო ხომ სწორედ ის აქვთ, რომ ძალიან მოკლე სიტყვები ქრება, რადგან უმახვილო მარცვლები სუსტდება და ბოლოს გაურკვეველი ხდება. ეს ხომ წმინდა ფონეტიკური მოვლენაა და სასაცილოა, რომ ბგერათა თავგადასავლებიდან აღებული ფაქტი შეცდომით ეკონომიკის ისტორიის ერთ-ერთ შტრიხად მივიჩნიოთ. სხვა შემთხვევაში ერთგვაროვანი ლექსიკის შექმნას ან შენარჩუნებას ხელს უშლის სოციალური პირობები. შუა საუკუნეების ძალიან დაქუცმაცებულ საზოგადოებაში ხშირი იყო, როდესაც სავსებით იდენტურ ინსტიტუციებს, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით, სხვადასხვა სიტყვით აღნიშნავდნენ. ჩვენს დროშიც პროვინციული კილო-კავები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხანდახან ყველაზე ჩვეულებრივი საგნებსა და ძალიან უნივერსალური ზნე-ჩვეულებებისაც კი სხვადასხვა დასახელებები აქვს. ცენტრალურ პროვინციებში, სადაც ახლა ამ სტრიქონებს ვწერ, სოფელს მოიხსენიებენ როგორც “village”, მაშინ, როდესაც იგივე სახელი არის “hameau”, ხოლო ჩრდილოური “village” აქ უკვე “bourg”-ია. მსგავსი სიტყვობრივი განსხვავებები, თავისთავად, დიდი ინტერესის ღირსია. მაგრამ ისტორიკოსს რომ მოენდომებინა და ამისათვის თავისი ტერმინოლოგია მოერგო, ამით არა მარტო გააუფასურებდა თავის სიტყვას, არამედ ყოველგვარ კლასიფიკაციაზე უნდა ეთქვა უარი. კლასიფიკაცია კი მისი უპირველესი ამოცანაა.

ჩვენს მეცნიერებას, ისე როგორც მათემატიკას და ქიმიას, არ გააჩნია ნაციონალურ ენას მოწყვეტილ სიმბოლოთა სისტემა. ისტორიკოსი ხომ მხოლოდ სიტყვებით გამოხატავს თავის სათქმელს, ანუ თავისი ქვეყნის ენაზე მეტყველებს. მაგრამ თუ ის იმ რეალობების წინაშე აღმოჩნდა, რომელიც უცხო ენაზეა გადმოცემული, ის იძულებულია თარგმნოს, აქ მისთვის არავითარი სერიოზული დაბრკოლება არ არსებობს იმდენად, რამდენადაც სიტყვები ბანალურ საგნებსა თუ ქმედებას ასახავს. უბრალო ლექსიკური „მონეტა“ თანაბარი ღირებულების სხვა „მონეტაზე“ ადვილად გადაიცვლება. მაგრამ საკმარისია გაჩნდეს ინსტიტუციები, სარწმუნოებები, ადათ-წესები ანუ ყველაფერი ის, რაც უფრო ღრმად არის შეჭრილი თვით საზოგადოების ცხოვრებაში, რომ იმ ენაზე ტრანსპონირება, რომელიც განსხვავებული საზოგადოების სახეა, ძალიან სახიფათო ხდება; ეკვივალენტების შერჩევა ხომ მსგავსების ძებნა და აღმოჩენაა. უკეთეს შემთხვევაში შევეცადოთ, რომ მსგავსება მხოლოდ გარეგნული არ იყოს.

მაშ სასოწარკვეთილები დავმორჩილდეთ და შევინარჩუნოთ საწყისი ტერმინი, იმ პირობით, რომ ავხსნით მას? უეჭველია, ხანდახან ესეც დაგვჭირდება.

როდესაც 1919 წელს ჩვენ ვნახეთ, რომ გერმანულმა სახელმწიფომ ვაიმარის კონსტიტუციაში შეინარჩუნა თავისი ძველი დასახელება *Reich* (რაიხი) ბევრმა ჩვენმა პუბლიცისტმა წამოიძახა: „უცნაური რესპუბლიკა!“ „რა დაჟინებით უწოდებს თავის თავს იმპერიას!“ მაგრამ ჭეშმარიტება აქ მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ თავისთავად სიტყვა რაიხი არც კი გვახსენებს იმპერატორს, საქმე ისაა, რომ ის განასახიერებს გერმანიის პოლიტიკურ ისტორიას, რომელიც განუწყვეტლივ მერყეობს პარტიკულარიზმსა და ერთიანობას შორის. ეს სიტყვა მეტისმეტად გერმანულად ჟღერს. ამიტომაა ძნელი თუნდაც მცირედი მცდელობაც კი ამ სიტყვის იმ ენაზე გადათარგმნისა, რომელშიც სულ სხვა ეროვნული წარსულია ასახული. როგორ განვაზოგადოთ რეპროდუქციის ეს მექანიკური და ყველაზე მარტივი პროცესი? ენის სიწმინდეზე ზრუნვა გვერდით გადავდოთ, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ არც ისე სასიამოვნო სანახავია ისტორიკოსი, რომელიც თავის მეტყველებაში უხვად ხმარობს უცხოურ სიტყვებს. ამ დროს ის იმ მწერალს ჰგავს, რომელიც სოფლის თემაზე რომანის წერისას ისეთ ჟარგონს იყენებს არც სოფლელებს რომ ესმით და არც ქალაქელებს. როდესაც უარს ვამბობთ ეკვივალენტის მოძებნის მცდელობაზე, ამით თვით რეალობას ვაყენებთ ზიანს. ჩვეულების თანახმად, ფრანგული სიტყვა „სერფ“ მე მგონი, XVIII საუკუნიდან ვრცელდება სხვა ევროპულ ენებში ამ მნიშვნელობით სიტყვა იმ გლეხის აღსანიშნავად გამოიყენება, რომელიც მხოლოდ მემამულეს ექვემდებარებოდა ანუ იგივეა, რაც ძველ ცარისტულ რუსეთში იყო chripostnoi. უფრო წარმატებული შედარების მოფიქრება ალბათ ძნელი იქნებოდა. თუ რუსეთში ბატონყმური რეჟიმის დროს გლეხებს მონებივით ექცეოდნენ, დასავლეთში, მიუხედავად მთელი თავისი სისასტიკისა, პიროვნული დაქვემდებარების ეს ფორმა ძალიან შორს იყო იმ იდეისაგან, რომ ადამიანს ისე მოქცეოდნენ როგორც უუფლებო ნივთს. ანუ ზემოხსენებულ რუსული ტიპის სერვაჟს თითქმის არაფერი აქვს საერთო ჩვენს შუა საუკუნეების სერვაჟთან. მაგრამ თუ ავდგებით და ყველაფერს ამას დავარქმევთ chripostnoi, ჩვენთვის ესეც არაფრის მომცემი იქნება, რადგან რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში და გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილშიც კი გლეხური დაქვემდებარების (ბატონყმობის) ისეთი ფორმები არსებობდა, რომლებიც მჭიდროდ ენათესავებიან რუსეთში დამკვიდრებულ ფორმას. ნუთუ ყოველ ჯერზე საჭირო გახდება, რომ სიტყვები ავიღოთ რუმინულიდან, უნგრულიდან, პოლონურიდან, გერმანულიდან და რუსულიდან? ამ დროს მთავარი, სულ ერთია, მაინც ხელიდან გაგვისხლტება. მთავარი კი ის არის, რომ ზუსტად შერჩეული ტერმინოლოგიის მეშვეობით აღვადგინოთ სიღრმისეული კავშირები ფაქტებს შორის. აუცილებელია, შეირჩეს რაიმე ისეთი საერთო ეტიკეტი, რომელიც ყველა ნაციონალურ ტერმინზე მაღლა დადგება და არავითარ შემთხვევაში მათ კოპირებას არ შეეცდება. ბევრ საზოგადოებაში გავრცელებული იყო ის, რასაც იერარქიულ ბილინგვიზმს ვეძახით. ამ დროს ორი ენა მეტოქეობდა: ერთი ხალხური და მეორე მეცნიერული. იმას, რასაც ხალხურ ენაზე ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ აუცილებლად ან სურვილის შემთხვევაში, მეცნიერულ ენაზე წერილობით გადმოსცემდნენ.

ამგვარად, აბისინიაში XII საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით გეზის (le gueze) ენაზე წერდნენ და ამჰარიულ (l'amharique) ენაზე ლაპარაკობდნენ. ევანგელეაში დიალოგები ბერძნულადაა გადმოცემული, რადგან იმ დროს აღმოსავლეთში კულტურის ენად ბერძნული ითვლებოდა. სინამდვილეში კი ზემოხსენებული საუბრები ალბათ არამეულ ენაზე მიმდინარეობდა. ჩვენთვის უფრო ახლობელ შუა საუკუნეებში ყველა საქმიანი დოკუმენტი ან სხვა წერილობითი ტექსტი ლათინურად იქმნებოდა. გამქრალი კულტურებიდან და სხვა ცივილიზაციებიდან მემკვიდრეობით მიღებული ან ნასესხები სწავლულთა, რელიგიურ პირთა და ნოტარიუსთა ენები უდავოდ მრავალგვარ რეალობას გამოხატავდა, თუმცა თავდაპირველად ისინი ამ რეალობათა გამოსახატავად არ შექმნილან. ამაში ხსენებულ ენებს ტრანსპოზიციის მთელი სისტემა დაეხმარა, რომელიც თავისთავად უხეში და მოუქნელია.

გარდა მატერიალური წყაროებისა, სწორედ ამ ენებზე შექმნილი დოკუმენტებით ვეცნობით ამა თუ იმ საზოგადოებას. ხოლო იმ საზოგადოებებში, სადაც მსგავსმა ენობრივმა დუალიზმმა გაიმარჯვა, ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს დაახლოებითობის პირბადე აქვს ჩამოფარებული. ხანდახან დამატებითი ეკრანითაც კი არის გადატიხრული. გავიხსენოთ გიიომ დამპყრობლის ბრძანებით შექმნილი ინგლისის დიდი კადასტრი. ნორმანდიელი და მანსელი კლერკების მიერ შედგენილი ცნობილი „განკითხვის დღის წიგნი". მათ არა მარტო ლათინურად აღწერს წმინდა ინგლისური ინსტიტუციები, არამედ მანამდე ამაზე ფრანგულად იფიქრეს. თუ ისტორიკოსი წააწყდება ისეთ ტერმინოლოგიას, რომელიც სიტყვების უბრალო სუბსტიტუციით არის შექმნილი, ის იძულებული იქნება პირუკუ სამუშაო შეასრულოს. მოხერხებულად შერჩეული და განსაკუთრებით კარგად მორგებული შესატყვისები, შესაბამისად, შემდგომ ამოცანას გააადვილებს. ქრონიკებში „კონსულებად" მოხსენიებული იმდროინდელი გრაფების ამოცნობა სულაც არ არის ძნელი, მაგრამ სამწუხაროდ, უფრო რთული შემთხვევებიც გვხვდება. რას უნდა ნიშნავდეს collibert, bordarii „განკითხვის დღის წიგნიდან"? ლათინურ ზიზილ-პიპილებს თუ მოვაშორებთ, სიტყვებში ადვილად აღვადგენთ დასავლეთ საფრანგეთის კილოებს: "cuvert", "Bordiers" მაგრამ ბუნდოვანია, რას უნდა ნიშნავდეს ის ინგლისური ტერმინები, რომლებიც ამ სიტყვებითაა გამოხატული. ერთი რამ ცხადია, ეკვივალენტი არ გვთავაზობს თავის აზრს. რადგან ის დოკუმენტის მხოლოდ რამდენიმე რედაქტორმა გამოიყენა და შემდეგ არც არავის გახსენებია. რას ნიშნავს XI და XII საუკუნეების ჩვენს ქარტიებში მოხსენიებული "Colonus"? ეს კითხვა ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. სიტყვამ სალაპარაკო ხალხურ ენაში იმიტომ ვერ გადაინაცვლა, რომ ცოცხალ რეალობას აღარ გამოხატავდა. სამაგიეროდ, ერთგვარ მთარგმნელობით ხერხად იქცა, რომელსაც ნოტარიუსები იყენებდნენ, რათა ლამაზ კლასიკურ ლათინურზე სხვადასხვაგვარი ეკონომიკური თუ იურიდიული ვითარება დაეხატათ.

კონტრასტები ყველა საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ პრინციპულად განსხვავებული ორი ენის ამგვარი დაპირისპირება სინამდვილეში

იშვიათი შემთხვევაა ისეთ უნიფიცირებულ ერებშიც კი, როგორიც ჩვენია. მცირე პროფესიულ კოლექტივს, რომელსაც დამახასიათებელი კულტურა ან ბედი აქვს, გამოხატვის გამორჩეული სისტემა გააჩნია. მაგრამ ამათგან ყველა არ წერს ანდა ცოტას წერს, ანუ ყველას არა აქვს შანსი, რომ შთამომავლობას წერილობითი ტექსტები გადასცეს. ცნობილია, რომ დაკითხვის ოქმი იშვიათად გადმოსცემს ზუსტად სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ სიტყვას. სასამართლოს მდივანი თავისდაუნებურად აწესრიგებს, ნათელს ხდის ტექსტს, ასწორებს სინტაქსს, თავს არიდებს, მისი აზრით, მდაბიურ სიტყვებს. წარსულ ცივილიზაციებსაც ჰყავდათ საკუთარი „სასამართლო“ მდივნები, მემატიანეები და, განსაკუთრებით, იურისტები. ჩვენამდე სწორედ მათმა ხმამ მოაღწია. ნუ დაგვავიწყდება, რომ სიტყვები, რომელსაც ისინი იყენებდნენ, კლასიფიკაციები, რომელსაც ისინი ამ სიტყვებით ადგენდნენ, ხშირად სისტემატური სამეცნიერო მუშაობის და ტრადიციების გადაჭარბებული გავლენის ნაყოფი იყო. რამდენ მოულოდნელობას წავაწყდებოდით, არეულ, წინააღმდეგობებით აღსავსე და ალბათ ხელოვნურად შექმნილ ტერმინოლოგიაზე ტვინის ჭყლეტის ნაცვლად, კაროლინგების დროინდელ სოფელში გავლა რომ შეგვეძლოს! ჩვენი ყურით მოვისმენდით, როგორ საუბრობენ გლეხები, ისევე, როგორც მათი სენიორები გლეხთა მდგომარეობაზე. ეჭვგარეშეა, რომ არც მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების წესის აღწერა მოგვცემდა სრულ სურათს, (რადგან მეცნიერთა და კანონშემოქმედთა მცდელობა – გამოხატონ და შემდეგ განმარტონ რაიმე, ასევე კონკრეტულად მოქმედ ძალას წარმოადგენს), მაგრამ ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ღრმა ფენამდე მივაღწევდით. რამდენი საყურადღებო ამბის გაგებას მოვახერხებდით, რომ შეგვძლებოდა ყური დაგვეგდო უბრალო ადამიანების ნამდვილი ლოცვისთვის, რომლებიც ღმერთს მიმართავენ – არა აქვს მნიშვნელობა, ადრინდელს თუ დღევანდელს! რასაკვირველია, თუ ვივარაუდებთ, რომ მათ შესძლეს და დამახინჯების გარეშე გამოხატეს თავიანთი სულიერი მღელვარება.

აქ ჩნდება ბოლო დიდი წინააღმდეგობა: არაფერი ისე არ უჭირს ადამიანს, როგორც საკუთარი თავის გამოხატვა. ასეთივე ძნელია ორაზროვნებისა და ყალბი სიზუსტისაგან თავისუფალი სიტყვების გამონახვა იმ არამყარი (ფლუიდური) სოციალური რეალობისათვის, ჩვენი არსებობის ძირითად ქარგას რომ ქმნის (სწორედ ყველაზე ბანალური სიტყვები იძლევა მიახლოებით შეფასებას). წარმოუდგენელია, მაგრამ რელიგიურ ტერმინებსაც აკლია სიზუსტე. ისეთი მეცნიერი, როგორიცაა ლე ბრასი (le Bras), საფრანგეთის რელიგიური საკითხების მიმოხილვისას იძულებულია, განმასხვავებელი ნიუანსებით დატვირთული უამრავი, სხვადასხვა ტერმინით ჩაანაცვლოს ისეთი მარტივი ტერმინიც კი, როგორიცაა „კათოლიკური“. ასე რომ, ჩვენმა ისტორიკოსებმა ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონონ, როდესაც თავიანთი რელიგიურობის ან უფრო ხშირად არარელიგიურობის გადმოსახედიდან მოუქნელად განიხილავენ, კათოლიკურობას ან ერაზმისეულ არაკათოლიკურობას. სხვა საკმაოდ ცხოვრებისეული რეალობებისთვისაც გაძნელდა შესაფერისი ტერმინების პოვნა. თანამედროვე მუშას თავისუფლად შეუძ-

ლია ილაპარაკოს თავის კლასობრივ ცნობიერებაზე მაშინაც კი, თუ ის სუსტად აქვს განვითარებული. ჩემი აზრით, სოლიდარობის ეს გონივრული და მებრძოლი გრძნობა ყველაზე ძლიერად და ნათლად ძველი რეჟიმის მიწურულს, ჩრდილო საფრანგეთის სოფლებში მოჯამაგირეებმა გამოავლინეს. 1789 წლის ზოგიერთმა დოკუმენტმა, პეტიციების სახით, იმდროინდელი მღელვარება შემოინახა, მაგრამ სიტყვით ვერ განსაზღვრა, იმიტომ, რომ მაშინ მას სახელი ჯერ კიდევ არ ერქვა.

ანუ დოკუმენტებში გამოყენებული ლექსიკა, სხვა არაფერია, თუ არა მოწმეთა ჩვენება, რომელიც, რა თქმა უნდა, თავისებურად უნიკალურია, მაგრამ ისე, როგორც ყველა ჩვენება, ესეც არასრულყოფილია და ამიტომ კრიტიკასაც ექვემდებარება. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ტერმინი ან სახასიათო გამოთქმა შემეცნების ნამდვილი გასაღები მხოლოდ მაშინ გახდება, თუ მას საკუთარ ბუნებრივ გარემოსთან მიმართებაში განვიხილავთ: დავაბრუნებთ თავის ეპოქაში ან წრეში, ანუ იქ, სადაც ჩვეულებრივ იხმარებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ე. წ. ხანდაზმული ტერმინი, რადგან ანარქიული და არასწორი განმარტებების გამო მათი დამახინჯების საშიშროება ყოველთვის დიდია. მე-12 საუკუნეებში მირონცხებას მეფეთა კურთხევის მნიშვნელობა ჰქონდა. დღეისთვის ეს სიტყვა ბევრად უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე იმ დროს იყო. დღევანდელი თეოლოგია, რომელიც ვეღარ ახერხებს ტერმინოლოგიის შექმნას, ამ სიტყვას ბევრად უფრო დიდ ღირებულებას ანიჭებს. სიტყვის დაბადება უმნიშვნელოვანესი ფაქტია, მაშინაც კი, თუ საგანი, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს, მის დაბადებამდე გაჩნდა. ამ დროს შეცნობის გადამწყვეტი ეტაპი დგება. გავიხსენოთ ის დიდებული ნაბიჯი, რომელიც ახალი რწმენის მიმდევრებმა გადადგეს, როდესაც საკუთარ თავს ქრისტიანები უწოდეს! ზოგიერთმა ჩვენმა უფროსმა კოლეგამ, მაგალითად ფიუსტელ და კულანჟმა თავისი „სემანტიკური ისტორიის“ წყალობით სიტყვის მნიშნელობის შესწავლის მშვენიერი მოდელი მოგვცა, რაც შემდეგ ენათმეცნიერების წინსვლამ კიდევ უფრო სრულყო.

თუ სიტყვა რეალობაში დიდი ხნის ფესვგადგმულია, მის ფართო გამოყენებას მაინც ვერ ავარიდებთ თავს, რაც უნდა შეუფერებლად გვეჩვენებოდეს ის აღნიშნული რეალობისათვის.

კარგი იქნება თუ არ მივბაძავთ შუა საუკუნეების ზოგიერთ მთარგმნელს. ვახსენოთ „გრაფი“ იქ, სადაც საქმე მართლა გრაფს ეხება და ვიხმაროთ სიტყვა „კონსული“, როდესაც სცენაზე რომის იმპერია გამოჩნდება. უდიდესი წინსვლა ელინური რელიგიის გაგებაში სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც განსწავლული ადამიანების ენიდან ზევსმა იუპიტერი გააძევა. აქამდე თუ ინსტიტუციების ცალკეულ მხარეებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებსა თუ სარწმუნოებაზე ვლაპარაკობდით, ახლა დოკუმენტებს და მათ ლექსიკას შევეხოთ. თუ ტემინოლოგიის დასადგენად მხოლოდ დოკუმენტების ენას დავჯერდებით, ეს იმის ტოლფასია, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ანალიზი საჭირო აღარ არის, რადგან ხელთ გვაქვს უკვე მზა მასალა. აქედან გამომდინარე, აქ ისტორიასაც აღარაფერი რჩება გასაკეთებელი. თუმცა, საბედნიეროდ და ჩვენდა საამებლად, ეს აზრი მცდა-

რია, და ჩვენი კლასიფიკაციისათვის აუცილებელი კრიტერიუმები სხვაგან უნდა ვეძებოთ. აი, მაგალითად, ჩვენს ხელთაა ისტორიკოსთა მრავალი თაობის მიერ შესწორებული და მრავალჯერ დამუშავებული ლექსიკა, რომლის განყენებული ხასიათი ცალკე აღებულ ყველა ეპოქას მოიცავს, რადგან ის ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშეა შედგენილი. ეს ტერმინოლოგია დროსა და სივრცეში ნიშნით ერთმანეთისაგან განსხვავებულ უამრავ ელემენტს იძიებს, ამუშავებს და ერთად უყრის თავს.

ოდესღაც სასამართლო პრაქტიკის კუთვნილმა ტერმინებმა – „ფეოდალი“, „ფეოდალიზმი“ XVIII საუკუნიდან ჯერ ბულენვილიეს და შემდეგ მონტესკიეს მეშვეობით გადმოინაცვლეს სასამართლო დარბაზიდან და ცუდად განსაზღვრული სოციალური სტრუქტურის ერთი ტიპის საკმაოდ მოუხერხებელ ეტიკეტად იქცნენ. „კაპიტალი“ მევახშეებისა და მოანგარიშეების სიტყვაა, მისი მნიშვნელობა ეკონომისტებმა, ცოტა არ იყოს, ადრე განავრცეს. „კაპიტალისტი“ კი ევროპული ბურჟუების დროინდელი გადამყიდველების ჟარგონია. ხოლო „კაპიტალისტი“ იმ გაგებით, რომელიც დღეს ჩვენს კლასიფიკაციაში შედარებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, სულ ახალია. მისი დაბოლოება ამ სიტყვის წარმოშობაზე მეტყველებს (*capitalismus*). სიტყვა „კლასი“, მართალია, ძალიან არ დაშორებია თავის საწყის გარემოს და აზრს, მაგრამ ახალ ინტონაციას იძენს, რადგან მასში სოციალური ბრძოლების სისასტიკეა ასახული. სიტყვა „რევოლუციამ“ თავის ძველ ასტროლოგიურ მნიშვნელობასთან მსგავსების გამო ერთ ფრიად ადამიანურ აზრს დაუთმო ადგილი: თუ ის პირველი მნიშვნელობით ცაში პლანეტების რეგულარულ მოძრაობას ნიშნავდა, ამიერიდან მძაფრ კრიზისს აღნიშნავს დედამიწაზე. 1789 წელს რევოლუციონერები კვლავ აცოცხლებენ კვლავ აცოცხლებენ ანტიკური ხანის სიტყვას „პროლეტარი“: ბაბეფის შემდეგ მარქსმა ეს სიტყვა საბოლოოდ ჩაიგდო ხელში. თვით ამერიკამაც კი მოგვცა სიტყვა „ტოტემი“ და ოკეანიამ კი – „ტაბუ“: ეს სიტყვები იმ ეთნოგრაფებისგან არის ნასესხები, რომელთა მიმართ ზოგიერთი ისტორიკოსის კლასიკური მიდგომა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა…

არც წარმოშობის სხვადასხვაგვარობა, არც აზრის შეცვლა არ იწვევს არანაირ უხერხულობას. სიტყვისათვის მის ეტიმოლოგიურ წარმოშობას ბევრად ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შემდეგ მისი მოხმარების წესს. თუ სიტყვა „კაპიტალიზმი“ თვით მისი ყველაზე ფართო გაგებით არ გავრცელდება ყველა იმ ეკონომიკურ რეჟიმზე, სადაც მევახშეთა კაპიტალის გარკვეული როლია ხაზგასმული, ანდა თუ სიტყვა „ფეოდალი“, ჩვეულებრივ, ისეთ საზოგადოებასთან მიმართებით იხმარება, სადაც სიტყვა „ფეოდი“ ნიშანდობლივი მახასიათებელი არ არის, ამაში საყოველთაოდ მიღებული მეცნიერული პრაქტიკის საწინააღმდეგო არაფერია. ყველა მეცნიერება, თუ წმინდა ალგებრული სიმბოლოები არ დააკმაყოფილებს, თავის ლექსიკას ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებს.

ვინმეს სკანდალურად მიაჩნია, რომ ფიზიკოსი თავისი ყველაზე თამამი ანალიზის (დაშლის) ობიექტს ისევ დაჟინებით ატომს უწოდებს, მაშინ როდესაც „ატომი“ დაუშლელს ნიშნავს? ის ემოციური ფლუიდები, რომლითაც ეს სიტყვე-

ბი ჩვენზე ასე მოქმედებს, საკმაოდ სახიფათოა. გრძნობიერი გავლენა ნაკლებად თუ წაადგება ენის სიზუსტეს. დამკვიდრებული აღმაშფოთებელი ტრადიცია, რომელსაც თვით ისტორიკოსებიც კი იზიარებენ, ერთმანეთში ურევს ორ გამოთქმას: „ფეოდალური სისტემა“ და „სენიორთა სისტემა“. ეს გლეხთა დაქვემდებარების ერთი გარკვეული ტიპისა და სამხედრო არისტოკრატიის ერთგვარი სისტემის ერთმანეთში თვითნებური აღრევაა. სენიორთა სისტემა ძალიან განსხვავებული ბუნებისა იყო და, თანაც, ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა, უფრო ხანგრძლივად იარსება და უფრო დიდი გავრცელების არეალიც ჰქონდა მთელ მსოფლიოში. გაუგებრობა XVIII საუკუნეში დაიწყო. ვასალური ურთიერთობები და ფეოდალური სისტემა იმ დროისთვის ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ წმინდა იურიდიული სახე ჰქონდა და უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში მოკლებული იყო თავის ნამდვილ არსს. იგივე წარსულის მემკვიდრე სენიორთა ინსტიტუცია კი, პირიქით, კვლავ აგრძელებდა აქტიურ არსებობას. პოლიტიკურმა მწერლებმა წარსულის ამ მემკვიდრეობაში გარკვევა ვერ შეძლეს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდად ესმოდათ! უმრავლეს შემთხვევაში ამ საკითხს, უბრალოდ, გულგრილად ვერ განიხილავდნენ. მათ ამ ისტორიაში სძულდათ არქაული გადმონაშთები და კიდევ უფრო მეტად ვერ იტანდნენ მემკვიდრეობაში ფესვგადგმულ ჩაგვრის ელემენტებს. ბრალი ყველაფერს ერთად და ერთნაირად ედებოდა. შემდეგ კი რევოლუციამ (საფრანგეთის დიდმა) ყველაფერს ერთი სახელი დაარქვა და შემდეგ თავის ინსტიტუციებიანად ფეოდალიზმიც და სენიორთა სისტემაც გააუქმა. მთელი ამ ამბიდან მხოლოდ მოგონებებიღა დარჩა, თუმცა ეს მოგონება მყარია და მიმდინარე ომმა კიდევ უფრო გაამძაფრა. ამიერიდან ეს გაუგებრობა უკვე დამკვიდრებულია და ვნებათაღელვით შექმნილს, დღეს, ახალი ვნებათაღელვის ზემოქმედებით კიდევ უფრო მეტი გავრცელება ელის. რატომ არის, რომ დღესაც კი, როდესაც ბანკირებისა და მეწარმეების „ფეოდალურ მორალს“ ვახსენებთ, მათზე მშვიდად ლაპარაკი არ შეგვიძლია? იმიტომ, რომ მას ყოველთვის თან ახლავს 1789 წლის მცხუნვარე ზაფხულში ცეცხლის ალში გახვეული ციხე-სიმაგრეების მოგიზგიზე ანარეკლი. სამწუხაროდ, ჩვენს ენაში მსგავს ბედს ბევრი სიტყვა იზიარებს. ისინი ყოველთვის ჩვენ გვერდით არიან და ჩვენთან ერთად ბობოქარი საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ. ხშირად ადგილისა და დროის გავლენით სახესაც იცვლიან და ორაზროვან მნიშვნელობასაც იძენენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ემოციური დატვირთვა ძლიერია. ამ დროს მხოლოდ ისტორიკოსის ბეჯითი და მოსაწყენი ქადაგება საკმარისი არ არის, იმისთვის, რომ „კაპიტალიზმის“ ან „კომუნიზმის“ ცნებათა არსში ბოლომდე გავერკვეთ. „რევოლუციის“ სახელის გაგონებისას 1815 წლის ექსტრემისტი რეაქციონერები შიშით სახეს მალავდნენ, 1940 წლის ექსტრემისტები კი ამ სახელით სახელმწიფო გადატრიალებას ჩქმალავენ.

დავუშვათ, რომ ჩვენს ლექსიკონში საბოლოოდ ჰარმონიამ დაისადგურა. თუმცა შეგახსენებთ, რომ ყველაზე მაღალგანვითარებულ ენებშიც კი მრავალი მახეა დაგებული. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე „ნომინალისტური მახვილსიტყვაობის“ ოდნავი მცდელობაც კი არ გვექნება. ფრანსუა სიმიანი სრულიად სამართ-

ლიანად, გაოცებას ვერ მალავს იმის გამო, რომ აღნიშნული „მახვილსიტყვაობები“ გასაოცარი პრივილეგიით სარგებლობს მეცნიერებებში ადამიანის შესახებ. რა უფლებით გვეუბნებიან უარს მოსახერხებელ ენობრივ საშუალებებზე? ეს ხომ ნებისმიერი რაციონალური შემეცნებისათვის აუცილებელი პირობაა? ჩვენ ხომ მაშინიზმს არ ვგულისხმობთ? ეს არავითარ შემთხვევაში არ არის დედაარსის შექმნის მცდელობა. უბრალოდ რომელიმე ექსპრესიული სიტყვაში ვაჯგუფებთ კონკრეტულ ფაქტებს. მათ შორის არსებული მსავსება უკვე თავადაა რეალობა. თავისთავად ასეთი რუბრიკები სავსებით გამართლებულია, თუმცა საფრთხეს შეიძლება სწორედ მოხერხებულობა ქმნიდეს. იმ შემთხვევაში, თუ სიმბოლო სწორად არ არის შერჩეული ან ძალიან მექანიკურადაა მორგებული, იმის მაგივრად, რომ ანალიზს წაადგეს, პირიქით, ხელს უშლის მას და ანაქრონიზმს წარმოშობს. ეს კი დროის შესახებ მეცნიერებისთვის ყველაზე მიუტევებელი ცოდვაა ცოდვათა შორის.

შუა საუკუნეების საზოგადოებაში ძირითადად ადამიანთა ყოფის ორი სახე ჩანს: თავისუფალი და ყოველგვარ თავისუფლებას მოკლებული ადამიანები. მაგრამ თვით თავისუფლების ცნება ერთ-ერთი იმ ცნებათაგანია, რომელიც ეპოქების მიხედვით არსს იცვლის და ამის გამო დღევანდელ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამ სიტყვის ნორმალური (ანუ მათეული) გაგებით შუა საუკუნეების თავისუფალი ადამიანები არამართებულად მოიხსენიებოდნენ. მათი აზრით, ესენი იყვნენ „ნახევრად თავისუფალი“ ადამიანები. თუმცა ამ სიტყვას ტექსტებში არავითარი საყრდენი არ მოეპოვება და როგორც ყველა უცხო სხეული, ნებისმიერ შემთხვევაში უხერხულობას შექმნიდა. მაგრამ, საუბედუროდ, მიზეზი მხოლოდ ეს არაა. ამ ტერმინმა ენაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყალბი სიზუსტე შეიტანა, რამაც თითქოს უსარგებლო გახადა თავისუფლებასა და მონობას შორის არსებული საზღვრის ღრმა კვლევა. აქ ლაპარაკია საზღვრის იმ გაგებაზე, რომელიც ხშირად გაურკვეველი და დროისა და რომელიმე ჯგუფის პოზიციის მიხედვით, ცვალებადიც კი იყო. მაგრამ მისთვის დამახასიათებელი სწორედ ის იყო, რომ არასოდეს შეუქმნია ეს „მარგინალური ზონა“, რომელზეც ასე დაჟინებით მიგვითითებს ეს უხეირო სახელი „ნახევრად თავისუფალი“. წარსულზე თავმოხვეული ტერმინოლოგია ყოველთვის მის დამახინჯებას გამოიწვევს, მით უფრო, თუ ეს ტერმინოლოგია (უბრალოდ შედეგად მიიღებს) წარსულის კატეგორიების ჩვენს ყოფაში გაცოცხლებას (გადმოტანას) განიზრახავს და ამ შემთხვევისათვის განკუთვნილს მუდმივი კატეგორიების რანგში აიყვანს. მსგავსი ეტიკეტების მიმართ მხოლოდ ერთი პოზიციაა მართებული – ისინი უნდა მოვაშოროთ!

ერთ დროს „კაპიტალიზმი“ საჭირო სიტყვა იყო, და კვლავაც საჭირო გახდება, თუ მოვახერხებთ და ყოველგვარ ორაზროვნებას მოვაშორებთ. რაც უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ის სალაპარაკო ენაში, მით უფრო იტვირთებოდა. მას შემდეგ, რაც ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე გამოიარა სულ სხვადასხვა ცივილიზაციები, ამ სიტყვამ თითქოს ბედისწერის ნიღაბი ააფარა საკუთარ თავისთავადობას. იყო თუ არა XVI საუკუნის რეჟიმი „კაპიტალისტური“? შეიძლება იყო

კიდევაც. გავიხსენოთ იმ დროს გამეფებული ფულის მოგებისადმი საყოველთაო სწრაფვა, რომლითაც მთელი საზოგადოება იყო გამსჭვალული და რომელმაც ყველა შეიპყრო – როგორც უბრალო ვაჭარი ან სოფლის ნოტარიუსი, ასევე აუგსბურგელი ან ლიონელი მსხვილი ბანკირი. ამ დროს სესხი და კომერციული სპეკულაცია ბევრად უფრო ადრე გახდა მნიშვნელოვანი, ვიდრე პროდუქციის ორგანიზაცია. აბა დააკვირდით, რენესანსის ეპოქის კაპიტალიზმი თავისი ადამიანური ტექსტურით რამდენად განსხვავდება ინდუსტრიული რევოლუციის დროინდელი სენ-სიმონისეული მანუფაქტურული და ბევრად უფრო იერარქიული სისტემისაგან! ეს სისტემა თავის მხრივ... აქ, სხვათა შორის, ერთ ძალიან უბრალო შეკითხვას შეუძლია შეცდომები აგვაშოროს. მაინც რომელია კაპიტალიზმის დაბადების თარიღი? არა რომელიმე ეპოქის კაპიტალიზმის – არამედ ზოგადად კაპიტალიზმისა – როდის მოხდა ეს? იტალიაში – XIII ს-ში, ფლანდრიაში – XIII ს-ში თუ ფუგერების დროს ანტვერპენის ბირჟაზე? XVIII თუ XIX საუკუნეში? რამდენი ისტორიკოსიცაა, იმდენი „დაბადების მოწმობაა“ შედგენილი. სიმართლე რომ ვთქვათ, იმდენივე, რამდენიც ბურჟუაზიის დაბადების თარიღები. ბურჟუაზიის ხელისუფლებაში აღმასვლის თარიღებით სავსეა სასკოლო სახელმძღვანელოები, ისინი ერთმანეთს თანმიმდევრულად ცვლიან და ჩვენს გოგო-ბიჭებს ბევრ საფიქრალსა და თავსატეხს სთავაზობენ.

პერიოდები საოცრად იცვლება ფილიპე ლამაზიდან ლუი XIV-მდე, 1789 ან 1830 წლების ცვლილებებზე რომ არაფერი ვთქვათ..... შეიძლება ეს სულ სხვა ბურჟუაზიაა, ისევე როგორც სულ სხვა კაპიტალიზმი?

მე ვფიქრობ, მივადექით საგნის არსს. გავიხსენოთ ფონტენელისეული ერთი ლამაზი ფრაზა: „ლაიბნიცი უკიდურესად ზუსტ დეფინიციებს ხმარობს, რითაც მახვილსიტყვაობის სასიამოვნო თავისუფლებას იკლებს“. სასიამოვნო რამდენადაა, არ ვიცი, მაგრამ უეჭველად დამღუპველია და თანაც მსგავსი თავისუფლება ჩვენთვის მეტისმეტად დამახასიათებელია. ისტორიკოსი დეფინიციებს იშვიათად ქმნის. ალბათ მისთვის ეს შრომა უსარგებლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ზუსტი მნიშვნელობის შესარჩევად უკვე არსებული ტერმინების მარაგით სარგებლობა. მაგრამ თუ ასე არ ხდება, ისტორიკოსი იძულებულია, თვით საკვანძო ტერმინების შემთხვევაშიც კი, მხოლოდ საკუთარ ინსტიქტს მიენდოს. ამ დროს ის დაუნდობლად აფართოებს ან აკნინებს სიტყვის მნიშვნელობას და ამით ამახინჯებს კიდეც მას. და თანაც ისე, რომ მკითხველს წინასწარ არც აფრთხილებს, ხანდახან კი ეს თვითონაც არა აქვს გააზრებული. რამდენი ფეოდალური წყობა გაჩენილა ჩინეთსა თუ ლამაზ საჭურველში გამოწყობილი აქაველების საბერძნეთში?! უმრავლეს შემთხვევაში ისინი ერთმანეთს არც კი გვანან. საქმე იმაშია, რომ ყველა ან თითქმის ყველა ისტორიკოსი სიტყვა „ცივილიზაციას“ ისე იგებს, როგორც მოეპრიანება.

ნუთუ მართლა ასე ალალბედზე ვიძლევით განსაზღვრებებს? აქ ყველას თავისი გზა აქვს არჩეული. ამ შემთხვევაში არაფერია იმაზე უფრო ნიშანდობლივი, ვიდრე ეკონომიკის ისეთი დახვეწილი მკვლევარის მაგალითი, როგორიცაა, ჯონ

მეინარდ კეინზი. თითქმის ყველა წიგნში მკვლევარის მიერ მითვისებულ და გამოყენებულ სიტყვებს იშვიათად თუ აქვს ზუსტი დეფინიცია. კეინზი ნაშრომიდან ნაშრომში სიტყვების მნიშვნელობას განუწყვეტლივ ცვლის, შედეგად, ტერმინი შეგნებულად შორდება საყოველთაოდ აღიარებულ განსაზღვრებას. მეცნიერებებში ადამიანის შესახებ უცნაური დერივაციები ალბათ იმიტომ გვხვდება ასე მრავლად, რომ მათ დიდი ხნის განმავლობაში უბრალო ლიტერატურულ ჟანრად მიიჩნევდნენ. ამის გამო ეს მეცნიერებები ხელოვნებისათვის დამახასიათებელ გამოუსწორებელ ინდივიდუალიზმს ჯერ კიდევ ინარჩუნებს. ხომ წარმოგიდგენიათ, ქიმიკოსმა რომ თქვას: „წყლის მოლეკულის შესაქმნელად საჭიროა ორი ნივთიერება: პირველი იძლევა ორ ატომს, ხოლო მეორე – ერთს. ერთს ჟანგბადს დავარქმევ და მეორეს – წყალბადს?!“ მოკლედ, თუ ერთმანეთის გვერდით თანმიმდევრობით დავალაგებთ თუნდაც იმ ისტორიკოსების ლექსიკას, რომლებიც ზუსტ განსაზღვრებებს იყენებენ, ამით მაინც ვერ შევქმნით ისტორიის ენას.

თუმცა უნდა ითქვას, რომ საერთო ენის გამონახვის მცდელობა აქა-იქ უკვე შეინიშნება. გამოჩნდნენ შედარებით ახალი დისციპლინების (ლინგვისტიკა, ეთნოგრაფია, გეოგრაფია) სხვადასხვა სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფები. ეს ფაქტი მათ თითქოსდა კორპორაციული რუტინის მავნე გავლენისგან იცავდა. ამავე მიზნით ისტორიისთვის შეიქმნა სინთეზის ცენტრი, რომელიც ყოველთვის მზად არის ამ მიმართულებით იმუშაოს. მათგან ალბათ ბევრ სასიკეთოს უნდა ველოდეთ, თუმცა ამ საქმეში წინსვლას ხელს დიდად შეუწყობდა ერთიანი კეთილი ნება. მე მჯერა, რომ აუცილებლად დადგება ის დრო, როცა ჩვენ მთელ რიგ საკითხებში შევთანხმდებით, თანდათან დავაზუსტებთ ტერმინოლოგიას და მოგვიანებით დავხვეწთ კიდეც და მაშინ თვით მკვლევარის სპეციფიკური ხელწერაც კი, რომელიც ღრმა ანალიზის დროს, როგორც წესი, თავს იჩენს ხოლმე და ენასაც ცვლის, ვერაფერს დააკლებს ტერმინოლოგიის სიზუსტეს. აქ გუნდური სულისკვეთება გადამწყვეტია. ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს, რომ ისტორიკოსმა უკვე არსებული ტერმინების მნიშვნელობაზე დაუფიქრებლად უნდა თქვას უარი და უმიზეზოდ ზურგი აქციოს უკვე ნაცად ტერმინებს. თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიკოსი, რომელიც კარგად ნაცნობ დეფინიციებს იყენებს, საკუთარ ლექსიკას ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის. მართალია, „ხუმარა“ დემიურგისათვის ბაბილონის გოდოლი კარგად თავშესაქცევი სპექტაკლი იყო, მაგრამ მეცნიერებისათვის მსგავსი სპექტაკლი არასასურველი და მიუღებელი ფორმა იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ წლები მდინარესავით შეუჩერებლად მიედინება, ჩვენი ამოცანაა, ეს ნაკადი დროდადრო დავანაწევროთ და დავაკვირდეთ. ამას თვით ჩვენი გონება მოითხოვს, ვინაიდან მას უნარი არ შესწევს, მთლიანად მოიცვას ქმედებათა ეს უწყვეტი ჯაჭვი. როგორ აღვმართოთ ისტორიული ორიენტირები დროის მდინარებაში? უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მიერ დადგენილი ორიენტირები ყოველთვის ხელოვნური იქნება. ბუნებრივია, რომ ჩვენი მაჩვენებლები მუდმივი ცვალებადობის მთავარ ორიენტირებს ყოველთვის უნდა ემთხვეოდეს.

ისტორიოგრაფიაში მემკვიდრეობით მიღებულ წინამძღოლთა მატიანის მთავარ ხერხემალს სწორედ უმაღლეს ხელისუფალთა მონაცვლეობა წარმოადგენდა. მატიანე კი, თუნდაც არასრულყოფილი სახით, საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემოდა. ძლევამოსილი დამპყრობლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. მათი ჰეგემონია ეპოქებს ქმნიდა: მიდიური, სპარსული, ბერძნული, რომაული – შუა საუკუნეების კოლექტიური მეხსიერება ამ ოთხი იმპერიის აპოკალიფსური მითის უდიდეს გავლენას განიცდიდა. თუმცა წმინდა წერილის თარგზე გამოჭრილი ფორმა მოუხერხებელი აღმოჩნდა. დღემდე მან რომის იმპერიის ერთიანობაზე გავრცელებული მცდარი წარმოდგენაც კი ვერ შეცვალა. მართალია, ქრისტიანული სამყაროსთვის პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, მაგრამ კაცობრიობის ისტორიისთვის ქრისტეს ვნებანი ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანს, ვიდრე ქვეყნის დამპყრობელთა და მაოხრებელთა ამბები. ნებისმიერი ხალხის ისტორიაში თვით ყველაზე უმნიშვნელო მონარქიც კი ეპოქის მთავარ ორიენტირადაა მიჩნეული. ისტორიის მიერ დადგენილი ეს წესი ძალიან სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ლავისის „საფრანგეთის ისტორია“ 1900-იანი წლების ფრანგული საისტორიო სკოლის უტყუარი სარკეა. ამ ნაშრომში ისტორია ერთი მონარქიდან მეორემდე ძლივს, ბორძიკით მიიწევს წინ. ყოველი ხელისუფალის გარდაცვალება, როგორც დიდ მოვლენას შეეფერება, დეტალურადაა მოთხრობილი. თითქოს მათ სიკვდილთან ერთად დრო ჩერდება და სხვა ეტაპი იწყება. სადაც მეფეები არ არიან? მმართველობის სხვა ფორმებიც ხომ წარმავალია? ამ შემთხვევაში ორიენტირად რევოლუცია გვევლინება. სახელმძღვანელოებში ისტორიის კურსი დათაფლული ეპითეტებით შემკული იმპერიების ჰეგემონიის მიხედვით არის დაყოფილი: საფრანგეთის ჰეგემონია, ინგლისის ჰეგემონია... მაინც რა სახის ჰეგემონიაზეა ლაპარაკი? ალბათ დიპლომატიურზე ანდა სამხედროზე. ყველა დანარჩენს კი, სადაც მოუხერხდებათ, იქ უჩენენ ადგილს. თუმცა დიდი ხნის წინ, XVIII საუკუნეში, პროტესტის ხმა გაისმა: „გეგონებათ თოთხმეტი ასწლეულის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მეფეები, მინისტრები და გენერლები ცხოვრობდნენ“, – წერდა ვოლტერი. თუმცა ისტორიის ეტაპებად დაყოფის ახალი ფორმები მაინც ჩნდებოდა. იმპერიული და მონარქიული აკვიატებისგან თავისუფალი ისტორიკოსები ცდილობდნენ ორიენტირებად უფრო სიღრმისეული მოვლენები გამოეყენებინათ.

„ფეოდალიზმი“, როგორც პერიოდისა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის განსაზრვრება, როგორც ვნახეთ, ამ დროით თარიღდება. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ტერმინ შუა საუკუნეების ბედი.თვით ეს განსაზღვრება სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს.

„ფეოდალიზმი“, როგორც პერიოდისა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის განსაზღვრება, როგორც ვნახეთ, ამ დროით თარიღდება. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ტერმინ „შუა საუკუნეების“ ბედი.

თვით ეს განსაზღვრება სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს. ეს ტერმინი იმ ნახევრად მწვალებლური პროფეტიზმიდან მოდის, რომელმაც მე-13 საუკუნეში ბევრი ბობოქარი სული აცდუნა. იესო ქრისტეს განკაცების საიდუმლომ მოსეს

სჯულის შემდეგ ბევრი რამ კი შეცვალა, მაგრამ დედამიწაზე ღვთის საუფლო მაინც ვერ დაამკვიდრა. აღთქმული წუთის მოლოდინში მყოფი აწმყო რაღაც შუალედურ, გარდამავალ ეტაპად იქცა.

მოგვიანებით, როგორც ჩანს, უკვე პირველი ჰუმანისტებისთვის, მისტიურ ენას კარგად რომ ფლობდნენ, ეს შეხედულება მეტწილად პროფანაციისკენ გადაიხარა.

მათი გაგებით, ღვთიური მეუფება უკვე დამდგარი იყო. ისინი ამაში ა და აზროვნების იმდროინდელ განახლებას გულისხმობდნენ. მოვლენის ამგვარი აღქმა იმ დროის საუკეთესო წარმომადგენლებში მძაფრად შეიგრძნობა. ამის საუკეთესო მაგალითია რაბლე და რონსარი.

„შუა საუკუნები“ ნაყოფიერ ანტიკურობასა და მის ხელახალ გამოცხადებას შორის მოექცა და ხანგრძლივი მოლოდინის პერიოდად იქცა. შემდეგ ტერმინის ამგვარი გაგება რამდენიმე თაობის განმავლობაში ჩრდილში მოექცა და სავსებით დასაშვებია, რომ მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრეში არსებობდა. სავარაუდოდ, მე-18 საუკუნეში, სახელმძღვანელოების ერთმა უბრალო ავტორმა, ვინმე კრისტოფ კელერმა, ბარბაროსების შემოსევიდან რენესანსამდე ათასწლეულს „შუა საუკუნეები“ უწოდა. შემდეგ არავინ იცის, ეს გამოთქმა რა გზებით შემოვიდა ან საბოლოოდ საბოლოოდ როგორ დაიმკვიდრა ადგილი ევროპის და, კერძოდ, გიზოსა და მიშლეს დროინდელ ისტორიოგრაფიებში. ვოლტერისთვის ამ სიტყვების საზრისი უცხოა: „თქვენ გინდათ საბოლოოდ დაძლიოთ ის ზიზღი, რომელსაც რომის იმპერიის დაცემიდან მოყოლებული ახალი ისტორია იწვევს თქვენში“, – ასე იწყება მისი „ესსე ზნეობაზე“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ ნაშრომმა, (რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობებზე) განაპირობა ამ ტერმინისა და მისი თანმხლები ტერმინის – რენესანსის წარმატება. ეს უკანასკნელი უკვე არსებობდა და სტილის ისტორიაში თავისი ადგილიც ჰქონდა, მაგრამ ეს იყო საზოგადო სახელი, რომელსაც თან ახლდა რაიმე დამატება (ხელოვნების რენესანსი ან ლიტერატურის რენესანსი მე-16 საუკუნეში ლეონ X-ის ან ფრანსუა I-ის დროს, – ამბობდნენ იმ დროს). ამ სიტყვამ მხოლოდ მიშლეს დროს, და ისიც ასომთავრულით, მოიპოვა მთელი პერიოდის განსაზღვრის პატივი.

აქაც და იქაც ამ სიტყვას ერთი იდეა უდევს საფუძვლად. მანამდე მიღებული იყო, რომ დროის ჩარჩოების დადგენა ბრძოლების, მეფის კარის პოლიტიკის, დიდი დინასტიების აღმავლობის ან დაცემის მიხედვით ხდებოდა, ხოლო ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერება, ავად თუ კარგად მათი საბრძოლო დროშის ქვეშ იყვნენ ჩამწკრივებულნი. დადგა დრო, როცა ყველაფერი უნდა შეიცვალოს, იმიტომ, რომ ადამიანთა ეპოქებს ადამიანისავე სულისა და გონების პროგრესულად ცვალებადი და ბრწყინვალე გამოვლინებები აძლევს ტონს. საეჭვოა მოიძებნოს კიდევ რომელიმე იდეა, რომელიც ასე ნათლად გამოხატავდეს ვოლტერისეულ „ბრჭყალებს“. კლასიფიკაციის ამგვარ პრინციპს მაინც ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი: ეპოქის განმასხვავებელი ნიშანი, ცოტა არ იყოს, განაჩენს ჰგავდა. მაშასადამე, ჩვენ ამიერიდან აღარ გვჯერა შუა საუკუნეების „ღამის“ და უარს ვამბობთ უნაყო-

ფო და ერთფეროვანი უდაბნოს მსგავსად აღვწეროთ ის საუკუნეები, რომლებიც ასე მდიდარია ტექნიკური მიღწევებით, ხელოვნებით, გრძნობებით, რელიგიური რეფლექსიებით. ეს ის საუკუნეებია, რომლებმაც იხილეს ევროპის ეკონომიკური ექსპანსიის პირველი წლები და რაც მთავარია, ამ საუკუნეებმა სამშობლო მოგვცა. მაშ, რის საფუძველზე ან რა უფლებით ვქმნით ამ ყალბ რუბრიკას და ერთი სათაურის ქვეშ ვაერთიანებთ ჰლოდვიგის გალიას და ფილიპე ლამაზის საფრანგეთს? ან ალკუინს და წმინდა თომას? ანდა „ბარბაროსების“ ველურ სტილს და შარტრის ქანდაკებებს? ან კიდევ კაროლინგებისდროინდელ პატარა მოსაწყენ ქალაქებსა და გენუის, ბრიუგესა და ლუბეკის ბრწყინვალე ბიურგერების ცხოვრებას? „შუა საუკუნეები“ ახლა არსებითად მხოლოდ პედაგოგიკაში აგრძელებს თავის საბრალო არსებობას, როგორც პროგრამებზე საეჭვოდ მორგებული ტერმინი და, განსაკუთრებით, როგორც იმ მეცნიერული ტექნიკის ეტიკეტი, რომელიც საკმაოდ უხეიროდაა დაყოფილი ტრადიციული დათარიღებით. მედიევისტი ის ადამიანია, რომელმაც იცის, როგორ უნდა წაიკითხოს ძველი ხელნაწერები, გააკრიტიკოს რაიმე ქარტია ან გაიგოს ძველფრანგული ენა. ცხადია, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ სულაც არ არის საკმარისი იმ მეცნიერისთვის, რომელიც სინამდვილეს იკვლევს და დროის ზუსტ საზღვრებს ადგენს. ჩვენი ქრონოლოგიური კლასიფიკაციის ორომტრიალში ერთი მოდა გაჩნდა (ჩემი აზრით, სულ ახალი), რომელიც მეტად გადამდები და ნაკლებად გონივრულია: ჩვენ მეტისმეტად გვსიამოვნებს საუკუნეების დათვლა. ამ სიტყვას, რომელიც წლების ზუსტ აღრიცხვას დიდიხანია დაშორდა, დასაბამიდან რაღაც მისტიური ელფერი დასდევდა, რაც ალბათ „მეოთხე ეკალოგის“ ან Dais irae-ს გამოძახილია. მაშინ, როდესაც ისტორია დაგვიანებით განიხილავდა პერიკლეს ან ლუი XIV საუკუნეებს, ეს გამოძახილი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო და ციფრობრივი სიზუსტეც ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ მას შემდეგ ჩვენი ენა მეტად მათემატიკური გახდა. საუკუნეებს მათი გმირების სახელებს აღარ ვუწოდებთ, უბრალოდ ასწლეულებად ვნომრავთ. ნუმერაციის ათვლის წერტილი კი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი წელია.

მე-12 საუკუნის ხელოვნება, მე-18 საუკუნის ფილოსოფია, „უგუნური“ მე-19 საუკუნე. ამ სახეზე ნიღაბაფარებულ სახეებს ჩვენი წიგნების ფურცლებზე ხშირად შეხვდებით. რომელი ჩვენგანი დაიკვეხნის იმით, რომ არასოდეს გაბმულა მათი ყალბი კომფორტულობის მახეში? სამწუხაროდ, ისტორიაში არ არის კანონი, რომლის თანახმადაც, წლების აღმნიშვნელი ოთხნიშნა რიცხვი, რომელიც ბოლოვდება ციფრით 1 აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს კაცობრიობის ევოლუციის კრიტიკულ მომენტებს. აქედან იწყება აზრის გამრუდება. „კარგად არის ცნობილი, რომ მე-18 საუკუნე იწყება 1715 წელს და მთავრდება 1789 წელს.“ ეს ფრაზა ახლახან ერთი სტუდენტის ნამუშევარში წავიკითხე. რა არის ეს, გულუბრყვილობა თუ ირონია? არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რომ ეს უფრო ტრადიციად დამკვიდრებული ზოგიერთი ახირების სააშკარაოზე გამოტანაა. თუ საქმე გვაქვს ფილოსოფიურად წოდებულ მე-18 საუკუნესთან? ამ შემთხვევაში იმის თქმაც კი შეგვიძლია, რომ

ეს საუკუნე 1701 წელზე გაცილებით ადრე დაიწყო, რადგან ფონტენელის „ორაკულების ისტორია“ 1687 წელს გამოჩნდა, ხოლო ბეილის „ლექსიკონი“ კი – 1697 წელს. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ სიტყვა ხშირად აზრსაც ამახინჯებს და ბოლოს და ბოლოს ამ გაყალბებული იარლიყების გამო „პროდუქტშიც“ შეიძლება შევცდეთ. ხშირად საუბრობენ მე-12 საუკუნის „რენესანსზე“: უდავოდ დიდი ინტელექტუალური ძვრების საუკუნეა, მაგრამ, როგორც კი ამ რუბრიკის ჩარჩოებში მოვაქცევთ, ძალიან უმტკივნეულოდ ვივიწყებთ, რომ იგი სინამდვილეში გაცილებით ადრე, დაახლოებით 1060 წელს დაიწყო. ყოველივე ამის გამო, არსებითად მნიშვნელოვანი კავშირი შეიძლება ხელიდან გაგვისხლტეს. მოკლედ, თავს ისე ვაჩვენებთ, თითქოს ჩვენ მიერ თვითნებურად შერჩეული მკაცრად თანაბარი რიტმით რეალობის დანაწილება მაშინაც არის შესაძლებელი, როდესაც თვით რეალობისთვის მსავსი ერთგვაროვანი რიტმი საერთოდ უცხოა. ეს წმინდა წყლის პირობითობაა და მისი დამკვიდრება კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას გამოიწვევს. ცხადია, უკეთესი საშუალება უნდა ვეძებოთ. მოკლედ, მანამ, სანამ ჩვენ მხოლოდ მონათესავე მოვლენების დროში მიმდინარეობის შესწავლით ვართ დაინტერესებულნი, მხედველობიდან გვრჩება ის ამბავი, რომ საქმე ბევრად უფრო მარტივადაა. იქნებ პერიოდებად დაყოფა თავად მოვლენებს შევუსაბამოთ? მაგალითად, რელიგიის ისტორია ფილიპ-ავგუსტის დროს; ანდა ეკონომიკის ისტორია ლუი მე-14 დროს; ანდა წარმოიდგინეთ, რომ ლუი პასტერს ეთქვა: „დღიური, რომელშიც გრევის მეორე პრეზიდენტობის დროს ჩემი ლაბორატორიის მუშაობაა აღწერილი“; ანდა, პირიქით, „ევროპის დიპლომატიის ისტორია ნიუტონიდან აინშტაინამდე“. თვალნათლივ ჩანს, რატომ არის ისტორიის იმპერიებად, მეფეებად ან პოლიტიკურ რეჟიმებად დაყოფა-დანაწილება მაცდუნებელი.

ზემოთ აღნიშნულ მეთოდს, ყველაფერთან ერთად, ხელისუფლებისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი პრესტიჟულობა, როგორც მაკიაველი ამბობდა „სახელმწიფოს ან ხელისუფლების საქმიანობის დიდებული იერი“ უმაგრებს ზურგს. დროის მიმდინარეობის სქემაზე ყველა მოვლენას თავისი ზუსტად განსაზღვრული ადგილი და ხანგრძლივობა აქვს, ეს შეიძლება იყოს ერთი წელი ან ერთი დღე. ერუდიტს ხომ, როგორც ამბობენ, ზუსტი თარიღები უყვარს, ამიტომ გაურკვევლობისადმი ინსტინქტური შიშისა და საკუთარი სინდისის ქენჯნისაგან თავის დასაღწევად ეს მეთოდი მისთვის ძალიან მოსახერხებელია. ისტორიკოსს ალბათ სურს, რომ თავისი საგნის შესახებ ყველაფერი წაიკითხოს და მოიძიოს. წარმოიდგინეთ, რამდენად სასიამოვნო და კომფორტულია მისთვის, იდგეს საარქივო მასალის წინ, ხელში ეჭიროს კალენდარი და ანაწილოს, რა მოხდა „მანამდე“, „იმ დროს“, „შემდეგ“. მაგრამ ფრთხილად! დროის ყველაზე ზუსტი მონაკვეთი აუცილებელი არ არის ყველაზე მცირე ერთეულს ემთხვეოდეს (მაშინ ათწლეულს 1 დღე შეცვლიდა და 1 დღეს 1 წამი), ნამდვილი სიზუსტე ხსენებული მოვლენის თვით მის ბუნებასთან შეფარდებაში მდგომარეობს. მოვლენის თითოეულ ტიპს თავისი განსაკუთრებული საზომი ერთეული ანუ ათვლის სისტემა აქვს. შეუძლებელია სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური თუ სულიერი ქმედებების

ტრანსფორმაციები ყოველგვარი გაყალბების გარეშე დაემორჩილოს მეტისმეტად შეზღუდულ ქრონომეტრაჟს. თუ მე აზრს გამოვთქვამ დასავლეთის ეკონომიკის უკიდურესად ღრმა ცვლილებების შესახებ და ვიტყვი, რომ ის ცვლილება, რომელიც უცხოური ხორბლის პირველი იმპორტის და გერმანული ან ამერიკული წარმოების დიდ წარმატებას ასახავს და ეს ყველაფერი 1875 და 1885 წლებს შორის მოხდა-მეთქი, ეს მიახლოებითობა ამ ტიპის ანალიზისთვის დასაშვები იქნებოდა და, პირიქით, უფრო ზუსტი თარიღი სიმართლესთან კიდევ უფრო დაგვაშორებდა. ანდა იქნებ ფრანკფურტის ხელშეკრულების თარიღი დამხმარებოდა (ეს უცებ მომივიდა თავში)? ამ მეთოდით მე ციფრებისადმი უაზრო თავდადებას უფრო დავამტკიცებდი, ვიდრე სიმართლეს. აპრიორი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთისგან ერთი შეხედვით განსხვავებულ მოვლენებს ხანდახან ერთმანეთის გადაფარვაც შეუძლიათ. განა მართალია, რომ მეორე იმპერიის პერიოდი იმავდროულად ფრანგული ეკონომიკისთვის ახალი პერიოდი იყო? ნუთუ სიმართლეს შეეფერება ზომბარტის აზრი, რომ კაპიტალიზმის აყვავება და პროტესტანტული სულისკვეთების აღმავლობა ერთი და იგივეა? განა მართებულად განსჯის ტიერი-მონიე, რომ დემოკრატია იგივე კაპიტალიზმის „პოლიტიკური გამოხატულებაა“? ჩვენ უფლება არ გვაქვს, ეს დამთხვევები წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებებით უგულებელვყოთ (რაც უნდა ეჭვი გვეპარებოდეს). მათი წინ წამოწევა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სათანადო ადგილზე იმყოფებიან და წინასწარ პოსტულატად არ არიან მიჩნეულნი. ზღვის მოქცევა უდავოდაა დაკავშირებული მთვარის ფაზებთან. თუმცა სანამ ამას გავიგებთ, თავდაპირველად ცალცალკე უნდა შევისწავლოთ მოქცევა-მიქცევის პერიოდები და მთვარის ფაზების ცვალებადობა. საინტერესოა, საჭიროა თუ არა ეტაპების თანმიმდევრულად შესწავლა, როდესაც შესწავლის ობიექტი მთელი სოციალური ევოლუციაა? ეს არის უმთავრესი პრობლემა. აქ მხოლოდ იმ გზების მითითება შეიძლება, რითაც კლასიფიკაცია უნდა წარიმართოს. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ისტორია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი მეცნიერებაა. ის ადამიანები, რომლებიც ერთ დროს და ერთ წრეში დაიბადნენ, აუცილებლად ერთნაირ ზემოქმედებას განიცდიან (და ეს განსაკუთრებით პიროვნების ფორმირებისას ხდება). გამოცდილება ადასტურებს, რომ მათი ქცევები მკვეთრად განსხვავდება საგრძნობლად უფროსი ან უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა ქცევებისგან, რაც მათ შორის მწვავე უთანხმოების შემთხვევაში მტკიცდება. ერთსა და იმავე საკითხზე თვით ურთიერთსაპირისპირო პოზიციის არსებობაც კი მათ მსგავსებაზე მეტყველებს. ერთი ასაკის ადამიანების მიერ დატოვებული კვალი თაობას ქმნის.

სიმართლე რომ ითქვას, საზოგადოება იშვიათად არის ერთგვაროვანი. ის ყოველთვის სხვადასხვა შრეებად იყოფა და ამ შრეებში თაობები ყოველთვის თანაბრად არ არიან წარმოდგენილნი. განა ის ძალა, რომელიც ახალგაზრდა მუშაზე ზემოქმედებს, მის თანატოლ გლეხზეც ისეთივე ინტენსიურობით იმოქმედებს? ამას ისიც დაუმატეთ, რომ ძალიან განვითარებული კავშირების მქონე საზოგადოებებშიც კი ზოგჯერ რაღაც მიმდინარეობა ძალიან ნელა ვითარდება.

მამაჩემი, რომელიც 1848 წელს სტრასბურგში დაიბადა, მეუბნებოდა: „ჩემს ყმაწვილობაში პროვინციებში რომანტიკოსები ბევრნი ვიყავით, ამ დროს პარიზი რომანტიზმისგან უკვე შორს იყო.“ ეს ის შემთხვევაა, როდესაც დაპირისპირება დაშორიშორებაში გადადის ხოლმე. ამიტომ, როდესაც ფრანგთა რომელიმე თაობაზე ვსაუბრობთ, თვალწინ წარმოგვიდგება რთული და ხშირად წინააღმდეგობებით სავსე სახე. თუმცა გასაგებია, რომ მხედველობაში მხოლოდ ძირითადი შტრიხები გვაქვს.

რაც შეეხება თაობათა პერიოდიზაციას, აქ ზოგიერთი ავტორის პითაგორული ილუზიების მიუხედავად, არავითარი სიზუსტე არ არსებობს. თაობათა შორის საზღვრები პერიოდულად ხან იშლება და ხანაც იკვრება, იმისდა მიხედვით, როგორია სოციალური მოძრაობის ტემპი. ისტორიას ახსოვს გრძელი და მოკლე თაობები. იმ ათვლის წერტილების დაჭერა, რომლებისთვისაც მრუდი მიმართულებას იცვლის, მხოლოდ პირდაპირი დაკვირვებითაა შესაძლებელი.

მაგალითად, მე დავდიოდი სკოლაში. იქ შესვლის თარიღი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სხვა ეტაპების დადგენაში მეხმარება. სხვათა შორის, ძალიან ადრე ვიგრძენი, რომ ბევრი თვალსაზრისით მე უფრო ახლოს ვიყავი, იმ თაობასთან, რომელმაც სკოლა ჩემამდე დაამთავრა, ვიდრე იმათთან, ვინც ჩემ შემდეგ სწავლობდა. მე და ჩემი მეგობრები ჯერ კიდევ იმათ რიგებს ვავსებდით, ვისაც შეიძლება „დრეიფუსის თაობა“ ეწოდოს. შემდგომმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ეს შთაბეჭდილება ვერ გააქარწყლა.

ბოლოს და ბოლოს თაობები ერთმანეთით განიმსჭვალებიან. არ დაგვავიწყდეს, რომ სხვადასხვა ინდივიდი ერთსა და იმავე გამღიზიანებელზე შეიძლება არ რეაგირებდეს. ჩვენს ბავშვებს შორის ასაკის მიხედვით უკვე ადვილი გამოსარჩევია ვინ იქნება ომის შემდგომი და ვინ ომისდროინდელი თაობა. თუმცა პირობა აქაც არსებობს. ის ბავშვები, რომლებიც ჯერ ყმაწვილობის ასაკში არ შესულან, მაგრამ ადრეული ბავშვობის ასაკიდან უკვე გამოვიდნენ, ტემპერამენტის ინდივიდუალობის მიხედვით აწმყოს მოვლენებს სხვადასხვაგვარად განიცდიან. ამ ბავშვებიდან ყველაზე ადრე მომწიფებულები ომისდროინდელ თაობად დარჩებიან, დანარჩენი კი ომის შემდგომ თაობაში გადაინაცვლებს.

როგორც ხედავთ, „თაობის“ ცნება ძალიან მოქნილია, როგორც ყველა ის იდეა,რომელიც ცდილობს დამახინჯების გარეშე გამოხატოს ყველაფერი ადამიანური. ამასთან ერთად ის პასუხობს ყველა იმ რეალობაზე, რომელსაც ჩვენ სრულიად კონკრეტულად აღვიქვამთ. უკვე დიდი ხანია ამ ცნებას თითქმის ინსტინქტურად იყენებდნენ ის დისციპლინები, რომლებმაც თავიანთი ბუნების გამო სხვა დისციპლინებზე ადრე თქვეს უარი მეფეებისა და მმართველების მიხედვით პერიოდიზაციაზე. მაგალითად, აზროვნების ან მხატვრული ხელოვნების ისტორიები. როგორც ჩანს, ამ სიტყვის დანიშნულებაა, ადამიანთა ბედი გასაანალიზებლად რაც შეიძლება ბევრი ორიენტირით მოამარაგოს.

მაგრამ ერთი თაობა მოკლე ფაზაა. უფრო ხანგრძლივ ფაზას ცივილიზაცია ეწოდება.

როგორც ლუსიენ ფევრმა დაგვანახა, ცივილიზაციის ცნება შემფასებლური განსჯის გაგებისგან ნელა და თანდათანობით გათავისუფლდა. სიტყვის დღევანდელი გაგებით ე. წ. „არაცივილიზებული“ ცივილიზაციების არსებობასაც კი ვუშვებთ. ჩვენ უკვე არაერთხელ ვაღიარეთ, რომ საზოგადოებაში ყველაფერი ურთიერთკავშირსა და ურთიერთმორჩილებაშია: პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურები, ეკონომიკა, სარწმუნოება და აზროვნების ყველაზე მარტივი და ფაქიზი ფორმებიც კი. მაგრამ მიუხედავად კომპლექსურობისა, მას მაინც აქვს საკუთარი ტონალობა, რომლის გამორჩევა და გადმოცემა ძალიან ძნელია. ზოგადი და მარტივი იარლიყების გამოყენება არაფრის მომცემია. გავიხსენოთ, რომ სწორედ მსგავსი „იზმების“ (Tipismus, konventinalismmus) გადაჭარბებულმა გამოყენებამ იმსხვერპლა კარლ ლაპრეხტის საკმაოდ მახვილგონივრული მცდელობა ევოლუციის აღწერისა, არავინ დაობს იმაზე, რომ ცივილიზაციის გაგებაში წინააღმდეგობები არსებობს. ვინ უარყოფს რომ ჩინური ცივილიზაცია არსებობს და დიდადაც განსხვავდება ევროპული ცივილიზაციისაგან. თუ საზოგადოებაში გაბატონებული ტონი შეიცვალა, ჩვენ ვასკვნით, რომ ერთმა ცივილიზაციამ შეცვალა მეორე. მართალია, დასავლური ადრეულმა შუა საუკუნეებმა რომის იმპერიისგან მემკვიდრეობით ბევრი რამ მიიღო, მაგრამ, ცხადია, რომ ეს სულ სხვა ცივილიზაციაა. ისევე, როგორც დასავლეთის რენესანსის დროინდელი ცივილიზაცია უკვე ვეღარ გაიგივდება ჩვენს დღევანდელ ცივილიზაციასთან. ჩვენი კვლევის ამოცანა კი სწორედ ის არის, რომ ზემოხსენებულ განსხვავებებში რაც შეიძლება მეტი სიზუსტე და სიცხადე შევიტანოთ.

მოკლედ, ადამიანური დრო არასოდეს დაემორჩილება საათის ულმობელ ერთფეროვნებას და დროის მკაცრ დანაყოფებს. ადამიანურ დროს ცვალებად რიტმზე მორგებული საკუთარი ერთეული ჭირდება, რომლის საზღვრები, როგორც ამას რეალობა მოითხოვს, მხოლოდ განაპირა ზონებზე გადის.

სწორედ ამგვარი მოქნილი კლასიფიკაციით შეძლებს ისტორია, როგორც ბერგსონი იტყოდა, „თვით რეალობის კონტურების“ პოვნას, რაც ყველა მეცნიერების საბოლოო მიზანია.

[...]

ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკი

1899-1992

შესავალი

ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკი (Friedrich August von Hayek) ავსტრიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი დაიბადა 1899 წელს. მამა, აუგუსტ ფონ ჰაიეკი, ვენის უნივერსიტეტის ბოტანიკის პროფესორი და ექიმი იყო, ხოლო დედა გვარად იურაშეკი პროფესორ ფრანც ფონ იურაშეკის ქალიშვილი გახლდათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ მამისა და დედის ოჯახების აკადემიურმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის კარიერის არჩევანზე. პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ (1917 წ.) ჰაიეკმა სწავლა დაიწყო ვენის უნივერსიტეტში, სადაც ის იურისპრუდენციას ეუფლება. აქვე ის ამჟღავნებს დიდ ინტერესს ეკონომიკის მეცნიერების მიმართ და ისმენს ლექციებს ეკონომიკასა და ფსიქოლოგიაში. ახალგაზრდობის წლებში ჰაიეკი გატაცებული იყო სოციალისტური იდეებით, განსაკუთრებით კი ბრიტანული ფაბიანური სოციალიზმით,[1] მაგრამ მოგვიანებით ჰაიეკი მისი მასწავლებლის ლუდვიგ ფონ მიზესის (1881-1973) ზეგავლენით რადიკალურად იცვლის თავის შეხედულებას და საბოლოოდ სოციალიზმის რადიკალურ კრიტიკოსად ყალიბდება. 1921 წელს ის იცავს სადოქტორო დისერტაციას სამართალში, ხოლო მოგვიანებით, 1923 წელს – ეკონომიკაში. 1931 წელს ის ხდება ლონდონის ეკონომიკის სკოლის (London School of Economics) პროფესორი. ამ უმაღლეს სასწავლებელში ჰაიეკი თეორიულ დისკუსიაში შედის მის თანამედროვე ეკონომისტთან მეინარდ კეინსთან (John Maynard Keynes 1883-1946), რომლის მემარცხენე ეკონომიკური იდეები მაშინდელ ევროპაში ძალზე პოპულარული იყო. 1950 წელს ჰაიეკი იცვლის სამუშაო ადგილს, გადადის ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ხდება. 1974 წელს ჰაიეკს გუნარ მირდალთან (Gunnar Myrdal 1898-1987) ერთად გადაეცა ნობელის პრემია ეკონომიკის მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ჩიკაგოს უნივერსიტეტის შემდეგ ის კვლავ ევროპაში ბრუნდება, მუშაობას აგრძელებს ფრაიბურგის უნივერსიტეტში, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობს.

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი 1992 წელს გარდაიცვალა ფრაიბურგში. დასაფლავებულია ვენაში. ჰაიეკი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ტოტალიტარულ სისტემებს აკრიტიკებდა, სიცოცხლეშივე მოესწრო ორი ყველაზე მემარცხენე-რადიკალური, სოციალისტური, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის – ნაცისტური გერმანიის და საბჭოთა კავშირის – კრახს.

---

1 „ფაბიანელთა საზოგადოება“ ბრიტანული ინტელექტუალური მოძრაობა იყო, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ჩაისახა. სიტყვა „ფაბიანელი,“ „ფაბიანური“ მომდინარეობს ანტიკური რომის სამხედრო მოღვაწის ქვინტუს ფაბიუს მაქსიმუს ვერუკუსის სახელიდან.

ფრიდრიხ ოგიუსტ ჰაიეკის ნაწარმოები „გზა ბატონყმობისაკენ“ (The Road to Serfdom) დღემდე მსოფლიო ეკონომიკური ლიტერატურის კლასიკად ითვლება. „გზა ბატონყმობისაკენ“ პირველად დიდ ბრიტანეთში 1944 წელს გამოიცა, ხოლო ამავე წელს ის ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა. გამოსვლისთანავე წიგნი ბესტსელერად იქცა. ამ წიგნის მრავალ გამოცემათა შორის აღსანიშნავია 1994 წლის 50-ე საიუბილეო გამოცემა, რომელსაც ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის მილტონ ფრიდმანის (Milton Fridman 1912-2006) წინასიტყვაობა უძღვის წინ. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ჰაიეკის მიერ გამოცემული ტექსტის შემოკლებული ვერსიაა, იგი 1945 წლის აპრილში გამოიცა ჟურნალ „რიდერ დაიჯესტში“ და ათი ქვეთავისაგან შედგება: 1. შესავალი; 2. დაგეგმვა და ძალაუფლება; 3. საფრთხის წინაპირობა; 4. დაგეგმვის ლიბერალური გზა; 5.უდიდესი უტოპია; 6. რატომ ექცევა სათავეში ყველაზე უარესი? 7. დაგეგმვა კანონის უზენაესობის საპირისპიროდ; 8. არის კიდევ დაგეგმვა „გარდაუვალი“? 9. შესაძლებელია, რომ დაგეგმვამ გაგვათავისუფლოს საზრუნავისაგან? 10. უსაფრთხოების ორი სახესხვაობა; 11. უკეთესი სამყაროსაკენ.[2]

ნაშრომი დაიწერა მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. ამ ომში ჩაბმული იყო მაშინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო. გერმანულ ნაციმზს, ერთი მხრივ, დაუპირისპირდა დემოკრატიული ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო მეორე მხრივ, ტოტალიტარული საბჭოთა კავშირი. გერმანულმა ნაციზმმა მრავალი ადამიანი დააფიქრა დემოკრატიის მომავალზე. გერმანიაში 1933 წელს ნაცისტური პარტიის გამარჯვებამ აშკარად ცხადყო, რომ დემოკრატიული სისტემის არსებობა არ არის თავისთავად გარანტირებული და დემოკრატიული საზოგადოებები არ არიან დაცული ტოტალიტარიზმის საფრთხისაგან. შესაბამისად, დაისვა კითხვები, თუ რა ფაქტორები უწყობენ ხელს ამა თუ იმ საზოგადოებაში ანტილიბერალური ღირებულებების დამკვიდრებასა და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის დამყარებას?

ჰაიეკი წერს: „გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მიერ მე-19 საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში განხორციელებული ძალმომრეობის მნიშვნელოვანმა მასშტაბებმა გააძლიერა იმის რწმენა, რომ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შეუძლებელია ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბება. მაგრამ, ნება მოგვეცით, გაგახსენოთ – ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში იმის ალბათობა, რომ ასეთი რამ გერმანიაში მოხდებოდა, წარმოუდგენელი იყო არა მხოლოდ თავად გერმანელთა ცხრა მეათედისთვის, არამედ ყველაზე უფრო მტრულად განწყობილი უცხოელი დამკვირვებლებისთვისაც კი.

უამრავი თავისებურება, რომელიც მაშინ აღიქმებოდა, როგორც „სახასიათოდ გერმანული“, ამჟამად ამერიკასა და ინგლისს ერთნაირად ახასიათებს. უამრავი ნიშანი, მაგალითად ხელისუფლების გაზვიადებული თაყვანისცემა, „გარდაუვალობისადმი“ მორჩილება, ყველაფრის „მოწესრიგებით“ (ახლა ამას „დაგეგმ-

2 ნაშრომის სრული ვერსია თხუთმეტი თავისაგან შედგება.

ვას“ ვუწოდებთ) გატაცება, მომავალში გერმანიის მსგავსი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობაზე მიუთითებს".

რამდენად არის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა დაცული ტოტალიტარიზმის საფრთხისაგან? შესაძლებელია თუ არა ისეთ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი ან კიდევ ამერიკის შეერთებული შტატები ოდესმე გაიმარჯვოს ტოტალიტარიზმმა? სწორედ ასეთ და მსგავს კითხვებს სვამს ჰაიეკი ნაშრომში „გზა ბატონყმობისაკენ“. მისი, როგორც უდიდესი მოაზროვნის დამსახურება მდგომარეობს იმ საფუძვლების აღმოჩენაში, რომელიც ტოტალიტარული მმართველობის დამყარებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ამ საფუძვლებს აანალიზებს ჰაიეკი ნაშრომში: „გზა ბატონყმობისაკენ“: როგორია ეს საფუძვლები, რა იდეოლოგია, ფილოსოფიური კონცეფცია და მსოფლმხედველობა კვებავს ტოტალიტარიზმს?

ჰაიეკის მიერ ამ წიგნის დაწერას, გარდა ისტორიული საფუძვლებისა და მიზეზებისა (ბოლშევიზმის გამარჯვება რუსეთში, გერმანიაში ნაცისტური მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლა, ფაშისტური ხელისუფლების დამყარება იტალიაში, მეორე მსოფლიო ომი) ინტელექტუალური საფუძვლებიც ჰქონდა. კერძოდ, ეს გახლდათ XX საუკუნის 30-40-იან წლებში მემარცხენე ეკონომიკური და პოლიტიკური თეორიის დიდი პოპულარობა და კლასიკური ლიბერალური იდეების კრიზისი. მემარცხენე პოლიტიკური და ეკონომიკური თეორია გულისხმობს სახელმწიფოს მაქსიმალურ ჩარევას ცალკეული ინდივიდების ეკონომიკურ საქმიანობაში, ანუ ინდივიდების ეკონომიკური საქმიანობის მართვას სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარი მართვა, მემარცხენე პოლიტიკური და ეკონომიკური წარმოდგენების თანახმად, აუცილებელია საერთო კეთილდღეობისა და საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით სახელმწიფო მიმართავს ეკონომიკის რეგულაციას და ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვას. ჰაიეკი სწორედ ამ იდეების წინააღმდეგ გამოდის. ის ფიქრობს, რომ რაც არ უნდა კეთილშობილური მიზანი ჰქონდეს სახელმწიფოს ჩარევას ინდივიდების ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც არ უნდა გონივრულად და დასაბუთებულად გამოიყურებოდეს ეკონომიკის განვითარების დაგეგმვის პროექტები, მათ ჯერ ინდივიდების ეკონომიკური საქმიანობის და მათ შორის თავისუფალი კონკურენციის ნიველირებამდე, ხოლო შემდეგ კი ინდივიდების პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვამდე მივყავართ. საერთო კეთილდღეობის, დედამიწაზე სამოთხის აშენების, სამართლიანობისა და ყველა ადამიანისათვის თანაბარი ეკონომიკური ცხოვრების პირობების იდეით შთაგონებული მემარცხენე პარტიების სახელით მოქმედი მთავრობების პოლიტიკას მივყავართ თავისუფლების ხარისხის შემცირებამდე და, საბოლოოდ კი, ტოტალიტარიზმამდე. რატომ? რადგან ასეთი იდეის განხორციელებას, ჰაიეკის აზრით, აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოს ხელში ძალაუფლების მაქსიმალური კონცენტრაცია. სახელმწიფოს ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება კი საფრთხეს უქმნის ინდივიდების თავისუფლებას. ამასთან დაკავშირებით ჰაიეკი წერს: „ჩვენს თაობას დაავიწყდა, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წეს-წყობი-

ლება თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიაა. ეს კი ასეა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოების საშუალებების გამგებლობა გადანაწილებულია უამრავ დამოუკიდებლად მოქმედ კონკურენტ ადამიანს შორის, რომელთაც შეუძლიათ თვითონვე გადაწყვიტონ, როგორ უნდა მოიქცნენ. როდესაც წარმოების საშუალებები მხოლოდ ერთ ხელშია მოქცეული, თუნდაც ეს იყოს „საზოგადოება“, როგორც ერთიანი მთლიანობა ან დიქტატორი, ვინც არ უნდა ახორციელებდეს ამ ზედამხედველობას, მას ჩვენზე სრული ძალაუფლება აქვს. ის, რასაც ეკონომიკური ძალაუფლება ეწოდება, შეიძლება ძალდატანების საშუალებაც იყოს კერძო პირების ხელში, მაგრამ ის ადამიანის მთელ ყოფაზე ვერასოდეს გავრცელდება. მაგრამ მაშინ, როცა ეკონომიკური ძალაუფლება ცენტრალიზებულია, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ერთგვარი იარაღი, ისეთი ხარისხის დამოკიდებულებას ამკვიდრებს, რომელიც მონობისგან ძნელად თუ გამოირჩევა. კარგად არის ნათქვამი: იმ ქვეყანაში, სადაც ერთადერთი დამქირავებელი სახელმწიფოა, ოპოზიციაში ყოფნა შიმშილით სიკვდილს ნიშნავს“.

ჰაიეკი ფიქრობს, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების გარეშე შეუძლებელია მოქალაქეებმა პოლიტიკურ თავისუფლებას მიაღწიონ და თავისუფალი პოლიტიკური არჩევანი ჰქონდეთ. საერთო კეთილდღეობისა და წესრიგის სახელით სახელმწიფოს მიერ ინდივიდების ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას და ამ კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალიზებულ დაგეგმვას, რაც, ჰაიეკის აზრით, მემარცხენე ეკონიმიკური და პოლიტიკური კონცეფციის გულისგულს წარმოადგენს, მივყავართ ინდივიდების თავისუფლების შეზღუდვამდე. მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგია, ეს არის გზა მონობისაკენ და სწორედ ეს უდევს საფუძვლად ყველა ჯურის ტოტალიტარულ რეჟიმებს. ამიტომაც ჰაიკეი ამ ნაშრომს „ყველა სოციალისტურ პარტიას“ უძღვნის.

ჰაიეკი აკრიტიკებს განმანათლებლობის ეპოქიდან მომდინარე გონების ყოვლისშემძლეობის იდეას. წარმოდგენას, რომლის თანახმადაც გონებას ძალუძს აღმოაჩინოს ისტორიის განვითარების კანონები და განჭვრიტოს კაცობრიობის მომავალი. წიგნის შესავალში ის წერს: „აწმყოს მოვლენები ისტორიული მოვლენებისაგან იმით განსხვავდება, რომ ჩვენ არ ვიცით საით მივყავართ მათ. როცა უკან ვიხედებით, ჩვენ გვძალუძს წარსულის მოვლენების ახსნა-გაგება ამ მოვლენების შედეგების თვალის მიდევნებითა და შეფასებით. მაგრამ მიმდინარე ისტორია, ჩვენთვის ისტორია არ არის. ის მომავლისკენ არის მიმართული და ჩვენ თითქმის არასოდეს შეგვიძლია ვთქვათ, რა გველოდება წინ. საქმე სულ სხვაგვარად იქნებოდა, რომ შეგვძლებოდა ერთი და იმავე მოვლენის ხელმეორედ განცდა... მაშინ ჩვენ მოვლენებს სულ სხვაგვარად შევხედავდით... შეიძლება უკეთესიც კია, რომ ასეთი გამოცდილებისათვის ადამიანს გზა აქვს გადაკეტილი, რომ მან არ იცის კანონები, რომელსაც ემორჩილება ისტორია“. ამით ჰაიეკი სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ საერთოდ არ შეგვიძლია გონების,

აზროვნების საშუალებით თავიდან ავიცილოთ არასასურველი ისტორიული მოვლენები და საფრთხეები. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ისტორიიდან გამოცდილების გამოტანა, წარსულის შეცდომების თავიდან არიდება, მაგრამ თუ როგორ განვითარდება შორეულ მომავალში კაცობრიობა და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამისათვის, ეს გონებისა და აზროვნებისათვის სრულებით მიუღწეველი ამოცანაა. ვინც ისტორიის კანონების სახელით საუბრობს (ჰაიეკის აზრით, ამას უპირატესად მიმართავენ ინტელექტუალები), ის აუცილებლად შეეცდება ამ კანონის ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან მოცილებას. ეს ფაქტორი კი შეიძლება აღმოჩნდეს კონკრეტული ადამიანი, რომელსაც ცხოვრებასა და საკუთარ საქმიანობაზე ინტელექტუალებისაგან განსხვავებული ხედვა აქვს. ეს შეიძლება ასევე იყოს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ეჭვის თვალით, სკეპტიკურად უყურებს საყოველთაო კეთილდღეობის სახელით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს: ეკონომიკური ცხოვრების ცენტრალიზებულ დაგეგმვას და ამ დაგეგმვაში ადამიანის გონების შესაძლებლობების გადამეტებულ შეფასებას. გონების პრინციპებზე დამყარებულ მართვის სისტემას ჰაიეკი უპირისპირებს „სპონტანური წესრიგის“, წინასწარ დაუგეგმავი საზოგადეობის იდეას. რა შინაარსს დებს ჰაიეკი ამ ცნებაში? პირველ რიგში, სპონტანური წესრიგი გულისხმობს დაუგეგმავ წესრიგს, ეს წესრიგი არ წარმოადგენს კონკრეტული ადამიანის ჩანაფიქრის, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის თეორიის, ფილოსოფიური კონცეფციის პროდუქტს, ის სპონტანურად, ადამიანთა თავისუფალი ინტერაქციის – ურთიერთობის – შედეგად წარმოიქმნება. თავისუფალ ინტერაქციაში მყოფი ინდივიდები ურთიერთობის პროცესში იყენებენ საკუთარ ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ცოდნას და ამ გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე შედიან ერთმანეთთან კომუნიკაციაში. ეს ცოდნა და გამოცდილება არასოდეს არის აბსტრაქტული და არ გულისხმობს ისტორიის, კაცობრიობის მომავლის ტოტალურ ხედვას. სპონტანური წესრიგი იქმნება „ბუნებრივად“, ყოველგვარი სამთავრობო დირექტივების და ინტელექტუალთა მიერ შექმნილი ფილოსოფიური კონცეფციების გარეშე. ჰაიეკი ფიქრობს, რომ ენა, მორალი, კანონები, დამწერლობა, ისევე როგორც ბაზარი და ფული ადამიანთა წინასწარდაუგეგმავი, სპონტანური ქმედებით წარმოქმნილი ფენომენებია. ჰაიეკი წესრიგს და წესებს კი არ უგულვებელყოფს, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ წესრიგი, რომელსაც ადამიანები ქმნიან, კანონები, რომელსაც ისინი იყენებენ ვინმეს ჩანაფიქრი კი არ არის, არამედ ჩვენი თავისუფალი მოქმედებებიდან არის წარმოქმნილი. ეს ყველაზე კარგად ჩანს საბაზრო ეკონომიკის მაგალითზე, სადაც ამა თუ იმ საქონლის ფასს სახელმწიფო ან ადამიანთა ჯგუფი, სახელმწიფოს იდეოლოგია ან ადამიანთა ჯგუფის წინასწარმოფიქრებული თეორია და ფილოსოფია კი არ განსაზღვრავს, არამედ თვით ბაზრის კანონები: მოთხოვნისა და მიწოდების საბაზრო პრინციპები.

დამგეგმავები (ამ ცნებას ჰაიეკი სოციალისტების სინონიმად მოიხსენიებს) კი პირიქით, სპონტანურ წესრიგს ებრძვიან. ისინი სპონტანურ წესრიგს გონების

ძალით ხელოვნურად შექმნილ, ხშირად ერთადერთ ჭეშმარიტებად გამოცხადებული იდეით ებრძვიან და ცდილობენ ბუნებრივი წესრიგი, წესრიგი, რომელიც თავისუფალი არჩევანის მქონე პიროვნებათა ურთიერთქმედებითაა შექმნილი, ერთი ჯგუფის მიერ შექმნილი ეკონომიკური განვითარების გეგმით და ადამიანის პირადი ცხოვრების აბსოლუტური რეგულაციით ჩაანაცვლონ. ასეთი განზრახვის განსახორციელებლად, აღნიშნავს ჰაიეკი, სოციალისტები და დამგეგმავები კაცობრიობისათვის აქამდე გაუგონარი ძალაუფლების კონცენტრაციას საჭიროებენ, რასაც აუცილებლობით მივყავართ ერთი ჯგუფის სხვა ჯგუფებზე ბატონობისაკენ. ნაცისტური გერმანია და ბოლშევიკური რუსეთი სწორედ ისეთ პოლიტიკურ სისტემას წარმოადგენს, სადაც საყოველთაო კეთილდღეობის, რასობრივი სიწმინდის და სამართლიანობის სახელით ადამიანებს პრაქტიკულად დაკარგული აქვთ ინდივიდუალური, ზემოდან კარნახის გარეშე მოქმედების საშუალება, საკუთარი საქმიანობის საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევის თავისუფლება. ასეთი პოლიტიკური სისტემა რადიკალურად განსხვავდება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკური სისტემისაგან: „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში თვით ყველაზე ცუდად ანაზღაურებად არაპროფესიონალ მუშას გაცილებით მეტი თავისუფლება აქვს, რომ ცხოვრება თავისი სურვილისამებრ მოიწყოს, ვიდრე ბევრ მეწარმეს ნაცისტურ გერმანიაში ან შედარებით უკეთესი ანაზღაურების მქონე ინჟინერსა და მენეჯერს – რუსეთში. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში ადამიანს თითქმის არანაირი წინააღმდეგობა არ გადაეღობება, თუკი სურს, რომ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი ან პროფესია, ხმამაღლა გამოთქვას თავისი შეხედულებები – ასე ან ისე გაატაროს თავისუფალი დრო. მის ფიზიკურ უსაფრთხოებასა და თავისუფლებას არ ემუქრება ისეთი საშიშროება, რომელიც უხეში ძალით მიაჯაჭვავს იმ საქმესა და გარემოს, რომელიც უმაღლესი ხელისუფლის მიერ მისთვის არის განსაზღვრული“.

სად არის გამოსავალი? როგორ უნდა აიცილონ მსოფლიოს საზოგადოებებმა სოციალიზმის, ინდივიდების თავისუფალი არჩევანის უფლების დაკარგვის საფრთხე? ჰაიეკი, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის იდეების გამგრძელებლად გველინება, გვთავაზობს გავიხსენოთ და დავხვეწოთ ის გამოცდილება, რომელიც XIX საუკუნეში კაცობრიობამ დააგროვა: „ადამიანების პიროვნული ენერგიის გამოთავისუფლების ყველაზე თვალსაჩინო შედეგი მეცნიერების გასაოცარი აღმავლობა იყო. მხოლოდ სამეწარმეო თავისუფლებამ გახსნა გზა ახალი ცოდნის თავისუფლად გამოყენებისკენ, თანაც მხოლოდ მას შემდეგ, რაც თითოეულისთვის, ვინც კი მზად იყო საკუთარი პასუხისმგებლობით ემოქმედა, ხელმისაწვდომი გახდა ყველაფერი, რაც მეცნიერებამ იმ უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯების შედეგად შექმნა, რამაც ბოლო 150 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შეცვალა სამყაროს იერსახე. ამ ზრდა-განვითარების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველგან, სადაც კი ის წინააღმდეგობები აღმოიფხვრა, რომლებიც პიროვნების გამჭრიახობის თავისუფალ გამოვლენას ეღობებოდა, ადამიანებს

მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება სწრაფად გაუჩნდათ. XX საუკუნის დასაწყისისთვის მშრომელმა ადამიანმა დასავლურ სამყაროში ყოფიერი კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის ისეთ დონეს მიაღწია, რომ 100 წლის წინ ამის წარმოდგენაც კი ძნელი იყო."

როგორ არის შესაძლებელი კლასიკური ლიბერალიზმის გამოცდილების განვითარება და დახვეწა? უნდა აღინიშნოს, რომ ჰაიეკი დაგეგმვას სრულად არ უგულვებელყოფს. ლიბერალიზმი, აღნიშნავს ჰაიეკი, სულაც არ ნიშნავს კლასიკური ლიბერალიზმის საქმიანობის თავისუფლების დოგმატურ გაგებას. ლიბერალური იდეა არ ნიშნავს მოვლენათა შენარჩუნებას არსებული სახით. მაგრამ ლიბერალიზმი, ისე როგორც ეს ჰაიეკს ესმის, ყურადღებას ამახვილებს კონკურენციის პრიმატზე დირექტიულ მართვასთან მიმართებაში. მაგრამ ეს კონკურენცია „ველურ კაპიტალიზმს" როდი ამკვიდრებს და ეკონომიკურ საქმიანობაშიც სახელმწიფოს ჩარევას როდი გამორიცხავს. პირიქით, სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობაში კონკურენციის პირობების დახვეწაში უნდა ვეძებოთ, მაგრამ არის სფეროები, სადაც, ჰაიეკის აზრით, სახელმწიფოს ჩარევას მხოლოდ ინდივიდის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით ვერ გადავწყვეტთ: „კონკურენციის დადებითი შედეგების გამოყენებას ხელს არ უშლის გარკვეულ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა. მაგალითად, სამუშაო საათების საზღვრებისა და ზოგიერთი სანიტარული ნორმის დადგენა, საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის მრავალმხრივ მზარდი სისტემის დამკვიდრება, შესაძლებელია, სრულიად შეესატყვისებოდეს კონკურენციის წესების დაცვას. მაგრამ არის აგრეთვე ისეთი სფეროებიც, სადაც კონკურენტული წყობა განუხორციელებელია. მაგალითად, ტყის გაჩეხვის მავნე შედეგები ან საწარმოო გამონაბოლქვთან დაკავშირებული ფაქტორები მხოლოდ კერძო მესაკუთრის უფლებების განხილვით ვერ შემოიფარგლება. მაგრამ ის, რომ სახელისუფლებო მითითებები უნდა გამოვიყენოთ იქ, სადაც კონკურენცია სრულყოფილი ვერაა, სავსებით არ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ უნდა ჩავახშოთ კონკურენცია იქ, სადაც შესაძლებელია მისი ამოქმედება. იმ პირობების შექმნა, რომელიც კონკურენციას შესაძლებლობების ფარგლებში, შედეგიანს გახდის – გაყალბებისა და თაღლითობისგან დაცვა, მონოპოლიების აღკვეთა – ის ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტა ქმნის ფართო და უეჭველ ასპარეზს სახელისუფლებო მოღვაწეობისთვის."

შეიძლება ითქვას, რომ ჰაიეკი სოციალიზმის იდეების რადიკალური მოწინააღმდეგეა. ის სრულებით ეთანხმება ალექსის დე ტოკვილს (Alexis de Tocqueville 1805-1859), რომლის აზრითაც სოციალიზმი და დემოკრატია ერთმანეთს გამორიცხავს. ჰაიეკი თვლის, რომ სოციალიზმმა შეცვლა სიტყვა „თავისუფლების" შინაარსი. თუ ადრე ამ სიტყვაში იგულისხმებოდა ძალადობისაგან თავისუფლება, ახლა, ჰაიეკის აზრით, ამ სიტყვამ სხვა შინაარსი შეიძინა. ეს შინაარსი კი, ფიქრობს ჰაიეკი, სხვა არაფერია, თუ არა „სიმდიდრის ხელახალი გადანაწილების შესახებ ძველი მოთხოვნის განახლებული გამოვლინება."

ჰაიეკი პიროვნული თავისუფლების მქადაგებელია. მხოლოდ თავისუფალი პიროვნებებისაგან შემდგარ საზოგადოებას შეუძლია თავი დაიცვას სახელმწიფოს სათავეში ყველაზე უარესი ადამიანებისაგან შემდგარი ჯგუფის მოსვლისაგან. თავისუფალი კონკურენცია, ადამიანის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმალურად შემცირება წარმოადგენს ტოტალიტარიზმისა და, შესაბამისად, მონობის თავიდან აცილების საშუალებას.

გზა ბატონყმობისკენ

შესავალი

(სრული სახით გამოქვეყნდა 1944 წელს, ხოლო წინამდებარე თარგმანი არის 1945 წლის აპრილში „რიდერს დაიჯესტში“ გამოქვეყნებული ტექსტის შემოკლებული ვერსია)

გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მიერ მე-19 საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში განხორციელებული ძალმომრეობის მნიშვნელოვანმა მასშტაბებმა, გააძლიერა იმის რწმენა, რომ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შეუძლებელია ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბება. მაგრამ, ნება მოგვეცით, გაგახსენოთ – ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში იმის ალბათობა, რომ ასეთი რამ გერმანიაში მოხდებოდა, წარმოუდგენელი იყო არა მხოლოდ თავად გერმანელთა ცხრა მეათედისთვის, არამედ ყველაზე უფრო მტრულად განწყობილი უცხოელი დამკვირვებლებისთვისაც კი.

უამრავი თავისებურება, რომელიც მაშინ აღიქმებოდა, როგორც „სახასიათოდ გერმანული“, ამჟამად ამერიკასა და ინგლისს ერთნაირად ახასიათებს. უამრავი ნიშანი, მაგალითად ხელისუფლების გაზვიადებული თაყვანისცემა, „გარდაუვალობისადმი“ მორჩილება, ყველაფრის „მოწესრიგებით“ (ახლა ამას „დაგეგმვას“ ვუწოდებთ) გატაცება, მომავალში გერმანიის მსგავსი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობაზე მიუთითებს.

საფრთხის არსსა და შესაძლო შედეგებს ამ ქვეყნებში კიდევ უფრო ცუდად აღიქვამენ, ვიდრე გერმანიაში აცნობიერებდნენ. მთავარი უბედურება კი კვლავ იმის არდანახვაა, რომ გერმანიაში ნაცისტურ ძალებს მეტწილად სოციალისტური მრწამსით აღტკინებული იმ ადამიანების კეთილგანწყობამ გაუხსნა გზა, რომლებიც ყოველივე იმას ემხრობოდნენ, რაც მათთვის მიუღებელი იყო. ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რომ ფაშიზმისა და მარქსიზმის აღზევება, წინარე პერიოდის სოციალისტური ტენდენციების საწინააღმდეგოდ მიმართული უკუქმედება კი არა, მათი გარდაუვალი შედეგი იყო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებულ მოძრაობათა ლიდერების დიდმა ნაწილმა, იტალიელი მუსოლინიდან მოყოლებული (ფრანგი ლავალისა და ბრიტანელი ქვისლინგის ჩათვლით), მოღვაწეობა დაიწყეს, როგორც სოციალისტებმა და დაამთავრეს, როგორც ფაშისტებმა ან ნაცისტებმა.

დღეს, დემოკრატიულ ქვეყნებში, მათი უმრავლესობა, ვისაც გულწრფელად სძაგს ნაციზმის ყოველგვარი გამოვლინება, სინამდვილეში იმ იდეალებს

ემსახურება, რომელთა განხორციელებაც უშუალოდ ხსნის გზას საძულველ ტირანიამდე. მათი უმეტესობა, ვისი შეხედულებებიც მოვლენათა განვითარებაზე გავლენას ახდენს, ძირითადად, სოციალისტები არიან. მათ სჯერათ, რომ ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება „გონივრულად მართვადი“ უნდა იყოს და კონკურენციას „ეკონომიკური დაგეგმვა“ უნდა ჩაენაცვლოს. მაგრამ, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე ჩვენდა უნებურად, იმის სრულიად საწინააღმდეგო ნაყოფის მიღებაა, რისკენაც ასე ვილტვოდით, როდესაც მიზანმიმართულად ვცდილობდით, რომ ჩვენი მომავალი უმაღლესი იდეალების მიხედვით მოგვეწყო?

დაგეგმვა და ძალაუფლება

საკუთარი მიზნების მისაღწევად, დამგეგმავებს ისეთი ძალაუფლება სჭირდებათ, რომლის მსგავსი მანამდე არ ყოფილა და ადამიანების ერთი ჯგუფის მიერ სხვებზე უშუალო ბატონობას გულისხმობს. მათი წარმატება დამოკიდებული იქნება მოპოვებული ძალაუფლების მოცულობაზე. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალიზებული მართვა თავისუფლების დათრგუნვას მოითხოვს. ამ პროცესს გარკვეულწილად დემოკრატია უშლის ხელს. ამიტომ, დაგეგმვასა და დემოკრატიას შორის დაპირისპირება გარდაუვალი ხდება.

ბევრ სოციალისტს სავალალო ილუზია ჰქონდა, რომ თუკი კერძო პირებს იმ ძალაუფლებას ჩამოართმევდნენ, რომლითაც ისინი ინდივიდუალისტურ წეს-წყობილებაში სარგებლობდნენ და მას საზოგადოებას გადასცემდნენ, ძალაუფლებაც მოისპობოდა. მათ მხედველობიდან გამორჩათ ის, რომ ძალაუფლების იმგვარი კონცენტრირება, როდესაც მისი გამოყენება მხოლოდ ერთადერთი გეგმის განხორციელებისთვისაა შესაძლებელი, ძალაუფლების არა უბრალო გადაცემას, არამედ უსაზღვროდ გაფართოებას გულისხმობს.

ცალკე ადამიანის ხელში მთელი იმ ძალაუფლების მოქცევით, რომელიც წარსულში თითოეულის მიერ საკუთარი შეხედულებით გამოიყენებოდა, ძალაუფლების მასშტაბი უსაზღვროდ და მანამდე არნახულად იზრდება. ამასთან იმდენად, რომ თითქმის ძირეულად ცვლის მის ხასიათს.

სრულიად მცდარია იმის მტკიცება, რომ ის ყოვლისმომცველი ძალაუფლება, რომელიც ცენტრალურ საგეგმო კომიტეტს ჰქონდა, „არ იქნება კიდევ უფრო დიდი, ვიდრე ძალაუფლება, რომლითაც კერძო სტრუქტურების დირექტორთა საბჭოები სარგებლობენ.“ უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტულ საზოგადოებაში ვერავინ სარგებლობს იმ ძალაუფლების მცირედი ნაწილითაც კი, რომლითაც ცენტრალური საგეგმო კომიტეტი ისარგებლებს. ძალაუფლების დეცენტრალიზება ნიშნავს ძალაუფლების აბსოლუტური მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას, ხოლო ის ერთადერთი კონკურენტული წეს-წყობილება, რომელიც ერთი ადამიანის მიერ მეორეზე ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობას მინიმუმამდე კვეცს. ვის შეუძლია სერიოზულად დაეჭვდეს, რომ იმ მილიონერის ძალაუფლება, რომელიც შესაძლოა, ჩემი დამქირავებელიც იყოს, განუზომლად

უფრო ნაკლებია, ვიდრე დაბალჩინოსანი ბიუროკრატის შესაძლებლობები, რომლის ხელშიცაა სახელისუფლებო იძულების აპარატი და ვის კეთილგონიერებაზეცაა დამოკიდებული, როგორ ვიცხოვრო და ვიშრომო?

ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში თვით ყველაზე ცუდად ანაზღაურებად არაპროფესიონალ მუშას გაცილებით მეტი თავისუფლება აქვს, რომ ცხოვრება თავისი სურვილისამებრ მოიწყოს, ვიდრე ბევრ მეწარმეს ნაცისტურ გერმანიაში ან შედარებით უკეთესი ანაზღაურების მქონე ინჟინერსა და მენეჯერს – რუსეთში. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში ადამიანს თითქმის არანაირი წინააღმდეგობა არ გადაეღობება, თუკი სურს, რომ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი ან პროფესია, ხმამაღლა გამოთქვას თავისი შეხედულებები – ასე ან ისე გაატაროს თავისუფალი დრო. მის ფიზიკურ უსაფრთხოებასა და თავისუფლებას არ ემუქრება ისეთი საშიშროება, რომელიც უხეში ძალით მიაჯაჭვავს იმ საქმესა და გარემოს, რომელიც უმაღლესი ხელისუფლის მიერ მისთვის არის განსაზღვრული.

ჩვენს თაობას დაავიწყდა, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წეს-წყობილება თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიაა. ეს კი ასეა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოების საშუალებების გამგებლობა გადანაწილებულია უამრავ დამოუკიდებლად მოქმედ კონკურენტ ადამიანს შორის, რომელთაც შეუძლიათ თვითონვე გადაწყვიტონ, როგორ უნდა მოიქცნენ. როდესაც წარმოების საშუალებები მხოლოდ ერთ ხელშია მოქცეული, თუნდაც ეს იყოს „საზოგადოება“, როგორც ერთიანი მთლიანობა ან დიქტატორი, ვინც არ უნდა ახორციელებდეს ამ ზედამხედველობას, მას ჩვენზე სრული ძალაუფლება აქვს. ის, რასაც ეკონომიკური ძალაუფლება ეწოდება, შეიძლება ძალდატანების საშუალებაც იყოს კერძო პირების ხელში, მაგრამ ის ადამიანის მთელ ყოფაზე ვერასოდეს გავრცელდება. მაგრამ მაშინ, როცა ეკონომიკური ძალაუფლება ცენტრალიზებულია, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ერთგვარი იარაღი, ისეთი ხარისხის დამოკიდებულებას ამკვიდრებს, რომელიც მონობისგან ძნელად თუ გამოირჩევა. კარგად არის ნათქვამი: იმ ქვეყანაში, სადაც ერთადერთი დამქირავებელი სახელმწიფოა, ოპოზიციაში ყოფნა შიმშილით სიკვდილს ნიშნავს.

საფრთხის წინაპირობა

სოციალიზმისა და ტოტალიტარიზმის გამოვლინების ყველა ფორმისგან განსხვავებით, ინდივიდუალიზმი თითოეული პიროვნების მიმართ ქრისტიანულ პატივისცემასა და რწმენაზეა დაფუძნებული და გულისხმობს, რომ სასურველია, ადამიანმა თავისუფლად განავითაროს ღმერთის მიერ საკუთრივ მისთვის ბოძებული ნიჭი და მიდრეკილებები. ეს ფილოსოფია რენესანსის პერიოდში ჩაისახა, ხოლო შემდეგ ის დაიხვეწა და იმ სახით გავრცელდა, რომელსაც დასავლურ ცივილიზაციად ვიცნობთ. საზოგადოების განვითარება ზოგადად ცალკეული პიროვნებების იმ მარწუხებიდან გათავისუფლებისკენ იყოს მიმართული, რომლებიც მათ ფეოდალურ საზოგადოებაში ბოჭავდა.

შესაძლებელია, რომ ამ მარწუხებიდან ადამიანების პიროვნული ენერგიის გამოთავისუფლების ყველაზე თვალსაჩინო შედეგი მეცნიერების გასაოცარი აღმავლობა იყო. მხოლოდ სამეწარმეო თავისუფლებამ გახსნა გზა ახალი ცოდნის თავისუფლად გამოყენებისკენ, თანაც მხოლოდ მას შემდეგ, რაც თითოეულისთვის, ვინც კი მზად იყო საკუთარი პასუხისმგებლობით ემოქმედა, ხელმისაწვდომი გახდა ყველაფერი, რაც მეცნიერებამ იმ უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯების შედეგად შექმნა, რამაც ბოლო 150 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შეცვალა სამყაროს იერსახე. ამ ზრდა-განვითარების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველგან, სადაც კი ის წინააღმდეგობები აღმოიფხვრა, რომლებიც პიროვნების გამჭრიახობის თავისუფალ გამოვლენას ეღობებოდა, ადამიანებს მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება სწრაფად გაუჩნდათ. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის, მშრომელმა ადამიანმა დასავლურ სამყაროში ყოფიერი კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის ისეთ დონეს მიაღწია, რომ 100 წლის წინ ამის წარმოდგენაც კი ძნელი იყო.

ამ წარმატების შედეგი ადამიანებს შორის საკუთარ ბედ-იღბალზე ზემოქმედების ახლებური შეგრძნების გაღვივება და რწმენის განმტკიცება იყო, რომ მათ შეეძლოთ თავიანთი ყოფა-ცხოვრება უსაზღვროდ გაეუმჯობესებინათ. უკვე მიღწეული აღიქმებოდა ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფილ და მარადიულ მიღწევად, ხოლო, განვითარების ტემპი ითვლებოდა არადამაკმაყოფილებლად. მეტიც, ის წანამძღვრები, რომელთაც ასეთი წინსვლა შესაძლებელი გახადეს, კიდევ უფრო სწრაფი წინსვლის წინაღობად იქნა მიჩნეული. შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმატება თვითონვე ხდებოდა საკუთარი კრახის მიზეზიც.

არც ერთი კეთილგონიერი ადამიანი არ ეჭვობდა, რომ მე-19 საუკუნის ეკონომიკურ მიდგომებზე დაფუძნებული აღმავლობა მხოლოდ დასაწყისი იყო, რადგან არსებობდა წინსვლის უზარმაზარი შესაძლებლობები იმ მიმართულებით, საითკენაც მაშინ მივდიოდით. თუმცა, ამჟამად გამეფებული შეხედულებების შესაბამისად, უკვე აღარ ისმის კითხვა, თავისუფალ საზოგადოებაში როგორ უნდა გამოვიყენოთ სპონტანურად წარმოქმნილი ენერგია უფრო უკეთესად. ამის გამო განვიზრახეთ ამ ძალებისგან გამიჯვნა და მათი თავისუფალ საზოგადოებაში „კოლექტიურობითა“ და „მიზანმიმართული“ მითითებებით ჩანაცვლება.

საყუარდღებოა, რომ ლიბერალიზმი ყველაზე სრულად გერმანიაში უარყვეს. ეს გამოვლინდა როგორც საკუთრივ სოციალიზმის უფრო რადიკალური სახესხვაობის (ნაციზმის) განხორციელებაში, ისე, უმეტესწილად „მოწესრიგებისა“ და „დაგეგმვის“ მცდელობებში. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში, გერმანია საკმაოდ წინ წავიდა, როგორც სოციალიზმის თეორიის, ისე მისი პრაქტიკული განხორციელების კუთხით. თანაც იმდენად დაწინაურდა, რომ ის საკითხები, რაზეც საბჭოურ რუსეთში ასე ფართოდ მსჯელობენ, გერმანელებმა დიდი ხანია უკან მოიტოვეს. გერმანელები ნაციზმის

აღმოცენებამდე გაცილებით ადრე აკრიტიკებდნენ ლიბერალიზმსა და დემოკრატიას, კაპიტალიზმსა და ინდივიდუალიზმს.

გერმანელი და იტალიელი სოციალისტები ნაცისტებზე დიდი ხნით ადრე იყენებდნენ იმ ხერხებს, რომლებიც მოგვიანებით ნაცისტებმა და ფაშისტებმა უფრო შედეგიანად გამოიყენეს. პირველად სოციალისტებმა შეიმუშავეს ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნის იდეა, რომელიც თრგუნავდა პიროვნების თვითმყოფადობის ყველა გამოვლენას და მოიცავდა მის ნებისმიერ საქმიანობას აკვნიდან საფლავამდე და მოითხოვდა, რომ ადამიანს ყველაფერში პარტიის შეხედულებებით ეხელმძღვანელა. სწორედ სოციალისტები იყვნენ პირველები და არა ფაშისტები, რომლებმაც მცირეწლოვანი ბავშვების პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება დაიწყეს, რომ მათი აზროვნება ემართათ. პირველები არა ფაშისტები, არამედ სწორედ სოციალისტები იყვნენ, ვინც სპორტისა და სხვა თამაშების, ფეხბურთისა და ტურიზმის ორგანიზება ისეთი პარტიული კლუბების სახით განიზრახეს, სადაც წევრები სხვა პოლიტიკური შეხედულებებისგან დაცული იქნებოდნენ. პირველად სოციალისტებმა მოითხოვეს, რომ პარტიის წევრებს თავი სხვებისგან მისალმებისა და მიმართვის ფორმით გამოერჩიათ. სწორედ მათ შექმნეს ტოტალიტარული პარტიის პროტოტიპი, რომელსაც სტრუქტურა „უჯრედების“ სახით ექნებოდა ორგანიზებული და წევრების პირად ცხოვრებაზე პერმანენტული თვალთვალის მექანიზმებს გამოიყენებდა.

ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის დროისთვის, გერმანიაში ლიბერალიზმი უკვე მკვდარი იყო, ის სოციალიზმმა მოკლა.

ძალიან ბევრი ადამიანისთვის, ვინც სოციალიზმიდან ფაშიზმში გადასვლის უშუალო მოწმე გახდა, ამ ორ წყობას შორის კავშირი აშკარა, მაგრამ დემოკრატულ ქვეყნებში ხალხის უმეტესობას სოციალიზმისა და თავისუფლების შერწყმის შესაძლებლობა კვლავ სწამდა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ დემოკრატიული სოციალიზმი, ბოლო რამდენიმე თაობის უდიდესი უტოპია, არა მარტო განუხორციელებელია, არამედ კიდევაც რომ ეცადო და ძალისხმევა არ დაიშუროო მის მისაღწევად, იძლევა ისეთ შედეგს, რომელიც სრულებით განსხვავდება ჩანაფიქრისგან – ემხობა თავად თავისუფლება. მოსწრებულად ითქვა, რომ „ის, რაც ხელისუფლებას ყოველთვის გარდაქმნის ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად, ადამიანმა თავის სამოთხედ გადაქცევა სცადა.“

შემაშფოთებელია ინგლისსა და ამერიკაში იგივე სურათი – როგორ უხეშად არღვევენ და უპატივცემულოდ ეპყრობიან ძველებური ყაიდის ლიბერალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. „კონსერვატიული სოციალიზმი“ იყო დევიზი, რომლითაც მწერალთა დიდმა ნაწილმა შეამზადა გარემო, სადაც გერმანელმა ნაციონალ-სოციალისტებმა წარმატებული კარიერა შეიქმნეს. სწორედ „კონსერვატიული სოციალიზმი“ განსაზღვრავს დღევანდელობასაც.

დაგეგმვის ლიბერალური გზა

დაგეგმვის პოპულარობას მეტწილად ის განაპირობებს, რომ, რა თქმა უნდა, ყველას შეძლებისამებრ საერთო პრობლემების წინასწარი განჭვრეტა სურს. დაგეგმვის დღევანდელი მომხრეები და ლიბერალები კამათობენ არა იმაზე, რამდენად მიზანშეწონილია ჩვენი საქმიანობის დაგეგმვა, არამედ იმაზე, რომელია საუკეთესო გზა ასეთი ქმედების განსახორციელებლად. საკითხი ისმის ასე: ან ჩვენ შევქმნით ისეთ გარემო პირობებს, რომელიც გასაქანს მისცემს თითოეული პიროვნების ცოდნასა და ინიციატივას, რაც შეიძლება წარმატებულად დაგეგმონ საკუთარი ცხოვრება, ან მთელი სამეურნეო ცხოვრება „დადგენილი გეგმის“ მიხედვით უნდა ვმართოთ, რაც ნიშნავს, „საზოგადოებრივი რესურსების წინასწარგამიზნულ განკარგვას იმგვარად, რომ მიესადაგოს საგეგმო კომიტეტის წევრების შეხედულებას, თუ ვის რა უნდა ერგოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.“

მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ წინააღმდეგობა დაგეგმვის უახლესი ტიპისა და დოგმატურად გაგებული „ლაისსეზ ფაირე“ (ფრ. – ნება მიბოძეთ ვიმოქმედოთ. რედ. შენიშვნა) მიდგომის მიმართ. ლიბერალური მტკიცებულებები არ გულისხმობს მოვლენათა შენარჩუნებას არსებული სახით. უპირატესობა ენიჭება კონკურენციის საუკეთესო შესაძლებლობების გამოყენებას, როგორც ადამიანთა ძალისხმევის კოორდინირების საშუალებას. ეს მოსაზრება დაფუძნებულია იმის რწმენაზე, რომ ეფექტური კონკურენციის პირობების შექმნა ცალკეული პიროვნებების ძალისხმევის ხელშეწყობის საუკეთესო შესაძლებლობაა. ლიბერალიზმი, ცხადად აჩვენებს, რომ კონკურენციის ნაყოფიერებისთვის მოხერხებული საკანონმდებლო ჩარჩოებია აუცილებელი და არც ძველი და არც ამჟამად მოქმედი კანონები მნიშვნელოვანი შეცდომებისგან დაცული არ არის.

მიუხედავად ყველაფრისა, ლიბერალიზმი ეწინააღმდეგება იმას, რომ ეკონომიკური საქმიანობა კონკურენციის მაგივრად დირექტიულ მართვას დაექვემდებაროს. ის აღიარებს კონკურენციას, მიიჩნევს უმთავრესად, არა მარტო იმიტომ, რომ ყოველმხრივ შედეგიანი მეთოდია, არამედ იმიტომ, რომ ის ერთადერთი მეთოდია, რომელშიც ხელისუფლება ძალადობრივად ან ნებელობით არ ერევა. ლიბერალიზმი ემიჯნება „გონიერი საზოგადოებრივი ზედამხედველობის“ საჭიროებას და ცალკეულ პიროვნებებს შანსს აძლევს, თავად გადაწყვიტონ, რამდენად შეესაბამება მათი კონკრეტული საქმიანობის ანაზღაურება სათანადო ძალისხმევასა და დანახარჯებს.

კონკურენციის დადებითი შედეგების გამოყენებას ხელს არ უშლის გარკვეულ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა. მაგალითად, სამუშაო საათების საზღვრებისა და ზოგიერთი სანიტარიული ნორმის დადგენა, საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის მრავალმხრივ მზარდი სისტემის დამკვიდრება, შესაძლებელია, სრულიად შეესატყვისებოდეს კონკურენციის წესების დაცვას. მაგრამ არის აგრეთვე ისეთი სფეროებიც, სადაც კონკურენტული წყობა განუხორციელებელია. მაგალითად, ტყის გაჩეხვის მავნე შედეგები ან საწარმოო გამონაბოლქვთან და-

კავშირებული ფაქტორები მხოლოდ კერძო მესაკუთრის უფლებების განხილვით ვერ შემოიფარგლება. მაგრამ ის, რომ სახელისუფლებო მითითებები უნდა გამოვიყენოთ იქ, სადაც კონკურენცია სრულყოფილი ვერაა, სავსებით არ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ უნდა ჩავახშოთ კონკურენცია იქ, სადაც შესაძლებელია მისი ამოქმედება. იმ პირობების შექმნა, რომელიც კონკურენციას შესაძლებლობების ფარგლებში, შედეგიანს გახდის – გაყალბებისა და თაღლითობისგან დაცვა, მონოპოლიების აღკვეთა – ის ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტა ქმნის ფართო და უეჭველ ასპარეზს სახელისუფლებო მოღვაწეობისთვის.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მოინახოს რაღაც „შუალედური გზა“ კონკურენციასა და ცენტრალურ მართვას შორის. თუმცა, ერთი შეხედვით, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს ან სხვა რა უნდა მოუვიდეთ თავში მოაზროვნე ადამიანებს. მხოლოდ „საღი აზრის“ მოხმობა ამ საკითხში არასაიმედოა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია კონკურენციასთან გარკვეული სახელისუფლებო რეგულირების შეხამება, ეს სავსებით შეუთავსებელია ჩვენთვის მისაღები ნებისმიერი მასშტაბის დაგეგმვასთან, ისე, რომ მან არ შეწყვიტოს წარმოების ქმედითი მმართველის ფუნქციის შესრულება.

ორივე, როგორც კონკურენცია, ისე ცენტრალური მართვა, უმოქმედო და უშედეგო იარაღად გადაიქცევა, თუ ისინი არასრულყოფილად გამოიყენება, ამიტომ მათი შერწყმა ნიშნავს, რომ ვერც ერთი ვერ იმუშავებს.

დაგეგმვისა და კონკურენციის შეხამება შესაძლებელია მხოლოდ თვით კონკურენციის ხელშეწყობისა და არა კონკურენციის შეფერხების დაგეგმვაში. დაგეგმვა, რომლის წინააღმდეგაც მთელი ჩვენი კრიტიკაა მიმართული, სწორედ რომ კონკურენციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა.

უდიდესი უტოპია

უეჭველია, რომ მათ უმრავლესობას, ვინც დემოკრატიულ ქვეყნებში მოითხოვდა მთელი ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალური მმართველობისადმი დაქვემდებარებას, კვლავ სჯერა, რომ სოციალიზმისა და პიროვნული თავისუფლების შეხამება შესაძლებელია. თუმცა ბევრი მოაზროვნე სოციალიზმს ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში თავისუფლების მესაფლავედ აღიქვამდა.

ამჟამად, არცთუ ისე კარგად ახსოვთ, რომ სოციალიზმი თავიდანვე აშკარად ავტორიტარული იყო. ის წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუციის ლიბერალური ტენდენციების საწინააღმდეგოდ სრულიად ღიად მიმართულ რეაქციად. ფრანგი ავტორები, რომლებმაც დასამაბი მისცეს მას, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათი იდეების განხორციელება მხოლოდ ძლიერ დიქტატორულ მთავრობას შეეძლებოდა დაგეგმვის მომხრეთა შორის. სენ-სიმონი იყო, რომელმაც იწინასწარმეტყველა, რომ ისინი, ვინც მის შეთავაზებულ საგეგმო კომიტეტებს არ დაემორჩილებოდა, „პირუტყვად ჩაითვლებოდა“.

ყველაზე მკაფიოდ ფრანგმა პოლიტიკურმა მოაზროვნემ დე ტოკვილმა დაინახა, რომ დემოკრატია სოციალიზმთან შეურიგებელ წინააღმდეგობაშია. „დე-

მოკრატია აფართოებს ინდივიდუალური თავისუფლების სივრცეს", – ამბობდა ის. „დემოკრატია თითოეულ ადამიანს უნარჩუნებს ყველა დამახასიათებელ ღირებულებას", – თქვა მან 1848 წელს, – „მაშინ, როდესაც სოციალიზმი ადამიანს მხოლოდ ნივთად, მხოლოდ არითმეტიკულ ერთეულად წარმოადგენს. დემოკრატიას და სოციალიზმს არაფერი აქვს საერთო, გარდა ერთი სიტყვისა – თანასწორობა. მაგრამ ხაზგასასმელია განსხვავება: დემოკრატია ისწრაფვის თანასწორობისკენ თავისუფლებაში, სოციალიზმი თანასწორობას შეზღუდვასა და მორჩილებაში ხედავს".

ამ ეჭვების გასაქარვებლად და ყველაზე ძლიერი პოლიტიკური მოტივით – „თავისუფლებისკენ ლტოლვით", თავიანთი პოზიციების გასამყარებლად, სოციალისტები „ახალი თავისუფლების" ქადაგებას მიეძალნენ. სოციალიზმი იყო ის, რასაც „ეკონომიკური თავისუფლება" უნდა მოეტანა, რომლის გარეშეც პოლიტიკურ თავისუფლებას გახვრეტილი შაურიანის ფასიც კი არა აქვს.

ამ არგუმენტისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, სიტყვა „თავისუფლება" დაუქვემდებარეს შინაარსობრივ ცვლილებას. ეს სიტყვა ადრე ნიშნავდა თავისუფლებას ძალადობისგან – ერთი ადამიანის ნებელობითი ძალაუფლებისგან მეორეზე, ახლა კი ამ სიტყვამ სხვა დატვირთვა შეიძინა: ის ნიშნავს თავისუფლებას სიდუხჭირისგან, თავის დაღწევას იმ ზღუდეებიდან, რომლებიც მუდმივად კვეცენ ყველა ჩვენგანის არჩევანის ასპარეზს. ასე გაგებული თავისუფლება კი, რა თქმა უნდა, უბრალოდ ძალაუფლების ან სიუხვის სხვა სახელია. „ახალი თავისუფლების" მოთხოვნა სხვა არაფერი იყო, თუ არა სიმდიდრის ხელახალი გადანაწილების შესახებ ძველი მოთხოვნის განახლებული გამოვლინება.

იმის მტკიცება, რომ გეგმური ეკონომიკა თვალსაჩინოდ ნაყოფიერი იქნებოდა, ვიდრე კონკურენტული წყობა, მკვლევართა უმეტესობამ თანმიმდევრულად უარყო. თუმცაღა, დაგეგმვისკენ ყველაზე მეტად სწორედ ეს ცრუ იმედი გვიბიძგებს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სოციალისტების დაპირება უფრო მეტი თავისუფლების შესახებ წმინდა და გულწრფელია, გასულ წლებში დამკვირვებლები ერთმანეთის მიყოლებით გამოთქვამდნენ გაოცებას სოციალიზმის გაუთვალისწინებელი შედეგების, გარემოებების იმ არაჩვეულებრივი მსგავსების გამო, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში კომუნიზმისა და ფაშიზმის შედეგებს ახასიათებს. როგორც ეს მწერალმა პიტერ დრაკერმა გამოხატა 1939 წელს, „მარქსიზმის მეშვეობით თავისუფლებისა და თანასწორობის მიღწევის რწმენის სრულმა გაქარწყლებამ რუსეთი აიძულა, რომ დადგომოდა თავისუფლების უარყოფისა და უთანასწორობის ტოტალიტარული საზოგადოებისკენ მიმავალ იმავე გზას, რომელიც მის კვალდაკვალ გერმანიამაც გაიარა. კომუნიზმი და ფაშიზმი არსობრივად ერთი და იგივე სულაც არ არის. ფაშიზმი არის საფეხური, რომელიც მიღწეულ იქნა მას შემდეგ, რაც კომუნიზმის სიყალბე დადასტურდა და ეს სიყალბე ისევე დადასტურდა რუსეთში, როგორც პრეჰიტლერულ გერმანიაში".

არანაკლებ მნიშვნელოვანია 1933 წლამდე გერმანიის კომუნისტურ და ფაშისტურ მოძრაობათა შედგენილობის ხარისხსა და სამსახურებრივ იერარქიაზე

ინტელექტური დაკვირვება. რაოდენ იოლად იყო შესაძლებელი ახალგაზრდა კომუნისტების გადასვლა ნაცისტების ბანაკში, ან პირიქით – ნაცისტების კომუნისტების ბანაკში, ყველასთვის, განსაკუთრებით კი ორივე პარტიის პროპაგანდისტებისთვის კარგად იყო ცნობილი. კომუნისტები და ნაცისტები უფრო ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ვიდრე სხვა პარტიებს და ეს უბრალოდ იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი ერთმანეთს ერთი და იგივე შეხედულებების ადამიანების ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის ეცილებოდნენ და ერთმანეთს საძულველ ერეტიკოსებს უწოდებდნენ. მათმა საქმიანობამ აჩვენა, თუ რამდენად ახლოს იყვნენ ისინი ერთმანეთთან. ორივესთვის ჭეშმარიტი მტერი ძველი ტიპის ლიბერალი იყო, რომელთანაც მათ საერთო არაფერი ჰქონდათ. მაშინ, როდესაც ნაცისტებისთვის კომუნისტები და კომუნისტებისთვის ნაცისტები, ამ ორივესთვის კი სოციალისტები, განიხილებოდნენ შესაძლო ახალწვეულებად, რომლებისგანაც მათი პარტიული მშენებლობისთვის საჭირო მასალა უნდა მომზადებულიყო, ყველა მათგანისთვის ცხადი იყო, რომ მათ შორის ყოველგვარი კომპრომისი, ისევე როგორც იმათთან, ვისაც პირადი თავისუფლების რწმენა ჰქონდა, შეუძლებელია.

ის, რაც მათ თავისუფლებისკენ მიმავალ გზად წარმოგვიდგინეს, ფაქტობრივად არის პირდაპირი გზა ბატონყმობისკენ. ძნელი არაა იმის დანახვა, რა შედეგი გვექნება, როცა დემოკრატია დაგეგმარების მიმართულებას დაადგება. დაგეგმარების მიზანი ზოგიერთების მიერ ისეთი გაურკვეველი ტერმინებით განიმარტება, როგორიცაა „საზოგადო კეთილდღეობა.“ იქ, სადაც ხალხმა არ იცის, როგორი იქნება საბოლოო შედეგი, რეალური თანხმობა არ მიიღწევა. ხალხის თანხმობა, რომ უნდა განხორციელდეს ცენტრალიზებული დაგეგმვა, საბოლოო შედეგების შესახებ შეთანხმების გარეშე, უცილობლად დაემსგავსება სიტუაციას, როდესაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ერთმანეთს ავალდებულებს იმოგზაურონ ერთად მარშრუტის შეუთანხმებლად: ყოველივე ამის შედეგად, შესაძლოა, უმრავლესობამ იძულებით იმოგზაუროს იქ, სადაც საერთოდ არ სურდა მოგზაურობა.

დემოკრატიულ საკრებულოებს არ შეუძლიათ დაემსგავსონ საგეგმო კომიტეტებს. მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ შეთანხმებები ყველა საკითხზე – სახელმწიფო რესურსების გამოყენების ყველა მიმართულებაზე – რამეთუ არსებობს მოქმედების უამრავი შესაძლებლობა. მაშინაც კი, თუკი კონგრესი შეძლებს, მუხლობრივი განხილვისა და ყოველ საკითხში კომპრომისის მიღწევის გზით შეთანხმდეს ზოგიერთი პროგრამის განხორციელებაზე, ეჭვგარეშეა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც არავის დააკმაყოფილებს.

ასეთი ხერხით ეკონომიკური გეგმის დასახვა კიდევ უფრო ნაკლებად შესაძლებელია, ვიდრე მაგალითად, წარმატებული საომარი კამპანიის დაგეგმვა დემოკრატიული პროცედურებით. სტრატეგიულად გარდაუვალი გახდება, რომ სათანადო გადაწყვეტილებების მომზადება ექსპერტებს დაეკისროთ. და მაშინაც კი, როდესაც ამ მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, დემოკრატია წარმატებას აღწევს მეურნეობის ცალკეული სექტორების დაგეგმვაში, კვლავ პრობლემად რჩება ამ ცალკეული გეგმების შერწყმა-შეხამება. თანდათანობით სულ უფრო

განმტკიცდა მოთხოვნა, რომ ზოგიერთ მმართველ ორგანოს ან ცალკეულ პირს მიეცეს ძალაუფლება, იმოქმედოს საკუთარი პასუხისმგებლობით. ეკონომიკური დიქტატორის მოსვლისთვის ცრემლისღვრა დამახასიათებელი საფეხურია დაგეგმვის მიმართულებით მოძრაობისას.

ამრიგად, საკანონმდებლო ორგანო შემოიფარგლება იმ პირთა შერჩევით, რომლებსაც პრაქტიკულად აბსოლუტური ძალაუფლება მიენიჭებათ, ხოლო მთლიანად წეს-წყობილება დიქტატურის ისეთი ტიპისკენ გადაიხრება, რომლის დროსაც მთავრობის ხელმძღვანელი თავის პოზიციებს პერიოდულად სახალხო არჩევნებით გაამყარებს, მაგრამ მას ექნება სრული ძალაუფლება, თავისი ბრძანების შესაბამისად, ამომრჩეველთა ხმები სინამდვილეში წარმართოს იმ მიმართულებით, რომელიც მას სჭირდება.

დაგეგმვა განაპირობებს დიქტატურას, რადგან დიქტატურა არის ძალადობის ყველაზე ეფექტური და მეტად საჭირო ხერხი, თუკი აუცილებელია, რომ ცენტრალური დაგეგმვა ფართო მასშტაბებით გახდეს შესაძლებელი. არანაირი გამართლება არა აქვს ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ რაკი ძალაუფლება მოპოვებულია დემოკრატიული პროცედურებით, ის არ შეიძლება იყოს ნებელობითი. ძალაუფლების წყაროს არ შეუძლია ხელისუფლება ნებელობისგან დაიცვას. დიქტატურისგან თავის დასაცავად თავად ხელისუფლება უნდა იყოს შეზღუდული.

ეკონომიკური სისტემის მართვისთვის გამოყენებული „პროლეტარიატის ჭეშმარიტი დიქტატურის“ დემოკრატიული ფორმაც კი, სავარაუდოდ, ისევე სრულად მოსპობს ადამიანების პიროვნულ თავისუფლებას, როგორც ყველა მანამდე არსებული ავტოკრატიული წყობა.

პიროვნული თავისუფლება შეუძლებელია შეეგუოს ერთი კონკრეტული მიზნის უზენაესობას, რომელსაც მთელი საზოგადოება მუდმივად უნდა დაექვემდებაროს. გარკვეულწილად, ეს ფაქტი თავად გამოვცადეთ ომის დროს, როდესაც გადაუდებელი და დამთრგუნავი აუცილებლობის მიმართ აბსოლუტურად ყველაფრის დაქვემდებარება იყო ის საფასური, რომელიც გადავიხადეთ, რათა საკუთარ თავისუფლებას ხანგრძლივად გავფრთხილებოდით. მაღალფარდოვანი გამონათქვამები იმის შესახებ, რომ მშვიდობის მისაღწევად საჭიროა ყველაფრის ისე კეთება, როგორც ეს ომში გამარჯვების მისაღწევად ვისწავლეთ, სრული შეცდომაა. ომის დროს კეთილგონივრულია თავისუფლების დროებითი შეზღუდვა, რათა მომავალში ის უფრო დაცული იყოს, გეგმური ეკონომიკის ინტერესებს კი თავისუფლების მუდმივი შეზღუდვა მოაქვს.

მათთვის, ვინც თვალი ადევნა სოციალიზმის ფაშიზმად გარდაქმნას მე-20 საუკუნის პირველ ორ მეოთხედში, კავშირი ამ ორ წეს-წყობილებას შორის სრულიად ცხადია. სოციალისტური პროგრამის რეალიზება თავისუფლების განადგურებას ნიშნავს. დემოკრატიული სოციალიზმი, ბოლო რამდენიმე თაობის უდიდესი უტოპია, უბრალოდ განუხორციელებელია.

რატომ ექცევა სათავეში ყველაზე უარესი?

ეჭვს არ იწვევს ის, რომ ინგლისური და ამერიკული „ფაშიზმი“ იტალიური და გერმანული სახესხვაობებისგან დიდად განსხვავდება. უეჭველია ისიც, რომ თუ ეს წეს-წყობილება ძალადობის გარეშე დამკვიდრდებოდა, შესაძლოა, უკეთესი პოლიტიკური წინამძღოლიც კი მიგვეღო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ ფაშისტური წეს-წყობილება ჩვენში ძლიერ განსხვავებული ან გაცილებით ნაკლებ აუტანელი აღმოჩნდება, ვიდრე მისი პროტოტიპები იტალიასა და გერმანიაში. არსებობს სარწმუნო მიზეზები, რომ ტოტალიტარული სისტემების ყველაზე ცუდი თავისებურებები, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოვლინდება.

ზუსტად ისე, როგორც დემოკრატი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ცდილობს ეკონომიკური ცხოვრების დაგეგმვას, სულ მალე აღმოჩნდება იმ ალტერნატივის წინაშე, რომ ან მოიპოვოს დიქტატორული ძალაუფლება, ან შეეგუოს მისივე გეგმების სრულ კრახს, ტოტალიტარული მიდრეკილებების წინამძღოლიც, ასევე მალე დადგება უზნეობასა და წარუმატებლობას შორის არჩევნის წინაშე. სწორედ ამ მიზეზითაა განპირობებული, რომ ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილ საზოგადოებაში წარმატებებს, როგორც წესი, უპრინციპო, არაკეთილსინდისიერი პირები აღწევენ. ის, ვინც ამას ვერ ხედავს, ჯერ კიდევ ვერ სწვდება იმ უფსკრულის სიღრმეს, რომელიც ტოტალიტარიზმს ინდივიდუალისტური დასავლური ცივილიზაციისგან არსებითად აშორებს.

ტოტალიტარულმა ლიდერმა გარშემო უნდა შემოიკრიბოს ადამიანები, ვინც ნებაყოფლობით ემორჩილება იმგვარ დისციპლინას, რომელიც უნდათ, რომ ხალხის დანარჩენ ნაწილს თავს ძალით მოახვიონ. სოციალიზმის დამყარება მხოლოდ იმ მეთოდებითაა შესაძლებელი, რომლებიც თავად სოციალისტთა უმრავლესობამ უარყო. ეს არის გაკვეთილი, რომელიც წარსულში მოღვაწე მრავალი რეფორმატორის საქმიანობიდან უნდა ვისწავლოთ. ადრეული პერიოდის სოციალისტურ პარტიებს თავიანთი დემოკრატიული იდეალები ბორკავდა. ისინი არ მიმართავდნენ მკაცრ მეთოდებს იმისთვის, რომ გადაეწყვიტათ მათ მიერ არჩეული ამოცანები. ნიშანდობლივია, რომ გერმანიასა და იტალიაში, ფაშიზმის აღზევება სოციალისტური პარტიების მიერ სახელისუფლებო პასუხისმგებლობის თავიდან არიდებით იყო განპირობებული. ისინი გულწრფელად არ იყენებდნენ იმ მეთოდებს, რომელთაც თვითონ გაუკვალეს გზა და კვლავ იმედოვნებდნენ, რომ მოხდებოდა სასწაული და უმრავლესობა მთელი საზოგადოების გარკვეული გეგმის მიხედვით ორგანიზების იდეას საკუთარი ნებით დათანხმდებოდა. სხვებს კი უკვე გარკვეული ჰქონდათ, რომ გეგმურ საზოგადოებაში მოვლენათა განვითარება დამოკიდებული იქნებოდა არა იმაზე, რას დაეთანხმებოდა ხალხის უმრავლესობა, არამედ იმაზე, ვისგან შეიქმნებოდა ყველაზე დიდი ჯგუფი, რომლის წევრებიც საზოგადოების ნებისმიერი საქმიანობის ერთ კალაპოტში მოქცევის მიზნით საკმაოდ შეთანხმებულად იმოქმედებდნენ.

არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ნებისმიერ საზოგადოებაში აღტკინებულ თანამოაზრეთა ასეთი მრავალრიცხოვანი ჯგუფი, არა საუკეთესო, არამედ ყველაზე უარესი წევრებისაგან ყალიბდება.

პირველი – რაც უფრო მაღალია პიროვნებების განათლება და ინტელექტი, მით უფრო მრავალფეროვანია მათი გემოვნება და შეხედულებები. თუ გვსურს, რომ შეხედულებების ერთგვაროვნების უფრო მაღალი ხარისხი აღმოვაჩინოთ, დაკვირვებისთვის უფრო დაბალი ზნეობრივი და ინტელექტური სტანდარტები უნდა დავაწესოთ და მივმართოთ იმ ფენებს, სადაც პრიმიტიული ინსტინქტები ბატონობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანთა უმრავლესობას დაბალი ზნეობრივი სტანდარტები აქვს და მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ ერთგვაროვანი ღირებულებების მქონე ადამიანთა ყველაზე დიდ ჯგუფს სწორედ დაბალი ზნეობრივი მოთხოვნები აქვს.

მეორე – ვინაიდან ეს ჯგუფი არ არის საკმარისად დიდი იმისთვის, რომ წინამძღოლთა მიზანსწრაფვას მხარი სათანადოდ აუბას, ის იძულებულია, იმავე პრიმიტიული მსოფლმხედველობის საფუძველზე, საკუთარ რიგებში კიდევ უფრო მეტი ადამიანი მიიღოს.

მან მხარდაჭერა დამჯერი და დამყოლი ადამიანებისგან უნდა მიიღოს, რომლებსაც საკუთარი თავის რწმენა არა აქვთ და მზად არიან სხვისი შეხედულებები მიიღონ, თუკი მათ ამას საკმაოდ ხშირად და ხმამაღლა ჩასჩიჩინებენ. ესენი იქნებიან ბუნდოვანი და არასრულყოფილი შეხედულებების მქონე მერყევი ადამიანები, რომლებიც თავიანთი სულიერი აღტკინებითა და ემოციური მდგომარეობით მზად არიან ტოტალიტარულ პარტიას მიენდონ.

მესამე – მომხრეების შეთამხმებულ ორგანიზმად შესადუღაბებლად, ლიდერმა საერთო ადამიანურ სისუსტეებს უნდა მოუხმოს. როგორც ჩანს, ადამიანებს უფრო უადვილდებათ ნეგატიური, ვთქვათ, მტრის საერთო სიძულვილიდან ან შეძლებულებისადმი შურიდან გამომდინარე, პროგრამის ირგვლივ შეთანხმება, ვიდრე რომელიმე პოზიტიური ამოცანის მიზანდასახვა.

დაპირისპირებას „ჩვენსა“ და „მათ“ შორის მუდამ იყენებს ის, ვინც ფართო მასების მორჩილებას ესწრაფვის. სამიზნე „მტერი“ შეიძლება ქვეყნის გარეთ ან ქვეყნის შიგნით იყოს, მაგალითად, ებრაელი გერმანიაში ან კულაკი – რუსეთში. ნებისმიერ შემთხვევაში ამ ხერხს უდიდესი უპირატესობა აქვს, რადგან წინამძღოლს მოქმედების უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე ნებისმიერი პოზიტიური პროგრამა.

ტოტალიტარულ ჯგუფში ან პარტიაში წარმატების მიღწევა მნიშვნელოვანწილად უზნეო საქციელისათვის მზადყოფნაზეა დამოკიდებული. პრინციპი – შედეგი ამართლებს საშუალებას, ინდივიდუალურ ეთიკაში განიხილება, როგორც ყოველგვარ ზნეობაზე უარის თქმა, კოლექტივისტურ ეთიკაში კი აუცილებლად მთავარ სამოქმედო დებულებად გარდაიქცევა. არ არსებობს ისეთი რამ, რის გასაკეთებლადაც ჭეშმარიტი კოლექტივისტი მზად არ იყოს, თუკი ეს „საერთო კეთილდღეობას“ ემსახურება, რადგან მისთვის სწორედ „საერთო კეთილდღეობა“

არის ის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა იყოს განხორციელებული.

თუკი ერთხელ მაინც აღიარეთ, რომ ინდივიდი მხოლოდ საშუალებაა, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს იმ დიადი ერთობის მიზნების მისაღწევად, რასაც საზოგადოება ან ერი ეწოდება, მაშინ ამას აუცილებლად მოჰყვება იმ ტოტალიტარულ შესაძლებლობათა უმრავლესობის აღიარებაც, რაც მანამდე ასე გვაშფოთებდა. შეურიგებელობა და განსხვავებული აზრის დაუნდობელი ალაგმვა, თვალთმაქცობა და დასმენა, ცალკეულ პირთა ცხოვრებისა და ბედნიერებისადმი სრული გულგრილობა, კოლექტივიზმის არსებითი და გარდაუვალი მახასიათებლებია. ქმედებები, რომელიც ჩვენი ყველა გრძნობის ამბოხს იწვევს, მაგალითად: ტყვეების დახვრეტა ან მოხუცებისა და ავადმყოფების მოკვდინება, აიხსნება, როგორც უბრალო მიზანშეწონილობა. ასობით ათასი ადამიანის დედაბუდიანად აყრა და გადასახლება პოლიციის ძალისმიერ ინსტრუმენტად გადაიქცა, რასაც თითქმის ყველა ეთანხმებოდა, თვით მსხვერპლთა გარდა.

იმისათვის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის სასარგებლო მსახური გახდეს, ადამიანი მზად უნდა იყოს ყველა მისთვის ნაცნობი ზნეობრივი კანონის უარსაყოფად, თუკი მისთვის დადგენილი შედეგის მისაღწევად ეს საჭიროა. ტოტალიტარული მანქანა დაუნდობლობისა და უპრინციპობისთვის ხელსაყრელ გარემო-პირობებს ქმნის. არც გესტაპო და არც საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაცია, არც პროპაგანდის სამინისტრო და არც *SA* ან *SS* სპეცსამსახურები (ან მათი რუსული ანალოგები) ჰუმანური გრძნობების გამოვლენისთვის შესაფერისი ადგილები არ არის. თუმცა ტოტალიტარულ სახელმწიფოში მაღალი თანამდებობებისკენ გზა სწორედ ასეთ ადგილებში თავის გამოჩენაა.

გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი, პროფესორი ფრენკ ნაითი სამართლიანად აღნიშნავს, რომ კოლექტივისტური სახელმწიფოს ხელისუფლებამ „სურვილის არსებობა-არარსებობის მიუხედავად ასე უნდა იმოქმედოს და ალბათობა იმისა, რომ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს ექნებათ გამორჩეული ხასიათი, რაც მათ არ გამოაყენებინებს ძალაუფლებას, ისევე დაბალია, როგორც იმის ალბათობა, რომ უკიდურესად სათნო გულის მქონე პიროვნებამ მონათა პლანტაციებში მკაცრი ზედამხედველის თანამდებობა მიიღოს“.

შემდეგი მოსაზრება, რომელიც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს, გულისხმობს: კოლექტივიზმი ნიშნავს სიმართლის დასასრულს. ტოტალიტარული სისტემის ეფექტური მუშაობისთვის არასაკმარისია, ყველა აიძულონ, რომ დამგეგმავების დასახული მიზნების განსახორციელებლად იმუშაონ. არსებითი ისაა, რომ ხალხმა ეს მიზნები უნდა გაითავისოს, რაც საინფორმაციო წყაროების სრული კონტროლითა და მიზანმიმართული აგიტაცია-პროპაგანდით მიიღწევა.

ხალხის იმ მდგომარეობამდე მისაყვანად, რომ აღიარონ იმ ყველაზე ეფექტური გზა-ღირებულებების სამართლიანობა, რომელსაც თვითონვე უნდა ემსახურონ, საჭიროა მათი დარწმუნება, რომ ეს ზუსტად ის ღირებულებებია, რომელიც მანამდე ჰქონდათ, მაგრამ შესაძლოა, ვერ ხვდებოდნენ და არ აცნობიერებდნენ.

ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ეფექტური მეთოდი ძველი სიტყვების შეცვლილი მნიშვნელობით გამოყენებაა.

ტოტალიტარული რეჟიმის ზოგიერთი თავისებურება გარეშე დამკვირვებლისთვის ისევე დამაბნეველია, როგორც ენის სრული გაუკუღმართება, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს მთელ ინტელექტურ გარემოს.

სიტყვა „თავისუფლება“ ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად ხელყოფილია. ტოტალიტარულ სახელმწიფოში მას ისევე ხშირად იყენებენ, როგორც ყველა სხვაგან. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ყველგან, სადაც კი თავისუფლება იმ სახით, როგორც ჩვენ გვესმის, მოისპო, ეს ხალხისთვის რაღაც ახალი სახის თავისუფლების დაპირების სანაცვლოდ მოხდა. თვით ჩვენ შორისაც არიან დამგეგმავები, რომლებიც ჩვენივე გვპირდებიან „კოლექტიურ თავისუფლებას“, რომელიც ისეთივე მტკნარი სიცრუეა, როგორც ტოტალიტური პოლიტიკოსების მიერ ნათქვამი ნებისმიერი სხვა რამ. „კოლექტიური თავისუფლება“ არის არა საზოგადოების ცალკეული წევრების თავისუფლება, არამედ თვით დამგეგმავთა განუსაზღვრელი თავისუფლება, საზოგადოებას მოექცნენ ისე, როგორც მათ მოეპრიანებათ. ეს არის უკიდურესობამდე მიყვანილი თავისუფლებისა და ძალაუფლების აღრევა.

უმრავლესობისთვის დამოუკიდებელი აზროვნების საშუალების შეზღუდვა ძნელი არ არის. მაგრამ უმცირესობა, რომელიც კრიტიკისადმი მიდრეკილებას ინარჩუნებს, აგრეთვე უნდა გააჩუმონ. საზოგადოების მხრიდან კრიტიკა ან თუნდაც ეჭვების გამოხატვა ძირშივე უნდა აღმოიფხვრას, რადგან ამას შეუძლია შეასუსტოს რეჟიმის მხარდაჭერა. სიდნეი და ბეატრიჩე ვებები რუსულ საწარმოებში არსებული მდგომარეობის შესახებ ასე მოგვითხრობდნენ: „სანამ საქმე აღმავლობას განიცდის, დაგეგმვის წარმატებულობისადმი ნებისმიერი ეჭვის საჯაროდ გამოთქმა, არაკეთილგანწყობილი ქმედება და ღალატიც კია, რადგან ამან შესაძლოა, დანარჩენ მოსამსახურეთა ნებასა და ძალისხმევაზე იქონიოს გავლენა“.

კონტროლი ვრცელდება იმ საგნებზეც, რომლებსაც ერთი შეხედვით არც კი შეიძლება, რომ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად, ალბათობის თეორიას დაუპირისპირდნენ, როგორც „სემიტურ შეტევას ქრისტიანულ და ჭეშმარიტ გერმანულ საგანთა წყობაზე“, აგრეთვე იმიტომ, რომ ის „უპირისპირდება დიალექტურ მატერიალიზმს და მარქსისტულ დოგმატიკას“. ყველა ქმედება გამართლებული უნდა იყოს გააზრებული საზოგადოებრივი მიზნით. არ უნდა ხდებოდეს სპონტანური, უმართავი ქმედება, რადგან ამას შესაძლებელია მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები, რომლებიც გეგმით უზრუნველყოფილი არ არის.

ეს წესები სპორტულ თამაშებსა და გართობაზეც კი ვრცელდება. მკითხველს ვუტოვებ გამოსაცნობად, სად დაითანხმეს მოჭადრაკეები, რომ ოფიციალურად გამოეცხადებინათ: ჭადრაკისვე სასიკეთოდ „ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავუსვათ წერტილი ჭადრაკის ნეიტრალიტეტს“.

შესაძლოა, ყველაზე შემაშფოთებელი ის იყოს, რომ ინტელექტუალური თავისუფლების მიმართ უპატივცემულობის გამოვლენა მხოლოდ ტოტალიტარული

სისტემის ჩამოყალიბების შედეგი არაა. ის ყველგან თავს იჩენს, სადაც კოლექტივისტურ რწმენას ხელგაშლილი ეგებებიან. ყველაზე მეტად დამთრგუნველი იმასთან შეგუებაა, რაც სოციალიზმის სახელთანაა დაკავშირებული და ოპოზიციური იდეებისადმი შეუწყნარებლობის ღიად ქადაგებას გულისხმობს. კოლექტივისტური აზროვნების ტრაგედიაა ის, რომ მის მიერ კეთილგონიერების გაიდეალება, კეთილგონიერებისვე განადგურებით სრულდება.

კოლექტივიზმის გაბატონების შედეგად ზნეობრივი ღირებულებების ცვლილების გამომწვევი ერთი მიზეზი განსჯის საგანგებო საზრდოს იძლევა. ეს არის ღირსებები, რომელსაც სულ უფრო და უფრო ნაკლებად სცემენ პატივს ბრიტანეთსა და ამერიკაში, არადა ანგლოსაქსებს სიამაყით აღავსებდა თვითგამორჩეულობის შეგრძნება ზუსტად ამ ღირსებების გამო, რაც უპირატესობის შეგრძნებას აძლევდა. ეს ღირსებები იყო დამოუკიდებლობა და თავდაჯერებულობა, პირადი ინიციატივა და ადგილობრივი პასუხისმგებლობა, ნებაყოფლობითი საქმიანობის წარმატებისადმი რწმენა, მეზობლების საქმეებში ჩაურევლობა და განსხვავებულისადმი შემწყნარებლობა, აგრეთვე ხელისუფლებისა და მოხელეთა ძალაუფლების ჯანსაღი შეზღუდვა.

თითქმის ყველა წეს-ჩვეულება და ინსტიტუტი, რომლებმაც ინგლისსა და ამერიკაში ეროვნული ხასიათი და ერთიანი ზნეობრივი გარემო ჩამოაყალიბეს, ამავდროულად კოლექტივიზმსა და მის ცენტრალისტურ ტენდენციებს ეწინააღმდეგებოდნენ.

დაგეგმვა კანონის უზენაესობის საპირისპიროდ

თავისუფალ ქვეყანას დესპოტურისაგან არაფერი განასხვავებს ისე თვალნათლივ, როგორც კანონის უზენაესობის სახელით ცნობილი დიადი პრინციპების დაცვა. თუ საქმის ტექნიკური მხარის განხილვას თავს ავარიდებთ, ეს ნიშნავს, რომ მთავრობა ნებისმიერ ქმედებაში შეზღუდულია წინასწარ დაწესებული და გაცხადებული კანონმდებლობით – წესებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან, წინასწარ განისაზღვროს, როგორ გამოიყენებს ხელისუფლება თავის ძალაუფლებას ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში. შესაბამისად, თითოეული კონკრეტული პიროვნება სწორედ ამ ცოდნაზე დაფუძნებით შეძლებს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვას. ამრიგად, თამაშის ცნობილი წესების ფარგლებში, ყოველი ცალკეული პირი თავისუფალია, ესწრაფვოდეს საკუთარ მიზნებს და იყოს დარწმუნებული, რომ ხელისუფლების ძალაუფლება მისი ძალისხმევის გასაქარწყლებლად არ იქნება გამოყენებული.

ეკონომიკის სოციალისტური დაგეგმვა სრულიად საწინააღმდეგოს გულისხმობს. საგეგმო კომიტეტი საკუთარ თავს ზოგადი წესით ვერ შეზღუდავს და ძალის გამოყენებაზე უარს ვერ იტყვის. როდესაც სახელმწიფო წყვეტს, რამდენი ღორი უნდა გაიზარდოს ან რამდენი ავტობუსი უნდა მოძრაობდეს, რომელი ქვანახშირის მაღარო უნდა აითვისონ ან რა ფასში უნდა გაიყიდოს ფეხსაცმელი, შეუძლებელია ყველაფრის წინასწარი განჭვრეტა. ყოველდღიური შემთხვევითო-

ბები არსებით გავლენას ახდენს მოვლენათა განვითარებაზე. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, აუცილებელია სხვადასხვა პირებისა და ჯგუფების ინტერესების გაწონასწორება.

საბოლოოდ კი, საგეგმო კომიტეტში თავმოყრილი გარკვეული ადამიანები საკუთარი შეხედულებებისამებრ წყვეტენ, რომელი პირებისა თუ ჯგუფების ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია და შემდეგში ეს შეხედულებები, ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილი ხდება. საკმაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო მეტს „გეგმავს“ ხელისუფლება, მით უფრო უჭირთ საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა ცალკეულ პირებს. ამ ორ მიდგომას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ეს იგივეა, რაც განსხვავება საგზაო ნიშნების დადგმასა და ხალხისათვის მითითებას შორის, თუ რომელი გზა უნდა აირჩიონ.

მეტიც, ცენტრალური დაგეგმვის პირობებში ხელისუფლება ვერ იქნება მიუკერძოებელი. სახელმწიფო აღარ არის მცირე უტილიტარული მექანიზმი, რომელიც ეხმარება ცალკეულ პირებს მათი განუმეორებელი თვითმყოფადობის განვითარებაში და ისეთ წარმონაქმნად გადაგვარდება, რომელიც საკუთარი შეხედულებით ირჩევს, რას მიანიჭოს უპირატესობა სხვადასხვა ადამიანების კერძო მოთხოვნებს შორის და ნებას აძლევს ერთ ადამიანს აკეთოს ის, რასაც მეორეს უკრძალავს. ამასთან ცენტრალური დაგეგმვა გულისხმობს, რომ საკანონმდებლო გზით დადგინდეს, როგორი უნდა იყოს ცალკეული ადამიანების ფულადი უზრუნველყოფა და რა ქონებას უნდა ფლობდეს ყოველი განსხვავებული კატეგორიის ადამიანი.

კანონის უზენაესობა ანუ ხელისუფლების მიერ გარკვეული ადამიანებისთვის დადგენილი საკანონმდებლო პრივილეგიები, კანონის წინაშე თანასწორობის ის გარანტიაა, რომელიც მთავრობის ნებელობით ძალმომრეობას უპირისპირდება. მნიშვნელოვანია ის, რომ სოციალისტები (და ნაცისტები) ყოველთვის უკმაყოფილობას გამოთქვამდნენ „ზოგადი“ სამართალის მიმართ, რითიც უარყოფდნენ კანონებს, რომლებიც არ საზღვრავენ ცალკეული ადამიანების კეთილდღეობის საკითხებს. ამის საპირისპიროდ ისინი „კანონის სოციალიზაციას“ მოითხოვდნენ და მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდნენ.

გეგმურ საზოგადოებაში კანონმა ყველა იმ მიზანსწრაფვისა და ჩანაფიქრის ლეგალიზება უნდა მოახდინოს, რომელიც ხელისუფლების ძალადობრივ ქმედებებს მოსდევს. თუ კანონი ამბობს, რომ ამა თუ იმ გამგეობას ან მმართველ ორგანოს შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს, მაშინ ყველაფერი, რასაც ასეთი გამგეობა ან მმართველი ორგანო გააკეთებს, ლეგალურად ჩაითვლება – თუმცა ამგვარი ქმედება კანონის უზენაესობას სრულებითაც არ ნიშნავს. შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ხელისუფლების არსებობისას გამოხატული არ არის, რომ ყველაზე დესპოტური წესებიც კი კანონად იქცეს. ამ გზით დემოკრატია შესაძლოა, გადაიზარდოს ყველაზე სრულყოფილ დესპოტიზმში, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.

კანონის უზენაესობის შეგნება მხოლოდ ლიბერალურ ეპოქაში აღმოცენდა და ის ამ დროის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენაა. ის კანონებში განსახიერებული თავისუფლებაა. როგორც იმანუელ კანტი ამბობდა: „კაცი თავისუფალია, თუ მას არა პიროვნების, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კანონის მორჩილება სჭირდება“.

არის კი დაგეგმვა „გარდაუვალი“?

აშკარაა, რომ დამგეგმავთა მცირერიცხოვანი ჯგუფი დღეს კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცენტრალური დაგეგმვა სასურველია. მათი უმრავლესობა ამტკიცებს, რომ იძულებულნი ვართ დავემორჩილოთ მოვლენათა ასეთ განვითარებას იმ გარემოებათა გამო, რომლებსაც ვერ ვაკონტროლებთ.

ყველაზე ხშირად ასახელებენ მიზეზს, რომ ცენტრალური დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ცივილიზაციის სირთულეთა დაძლევა. ეს არგუმენტი კონკურენციის მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ სრულიად არასწორ შეხედულებას ეფუძნება. არადა, სწორედ თანამედროვე პირობების სირთულის გამოა, რომ კონკურენცია არის ის ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ქმედებების კოორდინირების ადეკვატურობის მიღწევა.

იქ, სადაც მდგომარეობა იმდენად მარტივია, რომ ცალკეულ პირს, ან გამგეობას შეუძლია ფაქტების ეფექტური გამოკვლევა, არ წარმოიშობა სურთულეები კონტროლსა და დაგეგმვაში. მაგრამ, როგორც კი მხედველობაში მისაღები ფაქტორები მატულობს და კომპლექსური ხდება, უკვე ერთ ცენტრს აღარ შეუძლია, მათ კვალში მისდიოს. სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნა-მიწოდების მუდმივად ცვალებადი პირობები ვერასოდეს იქნება სრულყოფილად ცნობილი ერთი ცენტრისათვის და ვერც იმას შეძლებს, რომ საკმაოდ სწრაფად მოახდინოს რეაგირება.

ფასებში მხოლოდ კონკურენციის პირობებში აისახება ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი. ვერც ერთი სხვა ეკონომიკური წყობა ვერ პასუხობს ამ ამოცანას. მეწარმე, რომელიც თვალს მხოლოდ განსაზღვრული ნაწარმის ფასების დინამიკას ადევნებს, მომხმარებლების მოთხოვნილებებთან საკუთარი საქმიანობის მისადაგებას იოლად ახერხებს. მსგავსად ინჟინრისა, რომელსაც მხოლოდ ზოგიერთ მაჩვენებელზე დაკვირვებით შეუძლია, რომ მექანიზმის მოქმედებას მიადევნოს თვალყური.

ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ამ მეთოდთან შედარებით, რაც დეცენტარალიზაციას და ამასთან ერთად ფასების სისტემის ავტომატურ კოორდინაციას გულისხმობს, ცენტრალური მართვის მეთოდი წარმოუდგენლად მოუხერხებელი, პრიმიტიული და შებოჭილია. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თუ ჩვენი საწარმოო სისტემის ზრდის უზრუნველსაყოფად, იძულებული გავხდებოდით მიგვემართა ცენტრალური დაგეგმვისათვის, ის ვერასოდეს მიაღწევდა მრავალფეროვნებისა და მოქნილობის იმ დონეს, რომელიც ამჯერად აქვს. თანამედროვე ცივილიზაცია გვაქვს სწორედ იმიტომ, რომ ის არ საჭიროებს ყველაფრის ერთ ქარგაზე მორგებას. კონკურენტულ წყობაში შრომის დანაწილება იმაზე ბევრად უფრო სრულყოფილადაა განხორციელებული, ვიდრე ეს წინასწა-

რი დაგეგმვის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. ეკონომიკური სისტემის ყოველი შემდგომი გართულება კონკურენტული ხერხების გამოყენებას ადრინდელზე უფრო მნიშვნელოვანს ხდის, ხოლო ცენტრალური მმართველობის აუცილებლობას და მიზანმიმართული კონტროლის საჭიროებას კიდევ უფრო აკნინებს.

ასევე ამტკიცებენ, რომ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა კონკურენცია შეუძლებელი გახადა სულ უფრო მეტ სფეროში და ერთადერთი არჩევანი, რომელიც დაგვრჩა, არის არჩევანი კერძო მონოპოლიების მიერ პროდუქციის კონტროლსა და მთავრობის მიერ განხორციელებულ მართვას შორის. თუმცა მონოპოლიების ზრდა არა იმდენად ტექნოლოგიური წინსვლის გარდაუვალი გამოძახილია, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობაში განხორციელებული პოლიტიკის შედეგი.

ამ სიტუაციის ყველაზე საყურადღებო გამოკვლევა ეროვნული ეკონომიკის დროებით კომიტეტს ეკუთვნის, რომელსაც გადაჭარბებულ ლიბერალურ მიდრეკილებებში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ. კომიტეტი ადგენს, რომ საწარმოთა უმრავლესობის შესაძლებლობები ვერ წარმოჩნდა. ცენტრალიზებული მართვის ხერხებმა, რომლებსაც, სავარაუდოდ, კონკურენცია უნდა ჩაენაცვლებინა, თავადვე განიცადეს წარუმატებლობა მრავალ სფეროში... არ შეიძლება დაეთანხმო იმ დასკვნას, რომ წარმოების მასშტაბების გაზრდით მიღებული უპირატესობა აუცილებლად გამოიწვევს კონკურენციის მოსპობას... გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის უშუალო დახმარებით მონოპოლიები ხშირად საიდუმლო მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების გზით იქმნება. კონკურენტული პირობები შეიძლება აღდგეს მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი შეთანხმებები გაუქმდება და სათანადო პოლიტიკა შეიცვლება.

ნებისმიერი, ვინც აკვირდება, როგორი თანმიმდევრულობით ესწრაფვიან მონოპოლისტები სახელმწიფოს დახმარებას საკუთარი კონტროლის ეფექტურობის გასაზრდელად, ოდნავადაც არ დაეჭვდება, რომ მოვლენათა ასეთი განვითარებისას გარდაუვალი არაფერია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერმა პროტექციონისტურმა პოლიტიკამ მონოპოლიების ზრდას ხელი შეუწყო. გერმანიაში კი, კარგად მოფიქრებული პოლიტიკის წყალობით, 1878 წლიდან კარტელების რიცხვი მუდმივად იზრდება. სწორედ აქ ჩატარდა სახელმწიფოს დახმარებით „მეცნიერული დაგეგმვისა“ და „წარმოების მიზანმიმართული ორგანიზების“ პირველი ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტები, რომლებმაც განაპირობეს კიდეც უდიდესი მონოპოლიების ჩამოყალიბება. გერმანიაში კონკურენციის შეზღუდვა იყო წინასწარ გათვლილი პოლიტიკის შედეგი, რომელიც განხორციელდა იმ იდეალის მისაღწევად, რასაც ახლა დაგეგმვა ეწოდება.

უდიდესი საფრთხე ძევს ორი უძლიერესი ჯგუფის — ორგანიზებული მეწარმეების და ორგანიზებული მშრომელების პოლიტიკაში, რომლებიც მხარს უჭერენ წარმოების მონოპოლისტურ ორგანიზებას. მონოპოლიათა ზრდა ორგანიზებული მეწარმეებისა და ორგანიზებული მშრომელების კარგად მოფიქრებული თანამშრომლობის შედეგია, რომლის შედეგადაც მშრომელების პრივილეგირებული

ჯგუფები ინაწილებენ მეწარმეთა მონოპოლიურ მოგებას საზოგადოებისა და განსაკუთრებით იმ მშრომელების ხარჯზე, რომლებიც წარმოების ნაკლებად ორგანიზებულ დარგებში არიან დასაქმებული. მიუხედავად ყველაფრისა, არ გვაქვს მიზეზი ვიფიქროთ, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება გარდაუვალია.

მოძრაობა დაგეგმვისკენ მიზანმიმართული პოლიტიკური ქმედებების შედეგია და არანაირი გარეშე აუცილებლობა არ გვაიძულებს ამას.

შესაძლებელია, რომ დაგეგმვამ გაგვათავისუფლოს საზრუნავისგან?

დამგეგმავთა უმეტესობას, ვინც გულისყურით ეკიდება თავისი ამოცანების პრაქტიკულ ასპექტებს, მცირედი ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ დაგეგმილი ეკონომიკა დიქტატორული გზებით უნდა იმართოს, ხოლო ურთიერთდამოკიდებულ ღონისძიებათა რთულ ერთობლიობას მოხელე ექსპერტები უნდა ხელმძღვანელობდნენ, რომელთა წინამძღოლის ხელში მოქცეული განუზომელი ძალაუფლება დემოკრატიულმა პროცედურებმა არ უნდა შეზღუდოს. დამგეგმავები გვამშვიდებენ იმით, რომ მთავრობის დირექტივები „მხოლოდ“ ეკონომიკურ საკითხებს შეეხება. ასეთ დაპირებებს თან სდევს ის რჩევაც, რომ სიცოცხლის ნაკლებად მნიშვნელოვან ასპექტებში თავისუფლების დათმობით შევძლებთ თავისუფლებას მივაღწიოთ სხვა, უფრო მაღალ ღირებულებებში. ამის საფუძველზე ხალხი, ვინც ვერ იტანს პოლიტიკურ დიქტატურას, ხშირად ხმამაღლა მოითხოვს დიქტატურას ეკონომიკურ სფეროში. ვინ იქნება წინააღმდეგი, თუკი დაგეგმარება ნამდვილად გაგვათავისუფლებს ნაკლებად მნიშვნელოვანი საზრუნავისგან და აქედან გამომდინარე, გაგვიადვილებს არსებობას, რომ უფრო მშვიდად ვიცხოვროთ და მაღალფარდოვანი მოსაზრებებით დავკავდეთ?

საუბედუროდ, წმინდა ეკონომიკური მიზნები არ შეიძლება გამოცალკევდეს სხვა ცხოვრებისეული მიზნებისგან. ის, რასაც მცდარად „ეკონომიკურ მოტივს“ უწოდებენ, უბრალოდ ბედნიერებისკენ ზოგად სწრაფვას ნიშნავს. თუ ჩვენ ძალღონეს ფულისთვის ვხარჯავთ, ეს იმიტომ, რომ ფული გვაძლევს შესაძლებლობას, გავაკეთოთ უდიდესი არჩევანი, რომ დავტკბეთ საკუთარი საქმიანობის ნაყოფით – თუკი ერთხელ გამოვიმუშავებთ, თავისუფლად შეგვიძლია, ფული ისე დავხარჯოთ, როგორც მოგვესურვება.

რადგან ჩვენი ფულადი შემოსავლები შეზღუდულია, ვგრძნობთ იმ საზღვრებს, რომელიც გვამყოფებს შედარებით სიღარიბეში, ამიტომ ბევრს სძულს ფული, როგორც ამ შეზღუდვათა სიმბოლო.

სინამდვილეში ფული არის თავისუფლების ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი, რომელიც ადამიანმა გამოიგონა. სწორედ ფული ხსნის გზას არჩევანის იმ თავბრუდამხვევი მრავალფეროვნებისკენ, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება სთავაზობს უბრალო ადამიანებს – ეს არჩევანი დღეს ბევრად უფრო დიდია იმაზე, რაც სულ რამდენიმე თაობის წინ, მხოლოდ მდიდრებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ჩვენ უკეთ გავიგებთ ფულის სამომხმარებლო დანიშნულებას, თუ რეალურად წარმოვიდგენთ რა მოხდებოდა, მრავალი სოციალისტის სახასიათო წინადადების მიხედვით „ფინანსურ მოტივებს“ „არაეკონომიკური მოტივები“ რომ ჩაენაცვლოს. თუ ყველა ჯილდო ფულადი ანაზღაურების ნაცვლად, საგანგებო პრივილეგიის მინიჭების გზით გაიცემა, ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ ამ „წყალობის“ მიმღებს არჩევანის გაკეთების უფლება უკვე აღარ ექნება. ამიტომ ის, ვინც აწესებს ჯილდოს, განსაზღვრავს არა მარტო მის მოცულობას, არამედ მისი გამოყენების წესსაც.

ეგრეთ წოდებული ეკონომიკური თავისუფლება, რომელსაც დამგეგმავები დაგვპირდნენ, უფრო ზუსტად ნიშნავს იმას, რომ უნდა გაგვიადვილდეს საკუთარი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და აგვცილდეს ყველაზე მწარე ხვედრი, რასაც ცხოვრება გვიმზადებს. რადგანაც თანამედროვე პირობებში თითქმის მთლიანად გარეშე პირების მომსახურებაზე ვართ დამოკიდებული, ეკონომიკური დაგეგმვა ძალაუნებურად ჩვენი ყოფის სფეროს მოიცავს. ძნელად თუ მოიძებნება ცხოვრების რომელიმე ასპექტი, პირველადი საყოფაცხოვრებო საჭიროებებიდან დაწყებული, ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობების, ჩვენი საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებისა და თავისუფალი დროის გამოყენების ჩათვლით, რომ დამგეგმავმა არ ისარგებლოს თავისი „მიზანმიმართული ჩარევის“ უფლებით. დამგეგმავთა ზეგავლენა ჩვენს პირად ცხოვრებაზე ნაკლებშესამჩნევი ძნელად თუ გახდება, თუკი ხელისუფლება წარმოებაზე კონტროლს შეინარჩუნებს, ხოლო მომხმარებელს შემოსავლების საკუთარი სურვილით განკარგვის მხოლოდ მინიმალური თავისუფლება ექნება. ჩვენი არჩევანის თავისუფლება კონკურენტულ საზოგადოებაში ემყარება იმას, რომ თუ ერთი პირი უარს იტყვის დააკმაყოფილოს ჩვენი სურვილები, შეგვიძლია სხვას მივმართოთ. მაგრამ მონოპოლისტის შემთხვევაში, მის მოწყალებაზე ვართ დამოკიდებული. ხოლო ხელისუფლება, რომელიც მართავს მთელ ეკონომიკურ ურთიერთობებს, ყველაზე ძლევამოსილი მონოპოლისტია, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება.

მას უნდა ჰქონდეს სრული ძალაუფლება, გადაწყვიტოს, რა უნდა გვერგოს და რა ვადებში. მან არა მარტო უნდა განსაზღვროს, რა საქონელი და მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და რა რაოდენობით, არამედ უნდა მართოს კიდეც მათი განაწილება რეგიონებსა და ჯგუფებს შორის. ამასთან შეეძლოს, თუკი მოისურვებს, საკუთარი სურვილის შესაბამისად მიანიჭოს უპირატესობა ამა თუ იმ პირს. არა ჩვენი საკუთარი, არამედ ვიღაც სხვა პირის შეხედულება, რა უნდა მოგვწონდეს და რა არა, განსაზღვრავს იმას, რა უნდა მივიღოთ.

ხელისუფლების ნება კიდევ უფრო მეტად განსაზღვრავს და წარმართავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, თუკი სადმე ვმუშაობთ. უმრავლესობისთვის დრო, რომელსაც სამსახურში ვხარჯავთ, ცხოვრების უდიდესი ნაწილია. ხოლო ჩვენი სამსახური კი, როგორც წესი, განსაზღვრავს სად და როგორი ხალხის გარემოცვაში ვცხოვრობთ. აქედან გამომდინარე, სამუშაოს არჩევის თავისუფლება

ჩვენთვის ალბათ უფრო მნიშვნელოვანიც კია საკუთარი ბედნიერებისთვის, ვიდრე მოცალეობის ჟამს შემოსავლის განკარგვის თავისუფლება.

საუკეთესო ქვეყანაშიც კი, ზოგადი სახით ასეთი თავისუფლება ბუნებრივად შეზღუდულია. ხალხის ძალზე მცირე ნაწილს აქვს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მაინც გვაქვს გარკვეული არჩევანი, არ ვართ აბსოლუტურად მიჯაჭვული ჩვენთვის მიჩენილ სამუშაო ადგილზე და თუ რაიმე აუტანელი გახდება, ან სხვა რაიმე მიიპყრობს ჩვენ გულისყურს, ყოველთვის არის იმის შესაძლებლობა, რომ გარკვეული მსხვერპლის ფასად ახალ მიზანს მივაღწიოთ. შესაძლოა ცუდია, რომ მხოლოდ მანქანის ჭანჭიკი იყო, მაგრამ კიდევ უარესია, როცა აღარ გვაქვს ამ მდგომარეობიდან გასვლის საშუალება, თუკი მიჯაჭვულები ვართ იმ ადგილს და ხელმძღვანელებს, რომლებიც მოგვიჩინეს.

ჩვენს თანამედროვე სამყაროში არსებობს უამრავი საშუალება, გავიუმჯობესოთ არჩევანის შესაძლებლობა, მაგრამ „დაგეგმვა“ აუცილებლად საწინააღმდეგო მიმართულებით იმოქმედებს. დამგეგმავმა უნდა გასცეს ნებართვა ვაჭრობისა თუ სხვა საქმიანობების წამოწყებაზე ან დაადგინოს გადახდის ვადები, ან ორივე ერთად. დაგეგმვის ყველა შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ასეთი კონტროლი და შეზღუდვები წესდებოდა.

კონკურენციის პირობებში, ნივთების უმეტესობას ფასი ადევს, ხშირად, საშინლად მაღალიც კი. ჩვენ მსხვერპლად ერთი ნივთი უნდა გავიღოთ, რომ მივიღოთ მეორე. ალტერნატივა, მაშასადამე, არა არჩევანის თავისუფლება, არამედ ბრძანება და აკრძალვაა, რომელიც უნდა აღსრულდეს.

ის, რომ ხალხს სურს თავიდან აიცილოს მძიმე სინამდვილისგან თავსმოხვეული მწარე ხვედრი, გასაკვირი არაა. მაგრამ ძალიან ცოტას თუ უნდა, რომ თავი აარიდოს არჩევანს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მაგივრად ეს სხვებმა გააკეთონ. ხალხს მხოლოდ ის სურს, რომ არჩევანის გაკეთება სულ არ იყოს საჭირო. ისინი სავსებით მზად არიან დაიჯერონ, არჩევანი სულაც არ არის აუცილებელი და ის უბრალოდ გამოწვეულია იმ განსაკუთრებული ეკონომიკური სისტემით, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ის, რაზეც ისინი სინამდვილეში წუხან, ეკონომიკური პრობლემაა.

სასურველ ილუზიას, რომ ეს ნამდვილად აღარ არის ეკონომიკური პრობლემა, ხელი შეუწყო იმის მტკიცებამ, თითქოს გეგმური ეკონომიკა უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე კონკურენტული წყობა. ეს მტკიცება პრობლემის მკვლევართა უმეტესობამ მეტ-ნაკლები თანმიმდევრულობით უარყო. სოციალისტური შეხედულებების მქონე ბევრი ეკონომისტი ახლა მხოლოდ იმას იმედოვნებს, რომ გეგმური საზოგადოება ისეთივე ეფექტური და შედეგიანი იქნება, როგორიც კონკურენტული წეს-წყობილებაა. ისინი დაგეგმვის პრინციპს იმიტომ იცავენ, რომ ის საშუალებას მოგვცემს, უზრუნველვყოთ სიმდიდრის უფრო მიუკერძოებელი განაწილება. ხოლო თუკი გვინდა, გამიზნულად დავადგინოთ ვის რა უნდა ერგოს, მთლიანი ეკონომიკური წეს-წყობილება, უდავოა, დაგეგმარებას უნდა დავუქვემდებაროთ.

მაგრამ პასუხგასაცემია კითხვა, ხომ არ გამოიწვევს ფასი, რომელიც უნდა გადავიხადოთ ვიღაცის სამართლიანობის იდეალების განხორციელებისთვის, უფრო მეტ უკმაყოფილებას და მეტ ჩაგვრას, ვიდრე სამეურნეო ძალების ეგზომ საძრახისი თავისუფალი ურთიერთთანამშრომლობის დროს?

რა პრინციპით ან ვალდებულებებით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ, როდესაც სიმდიდრეს ანაწილებს? არსებობს კი გარკვეული პასუხი იმ უამრავ კითხვაზე, რა შედარებითი უპირატესობები წამოიწევს წინ?

ამ კითხავზე პასუხს მხოლოდ ერთი ზოგადი პრინციპი, ერთი მარტივი წესი იძლევა. ესაა ყოველი ცალკე პირის სრული თანასწორობა. ეს მიზანი განაწილებითი სამართლიანობის ბუნდოვან იდეას სულ ცოტა ნათელს მაინც მოჰფენდა. მაგრამ ხალხი, საზოგადოდ, ასეთი სახის მექანიკურ თანასწორობას სასურველად არ მიიჩნევს და სოციალიზმიც, არა სრულ თანასწორობას, არამედ „უფრო მეტ თანასწორობას“ ჰპირდება.

ეს ფორმულა პრაქტიკულდ ვერც ერთ კითხვას ვერ უპასუხებს, ყოველ კერძო შემთხვევაში ვერ გვათავისუფლებს, თითოეული პიროვნების ან ჯგუფის დამსახურებების შეფასების აუცილებლობისგან, თან, ვერც ამ გადაწყვეტილების მიღებას ამარტივებს. ერთადერთი, რაზეც ის მოგვითითებს სინამდვილეში, არის ის, როგორ წავართვათ მდიდარს რაც შეიძლება მეტი. ხოლო, როგორც კი საქმე ნარჩენების განაწილებაზე მიდგება, პრობლემა ისეთივე რჩება, როგორც „უფრო მეტი თანასწორობის“ ფორმულის არარსებობის შემთხვევაში.

ნათქვამია, რომ პოლიტიკურ თავისუფლებას ეკონომიკური თავისუფლების გარეშე მნიშვნელობა არა აქვს. ეს, რასაკვირველია, სრული სიმართლეა, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორითაც მას დაგეგმვის მომხრეები იყენებენ. ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ნებისმიერი სხვა სახის თავისუფლების წინაპირობაა, ვერ იქნება თავისუფლება ეკონომიკური საზრუნავიდან, რასაც სოციალისტები გვპირდებიან. ეკონომიკური პრობლემებიდან თავის დაღწევა შესაძლებელი მხოლოდ არჩევანის უფლების ჩვენთვის მონდობით არის. ეს უნდა იყოს ეკონომიკური ქმედების ისეთი თავისუფლება, რომელიც არჩევანის უფლებასთან ერთად, გულისხმობს შესაბამისი უფლების გამოყენების რისკსა და პასუხისმგებლობას.

უსაფრთხოების ორი სახესხვაობა

ყალბად, თუმცა უფრო სამართლიანად გაგებული „ეკონომიკური თავისუფლების“ მსგავსად ეკონომიკური უსაფრთხოება ყოველთვის ჭეშმარიტი თავისუფლების აუცილებელ პირობად არის წარმოდგენილი. გარკვეულწილად ეს მართალიცაა და მნიშვნელოვანიც. დამოუკიდებელი აზროვნება ან ხასიათის სიმყარე იშვიათად თუ ვლინდება იმათ შორის, ვისაც არ შეუძლია თავისივე ძალისხმევით გაიკვლოს გზა.

მაგრამ არსებობს უსაფრთხოების ორი სახესხვაობა: ყველას უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით და ცხოვრების ისეთი პირობების დაცვა, რომელშიც

თითოეული პიროვნება ან ჯგუფი თვითმყოფადობის გამოვლენის უფლებით სარგებლობს.

იმ საზოგადოებაში, რომელმაც მიაღწია სიმდიდრის გარკვეულ დონეს, ერთი შეხედვით არ არსებობს საფუძველი, რომ პირველი სახესხვაობის უსაფრთხოება თავისუფლებისთვის საფრთხის შექმნის გარეშე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს. ეს არის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საკმარისი მინიმალური ოდენობის საკვები, თავშესაფარი და ტანსაცმელი. აგრეთვე, თითქოს არ არსებობს არავითარი მიზეზი, თუ რატომ არ უნდა დაგვეხმაროს სახელმწიფო საყოფაცხოვრებო დაზღვევის ყოვლისმომცველი სისტემის შექმნაში, რომელიც ცხოვრების იმ ბედუკუღმართობისგან დაგვიცავს, რომელთა წინაშეც ცოტა ვინმე თუ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.

მაგრამ თავისუფლებას სწორედ უსაფრთხოების პირველი სახესხვაობა უთხრის ძირს. სინამდვილეში ის გამიზნულია ცალკეული პირებისა და მათი ჯგუფების შემოსავლების კლებისგან დასაცავად. თუკი, როგორც ეს სულ უფრო მეტ შემთხვევაში ხდება, ცალკეული ხელობის წარმომადგენლებს, რომელთა მდგომარეობა უმჯობესდება, ნება ეძლევათ, ხელფასებისა ან მოგების სახით წარმოდგენილი საკუთარი მაღალი შემოსავლების დაცვის მიზნით, შესაბამის საქმიანობაში სხვების ჩართვა არ დაუშვან, მაშინ, იმ ხელობების წარმომადგენლებს, რომლებზეც მოთხოვნა მცირდება, მკვეთრად ეზღუდებათ სამოქმედო ასპარეზი და ეს ყოველივე უმუშევრობის ზრდას იწვევს.

აქ კი არ შეიძლება მცირედი ეჭვი გაჩნდეს, რომ ყოველივე ეს ძირითადად უსაფრთხოებისთვის ბრძოლის ბოლო ათწლეულებში გამოყენებული იმ მეთოდების შედეგია, რომლებმაც უმუშევრობა და დაუცველობა მნიშვნელოვნად გაზარდა.

იმ ადამიანების მდგომარეობის სრული უიმედობა, რომლებიც პოლიტიკური მფარველობის მიღმა დარჩნენ, შესაძლოა, მხოლოდ იმათ შეაფასონ, ვისაც ეს თავად აქვს გამოცდილი. ტოტალიტარულ საზოგადოებაში ასეთი ადამიანების ყოველგვარი აღმასვლა შეჩერებულია. არასოდეს არ ყოფილა ერთი კლასის მიერ მეორის უფრო დაუნდობელი ჩაგვრა, ვიდრე კონკურენციის „რეგულირების“ შედეგად მეწარმეთა უფრო უზრუნველყოფლი ნაწილის მიერ შედარებით ნაკლებად წარმატებულთა ჩაგვრა. ზოგიერთმა ლოზუნგმა იმდენივე ზიანი და მსხვერპლი მოიტანა, რამდენიც ფასების განსაზღვრისა და გადასახადების სტაბილიზაციის გაიდეალებამ, რომელიც იცავს ზოგიერთების შემოსავლებს და თანდათან უფრო არასაიმედოს ხდის დანარჩენების მდგომარეობას.

ინგლისსა და ამერიკაში საგანგებო პრივილეგიებმა, განსაკუთრებით კონკურენციის „რეგულირების“ სახით გარკვეული ფასებისა და ხელფასების „სტაბილურობამ“, მზარდი მნიშვნელობა შეიძინა. ერთი ჯგუფისთვის საგანგებო პირობების შექმნის ყოველი მცდელობა აუარესებს დანარჩენების მდგომარეობას. თუ თქვენ გარკვეულ ნაწილს უზრუნველყოფთ ნამცხვრის განსაზღვრული ოდენობით, მაშინ დანარჩენების წილი პროპორციულად შემცირდება ნამცხვრის მთლიან ზომასთან შედარებით. ამასთან, უსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი, რო-

მელსაც კონკურენტული წყობა გვთავაზობს ანუ შესაძლებლობათა დიდი მრავალფეროვნება, უფრო და უფრო მცირდება.

შემზღუდველი ზომების მეშვეობით, უსაფრთხოების მისაღწევად სახელმწიფოს ხელშეწყობით განხორციელებულმა ზოგადმა ძალისხმევამ, დროის გარკვეულ პერიოდში საზოგადოების პროგრესული ტრანსფორმაცია განაპირობა. ამაშიც ისევე, როგორც ბევრ სხვა საკითხში, გერმანია პირველობდა და სხვა ქვეყნები უკან მიჰყვებოდნენ. ასეთი განვითარება დაჩქარდა სოციალისტური მოძღვრების განსხვავებული ეფექტით. ნებისმიერი ხასიათის საქმიანობაში ეკონომიკური რისკისა და ზნეობრიობის წინასწარგამიზნული უგულვებელყოფა ნახტომი იყო ისეთი ზემოგებისკენ, რომელიც ამართლებდა რისკს, თუმცა ძალიან ცოტას თუ შეეძლო მისი დაგემოვნება.

არ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ ჩვენს ახალგაზრობას, როდესაც ისინი სამეწარმეო რისკთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ დაცულ, ანაზღაურებად თანამდებობებს, რადგანაც მათ სიყმაწვილიდანვე ესმით, რომ ეს არის უფრო პატივსაცემი, უანგარო და მიუკერძოებელი საქმიანობა. დღევანდელი ახალგაზრდა თაობა გაიზარდა იმ გარემოში, სადაც სკოლასა და პრესაში აღნიშნავდნენ, რომ კომერციული სამეწარმეო სულისკვეთება იყო სამარცხვინო, ხოლო მოგების მიღება – უზნეობა; 100 პიროვნების სამუშაოდ აყვანა იყო ექსპლუატაცია, იმავე რაოდენობის ადამიანებზე მბრძანებლობა კი – სასიქადულო საქმე.

შედარებით ასაკიან ხალხს შესაძლოა, ეს გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ უნივერსიტეტის მასწავლებლის ყოველდღიური გამოცდილება მცირე ეჭვს თუ ტოვებს, რომ ანტიკაპიტალისტური პროპაგანდის შედეგად, საზოგადოებრივი ღირებულებები მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუმცა ჯერ შენარჩუნებულია ამა თუ იმ სახით. ისმის კითხვა, ხომ არ დავანგრევთ ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ მიმართული ინსტიტუციონალური ცვლილებებით იმ ღირებულებებს, რომლებსაც კვლავ უფრო მეტად ვაფასებთ?

ძირეული წინააღმდეგობა, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს, საზოგადოების ორგანიზების ორი სახესხვაობის შეუთავსებლობაა, რომელთაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სავაჭროსა და სამხედროს.

სამხედრო ნაწილში, სამუშაო და სამხედრო პირი ერთნაირად არის დაქვემდებარებული ხელმძღვანელზე და ეს არის ერთადერთი წყობა, რომელშიც პირმა შეიძლება თავი მოიტყუოს იმით, რომ აქვს სრული ეკონომიკური უსაფრთხოება. თუმცაღა, ასეთი უსაფრთხოება, მიუხედავად ყველაფრისა, განუყოფელია თავისუფლების შეზღუდვებისა და მხედრული ცხოვრების იერარქიული მმართველობისგან და ეს არის ყაზარმული უსაფრთხოება.

საზოგადოებაში, რომელიც აღიარებს თავისუფლებას, ძნელი წარმოსადგენია ადამიანების უმრავლესობა მზად იყოს უსაფრთხოების ამ ფასად შესაძენად. მაგრამ პოლიტიკა, რომელსაც დღეს ანიჭებენ უპირატესობას, სწრაფად ქმნის პირობებს, რომელშიც უსაფრთხოებისკენ სწრაფვა უფრო ძლიერდება, ვიდრე თავისუფლების სიყვარული.

თუ არ ვანგრევთ პიროვნულ თავისუფლებას, კონკურენცია არ უნდა შეიზღუდოს. დავუშვათ, რომ თანაბარი საარსებო პირობები ყველასთვის იქნება უზრუნველყოფილი, მაგრამ კეთილი უნდა ვინებოთ და ვაღიაროთ, რომ ამავდროულად ცალკეული კლასებისთვის ყოველგვარი პრივილეგიები უნდა გაუქმდეს, უარყოფილ იქნეს ყველა წინაპირობა, რომელიც ხელს უშლის ახალმოსულებს, საერთო კეთილდღეობა გაიზიარონ და შესაბამისი პირობები სათავისოდაც უზრუნველყონ.

შესაძლებელია, საკამათო არ იყოს ზოგიერთი საჭიროებისგან სათანადო დაცვა პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი რომ უნდა გახდეს, მაგრამ არაფერია უფრო დამღუპველი, ვიდრე თანამედროვე ინტელექტუალურ ლიდერთა საქციელი, რომლებიც უსაფრთხოებას თავისუფლების ხარჯზე განადიდებენ. ფაქტის საჯაროდ აღიარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის ხელახლა გათავისებას, რომ თავისუფლების მისაღწევად საჭიროა ფასის გადახდა და ჩვენ, როგორც თვითმყოფადი არსებები, მისი შენარჩუნებისათვის მზად უნდა ვიყოთ გარკვეული მატერიალური მსხვერპლის გასაღებად.

უნდა აღვადგინოთ ის რწმენა, რომელსაც ეფუძნებოდა თავისუფლება ანგლოსაქსურ ქვეყნებში და ბენჟამინ ფრანკლინმა გამოხატა არა მხოლოდ ერების, არამედ ჩვენდამი, როგორც ცალკეული პირებისადმი განკუთვნილ გამონათქვამში: „ისინი, ვინც დათმობენ ძირითად თავისუფლებას დროებითი უსაფრთხოების მოსაპოვებლად, არ იმსახურებენ არც თავისუფლებას და არც უსაფრთხოებას.“

უკეთესი სამყაროსკენ

უკეთესი სამყარო რომ ავაშენოთ, უნდა გვეყოს სიმამაცე, ყველაფერი ახლიდან დავიწყოთ. გზა უნდა გავასუფთაოთ ყველა იმ წინაღობისგან, რომლითაც ადამიანთა წინდაუხედაობამ ბოლო დროს ჩვენი სავალი ბილიკი ჩახერგა და გამოვათავისუფლოთ პირთა შემოქმედებითი ენერგია. უნდა შევქმნათ პროგრესისთვის ხელსაყრელი პირობები და არა „დაგეგმილი პროგრესი.“

მაგრამ ისინი, ვინც მზად არიან, რომ განახლებისთვის აუცილებელი სიმამაცე გამოიჩინონ, იმათ რიგებში როდი არიან, ვინც „დაგეგმვას“ მისტირის და არც მათთან დგას, ვინც „ახალ წესრიგს“ ქადაგებდა და ვისაც ჰიტლერის ხელმეორედ განსახიერებაზე უკეთესი რამის მოფიქრება არ ძალუძს, რაც თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა მე-20 საუკუნის პირველი 40 წლის ტენდენციების გაგრძელება. სწორედ ისინი, ვინც ყველაზე ხმამაღლა მისტიროდა გეგმურ ეკონომიკას, ყველაზე მეტად არიან იმ იდეების გავლენის ქვეშ, რამაც გამოიწვია მეორე მსოფლიო ომი და ჩვენი მტანჯველი უბედურებების უმეტესი ნაწილი.

თავისუფალი ადამიანების სამყაროს შექმნის მცდელობის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს: ერთადერთი ჭეშმარიტად პროგრესული პოლიტიკა – პიროვნული თავისუფლების პოლიტიკა.

კონრად ზაქარიას ლორენცი

1903-1989

შესავალი

...და როდესაც ბუნებაში მობინადრე ცხოველები შორიდან მიახლოვდებიან არა იმიტომ, რომ ვერ მამჩნევენ, არამედ სწორედ იმიტომ, რომ დამინახეს და გაიგეს ჩემი ხმა, ეს განდევნილის სამოთხეში დაბრუნების ტოლფასია.

კონრად ლორენცი. რუხი ბატის წელიწადი

მეოცე საუკუნის მოაზროვნე და გამოჩენილი ბუნებისმეტყველი, 1973 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიოლოგიასა და მედიცინაში (ნიკოლას ტინბერგენთან და კარლ ფონ ფრიშთან ერთად), ლორენცი, სწავლობდა ცხოველთა ქცევას. იგი ცდილობდა ინსტინქტების და აგრესიის ბუნების ახსნას. მეცნიერი თვლიდა, რომ აგრესიული ტენდენციები არა მარტო ცხოველის, არამედ ადამიანის ქცევის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამიტომ მათი შესწავლა და ანალიზი აუცილებელია.

კონრად ლორენცმა საფუძველი ჩაუყარა ეთოლოგიას, მეცნიერებას ცხოველთა და ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, ქცევის შესახებ.

დაიბადა ალტენბერგში, ვენის(ავსტრია) მახლობლად, 1903 წლის 7 ნოემბერს, ექიმის ოჯახში. დაამთავრა ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ექიმის დიპლომის მიღების შემდეგ დაანება თავი მედიცინას და მთელი ცხოვრება ცხოველთა ქცევის შესწავლას მიუძღვნა.

1920-იან წლებში გაიარა სტაჟირება ინგლისში ცნობილი ბიოლოგის, ჯულიან ჰაქსლის ხელმძღვანელობით. ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ დაიწყო მუშაობა გამოჩენილ ორნითოლოგ ოსკარ ჰეინროტთან (ორნითოლოგია – მეცნიერება, რომელის სწავლობს ფრინველებს). 1935-1938 სწავლობდა ბატების და ჭკების ქცევას. საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე მან განავითარა იმპრინტინგის კონცეფცია (იმპრინტინგი – დასწავლის უნარი განვითარების ადრეულ ეტაპზე). ახალგამოჩეკლი ბარტყები „იბეჭდავენ“ ტვინში დედის გარეგნობას და ხმას, რაც დედის ამოცნობაში და მასთან მყარი კავშირების ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს. დასწავლის აღნიშნული ფორმა მნიშვნელოვანია საკუთარი სახეობის ინდივიდების ამოცნობისთვის მომავალში. იმპრინტინგის შესწავლისას ლორენცმა ჩაატარა საინტერესო ექსპერიმენტები ბატებსა და წიწილებზე.

გერმანიაში ნაცისტური პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის და 1938 წელს ავსტრიის გერმანიასთან მიერთების შემდეგ კონრად ლორენცი შედის გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტურ მუშათა პარტიაში. განცხადებაში პარტიაში შესვლის თაობაზე, წერს: „როგორც გერმანულად მოაზროვნე და ბუნებისმეტყველი,

მე ყოველთვის ვიყავი ნაციონალ-სოციალისტი.“ თუმცა ამ პერიოდში ლორენცს იდეალისტური წარმოდგენა აქვს ნაცისტურ პარტიაზე.

1940 წელს კონრად ლორენცი კენიგსბერგის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება. 1941 წელს იგი გააგზავნეს ფრონტზე ექიმად. 1944 წელს, გერმანული არმიის უკან დახევისას, ტყვედ აიყვანეს. წელიწადზე მეტი გაატარა ტყვეთა ბანაკში ქალაქ კიროვში, 1946 წლიდან გადაიყვანეს ჯერ სომხეთში, შემდეგ მოსკოვთან მდებარე ტყვეთა ბანაკებში. 1947 წელს ლორენცი სამშობლოში დააბრუნეს. ჯერ კიდევ ტყვეობაში დაიწყო მუშაობა წიგნზე „სარკის მეორე მხარე,“ სადაც უარყო ნაცისტური შეხედულებები. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ლორენცმა წიგნზე მუშაობა გააგრძელა. „სარკის მეორე მხარე“ გამოიცა 1973 წელს.

1950 წელს კონრად ლორენცმა ბავარიაში ფიზიოლოგიის ინსტიტუტი დააარსა. 1958 წელს გადავიდა მაქს პლანკის სახელობის ქცევის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ზეევიზენში (გერმანია).

1963 წელს გამოაქვეყნა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი – „აგრესიის შესახებ.“ იგი ეძღვნება აგრესიის წარმოქმნის მექანიზმებს ცხოველთა სამყაროში და გარკვეულწილად ადამიანებშიც. ლორენცი აგრესიას განიხილავს, როგორც შიდასახეობრივ მოვლენას. იგი თვლის, რომ სახეობათა უმრავლესობა განსაკუთრებით აგრესიულია საკუთარი სახეობის ინდივიდების მიმართ, მაშინ, როდესაც სხვა სახეობების წარმომადგენლებს ან ყურადღებას არ აქცევს, ან ნაკლებ აგრესიულობას ავლენს, ან ნადირობს მათზე საკვების მოპოვების მიზნით. ლორენცის აზრით, შიდასახეობრივი აგრესია სახეობის შენარჩუნებაზეა მიმართული, რადგან ხელს უწყობს ტერიტორიის განაწილებას ინდივიდებს შორის, შთამომავლობის დაცვას და იერარქიის სათავეში ძლიერი და გამოცდილი ინდივიდების მოქცევას.

კონრად ლორენცი პირველი იყო, ვინც 1969 წელს მიიღო ჩინო დელ დუკას საერთაშორისო ლიტერატურული პრემია, ხოლო 1973 წელს კი ორ ეთოლოგთან, ფრიშთან და ტინბერგენთან ერთად გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი იმ აღმოჩენებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ცხოველების ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევების მოდელების შესწავლასთან.

1973 წელს ლორენცმა დატოვა მაქს პლანკის ინსტიტუტი და დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში, ალტენბერგში, სადაც გააგრძელა ცხოველთა ქცევის შესწავლა.

კონრად ლორენცი მრავალი პოპულარული წიგნის ავტორია: „მეფე სოლომონის ბეჭედი,“ „ადამიანი შეხვდა ძაღლს“ (თარგმნილია აგრეთვე, როგორც „ადამიანი პოულობს მეგობარს“), „რუხი ბატის წელიწადი,“ „სარკის მეორე მხარე,“ „აგრესიის შესახებ,“ „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“ და სხვა.

კონრად ლორენცი გარდაიცვალა 27 თებერვალს, 1989 წელს, ქალაქ ალტენბერგში, 85 წლის ასაკში. იგი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და წინააღმდეგობრივი მოაზროვნე იყო, რომელიც თვლიდა: ადამიანის ბუნების

შემეცნებისკენ მიმავალი გზა გადის ცხოველების ბუნების შესწავლაზე, რადგან ადამიანიც ბუნების ნაწილია და მის კანონებს ემორჩილება.

ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა

ერთ-ერთ თავის ნაშრომს, „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელ ცოდვას", ლორენცი უწოდებს „მთელი კაცობრიობისადმი მიმართულ მოწოდებას მონანიებისა და შემობრუნებისაკენ". საბოლოო სახით იგი 1973 წელს გამოვიდა. ნაშრომს საფუძვლად დაედო რადიოსაუბრები. გადაცემა იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ ავტორმა უამრავი წერილი მიიღო მათი ნაბეჭდი სახით გამოცემის მოთხოვნით. ლორენცის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მოწოდება მონანიებისკენ უფრო საეკლესიო პირის ქადაგებას შეეფერება, მეოცე საუკუნეში ძირითად საფრთხეებს საზოგადოებისთვის პირველ რიგში სწორედ ბუნებისმეტყველი ამჩნევს.

შესავალში ლორენცი აღნიშნავს, რომ ცოცხალი სისტემების უჩვეულო ფორმების და ქცევების კვლევისას ვხვდებით – ნებისმიერი ნიშანი გაჩნდა ბუნებრივი გადარჩევის შედეგად და ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას. ეს სამართლიანია დედამიწაზე მობინადრე ცოცხალ ორგანიზმებთან მიმართებაში. როდესაც საქმე ეხება ცივილიზებული ადამიანის ქცევის ზოგიერთი ფორმის მნიშვნელობის ახსნას, კითხვაზე „რისთვის?" ლოგიკური პასუხი ხშირად არ არსებობს. რისთვის სჭირდება კაცობრიობას რიცხოვნობის უსასრულო მატება, სულ უფრო მზარდი კონკურენცია, შეიარაღების ზრდა და ათასგვარი სასიკვდილო იარაღის შექმნა? ჩამოთვლილ მოვლენებს იგი ქცევის ბუნებრივი მექანიზმების მოშლად განიხილავს.

ლორენცის აზრით, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მიზეზი, რომლებიც ემუქრება არა მარტო ჩვენს კულტურას, არამედ ადამიანს, როგორც სახეობას.

1. ჭარბი მოსახლეობა

კაცობრიობის პირველ და ძირეულ პრობლემად მეცნიერი მიიჩნევს ადამიანების რიცხოვნობის უსაზღვრო მატებას, რადგან ბევრი სხვა მოვლენა, რაც კაცობრიობის არსებობას საფრთხეს უქმნის, სწორედ აქედან გამომდინარეობს. არც ერთ სახეობას დედამიწაზე უსასრულოდ გამრავლება არ შეუძლია, რადგან ამ გამრავლებას მრავალი ბუნებრივი ფაქტორი ზღუდავს (საკვები რესურსების ხლემისაწვდომობა, ტერიტორიის სიმცირე, არახელსაყრელი კლიმატური პირობები, დაავადებები და სხვა). ადამიანის შემთხვევაში კი ბუნებრივი ფაქტორების დიდი ნაწილი ტექნიკური პროგრესის, მედიცინის, ქიმიის და სხვა მეცნიერებების განვითარების შედეგად აღარ ახდენს გავლენას რიცხოვნობაზე. ამიტომ ის, რაც ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის არის შექმნილი, შესაძლებელია კაცობრიობას დიდ საფრთხეს უქმნიდეს – საკუთარ თავში ამოხრჩობის საფრთხეს. აქ საუბარია ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის პრობლემის წარ-

მოჩენაზე, რომელიც მოჰყვება რიცხოვნობის უსაზღვრო ზრდას და არ უნდა განვიხილოთ, როგორც არაჰუმანური დამოკიდებულება კაცობრიობისადმი. იგივე პრობლემა შეექმნებოდა ნებისმიერ სხვა სახეობას, როდესაც მისი რიცხოვნობა და სიმჭიდროვე გარემოს ტევადობას გადააჭარბებდა. ლორენცი აღნიშნავს, რომ ყველაზე მძიმეა ის, რომ სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად ადამიანი კარგავს ისეთ თვისებებსა და უნარებს, რომლებიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. ეს პირველ რიგში მოყვასის სიყვარული და მისდამი თანაგრძნობის უნარია.

რა უნდა მოვუხერხოთ პირველ „ცოდვას“? ამის „მზა რეცეპტს“ ლორენცის ნაშრომში ვერ ვიპოვით. იგი ცდილობს დაგვანახოს 8 მნიშვნელოვანი საფრთხე, ხოლო მათ თავიდან აცილებაზე ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ მას შემდეგ, რაც კარგად გავიაზრებთ თითოეულს.

2. სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება

ცივილიზებული კაცობრიობის მეორე უმნიშველოვანეს ცოდვად ლორენცი სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგებას მიიჩნევს. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ბუნებრივი რესურსები ამოუწურავია. ამგვარი მიდგომა მცდარი და საზიანოა, რადგან ბუნების გაჩანაგებისკენ არის მიმართული. სასიცოცხლო სივრცის ყველა ორგანიზმი შეგუებულნია თანაარსებობას. ეს იმ სახეობებისთვისაც სამართლიანია, რომლებიც ერთი შეხედვით ერთმანეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში არიან: მაგალითად, მტაცებელი და მისი მსხვერპლი. მტაცებელი აკონტროლებს თავისი მსხვერპლის რიცხოვნობას, მაგრამ არასოდეს ანადგურებას მას, არამედ ხელს უწყობს ჯანმრთელი, ძლიერი და მოხერხებული ინდივიდების გადარჩევას. ჩლიქოსანი ჭამს ბალახს, მაგრამ ჩლიქებით გადათელვა ბუნებრივ სისტემებში ხშირად ბალახების ზრდას და ბალახოვანი საფარის განახლებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ერთი სახეობის განადგურება ყოველთვის აისახება მასზე დამოკიდებულ სახეობებსა და მთლიანად ეკოსისტემაზე. ლორენცი აფრთხილებს ცივილიზებულ კაცობრიობას – ცოცხალი ბუნების ბარბაროსული განადგურება, რომელიც საცხოვრებელს აძლევს და აჭმევს მას, ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებას უქმნის.

3. შეჯიბრი საკუთარ თავთან

„შეჯიბრი საკუთარ თავთან“ – მესამე მომაკვდინებელი ცოდვა, რომელსაც ლორენცი ყურადღებას უთმობს. შეგვახსენებს, რომ ველურ ბუნებაში ცოცხალ ინდივიდებზე მოქმედებს შიდასახეობრივი და სახეობათშორისი გადარჩევა, არაცოცხალი გარემოს ფაქტორები (მაგალითად, კლიმატი). ტექნიკურმა პროგრესმა საშუალება მისცა ადამიანს, დაემორჩილებინა ბუნების ძალები, ხოლო გადარჩევის ერთადერთი ძალა, რომელიც მასზე მოქმედებს – შიდასახეობრივი გადარჩევა, ანუ თავად ადამიანია. მზარდი კონკურენციის პირობებში თანამედროვე ადამიანისთვის ღირებული ხდება მხოლოდ ის, რაც თანამოძმის გადასწრების საშუალებას აძ-

ლევს. მაღალი სიმჭიდროვის დროს სასტიკი კონკურენციის პირობებში ადამიანებს შორის ურთიერთობის აღწერისთვის ლორენცი ლათინურ გამოთქმას – "Homo homini lupus est" – იყენებს, რაც ნიშნავს: „ადამიანი ადამინისთვის მგელია." კონკურენტების თავიდან მოცილების პროცესში ადამიანი ცდილობს, საკუთარ თავსაც გაასწროს. ლორენცი თვლის, რომ ადამიანს შიში მიერეკება, საკუთარ თავთან მარტო დარჩენის შიში, რადგან გრძნობს, რომ რასაც საკუთარი თავის შემეცნების შედეგად აღმოაჩენს, აღარ მოეწონება... თანამედროვე ადამიანი ფაქტობრივად არ იტოვებს დროს ჭეშმარიტად ადამიანური საქმიანობისთვის – აზროვნებისთვის.

4. გრძნობების გაცივება

ცივილიზებული ადამიანის გასათუთების შედეგად მასში ძლიერი გრძნობების და ემოციების გაქრობა მეოთხე ცოდვაა, რომელსაც ლორენცი „გრძნობის გაცივებას" (გრძნობების სითბურ კვდომას) უწოდებს. თანამედროვე ადამიანი ცდილობს გაექცეს უარყოფით შეგრძნებებს, ამის შესაძლებლობას მას ფარმაკოლოგიის და ტექნიკის საშუალებები აძლევენ. ადამიანი თანდათანობით კარგავს უნარს, მძაფრად განიცადოს ის სიხარული, რომელიც მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის შედეგად ენიჭება. სიხარულისა და ტანჯვის მონაცვლეობა რაც ასე ბუნებრივია, თანდათან ქრება და იბადება ერთფეროვნება და მოწყენილობა. სიხარულის განცდის კარგვის უნარი ის ძირითადი საფრთხეა, რაც, ლორენცის აზრით, ადამიანის ემოციურ სფეროს ემუქრება.

5. გენეტიკური გადაგვარება (მეხუთე ცოდვა)

ცხოველთა და ადამიანთა სოციუმებში არსებობს საზოგადოებრივი ქცევის ნაკრები, რომელიც მიმართულია საზოგადოების სტაბილურობის შენარჩუნებისკენ. სავარუდოდ, სოციუმის სტაბილურობისკენ და ასოციალური ქცევის აღმოფხვრისკენ სწრაფვას გულისხმობს ლორენცი „თანდაყოლილი სამართლებრივი გრძნობის" ქვეშ. თუმცა ყველას როდი გააჩნია იგი. ზოგიერთ ზრდასრულ ადამიანში სიამოვნების მიღებისკენ მუდმივი სწრაფვა, საკუთარი მოთხოვნილებების სწრაფი დაკმაყოფილების სურვილი, სხვების გრძნობებისადმი გულგრილობა, პასუხისმგებლობის თავიდან არიდება ინფანტილური ქცევის განვითარებას იწვევს. რიგ შემთხვევებში ასეთი ინფანტილიზმი სამართლებრივი დანაშაულის მიზეზი ხდება, რადგან ადამიანი ვერ აცნობიერებს მისი ქმედებებით გამოწვეულ ზიანს. ლორენცი ვარაუდობს, რომ მეამბოხე ახალგაზრდების ნაწილში, რომლებიც გამოდიან საკუთარი მშობლების და საზოგადების წინააღმდეგ, თუმცა თვლიან რომ მშობლებმა უნდა არჩინონ და საზოგადოებამ იზრუნოს მათზე მთელი ცხოვრების განმავლობაში, ინფანტილიზმს გენეტიკური საფუძვლები აქვს. ასეთ შემთხვევაში რთულია გამოასწორო, ან შეცვალო რაიმე. ამიტომ ე.წ. გენეტიკურ გადაგვარებას ლორენცი უდიდეს საფრთხედ მიიჩნევს.

6. ტრადიციებისგან მოწყვეტა

ტრადიციებისგან მოწყვეტა, რომელსაც ლორენცი მეექვსე ცოდვად მიიჩნევს, ხდება იმ კრიტიკული წერტილის მიღწევის შემდეგ, როდესაც ახალი თაობა ვეღარ აღწევს ურთიერთგაგებას უფროს თაობასთან, აღარ აიგივებს კულტურულად მასთან საკუთარ თავს და საერთოდ ცალკე „სახეობად“ განიხილავს. ამ დროს ახალგაზრდები ცდილობენ, უარყონ მშობლების წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. ერთი მხრივ, საუკუნეებით ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე უარის თქმა ნიშნავს სასარგებლო ცოდნის უგულვებელყოფას, მეორე მხრივ კი – მხოლოდ ტრადიციებზე დაყრდნობა, ახალი ცოდნის, ახალი ტრადიციის ჩამოყალიბებაზე უარის თქმაა. ლორენცი თვლის, რომ ადრეულ ასაკში ახალგაზრდების მიერ ტრადიციების უარყოფა და ახალი ცოდნის მიღება ჯანსაღი პროცესია, თუ შემდგომში ახალი თაობა გააცნობიერებს ზოგი ტრადიციის, როგორც სასარგებლო ცოდნის, მნიშვნელობას და გაამდიდრებს მათ ახლად შეძენილი გამოცდილებით. ასეთ შემთხვევაში უსარგებლო, მოძველებული ტრადიციები დავიწყებას მიეცემა, დარჩება მხოლოდ ისეთი, რომელიც კულტურის განვითარებას საფუძველს შეუქმნის.

7. ინდოქტრინაცია

კაცობრიობის ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად ლორენცი ინდოქტრინაციას (მეშვიდე ცოდვა) ასახელებს. ამ თავში იგი შემეცნების პროცესს და დოქტრინის წარმოშობის შესაძლებლობას განიხილავს. შემეცნების ორ მნიშვნელოვან საფეხურს გამოჰყოფს: ჰიპოთეზის აგებას და მის შემოწმებას. ლორენცი აღნიშნავს, რომ ყველაზე ღირებულია ის ჰიპოთეზა, რომელიც სხვადასხვა გზით გამოცდის და დახვეწის საშუალებას იძლევა. თუ შეუმოწმებელ ჰიპოთეზაზე აგებული სწავლება მიეწოდება მასებს, როგორც ჭეშმარიტება და საზოგადოებრივი აზრი ხდება, სახეზეა ინდოქტრინაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად ხელს უწყობენ დოქტრინის გავრცელებას. მასები უარყოფენ, არ იღებენ იმ ფაქტებს, რომლებიც დოქტრინას არ ადასტურებს. ვინც დოქტრინას ეწინააღმდეგება, “MOBBING”-ის მსხვერპლი ხდება (დევნა, ზიზღი ბრბოსგან). ინდოქტრინაცია მიმართულია ინდივიდუალურობის წინააღმდეგ. ადამიანების რიცხოვნობის ზრდა, ტექნიკური საშუალებების განვითარება, მათ შორის საზოგადოებრივ აზრზე მოქმედების ხერხების დახვეწა, იწვევს აზროვნების უნიფიცირებას. ერთგვაროვანი მასა კი ადვილად სამართავია.

8. ბირთვული იარაღი

მერვე ცოდვა, ლორენცის მიხედვით, ბირთვული იარაღის შექმნაა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ცოდვამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ბირთვული იარაღის გამოყენებამდე, თუმცა მათგან განსხვავებით, ამ საფრთხის აცილება ყველაზე მარტივია – საკმარისია, ადამიანმა უბრალოდ არ დააჭიროს ღილაკს თითი.

ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა

ოპტიმისტური წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი დავწერე ჩემი მეგობრის, ედუარდ ბაუმგარტენის დაბადების სამოცდაათი წლისთავისათვის მიძღვნილი საიუბილეო კრებულისათვის. თავისი ხასიათით იგი არ შეეფერება არც ასეთ სასიხარულო ფაქტს და არც იუბილარის ნათელ ბუნებას, რადგან იგი, გულახდილად რომ ვთქვათ, უფრო იერემიასებური მოთქმა-გოდებაა, მთელი კაცობრიობისადმი მიმართული მოწოდებაა მონანიებისა და შემობრუნებისათვის, რომელიც სახელმოხვეჭილი ვენელი ავგუსტინელის, აბრაამ სანტა კლარასნაირ საეკლესიო მქადაგებელს უფრო შეეფერება, ვიდრე ბუნების მკვლევარს, მაგრამ ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა რაიმე ხიფათს სწორედ ბუნების მკვლევარი ხედავს ყველაზე ცხადად და ქადაგებაც, მაშასადამე, მისი მოვალეობაა.

ჩემმა ქადაგებამ, რომელიც რადიომ გადასცა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამან ძლიერ გამაოცა. უთვალავი წერილი მივიღე: მოითხოვდნენ ჩემი გამოსვლის დაბეჭდვას. ბოლოს, უახლოესმა მეგობრებმა კატეგორიულად მომთხოვეს, ნაშრომი ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გამეხადა.

ყველაფერი ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჩემს ნაშრომში გამოხატული პესიმიზმი გამტყუნებულიყო: კაცს, რომელსაც ეგონა, რომ უდაბნოსა შინა მღაღადებლისა მსგავსად, არავინ მოუსმენდა, თურმე უშქარი და, თანაც, გამგები მსმენელის წინაშე უქადაგია! უფრო მეტიც: ნაწერის გადაკითხვისას ზოგი ფრაზა გაზვიადებულიც კი მეჩვენა. დღეს ისინი აღარ შეესაბამება სიმართლეს. ასე მაგალითად, ერთ ადგილას ვწერ, რომ ეკოლოგია მეცნიერებაა, რომლის მნიშვნელობა ჯერაც არ გვესმის ჯეროვნად. დღეს ამის მტკიცება მართლაც აღარ შეიძლება, რადგან ჩვენს ბავარიულ „ეკოლოგიის ჯგუფს“ პასუხისმგებელ ინსტანციებში უსმენენ და მათ აზრს ყურადაც იღებენ. მოსახლეობის სიჭარბისა და ზრდის იდეოლოგიის საფრთხე გონიერ და პასუხისმგებელ ადამიანთა ფართო წრემ სწორად შეაფასა. სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგების წინააღმდეგ მიღებულია ზომები, რომლებიც თუმცა საქმეს ჯერ შველის, მაგრამ იმედს გვიტოვებს, რომ მომავალში უკეთესი მდგომარეობა იქნება.

სხვა თვალსაზრისითაც მინდა ჩემს ნათქვამში სასიამოვნო შესწორებანი შევიტანო. ბიჰევიორისტული დოქტრინის განხილვისას მე ვწერდი, რომ მას შეერ-

თებული შტატებისათვის მორალური და კულტურული კატასტროფის საფრთხის შექმნაში აშკარად დიდი ბრალი მიუძღვის. ამასობაში თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაისმა არაერთი ენერგიული ხმა ამ ცრუმოძღვრების წინააღმდეგ. მართალია, მათ ყველა საშუალებით ებრძვიან, მაგრამ ეს ხმები ყურად იღეს; ჭეშმარიტება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება დიდი ხნით ჩაახშო, თუ მას დაამუნჯებ. ამერიკიდან მოსული ჩვენი დროის ეპიდემიური ინტელექტუალური დაავადებანი ევროპაში დაგვიანებით იფეთქებს ხოლმე. ამერიკაში ბიჰევიორიზმი ცხრება, ევროპელ ფსიქოლოგებსა და სოციოლოგებს კი სწორედ ახლა შეეყარათ ეს სენი. შეიძლება დარწმუნებით ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს ეპიდემიაც ჩაივლის.

დასასრულ, მინდა თაობათა შორის მტრობის საკითხშიც მცირე შესწორება შევიტანო. თუ ახალგაზრდობა პოლიტიკურად არ არის წაქეზებული, ან საერთოდ არ დაუკარგავს უნარი უფროს ადამიანს რამე დაუჯეროს, გულისყურით მოგისმენს, როცა ფუძემდებლურ ბიოლოგიურ ჭეშმარიტებებზე ესაუბრები. სავსებით შესაძლებელია, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა დაარწმუნო იმ ჭეშმარიტებაში, რომლის შესახებაც ამ წიგნის მეშვიდე თავში გვექნება მსჯელობა.

მიუტევებელი ქედმაღლობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმას, რაც თავად დარწმუნებით ვიცით, სხვას კარგად ვერ გავაგებინებთ. ყველაფერი, რაც ამ წიგნში წერია, ბევრად უფრო ადვილად გასაგებია, ვიდრე, მაგალითად, ინტეგრალური და დიფერენციალური აღრიცხვა, რომელსაც ყოველი ზედა კლასის მოწაფე სწავლობს. ყოველი საფრთხე ნაკლებ საშიშია, თუ მისი გამომწვევი მიზეზები ვიცით. მეც მჯერა და ვიმედოვნებ, რომ ეს პატარა წიგნი თავის მცირე წვლილს შეიტანს იმ საფრთხეთა შემცირებაში, კაცობრიობას რომ ემუქრება.

კონრად ლორენცი
ზეევიზენი, 1972

თავი პირველი

ცოცხალ სისტემათა სტრუქტურული თავისებურებანი და ფუნქციური დარღვევები

ეთოლოგია შეიძლება განვმარტოთ, როგორც მეცნიერების ის დარგი, რომელიც წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ბიოლოგიის ყველა დანარჩენ დარგში დარვინის შემდეგ საყოველთაოდ მიღებული და სავალდებულო საკითხების დასმის წესი თუ მეთოდები ადამიანისა და ცხოველის ქცევის შესასწავლადაც გამოიყენეს. ეს რომ ასე გვიან მოხდა, ამას თავისი გამართლება აქვს ქცევის კვლევის ისტორიაში. ჩვენ მას ქვემოთ, ინდოქტრინაციის თავში შევეხებით. მაშასადამე, ეთოლოგია შეისწავლის ცხოველისა და ადამიანის ქცევას, როგორც რაღაც სისტემის ფუნქციას, რომელიც თავის არსებობას და განსაკუთრებულ ფორმას იმ ისტორიული განვითარების პროცესს უმადლის, რომელიც მოდგმის ისტორიამ, ინდივიდის განვითარებამ, ხოლო ადამიანის შემთხვევაში, კულტურის ისტორიამ გაიარა. თუ რატომ ახასიათებს ამა თუ იმ სისტემას სწორედ ასეთი თვისებები, ამაზე პასუხს მხოლოდ მისი ბუნებრივი ჩამოყალიბების პროცესი მოგვცემს.

ყოველგვარი ორგანული ქმნადობის მიზეზთა შორის, მუტაციის პროცესებისა და გენების ახალი კომბინაციების გვერდით, უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ბუნებრივ შერჩევას, ანუ სელექციას. იგი ხელს უწყობს იმას, რასაც ჩვენ შეგუებას ვუწოდებთ, ჭეშმარიტად შემეცნებით პროცესს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმი იძენს იმ ინფორმაციას გარესამყაროს შესახებ, რაც მისი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მეშვეობით ის იძენს ცოდნას თავისი გარემოს შესახებ.

შეგუების გზით წარმოქმნილ სტრუქტურათა და ფუნქციათა არსებობა დამახასიათებელია მხოლოდ ცოცხალ არსებათათვის. არაორგანულ სამყაროში მსგავსი რამ არ გვხვდება. ამიტომ მათ მკვლევარს ისეთი კითხვა უჩნდება, რომელიც ფიზიკოსის ან ქიმიკოსისათვის უცნობია, კერძოდ, კითხვა „რისთვის?“ როცა ბიოლოგი ამ კითხვას სვამს, იგი არ ეძებს ტელეოლოგიურ ახსნას, არამედ, ბევრად უფრო მოკრძალებულად, ეძებს სახეობის შემანარჩუნებელ თვისების მოქმედებას. თუ ვიკითხავდით, რატომ აქვს კატას მოღუნული ბრჭყალები და ვუპასუხებდით, თაგვების დასაჭერადო, ეს იქნებოდა მოკლე, შემაჯამებელი პასუხი იმის შესახებ, რა როლი შეასრულა კატის, როგორც სახეობის, შენარჩუნებაში ბრჭყალების ამ ფორმამ.

როგორც მკვლევარი, თქვენი ცხოვრების გრძელ გზაზე კვლავ და კვლავ თუ დაბრუნებიხართ ამ კითხვას და იგი უცნაური სტრუქტურებისა და ქცევების მიმართ დაგისვამთ, ხოლო მასზე კვლავ და კვლავ დამაჯერებელი პასუხი მიგიღიათ, ირწმუნეთ, რომ სხეულის აგებულებისა და ქცევის კომპლექსური და მეტად უცნაური წარმონაქმნები საერთოდ შეუძლებელია გაჩენილიყო სელექციისა და შეგუების გარეშე. მაგრამ ეს რწმენა მაშინვე შეგერყევათ, თუ კითხვით „რისთვის?“ – ცივილიზებული კაცობრიობის ამა თუ იმ, ყოველ ნაბიჯზე თვალ-

შისაცემ ქცევას მიუბრუნდებით. რაში არგია კაცობრიობას თავისი უზომო გამრავლება, სიგიჟემდე მისული თავდავიწყებული შეჯიბრი, სულ უფრო საშიში, მზარდი შეიარაღება, გალაქებული ადამიანის სულ უფრო მეტად გააზიზება და ა. შ. მაგრამ თუ უფრო ახლოს დავაკვირდებით, გამოირკვევა, რომ ყველა ეს ნაკლი სრულიად გარკვეული, თავდაპირველად სახეობის შენარჩუნებაზე მზრუნველი ქცევის მექანიზმების მოშლილობაა, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, – ისინი პათოლოგიურად უნდა ვცნოთ.

იმ ორგანული სისტემის ანალიზი, ადამიანის სოციალურ ქცევას რომ უდევს საფუძვლად, ერთი უძნელესი და თავმოსაწონებელი ამოცანათაგანია, რომელიც კი შეიძლება ბუნებისმეცნიერებამ საკუთარ თავს დაუსვას, რადგან ეს სისტემა დედამიწის ზურგზე ყველაზე რთულია. შეიძლება გვეფიქრა კიდეც, ეს ისედაც ძნელი წამოწყება ვაითუ ამაო გარჯად გადაგვექცეს, რადგან ადამიანის ქცევა მრავალგზის და წინასწარ განუჭვრეტელმა პათოლოგიურმა მოვლენებმა დაფარეს და შეცვალეს. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ორგანული სისტემის პათოლოგიური დარღვევა სულაც არ გვევლინება ამ სისტემის ანალიზისათვის დაუძლეველ დაბრკოლებად, პირიქით, იგი ხშირად გასაღებს გვაწვდის მის გასაღებად. ფიზიოლოგიის ისტორიიდან ბევრი შემთხვევა ვიცით, როცა მკვლევარს რომელიმე მნიშვნელოვანი ორგანული სისტემის არსებობაზე მას შემდეგ გაუმახვილებია ყურადღება, როცა პათოლოგიურ დარღვევას ავადმყოფობა გამოუწვევია. ე. თ. კოხერმა სცადა ე. წ. ბაზედოვის დაავადებისათვის ფარისებრი ჯირკვლების ამოკვეთით ემკურნალა. შედეგად მიიღო ტეტანუსი, კრუნჩხვები, რადგან მან ფარისებრ ჯირკვლებს თანმხლები ჯირკვლებიც მიაყოლა, რომლებიც ორგანიზმში კირის ცვლას არეგულირებდნენ. როცა ეს შეცდომა გამოასწორა, ფარისებრი ჯირკვლების ამოკვეთამ გამოიწვია სიმპტომთა მთელი კომპლექსი, რომელსაც მან Kachexia thyreopriva უწოდა. ამ კომპლექსს ერთგვარი მსგავსება ჰქონდა ალპებში მცხოვრებთა შორის გავრცელებულ იდიოტიზმის მსგავს დაავადებებთან, რაც იქაურ წყალში იოდის ნაკლებობით იყო გამოწვეული. ამ და მსგავსი მონაცემების საფუძველზე გამოირკვა, რომ ეს ჯირკვლები შინაგან სეკრეციასთან ერთად ერთიან სისტემას ქმნიან, სადაც ყველაფერი ყველაფერთანაა მიზეზობრივად დაკავშირებული. ის, რასაც ენდოკრინული ჯირკვლები სისხლში გამოყოფენ, ორგანიზმზე სრულიად გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს, ეს ეხება ნივთიერებათა ცვლას, ზრდის პროცესს, ქცევას და სხვა. ამიტომ მათ ჰორმონებს (ბერძნ. *hormao* – ვამოძრავებ) უწოდებენ. ორი ჰორმონის მოქმედება შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო იყოს. ისინი „ანტაგონისტურია“ ისევე, როგორც ორი კუნთის მოქმედება, რომელთა ურთიერთქმედებაც კიდურის სასურველი მდგომარეობის მიღებას უწყობს ხელს. ვიდრე ჰორმონალური წონასწორობა დაცულია, ვერ ვამჩნევთ, რომ ენდოკრინული ჯირკვლების სისტემა ნაწილობრივი ფუნქციებისგანაა აგებული. მაგრამ საკმარისია ზემოქმედებათა და ურთიერთქმედებათა ჰარმონია სულ მცირედ დაირღვეს, რომ ორგანიზმის მთლიანი მდგომარეობა სასურველ „საწყის მნიშვნელობას“ კარგავს. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ავადაა. ფა-

რისებრი ჯირკვლების ჰორმონთა სიჭარბე წარმოშობს ბაზედოვის დაავადებას, ნაკლულობა – მიქსოდემას.

ენდოკრინული ჯირკვლების სისტემა და მისი შესწავლის ისტორია საგულისხმო მაგალითია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ადამიანურ იმპულსთა მთლიანი სისტემის გასაგებად. თავისთავად ცხადია, ეს სისტემა ბევრად უფრო რთულია თავისი აგებულებით, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ენდოკრინულ ჯირკვლებსაც მოიცავს, როგორც ქვესისტემას. ადამიანს, როგორც ჩანს, იმპულსის დამოუკიდებელ წყაროთა უსაზღვროდ დიდი რაოდენობა გააჩნია, რომელთა შორისაც ძლიერ ბევრი ფილოგენეტურად წარმოქმნილ ქცევის პროგრამებზე – „ინსტინქტებზე“ დაიყვანება. შეცდომაა, ადამიანი „ინსტინქტებით“ შეზღუდულ არსებად მივიჩნიოთ, როგორც ამას უწინ ვაკეთებდით. თუმცა ისიც სწორია, რომ თანდაყოლილ ქცევათა გრძელი, თავის თავში ჩაკეტილი ჯაჭვები გვარის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, სწავლის უნარისა და გონიერების მატების გამო იქნებ კიდეც „დაიშალონ“ იმ თვალსაზრისით, რომ მის ნაწილებს შორის სავალდებულო კავშირი დაიკარგოს და ეს ცალკე ნაწილები მოქმედი სუბიექტის განკარგულებაში სრულიად დამოუკიდებლად იმყოფებოდეს, როგორც ეს პ. ლაიჰაუზენმა დამაჯერებლად ცხადყო კატისებრი მტაცებელი ცხოველების მაგალითზე. ამით თითოეული ამ ცალკე გამოსაყენებელი ნაწილთაგანი, როგორც ეს ლაიჰაუზენმა გვიჩვენა, დამოუკიდებელ იმპულსად გადაიქცევა, ივითარებს რა საკუთარი განხორციელებისაკენ მსწრაფველ მიზანდასახულ ქცევას. უდავოა, ადამიანს აკლია ინსტინქტურ მოძრაობათა ერთმანეთთან აუცილებლობით დაკავშირებული გრძელი ჯაჭვები, მაგრამ რამდენადაც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ძუძუმწოვართა მონაცემების ექსტრაპოლაცია ამის საშუალებას გვაძლევს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანს არათუ ნაკლები, არამედ ნებისმიერ ცხოველზე მეტი ჭეშმარიტად ინსტინქტური იმპულსი აქვს. სისტემის ანალიზის დროს ამ შესაძლებლობას უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პათოლოგიურად დარღვეული ქცევის განხილვისას. ნაადრევად გარდაცვლილი ფსიქიატრი რონალდ ჰარგრივსი თავის ერთ-ერთ ბოლო წერილში მწერდა, მეთოდურ ჩვევად გავიხადე, ფსიქიური აშლილობის შესწავლისას ერთდროულად ორი კითხვა დამესვაო: პირველი – როგორია დარღვეული სისტემის ნორმალური სახეობის შემანარჩუნებელი მოქმედება, და მეორე – როგორია ეს დარღვევა, განსაკუთრებით კი – რამ გამოიწვია იგი, რომელიმე ნაწილობრივი სისტემის ზე თუ ქვე ფუნქციამ. კომპლექსური ორგანული მთელის ნაწილობრივი სისტემები ისე უშუალოდ ურთიერთქმედებენ, რომ ჭირს მათი ფუნქციების ზუსტად გამიჯვნა; ნორმალურ მდგომარეობაში წარმოუდგენელია რომელიმე მათგანი ყველა დანარჩენის გარეშე მოვიაზროთ. უფრო მეტიც, ნაწილობრივი სისტემების სტრუქტურების განსაზღვრაც კი ჭირს ზოგჯერ. ამ თვალსაზრისით სრულიად გასაგებია, როცა პაულ ვაისი თავის უაღრესად საყურადღებო ნაშრომში *"Determinism Stratified"* („შრეებრივი დეტერ-

მინიზმი“) ქვესისტემებზე წერს: „სისტემა არის ყველაფერი ის, რაც იმსახურებს ერთობლივად სისტემის სახელს.“

ადამიანის იმპულსები, რომლებიც საკმარისად გამოკვეთილია, რათა სასაუბრო ენაში სახელი მოეძებნოს, ბევრია. ისეთი სიტყვები, როგორიცაა სიძულვილი, სიყვარული, მეგობრობა, ბრაზი, ერთგულება, ნდობა, უნდობლობა და სხვა – ყველა მიუთითებს ისეთ მდგომარეობებზე, რომლებიც შეესაბამება სრულიად გარკვეულ ქცევათა მიმართ მზადყოფნებს. ქცევის შემსწავლელი მეცნიერება მათ უწოდებს: აგრესიულობას, ტერიტორიალობას, რანგობრივი წესრიგისადმი სწრაფვას და ა. შ. ასევეა ყველა რაღაც „განწყობასთან“ შეწყვილებული ტერმინიც, როგორიცაა: კრუნჩხვის განწყობილება, პეპლაობის, ფრენისა და ა. შ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, იმ მგრძნობიარობას, რაც ჩვენს ბუნებრივ ენას გააჩნია ღრმა ფსიქოლოგიურ ურთიერთკავშირთა გამოსახატავად, ისევე ვენდოთ, როგორც ცხოველებზე დამკვირვებელ მეცნიერთა ინტუიციას ვენდობით, და ჯერ მხოლოდ როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, დავუშვათ, რომ ადამიანის სულიერი მდგომარეობის და სამოქმედო განწყობის ყოველ ასეთ ენობრივ აღნიშვნას შეესატყვისება იმპულსების რეალური სისტემა, სადაც თავიდან არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ოდენობით იღებს სათანადო იმპულსები თავის ენერგიას ფილოგენეტური ან კულტურული წყაროებიდან. ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ თითოეული ამ იმპულსთაგანი კარგად მოწესრიგებული, ჰარმონიულად მომუშავე სისტემის წევრია, და როგორც ასეთი, შეუცვლელია. კითხვა იმის შესახებ, სიძულვილი, სიყვარული, ერთგულება, უნდობლობა და ა. შ. „კარგია“ თუ „ცუდი“, ამ მთელი სისტემური მოქმედების სრულ უცოდინარობას ნიშნავს და ისევე სულელურია, ვინმემ რომ იკითხოს, ფარისებრი ჯირკვლები კარგია, თუ ცუდიაო. მოარული წარმოდგენა, თითქოს ამგვარი ფუნქციები შეგვიძლია დავყოთ „კარგებად“ და „ცუდებად“ თითქოს სიყვარული, ერთგულება, ნდობა, თავისთავად კარგია, სიძულვილი, ორგულობა და უნდობლობა კი თავისთავად ცუდია, მხოლოდ იქიდან მოდის, რომ ჩვენს საზოგადოებაში პირველის ნაკლებობაა და მეორის სიჭარბე. გადაჭარბებულ სიყვარულს წაუხდენია ძალიან ბევრი შესანიშნავი ბავშვი, – „ნიბელუნგების ერთგულების“ თვითღირებულების გააბსოლუტებამ სატანური შედეგი გამოიღო; ამ ცოტა ხნის წინათ ერიკ ერიკზონმა დამაჯერებლად დაასაბუთა უნდობლობის აუცილებლობა.

ყველა უფრო რთულად შერწყმული ორგანული სისტემის ერთ-ერთ თავისებურებად გვევლინება რეგულირება, რომელსაც ახორციელებს ეგრეთ წოდებული მარეგულირებელი წრეები, ანუ ჰომეოსტაზები. მათი მოქმედება რომ ნათელვყოთ, ჯერ წარმოვიდგინოთ მოქმედი სტრუქტურა, რომელიც შედგება სისტემათა რაღაც რაოდენობისაგან, თავიანთი ფუნქციებით ერთმანეთს აძლიერებენ და თანაც ისე, რომ მაგ. a სისტემა ხელს უწყობს b-ს, b თავის მხრივ c-ს და ა. შ. ვიდრე, ბოლოს, z თავის მხრივ a-ს მოქმედებას კიდევ უფრო გააძლიერებს. „დადებით უკუკავშირთა“ ასეთ წრეს, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ ლაბილური წონასწორობა ჰქონდეს. რომელიმე მოქმედების უმნიშვნელო გაძლიერებას

შეიძლება სისტემის ყველა ფუნქციის მოზღვავება მოჰყვეს, ხოლო უმნიშვნელო შემცირებას – მთელი აქტივობის დაქვეითება. ასეთი ლაბილური სისტემა, როგორც ეს ტექნიკამ კარგა ხანია აღმოაჩინა, შეიძლება სტაბილური გავხადოთ, თუ ამ წრიულ პროცესში ერთადერთ წევრს შევიყვანთ, რომლის ზემოქმედებაც მოქმედების ჯაჭვში შემდგომ წევრზე მით უფრო სუსტი იქნება, რაც უფრო ძლიერ იქნება მასზე წინ მყოფი წევრის ზემოქმედება. ასე წარმოიქმნება მარეგულირებელი წრე, ჰომეოსტაზი, ანუ „ნეგატიური უკუკავშირი". იგი ერთი იმ მცირერიცხოვან მოვლენათაგანია, რომელიც ტექნიკოსებმა მანამდე გამოიგონეს, ვიდრე მას ბუნების მკვლევრები ორგანულ ბუნებაში აღმოაჩენდნენ.

ცოცხალ ბუნებაში უშქარი მაწესრიგებელი წრეა. ისინი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ისეთი შეუცვლელნი არიან, რომ სიცოცხლის წარმოშობას ვერ წარმოვიდგენთ ამ მარეგულირებელი წრის იმავდროულად გაჩენის გარეშე. დადებით უკუკავშირთა წრეები ბუნებაში არ გვხვდება, ან თუ გვხვდება, ანაზდად აფეთქებული და იქვე ჩამცხრალი მოვლენის სახით, მაგალითად, ზვავის ან ტრამალის ხანძრის მსგავსად. საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი პათოლოგიური დარღვევა გვაგონებს მათ, ისინი ფრიდრიხ შილერის სიტყვებს გვახსენებენ, ცეცხლის ძალაზე თქმულ ლექსში „ზარი": „მაგრამ ვაითუ, თავი აიწყვიტა!"

მაწესრიგებელი წრის უარყოფითი უკუკავშირის წყალობით საჭირო აღარ არის, ყოველი მასში მონაწილე ქვესისტემის მოქმედების ზომა ზუსტად განისაზღვროს. უმნიშვნელოდ აწეული ან დაწეული ფუნქცია კვლავ ადვილად გაწონასწორდება. სისტემის მთლიანობის საშიში დარღვევა მაშინ გვხვდება, თუ ნაწილობრივი ფუნქცია იმ ზომით გაძლიერდება, ან შესუსტდება, რომ ჰომეოსტაზი ვეღარ შეძლებს მის გაწონასწორებას, ან თუ თავად მარეგულირებელ მექანიზმში რაღაც დაირღვა. ამის მაგალითებს შემდგომ თავებში გავეცნობით.

თავი მეორე

ჭარბი მოსახლეობა

ცალკე ორგანიზმში ძნელად რომ შეხვდეთ დადებითი უკუკავშირის წრეს. მხოლოდ სიცოცხლეს, როგორც მთლიანობას, შეუძლია ამ განუსაზღვრელობას დაუსჯელად აჰყვეს. ორგანული სიცოცხლე, როგორც უცნაური კაშხალი გაფანტვადი მსოფლიო ენერგიის ნაკადში ჩაშენდა. იგი „ნთქავს" უარყოფით ენტროპიას. თავისკენ ეზიდება ენერგიას და იზრდება. ზრდასთან ერთად ძლიერდება მისი უნარიც – მეტი და მეტი ენერგია მიიზიდოს, და მით უფრო სწრაფად, რაც უფრო მეტი ენერგია აქვს მიტაცებული. ამან აქამდე უზომო ზრდასა და კატასტროფამდე რომ არ მიგვიყვანა, არაორგანული ბუნების უგრძნობელ ძალებს – ალბათობის კანონებს – უნდა ვუმადლოდეთ, რომლებიც ცოცხალ არსებათა გამრავლებას საზღვრებს უწესებს; მეორეც – იმას, რომ ცოცხალ არსებათა სხვადასხვა სახეობის შიგნით მარეგულირებელი წრეები გაჩნდა. თუ როგორ მოქმედებენ ისინი,

ამას მოკლედ შევეხებით შემდეგ თავში, სადაც საუბარი გვექნება დედამიწის სასიცოცხლო სივრცის ნგრევის შესახებ. ადამიანთა უზომო გამრავლებას პირველ რიგში იმიტომაც განვიხილავთ, რომ ბევრი იმ მოვლენათაგანი, რაზედაც შემდეგ თავებში გვექნება საუბარი, მისი უშუალო შედეგია.

ყველა ის სიკეთე, რაც ადამიანს ეძლევა მის მიერ გარემომცველი ბუნების ღრმა წვდომის მეშვეობით, ტექნოლოგიის წინსვლა, რაც თითქოს მოწოდებულია ადამიანს ტანჯვა შეუმსუბუქოს, ავბედითად და პარადოქსულად სწორედ კაცობრიობის დასაღუპად იღვწის. იგი მას სწორედ იმით ემუქრება, რაც ცოცხალ სისტემებს ჩვეულებრივ არ ემართებათ, კერძოდ, – საკუთარ თავში ჩახრჩობით. ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ამ აპოკალიპსურ პროცესში ადამიანის ყველაზე მაღალი და კეთილშობილი თვისებები და უნარი, სწორედ ის, რაც სამართლიანად მიგვაჩნია სპეციფიკურ ადამიანურ თვისებებად და ესოდენ ვაფასებთ, ყველა ნიშნის მიხედვით პირველი ნადგურდება.

ჩვენ ყველამ, ვინც მჭიდროდ დასახლებულ კულტურულ ქვეყნებში, ან დიდ ქალაქებში ვცხოვრობთ, თვითონაც აღარ ვიცით, რა ძლიერ გვაკლია ყოვლისმომცველი წრფელი და გულთბილი ადამიანური სიყვარული. ერთხელ მაინც უნდა ჩახვიდეთ თხლად დასახლებულ ქვეყნებში, სადაც ცუდი გზები კილომეტრებით აშორებენ მეზობლებს, და დაუპატიჟებელ სტუმრად მიადგეთ რომელიმე მოსახლეს, რათა დარწმუნდეთ, როგორი სტუმართმოყვარე და მოყვასის მოყვარულია ადამიანი მაშინ, როცა მისი სოციალური კონტაქტის უნარს არ უყენებენ გადაჭარბებულ მოთხოვნილებას. ერთმა დაუვიწყარმა შემთხვევამ მიმიყვანა ამის გაცნობიერებამდე. ერთხელ ჩემთან სტუმრად ჩამოვიდა ამერიკელი ცოლ-ქმარი ვისკონსინიდან, რომლებიც პროფესიით ბუნების დამცველები იყვნენ და ტყეში განმარტოებით ცხოვრობდნენ. ის იყო ვახშმად ვსხდებოდით, რომ კარზე ვიღაცამ დარეკა. მე უკმაყოფილოდ წავიბუზღუნე: „ვინ უნდა იყოს ასე გვიან!“ რაღაც უშვერი რომ მეთქვა, ჩემს სტუმრებს, ალბათ, უფრო ძლიერ ვერ გავაოგნებდი. კარზე მოულოდნელ ზარს თუ შეიძლებოდა სიხარულის გარდა სხვა გრძნობა გამოეწვია, მათთვის გაუგონარი ამბავი იყო.

თანამედროვე უზარმაზარ ქალაქებში ადამიანთა მასების დაგუბებას დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ამ კალეიდოსკოპივით მბრუნავ ადამიანთა ორომტრიალში ზოგჯერ ახლობელსაც კი ვეღარ ვამჩნევთ. მოყვასის სიყვარული მოყვასის მასად ქცევის გამო, და იმის გამოც, რომ ეს მოყვასი ასე უსაშველოდ ახლოსაა, ისე იწრიტება, რომ ბოლოს მისი კვალიც ქრება. ვისაც სურვილი აქვს, წრფელი და თბილი გრძნობა შეინარჩუნოს თანამოძმეთა მიმართ, მეგობრების ვიწრო წრით უნდა შემოიზღუდოს თავი, რადგან ჩვენ ბუნებით არა ვართ ისე შექმნილი, რომ ყველა ადამიანის სიყვარული შევძლოთ, რაც უნდა სწორი და ეთიკური იყოს ამის მოთხოვნა. მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვახდინოთ არჩევანი და სხვა ადამიანები, რომლებიც, შესაძლოა, ასევე ღირსნი იყვნენ ჩვენი მეგობრობისა, გრძნობის კარნახით, „თავიდან მოვიშოროთ“: *"Not to get emotionally involved"* (არ ჩაგვითრიოს ემოციამ) დიდი ქალაქების ადამიანთა ერთ-ერთი მთავარი საზ-

რუნავია. ასეთ დამოკიდებულებას, რომელსაც სავსებით ვერც ერთი ჩვენგანი ვერ აიცილებს თავიდან, არაკაცობის ავბედითი ელფერი დაჰკრავს; იგი ძველი ამერიკელი პლანტატორის ქცევას მაგონებს, რომელიც თავის „შინაურ ზანგებს“ ადამიანურად ეპყრობოდა, ხოლო პლანტაციებში მომუშავე მონებს – როგორც მეტ-ნაკლებად ღირებულ შინაურ საქონელს. თუ ადამიანური კონტაქტებისადმი თავის არიდება უფრო შორს წავა, მაშინ იგი შემდეგ თავებში განხილულ გრძნობის გაღარიბებასთან ერთად გულგრილობის იმ შემზარავ გამოვლინებამდე მიგვიყვანს, რის შესახებაც გაზეთები ყოველდღე გვატყობინებენ. რაც უფრო შორს მიდის ადამიანთა მასად ქცევა, მით უფრო უცილო ხდება ცალკე ინდივიდისათვის – „არ იყოს ჩართული“. ამიტომაც დღეს, სწორედ დიდ ქალაქებში, დღისით-მზისით ვიღაცას ძარცვავენ, კლავენ, აუპატიურებენ, თანაც ხალხმრავალ ქუჩებში და ისე, რომ არც ერთი „გამვლელი“ ხელის შეშლას არ ცდილობს.

ბევრი ადამიანის უმცირეს ფართობზე თავმოყრას შედეგად მოაქვს არა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების გაღარიბება და ჩაკვდომა, არა მარტო ადამიანური სახის დაკარგვა, არამედ იგი უშუალოდ წარმოშობს აგრესიულ ქცევასაც. ცხოველებზე დაკვირვებიდან ვიცით, რომ ერთ ადგილზე ცხოველთა თავმოყრა ერთი სახეობის შიგნით აგრესიას აძლიერებს. ვისაც არ გამოუცდია ომში ტყვედ ყოფნა, ან სხვაგან, ნაძალადევად თავმოყრილ ხალხში არ მოხვედრილა, ვერ წარმოიდგენს, რა ზომამდე შეიძლება მივიდეს გაღიზიანება რაღაც წვრილმანის გამო, რომელიც ადამიანს ასეთ გარემოში შეუძლია გაუჩნდეს სწორედ მაშინ, როცა სურს როგორღაც თავი მოთოკოს და მოწადინებულია სხვების მიმართ თავაზიანი იყოს, მაშასადამე, გულითადი დამოკიდებულება გამოამჟღავნოს; ეს მდგომარეობა ტანჯვად იქცევა ხოლმე. უკმეხობა და სიტლანქე, რასაც ყველა დიდ ქალაქში ვაკვირდებით, სავსებით პროპორციულია ამა თუ იმ ადგილზე ადამიანთა თავმოყრისა. დიდ სარკინიგზო სადგურებზე ან, მაგალითად, ნიუ-იორკის ავტოსადგურებში იგი საგანგაშო ზღვარს აღწევს.

ჭარბი მოსახლეობა პირდაპირ ხელს უწყობს იმ რღვევას და დაცემას, რასაც ჩვენ შემდგომ შვიდ თავში შევეხებით. შეხედულება, თითქოს შესატყვისი „კონდიციონირებით“ შევძლებთ ადამიანის ახალი ჯიშის შექმნას, რომელიც დაზღვეული იქნება დიდი მასების ერთ ადგილზე თავმოყრიდან გამომდინარე მავნე შედეგებისაგან, მეტად საშიშ ილუზიად მიმაჩნია.

თავი მესამე

სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება

საყოველთაოდ ცნობილია მცდარი აზრი, თითქოს „ბუნება ამოუწურავია“. ცხოველის, მცენარის თუ სოკოს ყოველი სახეობა ესადაგება თავის გარემოს. ამ გარემოს კი, თავისთავად ცხადია, განეკუთვნება არა მხოლოდ არაორგანული შემადგენელი ნაწილები ამა თუ იმ ადგილმდებარეობისა, არამედ მისი ყველა

ცოცხალი ბინადარიც. მაშასადამე, ერთი სასიცოცხლო სივრცის ყველა ცოცხალი არსება ერთმანეთსაა მორგებული. ეს ეხება იმათაც, ვინც ერთმანეთს თითქოს მტრულად უპირისპირდება, როგორც, მაგალითად, მტაცებელი ცხოველი და მისი მსხვერპლი, ვინც ჭამს და ვისაც ჭამენ. თუ უკეთ დავაკვირდებით, გამოირკვევა, რომ ეს არსებები, თუ მათ შევხედავთ არა როგორც ინდივიდებს, არამედ როგორც სახეობებს, ერთმანეთს არაფერს ვნებენ, პირიქით, ზოგჯერ საერთო ინტერესებიც აქვთ. სრულიად გასაგებია, რომ მჭამელი ფრიად დაინტერესებულია იმ სახეობის სიცოცხლისუნარიანობით, რომელიც მის საზრდოს შეადგენს, ცხოველი იქნება ეს თუ მცენარე. რაც უფრო მეტადაა იგი კვების ერთ სახეობაზე დახელოვნებული, მით უფრო დიდია შესაბამისად მისი ინტერესიც. ასეთ შემთხვევაში მტაცებელი თავის სანადირო ობიექტს არასოდეს გადააშენებს. მტაცებლის უკანასკნელი წყვილი დიდი ხანია შიმშილით ამოწყდებოდა, ვიდრე იგი ნადავლ სახეობის უკანასკნელ წყვილს მიაკვლევდა. თუ ნადავლის დასახლების სიმჭიდროვე ნორმაზე დაბლა დაიწევს, მტაცებელი იღუპება. როცა დინგო, თავდაპირველად შინაური ძაღლი, ავსტრალიაში მოხვდა და იქ გაველურდა, მას არც ერთი ცხოველი არ მოუსპია, რომლითაც იკვებებოდა, მაგრამ ორი მტაცებელი ნადირი – ჩანთოსანი მგელი (*Thylacinus*) და სარკოფილუსი (*Sarcophilus*) გადააშენა. საშინელი ყბებით აღჭურვილი ეს ჩანთოსანი მტაცებლები დინგოს ბევრად აღემატებოდნენ ღონით, მაგრამ თავიანთი უფრო პრიმიტიული ტვინის გამო ცხოველების გაცილებით უფრო მჭიდრო დასახლებას საჭიროებდნენ, ვიდრე მათზე ჭკვიანი, გაველურებული ძაღლი. დინგომ სასიკვდილოდ კი არ დაკბინა ისინი, კონკურენციით აჯობა და შიმშილით დახოცა.

იშვიათად მომხდარა, რომ რომელიმე ცხოველის გამრავლებას არსებული საკვების რაოდენობა აწესრიგებდეს. ეს ერთნაირად არაეკონომიური იქნებოდა როგორც მძარცველის, ასევე გაძარცულის ინტერესებისათვის. მეთევზე, რომელიც თავისი წყლის სარეწის შემოსავლით ცხოვრობს, გონივრულად მოიქცევა, თუ მხოლოდ იმდენ თევზს დაიჭერს, რომ დარჩენილებმა შთამომავლობის მაქსიმუმის მოცემა შეძლონ, რაც დაჭერილ თევზთა რაოდენობას შეავსებს. სად არის ოპტიმალობა – ამას მხოლოდ მეტად რთული მაქსიმუმ-მინიმუმის გაანგარიშება გვეტყვის. თუ მეთევზე საჭიროზე ნაკლებს დაიჭერს, მაშინ ტბა თევზით გადაიტვირთება და ნამატიც მაინცდამაინც კარგი არ იქნება; თუ ზედმეტად ბევრს დაიჭერს, მაშინ საჯიშე თევზი ცოტა დარჩება იმისათვის, რომ იმ რაოდენობის შთამომავლობა დატოვოს, რასაც წყალი გამოკვებავს და გაზრდის. ეკონომიის მსგავს ანალოგიას შეხვდებით, როგორც უ. კ. უინიუ-ედუარდსმა გვიჩვენა, ცხოველის ძალიან ბევრ სახეობაში. ტერიტორიების გადაღობვის გარდა, რაც ხელს უშლის ერთმანეთის გვერდით ზედმეტად მჭიდრო დასახლებას, არსებობს სხვა საშუალებაც, რომელიც აფერხებს არსებული საკვების გადაჭარბებულ ექსპლოატაციას.

არცთუ იშვიათია, რომ იმ სახეობებს, რომლებიც მტაცებლის საკვებადაა განკუთვნილი, მკვეთრად გამოხატული უპირატესობა გააჩნია თავის მჭამელთა წინაშე. ეს არის საკვები ცხოველისა თუ საკვები მცენარის მოშენების ციფრის

ისეთი ორიენტირება ერთ მომხმარებელზე, რომ თუ ეს ფაქტორი არა, მტაცებელთა სიცოცხლის წონასწორობა დაირღვეოდა. პოპულაციის დიდი კატასტროფები, რასაც ვაკვირდებით სწრაფად გამრავლებად მღრღნელებზე მას შემდეგ, რაც მათი დასახლების სიმჭიდროვე უაღრესად გაიზარდა, გაცილებით უფრო საშიშია სახეობის შენარჩუნებისათვის, ვიდრე საშუალო რაოდენობის პროპორციული შენარჩუნება, რომელიც ხორციელდება მტაცებლის მიერ ჭარბი ცხოველების „გაწმენდით“. მტაცებლის და მისი მსხვერპლის სიმბიოზი ზოგჯერ ძალიან შორს მიდის. არსებობს ბალახის ბევრი ჯიში, რომელიც აშკარად ისეა „კონსტრუირებული“, რომ მსხვილმა ჩლიქოსანმა ცხოველებმა კარგა ხანს ძოვონ და კიდევაც გადათელონ, რასაც ხელოვნურ გაზონებზე ხანგრძლივი მოთიბვით და ტკეპნით ვაღწევთ ხოლმე. თუ ეს ფაქტორები არ იქნება, ამ ბალახებს მალე ბალახის სხვა ჯიში განდევნის, რომელიც თუმცა ასეთ მოპყრობას ვერ იტანს, სამაგიეროდ სხვა თვალსაზრისით უფრო სიცოცხლისუნარიანია. მოკლედ, ორი ცოცხალი ფორმა შეიძლება ერთმანეთის მიმართ ისეთსავე ურთიერთდამოკიდებულებაში აღმოჩნდეს, როგორიც ადამიანს აქვს შინაური ცხოველებისა და კულტურულ მცენარეთა მიმართ. კანონზომიერებანი, რომლებიც ასეთ ურთიერთზემოქმედებას აწესრიგებს, ზოგჯერ ადამიანთა ეკონომიის კანონზომიერებას წააგავს, რაც გამოიხატა კიდეც იმ ტერმინში, ამ ურთიერთზემოქმედების შემსწავლელ მეცნიერებას – ეკოლოგიას რომ დაერქვა. არის ერთი ცნება, რომელსაც ჩვენ შემდგომ დავუბრუნდებით და რომელიც ცხოველთა და მცენარეთა ეკოლოგიაში არ გვხვდება. ეს გახლავთ გარესამყაროსადმი ბარბაროსული, მტაცებლური დამოკიდებულების ცნება – *Raubbau*.

ურთიერთზემოქმედებანი იმ უამრავი ცხოველის, მცენარის თუ სოკოს სახეობათა სტრუქტურაში, რომლებიც ერთ სასიცოცხლო სივრცეში ცხოვრობენ და სასიცოცხლო ერთობას, ანუ ბიოცენოზს ქმნიან, წარმოუდგენლად მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ცოცხალ არსებათა სხვადასხვა სახეობის ურთიერთშეგუებამ, რომელიც დროთა განმავლობაში განხორციელდა, და რომელთა დროული მასშტაბიც გეოლოგიას შეესატყვისება და არა ადამიანის ისტორიას, საკვირველ და ამავე დროს ადვილად დასარღვევ წონასწორობის მდგომარეობამდე მიგვიყვანა. მრავალი მარეგულირებელი პროცესი იცავს მას ამინდით გამოწვეულ და სხვა მსგავს უცილობელ შეფერხებათაგან. ყოველი ცვლილება, რომელიც ნელა ხდება (როგორიც არის სახეობათა ევოლუციის ან ჰავის თანდათანობითი შეცვლით გამოწვეული ცვლილებები), სასიცოცხლო სივრცის წონასწორობას არ აგდებს საფრთხეში. მაგრამ ანაზდეულ ზემოქმედებას, მაშინაც, თუ ის თითქოს უმნიშვნელოა, შეიძლება მოულოდნელად დიდი, უფრო მეტიც – კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. ასე მაგალითად, სრულიად უწყინარი ცხოველის უცხო გარემოში შეყვანამ შეიძლება ვეებერთელა მიწის ფართობი გააჩანაგოს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ეს ავსტრალიაში მოხდა ბოცვერის მოშენებით. ბიოტოპის წონასწორობაში შეჭრა აქ ადამიანის ხელით განხორციელდა.

პრინციპულად დასაშვებია, მსგავსი რამ მისი ჩარევის გარეშეც მოხდეს, თუმცა ბევრად უფრო იშვიათად.

ადამიანის ეკოლოგია ბევრად უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისა. მის ტემპს განსაზღვრავს ტექნოლოგიის პროგრესი, რომელიც განუწყვეტლივ და გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ადამიანი ვერ ასცდება იმას, რომ შორს მიმავალი ცვლილებები, ხშირად კი ტოტალური გაჩანაგება არ გამოიწვიოს იმ სასიცოცხლო ერთობაში, რომელშიც და რომლითაც ცხოვრობს. გამონაკლისია მხოლოდ „ველური ტომები“, როგორც მაგალითად, სამხრეთ ამერიკის უსიერ ტყეში მობინადრე ინდიელები, რომლებიც მცენარეთა ნაყოფით და ნადავლით იკვებებიან, ან ოკეანიის ზოგიერთი კუნძულის მცხოვრებლები, რომლებიც ნაწილობრივ მიწათმოქმედებას მისდევენ, ძირითადად კი ქოქოსის კაკლით და ზღვის ცხოველებით ირჩენენ თავს. ასეთი კულტურები თავიანთ ბიოტოპზე ისეთსავე ზემოქმედებას ახდენენ, როგორც ცხოველების რომელიმე სახეობის პოპულაციები. ეს თეორიულად ერთი შესაძლებელი შემთხვევაა, სადაც ადამიანს თავის ბიოტოპთან ჰარმონიაში შეუძლია იცხოვროს. სხვა შესაძლებლობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც მიწათმოქმედი და მესაქონლე, ახალს, მთლიანად მისი მოთხოვნილებების შესაბამის სასიცოცხლო ერთობას შექმნის, რომელსაც პრინციპში შეიძლება ისეთივე ხანგრძლივი არსებობის უნარი გააჩნდეს, როგორიც აქვს სხვას, მისი ჩარევის გარეშე წარმოქმნილს. ეს ეხება ზოგიერთ ძველ სამეურნეო კულტურას, როცა ადამიანები მრავალი თაობის მანძილზე ერთ მიწაზე სახლობენ, უყვართ იგი და ჭეშმარიტად კარგი, პრაქტიკით მოპოვებული ეკოლოგიური ცოდნით მიწას უბრუნებენ იმას, რასაც მისგან ღებულობენ.

გლეხმა იცის ის, რაც მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ დაივიწყა – სახელდობრ ის, რომ მთელი პლანეტის სასიცოცხლო მარაგი ამოუწურავი არ არის. მას შემდეგ, რაც ამერიკაში ეროზიამ, რომელიც მიწის ბარბაროსულ დამუშავებას მოჰყვა, ვრცელი, ნაყოფიერი მიწები უდაბნოდ აქცია, მას შემდეგ, რაც დიდი ფართობები გაჩეხვის შედეგად კარსტული გახდა და უამრავი სასარგებლო ცხოველის ჯიში გადაშენდა, ეს ფაქტები თანდათან თავიდან გააცნობიერეს, უმთავრესად კი იმიტომ, რომ ამა თუ იმ აგროკულტურამ, თევზის და ვეშაპმჭერმა ინდუსტრიულმა სარეწებმა კომერციული თვალსაზრისით ეს საკმაოდ მტკივნეულად იგრძნეს. მაგრამ ეს ფაქტები დღესაც არ არის საყოველთაოდ აღიარებული და საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებული!

ჩვენი დროის სულმოუთქმელობა, რაზედაც შემდგომ თავში ვისაუბრებთ, ადამიანს არ უტოვებს დროს რაიმე აწონ-დაწონოს და ამოქმედებამდე გამოსცადოს. შემდეგ ბრიყვნი გულუბრყვილოდ იკვეხნიან კიდეც, „მკეთებლები“ ვართო, მაშინ როცა ბუნებისა და საკუთარი თავის მიმართ ბოროტმოქმედებას სჩადიან. დღეს ბოროტმოქმედება ხდება ყველგან, სადაც ქიმიურ საშუალებებს იყენებენ, მაგ., სოფლის მეურნეობაში მავნე მწერების განადგურების მიზნით, განსაკუთრებით მებაღეობა-მეხილეობაში. მაგრამ ასეთსავე სიბეცეს იჩენენ ფარმაკოპეაშიც.

იმუნოლოგებს სერიოზული ეჭვი უჩნდებათ საყოველთაოდ მიღებული მედიკამენტების მიმართ. „მყისვე ხელში ჩაგდების სურვილი“, რომელსაც მეოთხე თავში დავუბრუნდები, ქიმიური ინდუსტრიის ზოგ დარგს შეუწყნარებლად ქარაფშუტულს ხდის თავისი პროდუქციის წარმოება-გავრცელებით, რომლის შედეგების გათვალისწინებაც მომავლისათვის საერთოდ შეუძლებელია. რაც შეეხება მიწათმოქმედების ეკოლოგიურ მომავალს, სამედიცინო მოთხოვნილებების თვალსაზრისითაც, აქ თითქმის დაუჯერებელი უდარდელობა სუფევს. გამფრთხილებლებს, რომლებიც შხამის დაუფიქრებელი გამოყენების წინააღმდეგ გამოდიან, ვერაგულად აბიაბრუებენ და პირს უქოლავენ.

ცივილიზებული კაცობრიობა თავის გარემომცველ და მარჩენალ ცოცხალ ბუნებას ბრმად და ბარბაროსულად რომ აჩანაგებს, ამით საკუთარ თავს აყენებს ეკოლოგიური განადგურების საფრთხის წინაშე. თუ იგი ამას ოდესმე ეკონომიკურად იგრძნობს, შეიძლება კიდეც მიხვდეს თავის შეცდომას, მაგრამ ვაითუ უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს. ყველაზე ნაკლებად კი კაცობრიობა იმას ამჩნევს, ეს ბარბაროსული პროცესი რა ძლიერ ვნებს მის საკუთარ სულს. ცოცხალი ბუნებისაგან საყოველთაო და მზარდ გაუცხოებას დიდი ბრალი მიუძღვის ცივილიზებული ადამიანის ესთეტიკურ და ეთიკურ გაუხეშებაში. საიდან უნდა გაუჩნდეს მოზარდს რაიმეს წინაშე მოწიწების გრძნობა, თუ ყველაფერი, რასაც გარშემო ხედავს, ადამიანის ნახელავია და, თანაც, იაფფასიანი და უშნო ნახელავი? ქალაქელისათვის თვით ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც მაღლივი სახლებით და ქიმიური გამონაბოლქვებითაა დაფარული. აღარც არის გასაკვირი, თუ ცივილიზაციის წინსვლას ქალაქისა და სოფლის გულსაკლავი დამახინჯება მოსდევს. შეადარეთ რომელიმე გერმანული ქალაქის ძველი ცენტრი მის თანამედროვე პერიფერიებს, ან თვითონ ეს გარემოში მძაფრად შეჭრილი კულტურის სამარცხვინო ლაქა – მის მიერ ჯერ ხელუხლებელ ადგილებს. შემდეგ შეადარეთ ნორმალური სხეულის ქსოვილის ჰისტოლოგიური სურათი ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულისას: გასაოცარ ანალოგიებს აღმოაჩენთ! თუ ობიექტურად განვიხილავთ და ესთეტიკურიდან ანგარიშის ენაზე გადავიტანთ, ეს განსხვავება არსებითად ემყარება ინფორმაციის დაკარგვას.

ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედი ჯანმრთელი სხეულის უჯრედისაგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ მას დაკარგული აქვს ის გენეტიკური ინფორმაცია, რომელიც სჭირდება, რათა შეასრულოს თავისი როლი, როგორც სხეულის საერთო ინტერესებში ჩაბმულმა წევრმა. ამიტომ იგი ისე იქცევა, როგორც ცალკეული ცხოველი, ან უფრო ზუსტად, როგორც ნორჩი ემბრიონალური უჯრედი. მას აკლია განსაკუთრებული სტრუქტურები; იგი უზომოდ და უანგარიშოდ იყოფა ისე, რომ ავთვისებიანი სიმსივნის ქსოვილი ჯანსაღ მეზობელ ქსოვილს შეეზრდება და ანადგურებს. თვალში საცემი ანალოგიები ქალაქის პერიფერიის სურათსა და ავთვისებიან სიმსივნეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთშიც და მეორეშიც, ჯერ ისევ ჯანმრთელ სივრცეში მრავალი, ძლიერ განსხვავებული, მაგრამ წმინდად დიფერენცირებული და ერთმანეთის შემვსები სამშენებლო გეგ-

მებია განხორციელებული, რომლებიც თავიანთ ბრძნულ სიმეტრიას იმ ინფორმაციას უმადლიან, რომელიც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პერიოდში დაგროვდა მაშინ, როცა ავთვისებიანი სიმსივნე ან თანამედროვე ტექნოლოგიის მიერ გავერანებული ქალაქის გარეუბანი მხოლოდ მცირე, უკიდურესად მარტივ კონსტრუქციათა სურათს გვთავაზობს. სიმსივნის უჯრედების სრულიად ერთფეროვან, სტრუქტურულად ღარიბ ჰისტოლოგიურ სურათს ავბედითი მსგავსება აქვს თანამედროვე ქალაქის შემოგარენის ზემოდან გადაღებულ სურათთან, რომელზეც მოჩანს კულტურულად გაღარიბებული, შეჯიბრების ჟინით შეპყრობილი არქიტექტორების მიერ ნაჩქარევად დაპროექტებული ერთფეროვანი სტანდარტული სახლები. კაცობრიობის შეჯიბრმა საკუთარ თავთან, რაზეც შემდეგ თავში ვისაუბრებთ, ბინათმშენებლობაზე გამანადგურებელი ზეგავლენა მოახდინა. არა მარტო კომერციულმა მოსაზრებამ, რომ მასობრივად დამზადებული მშენებლობის ნაწილები უფრო იაფი ჯდება, არამედ ყველაფრის გამაუფასურებელმა მოდამ შედეგად ის მოიტანა, რომ ყველა ცივილიზებული ქვეყნის ქალაქების გარეუბნებში ასეთი სახლები ასიათასობით შენდება; მათ ერთმანეთისაგან მხოლოდ ნომერი განასხვავებს და სახელს „სახლი“ არც იმსახურებენ. უკეთეს შემთხვევაში ისინი ბოსლების წყებაა „სასარგებლო ადამიანებისათვის“ აგებული, ეს გამოთქმა „სასარგებლო ცხოველის“ ანალოგიით რომ ვიხმაროთ.

ლეგორნის ჯიშის ქათამი ბატარეებში იყოლიო – სრულიად სამართლიანად ითვლება ფრინველის წამებად და კულტურის სირცხვილად. სამაგიეროდ, მსგავსი რამის ადამიანისთვის კადრება რატომღაც ნორმალურად მიაჩნიათ, თუმცა, სწორედ ადამიანი ყველაზე ნაკლებად იტანს მისდამი უღირს მოპყრობას. ნორმალური ადამიანის თვითშეფასება სრული უფლებით მოითხოვს საკუთარი ინდივიდუალობის განმტკიცებას. ადამიანი თავისი ფილოგენეზით ჭიანჭველასავით ან ტერმიტივით არ არის მოწყობილი, რომ ეს აიტანოს, იყოს ანონიმური და ადვილად შენაცვლებადი ელემენტი ერთი სახეობის მილიონ მსგავსს შორის. საკმარისია თვალი შევავლოთ ქალაქის გარეუბანში რომელიმე დასახლებას, ამ პატარა ბაღ-ვენახებსა და შიგ ჩადგმულ სახლებს, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა შედეგი მოაქვს ადამიანის სწრაფვას საკუთარი ინდივიდუალობის გამოხატვისაკენ. უღიმღამო სადგომთა წყებაში მცხოვრებ ადამიანს მხოლოდ ერთი გზაღა დარჩენია საკუთარი თავისადმი პატივისცემის შესანარჩუნებლად: ბევრი მის ბედში მოხვედრილი თანამოძმე ცნობიერებიდან განდევნოს, ხოლო კარის მეზობელს მკაცრად გაემიჯნოს. ძალიან ბევრ საცხოვრებელ მასივში, ცალკე ბინებს შორის აივნებზე კედელია ჩადგმული, რომელიც მეზობელს უხილავს ხდის. არც სურვილი და არც საამისო ძალა არ გააჩნიათ, „ღობის იქით“ მასთან სოციალური კონტაქტი დაამყარონ, რადგან შიში აკავებთ – მეზობლის სახეში საკუთარი სასოწარკვეთილება არ ამოიკითხონ. გამასობრივებას ამ გზითაც მივყავართ მარტოსულობისა და მოყვასის მიმართ გულგრილობისაკენ.

ესთეტიკური და ეთიკური გრძნობა, როგორც ჩანს, ერთმანეთთან უმჭიდროესადაა დაკავშირებული, ხოლო ადამიანები, რომლებიც იძულებული არიან

ზემოთ აღწერილ პირობებში იცხოვრონ, ორივეს მიმართ აშკარა ატროფიას განიცდიან. ბუნების სილამაზე და ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული გარემოს სილამაზე – ორივე სრულიად აუცილებელია, რათა ადამიანი სულიერად და ინტელექტუალურად ჯანმრთელი დარჩეს. ტოტალური სულიერი სიბრმავე ყოველივე მშვენიერის მიმართ, რომელიც დღესდღეობით ასე სწრაფად იკიდებს ფეხს, სულიერი დაავადებაა, რომელსაც თუნდაც იმიტომ უნდა მოვეკიდოთ მთელი სერიოზულობით, რომ იგი ეთიკურად მიუღებლის მიმართ უგრძნობლობას ამკვიდრებს.

იმათ, ვინც წყვეტს, სად ქუჩა გაიჭრას, სად – საავტომობილო ქარხანა თუ ფაბრიკა აშენდეს, თუნდაც ამით მშვენიერი შემოგარენის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი სამუდამოდ დამახინჯდეს, ესთეტიკური მოსაზრებები საერთოდ არ აწუხებთ. პატარა დაბის ბურგომისტრიდან დიდი სახელმწიფო მეურნეობის მინისტრამდე სრული თანხმობა სუფევს იმ საკითხში, რომ ბუნების სილამაზისათვის არავითარი ეკონომიკური (ან მით უმეტეს პოლიტიკური) მსხვერპლი არ შეიძლება გავიღოთ. ის მცირერიცხოვანი ბუნების დამცველები და მეცნიერები, რომლებიც ხედავენ ამ თავსდატეხილ უბედურებას, სრულიად უღონონი არიან. თუ ყურს მოკრავენ, რომელიმე სოფლის თემის საკუთრებაში მყოფ პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებზე, ტყის პირას, ფასი აიწევს, თუ იქამდე გზა იქნება გაყვანილიო, პაწია, თვალწარმტაც ნაკადულს, თავისთვის რომ მირაკრაკებს სოფელში და თვალს ახარებს, მაშინვე მილებში გამოამწყვდევენ, მიწას დააყრიან, მიასწორებენ და მშვენიერი სოფლის ქუჩას ქალაქის გარეუბნის ერთ-ერთ ტიპურ, უსახურ ქუჩას დაამსგავსებენ.

თავი მეოთხე

შეჯიბრი საკუთარ თავთან

პირველი თავის დასაწყისში ჩვენ განვმარტეთ, თუ რატომაა აუცილებელი მყარი მდგომარეობის (*steady state*) შესანარჩუნებლად ცოცხალ სისტემებში რეგულარულ წრეთა ანუ ნეგატიურ უკუკავშირთა ფუნქცია: ასევე, თუ რატომ იწვევს დადებითი უკუკავშირების წრიული მოქმედებანი ცალკეული მოქმედების ზვავად ჩამოწოლის საშიშროებას. დადებითი უკუკავშირების სპეციალური შემთხვევაა, როცა ერთი სახეობის ინდივიდები ერთმანეთს ეჯახებიან. ეს შეჯიბრი სელექციის მეშვეობით მათ განვითარებაზე ახდენს ზეგავლენას. სახეობაზე გარე სამყაროს ფაქტორთა ზემოქმედებისაგან განსხვავებით ინტრასპეციფიკური სელექცია იწვევს ცვლილებებს შესაბამისი სახეობის მემკვიდრეობაში. ეს ცვლილებები მის სიცოცხლისუნარიანობას არათუ აძლიერებს, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, აშკარად ვნებს.

ინტრასპეციფიკური სელექციის შედეგების საილუსტრაციოდ ო. ჰაინროთის მიერ მოტანილი მაგალითი ეხებოდა მამალი ხოხბის (*Argusianus argus L.*)

ფრთებს. ისინი პეპლაობის პერიოდში ფარშევანგის ბოლოს მსგავსად იშლებიან და დედლისკენ არიან მიმართული. ისევე როგორც ფარშევანგთან, ხოხობთანაც არჩევანი მთლიანად დედალს ეკუთვნის. მამლის გამრავლების პერსპექტივა უშუალოდ დამოკიდებულია იმ მიმზიდველ ძალაზე, რომელსაც მისი დაპეპლვის ორგანო დედლებზე მოახდენს. მაგრამ თუ ფარშევანგი თავის ბოლოს ფრენის დროს მეტ-ნაკლებად სწორხაზოვნად კეცავს და ფრენაში ხელს არ უშლის, მამალი ხოხბის ფრთების წაგრძელება მას თითქმის უკარგავს ფრენის უნარს. თუ ეს უნარი მთლიანად არ დაკარგა, როგორც ჩანს მხოლოდ იმიტომ, რომ სელექციამ შეუშალა ხელი, რომელსაც მიწაზე მობინადრე მტაცებლებმა საპირისპირო მიმართულება მისცეს. სელექციამ იტვირთა აუცილებელი მარეგულირებელი ზემოქმედება.

ჩემმა მასწავლებელმა ოსკარ ჰაინროთმა მისთვის დამახასიათებელი შეუბრალებელი პირდაპირობით თქვა: „არგუსის მამლის ფრთების შემდეგ თანამედროვე კაცობრიობის შრომის ტემპი ინტრასპეციფიკური სელექციის ყველაზე უჭკუო პროდუქტია“. ეს სიტყვები თავის დროზე წინასწარმეტყველურად ითქვა, დღეს კი ისინი კლასიკური *"Understatement"* (მიჩუმათებაა). არგუსის, ისევე როგორც სხვა, მსგავსი აღნაგობის მრავალი ცხოველის შემთხვევაში გარესამყაროს ზემოქმედებანი აფერხებენ იმას, რომ სახეობა ინტრასპეციფიკურმა სელექციამ სიმახინჯედ აქციოს და საბოლოოდ კატასტროფისაკენ მიმავალ გზაზე დააყენოს. კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში არავითარი მსგავსი გამაჯანსაღებელი მოქმედი ძალები არ არსებობს. მან – კაცობრიობამ – თავისდა საუბედუროდ, ისწავლა მთელი გარესამყაროს დამორჩილება, მაგრამ საკუთარი თავის შესახებ იმდენად ცოტა იცის, რომ ინტრასპეციფიკური სელექციის სატანურ ზემოქმედებას უმწეოდ ეწირება.

"Homo homini Lupus" („კაცი კაცისათვის მგელია“), ისევე როგორც ჰაინროთის ცნობილი გამოთქმა, „მიჩუმათებას“ წარმოადგენს. ადამიანი, როგორც საკუთარი სახეობის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელი სელექციის ერთადერთი ფაქტორი, ფაქტორი, სამწუხაროდ, ისე უცოდველი როდია, როგორც თუნდაც ყველაზე საშიში ნადირი: ადამიანის შეჯიბრი ადამიანთან, ისე როგორც არც ერთი ბიოლოგიური ფაქტორი მანამდე, უპირისპირდება სწორედ „მარად ცხოველ, კეთილმყოფელ შემოქმედ ძალას“ და ანგრევს ყველა ღირებულებას, რომელიც ამ ძალამ შექმნა – ცივი სატანური მუშტით, რომლის ქმედებასაც განსაზღვრავს მხოლოდ ღირებულებისადმი ბრმა, კომერციული მოსაზრებანი.

ის, რაც კაცობრიობისათვის, როგორც მთლიანობისათვის, და ისიც, რაც ცალკე ინდივიდისათვის კარგი და სასარგებლოა, ადამიანთა შორის შეჯიბრის ზეგავლენით თითქმის მთლიანად დავიწყებას ეძლევა. დღეს მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას ღირებულებად მხოლოდ ის მიაჩნია, რაც შეუბრალებელ კონკურენციაში თანამოძმეზე გაამარჯვებინებს. ყოველი საშუალება, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, თავისთავად ღირებულებად გვეჩვენება. უტილიტარიზმის გამანადგურებელი ცდომილებანი შეიძლება განვმარტოთ როგორც საშუალებისა და მიზნის აღრევა. ფული იმთავითვე საშუალებაა. სასაუბრო ენაშიც ხომ

ასეა: „მე მაქვს სახსარი“. რამდენ კაცს შეხვდებით დღეს, რომელიც გაგიგებთ, თუ მოინდომებთ და აუხსნით, რომ ფულს თავისთავად არ გააჩნია რაიმე ღირებულება? იგივე ითქმის დროზე: „დრო – ფულია“. ყველასათვის, ვისთვისაც ფულს აბსოლუტური ღირებულება გააჩნია, ძვირფასია თითოეული წამიც კი. თუ ისეთ თვითმფრინავს ააგებენ, რომელიც ატლანტიკას უფრო მალე გადაუფრენს, ვიდრე ყველა დანარჩენი, კაციშვილი არ იკითხავს, რას მოგვიტანს დასაშვები ბილიკის სიგრძის მომატება, აფრენის სიჩქარის გაძლიერება და ამით საშიშროების ზრდა, უფრო დიდი ხმაური და ა. შ. ნახევარი საათის მოგება ყველას თვალში თავისთავადი ღირებულებაა, რომლის მისაღწევად არც ერთი მსხვერპლი არ იქნება ზედმეტი. ყოველი საავტომობილო ქარხნის საზრუნავია, რომ ყოველგვარი ახალი ტიპის მანქანა წინამავალს აღემატებოდეს სიჩქარით. გზები კიდევ უფრო უნდა გაგანიერდეს, ყველა მოსახვევი საგანგებოდ გამაგრდეს თითქოს უსაფრთხოების გასაძლიერებლად, სინამდვილეში კი მხოლოდ იმისათვის, რათა ცოტა უფრო სწრაფად (და ამიტომ უფრო ხიფათიანად) შეიძლებოდეს მანქანის მართვა.

საკითხავია, რა უფრო ვნებს დღევანდელი კაცობრიობის სულს: დამაბრმავებელი ფულის სიხარბე თუ ქანცგამწყვეტი სიჩქარე, რომელიც უნდა იყოს, ყველა პოლიტიკური მიმართულების ძალაუფლების მქონეთა სურვილია, ერთსაც და მეორესაც ყველანაირად შეუწყონ ხელი და ჰიპერტროფიამდე გააძლიერონ ის მოტივები, რომლებიც ადამიანს ამ შეჯიბრში წააქეზებენ. რამდენადაც ვიცი, ამ მოტივაციების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა. ჩემი შეხედულებით, ქონების შეძენისა და რანგობრივად უფრო მაღალი მდგომარეობის მოპოვების ხარბი სურვილის გარდა, აქ შიშიც ასრულებს მნიშვნელოვან როლს, შიში – შეჯიბრში არ ჩამორჩე, შიში გაღატაკებისა, მცდარი გადაწყვეტილების მიღებისა, შიში – ძალამ არ გიმტყუნოს მთელი ენერგიის დამძაბველი სიტუაციის წინაშე. შიში ამ სახით უეჭველად უმნიშვნელოვანესი ფაქტორთაგანია, თანამედროვე ადამიანის ჯანმრთელობას ძირს რომ უთხრის და მას მაღალი წნევით, თირკმელების მოშლით, ნაადრევი გულის ინფარქტით და სხვა მშვენიერი რამეებით აჯილდოებს. მოჩქარე ადამიანს არა მარტო სიხარბე აცდუნებს; თვით ყველაზე ძლიერ ცდუნებასაც არ ექნებოდა იმდენი ძალა, ადამიანი ასეთ ენერგიულ თვითგანადგურებამდე მიეყვანა; იგი დევნილია და მისი მდევარი მხოლოდ შიშია.

შიშნარევი სულმოუთქმელობა და სულის მოთქმის არდამცლელი შიში ადამიანს განძარცვავს მისი უარსებითესი თვისებებისაგან, ერთ-ერთია – რეფლექსი. როგორც ეს ჩანს ნაშრომში *"Innate Basis of Learning"* („შემეცნების თანდაყოლილი საფუძველი“) გავაანალიზე, ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბების იდუმალებით მოცულ პროცესში, როგორც ჩანს, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი იმ ფაქტმა შეასრულა, რომ გარესამყაროს შემსწავლელმა ამ ცნობისმოყვარე არსებამ საკუთარი თავი გაიხადა კვლევის საგნად. საკუთარი „მეს“ აღმოჩენა სულაც არ არის აუცილებელი დროში ემთხვეოდეს იმ გადატრიალებას, როცა ადამიანმა ერთ მშვენიერ დღეს მანამდე თავისთავად ცხადს გაოცებით შეხედა, რაც ფილოსოფიის დაბადების აქტადაა მიჩნეული. უკვე ის ფაქტი, რომ მძებნელი და საგნის

მომხელთებელი ხელი, მოძიებული და მოხელთებული საგნის გვერდითაა დანახული და გარესამყაროს საგნადაა გაგებული, ალბათ, ახალი კავშირის დამყარებას მოასწავებდა, რომლის შედეგებმაც ეპოქა შექმნა. არსება, რომელმაც ჯერ არაფერი იცის საკუთარი „მეს“ არსებობის შესახებ, ვერც აბსტრაქტულ აზროვნებას განივითარებს, ვერც ენას, ვერც სინდისსა და პასუხისმგებელ ზნეობას. არსება, რომელიც შეწყვეტს რეფლექსიას, იმ საშიშროების წინაშე დგას, რომ დაკარგავს ყველა ამ სპეციფიკურად ადამიანურ თვისებასა და მონაპოვარს.

მუდმივი სიჩქარის ან, იქნებ, უშუალოდ ამ სიჩქარით გამომწვევი შიშის ერთი უბოროტესი შედეგთაგანია თანამედროვე ადამიანის უუნარობა – სულ მცირე ხნით მაინც დარჩეს საკუთარ თავთან მარტო. იგი გაურბის თვითგაცნობიერებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების ყოველგვარ შესაძლებლობას, თითქოს ეშინია, რომ რეფლექსია მას საკუთარ საზარელ ავტოპორტრეტს დაუყენებს თვალწინ, იმის მსგავსს, რასაც ოსკარ უაილდი თავის რომანში „დორიან გრეის პორტრეტი“ აღწერს. სულ უფრო ძლიერი სწრაფვა ხმაურისაკენ, რაც თანამედროვე ადამიანის ნევრასთენიის გამო პირდაპირ პარადოქსულია, მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ რაღაც უნდა ჩაიხშოს. ერთხელ ტყეში სეირნობისას, მე და ჩემს მეუღლეს სწრაფად მოახლოებადი ყურთწამღები მუსიკა შემოგვესმა, რომელსაც თექვსმეტი წლის ველოსიპედისტის საბარგულზე დამაგრებული ტრანზისტორი აფრქვევდა. ჩემმა მეუღლემ შენიშნა: „ეშინია, ფრინველების გალობა არ გაიგოს!“ მე კი მგონია, რომ მას, თუნდაც წამით, საკუთარ თავთან მარტო დარჩენის ეშინოდა. რატომ ამჯობინებენ სხვა მხრივ ინტელექტუალური პრეტენზიების მქონე ადამიანები ზოგჯერ პირდაპირ ტვინის გამაწყალებელ სატელევიზიო გადაცემებს საკუთარ თავთან მარტო დარჩენას? ჭეშმარიტად, მხოლოდ იმისთვის, რომ ფიქრები განდევნონ.

მაშასადამე, ადამიანები იტანჯებიან, იტანჯებიან იმ ნერვული და სულიერი დაძაბულობისაგან, რასაც მათ აკისრებს თავიანთ მსგავსთან შეჯიბრი. თუმც მათ ბავშვობიდანვე წვრთნიან, რათა ამ შეჯიბრის ყველა მანკიერი გამოვლენა წინსვლად მიიჩნიონ, სწორედ ყველაზე წინ წასულთა თვალებიდან მდევარი შიში იმზირება, ხოლო ყველაზე ყოჩაღები მათ შორის, ვინც „დროს ნაბიჯს უწყობს“, განსაკუთრებით ნაადრევად კვდებიან გულის ინფარქტით.

მაშინაც, თუ დავუშვებთ სრულიად გაუმართლებელ ოპტიმისტურ თვალსაზრისს, რომ მომავალში დედამიწაზე მოსახლეობის სიჭარბე დღევანდელი საშიში მასშტაბით აღარ მოიმატებს, კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან მაინც სრულიად საკმარისი იქნება, რათა იგი საბოლოოდ განადგურდეს. დადებითი უკუკავშირიანი ყოველი წრიული პროცესი, ადრე თუ გვიან, კატასტროფამდე მიგვიყვანს. ხოლო პროცესი, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით, რამდენიმე ასეთ წრიულ უკუკავშირს შეიცავს. შრომის მარად მზარდი ტემპის ინტრასპეციფიკური კომერციული სელექციის გარდა აქ თავს იჩენს მეორე საშიში წრიული პროცესიც, რაზეც ვანს პაკარდმა თავის წიგნებში ყურადღება გაამახვილა და რასაც შედეგად მოაქვს ადამიანთა მოთხოვნილებების პროგრესული ზრდა. ყოველი მწარ-

მოებელი ისწრაფვის, მის მიერ დამზადებულ საქონელზე რაც შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს მომხმარებლის მოთხოვნილება. მრავალი „სამეცნიერო-კვლევითი“ ინსტიტუტი მუშაობს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომ უფრო ეფექტური საშუალებანი გამონახონ ამ ყოვლად მანკიერი მიზნის მისაღწევად. მომხმარებელთა დიდი მასა, პირველ და მეშვიდე თავში აღწერილ მიზეზთა გამო, ბრმად მიჰყვება იმას, რასაც შეხედულებათა და რეკლამების კვლევის მეთოდები შესთავაზებენ. არავინ უჯანყდება, მაგალითად, იმ ფაქტს, რომ ყოველი კბილის პასტის ან საპარსის შეძენისას, სარეკლამო საფუთავში იმაზე მეტს იხდის, ვიდრე თვითონ საქონლის ღირებულებაა.

ფუფუნების საგანთა წარმოება, რომელიც უკუკავშირიანი წარმოებისა და მოთხოვნილებათა ზრდის ეშმას წრეში ჩნდებიან, დასავლეთის ქვეყნებს, პირველ რიგში კი – ამერიკის შეერთებულ შტატებს, ადრე თუ გვიან, დაღუპვის კარამდე მიიყვანს, რადგან მისი მოსახლეობა აღმოსავლეთის ქვეყნების უფრო ჯანსაღი მოსახლეობის წინაშე კონკურენციის უნარს დაკარგავს. ამიტომ კაპიტალისტური წყობის მესვეურების მხრივ სრული სიბეცეა აქამდე არსებული მეთოდის შენარჩუნება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, მომხმარებელი „ცხოვრების სტანდარტის“ გაუმჯობესებით დააჯილდოვოს და ისე „მომართოს“, რომ წნევის ამწევი და ნერვების გამანადგურებელი შეჯიბრი განაგრძოს თავის მოყვასთან.

ფუფუნების საგნების წარმოებას, ამას გარდა, მივყავართ მეტად საშიში მოვლენების წრესთან, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

თავი მეხუთე

გრძნობის გაცივება

ყველა ცოცხალ არსებაში, რომელსაც უნარი აქვს პავლოვის კლასიკური ტიპის პირობითი რეაქციები გამოიმუშავოს, ეს პროცესი შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სახის გამღიზიანებელმა დააჩქაროს: ერთია გამაძლიერებელი გამღიზიანებლები (*reinforcement*), რომლებიც წინამავალ ქცევას აძლიერებს, მეორეა შემაფერხებელი გამღიზიანებლები (*deconditioning extinguishing*), რომლებიც ამ ქცევას ასუსტებს ან სულაც აფერხებს. ადამიანს პირველი გამღიზიანებელი კარგ გუნებაზე აყენებს, მეორე – უგუნებობას იწვევს. ვფიქრობ, გადაჭარბებული ანთრომორფირება არ იქნება, თუ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარი ცხოველების შემთხვევაში მათ „გასამრჯელოს“ და „სასჯელს“ ვუწოდებთ.

ისმის კითხვა: მუშაობს აპარატის ფილოგენეტურად განვითარებული პროგრამა, რომელიც სიცოცხლის ამ ფორმას უწყობს ხელს, ორი და არა უფრო მარტივად – მხოლოდ ერთ-ერთი ამ გამღიზიანებლით? ამაზე სხვადასხვა პასუხი არსებობს. ერთ-ერთი გვეუბნება, რომ სწავლის პროცესის ეფექტურობა ორმაგდება, როცა ორგანიზმს არა მხოლოდ წარმატების ან წარუმატებლობისაგან, არამედ ორივესაგან შეუძლია აზრიანი დასკვნები გამოიტანოს. მეორე ჰიპოთეტური პა-

სუხი ასეთია: თუ სწორია, რომ ორგანიზმი გარესამყაროს ამა თუ იმ მავნე ზეგავლენისაგან უნდა დავიცვათ და იგი ოპტიმალურად უზრუნველვყოთ სითბოთი, სინათლით, ტენიანობით და ა. შ. მაშინ დამსჯელი გამღიზიანებლების მოქმედება სრულიად საკმარისი იქნება. მართლაც ვხედავთ, რომ ოპტიმალური გამღიზიანებელი სიტუაციისა და, შესაბამისად, გამღიზიანებლისაგან განთავისუფლების ძიება, რომელსაც უოლეს კრეიგი „ანტიპათიას“ უწოდებს, ხშირად სწორედ ამ გზით ხდება. მაგრამ თუ, პირიქით, გვინდა ცხოველი სპეციფიკური ქცევისათვის გავწვრთნათ, თუნდაც, მაგალითად, იმისათვის, რომ იგი სრულიად გარკვეულ, მკაფიოდ მინიშნებულ ადგილზე მივიყვანოთ, ძლიერ გაგვიჭირდება ამის მიღწევა გამღიზიანებლებზე მხოლოდ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. გაცილებით ადვილია, სასურველ ადგილზე იგი გასამრჯელოს მიმცემი გამღიზიანებლით მივიყვანოთ. უკვე უოლეს კრეიგი მიუთითებდა იმაზე, რომ პრობლემის გადაწყვეტის ამ გზაზე ევოლუცია მოხდა ყველგან, სადაც ცხოველი იწვრთნებოდა ისეთივე ძლიერი სპეციფიკური გამღიზიანებელი სიტუაციების მოძებნაში, როგორიცაა მაგალითად, დაწყვილება და საჭმლის მიღება.

გასამრჯელოს და სასჯელის ორმაგი პრინციპის ასეთი ახსნა, სანამდეც გასწვდება, მართლაც საიმედოა. სიამოვნება-უსიამოვნების პრინციპის შემდგომი და, თანაც, უცილოდ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სრულად მხოლოდ მაშინ იკვეთება, როცა პათოლოგიური დარღვევები ამ პრინციპის ამოვარდნას გვამცნობენ. მედიცინის, ასევე, ფიზიოლოგიის ისტორიაში ხშირად მომხდარა, რომ კარგად აღწერილი ფიზიოლოგიური მექანიზმის არსებობა მხოლოდ მის დაავადებას გამოუტანია დღის სინათლეზე.

ყოველი წვრთნა რაღაც ქცევის გამოსამუშავებლად, გასამრჯელოს მეშვეობით, აიძულებს ორგანიზმს სიამოვნების მოლოდინში აწმყოს უსიამოვნება მოთმინებით აიტანოს ან, უფრო ობიექტურად რომ გამოვხატოთ, ურეაქციოდ მიიღოს იმგვარი გამაღიზიანებელი სიტუაციები, რომლებიც, მათ წინ სწავლების პროცესი რომ არ უძღოდეს, ზიზღის გამომწვევი და წვრთნის საწინააღმდეგოდ მიმართული იქნებოდა. სასურველი ნადირის მოსაპოვებლად ძაღლი ან მგელი ძალიან ბევრ ისეთ რამეს მოიმოქმედებს, რასაც ჩვეულებრივ ვერ გააკეთებინებ: ძეძვში შეძვრება, ცივ წყალში გადახტება და თავს ისეთ ხიფათში ჩაიგდებს, სხვა დროს რომ ვერ გააბედინებ. ყველა ამ სახეობის შენარჩუნებაზე მზრუნველი შემაფერხებელი მექანიზმის მოქმედება, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამაძლიერებელ მექანიზმთა მოქმედების საპირისპირო ქცევას წარმოშობს და ხელს უშლის იმას, რომ გასამრჯელოს მიმცემი გამღიზიანებელი სიტუაციისაკენ თავის სწრაფვაში ორგანიზმმა მსხვერპლი გაიღოს და ხიფათში ჩაიგდოს თავი, თუ ეს მოსალოდნელ მოგებას არ გადაამეტებს. ორგანიზმი ვერ წავა ისეთ რამეზე, რაც „არ ღირს“: მგელი თავისი გეშის ანგარიშგაუწევლად ვერ გარისკავს პოლარული ზამთრის ცივ ქარიშხლიან ღამეს სანადიროდ გავიდეს, რათა სადილი მოყინული თათის ფასად მოიპოვოს. მაგრამ შეიძლება ისეთი სიტუაცია შეიქმნას, როცა ასეთი რისკის გაწევა მიზანშეწონილი იქნება, მაგალითად, მაშინ, როცა მტაცებელი

ცხოველი შიმშილით სიკვდილის პირასაა მისული და უკანასკნელი ძალების მოკრება სჭირდება, რათა გადარჩეს.

გასამრჯელო-დასჯის, სიამოვნება-უსიამოვნების საპირისპიროდ მოქმედი პრინციპები რომ იმისთვისაა მოწოდებული, რათა მსხვერპლის გაღებისა და მოგების ურთიერთშეფარდება აწონ-დაწონოს, ცალსახად იქიდან გამომდინარეობს, რომ ორივე პრინციპის ინტენსივობა ორგანიზმის ეკონომიკურ სიტუაციასთან ერთად მერყეობს. თუ მაგალითად, საკვები ჭარბი რაოდენობითაა, მაშინ მისი მიმზიდველი ძალა ისე ეცემა, რომ ცხოველს მის მოსაპოვებლად ორიოდე ნაბიჯის გადადგმაც ეზარება. სულ მცირე უსიამოვნო გამაღიზიანებელი სიტუაციაც კმარა, რათა ჭამის სურვილი დაეკარგოს. ხოლო სიამოვნება-უსიამოვნების შეგუების უნარი ორგანიზმს შესაძლებლობას აძლევს, გასაჭირში სიცოცხლისათვის აუცილებელი მიზნის მისაღწევად, უკიდურესი ფასიც კი გაიღოს.

აპარატს, რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ყველა ცხოველში იმისათვის ზრუნავს, რომ მათი ქცევა სიცოცხლისათვის აუცილებელ ცვალებად „ბაზრის კონიუნქტურას“ მოერგოს, განსაზღვრული ფუნდამენტური ფიზიოლოგიური თავისებურებანი ახასიათებს, რაც მას საერთო აქვს სირთულის იმავე საფეხურზე მყოფ თითქმის ყველა ნევრო-სენსორულ ორგანიზაციებთან. იგი, ჯერ ერთი, ექვემდებარება ფართოდ გავრცელებულ მიჩვევის ანუ გრძნობად ადაპტაციის პროცესს. ეს კი ნიშნავს, რომ გაღიზიანების გამომწვევი ყოველი კომბინაცია, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით მრავალჯერ მეორდება, თანდათან კარგავს ზემოქმედების ძალას, მაგრამ ისე (ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია), რომ რეაქციის ზღურბლის სიდიდე არ იცვლება სხვა, თვით ძლიერ მსგავს გამაღიზიანებელ სიტუაციებზეც კი. მეორეც, ხსენებულ მექანიზმს აგრეთვე ახასიათებს რეაქციის ინერციის ასევე ფართოდ გავრცელებული თავისებურება. თუ, მაგალითად, უსიამო გრძნობის გამომწვევი ძლიერი გამაღიზიანებელი მას წონასწორობიდან გამოიყვანს და შემდეგ ასევე ანაზდად შეწყვეტს ზემოქმედებას, სისტემა დაღმავალი მრუდით კი არ უბრუნდება ინდიფერენტულ მდგომარეობას, არამედ ზეაიჭრება და უსიამოვნო გრძნობის შეწყვეტას გაძლიერებული სიამოვნებით უპასუხებს. ძველი ავსტრიული ხუმრობა აქ ზუსტად ხვდება მიზანს: „დღეს ჩემს ძაღლს მეგობრად გავიხდი: ერთი კარგა მაგრად გავჯოხავ, მერე კი შევეშვები“.

სიამოვნება-უსიამოვნების ორგანიზაციის ორივე ფიზიოლოგიური თავისებურება ამ შემთხვევაში იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მან (ამ სისტემისთვის დამახასიათებელ სხვა თავისებურებებთან ერთად) თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის სასიცოცხლო პირობებში შეიძლება სიამოვნება-უსიამოვნების ეკონომიის საშიში დარღვევები მოგვცეს. ვიდრე ამ დარღვევებს შევეხებოდე, მოკლედ შევჩერდები ბოლოს ნახსენებ თავისებურებებზე – ისინი ეკოლოგიური პირობებიდან გამომდინარეობს, რომლებიც მაშინ მოქმედებდა, როცა ხსენებული მექანიზმი ადამიანის მოდგმის ისტორიაში (ადამიანის ქცევის მრავალ თანდაყოლილ პროგრამასთან ერთად) წარმოიქმნა. ადამიანს მაშინ მეტად მკაცრ და საშიშ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. როგორც მონადირე და ხორცის მჭა-

მელი, იგი მუდამ იყო დამოკიდებული თავის ნადავლზე. თითქმის მუდამ მშიერს და საჭმლის მაძიებელს, მას, როგორც ტროპიკულ არსებას, რომელიც თანდათან ზომიერ სარტყელში იჭრებოდა, შეცვლილი ჰავისგანაც ბევრი სატანჯველი შეხვდა. ხოლო რადგან იგი თავისი პრიმიტიული იარაღით დიდ მტაცებლებს ბევრად ჩამოუვარდებოდა, დიდხანს საგანგაშო მზადყოფნასა და შიშში ცხოვრობდა.

ასეთ პირობებში ზოგი რამ, რაც დღეს „ცოდვად“, ან სულ ცოტა, ზიზღის მომგვრელად გვეჩვენება, სრულიად სწორი, უფრო მეტიც, სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო სტრატეგია იყო. ჭამა და ღორმუცელობა სიქველე იყო; თუ რომელიმე ნადირი ხაფანგში გაებმებოდა, ყველაზე ჭკვიანური, რაც კი შეეძლო ადამიანს მოემოქმედა, იყო – ეჭამა, რამდენიც კი შეეძლო. იგივე ითქმის სიზარმაცის მომაკვდინებელ ცოდვაზე. ძალების ის დაძაბვა, რომელიც საჭირო იყო, რათა რაღაც ნადავლი ეშოვნა, ისე დიდი გახლდათ, რომ ადამიანს ჭკუა უნდა ეხმარა და თავისი ენერგია მომჭირნედ დაეხარჯა. ხიფათი, რომელიც ადამიანს ყოველ ნაბიჯზე დარაჯობდა, ისეთი საშიში იყო, რომ ყოველი უსარგებლო რისკის გაწევა უპასუხისმგებლო სისულელე იქნებოდა. ხოლო სიმხდალის საზღვრამდე მისული სიფრთხილე ყოველი მოქმედების ერთადერთი სწორი მაქსიმა იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ დროში, როცა ინსტინქტების ის დიდი ნაწილი დაპროგრამდა, დღესაც რომ ვატარებთ, ჩვენს წინაპრებს არ სჭირდებოდათ, არსებობის სიძნელეები „მამაკაცურად“ ან „რაინდულად“ ეძებნათ, რათა დაეძლიათ. ეს სიძნელეები თვითონ ეძალებოდნენ მათ და, თანაც, ძლივს ასატანად. ადამიანს ფილოგენეტურად წარმოქმნილი – სიამოვნება-უსიამოვნების პრინციპი ავალებდა, ყველა ხიფათს შეძლებისდაგვარად გასცლოდა, ასევე ენერგიის ზედმეტ ხარჯვას მორიდებოდა, რაც მაშინ სავსებით სწორი იყო.

გამანადგურებელი შედეგები, რაც იმავე მექანიზმს დღევანდელი ცივილიზაციის სასიცოცხლო პირობებში მოაქვს, შეიძლება მისი ფილოგენეტური კონსტრუქციით და მიჩვევა-სიზანტის ორი ფუნდამენტური ფიზიოლოგიური თავისებურებით ავხსნათ. უკვე შორეულ წარსულში კაცობრიობის ბრძენკაცებმა სრულიად სწორად შეიცნეს, რომ ადამიანისათვის სულაც არ არის კარგი, თუ იგი დიდ წარმატებას მიაღწევს თავის ინსტინქტურ სწრაფვაში, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება შეიხვედროს, ხოლო უსიამოვნება თავიდან აიცილოს. ძველ დროში, კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომმა ადამიანებმა იცოდნენ, როგორ აერიდებინათ თავი უსიამოვნების მომტანი სიტუაციისათვის, რამაც შეიძლება მეტად საშიში, ზოგჯერ კულტურის დამღუპველი გასათუთება მოიტანოს. ადამიანებმა ოდითგან ისწავლეს, რომ სიამოვნების მომტანი სიტუაციები შეიძლება მათი გამომწვევი გამაღიზიანებლების ეშმაკური კომბინირებით კიდევ უფრო გააძლიერო, ხოლო მათი მუდმივი შენაცვლებით ისინი მიჩვევისა და დაჩლუნგებისაგან დაიცვა; ამ აღმოჩენას, რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი კულტურის ყველა ადამიანმა გაითავისა, სულიერ მანკამდე მივყავართ. მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა კულტურისათვის ისეთი დამღუპველი, როგორიც გასათუთე-

ბაა. მათ წინააღმდეგ ბრძენკაცებმა ბევრიც იქადაგეს თავის დროზე სიტყვით თუ კალმით, თანაც, დიდი პათოსით.

თანამედროვე ტექნოლოგიის, უპირველესად კი, ფარმაკოლოგიის განვითარებამ აქამდე არნახული წარმატება მოუპოვა ადამიანის საერთო სწრაფვას, უსიამოვნება თავიდან აიცილოს. თვითონაც ვეღარ ვუწევთ ანგარიშს, თუ რა ძლიერ ვართ თანამედროვე „კომფორტზე“ დამოკიდებული, ისე თავისთავად ცხად რამედ იქცა იგი ჩვენთვის. დღეს ყველაზე თავმდაბალი შინამოსამსახურეც კი აგიჯანყდებათ, თუ ისეთ ოთახს შესთავაზებთ, რომელსაც იმგვარი გათბობა, საწოლი და პირსაბანი საშუალება ექნება, საიდუმლო მრჩეველი გოეთე ან თვით ვაიმარის ჰერცოგინია ანა ამალიაც რომ არ დაიწუნებდა. როცა ამ რამდენიმე წლის წინ ნიუ-იორკში, რაღაც სერიოზული შეფერხების გამო რამდენიმე საათით დენი გამოირთო, ძალიან ბევრმა სრულიად სერიოზულად ირწმუნა, ქვეყნის აღსასრული დადგაო. ისინიც კი ჩვენს შორის, ვინც ძველი დროის უპირატესობასა და სპარტანული აღზრდის სიკეთეში მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, თავიანთ შეხედულებას კრიტიკულად გადახედავენ, თუ სიცოცხლის გადასარჩენად 2000 წლის წინანდელ ქირურგიულ ჩარევას შესთავაზებთ.

თანამედროვე ადამიანმა გარემოს სულ უფრო მეტად დამორჩილების მეშვეობით თავისი სიამოვნება-უსიამოვნების – ეკონომიის „ბალანსი“ გადასწია ყოველგვარი უსიამოვნების გამომწვევი გამაღიზიანებელი სიტუაციების მიმართ სულ უფრო ჭარბი მგრძნობელობის, ხოლო ყოველგვარი სიამოვნების მომნიჭებელი სიტუაციების მიმართ გრძნობის დაჩლუნგების მიმართულებით. მთელ რიგ მიზეზთა გამო ამას დამღუპველი შედეგები მოაქვს.

უსიამოვნების მიმართ სულ უფრო მზარდ შეუწყნარებლობას – სიამოვნების მიმზიდველობის კლებასთან ერთად – შედეგად ის მოაქვს, რომ ადამიანები ხალისს კარგავენ შავი სამუშაო შეასრულონ, თუ ის თავისი შედეგებით მხოლოდ მოგვიანებით მოგვანიჭებს სიხარულს. აქედან მოდის სულსწრაფი მოთხოვნილება, ყოველი გაჩენილი სურვილი მაშინვე დაიკმაყოფილონ. იმწამსვე დაკმაყოფილების მოთხოვნილებას (*instant gratification*), სამწუხაროდ, მწარმოებლები და კომერციული ორგანიზაციები ყოველნაირად უწყობენ ხელს. გაოცებას იწვევს, რომ მომხმარებლები ვერ ხვდებიან, თუ რა ძლიერ ვარდებიან ისინი მათი „დამხმარე“ სავაჭრო გარიგების მონობაში.

ადვილად მისახვედრ მიზეზთა გამო სურვილის სწრაფი დაკმაყოფილების მოთხოვნილებას განსაკუთრებით სავალალო შედეგები სექსუალური ქცევის სფეროში მოაქვს. უფრო შორი მიზნისაკენ სწრაფვის უნარის დაკარგვასთან ერთად ქრება როგორც ინსტინქტით, ასევე კულტურით დაპროგრამებული მოხიბვლისა თუ დაწყვილების ყველა უფრო ფაქიზად დიფერენცირებული ქცევის სახეობები. მაშასადამე, ზიანდება არა მხოლოდ ქცევის ის სახეობები, რომლებიც თავიანთი მოდგმის ისტორიის მანძილზე დაწყვილებისათვის წარმოიქმნენ, არამედ ქცევის სპეციფიკურად ადამიანური ნორმებიც, რომლებიც კულტურული ცხოვრების ჩარჩოში ანალოგიურ ფუნქციებს ემსახურება. ბევრ ფილმში ხოტბაშესხმულ და

დღესდღეობით ნორმად ქცეულ მყის შეერთებას „ცხოველური რომ ვუწოდოთ, შეცდომა იქნება, რადგან მსგავსი რამ განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველებში მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ გვხვდება. აქ აჯობებდა სიტყვა „საქონლური“ გვეხმარა, თუ „საქონელში“ მოვიაზრებთ შინაურ ცხოველებს, რომლებსაც ადამიანმა, უფრო იოლი გაწვრთნის მიზნით, დაწყვილების ყველა უფრო მაღალი დიფერენცირებული ქცევა „მოუშალა:“

რადგან სიამოვნება-უსიამოვნების მექანიზმს, როგორც აღვნიშნეთ, ახასიათებს ინერციის თვისება და კონტრასტის წარმოქმნა, თავშეუკავებელ სწრაფვას, სულ მცირედი არასასიამოვნოც კი ყველა საშუალებით თავიდან აიცდინოს, მაშინვე შედეგად მოჰყვა ის, რომ სიამოვნების მიღწევის განსაზღვრული ფორმები, რომლებიც სწორედ კონტრასტულ მოქმედებას ემყარება, შეუძლებელი გახდა. გოეთეს განძის მაძიებლის ძველ სიბრძნეს: „მწარე კვირეები, მხიარული დღესასწაულები“ – დავიწყება ემუქრება. ყველა უსიამოვნების თავიდან მოცილებით, პირველ რიგში, სწორედ სიხარული ხდება მიუღწეველი. ჰელმუთ შულცემ ერთ მეტად საგულისხმო ფაქტზე გაამახვილა ყურადღება – ფროიდთან სიტყვა, ასევე ცნება „სიხარული“ საერთოდ არ გვხვდება. მან იცის ტკბობა, მაგრამ არ იცის სიხარული. თუ ჩვენ, დაახლოებით ასე გვეუბნება შულცე, გახვითქულები და დაღლილები, როცა დაგლეჯილი ხელისგულები გვეწვის და მთელი ტანი გვტკივა, ძნელად დასაძლევ მწვერვალზე შევდგამთ ფეხს და თანაც ვიცით, რომ წინ არანაკლებ ძნელი ჩასასვლელი გველის, აი ის, რასაც მაშინ მთელი არსებით ვიგრძნობთ, ტკბობა კი არ იქნება, არამედ – უდიდესი სიხარული, რომელიც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს. ტკბობა კიდევ შეიძლება განიცადო ისე, რომ უსიამო საქმეს „მწარე კვირეების“ სახით ხარკი არ გადაუხადო, სიხარულის ღვთაებრივ ნაპერწკალს კი ვერასოდეს განიცდი. დღევანდელი განუხრელად მზარდი შეუწყნარებლობა უსიამოვნების მიმართ ადამიანის ცხოვრების ბუნებრივ მაღლობებს და დაბლობებს ხელოვნურად დაგეგმილ ვაკედ აქცევს, ზვირთების დიდებულ ზეაჭრას და დანარცხებას ოდნავ შესამჩნევ, უბადრუკ ვიბრაციებად, სინათლესა და ჩრდილს – ერთფეროვან რუხ ფერად: მოკლედ, მომაკვდინებელ მოწყენილობას წარმოშობს.

„გრძნობის გაცივება“ განსაკუთრებით ემუქრება იმ სიხარულს და მწუხარებას, რასაც ჩვენი სოციალური ურთიერთობა გვანიჭებს მეუღლის, შვილების, ნათესავების თუ მეგობრების მიმართ. ო. ჰაინროთის მიერ 1910 წელს გამოთქმული ვარაუდი, ჩვენს დამოკიდებულებაში ოჯახისა და უცხოთა მიმართ, გულის სწორის თუ მეგობრის არჩევანში წმინდა თანდაყოლილი და გაცილებით უძველესი პროცესები მოქმედებენ, ვიდრე აქამდე გვეგონაო, თანამედროვე ჰუმანეთოლოგიურმა მონაცემებმა დაადასტურეს. ყველა ამ უაღრესად კომპლექსური ქცევის მემკვიდრეობით პროგრამირებას შედეგად ის მოაქვს, რომ იგი ერთდროულად არა მხოლოდ სიხარულის, არამედ ბევრი მწუხარების წყაროცაა. „შეცდომა, რომელიც ძალიან გავრცელებულია და ზოგ ჭაბუკს მცდარ გზაზე აყენებს, ის გახლავთ, თითქოს სიყვარული მხოლოდ მუდმივი სიამოვნება იყოს;“ უთქვამს

ვილჰელმ ბუშს. მწუხარებას თავი აარიდო, ნიშნავს ადამიანური ცხოვრების ერთ დიდ ნაწილზე უარი თქვა. ეს მკვეთრი ტენდენცია სახიფათოდ უერთდება იმ ტენდენციას, რომელიც მოსახლეობის სიჭარბეს მოჰყვება და რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი (*not to get involved*). სწრაფვა, ყოველი მწუხარება ყველა საშუალებით აიცდინონ, თუნდაც ძვირფასი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული, ზოგ კულტურაში მეტად უცნაურ, უფრო მეტიც, შემზარავ სახეს იღებს. ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის უმეტეს ნაწილში იგი, ფროიდისეული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გაძევებულია. გარდაცვლილი ანაზდად ქრება, მასზე არ ლაპარაკობენ, ეს უტაქტობადაც ითვლება. ისე უჭირავთ თავი, თითქოს იგი საერთოდ არც არსებულა. უფრო შემზარავია სატირიკოსთა შორის ყველაზე დაუნდობლის, ეველინ ვოს მიერ სიკვდილის შელამაზების გამათრახება წიგნში „დაუვიწყარი“: მიცვალებულს ფერუმარილს სცხებენ და კარგ ტონად ითვლება, თუ მის მიმზიდველ გარეგნობაზე აღტაცებით ილაპარაკებენ.

გამანადგურებელ შედეგებთან შედარებით, რომელიც ადამიანისათვის უსიამოვნების თავიდან მოცილებას მოაქვს, თითქოს უწყინრად გვეჩვენება ის შედეგები, რომლებიც სიამოვნებისაკენ ასევე უსაზღვრო ლტოლვას მოჰყვება. ლამისაა დაიჯერო, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ადამიანი ზედმეტად უსისხლო და გულმოყირჭებულია, რათა რამდენადმე მნიშვნელოვანი ცოდვა ჩაიდინოს. ვინაიდან სიხარულის განცდის უნარის სულ უფრო მეტად დასუსტება, უმეტესწილად, უფრო და უფრო ძლიერი გამაღიზიანებელი სიტუაციებისადმი მიჩვევიდან მოდის, გასაკვირი არაა, რომ გულმოყირჭებული ადამიანი სულ ახალ-ახალი გამაღიზიანებელი სიტუაციების ძიებაშია. ეს „ნეოფილია“ საკმაოდ ძლიერად ეხება ადამიანის მთელ დამოკიდებულებას გარესამყაროს ობიექტებთან. კულტურის ამ დაავადებით დასნეულებული ადამიანისათვის ფეხსაცმელი, კაბა ან ავტომანქანა, მას შემდეგ რაც ერთხანს იხმარა, ისევე კარგავს მის თვალში მიმზიდველ ძალას, როგორც მიჯნური, მეგობარი და თვით სამშობლოც. გასაკვირი გულგრილობით ყიდის ბევრი ამერიკელი, ახალ ბინაში გადასვლისას, მთელ საოჯახო ნივთებს და ახალს იძენს. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამოგზაურო ბიუროების მუდმივი მისაზიდი საშუალებაა პერსპექტივა – „ახალი მეგობრის შეძენა“: შეიძლება ერთი შეხედვით პარადოქსულად და ცინიკურადაც კი მოგეჩვენოთ ჩემი მტკიცება, რომ სინანულს, რომელსაც რომელიმე ჩვენგანი განიცდის, როცა სანაგვეში აგდებს ძველ ერთგულ შარვალს, ან ჩიბუხს, საერთო აქვს მეგობრებთან ჩვენს ურთიერთობასთან...როცა მახსენდება ჩემი განცდა, ჩვენს ძველ მანქანას გასაყიდად რომ შეველიე, რომელთანაც დაკავშირებული იყო ბევრი მშვენიერი სამოგზაურო მოგონება, უნდა სრულიად გარკვევით ვაღიარო, რომ იგი ძველ მეგობართან განშორების ტოლი იყო. რა თქმა უნდა უსულო საგნის მიმართ ასეთი რეაქცია შეიძლება არც იყოს სწორი, მაგრამ იგი სრულიად გამართლებულია განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარი ცხოველის, თუნდაც ძაღლის მიმართ; არათუ გამართლებულია, არამედ იგი პირდაპირ მეტყველებს ადამიანის გრძნობის სიმდიდრისა თუ სიმწირის შესახებ. ბევრ ადამიანს შინაგა-

ნად შევაქციე ზურგი, რომლებიც თავიანთ ძაღლზე მიყვებოდნენ: „... მერე ჩვენ ქალაქში გადავედით და იძულებული გავხდით, იგი სხვისთვის მიგვეცა."

ნეოფილია იმგვარი მოვლენაა, რომელიც მსხვილ მწარმოებელთათვის, დიახაც რომ, , ფრიად სასურველია. იგი მასების ინდოქტრინირების მეშვეობით კარგ ნიადაგს ქმნის ფართო სტილის მერკანტილური მოგებისათვის, რაც მეშვიდე თავშია აღწერილი. *"Builtin obsoletion"* ე. ი. „მოძველება" პრინციპია, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს ტანისამოსის თუ მანქანების მოდაში.

ამ თავის დასასრულს შევეხები იმ შესაძლებლობებსაც, რომლებიც გრძნობის გასათუთებასა და ემოციურ კვდომას თერაპევტულად უპირისპირდება. რამდენადაც ადვილია მიზეზების დადგენა, მით უფრო ძნელია მათი აცილება. რაც გვაკლია, ეს აშკარად ბუნებრივად მოცემული წინააღმდეგობაა, რომლის დაძლევაც ადამიანს აკაჟებს და უსიამოვნების მიმართ შემწყნარებლობას ავალებს. და თუ ეს შეძლო, განსაცდელის დაძლევა სიხარულად გადაექცევა. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ეს წინააღმდეგობა, როგორც ვთქვით, ბუნებრივად უნდა იყოს მოცემული. განზრახ მოხმობილ სიძნელეთა დაძლევას ცხოვრებაში არ მოაქვს კმაყოფილება. კურტ ჰანმა დიდ თერაპევტულ წარმატებას მიაღწია იმით, რომ გულმოყირჭებული, მოწყენილი ახალგაზრდები ზღვის სანაპიროზე მშველელებად დააყენა. პიროვნების უღრმესი ფენების ამ უშუალოდ შემხებმა გამომცდელმა სიტუაციებმა ბევრს მართლა მოუტანა სრული განკურნება. ანალოგიურ გზას მიმართა ჰელმუთ შულცემ. იგი თავის პაციენტს უაღრესად საშიშ სიტუაციაში, როგორც თავად ამბობს, „სასაზღვრო სიტუაციებში" ათავსებდა. აქ, სრულიად ვულგარულად რომ გამოვთქვათ, ამ გასათუთებულ ხალხს სიცოცხლის ჭეშმარიტ ფასს ისე მძაფრად განაცდევინებდა, რომ მთელი სიშლეგე მაშინვე უქრებოდათ. რაც არ უნდა ეფექტური იყოს ჰანისა და შულცეს თერაპიის ეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამომუშავებული მეთოდები, ისინი პრობლემას მაინც ვერ წყვეტს, რადგან შეუძლებელია საჭირო რაოდენობით მოიძიო ჩაძირული გემები და წყლიდან ამოსაყვანი, გადასარჩენი ხალხი, რათა ყველას ეყოს, ვისაც განსაცდელის ასეთი განცდა სჭირდება. ვერც პლანერში ჩასვამ ყველას, რათა ისეთი შიში აჭამო, ერთბაშად რომ აუხელს თვალს სიცოცხლის სილამაზეზე. ხანგრძლივი განკურნების ერთ-ერთი შესაძლო მოდელი არც თუ ისე იშვიათად, მოცემული გვაქვს ისეთ შემთხვევებში, როცა ემოციურ კვდომას თვითმკვლელობის ცდასთან მივყავართ, რომელიც ჯანმრთელობას მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ ზიანს აყენებს ხოლმე. ერთმა ვენელმა გამოცდილმა ბრმების მასწავლებელმა მიამბო, რომ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავის მოკვლის სურვილით ტყვია საფეთქელთან მიიჭედეს და სამუდამოდ დაკარგეს თვალისჩინი, მეორედ არასოდეს უცდიათ მსგავსი რამ ჩაედინათ. ისინი არა მარტო განაგრძობენ სიცოცხლეს, არამედ გასაოცრად გაწონასწორებულ, უფრო მეტიც, ბედნიერ ადამიანებად ყალიბდებიან. მსგავსი რამ შეემთხვა ერთ ქალს, რომელიც ახალგაზრდობაში, თავის მოკვლის მიზნით, ფანჯრიდან გადახტა, ხერხემალი მოიტეხა და ამის შემდეგ თავისი გადატეხილი ხერხემლით ბედნიერი და ადამიანური ღირსებით სავსე ცხოვრების

გზა განვლო. ეჭვს გარეშეა, რომ ძნელად დასაძლევი დაბრკოლების გადალახვამ აგრძნობინა მოწყენილობის ჟამს სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ახალგაზრდებს სიცოცხლის ფასი.

ჩვენ არ გვაკლია დაბრკოლებები, რომელთა დაძლევა აუცილებელია, რათა კაცობრიობა გადარჩეს. მათთან ბრძოლაში გამარჯვება ჭეშმარიტად ძნელი საქმეა და ყოველი ჩვენგანის მიერ ცალ-ცალკე განსაცდელი სიტუაციები საკმაოზე მეტია. აღზრდის სრულიად დასაძლევ ამოცანად გვესახება ამ დაბრკოლების არსებობა ყოველ ადამიანამდე მივიტანოთ.

თავი მეექვსე

გენეტიკური რღვევა

იმ სოციალური ქცევების წარმოშობა, უფრო კი დამკვიდრება, რომლებიც, თუმცა, მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლოა, მაგრამ ცალკე ინდივიდისათვის საზიანოა (როგორც ახლახან ნორბერტ ბიშოფმა გვიჩვენა), მეტად რთული პრობლემის წინაშე გვაყენებს, თუ მათ ახსნას მუტაციის და სელექციის პრინციპების მოშველიებით მოვინდომებთ. ჯგუფური სელექციის არც ისე ადვილად ჩასაწვდომ პროცესებს (რაზეც აქ უფრო დაწვრილებით ვერ შევჩერდები) შეუძლიათ კიდევ როგორღაც ახსნან „ალტრუისტული“ ქცევები, მაგრამ სოციალური სისტემა, რომელიც ამ გზით წარმოიქმნება, მაინც უცილოდ ლაბილური რჩება. მაგალითად, თუ ჭკას (*Coloeus monedula L.*) მეგობრის დაცვის რეაქცია გაუჩნდება და მტაცებლის კლანჭებში ჩავარდნილი თანამოძმის გამოსახსნელად თავგანწირვით შეებმება საერთო მტერს, ნათელია, თუ რატომ აქვს ამგვარი ქცევის მქონე ჯგუფს და მის წევრებს გადარჩენის უკეთესი პერსპექტივები, ვიდრე იმ ჯგუფს, რომელსაც ეს აკლია. მაგრამ რა უშლის ხელს, რომ ჯგუფის შიგნით ცალკე ინდივიდები გაჩნდნენ, რომლებსაც აკლიათ მეგობრის დაცვის რეაქცია? მუტაცია-ამოვარდნები ყოველთვისაა მოსალოდნელი და, ადრე თუ გვიან, უცილოდ იჩენს თავს. ზემოაღნიშნული ალტრუისტული ქცევის შემთხვევაში ისინი უთუოდ სელექციური უპირატესობის მანიშნებელია, რადგანაც ვვარაუდობთ, რომ თანამოძმის დაცვა სახიფათოა. მაშასადამე, „ასოციალური ელემენტები“, რომლებიც საზოგადოების ჯერ კიდევ ნორმალურ წევრთა სოციალურ ქცევებს მოტმასნული პარაზიტებია, ადრე თუ გვიან, საზოგადოებაში ფეხს იკიდებს. ეს რა თქმა უნდა, ეხება მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივ ცხოველებს, რომლებშიც გამრავლების და სოციალური შრომის ფუნქციები არ არის სხვადასხვა ინდივიდზე განაწილებული, როგორც მაგ. „სახელმწიფოს შემქმნელ“ მწერებში. ჩვენ მიერ განხილული პრობლემა მათ არც ეხება, იქნებ სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ მუშებისა და ჯარისკაცების „ალტრუიზმმა“ ამ მწერებში ესოდენ უკიდურესი ფორმა მიიღო.

ჩვენ არ ვიცით რა უშლის ხელს, რომ სოციალ-პარაზიტები ხერხემლიან ცხოველთა ერთობას ვერ არღვევენ. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც

იგივე ჭკა თანამოძმის „სიმხდალემ", რომელიც მონაწილეობას არ იღებს ამხანაგის დაცვაში, აღაშფოთოს. ასოციალურ ქცევაზე „აღშფოთებას" ჩვენ ვადასტურებთ მხოლოდ ინტეგრაციის შედარებით დაბალ და უმაღლეს დონეზე არსებულ სისტემებში, კერძოდ, უჯრედ – „სახელმწიფოში" და ადამიანთა საზოგადოებაში. იმუნოლოგებმა უაღრესი მნიშვნელობის ფაქტი დაადგინეს, რომ ანტისხეულების წარმოქმნის უნარსა და ავთვისებიანი სიმსივნის წარმოშობის საფრთხეს შორის მჭიდრო კავშირია. დიახ, შეიძლება იმ აზრამდე მივიდეთ, რომ სპეციფიკური თავდაცვითი ნივთიერებანი, საერთოდ, სელექციის ზეგავლენით „იქნა გამოგონილი", რადგან მრავალწლიანი და, უპირველესად, ზრდის დიდი ხანგრძლივობის მქონე ორგანიზმები მუდმივ საფრთხეშია, რათა უჯრედთა ურიცხვი დაყოფისას ახალმა მუტაციებმა საშიში „ასოციალური" უჯრედები არ წარმოშვას. ორივე – ავთვისებიანი სიმსივნეც და ანტისხეულების წარმოქმნაც – უხერხემლოებში არ გვხვდება, სამაგიეროდ, ორივე გვხვდება განვითარების უდაბლეს საფეხურზე მდგარ ხერხემლიანთა შორის, ციკლოსტომებში, რომლებსაც, მაგალითად, წყლის სალამურა განეკუთვნება. ჩვენ ალბათ ყველანი ყმაწვილობაში დავიხოცებოდით ავთვისებიან სიმსივნისაგან, ჩვენ სხეულს რომ იმუნალურ რეაქციათა სახით არ ჰყავდეს ერთგვარი „უჯრედი-პოლიცია", რომელიც ამ სოციალურ მევახშეებს მუსრს ავლებს.

ადამიანთა საზოგადოებაში ასოციალურ ქცევას ყოველი ნორმალური წევრი უაღრესად სპეციფიკური რეაქციით უპასუხებს. ჩვენ „აღშფოთებულნი" ვართ და ყველაზე უფრო უდრტვინველიც კი მყისვე ხმას იმაღლებს თუ შეესწრება ბავშვის დაჩაგვრას ან ქალზე ძალადობას. სრულიად განსხვავებულ კულტურათა სამართლის სტრუქტურის შედარებითი ანალიზი აქ სრულ თანხვდომას გვიჩვენებს, რაც უმნიშვნელო დეტალებშიც მჟღავნდება და კულტურულ-ისტორიული ურთიერთკავშირებით არ აიხსნება. გოეთე ამბობს: „სამართალს, რომელიც ჩვენთან ერთად გაჩნდა, სამწუხაროდ, არასოდეს უწევენ ანგარიშს." რწმენა, რომ არსებობს კულტურით განპირობებული კანონმდებლობისგან სრულიად დამოუკიდებელი ბუნებრივი სამართალი, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან დაკავშირებულია იმ წარმოდგენასთან, რომ იგი უშუალოდ ღვთაებრივი წარმოშობისაა.

სწორედ იმ დღეს, როცა ამ თავის წერას შევუდექი უცნაური დამთხვევა მოხდა: მივიღე წერილი შედარებით იურისპრუდენციაში მოღვაწე ჰ. ზანდისაგან, საიდანაც ვრცელ ამონაწერს მოვიყვან: „უახლესი კვლევა შედარებით სამართალში მიმართულია უმეტესად მსოფლიოს სხვადასხვა სამართლის სისტემათა შორის სტრუქტურულ მსგავსებათა შესწავლაზე (ასეთია, მაგალითად, ამას წინათ კორნელის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული ერთობლივი პროექტი – „ლეგალურ სისტემათა საერთო ცენტრი"). ამ მართლაც უამრავ დამთხვევათა შესახებ დღემდე ძირითადად სამი ახსნა მოგვეპოვება: მეტაფიზიკურ-ბუნებრივ სამართლებრივი (ბუნებისმეცნიერებაში მას ვიტალისტები შეესაბამება), ისტორიული (სხვადასხვა სამართლის სისტემათა შორის იდეათა გაცვლა დიფუზიისა და კონტაქტის მეშვეობით, ე. ი. იმიტაციით შესწავლილი ქცევები) და ეკოლოგიური (გარემო პირობებთან შეგუება, ანუ ინფრასტრუქტურა, ე. ი. ერთობლივი გამოც-

დილების საფუძველზე შეთვისებული ქცევის სახეები). ამათ ემატება ამ ბოლო ხანებში საერთო „სამართლის გრძნობის“ ფსიქოლოგიური ახსნა (ინსტინქტის ცნება!) ბავშვობის ტიპური გამოცდილების საფუძველზე, ფროიდზე უშუალო დაყრდნობით (უპირველესად დავასახელებთ პროფ. ალბერტ ერენცვაიგს ბერკლიდან – თავისი „ფსიქო-ანალიტიკური იურისპრუდენციით“).

ამ ახალ ორიენტაციაში მნიშვნელოვანია იმის შეცნობა, რომ სოციალური ფენომენი „სამართალი“ აქ ინდივიდუალურ სტრუქტურებზე დაიყვანება და არა პირიქით, როგორც ეს ტრადიციულ სამართლის თეორიაშია. ჩემი აზრით, სამწუხარო ის არის, რომ სამართალში ყურადღება მახვილდება შეთვისებულ ქცევებზე, ხოლო თანდაყოლილი ქცევები ყურადღების მიღმა რჩება. თქვენი გამოკვლევების საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ (რაც არც ისე ადვილია იურისტისათვის!) მტკიცედ მჯერა, რომ ეს მისტიკური „სამართლის გრძნობა“ (ამ სიტყვას შეგვიძლია ძველი სამართლის თეორიამდე ჩავსდიოთ, მაგრამ ახსნას ვერსად ვიპოვით) ტიპური თანდაყოლილ ქცევათაგანია.“

ამ თვალსაზრისს სავსებით ვიზიარებ, თუმცა, კარგად მესმის მისი დამტკიცების მთელი სიძნელე, რაზეც ბ-ნი პროფ. ზანდი თავის წერილში თვითონვე მიუთითებს. მაგრამ რაც არ უნდა გვამცნოს მომავალმა გამოკვლევებმა ადამიანის სამართლის გრძნობის ფილოგენეტიკურ და კულტურულ-ისტორიულ წყაროებზე, მეცნიერულად დადგენილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ სახეობას – ჰომო საპიენსს – გააჩნია ქცევის უაღრესად დიფერენცირებული სისტემა, რომელიც, უჯრედებიან სახელმწიფოში ანტისხეულების წარმომშობი სისტემის ანალოგიურად, კოლექტივისათვის საშიში პარაზიტების მოსპობას ემსახურება.

თანამედროვე კრიმინოლოგიაშიც ისმის კითხვა, თუ რა წვლილი მიუძღვის კრიმინალურ ქცევაში თანდაყოლილი სოციალური ქცევებისა და გენეტიკური შემაკავებელი ფაქტორების მოშლას და რომელი მათგანი აიხსნება სოციალური ნორმების კულტურული ტრადიციების დარღვევებით. ამ მეტად რთული საკითხის გადაწყვეტას, აქ გაცილებით მეტი პრაქტიკული ღირებულება აქვს, ვიდრე სამართლისმცოდნეობაში. სამართალი სამართლად რჩება და იგი ყველამ ერთნაირად უნდა დაიცვას იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა განსაზღვრავს მის სტრუქტურას: მხოლოდ ფილოგენეტიკური თუ კულტურული განვითარება. კრიმინალური დანაშაულის გარჩევისას ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, დამნაშავის დეფექტი გენეტიკურადაა განპირობებული, თუ აღზრდით, რათა იგი კვლავ ვაქციოთ საზოგადოების სრულფასოვან წევრად. თუმცა, იმის თქმაც არ შეიძლება, თითქოს გენეტიკური გადახრების მიზანდასახული ვარჯიშით გამოსწორება შეუძლებელი იყოს. მაგ. კრეჩმერის მიხედვით, ბევრი ჩია აგებულების კაცს (*Leptosome*), თანმიმდევრობით ჩატარებული ვარჯიშების მეოხებით ლამის ათლეტის მუსკულატურა შეუძენია. ყველაფერი, რაც ფილოგენეტიკურადაა დაპროგრამებული, იპსო ფაქტო სწავლა-აღზრდას რომ სრულიად დაუქვემდებარებელი ყოფილიყო, მაშინ ადამიანი თავისი ინსტინქტებისა და იმპულსების საბურთაო გახდებოდა. ყოველგვარი კულტურული ერთად ცხოვრების წინაპი-

რობაა, ადამიანმა საკუთარი ლტოლვების მოთოკვა ისწავლოს. ასკეტთა ყველა ქადაგებას სწორედ ეს ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად, მაგრამ გონიერება და პასუხისმგებლობა, უნდა ითქვა, სრულიადაც არ არის უსაზღვრო ძალაუფლების მქონე. ჯანმრთელ ადამიანში სწორედ იმ ძალისაა, რამდენიც საჭიროა, რათა იგი კულტურული საზოგადოების წევრი გახდეს. სულიერად ჯანმრთელი და ფსიქოპატი (ჩემი ერთი ძველი შედარება რომ მოვიშველიო) ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც კომპენსირებული გულის მანკით დაავადებული ადამიანი დეკომპენსირებული გულის მანკით დაავადებულისაგან. ადამიანი, როგორც არნოლდ გელენმა მოსწრებულად თქვა, ბუნებით, მაშასადამე, ფილოგენეტურად კულტურული არსებაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ინსტინქტური ლტოლვები და ამ ლტოლვათა კულტურით განპირობებული შეგნებული მოთოკვა ქმნის ერთ სისტემას, სადაც ორივე ქვესისტემის ფუნქციები ზუსტადაა ერთმანეთთან შეთანხმებული. მცირეოდენი მეტ-ნაკლებობა ერთ ან მეორე მხარეს დარღვევას იწვევს, და ეს უფრო ადვილად ხდება, ვიდრე იმ ადამიანთა უმეტესობას ჰგონია, ვისაც ადამიანისა და სწავლის ყოვლისშემძლეობისა სჯერა. კომპენსაცია, რომელსაც ადამიანი თავის სურვილებზე ბრძანებლობით აღწევს, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ძალზე მცირეა.

უპირველესად, კრიმინოლოგიამ იცის, თუ რა ცოტა იმედია, ეგრეთ წოდებული სულიერად გაღატაკებული სოციალურ ადამიანად აქციო. ეს ერთნაირად ეხება როგორც სულიერად მწირად გაჩენილებს, ისე იმ უბედურებს, რომლებსაც ეს სულიერი სიმწირე აღზრდის ხარვეზებით, უპირველესად კი, ჰოსპიტალიზაციით (რენე შპიტცი) შეიძინეს. დედასთან სოციალური კონტაქტის არქონა ადრეულ ბავშვობაში სოციალური კავშირის უუნარობას წარმოშობს (უარესს თუ არა), რომლის სიმპტომებიც გარეგნულად ძლიერ წააგავს თანდაყოლილ ემოციურ სიბეჩავეს. მაშასადამე, არც ყველა თანდაყოლილი დეფექტია უკურნებელი, მაგრამ არც ყველა შეძენილია განკურნებადი. ექიმის ძველი დევიზი: „პროფილაქტიკა სჯობს მკურნალობას“ – სულიერი ანომალიებისათვისაც გამოდგება.

პირობითი რეაქციის ყოვლისშემძლეობის რწმენას საკმაოდ დიდი ბრალი მიუძღვის ზოგჯერ მცდარი სასამართლო განაჩენის გამოტანაში. ფ. ჰაკერი მენინგერის კლინიკაში, ტოპეკაში, კანზაში წაკითხულ მოხსენებებში ერთ ასეთ შემთხვევას შეეხო: ახალგაზრდა მკვლელმა, ვინც ფსიქოთერაპიულ კლინიკაში მკურნალობა გაიარა და ბოლოს გაწერეს როგორც განკურნებული, მოკლე ხანში მეორე მკვლელობა ჩაიდინა. ეს სულ ოთხჯერ განმეორდა და მხოლოდ მას მერე, რაც ამ კრიმინალმა მეოთხე ადამიანი შეიწირა, ჰუმანური, დემოკრატიული და ბიჰევიორისტული საზოგადოება როგორც იქნა მიხვდა, რომ იგი საზოგადოებისათვის საშიშია.

ეს ოთხი მოკლული ადამიანი კიდევ მცირე ბოროტებაა იმასთან შედარებით, რასაც დღევანდელი საზოგადოებრივი აზრი, პოზიცია ბოროტმოქმედების მიმართ იჩენს: რელიგიად ქცეული რწმენა, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდანვე თანასწორია და, რომ ბოროტმოქმედების ყველა ზნეობრივი დანაშაული მხოლოდ მის

აღმზრდელებს ეკისრებათ არასწორი აღზრდისა-თვის, ძირშივე ანადგურებს ბუნებრივი სამართლის ყოველგვარ გრძნობას, უპირველეს ყოვლისა, ასოციალურ, საზოგადოებიდან ამოვარდნილ ადამიანში, ვისაც საკუთარი თავი საზოგადოების მსხვერპლად წარმოუდგენია და ძალიანაც ეცოდება. ამას წინათ, ერთ ავსტრიულ გაზეთში სენსაციური ფაქტი დაიბეჭდა: ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი მშობლების წინაშე შიშის გამო მკვლელი გახდა. მას საკუთარი ათი წლის და გაუუპატიურებია და როცა ის დაემუქრა, ყველაფერს მშობლებს ვეტყვიო, დაუხრჩვია. მთელ ამ ამბავში მშობლებს ალბათ ნაწილობრივ მართლაც მიუძღვით ბრალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმიტომ არა, თითქოს ბიჭისთვის ზედმეტი შიში შთაენერგოთ.

მსგავსი შეხედულების გაჩენის ეს მკაფიოდ პათოლოგიური უკიდურესობა მხოლოდ მაშინ გახდება გასაგები, თუ ვიცით, რომ იგი მარეგულირებელი სისტემის ფუნქციაა, რომელიც, როგორც დასაწყისში ვთქვით, მიდრეკილია მერყეობისაკენ. საზოგადოებრივი შეხედულება ინერტულია, სიახლეზე რეაგირებს მხოლოდ ხანგრძლივი „მკვდარი დროის“ შემდეგ; ამასთან ერთად, მას უხეში გამარტივება უყვარს, რაც ხშირად ფაქტობრივი ვითარების გაზვიადებას წარმოადგენს. ამიტომაც ოპოზიცია, საზოგადოებრივ აზრს რომ აკრიტიკებს, ამ შემთხვევაში თითქმის ყოველთვის მართალია. მაგრამ შეხედულებათა შეხლა-შემოხლაში ოპოზიცია უკიდურესობაში ვარდება, რაც არ მოხდებოდა, იგი რომ საწინააღმდეგო შეხედულების გატანას არ ესწრაფოდეს. ხოლო, როგორც კი აქამდე გაბატონებულ შეხედულებას წყალი შეუდგება, რაც ანაზდად ხდება ხოლმე, მაშინ გამარჯვება ოპოზიციის ასევე გაზვიადებულ ექსტრემულ პოზიციას დარჩება.

ლიბერალური დემოკრატიის დღევანდელმა კარიკატურულმა ფორმამ მერყეობის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მის მოპირდაპირე მხარეზე, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, იდგნენ აიხმანი და აუშვიცი, ნარკოტიკებით სიკვდილის შემსუბუქება, რასობრივი სიძულვილი, ხალხთა ჟლეტა და ლინჩის სამართალი. უნდა შევიგნოთ, რომ სადაც ამ ორ საპირისპირო წერტილთა შორის მოქანავე ქანქარა გაჩერდება, იქაა ჭეშმარიტი ღირებულება საძიებელი. მის „მარცხენა“ მხარეს თავისუფალი ინდივიდუალური განვითარება ძევს, „მარჯვენა“ მხარეს – სოციალური და კულტურული სიჯანსაღის ღირებულება. ანტიჰუმანურია უკიდურესობა ორივე მიმართულებით. იგი ძლიერდება და ამერიკაში უკვე ვდგავართ საშიშროების წინაშე, რომ, მაგალითად, ახალგაზრდებისა და ზანგთა თავისთავად, დიახაც, სამართლიანი, მაგრამ წრესგადასული ჯანყი მემარჯვენე რადიკალურ ელემენტებს სასურველ საბაბს მისცემს, ძველი, ველური თავშეუკავებლობით შეაგებონ უკიდურესი საპასუხო დარტყმა. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ეს იდეოლოგიური ქანაობა არათუ უხმაუროდ არ ჩაივლის, არამედ საშიშ მიდრეკილებას იჩენს – „კანონზომიერ კატასტროფად“ ჩამოყალიბდეს. მეცნიერის ვალია ამ სატანური მერყეობის დაშოშმინებისათვის მუხლჩაუხრელად იღვწოდეს. მრავალ წინააღმდეგობათა შორის, რაშიც ცივილიზებული კაცობრიობა საკუთარი გამოისობით გაიხლართა, ერთ-ერთია ის, რომ აქაც ცალკეული ინდივიდის მიმართ ჰუმანურობის გამოჩენა კაცობრიობის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ჩვენი

თანაგრძნობა ასოციალური, საზოგადოებიდან ამოვარდნილი ადამიანისადმი, რომლის არასრულფასოვნებაც შეიძლება გამოწვეული იყოს გამოუსწორებელი, ადრე ბავშვობაში აღზრდით მიყენებული ზიანით (ნაძალადევი ჰოსპიტალიზაცია!), ან მემკვიდრეობითი პათოლოგიით, ხელს გვიშლის, დავიცვათ საზოგადოების ნორმალური წევრი. საკმარისია წამოგცდეთ სიტყვა „არასრულფასოვანი“ ან „სრულფასოვანი“, რომ მაშინვე გაზის კამერის მოსარჩლედ გამოგაცხადონ.

სრულიად ცხადია, რომ „სამართლის მისტერიული გრძნობა“, რომლის შესახებაც პ. ჰ. ზანდი ლაპარაკობს, არის გენეტიკურად გადაჯაჭვული რეაქციების სისტემა, რომელიც ჩვენი თანამოძმის ასოციალური ქცევის წინააღმდეგ განგვაწყობს. ეს რეაქციები ქმნიდნენ ისტორიულ ეპოქებში იმ უცვლელ მთავარ მელოდიას, რომლის გარშემოც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ითხზვებოდა ცალკეულ კულტურათა სამართლისა და ზნეობის სისტემები. ამ გაუცნობიერებელ სამართლის გრძნობაში აშკარა მცდარობათა ალბათობა ისევე დიდია, როგორც ნებისმიერი ინსტინქტური რეაქციის დროს. უცხო კულტურის წარმომადგენელი, რომელიც არ გამოიჩენს სათანადო თავაზიანობას (მაგალითად, თუ იგი, ახალ გვინეაში ჩასული პირველი გერმანული ექსპედიციის წევრივით – წმინდა პალმის ხეს მოჭრის), მას იმავე თვითკმაყოფილი სამართლის გრძნობით მოკლავენ, როგორც საკუთარი თემის ნებისმიერ წევრს, რომელმაც ტაბუს კულტურის წინაშე მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ბრბოს ქცევა *"Mobbing"*, რომელსაც ასე იოლად მივყავართ ლინჩის სამართალთან, ფაქტობრივად ერთ-ერთი ანტიჰუმანური ქცევაა, სანამდეც კი შეიძლება მივიდეს თანამედროვე ნორმალური ადამიანი; იგი ბადებს ყველა სისასტიკეს გარეთ – „ბარბაროსთა“ წინააღმდეგ და თავისი საზოგადოების შიგნით – უმცირესობათა წინააღმდეგ, აძლიერებს ცრუსახეობათა შექმნის მიდრეკილებას (ერიკზონის თანახმად) და საფუძვლად უდევს სოციალ-ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილ ბევრ პროექციულ მოვლენებს, მაგალითად, საკუთარ უვარგისობაში სხვისი „დადანაშაულების“ ტიპურ მცდელობას, „განტევების ვაცის“ ძიებას, და ბევრ სხვა ასევე უაღრესად საშიშ და ამორალურ იმპულსებს (ისინი საქმეში ჩაუხედავისათვის ინტუიციურად განუსხვავებელია), რომლებიც ამ გლობალურ სამართლის გრძნობაში შედის.

მაგრამ იგი ჩვენს სოციალურ ქცევათა მოქმედების სტრუქტურისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ფარისებრი ჯირკვლები ჩვენი ჰორმონებისათვის, და დღევანდელი სრულიად აშკარა ტენდენცია, ყველაფერი ხელაღებით წყალში გადაიყაროს, ისეთივე შეცდომაა, როგორც ცდა, ბაზედოვის დაავადება ფარისებრი ჯირკვლების სრული ამოკვეთით განვკურნოთ. ბუნებრივი სამართლის გრძნობის გაუქმება დღევანდელი აბსოლუტური შემწყალებლობისადმი მიდრეკილების წყალობით განსაკუთრებით საშიშ ძალას იძენს ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის სახით, რომლის თანახმადაც, ყოველი ადამიანური ქცევა შეძენილია. ძალიან ბევრი რამ ჩვენს ქცევაში, რაც საზოგადოების საკეთილდღეოდ თუ საზიანოდაა მიმართული (ღვთის წყალობა ან რისხვაა), ადრეულ ბავშვობაშია ჩანერგილი მეტ-ნაკლებად კეთილგონიერი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და,

უპირველეს ყოვლისა, ემოციურად ჯანსაღი მშობლების მიერ. ასევე ბევრი რამ, მეტი თუ არა, გენეტიკურადაა განსაზღვრული. ჩვენ ვიცით, რომ საპასუხისმგებლო, კატეგორიული საკითხის დიდ მარეგულირებელ ძალას სოციალური ქცევის როგორც აღზრდით განპირობებული, ისე გენეტიკური ნაკლის კომპენსირება მხოლოდ ვიწრო საზღვრებში შეუძლია.

თუ ვისწავლეთ ბიოლოგიურად აზროვნება და ინსტინქტური ლტოლვების ძალის შესახებ ისეთივე ცოდნა მოგვეპოვება, როგორც ზნეობისა და ყველა კეთილი განზრახვის რელატიური უღონობის თაობაზე და თუ ამის გარდა სოციალური ქცევის შეფერხებათა შესახებ რამდენიმე ფსიქიატრიულ და სიღრმის-ფსიქოლოგიურ დებულებას ვიცნობთ, მაშინ ვეღარ შევძლებთ „კანონის დამრღვევნი“ იმ სამართლიანი აღშფოთებით შევრისხოთ, როგორც ამას ყოველი ემოციური მიამიტი სჩადის, რადგან საზოგადოებიდან ამოვარდნილ ადამიანში უფრო შესაბრალის ავადმყოფს დავინახავთ, ვიდრე სატანურად ბოროტს, რაც წმინდა თეორიულადაც სწორია. მაგრამ თუ ამ თავისთავად სრულიად სამართლიან პოზიციას ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის ცრურწმენა გამოიყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველი ადამიანური ქცევა გარკვეულ პირობებში ყალიბდება და პირობების შესაბამისად, მისი უსაზღვროდ შეცვლა და შესწორება შეიძლება – ამით ადამიანთა საზოგადოების წინაშე მძიმე ცოდვას ჩავიდენთ.

სრულად რომ წარმოვიდგინოთ საშიშროება, რომელიც კაცობრიობას მემკვიდრეობითი ინსტინქტებიდან ამოვარდნის შედეგად ემუქრება, ნათლად უნდა გავაცნობიეროთ ის, რომ თანამედროვე ცივილიზებული ცხოვრების პირობებში არც ერთი ფაქტორი არ გვაქვს, რომელიც მარტივი სიკეთისა და წესიერების მიხედვით მოახდენდა სელექციას, გარდა ჩვენივე თანდაყოლილი გრძნობისა. დასავლეთის კულტურის ეკონომიკურ შეჯიბრში მათთვის სელექციის მხოლოდ ცალსახა ნეგატიური წინაპირობებია! კიდევ კარგი, რომ ეკონომიკური წარმატებები არ არის აუცილებლად გამრავლების ნორმასთან დადებითად შეფარდებული.

ზნეობის აუცილებლობის კარგ ილუსტრაციას გვაძლევს ერთი ებრაული ანეკდოტი: მილიარდერი მაჭანკალთან მივიდა, ცოლის შერთვა მინდაო. მაჭანკალმა მაშინვე უქო ერთი უჩვეულოდ ლამაზი ქალიშვილი, რომელიც თურმე სამჯერ ზედიზედ გამხდარა „მის ამერიკა“. მდიდარმა უარი თქვა: ლამაზი ჩემი თავიც მეყოფაო; მაშინ მაჭანკალი პროფესიული ენაწყლიანობით ახლა სხვა საცოლის ქებას მოჰყვა, რომლის მზითევიც რამდენიმე მილიარდს შეადგენდა. „სიმდიდრე“ არ მჭირდება – გააწყვეტინა კრეზუსმა, – „სიმდიდრე ჩემიც მეყოფა“. მაშინ მაჭანკალმა მესამე სიაც მოიმარჯვა და ახალი საცოლე შესთავაზა, რომელიც ოცდაერთი წლის ასაკში უკვე მათემატიკის დოცენტი იყო, ამჟამად კი ოცდაოთხი წლისა პროფესორია ინფორმაციის თეორიისო. „ჭკვიანი არ მჭირდება“ – თქვა მილიარდერმა დამცინავად, – „ჩემი ჭკუაც მეყოფა“. მაშინ თავგზარეულმა მაჭანკალმა წამოიძახა: „ღვთის გულისათვის, მითხარით, როგორი ცოლი გინდათ?“

„წესიერი“ – იყო პასუხი.

თუ რა ჩქარა იკიდებს ფეხს სოციალურ ქცევათა რღვევა სპეციფიკური სელექციის ამოვარდნის შემთხვევაში, ეს შინაურ ცხოველებზე დაკვირვებიდანაც ვიცით. ამაზე გარეული ცხოველებიც მეტყველებენ, ტყვეობაში რომ ამრავლებენ. შთამომავლობის გამომზრდელმა ზოგიერთმა თევზმა, რომლებსაც კომერციული მიზნით ხელოვნურად ამრავლებდნენ, რამდენიმე თაობის შემდეგ ისე დაკარგა შთამომავლობის მოვლის გენეტიკური უნარი, რომ დუჟინობით თევზში ძლივსღა იპოვით ერთ წყვილს, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია შთამომავლობის რიგიანი პატრონობა. ეს საოცრად ჰგავს კულტურით შეპირობებული სოციალური ქცევების ნორმათა დარღვევას. აქაც ყველაზე დიფერენცირებული და ისტორიულად ახალგაზრდა მექანიზმები განსაკუთრებით მგრძნობიარეა რღვევის მიმართ. ძველი, საყოველთაოდ გავრცელებული ინსტინქტები, როგორიც საკვების მიღება და გამრავლებაა, ხშირად ჰიპერტროფიას განიცდის, თუმცა ადამიანი სწორედ განურჩეველ და ხარბ ჭამა-სმა-გამრავლების ინსტინქტს უწყობს ხელს სელექციურად, ხოლო აგრესიისა და გაქცევის ინსტინქტს, როგორც არასასურველს, თავიდან იშორებს.

საერთოდ კი, შინაური ცხოველი თავისი პატრონის ბოროტი კარიკატურაა. ერთ ჩემს ადრინდელ ნაშრომში (1954) ვწერდი, რომ ჩვენი ესთეტიკური ღირებულების განცდა სრულიად მკაფიო დამოკიდებულებას ამჟღავნებს იმ ფიზიკურ ცვლილებათა მიმართ, რასაც ცხოველი მოშინაურების პროცესში განიცდის; კუნთების გაქრობა, გასუქება, გადმოვარდნილი ფაშვი, თავის ქალის ფუძის, ასევე კიდურების დამოკლება – მოშინაურების ტიპური ნიშნებია. ისინი ცხოველსა და ადამიანშიც სიმახინჯედ აღიქმება, ხოლო საპირისპირო ნიშნები მათ მფლობელს „კეთილშობილად“ წარმოაჩენს. სავსებით ამის ანალოგიურია ჩვენი ემოციური შეფასებაც იმ ქცევებისა, რომლებსაც მოშინაურება სპობს ან მოსპობით ემუქრება; დედობრივი სიყვარული, უანგარო და თავდადებული შრომა ოჯახისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ, ქცევის ისეთივე ინსტინქტის შესაბამისად დაპროგრამებული ნორმებია, როგორიც ჭამა და განაყოფიერება, მაგრამ ჩვენ მათ ამათზე გაცილებით მაღლა ვაყენებთ.

ჩემს გამოკვლევებში გამოწვლილვით გავაანალიზე, თუ რა მჭიდრო ურთიერთკავშირია მოშინაურებით ცხოველის გარკვეულ თვისებათა საფრთხეში ჩაგდებასა და ჩვენ მიერ ამ ცვლილებათა ეთიკურ და ესთეტიკურ შეფასებას შორის. კორელაცია აქ ისე აშკარაა, რომ მას შემთხვევითად ვერ მივიჩნევთ. და ამ მოვლენის ერთადერთი ახსნა ის იქნება, რომ ჩვენი შეფასებები იმ ჩაშენებულ მექანიზმებს ეყრდნობა, რომლებიც მოწოდებულია სრულიად გარკვეულ, კაცობრიობისათვის საშიში რღვევის მოვლენებს გზა გადაუკეტოს. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენი სამართლის გრძნობებიც, ასევე ფილოგენეტურად დაპროგრამებულ უნარს ეყრდნობა, რომლის ფუნქციაა საზოგადოების ინფილტრაციას ჩვენს ასოციალურ თანამოძმეთა მეშვეობით დაუპირისპირდეს.

მემკვიდრეობით ცვლილებათა ერთ-ერთი სინდრომია ის, რაც ადამიანში და შინაურ ცხოველებში ანალოგიურად და ერთი და იმავე მიზეზით იჩენს თავს – ეს

არის სქესობრივად ნაადრევი მომწიფებისა და ხანგრძლივი სიყმაწვილის ფრიად უცნაური კომბინაცია. ბლოკმა უკვე დიდი ხნის წინ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ადამიანი თავისი ძალზე ბევრი ფიზიკური ნიშნით მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ზოოლოგიურად თავისი უახლოესი ნათესავი ცხოველის სწორედ ახალგაზრდულ ფორმასთან, ვიდრე ზრდადასრულებულთან. ყმაწვილობაში დახანებას ბიოლოგიაში ნეოტენიას (*Neotenie*) უწოდებენ. ლ. ბოლკი (1926) მიუთითებს რა ადამიანში ამ მოვლენაზე, ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ონტოგენეზის შენელებასა და შეკავებაზე. ის, რაც ადამიანის სხეულის ონტოგენეზის შესახებ ითქვა, ეხება მის ქცევასაც. როგორც ვცადე მეჩვენებინა (1943), ადამიანს ღრმა მოხუცებულობამდე ახასიათებს ახლის შეცნობის ბავშვური ცნობისმოყვარეობა. იგი, როგორც არნოლდ გელენი ამბობს (1940), გახსნილია სამყაროსადმი, რაც სიჭაბუკის უტყუარი ნიშანია.

ბალღურობა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უკეთილშობილესი ჰუმანურ თვისებათაგანია. „ადამიანი მხოლოდ მაშინაა სრულად ადამიანი, როცა თამაშობს“, – ამბობს ფრიდრიხ შილერი. „ნამდვილ მამაკაცში ბავშვია დამალული, მას თამაში სწყურია“ – ამბობს ნიცშე. „დამალული? კი მაგრამ, როგორ?“ – მეკითხება ჩემი მეუღლე. ოტო ჰანმა გაცნობის პირველ წუთებშივე მკითხა: „მითხარით, ხომ გაქვთ რაღაც ბავშვური ხასიათში? იმედია, ცუდად არ გამიგებთ!

ბალღური თვისებები, უეჭველად, ადამიანად გახდომის ერთ-ერთი წინაპირობაა. საკითხი მხოლოდ იმგვარად დაისმის, ადამიანისათვის დამახასიათებელი გენეტიკური გაბავშვება იმ ზომით ხომ არ ვითარდება, რომ შეიძლება მისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს? ზემოთ ამის თაობაზე ვწერდი, რომ უსიამოვნების მიმართ შეუწყნარებლობამ და გრძნობის გაუხამსებამ, შესაძლოა, ინფანტილურ ქცევასთან მიგვიყვანოს. გვებადება საფუძვლიანი ეჭვი, რომ კულტურით განპირობებული პროცესები ამ გენეტიკურად განპირობებულებს ემატება. მოუთმენელი მოთხოვნილება ყველა სურვილის მყისვე დაკმაყოფილებისა, პასუხისმგებლობის არქონა და სხვათა გრძნობებისათვის ანგარიშის გაუწევლობა ტიპურია ბავშვებისათვის და მათთვის მისატევებელიც. შორეული მიზნის მისაღწევად მოთმენა, საკუთარ მოქმედებაზე პასუხისმგებლობა და ანგარიშის გაწევა სხვათათვის – ქცევის ის ნორმებია, რომლებიც მომწიფებული ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

უმწიფრობაზე ლაპარაკობენ კიბოს მკვლევრები, როცა ამ ავთვისებიანი სიმსივნის ერთ-ერთ ძირითად თვისებას ახასიათებენ; თუ რომელიმე უჯრედი ყველა იმ ნიშან-თვისებას უკუაგდებს, რაც მას გარკვეული სხეულის ქსოვილის, კანის, მკერდის ჯირკვლის და სხვ. შემადგენელ ნაწილად და წევრად ხდის, იგი უწილოდ „უკან იხევს“ იმ მდგომარეობისაკენ, რაც მოდგმის ან ინდივიდუალური ისტორიის განვითარების ადრეულ საფეხურს შეესატყვისება. მაშასადამე, იგი უკვე ისე იქცევა, როგორც ერთუჯრედიანი ორგანიზმი ან ემბრიონალური უჯრედი, რაკი ორგანიზმის მთლიანობისთვის ანგარიშგაუწევლად იყოფა. რაც უფრო შორს მი-

დის რეგრესია, რაც უფრო მეტად განსხვავდება ახლად წარმოქმნილი ქსოვილი ნორმალურისაგან, მით უფრო ავთვისებიანია სიმსივნე. პაპილომა, რომელსაც ჯერ ისევ აქვს ნორმალური ზედაკანის ბევრი თვისება და მხოლოდ მეჭეჭივით აზის კანის ზედაპირს, კეთილთვისებიანია. ხოლო სარკომა, რომელიც შედგება ერთნაირი სრულიად დაუნაწევრებელი მეზოდერმული უჯრედებისაგან – ავთვისებიანი სიმსივნეა. ავთვისებიან სიმსივნეთა დამღუპველი ზრდა, როგორც ითქვა, გამოწვეულია იმით, რომ ორგანიზმს უმტყუნა უნარმა, თავი დაიცვას „ასოციალური“ უჯრედების გაჩენისაგან. მხოლოდ მაშინ, როცა დანარჩენი ქსოვილი მას ისე ეპყრობა, როგორც თავის მსგავსს და საკვებს აწვდის, სიმსივნე მომაკვდინებელი სისწრაფით ედება მთელ სხეულს.

ამ ანალოგიაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ადამიანი, რომლის სოციალური ქცევის ნორმებს სიმწიფე აკლია, ინფანტილურ მდგომარეობაში რჩება და ლოგიკურად საზოგადოების პარაზიტი ხდება. იგი მასზე სხვათა ზრუნვას მიიჩნევს, როგორც რაღაც თავისთავად რასმე, რაც მხოლოდ ბავშვს შეჰფერის. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში“ ამას წინათ ერთ ყმაწვილ კაცზე წერდნენ, რომელსაც საკუთარი ბებია მოუკლავს კინოში წასასვლელი რამდენიმე მარკის გულისათვის. მთელი მისი პასუხისმგებლობა გამოიხატა ერთი და იმავე ფრაზის ჯიუტად გამეორებაში: მე ხომ ვეუბნებოდი ბებიაჩემს, ფული კინოსთვის მჭირდებაო. ეს ახალგაზრდა, რა თქმა უნდა, ჭკუასუსტი იყო.

ძალიან ბევრი ახალგაზრდა მტრულად უპირისპირდება დღევანდელ საზოგადოებრივ წყობას და მშობლებსაც. ამგვარი პოზიციის მიუხედავად, ისინი რატომღაც თავისთავად ცხადად მიიჩნევენ, რომ ამ საზოგადოებამ და მშობლებმა უნდა არჩინონ ისინი, რაშიც მათი სრული ინფანტილიზმი მჟღავნდება.

თუ ცივილიზებული ადამიანის მზარდი ინფანტილიზმი და ახალგაზრდობის მზარდი ბოროტმოქმედება, როგორც ვშიშობ, მართლაც გენეტიკური რღვევის მოვლენებში იღებს სათავეს, მაშინ ჩვენ უმძიმესი საფრთხე მოგველის. სიკეთის და წესიერების მაღალი შეფასება, რასაც გულით ვეთანხმებით, ერთადერთ ფაქტორად რჩება, რომელიც დღესდღეობით სოციალური ქცევიდან ამოვარდნის წინააღმდეგ მეტ-ნაკლებად ქმედით სელექციას ახორციელებს. თვით გაქნილი ფულიანი კაციც კი ჩვენი მრავლისმეტყველი ანეკდოტიდან წესიერ საცოლეს დაეძებს! ყველაფერი, რაზეც წინა თავებში ვიმსჯელეთ: მოსახლეობის სიჭარბე, კომერციული კონკურენცია, ჩვენი ბუნებრივი გარემოს გავერანება და მისი ღვთაებრივი ჰარმონიისგან გაუცხოება, გასათუთებით გამოწვეული ძლიერი გრძნობების დაკარგვა – ყველაფერი ეს ერთად იმისკენაა მიმართული, რომ თანამედროვე ადამიანს წაართვას სიკეთე-ბოროტების გარჩევის უნარი. ამას ემატება ასოციალურის გამართლება, რომელსაც ზოგიერთნი თავს გვახვევენ თავიანთი ცოდვების გენეტიკური და ფსიქოლოგიური მიზეზების ანალიზით.

უნდა ვისწავლოთ ინდივიდის მიმართ გონივრული ჰუმანიზმის შეფარდება იმასთან, რაც ადამიანთა საზოგადოებისათვის სასარგებლოა. ცალკე ადამიანი, რომელიც მოკლებულია გარკვეული სოციალური ქცევის უნარს და ასევე მოკლე-

ბულია იმ გრძნობებს, რომლებიც ამ ქცევას თან სდევს, მართლაც შესაბრალისი ავადმყოფია და ჩვენს სრულ თანაგრძნობას იმსახურებს. თვითონ ამ უნართა არქონა კი ბოროტებაა. იგი არა მარტო უარყოფაა და უკუქცევაა ბუნების შემოქმედებითი პროცესისა, რის შედეგადაც ცხოველი ადამიანად იქცა, არამედ ბევრად უფრო საშიში და საზარელიცაა. მორალური ქცევის დარღვევას რაღაც აუხსნელად მოჰყვება ხოლმე არა მხოლოდ ყოველივე იმის დაკარგვა, რაც ჩვენ კარგად და მისაღებად მიგვაჩნია, არამედ მის მიმართ აქტიური მტრობაც. ეს სწორედ ის ფენომენია, რომელიც ბევრ რელიგიაში ღმერთის მტრად და მოქიშპედაა დასახული. თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ ყველაფერს, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, გაგვიჭირდება რამე დავუპირისპიროთ მორწმუნეს, რომელსაც სწამს, ანტიქრისტემ აიშვა თავიო.

უეჭველია, გენეტიკურად განმტკიცებულ სოციალურ ქცევათა რღვევა აპოკალიფსს გვიქადის, თანაც, გამორჩეულად საზარელს. მაგრამ ეს საშიშროება მაინც უფრო ადვილად მოსავლელია, ვიდრე მოსახლეობის სიჭარბე ან კომერციული შეჯიბრის ეშმაკური წრე, რომელსაც მხოლოდ გადამჭრელი ღონისძიებებით და ადამიანთა წარმოდგენაში დღეს ასე გამჯდარი ცრუ ღირებულებების გადაფასებით თუ შევებრძოლებით. კაცობრიობის გენეტიკური რღვევის პროცესს შეიძლება წინ აღვუდგეთ, თუ ძველი სიბრძნის ერთგულნი დავრჩებით, ზემოთ მოყვანილი ებრაული ანეკდოტი რომ კლასიკურად გვაწვდის. მეუღლის არჩევისას სრულიად საკმარისია არ დავივიწყოთ ერთი უბრალო და თავისთავად ცხადი მოთხოვნა – იგი წესიერი უნდა იყოს. ეს მამაკაცსაც ეხება.

ვიდრე შემდეგ თავზე გადავიდოდეთ, სადაც ტრადიციისაგან მოწყვეტის საშიშროებებზე გვექნება საუბარი, რაც ახალგაზრდობის მეტისმეტად რადიკალურ ამბოხს მოჰყვა, მინდა თავი დავიზღვიო ერთი გაუგებრობისაგან: ყველაფერი, რაც მზარდი ინფანტილიზმის საშიშ შედეგებზე ითქვა, განსაკუთრებით, პასუხისმგებლობის შეგნებისა და ჭეშმარიტ ღირებულებათა გაქრობაზე, ეხება ახალგაზრდობაში სწრაფად მზარდ ბოროტმოქმედებას და არავითარ შემთხვევაში დღევანდელი ახალგაზრდობის ამბოხს, რაც მთელ მსოფლიოს მოედო. რა ენერგიულადაც არ უნდა გავილაშქროთ შემდგომ მათი მცდარი შეხედულებების წინააღმდეგ, სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ სრულებითაც არ აკლიათ სოციალური ან მორალური განცდა და არც ღირებულებათა მიმართ სჭირთ სიბეცე. პირიქით: მათ არაჩვეულებრივად სწორი აღქმა აქვთ იმისა, რომ არა მარტო დანიის სახელმწიფოშია საქმე ცუდად აწყობილი, არამედ ბევრ დიდ სახელმწიფოშიც.

თავი მეშვიდე

ტრადიციისაგან მოწყვეტა

ადამიანური კულტურის განვითარება თვალსაჩინო ანალოგიას ამჟღავნებს სახეობების ევოლუციურ განვითარებასთან. დამგროვებელი ტრადიცია, რომელიც საფუძვლად ყოველ კულტურულ განვითარებას უდევს, არსებითად ახალ, ცხოველის ყველა სახეობისათვის უცხო მონაპოვარს ეყრდნობა, უპირველესად კი ცნებით აზროვნებასა და სიტყვიერ ენას, რომელიც თავისი უნარით, შექმნას თავისუფალი სიმბოლოები, ადამიანს ინდივიდუალურად მოპოვებული ცოდნის გავრცელებისა და გადაცემის დიდ შესაძლებლობას აძლევს. „შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემა", რომელიც აქ შედეგად გვევლინება, თავის მხრივ კულტურის ისტორიული განვითარების შეუდარებლად უფრო სწრაფი განხორციელების საწინდარია, ვიდრე ნებისმიერი სახეობის ფილოგენეზისი.

მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც კულტურა ახალ, სისტემატურ ცოდნას იძენს, აგრეთვე ის მეთოდები, რომელთა დახმარებითაც კულტურა ამ ცოდნას განიმტკიცებს, განსხვავდება სახეობათა ცვლილებების მეთოდებისაგან. ხოლო ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მრავალ შემოთავაზებულთაგან შეირჩევა ის, რაც განმტკიცების ღირსია, სახეობისა და კულტურის განვითარებაში აშკარად ერთი და იგივეა, სახელდობრ, ეს არის შერჩევა საფუძვლიანი გამოცდის შედეგად. რა თქმა უნდა, სელექცია, რომელიც ამა თუ იმ კულტურის სტრუქტურებსა და ფუნქციებს საზღვრავს, არ არის ისეთი მკაცრი, როგორც ის, რომელიც სახეობათა ცვლილებას განაგებს, რადგან ადამიანი, გარემომცველი ბუნების სულ უფრო მეტი დაპყრობით, სელექციის ფაქტორებს გვერდს უვლის. ამიტომ კულტურაში ისეთ მოვლენებს ვხვდებით, რაც სახეობებში სრულიად გამორიცხულია: მაგ. ე. წ. ფუფუნების შენაქმნები, ე. ი. სტრუქტურები, რომელთა ფორმა არც არსებული სისტემის შემანარჩუნებელი ქმედებიდან გამომდინარეობს და არც ყოფილიდან. მხოლოდ ადამიანს შეუძლია თავს ნება მისცეს, უფრო მეტი უსარგებლო ბალასტი ათრიოს, ვიდრე ნებისმიერმა გარეულმა მხეცმა.

მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ სელექცია გადაწყვეტს, რა უნდა შევიდეს კულტურის მუდმივი ცოდნის საგანძურში როგორც ტრადიციული „წმინდა" ადათი თუ ჩვევა. აღმოჩენებიც და გამოგონებებიც, როგორც გონივრული წვდომისა და რაციონალურ ძიებათა შედეგი, რიტუალურ, უფრო მეტიც, რელიგიურ ხასიათს იძენს, რაც უფრო მეტად მკვიდრდება ტრადიციაში. ამას შემდეგ თავში კვლავ დავუბრუნდებით. თუ კულტურის ტრადიციული სოციალური ქცევის ნორმებს იმ მდგომარეობაში გავაანალიზებთ, როგორადაც ისინი დღეს გვევლინება (ე. ი. შედარებით ისტორიული განხილვის გარეშე), მაშინ გაჭირდება შემთხვევით გაჩენილი „ცრურწმენისაგან" მომდინარე ნორმების ისეთებისაგან გარჩევა, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას ჭეშმარიტ ცოდნასა და აღმოჩენებს უმადლის. ცოტა გაზვიადებულად რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც ხანგრძლივი დროის გან-

მავლობაში კულტურული ტრადიციით გადმოგვეცემა, ბოლოს „ცრურწმენის“ ან „დოქტრინის“ ხასიათს იძენს.

თავდაპირველად, შესაძლოა ეს იმ მექანიზმის “ნაკლად” მივიჩნიოთ, რომელიც ადამიანურ კულტურაში ცოდნას იძენს და აგროვებს. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ უდიდესი კონსერვატულობა ერთხელ ნაცადის შენარჩუნებაში, ამ აპარატის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო თვისებაა, რასაც კულტურის განვითარებაში ისეთივე ამოცანა ეკისრება, როგორც გენურ სტრუქტურას სახეობათა ცვლილებაში. შენარჩუნება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანიცაა, ვიდრე ახლის შეძენა, ასე რომ, საგანგებო ანალიზის გარეშე არ გვეცოდინება ჩვენი კულტურის ტრადიციით გადმოცემული რომელი წესი თუ ჩვევა მოძველდა, რომელს შეიძლება შეველიოთ, და რომელი დავტოვოთ კულტურის მონაპოვრად. ქცევის იმ ნორმების შემთხვევაშიც, რომელთა უარყოფითობაც თითქოს ეჭვს არ იწვევს (მაგალითად, ბორნეოსა და ახალი გვინეის ზოგიერთ ტომებში გავრცელებული ნადირობა ადამიანის თავზე), წინასწარ ვერ ვიტყვით, რა ზემოქმედებას მოახდენს მათი რადიკალური მოსპობა სოციალურ ქცევათა ნორმების იმ სისტემაზე, რომელიც შესაბამის კულტურულ ჯგუფს აერთიანებს. ასეთი სისტემა შესაბამისი კულტურის ჩონჩხია და თუ არ გავითვალისწინებთ მის ურთიერთზემოქმედებათა მთელ მრავალფეროვნებას, ძალზე საშიშია რომელიმე ელემენტი მას ასე ხელაღებით გამოვაცალოთ.

მცდარ აზრს, თითქოს კაცობრიობის მყარ ცოდნას მხოლოდ გონებით მისაწვდომი, უფრო მეტიც, მხოლოდ მეცნიერულად დამტკიცებადი შეადგენს, დამღუპველი შედეგი მოაქვს. იგი „მეცნიერულად განათლებულ“ ახალგაზრდობას განაწყობს, მთლიანად წყალში გადაყაროს ცოდნისა და სიბრძნის ის უდიდესი განძი, რომელიც ყოველი ძველი კულტურის ტრადიციებსა და მსოფლიოს დიდ რელიგიებშია დაცული: ვინც ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი არარაობაა, ლოგიკურად სხვა, ასევე გამანადგურებელი, შეცდომის ტყვეობაში აღმოჩნდება, რაკი დარწმუნებულია, რომ მეცნიერებას შეუძლია რაციონალური გზით შექმნას მთელი კულტურა თავისი ატრიბუტებით და, თანაც არაფრისაგან. ეს ბევრად არ სჯობია იმ ცნობილ სისულელეს, თითქოს ადამიანის გენურ სტრუქტურაში ჩარევა შესაძლებელს გახდის მის „გაუმჯობესებას“ სურვილის მიხედვით. ნებისმიერ კულტურას იმდენივე აქვს „ზრდით,“ სელექციით მოპოვებული ცოდნა, რამდენიც ცხოველის რომელიმე სახეობას, რომელსაც, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ვერ „ვქმნით.“

კულტურული ცოდნის საგანძურში არარაციონალურის დაუფასებლობა, ხოლო მეორე მხრივ გადაჭარბებული შეფასება ყოველივე იმისა, რასაც ადამიანი, როგორც *Homo faber* თავისი გონებით ქმნის, ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორი როდია, ჩვენს კულტურას განადგურებით რომ ემუქრება. ქედმაღალ განსწავლულობას არა აქვს ტრადიციის მიმართ ესოდენ მტრულად დაპირისპირების საფუძველი. იგი მას ისევე უნდა მოექცეს, როგორც, ვთქვათ, ბიოლოგი მოხუც გლეხის ქალს, რომელიც მის დარწმუნებას შეეცდებოდა, რწყილი შარდით დანამული ნახერხიდან ჩნდებაო. დღევანდელ თაობათა ურთიერთობაში შესამჩნევია

ქედმაღლური დამოკიდებულება მშობლებთან და არავითარი ნასახი შემწყნარებლობისა. თანამედროვე ახალგაზრდობის რევოლუციას სიძულვილი ამოძრავებს: თანაც ისეთი, რომელიც ყველაზე მძიმე და ძნელად დასაძლევ სიძულვილს – ნაციონალურ სიძულვილს ენათესავება. სხვა სიტყვებით, ამბოხებული ახალგაზრდობა უფროს თაობას ისევე ექცევა, როგორც ერთი რომელიმე კულტურული ან „ეთნიკური“ ჯგუფი უცხო და მტრულ ჯგუფს.

ერიკ ერიკზონმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა ღრმა მსგავსებას ამჟღავნებს დამოუკიდებელ ეთნიკურ ჯგუფთა დივერგენციული განვითარება კულტურის ისტორიაში იმ განვითარებასთან, რომელსაც გაივლის ქვესახეობები, სახეობები და კლასები თავიანთი მოდგმის ისტორიაში. იგი ლაპარაკობს „ცრუსახეობათა წარმოქმნაზე.“ ეს არის კულტურულ-ისტორიულად წარმოქმნილი წესები და ნორმები სოციალური ქცევისა, რომლებიც, ერთი მხრივ, აერთიანებენ მცირე და დიდ კულტურულ ერთეულებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ერთიმეორეს აშორებენ. თავისებური „მანერები,“ საგანგებო ჯგუფური დიალექტი, ჩაცმა-დახურვის წესი და ა. შ. შეიძლება რომელიმე საზოგადოების სიმბოლოდ იქცეს, რასაც თავგამოდებით იცავენ. როგორც ეს ერთხელ (1967) გავაანალიზე, საკუთარი ჯგუფის ყველა სიმბოლოს მაღლა დაყენებას თან სდევს ყველა სხვა ჯგუფის სიმბოლოთა შესაბამისი გაუფასურება. რაც უფრო დიდხანს ვითარდებოდა ორი ეთნიკური ჯგუფი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მით უფრო მეტია მათ შორის განსხვავება. ამ განსხვავებათა მიხედვით შეგვიძლია მთელი განვითარების პროცესი აღვადგინოთ. ორივე შემთხვევაში შეიძლება სრული დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ უფრო ფართოდ გავრცელებული, დიდი ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ნიშნები გაცილებით ძველია.

ყოველი მკვეთრად გამოხატული კულტურული ჯგუფი მიდრეკილებას იჩენს საკუთარი თავი განსაკუთრებულ სახეობად მიიჩნიოს, სხვა ჯგუფის წევრები კი სრულფასოვან ადამიანებად არ ჩათვალოს. ძალიან ბევრ აბორიგენულ ენაში საკუთარ ტომს უბრალოდ „ადამიანი“ ჰქვია. ამიტომ მეზობელი ტომის რომელიმე წევრის მოკვლა არ ითვლება ნამდვილ მკვლელობად! ცრუ სახეობათა წარმოშობის ეს შედეგები უაღრესად სახიფათოა, რადგან თანამოძმის მოკვლის ყველა შემაკავებელ ზღუდეს შლის, თანაც მოძმეთა მიერ გაღვივებული ინტრასპეციფიკური აგრესია კი ძალაში რჩება. „მტრის“ მიმართ ისეთი გახელება იპყრობთ, როგორიც ადამიანს შეიძლება მხოლოდ სხვა ადამიანის მიმართ გაუჩნდეს, უბოროტესი ნადირის მიმართაც კი არა. ამიტომაც შეუძლიათ მას გულდამშვიდებით ესროლონ. იგი ხომ ნამდვილი ადამიანი არც არის! ცხადია, ამ გარემოებით ყველა ჯურის ომის გამჩაღებელი ცდილობს ისარგებლოს.

ძალზე შემაშფოთებელი ფაქტია, რომ დღევანდელი ახალგაზრდა თაობა სრულიად არაორაზროვნად იმ გზას ადგას, დაუპირისპირდეს უფროს თაობას, როგორც რაღაც უცხო ფსევდოსახეობას. ამის ბევრი სიმპტომი გვაქვს. მტრული და მოქიშპე ეთნიკური ჯგუფები, ჩვეულებრივ, ცდილობენ მკვეთრად განსხვავებული ჩაცმა-დახურვით გამოირჩეოდნენ. შუა ევროპაში ნაციონალური

ადგილობრივი გლეხური ტანსაცმელი კარგა ხანია გაქრა. მხოლოდ უნგრეთშია სრულყოფილად შემორჩენილი იქ, სადაც უნგრული და სლოვაკური სოფლები გვერდი-გვერდ მდებარეობს. იქ ამ ტრადიციულ სამოსს სიამაყით ატარებენ და, თანაც, სრულიად აშკარად, მეორე ეთნიკური ჯგუფის წევრების გასახელებლად. სწორედ ასე იქცევა ამბოხებული ახალგაზრდობის თვითშექმნილი ჯგუფების უმრავლესობა. გასაკვირი ის არის, რომ ყოველივე მილიტარისტულის მიმართ თითქოსდა დიდი ანტიპათიის მიუხედავად, მათში ძლიერია უნიფორმისაკენ სწრაფვა. ბიტნიკის, ტედიბოის, როკის, ჰიპის და სხვა ჯგუფებს „სპეციალისტი“ ისევე ადვილად გაარჩევს ერთმანეთისაგან, როგორც ერთ დროს ავსტრიის საიმპერატორო ჯარის სამხედრო პირებს არჩევდნენ.

ამბოხებული ახალგაზრდობა თავისი ქცევით ცდილობს, რაც შეიძლება მკვეთრად გაემიჯნოს მშობელთა თაობას, თანაც იგი ხელაღებით კი არ უგულებელყოფს ტრადიციულ ქცევებს, არამედ ყოველ მის დეტალს ღრმად უკვირდება და ზუსტად საპირისპირო ქცევით პასუხობს. აქ უნდა ვეძიოთ, მაგალითად, სექსუალური ექსცესების ახსნა ადამიანთა იმ ჯგუფებში, რომელთა საერთო სექსუალური პოტენციაც დაქვეითებულია. მშობლების აკრძალვათა დარღვევის ძლიერი სურვილით შეიძლება აიხსნას, ამბოხებული სტუდენტების მიერ საჯაროდ შარდვა და კუჭში გასვლა, როგორც ეს ვენის უნივერსიტეტში მოხდა.

ყველა ამ უცნაური ქცევის მიზეზი ახალგაზრდებში სრულიად გაუცნობიერებელია. თავის ქცევას ისინი ხშირად ხსნიან ფრიად დამაჯერებელი ფსევდორაციონალური მოტივებით. ამბობენ, რომ უჯანყდებიან მდიდარ მშობლებს ღატაკებისა და მშივრების გამო, კიცხავენ ვიეტნამის ომს, უნივერსიტეტის მმართველობის თვითნებობას, ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და ა. შ. სინამდვილეში კი აგრესია განურჩევლადაა მიმართული ყველა ხანში შესული ადამიანის წინააღმდეგ, მათი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად. უკიდურესად მემარცხენე პროფესორებს უკიდურესად მემარცხენე სტუდენტებისაგან ნაკლები ლანძღვა როდი ხვდებათ, ვიდრე მემარჯვენეთ. ერთხელ კომუნისტმა სტუდენტმა, ჯონ-ბენდითის მეთაურობით, ჰ. მარკუზე უაღრესად უხეშად შეურაცხყო და მართლაც გასაგიჟებელი ბრალდებები წაუყენა, მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებული აგენტი ხართო. ამ თავდასხმის მიზეზი პოლიტიკური მრწამსი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ის, რომ იგი სხვა თაობის კაცია.

უფროსი თაობაც, ასევე გაუცნობიერებლად და ემოციურად აღიქვამს ამ ვითომდა პროტესტს — როგორც სიძულვილით აღსავსე საბრძოლო გამოწვევას და შეურაცხყოფას. ასე ეხსნება გზა სიძულვილის სწრაფ და საშიშ ესკალაციას, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ენათესავება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სიძულვილს. მე, თავად გამოცდილ ეთოლოგს, ზოგჯერ მიჭირს, ბრაზით არ ავენთო ჯონ-ბენდითის მშვენიერი ცისფერი ბლუზის დანახვაზე. საკმარისია ასეთ ადამიანებს თვალებში ჩახედო, რომ მაშინვე მიხვდე, მათ სწორედ ასეთი რეაქცია სურთ. ყველაფერი ეს მინიმუმამდე ამცირებს ურთიერთგაგების შესაძლებლობას.

ჩემს წიგნში აგრესიის შესახებ (1963), ასევე საჯარო ლექციებში (1968, 1969) მე შევეხე თაობათა დაპირისპირების ეთოლოგიური მიზეზების გამორკვევის საკითხს. აქ მხოლოდ მთავარზე შევჩერდები. მთელ ამ მოვლენათა წრეს საფუძვლად უდევს განვითარების პროცესის ფუნქციური დარღვევები, რომლებიც ადამიანში დაკავშირებულია სქესობრივ მომწიფებასთან. ამ პერიოდში ახალგაზრდა იწყებს ტრადიციისაგან განდგომას, მის კრიტიკულ გადასინჯვას და ახალი იდეალების ძებნას. იგი ეძებს ახალ ჯგუფს, რომელსაც მიეკედლება და მის საქმეს თავისად გაიხდის. ინსტინქტური სურვილი, კარგი საქმისათვის ბრძოლაც შეგეძლოს, ობიექტის არჩევნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ამ პერიოდში ყველაფერი ძველი, ტრადიციული მოსაწყენია, ხოლო ყველაფერი ახალი მიმზიდველი. შეიძლებოდა აქ ფიზიოლოგიურ ნეოფილიაზეც გველაპარაკა.

ამ პროცესს, ეჭვს გარეშეა, სახეობის შენარჩუნებაში დიდი როლი ეკისრება, რისთვისაც იგი ადამიანური ქცევის ფილოგენეტიკურად წარმოქმნილ პროგრამაში შევიდა. მისი ფუნქციაა, ტრადიციით გადმოცემული კულტურული ქცევის ზედმეტად გახევებულ ნორმებს ერთგვარი შემგუებლობა მიანიჭოს. იგი შეიძლება კიბოს მიერ კანის გამოცვლას შევადაროთ, რომელიც თავის გარეთა გამყიფებულ ჩონჩხს მოიცვლის, რათა ზრდა-განვითარება შეძლოს. ისევე, როგორც ყველა მყარ სტრუქტურაში, კულტურულ მემკვიდრეობაშიც სტრუქტურის საყრდენი ფუნქცია გარკვეულწილად ზღუდავს თავისუფლებას. და ისევე, როგორც ყველგან, აქაც მის დემონტაჟს, რომელიც კონსტრუქციის შეცვლის მიზნით ხორციელდება, უცილოდ თან ახლავს გარკვეული საშიშროება, რადგან დემონტაჟსა და ხელახლა აგებას შორის მერყეობის, დაუცველობის პერიოდია. ეს ანალოგიურად მიმდინარეობს გარეთა ჩონჩხის შემცვლელ კიბოსა და სქესობრივი მომწიფების პერიოდში მყოფ ადამიანში. ჩვეულებრივ, ფიზიოლოგიურ ნეოფილიას მოჰყვება ხოლმე ტრადიციის მიმართ სიყვარულის გაღვიძება. ეს შეიძლება თანდათანობით მოხდეს. მრავალი ხნიერი ადამიანი დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამოცი წლისათვის მამის შეხედულებაზე გაცილებით დიდი წარმოდგენისა არიან, ვიდრე თვრამეტი წლის ასაკში. ა. მიჩერლიხი ამ ფენომენს ძალზე მოსწრებულად „გვიან მორჩილებას“ უწოდებს. ფიზიოლოგიური ნეოფილია და გვიანი მორჩილება ერთად ქმნის სისტემას, რომლის მნიშვნელობაც იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციით გადმოცემულ კულტურაში მკვეთრად დრომოჭმული და ახლის განვითარებისათვის ხელისშემშლელი ელემენტები ამოიძირკვოს, ხოლო მისი ძირითადი სტრუქტურა შენარჩუნდეს. მაგრამ ვინაიდან ამ სისტემის ფუნქცია დამოკიდებულია ძალიან ბევრი შინაგანი და გარეგანი ფაქტორის ურთიერთქმედებაზე, ამიტომ იგი, ცხადია, ადვილად განიცდის შეფერხებას.

განვითარების შეფერხებებს, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს გარესამყაროს ფაქტორებმა, მაგრამ ასევე გენეტიკურმა განპირობებულობამაც, სრულიად განსხვავებული შედეგი მოაქვთ იმისდა მიხედვით, თუ რა დროს იჩენს ისინი თავს. ადრეულ ინფანტილურ სტადიაში შეჩერებამ შეიძლება შედეგად მოიტანოს მშობლებთან მყარი კავშირი და უფროსი თაობის ტრადიციებში ტოტალური

გაშეშება. ასეთებს ძალზე უჭირთ თავისი ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა და ახირებულ პიროვნებებად რჩებიან. ნეოფილიის სტადიაში არაფიზიოლოგიურ გაშეშებას ზოგჯერ შედეგად მოაქვს უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი მშობლების მიმართ ჩახვეული წყენა და სხვა უცნაურობანი. ორივე ამ ფენომენს კარგად იცნობენ ფსიქოანალიტიკოსები.

მაგრამ დარღვევებს, რომლებსაც მოაქვთ თაობათა შორის სიძულვილი და ომი, სხვა მიზეზები აქვს, თანაც ორგვარი. ჯერ ერთი კულტურული მემკვიდრეობა თაობიდან თაობამდე სულ უფრო მეტ ცვლილებას განიცდის. აბრამის დროს ვაჟი ისე უმნიშვნელოდ ცვლიდა მამის ქცევათა ნორმებს, რომ, როგორც ამას თ. მანი თავის გასაოცარ ფსიქოლოგიურ რომანში „იოსები და მისი ძმები“ დამაჯერებლად ასახავს – ზოგი მაშინდელი ადამიანისათვის საერთოდ შეუძლებელი იყო საკუთარი პიროვნების გამოყოფა მამისაგან, რაც იდენტიფიკაციის უსრულყოფილეს ფორმად წარმოგვიდგება. განვითარების ტემპს, რომელსაც დღევანდელ კულტურას თავს ახვევს მისი ტექნოლოგია, შედეგად ის მოაქვს, რომ რაც ერთ თაობას შემორჩენია ტრადიციული მემკვიდრეობის სახით, კრიტიკულად განწყობილი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს დრომოჭმულად სამართლიანად მიაჩნია. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მცდარ რწმენას, თითქოს ადამიანს შეუძლია თვითნებურად და რაციონალურად ცარიელ ადგილზე არაფრისაგან ახალი კულტურა შექმნას, ახლა უკვე სრულ სიგიჟემდე მივყავართ; დარწმუნებული არიან, რომ მშობელთა კულტურა პირწმინდად უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, რათა იგი ხელახლა „შემოქმედებითად“ ააშენონ. ეს მართლაც შესაძლებელია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ქვის ხანის წინანდელი ადამიანიდან დავიწყებთ!

დღეს ახალგაზრდობის მიერ ატაცებულ მისწრაფებას – „ნაბან წყალს მშობლებიც გადავაყოლოთ“ – სხვა მიზეზიც აქვს. ცვლილებები, რომელსაც ოჯახის სტრუქტურა განიცდის კაცობრიობის მზარდი ტექნიზაციის პირობებში, მთლიანად მიმართულია იმისკენ, რომ მშობლებისა და შვილების კონტაქტი შეასუსტოს. ეს ჩვილობიდან იწყება. ვინაიდან დღეს დედა მთელ დროს ვერ ანდომებს პატარას, თითქმის მუდამ მეტ-ნაკლებად ჩნდება რენე შპიცის მიერ ჰოსპიტალიზაციის ცნებით აღნიშნული მოვლენები. მისი უბოროტესი სიმპტომია სხვა ადამიანებთან კონტაქტის დამყარების სიძნელე, ან სულაც უუნარობა, რაც მეტად საშიშია ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ადამიანური თანაგრძნობის შესუსტებასთან კავშირში.

შედარებით გვიან, განსაკუთრებით ბიჭებზე, მამის მისაბაძი მაგალითის არარსებობა შემაფერხებლად მოქმედებს. გლეხის ან ხელოსნის ოჯახის გარდა, დღეს ვაჟი თითქმის ვერასოდეს ხედავს მამას შრომის პროცესში. კიდევ უფრო ნაკლები საშუალება აქვს მას მიეხმაროს მამას და მთელი ძალით იგრძნოს მამაკაცის უპირატესობა. ამას გარდა, თანამედროვე პატარა ოჯახს აკლია რანგობრივი სტრუქტურა, რომელიც „მოხუცის“ მიმართ ტრადიციისამებრ ღრმა პატივისცემას შთაგვაგონებს. ხუთი წლის ბავშვი თვითონ ვერ შეაფასებს ორმოცი წლის მამის უპირატესობას, მაგრამ მას მოსწონს ათი წლის ბიჭის ძალა და კარგად ესმის ის

თაყვანისცემა, რომელსაც ეს ათი წლის ბიჭი თავის უფროს, 15 წლის ძმას მიაგებს. აქედან მას ბუნებრივად სწორი დასკვნები გამოაქვს, როცა ხედავს, თუ რა რიდით ეკიდება მამას მისი თხუთმეტი წლის ძმა, რომელიც უკვე საკმაოდ გონიერია იმისათვის, რომ ოჯახის უფროსის უპირატესობა აღიაროს.

რანგობრივი უპირატესობის აღიარება არ ქმნის დაბრკოლებას სიყვარულისათვის. ყოველ ადამიანს შეუძლია გაიხსენოს, რომ ბავშვობაში ისინი, ვისაც ქვემოდან უყურებდა და მთლიანად ემორჩილებოდა, ნაკლებად კი არა, უფრო მეტადაც უყვარდა, ვიდრე რანგით ტოლი ან მასზე დაბლა მდგომი. ძალიან კარგად მახსოვს, რომ ჩემს ნაადრევად გარდაცვლილ მეგობარს, ჩემზე ოთხი წლით უფროსს ემანუელ ლა როშს, რომელიც 10-16 წლის თავაწყვეტილი ბიჭებისაგან შემდგარი ბანდის განსაცვიფრებლად გაბედული, ძალზე მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მეთაური იყო, არა მარტო პატივს ვცემდით, არამედ გულწრფელად გვიყვარდა კიდეც. ეს ისეთივე გრძნობა იყო, როგორიც მოგვიანებით მეგობრებისა და მასწავლებლების მიმართ. ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის უმძიმესი დანაშაულია ორ ადამიანს შორის ბუნებრივი რანგობრივი წესრიგის მიჩნევა ყველა თბილი გრძნობის ხელისშემშლელად: უმისოდ ადამიანური სიყვარულის უბუნებრივესი ფორმაც კი არ არსებობს, რაც ერთი ოჯახის წევრებს ჩვეულებრივ აკავშირებს. ცნობილია, რომ ფრუსტრაციის უარმყოფელი აღზრდის წესმა ათასობით ბავშვი უბედურ ნევრასთენიკად აქცია.

როგორც ზემოთ დასახელებულ შრომებში გავაანალიზე, რანგობრივი წესრიგის არმქონე ჯგუფში ბავშვი სრულიად არაბუნებრივ სიტუაციაშია მოქცეული. რაკი თავის უფრო მაღალი რანგის მოპოვების საკუთარ, ინსტინქტურად პროგრამირებულ სწრაფვას ვერ თრგუნავს და წინააღმდეგობის გაწევის უნარს მოკლებულ მშობლებს აწამებს, თავს იძულებითად გრუპენფიურერის როლში ხედავს, ეს როლი კი მას სულაც არ ანიჭებს ბედნიერებას. უფრო ძლიერი „უფროსის“ გარეშე იგი თავს დაუცველად გრძნობს უაღრესად მტრულ სამყაროში, რადგან ფრუსტრაციის უარმყოფელი ბავშვები არსად არ უყვართ. როცა იგი უაღრესად გაღიზიანებულ მდგომარეობაში მშობლების გამოწვევას ლამობს, ასე ვთქვათ, „ალიყურს იხვეწება“ (ბავარიელებისა და ავსტრიელების მოსწრებული თქმისა არ იყოს). მას ინსტინქტურად მოსალოდნელი და ქვეცნობიერად სასურველი საპირისპირო აგრესია კი არ უპასუხებს, არამედ იგი მშვიდ, ფსევდო-რაციონალიზებული ფრაზების მოქნილ კედელს ეჯახება.

მაგრამ დედამიწის ზურგზე არც ერთი ადამიანი არ მოინდომებს თავი გაუტოლოს მონურ, უსუსურ არსებას, არავის მოუვა აზრად, აღიაროს მის მიერ დადგენილი ქცევის ნორმები, მით უმეტეს, კულტურულ ღირებულებად აღიაროს ის, რასაც მონა თაყვანს სცემს. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ღრმად გვიყვარს და თან რიდით ვუყურებთ, მზად ვართ შინაგანად მისი კულტურული ტრადიცია ჩვენეულად ვაქციოთ. ასეთი „მამის ფიგურა“ დღეს სრულიად აშკარად აკლია ახალგაზრდობის შემაშფოთებლად დიდ ნაწილს. მშობელი მამა ხშირად უღონოა,

ხოლო მასობრივი სწავლება ხელს უშლის იმას, რომ ასეთი მამის ადგილი სათაყვანებელმა მასწავლებელმა დაიჭიროს.

მშობელთა კულტურის უარყოფის ამ წმინდა ეთოლოგიურ მიზეზებს ბევრი გონებაგახსნილი ახალგაზრდის წარმოდგენაში თან ერთვის ჭეშმარიტად ეთიკური მიზეზებიც. ჩვენს დღევანდელ ევროპულ კულტურაში მომძლავრებული გამასობრივება, ბუნების გავერანება, საკუთარ თავთან ბრძა, ფულს დახარბებული გაღატაკება და დაჩლუნგება ინდოქტრინაციის ზეგავლენით, მართლაც აშკარად ვერ არის მისაბაძი, და მან სრულიად ადვილად შეიძლება დაგავიწყებინოს ის ღრმა ჭეშმარიტება და სიბრძნე, ჩვენი კულტურის წიაღში რომ დევს. ახალგაზრდობას მართლაც დამაჯერებელი და რაციონალური მიზეზები აქვს, მთელ სახელმწიფო მექანიზმს ომი გამოუცხადოს. ამასთან ძალიან ძნელია იმის გარჩევა, ამ ამბოხებულ ახალგაზრდობაში (მათ შორის სტუდენტებშიც) რა წილი უდევთ მათ, ვინც მართლა ამ მიზეზით ამბოხებულა. ის, რასაც საჯარო გამოსვლებში ვაკვირდებით, აშკარად სრულიად სხვა, გაუცნობიერებელი ეთოლოგიური იმპულსებიდან მომდინარეობს, რომელთა შორის უპირველესი ადგილი ეთნიკურ სიძულვილს უჭირავს. სამწუხაროდ, დაფიქრებული ახალგაზრდები, ვინც რაციონალური მოტივებით ხელმძღვანელობს, ნაკლებად არიან განწყობილი ძალმომრეობისათვის; ასე რომ, ეს ჯანყი გარეგნულად აშკარად ნევროზული რეგრესიის სიმპტომებს ატარებს. ცუდად გაგებული ლოიალობის გამო, გონიერ ახალგაზრდობას, როგორც ჩანს, უჭირს დისტანცია დაიცვას იმპულსურად მოქმედ თანატოლთა მიმართ. სტუდენტებ-თან გამართული დისკუსიებიდან დავრწმუნდი, რომ გონიერთა რიცხვი არც ისე მცირეა, როგორც ამას ამბოხის საერთო შთაბეჭდილება ტოვებს.

თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გონივრულ მოსაზრებას ბევრად უფრო ნაკლები ბიძგის მიცემა შეუძლია, ვიდრე მის უკან რეალურად მდგარ აგრესიის ელემენტარულ, ინსტინქტურ პირველყოფილ ძალას. არანაკლებ საყურადღებოა, რა შედეგები მოჰყვება თავად ახალგაზრდებისათვის მშობლების ტრადიციისაგან სრულ მოწყვეტას. ეს შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. „ფიზიოლოგიური ნეოფილიის“ ფაზაში, სქესობრივი მომწიფების ასაკში მყოფ ახალგაზრდას დაუძლეველი სურვილი იტაცებს, რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მიემხროს და მისი კოლექტიური აგრესიის თანამონაწილე გახდეს. ეს სწრაფვა ისე ძლიერია, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ რომელიმე ფილოგენეტურად დაპროგრამებული ინსტინქტი, მაგალითად, შიმშილი ან სექსუალობა. ცოდნამ და სწავლის პროცესმა უკეთეს შემთხვევაში შეიძლება იგი გარკვეულ ობიექტზე დააფიქსიროს, მაგრამ მას, როგორც მთლიანობას, გონება ვერც დაიმორჩილებს და ვერც ჩაახშობს. იქ, სადაც ეს თითქოს ხერხდება, ნევროზის საშიშროება ჩნდება.

ამ ონტოგენეზისურ სტადიაში „ნორმალური“, ე. ი. კულტურის სისტემის შენარჩუნების ინტერესით მოქმედი გონივრული პროცესი, როგორც უკვე ითქვა, იმაში ვლინდება, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდები ახალი იდეალების სამსახურში ერთიანდებიან და ტრადიციული ქცევის ნორმების მნიშვნელო-

ვან რეფორმებს ახდენენ, მაგრამ ისე კი, რომ მშობელთა მთელი კულტურული მემკვიდრეობა წყალში არ ჩაყარონ. მაშასადამე, ახალგაზრდა სრულიად ერთმნიშვნელოვნად აიგივებს თავს რომელიმე ძველი კულტურის ახალგაზრდა ჯგუფთან. ადამიანის, როგორც კულტურული არსების, უღრმესი ნიშან-თვისებათაგანია, რომ მას სრული დამაკმაყოფილებელი იდენტობის მიღწევა მხოლოდ ერთ კულტურაში და ერთ კულტურასთან შეუძლია. როცა ეს შეუძლებელი ხდება, ზემოთ აღწერილ დაბრკოლებათა მიზეზით, მაშინ იგი თავის იდენტიფიკაციისა და ჯგუფისადმი კუთვნილობის ამ ლტოლვას სწორედ ისე იკმაყოფილებს, როგორც დაუკმაყოფილებელი სექსუალური ლტოლვის შემთხვევაში – ერზაც-ობიექტით. სრული განურჩევლობა, რითაც დაგუბებული გრძნობა შეუფერებელ ობიექტით განიმუხტება, ინსტინქტების კვლევაში დიდი ხანია კარგადაა ცნობილი, მაგრამ, ალბათ, ძნელია მოიძებნოს ამის უფრო შთამბეჭდავი მაგალითი, ვიდრე ობიექტის ის არჩევანი, რომელსაც ჯგუფის წევრად გახდომის სურვილით შეპყრობილი ახალგაზრდა აკეთებს, ოღონდ კი რაღაც ჯგუფში აღმოჩნდეს, თუნდაც ყველაზე სავალალო და საბედისწერო – ნარკომანების ჯგუფში. არისტიდე ესერმა, ამ სფეროში ცნობილმა მკვლევარმა, ცხადყო, რომ მოწყენილობის გარდა, რაზედაც მეხუთე თავში გვქონდა საუბარი, ლტოლვა ჯგუფური კუთვნილებისაკენ ახალგაზრდების სულ უფრო დიდ რიცხვს ითრევს ნარკომანიაში.

იქ, სადაც არ არის ჯგუფი, რომელსაც შეიძლება შეეკედლონ, მუდამ რჩება შესაძლებლობა ასეთი ჯგუფის „შეკვეთით“ შექმნისა. ახალგაზრდების ნახევრად ან მთლიანად კრიმინალური ბანდები, როგორც ეს, მაგალითად, შესანიშნავადაა ასახული ცნობილ მიუზიკლში „ვესტსაიდის ისტორია“ სქემატური სიმარტივით გვიჩვენებს ეთნიკური ჯგუფის ფილოგენეზისურ პროგრამას, ოღონდ, სამწუხაროდ, იმ ტრადიციული კულტურის გარეშე, რომელიც დამახასიათებელია ბუნებრივი და არა პათოლოგიური ჯგუფებისათვის. როგორც ამ მიუზიკლშია წარმოდგენილი, ორი ჯგუფი ძალზე ხშირად ერთდროულად წარმოიქმნება მხოლოდ იმისათვის, რომ კოლექტიური აგრესიისათვის ხელსაყრელ ობიექტად იქცნენ. ინგლისური „როკს ენდ მოდს“ თუ კი-დევ არსებობს, ამის ტიპური მაგალითია. ეს აგრესიული ორმაგი ჯგუფები როგორღაც კიდევ ასატანია, ვიდრე, მაგალითად, ჰამბურგელი როკერები, რომელთა ცხოვრების მიზნად უიარაღო მოხუცების გაჯოხვა გაუხდიათ.

ემოციური აღელვება აფერხებს რაციონალურ მოქმედებას, ჰიპოტალამუსი ამუხრუჭებს კორტექსს. არც ერთ ემოციას არ ახასიათებს ეს იმ ზომით, როგორც კოლექტიურ, ეთნიკურ სიძულვილს, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ ნაციონალური სიძულვილის სახით. უნდა ვიცოდეთ, რომ ახალგაზრდა თაობის სიძულვილს უფროსი თაობის მიმართ იგივე ძირი აქვს. სიძულვილი უფრო საშიშია, ვიდრე სრული სიბრმავე ან სიყრუე. იგი ყველაფერს აყალბებს და უკუღმა აბრუნებს. რაც არ უნდა უთხრათ ამბოხებულ ახალგაზრდობას, რათა საკუთარი უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობის განადგურებაზე ხელი ააღებინოთ, ისინი ამას საძულველი სახელმწიფო მექანიზმის დასაცავ ცდად ჩაგითვლიან. სიძულვილი არა მარტო

აბრმავებს და აყრუებს ადამიანს, არამედ წარმოუდგენლად აბრიყვებს. ძალიან ძნელია სიკეთე დაანახო იმათ, ვისაც ვძულვართ. ძნელია ისინი დააჯერო, რომ ის, რაც კულტურული განვითარების გრძელ გზაზე შექმნილია, ისევე შეუცვლელია და მოწიწების ღირსი, როგორც ის, რაც მოდგმის ისტორიას შეუქმნია. ძნელია შეასმინო მათ, რომ კულტურა შეიძლება ისევე ჩაქრეს, როგორც სანთელი.

თავი მერვე

ინდოქტრინაცია

ჩემი მასწავლებელი ოსკარ ჰაინროთი, არქიბუნებისმკვლევარი და რელიგიურ მეცნიერებათა არქიგამკილავი, ხშირად იტყოდა ხოლმე: „რასაც ვფიქრობთ, უმეტესად მცდარია, მაგრამ რაც ვიცით, სწორია.“ ეს შემეცნებითი თეორიით დაუმძიმებელი წინადადება შესანიშნავად გამოხატავს ადამიანური ცოდნის განვითარების გზას, შესაძლოა, საერთოდ, ყოველგვარი ცოდნისაც. შემდეგ მას ვადარებთ გამოცდილებას და ახალ აღქმით მონაცემებს, რათა შემდეგ სიმართლესთან იმის შესაბამისობა თუ შეუსაბამობა დავასკვნათ, რაზეც „ვიფიქრეთ“. შინაგანი, ორგანიზმში როგორღაც წარმოქმნილი კანონზომიერების შეჯერება მეორე, გარესამყაროში არსებულ კანონზომიერებასთან, ალბათ, საერთოდაც უმნიშვნელოვანესი მეთოდია, რომლის მეოხებით ცოცხალი ორგანიზმი ცოდნას იძენს. ამ მეთოდს კარლ პოპერი და დონალდ კემპბელი „მოდელის შეჯერებას“ უწოდებენ.

ცოდნის შეძენის ეს პროცესი უმარტივეს სასიცოცხლო პროცესის ყველაზე დაბალ საფეხურზეც პრინციპულად ასევე ხორციელდება. აღქმის ფიზიოლოგიაში მას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, ხოლო ადამიანის ცნობიერ აზროვნებაში იგი იღებს ვარაუდის და შემდეგ დადასტურების ფორმას. ის, რასაც ჯერ ვარაუდის სახით მოვიფიქრებთ, გამოცდის შემდეგ ხშირად მცდარი გამოდგება ხოლმე, მაგრამ თუ გამოცდას გაუძლო, მაშინ ის ვიცით. მეცნიერებაში ამ პროცესებს ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და შემოწმება ჰქვია.

სამწუხაროდ, შემეცნების ეს ორი ნაბიჯი ვერ არის ისე მკვეთრად ერთმანეთისაგან გამიჯნული და არც მეორის შედეგია ისე ცხადი, როგორც ეს ჩემი მასწავლებლის, ჰაინროთის ნათქვამში ჩანს. ჰიპოთეზა შემეცნების შენობის ხარაჩოა; მშენებელმა თავიდან იცის, რომ შემდგომ მას დაშლის. იგი წინასწარი ვარაუდია, რომელსაც, საერთოდ, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ არსებობს პრაქტიკული შესაძლებლობა, იგი ამ მიზნისთვის საგანგებოდ შერჩეული ფაქტებით უარვყოთ. ჰიპოთეზა, რომელიც ყოველგვარი „ფალსიფიკაციისათვის“ მიუწვდომელია, შეუმოწმებადია და, მაშასადამე, ექსპერიმენტული მუშაობისათვის გამოუსადეგარია. ჰიპოთეზის ავტორი მადლიერი უნდა იყოს ყველასი, ვინც მისი ჰიპოთეზის სუსტი მხარეების გამოვლენის ახალ გზებს აჩვენებს, რადგან ყოველი შემოწმების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჰიპოთეზამ შეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს მისი უარყოფის ცდას. ამგვარი დაცვის ძებნაში გამოიხატება, არსებითად, ყოვე-

ლი ბუნებისმეცნიერის მუშაობა, ამიტომაც ლაპარაკობენ სამუშაო ჰიპოთეზების შესახებ და ისინი მით მეტ შესაძლებლობას გვაძლევს შემოწმებისათვის. სამუშაო ჰიპოთეზების სისწორის ალბათობა იზრდება იმ მოხმობილ ფაქტების რიცხვთან ერთად, რომელთა ახსნას და მოწესრიგებასაც ის შეძლებს.

შემეცნების თეორეტიკოსთა შორისაც გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს ჰიპოთეზა, რომელიც ერთი ან რამდენიმე ფაქტის მოწესრიგებას ვერ შეძლებს, საბოლოოდ მტყუნდება. ეს რომ მართლა ასე იყოს, ყველა არსებული ჰიპოთეზა გამტყუნდებოდა, რადგან მათში ერთსაც ვერ გამონახავთ ისეთს, ყველა შესაბამისი ფაქტის მიმართ რომ სწორი გამოდგეს. მთელი ჩვენი შემეცნება მხოლოდ მიახლოებაა სუბიექტის გარე არსებულ სინამდვილესთან, რომლის შემეცნებაც გვწადია, თანაც, წინმავალი მიახლოებაა. ჰიპოთეზას ვერასოდეს ვერ მოხსნის ერთი საწინააღმდეგო ფაქტი. მას უარყოფს მხოლოდ სხვა ჰიპოთეზა, რომელიც მეტ ფაქტს აწესრიგებს. „ჭეშმარიტება“, მაშასადამე, ის სამუშაო ჰიპოთეზაა, რომელიც ყველაზე უკეთ გვიკვალავს გზას მეორე ჰიპოთეზისაკენ, რომელსაც მეტის ახსნა შეუძლია.

მაგრამ ამ თეორიულად სრულიად უდავო ფაქტს ჩვენი ფიქრი და გრძნობა ქედს არ უხრის. რაც უნდა ბეჯითად ვამტკიცოთ, მთელი ჩვენი ცოდნა, ყველაფერი, რასაც ჩვენი აღქმა გვაწვდის სუბიექტის გარეთ მდებარე სინამდვილის შესახებ მხოლოდ უხეშად გამარტივებული, მიახლოებითი სურათია თავისთავად არსებულისაო, ეს მაინც ვერ შეგვიშლის ხელს იმაში, რომ ზოგი საგანი ჭეშმარიტად მივიჩნიოთ და ამ ცოდნის აბსოლუტურ სისწორეში დარწმუნებული ვიყოთ.

ეს დაჯერებულობა, თუ მას ფსიქოლოგიურად, უპირველესად კი, ფენომენოლოგიურად სწორად გავაანალიზებთ, რწმენას უტოლდება ამ სიტყვის ყველაზე ნაირი გაგებით, თუ ბუნებისმეცნიერი ჰიპოთეზას იმ ზომამდე გამოცდის, რომ იგი თეორიის სახელს დაიმსახურებს და თუ ეს თეორია ისე განვითარდა, რომ მასში მხოლოდ დამატებითი ჰიპოთეზების შეტანა შეგვიძლია, საფუძვლები კი უცვლელი დარჩება, მაშინ ჩვენ „მტკიცედ გვწამს“ მისი. ამ რწმენაში არაფერია ცუდი, რადგან ამგვარი „ჩაკეტილი“ თეორია მისი გამოყენების სფეროში თავის „ჭეშმარიტებას“ მაშინაც კი ინარჩუნებს, თუ ეს სფერო ნაკლებ ყოვლისმომცველი აღმოჩნდება, ვიდრე ეს თავიდან გვეგონა, როცა თეორიას ვაყალიბებდით. ეს ეხება, მაგალითად, მთელ კლასიკურ ფიზიკას, რომლის მოქმედების სფეროც მართალია კვანტურმა თეორიამ შეზღუდა, მაგრამ არ უარუყვია.

როგორც „მჯერა“ კლასიკური მექანიკის დებულებებისა, ასევე მჯერა მთელი რიგი თეორიებისა, რომლებიც დამაჯერებლობის საზღვრამდეა დახვეწილი. ასე მაგალითად, მტკიცედ მწამს, რომ სამყაროს კოპერნიკული წარმოდგენა სწორია. უზომოდ გავიკვირვებდი, თუ სამყაროს ზღრულობის ყბადაღებული თეორია ერთ მშვენიერ დღეს სწორი აღმოჩნდებოდა, ან თუ პლანეტები, როგორც ეს პტოლემეს დროს მიაჩნდათ, სამყაროს ჭერზე უცნაურ, ეპიციკლური მარყუჟისმაგვარ მრუდეებს შემოწერენ.

არის ისეთი რამეებიც, რომლებიც ისევე მტკიცედ მჯერა, როგორც დასახელებული თეორიები, თუმცა რაიმე ხელშესახები საბუთი, რომ ჩვენი რწმენა სწორია, არ გამაჩნია. ასე მაგალითად, მტკიცედ მჯერა, რომ უნივერსუმს მართავს ურთიერთწინააღმდეგობისაგან თავისუფალ ბუნების კანონთა წესრიგი, რომელიც არასოდეს დაირღვევა. ეს რწმენა, რომელსაც ჩემთვის პირადად ლამის აქსიომატური ხასიათი აქვს, გამორიცხავს გარებუნებით მოვლენებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარაფსიქოლოგებისა და სპირიტისტების მიერ აღწერილი მოვლენები თავის მოტყუებად მიმაჩნია. ეს შეხედულება სრულიად არამეცნიერულია. ჯერ ერთი, გარებუნებითი პროცესები ძალზე იშვიათი, ან კიდევ ისე მცირეა, რომ თავად მე ისინი სარწმუნოდ არასოდეს მიხილავს, ამიტომ მათ არსებობა-არარსებობაზე მსჯელობის უფლება არა მაქვს. ჩემი წმინდა რელიგიური რწმენაა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი დიდი სასწაული და არავითარი სასწაულები მრავლობით რიცხვში, ან როგორც ეს პოეტმა და ფილოსოფოსმა კურტ ლასვიცმა თქვა: – „ღმერთს არ სჭირდება სასწაულების მოხდენა“.

მე ვთქვი, რომ ეს დამაჯერებლობა – როგორც მეცნიერულად დასაბუთებული, ისე წმინდად გრძნობისეული – ფენომენოლოგიურად რწმენას ჰგავს. იმისათვის, რომ თავის შემეცნებით სწრაფვას მტკიცე ბაზისი შეუქმნას, ადამიანს სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არ დაუშვა ესა თუ ის მყარი ფაქტები და ისინი თავის დასკვნებს არქიმედულ ამოსავალ წერტილებად არ „დაუდო“. ჰიპოთეზის ჩამოყალიბების დროს ჩვენ შეგნებულად ვცდილობთ ასეთი საყრდენის დამაჯერებლობა მოვიგონოთ. ისე ვიქცევით, „თითქოს“ იგი ჭეშმარიტი იყოს, მხოლოდ იმისათვის, რომ ვნახოთ, რა გამოვა აქედან. და რაც უფრო დიდხანს ვაშენებთ შემდგომ ჩვენს შენობას ამ ფიქტიურ არქიმედეს საყრდენებზე ისე, რომ შენობა შინაგანი წინააღმდეგობისაგან განთავისუფლდეს და არ დაინგრეს, მით უფრო მართებული ჩანს, ორმხრივი განათების პრინციპის შესაბამისად, პირვანდელი ზედმეტად გაბედული ვარაუდი იმისა, რომ ჰიპოთეზურად დაშვებული არქიმედეს საყრდენები სწორია.

მაშასადამე, ჰიპოთეზური დაშვება იმისა, რომ გარკვეული საგნები უბრალოდ ჭეშმარიტია, ადამიანის შემეცნებითი სწრაფვის მეთოდებს განეკუთვნება. ადამიანის კვლევის მოტივაციურ წინაპირობას განეკუთვნება ისიც, რომ ვიმედოვნებთ, ვარაუდი სწორია. ჰიპოთეზა ჭეშმარიტია. ბუნების მკვლევართა შორის იშვიათად შევხვდებით ისეთს, ვინც ამჯობინებს „*per exclusione*-მ“ წაიწიოს წინ. ერთი ახსნის შესაძლებლობა ექსპერიმენტულად გამორიცხოს მეორე ახსნის შემდეგ და ა. შ., ვიდრე ბოლო ახსნა ჭეშმარიტების შემცველი არ აღმოჩნდება. უმეტესობას ჩვენ შორის (ეს ნათლად უნდა გავაცნობიეროთ) უყვარს საკუთარი ჰიპოთეზები და, როგორც ერთხელ ვთქვი, ამიტომ იქნებ მტკივნეულიც იყოს, მაგრამ გამაჯანსაღებელი და გამაახალგაზრდავებელიცაა, ყოველდღე, როგორც დილის გამამხნევებელი ვარჯიში, თითო საყვარელი ჰიპოთეზა თავიდან მოვიშოროთ. ჰიპოთეზა, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო გვიყვარს, ისევე „გვიყვარს“ და ჩვევად გადაგვექცევა ხოლმე, როგორც ნებისმიერი სხვა ჩვეულება, განსა-

კუთრებით მაშინ, თუ თავად კი არ წამოვაყენეთ ჰიპოთეზა, არამედ დიდი და სათაყვანებელი მასწავლებლისაგან შევითვისეთ. ხოლო თუ ჩვენი მასწავლებელი ახსნის ახლებური პრინციპის აღმომჩენიც იყო და ბევრი მოწაფეც ჰყავდა, მაშინ ამ მიმდევრობას ემატება ბევრ ადამიანთა მიერ გაზიარებული შეხედულების მასობრივი ზეგავლენაც.

ყველა ამ მოვლენაში თავისთავად ცუდი არაფერია, პირიქით, გამართლებულიცაა. კარგი სამუშაო ჰიპოთეზა მართლაც იგებს, უფრო დამაჯერებელი ხდება, თუ ხანგრძლივი, წლობით მიმდინარე კვლევისას არ გამოჩნდება ისეთი ფაქტები, რომლებიც მას დაუპირისპირდებიან. ორმხრივი განათების პრინციპი, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ქმედითი ხდება. ისიც სწორია, რომ დიდი მასწავლებლის სიტყვას გულისხმიერად უნდა მოვეკიდოთ, რადგან ყველაფერს, რასაც ის თავის მოწაფეებს გადასცემს, უაღრესად მკაცრ საზომს უყენებს, ან თუ ნათქვამი ჰიპოთეზური ბუნებისაა, ამასაც მკვეთრად გახაზავს. ასეთი კაცი საფუძვლიანად აწონ-დაწონის, ვიდრე თავის თეორიას „სახელმძღვანელოდ“ ჩათვლის. არც ისაა გასაკიცხი, თუ საკუთარ თვალსაზრისს თვითონაც უფრო იწამებს მას შემდეგ, რაც იგი სხვებმაც გაიზიარეს. ოთხი თვალი მეტს ამჩნევს, ვიდრე ორი, განსაკუთრებით, თუ მეორე ადამიანი სხვაგვარი ბაზისიდან ამოდის და იმავე დასკვნებამდე მივა, რაც აშკარა დადასტურებას ნიშნავს.

მაგრამ ამ დამაჯერებლობის გამამტკიცებელი ქმედებანი შეიძლება ყოველგვარი გამართლების გარეშეც წარმოგვიდგეს. ჯერ ერთი, რომელიმე ჰიპოთეზა შეიძლება იმგვარი თვისების მქონე იყოს, რომ მის მიერ ნაკარნახევი ცდები თავიდანვე მხოლოდ მის დამტკიცებას ემსახურება. მაგალითად, ჰიპოთეზა, რომ რეფლექსი ერთადერთია, რომლის შესწავლაც ღირს, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის ელემენტარული მოქმედებისა, გამონაკლისის გარეშე მხოლოდ ისეთ ცდებს უშვებდა, სადაც სისტემის პასუხი მდგომარეობის შეცვლას აღნუსხავდა. ნერვულ სისტემას რომ გაღიზიანებაზე პასიური რეაგირების გარდა სხვა რამეც შეეძლო, ცდის ამ სისტემაში დაფარული რჩებოდა. თვითკრიტიკა და მდიდარი ფანტაზიაა საჭირო იმისათვის, რათა არ მოგვივიდეს შეცდომა, რომელიც ჰიპოთეზას, როგორც სამუშაო ჰიპოთეზას, ფასს დაუკარგავს, რა „ნაყოფიერიც“ არ უნდა იყოს იგი „ინფორმაციის“ მიწოდების თვალსაზრისით. ახალი ცოდნა მას აღარ მოაქვს, ან თუ მოაქვს, მხოლოდ გამონაკლისის სახით.

დიდი მეცნიერის მოძღვრებისადმი ნდობასაც, რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი რაიმე „სკოლის“, ანუ ახალი კვლევითი მიმართულების დაარსების დროს, თან ახლავს დოქტრინის შექმნის საშიშროება. დიდი გენიოსი, რომელიც ახსნის ახალ პრინციპს მიაგნებს, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს, ხშირად გადაჭარბებულად აფასებს თავის აღმოჩენას. ჟაკ ლოები (*Jack Loeb*), ივანე პავლოვი, ზიგმუნდ ფროიდი და ბევრი სხვა უდიდესნიც ასე მოიქცნენ. თუ, ამასთან, თეორია მეტად მოქნილია და მაინცდამაინც ფალსიფიცირებას არ ექვემდებარება, ამან მასწავლებლის გაღმერთებასთან ერთად შეიძლება მისი მოწაფეები მოციქულებად, ხოლო სკოლა რელიგიად და კულტად აქციოს, როგორც ეს ზიგმუნდ

ფროიდის მოძღვრებას რბაროსია და, საერთოდ, მომხდური ყაჩაღია. როგორც წესი, ასე იწყებოდა ყოველი საღვთო ომი.“

ყველაფერი ეს საკმაოდ ბევრჯერ მომხდარა. გოეთე წერს: „სატანური სიძულვილი მოწინააღმდეგეთა მიმართ ბოლოს უსაშინლეს საზარლობამდე მისულა ხოლმე“, მაგრამ ინდოქტრინაცია მართლა სატანურ ხასიათს მხოლოდ მაშინ იძენს, როცა იგი ადამიანთა დიდ მასებს, მთელ კონტინენტებს, უფრო მეტიც, მთელ კაცობრიობას ერთი ბოროტი და მცდარი შეხედულებით აერთიანებს. სწორედ ეს საშიშროება გვემუქრება ამჟამად. როცა გასული საუკუნის ბოლოს ვილჰელმ ვუნდტმა პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა, რათა ფსიქოლოგია ბუნებისმეცნიერებად გადაექცია. კვლევის ახალმა მიმართულებამ ორიენტაცია რატომღაც არ აიღო ბიოლოგიაზე, თუმცა დარვინის თეორია მაშინ უკვე საყოველთაოდ ცნობილი იყო, ახალმა ექსპერიმენტულმა ფსიქოლოგიამ სრულიად აუარა გვერდი შედარებით მეთოდებს და მოდგმის ისტორიული საკითხების დასმას. იგი გაჰყვა ფიზიკის მაგალითს, რომელიც იმჟამად ატომურ თეორიაში გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა. მას მიაჩნდა, რომ ცოცხალ არსებათა ქცევა, ისევე როგორც ყველაფერი მატერიალური, დამოუკიდებელი, განუყოფელი ელემენტებისაგან შედგება. ამასთან, თავისთავად სწორ სწრაფვას, ფიზიოლოგიურისა და ფსიქოლოგიურის კომპენსატორული ასპექტები ქცევის ანალიზის დროს ერთდროულად გაეთვალისწინებინათ, მოჰყვა ის, რომ რეფლექსი ჩათვალეს მნიშვნელოვან, უფრო მეტიც, ყველა, მათ შორის ურთულესი, ნერვული პროცესების ერთადერთ ელემენტად. ამავე დროს ი. პ. პავლოვის თეორია პირობით რეფლექსთა ჩამოყალიბების პროცესის შესახებ ვუნდტის მიერ გამოკვლეული ასოციაციური პროცესების დამაჯერებელ ფიზიოლოგიურ კორელატად გადაიქცა. გენიის პრეროგატივაა, ახსნის ახლადმიკვლეული პრინციპების მოქმედების სფერო გაზვიადებულად შეაფასოს, და რა გასაკვირია, თუ ეს ჭეშმარიტად ეპოქის შემქმნელმა და ერთმანეთს ასე დამაჯერებლად მორგებულმა აღმოჩენებმა არა მარტო მათი აღმომჩენები, არამედ მთელი მეცნიერული სამყაროც იმ მცდარ რწმენამდე მიიყვანეს, თითქოს შეიძლებოდეს რეფლექსის და პირობითი რეაქციის საფუძველზე „ყველა“ ცხოველური და ადამიანური ქცევის ახსნა.

დიდმა და უაღრესად საინტერესო წარმატებებმა, რომლებიც დასაწყისში თან ახლდა რეფლექსის შესახებ მოძღვრებას, ასევე პირობით რეაქციის კვლევას, ჰიპოთეზის მიმზიდველმა სიმარტივემ და ცნების მოჩვენებითმა სიზუსტემ, ორივე სამყაროში გაბატონებულ კვლევის მიმართულებებად აქცია. მაგრამ ის დიდი ზეგავლენა, რომელიც მათ საზოგადოებრივ შეხედულებაზე მოახდინეს, სხვაგვარადაა ასახსნელი. ისინი თითქოს ყველა იმ საზრუნავს გვიფანტავს, რომელიც ადამიანში ინსტინქტურისა და ქვეცნობიერის არსებობიდან გამომდინარეობს. ამ მოძღვრების ორთოდოქსი მიმდევრები სრული დარწმუნებით გვიმტკიცებენ, რომ ადამიანი დაუწერელი დაფის სახით იბადება და რომ ყველაფერი, რასაც ის ფიქრობს, გრძნობს, იცის და სწამს, მისი „პირობების“ რეზულტატია (როგორც ეს, სამწუხაროდ, გერმანელ ფსიქოლოგებსაც სჯერათ).

იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ფ. უილიმ ნათლად შეიცნო, ამ შეხედულებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თვით რელიგიურმა ადამიანებმაც ირწმუნეს იგი, რადგან თუ ბავშვი „ტაბულა რაზად“ იბადება, ყოველი მორწმუნის მოვალეობაა იმისათვის იზრუნოს, რომ შვილი (და თუ შესაძლებელია, ყველა სხვა ბავშვიც) თავისი ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიური მოძღვრების სულისკვეთებით აღზარდოს, ასე განუმტკიცებს ბიჰევიორისტული დოგმა ყოველ დოქტრინიორს საკუთარ რწმენას და არაფერს აკეთებს რელიგიური დოქტრინების შერიგებისათვის. ლიბერალმა და ინტელექტუალურმა ამერიკელებმა, რომლებზეც ამ ხელმოსაჭიდმა, მარტივმა, ადვილად ჩასაწვდომმა, უპირველესად კი მექანისტურმა მოძღვრებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა, თითქოს გამოუკლებლივ აღიარეს ეს დოქტრინა, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ მოძღვრებამ შეძლო თავი თავისუფალ და დემოკრატიულ პრინციპად გაესაღებინა.

სრულიად ცხადი ეთიკური ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ადამიანს თანასწორი უფლება აქვს განვითარების შესაძლებლობებზე. მაგრამ ეს ჭეშმარიტება ადვილად გადადის ხოლმე იმ სიცრუეში, თითქოს ყველა ადამიანი პოტენციურად თანასწორი იყოს. ბიჰევიორისტული მოძღვრება უფრო შორს მიდის, როცა ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანი თანასწორი იქნება, თუ ერთნაირ გარემოპირობებში განვითარდება და, თანაც, სრულიად იდეალური ადამიანები გახდებიან, თუ პირობები იდეალური იქნება. ამიტომაც ადამიანებს არ შეიძლება, უფრო სწორად, ნება არა აქვთ ჰქონდეთ რაიმე მემკვიდრეობითი თავისებურებანი, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც მათ სოციალურ ქცევას და სოციალურ მოთხოვნილებებს განსაზღვრავს.

ცრუმოძღვრება, რომ თუ ადამიანს სწორ „პირობებს“ შევუქმნით, შესაბამისად მისგან ყველაფერი შეიძლება გამოვიყვანოთ, მომაკვდინებელ ცოდვებს უდევს საფუძვლად, რომლებსაც ცივილიზებული კაცობრიობა ბუნების, ადამიანის ბუნებისა და ადამიანობის წინააღმდეგ სჩადის. უსაშინლესი შედეგებია მოსალოდნელი, თუ მსოფლიოს მომცველი იდეოლოგია მისგან გამომდინარე პოლიტიკითურთ სიცრუეზეა დამყარებული. ფსევდოდემოკრატიულ დოქტრინას უცილოდ საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების მორალური და კულტურული კატასტროფის საშიშროებაში, რომელიც, ალბათ, მთელ დასავლეთსაც ჩაითრევს მორევში.

ა. მიჩერლიხი, რომელმაც ძალიან კარგად შეიცნო ეს საშიშროება, ცოტა არ იყოს უცნაურად ამბობს: „ჩვენ არამც და არამც არ უნდა ვივარაუდოთ, თითქოს ადამიანებს გონებით მოჩმახული მანიპულაციების სისტემის მეშვეობით დღეს უფრო მეტად უშლიან ხელს საკუთარი ინდივიდუალობის რეალიზებაში, ვიდრე წინათ“. მე კი სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორედ ასეა! ჯერ არასოდეს ყოფილა ადამიანთა ეგზომ დიდი მასები ასე მცირე ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფილი, არასოდეს ყოფილა მასობრივი შთაგონება ეგზომ ქმედითი, მანიპულანტებს ჯერ არასოდეს ჰქონიათ ასეთი კარგი, მეცნიერულ ექსპერიმენტებზე აგებული

სარეკლამო ტექნიკა. არასოდეს ჰქონიათ ინფორმაციის ისეთი ყველგანშემღწევი „მასობრივი საშუალებები", როგორც დღეს.

რაკი მიზანი პრინციპულად ერთია, ერთნაირია ყველგან ის მეთოდებიც, რისი მეშვეობითაც სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მექანიზმი თავიანთ ქვეშევრდომებს თუნდაც ამერიკული ცხოვრების იდეალურ წარმომადგენლებად აქცევს. თუ რამდენად ვართ ჩვენ დასავლეთის, ეგრეთ წოდებული, თავისუფალი კულტურის ადამიანები, დიდ მწარმოებელთა კომერციული ხელშეკრულებების მანიპულაციის საგანი, ღღეს ამის დადგენა უკვე შეუძლებელია.

როგორც ინდუსტრიის კონკურენციის ზეგავლენით ქრება ხელოსნობა, მცირე მწარმოებელი და მათ შორის გლეხიც არსებობის უნარს კარგავს, ჩვენც ყველანი სრულიად მარტივად იძულებული ვართ, ჩვენი ცხოვრების წესი დიდი მწარმოებლების სურვილებს შევუფარდოთ, ის საკვები ვჭამოთ და ის ტანსაცმელი ჩავიცვათ, რომელიც მათ ჩვენ შესაფერისად მიაჩნიათ; ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ჩვენი წილხვდომილი პირობების გამო ამას ვერც კი ვამჩნევთ.

ყველაზე შეუმცდარი და ეფექტური მეთოდი ადამიანთა დიდი მასების მანიპულირებისა მათი სწრაფვის უნიფიცირების მეშვეობით არის მოდა. იგი მომდინარეობს საერთო ადამიანური სწრაფვიდან, თავის კუთვნილება რომელიმე კულტურული თუ ეთნიკური ჯგუფისადმი გარეგნულადაც გამოხატოს. გავიხსენოთ სხვადასხვაგვარი ჩაცმულობა, რომელმაც, ტიპურ ცრუსახეობათა ჩამოყალიბების შედეგად, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, საოცრად ლამაზი „სახეები", „ქვესახეები" და „ლოკალური ფორმები" მოგვცა. ჯგუფებს შორის კოლექტიურ აგრესიასთან მათი დამოკიდებულების შესახებ უკვე ვისაუბრე. მოდის მეორე, ჩვენი დაკვირვებით მნიშვნელოვანმა ზემოქმედებამ იქ იჩინა თავი, სადაც უფრო დიდ ქალაქურ თემებში გაჩნდა სწრაფვა, ჩაცმულობის თავისებურებებით გამოეხატათ საკუთარი რანგობრივი მდგომარეობა, „წოდება". ლონდონში, 1964 წელს, ბიოლოგიის ინსტიტუტის სიმპოზიუმზე ლავერმა (*Laver*) კარგად გვიჩვენა, რომ მაღალი წოდება მუდამ მკაცრად ადევნებდა თვალს, უფრო დაბალ ფენებს ისეთი რანგობრივი ნიშნები არ ეტარებინათ, რაც მათ „წოდების" მიხედვით არ ერგებოდათ. კულტურის ისტორიაში არ არის სხვა მზარდი დემოკრატიზება ისე მკაფიოდ იყოს გამოხატული, როგორც ტანისამოსის მოდებში.

მოდა, თავისი თავდაპირველი ფუნქციით, როგორც ჩანს, კულტურის განვითარებაზე მასტაბილიზებელ, კონსერვატულ ზემოქმედებას ახდენდა. პატრიციები და არისტოკრატები იყვნენ ისინი, ვინც მოდას კანონებს კარნახობდა. როგორც ოტო კიონიგმა გვიჩვენა, ძველი, ჯერ კიდევ რაინდების ეპოქის დროინდელი ნიშნები, რომლებიც რიგითი შემადგენლობის ჩაცმულობაში გაქრა, კიდევ დიდხანს შემორჩა უნიფორმების ისტორიას, როგორც ოფიცრების მაღალი რანგის მაჩვენებელი. ამ ძველი დროიდან გადმოსულმა ნიშანმა მოდაში შეიცვალა მნიშვნელობა. იგი ამიერიდან ადამიანთა დიდ მასებში მაღალი რანგის მაჩვენებლად იქცა და ყველა „მოდერნად" ქცეულ სიახლეთა თავში მიაბიჯებს. თავისთავად ცხადია, დიდი მწარმოებლები ფრიად დაინტერესებულნი არიან, განამტკიცონ სა-

ზოგადოებრივი აზრი, თითქოს ასეთი რამ „პროგრესული“, უფრო მეტიც, პატრიოტულია. მათი მიზანია, მომხმარებელთა ფართო მასები დაარწმუნონ იმაში, რომ უახლესი ტანისამოსი, ავეჯი, ავტომობილი, სარეცხი მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ტელევიზორი და სხვა, ყველაზე უტყუარი (ამავე დროს კრედიტის უნარიანობის ყველაზე ეფექტურად ამამაღლებელი) „სტატუს სიმბოლოა“. სრულიად სასაცილო წვრილმანები შეიძლება მწარმოებლებმა ფინანსურად მაქსიმალურად გამოიყენონ. აქ ერთ ტრაგიკომიკურ შემთხვევას გავიხსენებ: როგორც უფროსი თაობის ავტომოყვარულებს ეხსომებათ, ბიუიკის მარკის მანქანებს ადრე კაპოტზე აქეთ-იქით სრულიად უფუნქციო, ხარის თვალების მსგავსი, მოჩარჩოებული ღრმულები ჰქონდათ, ამასთან, რვაცილინდრიანს ყოველ მხარეზე სამ-სამი, ხოლო უფრო იაფ ექვსცილინდრიანს – მხოლოდ ორ-ორი. როცა ერთ მშვენიერ დღეს ფირმამ ექვსცილინდრიანზე სამ-სამი ხარის თვალის დაყენება დაიწყო, ამან მოსალოდნელი ეფექტი მოიტანა: ამ ტიპის მანქანაზე მოთხოვნილება ძლიერ გაიზარდა, რასაც რვაცილინდრიანი მფლობელების უამრავი საპროტესტო წერილიც ადასტურებდა, სადაც ისინი გულმოსული იმაზე ჩიოდნენ, მხოლოდ მათი მანქანებისათვის განკუთვნილი სტატუს სიმბოლო, რანგით დაბალ მანქანებს რომ მიეკუთვნა.

მაგრამ ყველაზე ცუდი შედეგი მოდას ბუნებისმეცნიერებაში მოაქვს. დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ დარგის მეცნიერნი თავისუფალი არიან კულტურის იმ დაავადებათაგან, რაც ჩემი წიგნის საგანია. მხოლოდ ამ საკითხების უშუალოდ შემსწავლელ მეცნიერებათა წარმომადგენლები, მაგალითად, ეკოლოგები და ფსიქიატრები თუ ამჩნევენ, რომ „ჰომო საპიენსის“ სახეობაში საქმე ვერ არის კარგად. სწორედ მათ აქვთ ყველაზე დაბალი ადგილი მიჩენილი რანგთა ტაბულაში, რომელშიც დღევანდელი საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა მეცნიერებებს განალაგებს. ეს ამას წინათ ბრწყინვალედ გამოხატა ჯორჯ გეილორდ სიმპსონმა თავის სატირაში მეცნიერებათა რანგობრივი კლასიფიკაციის შესახებ.

არა მარტო საზოგადოებრივი აზრი მეცნიერების შესახებ, არამედ მეცნიერებათა შიგნით გამეფებული შეხედულებაც სრულიად აშკარად იქით იხრება, რომ ის დარგები ჩაითვალოს უმნიშვნელოვანესად, რომლებიც ასეთად მიაჩნია მასამდე დეგრადირებულ, ბუნებისაგან გაუცხოებულ, მხოლოდ კომერციულ ღირებულებათა მრწმენ, გრძნობით გაღარიბებულ, შინაურ ცხოველებად ქცეულ და კულტურული ტრადიციის დამკარგავ კაცობრიობას. ზოგადად თუ გადავხედავთ, ბუნებისმეცნიერებათა საზოგადოებრივი აზრიც ყველა იმ დაცემის ნიშნებს ატარებს, წინა თავებში რომ აღვწერე. „დიდი მეცნიერება“ არ წარმოადგენს მეცნიერებას უდიადესი და უმაღლესი საგნების შესახებ ჩვენს პლანეტაზე, არც მეცნიერებას ადამიანის სულის ან გონების შესახებ. იგი მხოლოდ იმას გვასწავლის, თუ რას მოაქვს ბლომად ფული, ან დიდი ენერგია, ან კიდევ ძალაუფლება, თუნდაც ეს ძალაუფლება ყველაფერ ჭეშმარიტად დიდსა და ლამაზს სპობდეს.

უპირატესობა, რომელიც ბუნებისმეცნიერებათა შორის ფიზიკას ეკუთვნის, არ არის უარსაყოფი. ბუნებისმეცნიერებათა არაწინააღმდეგობრივ სისტემაში

საყრდენს ფიზიკა ქმნის. ყოველი, თვით ბუნებრივ სისტემათა უმაღლეს ინტეგრაციის დონეზეც წარმატებით ჩატარებული ანალიზი არის „ნაბიჯი ქვემოთ", ფიზიკისაკენ. ანალიზს გერმანულად დაშლა (*Auflösung*) ჰქვია, ხოლო რაც ამგვარად იშლება და სამყაროდან ქრება საკუთრივ სპეციალური ბუნებიმეცნიერების კანონზომიერება კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი საზღვრებია უახლოესი უზოგადესის მიმართ. საზღვრების ამგვარი ჭეშმარიტი გაქრობა დღემდე მხოლოდ ერთხელ მოხერხდა: ფიზიკურმა ქიმიამ მართლაც შეძლო თავისი კვლევის სფეროში მოქმედი ბუნების კანონები განევრცო უფრო ზოგად ფიზიკურ კანონებამდე. ბიოქიმიაში საზღვართა ამგვარი გაქრობა მოინიშნება ბიოლოგიასა და ქიმიას შორის. თუ ამგვარი სპექტაკულარული წარმატებები სხვა ბუნებისმეცნიერებებში ძლივს შესამჩნევია, ანალიზური კვლევის პრინციპი ყველგან ერთია: ჩვენ ვცდილობთ, ცოდნის რომელიმე სფეროს, ან როგორც ნიკოლაი ჰარტმანი იტყოდა, „რეალური ყოფიერების შრის" მოვლენები და კანონზომიერებანი იმ მოვლენებზე და კანონზომიერებებზე დავიყვანოთ, რომლებიც უახლოეს, უფრო ზოგად შრეში ბატონობენ, და უფრო სპეციალური სტრუქტურიდან ავხსნათ ის, რაც მხოლოდ ყოფიერების უფრო მაღალი შრისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენ, ბიოლოგებს, ამ სტრუქტურათა და მათი ისტორიის გამოკვლევა საკმაოდ მნიშვნელოვან და ძნელ საქმედ მიგვაჩნია, რათა ბიოლოგია კრიკივით (*Crick*) ფიზიკის მარტივ განშტოებად არ მივიჩნიოთ. იმასაც გავხაზავთ, რომ ფიზიკა თავის მხრივ ეყრდნობა რაღაც საფუძველს, რომელიც ბიოლოგიური ბუნებისმეცნიერებაა, სახელდობრ, მეცნიერება ცოცხალი ადამიანური სულის შესახებ. მაგრამ ჩვენ, ზემოთ წარმოდგენილი გაგების თანახმად, კარგი „ფიზიკალისტებიც" ვართ და ფიზიკას იმ ბაზისად ვცნობთ, საითკენაც ჩვენი კვლევა მიისწრაფვის.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ საჯარო აღიარება ფიზიკისა, როგორც ყველა მეცნიერებათა შორის „უმნიშვნელოვანესისა", სრულებითაც არ მომდინარეობს ფიზიკის, როგორც ყველა ბუნებისმეცნიერებათა საფუძვლის, მაღალი და სამართლიანი შეფასებიდან, არამედ ზემოთ ნახსენებ, უაღრესად უკეთურ მიზეზებიდან. ჩვენი დროის საზოგადოებრივი აზრი მეცნიერებებს ძალიან უცნაურად აფასებს – როგორც ამას სრულიად სამართლიანად ამტკიცებს სიმპსონი – ყოველი მეცნიერება საზოგადოების თვალში მით უფრო ნაკლებად ფასობს, რაც უფრო კომპლექსური და მნიშვნელოვანია მისი კვლევის საგანი, რაც ზემოხსენებული მიზეზებით აიხსნება.

ბუნებისმეცნიერს სრული უფლება აქვს, თავისი კვლევის ობიექტი აირჩიოს რეალური ყოფიერების შრეში, სასიცოცხლო პროცესების ნებისმიერად მაღალი ინტეგრაციის სიბრტყეზე. მეცნიერებაც ადამიანის გონის შესახებ, უპირველესად კი შემეცნების თეორია ცდილობს ბიოლოგიურ ბუნებისმეცნიერებად იქცეს. ბუნების კვლევის, ეგრეთ წოდებულ, სიზუსტეს არაფერი აქვს საერთო მისი საგნის გართულებისა და ინტეგრაციის დონესთან. იგი პირწმინდად დამოკიდებულია მკვლევარის თვითკრიტიკისა და მისი მეთოდების სიწმინდეზე. ქიმიასა და ფიზიკაზე, როგორც „ზუსტ მეცნიერებაზე" გავრცელებული შეხედულება დანარჩენ მეცნიერე-

ბებს ამცირებს. ცნობილი გამოთქმები, რომ ბუნების ყველა კვლევა იმდენადაა მეცნიერება, რამდენიც მათემატიკაა მასში, ან, რომ მეცნიერება იმაში მდგომარეობს, „გასაზომი გაზომო, ხოლო ის, რაც არ იზომება, გასაზომად აქციო“, როგორც შემეცნების თეორიული, ისე ადამიანური თვალსაზრისითაც უდიდესი სისულელეა, რაც კი იმის ბაგეს დასცდენია, ვისაც ამის უკეთესად ცოდნა ევალებოდა.

ამ ცრუსიბრძნეთა სიყალბის დამტკიცება თუმცა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მეცნიერების სურათ-ხატი დღესაც მისი ზეგავლენის კვალს ატარებს. ამჟამად მოდაა, ფიზიკის მეთოდების რაც შეიძლება უფრო მეტად გამოყენება, თანაც სულერთია, გვპირდებიან ისინი შესატყვისი ობიექტის კვლევისათვის წარმატებას თუ არა. ყოველი ბუნებისმეცნიერება, მათ შორის ფიზიკაც, იწყებს აღწერით, აქედან მოდის აღწერილი მოვლენების დაჯგუფებისაკენ და მხოლოდ შემდეგ მათში მოქმედ კანონზომიერებათა განყენებისაკენ. ექსპერიმენტი ემსახურება განყენებულ ბუნების კანონთა ჭეშმარიტების შემოწმებას, რის გამოც მეთოდების რიგში იგი ბოლოა. ყველა ბუნებისმეცნიერებამ ჯერ კიდევ ვინდელბანდის მიერ დესკრიპტულ, სისტემურ და ნომოთეტურ სტადიებად მიჩნეული საფეხური უნდა გაიაროს. ვინაიდან ფიზიკა უკვე კარგა ხანია თავისი განვითარების ნომოთეტურ და ექსპერიმენტულ სტადიაზეა შეჩერებული და, ვინაიდან იგი, ამასთან, ისე ღრმად შეიჭრა არათვალსაჩინო სფეროებში, რომ მას თავისი ობიექტების დეფინიცია, არსებითად, მხოლოდ ოპერაციების შემდეგ შეუძლია (რომელთა მეშვეობითაც იგი მათ შესახებ ცოდნას იძენს), ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ეს მეთოდები აუცილებელია კვლევის ისეთი საგნების მიმართაც გამოვიყენოთ, რომელთა შესასწავლად ჩვენი ცოდნის დღევანდელ დონეზე მხოლოდ და მხოლოდ უბრალოდ დაკვირვება და აღწერაც იკმარებდა. რაც უფრო კომპლექსური და ძლიერ ინტეგრირებულია ორგანული სისტემა, მით უფრო მკაცრად უნდა დავიცვათ მეთოდების ვინდელბანდისეული თანმიმდევრობა. ამიტომაც მოაქვს სწორედ ქცევის კვლევის სფეროში დღევანდელ ნაადრევ ექსპერიმენტულ ოპერაციონალიზმს აბსურდული შედეგები. ამ მცდარ პოზიციას ამაგრებს ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის რწმენა, რომელიც გვიქადაგებს, რომ ცხოველისა და ადამიანის ქცევას არ განსაზღვრავს არავითარი მოდგმის ისტორიაში წარმოქმნილი ცენტრალური ნერვული სტრუქტურის სისტემები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გარემოს ზეგავლენა და წვრთნა-სწავლა. ბიჰევიორისტული დოქტრინიდან მომდინარე პრინციპული შეცდომა აზროვნებასა და კვლევაში სწორედ ამ სტრუქტურებისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში ძევს: მათი აღწერა ზედმეტ საქმედაა მიჩნეული, ვარგისია მხოლოდ ოპერაციონისტული და სტატისტიკური მეთოდები. ვინაიდან ყველა ბიოლოგიური კანონზომიერება სტრუქტურების ფუნქციიდან მომდინარეობს, ამაო გარჯაა, ცოცხალი არსების სტრუქტურის დესკრიპციული გამოკვლევის გარეშე იმ კანონზომიერებათა განყენებას მივაღწიოთ, რომლებიც მათ ქცევას განაგებს.

რამდენადაც ცხადია მეცნიერული მოძღვრების ამ პირველსაფუძვლების აუცილებლობა (რაც ყოველ აბიტურიენტს ნათლად უნდა ესმოდეს, ვიდრე უნი-

ვერსიტეტის კარს შეაღებდეს), მით უფრო ჯიუტად და შეუგნებლად იკაფავს გზას ფიზიკის ბრმა მიბაძვის მოდა ლამის მთელ თანამედროვე ბიოლოგიაში. ამას მით უფრო მძიმე შედეგები მოაქვს, რაც უფრო კომპლექსურია საკვლევი სისტემა და რაც უფრო ნაკლები ვიცით მის შესახებ. ნევროსენსორული სისტემა, რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარ ცხოველთა და ადამიანის ქცევას განსაზღვრავს, ამ მხრივ პირველ ადგილზე დგას. მოდურ გატაცებას, შედარებით დაბალი ინტეგრაციის დონეზე კვლევა „უფრო მეცნიერულ“ კვლევად მიიჩნიოს, ადვილად მივყავართ ატომიზმამდე, ე. ი. დაქვემდებარებულ სისტემათა ნაწილობრივ კვლევამდე, მთელის გაუთვალისწინებლად. მაშასადამე, მოდური შეცდომა მდგომარეობს არა ბუნებისმეცნიერებათა საერთო სწრაფვაში, სიცოცხლის მოვლენები, თვით უმაღლესი ინტეგრაციის დონეზეც, ბუნების ძირითად კანონებზე დაიყვანოს და მათი მეშვეობით ახსნას (ამ აზრით, ჩვენ ყველანი „რედუქციონისტები“ ვართ), არამედ, მეთოდური შეცდომა, რომელსაც ჩვენ რედუქციონიზმს ვუწოდებთ, იმაში მდგომარეობს, რომ ახსნის ამგვარ ცდაში ყურადღების მიღმა რჩება უსაზღვროდ კომპლექსური სტრუქტურა, რომელიც ქვესისტემებს აერთიანებს და მხოლოდ მისი მეშვეობით შეიძლება მთელი სისტემის თავისებურებათა გაგება. ვისაც სურვილი ექნება, ბუნების სისტემური კვლევის მეთოდოლოგიას უფრო ახლოს გაეცნოს, ვურჩევთ წაიკითხოს ნიკოლაი ჰარტმანის „რეალური სამყაროს აგებულება“, ან პაულ ვაისის „შრეებრივი რედუქციონიზმი“. ორივე წიგნში არსებითად ერთზეა მსჯელობა და ეს ერთი რომ ძლიერ განსხვავებული პოზიციებიდანაა განხილული, მას განსაკუთრებულ პლასტიკურობას სძენს.

დღევანდელ მეცნიერულ მოდას თავისი მავნე შედეგები სწორედ იმით მოაქვს, რომ იგი, ზუსტად ისე როგორც ტანსაცმლის ან ავტომანქანის მოდა, სტატუს სიმბოლოებს ქმნის, სიმპსონის მიერ გამათრახებული მეცნიერების რანგობრივი წესრიგი კი სწორედ ამ გზით ჩნდება. თანამედროვე ოპერაციონალისტი, რედუქციონისტი, ქვანტიფიკატორი და სტატისტიკოსი ქედმაღლური თანაგრძნობით გადმოჰყურებს ყოველ ძველი მოდის მიმდევარს, რომელსაც სჯერა, რომ ცხოველისა და ადამიანის ქცევაზე დაკვირვებით და აღწერით, ექსპერიმენტის ან გამოთვლა-გამოანგარიშების გარეშე, შეიძლება ბუნებაში ღრმად ჩავიხედოთ და მნიშვნელოვანი ცოდნა მოვიპოვოთ. ძლიერ ინტეგრირებულ ცოცხალ სისტემათა კვლევას მხოლოდ მაშინ სცნობენ „მეცნიერულად“, თუ სისტემის სტრუქტურული თავისებურებები, გამიზნული ოპერაციების – „სიმარტივის ფილტრების“ მეოხებით, როგორც დონალდ გრიფინმა მათ მოსწრებულად უწოდა, მოჩვენებითად „ზუსტი“, მაშასადამე, გარეგნულად ფიზიკას მიმსგავსებული სიმარტივის შთაბეჭდილებას ტოვებს, ან თუ სტატისტიკური მონაცემების შეჯამება იმ ფაქტს გვავიწყებინებს, რომ საკვლევი „ელემენტარული ნაწილაკები“ ადამიანებია და არა ნეიტრონები, მოკლედ, მხოლოდ მაშინ, თუ დაკვირვებიდან ყველაფერს გამოვრიცხავთ, რაც ძლიერ ინტეგრირებულ ორგანულ სისტემებს, ადამიანის ჩათვლით, მართლა საინტერესოს ხდის. უპირველესად ეს ეხება სუბიექტურ განცდას, რომელიც ფროიდის ენით რომ ვთქვათ, როგორც უაღრესად ურიგო რამ, სრუ-

ლიად იდევნება. თუ ვინმე შესწავლის ობიექტად საკუთარ სუბიექტურ განცდას გაიხდის, მას როგორც სუბიექტივისტს, მიწასთან გაასწორებენ, მით უმეტეს, თუ იგი გაბედავს და ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესების იზომორფიზმს ამ უკანასკნელთა გაგების წყაროდ გამოიყენებს. ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის მესვეურებმა თავიანთ დროშებს გამომწვევად დააწერეს: „ფსიქოლოგია სულის გარეშე“ თან სრულებით ავიწყდებათ, რომ თავადაც, „ყველაზე ობიექტური“ კვლევის დროსაც, საკვლევი ობიექტის ცოდნა მხოლოდ საკუთარი სუბიექტური განცდის გზით ეძლევათ. იმას, ვინც გაბედავს, მეცნიერება ადამიანის სულის შესახებ ბუნებისმეცნიერებად მიიჩნიოს, უკეთეს შემთხვევაში გიჟად მონათლავენ.

თანამედროვე მეცნიერთა ყველა ეს მცდარი პოზიცია პრინციპულად არამეცნიერულია. იგი შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ძალიან დიდი, მტკიცედ ინდოქტრინირებული ადამიანთა მასების ერთობლივი და ძლიერი დაწოლით. ამ დაწოლას ხელეწიფება ადამიანთა ცხოვრების სხვა სფეროებშიც წარმოშვას დაუჯერებელი მოდური სისულელეები. მეცნიერების სფეროში მოდური ინდოქტრინაციის განსაკუთრებული საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძალიან ბევრი, საბედნიეროდ არა უკლებლივ ყველა, თანამედროვე ბუნებისმეცნიერის ცოდნის წყურვილს სრულიად საწინააღმდეგო გეზს აძლევს, იმის საპირისპიროს, რაც ადამიანის ყველა შემეცნებითი სწრაფვის მიზანთან მიგვიყვანდა, სახელდობრ, უკეთეს თვითშემეცნებასთან. დღევანდელი მოდა მეცნიერებას თავს ახვევს ტენდენციას, რომელიც არაადამიანურია ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით. ზოგი მოაზროვნე, რომელიც ნათელი თვალით ხედავს, თუ როგორ ედება ყველაფერს სიმსივნის მეტასტაზივით განკაცების ფენომენი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მეცნიერული აზროვნება, როგორც ასეთი, ინჰუმანურია და „დეჰუმანიზაციის“ საშიშროება მოაქვს. როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, მე ამ შეხედულებას არ ვიზიარებ. პირიქით, მჯერა, რომ დღევანდელ მეცნიერს, როგორც თავისი დროის შვილს, დეჰუმანიზაციის სენი შეჰყრია, რომელიც უპირველესად არამეცნიერულ კულტურაში იჩენს თავს. არსებობს არა მარტო სრულიად ცხადი, დეტალებამდე ზუსტი შესატყვისობები კულტურის ამ საერთო მეცნიერებისათვის დამახასიათებელ დაავადებათა შორის, არამედ პირველნი, თუ უფრო გულდასმით დავაკვირდებით, უკანასკნელთა მიზეზია უშუალოდ და არა შედეგი. მეცნიერების საშიში მოდური ინდოქტრინაცია, რომელიც კაცობრიობას უკანასკნელი საყრდენის გამოცლით ემუქრება, ვერასოდეს მოხდებოდა, პირველ ოთხ თავში გაანალიზებულ კულტურის დაავადებებს მისთვის გზა რომ არ გაეკაფათ. ჭარბი მოსახლეობა თავისი უცილოდ თანმხლები დეინდივიდუალიზებით და გაერთფეროვნებით, ბუნებისაგან გაუცხოება, მოწიწების უნარის დაკარგვასთან ერთად, კაცობრიობის კომერციული შეჯიბრი საკუთარ თავთან, რომლის უტილიტარული ზრახვებიც საშუალებას თვითმიზნად აქცევს და თავდაპირველ მიზანს დავიწყების მტვერს აყრის. აგრეთვე, გრძნობის გაღატაკება – ყოველივე ეს თავის კვალს ტოვებს დეჰუმანიზაციის შესაბამის მოვლენებში. ეს მათი მიზეზია და არა შედეგი.

თავი მეცხრე

ბირთვული იარაღი

თუ კაცობრიობისათვის ბირთვული იარაღის საფრთხეს შევადარებთ იმ შედეგებს, რაც მისთვის დანარჩენ შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას მოაქვს, აუცილებლად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგი ამ რვათა შორის ყველაზე ადვილად შეიძლება ავიცილოთ. რასაკვირველია, შეიძლება ვინმე გიჟი, დიაგნოზდაუსმელი ფსიქოპათი მოულოდნელად გასაშვებ ღილაკთან აღმოჩნდეს; გამორიცხული ისიც არ არის, რომ მოწინააღმდეგე მხარემ უბრალო ავარია თავდასხმად მიიღოს და უბედურება დატრიალდეს. მაგრამ ის მაინც ვიცით ნათლად და გარკვევით, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ „ბომბის“ წინააღმდეგ: იგი არ უნდა დავამზადოთ, ან არ უნდა ჩამოვაგდოთ. კაცობრიობის დაუჯერებელი კოლექტიური სისულელის გამო ამის მიღწევა არ იქნება ადვილი. რაც შეეხება ყველა სხვა საშიშროებას, მათ წინააღმდეგ რა უნდა ვიღონოთ, რიგიანად იმათაც კი არ იციან, ვინც კარგად ხედავს მათ. ატომური ბომბი რომ არ ჩამოვარდება, ამის მიმართ გაცილებით უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვიდრე კაცობრიობის ყველა დანარჩენი შვიდი ცოდვის მიმართ.

უდიდესი ზიანი, რაც დღეს ბირთვული იარაღის საშიშროებას მოაქვს კაცობრიობისათვის, „მსოფლიო წარღვნის“ საერთო განწყობილების შექმნაა.

მას უკავშირდება პრიმიტიულ სურვილთა მყისვე დაკმაყოფილების უპასუხისმგებლო და ინფანტილური მიდრეკილება. აგრეთვე, სრული უუნარობა, პასუხისმგებლობა იგრძნონ იმისადმი, რაც შორეულ მომავალშია. ყოველივე ამის გამო გადაწყვეტილების საფუძველში ქვეცნობიერად ცოცხლობს შემაშფოთებელი კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს იარსებებს კიდევ ეს ქვეყანა.

თავი მეათე

შეჯამება

ჩვენ განვიხილეთ რვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა მიზეზობრივად მჭიდროდ დაკავშირებული პროცესი, რომელიც განადგურებით ემუქრება არა მხოლოდ ჩვენს დღევანდელ კულტურას, არამედ მთელ კაცობრიობას, როგორც სახეობას.

ეს მოვლენებია:

1. მოსახლეობის სიჭარბე, რომელიც ყოველ ჩვენგანს, სოციალური კონტაქტების მოზღვავების გამო, აიძულებს, არსებითად „არაადამიანურად“ გაემიჯნოს სხვას, და რომელიც, ვიწრო სივრცეში უამრავი ინდივიდის თავმოყრის გამო უშუალო აგრესიას ბადებს.

2. ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება, რომელიც არა მარტო გარესამყაროს ანგრევს, რომელშიც ვცხოვრობთ, არამედ თვით ადამიანშიც ანად-

გურებს დიადი სამყაროს სრულყოფილებისა და სილამაზისადმი ყოველი მოწიწების გრძნობას.

3. კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან, რომელსაც ტექნოლოგიის განვითარება, ჩვენდა საუბედუროდ, სულ უფრო მეტად აჩქარებს, ადამიანს ჭეშმარიტი ღირებულების დასანახ თვალს უბრმავებს და დროს არ ტოვებს ჭეშმარიტად ადამიანური სააზროვნო საქმიანობისათვის.

4. ყველა ძლიერ გრძნობათა და აფექტთა გაქრობა გასათუთების გამო. ტექნოლოგიისა და ფარმაკოლოგიის წინსვლა აძლიერებს შეუწყნარებლობას ყველაფრის მიმართ, რაც სულ მცირედაც კი ჩვენს უსიამოვნებას გამოიწვევს. ადამიანი კარგავს უნარს, განიცადოს სიხარული, რომელიც ეწვევა ხოლმე ძალთა დიდი დაძაბვისა და წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად. სიხარულისა და მწუხარების ხან ზეაჭრილი და ხან ქვედაშვებული კლაკნილის მკვეთრი კონტრასტულობა ენით უთქმელი მოწყენილობის უგერგილო რხევამდე დადის.

5. გენეტიკური დაშლა. თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში არ არსებობს (გარდა „ბუნებრივი სამართლის გრძნობისა“ და ზოგიერთი შემორჩენილი სამართლის ტრადიციისა) არავითარი ფაქტორი, რომელიც სელექციურ ზეგავლენას მოახდენდეს სოციალური ქცევის ნორმათა განვითარებასა და შენარჩუნებაზე, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ზრდასთან ერთად იგი სულ უფრო უცილო ხდება. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი ინფანტილიზმი, რაც დღევანდელ „მოჯანყე“ ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს სოციალურ პარაზიტებად აქცევს, გენეტიკურადაც იყოს განპირობებული.

6. ტრადიციისაგან მოწყვეტა გამოწვეულია იმით, რომ თაობათა ურთიერთობამ იმ კრიტიკულ წერტილს მიაღწია, როცა უმცროსი თაობა კარგავს უფროსთან კულტურულ ურთიერთგაგებას. იდენტიფიკაციაზე ხომ საერთოდ აღარ შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ იგი მას ისე ექცევა, როგორც უცხო ეთნიკურ ჯგუფს და მას ნაციონალურ სიძულვილს ახვედრებს.

იდენტიფიკაციის დაკარგვა, უპირველესად, მშობლებსა და შვილებს შორის კონტაქტის დაკარგვითაა გამოწვეული, რაც უკვე ჩვილობის ასაკში პათოლოგიურ შედეგებს გვაძლევს.

7. კაცობრიობის ინდოქტრინაციის ზრდა. ერთ კულტურულ ჯგუფში გაერთიანებულ ადამიანთა რიცხობრივ ზრდას, ტექნიკურ საშუალებათა სრულქმნასთან ერთად, მივყავართ საზოგადოებრივი აზრის, შეხედულებათა იმგვარი უნიფორმირებისაკენ, როგორიც კაცობრიობის ისტორიას საერთოდ არ ახსოვს. ამას ემატება ისიც, რომ მტკიცედ შეთვისებული დოქტრინის შთაგონებითი ზემოქმედება გეომეტრიული პროგრესიით იზრდება მისი მომხრეების რიცხვის ზრდასთან ერთად. დღეს, მაგალითად, ინდივიდს, რომელიც თავს შეგნებულად არიდებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, თუნდაც, ტელევიზორს, პათოლოგიურად მიიჩნევენ. დეინდივიდუალიზების ყველა ეფექტი სასურველია მათთვის, ვისაც ადამიანთა დიდი მასების მანიპულირება სურთ. შეხედულებათა შესწავლა, სა-

რეკლამო ტექნიკა და ალღოიანად წარმართული მოდა დიდ მწარმოებლებს ეხმარება მასებზე ძალაუფლების გაძლიერებაში.

8. ბირთვული იარაღით შეიარაღებას კაცობრიობისათვის ის საფრთხე მოაქვს, რომელიც შედარებით უფრო ადვილად შეიძლება თავიდან ავიცილოთ, ვიდრე ზემოთ აღწერილი შვიდი საფრთხე.

შვიდსავე თავში აღწერილ დეჰუმანიზაციის მოვლენებს ბიძგს აძლევს ფსევდოდემოკრატიული დოქტრინა, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანის სოციალურ და მორალურ ქცევას, საერთოდ, არ განაპირობებს მოდგმის ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ნერვული სისტემა და შეგრძნების ორგანოები, არამედ მასზე მხოლოდ „კონდიციონირება" ახდენს ზეგავლენას, რომელსაც ადამიანი კულტურული გარემოსაგან განიცდის თავისი ონტოგენეზის პროცესში.

ჟან-პოლ სარტრი

1905-1980

შესავალი

ჟან-პოლ სარტრის ნარკვევი „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“ მეოცე საუკუნის ფილოსოფიური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტექსტია. მას კითხულობენ ადამიანის რაობასთან დაკავშირებული „საჭირბოროტო“ საკითხებით დაინტერესებული არასპეციალისტი მკითხველებიც და ისინიც, ვინც უშუალოდ სარტრის ფილოსოფიაში გასათვითცნობიერებლად ეძებენ შედარებით მარტივ შესავალს. ტექსტიდან ისეთი წინადადება, როგორიცაა „ადამიანი დაწყევლილია, იყოს თავისუფალი“, მოსწრებულ მოარულ ფრაზადაც იქცა.

სინამდვილეში, ტექსტს საფუძვლად უდევს 1945 წელს სარტრის მიერ ფართო აუდიტორიის წინაშე ზეპირად – და, შესაბამისად, ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი უზუსტობებით – წაკითხული მოხსენება, რომელიც ფაქტობრივად გადაუმუშავებელი სახით და სარტრის თანხმობის გარეშე გამოიცა ერთი წლის შემდეგ. ამ გარემოების გათვალისწინებით, და იმის გამოც, რომ სარტრის მთელ ფილოსოფიას ხშირად ნაჩქარევად აიგივებენ ამ მოკლე ტექსტთან, საჭიროა, ის მოვათავსოთ მის ისტორიულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და აგრეთვე თავად სარტრის ბიოგრაფიისა და სააზროვნო განვითარების კონტექსტში.

1905 წელს პარიზში დაბადებულმა სარტრმა საშუალო და უმაღლესი განათლება საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიიღო. 1930-იან და 40-იან წლებში თავისი თაობის ფრანგი ინტელექტუალების მსგავსად გადამწყვეტი სააზროვნო იმპულსები გერმანულ ფილოსოფიასთან ზიარებით მიიღო. მან, ერთი მხრივ, საფრანგეთში „ჰეგელის რენესანსის“ ტალღაზე შეითვისა გ. ვ. ფ. ჰეგელის 1807 წელს გამოქვეყნებული ეპოქალური ნაშრომი „გონის ფენომენოლოგია“, მეორე მხრივ კი, შეისწავლა XX საუკუნის დასაწყისის გერმანელ ფილოსოფოსთა ნააზრევი (ედმუნდ ჰუსერლი, მაქს შელერი, მარტინ ჰაიდეგერი).

სარტრი, რომელიც მოგვიანებით პოლიტიკურად ანგაჟირებული ინტელექტუალის სანიმუშო მაგალითად იქცა, თავად იხსენებს, რომ 1930-იან წლებში ის უბრალოდ „გულით მემარცხენე“ იყო, მაგრამ არც პოლიტიკაში და არც პოლიტიკური და სოციალური საკითხების გარშემო საჯარო კამათში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. ყველაფერი იცვლება, როცა მეორე მსოფლიო ომი ჩაღდება. ნაცისტური გერმანია საფრანგეთს იკავებს და ოკუპაციისადმი ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა (ე. წ. „რეზისტანსი“) იწყება. ჯარში გაწვეული სარტრი 1940-41 წლებში ცხრა თვით გერმანელთა ტყვეობაშიც ვარდება. პარიზში

დაბრუნების შემდეგ სარტრის მონაწილეობა „რეზისტანსში“ უფრო სამწერლობო ხასიათისაა. ის ერთნაირი ნაყოფიერებით ეწევა ფილოსოფიურ სამუშაოს და აქვეყნებს პროზაულ ნაწარმოებებს, პიესებსა და პუბლიცისტურ სტატიებს. 1943 წელს გამოდის მისი ფუნდამენტური ფილოსოფიური ნაშრომი „ყოფნა და არარა“, ხოლო თეატრში წარმატებით იდგმება „ბუზები“, 1944 წელს კი – „ცხრაკლიტული“.

1944 წლის 26 ოქტომბერს პარიზს გერმანული ოკუპაციისგან ათავისუფლებენ და იწყება პერიოდი, როდესაც ფრანგულ საზოგადოებას უწევს, თვალი გაუსწოროს იმ ვითარებას, რომ მისი მორალური წესრიგი მორყეულია. გერმანული ოკუპაციის დროს მტრულ ძალასთან, როგორც საფრანგეთის მთავრობის, ისე ფრანგული საზოგადოების ნაწილის აქტიურმა თანამშრომლობამ (ე. წ. „კოლაბორაციამ“) თუ ინერტულმა კონფორმიზმმა მწვავედ დააყენა ინდივიდის, ცალკეული მოქალაქის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი: რა როლი და წონა ეკისრება ცალკეული ადამიანის ქცევას – მის კოლაბორაციასა თუ წინააღმდეგობას – ფრანგული საზოგადოებისათვის თავს დატეხილ უბედურებაში? რას შეცვლიდა ცალკეულის გამბედაობა? რამდენად იყო ცალკეულის ქცევა და მისი შედეგები იმთავითვე დამოკიდებული მთლიან საზოგადოებრივ ტენდენციაზე?

ეს არის ის მდუღარე კონტექსტი, რომელშიც სარტრი თავის თანამოაზრეებთან ერთად 1945 წელს აფუძნებს გავლენიან ჟურნალს *Les Temps modernes.* მასში ავითარებს სარტრი თავის მოსაზრებებს „ანგაჟირებული ლიტერატურის“ შესახებ, რომელიც ძირეულად უარყოფს, რომ ხელოვნება თვითკმარი, სამყაროსგან განყენებული უნდა იყოს, და წინ წამოწევს მწერლისა და ინტელექტუალის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას. წერა და ნაწერზე პასუხისმგებლობის აღება სარტრს ესახება, როგორც სამყაროში მოქმედების, მასში ჩარევის ერთ-ერთი ფორმა. ხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნდა პირველად ნაწყვეტები მწერალი ქალისა და ფემინისტი თეორეტიკოსის, სიმონ დე ბოვუარის 1949 წელს გამოქვეყნებული წიგნიდან „მეორე სქესი“, რომელიც „მეორე ტალღის ფემინიზმისათვის“ უმნიშვნელოვანეს თეორიულ საყრდენად იქცა. სიმონ დე ბოვუარი და სარტრი 1929 წლიდან სარტრის სიკვდილამდე დაუქორწინებლად, ღია ურთიერთობაში, დარჩნენ ერთმანეთის ცხოვრების თანამგზავრებად.

როდესაც პარიზის გათავისუფლებისას შექმნილი კლუბი Maintenant ავრცელებს ანონსს, რომ 1945 წლის 29 ოქტომბერს სარტრი საჯარო მოხსენებას კითხულობს სათაურით „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“, სარტრის გარშემო უკვე ჭარბი ყურადღებაა კონცენტრირებული, რადგან პუბლიცისტიკაში, ლიტერატურაში, თეატრში, ფილოსოფიაში ის ერთნაირად თვალშისაცემი ფიგურაა. დარბაზში დიდი აჟიოტაჟის ფონზე წაკითხულ მოხსენებაში სარტრი ცდილობს ფართო პუბლიკისთვის გასაგები სახით ჩამოაყალიბოს თავისი ფილოსოფიური პოზიცია. საამისოდ სარტრი აიტაცებს იმ ცნებას, რომელიც მის მოწინააღმდეგეებს მის ფილოსოფიაში, პროზასა თუ პიესებში ასახული მსოფლმხედველობის სალანძღავ აღმნიშვნელად ექციათ: ეგზისტენციალიზმი.

ეგზისტენციალიზმის ის სახე, რომელსაც სარტრი წარმოადგენს, შეიძლება განისაზღვროს ფილოსოფიად, რომლისთვისაც არ არსებობს ადამიანის წინასწარ განსაზღვრული არსი, დანიშნულება ან რაიმე გარანტირებული ზნეობრივი და რელიგიური საყრდენი. მარტინ ჰაიდეგერის მიერ თავის წიგნში „ყოფნა და დრო“ განვითარებული ეგზისტენციალური ანალიზის კვალდაკვალ, სარტრი მიიჩნევს, რომ ადამიანს, არ აურჩევია, დაბადებულიყო ამა თუ იმ დროსა და გარემოში, ამა თუ იმ ფიზიკური მონაცემებით, ყოფილიყო სამყაროსა და სხვა ადამიანების გარემოცვაში ჩავარდნილი არსება, რომლის გარდაუვალი ბოლოც სიკვდილია. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ადამიანს მუდმივად უწევს, პასუხისმგებლობა აიღოს იმაზე, რაშიც ის ყოველგვარი არჩევანის გარეშე ჩააგდეს.

სარტრისეული ეგზისტენციალიზმი პრინციპულად იცავს ათეისტურ პოზიციასაც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ღმერთის არსებობისა არ სწამს. მისთვის ღმერთის არსებობა-არარსებობაც, საბოლოო ჯამში, ძალაუნებურად ადამიანის თავისუფალ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, იწამოს ან არ იწამოს უმაღლესი ღვთაებრივი ძალა. მორწმუნე, რა თქმა უნდა, ღმერთის თავისთავად არსებობაზე, მის ადამიანისგან დამოუკიდებელ ძლევამოსილებაზე აპელირებს, მაგრამ რწმენის, როგორც ადამიანის მიერ გაწეული სულიერი ძალისხმევის, არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდის პირად ძალისხმევას და ამ ძალისხმევის შენარჩუნებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება.

წინამდებარე ტექსტში სარტრი ტყუილად არ ახსენებს XIX საუკუნის დანიელ რელიგიურ მოაზროვნეს, სიორენ კირკეგორს, რომელსაც პირველ ეგზისტენციალისტ ფილოსოფოსსაც უწოდებენ. კირკეგორს ეკუთვნის აბრაამისა და ისააკის ძველი აღთქმისეული ამბის ძალზედ ცნობილი ინტერპრეტაცია: როცა აბრაამს ანგელოზი გამოეცხადება და უბრძანებს, საკუთარი ვაჟი შესწიროს ღმერთს მსხვერპლად, აბრაამი, საკუთარ თავთან და ღვთის ხმასთან მარტო დარჩენილი, თავადვე ხდება პასუხისმგებელი იმაზე, გადაწყვიტოს, მას მართლაც ღვთის ანგელოზი გამოეცხადა თუ უბრალოდ ჰალუცინაცია. ამ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც მის გარდა ვერავინ მიიღებს, იქნება დამოკიდებული მისი რწმენის სიმტკიცეც. გარშემომყოფებმა, რომლებთანაც ჩვენი ურთიერთობა „საღი აზრით“, საზოგადოებრივი წესებითა და სამართლებრივი ნორმებით წესრიგდება, აბრაამი შეიძლება ან გიჟად ან დამნაშავედ შერაცხონ, თუ აბრაამმა მათ გაუმხილა, რომ ღმერთისათვის საკუთარი ვაჟის მსხვერპლად შეწირვას აპირებს. ამიტომ, აბრაამი თავის გადაწყვეტილებას სხვებს ვერც გაუზიარებს და ვერც გადაულოცავს ისე, რომ ამით საკუთარი პასუხისმგებლობის ტვირთიც არ შეიმსუბუქოს და თავისი, როგორც სუბიექტის, უშინაგანეს და უსაკუთრივეს ჭეშმარიტებას არ უღალატოს.

სარტრი ჰაიდეგერისგან და კირკეგორისგან მიღებულ ფილოსოფიურ იმპულსებს შემდეგნაირ არგუმენტებად თარგმნის თავის „ყოფნა და არარაში“: ადამიანი არ „არის“ ისეთი უძრავად და მკვრივად არსებული რამ, როგორიც ნებისმიერი უსულო ნივთია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისთვის ნივთივით გახევებუ-

ლი მოცემულობაა მისი გარემო, მისი ფიზიკური აღნაგობა, მისი წარსული, ანუ ყველაფერი ის, რაც თითქოს გარდაუვალად განსაზღვრავს ადამიანს. ადამიანი თავდაპირველად არსებობს („ეგზისტირებს", აქედან სახელწოდება „ეგზისტენციალიზმი") ანუ განპირობებულია იმით, რასაც ფაქტობრიობა ეწოდება: იმ აურჩეველი ფაქტით, მოცემულობით, *რომ* უბრალოდ არსებობ, *როგორიც* არსებობ. მაგრამ ადამიანი, განსხვავებით ნივთისგან, არასდროს არაა საკუთარი თავის იდენტური; ის არასდროს ემთხვევა საკუთარ თავს. ადამიანმა შეიძლება მოიბოდიშოს: „რა ვქნა, ასეთი ვარ, ასეთი გავჩნდი" და საკუთარ თავს ისევე მიაწეროს რაიმე მოუცილებელ, ურყევ თვისებად, როგორც, მაგალითად, ბურთია მრგვალი. მაგრამ სარტრისთვის ეს თავის მოტყუებაა, რადგან ადამიანი არასდროს არ *არის* რაღაც, არამედ მას უწევს, საკუთარი თავი ამად *ამყოფოს*. ადამიანი განსაზღვრულია იმ გარემოთი, რომელშიც „ჩავარდა"; მაგრამ ეს ის განსაზღვრულობაა, რომელსაც ადამიანი მუდმივად თავადვე განსაზღვრავს, რადგან მასთან თავისუფალ მიმართებაშია. ბურთს კი არანაირი მიმართება, არანაირი მინიმალური დისტანციაც კი არ გააჩნია არც საკუთარ სიმრგვალესთან და არც საერთოდ საკუთარ არსებობასთან. ადამიანს თავისი არსებობის პირველად, გარდაუვალ მოცემულობაზე დაყრდნობით უწევს, შეუქმნას საკუთარ თავს საზრისი, არსი (იგივე „ესენცია"), რითაც ის მუდმივად გადალახავს (ანუ, ფილოსოფიის ენაზე, „ტრანსცენდირებს") თავის ამ ფაქტობრივ არსებობას. მაშასადამე,

1) ადამიანი არის ფაქტობრიობით განსაზღვრული არსება: მე *ვარ* (რაღაცა);

2) ადამიანი არის ამ ფაქტობრიობის მუდმივი ტრანსცენდირება, გადალახვა, უარყოფა (იგივე „ნეგაცია"): მე არ ვარ (ეს რაღაცა);

3) ადამიანი არის მუდამ ტრანსცენდირებული ფაქტობრიობა: მე არ ვარ ის, რაც *ვარ* (და რაც *ვარ*, არ ვარ ისე, როგორც რაიმე ნივთი *არის*).

სწორედ ადამიანის საკუთარ თავთან ეს ძირეული დაუმთხვევლობაა სარტრისთვის ადამიანის გარდაუვალი თავისუფლების საფუძველი. მისი გარემო არ არის მისი ბედისწერა ანდა, როგორც ცხოველისთვის, ბუნებრივი ჰაბიტატი, არამედ ადამიანს აქვს უნარი, საკუთარი ფაქტობრიობა გარდაქმნას *სიტუაციად*, რომელშიც ის თავისუფლად იმოქმედებს. სარტრის 1940-იანი წლების შემოქმედება განმსჭვალულია რწმენით, რომ შეიძლება გარემომ, რომელშიც შემთხვევითობის ძალით ჩავარდი, შენდა დაუკითხავად დაღი დაგასვა, მაგრამ შენ ყოველთვის ძალგიძს, ამ პირობებშიც კი რაღაცად *აქციო* საკუთარი თავი, რადგან ისედაც „დაწყევლილი ხარ"; იყო თავისუფალი და გადაწყვეტილება მიიღო, არჩევანი გააკეთო.

რადგან ეგზისტენციალიზმი ყოველგვარ გარეშე ავტორიტეტს უგულებელყოფს და მიიჩნევს, რომ მათდამი მორჩილებაც კი, საბოლოო ჯამში, ინდივიდის გადაწყვეტილებაზე დგას, ეგზისტენციალიზმს არაჰუმანურობას, ადამიანისთვის ყოველგვარი მყარი საყრდენის მოშთობას, აბრალებდნენ. სარტრი კი, პირიქით, ჰუმანისტურს სწორედ იმიტომ უწოდებს თავის ეგზისტენციალიზმს, რომ კლასიკური ჰუმანიზმის მსგავსად, ადამიანს და ადამიანურ შემოქმედებას აყენებს სამყაროს ცენტრში. სარტრისეული ჰუმანიზმი აპელირებს არა ადამიანის რაიმე

მარადიულ „ბუნებაზე“, არამედ იმაზე, რომ ადამიანს მუდმივად თავად და მუდამ ხელახლა უწევს საკუთარი თავისა და ღირებულებების წარმოქმნა.

სარტრის ტექსტის მეტ-ნაკლებად იმპროვიზებული ხასიათის გამო მასში ბევრი თემა გაუშლელი და დაუზუსტებელი დარჩა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ეგზისტენციალისტური მორალის საკითხიც.

სარტრი ეგზისტენციალურ მორალს ქრისტიანულ და კანტის მიერ წამოყენებულ მორალზე უფრო მაღლა აყენებს, რადგან ამ უკანასკნელთ ზედმეტად აბსტრაქტულად მიიჩნევს. ეგზისტენციალისტური მორალი კი ყოველთვის კონკრეტული სიტუაციიდან ამოდის, რომელსაც ყოველ ჯერზე მისთვის შესაბამისი კონკრეტული გადაწყვეტა ესაჭიროება. აქ ვერანაირი ზოგადი მორალური „რეცეპტი“ ვერ გაჭრის, რომელიც განურჩევლად ყველა შემთხვევას მიესადაგებოდა.

თავისი არგუმენტის უკიდურესობამდე მისაყვანად სარტრი თავად ამბობს, რომ თუ დღეს საზოგადოებას ადამიანთა ემანსიპაცია სურს, მან შეიძლება ხვალ გადაწყვიტოს, რომ ფაშიზმს დაუჭიროს მხარი, და საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე სწორედ ეს აქციოს ზნეობრივ ჭეშმარიტებად. და არავითარი გარეგანი მექანიზმი არ იარსებებს ამ გადაწყვეტილების გასაბათილებლად. თუმცა, სარტრი იქვე დასძენს, რომ ეგზისტენციალისტურ მორალსაც აქვს თავისი საზომი ჭეშმარიტი არჩევანის მცდარისგან გამოსარჩევად, და ამ საზომს თავისუფლებაში ხედავს: იმაში, რომ მე არჩევანის გაკეთებისას არა მხოლოდ ჩემი, არამედ სხვების თავისუფლებაც მინდოდეს (რაც ფაშიზმის, როგორც ღიად დამმონებელი იდეოლოგიისთვის, მიუღებელია). თუმცა, რადგან სარტრი თავისუფლების როგორც რეალური მორალური საზომის საკითხს ვერ ავრცობს, ის აბსტრაქტული, დაუსაბუთებელი განაცხადის დონეზე რჩება.

კრიტიკის საგნად იქცა ისიც, რომ, რაგინდ მართალი იყოს ეგზისტენციალიზმი, როცა ადამიანის პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს, ინდივიდის არჩევანის თავისუფლებაზე აპელირებას ადვილად ეცლება საფუძველი ეპოქაში, რომელშიც კონკრეტული ადამიანი სულ უფრო მეტად არის გლობალური პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური ძალების ქსელში გახვეული. ეგზისტენციალიზმის შემართება შეიძლება ყალბ, დონკიხოტურ ჰეროიზმად იქცეს, რაც არ უნდა გულწრფელი და მტკიცე იყოს ინდივიდის ძალისხმევა. თანაც, ერთია საკუთარ არჩევანზე სუბიექტური პასუხისმგებლობა, მეორე – ის პრაქტიკული შედეგები და რეზონანსი, რასაც ჩემმა არჩევანმა შეიძლება ობიექტურად მიაღწიოს, თუ საზოგადოებრივი გარემო მას თავისთავად ზღუდავს. რაც არ უნდა იყოს, სარტრის მიდგომის დედაარსად მაინც საკუთარი პასუხისმგებლობის გარდაუვალობა რჩება, თუნდაც არარსებული არჩევანის პირობებში.

მოღვაწეობის ომისშემდგომ პერიოდში სარტრი თვითონვე უღრმავდება ინდივიდის მოქმედების განმსაზღვრელ და გარკვეულწილად შემზღუდავ ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“ სარტრის აზროვნების ამ ორ პერიოდს შორის მიჯნაზე დგას. მოგვიანებით სარტ-

რისთვის მიუღებელი ხდება მისი ადრინდელი პოზიცია, რომ ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში თავისუფალია და მხოლოდ საკმარისია, ამის სურვილი და ძალისხმევა გამოიჩინოს. თავისუფლების შედარებით აბსტრაქტული გაგება (რომელიც, როგორც ეგზისტენციალისტური მორალის შემთხვევაში ვნახეთ, შეიძლება აბსტრაქტული დარჩეს მაშინაც კი, როცა მუდმივად კონკრეტული სიტუაციიდან სურს ამოსვლა) მდიდრდება კარლ მარქსის ერთერთი უმთავრესი მიხვედრით: „ადამიანები თვით ჰქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ ჰქმნიან არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულ, მოცემულ და გადმოცემულ პირობებში“ (კ. მარქსი, „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონოპარტისა“).

სარტრისთვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთქმედების, მათ მიერ ერთი-მეორის განპირობების საკითხი, რისი შემადგენელი ნაწილიცაა დაფიქრება კოლექტიური მოქმედებისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის შესაძლებლობებზე. არც ინდივიდს უნდა მოეხსნას სუბიექტური პასუხისმგებლობა საზოგადოების წიაღში მის ქცევაზე და არც საზოგადოებამ უნდა შთანთქას ინდივიდი რაღაც სრულიად ერთგვაროვან და უპიროვნო კოლექტივში, სადაც აღარ რჩება სივრცე თავისუფალი მოძრაობის, დავისა და გადაწყვეტისთვის. სწორედ ამგვარი სივრცის მოსპობას ხედავდა სარტრი საბჭოთა კავშირში, სადაც მშრომელთა ემანსიპაციის მოძრაობა ჩაყლაპა და ჩაანაცვლა ყოვლისმომცველმა ბიუროკრატიულმა პარტია-სახელმწიფომ.

კოლექტიური მოქმედების საკითხისადმი მზარდი თეორიული ინტერესის პარალელურად სარტრი პოლიტიკურადაც სულ უფრო მეტად აქტიურდება: მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იწყება მისი რთული ურთიერთობა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასთან, რომლის იმედსაც კარგავს, როდესაც საბჭოთა კავშირი 1956 წელს უნგრეთში იჭრება. 1964 წელს უარს ამბობს ლიტერატურის დარგში მისთვის მინიჭებულ ნობელის პრემიაზე, რითიც მას სურდა წინააღმდეგობა გაეწია კულტურული და პოლიტიკური „ისტებლიშმენტის“ მიერ მისი „მოთვინიერებისთვის“. 1968 წელს მაისის მოვლენების დროს აქტიურად იყო ჩართული გაფიცვებსა და სტუდენტურ პროტესტში. უკომპრომისოდ აკრიტიკებდა ფრანგულ კოლონიალიზმს და მხარს უჭერდა ალჟირის ეროვნულ განმანთავისუფლებელ ფრონტს 1954-62 წლებში საფრანგეთსა და ალჟირს შორის მიმდინარე ომში. სარტრი გარდაიცვალა 1980 წლის 15 აპრილს.

ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

აქ მე მსურს, ეგზისტენციალიზმი მის მიმართ გამოთქმული რამდენიმე საყვედურისგან დავიცვა.

პირველ რიგში, მას საყვედურობენ, რომ ადამიანებს უიმედობის ერთგვარ კვიეტიზმში[1] დარჩენისაკენ მოუწოდებს, თითქოს, ჩაკეტილია რა ყოველგვარი გამოსავალი, უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ სამყაროში მოქმედება სავსებით შეუძლებელია, და, საბოლოოდ, მჭვრეტელობით ფილოსოფიას მივეცეთ, რაც, თავის მხრივ, რაკი მჭვრეტელობა ფუფუნებაა, ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში გვაბრუნებს. უმთავრესად სწორედ ამ შინაარსისაა კომუნისტთა საყვედურები.

მეორე მხრივ, გვსაყვედურობენ, რომ ადამიანის სიმდაბლეს ვუსვამთ ხაზს, რომ ყველგან რაღაც ბინძურს, საეჭვოს, ლორწოვანს ვაჩვენებთ და მთელ რიგ მომცინარ მშვენიერებებს, ადამიანის ბუნების ნათელ მხარეს უგულებელვყოფთ. ასე მაგალითად, მადმუაზელ მერსიე, კათოლიკე კრიტიკოსი, მიიჩნევს, რომ ბავშვის ღიმილი დაგვავიწყდა. ერთნიც და მეორენიც გვსაყვედურობენ, ადამიანურ სოლიდარობას უმტყუნეთო, მიგაჩნიათ, რომ ადამიანი იზოლირებულიაო, რისი მიზეზიც, სხვათა შორის, დიდწილად ის ჰგონიათ, რომ, როგორც კომუნისტები ამბობენ, ჩვენი ამოსავალი წერტილი წმინდა სუბიექტურობაა ანუ კარტეზიანული „მე ვაზროვნებ“[2] ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის მომენტი, სადაც ადამიანი თავის სიმარტოვეში სწვდება საკუთარ თავს, რაც შემდგომში ვითომდა უუნაროს გვხდის, დავუბრუნდეთ სოლიდარობას ადამიანებისადმი, რომლებიც ჩემ გარეთ არიან და რომელთაც *კოგიტო*-ში ვერ ვწვდები.

ხოლო, ქრისტიანთა მხრიდან გვსაყვედურობენ, რომ ადამიანურ წამოწყებათა სინამდვილესა და სერიოზულობას უარვყოფთ, რადგან, თუ ღმერთის მცნებებსა და მარადისობაში ჩაწერილ ღირებულებებს გავაუქმებთ, სხვა აღარაფერი დარჩება, გარდა ცარიელი თვითნებობისა, რითაც ყველას იმის კეთების უფლება ექნება, რაც მოესურვება, და არ შეეძლება საკუთარ თვალსაზრისზე დაყრდნობით სხვათა თვალსაზრისებისა და ქმედებების დაგმობა.

დღეს მე მწადია, ამ სხვადასხვა საყვედურს პასუხი გავცე; ამიტომაც დავარქვი ჩემს პატარა მონახაზს „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია.“ ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდევაც, რომ აქ ჰუმანიზმზე ვსაუბრობთ. ვეცდებით, ვნახოთ, თუ რა აზრით გვესმის ჰუმანიზმი. ნებისმიერ შემთხვევაში, აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგზისტენციალიზმი ჩვენ გვესმის, როგორც სწავლება, რომელიც ადამიანის ცხოვრებას შესაძლებელს ხდის და, ამასთანავე, აცხადებს, რომ ყოველგვარი ჭეშმარიტება და ყოველგვარი ქმედება გარკვეულ გარემოსა და ადამიანის სუბიექ-

ტურობას გულისხმობს. როგორც ცნობილია, არსებითი საყვედური ჩვენ მიმართ ისაა, რომ ადამიანის ცხოვრების ცუდ მხარეს ვუსვამთ ხაზს. ამასწინათ მიხსენეს ერთი ქალბატონი, რომელსაც, რაკი აღელვების ნიადაგზე უწმაწური სიტყვა დასცდა, ბოდიშის მოსახდელად განუცხადებია, მგონი, ეგზისტენციალისტი ვხდებიო. შესაბამისად, ეგზისტენციალიზმს სიმახინჯესთან აიგივებენ; ამიტომ აცხადებენ, რომ ჩვენ ნატურალისტები ვართ; და თუ მართლაც ვართ ნატურალისტები, გასაკვირია, რომ ხალხს უფრო მეტად ვაფრთხობთ და აღვაშფოთებთ, ვიდრე დღეს ამას საკუთრივ ნატურალიზმი ახერხებს. მავანს, ვინც უმტკივნეულოდ ყლაპავს ზოლას ისეთ რომანს, როგორიცაა „მიწა“,[3] გული ერევა, რაწამს ეგზისტენციალისტურ რომანს კითხულობს; მავანი, ვინც ხალხურ სიბრძნეს იყენებს, რომელიც ფრიად სევდიანია, ჩვენ კიდევ უფრო სევდიანად მიგვიჩნევს. და მაინც, რა არის იმის თქმაზე უფრო თვალისამხელი, ვიდრე: „მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“ ანდა კიდევ „გლახას კიტრი მისცეს, გამოართვა და თქვა: რაღა დასეტყვილი შემხვდაო“? ვიცნობთ იმ მოარულ მოსაზრებებს, რომლებსაც ამ საკითხთან დაკავშირებით მოუხმობენ ხოლმე და რომლებიც მუდამ ერთი და იმავე რამეს აჩვენებენ: არ ებრძოლო დამკვიდრებულ ხელისუფლებას, არ გაუწიო წინააღმდეგობა ძალას, არაფერი უნდა წამოიწყო ისეთი, რაც შენს გარემოპირობებს აღემატება, ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ტრადიციაში არ ჯდება, რომანტიზმია, ნებისმიერი მცდელობა, რომელიც უკვე არსებულ გამოცდილებას არ ეყრდნობა, მარცხისთვისაა განწირული; ხოლო, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანები გაუჩერებლად ქვევით მიექანებიან და რომ მყარი ჩარჩოებია საჭირო მათ მოსათოკად, თუ არადა, ანარქია გველის. არადა, სწორედ ხალხი იმეორებს უსასრულოდ ამ სევდისმომგვრელ გამონათქვამებს, და ამბობს, როგორი ადამიანურია ეს ყველაფერიო, როცა კი მეტ-ნაკლებად ამაზრზენ ქმედებას დაინახავს, და სწორედ ეს ხალხია, ვინც ეგზისტენციალიზმს ზედმეტი პირქუშობისთვის საყვედურობს, რის გამოც უკვე საკუთარ თავს ვეკითხები, ეგზისტენციალიზმს უმალ მისი ოპტიმიზმის გულისთვის ხომ არ კიცხავენ, ვიდრე მისი პესიმიზმისთვის. იმ სწავლებაში, რომლის განმარტებასაც შევეცდები, სინამდვილეში ის ხომ არ აშინებთ, რომ ის ადამიანს არჩევნის შესაძლებლობას უტოვებს? ამის გასარკვევად საჭიროა, საკითხი მკაცრად ფილოსოფიურ დონეზე გავიაზროთ ხელახლა. რას ეწოდება ეგზისტენციალიზმი?

ადამიანთა უმეტესობა, ვინც ამ სიტყვას იყენებს, ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ვინმემ მისი განმარტება რომ მოსთხოვოს, ვინაიდან, რაკი აწი მოდად იქცა, დიდი სიამოვნებით აცხადებენ, რომელიღაც მუსიკოსი ან მხატვარი ეგზისტენციალისტიაო. ჟურნალ *Clartés*-ს ერთი მესვეტე ხელს აწერს როგორც „ეგზისტენციალისტი“; და, საერთოდაც, ამ სიტყვამ დღეს ისეთი ფართო და უკიდეგანო მნიშვნელობა შეიძინა, რომ ის აღარაფერს ნიშნავს. შთაბეჭდილება რჩება, რომ, რადგან სიურეალიზმის ანალოგიური ავანგარდული სწავლება არსად ჩანს, სკანდალსა და მოძრაობას მოწყურებულმა ხალხმა ამ ფილოსოფიას მიაშურა, რომელიც მათ ამ მხრივ ვერაფერს შესთავაზებს; სინამდვილეში, ეს

სწავლება ყველაზე ნაკლებ სკანდალურია, და ყველაზე უფრო მკაცრია; ის სხვა არც არავისთვისაა განკუთვნილი, გარდა ტექნიკოსებისა და ფილოსოფოსებისა. მიუხედავად ამისა, ეგზისტენციალიზმი მარტივად შეგვიძლია განვსაზღვროთ. საქმეს მხოლოდ ის ართულებს, რომ ორი სახის ეგზისტენციალისტები არსებობენ: ერთნი ქრისტიანები არიან და მათ შორის მოვათავსებდი კათოლიკე აღმსარებლობის იასპერსსა და გაბრიელ მარსელს;[4] ხოლო, მეორე მხარეს არიან ათეისტი ეგზისტენციალისტები, რომელთა შორისაც უნდა მოვიაზროთ ჰაიდეგერი,[5] ისევე, როგორც ფრანგი ეგზისტენციალისტები და ჩემი თავიც. მათ უბრალოდ ის აერთიანებთ, რომ, მათი შეხედულებით, არსებობა წინ უსწრებს არსს ან, სხვანაირად თუ ვიტყვით, რომ ამოსავალი წერტილი სუბიექტურობა უნდა იყოს. მაინც რა იგულისხმება ამაში? თუ განვიხილავთ რაიმე დამზადებულ საგანს, როგორიც, მაგალითად, წიგნია ან ქაღალდის საჭრელი დანა, ეს საგანი დაამზადა ხელოსანმა, რომელმაც იხელმძღვანელა გარკვეული გაგებით; მან ქაღალდის საჭრელის გაგებას მიმართა, და აგრეთვე წარმოების მანამდე არსებულ ტექნიკას, რომელიც ამ გაგების ნაწილია და, საბოლოოდ, სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი რეცეპტი. ამგვარად, ქაღალდის საჭრელი ერთდროულად არის საგანი, რომელიც გარკვეული წესით მზადდება და რომელსაც, მეორე მხრივ, განსაზღვრული გამოსადეგობა აქვს. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ადამიანს, ქაღალდის საჭრელს რომ ამზადებდეს და არ იცოდეს, რა გამოყენება ექნება ამ საგანს. ამიტომ ვიტყვით, რომ ქაღალდის საჭრელის შემთხვევაში არსი – მაშასადამე, რეცეპტებისა და თვისებების ერთიანობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მის დამზადებასა და განსაზღვრას – წინ უსწრებს არსებობას; და ესაა, რაც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქაღალდის საჭრელს ან წიგნს, რომელიც ჩემს წინ ძევს. ამდენად, აქ საქმე სამყაროს ტექნიკურ ხედვასთან გვაქვს, რომელშიც, შეიძლება ითქვას, წარმოება წინ უსწრებს არსებობას.

როცა შემოქმედ ღმერთს წარმოვიდგენთ, ეს ღმერთი უმეტესწილად გაიგივებულია ერთგვარ აღმატებულ ხელოსანთან; და რომელი სწავლებაც არ უნდა განვიხილოთ, დეკარტის იქნება თუ ლაიბნიცის,[6] ჩვენ მუდამ ვუშვებთ, რომ ნება მეტ-ნაკლებად მისდევს განსჯას ანდა, სულ ცოტა, მისი თანამგზავრი მაინცაა, და რომ ღმერთმა შესაქმისას ზუსტად იცის, რას ქმნის. ამგვარად, ღმერთის გონებაში არსებული გაგება ადამიანის შესახებ შეგვიძლია გავაიგივოთ ქაღალდის საჭრელის შესახებ მეწარმის გონებაში არსებულ გაგებასთან; და ღმერთიც ადამიანს ზუსტად ისევე აწარმოებს გარკვეული ტექნიკებისა და ჩანაფიქრის მიხედვით, როგორც ხელოსანი ამზადებს ქაღალდის საჭრელს რაღაც განსაზღვრებისა და ტექნიკის მიხედვით. ამგვარად, ინდივიდუალური ადამიანი ხორცს ასხამს გარკვეულ გაგებას, რომელიც ღვთიურ განსჯაშია მოცემული. XVIII საუკუნეში ფილოსოფოსთა ათეიზმი ღმერთის ცნებას კი აუქმებს, მაგრამ არამც და არამც იმ იდეას, რომ არსი წინ უსწრებს არსებობას. ამ იდეას თითქმის ყველგან ვხვდებით: დიდროსთან, ვოლტერთან,[7] კანტთანაც კი. ადამიანი ფლობს ადამიანურ ბუნებას; ეს ადამიანური ბუნება, როგორც ადამიანის გაგება, ყველა ადამიანში მოიპოვება, რაც ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი კერძო ნიმუშია საყოველთაო ცნებისა „ადა-

მიანი“; კანტთან სწორედ ამ საყოველთაობის შედეგია, რომ ტყის კაცი, ბუნების ადამიანი, და ბიურგერი[8] ერთ განსაზღვრებაში იყრიან თავს და ერთი და იგივე საბაზისო თვისებებს ფლობენ. აქაც, ადამიანის არსი წინ უსწრებს იმ ისტორიულ არსებობას, რომელსაც ბუნებაში ვაწყდებით.

ათეისტური ეგზისტენციალიზმი, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, უფრო თანმიმდევრულია. ის აცხადებს, რომ თუ ღმერთი არ არსებობს, მაინც მოიპოვება ერთი არსება, რომელშიც არსებობა წინ უსწრებს არსს, არსება, რომელიც უკვე არსებობს, სანამ საერთოდ შესაძლებელი იქნებოდა მისი რაიმე ცნებით განსაზღვრა, და რომ ეს არსება ადამიანია ანდა, როგორც ჰაიდეგერი ამბობს, მუნყოფნა.[9] რას ნიშნავს ამ შემთხვევაში, არსებობა რომ წინ უსწრებს არსს? იმას, რომ ადამიანი ჯერ არსებობს, თავის თავს პოულობს, აღმოცენდება სამყაროში, და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვრავს საკუთარ თავს. თუ ადამიანი, როგორიც ის ეგზისტენციალისტს ესმის, განსაზღვრებას არ ექვემდებარება, ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ადამიანი თავიდან არაფერია. ის მხოლოდ მოგვიანებით იქნება, თანაც ისეთი იქნება, როგორადაც საკუთარ თავს აქცევს. ამგვარად, არ არსებობს ადამიანის ბუნება, ვინაიდან არ არსებობს ღმერთი, რომელსაც მისი გაგება ექნებოდა. ადამიანი არა მხოლოდ ისეთია, როგორადაც თავი ესმის, არამედ როგორიც სურს საკუთარი თავი; და რადგან ადამიანი საკუთარი თავის გაგებას მხოლოდ მას მერე იყალიბებს, რაც უკვე არსებობს, და რადგან საკუთარი თავი მას მერე სურს, რაც უკვე განცდილია ეს სწრაფვა არსებობისაკენ, ადამიანი არაფერია იმის გარდა, რადაც ის საკუთარ თავს აქცევს. ასეთია ეგზისტენციალიზმის პირველი პრინციპი. ამასვე უწოდებენ სუბიექტურობას, რაც არ უნდა საყვედურად მოგვიბრუნონ ეს სიტყვაც. მაგრამ ამით ჩვენ ხომ მხოლოდ იმის თქმა გვწადია, რომ ადამიანს უფრო მაღალი ღირსება აქვს, ვიდრე ქვას ან მაგიდას? რამეთუ, ჩვენ გვსურს ვთქვათ, რომ ადამიანი ჯერ არსებობს ანუ ადამიანი ჯერ ის არის, რაც გარკვეული მომავლისკენ გაისვრის საკუთარ თავს და ცნობიერად პროეცირებს საკუთარ თავს მომავალში.[10] ადამიანი თავდაპირველად სუბიექტურად განცდილი პროექტია, და არა რაღაც ხავსი, ობი ან ყვავილოვანი კომბოსტო; არაფერი არ არსებობს ამ პროექტამდე; არაფერი არ არსებობს შემეცნებადობის ზეცაში, და ადამიანი უპირველეს ყოვლისა იქნება ის, რადაც საკუთარ თავს დასახავს, რომ იყოს. არა ის, რაც მას ენდომება, რომ იყოს. რადგან, რასაც ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ხოლმე ნდომაში, ცნობიერი გადაწყვეტილებაა და ჩვენი უმეტესობისთვის მხოლოდ მას მერე ჩნდება, რაც ადამიანს უკვე შეუქმნია საკუთარი თავი. მე შემიძლია მინდოდეს, რომ რაიმე პარტიის წევრი გავხდე, წიგნი დავწერო, დავქორწინდე, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ გამოვლინებაა რაღაც არჩევანისა, რომელიც უფრო პირველყოფილი და უფრო სპონტანურია, ვიდრე ის, რასაც ნებას ვუწოდებთ. მაგრამ თუ არსებობა მართლაც წინ უსწრებს არსს, მაშინ ადამიანი პასუხისმგებელია იმაზე, რაც ის არის. ამგვარად, ეგზისტენციალიზმის პირველი ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ იმის ბატონ-პატრონად აქციოს თითოეული ადამიანი, რაც ის არის და მას დააკისროს საკუთარ არსებობაზე

მთელი პასუხისმგებლობა. ხოლო, როცა ვამბობთ, რომ ადამიანი პასუხიმგებელია საკუთარ თავზე, იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარ ინდივიდუალობაზეა პასუხისმგებელი, არამედ იმას, რომ იგი ყველა ადამიანზეა პასუხისმგებელი. სიტყვა „სუბიექტივიზმს“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს და ჩვენი მოწინააღმდეგეებიც ამ ორმაგი მნიშვნელობით თამაშობენ. ერთი მხრივ, სუბიექტივიზმი ნიშნავს ინდივიდუალური სუბიექტის მიერ საკუთარი თავის არჩევას, მეორე მხრივ კი, ადამიანის შეუძლებლობას, გადააბიჯოს ადამიანურ სუბიექტურობას. სწორედ ეს მეორენაირი მნიშვნელობაა ეგზისტენციალიზმის ღრმა საზრისიც. როცა ვამბობთ, რომ ადამიანი საკუთარ თავს ირჩევს, ვგულისხმობთ, რომ ყოველი ჩვენგანი ირჩევს საკუთარ თავს, მაგრამ ამით იმის თქმაც გვსურს, რომ საკუთარი თავის არჩევისას ჩვენ ყველა ადამიანს ვირჩევთ. მართლაც, ყოველი ჩვენი აქტი იმ ადამიანის შექმნასთან ერთად, როგორად ყოფნაც გვსურს, ამავე დროს ქმნის ადამიანის ისეთ ხატებას, როგორიც ის მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს. ამად ან იმად ყოფნის არჩევა ამავდროულად ჩვენ მიერ არჩეულის ღირებულების დადასტურებაა, რადგან ჩვენ არასდროს არ შეგვიძლია ცუდის არჩევა; რასაც ვირჩევთ, ყოველთვის კარგია, და ვერაფერი ვერ იქნება ჩვენთვის კარგი ისე, რომ ყველასთვის კარგი არ იყოს. თუ, მეორე მხრივ, არსებობა წინ უსწრებს არსს და თუ გვსურს ვარსებობდეთ ჩვენი ხატების გამოძერწვისავე კვალდაკვალ, მაშინ ამ ხატების ღირებულება ყველასთვის და მთელი ჩვენი ეპოქისათვის ქმედითია. მაშასადამე, ჩვენი პასუხისმგებლობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვეძლო, რადგან მასში სრულიად კაცობრიობას ვრთავთ. თუ მე მშრომელი ვარ და ვირჩევ, რომ ქრისტიანული პროფკავშირის წევრი გავხდე იმის მაგივრად, რომ კომუნისტი ვიყო, და თუ ჩემი ამ წევრობით მსურს მივანიშნო, რომ, საბოლოოდ, ბედისადმი დამორჩილებაა ადამიანისთვის შესაფერი გადაწყვეტილება და რომ ამა სოფლად არ არის ადამიანის საუფლო, მაშინ მე მარტო ჩემ თავს არ ვუძღვნი ამ არჩევანს: მე ყველასთვის მსურს ბედისადმი დამორჩილება და, შესაბამისად, ჩემი ქმედება სრულიად კაცობრიობასაც გულისხმობს. და თუ მე დაქორწინება მსურს, რაც შედარებით ინდივიდუალური მოვლენაა, და მინდა ბავშვები მყავდეს, თუნდ ეს ქორწინება მხოლოდ და მხოლოდ ჩემ სიტუაციაზე ან ვნებაზე ან სურვილზე იყოს დამოკიდებული, ამით მე არა მხოლოდ საკუთარ თავს ვუძღვნი ამ არჩევანს, არამედ სრულიად კაცობრიობასაც მოვუწოდებ, მონოგამიის გზას დაადგეს. ამგვარად, მე პასუხისმგებელი ვარ ჩემზეც და ყველა დანარჩენზეც, და მე ვქმნი ჩემ მიერ არჩეული ადამიანის გარკვეულ ხატებას; საკუთარი თავის არჩევით, მე ადამიანს ვირჩევ.

ეს გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ, რა შინაარსს იტევენ ისეთი ცოტა არ იყოს მაღალფარდოვანი სიტყვები, როგორებიცაა შიში, გადაგდებულობა,[11] სასოწარკვეთა. როგორც ნახავთ, ეს ყველაფერი ძალზე მარტივია. პირველ რიგში, რას ვგულისხმობთ შიშში? ეგზისტენციალისტი სიამოვნებით განგიცხადებთ, რომ ადამიანი არის შიში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელსაც თავი პასუხისმგებლობაში ჩაურთავს და გაუსიგრძეგანებია, რომ ის, იმის გარდა, რად ყოფნა-

საც ირჩევს, ამავდროულად კანონმდებელია, რომელიც საკუთარ თავთან ერთად სრულიად კაცობრიობასაც ირჩევს, ვერ გაექცევა საკუთარი სრული და ღრმა პასუხისმგებლობის განცდას. რასაკვირველია, უამრავ ადამიანს არც არაფრის ეშინია; მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი თავიანთ თავს უმალავენ საკუთრ შიშს და გაურბიან მას; რასაკვირველია, უამრავ ადამიანს ჰგონია, რომ, როცა მოქმედებს, მხოლოდ საკუთარ თავს რთავს ამ არჩევანში, ხოლო, როდესაც მათ ეუბნებიან: „და ყველა რომ ასე იქცეოდეს?“, ისინი მხრებს იჩეჩენ და პასუხობენ: „ყველა ასე არ იქცევა.“ მაგრამ სინამდვილეში მართლაც ყოველთვის უნდა შევეკითხოთ საკუთარ თავს, რა მოხდებოდა, ყველა ჩვენსავით რომ იქცეოდეს? ამ შფოთისმომგვრელ აზრს კი მხოლოდ ერთგვარი თავის მოტყუებით თუ გავექცევით. მას, ვინც იტყუება და თავს იმართლებს, როცა აცხადებს, ყველა ასე არ იქცევაო, არ აქვს საკუთარ სინდისთან მშვიდობა დამყარებული, ვინაიდან ფაქტი, რომ ვიტყუებით, ტყუილისათვის მიწერილ საყოველთაო ღირებულებას გულისხმობს. მაშინაც კი, როცა შიშს ვნიღბავთ, ის თვალსაჩინო ხდება. სწორედ ამგვარ შიშს უწოდებდა კირკეგორი აბრაამის შიშს.[12] მოგეხსენებათ ამ ამბის შესახებ: ანგელოზმა აბრაამს თავისი ვაჟის შეწირვა უბრძანა: ყველაფერი კარგადაა, თუ მართლაც ანგელოზი იყო ის, ვინც მოვიდა და მას უთხრა: „შენ აბრაამი ხარ, შენ შენს ვაჟს შესწირავ.“ მაგრამ ყველას შეუძლია საკუთარ თავს ჰკითხოს, პირველ რიგში, არის თუ არა ეს მართლაც ანგელოზი, და ვარ თუ არა მე აბრაამი. რა დამიმტკიცებს ამას? ერთი გიჟი ქალი იყო, რომელსაც ჰალუცინაციები აწუხებდა: მას ტელეფონზე ესაუბრებოდნენ და ბრძანებებს აძლევდნენ. ექიმმა ჰკითხა: „კი მაგრამ, ვინ გესაუბრებათ?“ ქალმა უპასუხა: „ამბობს, რომ ღმერთია.“ და მართლაც, რა დაუმტკიცებდა მას, რომ ეს ღმერთი იყო? თუ ჩემთან ანგელოზი მოვიდა, რა იქნება იმის მტკიცებულება, რომ ეს ანგელოზია? და თუ ხმები ჩამესმის, რა დამიმტკიცებს, რომ ისინი ზეციდან მოდის და არა ჯოჯოხეთიდან ანდა რაღაც ქვეცნობიერიდან ანდა რაიმე პათოლოგიური მდგომარეობიდან? ვინ დამიმტკიცებს, რომ ისინი მართლაც მე მომმართავენ? ვინ დამიმტკიცებს, რომ მე მართლაც გამომარჩიეს იმისათვის, რომ ადამიანის ჩემეული გაგება და ჩემი არჩევანი კაცობრიობას მოვახვიო თავს? ამაში დასარწმუნებლად მე ვერასდროს ვიპოვი მტკიცებულებას ან მინიშნებას. თუ რაღაც ხმა მომმართავს, ყოველთვის მე ვიქნები, ვინც გადაწყვეტს, რომ ეს ხმა ანგელოზის ხმაა; თუ მე მიმაჩნია, რომ რაიმე ქმედება კარგია, ჩემი არჩევანი იქნება იმის თქმა, რომ ეს ქმედება უფრო კარგია, ვიდრე ცუდი. არაფერს გამოვურჩევივარ იმისათვის, რომ აბრაამი ვიყო, და მაინც, მე ყოველწამიერად ვალდებული ვარ, სანიმუშოდ ვიმოქმედო.

თითოეული ადამიანისთვის ყველაფერი ისე ხდება, თითქოს მთელი კაცობრიობა მის ნამოქმედარზე იყოს მიჩერებული და მას იღებდეს სახელმძღვანელო წესად. თითოეულმა ადამიანმა მართლაც უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: ვარ კი მე ის, ვისაც აქვს იმგვარად მოქმედების უფლება, რომ კაცობრიობამ წესად დაიდგინოს ჩემი ქმედებები? და თუ თავის თავს ამას არ ეუბნება, ესე იგი საკუთარსავე შიშს ემალება. აქ საქმე არ გვაქვს ისეთ შიშთან, რომელიც კვიეტიზმ-

თან, უმოქმედობასთან მიგვიყვანდა. საუბარია მარტივ შიშზე, რომელსაც იცნობს ყველა, ვინც კი ოდესმე რაიმეზე პასუხისმგებელი ყოფილა. როცა, მაგალითად, სამხედრო მეთაური შეტევაზე იღებს პასუხისმგებლობას და ადამიანის გარკვეულ რაოდენობას სასიკვდილოდ უშვებს, ის ამის გაკეთებას ირჩევს და თავის ამ არჩევანში, პრინციპში, მარტოა. ის უდავოდ ზევიდან მომდინარე ბრძანებების საფუძველზე მოქმედებს, მაგრამ ეს ბრძანებები ზედმეტად ზოგადია და ინტერპრეტაციას მოითხოვს; ეს ინტერპრეტაცია კი მეთაურისგან მოდის და მასზეა დამოკიდებული ათი, ან თოთხმეტი, ან ოცი ადამიანის სიცოცხლე. შეუძლებელია, ამ გადაწყვეტილების მიღებისას მეთაური გარკვეულ შიშს არ გრძნობდეს. ყველა მეთაურისათვის ნაცნობია ეს შიში. ეს მათ არ აბრკოლებს, რომ იმოქმედონ, პირიქით, ეს მათი მოქმედების პირობაა; ვინაიდან ეს გულისხმობს, რომ ისინი შესაძლებლობათა სიმრავლეს ითვალისწინებენ, და როდესაც ამ შესაძლებლობათაგან ერთს ირჩევენ, ხვდებიან, რომ მას ღირებულება მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ ის აირჩიეს. ჩვენ ვნახავთ, რომ შიშის ეს სახე, რომელსაც აღწერს ეგზისტენციალიზმი, ამავდროულად აიხსნება პირდაპირი პასუხისმგებლობითაც იმ სხვა ადამიანთა მიმართ, რომელთაც ეს პასუხისმგებლობა ეხებათ. პასუხისმგებლობა არ არის ფარდა, რომელიც მოქმედებისგან გვმიჯნავს, არამედ ის თავად არის მოქმედების შემადგენელი ნაწილი.

ხოლო, როდესაც ვსაუბრობთ გადაგდებულობაზე, ჰაიდეგერისთვის ეგზომ ძვირფას სიტყვაზე, მხოლოდ იმას ვგულისხმობთ, რომ ღმერთი არ არსებობს და რომ საჭიროა, ძირისძირამდე გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები. ეგზისტენციალისტი სავსებით ეწინააღმდეგება საერო მორალის იმ ტიპს, რომელსაც, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგის ფასად, სურს ღმერთის გაუქმება. როდესაც 1880-იან წლებში ფრანგმა პროფესორებმა საერო მორალის შედგენა სცადეს, მათ დაახლოებით შემდეგი რამ თქვეს: „ღმერთი უსარგებლო და ძვირადღირებული ჰიპოთეზაა და ამიტომ მას ვაუქმებთ, თუმცა იმისთვის, რომ მორალმა, საზოგადოებამ და ცივილიზებულმა სამყარომ იარსებოს, მაინც საჭიროა, გარკვეული ღირებულებები სერიოზულად მივიღოთ და მივიჩნიოთ, რომ ისინი *აპრიორი*[13] არსებობენ; საჭიროა, აპრიორი სავალდებულო იყოს პატიოსნება, არ იტყუებოდე, არ ცემდე საკუთარ ცოლს, ბავშვებს აჩენდე და ა.შ... მაშასადამე, მცირე სამუშაოს ჩავატარებთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ, რომ ეს ღირებულებები მაინც არსებობს და რომ ისინი ერთგვარი შემეცნებადობის ზეცაშია ჩაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ, პრინციპში, ღმერთი არ არსებობს.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ – და ვგონებ, ეს სახასიათოა ყველაფერ იმისთვის, რასაც საფრანგეთში რადიკალიზმს უწოდებენ – ღმერთის არარსებობით არაფერი შეიცვლება; პატიოსნების, წინსვლის, ჰუმანიზმის იგივე ნორმები დაგვრჩება, და აღმოჩნდება, რომ ღმერთი ყავლგასულ ჰიპოთეზად გვიქცევია, რომელიც თავისთვის ჩუმად დალევს სულს. ეგზისტენციალისტი კი, პირიქით, ფიქრობს, რომ ძალზე უხერხულია, ღმერთი არ არსებობდეს, რადგან მასთან ერთად ყოველგვარი შესაძლებლობაც ქრება, შემეცნებადობის ზეცაში რაღაც ღირებულებები იპოვო; ვერანაირი

აპრიორული სიკეთე ვეღარ იარსებებს, ვინაიდან აღარ არსებობს ის უსასრულო და სრულყოფილი ცნობიერება, რომელიც მას მოიაზრებდა; არსად წერია, რომ სიკეთე არსებობს, რომ საჭიროა, პატიოსანი იყო, რომ არ უნდა მოიტყუო, ვინაიდან მართლაც ისეთ განზომილებაში ვართ, რომელშიც ადამიანების გარდა სხვა არავინაა. დოსტოევსკიმ თქვა: „თუ ღმერთი არ იარსებებს, ყველაფერი დაშვებული იქნება.“ სწორედ ესაა ეგზისტენციალიზმის ამოსავალი წერტილი. მართლაც, თუ ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი დაშვებულია და, შესაბამისად, ადამიანი გადაგდებულია, რადგან ვერც საკუთარ თავში და ვერც საკუთარი თავის გარეთ ვერ ახერხებს საყრდენის პოვნას. ის იმთავითვე აღმოაჩენს, რომ თავს ვერაფრით გაიმართლებს. თუ არსებობა მართლაც წინ უსწრებს არსს, ვერაფერს ავხსნით რაღაც მოცემულ და გახევებულ ადამიანურ ბუნებაზე მითითებით; სხვანაირად რომ ვთქვათ, არ არსებობს დეტერმინიზმი, ადამიანი თავისუფალია, ადამიანი თავისუფლებაა. მეორე მხრივ, თუ ღმერთი არ არსებობს, ჩვენ წინაშე ვერანაირ ღირებულებას ან განჩინებას ვეღარ ვპოულობთ, ჩვენს ქცევას ლეგიტიმაცია რომ მიანიჭოს. ამგვარად, ღირებულებათა ღვთაებრივი საუფლოს ფარგლებში, არც ჩვენ უკან და არც ჩვენ წინ არაფერი არ მოიპოვება, გამართლებად ან ბოდიშად რომ გამოგვადგეს. მარტონი ვართ, ყოველგვარი გამართლების გარეშე. ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ადამიანი დაწყევლილია, იყოს თავისუფალი. დაწყევლილი, რადგან მას საკუთარი თავი არ შეუქმნია, და მაინც თავისუფალი, რადგან, რაწამს სამყაროში ჩავარდება, ის პასუხისმგებელია ყველაფერზე, რასაც აკეთებს. ეგზისტენციალისტს არ სჯერა ვნებების ძალის. ის არასოდეს იფიქრებს, რომ რაღაც მშვენიერი ვნება გამანადგურებელი ღვარცოფია, რომელიც ადამიანს საბედისწეროდ მიერეკება გარკვეული ქმედებებისაკენ და რომლებიც, შესაბამისად, მის გასამართლებლად გამოდგება. ეგზისტენციალისტი ფიქრობს, რომ ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ ვნებაზე.

ეგზისტენციალისტი არც იმას იფიქრებს, რომ ადამიანმა საშველად შეიძლება მიწაზე მისთვის მიცემულ რაიმე ნიშანს მიმართოს, რომელიც საორიენტაციოდ გამოადგებოდა, ვინაიდან ეგზისტენციალისტი ფიქრობს, რომ ადამიანი ნიშანს საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით, შიფრავს. ის ფიქრობს, რომ ადამიანი სრულიად უსაყრდენოდ და უსაშველოდ დაწყევლილია ყოველწამიერად ხელახლა გამოიგონოს ადამიანი. პონჟს[14] უთქვამს ერთ ძალზე ლამაზად დაწერილ სტატიაში, ადამიანი ადამიანის მომავალიაო. ეს ზედმიწევნით ზუსტი ნათქვამია. უბრალოდ, თუ ამაში ვგულისხმობთ, რომ ეს მომავალი ზეცაში წერია, რომ მას ღმერთი ხედავს, მაშინ ვცდებით, რადგან ეს მომავალიც კი აღარ იქნება. თუ იმას ვგულისხმობთ, რომ, როგორიც არ უნდა გვევლინებოდეს ადამიანი, არსებობს რაღაც მომავალი, რომელიც გასაკეთებელია, ქალწულებრივი მომავალი, რომელიც მას მოელის, მაშინ ეს სიტყვა ზუსტია. მაგრამ მაშინ გადაგდებულნი ვყოფილვართ. მაგალითის სახით, უკეთ რომ გაიგოთ, რას ნიშნავს გადაგდებულობა, მოვიყვან ერთი ჩემი მოსწავლის შემთხვევას, რომელიც შემდეგ ვითარებაში მოვიდა ჩემთან: მამამისი დედამისთან იყო ნაჩხუბარი და, სხვათა შორის, კოლაბორაციის-

კენაც[15] იყო მიდრეკილი. მისი უფროსი ძმა 1940 წელს მოეკლათ გერმანელთა შეტევის დროს, და ახლა ეს ახალგაზრდა კაცი, ცოტათი პრიმიტიული, მაგრამ დიდსულოვანი განცდებით აღვსილი, ძმისათვის შურისძიებას ნატრულობდა. დედამისი მასთან ერთად მარტო ცხოვრობდა, ძალზედ გულნატკენი იყო მამამისის სანახევრო ღალატისა და უფროსი ვაჟის სიკვდილის გამო და მხოლოდ ეს ჩემი მოსწავლე ეგულებოდა ნუგეშად. იმ მომენტში ამ ახალგაზრდა კაცს შეეძლო აერჩია ან ინგლისში წასულიყო და საფრანგეთის თავისუფალ ძალებს[16] შეერთებოდა – ე. ი. დედამისი მიეტოვებინა – ანდა დედასთან დარჩენილიყო, რითიც მას ცხოვრებას შეაძლებინებდა. კაცს კარგად ესმოდა, რომ ეს ქალი მხოლოდ მისით სულდგმულობდა და რომ მისი გაქრობა – და იქნებ სიკვდილიც – მას სასოწარკვეთაში ჩააგდებდა. მას აგრეთვე ესმოდა, რომ, საბოლოოდ, და კონკრეტულად, ნებისმიერ ქმედებას, რასაც დედამისის გულისთვის ჩაიდენდა, თავისი გამოძახილი ექნებოდა იმ მხრივ, რომ დედას ცხოვრებაში დაეხმარებოდა, მაშინ, როცა ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ჩაიდენდა, რათა წასულიყო და ებრძოლა, ორაზროვანი იქნებოდა და შეიძლებოდა ჰაერში აორთქლებულიყო, როგორც სრულიად ფუჭი რამ: მაგალითად, ინგლისისკენ გზაზე ესპანეთში გავლისას, ის შეიძლებოდა განუსაზღვრელი დროით შეეყოვნებინათ ესპანურ ბანაკში; შეიძლებოდა, ინგლისში ან ალჟირში ჩასულიყო და მისთვის რაღაც კანტორაში მიეჩინათ ადგილი ქაღალდებში საქექად. შესაბამისად, ის მოქმედების ორი ძალზედ განსხვავებული სახეობის წინაშე იდგა: ერთი კონკრეტული და უშუალო იყო, მაგრამ მხოლოდ ერთ ინდივიდს მიემართებოდა; მეორე კი, ისეთი მოქმედება იყო, რომელიც უსასრულოდ მეტის მომცველ გაერთიანებას მიემართებოდა, ეროვნულ კოლექტივს, თუმცა ამდენადვე შეიცავდა ორაზროვნებას და შეიძლებოდა, შუა გზაზე გაწყვეტილიყო. ამავდროულად ის მორალის ორნაირ სახეობას შორისაც ყოყმანობდა. ერთ მხარეს იყო თანაგრძნობისა და ინდივიდუალური ერთგულების მორალი, მეორე მხარეს კი, უფრო ფართო ხასიათის მორალი, რომლის ქმედითობაც, ოღონდ, ბევრად უფრო საეჭვო იქნებოდა. მას ამ ორს შორის უნდა აერჩია. ვინ დაეხმარებოდა არჩევნის გაკეთებაში? ქრისტიანული სწავლება? არა. ქრისტიანული სწავლება ამბობს: იყავით გულმოწყალენი, გიყვარდეთ მოყვასი, თავი შესწირეთ სხვას, ყველაზე ეკლიანი გზა აირჩიეთ, და ა.შ. მაგრამ რომელია ყველაზე ეკლიანი გზა? ვინ უნდა გვიყვარდეს როგორც ჩვენი ძმა – მეომარი თუ დედა? რომელი უფრო დიდი სარგებლის მომტანია: რაღაც გაერთიანებაში ბუნდოვანი ბრძოლა თუ ერთი განსაზღვრული არსებისთვის განსაზღვრულად გაწეული დახმარება, რომელიც მას სიცოცხლეს შეაძლებინებს? ვინ შეძლებს ამის *აპრიორი* გადაწყვეტას? ვერანაირი გაწერილი მორალი ამას ვერ გვეტყვის. კანტის მორალი გვეუბნება: არასოდეს მოეპყროთ სხვებს როგორც საშუალებას, არამედ მოეპყარით, როგორც მიზანს. კი ბატონო; თუ დედაჩემის გვერდით დავრჩები, მას მოვეპყრობი, როგორც მიზანს და არა, როგორც საშუალებას, მაგრამ ამითვე მე შესაძლოა, საშუალებად ვაქციო ჩემ გარშემო მყოფი ის ადამიანები, ვინც იბრძვიან; და, პი-

რიქით, თუ მე მებრძოლებს შევუერთდები, მათ მოვეპყრობი, როგორც მიზანს, და ამით საფრთხე ჩნდება, რომ დედაჩემი ვაქციო საშუალებად.

თუ ღირებულებები ბუნდოვანია და თუ ისინი ისედაც ზედმეტად ფართოა ჩვენ მიერ განხილული განსაზღვრული და კონკრეტული შემთხვევისთვის, არაფერი გვრჩება გარდა იმისა, რომ საკუთარ ინსტინქტებს ვენდოთ. სწორედ ამას ეცადა ეს ახალგაზრდა კაცი, და როცა მე ის ვნახე, ის ამბობდა: „საბოლოოდ, მთავარი გრძნობაა; მე უნდა ავირჩიო ის, რაც მართლაც გარკვეული მიმართულებით გადამძალავს. თუ ვიგრძნობ, რომ საკმარისად დიდია დედაჩემისადმი ჩემი სიყვარული, რათა მას ყველაფერი დანარჩენი შევწირო – შურისძიების სურვილი, მოქმედების სურვილი, თავგადასავლების სურვილი – მაშინ მის გვერდით დავრჩები. ხოლო, თუ ვიგრძენი, რომ, პირიქით, დედაჩემისადმი სიყვარული საკმარისად დიდი არ არის, წავალ.“ მაგრამ როგორ განისაზღვროს გრძნობის ღირებულება? რა შეადგენს დედისადმი განცდილი გრძნობის ღირებულებას? სწორედ ის, რომ ეს კაცი მისი გულისთვის დარჩენილიყო. მე შემიძლია ვთქვა: „იმდენად მიყვარს ჩემი მეგობარი, რომ მზად ვარ მისთვის ესა და ეს თანხა გავიმეტო.“ ამის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია, თუ მე ეს უკვე გაკეთებული მაქვს. მე შემიძლია ვთქვა: „იმდენად მიყვარს დედაჩემი, რომ მის გვერდით დარჩენას ვამჯობინებ,“ მაგრამ ამის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია, თუ მე მის გვერდით დავრჩი. ამ გრძნობის ღირებულებას ვერ განვსაზღვრავ, თუ მართლაც არ ჩამიდენია ისეთი ქმედება, რომელიც მას დაადასტურებდა და განსაზღვრავდა. არადა, რაკი ამ გრძნობისგან ვითხოვ ჩემი ქმედების გამართლებას, მანკიერ წრეში აღმოვჩნდები ჩათრეული.

მეორე მხრივ, ჟიდმა[17] ძალზე კარგად თქვა, რომ თითქმის შეუძლებელია ერთმანეთისგან გაარჩიო გრძნობა, რომელსაც თამაშობენ, და გრძნობა, რომელსაც განიცდიან: მეტ-ნაკლებად ერთი და იგივეა, დედაჩემის გვერდით დავრჩები, რითიც ვწყვეტ, რომ ის მიყვარს, თუ კომედიას გავითამაშებ, რომლის შედეგადაც დედაჩემთან ვრჩები. სხვანაირად რომ ვთქვათ, გრძნობას ჩვენ მიერ ჩადენილი ქმედებები აყალიბებს; მაშასადამე, გრძნობას ვერ დავეკითხები, რათა ის გზამკვლევად გამოვიყენო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე ვერც ჩემ თავში ვიპოვი გრძნობის იმ სინაღდეს, რომელიც მოქმედებისაკენ მიბიძგებს, და ვერც რაიმე მორალს დავესესხები გაგებებს, რომლებიც მოქმედებას შემაძლებინებენ. არადა, თქვენ იტყვით, ეს კაცი მასწავლებელთან მაინც მივიდა მისგან რჩევის მისაღებადო. მაგრამ თუ რჩევის საკითხად, მაგალითად, მოძღვარს მიმართავთ, თქვენ ეს მოძღვარი აგირჩევიათ, და, პრინციპში, მეტ-ნაკლებად უკვე გცოდნიათ კიდევაც, რას გირჩევდათ ის. სხვანაირად რომ ვთქვათ, აირჩიო მრჩეველი, უკვე გარკვეული მიმართულებით საკუთარი თავის ჩართვის ტოლფასია. ამის დასტურია ის, რომ, თუ ქრისტიანი ხართ, ამბობთ: „მოძღვარს დაეკითხეთ.“ მაგრამ არსებობენ კოლაბორაციონისტი მოძღვრები, ატენტისტი მოძღვრები, რეზისტანსში ჩართული მოძღვრები.[18] რომელი ავირჩიოთ? და იმისდა მიხედვით, ახალგაზრდა კაცი რეზისტანსში ჩართულ მოძღვარს აირჩევს თუ კოლაბორაციონისტს,

მას უკვე გადაწყვეტილი აქვს, რა ხასიათის რჩევას მიიღებს. ამგვარად, როცა ჩემთან მოდიოდა, მან უკვე იცოდა, რა პასუხს გავცემდი, და მე მართლაც ერთადერთი პასუხი მქონდა: „თქვენ თავისუფალი ხართ, აირჩიეთ ანუ გამოიგონეთ.“ ვერანაირი ზოგადი მორალი ვერ მიგითითებთ, რა უნდა გააკეთოთ; სამყაროში არ არსებობს ნიშნები. კათოლიკეები გვიპასუხებენ, არადა, ნიშნები არსებობსო. ვაღიაროთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მე თავადვე ვირჩევ, რა საზრისი ექნებათ ამ ნიშნებს. ტყვეობისას ერთი საკმაოდ გამორჩეული ადამიანი გავიცანი, რომელიც იეზუიტი[19] იყო. იეზუიტების ორდენში ის შემდეგნაირად შესულიყო: მან რამდენიმე საკმაოდ მწვავე მარცხი იწვნია; ბავშვობაში მამა გარდაეცვალა და ის სიღარიბეში დატოვა; ერთ რელიგიურ დაწესებულებაში იცხოვრა სტიპენდიანტად, ოღონდ მუდმივად აგრძნობინებდნენ, რომ იქ გულმოწყალებით იყო მიღებული; ამის შედეგად კი ვერ მიიღო ზოგიერთი ისეთი საპატიო წარჩინება, ბავშვებს რომ ახალისებს; შემდეგ, როცა თვრამეტი წლის ასაკს მიუახლოვდა, სასიყვარულო თავგადასავალში განიცადა მარცხი და ბოლოს, ოცდაორი წლისა სამხედრო მომზადებაში ჩაფლავდა, რაც ძალზედ ყმაწვილური რამ იყო, მაგრამ მისთვის ბოლო წვეთი გამოდგა. მაშ, ამ ახალგაზრდა კაცს შეეძლო თამამად მიეჩნია, რომ ყველაფერში მარცხი იწვნია; ეს ნიშანი იყო, მაგრამ რისი? მას შეეძლო სიმწრისთვის ან სასოწარკვეთისთვის შეეფარებინა თავი. მაგრამ მან, საკუთარი თავისთვის ძალზე გამჭრიახად, დაასკვნა, ეს იმის ნიშანია, რომ მე არ ვარ საერო დიდებისთვის შექმნილი და ჩემთვის მხოლოდ რელიგიის, სიწმინდისა და რწმენის დიდებაა განკუთვნილიო. მაშასადამე, მან ამაში ღვთის სიტყვა ამოიცნო და ორდენში გაწევრიანდა. ყველასთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ნიშნის საზრისის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ მან მიიღო, სრულიად მარტომ. მარცხების ამ სერიიდან სხვა რამის დასკვნაც შეიძლებოდა: მაგალითად, რომ მისთვის უმჯობესი იყო, დურგალი გამოსულიყო ან რევოლუციონერი. მაშასადამე, ის თავად ატარებს გაშიფვრის მთელ პასუხისმგებლობას. გადაგდებულობა გულისხმობს, რომ ჩვენ თავად ვირჩევთ ჩვენს ყოფნას. გადაგდებულობა განუყოფელია შიშისგან. რაც შეეხება სასოწარკვეთას, ამ გამოთქმის მნიშვნელობა უაღრესად მარტივია. ის გულისხმობს, რომ იმით გვიწევს დაკმაყოფილება, რაც ჩვენსავე ნებაზეა დამოკიდებული, ანდა ალბათობათა იმ ერთობლიობაზე, რომელიც შესაძლებელს ხდის ჩვენს მოქმედებას.

როცა რაღაც გვსურს, ყოველთვის არსებობს ალბათობის ელემენტები. შეიძლება, მეგობრის მოსვლა მეიმედებოდეს. ეს მეგობარი მატარებლით ან ტრამვაით მოდის; ეს გულისხმობს, რომ მატარებელი დათქმულ დროს ჩამოდგება, ანდა რომ ტრამვაი რელსებიდან არ გადავა. მე შესაძლებლობათა სფეროში ვრჩები; თუმცა, შესაძლებლობათა იმედი მხოლოდ იმდენად გვაქვს, რამდენადაც ჩვენი მოქმედება მათ ერთობლიობას შეიცავს. საკმარისია, ჩემ მიერ აწონ-დაწონილი შესაძლებლობები არ იყოს უშუალოდ ჩართული ჩემს მოქმედებაში, რომ მე ისინი აღარც უნდა მაინტერესებდეს, რადგან ვერანაირი ღმერთი, ვერანაირი წინასწარი გეგმა ვერ მოარგებს სამყაროსა და მის შესაძლებლობებს ჩემს ნებას. საბოლოოდ, როცა

დეკარტი ამბობდა: „უმალ საკუთარ თავს დაამარცხებდე, ვიდრე სამყაროს;“ ის იმავეს გულისხმობდა: იმოქმედო იმედის გარეშე. მარქსისტები, რომელთაც ვესაუბრე, მპასუხობენ: „თქვენს მოქმედებაში, რომელიც, რა თქმა უნდა, ზღვარდებული იქნება თქვენი სიკვდილით, შეგიძლიათ სხვების დახმარების იმედი გქონდეთ. ეს ნიშნავს, ერთდროულად გეიმედებოდეთ ის, რასაც თქვენს დასახმარებლად სხვები იზამენ სხვაგან, ჩინეთში, რუსეთში, და ისიც, რასაც ისინი მოგვიანებით იზამენ, თქვენი სიკვდილის შემდგომ, რათა მოქმედება გადაიბარონ და მისი აღსრულებისაკენ ანუ რევოლუციისკენ წარმართონ. თქვენ ვალდებულიც კი ხართ, ეს გეიმედებოდეთ, თუ არა და არ ყოფილხართ მორალური.“ პირველ რიგში, მივუგებ, რომ ყოველთვის მექნება თანამებრძოლ ამხანაგთა იმედი, რამდენადაც ისინი ჩემთან ერთად ჩაბმულნი არიან რაიმე კონკრეტულ საერთო ბრძოლაში, რაიმე ისეთ პარტიულ ან ჯგუფურ ერთობაში, რომლის მეტ-ნაკლები კონტროლიც ძალმიძს, ანუ რომელშიც მებრძოლის სახელით ვარ გაწევრიანებული და რომლის ყოველ მანევრსაც ვიცნობ. ამ შემთხვევაში ამ პარტიის ერთობის ან ნების იმედი გქონდეს იგივეა, რაც იმის იმედი, რომ ტრამვაი დროზე მოვა ანდა მატარებელი არ გადაბრუნდება. მაგრამ ადამიანებს, რომელთაც არ ვიცნობ, ვერ დავეყრდნობი იმის იმედით, რომ ადამიანები კეთილები არიან ან რომ ადამიანების ინტერესშია, საზოგადოებისთვის სასიკეთოდ იმოქმედონ; ვინაიდან ადამიანი თავისუფალია და არანაირი ადამიანური ბუნება არ არსებობს, რომელსაც საძირკვლად გამოვიყენებდი. მე არ ვიცი, რა ბოლო ექნება რუსეთის რევოლუციას; შემიძლია მისით აღვფრთოვანდე და სანიმუშო მაგალითად დავიდგინო, რამდენადაც დღევანდელი დღე მიდასტურებს, რომ რუსეთში პროლეტარიატი ისეთ როლს თამაშობს, როგორსაც არცერთ სხვა ერში. მაგრამ მე არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ეს ძალაუნებურად პროლეტარიატის გამარჯვებით დაგვირგვინდება; იმას უნდა დავჯერდე, რასაც ვხედავ; ვერ ვიქნები დარწმუნებული, რომ თანამებრძოლი ამხანაგები ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საქმეს გადაიბარებენ, რათა ის სრულყოფილების უმაღლეს წერტილამდე მიიყვანონ, ვინაიდან ადამიანები თავისუფალნი არიან და ისინი ხვალ თავისუფლად გადაწყვეტენ, თუ რა იქნება ადამიანი; ხვალ, ჩემი სიკვდილის შემდეგ, ადამიანებმა შეიძლება ფაშიზმის დამყარება გადაწყვიტონ, სხვები კი, შეიძლება ისეთი ლაჩრები და დაბნეულები გამოდგნენ, რომ მათ ამის გაკეთება აცალონ. ასეთ დროს, ფაშიზმი იქცევა ადამიანთა ჭეშმარიტებად, და მით უარესი ჩვენთვის. სინამდვილეში, ვითარება ისეთი იქნება, როგორადაც ადამიანს ექნება გადაწყვეტილი, რომ ის იყოს. მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ კვიეტიზმს უნდა მივეცე? არა. პირველ რიგში, მე უნდა გადავწყვიტო რაღაცისადმი თავის მიძღვნა და შემდგომში ვიმოქმედო ძველი ფორმულის მიხედვით: „საჭირო არაა რაიმეს იმედი გქონდეს, რათა ღონე იხმარო.“ ეს ნიშნავს არა იმას, რომ არანაირ პარტიას არ უნდა ვეკუთვნოდე, არამედ იმას, რომ არანაირი ილუზია არ მექნება და ყველაფერს გავაკეთებ, რაც ხელმეწიფება. მაგალითად, შეიძლება საკუთარ თავს ვკითხო, დამყარდება თუ არა კოლექტივიზაცია როგორც ასეთი? მე

რა ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ მის მოსაწევნად ყველაფერს ვიღონებ, რაც ჩემს ძალებშია; ამის მიღმა ვერაფრის იმედი ვერ მექნება.

კვიეტიზმი იმ ხალხის მიდგომაა, ვინც ამბობს: „დაე, სხვებმა გააკეთონ ის, რაც მე არ შემიძლია.“ სწავლება, რომელსაც მე წარმოგიდგენთ, კვიეტიზმის სრული საპირისპიროა, ვინაიდან ის აცხადებს, რომ სინამდვილე მხოლოდ მოქმედებაშია; და უფრო შორსაც მიდის, რადგან დასძენს, რომ ადამიანი სხვა არაფერია, გარდა მისივე პროექტისა, ის მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც საკუთარ თავს ახორციელებს, ის სხვა არაფერია, გარდა საკუთარი ქმედებების ერთობლიობისა, სხვა არაფერი, გარდა საკუთარი სიცოცხლისა. ამის საფუძველზე შეგვიძლია გავიგოთ, რატომ ზარავს ამდენ ადამიანს ჩვენი სწავლება. ვინაიდან ხშირად მათთვის საკუთარი სიბეჩავის ატანის ერთადერთი ხერხი შემდეგის ფიქრია: „გარემოებები იყო ჩემ წინააღმდეგ, ჩემი ფასი იმაზე მეტი იყო, ვიდრე ის, რაც ვიყავი; რა თქმა უნდა, არც დიდი სიყვარული მქონია, არც დიდი მეგობრობა, მაგრამ ასე მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ არ შევხვედრილვარ კაცს ან ქალს, ვინც ამის ღირსი იქნებოდა; თუ შესანიშნავი წიგნები არ დამიწერია, მხოლოდ იმიტომ, რომ საამისო დრო არ მქონია; თუ ბავშვები არ მყოლია, რომელთაც თავს მივუძღვნიდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შევხვდი ადამიანს, რომელთან ერთადაც წარვმართავდი ჩემს ცხოვრებას. მაშასადამე, ჩემში გამოუყენებელი დარჩა სრულიად სიცოცხლისუნარიან მონაცემთა, მიდრეკილებათა, შესაძლებლობათა მთელი გროვა, რომლებიც ისეთ ღირებულებას მანიჭებს, ჩემ ქმედებათა უბრალო წყებიდან რომ ვერანაირად ვერ გამომდინარეობს.“ არადა, სინამდვილეში, ეგზისტენციალისტისთვის არ არსებობს სხვა სიყვარული, გარდა იმისა, რომელსაც ვაყალიბებთ, არ არსებობს სიყვარულის სხვა შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომელიც რომელიმე განსაზღვრულ სიყვარულში ცხადდება; არ არსებობს სხვა გენია გარდა იმისა, რომელიც გარკვეულ სახელოვნებო ნაწარმოებებში გამოიხატა: პრუსტის[20] გენია პრუსტის ნაწარმოებთა მთლიანობაა; რასინის[21] გენია მის ტრაგედიათა სერიაა და ამის მიღმა არაფერია; რატომ უნდა მივაწეროთ რასინს ახალი ტრაგედიის დაწერის შესაძლებლობა, თუ მას ეს არ გაუკეთებია? ადამიანი პასუხისმგებლობით ერთვება საკუთარ ცხოვრებაში, საკუთარ ყალიბს მოხაზავს, და ამ ყალიბის მიღმა არც არაფერია. რასაკვირველია, ეს აზრი მკაცრად მოეჩვენება ვიღაცას, ვინც ცხოვრებაში წარმატებას ვერ მიაღწია. მაგრამ, მეორე მხრივ, ის ხალხს იმის გასაგებად განაწყობს, რომ მხოლოდ სინამდვილე ითვლება, და რომ ოცნებები, მოლოდინები თუ იმედები მხოლოდ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ადამიანი განვსაზღვროთ როგორც აუხდენელი ოცნება, ჩაკლული იმედები და ფუჭი მოლოდინები; სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ადამიანებს ნეგატიურად განსაზღვრავს და არა პოზიტიურად. მიუხედავად ამისა, როცა ამბობენ: „შენ არაფერი არ ხარ, გარდა შენი ცხოვრებისა“, ეს არ გულისხმობს, რომ ხელოვანი მხოლოდ და მხოლოდ მისი ნაწარმოებების საფუძველზე განისჯება; მას კიდევ ათასი რამ განსაზღვრავს. მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ადამიანი სხვა არაფერია,

გარდა წამოწყებათა სერიისა, და რომ ის არის ჯამი, მოწყობა და ერთობლიობა იმ ურთიერთობებისა, რომლებისგან შედგება ეს წამოწყებები.

ამგვარ ვითარებაში, რასაც გვსაყვედურობენ, საბოლოო ჯამში, არა ჩვენი პესიმიზმი, არამედ გარკვეული ოპტიმისტური სიხისტეა. ხალხი ჩვენ მიერ დაწერილი რომანებისთვის რომ გვსაყვედურობს, რომლებშიც უნებისყოფო, სუსტ, ლაჩარ და ხანდახან ალალად უკეთურ არსებებს აღვწერთ, ეს მარტო იმიტომ არ ხდება, რომ ეს არსებები უნებისყოფოები, სუსტები, ლაჩრები და უკეთურები არიან; ვინაიდან, თუ ზოლასავით ჩვენც განვაცხადებდით, რომ ისინი ასეთები მემკვიდრეობით მიღებული თვისებების, გარემოს ან საზოგადოების ზემოქმედების, რაიმე ორგანული ან ფსიქოლოგიური დეტერმინიზმის გამო არიან, ხალხი დამშვიდდებოდა და იტყოდა, დიახაც, ასეთები ვართ, ვერაფერს გავხდებითო; მაგრამ როცა ეგზისტენციალისტი აღწერს ლაჩარს, ის ამბობს, რომ ეს ლაჩარი პასუხისმგებელია საკუთარ სილაჩრეზე. ის ასეთი იმიტომ არაა, რომ ლაჩარი გული, ფილტვი ან ტვინი აქვს, და არც ერთგვარი ფსიქოლოგიური მოწყობის გამოა ასეთი, არამედ იმის გამო, რომ მან საკუთარი ქმედებების მეშვეობით ლაჩრად ჩამოიყალიბა თავი. არ არსებობს ლაჩრული ტემპერამენტი; არსებობს ნერვიული ტემპერამენტი, ანდა რასაც ღარიბ სისხლს უწოდებს კეთილი ხალხი, და არსებობს მდიდარი ტემპერამენტი; მაგრამ ადამიანი, რომელსაც ღარიბი სისხლი აქვს, მაინც არ არის ლაჩარი, ვინაიდან სილაჩრეს შეადგენს უარის თქმის ან დანებების ქმედება, ტემპერამენტი კი არ არის ქმედება; ლაჩარი განისაზღვრება მის მიერ ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე. რასაც ხალხი ბუნდოვნად გრძნობს და რაც მას ზარავს, ისაა, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ლაჩარი დამნაშავეა საკუთარ სილაჩრეში. ხალხს კი სურს, რომ ან ლაჩრებად დაიბადონ ან გმირებად. „თავისუფლების გზების“[22] მიმართ ყველაზე ხშირად გამოთქმული ერთ-ერთი საყვედური ასე ჟღერს: „ბოლოს და ბოლოს, თუ ასეთი უნებისყოფოები არიან ეს ადამიანები, რანაირად გინდათ მათი გმირებად გამოყვანა?“ ეს შეპასუხება საკმაოდ სასაცილოა, ვინაიდან წინასწარვე გულისხმობს, რომ ადამიანები გმირებად იბადებიან. და პრინციპში, სწორედ ასე სურს ხალხს ფიქრი: თუ ლაჩარი დაიბადებით, სრულებით მშვიდად იქნებით, ვერაფერს შეცვლით, მთელი ცხოვრება ლაჩარი დარჩებით, რაც არ უნდა გააკეთოთ; თუ გმირად დაიბადეთ, აგრეთვე სრულებით მშვიდად იქნებით, მთელი ცხოვრება გმირად დარჩებით, გმირივით დალევთ და გმირივით შეჭამთ. ეგზისტენციალისტი კი ამბობს, რომ ლაჩარი ლაჩრად იხდის თავს, ხოლო გმირი – გმირად; ყოველთვის არსებობს ლაჩრისთვის შესაძლებლობა, რომ აღარ იყოს ლაჩარი, გმირისთვის კი – შესაძლებლობა, რომ აღარ იყოს გმირი. მნიშვნელოვანი აქ რაღაცაში თავის სრულად ჩართვაა. ვერანაირი კერძო შემთხვევა ან კერძო ქმედება ვერ ჩაგრთავთ სრულად.

ამგვარად, ვგონებ, პასუხი გავეცით ეგზისტენციალიზმთან დაკავშირებულ საყვედურთა გარკვეულ რიცხვს. როგორც ხედავთ, მას ვერ განვიხილავთ კვიეტიზმის ფილოსოფიად, რადგან ის ადამიანს მოქმედების მეშვეობით განსაზღვრავს; ვერ განვიხილავთ ვერც ადამიანის პესიმისტურ აღწერად: არ არსებობს

მასზე უფრო ოპტიმისტური სწავლება, რადგან ადამიანის ბედისწერა თავად მასშია; ვერც მცდელობად, რომ ადამიანს მოქმედების სიმამაცე წაართვას, რადგან ეგზისტენციალიზმი ამბობს, რომ საკუთარი მოქმედების გარდა სხვა იმედი არ არსებობს და რომ ერთადერთი, რაც ადამიანს ცხოვრებას შეაძლებინებს, ქმედებაა. შესაბამისად, ამ აზრით, საქმე მოქმედებისა და პასუხისმგებლობის აღების მორალთან გვაქვს. ამისდა მიუხედავად, მაინც გვსაყვედურობენ, რომ ამ რამდენიმე მოცემულობის საფუძველზე ადამიანს მისი ინდივიდუალური სუბიექტურობის კედლებში ვამწყვდევთ. მაგრამ აქაც ძალზე ცუდად გაგვიგეს. ჩვენი ამოსავალი წერტილი მართლაც ინდივიდის სუბიექტურობაა, რასაც მკაცრად ფილოსოფიური მიზეზები აქვს. და მიზეზი ის კი არაა, რომ ბურჟუები ვართ, არამედ ის, რომ ჩვენ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული სწავლება გვსურს და არა ლამაზ თეორიათა ერთობლიობა, იმედებით აღსავსე, მაგრამ ნამდვილ საფუძველს მოკლებული. საწყის წერტილში სხვა ვერანაირი ჭეშმარიტება ვერ იარსებებს, გარდა შემდეგისა: *ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ*. ეს არის საკუთარი თავის მწვდომი ცნობიერების აბსოლუტური ჭეშმარიტება. ყოველგვარი თეორია, რომელიც ადამიანს განიხილავს მის მიერ საკუთარი თავის წვდომის მომენტის მიღმა, უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტების წამშლელი თეორიაა, რადგან, ამ კარტეზიანული *კოგიტოს* მიღმა ყველანაირი საგანი მხოლოდ საალბათოა, ხოლო, ალბათობათა სწავლება, რომელიც ჭეშმარიტებას არ ეფუძნება, არარაში ჩაინთქმება; საალბათოს განსასაზღვრად ჭეშმარიტის ფლობაა საჭირო. მაშასადამე, იმისათვის, რომ რაიმე ჭეშმარიტება არსებობდეს, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა საჭირო; ის კი მარტივია, ადვილად მოსაპოვებელი და ყველასთვის ხელმისაწვდომი; ის იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარ თავს გაუშუალებლად ვწვდეთ.

ამას გარდა, ეს თეორია ერთადერთია, ადამიანს გარკვეულ ღირსებას რომ ანიჭებს, ერთადერთია, მას რომ საგნად არ აქცევდეს. ნებისმიერი მატერიალიზმის შედეგი ისაა, რომ ყველა ადამიანს, ჩვენი თავის ჩათვლით, ისე განგვახილვინებს, როგორც საგნებს, ე. ი. როგორც განსაზღვრულ რეაქციათა ერთობლიობას, რომელსაც არაფერი განასხვავებს იმ თვისებათა და ფენომენთა ერთობლიობისგან, რისგანაც მაგიდა, სკამი, ან ქვა შედგება. ჩვენი სურვილი კი სწორედ ისაა, რომ ადამიანთა საუფლო ჩამოყალიბდეს ღირებულებათა ისეთ ერთობლიობად, რომელიც მატერიის საუფლოსგან განსხვავებული იქნება. მაგრამ ჩვენ მიერ ჭეშმარიტების საზომად ნაწვდომი სუბიექტურობა სულაც არ არის მკაცრად ინდივიდუალური, რადგან ჩვენ დავამტკიცეთ, რომ *კოგიტოში* ჩვენ მარტო საკუთარ თავს კი არა, არამედ სხვებსაც აღმოვაჩენთ. *ვაზროვნებ* ისეთი რამაა, რის მეშვეობითაც, დეკარტისა და კანტის ფილოსოფიების საწინააღმდეგოდ, ჩვენ საკუთარ თავს სხვის პირისპირ ვწვდებით, ხოლო სხვის არსებობა ჩვენთვის ისეთივე უეჭველია, როგორც ჩვენი თავისა. ამგვარად, ადამიანი, რომელიც პირდაპირ წვდება საკუთარ თავს *კოგიტოს* მეშვეობით, ამავდროულად სხვებსაც აღმოაჩენს, თანაც მათ აღმოაჩენს, როგორც საკუთარი არსებობის პირობას. ის ხვდება, რომ ის ვერაფერი ვერ იქნება (იმ აზრით, როცა ვამბობ, რომ სულიერი ვარ, ან ბოროტი,

ანდა რომ ვეჭვიანობ), თუ მას ასეთად სხვები არ აღიარებენ. ჩემ შესახებ ნებისმიერი სახის ჭეშმარიტების მისაღწევად საჭიროა, რომ სხვაზე გავაკეთო შემოვლითი გზა. სხვა აუცილებელია, როგორც ჩემი არსებობისთვის, ისე ჩემი თავის საცნობლადაც. ამგვარ ვითარებაში, ჩემივე ინტიმურობის აღმოჩენა ამავდროულად სხვასაც აღმომაჩენინებს, როგორც ჩემ წინაშე დადგენილ თავისუფლებას, რომელიც ჩემზე აზროვნებს და ნიადაგ ჩემს სასიკეთოდ ან საწინააღმდეგოდ იზრახავს. ამგვარად იმთავითვე აღმოვაჩენთ სამყაროს, რომელსაც ინტერსუბიექტურობას[23] ვუწოდებთ; სწორედ ამ სამყაროში წყვეტს ადამიანი, თავად რა არის და სხვები რა არიან.

გარდა ამისა, მართალია, ვერცერთ ადამიანში ვერ ვიპოვით რაიმე საყოველთაო არსს, რომელიც ადამიანური ბუნების ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ მაინც არსებობს *მდგომარეობის* ადამიანური საყოველთაობა. შემთხვევითი არ არის, დღევანდელ მოაზროვნეებს უმალ ადამიანის მდგომარეობაზე რომ ურჩევნიათ ლაპარაკი, ვიდრე მის ბუნებაზე. მდგომარეობაში ისინი მეტ-ნაკლები სიცხადით გულისხმობენ იმ *აპრიორული საზღვრების* ერთობლიობას, რომლებიც შემოვლებული აქვს სამყაროში მის ძირეულ სიტუაციას. ისტორიული სიტუაციები იცვლება: ადამიანი შეიძლება მონად დაიბადოს წარმართ საზოგადოებაში, ან ფეოდალ ბატონად, ან პროლეტარად. რაც უცვლელი რჩება, მისთვის არსებული აუცილებლობაა, სამყაროში იყოს, მასში იმუშაოს, მასში სხვების გარემოცვაში იარსებოს და მასში იყოს, როგორც მოკვდავი არსება. ეს საზღვრები არც სუბიექტურია და არც ობიექტური, უფრო სწორედ, მათ ობიექტური მხარეც აქვთ და სუბიექტურიც. ობიექტური, რადგან ეს საზღვრები ყველგან გვხვდება და ყველგან ნაცნობია, ხოლო, სუბიექტური იმიტომ, რომ ისინი *განიცდება* და შეიძლება არც არაფერი იყვნენ ადამიანის მიერ მათი განცდის გარეშე, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი თავისუფლად არ განისაზღვრავს თავს მათთან მიმართებაში. და რაგინდ განსხვავებული იყოს ყველა შესაძლო პროექტი, არცერთი მათგანი ჩემთვის ბოლომდე უცხო არ რჩება, რადგან ყველა მათგანი წარმომიდგება, როგორც მცდელობა, რომ ეს საზღვრები გადავლახო, გადავწიო, უარვყო ან მოვირგო. შესაბამისად, ყველანაირ პროექტს, რაგინდ ინდივიდუალური იყოს, საყოველთაო ღირებულება აქვს. გინდ ჩინელის პროექტი იყოს, გინდ ინდოელის და გინდ ზანგის, ევროპელს ყველა მათგანის გაგება ძალუძს. გაგების ეს შეძლება გულისხმობს, რომ 1945 წელს მცხოვრებ ევროპელს შეუძლია, მის მიერვე დასახულ სიტუაციაზე დაყრდნობით, თავი იგივენაირად გაისროლოს საკუთარი საზღვრებისკენ და ამით თავის თავში გაიმეოროს ჩინელის, ინდოელის ან აფრიკელის პროექტი. ყოველგვარი პროექტის საყოველთაობა იმ გაგებით არსებობს, რომ ყოველგვარი პროექტი ნებისმიერი ადამიანისთვის გასაგებია. რაც, ოღონდ, არაფრის დიდებით არ ნიშნავს, რომ ეს პროექტი სამუდამოდ განსაზღვრავს ადამიანს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მისი აღმოჩენაა შესაძლებელი. ყოველთვის არსებობს საშუალება, გაუგო იდიოტს, ბავშვს, პირველყოფილს ან უცხოს, თუკი საკმარისად გათვითცნობიერებული ხარ. ამ აზრით, მართლაც შეგვიძლია

ვთქვათ, რომ ადამიანის საყოველთაობა არსებობს; მაგრამ ის არ არის მოცემული, ის მუდმივად ყალიბდება. მე საყოველთაოს იმით ვაყალიბებ, რომ საკუთარ თავს ვირჩევ; მას ვაყალიბებ იმით, რომ ვუგებ ყველა სხვა ადამიანის პროექტს, რომელი ეპოქისაც არ უნდა იყოს ის. არჩევანის ეს აბსოლუტურობა არ აბათილებს ეპოქების ფარდობითობას. რისი ჩვენებაც ეგზისტენციალიზმს გულითადად სწადია, ეს არის აბსოლუტური ხასიათის ბმა, რომელიც აკავშირებს, ერთი მხრივ, თავისუფალ ჩართულობას, რომლითაც ყოველი ადამიანი საკუთარ თავს ახორციელებს ადამიანობის გარკვეული ტიპის განხორციელებით – ჩართულობას, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში და ნებისმიერისთვის ყოველთვის გასაგებია – და, მეორე მხრივ, იმ კულტურული ერთობლიობის ფარდობითობას, რომელიც მსგავსი არჩევანის შედეგია; საჭიროა, ერთდროულად ხაზი გაესვას კარტეზიანიზმის ფარდობითობასა და კარტეზიანული ჩართულობის აბსოლუტურ ხასიათს. ამ აზრით, ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითოეული ჩვენგანი აბსოლუტს შეადგენს, რაკი სუნთქავს, ჭამს, ძინავს ანდა გარკვეული სახით მოქმედებს. სრულიად ერთი და იგივეა, იყო თავისუფალი, იყო როგორც პროექტი, როგორც საკუთარი არსის ამრჩევი არსებობა, და იყო აბსოლუტური; და არაფერი განასხვავებს ერთმანეთისგან იმას, რომ იყო დროში ანუ ისტორიაში ლოკალიზებული აბსოლუტი, და იყო საყოველთაოდ გასაგები.

ეს ბოლომდე ვერ გადაგვაჭრევინებს სუბიექტივიზმის ბრალდებას. ეს ბრალდება მართლაც კიდევ ბევრნაირ სახეს იძენს. პირველი მათგანი ასეთია: გვეუბნებიან, მაშინ ყველაფრის გაკეთება ნებადართული გამოდისო; ამის გამოხატვა კი, სხვადასხვაგვარად შეიძლება. უპირველეს ყოვლისა, ანარქიზმს გვაბრალებენ; კიდევ, გვიცხადებენ, სხვებს ვერ განსჯით, რადგან არანაირი საფუძველი არ არსებობს საიმისოდ, რომ ერთი პროექტი მეორეს ამჯობინოთო. საბოლოოდ, ისიც შეუძლიათ გვითხრან, ყველაფერი მუქთაა იმაში, რასაც ირჩევთ, ერთი ხელით გასცემთ იმას, რის მიღებასაც მეორით იჩემებთო. ამ სამ ბრალდებას მთლად სერიოზულად ვერ მივიღებთ. დავიწყოთ პირველით: არ არის სწორი, რომ ნებისმიერი რამ შეგიძლიათ აირჩიოთ. არჩევანი მხოლოდ ერთი მიმართულებით არის შესაძლებელი, მაგრამ რაც მართლაც შეუძლებელია, არჩევნის არგაკეთებაა. მე ყოველთვის შემიძლია ავირჩიო, მაგრამ უნდა ვიცოდე, რომ თუ არ ვირჩევ, ესეც არჩევანია. ეს, რაგინდ მკაცრად ფორმალური გვეჩვენებოდეს, ძალზე მნიშვნელოვანია ფანტაზიისა და ახირებისათვის საზღვრების დასაწესებლად. თუ მართალია, რომ გარკვეული სიტუაციის პირისპირ – მაგალითად, მე რომ სექსუალობით განსაზღვრული არსება ვარ, რომელსაც შეუძლია, სხვა სქესის არსებასთან ჰქონდეს ურთიერთობა და ბავშვები იყოლიოს – მე ვალდებული ვარ, რაღაც მიდგომა ავირჩიო, და თუ მართალია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებელი ვარ არჩევანზე, რომელიც ჩემ თავთან ერთად სრულიად კაცობრიობასაც გულისხმობს, თუნდაც არანაირი *აპრიორული* ღირებულება არ განსაზღვრავდეს ჩემ არჩევანს, მას არაფერი აქვს საერთო ახირებასთან; და თუ გვგონია, რომ აქ საქმე მუქთა ქმედების ჟიდისეულ თეორიასთან გვაქვს,[24] გამოდის, რომ ვერ ვხე-

დავთ ამ და ჟიდის სწავლებას შორის არსებულ უშველებელ განსხვავებას. ჟიდმა არ იცის, რას ნიშნავს სიტუაცია; ის უბრალო ახირებაზე დაყრდნობით მოქმედებს. ჩვენთვის კი, პირიქით, ადამიანი ორგანიზებულ სიტუაციაში იმყოფება, რომელშიც თავადაც ჩართულია და თავისი არჩევანით სრულიად კაცობრიობაც ჩაურთავს, და ვერ გაურბის არჩევანს: ან უბიწო დარჩება ან ბავშვების ყოლის გარეშე დაქორწინდება ანდა დაქორწინდება და ბავშვები ეყოლება; ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა გააკეთოს, შეუძლებელია, სრული პასუხისმგებლობა არ აიღოს ამ პრობლემის წინაშე. უეჭველია, რომ ის არჩევანს აკეთებს წინასწარ დადგენილი ღირებულებების გაუთვალისწინებლად, თუმცა უსამართლო იქნებოდა, მისთვის ახირებულობა დაგვებრალებინა. უმალ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მორალური არჩევანი ხელოვნების ნაწარმოების აგებას უნდა შედარდეს. და აქ მაშინათვე უნდა შევჩერდეთ და ხაზი გავუსვათ, რომ საქმე არ გვაქვს ესთეტიკურ მორალთან, ვინაიდან ჩვენი მოწინააღმდეგეები იმდენად არაგულწრფელები არიან, რომ ამასაც კი გვაბრალებენ. ჩემ მიერ არჩეული მაგალითი მხოლოდ და მხოლოდ შედარებაა. და მაინც, ვინმეს ოდესმე განა მოსვლია თავში აზრად, ხელოვანისთვის ესაყვედურა, რომ ტილოს დახატვისას *აპრიორულად* დადგენილი წესებით არ ხელმძღვანელობდა? ვინმეს უთქვამს, როგორია ის ტილო, რომელიც მან უნდა შექმნას? ცხადია, არ არსებობს შესაქმნელად განსაზღვრული ტილო, ხელოვანი თავისი ტილოს აგებას უძღვნის თავს და შესაქმნელი ტილოც სწორედ ის ტილოა, რომელსაც ის შექმნის; ცხადია, არ არსებობს *აპრიორული* ესთეტიკური ღირებულებები, მაგრამ არსებობს ღირებულებები, რომელთაც მოგვიანებით ვხედავთ ტილოს თანმიმდევრულობაში, შემოქმედების ნებასა და შედეგს შორის არსებულ კავშირებში. ვერავინ იტყვის, როგორი იქნება ხვალინდელი მხატვრობა; მხატვრობის განსჯა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც მას სამუშაო დასრულებული აქვს. რა კავშირი აქვს ამას მორალთან? მორალშიც იგივენაირ შემოქმედებით სიტუაციაში ვიმყოფებით. არასოდეს ვსაუბრობთ ხელოვნების ნაწარმოების მუქთა ხასიათის შესახებ. როდესაც პიკასოს რაიმე ტილოზე ვსაუბრობთ, არასოდეს ვამბობთ, რომ ის მუქთაა; ჩვენ კარგად გვესმის, რომ ის ამგვარი სახით მისი ხატვის კვალდაკვალ ჩამოყალიბდა, და რომ პიკასოს შემოქმედების ერთობლიობა მისი ცხოვრებისავე შემადგენელი ნაწილია. იგივე ხდება მორალის განზომილებაშიც. ხელოვნებისა და მორალისათვის საერთო ისაა, რომ ორივე შემთხვევაში საქმე შემოქმედებასა და გამოგონებასთან გვაქვს. *აპრიორი* ვერ გადავწყვეტთ, რა უნდა გაკეთდეს. მგონი, საკმარისად ნათლად დაგიმტკიცეთ ეს ჩემი მოსწავლის მაგალითით, რომელიც ჩემთან მოვიდა და რომელსაც ნებისმიერი მორალისთვის შეეძლო მიემართა, კანტის იქნებოდა ეს თუ სხვა, და მაინც ვერანაირი მითითება ვერ ეპოვა; ის იძულებული იყო, საკუთარი კანონი თვითონვე გამოეგონა. ამ კაცმა მუქთა არჩევანი გააკეთაო, არც იმ შემთხვევაში ვიტყვით, თუ დედამისთან დარჩენა აირჩია, რაკი მორალურ საფუძვლად გრძნობები, ინდივიდუალური მოქმედება და კონკრეტული სიქველე აიღო, და არც იმ შემთხვევაში, თუ ინგლისში წასვლა აირჩია და ამით თავის მსხვერპლად შეწირვა

ამჯობინა. ადამიანი თავს ქმნის; ის თავიდანვე მზა სახით არ არის მოცემული, ის თავს იქმნის საკუთარი მორალის არჩევით, გარემოებათა წნეხი კი ისეთია, რომ მას არ შეუძლია, რომელიმე სახის მორალი არ აირჩიოს. ადამიანს ჩვენ მხოლოდ იმასთან მიმართებით განვსაზღვრავთ, რაზეც პასუხისმგებლობას იღებს. ამდენად, აბსურდულია ჩვენთვის იმის დაბრალება, რომ მუქთა არჩევანს ვქადაგებთ. გარდა ამისა, გვეუბნებიან, სხვებს ვერ განსჯითო. ერთი მხრივ, ეს მართალია, მეორე მხრივ – მცდარი. მართალია იმ აზრით, რომ, ყოველ ჯერზე, როცა ადამიანი მთელი გულწრფელობითა და გონების სინათლით ირჩევს რაღაცაზე პასუხისმგებლობის აღებას და საკუთარ რაგინდარა პროექტს, მისთვის შეუძლებელია, სხვა პროექტი ამჯობინოს; ეს მართალია იმ აზრით, რომ ჩვენ არ გვწამს პროგრესის; პროგრესი გაუმჯობესებაა; ადამიანი კი, მუდამ იგივეა ცვალებადი სიტუაციის პირისპირ და არჩევანიც ყოველთვის რაღაც სიტუაციაში გაკეთებულ არჩევნად რჩება. მორალური პრობლემა არ შეცვლილა დროის მანძილზე, მაგალითად, სეცესიის ომის[25] ჟამს მონათმფლობელებსა და არამონათმფლობელებს შორის რომ შეიძლებოდა აგვერჩია, ხოლო, დღეს ან სახალხო რესპუბლიკური მოძრაობისკენ[26] ანდაც კომუნისტებისკენ რომ შეგვიძლია გადავიხაროთ.

მაგრამ მაინც შეგვიძლია განვსაჯოთ, რადგან, როგორც გითხარით, ჩვენ სხვების პირისპირ ვაკეთებთ არჩევანს და სხვების პირისპირ ვირჩევთ საკუთარ თავს. პირველ რიგში, შეგვიძლია განვსაჯოთ (და ეს განსჯა ლოგიკურია, რადგან ვერ იქნება ღირებულებითი), რომელი არჩევანი ეფუძნება შეცდომას და რომელი – ჭეშმარიტებას. შეიძლება ადამიანი იმის თქმით განსაჯო, რომ ის თავს იტყუებს. თუ ადამიანის სიტუაცია განვსაზღვრეთ, როგორც თავისუფალი, უბოდიშო და უსაშველო არჩევანი, ნებისმიერი ადამიანი, ვინც თავის მართლებასა და ვნებებს ამოეფარება, ნებისმიერი, ვინც რაღაც გამოგონილ დეტერმინიზმს მოიმიზეზებს, თავისთავის მატყუარაა. შემოგვედავებიან, განა თავის მოტყუებით ვერ აირჩევს თავსო? მე ვპასუხობ, რომ სულაც არ ვსჯი მას მორალურად, არამედ მის მიერ თავის მოტყუებას განვსაზღვრავ, როგორც შეცდომას. აქ შეუძლებელია გაექცე განსჯას, რომლის საზომიც ჭეშმარიტებაა. ცხადია, რომ თავის მოტყუება ტყუილია, რადგან ის პასუხისმგებლობაში ჩართვის სრულ თავისუფლებას თამაშობს (dissimule). იგივე დონეზე თუ დავრჩებით, ვიტყოდი, რომ თავის მოტყუებაა ისიც, როცა ვაცხადებ, რომ ზოგიერთი ღირებულება ჩემამდე არსებობს; ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები, თუ მე ეს ღირებულებები მწადია და ამავდროულად ვაცხადებ, რომ ისინი თავს მომახვიეს. თუ მეტყვიან: „ეგებ მინდა, თავი მოვიტყუო?“ მე ვუპასუხებ: „არანაირი მიზეზი არ არსებობს საიმისოდ, რომ თავი არ მოიტყუოთ, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ თქვენ თავს იტყუებთ და რომ მკაცრი თანმიმდევრულობის მიდგომა ისაა, როცა საკუთარ თავთან გულწრფელნი ვართ.“ ამასთანავე, მე მორალურადაც შემიძლია განვსაჯო. როდესაც ვაცხადებ, რომ თითოეულ კონკრეტულ ვითარებაში თავისუფლებას არ შეიძლება სხვა მიზანი ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ საკუთარ თავს ელტვოდეს, თუ ადამიანმა ერთხელ შეიცნო, რომ ის გადაგდებულობის პირობებში ადგენს ღირებულებებს, მას ერთადერთი რამის

სურვილიღა დარჩენია – თავისუფლების როგორც ყოველგვარი ღირებულების საფუძვლის. ეს არ ნიშნავს, რომ ის თავისუფლებას აბსტრაქტულად ელტვის. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავთან გულწრფელი ადამიანის ქმედებათა საბოლოო მნიშვნელობა თავისუფლების, როგორც ასეთის, ძიებაში მდგომარეობს. ადამიანი, რომელიც რომელიმე პროფკავშირს ეკუთვნის, კომუნისტური იქნება თუ რევოლუციური, კონკრეტულ მიზნებს ესწრაფვის; ეს მიზნები თავისუფლების აბსტრაქტულ სურვილს გულისხმობენ; მაგრამ მხოლოდ კონკრეტულად შეიძლება გსურდეს ეს თავისუფლება. თავისუფლება თავისუფლების გულისთვის გვსურს და თანაც ყველანაირ კონკრეტულ ვითარებაში. ხოლო, როცა თავისუფლება გვსურს, აღმოვაჩენთ, რომ ის მთლიანად სხვების თავისუფლებაზეა დამოკიდებული, და რომ სხვების თავისუფლება ჩვენსაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, თავისუფლება, როგორც ადამიანის განსაზღვრება, არ არის სხვაზე დამოკიდებული, მაგრამ რაწამს პასუხისმგებლობაში ვერთვები, იძულებული ვარ, საკუთარ თავისუფლებასთან ერთად სხვების თავისუფლებაც მსურდეს, საკუთარ თავისუფლებას ვერ დავისახავ მიზნად, თუ სხვებისაც არ დავისახე. შედეგად, როცა, სრული საკუთრიობის[27] დონეზე, შევიცნობ, რომ ადამიანი არის არსება, რომელშიც არსს წინ უსწრებს არსებობა, და რომ ის თავისუფალი არსებაა, რომელსაც სხვადასხვა ვითარებებში მხოლოდ ის ძალუძს, რომ თავისუფლება სურდეს, ამავდროულად იმასაც შევიცნობ, რომ მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ სხვების თავისუფლება მსურდეს. ამგვარად, თავისუფლების ამ სურვილის სახელით, რომელსაც თავად თავისუფლება გულისხმობს, მე შემიძლია განვსაჯო ისინი, ვისაც განუზრახავს, საკუთარ თავს დაუმალოს, რომ მისი არსებობა სრულიად მუქთაა და რომ ის სრულიად თავისუფალია. მათ, ვინც სერიოზულობის სულისკვეთებით ან დეტერმინისტული გამართლებებით დაუმალავენ საკუთარ თავს თავიანთ სრულ თავისუფლებას, მე ლაჩრებს ვუწოდებ; ხოლო არამზადებს ვუწოდებ მათ, ვინც შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ მათი არსებობა აუცილებელი იყო, როცა სინამდვილეში ის მიწაზე ადამიანის მოვლინების შემთხვევითობის მეტი არაფერია. მაგრამ ლაჩრები იქნებიან თუ არამზადები, მათ მხოლოდ მკაცრი საკუთრიობის დონეზე თუ განვსჯით. ამგვარად, შეიძლება მორალის შინაარსი იცვლებოდეს, მაგრამ ამ მორალის გარკვეული ფორმა საყოველთაოა. კანტი აცხადებს, რომ თავისუფლებას საკუთარი თავი და სხვათა თავისუფლება სურს. კი ბატონო, მაგრამ ის მიიჩნევს, რომ ფორმალობა და საყოველთაობა საკმარისი საფუძველია მორალის ჩამოსაყალიბებლად. ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, რომ ზედმეტად აბსტრაქტულ პრინციპებს არ შესწევთ უნარი, მოქმედება განსაზღვრონ. კიდევ ერთხელ, აიღეთ იმ მოსწავლის შემთხვევა; თქვენი აზრით, რის სახელით, რომელი დიადი მორალური მაქსიმის სახელით შეეძლო მას სრულიად უდრტვინველად გადაეწყვიტა, დედამისი უნდა მიეტოვებინა თუ მასთან უნდა დარჩენილიყო? ამას ვერაფრით განსჯით. შინაარსი ყოველთვის კონკრეტულია და, შესაბამისად, წინასწარ განუჭვრეტელიც; საქმე ყოველთვის გამოგონებასთან

გვაქვს. ერთადერთი, რაც ითვლება, იმის ცოდნაა, თავისუფლების სახელით იქმნება ეს გამოგონება თუ არა.

მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი ორი შემთხვევა და ნახავთ, როგორ თანხვდებიან ისინი და მაინც როგორ განსხვავდებიან. ავიღოთ „წისქვილი ფლოსზე.“[28] აქ ჩვენ ვხვდებით ერთ ახალგაზრდა გოგონას, მეგი ტალივერს, რომელიც ვნების ღირებულების განსხეულებაა და თავადაც აცნობიერებს ამას; მას ერთი ახალგაზრდა კაცი უყვარს, სახელად სტივენი, რომელიც ერთ ახალგაზრდა უღიმღამო გოგონაზეა დანიშნული. ეს ჩვენი მეგი ტალივერი იმის მაგივრად, რომ უგუნურად ამჯობინოს საკუთარი ბედნიერება, ადამიანური სოლიდარობის სახელით ირჩევს, თავი მსხვერპლად გაიღოს და უარი თქვას საყვარელ მამაკაცზე. სამაგიეროდ, სანსევერინა „პარმის სავანიდან;“[29] დარწმუნებული, რომ ვნებაშია ადამიანის ჭეშმარიტი ღირებულება, განაცხადებდა, დიდი სიყვარული მსხვერპლს იმსახურებსო და ის ცოლქმრული სიყვარულის ბანალურობას უნდა ვამჯობინოთო, იმგვარს, სტივენი და ახალგაზრდა ბატი რომ უნდა შეაკავშიროს; სანსევერინა ამ უკანასკნელის მსხვერპლად შეწირვასა და საკუთარი ბედნიერებისათვის ხორცის შესხმას აირჩევდა; და, რაც შეეხება ვნებას, სტენდალი აკი გვიჩვენებს, რომ სანსევერინა საკუთარსავე თავს გაიღებს მსხვერპლად, თუ ცხოვრება ამას მოითხოვს. აქ ჩვენ ორი სავსებით საპირისპირო მორალის წინაშე ვდგავართ; მე ვამტკიცებ, რომ ისინი თანაბრად ღირებულია: ორივე შემთხვევაში მიზნად თავისუფლება იყო დადგენილი. და შედეგებს რაც შეეხება, ორი ძირეულად მსგავსი მიდგომის წარმოდგენაც შეგიძლიათ: ერთი გოგო ბედს მორჩილდება და ამჯობინებს, უარი თქვას სიყვარულზე, ხოლო მეორე, სექსუალური ჟინის საფუძველზე ამჯობინებს, უგულებელყოს მისთვის საყვარელი კაცის მანამდელი კავშირები. ეს ორი ქმედება გარეგნულად მსგავსია ჩვენ მიერ ახლახან აღწერილი ქმედებებისა. არადა, ისინი მაინც სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან; სანსევერინას მიდგომა ბევრად უფრო ახლოა მეგი ტალივერის მიდგომასთან, ვიდრე უდარდელ სიხარბესთან.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ ეს მეორე საყვედური ერთდროულად მართალიცაა და მცდარიც. ყველაფრის არჩევა შეიძლება, თუ პასუხისმგებლობისთვის საკუთარი თავის თავისუფლად მიძღვნის თვალსაზრისზე დავდგებით.

მესამე შემოდავება შემდეგნაირია: ერთი ხელით იღებთ იმას, რასაც მეორით გასცემთო, ე. ი. პრინციპში ღირებულებები სერიოზული ვერ იქნება, რაკი თქვენ მათ ირჩევთო. ამაზე ვპასუხობ, რომ ძალიანაც ვწუხვარ, ასე რომ არის; მაგრამ თუ მე მამა ღმერთი გავაუქმე, ვიღაცა ხომ საჭიროა, რომ ღირებულებები გამოიგონოს. რაც არის, ეს არის. თანაც, იმის თქმა, რომ ჩვენ ღირებულებებს ვიგონებთ, სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ, *აპრიორი*, ცხოვრებას საზრისი არ გააჩნია. სანამ არ იცხოვრებთ, ცხოვრება არაფერი არ იქნება, საზრისი მას თქვენ უნდა მიანიჭოთ, და ღირებულებაც სხვა არაფერია, გარდა ამ თქვენ მიერ არჩეული საზრისისა. შესაბამისად, ხედავთ, რომ არსებობს ადამიანური ერთობის შექმნის შესაძლებლობა. მისაყვედურეს, რატომ კითხულობ, არის თუ

არა ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმიო. მითხრეს: „გულზიდვაში“[30] აკი დაწერეთ, რომ ჰუმანისტები ცდებოდნენ, ჰუმანიზმის გარკვეულ სახეს დასცინეთ კიდევაც, მაშ, რაღატომ უბრუნდებით მას?“ სინამდვილეში, სიტყვა ჰუმანიზმი ორ ძალზე განსხვავებულ მნიშვნელობას შეიცავს. ჰუმანიზმში შეგვიძლია ვიგულისხმოთ თეორია, რომელიც ადამიანს იღებს მიზნად და უმაღლეს ღირებულებად. ამგვარად გაგებულ ჰუმანიზმს ვპოულობთ, მაგალითად, კოკტოსთან,[31] როცა მის რომანში „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო 80 საათში“ ერთი პერსონაჟი თვითმფრინავით გადაუფრენს მთებს და აცხადებს, ადამიანი განმაცვიფრებელიაო. ეს ნიშნავს, რომ პირადად მე, რომელსაც არ ამიგია თვითმფრინავები, ვიხეირებ ამ კერძო გამოგონებებით და რომ პირადად, როგორც ადამიანს, შემეძლება თავი გარკვეულწილად პასუხისმგებლად და პატივდებულად მივიჩნიო ადამიანთა ვიწრო ჯგუფის მიერ განხორციელებულ ქმედებათა საფუძველზე. გამოდის, რომ შეგვიძლია ადამიანს ღირებულება მივანიჭოთ რამდენიმე ადამიანის უმაღლეს მოქმედებებზე დაყრდნობით. ეს ჰუმანიზმი აბსურდულია, რადგან მხოლოდ ძაღლი ან ცხენი მოახერხებს, კრებსითად განსაჯოს ადამიანი და განაცხადოს, რომ ადამიანი განმაცვიფრებელია, რისგანაც, რამდენადაც ვიცი, ძაღლები და ცხენები აქამდე ყოველთვის თავს იკავებდნენ. მაგრამ არც ისაა მისაღები, რომ ადამიანს ადამიანის განსჯა შეეძლოს. ეგზისტენციალიზმი მას ამ სახის ყოველგვარი განსჯისგან ათავისუფლებს: ეგზისტენციალისტი ადამიანს არასოდეს დასახავს მიზნად, რადგან ადამიანი ყოველთვის შესაქმნელია. და არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობს რაღაც კაცობრიობა, რომელსაც ღვთაებასავით თაყვანი უნდა ვცეთ, როგორც ეს ოგიუსტ კონტს[32] ესახებოდა. კაციობრიობის კულტი კონტისეულ, საკუთარ თავში ჩაკეტილ ჰუმანიზმამდე მიდის, საბოლოოდ კი – ესეც უნდა ითქვას – ფაშიზმამდე. ასეთი ჰუმანიზმი არ გვინდა.

მაგრამ არსებობს ჰუმანიზმის მეორენაირი მნიშვნელობაც, რომელიც, ძირეულად, შემდეგ აზრს ატარებს: ადამიანი გამუდმებით თავისთავის გარეთაა, ადამიანი იმით არსებობს, რომ საკუთარ თავს პროეცირებს და საკუთარი თავის მიღმა, გარეთ, იკარგება, მეორე მხრივ კი, მას არსებობას ტრანსცენდენტური მიზნებისაკენ სწრაფვა შეაძლებინებს; რაკი ადამიანი ეს გადალახვაა და რაკი ის საგნებს მხოლოდ ამ გადალახვასთან მიმართებით სწვდება, ადამიანი ამ გადალახვის გულისგულში, მის ცენტრშია მოთავსებული. არ არსებობს სხვა სამყარო, გარდა ადამიანურისა, გარდა ადამიანური სუბიექტურობისა. ეგზისტენციალისტურ ჰუმანიზმს ჩვენ სწორედ ამ კავშირს ვუწოდებთ, რომელიც ტრანსცენდენციას, როგორც ადამიანისთვის განმსაზღვრელს – არა იმ გაგებით, როგორითაც ღმერთია ტრანსცენდენტური, არამედ გადალახვის გაგებით – აკავშირებს სუბიექტურობასთან, იმ აზრით, რომ ადამიანი საკუთარ თავში კი არ არის გამოკეტილი, არამედ ყოველთვის რაღაც ადამიანურ სამყაროშია გამოსული. ეს ისევ და ისევ ჰუმანიზმია, რადგან ჩვენ ადამიანს ვახსენებთ, რომ მის გარდა სხვა არავითარი კანონმდებელი არ არსებობს, და რომ მას გადაგდებულობის პირობებში მოუწევს საკუთარი თავის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; და რადგან, რო-

გორც ვაჩვენებთ, ადამიანი თავისი ადამიანურობის განხორციელებას სწორედ იმით შეძლებს, რომ, საკუთარ თავში ჩაბრუნების მაგივრად, ყოველთვის თავის გარეთ მოძებნის მიზანს, რომელსაც ყოველ ჯერზე გათავისუფლებისა და განხორციელების ამა თუ იმ კერძო ძალისხმევის სახე ექნება.

ამ რამდენიმე განაზრების საფუძველზე ვხედავთ, რომ არაფერია ჩვენთვის წაყენებულ ბრალდებებზე უფრო უსამართლო. ეგზისტენციალიზმი სხვა არაფერია, თუ არა ძალისხმევა, თანმიმდევრულად ათეისტური პოზიციიდან ბოლომდე გაიაზროს მისი ყველა გამომდინარეობა. ის სულაც არ ლამობს, ადამიანი სასოწარკვეთაში ჩააგდოს. მაგრამ თუ ქრისტიანებივით სასოწარკვეთას ვუწოდებთ ყოველგვარ ურწმუნო მიდგომას, მაშინ ეგზისტენციალიზმი პირველყოფილი სასოწარკვეთიდან ამოდის.

ეგზისტენციალიზმი იმდენად ათეიზმი კი არ არის, იმ გაგებით, რომ მთელი მისი საზრისი ღმერთის არარსებობის დამტკიცებით ამოიწურება, არამედ ის უმალ აცხადებს: ღმერთი რომც არსებობდეს, ამით არაფერი შეიცვლებოდა; აი, ეს არის ჩვენი თვალსაზრისი. ის კი არა, რომ ღმერთის არსებობის გვწამს, არამედ ვფიქრობთ, რომ პრობლემა არ მდგომარეობს მის არსებობაში; საჭიროა, ადამიანმა საკუთარი თავი იპოვოს და დაარწმუნოს, რომ საკუთარი თავის გარდა ვერავინ და ვერაფერი უშველის, თვით ღმერთის არსებობის ქმედითი მტკიცებულებაც კი. ამ აზრით, ეგზისტენციალიზმი ოპტიმიზმია, მოქმედების სწავლებაა, და ქრისტიანებსაც მხოლოდ იმიტომ შეუძლიათ სასოწარკვეთილები გვიწოდონ, რომ საკუთარ თავს ატყუებენ და საკუთარ სასოწარკვეთას ჩვენსაში ურევენ.

განმარტებები

1. კვიეტიზმი – მსოფლმხედველობა, რომელიც ღვთის ნებისა და სამყაროში არსებული წესრიგის წინაშე ადამიანის შემგუებლობას, სულიერ პასიურობასა და ჩაურევლობას ქადაგებს.
2. იგულისხმება ფრანგი ფილოსოფოსის, რენე დეკარტის (1596-1650) დებულება „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ (ლათ. cogito ergo sum). ზედსართავი „კარტეზიანული“ ნაწარმოებია დეკარტის სახელის ლათინური ვარიანტიდან Cartesius. სარტრის მიერ ტექსტში რამდენჯერმე ნახსენები *კოგიტო* სწორედ დეკარტის დებულებას გულისხმობს.
3. ემილ ზოლა (1840-1902) – ცნობილი ფრანგი მწერალი, ე. წ. ნატურალიზმის წარმომადგენელი, ავტორი რომანების ციკლისა *რუგონ მაკარები*, რომლის მეთხუთმეტე ტომიც არის 1887 წელს გამოქვეყნებული რომანი *მიწა*.
4. კარლ იასპერსი (1883-1969) – გერმანელი ფილოსოფოსი; გაბრიელ მარსელი (1889-1973) – ფრანგი ფილოსოფოსი.
5. მარტინ ჰაიდეგერი (1889-1976) – გერმანელი ფილოსოფოსი, ავტორი ეპოქალური ფილოსოფიური შრომისა *ყოფნა და დრო* (გამოქვეყნდა 1927 წელს).
6. გოტფრიდ ლაიბნიცი (1646-1716) – გერმანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და დიპლომატი.
7. დენი დიდრო (1713-1784) და ვოლტერი (1694-1778) – ფრანგი განმანათლებელი ავტორები.
8. ბიურგერი – (გერმ.) აღნიშნავს, როგორც „ქალაქის მაცხოვრებელს“, „მოქალაქეს“, ისე „ბურჟუას“ სპეციფიკურად კლასობრივი გაგებით.
9. სარტრი გულისხმობს ჰაიდეგერის მიერ დამკვიდრებულ ცნებას Dasein, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „მუნყოფნა“ ან „მუნყოფიერება“ და გულისხმობს, რომ ადამიანი არსებობს არა როგორც საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილი არსება, არამედ „აქ“ (ძვ. ქართულად „მუნ“), გარეთ, სამყაროში. სარტრი იყენებს ჰაიდეგერის ცნების ადრეულ ფრანგულ ვარიანტს réalité-humaine, რომელიც სიტყვასიტყვით „ადამიანურ სინამდვილეს“ ნიშნავს.
10. “პროეცირება“ აქ ნახმარია, როგორც „დაპროექტების“, პროექტის მოხაზვის, აზრით, ისე კინემატოგრაფიული გაგებით, როცა რაიმე სიბრტყეზე ვიზუალური მასალის პროექცია, მინათება, ხდება. თვითონ სარტრი ხმარობს ფრანგულ ზმნას se projeter, რომელსაც ჰაიდეგერთან გერმანულში შეესატყვისება ზმნა sich entwerfen. ფილოსოფიურ კონტექსტში ორივე აღნიშნავს საკუთარი თავის ეგზისტენციალური მონახაზის, ესკიზის წინ გასროლას და გულისხმობს, რომ ადამიანი არის საკუთარი მომავლის „დამპროექტებელი“ არსება, რომელიც მხო-

ლოდ აწმყოში კი არ არსებობს, არამედ ყოველთვის წინსწრებითაც არსებობს მის მიერვე მოხაზული სამომავლო ჰორიზონტის ფარგლებში.

11. ცნება „გადაგდებულობა“ (ფრ. délaissement) სარტრს ნასესხები აქვს ჰაიდეგერისგან, რომელიც ადამიანის ეგზისტენციალურ მდგომარეობაზე ამბობს, რომ ის სამყაროში ჩაგდებულია, გადაგდებულია (გერმ. geworfen, Geworfenheit), რაც განაპირობებს, რომ, ერთი მხრივ, მასზე არ ყოფილა დამოუკიდებელი, დაიბადებოდა თუ არა, მეორე მხრივ კი, არსებობის ფაქტის წინაშე მდგომს ძალაუნებურად უწევს საკუთარ არსებობაზე პასუხისმგებლობის აღება.
12. სიორენ კირკეგორი (1813-1855) – დანიელი ფილოსოფოსი, მიიჩნევა ეგზისტენციალიზმის მამამთავრად. ღვთისათვის ისააკის მსხვერპლად შესაწირად აბრაამის მზაობის შესახებ საკუთარ ხედვას კირკეგორი აყალიბებს თავის ერთ-ერთ უმთავრეს ნაშრომში *შიში და ძრწოლა* (1843).
13. A priori (ლათ. „პირვანდელი“, „უფრო ადრეული“) – ფილოსოფიაში აღნიშნავს ყოველგვარი ემპირიული გამოცდილებისა და დაკვირვებისაგან დამოუკიდებელ ცოდნასა და მსჯელობას. შესაბამისად, a posteriori (ლათ. „შემდგომი“, „უფრო გვიანდელი“) აღნიშნავს ცოდნას ან მსჯელობას, რომელიც ემპირიულ გამოცდილებასა და დაკვირვებას ეყრდნობა.
14. ფრანსის პონჟი (1899-1988) – ფრანგი პოეტი და ესეისტი.
15. ტერმინებით „კოლაბორაცია“ და „კოლაბორაციონიზმი“ უპირველეს ყოვლისა აღინიშნება ხოლმე მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში ადგილობრივი ძალებისა თუ კონკრეტული მოქალაქეების თანამშრომლობა დამპყრობელ ნაცისტურ გერმანიასთან.
16. საფრანგეთის თავისუფალი ძალები (Forces Françaises Libres) – მეორე მსოფლიო ომის დროს, გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობის ქვეშ გაერთიანებული სამხედრო ძალები, რომლებიც ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ და საფრანგეთის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ.
17. ანდრე ჟიდი (1869-1951) – ფრანგი მწერალი.
18. ატენტიზმი (attentisme) – ზოგადად აღნიშნავს პოლიტიკას ან მიდგომას, რომელიც ლოდინზე, დაცდაზე აგებს საკუთარ სტრატეგიას. რეზისტანსი (Résistance) – ფრანგულად „წინააღმდეგობა“, „შეწინააღმდეგება“, რომლითაც აღინიშნება მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგული ეროვნული წინააღმდეგობა ნაცისტური გერმანიისადმი.
19. იეზუიტი – XVI საუკუნეში ეგნატე ლოიოლას მიერ დაარსებული კათოლიკური ორდენის წევრი; სახელი „იეზუიტობა“ წარმოდგება ორდენის ოფიციალური ლათინური სახელწოდებიდან Societas Jesu (“იესოს საზოგადოება“).
20. მარსელ პრუსტი (1871-1922) – ფრანგი მწერალი, ლიტერატურული მოდერნიზმის მოწინავე წარმომადგენელი, ავტორი რომანების ციკლისა *დაკარგული დროის ძიებაში*.

21. ჟან რასინი (1639-1699) – ფრანგი დრამატურგი, ფრანგული კლასიცისტური თეატრის მოწინავე წარმომადგენელი.
22. *თავისუფლების გზები* (Les Chemins de la liberté) სარტრის რომანის სათაურია, რომელიც სამი ტომისგან შედგება და გამოიცა 1945-49 წლებში.
23. ინტერსუბიექტურობა – ფილოსოფიაში აღნიშნავს სიტყვასიტყვით „სუბიექტთა შორის“ არსებულ სფეროს, მათ შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობას.
24. „მუქთა“ ამ შემთხვევაში გულისხმობს არა „უფასოს“, „უსასყიდლოს“, არამედ რაღაცას, რაც ტყუილუბრალოდ, უმიზნოდ, განზრახვისა და განზრახვასა და შედეგებზე პასუხისმგებლობის აღების გარეშე ხდება.
25. სეცესია ნიშნავს „გამოყოფას“, კერძოდ კი, სარტრი გულისხმობს ეპიზოდს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიიდან, როდესაც 1860-იან წლებში მონათმფლობელი სამხრეთის შტატების მიერ აშშ-სგან გამოყოფის განაცხადს სამოქალაქო ომი მოჰყვა.
26. სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა (Mouvement républicain populaire) – ქრისტიან-დემოკრატიული პარტია საფრანგეთში, არსებობდა 1944-1967 წლებში.
27. საკუთრიობა (გერმ. Eigentlichkeit, ფრ. authenticité) – ჰაიდეგერის მიერ დამკვიდრებული ცნება, რომლითაც აღინიშნება მუნყოფნის მიერ საკუთარი ეგზისტენციალური მდგომარეობისათვის – გადაგდებულობისთვის, მოკვდავობისთვის – თვალის გასწორება.
28. *წისქვილი ფლოსზე* – ჯორჯ ელიოტის რომანის სათაური. ჯორჯ ელიოტი იყო ინგლისელი მწერლის, მერი ან ევანსის (1819-1880) ფსევდონიმი.
29. *პარმის სავანე* – სტენდალის რომანის სათაური. სტენდალი იყო ფრანგი მწერლის, ანრი მარი ბეილის (1783-1842) ფსევდონიმი.
30. *გულზიდვა* – სარტრის 1938 გამოცემული რომანის სათაური.
31. ჟან კოკტო (1889-1963) – ფრანგი მწერალი და ხელოვანი.
32. ოგიუსტ კონტი (1798-1857) – ფრანგი ფილოსოფოსი, პოზიტივისტური მიმდინარეობის და სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ფუძემდებელი.

ჰანა არენდტი

1906-1975

შესავალი

1. ბიოგრაფია

ჰანა არენდტი მეოცე საუკუნის ფილოსოფოსი, ესეისტი და პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ავტორთაგანია.

იგი დაიბადა 1906 წლის 14 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ ჰანოვერში, ებრაულ ოჯახში. სამი წლისაც არ იყო, როდესაც მისი მშობლები კოენინგსბერგში გადავიდნენ საცხოვრებლად, საიდანაც იყვნენ წარმოშობით. მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა. დედამ, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას იზიარებდა, გოგონა იმ დროისთვის თავისუფლად აღზარდა. კოენინსგბერგის განათლებულ წრეებში, რომელსაც მათი ოჯახი განეკუთვნებოდა, გოგონების განათლებაზე ზრუნვა ჩვეულებრივი რამ იყო. ბებია-ბაბუასგან მან ლიბერალური, რეფორმირებული იუდაიზმი შეისწავლა. უკვე თოთხმეტი წლის ასაკში ჰანა არენდტი კითხულობდა იმანუელ კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“, კარლ იასპერსისა და სიორენ კირკეგორის ტექსტებს. 1924 წელს მან მარბურგის უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც ერთი წლის განმავლობაში ფილოსოფიას მარტინ ჰაიდეგერთან და ნიკოლაი ჰარტმანთან სწავლობდა. 1926 წელს არენდტი ჯერ ფრაიბურგის უნივერსიტეტში ედმუნდ ჰუსერლთან, ხოლო შემდეგ კი ჰაიდელბერგში კარლ იასპერსთან აგრძელებს სწავლას. 1928 წელს მან კარლ იასპერსის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სიყვარულის ცნება ავგუსტინესთან“. ნაშრომი 1929 წელს ბერლინში დაიბეჭდა. პოზიტიურ გამოხმაურებასთან ერთად, მას იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ თავის ნაშრომში ავგუსტინეს განიხილავდა როგორც ფილოსოფოსს, და არა როგორც ეკლესიის მამას. 1929 წელს ბერლინში ჰანა ანრენდტი შეხვდა გიუნთერ შტერნს, მოგვიანებით გიუნთერ ანდერსის ფსევდონიმით ცნობილ ავსტრიელ ფილოსოფოსს, რომელსაც ჯერ კიდევ მარბურგიდან იცნობდა და მასზე დაქორწინდა. ამ პერიოდში არენდტი წერს ფრანკფურტის გაზეთისთვის (Frankfurter Zeitung), ესწრება პაულ ტილიხისა და კარლ მანჰაიმის სემინარებს, წერს რეცენზიას მანჰაიმის წიგნზე „იდეოლოგია და უტოპია“.

1933 წლიდან გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ებრაელების მასობრივი პოლიტიკური დევნა დაიწყო. დევნილებს არენდტი გერმანიიდან მალულად გაქცევაში ეხმარებოდა, რის გამოც გესტაპომ მცირე ხნით დააპატიმრა. გათავისუფლების შემდეგ იგი იძულებული გახდა, 1933

წელს გერმანიიდან კარლსბადისა და ჟენევის გავლით პარიზში ემიგრირებულიყო. ნაციონალ-სოციალისტების რეჟიმმა ჰანა არენდტს მოქალაქეობა 1937 წელს ჩამოართვა, რის შემდეგაც 14 წლის მანძილზე მოქალაქეობის გარეშე უწევდა ცხოვრება. საფრანგეთში ემიგრაციისას იგი ხელმძღვანელობდა ებრაული ორგანიზაციის Jugend-Aliyah-ის პარიზულ ფილიალს, რომელსაც დევნილი ებრაელი ბავშვები პალესტინაში გადაჰყავდა. საფრანგეთში ყოფნისას მას მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცნობ ვალტერ ბენიამინთან. ბენიამინის თვითმკვლელობიდან 28 წლის შემდეგ, 1968 წელს, ჰანა არენდტმა მისი ესეები პირველად გამოსცა ამერიკაში.

1940 წლის მაისში საფრანგეთის მთავრობამ გერმანული წარმოშობის უცხოელების დეპორტაცია დაიწყო. არენდტი გურსის ბანაკში გაამწესეს, საიდანაც იგი ოთხი კვირის შემდეგ გაიქცა, როდესაც გერმანიის ვერმახტმა პარიზი აიღო და შესაბამისად, ბანაკშიც არეულობა დაიწყო. თავის ესეში „ჩვენ, ლტოლვილები“ არენდტი ამასთან დაკავშირებით სარკასტულად წერს, რომ „თანამედროვე ეპოქამ ადამიანების ახალი სახეობა შექმნა – ადამიანებისა, რომლებიც მტრებმა საკონცენტრაციო ბანაკებში, ხოლო მეგობრებმა ინტერნირების ბანაკებში გაამწესეს“.[1] საფრანგეთიდან იგი თავის მეორე ქმართან, ჰაინრიხ ბლუეხნერთან ერთად, ესპანეთისკენ გაიქცა, იქიდან კი ლისაბონის გავლით ნიუ-იორკში მხოლოდ 1941 წლის მაისში ჩავიდა. წიგნი „ტოტალიტარიზმის საწყისები“, რომელიც არენდტმა ბლუეხნერს მიუძღვნა, 1951 წელს გამოქვეყნდა. ამავე წელს მან მიიღო ამერიკის მოქალაქეობა და ამ დროიდან მოყოლებული თავს ამერიკელად მიიჩნევდა. რეცენზენტები არენდტის წიგნს უწოდებნდნენ „ნაშრომს, რომელიც ერთდროულად ნაფიქრიც და განცდილიც იყო“.[2]

საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ არენდტმა პირველად 1943 წელს შეიტყო, მაგრამ ვერც მას და ვერც მის ქმარს ვერ დაეჯერებინათ „გვამების დამზადების“ შესახებ. მოგვიანებით იგი იტყვის, თავიდან ჩვენ ეს არ დავიჯერეთ, რადგან ეს ქმედება სამხედრო თვალსაზრისით არააუცილებელი და არასაჭირო იყოო.[3]

1944 წლიდან მოყოლებული მან დაიწყო ნაციონალ-სოციალიზმის დროს დაგროვებილი ისტორიული მასალის შესწავლა, რასაც იმ დროისათვის მკვლევრების უმრავლესობა, და უწინარესად ებრაელები, თავს არიდებდნენ ნაცისტების ცნობილი „საბოლოო გადაწყვეტის“ შემზარავი დეტალების გამო.

1949-1950 წლებში მან პირველად იმოგზაურა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და 1933 წლის შემდეგ პირველად მოინახულა თავისი მასწავლებლები და მეგობრები - მარტინ ჰაიდეგერი და კარლ იასპერსი.

1 Hannah Arendt, *Wir Flüchtlinge*, in: dies.: Zur Zeit. Politische Essays, hrsg. von Marie Luise Knott, München 1989, გვ. 8 და შემდგომი.

2 შდრ. E. H. Carr, „The Ultimate Denial,“ The New Yourk Times, March 25, 1951.

3 შდრ. Hannah Arendt, „'What Remains? The Language Remains': A Conversation with Gunther Gaus,“ trans. Joan Stambaugh, in Essays in Understanding, 1930-1954, ed. Jerome Kohn, New York: Harcourt Brace, 1994), გვ. 13-14.

1953-58 წლებში ლექციებს კითხულობდა პრინსტონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში, ასევე ბერკლიში და ნიუ-იორკის ბრუკლინის კოლეჯში. 1963-68 წლებში გახდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1968 წლიდან 1975 წლამდე ნიუ-იორკის სოციალური კვლევების ახალი სკოლის პროფესორი იყო.

1961-1962 წლებში მუშაობდა გაზეთ „ნიუიორკერის“ კორესპონდენტად, რომლისთვისაც იერუსალიმში მიმდინარე აიხმანის პროცესს აშუქებდა. სწორედ ამ პროცესზე დასწრებამ უბიძგა არენდტს, შეექმნა თავისი მეორე უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „აიხმანი იერუსალიმში: ბოროტების ბანალურობის დოკუმენტირება“.

ჰანა არენდტი 1975 წლის 4 დეკემბერს ნიუ-იორკში გარდაიცვალა.

2. რადიკალური ბოროტება და ბოროტების ბანალურობა: ისტორიული და ინტელექტუალური კონტექსტი

1961-1962 წლებში იერუსალიმში ნაცისტური პარტიის ელიტური გასამხედროებული ფორმაციის, SS-ის ობერშტურმბანფიურერის, ადოლფ აიხმანის პროცესი გაიმართა, რომელიც 275 საათს მიმდინარეობდა. ადოლფ აიხმანს 1940 წლიდან მოყოლებული ეჭირა აღნიშნული თანამდებობა და ჰოლოკოსტის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო. ისრაელის უშიშროების სამსახურმა იგი 1960 წელს არგენტინაში დააკავა. იერუსალიმში გამართული სასამართლო პროცესის შედეგად აიხმანს ჩამოხრჩობა მიესაჯა. სასამართლო პროცესზე ჰოლოკოსტის დანაშაულში ბრალდების საპასუხოდ მისი არგუმენტი იყო, რომ იგი მხოლოდ მოხელეს წარმოადგენდა, რომელიც ბრძანებას ემორჩილებოდა. აიხმანის ამგვარმა პასუხმა მისცა იმპულსი არენდტს, მორალის ფილოსოფიაში ახალი ეთიკური კატეგორია „ბოროტების ბანალურობა“ შემოეტანა, ხოლო ზოგადად ჰოლოკოსტის მოვლენებმა კი მას კანტის რადიკალური ბოროტების ცნების გადააზრებისკენ უბიძგა.

რადიკალური ბოროტების ცნება პირველად იმანუელ კანტმა გამოიყენა ნარკვევში რადიკალური ბოროტების შესახებ, რომელიც 1792 წელს ბერლინის ყოველთვიური გამოცემის (Berlinische Monatschrift) აპრილის ნომერში გამოქვეყნდა. მოგვიანებით ეს ტექსტი გახდა პირველი ნაწილი კანტის ნაშრომისა „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“.

კანტის თანახმად ადამიანში ბოროტება მოცემულია არა როგორც ჩანასახოვანი უნარი (Anlage), რომელიც ადამიანს მხოლოდ სიკეთისადმი აქვს, არამედ მხოლოდ როგორც მიდრეკილება. შესაბამისად, ბოროტებას არა აქვს იგივე რანგი, რაც სიკეთეს, მაგრამ მაინც ეკუთვნის ადამიანის, როგორც ასეთის, ბუნებას. ბოროტება, როგორც მიდრეკილება, ფუნქციონირებს ანთროპოლოგიურ კონსტანტად, ერთგვარ მუდმივობად და ამდენად არის კანტისთვის ადამიანის

ბუნებაში ფესვგადგმული „რადიკალური ბოროტება“ (სიტყვა რადიკალური მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან radix, რომელიც ფესვს აღნიშნავს). ადამიანის ბუნებაში ბოროტების ფესვგადგმულობა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, აცნობიერებს ამას თუ არა, ყოველ ადამიანს აქვს მიდრეკილება, მორალური კანონიდან, შესაბამისად, ზნეობრიობის მაქსიმიდან გადაუხვიოს – ანუ არ მოიქცეს ისე, რომ შეეძლოს ისურვოს, მისი მაქსიმა საყოველთაო კანონად იქცეს[4] და „გასაჭირში“ მორალური კანონი საკუთარი ინტერესების სამსხვერპლოზე მიიტანოს. საგულისხმოა, რომ კანტისთვის ბოროტება უბრალოდ საკუთარ ინტერესში კი არ მდგომარეობს, არამედ იმ აღმატებულ საკუთარ ინტერესში, რომელიც ცოდნას და ნებას ზნეობის კანონის წინააღმდეგ იყენებს.

ჰანა არენდტი რადიკალური ბოროტების ცნებას გამოიყენებს ჰოლოკოსტის, როგორც ისტორიული ხდომილების დასახასიათებლად და ამით კანტისეული რადიკალური ბოროტების ცნების ახლებურ ინტერპრეტაციას მოახდენს. რადიკალური ბოროტების გამოსავლენად საჭირო პირობებს იგი „ტოტალიტარიზმის საწყისებში“ ჩამოთვლის: „თავის მისწრაფებაში, დაამტკიცოს, რომ ყველაფერი შესაძლებელია, ტოტალიტარიზმი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ეს არც სურს, აღმოაჩენს, რომ რადიკალური ბოროტება მართლა შეიძლება არსებობდეს. როცა შეუძლებელი შესაძლებელი გახდა, აღმოჩნდა, რომ ის იდენტურია დაუსჯადი, უპატიებელი, რადიკალური ბოროტებისა, რომლის არც გაგება და არც ახსნა არ არის შესაძლებელი პირადი სარგებელის, სიხარბის, შურის, ძალაუფლების წყურვილის, შურისძიების, სიმხდალის მოტივებით.“[5] ამდენად, არენდტისთვის ტოტალიტარიზმის პირობებში გამოვლენილი რადიკალური ბოროტება აღარაა ის, რომელიც კანტის მსგავსად მხოლოდ პირადი ინტერესის მორალურ კანონზე მაღლა დაყენებად შეიძლება იქნას გაგებული, არამედ ბოროტების ისეთი უკიდურესი სავსეობის მოცემულობაა, რომლის ასახსნელადაც ყველანაირი პირადი ინტერესის დაშვება უძლურია. არენდტი რადიკალური ბოროტების ცნებას ვრცელ განაზრებებს უთმობს ტოტალიტარიზმზე ნაშრომამდეც და შემდეგაც. მის დღიურში (Denktagebuch) ჯერ კიდევ 1950 წლის ივნისითაა დათარიღებული შემდეგი ჩანაწერი: „რადიკალური ბოროტება არის ის, რაც არ უნდა მომხდარიყო ანუ ის, რასაც შეუძლებელია შეურიგდე, რაც არანაირად არ შეიძლება მივიღოთ როგორც განგების ნება, და ის, რასაც არ გვაქვს უფლება, მდუმარედ გვერდი ავუაროთ. ეს არის ის, რისთვისაც პასუხისმგებლობის აღება არ შეგვიძლია, რადგან მისი შედეგები გამოუთვლადია და რადგან ამ შედეგების გათვალისწინებით არ არსებობს სასჯელი, რომელიც ადეკვატური იქნებოდა.“[6] არენდტისთვის რა-

4 შდრ. ი. კანტი, „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“, ლამარა რამიშვილის თარგმანი, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2013, გვ. 151: „ამგვარად, კატეგორიული იმპერატივი ერთადერთია, სახელდობრ, შემდეგი: მოიქეცი მხოლოდ იმ მაქსიმის მიხედვით, რომლის მეშვეობითაც შენ იმავდროულად შეგიძლია გსურდეს, რომ იგი საყოველთაო კანონად იქცეს.“

5 Hanna Arendt, The Origins of Totalitarianism, New York: Shocken Books 2004, გვ. 591.

6 შდრ. Hannah Arendt, Denktagebuch 1950-1973, 1. Band, München: Pieper 2016, გვ. 7.

დიკალური ბოროტების შედეგები გამოუთვლადია, რადგან გამოუთვლადია ის ზიანი, რაც ბოროტების უკიდურესი სავსეობის გამოვლინებამ შეიძლება მოიტანოს – ადამიანების მასობრივი განადგურება მხოლოდ მათი რასობრივი ან კლასობრივი მიკუთვნებულობის გამო, რაც ნაცისტებმა და ბოლშევიკებმა გააკეთეს. მისი შედეგების მასშტაბურობის გამო რადიკალური ბოროტება სცილდება იმას, რასაც ჩვეულებრივ, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ქვეშ, და შესაბამისად, როგორც დასჯადს მოვიაზრებთ – რადიკალური ბოროტების შემზარაობა გაგვაცნობიერებინებს, რომ მისთვის არანაირი პოლიტიკური, ისტორიული და მორალური ადამიანური მასშტაბები აღარ არსებობს.

1951 წლის მარტში კარლ იასპერსისთვის მიწერილ წერილში არენდტი კვლავ ცდილობს, განსაზღვროს რადიკალური ბოროტება და ამ განსაზღვრებაში ტოტალიტარიზმის პირობებში გამოვლენილი რადიკალური ბოროტების ძალიან სპეციფიკურ ასპექტს წამოსწევს წინ, კერძოდ პოლიტიკური სისტემის მიერ ადამიანის, როგორც ადამიანის, ზედმეტად გადაქცევას (ნაციონალ-სოციალიზმში – ებრაელების, სტალინიზმში – ბურჟუაზიისა და კულაკების): „მე მგონია, რომ რადიკალურ ბოროტებას რაღაცნაირად შემდეგ ფენომენებთან უნდა ჰქონდეს საქმე: ადამიანის, როგორც ადამიანის ზედმეტად ქცევა (Die Überflüssigmachung). მათი საშუალებად გამოყენება კი არა, რაც მათ ადამიანად ყოფნას ხელშეუხებლად დატოვებდა და მხოლოდ მათ ადამიანურ ღირსებას დააზიანებდა, არამედ მათი, როგორც ადამიანების (*qua* Menschen) ზედმეტად ქცევა.“[7] არენდტის მოცემულ ციტატაში მინიშნებაა კანტისეული კატეგორიული იმპერატივის ე.წ. კაცობრიობის მიზნის ფორმულაზე: „მოიქეცი ისე, რომ ადამიანობა როგორც შენი, ისე ყოველი სხვა პიროვნების სახით, შენთვის მუდამ იყოს მიზანიც და არასოდეს – მხოლოდ საშუალება.“[8] ამდენად კანტისგან მომავალი რადიკალური ბოროტების ცნება არენდტთან შემდეგ მნიშვნელობას იღებს: რადიკალური ბოროტება მეტია, ვიდრე მორალური კანონის უგულებელყოფა, რომელიც ადამიანს მხოლოდ ღირსების მქონეთა სივრციდან გამორიცხავდა; იგი ის მოცემულობაა, როცა ადამიანის ადამიანთა სივრციდან გამორიცხვას, მათ ზედმეტად გამოცხადებას, და ამ გამოცხადების თანმდევს – განადგურებას – აქვს ადგილი. ცხადია, ასეთ დამოკიდებულებას, ადამიანთა ჯგუფების ზედმეტად ქცევას, წინ უძღვის მათი ადამიანური ღირსების დაზიანებაც. რადიკალური ბოროტების, როგორც ადამიანის ზედმეტად გადაქცევის, შესახებ თავის მოსაზრებებს ჰანა არენდტი „ტოტალიტარიზმის საწყისებში“ განავრცობს.

მოცემულობა, როცა ტოტალიტარიზმი, როგორც რადიკალური ბოროტება, უკვე შემდგარია, როცა ადამიანების ზედმეტად ქცევა ყოველდღიურობის ნაწი-

7 Hannah Arendt, Brief an Karl Jaspers vom 4. März 1951. In: Arent/Haspers: Briefwechsel 1926-1969, München 1993, გვ. 202.

8 ი. კანტი,ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, ლამარა რამიშვილის თარგმანი, თბილისი გამომცემლობა Carpe diem 2013, გვ. 183; აღსანიშნავია, რომ ორიგინალში კანტი იყენებს სიტყვას Menschheit, რაც, ჩვეულებრივ, ქართულად კაცობრიობად ითარგმნება.

ლია, ეს ბოროტებას, როგორც ფაქტობრიობას, ბანალურს ხდის, სულ მცირე, მისი ჩამდენის პერსპექტივიდან.

აიხმანის პროცესისადმი მიძღვნილი წიგნის დასაწყისში ჰანა არენდტი ცნობილ სიტყვებს დაწერს: „ამ უკანასკნელ წუთებში ისე ჩანდა, თითქოს აიხმანმა თავად გამოიტანა დასკვნა ადამიანური სიმდაბლის შესახებ გრძელი ლექციიდან, ... დასკვნა, 'ბოროტების შემზარავი ბანალურობის' შესახებ, რომლის წინაშეც სიტყვა და აზრი უძლურია."[9]

არენდტის „ბოროტების ბანალურობის" ცნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვება. მას აკრიტიკებდნენ, რომ ადამიანთა მასობრივი განადგურება ბანალურობის ცნებით არ შეიძლებოდა აღწერილიყო. წერდნენ, რომ მან აიხმანის სახით იდეოლოგიისგან თავისუფალი, გამრჯე ბიუროკრატი დახატა, ისე, რომ მისი ანტისემიტური მსოფლმხედველობა სრულიად უგულებელყო.

თუმცა კრიტიკოსებს მხედველობიდან რჩებოდათ, რომ აღნიშნულ ტექსტში არენდტი დანაშაულისა და ბრალეულობის ერთ-ერთ სიღრმისეულ ასპექტს შეეხო: მსხვერპლის პასუხისმგებლობას. აიხმანი ებრაელებისგან თანამშრომლობას ითხოვდა და ამას „მართლაც რომ გასაოცარი ოდენობით" იღებდა. თავად ებრაელებს განსაკუთრებით ყურს სჭრიდათ არენდტის დასკვნა: „ებრალების უხუცესთა საბჭოს როლი მათი საკუთარი ხალხის განადგურებაში ებრაელებისთვის სრულიად ბნელი ისტორიის ყველაზე ბნელი თავია."[10] თანამედროვეებისთვის, რომლებსაც არენდტის მიერ განხილული ისტორიული ხდომილებებიდან დიდი დრო არ აშორებდათ, ძნელად გასაგები იყო მის მიერ ხაზგასმული მორალურ-ფილოსოფიური მხარე მსხვერპლისა და ჯალათის მიმართებისა: არა მხოლოდ ჯალათს, არამედ მსხვერპლსაც, მხოლოდ იმის გამო, რომ მსხვერპლია, არ აქვს მორალური გამართლება ძნელბედობის ჟამს გამოჩენილი მორალური სისუსტის გამო; საპირისპირო მსჯელობას მორალურ რელატივიზმამდე მივყავართ, რომელიც მსხვერპლს თავის გადასარჩენად ჩადენილ ყველანაირ მორალურ სისუსტეს (სხვის დასმენას, რეჟიმთან თანამშრომლობას) მხოლოდ მსხვერპლად ყოფნის გამო, უპირობოდ პატიობს.

ნაცისტების და ბოლშევიკების რეჟიმები, ფაქტობრივად, ღირებულებათა ახალი კანონის მაუწყებელი გახდა, რომელიც მათ მიერ შემოტანილ კანონმდებლობაშიც აისახა. ღირებულებათა ამ ახალი კანონის გასაზიარებლად არ იყო აუცილებელი გულმხურვალე ნაცისტად ან ბოლშევიკად ყოფნა, არამედ საკმარისი იყო მხოლოდ „მისადაგება": 1965 წელს ნიუ-იორკის ახალი სოციალური კვლევის სკოლაში წაკითხულ ლექციებში „ბოროტების შესახებ" არენდტი იტყვის: „ნაცისტების დანაშაულის საყოველთაო მორალური დაგმობისას თითქმის ყოველთვის ხდება იმის უგულებელყოფა, რომ ის, რაც მორალური თვალსაზრისით მართლაც დისკუსიის საგანი უნდა იყოს, ნაცისტების ქცევაში კი არა, არამედ იმათ ქცევაში გამოვლინდა, ვინც გარემოებებს უბრალოდ 'მიესადაგნენ' და

9 Hannah Arendt, Eichmann in Jerusalem, Ein Bericht von der Banalität des Bösen, München: Pieper 1986, გვ. 271.

10 Hannah Arendt, Eichmann in Jerusalem, გვ. 209.

თავიანთი რწმენიდან გამომდინარე არ მოქმედებდნენ.“[11] არენდტი მორალურად დამაბნეველს უწოდებს „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ ცნებას, რომლითაც ხდება ხოლმე, როგორც წესი, „რეჟიმისადმი მისადაგებულ ინდივიდთა“ პირადი პასუხისმგებლობის წილის უგულებელყოფა. მისი აზრით, მორალურად დამაბნეველია ყველა ისეთი მსჯელობა, რომელიც უგულებელყოფს, რომ ადამიანი თავისუფალი, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელი არსებაა.

3. ტოტალიტარიზმის საწყისები

„ტოტალიტარიზმის საწყისები“ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1951 წელს, ხოლო გერმანიაში კი 1955 წელს გამოიცა. თავისი ნაშრომი არენდტმა ტოტალიტარიზმის ირგვლივ ააგო და მასში, როგორც სტალინიზმის, ასევე ნაციზმის ანალიზი მოგვცა. ნაშრომის სათაურს თავადვე შემდეგნაირად განმარტავდა: წიგნის მიზანია, იმ ელემენტების ისტორიული თხრობა, რომლებიც ტოტალიტარიზმად კრისტალიზირდაო.

წიგნი დაყოფილია სამ ნაწილად: პირველი, ანტისემიტიზმი, ეხება ანტისემიტიზმის განვითარებას მე-18-19 საუკუნეებში, მეორე ნაწილი – იმპერიალიზმი, მიმოიხილავს რასიზმისა და იმპერიალიზმის გავრცელებასა და ფორმებს მე-19 საუკუნესა და ადრეულ მე-20 საუკუნეში, ხოლო მესამე ნაწილი – ტოტალიტარიზმი, აღწერს ტოტალიტარიზმის ორ ფორმას – ნაციონალ-სოციალიზმს გერმანიაში და სტალინიზმის პერიოდს საბჭოთა კავშირში.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ტოტალიტარიზმს არენდტი ნაციზმთან შედარებით სუსტად იცნობდა, მან ეს დისბალანსი იმით შეავსო, რომ ორივე რეჟიმის შესახებ დისკუსია გააერთიანა. არენდტი თვლიდა, რომ მნიშვნელოვანი იყო, შეცვლილიყო გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ნაციზმი თითქოს მთლიანად მხოლოდ გერმანიის მდგომარეობისა და ჰიტლერის ფანატიზმის წარმატებული ნაზავიდან მომდინარეობდა. 1945 წელს გამოქვეყნებულ ესეში იგი წერდა: „რეალობა ისაა, რომ ‘ნაცისტები იყვნენ ჩვენი მსგავსი ადამიანები’, კოშმარია, რომ მათ ეჭვგარეშე აჩვენეს და დაამტკიცეს, თუ რა ძალუძს ადამიანს.“[12]

არენდტი ჩქარობდა თავისი წიგნის გამოქვეყნებას: მაშინ, როდესაც ნაციონალ-სოციალიზმი უკვე განადგურებული იყო, რკინის ფარდის მიღმა სტალინი ჯერ კიდევ აგრძელებდა თავის შემზარავ საქმეებს, ხოლო კომუნისტების მიერ ორგანიზებული საბჭოთა სტილის რევოლუციები (1946 წელს ჩინეთში, 1953 წელს კუბაში, 1948 წელს საბჭოთა კავშირთან ალიანსში მყოფი კორეის დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკის დაარსება) ტოტალიტარიზმის სივრცის გაფართოებისკენ გამიზნული მოჩანდა.

11 Arendt, Über das Böse. Eine Vorlesung zu Fragen der Ethik, München: Pieper 2008, გვ. 16.

12 Hannah Arendt, „Nightmare and Flight“, Essays in Understanding, ed. by Jerome Kohn, New York: Schocken Books 1994, გვ. 134.

ა. ანტისემიტიზმის კრიტიკა

არენდტი „ტოტალტარიზმის საწყისებს“ ფრანგი ებრაელი ოფიცერის ალფრედ დრეიფუსის საქმით იწყებს, რომელსაც საფრანგეთის მთავრობამ 1894 წელს ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდო ბრალი. დრეიფუსის საქმეს არენდტი ნაცისტების ცნობილი „საბოლოო გადაწყვეტის“ მოსამზადებელ „კოსტიუმირებულ წარმოდგენას“ უწოდებს, რადგან ხელისუფლებაში მოსასვლელად ნაციონალ-სოციალისტებმა თავიანთი იდეოლოგიური პროპაგანდა ებრალების მსოფლიო შემთქმულების ფიქციაზე ააგეს. ებრაელების შესახებ იგი სარკასტულად შენიშნავს, რომ ცნობილი ჰამლეტისეული კითხვა ყოფნა-არ ყოფნის შესახებ მათთვის მიკუთვნებულობა-არმიკუთვნებულობის შესახებ კითხვად გარდაიქმნა,[13] რაშიც უწინარესად ჯერ ნაციისადმი მიკუთვნებულობა, ხოლო ნაციონალ-სოციალიზმის პირობებში კი – არიული რასისადმი მიკუთვნებულობის საკითხი იგულისხმებოდა. არენდტისეული თვალსაზრისით, ებრაელებისადმი მანამდე არსებული შემწყნარებლობა დამყარებული იყო იმაზე, რომ ევროპულ ნაციებს ისინი სჭირდებოდათ. ეს მოცემულობა ეკონომიკის მოდერნიზებასთან ერთად შეიცვალა და ებრაელებმაც ევროპული ერი-სახელმწიფოებისთვის მნიშვნელობა დაკარგეს. ებრაელთა მიმართ არსებობდა მოლოდინი, რომ ისინი დარჩებოდნენ მაღალი საზოგადოებრივი ფენების მიღმა და პარტიული პოლიტიკისადმი გულგრილნი, უარს იტყოდნენ კაპიტალით ვაჭრობის ტრადიციაზე და ჩაერთვებოდნენ ინდუსტრიულ მეწარმეობაში. არენდტის თქმით, ამ ყველაფერმა ერთად აღებულმა თითქმის წერტილი დაუსვა ებრაელების, როგორც ჯგუფის, სახელმწიფოსთვის გამოსადეგობას: „ებრაელი ხალხის ისტორიაში ყველაზე ავბედითი ფაქტი ისაა, მხოლოდ მათმა მტრებმა გაიგეს – და თითქმის ვერასდროს მათმა მეგობრებმა – რომ ებრაელების საკითხი პოლიტიკური საკითხი იყო.“[14] მაშინ, როდესაც ადამიანები რეალურ ძალაუფლებას მისდევენ, ისინი ვერ იტანენ „ფინანსურ კეთილდღეობას ძალაუფლების გარეშე,“ როგორც „პარაზიტულს, უსარგებლოს, ზიზღისმომგვრელს.“[15] არენდტი აკრიტიკებდა ევროპელი ებრაელობის მიერ „პოლიტიკურ გაუთვითცნობიერებლობასაც,“[16] რის გამოც მას, თავის მხრივ, ებრაელები აკრიტიკებდნენ.

ბ. იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის კრიტიკა

არენდტი ერთმანეთისაგან განასხვავებს მეცხრამეტე საუკუნის იმპერიალიზმს აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში, ასევე იმას, რასაც იგი „კონტინენტურ იმპერიალიზმს“ უწოდებს, კერძოდ კი პანსლავურ და პანგერმანიკულ მოძრაობებს თავად ევროპაში. ევროპის შიგნით იმპერიალისტური მოძრაობების შემთხვევაში, ნაციონალური ჯგუფები ისწრაფოდნენ, რომ „სახელმწიფო ნაციას

13 Hannah Arendt, The Origins of Totalitarianism, გვ. 112.
14 Hannah Arendt, The Origins გვ. 77.
15 Hannah Arendt, The Origins, გვ. 13.
16 Hannah Arentd, The Origins, გვ. 74.

ჩაეგდო ხელში.“[17] არენდტისეული შეფასებით, ნაციონალიზმი, განვრცობილი ანტისემიტიზმით, გახდა „მყარი დუღაბი“, რომელმაც ინდუსტრიული ეპოქის გამო ატომიზებული ევროპული მოსახლეობა ერთად შეაკავშირა. [18] ევროპულ დაპყრობით პოლიტიკას ახასიათებდა ახლადპოპულარიზებული რასობრივი თეორიის გავრცელებაც.[19] როგორც არენდტი დაწერს, „იმპერიალიზმს დასჭირდებოდა გამოეგონებინა რასიზმი, როგორც ერთადერთი შესაძლო ‘ახსნა’ და ბოდიში მის მიერ მოტანილი ადამიანური მსხვერპლისა მაშინაც კი, რასობრივ აზროვნებას საერთოდ რომ არ ეარსება.“[20] მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობის შესახებ განმანთლებლობის შემდგომი ეპოქის საუბრები დროების განმსაზღვრელად რჩებოდა, კაცობრიობა განიხილებოდა მაღალ და დაბალ რასებად დაყოფილად. „დაბალი“ რასები მიიჩნეოდა სპეციფიკურად ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებების (მათ შორის აზროვნების სათანადო უნარის) არმქონედ. შესაბამისად, როდესაც თეთრკანიანი ადამიანი მათ ხოცავდა, „გარკვეულწილად არც აცნობიერებდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა.“[21]

გ. ტოტალიტარიზმის კრიტიკა

„ტოტალიტარიზმის საწყისების“ კულმინაციაა წიგნის მესამე ნაწილი, რომელშიც არენდტი უშუალოდ ტოტალიტარიზმს განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ თავად ტოტალიტარიზმის ცნების განსაზღვრებას პირდაპირი ფორმით არ ახდენს, არენდტის მიზანია, ტიპობრივად განასხვავოს ტოტალიტარული სახელმწიფო ერთპარტიული დიქტატურისაგან თუ დესპოტური მმართველობისაგან. ნაციონალ-სოციალიზმისა და სტალინიზმის შემთხვევაში, არენდტის მიხედვით, საქმე ეხება „ერთი და იმავე მოდელის ვარიაციებს“. თავის ნაშრომში არენდტი სწორედ იმ ტექნიკებსა და მეთოდებს აანალიზებს, რომლითაც ტოტალიტარული მოძრაობები ჯერ კიდევ ძალაუფლებაში მოსვლამდელ საფეხურზე, ხოლო მოგვიანებით უკვე ხელისუფლების ხელში ჩაგების შემდეგ ახდენენ მასების მონუსხვას და მათ დარაზმვას იდეოლოგიური დოქტრინის გარშემო.

ტოტალიტარული მოძრაობები ცვლიან საზოგადოების მიერ რეალობის აღქმას და ეს ჯერ პროპაგანდის, ხოლო ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, იდეოლოგიური ინდოქტრინაციის გზით ხორციელდება. ტოტალიტარული მოძრაობების მიერ პროპაგანდის გამოყენების მიზეზად არენდტი იმას ასახელებს, რომ პროპაგანდა ყოველთვის სამყაროს არატოტალიტარულ ნაწილს მიემართება. არენდტისეული განსაზღვრებით, „პროპაგანდასა და ინდოქტრინაციას შორის მიმართება დამოკიდებულია ერთი მხრივ, მოძრაობის სიდიდეზე, ხოლო მეორე მხრივ, გარე წნეხზე. რაც უფრო მცირე მასშტაბისაა მოძრაობა, მით უფრო მეტ

17 Hannah Arent, The Origins, გვ. 296.
18 Hannah Arent, The Origins, გვ. 298.
19 Hannah Arent, The Origins, გვ. 171, 173.
20 Hannah Arent, The Origins, გვ. 241.
21 Hannah Arent, The Origins, გვ. 251.

ენერგიას დახარჯავს ის სუფთა პროპაგანდაში.“[22] არენდტი ყურადღებას ამახვილებს, რომ ტოტალიტარული პროპაგანდა აუცილებლად „მეცნიერულობის“ ფორმითაა მოწოდებული – იქნება ეს „ბუნების კანონები“ ნაციონალ-სოციალიზმის შემთხვევაში, თუ „ისტორიის კანონები“ კომუნიზმის შემთხვევაში,[23] ერთგვარი მეცნიერული წინასწარმეტყველების ხაზგასმით. მეცნიერული წინასწარმეტყველების ფორმა განაპირობებს იმასაც, რომ ლიდერი შეუმცდარია, ყოველთვის მართალია, რადგან მისი ნათქვამის, რომელიც მომავალზეა მიმართული, ფაქტობრივი გადამოწმების საშუალება არ არსებობს. შეუმცდარობასთან ერთად ტოტალიტარული ლიდერის ასევე აუცილებელი ნიშანია ის, რომ იგი თავის გარშემო იდუმალების ატმოსფეროს ქმნის.

ატომიზებული მასებისთვის, რომლებიც „სულიერი და სოციალური უსახლკარობის“ მდგომარეობაში იმყოფებიან, ტოტალიტარული მოძრაობა რეალობას ფიქციით ანაცვლებს, ხოლო სამყაროში არსებულ შემთხვევითობას – გამონაგონი სამყაროს სტაბილურობით.

სხვა პარტიებისა და მოძრაობების პროპაგანდასთან შედარებით ტოტალიტარული მოძრაობის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სულ მცირე, მოძრაობის წევრებისთვის მისი შინაარსი აღარ არის ობიექტური საკითხი, რომელზეც შესაძლებელია საკუთარი აზრის ქონა, არამედ მათი ცხოვრების რეალური ელემენტი და ჭეშმარიტებაა. მოძრაობის წევრისთვის ფიქციური სამყაროს რეალურობა მაშინ დასტურდება, როდესაც წევრს მოძრაობის დატოვების უფრო მეტად ეშინია, ვიდრე არაკანონიერ, ბრუტალურ ქმედებაში საკუთარი თანამონაწილეობის შედეგისა.[24]

მაშინ, როდესაც ტოტალიტარული იდეოლოგიის შინაარსსა და პროპაგანდისტულ სლოგანებში არაფერია ახალი, რაც მანამდე სხვადასხვა დოქტრინებს (პოზიტივიზმს, ბიჰევიორიზმს, დარვინიზმს, პრაგმატიზმს, იდეალიზმს) და მოძრაობებს არ გაუჟღერებიათ, ტოტალიტარული ორგანიზაციის ფორმა სრულიად ახალია. მისი თვალშისაცემი ორგანიზაციული მეთოდია ხელისუფლებაში მოსვლამდელ საფეხურზე ე. წ. ფასადური ორგანიზაციების შექმნა, პარტიის წევრებსა და მხარდამჭერებს შორის განმასხვავებელი ხაზის გავლება. ტოტალიტარული ორგანიზაცია თავისი გავლენის გაფართოებას იმით აღწევს, რომ ფასადურ ორგანიზაციებში ე. წ. თანამგზავრებს (პოლიტიკურად ანგაჟირებულ ინტელექტუალებს და ხელოვანებს) უყრის თავს, ხოლო ჯერ კიდევ არამკაფიოდ მხარმდამჭერ მასებს, არა მხოლოდ ელექტორატად ან პარტიის მომავალი წევრების რეზერვუარად, არამედ პოლიტიკური პროცესის გადამწყვეტ ძალად განიხილავს.

ამ საკმაოდ რთული ორგანიზაციული სტრუქტურის დეტალური მიმოხილვით არენდტი ნაცისტური და ბოლშევიკური ელიტური ფორმაციების სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე აჩვენებს, რომ მიუხედავად, ერთი შეხედვით, თითქოს- და იდეოლოგიური სხვაობისა, ტოტალიტარიზმის ამ ორ ფორმას არა მხოლოდ

22 Hannah Arendt, The Origins of Totalitarianism, გვ. 453.

23 Hannah Arendt, The Origins, გვ. 460.

24 Hannah Arendt, The Origins of Totalitarianism, გვ. 490.

ერთნაირი მიზანი – მსოფლიოს დაპყრობა – არამედ ასევე ერთნაირი მეთოდები ამოძრავებდა.

ნაციონალ-სოციალისტების საკონცენტრაციო ბანაკებში განადგურებულთა რიცხვი დადგენადია. არენდტის წყაროები არ იყო საკმარისი სტალინიზმის მსხვერპლის ზუსტი რიცხვის განსასაზღვრად. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საბჭოთა კავშირი უკვე დანგრეულია, ბოლშევიზმის მსხვერპლის ჯამური რაოდენობა კვლავაც ბუდნოვანი რჩება. თუმცა, შესაძლებელია მოინიშნოს წერტილები, რომლებიც, სულ მცირე, მასობრივი განადგურების პერიოდების დროში ლოკალიზების საშუალებას იძლევა: კულაკების ლიკვიდაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისას ადამიანური დანაკარგი, მოსკოვის პროცესები და დიდი ტერორი, მთელი ერების და ეთნიკური ჯგუფების (მათ შორის საქართველოდან ეთნიკური გერმანელების და ე. წ. თურქ-მესხების) გადასახლებები თუ განადგურება. საკონცენტრაციო ბანაკები და გულაგები ყოველთვის ნორმალური სადამსჯელო სისტემის მიღმაა. იქ ადამიანის არსი დაყვანილია „ებრაელზე", „ბაცილის მატარებლზე", „მომაკვდავი კლასის წარმომადგენელზე".

არენდტს ესმოდა, რომ მოკვლაზე ნაკლებ არსებითი არაა მოკვლის სურვილი, რომელმაც მცნება „არა კაც კლა" შეიძლება მარტივად გადააქციოს „კაც კლად".[25] თავის ანალიზში ის აჩვენებს, რომ ტოტალიტარული რეჟიმები ერთ დღეში არ ჩნდებიან: ერთი მხრივ, მომავალი დამნაშავე თანდათანობით უნდა იქნას მოტივირებული იმისკენ, რომ მან გაუგონარი ქმედებები არა მხოლოდ მოაზრებადად, არამედ ასევე აუცილებლად მიიჩნიოს, ხოლო მზარდმა მასობრივმა მკვლელობებმა მოქალაქეები იმაში უნდა დაარწმუნოს, რომ ისინი იმგვარი საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, რაზეც ვეღარანაირ გავლენას ვეღარ მოახდენენ. მეორე მხრივ, კი მკვლელობის სამიზნე ობიექტებსა და გასანადგურებელ ჯგუფებს მიკუთვნებულები ნელ-ნელა უნდა ჩამოშორდნენ უფლებრივ, სამართლებრივ, ნაციონალურ და მორალურ სფეროს. ტოტალიტარიზმის საწყისებში არენდტი აჩვენებს, თუ ტოტალიტარულმა რეჟიმებმა როგორ თანდათანობით უთხრეს უარი ადამიანებს მათ სამართლებრივ უფლებაზე, ჰქონოდათ უფლებები, ან ყოფილიყვნენ სახელმწიფოსგან დაცულები; აიძულეს ყოფილიყვნენ ადამიანზე ქვემდგომ მდგომარეობაში ისე, რომ მათ თავადაც დაიწყეს ერთმანეთისადმი ადამიანური სოლიდარობის უნარის დაკარგვა, რაც ურთიერთდასმენაში გამოიხატებოდა; გააცამტვერეს საკუთარი ინდივიდუალობა, ისე, რომ მათგან აღარაფერი დარჩა, გარდა „ადამიანის სახის მქონე მარიონეტებისა".[26] ასეთი თანმიმდევრული პროცესის შედეგად „უუფლებონი" აღარ განიხილებიან ადამიანთა გვარის ნაწილად, არამედ ადამიანზე დაბლა მდგომად, ერთგვარ ქვეადამიანებად.

25 Hannah Arendt, Eichmann in Jerusalem: A Report on the Banality of Evil, New York: Penguin, 1994, გვ. 150.

26 Hannah Arent, The Origins, გვ. 586.

5. გავლენა და კრიტიკა

ტოტალიტარიზმის არენდტისეული ანალიზი არა მარტო წარსული ტოტალიტარული რეჟიმების, არამედ თანამედროვე პოლიტიკური მმართველობების შესაფასებელი ლაკმუსის ქაღალდია. ჯერ კიდევ 1948 წელს გამოქვეყნებულ ესეში, „საკონცენტრაციო ბანაკები“, იგი ხაზს უსვამდა წარსულის შემზარავი გამოცდილების ცოდნისა და გააზრების მნიშვნელობას აწმყოსთვის: „ტოტალიტარული მმართველობის ბუნების ცოდნას, რომელიც ეფუძნება საკონცენტრაციო ბანაკების შემზარაობას, შემოაქვს ყველაზე არსებითი კრიტერიუმი, რომლითაც ჩვენი თანამედროვე მოვლენები შეგვიძლია შევაფასოთ: მიგვიყვანენ თუ არა ისინი ტოტალიტარულ მმართველობამდე?“[27]

„ტოტალიტარიზმის საწყისებში“ ჰიტლერისა და სტალინის ერთ კატეგორიაში დაჯგუფებით არენდტმა მკითხველს ნაციონალ-სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის არსებული სიღრმისეული მსგავსება აჩვენა. მისმა ამგვარმა პერსპექტივამ ანტიკომუნისტ მემარჯვენეებში ის აზრი გააღვივა, რომ ცივი ომის პირობებში საბჭოთა კავშირის მიმართ უფრო დაუნდობელი მეთოდები უნდა გამოეყენებინათ, ხოლო ბევრი მემარცხენე იმაზე ბრაზობდა, რომ არენდტმა გამორიცხა ჰუმანური მარქსისტული რევოლუციის შესაძლებლობა.

ებრაელებს შორის კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა არენტის ნაშრომს „აიხმანი იერუსალიმში“, რადგან ჩათვალეს, რომ არენდტს ამით დანაშაულის სიმძიმე არასწორ მხარეს გადაჰქონდა. თანამედროვეებს ბოლომდე წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ არენდტის მიერ მორალის ფილოსოფიაში გაჟღერებული მოსაზრებისადმი, რომ მსხვერპლის მხოლოდ მსხვერპლად ყოფნა არასაკმარისია ჩადენილზე პასუხისმგებლობისაგან მის გასათავისუფლებლად.

ეთნიკური კონფლიქტების, გენოციდის, ადამიანის უფლებების, ერების თვითგამორკვევისა და ტერორიზმის საკითხებზე თანამედროვე დებატებში ჰანა არენდტის ნააზრევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული წყაროა, რომელიც გვაფრთხილებს, რომ „რადიკალური ბოროტება ყოველთვის მაშინ წარმოიქმნება, როცა რადიკალური სიკეთე სურთ.“[28]

27 Hannah Arendt, „The Concentration Camps,“ Partisan Review, July 1948, გვ. 747.
28 Hannah Arendt, Denktagebuch 1950-1973, 1. Band, გვ. 341.

ტოტალიტარული მოძრაობა

ტოტალიტარული პროპაგანდა

მხოლოდ ბრბო და ელიტა შეიძლება მოიხიბლოს ტოტალიტარიზმის, როგორც ასეთის, მომენტუმით; მასების გული პროპაგანდის გზით უნდა იქნას მოპოვებული. საკონსტიტუციო მმართველობისა და აზრის თავისუფლების პირობებში, ძალაუფლებისთვის მებრძოლმა ტოტალიტარულმა მოძრაობებმა ტერორი შეიძლება მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით გამოიყენონ და სხვა პარტიებთან გაიზიარონ მომხრეების მოპოვებისა და იმ აუდიტორიის წინაშე თავის დამაჯერებლად წარმოჩენის აუცილებლობა, რომელიც ჯერ კიდევ არაა ინფორმაციის ყველა სხვა წყაროსგან სრულიად იზოლირებული.

დიდი ხანია აღიარებულია და ხშირად უმტკიცებიათ, რომ ტოტალიტარულ ქვეყნებში პროპაგანდა და ტერორი ერთი და იგივე მედლის ორ მხარეს წარმოადგენს.[1] თუმცაღა, ეს მხოლოდ ნაწილობრივაა ჭეშმარიტი. სადაც კი ტოტალიტარიზმს აბსოლუტური კონტროლი აქვს, ის ანაცვლებს პროპაგანდას ინდოქტრინაციით და ძალადობას არა იმდენად ხალხის დასაშინებლად იყენებს (ეს ხდება მხოლოდ საწყის ეტაპზე, როცა პოლიტიკური ოპოზიცია ჯერ კიდევ არსებობს), არამედ მისი იდეოლოგიური დოქტრინისა და პრაქტიკული ტყუილეების მუდმივი რეალიზებისათვის. ტოტალიტარიზმს არ დააკმაყოფილებს იმის მტკიცება, რომ უმუშევრობა არ არსებობს, მაშინ როცა ფაქტები საპირისპიროზე

---

1 იხ. მაგალითად ე. კონ-ბრამშტედტი, *დიქტატურა და პოლიტიკური პოლიცია: შიშით კონტროლის ტექნიკები*, ლონდონი, 1945, გვ. 164 და შემდგომი. განმარტება გვეუბნება, რომ „ტერორი პროპაგანდის გარეშე დაკარგავდა თავისი ფსიქოლოგიური ეფექტის დიდ წილს, მაშინ, როცა პროპაგანდას ტერორის გარეშე არ აქვს თავისი სრული ძალა“ (გვ. 175). ის, რაც თვალთახედვიდანაა გამორჩენილი ამ და სხვა მსგავს დებულებებში, რომლებიც მეტწილად წრეზე ტრიალებს, არის ის ფაქტი, რომ არა მხოლოდ პოლიტიკური პროპაგანდა, არამედ მთელი მოდერნული მასობრივი რეკლამა შეიცავს მუქარის ელემენტს; რომ ტერორი, მეორე მხრივ, შეიძლება სრულიად ეფექტური იყოს პროპაგანდის გარეშე, თუკი საქმე მხოლოდ ტირანიის კონვენციურ პოლიტიკურ ტერორს ეხება. მხოლოდ მაშინ, როდესაც ტერორი გამიზნულია, მოახდინოს იძულება არა მხოლოდ გარედან, არამედ ასე ვთქვათ, შიგნიდან, როდესაც პოლიტიკურ რეჟიმს სურს უფრო მეტი, ვიდრე ძალაუფლება, ტერორს ესაჭიროება პროპაგანდა. ამ გაგებით შეეძლო ნაცისტ თეორეტიკოსს ოიგენ ჰადამოვსკის თავის 1933 წელს გამოცემულ წიგნში „პროპაგანდა და ნაციონალური ძალა“ განეცხადებინა: „პროპაგანდა და ძალადობა არასდროსაა ურთიერთწინააღმდეგობრივი. ძალადობის გამოყენება შეიძლება პროპაგანდის ნაწილი იყოს“ (გვ. 22).

მეტყველებს; ის გააუქმებს უმუშევრობის შემწეობას, როგორც მისი პროპაგანდის ნაწილს.[2] ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უმუშევრობის აღიარებაზე უარის თქმა, მართალია, უფრო მოულოდნელი გზით, მაგრამ ძველი სოციალისტური დოქტრინის რეალიზებას ახდენდა: ვინც არ მუშაობს, ის არ უნდა ჭამდეს. ან, სხვა მაგალითი რომ ავიღოთ, როცა სტალინმა გადაწყვიტა რუსეთის რევოლუციის ისტორიის გადაწერა, მისეული ახალი ვერსიის პროპაგანდა ძველ წიგნებსა და დოკუმენტებთან ერთად მათი ავტორებისა და მკითხველების განადგურებაში მდგომარეობდა: 1938 წელს კომუნისტური პარტიის ახალი ოფიციალური ისტორიის გამოქვეყნება იყო ნიშანი იმისა, რომ დიდი პოლიტიკური წმენდა, რომელმაც საბჭოთა ინტელექტუალების მთელი თაობა გაანადგურა, დასრულდა. ამის მსგავსად, ნაცისტები აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავიდან ძირითადად ანტისემიტურ პროპაგანდას იყენებდნენ, რათა მოსახლეობაზე უფრო ძლიერი კონტროლი მოეპოვებინათ. მათ არც სჭირდებოდათ და არც გამოუყენებიათ ტერორი ამ პროპაგანდისთვის. როდესაც მათ პოლონური ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი გაანადგურეს, ეს არა მათი წინააღმდეგობის, არამედ საკუთარი დოქტრინის გამო გააკეთეს, რადგან ამ უკანასკნელის მიხედვით, პოლონელებს ინტელექტი არ აქვთ; როდესაც მათ ლურჯთვალება და ქერათმიანი ბავშვების მოტაცება დაგეგმეს, მათი განზრახვა არ ყოფილა მოსახლეობის დაშინება, არამედ „გერმანიკული სისხლის“ გადარჩენა.[3]

---

2 „ამ დროს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საბჭოთა რუსეთში უმუშევრობა ‚ლიკვიდირებული' იყო. ამ განცხადების შედეგი ის იყო, რომ უმუშევართა ყველანაირი დახმარებაც ასევე ‚ლიკვიდირდა'." (ანტონ კილიგა, *რუსული ენიგმა,* ლონდონი, 1940, გვ. 109).

3 ეგრეთ წოდებული „ოპერაცია თივა" (Operation Hay) დაიწყო ჰიმლერის მიერ 1942 წლის 16 თებერვლით დათარიღებული დადგენილებით, „პოლონეთში გერმანულ შემადგენლობასთან [ინდივიდებთან] დაკავშირებით," ჰპირდებოდა რა მათ, რომ მათი შვილები გაიგზავნებოდნენ ოჯახებში, „რომლებიც მზად იყვნენ უყოყმანოდ და სიყვარულით [მიეღოთ ისინი], მათში კარგი სისხლის გამო" (ნიურნბერგის დოკუმენტი R 135, ფოტოასლი ეკუთვნის ებრაული დოკუმენტაციის ცენტრს [Centre de Documentation Juive], პარიზი). როგორც ჩანს, 1944 წლის ივნისში მეცხრე არმიამ ფაქტობრივად მოიტაცა 40 000-დან 50 0000-მდე ბავშვი და შემდეგ გერმანიაში გადაიყვანა. ამ საკითხის ანგარიშში, რომელიც ბერლინში ვერმახტის გენერალურ შტაბს ბრანდერბურგის სახელით ცნობილმა კაცმა გაუგზავნა, მოხსენიებულია, რომ მსგავსი გეგმა უკრაინისთვისაცაა (დოკუმენტი PS 031, გამოქვეყნდა ლეონ პოლიაკოვის მიერ ნაშრომში *სიძულვილის ლოცვანი*, გვ. 317). თავად ჰიმლერმაც რამდენჯერმე მოიხსენია ეს გეგმა (იხ. *ნაცისტური კონსპირაცია და აგრესია,* (აშშ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი [United States Chief of Counsel for the Prosecution of Axis criminality], აშშ-ს მთავრობა, ვაშინგტონი, 1946, III, 640, რომელიც შეიცავს ჰიმლერის მიერ 1942 წლის მარტში კრაკოვში წარმოთქმული სიტყვის ამონარიდებს; იხ. ასევე 1943 წელს ბად შახენთან ჰიმლერის სიტყვით გამოსვლაზე კომენტარები კონბრამშტედტის ციტირებულ ნაშრომში, გვ. 244.) თუ როგორ ხდებოდა ამ ბავშვების შერჩევა, შეიძლება მოძიებულ იქნას 1942 წლის 10 აგვისტოს მინსკის მეორე სამედიცინო გამყოფილების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობებიდან: „1922 წლის

ვინაიდან ტოტალიტარული მოძრაოებები არსებობს სამყაროში, რომელიც თავისთავად არატოტალიტარულია, ისინი იძულებულნი არიან, მიმართონ იმას, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ პროპაგანდად განვიხილავთ. მაგრამ ასეთი პროპაგანდა ყოველთვის მიემართება მისთვის გარეგან სფეროს – იქნება ეს მოსახლეობის არატოტალიტარული შრე შინ, თუ არატოტალიტარული ქვეყნები საზღვარგარეთ. ეს გარეგანი სფერო, რომელსაც ტოტალიტარული პროპაგანდა მიემართება, შესაძლოა დიდად მრავალფეროვანი იყოს; თავად ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც კი ტოტალიტარული პროპაგანდის ძალა შესაძლოა მიმართული იყოს საკუთარი მოსახლეობის იმ სეგმენტზე, რომლის [რეჟიმთან] თანამშრომლობასაც თან არ ახლდა საკმარისი ინდოქტრინაცია. ამ თვალსაზრისით, ომის დროს საკუთარი გენერლებისადმი მიმართული ჰიტლერის სიტყვები პროპაგანდის ნამდვილი მოდელებია, რომლებიც, ძირითადად, იმ უდიდესი ტყუილებით ხასიათდება, რომლითაც ფიურერი თავის სტუმრებს ართობდა, ცდილობდა რა მათი გულის მოგებას.[4] გარეგან სფეროს შეიძლება ასევე წარმოადგენდეს მხარდამჭერთა ჯგუფი, რომლებიც ჯერ არ არიან მზად მოძრაობის ჭეშმარიტი მიზნების გასაზიარებლად; საბოლოოდ ხშირად ხდება, რომ ბელადის უახლოესი წრე თავად პარტიის ან ელიტური ფორმაციების წევრებს განიხილავს ასეთი გარეგანი სფეროსადმი მიკუთვნებულებად, და ასეთ შემთხვევაში, ისინიც საჭიროებენ პროპაგანდას, რადგან ჯერ არაა შესაძლებელი მათზე საიმედო ბატონობა. იმისათვის, რათა გადაჭარბებით არ იქნას შეფასებული პროპაგანდისტული ტყუილების მნიშვნელობა, უნდა გავიხსენოთ მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა ჰიტლერი სრულიად

14 აგვისტოს დაბადებული ნატალი ჰარპფის რასობრივმა გასინჯვამ გამოავლინა ნორმალურად განვითარებული გოგონა, დიდწილად აღმოსავლეთ ბალტიკური ტიპის, ნორდიკული ნაკვთებით." – „1930 წლის 19 თებერვალს დაბადებული არნოლდ კორნიესის გასინჯვამ გამოავლინა ნორმალურად განვითარებული ბიჭი, თორმეტი წლის, დიდწილად აღმოსავლური ტიპის ნორდიკული ნაკვთებით". ხელმოწერილია N.Wc.-ს მიერ (დოკუმენტი დაცულია იდიშური სამეცნიერო ინსტიტუტის არქივებში, ნიუ-იორკი, No. Occ E 3a-17.)
პოლონეთის ინტელიგენციის გაჟლეტასთან დაკავშირებით, რომელიც, ჰიტლერის აზრით, შეიძლებოდა „ეჭვის გარეშე განადგურებულიყო", იხილეთ პოლიაკოვი, ციტირებული ნაშრომი, გვ. 321, და დოკუმენტი NO 2472.

4 იხ. *ჰიტლერის სამაგიდო საუბრები* [*Hitlers Tischgespräche*]. 1942 წლის ზაფხულში ის ისევ ლაპარაკობს „თვით უკანასკნელი ებრაელის ევროპის გარეთ გაგდებისა" (გვ. 113) და ებრაელების ციმბირში, აფრიკაში, ანდაც მადაგასკარზე გადასახლების შესახებ (გვ. 311), მაშინ, როცა სინამდვილეში მას უკვე რუსულ შემოტევამდე, სავარაუდოდ, 1940 წელს, ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება „საბოლოო გადაწყვეტის" შესახებ და ბრძანება ჰქონდა გაცემული, რომ 1941 წლის შემოდგომისთვის გაზის კამერები ყოფილიყო დამონტაჟებული (იხ. ნაცისტური კონსპირაცია და აგრესია, II, გვ. 265 და შემდგომი; III, გვ. 783 და შემდგომი. დოკუმენტი PS 1104; V, გვ. 322 და შემდგომი. დოკუმენტი PS 2605). ჰიმლერმა 1941 წლის გაზაფხულზე უკვე იცოდა, რომ „ებრაელები უკანასკნელ ადამიანამდე [უნდა] განადგურებულიყვნენ ომის დასასრულისკენ. ეს არის ფიურერის არაორაზროვანი სურვილი და ბრძანება" (კერსტენის დოსიე, ებრაელთა დოკუმენტაციის ცენტრში [Centre de Documentation Juive]).

გულწრფელი და სასტიკად არაორაზროვანი იყო მოძრაობის ჭეშმარიტი მიზნების განსაზღვრისას, მაგრამ ისინი უბრალოდ ვერ დაუშვა ასეთი შინაარსისთვის მოუმზდებელმა საზოგადოებამ.[5] მაგრამ, ზოგადად რომ ვთქვათ, ტოტალიტარული მმართველობა მიისწრაფვის, რომ პროპაგანდის მეთოდები მხოლოდ თავისი საგარეო პოლიტიკის, ან მოძრაობის საზღვარგარეთ არსებული განშტოებების ჩარჩოებში მოაქციოს მათი შესაფერისი მასალით მომარაგების მიზნით. როგორც კი ტოტალიტარული ინდოქტრინაცია ქვეყნის შიგნით კონფლიქტში მოდის საზღვარგარეთ გამოსაყენებელ პროპაგანდის ხაზთან (რაც მოხდა რუსეთში ომის დროს, მაშინ კი არა, როდესაც სტალინმა ჰიტლერთან თავისი ალიანსი გააგრძელა, არამედ როდესაც ჰიტლერთან ომმა მას დემოკრატიების ბანაკში უკრა თავი), პროპაგანდა შინ აიხსნება, როგორც „დროებითი ტაქტიკური მანევრი."[6] ეს განსხვავება იდეოლოგიურ დოქტრინას, რომელიც გამიზნულია განდობილთათვის მოძრაობაში, რომელთაც უკვე აღარ სჭირდებათ პროპაგანდა, და წმინდა პროპაგანდას შორის, რომელიც გარესამყაროსთვისაა განკუთვნილი, შეძლებისდაგვარად უკვე ჩამოყალიბებულია მოძრაობების იმ ფაზაში, სანამ ისინი ძალაუფლებას მოიპოვებენ. პროპაგანდას და ინდოქტრინაციას შორის მიმართება ჩვეულებრივ დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მოძრაობის სიდიდეზე, ხოლო მეორე მხრივ, გარედან არსებულ წნეხზე. რაც უფრო მცირე მასშტაბისაა მოძრაობა, მით უფრო მეტ ენერგიას დახარჯავს ის სუფთა პროპაგანდაში; რაც უფრო დიდია ტოტალიტარულ რეჟიმზე ზეწოლა გარესამყაროსაგან – ზეწოლა, რომელიც რკინის ფარდის მიღმაც კი შეუძლებელია სრულიად იქნას იგნორირებული, – მით უფრო

5 ამასთან დაკავშირებით არსებობს 1940 წლის 16 ივლისით დათარიღებული ძალიან საინტერესო ოქმი ფიურერის შტაბბინაში როზენბერგის, ლამერსის, და კაიტელის მონაწილეობით გამართული დისკუსიის შესახებ, რომელიც ჰიტლერმა დაიწყო შემდეგი „საბაზისო პრინციპების" ჩამოყალიბებით: „ახლა არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი მთელი მსოფლიოს წინაშე არ გამოვაჭენოთ;... ამიტომაც არ უნდა იყოს ცხადი, რომ [მშვიდობისა და წესრიგის შესანარჩუნებელი დეკრეტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე] საბოლოო კოლონიზაციაზე მიუთითებდეს. მიუხედავად ამისა, ყველა აუცილებელი ზომა – ეგზეკუციები, გადასახლებები – შესაძლებელია და უნდა იქნას გატარებული." ამას მოსდევს დისკუსია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ჰიტლერის სიტყვებთან და რომელშიც ჰიტლერი აღარ მონაწილეობს. ძალიან ნათელია, რომ მას „ვერ გაუგეს" (დოკუმენტი L 211, ებრაელთა დოკუმენტაციის ცენტრი).

6 სტალინის რწმენის შესახებ, რომ ჰიტლერი რუსეთს არ შემოესეოდა, იხ. ისააკ დოიჩერი, *სტალინი: პოლიტიკური ბიოგრაფია,* ნიუ-იორკი და ლონდონი, 1949, გვ. 454 და შემდგომი, და კერძოდ სქოლიო 45-ე გვერდზე: „სახელმწიფო დაგეგმარების კომისიის უფროსმა, ვიცე-პრემიერმა ნ. ვოჟნესენსკიმ მხოლოდ 1948 წელს გაამხილა, რომ 1941 წლის მესამე მეოთხედის ეკონომიკური გეგმები მშვიდობიანობაზე იყო გათვლილი და ახალი, ომისთვის შესაფერისი გეგმა მხოლოდ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ მოიხაზა." დოიჩერის შეფასება ახლა მტკიცედ დაადასტურა ხრუშოვის მონათხრობმა გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ სტალინის რეაქციაზე. იხ. მეოცე კონგრესზე წარმოთქმული მისი „სიტყვა სტალინზე," როგორც ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა, ნიუ-იორკი, *Times,* 1956 წლის 5 ივნისი.

აქტიურად ჩაერთვებიან ტოტალიტარული დიქტატორები პროპაგანდაში. არსებითი ასპექტია, რომ პროპაგანდის აუცილებლობა ყოველთვის ნაკარნახევია გარესამყაროსგან და რომ თავად მოძრაობები რეალურად პროპაგანდას კი არ ეწევიან, არამედ ინდოქტრინაციას. ამის საპირისპიროდ, ინდოქტრინაცია, რომელიც უცილობლად ტერორთანაა დაწყვილებული, მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, ან ტოტალიტარული მთავრობების იზოლაციასა და გარეგანი ჩარევისგან დაცულობასთან ერთად იზრდება.

პროპაგანდა არსებითად საჭიროა „ფსიქოლოგიური ომის საწარმოებლად“; მაგრამ ტერორი მეტია. ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ტერორის გამოყენება გრძელდება მაშინაც კი, როცა მისი ფსიქოლოგიური მიზნები მიღწეულია; მისი ნამდვილი შემზარაობა იმაში მდგომარეობს, რომ ის სრულიად დათრგუნულ მოსახლეობას განაგებს. იქ, სადაც ტერორის მმართველობა სრულყოფილებამდეა მიყვანილი, როგორც, მაგალითად, საკონცენტრაციო ბანაკებში, პროპაგანდა სრულიად ქრება; ის ნაცისტურ გერმანიაში პირდაპირი ფორმით აკრძალულიც კი იყო.[7] სხვა სიტყვებით, პროპაგანდა ტოტალიტარიზმის ერთი, და შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია არატოტალიტარულ სამყაროსთან გასამკლავებლად; ამის საპირისპიროდ კი, ტერორი, მისი მმართველობის ფორმის ნამდვილი არსია. მისი არსებობა ისე მცირედაა დამოკიდებული ფსიქოლოგიურ ან სხვა სუბიექტურ ფაქტორებზე, როგორც კონსტიტუციურად მართულ ქვეყანაში კანონების არსებობა – იმ ადამიანების რაოდენობაზე, რომლებიც მას არღვევენ.

ტერორი როგორც პროპაგანდის ანაბეჭდი ნაციზმში უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე კომუნიზმში. ნაცისტები არ ესხმოდნენ თავს სახელმოხვეჭილ ფიგურებს, როგორც ეს მოხდა გერმანიაში პოლიტიკური დანაშაულის ადრეული ტალღისას (რათენაუსა და ერცბერგერის მკვლელობა); პირიქით, პატარა სოციალისტი ფუნქციონერების ან ოპოზიციური პარტიების გავლენიანი წევრების დახოცვით ისინი ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ მოსახლეობისთვის, თუ რა საშიშროებას შეიცავდა [სხვა პარტიის] მხოლოდ წევრობაც კი. მასობრივი ტერორის ეს სახე, რომელიც თავიდან შედარებით მცირე მასშტაბებში მოქმედებდა, თანდათანობით გაიზარდა, რადგან არც პოლიცია და არც სასამართლო მძიმედ არ სჯიდა პოლიტიკურ დამნაშავეს ეგრეთ წოდებულ მემარჯვენეებში. ის ღირებული იყო, როგორც „ძალის პროპაგანდა“, როგორც ამას ნაცისტმა პუბლიცისტმა მოსწრებულად უწოდა:[8] ის მოსახლეობისთვის უაღრესად ნათელს ხდიდა, რომ

7 „აღზრდა [საკონცენტრაციო ბანაკებში] შედგება დისციპლინისგან და არასდროს რაიმე სახის იდეოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ინსტრუქციისგან, ვინაიდან პატიმრებს დიდწილად მონის მსგავსი სულები აქვთ“ (ჰაინრიხ ჰიმლერი, *ნაცისტური კონსპირაცია,* IV, გვ. 616 და შემდგომი).

8 ოიგენ ჰადამოვსკის ციტირებული ნაშრომი სრულიად გამორჩეულია ტოტალიტარულ პროპაგანდაზე შექმნილ ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ ამას მკაფიოდ არ აცხადებს, ჰადამოვსკი გვთავაზობს ჭკვიანურ და პრონაციზმის გამომააშკარავებელ ინტერპრეტაციას ამ საკითხზე თავად ჰიტლერისეული ახსნა-გამარტების შესახებ,

ნაცისტების ძალა უფრო დიდი იყო, ვიდრე ავტორიტეტებისა და რომ ნაცისტების პარალიმიტარული ორგანიზაციის წევრობა უფრო უსაფრთხო იყო, ვიდრე ლოიალური რესპუბლიკელობა. ეს შთაბეჭდილება ძალიან გაძლიერდა ნაცისტების მიერ მათი პოლიტიკური დანაშაულის სპეციფიკური გამოყენების შედეგად. ისინი ამას ყოველთვის საჯაროდ აკეთებდნენ, არასდროს იბოდიშებდნენ „რიგითთა გადაცდომებისათვის“ – ასეთ მობოდიშებას მხოლოდ ნაცისტების მხარდამჭერთა მხრიდან ჰქონდა ადგილი – ხოლო მოსახლეობაზე იმით ახდენდნენ შთაბეჭდილებას, რომ ძალიან განსხვავდებოდნენ სხვა პარტიების „მოლაყბეებისაგან“.

ტერორის ამ სახესა და ჩვეულებრივ განგსტერიზმს შორის მსგავსება იმდენად ნათელია, რომ აღნიშვნას აღარ საჭიროებს. ეს არ ნიშნავს, რომ ნაციზმი იყო განგსტერიზმი, როგორც ამას ხანდახან ასკვნიან ხოლმე, არამედ მხოლოდ იმას, რომ ნაციზმმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ უღიარებია, იმდენივე ისწავლა ამერიკული განგსტერული ორგანიზაციებისგან, რამდენიც მათმა პროპაგანდამ ამერიკული სარეკლამო ბიზნესისგან, როგორც ეს საყოველთაოდაა აღიარებული.

თუმცაღა ტოტალიტარული პროპაგანდისთვის უფრო დამახასიათებელი ისაა, რომ მასში ინდივიდისადმი პირდაპირ მუქარასა და დანაშაულებრივ ქმედებაზე მეტად არაპირდაპირი, შეფარული და შემაშინებელი მინიშნებები გამოიყენება ყველას მიმართ, ვინც ყურად არ იღებს მის მოძღვრებას, და მოგვიანებით მასობრივი მკვლელობა თანაბრად ეხება „ცოდვილსა“ და „უცოდველს“. კომუნისტური პროპაგანდა აშინებს ხალხს, რომ ისინი დააგვიანებენ ისტორიის მატარებელზე, რომ უიმედოდ ჩამორჩებიან დროს, რომ საკუთარ ცხოვრებას უსარგებლოდ განლევენ, ზუსტად ისე, როგორც ნაცისტების პროპაგანდა აშინებდა ხალხს, რომ ბუნებისა და სიცოცხლის მარადიული კანონის წინააღმდეგ იცხოვრებდნენ, რომ მათი სისხლის გამოუსწორებელი და მისტიკური გადაგვარება მოხდებოდა. ტოტალიტარული პროპაგანდის ხაზგასმული აქცენტი მისი მტკიცებების „მეცნიერულ“ ბუნებაზე შედარებულ იქნა გარკვეულ სარეკლამო ტექნიკებთან, რომლებიც ასევე მასებზეა მიმართული. და მართლაც, ნებისმიერი გაზეთის სარეკლამო სვეტები აჩვენებს ამას „მეცნიერულად“, სადაც პროდუქტის მეწარმე ფაქტებით, ფიგურებით და „კვლევითი“ დეპარტამენტის დახმარებით ადასტურებს, რომ მისი საპონია „მსოფლიოში საუკეთესო საპონი“.[9] ისიც მართალია, რომ რეკლამის სპეციალისტების წარმოსახვით გადაჭარბებაში ძალადობის გარკვეული ელემენტია; იმ დაშვების ქვეშ, – რომ გოგონებმა, რომლებიც არ იყენებენ ამ კონკრეტული

რომელიც მოცემულია *ჩემი ბრძოლის* მეორე წიგნის მეორე თავში „პროპაგანდა და ორგანიზაცია“; წიგნი II, (2 ტომი, პირველი გერმანული გამოცემა, 1925 და 1927 წელს. სრული თარგმანი, ნიუ-იორკი, 1939); იხ. ასევე ფ. ა. სიქსი, *NSDAP* -ს *პოლიტიკური პროპაგანდა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში,* 1936, გვ. 21 და შემდგომი.

9 „ომის პროპაგანდის“ ჰიტლერისეული ანალიზი *(ჩემი ბრძოლა*, წიგნი I, თავი 6) ხაზს უსვამს პროპაგანდის საქმოსნურ ასპექტს და მაგალითად მოჰყავს საპნის რეკლამა. მისი მნიშვნელობა ზოგადად გადაჭარბებითაა შეფასებული, მაშინ როდესაც მისი უფრო გვიანდელი პოზიტიური იდეები „პროპაგანდასა და ორგანიზაციაზე“ უგულებელყოფილია.

წარმოების საპონს, შესაძლოა მთელი ცხოვრება გამონაყარით და ქმრის გარეშე გაატარონ, – დევს ველური ოცნება მონოპოლიაზე, ოცნება, რომ შესაძლოა ერთ დღესაც მეწარმე „ერთადერთი საპონისა, რომელიც ხელს უშლის გამონაყარის წარმოქმნას;“ ფლობდეს იმის ძალას, რომ წაართვას ქმრები ყველა იმ გოგონას, რომლებიც არ იყენებენ მის საპონს. ორივეს, ბიზნესისა და ტოტალიტარული პროპაგანდის შემთხვევაში მეცნიერება, ცხადია, მხოლოდ ძალაუფლების სუროგატია. „მეცნიერული“ მტკიცებულებებით, ტოტალიტარული მოძრაობების ობსესია მაშინვე მთავრდება, როგორც კი ისინი ძალაუფლებაში მოდიან. ნაცისტები ათავისუფლებდნენ იმ მეცნიერებსაც კი, რომლებიც მზად იყვნენ მათთვის ეუშავათ, ხოლო ბოლშევიკები თავიანთი მეცნიერების რეპუტაციას სრულიად არამეცნიერული მიზნებისთვის იყენებდნენ და მათ შარლატანის როლში ყოფნას აიძულებდნენ.

მაგრამ სულ ეს არის მასობრივ რეკლამასა და მასობრივ პროპაგანდას შორის მსგავსება, რომელსაც ხშირად გადაჭარბებულად აფასებენ. ბიზნესმენებს ჩვეულებრივ წინასწარმეტყველებად არ მოაქვთ თავი და ისინი მუდმივად არ ამტკიცებენ მათი ნაწინასწარმეტყველების სისწორეს. ტოტალიტარული პროპაგანდის მეცნიერებულობა ხასიათდება თითქმის ექსკლუზიური აქცენტით მეცნიერულ წინასწარმეტყველებაზე, რაც მას განასხვავებს უფრო ძველმოდური, წარსულზე აპელირებისგან. იდეოლოგიური საწყისი, ერთ შემთხვევაში სოციალიზმისა და მეორე შემთხვევაში რასიზმისა, არსად ჩანს იმაზე უფრო ნათლად ვიდრე მაშინ, როდესაც მათი ორატორები იმ დაფარული ძალების აღმოჩენაზე აცხადებენ პრეტენზიას, რომლებიც მათ ფატალურობის ჯაჭვში კარგ იღბალს მოუტანს. აქ, რა თქმა უნდა, მასებისთვის უსაზღვროდ მომხიბვლელია „აბსოლუტისტური სისტემები, რომლებიც ფატალურობის ჯაჭვით დაკავშირებულ ისტორიის ყველა მოვლენას საწყის, დიდ მიზეზებზე დაქვემდებარებულად წარმოაჩენენ, და რომლებიც, თითქოსდა, განდევნიან ადამიანებს ადამიანური რასის ისტორიიდან“ (ტოკვილის სიტყვებით). თუმცა არ შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, ნაცისტ ხელმძღვანელობას მართლაც სჯეროდა, თუ უბრალოდ პროპაგანდად იყენებდა, ისეთ დოქტრინებს, როგორიცაა: „რაც უფრო გულდასმით შევიმეცნებთ და ვაკვირდებით ბუნებისა და სიცოცხლის კანონებს, ... მით უფრო მეტად მოვდივართ თანხმობაში ყოვლისშემძლე [ღმერთის] ნებასთან. რაც უფრო მეტად განვჭვრიტავთ [ღმერთის] ყოვლისშემძლეს ნებას, მით უფრო დიდი იქნება ჩვენი წარმატება.“[10]

10 იხ. მარტინ ბორმანის მნიშვნელოვანი მემორანდუმი „ნაციონალ-სოციალიზმისა და ქრისტიანობის მიმართების“ შესახებ *ნაცისტურ კონსპირაციაში*, VI, გვ. 1036 და შემდგომი. მსგავსი ფორმულირებები შეიძლება ისევ და ისევ იქნას ნაპოვნი SS-ის მიერ თავისი კადეტების „იდეოლოგიური ინდოქტრინაციისთვის“ გამოცემულ პამფლეტურ ლიტერატურაში. „ბუნების კანონები უცვლელ ნებას ექვემდებარება, რომელზეც შეუძლებელია გავლენის მოხდენა. ამიტომაც აუცილებელია, ამ კანონების აღიარება“ („SS-ელი ადამიანი და სისხლის საკითხი,“ ნაშრომთა სერია წესრიგის დამცველი პოლიციის მსოფლმხედველობრივად გამოსაწვრთნელად, 1942). ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა ჰიტლერის წიგნიდან *ჩემი ბრძოლა* აღებული გარკვეული

საკმაოდ ცხადია, რომ [ამ ფორმულირებაში] ძალიან მცირე ცვლილებაა საჭირო, რათა ის სტალინის მრწამსის ორ წინადადებაში გამომხატველი გახდეს, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: „რაც უფრო გულდასმით შევიმეცნებთ და ვაკვირდებით ისტორიისა და კლასობრივი ბრძოლის კანონს, მით უფრო მეტად მოვდივართ თანხმობაში დიალექტიკურ მატერიალიზმთან. რაც უფრო მეტად განვჭვრეტთ დიალექტიკურ მატერიალიზმს, მით უფრო დიდი იქნება ჩვენი წარმატება.“ „სწორად ხელმძღვანელობის“[11] სტალინისეული ცნება, შეუძლებელია, ნებისმიერ მიმართებაში, უკეთ ყოფილიყო ილუსტრირებული.

ტოტალიტარულმა პროპაგანდამ იდეოლოგიური მეცნიერულობა და წინასწარმეტყველების ფორმით განაცხადის გაკეთების მისეული ტექნიკა აიყვანა მეთოდის ეფექტურობისა და შინაარსის აბსურდულობის მწვერვალზე, რადგან, დემაგოგიური საუბრისას, ძნელად მოიძებნება დისკუსიის თავიდან ასაცილებლად უკეთესი გზა, ვიდრე ეს არგუმენტის აწმყოს კონტროლისგან გამოთავისუფლება და იმის თქმაა, რომ მხოლოდ მომავალს შეუძლია გვაჩვენოს მისი უპირატესობა. თუმცაღა, ტოტალიტარულ იდეოლოგიებს არ გამოუგონიათ ეს პროცედურა, და არც მხოლოდ მათ გამოუყენებიათ ის. მასობრივი პროპაგანდის მეცნიერულობა მართლაც რომ ისე უნივერსალურად გამოიყენებოდა თანამედროვე პოლიტიკაში, რომ ის ინტერპრეტირებული იქნა, როგორც უფრო მეტად ზოგადი ნიშანი მეცნიერებით ობსესიისა, რაც დასავლურ სამყაროს, მეთექვსმეტე საუკუნეში მათემატიკისა და ფიზიკის აღმასვლიდან მოყოლებული, ახასიათებდა; ამრიგად, ტოტალიტარიზმი მოჩანს, როგორც მხოლოდ უკანასკნელი საფეხური იმ პროცესისა, რომელშიც „მეცნიერება [გახდა] კერპი, რომელიც სასწაულებრივად განკურნავს არსებობის ბოროტებას და გარდაქმნის ადამიანის ბუნებას.“[12] და აი აქ მართლაც იყო ადრეული კავშირი მეცნიერულობასა და მასების აღმასვლას შორის. მასების „კოლექტივიზმს“ მისასალმებლად მიიჩნევდნენ ისინი, ვისაც იმედი ჰქონდა „ისტორიულ განვითარებაში ბუნებისეული კანონის“ წარმოჩენისა, რომელიც გამორიცხავდა ინდივიდის ქმედებისა და ქცევის წინასწარგაუთვლელობას.[13] აქ იმოწმებდნენ ენფანტინის მაგალითს, რომელსაც უკვე შეეძლო „დაეინახა იმ დროის მოახლოება, როცა ‘მოძრავი მასების ხელოვნება’ ისე სრულყოფილად განვითარდებოდა, რომ მხატვარს, მუსკოსსა, და პოეტს ექნებოდა ძალა, დამტკბარიყო და ემოძრავა იმავე სიზუსტით, როგორითაც მათემატიკოსი გადაჭრის გეომეტრიულ

ფრაზების ვარიაციები, რომელთაგან შემდეგი ახლახანს ნახსენები პამფლეტის სულისკვეთებას გამოხატავს: „მაშინ, როცა ადამიანი ცდილობს ებრძოლოს ბუნების რკინის ლოგიკას, ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომელთაც მხოლოდ უნდა უმადლოდეს იგი ადამიანად ყოფნას.“

11 ი. სტალინი, *ლენინიზმი* (1933), ტომი II, თავი 3.

12 ერიკ ფოგელინი, „სიენტიზმის საწყისები,“ *Social Research*-ში, დეკემბერი, 1948.

13 იხ. ფ. ა. ჰაიეკი, „მეცნიერების კონტრრევოლუცია,“ *Economica*-ში, ტომი VIII (თებერვალი, მაისი, აგვისტო, 1941), გვ. 13.

პრობლემას, ან ქიმიკოსი აანალიზებს ნებისმიერ სუბსტანციას“ და ასკვნიდნენ, რომ თანამედროვე პროპაგანდა დაიბადა სწორედ მაშინ და იქ.[14]

და მაინც, რაც არ უნდა იყოს, პოზიტივიზმის, პრაგმატიზმისა და ბიჰევიორიზმის ნაკლი, და როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მათი გავლენა მეცხრამეტე საუკუნის სამარკო ნიშნად ქცეული საღი აზრის ჩამოყალიბებაზე, ის სულაც არაა „არსებობის უტილიტარული სეგმენტების კიბოს მსგავსად ზრდა“[15] რაც ახასიათებს მასებს, რომლებზეცაა მიმართული ტოტალიტარული პროპაგანდა და მეცნიერულობა. როგორც კონტისგან ვიცით, პოზიტივისტების დოქტრინა, რომ მომავალი საბოლოოდ მეცნიერულად წინასწარმეტყველებადია, დაფუძნებულია ინტერესის, როგორც ისტორიაში ყოვლისგანმსჭვალველი ძალის, შეფასებაზე და იმ დაშვებაზე, რომ ძალაუფლების ობიექტური კანონები შეიძლება აღმოჩენილ იქნას. როჰანის პოლიტიკური თეორია, რომ „მეფე მბრძანებლობს ხალხზე და ინტერესი მბრძანებლობს მეფეზე“ რომ ობიექტური ინტერესი არის ერთადერთი წესი, „რომელიც ვერასდროს შეცდება“ რომ „სწორად ან მცდარად გაგებული ინტერესი აცოცხლებს ან კლავს ხელისუფლებებს“ არის თანამედროვე, პოზიტივისტური თუ სოციალისტური უტილიტარიზმის ტრადიციული არსი, მაგრამ ამ თეორიებიდან არც ერთი არ უშვებს, რომ შესაძლებელია „ადამიანის ბუნების გარდაქმნა“ როგორც ამის გაკეთებას ტოტალიტარიზმი მართლაც ცდილობს. პირიქით, ყველა მათგანი იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად უშვებს, რომ ადამიანის ბუნება ყოველთვის ერთი და იგივეა, რომ ისტორია არის ობიექტურ გარემოებათა ცვლილებების ისტორია და ადამიანური რეაქციები მათზე, და რომ სწორად გაგებულმა ინტერესმა შესაძლოა კი მიგვიყვანოს გარემოებების, მაგრამ არა ადამიანის რეაქციების, როგორც ასეთის, ცვლილებამდე. „სციენტიზმი“ პოლიტიკაში ჯერ კიდევ წინაპირობად უშვებს, რომ ადამიანის კეთილდღეობაა მისი ობიექტი, ცნება, რომელიც სრულიად უცხოა ტოტალიტარიზმისათვის.[16]

ტოტალიტარული ხელისუფლების ანტიუტილიტარული ქმედება, მათი ტოტალიტარული ინდიფერენტულობა მასობრივი ინტერესისადმი სწორედ იმიტომ იყო ასეთი შოკი, რომ იდეოლოგიების უტილიტარული არსი თავისთავად მოცემულობად იქნა მიღებული. ამან თანამედროვე პოლიტიკაში შემოიტანა მანამდე სრულიად გაუგონარი არაპროგნოზირებადობის ელემენტი. მაგრამ ტოტალი-

14 იქვე. გვ. 137; ციტატა აღებულია სენ-სიმონისტური გაზეთიდან Producteur, I, 399.

15 ფოგელინი, ციტირებული ნაშრომი.

16 უილიამ ებენშტაინი, *ნაცისტური სახელმწიფო*, ნიუ-იორკი, 1943; ნაცისტური სახელმწიფოს „პერმანენტული ომის ეკონომიკის“ განხილვისას, იგი თითქმის ერთადერთი კრიტიკოსია, რომელმაც გაიაზრა, რომ „უსასრულო დისკუსიები... ნაცისტური რეჟიმის დროს გერმანული ეკონომიკის სოციალისტური ან კაპიტალისტური ხასიათის შესახებ დიდწილად ხელოვნურია... [რადგანაც მათ] ყურადღებიდან ეპარებათ ის სასიცოცხლო ფაქტი, რომ კაპიტალიზმი და სოციალიზმი ის კატეგორიებია, რომლებიც დასავლური კეთილდღეობის ეკონომიკას უკავშირდება“ (გვ. 239).

ტარული პროპაგანდა – თუმცაღა შეცვლილი აქცენტით – ჯერ კიდევ ტოტალიტარიზმის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე მიანიშნებდა, თუ რამდენად დაშორებულნი იყვნენ მასები იმისგან, რომ მხოლოდ ინტერესით ყოფილიყვნენ შეპყრობილნი. ამდენად სრულიად არამართებული იყო მოკავშირეების ეჭვი, რომ ომის დაწყებისას ჰიტლერის მიერ გაცემული განკარგულება სულით ავადმყოფთა მკვლელობის შესახებ არასაჭირო მჭამელი პირების მოშორების სურვილი უნდა ყოფილიყო.[17] ჰიტლერი ომმა კი არ აიძულა, გადაესვა ხაზი ყველა ეთიკური განსჯისათვის, არამედ იგი ომის მასობრივ სისხლისღვრას განიხილავდა როგორც უბადლო შესაძლებლობას, დაეწყო მკვლელობის ის პროგრამა, რომელიც მისი პროგრამის ყველა სხვა ასპექტის მსგავსად, ათასწლეულებზე იყო გათვლილი.[18] ვინაიდან თითქმის მთელი ევროპული ისტორია ადამიანებს მრავალი საუკუნის მანძილზე ასწავლიდა, რომ ყოველი პოლიტიკური ქმედება მისი cui bono-ს[19] მიხედვით განესაჯათ, ხოლო ყველა პოლიტიკური მოვლენა კი – მათი საფუძვლადმდებარე გარკვეული ინტერესის მიხედვით, მოულოდნელად ისინი უპრეცენდენტო არაპროგნოზირებადობის წინაშე აღმოჩნდნენ. ტოტალიტარული პროპაგანდა, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდეც კარგა ხნით ადრე ნათლად მიუთითებდა, თუ რა მცირედ წარმართავდა მასებს თვითგადარჩენის ცნობილი ინსტინქტი, მისი დემაგოგიური თვისებების გამო სერიოზულად არ იქნა აღქმული. თუმცა, ტოტალიტარული პროპაგანდის წარმატება იმდენად მის დემაგოგიურობას არ ემყარება, რამდენადაც იმის ცოდნას, რომ ინტერესი, როგორც კოლექტიური ძალა, შესაძლოა მხოლოდ იქ განიცდებოდეს, სადაც სტაბილური

17 კარლ ბრანტდის, ერთ-ერთი იმ ექიმთაგანის ჩვენება, რომლებსაც ჰიტლერმა ევთანაზიის პროგრამის განხორციელება დაავალა, ტიპურია ამ კონტექსტში *(სამედიცინო პროცესი. აშშ კარლ ბრანდტისა და სხვათა წინააღმდეგ. 14 მაისის მოსმენა, 1947*). ბრანდტი თავგამოდებით აპროტესტებდა იმ ეჭვს, რომ პროექტი ზედმეტი პურისმჭამელების მოსასპობად იყო წამოწყებული; იგი ხაზს უსვამდა, რომ პარტიის წევრებს, ვინც მსგავს არგუმენტებს წამოსწევდა დისკუსიისას, ყოველთვის მკაცრად საყვედურობდნენ. მისი აზრით, ეს ზომები ნაკარნახევი იყო წმინდად „ეთიკური მოსაზრებებით“. იგივე ეხება, რა თქმა უნდა, დეპორტაციებსაც. დოკუმენტები სავსეა სამხედროების სასოწარკვეთილი ჩანაწერებით, რომლებიც ჩივიან, რომ მილიონობით ებრაელისა და პოლონელის გადასახლება სრულიად უგულებელყოფდა ყველანაირ „სამხედრო და ეკონომიკურ საჭიროებას“. იხ. პოლიაკოვი, ციტირებული ნაშრომი, გვ. 321, ისევე, როგორც იქვე გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა.

18 პირველ გადამწყვეტ ბრძანებას, რომლითაც დაიწყო ყველა შემდგომი მასობრივი მკვლელობა, ჰიტლერმა 1939 წლის 1 სექტემბერს მოაწერა ხელი – დღეს, როდესაც ომი გამოცხადდა –, და ის ეხებოდა არა მხოლოდ ფსიქიკური დაავადების მქონეთ (როგორც ხშირად შეცდომით ვარაუდობენ), არამედ ყველას, ვინც „განუკურნებელი სენით იყო ავად“. ფსიქიკური დაავადების მქონენი უბრალოდ პირველნი იყვნენ, ვისითაც დაიწყეს.

19 cui bono (ლათ.) – „ვის აქვს სარგებელი?“ ტრადიციულად კითხვა დაისმის სამართლებრივი და პოლიტიკური გამოძიებისას და მიზნად ისახავს იმის გამოაშკარავებას, თუ ვის შეიძლებოდა ჰქონოდა დანაშაულის მოტივი (მთარგმნ. შენ.).

სოციალური ინსტიტუტები ინდივიდსა და ჯგუფს შორის აუცილებელ გარდამავალ სარტყელს ქმნიან; ვერანაირი მხოლოდ ინტერესზე დაფუძნებული ეფექტური პროპაგანდა ვერ გატარდება მასებში, რომელთა მთავარი დამახასიათებელიც ისაა, რომ ისინი არ განეკუთვნებიან არცერთ სოციალურ ან პოლიტიკურ ინსტიტუტს, და რომლებიც, ამდენად, ინდივიდუალური ინტერესების ნამდვილ ქაოსს განასახიერებენ. ტოტალიტარული მოძრაობის წევრების ფანატიზმი, რომელიც თვისობრივად ასე ნათლად განსხვავდება ჩვეულებრივი პარტიების წევრთა უდიდესი ლოიალობისგანაც კი, წარმოქმნილია მასებში საკუთარი ინტერესის დანაკლისისგან, რომლებსაც საკმარისი მზაობა აქვთ იმისათვის, რომ თავი მსხვერპლად შესწირონ. ნაცისტებმა დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია ხალხს წარუძღვე ომში დევიზით: „თუ არადა დავიღუპებით“ (ის, რასაც 1914 წლის ომის პროპაგანდა ფრთხილად აირიდებდა თავიდან), და ეს არ ხდება გაჭირვების, უმუშევრობის, ან ფრუსტრირებული ეროვნული ამბიციების დროს. იგივე სულისკვეთებამ იჩინა თავი ომის ბოლო თვეებში, როცა მარცხი უკვე ცხადი გახდა: მაშინ ნაცისტურმა პროპაგანდამ უკვე გვარიანად შეშინებული მოსახლეობა იმ დაპირებით დაამშვიდა, რომ „მარცხის შემთხვევაში ფიურერმა თავისი სიბრძნით გერმანელი ხალხისათვის გაზით გაგუდვის იოლი სიკვდილი მოამზადა.“[20]

ტოტალიტარული მოძრაობები სოციალიზმსა და რასიზმს ისე იყენებენ, რომ აცარიელებენ მათ უტილიტარული შინაარსისგან, კლასის თუ ნაციის ინტერესებისგან. უცდომელი წინასწარმეტყველების ფორმა, რომელშიც ეს კონცეპტები იყო წარმოდგენილი, მათ შინაარსზე უფრო მნიშვნელოვანი გახდა.[21] მასობრივი ლიდერის მთავარი ნიშანი გახდა მუდმივი შეუმცდარობა; მან არასდროს არ უნდა აღიაროს შეცდომა.[22] უფრო მეტიც, შეუმცდარობის დაშვება დაფუძნებულია არა

20 იხილეთ ფრიდრიხ პერსიფალ რეკ-მალეკცევენი, *სასოწარკვეთილის დღიური,* შტუდგარტი, 1947, გვ. 190.

21 ჰიტლერმა პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით იდეოლოგიური მოძრაობების უპირატესობა იმ ფაქტზე დააფუძნა, რომ იდეოლოგიები (*Weltanschauungen*) ყოველთვის „საჯაროდ აცხადებენ თავიანთ შეუმცდარობას“ (*ჩემი ბრძოლა,* წიგნი II, თავი 5, „იდეოლოგია და ორგანიზაცია“). – ჰიტლერიუგენდის ოფიციალური სახელმძღვანელოს – *ნაცისტური ანბანის* – პირველი გვერდები, ნიუ-იორკი, 1938, შესაბამისად ხაზს უსვამდა, რომ *Weltanschuung*-ის ყველა ის საკითხი, რომლებიც ადრე „არარეალისტური“ და „გაუგებარი“ ჩანდა, „ახლა ისეთი ნათელი, მარტივი და *ერთმნიშვნელოვანი* [ხაზგასმა ჩემია] გახდა, რომ ყველა ამხანაგს შეუძლია მათი გაგება და მათ გადაწყვეტაში თანამშრომლობა.“

22 „პარტიის წევრის ფიცის“ ჩამონათვალში, როგორც ეს NSDAP-ს ორგანიზაციის წიგნშია მოცემული, რიგით პირველს ვკითხულობთ: „ფიურერი ყოველთვის მართალია.“ 1936 წლის გამოცემა, გვ. 8. მაგრამ NSDAP-ს პარტიულ ზემდგომთათავის განკუთვნილი *სამსახურეობრივი მითითებები* 1932 წ., გვ. 38, იმავეს შემდეგნაირად გადმოსცემს: „ჰიტლერის გადაწყვეტილება საბოლოოა!“ დააკვირდით მნიშვნელოვან განსხვავებას ფრაზეოლოგიაში.
„მათი პრეტენზია, იყვნენ შეუმცდარნი, [რომ] არცერთ მათგანს არასდროს გულწრფელად არ უღიარებია შეცდომა,“ არის ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი

იმდენად აღმატებულ ჭკუა-გონებაზე, რამდენადაც ისტორიასა თუ ბუნებაში არსობრივად სარწმუნო ძალების სწორ ინტერპრეტაციაზე, ძალების, რომელთა სიმცდარესაც ვერც მარცხი და ვერც განადგურება ვერ დაადასტურებს, რადგან მათი ვალია, საკუთარი სიმართლის ხანგრძლივ პერსპექტივაში დამტკიცება.[23] ძალაუფლებაში მყოფ მასობრივ ლიდერებს ერთი საფიქრალი აქვთ, რომელიც ყველა უტილიტარულ განსჯას გადასწონის: თავისი დაპირებები სინამდვილედ აქციონ. ომის ბოლოს ნაცისტები არც კი ყოყმანობდნენ, გამოეყენებინათ თავიანთი ჯერ კიდევ ხელუხლებელი ორგანიზაციის კონცენტრირებული ძალა გერმანიის შეძლებისდაგვარად სრულად დასანგრევად, რათა სინამდვილედ ექციათ საკუთარი წინასწარმეტყველება – რომ მათი მარცხის შემთხვევაში გერმანელი ხალხი განადგურდებოდა.

ტოტალიტარულ ლიდერებს პროპაგანდის შეუმცდარობის ეფექტი, პროგნოზირებადი ძალების მხოლოდ ინტერპრეტატორად თავის წარმოჩენის წარმატება უბიძგებდათ, რომ მათი პოლიტიკური ზრახვები წინასწარმეტყველების ფორმით განეცხადებინათ. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია 1939 წლის იანვარში ჰიტლერის მიმართვა გერმანიის რაიხსტაგისადმი: „დღეს კიდევ ერთხელ მსურს ვიწინასწარმეტყველო: თუ ებრაელი ფინანსისტები ... მიაღწევენ, რომ კიდევ ერთხელ ჩაითრიონ ადამიანები მსოფლიო ომში, ეს დასრულდება ... ევროპაში ებრაული რასის მოსპობით.“[24] თუ არატოტალიტარულ ენაზე გადავთარგმნით, ეს ნიშნავს: მე ვაპირებ ომს და მე ვაპირებ ებრაელების განადგურებას ევროპაში. ანალოგიურად, სტალინი 1930 წელს, როდესაც მას მომზადებული ჰქონდა შიდაპარტიული მემარჯვენე და მემარცხენე უკლონისტების ფიზიკური ლიკვიდაცია, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე დიდ მოხსენებაში აღწერს მათ, როგორც „მომაკვდავი კლასის“ წარმომადგენლებს.[25] ამ განსაზღვრებამ არა მხოლოდ განსაკუთრებული სიმძაფრე მიანიჭა არგუმენტს, არამედ ასევე, ტოტალიტარულ სტილში გვაუწყა, რომ „მომაკვდავთა“ ფიზიკური განადგურება სწორედ ახლა იქნა ნაწინასწარმეტყველები. ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მიზანია მიღწეული: განადგურება ჩართულია ისტორიულ პროცესში, რომელ-

განსხვავება, ერთი მხრივ, სტალინსა და ტროცკის, და მეორე მხრივ, ლენინს შორის. იხილეთ ბორის სუვარინი, *სტალინი: ბოლშევიზმის კრიტიკული მიმოხილვა,* ნიუ-იორკი, 1939, გვ. 583.

23 ცხადია, რომ ჰეგელიანური დიალექტიკა შესანიშნავი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ ყოველთვის მართალი იყო, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა, ყველა მარცხის ინტერპრეტაცია ისე მოახდინო, როგორც გამარჯვების დასაწყისისა. ამგვარი სოფიზმის ერთერთი ყველაზე მშვენიერი მაგალითი 1933 წლის შედეგ მოხდა, როცა გერმანელი კომუნისტები თითქმის ორი წლის მანძილზე უარს ამბობდნენ ეღიარებინათ, რომ ჰიტლერის გამარჯვება გერმანიის კომუნისტური პარტიის დამარცხება იყო.

24 გებელსის ციტატა: *გებელსის დღიურები (1942-1943),* გამოცემული ლუის ლოხნერის მიერ, ნიუ-იორკი, 1948, გვ. 148.

25 სტალინი, ციტირებული ნაშრომი, ციტირებული გვერდი.

შიც ადამიანი ან თავად სჩადის, ან განიცდის იმას, რაც გარდაუვალი კანონების თანახმად, მაინც აუცილებლად მოხდება. როგორც კი მსხვერპლთა დასჯა განხორციელებულია, „წინასწარმეტყველება“ რეტროსპექტიული ალიბი ხდება: არაფერი ისეთი არ მომხდარა, რაც მანამდე ნაწინასწარმეტყველები არ ყოფილა.[26] მნიშვნელობა არა აქვს, „ისტორიის კანონები“ განმარტავენ კლასების და მათი წარმომადგენლების „სასიკვდილო განაჩენს“, თუ „ბუნების კანონები ... ანადგურებენ“ ყველა იმ ელემენტს – დემოკრატიებს, ებრალებს, აღმოსავლელ ქვეადამიანებს (Untermenschen), ან განუკურნებელ ავადმყოფებს – რომლებიც ისედაც არ „ვარგიან სიცოცხლისთვის“. სხვათა შორის, ჰიტლერიც საუბრობდა „მომაკვდავ კლასებზე“, რომლებიც „აურზაურის გარშე უნდა განადგურებულიყვნენ“.[27]

ეს მეთოდი, მსგავსად სხვა ტოტალიტარული პროპაგანდის მეთოდებისა, უსაფრთხოა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოძრაობები ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში. მაშინ ტოტალიტარული დიქტატორის წინასწარმეტყველების ჭეშმარიტებასა და მცდარობაზე ყველანაირი კამათი ისეთივე გაუგებარია, როგორც პოტენციურ მკვლელთან იმაზე, მისი მომავალი მსხვერპლი მკვდარია თუ ცოცხალი – რადგან ამ უკანასკნელის მოკვლის შემდეგ მკვლელს შეუძლია მყისიერად დაადასტუროს თავისი განცხადების მართებულობა. ასეთ პირობებში ერთადერთი ვალიდური არგუმენტი იმ ადამიანის მყისიერად გადარჩენაა, რომლის სიკვდილიც ნაწინასწარმეტყველებია. ვიდრე მასობრივი ლიდერები ძალაუფლებას ხელში ჩაიდგებენ, რათა რეალობა ტყუილებს მოარგონ, მათი პროპაგანდა ხასიათდება ზოგადად ფაქტების,[28] უსაზღვრო სიძულვილით, მათი აზრით, ფაქტი სრულიად დამოკიდებულია ადამიანის ძალაუფლებაზე, რომელსაც შეუძლია მისი ფაბრიკაცია. მტკიცება, რომ მოსკოვის მეტრო მსოფლიოში ერთადერთია,

26 1942 წლის სექტემბერში წარმოთქმულ სიტყვაში, როდესაც ებრაელთა განადგურება უკვე გაჩაღებული იყო, ჰიტლერმა ხაზგასმით ახსენა თავისი 1939 წლის 30 იანვარის გამოსვლა (გამოქვეყნდა ბუკლეტად, სათაურით *დიადი გერმანიის პირველი რაიხსტაგის ფიურერი,* 1939) და 1939 წლის პირველ სექტემბერს რაიხსტაგის სესიაზე წარმოთქმული სიტყვა, როდესაც მან გამოაცხადა, რომ „თუ ებრაელობა მოახდენს საერთაშორისო მსოფლიო ომის პროვოცირებას ევროპის არიელი ხალხის განადგურების მიზნით, არიელები კი არა, ებრაელები იქნებიან [წინადადების დასასრული ტაშმა გადაფარა]“ (იხ. *ფიურერი ზამთრის ფრონტის ჰუმანიტარულ დახმარებაზე,* NSV, No. 14, გვ. 33).

27 1939 წლის 30 იანვრის სიტყვით გამოსვლაში, როგორც ზემოთაა ციტირებული.

28 კონრად ჰაიდენი ნაშრომში *ფიურერი: ჰიტლერის ძალაუფლებაში აღმასვლა*, ბოსტონი, 1944, ხაზს უსვამს ჰიტლერის „ფენომენალურ მატყუარობას“, „თითქმის ყველა მის გამოთქმაში დასაბუთებადი სინამდვილის დანაკლისს“, მის „გულგრილობას ფაქტებისადმი, რომლებსაც ის არ განიხილავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად“ (გვ. 368, 374). – თითქმის იმავე სიტყვებით აღწერს ხრუშოვი „სტალინის უხალისობას, განეხილა ცხოვრებისეული სინამდვილე“ და მის გულგრილობას „საქმის ნამდვილი ვითარებისადმი“, *ციტირებული ნაშრომი.* სტალინის თვალსაზრისს ფაქტების მნიშნველობაზე საუკეთესოდ გამოხატავს მის მიერ პერიოდულად განხორციელებული რუსეთის ისტორიის რევიზიები.

ტყუილია მხოლოდ მანამდე, სანამ ბოლშევიკებს არ აქვთ ძალაუფლება ყველა დანარჩენის გასანადგურებლად. სხვა სიტყვებით, შეუმცდარი წინასწარმეტყველების მეთოდი ტოტალიტარული პროპაგანდის ნებისმიერ სხვა იარაღზე მეტად ააშკარავებს მის საბოლოო მიზანს მსოფლიოს დაპყრობისა, რადგანაც ტოტალიტარულ მმართველს მხოლოდ სრულად მისი კონტროლის ქვეშ მყოფ სამყაროში შეუძლია მოახდინოს ყველა თავისი ტყუილის რეალიზება და ჭეშმარიტებად აქციოს ყველა წინასწარმეტყველება.

წინასწარმეტყველური მეცნიერულობის ენა შეესაბამება მასების საჭიროებებს, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი სახლი ამ სამყაროში და ახლა მზად არიან ხელახლა გაითქვიფონ მარადიულ, ყველაფერზე მბრძანებელ ძალებში, რომლებიც გაჭირვების ტალღებში მოცურავე ადამიანს უსაფრთხო ნაპირამდე მიიყვანდა. „ჩვენ ვაყალიბებთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას და ჩვენს კანონმდებლობას გენეტიკის განაჩენის მიხედვთ;“[29] ამბობდნენ ნაცისტები, ისევე როგორც ბოლშევიკები არწმუნებდნენ მათ მიმდევრებს, რომ ეკონომიკური ძალები ფლობენ ძალაუფლებას ისტორიის განაჩენზე. ისინი ამასთან, ჰპირდებოდნენ გამარჯვებას, რომელიც თავისუფალია „დროებითი“ მარცხისა და წარუმატებლობისგან კონკრეტულ წამოწყებებში. კლასებისგან განსხვავებით, მასებს სურთ გამარჯვება და წარმატება, როგორც ასეთი, მის ყველაზე აბსტრაქტულ ფორმაში; ისინი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი ისეთი განსაკუთრებული კოლექტიური ინტერესებით, რომლებიც შეიძლებოდა მათი, როგორც ჯგუფის, გადარჩენისთვის არსებითად განეხილათ და ყველაზე უიმედო მდგომარეობაში მყოფებსაც კი დაეცვათ. საქმეზე, რომელსაც მართლაც შანსი აქვს გაიმარჯვოს, და გარკვეულ წამოწყებაზე, რომელიც შესაძლოა წარმატებული იყოს, უფრო მნიშვნელოვანია ნებისმიერი საქმის გამარჯვება და ნებისმიერი წამოწყების წარმატება.

ტოტალიტარული პროპაგანდა სრულყოფს მასობრივი პროპაგანდის ტექნიკებს, მაგრამ ის არც იგონებს მათ და არც წარმოშობს მათ თემებს. ეს უკანასკნელნი მათთვის იმპერიალიზმის აღმასვლის ორმოცდაათწლიანმა პერიოდმა და ერი-სახელმწიფოს დეზინტეგრაციამ შეამზადა, როდესაც ევროპული პოლიტიკის სცენაზე ბრბო გამოვიდა. მსგავსად ბრბოს ადრეული ლიდერებისა, ტოტალიტარული მოძრაობის ორატორები ფლობდნენ უტყუარ ინსტინქტს ყველაფერ იმისადმი, რაც ჩვეულებრივ პარტიულ პროპაგანდას ან საზოგადოებრივ აზრს არ აინტერესებდა და არ აწუხებდა. ყველაფერმა დაფარულმა, ყველაფერმა, რასაც სიჩუმით აუარეს გვერდი, შეიძინა მთავარი მნიშვნელობა, მიუხედავად მისი საკუთარი არსებითი მნიშვნელობისა. ბრბოს მართლაც სჯეროდა, რომ ჭეშმარიტება იყო ის, რასაც პატივსაცემი საზოგადოება პირმოთნეობით გვერდს უვლიდა, ან კორუფციით ფარავდა.

საკითხების შერჩევის პირველი კრიტერიუმი გახდა მისტერიულობა, როგორც ასეთი. მისტერიის საწყისს მნიშვნელობა არ ჰქონდა; ის შეიძლებოდა ყოფილიყო კეთილგონივრული, პოლიტიკურად გასაგები მისწრაფება იდუმალების-

29 *ნაცისტური ანბანი.*

კენ, როგორც ამას ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურისა და ფრანგული მეორე ბიუროს შემთხვევაში ჰქონდა ადგილი; ან რევოლუციური ჯგუფების კონსპირატორული საჭიროებებისას, როგორც ეს ანარქიების ან სხვა ტერორისტული სექტების შემთხვევაში იყო; ან ისეთ საზოგადოებათა სტრუქტურაში, რომელთა განსაკუთრებული საიდუმლო შინაარსი, რა ხანია, კარგად ნაცნობი გახდა და სადაც მხოლოდ ფორმალური რიტუალი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა უწინდელ მისტერიას, როგორც ეს თავისუფალი მასონების შემთხვევაშია; ან ძველისძველი ცრურწმენები, რომლებმაც ააზვირთეს ლეგენდები გარკვეული ჯგუფების ირგვლივ, როგორც ეს იეზუიტების და ებრაელების შემთხვევაში მოხდა. მასობრივი პროპაგანდისთვის ასეთი თემების შერჩევაში ნაცისტებს უდავოდ ბადალი არ ჰყავდათ; მაგრამ ბოლშევიკებმა თანდათანობით შეისწავლეს ეს ხრიკი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაკლებად ეყრდნობიან ტრადიციულად აღიარებულ მისტერიებს და უპირატესობას საკუთარ გამონაგონებს ანიჭებენ – ოცდაათიანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, ბოლშევიკების პროპაგანდაში ერთ მისტიურ მსოფლიო შეთქმულებას მეორე მოჰყვებოდა, დაწყებული ტროცკისტების შეთქმულებით, შემდგომ 300 ოჯახის მმართველობით და ბრიტანული თუ ამერიკული საიდუმლო სამსახურების ბოროტი იმპერიალისტური (ე.ი. გლობალური) მაქინაციებით დასრულებული.[30]

ამგვარი პროპაგანდის ეფექტურობა აჩვენებს თანამედროვე მასების ერთ მთავარ მახასიათებელ ნიშანს. მათ არ სჯერათ არაფერი ხილულის თვიანთივე საკუთარი გამოცდილების სინამდვილეში; მათ არ სწამთ საკუთარი თვალების და ყურების, არამედ მხოლოდ საკუთარი წარმოსახვის, რომელიც შესაძლოა მონუსხული იქნას ნებისმიერ რამით, რაც უნივერსალური და მუდმივია თავის თავში. ის, რაც მასებს არწმუნებს, არის არა ფაქტები, და არც თვით გამოგონილი ფაქტები, არამედ მხოლოდ იმ სისტემის სტაბილურობა, რომლის ნაწილადაც ისინი საკუთარ თავს განიხილავენ. გამეორება, რომლის მნიშვნელობაც გადამეტებულად შეფასებულია იმ გავრცელებული რწმენის გამო, რომ თითქოს მასებს გაგებისა და დამახსოვრების ნაკლები უნარი აქვთ, მნიშვნელოვანია მხოლოდ იმიტომ, რომ ის არწმუნებს მათ სტაბილურობის შესახებ დროში.

ის, რის აღიარებაზეც მასები უარს ამბობენ, არის შემთხვევითობა, რომელიც განმსჭვალავს რეალობას. ისინი მიდრეკილნი არიან ყველანაირი იდეოლოგიისადმი, რადგან ეს უკანასკნელნი ფაქტებს ხსნიან როგორც მხოლოდ კანონის

30 საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტალინისტური ეპოქის განმავლობაში ბოლშევიკები რაღაც იმგვარად უყრიდნენ თავს კონსპირაციების [თეორიებს], რომ ახლის აღმოჩენა არ გულისხმობდა წინამორბედზე უარის თქმას. ტროცკისტული შეთქმულება 1930 წლისთვის დაიწყო; მას 300 ოჯახის კონსპირაცია სახალხო ფრონტის განავლობაში დაემატა, 1935 წლიდან მოყოლებული, ბრიტანული იმპერიალიზმი აქტუალური კონსპირაცია გახდა სტალინისა და ჰიტლერის ალიანსის დროს; მას ომის დასრულებიდან მალევე მოჰყვა „ამერიკული საიდუმლო სამსახურის“ კონსპირაცია; უკანასკნელს, ებრაული კოსმოპოლიტიზმის კონსპირაციის [თეორიას], ცხადი და შემაშფოთებელი მსგავსება ჰქონდა ნაცისტურ პროპაგანდასთან.

მაგალითებს და შემთხვევითობას გამორიცხავენ ყველაფრის მომცველი ყოვლისშემძლეობის გამოგონებით, რომელიც ნებისმიერი შემთხვევის საფუძველში უნდა იყოს დაშვებული. ტოტალიტარული პროპაგანდა ისწრაფვის, გადავიდეს რეალობიდან გამონაგონში, შემთხვევითობიდან სტაბილურობაში.

ტოტალიტარული პროპაგანდის მთავარი ნაკლი ისაა, რომ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს მასების ეს ლტოლვა სრულიად მყარი, გასაგები, და წინასწარგანჭვრეტადი სამყაროს შესახებ ისე, რომ საღ აზრთან სერიოზულ კონფლიქტში არ მოვიდეს. მაგალითად, თუკი საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ოპონენტების ყველა „აღსარება“ გამოთქმულია ერთი და იმავე ენით და აღიარებს ერთსა და იმავე მოტივებს, სტაბილურობას მოწყურებული მასა მიიღებს გამოგონილს, როგორც უმაღლეს დასტურს მათი ჭეშმარიტებისა; მაშინ, როდესაც საღი აზრი გვეუბნება, რომ სწორედ მათი სტაბილურობაა ის, რაც ამ სამყაროს მიღმაა და რაც მოწმობს, რომ ისინი ფაბრიკაციაა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს იგივეა, მასები რომ მოითხოვენ მუდმივ განმეორებას სეპტუაგინტის სასწაულისა, მაშინ როდესაც ძველი ლეგენდის თანახმად, სამოცდაათმა განცალკევებით მყოფმა მთარგმნელმა შექმნა ძველი აღთქმის ბერძნული, იდენტური ვერსია. საღ აზრს შეუძლია მიიღოს ეს ამბავი, როგორც მხოლოდ ლეგენდა ან სასწაული; თუმცაღა ის ასევე შეიძლება დამტკიცებული იქნას გადათარგმნილი ტექსტის ყოველი ცალკეული სიტყვის აბსოლუტური სარწმუნოობის გადამოწმებით.

სხვა სიტყვებით, როდესაც მართალია, რომ მასები რეალობიდან გაქცევის სურვილით არიან შეპყრობილნი, რადგან საკუთარ არსობრივ უსახლკარობაში აღარ შეუძლიათ აიტანონ მისი შემთხვევითი, გაუგებარი ასპექტები, მაშინ ასევე მართალია ისიც, რომ მათ ლტოლვას გამოგონილისაკენ გარკვეული კავშირი აქვს ადამიანური გონების იმ უნარებთან, რომლის სტრუქტურული სტაბილურობა აღმატებულია მხოლოდ მოვლენებზე. მასების გაქცევა რეალობისგან განაჩენია იმ სამყაროს მიმართ, რომელშიც ისინი იძულებულნი არიან, იცხოვრონ და რომელშიც მათ არ შეუძლიათ არსებობა, რადგან შემთხვევითობა გამხდარა მისი უმაღლესი ბატონი, ხოლო ადამიანებს სჭირდებათ ქაოტური და შემთხვევითი ვითარებების მუდმივი გარდაქმნა ადამიანისვე შექმნილ, რელატიური სტაბილურობის მოდელად. მასების ამბოხი „რეალიზმის“ წინააღმდეგ, საღი აზრი და „სამყაროს ყველანაირი სარწმუნოობა“ (ბურკე) იყო შედეგი მათი ატომიზაციისა, მათ მიერ სოციალური სტატუსის დაკარგვისა, რასთან ერთადაც მათ დაკარგეს საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელი სივრცე, რომლის შიგნითაც საღ აზრს აქვს აზრი. სულიერი და სოციალური უსახლკარობის მათეულ სიტუაციაში უკვე ვეღარ მუშაობს, არჩევითისა და დაგეგმილის, შემთხვევითისა და აუცილებელის ურთიერთდაქვემდებარებულობის აწონ-დაწონილი განჭვრეტა. ტოტალიტარულ პროგანდას შეუძლია სასტიკად გაუსწორდეს საღ აზრს მხოლოდ იქ, სადაც საღმა აზრმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა. იმ ალტერნატივის წინაშე, რომ ან გაბედულად გაუსწორონ თვალი ანარქიულ ზრდას და სრულ არჩევითობას განადგურებისა, ან კი იდეოლოგიის ყველაზე ხისტ, ფანტასტიკურად გამოგონილ სტაბილუ-

რობას დამორჩილდნენ, მასები ალბათ ყოველთვის ამ უკანასკნელს აირჩევენ და მზად იქნებიან, რომ ამისთვის ინდივიდუალური მსხვერპლი გაიღონ – და ეს არა იმიტომ, რომ ისინი სულელები ან სუსტები არიან, არამედ იმიტომ, რომ საყოველთაო კატასტროფაში ეს გამოსავალი მათ საკუთარი თავის მინიმალურ პატივისცემას აგრძნობინებს.

მაშინ, როდესაც მასების სტაბილურობისაკენ ლტოლვისგან სარგებელის მიღებაში ნაცისტური პროპაგანდა იყო დახელოვნებული, ბოლშევიკურმა მეთოდებმა, თითქოს ლაბორატორიაში ყოფილიყოს, ისე აჩვენა მისი გავლენა იზოლირებულ, მასისადმი მიკუთვნებულ ადამიანზე. საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიცია, რომელიც ასე მონდომებულია, რომ მისმა მსხვერპლებმა აღიარონ თავი დამნაშავედ იმ დანაშაულში, რომელიც არასდროს ჩაუდენიათ, და ხშირ შემთხვევაში არც იყვნენ იმ მდგომარეობაში, რომ ის ჩაედინათ, მათ სრულიად იზოლაციაში აქცევს და გამორიცხავს ყველა რეალურ ფაქტორს, ისე რომ კონკრეტული ლოგიკა, კონკრეტული შინაარსი „ისტორიისა", რომელსაც მომზადებული აღსარება შეიცავს, დაუძლეველი ხდება. სიტუაციაში, სადაც გამყოფი ხაზი გამოგონილსა და რეალობას შორის წაშლილია ბრალდების საშინელებითა და შინაარსით, მუდმივი ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გასაწევად არა მხოლოდ ხასიათის სიმტკიცეა საჭირო, არამედ დიდი რწმენა მიმდევარი ადამიანების – ნათესავების, მეგობრების ან მეზობლების, – არსებობაში, რომლებიც არასდროს დაიჯერებენ „ისტორიას" და მოეთხოვებათ, წინააღმდეგობა გაუწიონ ცდუნებას, ირწმუნონ ბრალეულობის ოდენ აბსტრაქტული შესაძლებლობა.

დარწმუნებულები შეგვიძლია ვიყოთ, რომ ეს უკიდურესობა ხელოვნურად შექმნილი შეშლილობისა შეიძლება მხოლოდ ტოტალიტარულ სამყაროში იქნას მიღწეული. მაშინ, ამგვარად, ის ტოტალიტარული რეჟიმების პროპაგანდის მანქანის ნაწილია, რომლისთვისაც აღსარებები არაა აუცილებელი დასჯის განსახორციელებლად. ბოლშევიკური პროპაგანდა ისევეა დახელოვნებული „აღსარებებში", როგორც ნაცისტური პროპაგანდა იყო დახელოვნებული რეტროსპექტიული და რეტროაქტიული კანონმდებლობით დანაშაულის ლეგალიზაციის გასაოცარ პედანტობაში. ორივე შემთხვევაში მიზანი სტაბილურობაა.

სანამ ისინი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ და სამყაროს მათი მოძღვრების მიხედვით მოაწყობენ, ტოტალიტარული მოძრაობები მომაჯადოვებლად წარმოსახავენ ცრუ სამყაროს სტაბილურობას, რომელიც უფრო შეესაბამება ადამიანური გონების საჭიროებებს, ვიდრე თავად რეალობა; ამ უკანასკნელში, ფესვგამოძირკვულ მასებს წმინდა წარმოსახვის გზით შეუძლიათ თავი საკუთარ სახლში იგრძნონ და გამოთავისუფლდნენ დაუსრულებელი შოკისგან, რომელსაც რეალური ცხოვრება და რეალური გამოცდილება ადამიანებსა და მათ მოლოდინებს სთავაზობს. ძალა, რომელსაც ტოტალიტარული პროპაგანდა ფლობს – ვიდრე [ტოტალიტარულ] მოძრაობებს აქვთ ძალაუფლება, რომ ჩამოაფარონ რკინის ფარდები, რათა არ დაუშვან, რომ ვინმემ სრულიად წარმოსახვითი სამყაროს პირქუში სიჩუმე სულ მცირე რეალობითაც კი დაარღვიოს, – მდგომარეობს

მის უნარში, გამოთიშოს მასები რეალური სამყაროდან. ერთადერთი ნიშან-წყალი, რომელსაც რეალური სამყარო არაინტეგრირებული და დეზინტეგრირებული მასების აზროვნებას ჯერ კიდევ სთავაზობს – რომლებსაც უიღბლობის ყოველი ახალი დარტყმა კიდევ უფრო მიმნდობს ხდის – ასე ვთქვათ, მისი ნაკლულობებია: კითხვები, რომლების საჯაროდ განხილვაც მას არ ადარდებს, ან ჭორები, რომელთა უარყოფასაც ვერ ბედავს, რადგან ისინი, მართალია, გადაჭარბებით და არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გარკვეულ მტკივნეულ შრეებს სწვდება.

ამ მტკივნეული შრეებიდან ტოტალიტარული პროპაგანდის ტყუილები წარმოქმნიან სიმართლის ელემენტებს და რეალურ გამოცდილებას, რომელიც მათ სჭირდებათ, რათა რეალობასა და გამონაგონს შორის არსებულ მორევზე ხიდად გადონ. მხოლოდ ტერორს შეეძლო ოდენ გამონაგონზე ყოფილიყო დამყარებული, და თვით ტოტალიტარული რეჟიმების ტერორით გაძლიერებული ცრუ ფიქციებიც კი ჯერ არ გამხდარა სრულიად არბიტრალური, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვეულებრივ უფრო დაუხვეწავი, უფრო თავხედური, და ასე ვთქვათ, უფრო ორიგინალურია, ვიდრე მოძრაობათა ფიქციები. (რუსეთის რევოლუციის ისეთი გადამუშავებული ვერსიის გასავრცელებლად, რომელშიც კაცი, სახელად ტროცკი, თითქმის არ გვხვდება, როგორც წითელი არმიის მთავარი გენერალი, პროპაგანდის ცოდნა კი არა, ძალაუფლებაა საჭირო.) მეორე მხრივ, მოძრაობების ტყუილები, უფრო მოქნილია. ისინი უკავშირდება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა იმ ასპექტს, რომლებიც საჯარო თვალისაგან დაფარულია. მათ ყველაზე დიდ წარმატებას იქ მიაღწიეს, სადაც ოფიციალურმა ავტორიტეტებმა თავის გარშემო იდუმალების ატმოსფერო შექმნეს. ასეთ შემთხვევაში ისინი მასების თვალში უმაღლესი „რეალიზმის“ რეპუტაციას იხვეჭენ, რადგან იმ რეალურ გარემოებებს ეხებიან, რომელთა არსებობაც დაფარულია. მაღალ საზოგადოებაში სკანდალების, პოლიტიკოსთა კორუფციის გახმაურებები, ყველაფერი, რაც ყვითელ ჟურნალისტიკას განეკუთვნება, მათ ხელში უფრო ძლიერ იარაღად იქცევა, ვიდრე ეს სენსაციური მნიშვნელობაა.

ნაცისტური პროპაგანდის ყველაზე ეფექტური გამონაგონი ებრაელების მსოფლიო შეთქმულების ამბავი იყო. ანტისემიტურ პროპაგანდაზე კონცენტრირება ჩვეულებრივი დემაგოგიის იარაღი იყო ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ხოლო ოციან წლებში ფართოდ გავრცელდა გერმანიასა და ავსტრიაში. რაც უფრო მეტად შეთანხმებულად არიდებდა თავს ებრაელების საკითხზე დისკუსიას ყველა პარტია და საჯარო აზრის შემქმნელი ორგანო, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა ბრბო, რომ ებრაელები იყვნენ არსებული ძალაუფლების ჭეშმარიტი წარმომადგენლები, და რომ ებრაელების საკითხი იყო მთელი სისტემის თვალთმაქცობისა და არაკეთილსინდისიერების სიმბოლო.

ომის შემდგომი ანტისემიტური პროპაგანდის რეალური შინაარსი არ იყო არც ნაცისტების მონოპოლია და არც განსაკუთრებით ახალი და ორიგინალური. ებრაელების მსოფლიო შეთქმულების შესახებ ტყუილები მოცემული იყო

ჯერ კიდევ დრეიფუსის საქმიდან მოყოლებული და ემყარებოდა არსებულ საერთაშორისო ურთიერთობებს და მთელ მსოფლიოში გაბნეული ებრაელი ხალხის ურთიერთდამოკიდებულებას. ებრაელების მსოფლიო ძალის შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენები კიდევ უფრო ძველია; მათმა კვალმა შეიძლება მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე მიგვიყვანოს, როდესაც ებრაელების ბიზნესსა და ერ-სახელმწიფოებს შორის კავშირი თვალსაჩინო გახდა. ებრაელის ბოროტების განსახიერებად წარმოჩენა, როგორც წესი, ემყარება შუა საუკუნეების ცრურწმენებით გაჯერებულ მეხსიერებასა და გადმონაშთებს, თუმცაღა რეალურად მჭიდროდაა დაკავშირებული იმ შედარებით გვიანდელ ორაზროვან როლთან, რომელსაც ებრაელები ევროპულ საზოგადოებაში მათი ემანსიპაციიდან მოყოლებული თამაშობდნენ. ერთი რამ უდავო იყო: ომის შემდგომ პერიოდში ებრაელები უფრო მეტად დაწინაურდნენ, ვიდრე ოდესმე.

თავად ებრაელებს რაც შეეხება, საქმე ისაა, რომ ისინი დაწინაურდნენ და თვალში საცემნი გახდნენ მათი რეალური გავლენისა და ძალაუფლების პოზიციის უკუპროპორციულად. ერი-სახელმწიფოს სტაბილურობისა და ძალის ყოველი დასუსტება უშუალო დარტყმას აყენებდა ებრაელების პოზიციებს. ნაციის მიერ სახელმწიფო კონტროლის ნაწილობრივ ხელში აღებამ ხელისუფლების მანქანისთვის შეუძლებელი გახადა, რომ შეენარჩუნებინა მისი პოზიცია ყველა კლასზე და პარტიაზე, და ამგვარად, ღირებულება დაუკარგა ალიანსს მოსახლეობის ებრაულ ნაწილთან, რომლის მიმართაც იყო მოლოდინი, რომ დარჩებოდა მაღალი საზოგადოებრივი ფენების მიღმა და პარტიული პოლიტიკის მიმართ გულგრილი იქნებოდა. იმპერიულად განწყობილი ბურჟუაზიის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მზარდ ყურადღებასა და მის მზარდ გავლენას სახელმწიფო მექანიზმებზე თან ახლდა ებრაული კაპიტალის უდიდესი სეგმენტის ცივი უარი, რომ ჩართულიყო ინდუსტრიულ მეწარმეობაში და მიეტოვებინა კაპიტალით ვაჭრობის ტრადიცია. ამ ყველაფერმა ერთად აღებულმა, თითქმის წერტილი დაუსვა ებრაელების, როგორც ჯგუფის, სახელმწიფოსთვის გამოსადეგარობას, და მათთვის სოციალური განცალკევებულობის უპირატესობას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ცენტრალური ევროპის ებრაელობა ისეთივე ასიმილირებული და ნაციონალიზებული გახდა, როგორც ფრანგული ებრაელობა მესამე რესპუბლიკის პირველი დეკადის პერიოდში.

თუ რაოდენ ცნობიერად აწუხებდათ სახელმწიფოებს შეცვლილი სიტუაცია, ნათელი გახდა, როდესაც 1917 წელს გერმანიის ხელისუფლებამ, მისდევდა რა ხანგრძლივად ჩამოყალიბებულ ტრადიციას, სცადა გამოეყენებინა თავისი ებრაული მოსახლეობა მოკავშირეებთან დროებითი სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის. ნაცვლად იმისა, რომ გერმანელი ებრაელების საყოველთაოდ აღიარებული ლიდერებისთვის მიემართა, იგი პატარა და შედარებით ნაკლებგავლენიან სიონისტების უმცირესობასთან მივიდა, რომლებსაც ჯერ კიდევ ძველებურად ენდობოდნენ, ზუსტად იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი მოითხოვდნენ, ებრაელ ხალხს მოქალაქეობისგან დამოუკიდებლად ეარსება, ხოლო აქედან გამომდინა-

რე კი, შესაძლოა, მათ მიმართ ყოფილიყო მოლოდინი, რომ ისინი იმ სამსახურს გასწევდნენ, რაც საერთაშორისო კავშირებზე და საერთაშორისო აზრზე იყო დამოკიდებული, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ნაბიჯი გერმანული მთავრობის შეცდომა იყო. სიონისტებმა ისეთი რამ ქნეს, რაც მანამდე არც ერთ ებრაელ ბანკირს არ უქნია; მათ საკუთარი პირობები დათქვეს და მთავრობას განუცხადეს, რომ ისინი სამშვიდობო მოლაპარაკებებს მხოლოდ დაპყრობებისა და კომპენსაციის (annexations and reparations) გარეშე მოახდენდნენ.[31] ძველი ებრაული გულგრილობა პოლიტიკური საკითხებისადმი წარსულს ჩაბარებოდა, უმრავლესობა ვეღარ იქნებოდა გამოყენებული მას შემდეგ, რაც ის აღარ იყო დისტანცირებული ერისგან, ხოლო სიონისტების უმცირესობა კი უსარგებლო იყო, რადგან მათ საკუთარი პოლიტიკური იდეები ჰქონდათ.

მონარქიული მმართველობების რესპუბლიკებით ჩანაცვლებამ ცენტრალურ ევროპაში დაასრულა ცენტრალური ევროპის ებრაელობის დეზინტეგრაცია, ზუსტად ისე, როგორც ეს საფრანგეთში მესამე რესპუბლიკის დამყარებამ დაახლოებით ორმოცდაათი წლით ადრე მოახდინა. ებრაელებს გავლენის დიდი წილი უკვე დაკარგული ჰქონდათ, როდესაც ახალი მმართველობები ისეთ პირობებში ჩამოყალიბდა, რომელშიც მათ საკუთარი ებრაული მოსახლეობის დასაცავად არც ძალაუფლება ჰქონდათ და არც ინტერესი. ვერსალში სამშვიდობო მოლაპარაკებებისას ებრალები ძირითადად ექსპერტებად გამოიყენებოდნენ და თავად ანტისემიტებმაც კი აღიარეს, რომ ომის შემდგომ პერიოდში წვრილ ებრაელ ყალთაბანდებს, ძირითადად ახლადჩამოსულებს (რომელთა თაღლითური საქმიანობების უკან, რაც მათ მკვეთრად განასხვავებდა მკვიდრი თანააღმსარებლებისაგან, იდგა დამოკიდებულება, რომელიც უცნაურად ჰგავდა თავიანთი გარემოცვის სტანდარტებისადმი ებრაელების ძველ გულგრილობას) არ ჰქონდათ კავშირი სავარაუდო ებრაული ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან.[32]

დიდძალ კონკურენტ ანტისემიტ ჯგუფებს შორის და ანტისემიტიზმით გაჟღენთილ ატმოსფეროში, ნაცისტურმა პროპაგანდამ განავითარა ამ საკითხისადმი მიდგომის ისეთი მეთოდი, რომელიც ყველასაგან განსხვავებული იყო და ყველას სჯობდა. თუმცაღა, არც ერთი ნაცისტური სლოგანი არ იყო ახალი – თავად ჰიტლერის გონებამახვილური სურათიც კი ებრაელი ბიზნესმენის მიერ გამოწვეული კლასობრივი ბრძოლის შესახებ: ებრაელი ბიზნესმენი თავისი მუშების ექსპლუატაციას ეწევა, მაშინ როდესაც იმავე დროს მისი ძმა ქარხანის ეზოში ამ უკანასკნელთ გაფიცვისკენ მოუწოდებს.[33] ერთადერთი ახალი ელემენტი ის იყო, რომ

31 იხ. ხაიმ ვაიცმანის ავტობიოგრაფია, *სასამართლო და შეცდომა*, ნიუ-იორკი, 1949, გვ. 185.

32 მაგალითისთვის იხ. ოტო ბონჰარდი, *ებრაული ფულის ბატონობა და მსოფლიო ბატონობა?*, 1926, გვ. 57.

33 ჰიტლერმა პირველად ეს სურათი 1922 წელს გამოიყენა: „მოსე კონი ერთ მხარეს თავის ასოციაციას აგულიანებს უარი თქვან მუშების მოთხოვნებზე, მაშინ როდესაც მისი ძმა ისააკი ქარხანაში მასებს გაფიცვისკენ მოუწოდებს.“ (ჰიტლერის სიტყვით გამოსვლები:

ნაცისტების პარტიამ მოითხოვა არაებრაული წარმომავლობის დადასტურება [პარტიის] წევრობისთვის და, მიუხედავად ფედერის პროგრამისა,[34] უკიდურესად ბუნდოვანი დარჩა ის რეალური ზომები, რომლებსაც ებრაელების წინააღმდეგ მიიღებდნენ, როცა პარტია ხელისუფლებაში მოვიდოდა.[35] ნაცისტებმა ებრაელების საკითხი თავისი პროპაგანდის ცენტრში იმგვარად დააააყენეს, რომ ანტისემიტიზმი უკვე ადამიანების უმრავლესობისგან განსხვავების შესახებ შეხედულებების საკითხი, ან ნაციონალური პოლიტიკის პრობლემა კი აღარ იყო,[36] არამედ თოთოეული ინდივიდის საკუთარ პიროვნულ არსებობასთან დაკავშირებული შინაგანი წუხილი; ვერავინ იქნებოდა [პარტიის] წევრი, ვისი „საგვარეულო ხეც“ არ იყო წესრიგში, და რაც უფრო მაღალი იყო თანამდებობა ნაცისტურ იერარქიაში, მით უფრო შორეულ ფესვებამდე უნდა გამოკვლეულიყო საგარეულო ხე.[37] იმავე

1922-1939, გამოცემული ბაინეს მიერ, ლონდონი, 1942, გვ. 29). აღსანიშნავია, რომ ნაცისტურ გერმანიაში ჰიტლერის სიტყვით გამოსვლების არც ერთი სრული კრებული არ გამოსულა, ასე რომ, მავანი იძულებულია ინგლისურ გამოცემას მიმართოს. ეს რომ შემთხვევით არ მომხდარა, კარგად ჩანს ფილიპ ბუჰლერის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიიდანაც *ფიურერის სიტყვით გამოსვლები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ*, 1940: მხოლოდ საჯარო გამოსვლები დაიბეჭდა სიტყვა-სიტყვით Völkischer Beobachter-ში. რაც შეეხება ფიურერის საჯარისო დანაყოფებისა და სხვა პარტიული ერთეულებისადმი მიმართულ სიტყვებს, ისინი მხოლოდ „მოხსენიებული“ იყო გაზეთებში. ისინი არასდროს ყოფილა გამოსაქვეყნებლად გამიზნული.

34 ფედერის პროგრამა – გოტფრიდ ფედერის პროგრამა NSDAP-თვის (მთარგმნ. შენიშვნა).

35 ფედერის 25 ქულა შეიცავს მხოლოდ სტანდარტულ ზომებს, რასაც ყველა ანტისემიტური ჯგუფი ითხოვდა: [გერმანიის] მოქალაქეობის მქონე ებრალების გაგდებას და მკვიდრი ებრალებისადმი უცხოელებივით მოპყრობას. ნაცისტური ანტისემიტური რიტორიკა ყოველთვის უფრო რადიკალური იყო იყო, ვიდრე მისი პროგრამა.
ვალდემარ გურიანი ესსეში „ანტისემიტიზმი თანამედროვე გერმანიაში“, კრებულში *ესეები ანტისემიტიზმზე*, გამოცემული კოპელ ს. პინსონის მიერ, ნიუ-ოირკი, 1946, გვ. 243, ხაზს უსვამს ნაცისტურ ანტისემიტიზმში ორიგინალურობის ნაკლებობას: „არც ერთი ეს მოთხოვნა და თვალსაზრისი ორიგინალურობით არ იყო გამორჩეული – ისინი ცხადი იყო ყველა ნაციონალისტურ წრეში; ის, რაც გამორჩეული იყო, ესაა დემაგოგიური და ორატორული უნარები, რომლებითაც მათ წარადგენდნენ“.

36 თავად ნაცისტურ მოძრაობაში წმინდა ნაციონალისტური ანტისემიტიზმის ტიპური მაგალითია ერნსტ როემი, რომელიც წერს: „და აქ ისევ ჩემი მოსაზრება განსხვავდება ნაციონალური ფილისტერის თვალსაზრისისაგან. ყველაფერი ებრაელის ბრალი არაა! ჩვენი ბრალია ის ფაქტი, რომ დღეს ებრაელს შეუძლია [გვ]მართოს (ერნსტ როემი, მოღალატეების ისტორია, 1933, სახალხო გამოცემა, გვ. 284).

37 SS-ის აპლიკანტებს თავიანთი წინაპრების კვალი 1750 წლამდე უნდა მოეძიათ. პარტიის ხელმძღვანელ პოზიციებზე მისაღებ აპლიკანტებს მხოლოდ სამ კითხვას უსვამდნენ 1. რა გაგიკეთებიათ პარტიისთვის? 2. ხართ თუ არა აბსოლუტურად ჯანმრთელი ფიზიკურად, მენტალურად, მორალურად? 3. წესრიგშია თუ არა თქვენი საგვარეულო ხე? იხილეთ *ნაცისტური ანბანი*.

მიზეზით, თუმცაღა ნაკლებ თანმიმდევრულად, ბოლშევიზმმა პროლეტარიატის გარდაუვალი საბოლოო გამარჯვების შესახებ მარქსისტული მოძღვრება იმით შეცვალა, რომ თავის წევრები „პროლეტარებად დაბადებულის“ ნიშნით დააკომპლექტა და განსხვავებული კლასობრივი წარმომავლობა სამარცხვინოდ და სკანდალურად აქცია.[38]

ნაცისტური პროპაგანდა იმდენად გამჭრიახი იყო, რომ ანტისემიტიზმი თვითგანსაზღვრის პრინციპად გადააქცია, და შესაბამისად, გამორიცხა იგი მხოლოდ მოსაზრების მერყევი სფეროდან. იგი მასობრივი დემაგოგიის დამარწმუნებლობას მხოლოდ როგორც მომამზადებელ ნაბიჯს იყენებდა და არასდროს შეუფასებია გადაჭარბებით მისი გავლენის ხანგრძლივობა, არც ორატორული და არც ბეჭდური ფორმით.[39] ამან ატომიზირებული, განუსაზღვრელი, არამდგრადი და უმაქნისი ინდივიდების მასებს საშუალება მისცა თვითგანსაზღვრისა და იდენტიფიცირებისა, რამაც არა მხოლოდ განაახლა მათი საკუთარი თავისადმი პატივისცემა, რომელიც საზოგადოებაში მათი ოდინდელი ფუნქციიდან მომდინარეობდა, არამედ ასევე შექმნა გარკვეული სახის ყალბი სტაბილურობა, რომელმაც ისინი ორგანიზაციისათვის უკეთეს კანდიდატებად აქცია. ასეთი სახის პროპაგანდით [ტოტალიტარულმა] მოძრაობამ შეძლო ჩამოყალიბებულიყო მასობრივი შეკრების ხელოვნურ გაგრძელებად და გაეცნობიერებინა არსებითად ფუჭი შეგრძნებები საკუთარი მნიშვნელობისა და ისტერიული დაცულობის შესახებ, რასაც იგი ატომიზებული საზოგადოების იზოლირებულ ინდივიდებს სთავაზობდა.[40]

სხვათა მიერ მანამდე შექმნილი და ადრე გამოყენებული სლოგანების ასეთივე გამჭრიახი გამოყენება აშკარა იყო სხვა რელევანტური საკითხებისადმი

ორ სისტემას შორის ნათესაობაზე მეტყველებს ისიც, რომ ბოლშევიკების ელიტური და პოლიციური ფორმაციები – NKVD – ასევე მოითხოვდნენ თავისი წევრებისგან წარმომავლობის დამტკიცებას. იხილეთ ფ. ბეკი და ვ. გოდინი, რუსული წმენდა და აღსარებების გამოძალვა, 1951.

38 ამგვარად, შეერთებულ შტატებში მაკკარტიზმის ტოტალიტარული ტენდენციები არა მხოლოდ კომუნისტების დევნის მცდელობაში გამოჩნდა ყველაზე მკაფიოდ, არამედ ყველა მოქალაქის იძულებაში, მოეტანათ დამამტკიცებელი საბუთი, რომ კომუნისტები არ იყვნენ.

39 „მავანმა გადაჭარბებით არ უნდა შეაფასოს პრესის გავლენა..., ზოგადად იგი იკლებს როგორც კი ორგანიზაციის გავლენა მატულობს“ (ჰადამოვსკი, ციტირებული ნაშრომი, გვ. 64). „გაზეთები უსუსურები არიან მაშინ, როდესაც მათ ცოცხალი ორგანიზაციის აგრესიული ძალის წინააღმდეგ უწევთ ბრძოლა“ (იქვე. გვ. 65). „ძალაუფლებრივი ფორმაციები, რომლებსაც თავისი საწყისები მხოლოდ პროპაგანდაში მოეპოვებათ, მერყეობენ და შეიძლება სწრაფად გაქრნენ, თუკი პროპაგანდას ორგანიზაციის ძალადობრივი ქმედებები არ უჭერს მხარს“ (იქვე, გვ. 21).

40 „მასობრივი შეკრებები პროპაგანდის ყველაზე ძლიერი ფორმაა.... [ვინაიდან] თითოეული ინდივიდი უფრო თავდავიწყებულად და ძლევამოსილად გრძნობს თავს მასის ერთიანობაში (იქვე. გვ.47). „წამიერი ენთუზიაზმი გარდაიქმნება პრინციპად და სულიერ მიდგომად ორგანიზების, სისტემატური წვრთნისა და დისციპლინის მეშვეობით“ (იქვე, გვ. 21-22).

ნაცისტების დამოკიდებულებაში. მაშინ, როდესაც საზოგადოების ყურადღება ერთნაირად იყო მიმართული, ერთი მხრივ, ნაციონალიზმზე და მეორე მხრივ, სოციალიზმზე, როდესაც ეს ორი განიხილებოდა როგორც შეუთავსებელი და რეალურად ქმნიდა იდეოლოგიურ წყალგამყოფს მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის, „გერმანელ მშრომელთა ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ“ (ნაცისტებმა), [საზოგადოებას] შესთავაზა სინთეზი, რომელსაც იგი ეროვნული ერთიანობისკენ უნდა წაეყვანა, სემანტიკური გამოსავალი, რომლის ორმაგმა სამარკო ნიშანმა – „გერმანელი“ და „მშრომელი“ – მემარჯვენეების ნაციონალიზმი მემარცხენეების ინტერნაციონალიზმთან დააკავშირა. თვითონ ნაცისტური მოძრაობის სახელმა ყველა სხვა პარტიის პოლიტიკური შინაარსი მოიპარა და პრეტენზია გამოაცხადა, რომ შინაგანად ყველა მათგანს თავის თავში აერთიანებდა. ანტაგონისტური პოლიტიკური დოქტრინების სავარაუდო კომბინაცია (ნაციონალ-სოციალისტი, ქრისტიან-სოციალისტი და ა.შ.) უკვე მანამდეც ნაცადი იყო, და წარმატებით; მაგრამ ნაცისტებმა თავიანთი საკუთარი კომბინაცია ისე განახორციელეს, რომ პარლამენტში მთელი ბრძოლა სოციალისტებსა და ნაციონალისტებს შორის, ანუ მათ შორის, ვისაც უწინარესად მუშად მოჰქონდა თავი და მათი, ვინც უპირველეს ყოვლისა, გერმანელი იყო, ისე გამოჩნდა, როგორც ფარული ავბედითი მოტივების შემნიღბავი ფარსი – განა ნაცისტური მოძრაობის წევრი ყველაფერი ეს ერთდროულად არ იყო?

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მათი მოძრაობის დასაწყისშიც, ნაცისტები საკმარისად წინდახედულნი იყვნენ იმისათვის, რომ არასდროს გამოეყენებინათ ისეთი სლოგანები, რომლებიც მსგავსად დემოკრატიისა, რესპუბლიკისა, დიქტატურისა ან მონარქიისა, მმართველობის კონკრეტულ ფორმაზე მიანიშნებდა.[41] თითქოს უკვე ყოველთვის იცოდნენ, რომ სრულიად ორიგინალურები მხოლოდ ამ ერთ საკითხში იქნებოდნენ. ნებისმიერ დისკუსია მათი სამომავლო მმართველობის ფორმის შესახებ შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო როგორც ცარიელი საუბარი მხოლოდ ფორმალობებზე – სახელმწიფო, ჰიტლერის თანახმად, იყო მხოლოდ „საშუალება“ რასის [სიწმინდის] შესანარჩუნებლად, მაშინ როდესაც სახელმწიფო ბოლშევიკების პროპაგანდის მიხედვით, მხოლოდ ინსტრუმენტია კლასობრივ ბრძოლაში.[42]

41 იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჰიტლერი ამ საკითხით საერთოდ ინტერესდებოდა, იგი ხაზს უსვამდა ხოლმე: „სხვათა შორის, მე სახელმწიფოს მეთაური დიქტატორის ან მონარქის გაგებით კი არ ვარ, არამედ მე ვარ გერმანელი ხალხის ლიდერი“ (იხ. *ფიურერის რჩეული სიტყვითი გამოსვლები,* 1939, გვ. 114). – ჰანს ფრანკიც იგივე სულისკვეთებით გამოხატავს თავის აზრს: „ნაციონალ-სოციალისტური რაიხი არაა დიქტატორული რეჟიმი, რომ აღარაფერი ითქვას ტირანულობაზე. ნაცვლად ამისა, ნაციონალურ-სოციალისტური რაიხი დაფუძნებულია ფიურერისა და ხალხის ორმხრივ ლოიალობაზე“ *(სამართალი და მართვა,* მიუნხენი, 1939, გვ.15).

42 ჰიტლერმა ბევრჯერ გაიმეორა: „სახელმწიფო მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა. მიზანი კი – რასის შენარჩუნებაა“ (*სიტყვით გამოსვლები*, 1939, გვ. 125). იგი ასევე ხაზს უსვამდა, რომ მისი მოძრაობა „არ ეფუძნება სახელმწიფოს იდეას, არამედ პირველ

თუმცა, კიდევ ერთი საკვირველი და შემოვლითი გზით, ნაცისტებმა მოგვცეს პროპაგანდის პასუხი კითხვაზე, თუ რა იქნებოდა მათი მომავალი როლი, და ეს იყო მათ მიერ „სიონის უხუცესთა პროტოკოლების“ მოდელად გამოყენება გერმანული მასების „მსოფლიო იმპერიად“ სამომავლო ორგანიზებისთვის. პროტოკოლებს მხოლოდ ნაცისტები არ იყენებდნენ; ომის შემდგომ გერმანიაში მისი ასობით ათასობით ასლი იყიდებოდა, და არც პოლიტიკის სახელმძღვანელოდ მისი ღიად ადაპტირება იყო ახალი.[43] მიუხედავად ამისა, ეს შეთითხნილი დოკუმენტი, ძირითადად, ებრაელების დასმენის მიზნით და ებრაული ბატონობის საფრთხის წინააღმდეგ ბრბოს ასამხედრებლად გამოიყენებოდა.[44] პირდაპირი პროპაგანდის

რიგში დამყარებულია ჩაკეტილ *Volksgemeinschaft*-ზე (იხ. *სიტყვით გამოსვლები*, 1933, გვ, 125, და სიტყვა, წარმოთქმული ახალი თაობის ლიდერების პოლიტიკური წინაშე [*Führernachwuchs*], 1937, რომელიც დაბეჭდილია დანართის სახით *Hitlers Tischgespräche*-ში, გვ. 446). *ეს mutatis mutandis,* ასევე დედაარსია იმ რთული ორაზროვანი საუბრისა, რომელიც სტალინის ეგრეთ წოდებული „სახელმწიფო თეორიაა“: „ჩვენ მხარს ვუჭერთ სახელმწიფოს გაუქმებას, და ამავე დროს მხარს ვუჭერთ პროლეტარიატის დიქტატურის გაძლიერებას, რომელიც სახელმწიფოს ყველა ფორმათაგან ყველაზე ძლიერ და ძლევამოსილ ავტორიტეტს წარმოადგენს, რომელსაც კი დღემდე უარსებია. სახელმწიფოს ძალაუფლების განვითარება უმაღლეს შესაძლო დონემდე იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს გაუქმების პირობები მომზადდეს – ეს მარქსისტული ფორმულაა“ (*ციტირებული ნაშრომი, ციტირებული ადგილი*).

43 ალექსანდერ შტაინი ნაშრომით *ადოლფ ჰიტლერი, „სიონის ბრძენთა“ მოსწავლე*, კარლსბადი, 1936, პირველი იყო, ვინც ფილოლოგიური კუთხით გაანალიზა ნაცისტების მოძღვრების იდეოლოგიური იდენტობა „სიონის უხუცესთა“ სწავლებასთან. იხ. ასევე რ. მ. ბლანკი, *ადოლფ ჰიტლერი და „სიონის უხუცესთა პროტოკოლები“*, 1938.
პირველი, ვინც აღიარა, რომ პროტოკოლების მოძღვრებისგან იყვნენ დავალებულნი, იყო თეოდორ ფრიჩი – ომის შემდგომი გერმანული ანტისემიტიზმის წარმომადგენელი „დიდი მოხუცი კაცი“. 1924 წლის პროტოკოლების მისეულ გამოცემის ეპილოგში წერს: „ჩვენ მომავალ სახელმწიფო მოღვაწეებს და პოლიტიკოსებს მოუწევთ ისწავლონ ბოროტმოქმედების აღმოსავლელი ოსტატებისგან მმართველობის ანბანიც კი, ხოლო ამ მიზნით „სიონისტური პროტოკოლები“ შესანიშნავი მოსამზადებელი სკოლაა“.

44 პროტოკოლების ისტორიის შესახებ იხილეთ ჯონ ს. კურტისი, *სიონის პროტოკოლების შეფასება*, 1942.
იმ ფაქტს, რომ პროტოკოლები შეთითხნილი იყო, პროპაგანდის მიზნებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. რუსმა პუბლიცისტმა ს. ა. ნილუსმა, რომელმაც 1905 წელს მისი მეორე რუსული გამოცემა გამოაქვეყნა, უკვე კარგად იცოდა ამ „დოკუმენტის“ საეჭვო ხასიათის შესახებ და დაამატა ის, რაც ისედაც ცხადი იყო: „მაგრამ შესაძლებელი რომ იყოს დოკუმენტებით ან სარწმუნო მოწმეების ჩვენებებით მისი ავთენტურების ჩვენება, შესაძლებელი რომ იყოს იმ ადამიანების მხილება, ვინც ამ მსოფლიო მასშტაბის შეთქმულების სათავეში დგანან... მაშინ ... „საიდუმლო ბოროტმოქმედება გაცამტვერდებოდა ..“ თარგმანი მოძიებულია კურტესის *ციტირებულ ნაშრომში.*
ჰიტლერს იგივე ხრიკის გამოსაყენებად არ სჭირდებოდა ნილუსი: მათი [პროტოკოლების] ავთენტურობის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის იყო, რომ მათი გაყალბებულობა დამტკიცდა. და იგი ასევე ამატებს მათი „დამაჯერებლობის“ არგუმენტს: „ის, რასაც ბევრი ებრაელი გაუცობიერებლად აკეთებს, აქ ცნობიერადაა

პირობებში ნაცისტებმა აღმოაჩინეს, რომ მასებს ებრაელების მსოფლიო ბატონობა იმდენად კი არ აშინებდათ, რამდენადაც აინტერესებდათ, თუ როგორ შეიძლებოდა ის განხორციელებულიყო, რომ პროტოკოლების პოპულარობა უფრო მეტად აღტაცებასა და მეტის გაგების სურვილს ეფუძნებოდა, ვიდრე სიძულვილს; და რომ ჭკვიანური იქნებოდა ნაცისტები შეძლებისდაგვარად ახლოს დარჩენილიყვნენ პროტოკოლების ზოგიერთ გამორჩეულ ფორმულირებასთან, როგორც ეს ცნობილი სლოგანის შემთხვევაშია: „სწორია ის, რაც კარგია გერმანელი ხალხისათვის," რაც პროტოკოლების ფორმულირებიდან იყო გადმოღებული: „ყველაფერი, რაც ხელსაყრელია ებრაელი ხალხისათვის, არის მორალურად სწორი და წმინდა."[45]

პროტოკოლები მრავალი თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებო დოკუმენტია. მიუხედავად იაფფასიანი მაკიაველიზმისა, მათი არსებითი პოლიტიკური მახასიათებელია, რომ თავისი ექსცენტრიული მანერით ისინი ეპოქის ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხს ეხება. პროტოკოლები არსებითად ანტინაციონალურია და ერ-სახელმწიფოს გვიხატავენ როგორც კოლოსს თიხის საფუძველით. ისინი უარყოფენ ეროვნულ სუვერენიტეტს და სჯერათ ნაციონალურ საფუძველზე შექმნილი მსოფლიო იმპერიისა, როგორც ეს ჰიტლერმა ერთხელ თქვა.[46] ისინი არ კმაყოფილდებიან რევოლუციით ცალკეულ ქვეყანაში, არამედ გამიზნული აქვთ მსოფლიოს დაპყრობა და მსოფლიო ბატონობა. ისინი ხალხს ჰპირდებიან, რომ, მიუხედავად რაოდენობითი, ტერიტორიული, და სახელმწიფოს ძალაუფლებრივი უპირატესობისა, ისინი შეძლებენ, მხოლოდ ორგანიზების საშუალებით მიაღწიონ მსოფლიოს დაპყრობას. სიმართლე რომ ითქვას, მათი დამარწმუნებელი ძალა სათავეს იღებს ცრურწმენის ძალიან ძველი ელემენტებისგან. იდეა საერთაშორისო სექტის უწყვეტად არსებობის შესახებ, რომელიც იმავე რევოლუციურ მიზნებს ისახავს, ანტიკურობიდან მოყოლებული, ძალიან ძველია[47] და პოლიტიკურ კულისებზე შექმნილ ლიტერატურაში მუდმივად დიდ როლს თამაშობდა საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, მიუხედავად იმისა, რომ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს არც ერთ მწერალს არ მო-

გაცხადებული და სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი" (*ჩემი ბრძოლა,* წიგნი I, თავი II).

45 ფრიჩი, ციტირებული ნაშრომი, „[ებრაელების] უმაღლესი საფუძველდებულებაა: 'ყველაფერი, რაც ებრაელ ხალხს სარგებელს მოუტანს, მორალური და წმინდაა'."

46 „მსოფლიო იმპერიები ნაციონალური საფუძვლიდან წარმოიშობიან, მაგრამ მალევე სცდებიან მის საზღვრებს" (*სიტყვით გამოსვლები*).

47 ანრი როლინი (*ჩვენი დროის აპოკალიპსი*, პარიზი, 1939) თვლის, რომ პროტოკოლების პოპულარობა მხოლოდ ბიბლიისას ჩამორჩება (გვ.40), აჩვენებს მსგავსებას მათსა და Monita Secreta-ს შორის, რომელიც პირველად 1612 წელს გამოქვეყნდა და 1939 წელს ჯერ ისევ იყიდებოდა პარიზის ქუჩებში. Monita Secreta აცხადებდა, რომ სააშკარაოზე გამოიტანა იეზუიტთა შეთქმულება, „რომელიც ამართლებდა ყველანაირ ბოროტმოქმედებას და ძალადობის ყველანაირ გამოყენებას... ეს არსებული წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი კამპანიაა" (გვ. 32).

უვიდოდა თავში აზრად, რომ „რევოლუციური სექტა“, ეს „განსაკუთრებული ერი ... ყველა ცივილიზებულ ერთა შორის“ შეიძლებოდა ებრაელები ყოფილიყვნენ.[48]

გლობალური შეთქმულების მოტივი იყო პროტოკოლებში ის, რაც ყველაზე მეტად იზიდავდა მასებს და რაც ასე კარგად შეესაბამებოდა ახალ ძალაუფლებრივ სიტუაციას. (ჰიტლერმა ძალიან ადრე დადო პირობა, რომ ნაცისტური მოძრაობა „გადალახავდა თანამედროვე ნაციონალიზმის ვიწრო საზღვრებს,“[49] ხოლო ომის დროს კი SS-ის შიგნით ადგილი ჰქონდა მცდელობებს, რომ სიტყვა „ნაცია“ ნაციონალ-სოციალისტების ლექსიკონიდან საერთოდ ამოეშალათ). მხოლოდ მსოფლიო სახელმწიფოებს თითქოს ჯერ კიდევ ჰქონდათ შანსი, დარჩენილიყვნენ დამოუკიდებლებად, და მხოლოდ გლობალურ პოლიტიკას თითქოს ჯერ კიდევ ჰქონდა შესაძლებლობა მოეტანა ხანგრძლივი შედეგები. თავისთავად ცხადია, რომ ეს სიტუაცია იმ მცირე ერებს შეაშინებდა, რომლებიც მსოფლიო სახელმწიფოებს არ მიეკუთვნებოდნენ. პროტოკოლები თითქოს აჩვენებდა გამოსავალს,

48 მთელი ეს ლიტერატურა კარგადაა წარმოდგენილი შევალიე დე მალეს ნაშრომში *პოლიტიკური და ისტორიული გამოკვლევები, რომლებიც ადასტურებს ერთი რევოლუციური სექტის არსებობას*, 1817, რომელიც ვრცლად ციტირებს ადრეულ ავტორებს. საფრანგეთის რევოლუციის გმირები მისთვის „საიდუმლო სააგენტოს“ „მანეკენები,“ თავისუფალი მასონების აგენტები არიან. მაგრამ თავისუფალი მასონობა მხოლოდ სახელია, რომელიც მისმა თანამედროვეებმა „რევოლუციურ სექტას“ შეარქვეს, რომელიც ყველა დროში არსებობდა და რომლის ქცევის ტაქტიკაც ყოველთვის იყო თავდასხმა „კულისებში დარჩენით, იმ მარიონეტთა ძაფების მანიპულირებით, რომელთა სცენაზე გამოჩენაც შესაფერისი იქნებოდა.“ იგი შემდეგი განცხადებით იწყებს: „სავარაუდოდ, რთული იქნება, დავუჯეროთ გეგმას, რომელიც ანტიკურ ხანაში შემუშავდა და რომელსაც ყოველთვის ერთნაირი ურყევობით მისდევდნენ: ... რევოლუციის ავტორები არ არიან უფრო ფრანგები, ვიდრე გერმანელები, იტალიელები, ინგლისელები და ა.შ. ის არის განსაკუთრებული ერი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა წყვდიადში, ყველა ცივილიზებულ ერთა შორის, იმ მიზნით, რომ ყველანი საკუთარ ბატონობას დაუმორჩილოს.“
ამ ლიტერატურის ფართო განხილვისთვის, იხილეთ ე. ლესური, *თავისუფალი მასონობა ხელოვნებაში მეთვრამეტე საუკუნეში,* რევოლუციის ისტორიის ბიბლიოთეკა *[La Franc-Maçonnerie Artésienne au 18-ème siècle*, Bibliotique d'Histoire Révolutionnaire] 1914. თუ როგორი სიცოცხლისუნარიანია თვითონ ეს შეთქმულების ლეგენდები ჩვეულებრივ პირობებშიც კი, კარგად ჩანს საფრანგეთში გამოცემული უზარმაზარი ანტიმასონური სულელური ლიტერატურის მაგალითზე, რომელიც მოცულობით არაფრით არ ჩამოუვარდება მის ანტისემიტურ ორეულს. ყველა იმ თეორიის მოკლე რეზიუმე, რომლებსაც საფრანგეთის რევოლუცია საიდუმლო კონსპირაციული საზოგადოებების შედეგად მიაჩნდა, შეიძლება მოძიებულ იქნას გ. ბორდის წიგნში *თავისუფალი მასონობა საფრანგეთში დასაბამიდან 1815 წლამდე,* 1908.

49 *სიტყვით გამოსვლები.* – იხილეთ ბერლინში SS-ის შტაბ-ბინაში 1943 წლის 12 იანვარს შრომის საკითხებზე გამართული SS-ის კომიტეტის სხდომის ტრანსკრიპტი, სადაც გამოითქვა მოსაზრება, რომ სიტყვა „ნაცია“ ლიბერალიზმის თანამნიშვნელობით დატვირთული ცნება იყო და იგი უნდა აღმოფხვრილიყო, როგორც გერმანელი ხალხისათვის შეუფერებელი. (დოკუმენტი 705 – PS წიგნში *ნაცისტური კონსპირაცია და აგრესია*, V, 515).

რომელიც არ იყო დამოკიდებული ობიექტურ, უცვლელ გარემოებებზე, არამედ მხოლოდ ორგანიზების ძალაზე.

სხვა სიტყვებით, ნაცისტურმა პროპაგანდამ გერმანელი მსოფლიო მბრძანებლის წინამორბედი „ძლიერი ნაციონალური ებრაელის წყალობით ზენაციონალურში“[50] აღმოაჩინა და დაარწმუნა მასები, რომ „ერები, რომლებიც პირველები მიუხვდებოდნენ ებრაელებს ჩანაფიქრს და პირველები დაიწყებდნენ მათთან ბრძოლას, დაიკავებდნენ მათ ადგილს მსოფლიო ბატონობაში.“[51] ებრაელების მსოფლიო ბატონობის შესახებ უკვე არსებული ბოდვა გახდა საფუძველი მომავალი გერმანული მსოფლიო ბატონობის ილუზიისა. ეს იყო ის, რასაც ჰიმლერი გულისხმობდა, როდესაც განაცხადა: „ჩვენ მმართველობის ფორმას ებრაელებს ვუმადლით,“ სახელდობრ, პროტოკოლებს, რომლებიც „ფიურერმა გულდასმით შეისწავლა.“[52] ამგვარად, პროტოკოლები მსოფლიოს დაპყრობას წარმოსახავდნენ როგორც პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობდა, რომ მთელი საქმე მხოლოდ გულანთებული თუ გონებამახვილური პრაქტიკული ცოდნის საკითხი იყო, და რომ მთელ მსოფლიოში არავინ ეღობებოდა წინ გერმანელების გამარჯვებას გარდა თვალსაჩინოდ მცირე ხალხისა, ებრაელებისა, რომლებიც მთელ მსოფლიოზე ბატონობდნენ ძალადობის ინსტრუმენტების ფლობის გარეშე და იოლ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდნენ, შესაბამისად, როგორც კი მათი საიდუმლო აღმოაჩინეს, მეთოდებშიც უფრო დიდი მასშტაბით გაეჯიბრნენ.

ნაცისტურმა პროპაგანდამ ყველა ამ ახალ და დამაიმედებელ პერსპექტივებს ერთ ცნებაში მოუყარა თავი, რომელსაც ისინი Volksgemeinschaft-ს უწოდებდნენ. ეს ახალი ერთობა, რაც წინდაწინ უკვე რეალიზებული იყო ნაცისტური მოძრაობის პროლეტარულ ატმოსფეროში, ემყარებოდა ყველა გერმანელის აბსოლუტურ თანასწორობას, თანასწორობას არა უფლებების, არამედ ბუნების საფუძველზე, და მათ აბსოლუტურ განსხვავებულობას ყველა სხვა ხალხისაგან.[53] მას შემდეგ, რაც ნაცისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ამ ცნებამ თანდათანობით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და გზა დაუთმო, ერთი მხრივ,[54] გერმანელი ხალ-

50 *ჰიტლერის სიტყვით გამოსვლები,* გამოცემული ბეინესის მიერ, გვ. 6.

51 გებელსი, *ციტირებული ნაშრომი,* გვ. 377. ეს დაზუსტება, რომელიც ნაცისტური ტიპის ყველა ანტისემიტურ პროპაგანდაში ნაგულისხმები იყო, შემზადებული იქნა ჰიტლერის გამონათქვამით: „არიელის ყველაზე უკიდურესი საპირისპირო ებრაელია“ *(ჩემი ბრძოლა*, წიგნი I, თავი II).

52 კერსტენის დოსიე, ებრაელთა დოკუმენტაციის ცენტრი [Centre de Documentation Juive].

53 ჰიტლერის ადრეული დაპირება (*სიტყვითი გამოსვლები*), „მე არასდროს ვაღიარებ, რომ სხვა ერებს იგივე უფლებები აქვთ, რაც გერმანელებს“ ოფიციალურ დოქტრინად იქცა: „ნაციონალ-სოციალისტური თვალთახედვის საფუძველი ცხოვრებაში ადამიანების განსხვავებულობის აღქმაშია“ *(ნაცისტური ანბანი*, გვ. 5).

54 მაგალითისთვის, ჰიტლერის სიტყვები 1923 წელს: „გერმანელი ხალხის ერთი მესამედი გმირია, მეორე მესამედი – ლაჩარი, ხოლო დანარჩენები კი გამყიდველები

ხის ათვალწუნებას (რასაც ნაცისტები ყოველთვის ფარავდნენ, რადგან მანამდე არ შეეძლოთ საჯაროდ მისი დემონსტრირება), ხოლო მეორე მხრივ, დიდ მისწრაფებას, თავისი რიგები სხვა ნაციების „არიელებით“ გაეფართოვებინათ, იდეა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლამდელ პერიოდში მხოლოდ მცირე როლს თამაშობდა ნაცისტურ პროპაგანდაში.[55] Volksgemeinschaft იყო მხოლოდ პროპაგანდისტული მომზადება „არიული“ რასობრივი საზოგადოებისა, რომელიც საბოლოოდ ყველა ხალხს სასიკვდილოდ გაწირავდა გერმანელების ჩათვლით.

გარკვეულ დონემდე, Volksgemeinschaft-ი იყო ნაცისტების მცდელობა, ჩაენაცვლებინათ კომუნისტური დაპირება უკლასო საზოგადოების შესახებ. ერთი მეორისადმი პროპაგანდისტული სწორება ნათელი გახდება, თუ ჩვენ ყველა იდეოლოგიურ მნიშვნელობას უგულებელვყოფთ. მაშინ როდესაც ორივე მათგანის დაპირება ყველა სოციალური და ქონებრივი განსხვავებების გაუქმება იყო, უკლასო საზოგადოება ნათლად თანააღნიშნავდა იმისა, რომ ყველა ქარხნის მუშის სტატუსს გაუთანაბრდებოდა, მაშინ როცა Volksgemeinschaft, რომელიც მსოფლიოს დასაპყრობად შეთქმულებას თანააღნიშნავს, გონივრულ იმედს აჩენდა, რომ ალბათ ყველა გერმანელი შეძლებდა გამხდარიყო ქარხნის მფლობელი. თუმცაღა Volksgemeinschaft-ის კიდევ უფრო დიდი უპირატესობა ის იყო, რომ მის ისტებლიშმენტს არ სჭირდებოდა მომავლის ლოდინი და არ იყო დამოკიდებული

არიან“ *(ჰიტლერის სიტყვით გამოსვლები,* გამოცემული ბეინესის მიერ, გვ. 76).
ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ამ ტენდენციამ კიდევ უფრო ბრუტალური გამოხატულება შეიძინა. იხილეთ, მაგალითად, გებელსის 1934 წლის გამოსვლა: „ვინ არიან ის ადამიანები, ვინც უნდა გავაკრიტიკოთ? პარტიის წევრები? არა. დანარჩენი გერმანელი ხალხი? ისინი ბედნიერად უნდა თვლიდნენ თავს, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. მეტისმეტად ბევრი სიკეთე იქნებოდა ერთად, რომ მათ, ვინც ჩვენი წყალობით ცხოვრობს, გაკრიტიკების უფლებაც ჰქონდეთ.“ დამოწმებულია კონ-ბრამშტედტის ციტირებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 178-179. – ომის დროს ჰიტლერმა განაცხადა: „მე სხვა არაფერი ვარ, თუ არა მაგნიტი, რომელიც მუდმივად მოძრაობს გერმანელ ერში და იზიდავს რკინას ამ ხალხისგან. და მე ხშირად მითქვამს, რომ დადგება დრო, როცა გერმანიაში ყველა ღირსეული ადამიანი ჩემს ბანაკში იქნება. ხოლო ვინც ჩემს ბანაკში არ იქნება, ის ისედაც უვარგისია.“ ჯერ კიდევ მაშინ ცხადი იყო ჰიტლერის უახლოესი გარემოცვისთვის, თუ რა მოუვიდოდათ მათ, „ვინც მაინც უვარგისი“ იყო (იხ. *დიდი გერმანიის თავისუფლებისთვის ბრძოლა. ჰიტლერის სიტყვით გამოსვლები 1.9.1939-10.03. 1949.* გვ. 174). – იმავეს გულისხმობდა ჰიმლერი, როდესაც განაცხადა: „ფიურერი გერმანულად კი არ ფიქრობს, არამედ გერმანიკული ცნებებით“ (კერსტენის დოსიე, შდრ. ზემოთ), თუმცაღა *ჰიტლერის სამაგიდო საუბრებიდან* (გვ. 315 და შემდგომი) ჩვენ ვიცით, რომ ამ დღეებში იგი უკვე თვითონ გერმანიკულ „ღრიალს“ დასცინოდა და „არიული ცნებებით“ ფიქრობდა.

55 ჰიმლერის მიერ 1943 წლის აპრილში SS-ის ლიდერებისადმი ხარკოვში წარმოთქმული სიტყვა *(ნაცისტური კონსპირაცია,* IV, გვ. 572 და შემდგომი): „მე ძალიან მალე ჩამოვაყალიბე გერმანიკული SS მრავალ ქვეყანაში....“ მინიშნება ამ არანაციონალურ პოლიციაზე მოცემული იყო ჰიტლერის მიერ ადრეულ, ძალაუფლებში მოსვლამდელ პერიოდში (*სიტყვითი გამოსვლები*): „ჩვენ ასევე აუცილებლად უნდა მივიღოთ ახალ მმართველ კლასში სხვა ერების წარმომადგენლებიც, ანუ ისინი, ვინც ამას იმსახურებს ჩვენს ბრძოლაში თავიანთი მონაწილეობით.“

ობიექტურ გარემოებებზე: ის [ტოტალიტარული] მოძრაობის ფიქციურ სამყაროში უმალ შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

ტოტალიტარული პროპაგანდის ჭეშმარიტი მიზანია არა დარწმუნება, არამედ ორგანიზება – „ძალაუფლების აკუმულირება ძალადობის საშუალებების ფლობის გარეშე.“[56] ამ მიზნით, იდეოლოგიური შინაარსის ორიგინალურობა შეიძლება განხილული იქნას მხოლოდ უსარგებლო წინაღობად. შემთხვევითი არაა, რომ ჩვენი დროის ორ ტოტალიტარულ მოძრაობას, რომელთა მმართველობის მეთოდები და ორგანიზაციის გამჭრიახი ფორმები ასე შემაძრწუნებლად „ახალი“ იყო, არასდროს უქადაგიათ ახალი მოძღვრება, არასდროს გამოუგონიათ ისეთი იდეოლოგია, რომელიც უკვე მანამდეც არ ყოფილა პოპულარული.[57] მასებს დემაგოგიის წარმავალი წარმატება კი არ იპყრობს, არამედ ხილული რეალობა და „ორგანიზების ცოცხალი“ ძალა.[58] ჰიტლერს მასობრივი ორატორობის შესანიშნავმა ნიჭმა კი არ მოუტანა [ტოტალიტარულ] მოძრაობაში მისი პოზიცია, არამედ მისი ოპონენტები შეიყვანა შეცდომაში, რომლებმაც იგი სათანადოდ ვერ შეაფასეს და უბრალო დემაგოგად ჩათვალეს, ხოლო სტალინმა შეძლო დაემარცხებინა რუსული რევოლუციის უფრო დიდი ორატორი.[59] ის, რაც განასხვავებს ტოტალიტარულ ლიდერებსა და დიქტატორებს, ეს უფრო მეტად მარტივი, მიზანმიმართული მისწრაფებაა, რომლითაც ისინი არსებული იდეოლოგიებისგან იმ ელემენტებს გამოარჩევენ, რომლებიც საუკეთესოა იმისათვის, რომ საფუძვ-

56 ჰადამოვსკი, *ციტირებული ნაშრომი.*

57 ჰაიდენი, *ციტირებული ნაშრომი,* გვ. 139: პროპაგანდა არ არის „მასებისთვის შეხედულების ჩაგონების ხელოვნება. სინამდვილეში ის მასებისგან შეხედულების მიღების ხელოვნებაა.“

58 ჰადამოვსკი, *ციტირებული ნაშრომი, ციტირებული ადგილი.* ეს ტერმინი აღებულია ჰიტლერის ტექსტიდან *ჩემი ბრძოლა* (წიგნი II, თავი II), სადაც მოძრაობის „ცოცხალი ორგანიზაცია“ შეპირისპირებულია ბიუროკრატიული პარტიის „მკვდარ მექანიზმთან.“

59 სერიოზული შეცდომა იქნება ტოტალიტარული ლიდერების მაქს ვებერისეული „ქარიზმატული ლიდერის“ კატეგორიის ჭრილში ინტერპრეტაცია. იხ. ჰანს გერტი, „ნაცისტური პარტია“ *სოციოლოგიის ამერიკულ ჟურნალში,* 1940, ტომი XLV. (ასეთივე არასწორი გაგებაა ჰაიდენის ბიოგრაფიის ნაკლიც, *ციტირებული ნაშრომი)* გერტი აღწერს ჰიტლერს, როგორც ბიუროკრატიული პარტიის ქარიზმატულ ლიდერს. მისი აზრით, მხოლოდ ამან შეიძლება ახსნას ის ფაქტი, რომ „რაც არ უნდა ურცხვად ეწინააღმდეგებოდნენ ქმედებები სიტყვებს, არაფერს შეუძლია დააღვიოს მტკიცედ დისციპლინირებული ორგანიზაცია.“ (ეს წინააღმდეგობა, სხვათა შორის, უფრო მეტად დამახასიათებელია სტალინისთვის, რომელსაც „არასდროს ეშლებოდა ეთქვა იმის საპირისპირო, რასაც აკეთებდა, და გაეკეთებინა იმის საპირისპირო, რასაც ამბობდა.“ სუვარინი, *ციტირებული ნაშრომი,* გვ. 431.)
ამგვარი არასწორი გაგების წყაროები იხ. ალფრედ ფონ მარტინი, „აწმყოს სოციოლოგია,“ *კულტურის ისტორიის ჟურნალში,* ტომი 27, და არნოლდ კოეტგენი, „ფიურერისეული სახელმწიფოს მმართველობის კანონშესაბამისობა,“ Reichsverwaltungsblatt-ში, 1936, რომელთაგან ორივე ახასიათებს ნაცისტურ სახელმწიფოს, როგორც ბიუროკრატიულს, ქარიზმატული ლიდერით.

ლად დაედოს სხვა, სრულიად გამოგონილ სამყაროს. [საამისოდ] პროტოკოლების ფიქცია ისეთივე შესაფერისი იყო, როგორც გამონაგონი ტროცკისტების შეთქმულებაზე, ორივე შეიცავდა დამაჯერებლობის ელემენტს, – ებრაელების არასაჯარო გავლენა წარსულში, ძალაუფლებისთვის ბრძოლა ტროცკისა და სტალინს შორის, – რის გარეშეც თავად ტოტალიტარიზმის გამონაგონი სამყაროც კი ვერ გაძლებს უსაფრთხოდ. მათი ხელოვნება მდგომარეობს შერჩეულ ფიქციაში ერთსა და იმავე დროს რეალობის ელემენტების, გადამოწმებადი გამოცდილებების გამოყენებასა და მათ ტრანსცენდირებაში, შემდეგ კი მათ განზოგადოებაში იმ მხარეებზე, რომლებიც იმ დროს სრულიად მოწყვეტილია ინდივიდუალური გამოცდილების შესაძლო კონტროლს. ასეთი განზოგადებით, ტოტალიტარული პროპაგანდა აფუძნებს სამყაროს ანალოგს, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რეალურ სამყაროს, რომლის მთავარი ნაკლიც იმაში მდგომარეობს, რომ ის არაა ლოგიკური, თანმიმდევრული და ორგანიზებული. ფიქციის თანმიმდევრულობა და ორგანიზაციის სიზუსტე საბოლოოდ შესაძლებელს ხდის, რომ განზოგადება უფრო სპეციფიკური ტყუილების აფეთქებას გადაურჩეს – ებრაელების ძალაუფლება მათი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ტროცკისტების ავბედითი, გლობალური შეთქმულება საბჭოთა რუსეთში მათი ლიკვიდაციისა და ტროცკის მკვლელობის შემდეგ.

სიჯიუტე, რომლითაც ტოტალიტარული დიქტატორები აბსურდის პირისპირ თავის თავდაპირველ ტყუილს ებღაუჭებიან, მეტია, ვიდრე ცრუმორწმუნეული მადლიერება იმისადმი, რადაც იქცა ხრიკი; და სულ მცირე, სტალინის შემთხვევაში, შეუძლებელია ეს აიხსნას მატყუარას ფსიქოლოგიით, რომლის დიდმა გამარჯვებამაც, შესაძლოა, იგი საკუთარ უკანასკნელ მსხვერპლად აქციოს. როგორც კი ეს პროპაგანდისტული სლოგანები ჩაერთვებიან „ცოცხალ ორგანიზაციაში“, ისინი უვნებლად ვეღარ აღმოიფხვრებიან მთელი სტრუქტურის დაზიანების გარეშე. ებრაელების მსოფლიო შეთქმულების თეორია ობიექტური, საკამათო თემიდან ტოტალიტარული პროპაგანდის მიერ ნაცისტური რეალობის მთავარ ელემენტად გარდაიქმნა; საქმე ის იყო, რომ ნაცისტები *მოქმედებდნენ* ისე, თითქოს მთელ მსოფლიოს ებრაელები მართავდნენ და სჭირდებოდათ საპირისპირო შეთქმულება საკუთარი თავის დასაცავად. მათთვის რასიზმი უკვე აღარ იყო საეჭვო სამეცნიერო ღირებულების საკამათო თეორია, არამედ ყოველდღიურად რეალიზდებოდა პოლიტიკური ორგანიზაციის მოქმედ იერარქიაში, რომლის სტრუქტურაშიც ძალიან „არარეალური“ იქნებოდა მისი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ანალოგიურად, ბოლშევიზმს უკვე აღარ სჭირდება კლასობრივი ბრძოლისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ კამათში გამარჯვება, არც იმაზე კამათში, რომ პროლეტარიატის კეთილდღეობა საბჭოთა კავშირის კეთილდღეობაზეა უპირობოდ დამოკიდებული; კომინტერნის მოქმედი ორგანიზაცია უფრო მეტადაა დამარწმუნებელი, ვიდრე ნებისმიერ არგუმენტი ან შიშველი იდეოლოგია იქნება ოდესმე.

სხვა პარტიებისა და მოძრაობების პროპაგანდაზე ტოტალიტარული პროპაგანდის უპირატესობის ფუნდამენტური მიზეზი ისაა, რომ მისი შინაარსი, ყოველ შემთხვევაში მოძრაობის წევრებისთვის, აღარაა ობიექტური საკითხი, რომელზეც ხალხს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება, არამედ არითმეტიკის წესების მსგავსად, მათი ცხოვრების რეალურ და ხელშეუვალ ელემენტად იქცევა. მთელი ცხოვრებისეული ურთიერთმიმართებების იდეოლოგიის მიხედვით ორგანიზება შეიძლება მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში იქნას სრულიად რეალიზებული. ნაცისტურ გერმანიაში, რასიზმის და ანტისემიტიზმის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, როდესაც რასობრივი წარმომავლობის გარდა არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, – როდესაც კარიერა დამოკიდებული იყო „არიულ“ ფიზიონომიაზე (ჰიმლერი SS-ის აპლიკანტებს ფოტოებიდან არჩევდა), ხოლო საკვების მოცულობა კი მავანის ებრაელი წინაპრების რაოდენობაზე, – სამყაროს არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების მსგავსი იყო.

იმ პროპაგანდის უპირატესობა, რომელიც მუდმივად „ორგანიზების ძალას მატებს“[60] არგუმენტის სუსტ და არასანდო ხმას, და ამით მომენტალურად ახორციელებს [ყველაფერს], რასაც არ უნდა ამბობდეს – დასაბუთების გარეშეც ნათელია. იგი შეუვალია არგუმენტების მიმართ, რომლებიც დაფუძნებულია რეალობაზე, რომლის შეცვლაც [ტოტალიტარული] მოძრაობების დანაპირებია; კონტრპროპაგანდის მიმართ, რომელიც მხოლოდ იმის გამოა დაწუნებული, რომ განეკუთვნება ან იცავს სამყაროს, რომლის მიღებაც უილაჯო მასებს არ შეუძლიათ და არც მიიღებენ; [პროპაგანდა] შეიძლება იქნას უკუგდებული მხოლოდ სხვა, უფრო ძლიერი ან უფრო კარგი რეალობით.

მარცხის მომენტში ტოტალიტარული პროპაგანდის შინაგანი სისუსტე აშკარა ხდება. მოძრაობის ძალის გარეშე მისი წევრები ერთხელაც შეწყვეტენ იმ დოგმების რწმენას, რომლებისთვისაც ისინი ჯერ კიდევ გუშინ მზად იყვნენ, შეეწირათ საკუთარი სიცოცხლე. მოძრაობის დანგრევის მომენტი, ანუ გამოგონილი სამყაროსი, რომელიც თავშესაფარი იყო მასებისთვის, უკან აბრუნებს მათ იზოლირებული ინდივიდების ძველ სტატუსთან, ისინი ან ბედნიერად იღებენ შეცვლილ სამყაროში თავიანთ ახალ ფუნქციას, ან კი უკან, თავის ძველ, სასოწარკვეთილ უსარგებლობაში იძირებიან. ტოტალიტარულ მოძრაობათა წევრები, რომლებიც სრულიად ფანატიკურები არიან, ვიდრე მოძრაობა არსებობს, არ მისდევენ რელიგიური ფანატიკოსების მაგალითს და არ იხოცებიან მოწამეობრივი სიკვდილით (თუმცაღა მათ ძალიანაც ენდომებოდათ მომკვდარიყვნენ რობოტების სიკვდილით).[61] პირიქით, ისინი მშვიდად აქცევენ ზურგს მოძრაობას,

60 ჰადამოვსკი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 21. ტოტალიტარული ამოცანებისთვის შეცდომაა, მოახდინონ თავისი იდეოლოგიის პროპაგანდა სწავლების ან დარწმუნების გზით. რობერტ ლეის სიტყვებით, მას ვერც „ასწავლი“ და ვერც „ისწავლი“, არამედ მისი მხოლოდ „ვარჯიში“ და „პრაქტიცირება“ ხდება (იხ. *გზა ორდენსბურგისკენ,* დაუთარიღებელია).

61 ნაცისტური პოლიტიკის ერთ-ერთმა გამორჩეულმა თეორეტიკოსმა რ. ჰოენმა

როგორც ცუდ სანაძლეოს და ეძებენ სხვა, იმედისმომცემ გამონაგონს, ან ელოდებიან იმ დროს, როცა ძველი ფიქცია საკმარის სიძლიერეს დაიბრუნებს, რათა ახალი მასობრივი მოძრაობა დააფუძნოს.

მოკავშირეების გამოცდილება, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ გერმანელ ხალხში, რომლის 90 პროცენტიც ალბათ ერთ დროს ნაციზმის გულწრფელი მომხრე იყო, ეპოვათ ვინმე, ვისაც ამ დოქტრინის სჯეროდა და თავის თავს ნაცისტად აღიარებდა, არ უნდა იქნას განხილული უბრალოდ როგორც ადამიანური სისუსტის ან ამაზრზენი ოპოტუნიზმის ნიშანი. ნაციზმი, როგორც იდეოლოგია, იმდენად სრულად იქნა „რეალიზებული“, რომ მისმა შინაარსმა, როგორც დოქტრინების დამოუკიდებელმა ერთობამ, დაასრულა არსებობა, ასე რომ ვთქვათ, დაკარგა თავისი ინტელექტუალური არსებობა; აქედან გამომდინარე, რეალობის დესტრუქციამ თითქმის აღარაფერი დატოვა თავის შემდეგ, მათ შორის კი ყველაზე ნაკლებად – მორწმუნეთა ფანატიზმი.

ტოტალიტარული ორგანიზაცია

ტოტალიტარული ორგანიზაციის ფორმები, მათი იდეოლოგიური შინაარსისა და პროპაგანდისტული სლოგანებისგან განსხვავებით, სრულიად ახალია.[62] ისინი შექმნილია მოძრაობის ცენტრალური ფიქციის ირგვლივ დახლართული პროპაგანდისტული ტყუილების – ებრაელების, ან ტროცკისტების, ან 300 ოჯახის და ა.შ. შეთქმულების – ფუნქციონირებად რეალობად გადასათარგმნად, რათა თავად არატოტალიტარულ ვითარებაშიც კი შექმნან საზოგადოება, რომლის წევრებიც მოქმედებენ და რეაგირებენ გამონაგონი სამყაროს წესების თანახმად. განსხვავებით გარეგნულად მსგავსი ფაშისტური ან სოციალისტური, ნაციონალისტური ან კომუნისტური ორიენტაციის მქონე პარტიებისა და მოძრაობებისგან, რომელთაგანაც ყველა თავის პროპაგანდას ტერორიზმით უმაგრებს ზურგს, როგორც კი ექსტრემიზმის გარკვეულ დონეს მიაღწევს (რაც ხშირად მათი წევრების სასოწარკვეთილების დონეზეა დამოკიდებული), ტოტალიტარულ მოძრაობას ნამდვილად გულწრფელად სჯერა თავისი პროპაგანდის, ხოლო ეს გულწრფელობა გაცილებით შემაშინებლადაა გამოხატული მისი მიმდევრების ორგანიზებაში, ვიდრე

თავის ნაშრომში „იმპერიის ერთობა და ხალხის ერთობა“, ჰამბურგი 1935 განიხილა მოძრაობაში დოქტრინის ან საერთოდ იდეალებისა და შეხედულებების სრული დანაკლისი: „ხალხის ერთობის პერსპექტივიდან ნებისმიერი ღირებულებათა ერთობა გამანადგურებელია.“

62 ჰიტლერი Weltanschauung-ისა და ორგანიზიციის ურთიერთმიმართების განხილვისას ძალიან ჩვეულებრივად აღიარებს, რომ ნაცისტებმა „რასობრივი იდეა“ (die völkische Idee) სხვა ჯგუფებისა და პარტიებისგან აიღეს და ისე იქცეოდნენ, თითქოს მხოლოდ ისინი იყვნენ ამ იდეის წარმომადგენლები, რადგან თვითონ პირველები იყვნენ ვინც მებრძოლი ორგანიზაცია დაარსა და პრაქტიკული მიზნებისთვის განსაზღვრა იგი. ციტირებული ნაშრომი, წიგნი მეორე თავი 5.

მისი ოპონენტების ფიზიკურად განადგურებაში. ორგანიზაცია და პროპაგანდა (და არა ტერორი და პროპაგანდა) არის ერთი და იმავე მედლის ორი მხარე.[63]

ხელისუფლებაში მოსვლამდელ საფეხურზე, მოძრაობების ყველაზე უფრო თვალშისაცემი ახალი ორგანიზაციული მეთოდია ფასადური ორგანიზაციების შექმნა, განმასხვავებელი ხაზის გავლება პარტიის წევრებსა და მხარდამჭერებს შორის. ამ გამოგონებასთან შედარებით მეორეხარისხოვანია სხვა ისეთი ტიპური ტოტალიტარული ნიშან-თვისებები, როგორებიცაა ფუნქციონერთა დანიშვნა ზემოდან და დანიშვნების საბოლოოდ ერთი ადამიანის ხელში მონოპოლიზება. ეგრეთ წოდებული „ლიდერის პრინციპი“ თავისთავად არაა ტოტალიტარული; მან გარკვეული ნიშან-თვისებები ისესხა ავტორიტარიზმისგან და სამხედრო დიქტატურისგან, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით არსებითი ტოტალიტარული ფენომენების შენიღბვასა და ტრივიალიზებაში. ზემოდან დანიშნული ფუნქციონერები რეალურ ავტორიტეტსა და პასუხისმგებლობას რომ ფლობდნენ, მაშინ ჩვენ საქმე გვექნებოდა იერარქიულ სტრუქტურასთან, რომელშიც ავტორიტეტი და ძალაუფლება კანონითაა დელეგირებული და მართული. ეს ძალიან ჰგავს ჯარისა და სამხედრო დიქტატურის ორგანიზებას, რომლებიც ამ მოდელის მიხედვითაა ჩამოყალიბებული; აქ ზემოდან ქვემოთ ბრძანების აბსოლუტური ძალაუფლება და ქვემოდან ზემოთ აბსოლუტური მორჩილება შეესაბამება საომარ ვითარებაში უკიდურესი საფრთხის სიტუაციას, და სწორედ ამიტომაც არაა ისინი ტოტალიტარული. ბრძანების იერარქიულად ორგანიზებული ჯაჭვი ნიშნავს, რომ ბრძანების გამცემის ძალაუფლება დამოკიდებულია მთელ იერარქიულ სისტემაზე, რომელშიც იგი მოქმედებს. ნებისმიერი იერარქია, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად ავტორიტარულია მისი ხელმძღვანელობა და ნებისმიერი ბრძანებების ჯაჭვი, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად არბიტრარული ან დიქტატორულია ბრძანებათა შინაარსი, მიზნად ისახავს სტაბილიზებას და [ამდენად] იგი შეზღუდავდა ტოტალიტარული მოძრაობის ლიდერის ყოვლისმომცველ ძალაუფლებას.[64] ნაცისტების ენაზე, დაუღალავი, დინამიური „ნება ფიურერისა“ – ფრაზა, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ფიქსირებულ და შეზღუდულ ავტორიტეტს – და არა მისი ბრძანებები ხდება „უმაღლესი კანონი“ ტოტალიტარულ სახელმწიფოში.[65] ეს მხოლოდ იმ პოზიციიდანაა, რომელშიც, მისი უნიკალური ორგანიზაციის წყა-

63 იხ. ჰიტლერი, „პროპაგანდა და ორგანიზაცია“, ციტირებულ ნაშრომში, წიგნი II, თავი 11.

64 ჰიმლერის მეტად დაჟინებული მოთხოვნა „არ გამოეცათ არანაირი დეკრეტი ‘ებრაელის’ ცნების განსაზღვრებასთან დაკავშირებით“ სწორედ ამის მაგალითია; რადგანაც „ყველა ამ სულელური ვალდებულებებით ჩვენ მხოლოდ საკუთარ ხელებს შევიბორკავთ“ (ნუერნბერგის დოკუმენტი ნომერი 626, 1942 წლის 28 ივლისით დათარიღებული ბერგერისადმი მიწერილი წერილი, ფოტოასლი დაცულია ებრაელთა დოკუმენტაციის ცენტრში).

65 ფორმულირება „ფიურერის ნება უზენაესი კანონია“ პარტიისა და SS-ის ქცევის განმსაზღვრელ ყველა ოფიციალურ წესსა და რეგულაციაში მოიძებნება. ამ საკითხთან დაკავშირებით საუკეთესო წყაროა ოტო გაუვაილერი, *მოძრაობის სამართლებრივი მოწყობა და მისი სამართლებრივი ამოცანები*, 1939.

ლობით ტოტალიტარული მოძრაობა, მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობისთვის მისი ფუნქციონალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ათავსებს ლიდერს – რომ ლიდერის პრინციპი ავითარებს მის ტოტალიტარულ ხასიათს. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ, როგორც ჰიტლერის, ასევე სტალინის შემთხვევაში, ლიდერის რეალური პრინციპი მხოლოდ ნელა და მოძრაობის პროგრესირებადი „ტოტალიტარიზების“ პარალელურად ჩამოყალიბდა.[66]

ანონიმურობა, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს მთელი ფენომენის უცნაურობაში, აბუნდოვანებს ამ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის საწყისებს. ჩვენ არ ვიცით, ვინ გადაწყვიტა პირველად, დაერაზმა თანამგზავრები[67] ფასადურ ორგანიზაციებში, ვინ დაინახა პირველად არამკაფიოდ მხარდამჭერ მასებში – რომლებსაც ყველა პარტია ითვლიდა ხოლმე არჩევნების დღეს, მაგრამ, რომლებსაც ეს უკანასკნელნი ზედმეტად მერყევად მიიჩნევდნენ წევრობისთვის – არა მხოლოდ პარტიის მომავალი წევრების რეზერვუარი, არამედ თვით გადამწყვეტი ძალაც. კომუნიზმით აღტკინებულ მხარდამჭერთა ადრეული პერიოდის ორგანი-

66 ჰაიდენი, ციტირებულ ნაშრომში, გვ. 292 აღნიშნავს შემდეგ განსხვავებას *ჩემი ბრძოლის* პირველ და შემდგომ გამოცემებს შორის: პირველ გამოცემაში წამოყენებულია პარტიის თანამდებობის პირების არჩევის წინადადება, რომლებიც მხოლოდ არჩევის მერე აღიჭურვებიან „უსაზღვრო ძალაუფლებითა და ავტორიტეტით“; ყველა შემდგომი გამოცემა აწესებს პარტიის თანამდებობის პირების დანიშვნას ზემოდან, მასზე უფრო მაღლა მდგომი ლიდერის მიერ. ბუნებრივია, ტოტალიტარული რეჟიმების სტაბილურობისთვის ზემოდან დანიშვნა უფრო მნიშვნელოვანი პრინციპია, ვიდრე დანიშნული თანამდებობის პირის „უსაზღვრო ავტორიტეტი“. პრაქტიკაში ქვემდგომ ლიდერთა ავტორიტეტი ცალსახად იყო შემოსაზღვრული ლიდერის აბსოლუტური სუვერენიტეტით. იხილეთ ქვემოთ.
სტალინს, რომელიც ბოლშევიკური პარტიის კონსპირაციული აპარატიდან მოდიოდა, ალბათ ეს პრობლემად არასდროს მიაჩნდა. მისთვის პარტიულ მანქანაში დანიშვნები პირადი ძალაუფლების აკუმულაციის საკითხი იყო (თუმცაღა, მან თავისი თავისთვის „ლიდერის“ წოდება მხოლოდ ოცდაათიანებში ინება, მას მერე რაც ჰიტლერის მაგალითი შეისწავლა). თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მას ძალიან ადვილად შეეძლო ამ მეთოდების გამართლება ლენინის თეორიის ციტირებით: „ყველა ქვეყნის ისტორია აჩვენებს, რომ მუშათა კლასს, ექსკლუზიურად საკუთარი ძალისხმევით, მხოლოდ პროფკავშირული ცნობიერების განვითარება შეუძლია“, აქედან გამომდინარე კი მათ წინამძოლობა აუცილებლად გარედან უნდა გაუწიო (იხ. *რა ვაკეთოთ?* პირველად გამოქვეყნდა 1902 წელს, შრომების სრული გამოცემა, ტომი IV, წიგნი II). საქმე ისაა, რომ ლენინი კომუნისტურ პარტიას მოიაზრებდა მუშათა კლასის „ყველაზე პროგრესულ“ ნაწილად და ამავე დროს „პოლიტიკური ორგანიზაციის ბერკეტად“, რომელიც „პროლეტარიატის მთელ მასას მიუძღვის“, ე. ი. ორგანიზაცია კლასზე მაღლა და კლასს მიღმა (იხ. ვ. ჰ. ჩემბერლინი, *რუსეთის რევოლუცია 1917-1921*, ნიუ-იორკი, 1935, II, 361). მიუხედავად ამისა, ლენინი კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდა შიდაპარტიულ დემოკრატიას, თუმცა იმისკენ იხრებოდა, რომ თავად მუშათა კლასისთვის დემოკრატია შეეზღუდათ.

67 თანამგზავრი – 20-30-იანი წლების პოლიტიკური ჟარგონი, რომელიც ინტელექტუალებისა და ხელოვნების წრეში ტოტალიტარული იდეოლოგიის პოლიტიკურ მხარდამჭერებს აღნიშნავდა (მთარგმნ. შენიშვნა).

ზაციები, როგორებიცაა საბჭოთა კავშირის მეგობრები ან წითელი ხსნის ასოციაციები, ფასადურ ორგანიზაციებად იქცა, მაგრამ დასაწყისში სხვა არაფერი იყო, გარდა იმისა, რასაც მათი სახელები აღნიშნავდა: მხარდამჭერთა გაერთიანება ფინანსური ან სხვა (მაგალითად, სამართლებრივი) დახმარებისათვის. ჰიტლერი პირველი იყო, რომელმაც თქვა, რომ ყოველმა მოძრაობამ პროპაგანდის გზით მონადირებული მასები ორ კატეგორიად უნდა დაყოს – მხარდამჭერებად და წევრებად. ეს თავისთავად საკმაოდ საინტერესოა; უფრო მეტად საგულისხმოა, რომ მან ეს დაყოფა უფრო ზოგად ფილოსოფიაზე დააფუძნა, რომლის თანახმადაც ადამიანების უმრავლესობა ძალიან ზარმაცი და მშიშარაა რაიმე უფრო მეტის [გასაკეთებლად], ვიდრე ეს მხოლოდ თეორიული ხედვაა და მხოლოდ უმცირესობას სურს იბრძოლოს თავისი შეხედულებებისათვის.[68] შესაბამისად, ჰიტლერი იყო პირველი, ვინც გამოიგონა ცნობიერი პოლიტიკა მხარდამჭერთა რიგების მუდმივად გასაზრდელად, მაშინ, როდესაც იმავდროულად პარტიის წევრების რაოდენობას მკაცრად შეზღუდულად ინარჩუნებდა.[69] ეს იდეა, პარტიის წევრების უმცირესობა ყოფილიყო გარშემორტყმული მხარდამჭერთა უმრავლესობით, ძალიან უახლოვდება ფასადური ორგანიზაციების გვიანდელ რეალობას – იდეა, რომელიც მართლაც ძალიან მოსწრებულად გამოხატავს მათ საბოლოო ფუნქციას, და წარმოაჩენს წევრებსა და მხარდამჭერებს შორის ურთიერთობას თავად მოძრაობის შიგნით. რადგანაც მხარდამჭერთა ფასადური ორგანიზაციები არანაკლებ არსებითია მოძრაობის ფუნქციონირებისათვის, ვიდრე მისი რეალური წევრები.

ფასადური ორგანიზაციები მოძრაობების წევრებს გარს არტყია დამცავ კედლად, რომელიც გამოყოფს მათ გარე, ნორმალური სამყაროსაგან; იმავდროულად, ისინი ქმნიან ნორმალურობასთან დამაკავშირებელ ხიდს, რომლის გარეშეც წევრები ძალაუფლებაში მოსვლამდელ საფეხურზე ძალიან მკვეთრად იგრძნობდნენ გასხვავებას მათსა და ნორმალური ხალხის შეხედულებებს შორის, მათი საკუთარი სამყაროს ცრუ ფიქციურობასა და ნორმალური სამყაროს სინამდვილეს შორის. ამ მეთოდის გენიალურობა მოძრაობების ძალაუფლებისთვის ბრძოლისას ისაა, რომ ფასადური ორგანიზაციები არა მხოლოდ იზოლაციაში აქცევენ წევრებს, არამედ აწოდებენ მათ გარე ნორმალურობის ასლს, რომელიც ნამდვილი რეალობის გავლენას უფრო ეფექტურად ისხლეტს, ვიდრე მხოლოდ ინდოქტრინაცია. ეს არის განსხვავება მათ საკუთარსა და თანამგზავრების შეხედულებებს შორის: თუკი ის ნაცისტს ან ბოლშევიკს სამყაროს ფიქციური ახსნის მისეულ რწმენას განუმტკიცებს, თანამგზავრისთვის იგივე მრწამსს, საბოლოო ჯამში,

68 ჰიტლერი, ციტირებული ნაშრომი, წიგნი II, თავი 11.

69 იქვე. ეს პრინციპი მტკიცედ დამკვიდრდა, როგორც კი ნაცისტებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში. ჰიტლერიუგენდის 7 მილიონი წევრიდან 1937 წელს პარტიის წევრად მხოლოდ 50 000 მიიღეს. იხ. ჰ. ლ. ჩაილდსის შესავალი *ნაცისტურ ანბანში;* ასევე შდრ. გოტფრიდ ნესე, „ერთპარტიული საკონსტიტუციო-სამართლებრივი მოწყობა“, *ჟურნალში სახელმწიფოებრივი მეცნიერებისათვის* 1938. ტომი 98, გვ. 678: „ერთპარტიულ სისტემაშიც კი არ უნდა გაიზარდოს პარტია ისე, რომ იგი მთელ მოსახლეობას მოიცავდეს. ის ‘ტოტალურია’ ერზე თავისი იდეოლოგიური გავლენის გამო.“

უფრო „ნორმალური“, ე. ი. ნაკლებად ფანატიკური და უფრო მეტად მოკრძალებული ფორმა აქვს; ამგვარად პარტიის წევრს ეჩვენება, რომ ნებისმიერი, ვინც მოძრაობამ ცალსახად მტრად (ებრაელად, კაპიტალისტად და ა.შ.) არ გამოარჩია, მის მხარეზეა, რომ სამყარო სავსეა საიდუმლო მოკავშირეებით, რომლებსაც ჯერ უბრალოდ არ შეუძლიათ მოუხმონ გონებისა და ხასიათის აუცილებელ სიძლიერეს, მათივე საკუთარი მრწამსიდან ლოგიკური დასკვნების გამოსატანად.[70]

მეორე მხრივ, ზოგადად სამყარო ჩვეულებრივ პირველ ზედაპირულ წარმოდგენას ტოტალიტარულ მოძრაობაზე ფასადური ორგანიზაციების მეშვეობით იღებს. მხარდამჭერებს, რომლებიც არატოტალიტარულ საზოგადოებაში, ერთი შეხედვით, ჯერ კიდევ უწყინარი თანამოქალაქეები არიან, ძნელად შეიძლება ეწოდოთ მიზანსწრაფვული ფანატიკოსები; მათი საშუალებით მოძრაობები თავიანთ წარმოუდგენელ ტყუილებს უფრო საზოგადოდ მისაღებს ხდიან, და შეუძლიათ თავიანთი პროპაგანდა გაავრცელონ შედარებით რბილი, უფრო ღირსეული ფორმებით, სანამ მთელი ატმოსფერო ტოტალიტარული ელემენტებით არ მოიწამლება, რომლებიც, როგორც ასეთი, რთულად ამოსაცნობია, და ისე ჩანს, თითქოს ნორმალური პოლიტიკური რეაქციები ან შეხედულებები ყოფილიყოს. თანამგზავრი ორგანიზაციები გარს ერტყმის ტოტალიტარულ მოძრაობებს ნორმალურობის და რესპექტაბელურობის ბურუსით, რასაც ისევე, როგორც წევრები გარესამყაროს ჭეშმარიტი ხასიათის შესახებ, ასევე გარესამყარო – მოძრაობის ჭეშმარიტი ხასიათის შესახებ შეცდომაში შეყავს. ფასადური ორგანიზაციები ორივე მიმართულებით ფუნქციონირებს: როგორც ტოტალიტარული მოძრაობის ფასადი არატოტალიტარული სამყაროსადმი, და, როგორც არატოტალიტარული სამყაროს ფასადი, მოძრაობის შინაგანი იერარქიისათვის.

ამ ურთიერთობაზე კიდევ უფრო მეტად თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ იგი თავად მოძრაობის შიგნით სხვადასხვა საფეხურზე მეორდება. როგორც პარტიის წევრები არიან [იმავროულად] დაკავშირებულნი და განცალკევებულნი თანამგზავრებისაგან, ასევე არიან მოძრაობის ელიტური ფორმაციები დაკავშირებულნი და განცალკევებულნი რიგითი წევრებისაგან. თუკი თანამგზავრი ჯერ კიდევ მოჩანს გარესამყაროს ნორმალურ მკვიდრად, რომელმაც ისე შეითვისა ტოტალიტარული კრედო, როგორც ბევრი ითვისებს ჩვეულებრივი პარტიის პროგრამას, ნაცისტური ან ბოლშევიკური მოძრაობის რიგითი წევრი ჯერ კიდევ ბევრი თვალსაზრისით მიეკუთვნება გარემომცველ სამყაროს: მისი პროფესიული და სოციალური ურთიერთობები ჯერ კიდევ აბსოლუტურად არაა განსაზღვრული მისი პარტიული წევრობით, მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც გამორჩეული უბრალო მხარდამჭერთაგან, სავარაუდოდ აცნობიერებს, რომ მის პარტიულ ერთგულებასა და მის პირად ცხოვრებას შორის კონფლიქტის შემთხვევაში, პირველი

70 იხ. ჰიტლერისეული განსხვავება „რადიკალურ ადამიანებს“ – მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ მზად, გამხდარიყვნენ პარტიის წევრები – და ასობით ათასობით მხარდამჭერებს შორის, რომლებიც მეტისმეტად „ლაჩარები იყვნენ“, საჭირო მსხვერპლის გასაღებად. *ციტირებული ნაშრომი, ციტირებული ადგილი.*

უნდა იყოს გადამწყვეტი. მეორე მხრივ, სამხედრო დაჯგუფების წევრი სრულად გაიგივებულია მოძრაობასთან; ამ უკანასკნელისგან დამოუკიდებელი პროფესიული თუ პირადი ცხოვრება მას არა აქვს. როგორც მხარდამჭერები ქმნიან დამცავ კედელს მოძრაობის წევრების გარშემო და წარმოადგენენ მათ გარესამყაროს, ასევე ერტყმიან გარს რიგითი წევრები სამხედრო დაჯგუფებს და მათთვის ნორმალურ გარესამყაროს წარმოადგენენ.

ამ სტრუქტურის ცალსახა უპირატესობა ისაა, რომ იგი ასუსტებს ზეგავლენას ერთ-ერთი მთავარი ტოტალიტარული საფუძველდებულების, რომლის მიხედვით სამყარო დაყოფილია ორ გიგანტურ მტრულ ბანაკად, რომელთაგან ერთი არის მოძრაობა, და რომ მოძრაობას შეუძლია და უნდა ებრძოლოს მთელ სამყაროს – ეს არის განაცხადი, რომელიც გზას უმზადებს ხელისუფლებაში მოსული ტოტალიტარული რეჟიმის განურჩეველ აგრესიულობას. სამხედროების ზედმიწევნით გაწერილი იერარქიულობის გზით – რომელშიც თითოეული რანგი მასზე უფრო მაღალი საფეხურისთვის არატოტალიტარული სამყაროს ხატია, რადგან ეს უკანასკნელი ნაკლებად მილიტარულია და მისი წევრები ნაკლებად ტოტალურად არიან ორგანიზებულნი – შემაშინებელი და სულისშემძვრელი ტოტალიტარული დიქოტომიის შოკი დასუსტებულია და არასდროსაა სრულად რეალიზებული; [ამიტომ] ორგანიზაციის ეს ტიპი არ უშვებს, რომ მისი წევრები ოდესმე პირისპირ აღმოჩნდნენ გარესამყაროსთან, რომლის მტრობაც მათთვის ოდენ იდეოლოგიურ ჰიპოთეზად რჩება. ისინი იმდენად კარგად არიან დაცული არატოტალიტარული სამყაროს სინამდვილისაგან, რომ მუდმივად არასათანადოდ აფასებენ ტოტალიტარული პოლიტიკის შემზარავ რისკებს.

საკამათო არაა, რომ ტოტალიტარული მოძრაობები [არსებულ] სტატუსკვოს უფრო რადიკალურად უპირისპირდებიან, ვიდრე ამას რომელიმე ადრეული რევოლუციური პარტია სჩადიოდა. მათ აქვთ ამ რადიკალიზმის ფუფუნება, რომელიც ცხადია ასე შეუფერებელია მასობრივი ორგანიზაციებისათვის, იმიტომ რომ მათი ორგანიზაცია დროებით ანაცვლებს ჩვეულებრივ, არაპოლიტიკურ ცხოვრებას, რომლის განადგურებისკენაც ტოტალიტარიზმი რეალურად ისწრაფვის. არაპოლიტიკური სოციალური ურთიერთობების მთელი ის სამყარო, რომლისგანაც „პროფესიონალ რევოლუციონერს“ ან უნდა მოეკვეთა თავისი თავი, ან კი უნდა მიეღო იგი ისეთად როგორიცაა, მოძრაობაში არსებობს ნაკლებად გასამხედროებული დაჯგუფების ფორმით; ამ იერარქიულად მოწყობილ სამყაროში მსოფლიოს დაპყრობისა და მსოფლიო რევოლუციისთვის მებრძოლნი არასდროს არიან განწირულნი შოკისათვის, რომელიც უცილობლად წარმოიქმნება „რევოლუციურ“ მრწამსსა და „ნორმალურ“ სამყაროს შორის არსებული წინააღმდეგობიდან. მიზეზი, რატომაც მოძრაობებს მათ ხელისუფლებაში მოსვლამდელ, რევოლუციურ ეტაპზე ამდენი რიგითი ობივატელის მოხიბვლა შეუძლიათ, არის ის, რომ მათი წევრები ცხოვრობენ ნორმალურობის სულელისეულ სამოთხეში; პარტიის წევრები გარშემორტყმულნი არიან მხარდამჭერების ნორმალური სამყაროთი, ხოლო ელიტური ფორმაციები – რიგითი წევრების ნორმალური სამყაროთი.

ტოტალიტარული მოდელის სხვა უპირატესობაა ის, რომ ის შეიძლება უსასრულოდ განმეორდეს და [ამასთან] ინარჩუნებს ორგანიზაციას ცვალებადობის მდგომარეობაში, რაც მას მუდმივად იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ ახალი ფენები ჩაამატოს და საბრძოლო სულისკვეთების ახალი დონე განსაზღვროს. ნაცისტური პარტიის მთელი ისტორია შეიძლება მოყოლილი იქნას ნაცისტურ მოძრაობაში ახალი ფორმაციების გაჩენით. SA-ი, თავდამსხმელი დანაყოფები (დაარსდა 1922 წ.), იყო პირველი ნაცისტური ფორმაცია, რომელიც უფრო მეტად გასამხედროებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე თავად პარტია;[71] 1926 წელს SS-ი დაარსდა როგორც SA-ს ელიტური წარმონაქმნი; სამი წლის შემდეგ SS-ი გამოეყო SA-ს და ჰიმლერს დაექვედებარა; ჰიმლერს მხოლოდ რამდენიმე წელი დასჭირდა, რომ იგივე მანევრი SS-ის შიგნით განეხორციელებინა. ერთი მეორის მიყოლებით, და ყოველი შემდგომის წინამორბედთან შედარებით უფრო მეტად გასამხედროებით, შეიქმნა ჯერ შოკის დანაყოფები (Shock Troops)[72], ხოლო შემდეგ სიკვდილის თავის შენაერთები (Death Head units)[73] („საკონცენტრაციო ბანაკების ზედამხედველობისთვის განკუთვნილი შენაერთები“), რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდა და შეიარაღებული SS-ის ჩამოსაყალიბებლად (Waffen-SS), საბოლოოდ უსაფრთხოების სამსახური („პარტიის იდეოლოგიური დაზვერვის“ და მისი სადამსჯელო განშტოება „ნეგატიური მოსახლეობის პოლიცია“) და რასისა და განსახლების საკითხების სამსახური (Rasse- und Siedlungswesen), რომლის ამოცანაც „პოზიტიური ხასიათის“ იყო – ყველა მათგანი განვითარდა გენერალური SS-იდან, რომლის წევრებიც, ზემდგომი ფიურერის შენაერთების გარდა, თავის სამოქალაქო საქმიანობაში რჩებოდნენ. ყველა ამ ახალი წარმონაქმნისთვის გენერალური SS-ის წევრი ახლა ისეთივე მიმართებაში იდგა, როგორც SA-ს წევრი SS-ელთან, ან პარტიის წევრი SA-ელთან, ან ფასადური ორგანიზაციის წევრი პარტიის წევრთან.[74] ახლა

71 იხ. ჰიტლერი, თავი SA-ს შესახებ *ციტირებულ ნაშრომში*, წიგნი II, თავი 9, მეორე ნაწილი.

72 Verfügungstruppe ანუ SS-ის სპეციალური ქვედანაყოფები, რომლებიც დასაწყისში ჰიტლერის სპეციალურ განკარგულებაში უნდა ყოფილიყო, როგორც შოკური დანაყოფები, თარგმანისას მე მივსდევ ო. ს. ჯაილსის ნაშრომს *გესტაპო*. ოქსფორდის პამფლეტები მსოფლიო საქმეებზე, ნომერი 36, 1940.

73 Death Head units – ინგლისურენოვანი თარგმანი SS-ის Totenkopfverbände-სი, რომელიც შემოკლებით SS-TV-ით აღნიშნებოდა და რომელთა სიმბოლოზეც თავის ქალის ჩონჩხი იყო გამოსახული (მთარმნ. შენიშვნა).

74 SS-ის ორგანიზაციისა და ისტორიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ჰიმლერის „SS-ისა და პოლიციის არსი და ამოცანა“ კრებულში *რჩეული მოხსენებები და სიტყვითი გამოსვლები*, 1939. ომის მიმდინარეობისას, როდესაც Waffen-SS ის რიგები ფრონტზე დანაკარგის გამო ახალწვეულებით უნდა შევსებულიყო, Waffen-SS-მა ისეთ დონემდე დაკარგა თავისი ელიტური ხასიათი SS-ში, რომ ახლა უკვე გენერალური SS-ი, ე. ი. ზემდგომი ფიურერის შენაერთები წარმოადგენდნენ მოძრაობის ნამდვილ ელიტურ ბირთვს.
SS-ის ამ ბოლო ფაზის შესახებ საკმაოდ მრავლის მთქმელი დოკუმენტური მასალა

გენერალური SS-ი დატვირთული იყო არა მხოლოდ „ნაციონალ-სოციალისტური იდეის განსხეულებათა ... უსაფრთხოების ზედამხედველობით," არამედ ასევე „SS-ის კადრების ყველა სპეციალური წევრების იმისგან დაცვით, რომ ეს უკანასკნელნი თავად მოძრაობისგან არ განცალკევებულიყვნენ."[75]

ეს ცვალებადი იერარქია, თავისი ახალი შრეების მუდმივი დამატებითა და ხელმძღვანელობის ცვლილებით, კარგადაა ცნობილი საიდუმლო კონტროლის ორგანიზაციებიდან, საიდუმლო პოლიციიდან ან შპიონაჟის სამსახურებიდან, სადაც ყოველთვის ახალი კონტროლია საჭირო მაკონტროლებლების გასაკონტროლებლად. მოძრაობების ხელისუფლებში მოსვლამდელ საფეხურზე ტოტალური შპიონაჟი ჯერ არაა შესაძლებელი; მაგრამ, საიდუმლო სამსახურების იერარქიის მსგავსად ცვალებადი იერარქია, შესაძლებელს ხდის, რომ თავად აქტუალური ძალაუფლების გარეშეც, დააქვეითო ნებისმიერი ფენა ან ჯგუფი, რომელიც კი მერყეობს ან აჩვენებს რადიკალიზმის შემცირების ნიშნებს, უბრალოდ ახალი, უფრო მეტად რადიკალური ფენების ჩამატებით; შესაბამისად, ძველი ჯგუფი

დაცულია ჰუვერის ბიბლიოთეკაში, ჰიმლერის მასალები, საქაღალდე 278. აქედან ჩანს, რომ SS-მა საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის წესებისა და მეთოდების შეგნებული მიბაძვით დაიწყო როგორც უცხოელი მუშების, ისევე ადგილობრივი მოსახლეობის რეკრუტირება. გერმანელთა შორის გაწვევა ემყარებოდა ჰიტლერის 1942 წლის დეკემბრის (გამოუქვეყნებელ) ბრძანებას, რომლის მიხედვითაც „1925 წელს დაბადებულთა კლასი (უნდა) იყოს გაწვეული Waffen-SS-ში" (ჰიმლერი ბორმანისადმი მიწერილ წერილში). სამხედრო სამსახურში გაწვევა და მოხალისედ ჩაწერა თითქოს მოხალისეობრივ საწყისზე ხდებოდა. ზუსტად რას ნიშნავდა ეს, კარგად ჩანს SS-ის ლიდერთა მრავალრიცხოვანი ოქმებიდან, რომლებსაც ეს დავალება ჰქონდათ დაკისრებული. 1943 წლის 21 ივლისით დათარიღებული ოქმი აღწერს, თუ როგორ არტყავს პოლიცია ალყას იმ ადმინისტრაციულ შენობას, რომელშიც ფრანგი მუშები უნდა ჩაწერილიყვნენ მოხალისედ, როგორ მღერიან ფრანგები ჯერ მარსელიოზას, ხოლო შემდეგ კი ფანჯრიდან გადახტომას ცდილობენ. გერმანელი ახალგაზრდობის მცდლობები თითქოს იმედისმომცემი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უზარმაზარი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ და მათ უმეორებდნენ, რომ „ისინი ცხადია, არ ისურვებდნენ შეერთებოდნენ" „ჭუჭყიან ნაცრისფერ ნაყარნუყარს" არმიისა, ჰიტლერიუგენდის 220 წევრიდან მხოლოდ 18 გამოცხადდა Waffen-SS-ის გაწვევის საპასუხოდ (თანახმად 1943 წლის 30 აპრილით დათარიღებული ანგარიშისა, რომელიც წარგენილი იქნა Waffen-SS-ის სამხედრო სამსახურში გაწვევის სამხრეთ-დასავლეთის ცენტრის უფროსის, ჰოიზლერის მიერ); ყველა დანარჩენმა კი ამჯობინა Wehrmacht-ს შეერთებოდა. შესაძლოა, რომ მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა იმან მოახდინა, რომ SS-ს უფრო მეტად დიდი დანაკარგი ჰქონდა, ვიდრე Wehrmacht-ს (იხ. კარლ ო. პაეტელი, Die SS, *ჟურნალში თანამედროვე ისტორიის შესახებ*, იანვარი, 1954). მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტორი რომ ვერ იქნებოდა გადამწყვეტი, ამას შემდეგი ადასტურებს: ჯერ კიდევ 1940 წლის იანვარში, ჰიტლერმა ბრძანება გასცა, რომ SA-ს წევრები Waffen-SS-ში მოეწვიათ. შემონახული ანგარიშის თანახმად, კოენიგსბერგის შედეგები ჩამოთვლილი იყო შემდეგნაირად: 1807 ადამიანი გაიწვიეს „პოლიციაში სამსახურისთვის," მათგან 1094 არ გამოცხადდა, 631 სამსახურისთვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა, 82 აღმოჩნდა SS-ში სამსახურისთვის შესაფერისი.

75 ვერნერ ბესტი, *ციტირებული ნაშრომი*, 1941, გვ. 99.

ავტომატურად გადაინაცვლებს ფასადური ორგანიზაციის მიმართულებით და დაშორდება მოძრაობის ცენტრს. ამდენად, ნაცისტების ელიტური ფორმაციები უწინარესად შიდაპარტიული ორგანიზაციები იყო: SA-ი ზეპარტიულ პოზიციამდე დაწინაურდა, როდესაც პარტია თითქოსდა კარგავდა თავის რადიკალურობას და შემდეგ, თავის მხრივ, და იმავე მიზეზით, SS-ის მიერ იქნა ჩანაცვლებული.

ტოტალიტარული ელიტური ფორმაციების სამხედრო ღირებულება, განსაკუთრებით SA-სი და SS-ის ხშირად გადამეტებულადაა შეფასებული, მაშინ, როდესაც მათი წმინდა შიდაპარტიული მნიშვნელობა რატომღაც უარყოფილია.[76] არცერთი ფაშისტური უნიფორმიანი ორგანიზაცია არ დაფუძნებულა სპეციფიკურად თავდაცვითი ან აგრესიული მიზნით, თუმცაღა, როგორც წესი, საბაბად ლიდერების ან რიგით პარტიული წევრების დაცვა იყო ხოლმე მოყვანილი.[77] ნაცისტური და ფაშისტური ელიტური ჯგუფების პარამილიტარული ფორმა იმის შედეგი იყო, რომ ისინი დაარსდნენ როგორც „მოძრაობის იდეოლოგიური ბრძოლის ინსტრუმენტები“[78] პაციფიზმის წინააღმდეგ, რომელიც ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ფართოდ იყო გავრცელებული. ტოტალიტარული მიზნებისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო, ჩამოყალიბებულიყვნენ „აგრესიული მიზნების გამოხატულებად;“[79] ყალბ არმიად, რომელიც შეძლებისდაგვარად დაემსგავსებოდა პაციფისტების მოჩვენებით არმიას (ვერ შეძლეს რა, გაეგოთ პოლიტიკურ სხეულში ჯარის კონსტიტუციური ადგილი, პაციფისტებმა ყველა სამხედრო ინსტიტუცია თავნება მკვლელების ბანდებად გამოაცხადეს), რათა შემდეგ კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცების დანაყოფები ჰყოლოდათ. SA-ი და SS-ი უდავოდ სანიმუშო ორგანიზაციები იყვნენ არბიტრარული ძალადობისა და მკვლელებისთვის; ისინი სულაც არ იყვნენ ისე კარგად იყვნენ გაწვრთნილნი, როგორც შავი რაინსვერი (Black Reichswehr), და არც ჩვეულებრივი საჯარისო დანაყოფების წინააღმდეგ საბრძოლველად იყვნენ აღჭურვილნი. ომის შემდგომ გერმანიაში მილიტარისტული პროპაგანდა უფრო მეტად პოპულარული იყო, ვიდრე სამხედრო წვრთნა, ხოლო უნიფორმები პარამილიტარულ ჯგუფებს სამხედრო

76 თუმცა ეს არ იყო ჰიტლერის ბრალი, რომელიც ყოველთვის მოითხოვდა რომ SA-ს (Sturmabteilung) სახელსაც კი მიენიშნებინა, რომ იგი მხოლოდ „მოძრაობის ერთი სექცია“ იყო, ზუსტად სხვა პარტიული ფორმაციების მსგავსი, როგორებიც იყო მაგალითად, პროპაგანდის, პრესის, სამეცნიერო ინსტიტუტების და ა.შ. დეპარტამენტები. მან ასევე სცადა პარამილიტარული ფორმაციების შესაძლო სამხედრო ღირებულების შესახებ ილუზიების გაფანტვა და უნდოდა წვრთნები პარტიის საჭიროების შესაბამისად ჩატარებულიყო და არა არმიის პრინციპების თანახმად. *ციტირებული ნაშრომი, ციტირებული ადგილი.*

77 SA-ს ჩამოყალიბების ოფიციალური მიზეზი ნაცისტური მიტინგების დაცვა იყო, მაშინ როდესაც SS-ის თავდაპირველი მოვალეობა ნაცისტი ლიდერების დაცვაში მდგომარეობდა.

78 ჰიტლერი, *ციტირებული ნაშრომი, ციტირებული ადგილი.*

79 ერნსტ ბაიერი, Die SA, ბერლინი, 1938. თარგმანი ციტირებულია *ნაცისტური კონსპირაციიდან*, IV.

ღირებულებას არ მატებდა; მიუხედავად ამისა, ისინი გამოსადეგი იყო, როგორც ნათელი მინიშნება სამოქალაქო სტანდარტებისა და მორალის გაუქმებისა; ასე თუ ისე, ეს უნიფორმები დიდწილად ამსუბუქებდა მკვლელების სინდისს და ასევე მათ უფრო მეტად მიმღებს ხდიდა უპირობო მორჩილებისა და უცილობელი ავტორიტეტისადმი. მიუხედავად ამ მილიტარისტული ზიზილ-პიპილოებისა, ნაცისტების შიდაპარტიული ფრაქცია, რომელიც თავიდან ნაციონალისტური და მილიტარული იყო – და ამიტომაც პარამილიტარულ დანაყოფებს უბრალოდ პარტიულ ფორმაციებად კი არ მიიჩნევდა, არამედ რაიხსვერის არალეგალურ გაფართოებად (რაც ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებით შეიზღუდა) – პირველი უნდა ლიკვიდირებულიყო. SA-ს მოიერიშე დანაყოფების ხელმძღვანელი როემი მართლაც ოცნებობდა ამაზე და ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ SA-ს რაიხსვერში გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებები ჰქონდა. იგი ჰიტლერმა მოაკვლევინა, რადგან [როემი] ცდილობდა ახლად დამყარებული ნაცისტური რეჟიმი სამხედრო დიქტატურად გადაექცია.[80] ასეთი განვითარება რომ ნაცისტური მოძრაობის ოცნება არ იყო, ჰიტლერმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე გახადა ნათელი, როცა SA-ს ხელმძღვანელის პოზიციიდან როემი დაითხოვა – ნამდვილი ჯარისკაცი, რომელსაც ომსა და შავი რაიხსვერის ორგანიზაციაში გამოცდილება შეუცვლელს ხდიდა სერიოზული სამხედრო წვრთნის პროგრამისთვის, ხოლო

80 როემის ავტობიოგრაფია ნათლად აჩვენებს, თუ რა მცირედით ეთანხმებოდა მისი პოლიტიკური შეხედულებები ნაცისტებისას. მას ყოველთვის სურდა *"Soldatenstaat"* [ჯარისკაცების სახელმწიფო] და ყოველთვის დაჟინებით მოითხოვდა "Primat des Soldaten von dem Politiker" [ჯარისკაცის უპირატესობას პოლიტიკოსთან შედარებით] (ციტირებული ნაშრომი, გვ. 349). შემდეგი ნაწყვეტი განსაკუთრებით მიუთითებს მის არატოტალიტარულ მიდგომაზე, ან უფრო სწორად, მის უუნარობაზე, საერთოდ გაეგო ტოტალიტარიზმი და მისი „ტოტალური" მოთხოვნა: „მე ვერ ვხვდები, რატომაა შეუთავსებელი შემდეგი სამი რამ: ჩემი ლოიალობა ვიტელსბახის დინასტიისა და ბავარიის გვირგვინის მემკვიდრე პრინცისადმი; ჩემი აღტაცება მსოფლიო ომის კვარტირმაისტერი-გენერლით [ანუ ლუნდენდორფით], რომელიც დღეს გერმანელი ხალხის ცნობიერებას განასახიერებს; და ჩემი ამხანაგობა პოლიტიკური ბრძოლის მალემსრბოლელთან და საყრდენთან, ადოლფ ჰიტლერთან" (გვ. 348). საბოლოოდ როემს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ის, რომ მას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფაშისტური დიქტატურა იტალიური რეჟიმისდაგვარად წარმოედგინა, რომელშიც ნაცისტური პარტია „დაამსხვრევდა პარტიის ჯაჭვებს" და „თავად გახდებოდა სახელმწიფო", რაც სწორედ ის იყო, რისი თავიდან აცილებაც ჰიტლერს ნებისმიერ შემთხვევაში უნდოდა. (იხ. ერნსტ როემი, *რატომ SA?* დიპლომატიური კორპუსის წინაშე წარმოთქმული სიტყვა, 1933 წლის დეკემბერი, ბერლინი, უთარიღო.)
ნაცისტური პარტიის შიგნით SS-ისა და პოლიციის მმართველობის წინააღმდეგ SA-სა და Reichwehr-ის შეთქმულება, როგორც ჩანს, სრულად დავიწყებას არ მისცემია. 1942 წელს, როემისა და გენერალი შლაიხერის მკვლელობიდან რვა წლის შემდეგ, პოლონეთის გენერალური მმართველი ჰანს ფრანკი ეჭვმიტანილი იქნა იმ სურვილში, რომ „ომის შემდეგ ... დიდი ზარ-ზეიმით წამოეწყო უდიდესი ბრძოლა სამართლიანობისთვის [SS-ის წინააღმდეგ], შეიარაღებული ძალებისა და SA-ს დახმარებით" (*ნაცისტური კონსპირაცია*, VI, 747).

SS-ის რეორგანიზატორად კი შეარჩია ჰიმლერი, ადამიანი, რომელსაც სამხედრო საქმეში იოტისოდენა ცოდნაც კი არ ჰქონდა.

რომ აღარაფერი ითქვას მოძრაობის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ელიტური ფორმაციების მნიშვნელობაზე, სადაც ისინი მილიტარულობის ცვალებად ბირთვს შეადგენენ, მათი პარამილიტარული ხასიათი გაგებულ უნდა იქნას სხვა ისეთ პარტიულ-პროფესიულ ორგანიზაციებთან კავშირში, როგორებიცაა ორგანიზაციები მასწავლებლებისთვის, იურისტებისთვის, ფიზიკოსებისთვის, სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტის პროფესორებისთვის, ტექნიკოსებისთვის და მუშებისთვის. ყველა ეს ორგანიზაცია საწყისისეულად უკვე არსებული, არატოტალიტარული პროფესიული გაერთიანებების დუბლიკატები იყო, პარაპროფესიული, ისევე როგორც მოიერიშე დანაყოფები (stormtroopers) იყო პარამილიტარული. სახასიათოა, რომ, რაც უფრო ნათლად ხდებოდნენ ევროპული კომუნისტური პარტიები მოსკოვიდან მართული ბოლშევიკური მოძრაობის ფილიალები, ეს უკანასკნელნიც მით უფრო მეტად იყენებდნენ თავის ფასადურ ორგანიზაციებს, რათა კონკურენცია გაეწიათ უკვე არსებული წმინდა პროფესიული ჯგუფებისათვის. ნაცისტებსა და ბოლშევიკებს შორის ამ თვალსაზრისით განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ნაცისტებს გამოკვეთილი ტენდენცია ჰქონდათ, ეს პარაპროფესიული ფორმაციები პარტიული ელიტის ნაწილად განეხილათ, მაშინ როდესაც კომუნისტები იმას ანიჭებდნენ უპირატესობას, რომ პარაპროფესიული ფორმაციებიდან თავისი ფასადური ორგანიზაციებისთვის შემადგენლობის რეკრუტირება მოეხდინათ. მოძრაობებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ისინი ხელისუფლებაში მოვლენ, შექმნან შთაბეჭდილება, რომ მათ რიგებში საზოგადოების ყველა ელემენტია ჩართული (ნაცისტური პროპაგანდის პირველი მიზანი იყო, რომ მთელი გერმანელი ხალხი მხარდამჭერებად დაეორგანიზებინა[81]). ნაცისტები ამ თამაშში ერთი ნაბიჯით წინ წავიდნენ და დაარსეს ყალბი დეპარტამენტები, რომლებიც ჩვეულებრივი სახელმწიფო ადმინისტრაციის მიხედვით იყო მოწყობილი, ისეთები, როგორიცაა მათი საკუთარი საგარეო საქმეთა, განათლების, კულტურის, სპორტის და ა.შ. დეპარტამენტი. არც ერთს ამ ინსტიტუციათაგანს არ ჰქონდა უფრო მეტი პროფესიული ღირებულება, ვიდრე მოიერიშე დანაყოფების მიერ ჯარის მიბაძვას, მაგრამ ერთად მათ მოჩვენებითობის სრულყოფილი სამყარო შექმნეს, რომელშიც არატოტალიტარული სამყაროს ყოველი სინამდვილე მონურად იყო გამეორებული თვალთმაქცობის ფორმით.

დუბლიკაციის ეს ტექნიკა, რომელიც ნამდვილად გამოუსადეგარია ხელისუფლების პირდაპირ დასამხობად, უკიდურესად ნაყოფიერი გამოდგა უკვე არსებული ინსტიტუციების მუშაობისთვის ძირის აქტიურად გამოსათხრელად და არ-

81 ჰიტლერი *ციტირებული ნაშრომის* II წიგნის მე-11 თავში აცხადებს, რომ პროპაგანდა ცდილობს, დოქტრინა მთელ მოსახლეობას მოახვიოს თავზე, მაშინ, როცა ორგანიზაცია განასხეულებს მხოლოდ შედარებით მცირე რაოდენობას მისი უფრო მეტად მებრძოლი წევრებისა. შდრ. ასევე გ. ნესე, *ციტირებული ნაშრომი*.

სებული „სტატუს-კვოს გასახრწნელად“[82] რაც ტოტალიტარულ ორგანიზაციებს ყოველთვის ღია ძალის ჩვენებაზე მეტად ურჩევნიათ. თუკი მოძრაობების ამოცანაა, რომ „პოლიპივით გაარღვიონ გზა ძალაუფლების ყველა პოზიციისაკენ,“[83] მაშინ ისინი მზად უნდა იყვნენ ნებისმიერი კონკრეტული სოციალური და პოლიტიკური პოზიციისათვის. ტოტალიტარულ ბატონობაზე მათი პრეტენზიის თანახმად, არატოტალიტარულ საზოგადოებაში ნებისმიერი ცალკეული ორგანიზებული ჯგუფი განიხილება, როგორც სპეციფიკური გამოწვევა, რომელიც მოძრაობამ უნდა გაანადგუროს; ასე რომ ვთქვათ, ყველა საჭიროებს განადგურების სპეციფიკურ იარაღს. ყალბი ორგანიზაციების პრაქტიკული ღირებულება მაშინ გახდა ნათელი, როდესაც ნაცისტებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და მზად იყვნენ, მაშინვე გაენადგურებინათ უკვე არსებული მასწავლებელთა ორგანიზაციები მასწავლებელთა სხვა ორგანიზაციებით, უკვე არსებული იურისტების კლუბები ნაცისტების მიერ დაფინანსებული იურისტების კლუბებით და ა.შ. მათ ერთ ღამეში შეძლეს, შეეცვალათ გერმანული საზოგადოების მთელი სტრუქტურა – და არა მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრება – ზუსტად იმიტომ, რომ მათ საკუთარ რიგებში მომზადებული ჰქონდათ მისი პირწავარდნილი ორეული. ამ მხრივ, პარამილიტარული ფორმაციების ამოცანა მაშინ დასრულდებოდა, როდესაც ომის ბოლო საფეხურზე, SS-ის გენერლების ავტორიტეტით რეგულარული სამხედრო იერარქიის ჩანაცვლება იქნებოდა შესაძლებელი. ამ „კოორდინაციის“ ტექნიკები ისეთივე გამჭრიახი და გადაულახავი იყო, როგორი სწრაფი და რადიკალურიც იყო პროფესიული სტანდარტების გადაგვარება, თუმცაღა ეს შედეგები უფრო მყისიერად შეიგრძნობოდა საომარი მოქმედებების უაღრესად ტექნიკურ და სპეციალიზებულ სფეროებში, ვიდრე ნებისმიერ სხვაში.

თუკი ტოტალიტარული მოძრაობებისთვის პარამილიტარული წარმონაქმნების მნიშვნელობა მათ საეჭვო სამხედრო ღირებულებაში არ მდგომარეობს, მაშინ ის სრულად არც მათ მიერ რეგულარული ჯარის ყალბ იმიტაციაშია. როგორც ელიტური ფორმაციები, ისინი უფრო მკვეთრად არიან გამიჯნულნი გარესამყაროსაგან, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჯგუფი. ნაცისტებმა საკმაოდ ადრე გააცნობიერეს ძლიერი კავშირი ტოტალურ გასამხედროებულობას და ნორმალურობისგან ტოტალურ გამიჯვნას შორის; მოიერიშე დანაყოფებს არასდროს ეძლეოდათ დავალებები მათ მშობლიურ თემში განსახორციელებლად, ხოლო SA-ს აქტიური კადრები ხელისუფლებაში მოსვლამდელ პერიოდში, ხოლო SS-ის კი – ნაცისტების რეჟიმის პირობებში, ისე მობილური და იმგვარად ხშირად ცვალებადი იყო, რომ დიდი ალბათობით მათ არც ჰქონდათ შესაძლებლობა, ფესვი გაედგათ ჩვეულებრივი სამყაროს ნებისმიერ სხვა ნაწილში.[84] ისინი ორგანიზებული იყო კრიმინა-

82 ჰიტლერი, *ციტირებული ნაშრომი, ციტირებული ადგილი.*

83 ჰადამოვსკი, ციტირებული ნაშრომი, გვ. 28,

84 SS-ის სიკვდილის თავის შენაერთები შემდეგ განაწესს ექვემდებარებოდნენ: 1. არც ერთი ბრიგადის გამოძახება არ შეიძლება დავალებაზე მის მშობლიურ უბანში; 2.

ლური დაჯგუფებების მოდელის მიხედვით და გამოიყენებოდნენ ორგანიზებული მკვლელობებისათვის.[85] ეს მკვლელობები საჯაროდ იყო დემონსტრირებული და ოფიციალურად ნებადართული ზემდგომი ნაცისტური იერარქიის მიერ, ისე, რომ დანაშაულში ღიად თანამონაწილეობა თითქმის შეუძლებელს ხდიდა წევრებისთვის, წამოსულიყვნენ მოძრაობიდან თვით არატოტალიტარული ხელისუფლების პირობებში, მაშინაც კი, თუკი მათ მათივე ყოფილი ამხანაგები არ ემუქრებოდნენ, რასაც ჩვეულებრივ ჰქონდა ხოლმე ადგილი. ამ თვალსაზრისით ელიტური ფორმაციების ფუნქცია სრულიად საპირისპიროა ფასადური ორგანიზაციების ფუნქციისა: მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი მოძრაობას რესპექტაბელურობის იერს ანიჭებენ და სანდოობას იწვევენ, ელიტური ფორმაციები [დანაშაულში] თანამონაწილეობის გაფართოების გზით პარტიის ყოველ წევრს აცნობიერებინებს იმას, რომ მან საბოლოოდ დატოვა ნორმალური სამყარო, რომელიც მკვლელობას კანონით კრძალავს, და რომ მას პასუხისგებაში მისცემენ ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც ელიტის მიერაა ჩადენილი.[86] ეს მიღწეულია ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდელ სტადიაზე, როდესაც ლიდერები სისტემატურად იღებენ პასუხისმგებლობას ყველა დანაშაულისათვის და ეჭვს არ ტოვებენ, რომ ისინი მოძრაობის უმაღლესი სიკეთისათვისაა ჩადენილი.

სამოქალაქო ომის მდგომარეობის ხელოვნურად შექმნას, რომლის დროსაც ნაცისტებმა შანტაჟით გაიკვლიეს გზა ხელისუფლებაში მოსასვლელად, იმაზე მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე ეს არეულობის გამოწვევისგან [მიღებული] ცხა-

---

ყველა შენაერთი უნდა შეიცვალოს სამკვირიანი სამსახურის შემდეგ; 3. წევრები არასდროს უნდა გაიგზავნონ ქუჩაში მარტო და არასდროს უნდა გამოაჩინონ სიკვდილის თავის სამკლაური საჯაროდ. იხ. *ჰიმლერის საიდუმლო სიტყვა წარმოთქმული გერმანიის არმიის გენერალური შტაბისადმი 1938 წელს* (თუმცაღა, სიტყვა წარმოითქვა 1937 წელს, იხ. *ნაცისტური კონსპირაცია* IV, 616, სადაც მხოლოდ ნაწყვეტებია გამოქვეყნებული). გამოქვეყნებულია ანტინაცისტური ლიტერატურის ამერკული კომიტეტის მიერ.

85 ჰაინრიხ ჰიმლერმა საჯაროდ განაცხადა: „მე ვიცი, რომ გერმანიაში არის ხალხი, ვინც ცუდად ხდება ამ შავი პალტოს დანახვაზე. ჩვენ გვესმის ეს და არ გვაქვს მოლოდინი, რომ ძალიან ბევრ ხალხს ვეყვარებით.“ *Schutzstaffel როგორც ანტიბოლშევიკური ბრძოლის ორგანიზაცია. შავი საჯარისო შენაერთები* No. 3, 1936.

86 SS-ის წინაშე თავის გამოსვლებში ჰიმლერი ყოველთვის აქცენტს აკეთებდა ჩადენილ დანაშაულებებზე, ხაზს უსვამდა მათ სიმძიმეს. მაგალითად, ებრაელთა ლიკვიდაციის შემდეგ, იგი იტყოდა: „მე ასევე მსურს გულახდილად დაგელაპარაკოთ ძალიან მძიმე საკითხზე. ჩვენ შორის ეს საკმაოდ გულახდილად უნდა აღინიშნოს, თუმცა ამაზე არასდროს ვისაუბრებთ საჯაროდ.“ პოლონეთის ინტელიგენციის ლიკვიდაციაზე: „... თქვენ უნდა მოისმინოთ ეს, მაგრამ მყისიერადაც უნდა დაივიწყოთ ...“ (*ნაცისტური კონსპირაცია*, IV, 558 და 553 შესაბამისად).
გებელსი, *ციტირებულ ნაშრომში, გვ. 266,* ასევე აღნიშნავს: „განსაკუთრებით, ებრაელთა საკითხზე, ჩვენ დავიჭირეთ ისეთი პოზიცია, რომელსაც ვეღარ გავექცევით ... გამოცდილება გვასწავლის რომ მოძრაობა და ხალხი, რომელმაც უკან დასაბრუნებელი ხიდები დაწვა, უფრო მეტი შეუპოვრობით იბრძვის ვიდრე ისინი, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია უკან დახევა.“ *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 266.

დი სარგებელია. ორგანიზებული ძალადობა [ტოტალიტარული] მოძრაობისთვის მრავალ დამცავ კედელთა შორის ყველაზე ეფექტურია, რომლებიც გარს არტყია გამონაგონ სამყაროს, რომლის „რეალობა“ დასტურდება მაშინ, როდესაც წევრს მოძრაობის დატოვების უფრო მეტად ეშინია, ვიდრე არაკანონიერ ქმედებაში საკუთარი თანამონაწილეობის შედეგებისა, ხოლო თავს უფრო მეტად დაცულად გრძნობს როგორც [მისი] წევრი, ვიდრე როგორც ოპონენტი. დაცულობის ეს განცდა, რომელიც შედეგია იმ ორგანიზებული ძალადობისა, რომლითაც ელიტური ფორმაციები იცავენ პარტიის წევრებს გარესამყაროსაგან, ისეთივე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფიქციური სამყაროს მთლიანობისათვის, როგორც თავად ორგანიზაციის ტერორის შიში.

მოძრაობის ცენტრშია ლიდერი, როგორც ძრავა რომელსაც იგი მოჰყავს მოძრაობაში. ის ელიტური ფორმაციისგან გამიჯნულია განდობილთა შიდა წრით, რომლებიც მის გარშემო შეუღწევადი იდუმალების აურას ქმნიან, რომელიც შეესაბამება მის „მოუხელთებელ უპირატესობას“.[87] ამ უახლოესი წრის შიგნით მისი პოზიცია დამოკიდებულია მოხერხებულობაზე, ჩახლართოს ინტრიგები მის წევრებს შორის და უნარზე, მუდმივად ცვალოს ამ უკანასკნელთა შემადგენლობა. ის ლიდერად აღზევებას უმადლის შიდაპარტიული ძალაუფლებისთვის ბრძოლასთან გამკლავების თავის უდიდეს უნარს, ვიდრე დემაგოგიურ ან ბიუროკრატიულ-ორგანიზაციულ თვისებებს. იგი დიქტატორის ადრეული ტიპისაგან იმით განსხვავდება, რომ სულაც არ იმარჯვებს მარტივი ძალადობით. ჰიტლერს არც SA-ი სჭირდებოდა და არც SS-ი, რათა უზრუნველეყო ნაცისტურ მოძრაობაში ლიდერის მისეული პოზიცია, პირიქით: როემი, რომელიც SA-ს უფროსი იყო და შეეძლო ამ უკანასკნელისგან თავისი პერსონის მხარდამჭერის იმედი ჰქონოდა, ჰიტლერის შიდაპარტიულ მტერთაგან ერთ-ერთი იყო. სტალინმა გაიმარჯვა ტროცკიზე, რომელიც არა მხოლოდ გაცილებით დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდა მასებში, არამედ, როგორც წითელი არმიის ხელმძღვანელს, ხელთ ჰქონდა იმდროინდელ საბჭოთა რუსეთში ძალაუფლების უდიდესი პოტენციალი.[88]

87 სუვარინი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 648. ის, თუ როგორ აბსოლუტურ საიდუმლოდ ინახავდნენ ტოტალიტარული მოძრაობები თავიანთი ლიდერების (ჰიტლერის და სტალინის) პირად ცხოვრებას, კონტრასტშია იმ ღირებულებასთან, რასაც ყველა დემოკრატიული რეჟიმი საჯაროობას ანიჭებს და საქვეყნოდ გამოფენს, მათ შორის, პრეზიდენტების, მეფეების, პრემიერ-მინისტრების და ა.შ. პირად ცხოვრებას. ტოტალიტარული მეთოდები სივრცეს არ ტოვებს იმგვარი გაიგივებისთვის, რომელიც შემდეგ რწმენაზეა დამყარებული: ჩვენ შორის ყველაზე უზენაესიც კი მხოლოდ ადამიანია.
სუვარინი (ციტირებული ნაშრომი, გვ. Xiii), ციტირებს სტალინის აღსაწერად ყველაზე ხშირად გამოყენებულ იარლიყებს: „სტალინი, კრემლის იდუმალი მასპინძელი“; „სტალინი, ამოუცნობი პიროვნება“, „სტალინი, კომუნისტი სფინქსი“, „სტალინი, ენიგმა“, „ამოუხსნელი საიდუმლო“ და ა.შ.

88 „[ტროცკის] რომ აერჩია სამხედრო coup d'état-ის დამყარება, მაშინ მას შესაძლოა, დაემარცხებინა თავისი ტრიუმვირატის წევრები. მაგრამ მან თანამდებობა ისე დატოვა, რომ ოდნავადაც არ უცდია, თავის დასაცავად დაეორგანიზებინა არმია,

უფრო მეტიც, სტალინი კი არა, ტროცკი იყო უდიდესი ორგანიზატორული ტალანტი, რუსეთის რევოლუციის ყველაზე მარჯვე ბიუროკრატი.[89] მეორე მხრივ, ორივე, ჰიტლერიც და სტალინიც დეტალების დიდოსტატები იყვნენ და საკუთარი კარიერის ადრეულ საფეხურზე თითქმის მთელ დროს მხოლოდ პერსონალის საკითხებს უთმობდნენ, ისე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ძნელად მოიძებნებოდა რომელიმე მნიშვნელოვანი პერსონა, ვინც თავისი პოზიციის გამო მათი მადლიერი არ იყო.[90]

თუმცაღა, ასეთი პიროვნული უნარები, მართალია, პირველ საფეხურზე აბსოლუტური წინაპირობაა ამგვარი კარიერისთვის და მოგვიანებითაც კი, შორსაა იმისგან, რომ უმნიშვნელო იყოს, მაგრამ ისინი უკვე აღარაა გადამწყვეტი, როცა ტოტალიტარული მოძრაობა ჩამოყალიბებულია და აქვს დადგენილი პრინციპი, რომ „ფიურერის ნება პარტიის კანონია," და როდესაც მისი მთელი იერარქია ეფექტურადაა გაწვრთნილი მხოლოდ ერთი მიზნით – მყისიერად აცნობოს ლიდერის ნება ყველა რანგს. როდესაც ეს მიღწეულია, ლიდერი ჩაუნაცვლებადია, რადგან მისი ბრძანებების გარეშე მოძრაობის მთელი რთული სტრუქტურა დაკარგავდა თავის *raison d'être*-ს.[91] ახლა, მიუხედავად უახლოეს წრეში მუდმივი ინტრიგისა და პერსონალიების უსასრულო ცვლილებისა, რასაც თან ახლავს ამ უკანასკნელთა ტკივილის, გაწბილების და პირადი შურისძიების დაგროვება, ლიდერის პოზიცია შეიძლება დაცული დარჩეს ქაოტური, სასახლის რევოლუციებისგან არა მისი უდიდესი ნიჭიერების გამო, რის შესახებაც მის უახლოეს გარემოცვაში ადამიანებს ხშირად დიდი ილუზიები არც აქვთ, არამედ ამ ადამიანების გულწრფელი და ცნობიერი რწმენის გამო, რომ მის გარეშე ყველაფერს მყისიერად დაკარგავდნენ.

ლიდერის უმაღლესი ამოცანაა, რომ განასახიეროს მოძრაობის ყოველი შრისთვის დამახასიათებელი ორმაგი ფუნქცია – იმოქმედოს როგორც გარესამყაროსაგან მოძრაობის მაგიურმა დაცვამ და იმავდროულად იყოს პირდაპირი ხიდი, რომლითაც მოძრაობა ამ უკანასკნელს უკავშირდება. ლიდერი წარმოადგენს მოძრაობას ყველა რიგითი პარტიული ლიდერისგან სრულიად განსხვავებულად; ის პიროვნულ პასუხისმგებლობას იღებს ყველა მოქმედებაზე, საგმირო თუ დანაშაულებრივ საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია [მოძრაობის] ნებისმიერი წევრის,

---

რომელიც თვითონ შექმნა და შვიდი წლის მანძილზე მეთაურობდა" (ისააკ დოიჩერი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 297).

89 ტროცკის ხელმძღვანელობის ქვეშ ომის კომისარიატი „სანიმუშო ინსტიტუცია იყო" და ტროცკის ყოველთვის უხმობდნენ სხვა დეპარტამენტებში რაიმე არეულობის შემთხვევაში. სუვარინი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 288.

90 სტალინის სიკვდილთან დაკავშირებული გარემოებები ამ მეთოდების უტყურობას თითქოს ეწინააღმდეგება. შესაძლებელია, რომ სტალინი, რომელიც სიკვდილამდე უდავოდ გეგმავდა კიდევ ერთ გენერალურ წმენდას, მისი გარემოცვიდან ვიღაცამ მოკლა, რადგან თავს უსაფრთხოდ უკვე ვეღარავინ გრძნობდა, თუმცა დიდი გარემოებითი სიცხადის მიუხედავად, ეს ვერ მტკიცდება.

91 ფრანგ. ყოფნის არსი (მთარგმნ. შენიშვნა)

ან მისი ოფიციალური შემადგენლობის ნებისმიერ ფუნქციონერის მიერ. ეს ტოტალური პასუხისმგებლობა უფრო მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ასპექტია ე. წ. ლიდერის პრინციპისა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ფუნქციონერი არა მხოლოდ დანიშნულია ლიდერის მიერ, არამედ მისი მოსიარულე განსხეულებაა, და ყველა ბრძანება ამ ერთი მუდმივი წყაროდან უნდა მოდიოდეს. ლიდერის ეს სრული იდენტიფიცირება ნებისმიერ დანიშნულ, ქვემდგომ ლიდერთან და ეს პასუხისმგებლობის მონოპოლია ყველაფერზე, რაც ჩადენილია, არის ასევე მისი ჩვეულებრივი დიქტატორისგან ან დესპოტისგან უმთავრესი განსხვავების ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი. ტირანი არასდროს მოახდენდა საკუთარი თავის გაიგივებას მის ქვეშევრდომებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ყოველ ქმედებასთან;[92] მან შესაძლოა, ისინი განტევების ვაცად გამოიყენოს და სიამოვნებით გააკრიტიკოს საკუთარი თავის ხალხის რისხვისაგან გადასარჩენად, მაგრამ ის ყოველთვის შეინარჩუნებდა აბსოლუტურ დისტანციას ყველა მისი ქვეშევრდომისა და დაქვემდებარებული პირის მიმართ. ამის საპირისპიროდ ლიდერი ვერ იტანს მისი ქვეშევრდომებისადმი კრიტიკას, რადგან ეს უკანასკნელნი ყოველთვის მისი სახელით მოქმედებენ; თუ მას სურს საკუთარი შეცდომების გამოსწორება, მან უნდა მოახდინოს იმათი ლიკვიდაცია, ვინც ეს განახორციელა; თუკი მას სურს საკუთარი შეცდომები სხვებს გადააბრალოს, მან უნდა მოკლას ისინი.[93] ვინაიდან ამ ორგანიზაციული ჩარჩოს შიგნით შეცდომა შეიძლება მხოლოდ გაყალბება იყოს: ცრუპენტელას მიერ ლიდერის განსახიერება.

ამ ტოტალურ პასუხისმგებლობას მოძრაობის მიერ ჩადენილ ყველა ქმედებაზე და ამ ტოტალურ იდენტიფიკაციას მის ყველა ფუნქციონერთან ძალიან პრაქტიკული შედეგი აქვს: არავინ არასდროს ხვდება ისეთ სიტუაციაში, რომელშიც პასუხისმგებელი იქნებოდა თავის საკუთარ ქმედებებზე, ან შეძლებდა აეხსნა მათი მიზეზები. ვინაიდან ლიდერმა ახსნა-განმარტების შესაძლებლობისა და უფლების მონოპოლიზება მოახდინა, ის ევლინება გარესამყაროს ერთადერთ ადამიანად, რომელმაც იცის, თუ რას სჩადის, ე. ი. როგორც მოძრაობის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელთანაც ჯერ კიდევ შეიძლება საუბარი არატოტალიტა-

92 ამგვარად ჰიტლერმა 1932 წელს მკვლელებს პირადად აცნობა დეპეშით, რომ პასუხისმგებლობას იღებდა პოტემპას მკვლელობაზე, თუმცა, სავარაუდოდ, მას არანაირი წვლილი არ მიუძღოდა. აქ მთავარი იყო გაიგივების პრინციპის მიღება, ან ნაცისტებით ენით რომ ვთქვათ „ლიდერისა და ხალხის ორმხრივი ლოიალობა“, რომელსაც „რაიხი ეფუძნება“ (ჰანს ფრანკი, *ციტირებული ნაშრომი*).

93 „სტალინის განმასხვავებელი თავისებურებებიდან ერთ-ერთია ... სისტემატურად საკუთარი ავკაცობების და დანაშაულებების, ისევე როგორც პოლიტიკური შეცდომების... მათ მხრებზე აკიდება, ვის დისკრედიტაციას და განადგურებასაც აპირებდა (სუვარინი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 655). ცხადია, რომ ტოტალიტარულ ლიდერს თავისუფლად შეუძლია აარჩიოს, თუ ვინ სურს, რომ მის შეცდომებს განასახიერებდეს, რადგანაც ქვემდგომი ლიდერების მიერ ჩადენილი ყველა ქმედების შთაგონების წყარო თვითონ უნდა იყოს, ასე რომ ნებისმიერს შეიძლება ცრუპენტელას როლი შეასრულებინო.

რული აზრით და ვისაც, გაკიცხვისას ან შედავებისას, არ შეუძლია თქვას: მე ნუ მეკითხები, ლიდერს ჰკითხე. არის რა მოძრაობის ცენტრში, ლიდერს შეუძლია იმოქმედოს ისე, თითქოს იგი მასზე მაღლაა. აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია (და სრულიად ფუჭი), რომ გარეშე პირებმა დროდადრო თავად ლიდერთან პირად საუბარზე დაამყარონ იმედი, როდესაც საქმე ტოტალიტარულ მოძრაობასთან ან ტოტალიტარულ ხელისუფლებებთან აქვთ. ტოტალიტარული ლიდერის რეალური მისტერია მდგომარეობს ორგანიზაციაში, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას, ტოტალური პასუხისმგებლობა აიღოს მოძრაობის ელიტური ფორმაციების მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე და იმავდროულად პრეტენზია ჰქონდეს მოძრაობის ყველაზე გულუბრყვილო თანამგზავრის გულწრფელ, მიამიტურ პატივისცემაზე.[94]

ტოტალიტარული მოძრაობებს უწოდებდნენ „დღისით-მზისით დაარსებულ საიდუმლო საზოგადოებებს.“[95] მართლაც, ის მცირე, რაც ვიცით საიდუმლო სა-

94 ის, რომ ნამდვილად „რადიკალური“ ზომების ინიციატორი ყოველთვის თვითონ ჰიტლერი იყო და არა ჰიმლერი, ბორმანი ან გებელსი; რომ ეს ზომები ყოველთვის უფრო რადიკალური იყო, ვიდრე მისი უახლოესი გარემოცვის წინადადებები; რომ ჰიმლერიც კი შოკირებული იყო ებრაელთა საკითხის „საბოლოო გადაწყვეტით“, რაც მას დაეკისრა – ეს ყველაფერი ახლა უთვალავი დოკუმენტითაა დამტკიცებული. ხოლო იმ ზღაპრისაც აღარავის სჯერა, რომ სტალინი უფრო ზომიერი იყო, ვიდრე ბოლშევიკური პარტიის მემარცხენე ფრაქციები. ახლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ტოტალიტარული ლიდერები მუდმივად ცდილობენ, უფრო ზომიერები გამოჩდნენ გარესამყაროს წინაშე და რომ მათი რეალური როლი – სახელდობრ ის, რომ ნებისმიერ ფასად გაუძღვე მოძრაობას წინ და თუ საჭიროა, დააჩქარო – საგულდაგულოდ დამალული რჩება. მაგალითისთვის იხ. ადმირალ ერიხ რედერის მემორანდუმი „ჩემი ურთიერთობა ადოფლ ჰიტლერთან და პარტიასთან“ *წიგნში ნაცისტური კონსპირაცია,* VIII, გვ. 707 და შემდგომი: „როდესაც ინფორმაცია, თუ ჭორები აზვირთდა პარტიისა და გესტაპოს რადიკალური ზომების შესახებ, ფიურერის ქცევით იმ დასკვნამდე შეიძლებოდა მისვლა, რომ ასეთი ზომების მიღება თავად ფიურერს არ უბრძანებია... მომდევნო წლების განმავლობაში მე თანდათანობით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ფიურერი თვითონ ყოველთვის იხრებოდა უფრო რადიკალური გადაწყვეტილებებისკენ, მაგრამ ისე, რომ ამას გარეგნულად არ ამჟღავნებდა.“

შიდაპარტიულ ბრძოლაში, რომელიც მის მიერ აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას უსწრებდა წინ, სტალინი ყოველთვის ფრთხილობდა რომ „ოქროს შუალედის კაცად“ წარმოეჩინა თავი (იხ. დოიჩერი, ციტირებული ნაშრომი, გვ. 295 და შემდგომი); თუმცაღა არა „კომპრომისების ადამიანად“. მას ეს როლი ბოლომდე არასდროს მიუტოვებია. როცა, მაგალითად, 1936 წელს უცხოელმა ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა იყო თუ არა მოძრაობის მიზანი, მოეხდინა მსოფლიო რევოლუცია, მან უპასუხა: „ჩვენ არასდროს გვქონია მსგავსი გეგმები და განზრახვები... ეს გაუგებრობის შედეგია. კომიკური, ან უფრო ტრაგიკომიკური“. (დოიჩერი, ციტირებული ნაშრომი, გვ. 422).

95 იხილეთ ალექსანდერე კოირე, „თანამედროვე ტყუილის პოლიტიკური ფუნქცია“, თანამედროვე ებრაულ ჩანაწერებში, ივნისი 1945.
ჰიტლერი, *ციტირებულ ნაშრომში, II წიგნის მე-9 თავში* ვრცლად განიხილავს ტოტალიტარული მოძრაობებისთვის საიდუმლო საზოგადოებების მოდელის დადებით და უარყოფით მხარეებს. მისმა მოსაზრებებმა იგი ფაქტობრივად კოირეს

ზოგადოებების სოციოლოგიური სრუქტურისა და მათი შედარებით თანამედროვე ისტორიის შესახებ, [ტოტალიტარული] მოძრაობების სტრუქტურა, რომელიც სხვა პარტიებსა და ფრაქციებთან შედარებით უპრეცედენტოა, არაფერს ისე არ მოგვაგონებს, როგორც საიდუმლო საზოგადოებათა ზოგიერთ თვალშისაცემ თვისებებს.[96] საიდუმლო საზოგადოებებიც აყალიბებენ იერარქიებს „ინიციაციის“ ხარისხის შესაბამისად; არეგულირებენ მათი წევრების ცხოვრებას საიდუმლო და გამონაგონი თეზის მიხედვით, რომელიც ყველაფერს ისეთ იერს აძლევს, თითქოსდა სინამდვილეში სხვა რამ იყოს; მიმართავენ მუდმივი მოტყუების სტრატეგიას, რათა შეცდომაში შეიყვანონ ინიციაციის ქვეშ არმყოფი გარე მასები; მოითხოვენ უპირობო მორჩილებას მისი წევრებისაგან, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ხშირად უცნობი და ყოველთვის იდუმალი ლიდერის დაქვემდებარების ქვეშ, რომელიც, თავის მხრივ, გარშემორტყმულია, ან იგულისხმება რომ გარშემორტყმულია, განდობილთა მცირერიცხოვანი ჯგუფით, რომლებიც, თავის მხრივ, გარშემორტყმულნი არიან ნახევრად განდობილებით; ეს უკანასკნელნი კი ქმნიან „ბუფერულ ზონას“ მტრული, არაინიციაციაგამოვლილი სამყაროს წინააღმდეგ.[97]

დასკვნასთან მიიყვანა, ე. ი. მიეღოთ საიდუმლო საზოგადოებების პრინციპები მათი გასაიდუმლოებების გარეშე და ისინი „დღისით-მზისით დაეარსებინათ.“ მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლამდელ პერიოდში ნაცისტები ფაქტობრივად არაფერს ინახავდნენ საიდუმლოდ. მხოლოდ ომის პერიოდში გახდა ნაცისტური რეჟიმი სრულიად ტოტალიტარული და პარტიის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, რომ ყველა მხრიდან სამხედრო იერარქიით იყო გარშემორტყმული, რომელზეც დამოკიდებული იყო ომის წარმოებისას, რომ ელიტურ ფორმაციებს არაორაზროვანი განკარგულება ჰქონდათ მიღებული, აბსოლუტურად საიდუმლოდ შეენახათ ყველაფერი, რაც „საბოლოო გადაწყვეტას“ – ე. ი. დეპორტაციებს და მასობრივ განადგურებებს – უკავშირდებოდა. ეს იყო ასევე ის პერიოდი, როდესაც ჰიტლერმა იმგვარად დაიწყო მოქცევა, თითქოს შეთქმულთა ბანდის მეთაური იყო, მაგრამ ისე, რომ ეს ფაქტი არც პერსონალურად გამოუცხადებია და არც ცხადად გაუვრცელებია. 1939 წლის მაისში გენერალურ შტაბთან დისკუსიისას მან შემდეგი წესები წამოყენა, რომლებიც ისე ჟღერდა, თითქოს საიდუმლო საზოგადოების სახელმძღვანელოდან ყოფილიყო გადმოღებული: „1. ყველა, ვინც საჭიროებს იცოდეს, უნდა იყოს ინფორმირებული; 2. არავინ უნდა იცოდეს იმაზე მეტი, ვიდრე სჭირდება, რომ იცოდეს; 3. არავინ უნდა იცოდეს იმაზე ადრე, ვიდრე ეს საჭიროა.“ (ციტირებულია ჰაინც ჰოლბაკის წიგნიდან *რა მოხდა სინამდვილეში*, 1949, გვ. 378).

96 შემდეგი ანალიზი ზედმიწევნით მისდევს გეორგ ზიმელის ნაშრომს „საიდუმლოებებისა და საიდუმლო საზოგადოებების სოციოლოგია,“ გამოქვეყნებული *სოციოლოგიის ამერიკულ ჟურნალში*, ტომი XI, No.4, იანვარი, 1906, რომელიც იქნა მისი მონოგრაფიის, *სოციოლოგიის,* მეხუთე თავად გადამუშავებული, ლაიპციგი, 1908. ტექსტის ნაწილების თარგმანი გამოიცა კურტ ჰ. ვოლფის მიერ სახელწოდებით *გეორგ ზიმელის სოციოლოგია,* 1950.

97 „სწორედ იმიტომ რომ საზოგადოების დაბალი რანგები ქმნიან შუამავალ გარდამავალ რგოლს გასაიდუმლოებულობის რეალური ცენტრისაკენ, ისინი ამ უკანასკნელის გარშემო ზიზღის სფეროს ხარისხობრივად პრესავენ, რაც უფრო უსაფრთხო დაცვას იძლევა, ვიდრე ამის გაკეთება პატივისცემას – შინ ან გარეთ – შეუძლია.“ იქვე. გვ. 489

საიდუმლო საზოგადოებებისგან ტოტალიტარული მოძრაობები ასევე იზიარებენ სამყაროს დიქოტომიურ დაყოფას „სისხლით შეფიცულ ძმებსა“ და შეფიცული მტრების განუსაზღვრელ, დაუდგენელ მასას შორის.[98]ეს განსხვავება, რომელიც დაფუძნებულია გარემომცველი სამყაროს აბსოლუტურ მტრობაზე, ძალიან განსხვავდება ჩვეულებრივი პარტიების ტენდენციისაგან, გაყონ ხალხი იმად, თუ ვინ განეკუთვნება მათ რიგებს და ვინ – არა. პარტიები და ღია საზოგადოებები, როგორც წესი, თავიანთ მტრად მხოლოდ იმათ განიხილავენ, ვინც მათ ღიად უპირისპირდება, მაშინ როდესაც საიდუმლო საზოგადოებების პირინციპი ყოველთვის ის იყო, რომ „ვინც ღიად არაა ჩარიცხული [ჩვენს რიგებში], ის გამორიცხულია.“[99]ეს ეზოთერული პრინციპი სრულიად შეუფერებელი ჩანს მასობრივი ორგანიზაციისთვის; თუმცაღა ნაცისტებმა თავიანთ წევრებს მისცეს, სულ მცირე, საიდუმლო ორგანიზაციებისეული ინიციაციის რიტუალის ფსიქოლოგიური ეკვივალენტი, როდესაც, ნაცვლად იმისა, რომ ებრაელები წევრობიდან უბრალოდ გამოერიცხათ, საკუთარი წევრებისგან არაებრაული წარმომავლობის გადამოწმება მოითხოვეს და შექმნეს რთული მექანიზმი იმისათვის, რათა ნათელი მოეფინათ

98 ცნებები „ძმადნაფიცები“, „შეფიცული ამხანაგები“, „შეფიცულები “ და ა. შ. ad nauseam [ხაზგასმით] მეორდება ნაცისტურ ლიტერატურაში, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ახალგაზრდების რომანტიზმზეა გათვლილი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიის ახალგაზრდულ მოძრაობაში. პირველ რიგში ჰიმლერი იყო, ვინც ეს ცნებები უფრო განსაზღვრული მნიშვნელობით გამოიყენა, შემოტანა რა ისინი SS-ის „მთავარ ლოზუნგში“, („ამგვარად მწყობრში ჩავდექით და მივაბიჯებთ შორეული მომავლისკენ, მივსდევთ რა უცვლელ კანონებს, როგორც ნორდიკულ კაცთა ნაციონალ-სოციალისტური ორდენი და როგორც *შეფიცულნი* მათი ტომიდან [*Sippen].*“ იხ. დ’ალკენი, *ციტირებული ნაშრომი*) და მათ მიანიჭა სხვა ყველა დანარჩენის წინააღმდეგ „აბსოლუტური მტრობის“ გამოკვეთილი მნიშვნელობა (იხ. ზიმელი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 489): „მაშინ, როდესაც კაცობრიობის ერთდან ერთ-ნახევარ მილიარდამდე მასა [sic!] ჩვენი, გერმანიკული ხალხის წინააღმდეგ ორგანიზდება, ...“ იხ. ჰიმლერის გამოსვლა SS-ის მთავარ გენერლებთან შეხვედრაზე 1943 წლის 4 ოქტომბერს პოზენში, *ნაცისტური კონსპირაცია,* IV, გვ. 558.

99 ზიმელი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 490. სხვა ბევრი პრინციპის მსგავსად, ნაცისტებმა ეს „სიონის უხუცესთა პროტოკოლების“ თანმდევი ეფექტის ყურადღებით გაანალიზების შედეგად აითვისეს. ჰიტლერმა ჯერ კიდევ 1922 წელს თქვა: „[მემარჯვენე ბატონებმა] ჯერ ვერ გაიგეს, რომ აუცილებელი არაა ებრაელის მტერი იყო, რათა ერთ დღეს წაგათრიონ ... ეშაფოტზე ... [ამისათვის] სრულიად საკმარისია, რომ ... *არ იყო ებრაელი:* ეს უკვე უზრუნველყოფს ეშაფოტს შენთვის.“ (*ჰიტლერის სიტყვითი გამოსვლები,* გვ.12). მაშინ ვერავინ მიხვდებოდა, სინამდვილეში რას ნიშნავდა პროპაგანდის ეს კონკრეტული ფორმა: ერთ დღესაც იმისათვის, რომ ეშაფოტზე წაგათრიონ, საჭირო აღარ იქნება, იყო ჩვენი მტერი; ამისათვის სრულიად საკმარისი იქნება, რომ იყო ებრაელი ან, საბოლოო ჯამში, რომელიმე სხვა ხალხის წარმომადგენელი, რათა რომელიმე ჯანმრთელობის კომისიამ „რასობრივად გამოუსადეგარად“ გამოგაცხადოს. ჰიმლერს სჯეროდა და ქადაგებდა, რომ მთელი SS-ი დაფუძნებული იყო პრინციპზე: „ჩვენ უნდა ვიყოთ ალალმართლები, ღირსეულები, ლოიალურები და ამხანაგურები მათდამი, ვინც ჩვენს სისხლს განეკუთვნება და არა სხვათა მიმართ“ (*ციტირებული ნაშრომი, ციტირებული ადგილი*).

დაახლოებით 80 მილიონი გერმანელის ბუნდოვანი წარმომავლობისათვის. რა თქმა უნდა, ეს იყო კომედია, და ძვირადღირებული კომედიაც კი, როდესაც 80 მილიონი გერმანელი დაირაზმა ებრაელი ბაბუების მოსაძებნად; თუმცაღა [წინაპრების] გადამოწმებიდან ყველა იმ გრძნობით გამოვიდა, რომ ისინი განეკუთვნებოდნენ ჩარიცხულთა ჯგუფს, რომელიც უპირისპირდებოდა უვარგისთა წარმოსახვით სიმრავლეს. იგივე პრინციპი დასტურდება ბოლშევიკების მოძრაობაში განმეორებითი პარტიული წმენდების გზით, რაც ყველა მათგანს, ვინც გამორიცხული არაა, ჩარიცხვის ხელახალი დადასტურების განცდას უჩენს.

ყველაზე თვალშისაცემი მსგავსება საიდუმლო საზოგადოებებსა და ტოტალიტარულ მოძრაობებს შორის ალბათ რიტუალის როლში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით, მოსკოვში წითელ მოედანზე მარში არა ნაკლებად სახასიათოა, ვიდრე ნუერნბერგის პარტიული დღეების პომპეზური ფორმალობები. ნაცისტური რიტუალის ცენტრში იყო ეგრეთ წოდებული „სისხლიანი დროშა“, ხოლო ბოლშევიკების რიტუალის ცენტრში დგას ლენინის მუმიფიცირებული გვამი, ორივე მათგანს კი ცერემონიაში შემოაქვს კერპთაყვანისმცემლობის ძლიერი ელემენტი. ასეთი კერპთაყვანისმცემლობა სულაც არ არის – როგორც ამას ხანდახან ვარაუდობდნენ – ფსევდორელიგიური ან ერეტიკული ტენდენციების დამამტკიცებელი საბუთი. „კერპები“ მხოლოდ ორგანიზაციული ინსტრუმენტია, რაც ცნობილია საიდუმლო საზოგადოებების რიტუალებიდან, რომლებიც შემზარავი, შიშისმომგვრელი სიმბოლოების გამოყენებით და დაშინებით ითრევდნენ ხოლმე თავიანთ წევრებს გასაიდუმლოებულობაში. ცხადია, რომ ადამიანები უფრო მეტად საიმედოდ არიან გაერთიანებულნი საიდუმლო რიტუალის საერთო გამოცდილების გზით, ვიდრე თავად საიდუმლოს ერთმანეთისთვის გაზიარებით. ის, რომ ტოტალიტარული მოძრაობის საიდუმლო მზის შუქზეა გამოფენილი, აუცილებლად არ ცვლის გამოცდილების ბუნებას.[100]

ეს მსგავსებები, რა თქმა უნდა, არაა შემთხვევითი; ისინი არ შეიძლება უბრალოდ იმ ფაქტით აიხსნას, რომ ორივე, ჰიტლერიც და სტალინიც, ვიდრე ისინი ტოტალიტარული ლიდერები გახდებოდნენ [მათი] თანამედროვე საიდუმლო საზოგადოებების წევრები იყვნენ – ჰიტლერი რაიხსვერის საიდუმლო სამსახურში და სტალინი ბოლშევიკური პარტიის კონსპირაციის განყოფილებაში. ეს მსგავსებები გარკვეულწილად ბუნებრივი შედეგია ტოტალიტარიზმისეული შეთქმულების ფიქციისა; ტოტალიტარიზმის ორგანიზაციები იმისათვის დაარსდა, რომ საიდუმლო საზოგადოებების – ებრაელების საიდუმლო საზოგადოების თუ ტროცკისტების კონსპირატორული საზოგადოების – წინააღმდეგ ემოქმედათ. ტოტალიტარულ ორგანიზაციებში უფრო მეტად ისაა აღსანიშნავი, რომ მათ შეძლეს, გადაეღოთ საიდუმლო საზოგადოებების ამდენი ორგანიზაციული მეთოდი ისე, რომ არც არასდროს უცდიათ საკუთარი მიზნების საიდუმლოდ შენახვა. ის, რომ ნაცისტებს სურდათ მსოფლიოს დაპყრობა, „რასობრივად უცხო“ ხალხების დეპორტირება, მათი „არასრულყოფილი ბიოლოგიური მემკვიდრეობის“ განადგურება,

100 იხ. ზიმელი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 480-481

ხოლო ბოლშევიკები რომ მსოფლიო რევოლუციისთვის მუშაობდნენ, არასდროს ყოფილა საიდუმლო; პირიქით, ეს მიზნები ყოველთვის მათი პროპაგანდის ნაწილი იყო. სხვა სიტყვებით, ტოტალიტარული მოძრაობები ბაძავენ ყველა ატრიბუტს საიდუმლო საზოგადოებებისა, მაგრამ ამ უკანასკნელთ აცარიელებენ ერთადერთი რამისგან, რასაც შეეძლო მათი მეთოდები გაემართლებინა – ან მიიჩნეოდა, რომ უნდა გაემართლებინა – საიდუმლოს დაცვის აუცილებლობისგან.

ამ მხრივ, ისევე როგორც სხვა მრავალი თვალსაზრისით, ნაციზმი და ბოლშევიზმი ძალიან განსხვავებული ისტორიული საწყისებიდან ერთსა და იმავე ორგანიზაციულ შედეგებამდე მივიდნენ: ნაცისტებმა დაიწყეს შეთქმულების ფიქციით და საკუთარი თავი მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულად სიონის უხუცესთა საიდუმლო საზოგადოების მაგალითის მიხედვით ჩამოაყალიბეს, მაშინ, როდესაც ბოლშევიკები მოვიდნენ რევოლუციური პარტიიდან, რომლის მიზანიც ერთპარტიული დიქტატურა იყო, გაიარეს ის ეტაპი, რომელზეც პარტია „სრულიად ყველაფერზე მაღლა და ყველაფრის მიღმა“ იყო და მივიდნენ იმ მომენტამდე, როდესაც პარტიის პოლიტბიურო „სრულიად ყველაფრის მიღმა და ყველაფერზე მაღლა“ დადგა.[101] საბოლოოდ სტალინმა ამ პარტიულ სტრუქტურას მისივე კონსპირატორული სექტორის უხეში ტოტალიტარული წესები დაუწესა და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა მთავარი ფიქციის საჭიროება, რათა მასობრივი ორგანიზაციის პირობებში შეენარჩუნებინა საიდუმლო საზოგადოებისეული რკინის დისციპლინა. ნაცისტების განვითარება შესაძლოა, უფრო მეტად ლოგიკურია, უფრო მეტად თანმიმდევრულიც თავის თავში, მაგრამ ბოლშევიკური პარტიის ისტორია ტოტალიტარიზმის არსებითად ფიქციური ხასიათის უკეთეს ილუსტრაციას იძლევა, კერძოდ კი იმიტომ, რომ გამონაგონი გლობალური შეთქმულებები, რომელთა წინააღმდეგ და რომელთა მიხედვითაც ბოლშევიკების კონსპირაცია უნდა ორგანიზებულიყო, არ იყო იდეოლოგიურად მყარი. ისინი იცვლებოდა – ტროცკისტებიდან 300 ოჯახამდე, შემდეგ სხვადახვა „იმპერიალიზმამდე“, ხოლო სულ ახლახან კი „ფესვამოძირკვულ კოსმოპოლიტიზმამდე“ – და ესადაგებოდა არსებულ საჭიროებებს; თუმცა არც ერთ მომენტში, ამ სრულიად სხვადასხვანაირი გარემოებებიდან არც ერთის პირობებში არ ყოფილა ბოლშევიზმისთვის შესაძლებელი, რომ ასეთი ფიქციის გარეშე გადარჩენილიყო.

გზები, რომლითაც სტალინმა რუსეთის ერთპარტიული დიქტატურა ტოტალიტარულ რეჟიმად შეცვალა და მთელ მსოფლიოში არსებული რევოლუციური კომუნისტური პარტიები ტოტალიტარულ მოძრაობად აქცია, იყო [პარტიული] ფრაქციების ლიკვიდაცია, შიდაპარტიული დემოკრატიის განადგურება და ნაციონალურ დონეზე არსებული კომუნისტური პარტიების მოსკოვიდან მართულ, კომინტერნის ფილიალებად გადაქცევა. ზოგადად საიდუმლო ორგანიზაციები, და განსაკუთრებით კი რევოლუციური პარტიების კონსპირატორული აპარატი, ყოველთვის ხასიათდებოდა ფრაქციების არარსებობით, დისიდენტური შეხედულებების ჩახშობით, და ბრძანების აბსოლუტური ცენტრალიზებით. ცხადია,

101 სუვარინი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 319, მისდევს ბუხარინისეულ ფორმულირებას.

ყველა ამ ღონისძიებას აქვს უტილიტარული დანიშნულება, დაიცვას წევრები დევნისგან, ხოლო საზოგადოება – ღალატისგან; ტოტალური მორჩილება, რომელიც თითოეულ წევრს მოეთხოვებოდა, და უფროსის ხელში თავმოყრილი აბსოლუტური ძალაუფლება, იყო პრაქტიკულ აუცილებლობათა მხოლოდ იძულებითი გვერდითი შედეგი. თუმცა საქმე ისაა, რომ კონსპირატორებს ახასიათებთ მოსალოდნელი ტენდენცია იფიქრონ, რომ ზოგადად პოლიტიკაში ყველაზე ეფექტური მეთოდები შეთქმულთა საზოგადოებების მეთოდებია და თუკი მავანი შესძლებს მათ გამოყენებას დღისით-მზისით და ამას მთელი ნაციის ძალადობის იარაღებსაც მიახმარს, ძალაუფლების აკუმულაციის შესაძლებლობები აბსოლუტურად შეუზღუდავი გახდება.[102] რევოლუციური პარტიის კონსპირატორულ სექტორს შეუძლია, ვიდრე თავად პარტია ჯერ კიდევ ჯანსაღია, შეასრულოს ის, როლი, რომელსაც ჯარი ჯანსაღი პოლიტიკური სხეულის შიგნით თამაშობს: მიუხედავად იმისა, რომ მართვის მისეული წესები სრულიად განსხვავდება სამოქალაქო სხეულის მართვის წესებისაგან, ის ამ უკანასკნელს ემსახურება, რჩება მისდამი დაქვემდებარებული და არის კონტროლირებული მის მიერ. ისევე, როგორც სამხედრო დიქტატურის საშიშროება მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ჯარი უკვე აღარ ემსახურება მოსახლეობას, არამედ მასზე დომინირება სურს, ტოტალიტარიზმის საშიშროებაც მაშინ ჩნდება, როდესაც რევოლუციური პარტიის კონსპირატორული სექტორი ითავისუფლებს თავს პარტიის კონტროლიდან და ისწრაფვის ლიდერობისაკენ. სწორედ ეს დაემართა კომუნისტურ პარტიას სტალინის რეჟიმის პირობებში. სტალინის მეთოდები ყოველთვის დამახასიათებელი იყო იმ ადამიანისთვის, რომელიც პარტიის კონსპირატორული სექტორიდან მოვიდა: დეტალებისადმი მისი ერთგულება, პოლიტიკის პიროვნული ნაწილის წინ წამოწევა, მისი ცივსისხლიანობა პარტიული ამხანაგებისა თუ მეგობრების გამოყენებისას და განადგურებისას. ლენინის სიკვდილის შემდეგ [ძალაუფლების] მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში გასამარჯვებლად მთავარი მხარდაჭერა მან საიდუმლო პოლიციისგან[103] მიიღო, რომელიც იმ დროისთვის უკვე იყო პარტიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი განყოფილება.[104] ბუნებრივია, რომ ჩეკას

102 სუვარინი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 113, აღნიშნავს, რომ სტალინზე „ყოველთვის ახდენდნენ შთაბეჭდილებას ის მამაკაცები, რომლებიც ახერხებდნენ, 'სასიყვარულო რომანი' ჰქონოდათ. იგი ისე უყურებდა პოლიტიკას, როგორც ‚რომანს' რომელიც მოხერხებულობას მოითხოვს."

103 ოციან წლებში მიმდინარე შიდაპარტიულ ბრძოლაში „GPU-ს [Государственное политическое управление при НКВД] თანამშრომლები თითქმის გამონაკლისის გარეშე მარჯვენა ფლანგის ფანატიკური მოწინააღმდეგები და სტალინის მიმდევრები იყვნენ. ამ დროისათვის GPU-ს სხვადასხვა სამსახურები სტალინისტური ფლანგის ბასტიონი იყო" (კილიგა, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 48), – სუვარინი ამბობს, რომ სტალინი ჯერ კიდევ იქამდე „აგრძელებდა პოლიციურ საქმიანობას, რომელიც მან სამოქალაქო დროს დაიწყო," ვიდრე GPU-ს პოლიტბიუროს წარმომადგენელი იყო.

104 რუსეთის სამოქალაქო ომის შემდეგ გაზეთმა „პრავდამ" სასწრაფოდ გამოაცხადა, „რომ ლოზუნგი 'მთელი ძალაუფლება საბჭოეთს' ჩანაცვლდა ლოზუნგით 'მთელი

სიმპათიები კონსპირატორული განყოფილების წარმომადგენლის მხარეს უნდა ყოფილიყო, იმ კაცის, რომელიც უკვე განიხილავდა მას საიდუმლო საზოგადოების ერთგვარ სახედ და ამიტომ ამ უკანასკნელს დიდი ალბათობით შეუნარჩუნებდა და გაუფართოვებდა პრივილეგიებს.

თუმცაღა, კონსპირატორული სექტორის მიერ კომუნისტური პარტიის ხელში ჩაგდება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო ტოტალიტარულ მოძრაობად მისი გარდაქმნის გზაზე. ის არ კმაროდა, რომ საიდუმლო პოლიცია რუსეთში, ხოლო მისი აგენტები კი საზღვარგარეთ არსებულ კომუნისტურ პარტიებში, იმავე როლს თამაშობდნენ მოძრაობაში, რასაც ნაცისტური ელიტური ფორმაციები, რომლებიც ნაცისტებმა პარამილიტარული დანაყოფების ფორმით ჩამოაყალიბეს. იმისთვის, რომ საიდუმლო პოლიციის მმართველობა სტაბილურად გაგრძელებულიყო, თავად პარტიები უნდა გარდაქმნილიყო. შესაბამისად, [პარტიული] ფრაქციებისა და შიდაპარტიული დემოკრატიის ლიკვიდაციას რუსეთში თან ახლდა პარტიაში ფართო, პოლიტიკურად გაუნათლებელი და „ნეიტრალური“ მასების გაწევრიანება; სტრატეგია, რომელსაც მალევე მისდიეს საზღვარგარეთულმა კომუნისტურმა პარტიებმა მას შემდეგ, რაც სახალხო ფრონტის პოლიტიკამ ეს წამოიწყო.

ნაცისტების ტოტალიტარიზმი დაიწყო მასობრივი ორგანიზაციით, რომელიც მხოლოდ თანდათანობით იქნა დომინირებული ელიტური ფორმაციების მიერ, მაშინ როდესაც ბოლშევიკებმა დაიწყეს ელიტური ფორმაციებით და მასები მის შესაბამისად დააორგანიზეს. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივე იყო. გარდა ამისა, ნაცისტებმა მათი მილიტარისტული ტრადიციისა და ცრურწმენების გამო, თავისი ელიტური ფორმაციები საწყისისეულად ჯარის პრინციპზე მოაწყვეს, მაშინ, როდესაც ბოლშევიკებმა დასაწყისიდანვე საიდუმლო პოლიცია უმაღლესი ძალაუფლების გამოყენებით აღჭურვეს. თუმცა რამდენიმე წელიწადში ეს განსხვავებაც გაქრა: SS-ის უფროსი გახდა საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელი, ხოლო SS-ის ფორმაციები თანდათანობით შეუერთდა გესტაპოს და ჩაანაცვლა მისი პერსონალი, მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონალიც უკვე სანდო ნაცისტებისგან შედგებოდა.[105]

ძალაუფლება ჩეკას’... შეიარაღებული დაპირისპირების დასასრულმა შეამცირა სამხედრო კონტროლი ... მაგრამ დატოვა განტოტვილი ჩეკა, რომელმაც საკუთარი თავი სრულყო თავისი მოქმედებების გამარტივებით“ (სუვარინი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 251).

105 გესტაპოს ორგანიზაციული სტრუქტურა გოერინგმა მოაწყო 1933 წელს; ჰიმლერი გესტაპოს უფროსად 1934 წელს დაინიშნა და მაშინვე დაიწყო მისი პერსონალის ჩანაცვლება თავისი SS-ელებით; ომის დასასრულს მთელი გესტაპოს აგენტების 75 პროცენტი SS-ელი იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ SS-ის შენაერთები უპირველეს ყოვლისა, ამ სამუშაოსთვის იყვნენ კვალიფიცირებულები, რადგან ჰიმლერმა, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდელ პერიოდში, მათ ამოცანად პარტიის წევრების ჯაშუშობა განსაზღვრა (ჰაიდენი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 308). გესტაპოს ისტორიისთვის იხ. ჯაილსი, *ციტირებული ნაშრომი* და ასევე *ნაცისტური კონსპირაცია*, ტომი II, თავი 12.

შეთქმულთა საიდუმლო საზოგადოების მოქმედებასა და მის დასამარცხებლად ორგანიზებულ საიდუმლო პოლიციას შორის არსებითი მსგავსების გამოა, რომ ტოტალიტარული რეჟიმები, რომლებიც დაფუძნებულია გლობალური შეთქმულების ფიქციაზე და მიზნად მსოფლიოს მართვას ისახავს, საბოლოოდ მთელი ძალაუფლების კონცენტრირებას პოლიციის ხელში ახდენს. თუმცაღა ხელისუფლებაში მოსვლამდელ პერიოდში „დღისით-მზისით [დაარსებული] საიდუმლო საზოგადოებები“ სხვა ორგანიზაციულ უპირატესობებსაც იძლევა. თვალსაჩინო წინააღმდეგობა მასობრივ ორგანიზაციასა და რჩეულ საზოგადოებას შორის, რომელიც ერთადერთია, ვისაც საიდუმლოს შენახვა შეიძლება ანდო, უმნიშვნელოა იმ ფაქტთან შედარებით, რომ საიდუმლო და კონსპირატორული ორგანიზაციების მთელ სტრუქტურას შეუძლია ორგანიზაციულ პრინციპად გადათარგმნოს ტოტალიტარული იდეოლოგიური დიქოტომია – მასების ბრმა მტრობა არსებული სამყაროსადმი, განურჩევლად მისი მრავალფეროვნებისა და განსხვავებებისა. ორგანიზაციის თვალთახედვიდან, რომელიც იმ პრინციპის მიხედვით ფუნქციონირებს, რომ ვინც არაა ჩარიცხული, გამორიცხულია, ვინც არაა ჩემთან ერთად, ჩემს წინააღმდეგაა – სამყარო დიდწილად კარგავს ყველანაირ ნიუანსს, განსხვავებასა და პლურალისტურ ასპექტს, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში დამაბნეველი და აუტანელი გამხდარა მასებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამყაროში თავისი ადგილი და თავისი ორიენტირებულობა.[106] ის, რაც მათ საიდუმლო საზოგადოების წევრების ურყევი ლოიალობით აღავსებს, იმდენად საიდუმლო არაა, რამდენადაც დიქოტომია *ჩვენს* და ყველა სხვა დანარჩენს შორის. ეს შეიძლებოდა ხელუხლებლად შენარჩუნებულიყო საიდუმლო საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის იმიტირებით და ამ უკანასკნელის გამოშიგვნით საიდუმლოს დაცვის რაციონალური განზრახვისაგან. არც ის იყო მნიშვნელოვანი, [მოვლენების] ამგვარი განვითარებების დასაწყისში ჰქონდა თუ არა ადგილი კონსპირატორული იდეოლოგია, როგორც ეს ნაცისტების შემთხვევაშია, თუ რევოლუციურ პარტიაში კონსპირატორული სექტორის პარაზიტული გაზრდას, როგორც ეს ბოლშევიკების შემთხვევაშია. ტოტალიტარული ორგანიზაციის თანდაყოლილი განაცხადია, რომ ყველაფერი, რაც მოძრაობის მიღმაა, „კვდება;“ – განაცხადი, რომელიც შემზარავად ხორციელდება ტოტალიტარული მართვის მომაკვდინებელ პირობებში, მაგრამ რომელიც, თავად ძალაუფლებაში მოსვლამდელ ეტაპზეც კი, სარწმუნოდ ეჩვენება მასებს, რომლებიც გაურბიან დეზინტეგრაციასა და დეზორიენტირებას მოძრაობის გამონაგონ თავშესაფარში.

106 როზენბერგის ერთ-ერთი გადამწყვეტი იდეოლოგიური შეცდომათაგანი, რომელმაც ჰიტლერის კეთილგანწყობა დაკარგა და მოძრაობაში თავისი გავლენა ისეთ ადამიანებს დაუთმო, როგორიც იყვნენ ჰიმლერი, ბორმანი და თავად შტაიხერიც კი, სავარაუდოდ, ის იყო, რომ თავის წიგნში *მეოცე საუკუნის მითი* იგი რასობრივ პლურალიზმს აღიარებს და იქიდან მხოლოდ ებრაელებს გამორიცხავს. ამგვარად, მან დაარღვია პრინციპი, რომ ვინც არაა ჩარიცხული („გერმანიკული ხალხი“) გამორიცხულია („კაცობრიობის მასა“). შდრ. შენიშვნა 87.

ტოტალიტარულმა მოძრაობებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ასეთივე ტოტალური ლოიალობა განაგონ სიცოცხლესა და სიკვდილზე, რაც საიდუმლო და კონსპირატორული საზოგადოებების პრეროგატივა იყო.[107] SA-ს მსგავსს, ზედმიწევნით გაწვრთნილ და შეიარაღებულ დანაყოფებში წინააღმდეგობის სრული არარსებობა იმ ფონზე, როცა მათი საყვარელი ლიდერი (როემი) და ასობით ახლო მეგობარი მოკლეს, საინტერესო სანახაობა იყო. იმ მომენტში სავარაუდოდ სწორედ როემს და არა ჰიტლერს უმაგრებდა ზურგს რაიხსვერის ძალა. მაგრამ ნაცისტურ მოძრაობაში მომხდარი ეს ინციდენტები ახლახან გადაიფარა ბოლშევიკურ პარტიაში საკუთარი თავის დამნაშავეებად ამღიარებელი „კრიმინალების“ კვლავ და კვლავ განმეორებადი სპექტაკლით. აბსურდულ აღსარებებზე დაფუძნებული სასამართლოები შიდა, უმნიშვნელოვანესი და გარედან გაუგებარი რიტუალის ნაწილი გახდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ხდება დღეს მსხვერპლის დამუშავება, ეს რიტუალი თავის არსებობას სავარაუდოდ ძველი ბოლშევიკური გვარდიის 1936 წლის შეუთითხნავ აღსარებებს უმადლის. „მოსკოვის სასამართლოებამდე“ დიდი ხნით ადრე სიკვდილმისჯილი ადამიანი თავის განაჩენს დიდი შეუდრეკელობით იღებდა, დამოკიდებულებით, რომელიც „განსაკუთრებით ჩეკას წევრებს შორის იყო გავრცელებული.“[108] ვიდრე მოძრაობა არსებობს, ორგანიზაციის მისეული განსაკუთრებული ფორმა უზრუნველყოფს, რომ სულ მცირე, ელიტურ ფორმაციებს აღარ შეუძლიათ წარმოიდგინონ სიცოცხლე ადამიანთა იმ მჭიდროდ შეკრული ჯგუფის მიღმა, რომლებიც მაშინაც კი, თუკი მსჯავრი დაადეს, ჯერ კიდევ გრძნობენ თავს დანარჩენ, ინიციაციამოკლებულ სამყაროზე აღმატებულად. ხოლო ვინაიდან ამ ორგანიზაციის ექსკლუზიური მიზანი ყოველთვის იყო გარესამყაროს შეცდომაში შეყვანა, მასთან ბრძოლა და საბოლოოდ მისი დაპყრობა, ორგანიზაციის წევრები კმაყოფილდებიან იმით, რომ გაიღონ საკუთარი სიცოცხლე, თუკი ეს სამყაროს კიდევ ერთხელ გასულელებაში დაეხმარებათ.[109]

---

107 ზიმელი ციტირებულ ნაშრომში, გვ. 492, ჩამოთვლის საიდუმლო კრიმინალურ საზოგადოებებს, რომელთა წევრებიც ნებაყოფლობით ირჩევენ ერთ უფროსს, რომელსაც შემდეგ უკრიტიკოდ და შეუზღუდავად ემორჩილებიან.

108 კილიგა, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 96-97. იგი ასევე აღწერს, თუ ოციან წლებში ლენინგრადის GPU-ს [Государственное политическое управление при НКВД] ციხეში თავად რიგითი პატიმრებიც კი, რომლებსაც სასიკვდილო განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი, როგორ ყოველგვარი გაძალიანების გარეშე იძლეოდნენ განაჩენის აღსრულების შესაძლებლობას „უსიტყვოდ, მთავრობის წინააღმდეგ ამბოხისაკენ მოწოდების გარეშე, რომელმაც ისინი სასიკვდილოდ გაწირა“ (გვ. 183).

109 კილიგა ყვება, თუ როგორ ეგონათ პარტიის მსჯავრდადებულ წევრებს, რომ „თუკი ეს სიკვდილით დასჯები მთლიანობაში ბიუროკრატიულ დიქტატურას გადაარჩენდა, თუკი ისინი ამბოხებულ გლეხობას დააშოშმინებდა (ან უფრო სწორად, შეცდომაში შეიყვანდა), მაშინ მათი სიცოცხლის გაწირვა ამაო აღარ იქნებოდა“ (ციტირებული ნაშრომი, გვ. 96-97).

თუმცაღა უმთავრესი ღირებულება, რომელიც საიდუმლო ან კონსპირატორული საზოგადოებების ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მასობრივი ორგანიზაციებისთვის გაკუთვნილ მორალურ სტანდარტებს აქვთ, [მათდამი] უპირობო მიკუთვნებულობისა და ლოიალობის თანდაყოლილ გარანტიაში და გარესამყაროსადმი უეჭველი მტრობის ორგანიზაციულ გამოვლინებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მათ შეუდარებელ უნარში, დაამყარონ და დაიცვან წარმოსახვითი სამყარო მუდმივი ტყუილით. ტოტალიტარული მოძრაობების მთელი იერარქიული სტრუქტურა, დაწყებული გულუბრყვილო თანამგზავრებით, დასრულებული პარტიის წევრებით, ელიტური ფორმაციებით, ლიდერის უახლოესი გარემოცვით და თავად ლიდერით, შეიძლება აღიწეროს როგორც მიამიტობისა და ცინიზმის საინტერესოდ ცვალებადი ნაზავი, რომლითაც თითოეულ წევრს, განურჩევლად მოძრაობაში მისი პოზიციისა, მოეთხოვება, მოახდინოს რეაგირება ლიდერების ცვალებად, ცრუ განცხადებებზე და მოძრაობის მთავარ, უცვლელ იდეოლოგიურ ფიქციაზე.

მიამიტობისა და ცინიზმის ნაზავი ჯერ კიდევ ბრბოს მენტალობისთვის დამახასიათებელი თვალშისაცემი ნიშანი იყო, ვიდრე ის მასების ყოველდღიური ფენომენი გახდებოდა. მუდმივად ცვალებად, გაუგებარ სამყაროში მასებმა მიაღწიეს იმ წერტილს, როდესაც მათ ერთდროულად სწამდათ, რომ ყველაფერი იყო შესაძლებელი და არაფერი იყო ჭეშმარიტი. თავად ნაზავი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან იგი გამოხატავდა იმ ილუზიის დასასრულს, რომ მიამიტობა მიმნდობი, პრიმიტიული სულების სისუსტეა, ხოლო ცინიზმი კი – აღმატებულ და დახვეწილ გონებათა ცოდვა. მასობრივმა პროპაგანდამ აღმოაჩინა, რომ მისი აუდიტორია ყოველთვის მზად იყო დაეჯერებინა, ყველაზე უარესი, როგორი აბსურდულიც არ უნდა ყოფილიყო ის, და მაინცდამაინც არ იდავებდა, თუკი შეცდომაში იქნებოდა შეყვანილი, რადგან ისედაც მიაჩნდა, რომ ნებისმიერი განცხადება ტყუილი იყო. ტოტალიტარულმა მასობრივმა ლიდერებმა თავისი პროპაგანდა დააფუძნეს იმ სწორ ფსიქოლოგიურ ვარაუდზე, რომ ამ პირობებში მავანს ერთ დღესაც შეუძლია დაარწმუნოს ადამიანები ყველაზე უფრო წარმოუდგენელ განცხადებებში, და სჯეროდეს, რომ თუკი მეორე დღეს მათ მიეცემათ ამ უკანასკნელთა მცდარობის უტყუარი დასტური, ისინი ცინიზმში იპოვიან თავშესაფარს; რომ ნაცვლად მათი მომტყუებელი ლიდერების მიტოვებისა, ისინი იმის მტკიცებას დაიწყებენ, თითქოს ყოველთვის იცოდნენ, რომ განცხადება ტყუილი იყო და აღფრთოვანდებიან ლიდერებით მათი უმაღლესი ტაქტიკური მოხერხებულობის გამო.

ის, რაც მასობრივი აუდიტორიის დემონსტრირებადი რეაქცია იყო, მნიშვნელოვანი იერარქიული პრინციპი გახდა მასობრივი ორგანიზაციებისათვის. მიამიტობისა და ცინიზმის ნაზავი გავრცელებულია ტოტალიტარული მოძრაობის ყველა [იერარქიულ] დონეზე, ხოლო რაც უფრო მაღალია რანგი, მით უფრო მეტად გადასწონის ცინიზმი გულუბრყვილობას. არსებითი რწმენა, რომელიც ყველა რანგის მიერაა გაზიარებული თანამგზავრიდან დაწყებული ლიდერით დამთავრებული, არის ის, რომ პოლიტიკა თაღლითური თამაშია და მოძრაობის „პირ-

ველი მცნება“ – „ფიურერი ყოველთვის მართალია“ – ისევე აუცილებელია მსოფლიო პოლიტიკის მიზნებისათვის, ე. ი. მსოფლიო მასშტაბის თაღლითობისთვის, როგორც სამხედრო დისციპლინის წესები – ომის მიზნებისთვის. [110]

მექანიზმი, რომელიც წარმოქმნის, აორგანიზებს და ავრცელებს ტოტალიტარული მოძრაობის შემზარავ სიცრუეს, კვლავაც ლიდერის პოზიციაზეა დამოკიდებული. პროპაგანდისტულ მტკიცებას, რომ ყველა ხდომილება ბუნების ან ეკონომიკის კანონებით მეცნიერულად წინასწარმეტყველებადია, ტოტალიტარული ორგანიზაცია უმატებს ერთი კაცის პოზიციას, რომელმაც ამ ცოდნის მონოპოლიზება მოახდინა და რომლის მთავარი თვისებაც ისაა, რომ „ყოველთვის მართალი იყო და ყოველთვის მართალი იქნება.“[111] ტოტალიტარული მოძრაობის წევრისათვის ამ ცოდნას არაფერი აქვს საერთო სიმართლესთან და ამ მართლად ყოფნას არაფერი აქვს საერთო ლიდერის განცხადებების ობიექტურ სიმართლესთან, რომელიც ფაქტებით კი ვერ იქნება გადამოწმებული, არამედ მხოლოდ მომავალი წარმატებით ან მარცხით. ლიდერი ყოველთვის მართალია თავის მოქმედებებში და ვინაიდან მათი განხორციელება საუკუნეების მანძილზე იგეგმებოდა, იმის საბოლოო გამოცდამ, რასაც ლიდერი სჩადის, მისი თანამედროვეების გამოცდილების მიღმა გადაინაცვლა.[112]

ერთადერთი ჯგუფი, რომელსაც, იგულისხმება, რომ მორჩილად და სიტყვა-სიტყვით უნდა სწამდეს ლიდერის სიტყვებისა, არიან მხარდამჭერები, რომელთა ნდობაც გარს ერტყმის მოძრაობას გულწრფელობისა და გულუბრყვილობის ატმოსფეროთი, და ეხმარება ლიდერს სანახევროდ უკვე შეასრულოს თავისი ამოცანა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მოძრაობისადმი ნდობა გააჩინოს. პარტიის წევრებს არასდროს სჯერათ საჯარო განცხადებების და მათგან ამას არც ელიან, მაგრამ ისინი ტოტალიტარული პროპაგანდის მიერ იმ უმაღლეს გონიერებად მიიჩნევიან, რომელიც სავარაუდოდ განასხვავებს მათ არატოტალიტარული გარესამყაროსაგან; ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, ისინი მხოლოდ მხარდამჭერთა არანორმალური მიამიტობიდან იცნობენ. მხოლოდ ნაცისტების მხარდამჭერებს სჯეროდათ ჰიტლერის, როდესაც მან თავისი ცნობილი კანონმორჩილების ფიცი დადო ვაიმარის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წინა-

110 ტიპურია გებელსის მოსაზრება პოლიტიკაში დიმპლომატიის როლის შესახებ: „ეჭვგარეშეა, რომ კარგს ვიზამთ, თუკი დიპლომატები არ იქნებიან ინფორმირებული პოლიტიკის კულუარების შესახებ ... შემრიგებლური როლის თამაშისას უტყუარობა ხანდახან ყველაზე დამარწმუნებული არგუმენტია მათი პოლიტიკურ სანდოობისთვის.“ *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 87.

111 რუდოლფ ჰესსი 1934 წლის რადიოგადაცემაში. *ნაცისტური კონსპირაცია*, I, 193.

112 ვერნერ ბესტმა, *ციტირებულ ნაშრომში,* ახსნა: „მთავრობის ნება, დაადგინოს ‘სწორი’ წესები ... უკვე აღარაა კანონის საკითხი, არამედ ბედისწერის საკითხია. ‚სიცოცხლის კანონების‘ დარღვევის გამო, ფაქტობრივი ბოროტი ქმედებებისთვის.... ისტორიაზე ადრე უფრო დანამდვილებით თავად ბედისწერა გამოიტანს განაჩენს უბედურებით, დამხობით და განადგურებით, ვიდრე სახელმწიფო იუსტიციის სასამართლო.“ თარგმანი ციტირებულია ტექსტიდან *ნაცისტური კონსპირაცია,* IV, 490.

შე; მოძრაობის წევრებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ის იტყუებოდა, და კიდევ უფრო მეტად სჯეროდათ მისი, ვიდრე ოდესმე, რადგან მან ცხადად შესძლო გაეცურებინა საჯარო აზრი და ავტორიტეტები. როდესაც მოგვიანებით ჰიტლერმა ეს სპექტაკლი მთელი სამყაროს წინაშე გაიმეორა, როდესაც მან ფიცი დადო თავისი კეთილი განზრახვების შესახებ და იმავდროულად ყველაზე უფრო ღიად მოამზადა საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებები, ნაცისტური წევრებისგან მისი თაყვანისცემა, ბუნებრივია, უსაზღვრო იყო. მსგავსად ამისა, მხოლოდ ბოლშევიკების თანამგზავრებს სჯეროდათ კომინტერნის გაუქმების, ხოლო ომის დროს სტალინის მიერ გაკეთებულ დემოკრატიის მხარდამჭერ განცხადებებს მხოლოდ რუსი ხალხის არაორგანიზებული მასები და საზღვარგარეთელი თანამგზავრები უნდა გაეცურებინა. ბოლშევიკური პარტიის წევრები ხაზგასმით გააფრთხილეს, რომ არ გასულელებულიყვნენ ამ ტაქტიკური მანევრით და სთხოვეს, დაეფასებინათ მოკავშირეების ღალატისას მათი ლიდერის მოხერხებულობა .[113]

მოძრაობის ელიტურ ფორმაციებად, წევრებად და მხარდაჭერებად ორგანიზაციული დაყოფის გარეშე ლიდერის ტყუილები არ იმუშავებს. ცინიზმის გრადაცია, რომელიც გამოხატულია ზიზღის იერარქიაში, სულ მცირე ისევე აუცილებელია მუდმივი კონტრარგუმენტაციის პირისპირ, როგორც გულუბრყვილობის დონე. საქმე ისაა, რომ ფასადურ ორგანიზაციებში მხარდამჭერები ვერ იტანენ საკუთარი თანამოქალაქეების სრულ დანაკლისს ინიციაციისა, პარტიის წევრები ვერ იტანენ თანამგზავრების გულუბრყვილობასა და რადიკალიზმის დანაკლისს, ელიტური ფორმაციები იმავე მიზეზით ვერ იტანენ პარტიის წევრებს, ხოლო ელიტური ფორმაციების შიგნით სიძულვილის მსგავსი იერარქია თან ახლავს ყოველი ახალის დაფუძნებასა და განვითარებას.[114] ამ სისტემის შედეგი ისაა, რომ მხარდამჭერების მიამიტობა ტყუილს გარესამყაროსათვის სარწმუნოდ ქმნის, მაშინ როდესაც იმავე დროს წევრებისა და ელიტური ფორმაციების საფეხურეობრივი ცინიზმი გამორიცხავს იმის საშიშროებას, რომ ლიდერს ოდესმე მისივე პროპაგანდის წონა აიძულებს საკუთარი სიტყვა შეასრულოს და მოჩვენებითი რესპექტაბელურობა გაამართლოს. ტოტალიტარულ სისტემებთან გამკლავებაში უმთავარესი დაბრკოლება გარესამყაროსთვის ის იყო, რომ იგი უგულებელყოფდა ამ სისტემას და შესაბამისად სჯეროდა, რომ ერთი მხრივ, თვითონ ტოტალიტარული ტყუილების უსაზღვრო რაოდენობა გახდებოდა მათი დასასრულის მიზეზი, ხოლო მეორე მხრივ კი, შესაძლებელი იქნებოდა ლიდერის სიტყვაზე დაჭერა და მისი იძულება, მიუხედავად თავისი საწყისისეული განზრახვისა, შეესრულებინა ისინი. სამწუხაროდ, ტოტალიტარული სისტემა ასეთი ნორმალური დასკვნების

113 იხ. კრავჩენკო, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 422: „არასათანადოდ ინდოქტრინირებული კომუნისტი გრძნობდა რომ პარტი 'ტყუოდა', როცა საჯარო სივრცეში მოქმედების ერთ კურსს ქადაგებდა, ხოლო პარტიის შიგნით კი – მის სრულ საპირისპიროს."

114 „ნაციონალ-სოციალისტს ეზიზღება თავისი გერმანელი ამხანაგი, SA-ს წევრს სხვა ნაციონალ-სოციალისტები, SS-ის წევრს კი SA-ს წევრი" (ჰაიდენი, *ციტირებული ნაშრომი*, გვ. 308).

მიმართ შეუვალია; მისი გამჭრიახობა ზუსტად იმ სინამდვილის გამორიცხვაში მდგომარეობს, რომელიც ან მატყუარას ნიღაბს ჩამოხსნის, ან კი აიძულებს მას, იცხოვროს თავისი პრეტენზიების შესაბამისად.

მართალია, წევრებს არ სჯერათ საჯარო მოხმარებისთვის გაკეთებული განცხადებების, მაგრამ მათ სულ უფრო გულანთებულად სჯერათ იდეოლოგიური განმარტებების სტანდარტული კლიშესი – წარსული და მომავალი ისტორიის გასაღები – რომელიც ტოტალიტარულმა მოძრაობებმა მეცხრამეტე საუკუნის იდეოლოგიებისგან აიღეს და ორგანიზაციის გზით ქმედით რეალობად გარდაქმნეს. ეს იდეოლოგიური ელემენტები, რომლებშიც მასები რაიმენაირად უნდა დააჯერონ, მართალია, მეტად ბუნდოვანად და აბსტრაქტულად, მაგრამ მაინც გარდაიქმნა ყოვლისმომცველი ბუნების მქონე ფაქტობრივ ტყუილებად (ებრაელების მიერ მსოფლიო ბატონობა ნაცვლად რასების შესახებ ზოგადი თეორიისა, უოლ სტრიტის შეთქმულება ნაცვლად კლასების შესახებ ზოგადი თეორიისა) და ჩართული იქნა მოქმედების ზოგად სქემაში, რომელშიც მხოლოდ „მომაკვდავები“ – კაპიტალისტური ქვეყნების მომაკვდავი კლასები, ან კი დეკადენტური ერები – უნდა მდგარიყვნენ მოძრაობის წინაშე დაბრკოლებად. მოძრაობის ტაქტიკური ტყუილებისგან განსხვავებით, რომლებიც დღითი დღე იცვლება ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ამ იდეოლოგიური ტყუილების წმინდა, ხელშეუხებელი ჭეშმარიტებების მსგავსად უნდა სწამდეთ. ისინი გარშემორტყმულნი არიან „მეცნიერული“ მტკიცებულებების გულდასმით შემუშავებული სისტემით, რომელიც არაა საჭირო დამარწმუნებელი იყოს სრულიად „ინიციაციაგამოუვლელებისთვის;“ მაგრამ ებრაელების არასრულფასოვნების, ან კაპიტალისტურ სისტემაში მცხოვრები ადამიანების საცოდაობის „დასაბუთებით“ მაინც ხიბლავს ცოდნის გარკვეულ, უხამსს წყურვილს.

პარტიის რიგითი წევრებისაგან ელიტური ფორმაციები იმით განსხვავდება, რომ მათ არ სჭირდებათ ასეთი დასაბუთებები და არც კი მოეთხოვებათ სჯეროდეთ იდეოლოგიური კლიშეების ზედმიწევნითი ჭეშმარიტებისა. ეს უკანასკნელნი გამოგონილია, რათა უპასუხოს ჭეშმარიტების ძიებას მასებში, რომელსაც ახსნისა და დასაბუთების დაჟინებული მოთხოვნით მაინც ბევრი რამ აქვს საერთო ნორმალურ სამყაროსთან. ელიტა არ არის შექმნილი იდეოლოგებისგან; მისი წევრების მთელი განათლება მიზნად ისახავს იმას, რომ გააქროს მასების უნარი, ერთმანეთისაგან განასხვავონ ჭეშმარიტება და ტყუილი, სინამდვილე და გამონაგონი. მათი აღმატებულობა მდგომარეობს მათსავე უნარში, ფაქტების შესახებ ყოველი განცხადება მყისვე შეაზავონ მიზნის დეკლარირებით. მასის წევრებისგან განსხვავებით, რომლებიც, მაგალითად, საჭიროებენ ებრაული რასის არასრულფასოვნების გარკვეულ დასაბუთებას, ვიდრე მისგან ებრაელის მოკვლას დაუბრკოლებლად მოითხოვენ, ელიტურ ფორმაციებს ესმით, რომ განცხადება „ყველა ებრაელი არასრულფასოვანია,“ ნიშნავს, რომ „ყველა ებრაელი უნდა მოკვდეს“; მათ იციან, რომ თუ ეუბნებიან, მეტრო მხოლოდ მოსკოვშია, ამ წინადადების ნამდვილი მნიშვნელობა ისაა, რომ ყველა სხვა მეტრო უნდა განადგურდეს, და

დიდად გაოცებულებიც არ არიან, როცა მეტროს პარიზში აღმოაჩენენ. ილუზიებისგან გათავისუფლების შემზარავი შოკი, რომელიც წითელმა არმიამ, ევროპაში მისი დამპყრობლური მოგზაურობისას გადაიტანა, შეიძლებოდა მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკებითა და საოკუპაციო ჯარების დიდი ნაწილის იძულებითი გადასახლებით განკურნებულიყო; მაგრამ პოლიციური ფორმაციები, რომლებიც არმიას თან ახლდა, მომზადებული იყო შოკისთვის, არა განსხვავებული და უფრო სწორი ინფორმაციით – საბჭოთა რუსეთში არ არსებობს საიდუმლო მოსამზადებელი სკოლა, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრების შესახებ ავთენტურ ფაქტებს მიაწვდიდა – არამედ უბრალოდ ყველა ფაქტისა და მთელი სინამდვილისადმი უკიდურეს ზიზღში ზოგადი მომზადების გზით.

ელიტის ეს მენტალიტეტი არ არის უბრალოდ მასობრივი ფენომენი, არც მხოლოდ სოციალური ფესვგაუმდგარობის, ეკონომიკური კატასტროფის და პოლიტიკური ანარქიის შედეგია; იგი საგულდაგულო მომზადებას და კულტივაციას საჭიროებს და შეადგენს უფრო მნიშვნელოვან, თუმცა კი რასობრივ ინდოქტრინაციასა თუ სამოქალაქო ომის ტექნიკებთან შედარებით რთულად ამოსაცნობ ნაწილს კურიკულუმისა, რომელიც ტოტალიტარული ლიდერობის სკოლებშია – SS-ის დანაყოფებისთვის ნაცისტური Ordensburgen-ი, ხოლო კომიტერნის აგენტებისთვის ბოლშევიკების საწვრთნელი ცენტრები. ელიტის და მის მიერ ხელოვნურად გამოწვეული უუნარობის გარეშე – გაიგო ფაქტი როგორც ფაქტი, ერთმანეთისგან განასხვავო ჭეშმარიტება და ტყუილი – მოძრაობა ვერასდროს შესძლებდა მისეული ფიქციის რეალიზების მიმართულებით ნაბიჯის გადადგმას. ტოტალიტარული ელიტის ყველაზე გამორჩეული უარყოფითი თვისება ისაა, რომ იგი ყოველთვის ისეთად მოიაზრებს სამყაროს, როგორიც ის სინამდვილეშია, და არასდროს ადარებს ტყუილს სინამდვილეს. შესაბამისად, მისი ყველაზე მეტად ძვირფასი სიქველეა ლიდერისადმი ლოიალურობა, რომელიც თილისმასავით უზრუნველყოფს სიცრუისა და ტყუილის საბოლოო გამარჯვებას ჭეშმარიტებასა და სინამდვილეზე.

ტოტალიტარული მოძრაობის უმაღლესი საფეხური ლიდერის უახლოესი გარემოცვის წრეა, რომელიც შესაძლოა, იყოს ბოლშევიკების პოლიტბიუროს მსგავსად, ფორმალური ინსტიტუცია, ან კი ჰიტლერის ანტურაჟის მსგასად, ადამიანთა ცვალებადი ჯგუფი, რომლებსაც აუცილებელი არ არის, ოფიციალური თანამდებობა ეკავოთ. მათთვის იდეოლოგიური კლიშეები მხოლოდ იარაღია მასების ორგანიზებისათვის, და ისინი არ განიცდიან სინდისის ქენჯნას საჭიროებისა და გარემოებების მიხედვით მათი შეცვლის გამო, იმ შემთხვევაში, თუკი ორგანიზების პრინციპი უცვლელად ნარჩუნდება. ამასთან დაკავშირებით, SS-ის ჰიმლერისეული რეორგანიზაციის უმთავრესი დამსახურება ის იყო, რომ მან ძალიან მარტივი მეთოდი იპოვნა „სისხლის პრობლემის მოქმედების გზით გადასაჭრელად“, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ელიტის წევრები „კარგი სისხლის“ მიხედვით შეირჩეოდნენ და მათ ამზადებდნენ „დაუნდობელი რასობრივი ბრძოლის საწარმოებლად“ ყველას წინააღმდეგ, ვისაც არ შეეძლო თავისი „არიული“ წარმო-

მავლობის 1750 წლიდან მოყოლებული დამოწმება, ანდაც სიმაღლეში 5 ფუტსა 8 ინჩზე[115] დაბალი იყო („მე ვიცი, რომ ხალხს, რომელმაც გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია, უნდა ქონდეს გარკვეულწილად სასურველი სისხლი"), ან კი ცისფერი თვალები და ქერა თმები არ ჰქონდა.[116] ამ ამოქმედებული რასიზმის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ორგანიზაცია თითქმის ყველა კონკრეტული მოძღვრებისგან დამოუკიდებელი გახდა, განურჩევლად იმისა, რა რასობრივი „მეცნიერებაც" არ უნდა ყოფილიყო ეს; ასევე დამოუკიდებელი გახდა ანტისემიტიზმისგან, რამდენადაც ეს უკანასკნელი სპეციფიკური დოქტრინა იყო ებრაელების ბუნებისა და როლის შესახებ, რომელთა უსარგებლობაც მათი განადგურებით დასრულდებოდა.[117] რასიზმმა უსაფრთხო ადგილი დაიმკვიდრა და პროპაგანდის მეცნიერულობისგან დამოუკიდებელი გახდა, როდესაც „რასობრივმა კომისიამ" ელიტა შეარჩია და იგი სპეციალურ, „ქორწინების კანონს" დაუქვემდებარა,[118] მაშინ, როდესაც საპირისპირო მხარეს და ამ „რასობრივი ელიტის" იურისდიქციის ქვეშ „მემკვიდრეობითობისა და რასის კანონების უკეთესი თვალსაჩინოებისთ-

115 172 სანტიმეტრი (მთარგმნელის შენიშვნა).

116 ჰიმლერმა SS-ისთვის კანდიდატები თავიდან ფოტოებით შეარჩია. მოგვიანებით რასობრივი კომისია, რომლის წინაშეც აპლიკანტი პირადად უნდა გამოცხადებულიყო, წყვეტდა SS-ში მიღების საკითხს რასობრივი გარეგნობის საფუძველზე. იხ. ჰიმლერი „SS-ისა და პოლიციის ორგანიზაციისა და ვალდებულების შესახებ", *ნაცისტური კონსპირაცია*, IV, გვ. 616 და შემდგომი.

117 ჰიმლერმა კარგად იცოდა იმ ფაქტის შესახებ, რომ მისი „ყველაზე მნიშვნელოვანი და მყარი მონაპოვარი" ის იყო, რომ რასობრივი საკითხი „ჩვეულებრივ ანტისემიტმზე დაფუძნებული ნეგატიური კონცეპტიდან" გადაიქცა „ორგანიზაციულ ამოცანად SS-ის ჩამოსაყალიბებისათვის" (SS-ის რაიხსფიურერი და გერმანული პოლიციის უფროსი, „მხოლოდ პოლიციის შიდაგამოყენებისთვის," დაუთარიღებელი). ამგვარად „რასობრივი საკითხი პირველად მოექცა ისეთ ფოკუსში, ან კიდევ უკეთესი, თავად გახდა ისეთი ფოკუსი, რომელიც ებრაელთა ბუნების სიძულვილისადმი საფუძველმდებარე ნეგატიურ კონცეპტზე უფრო შორს მიდის. ფიურერის რევოლუციურმა იდეამ ახალი მაცოცხლებელი სისხლი მიიღო" (*SS-ის გზა. რაიხსფიურერის SS-ი*. SS-ის ძირითადი სამსახური – წვრთნის სამსახური. სატიტულო გვერდი: „არაა განკუთვნილი გამოსაქვეყნებლად," უთარიღო, გვ. 25).

118 1929 წელს, როგორც კი SS-ის მეთაურად დაინიშნა, ჰიმლერმა შემოიტანა რასობრივი შერჩევის პრინციპი და ქორწინების კანონი, და დასძინა: „SS-მა ძალიან კარგად იცის, რომ ეს განაწესი უზარმაზარი მნიშვნელობისაა. გესლი, დაცინვა და გაუგებრობა ჩვენზე არ მოქმედებს; მომავალი ჩვენია." ამონარიდი დ'ალკენის *ციტირებული ნაშრომიდან*. ხოლო, თოთხმეტი წლის შემდეგ, ჰიმლერი ხარკოვში თავისი სიტყვითი გამოსვლისას (*ნაცისტური კონსპირაცია*, IV, გვ. 572 და შემდგომი), ისევ შეახსენებს SS-ის ლიდერებს, რომ „ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც რეალურად გადაჭრა სისხლის პრობლემა საქმით ... და სისხლის პრობლემაში ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ ანტისემიტიზმს. ანტისემიტიზმი იგივეა, რაც მკბენარის გაცლა. ტილების მოშორება იდეოლოგიის საკითხი არაა. ეს სისუფთავის საკითხია ... მაგრამ ჩვენთვის სისხლის საკითხი ჩვენი საკუთარი ღირსების შეხსენება იყო, შეხსენება იმისა, თუ რა უდევს სინამდვილეში საფუძვლად გერმანელი ხალხის ამ ერთად ყოფნას."

ვის“ საკონცენტრაციო ბანაკები არსებობდა.[119] ამ „ცოცხალი ორგანიზაციის“ საფუძველზე, ნაცისტებს შეეძლოთ უარი ეთქვათ დოგმატიზმზე და მეგობრობა შეეთავაზებინათ ისეთი სემიტური ხალხისთვის, როგორებიც არიან არაბები, ან შესულიყვნენ ალიანსში ყვითელი საშიშროების[120] ყველაზე დიდ წარმომადგენლებთან, იაპონელებთან. რასობრივი საზოგადოების რეალობა, თითქოსდა რასობრივი თვალსაზრისით შერჩეული ელიტის ფორმირება, მართლაცდა იქნებოდა რასიზმის დოქტრინის უკეთესი დარაჯი, ვიდრე ყველაზე დახვეწილი მეცნიერული თუ ფსევდომეცნიერული დასაბუთება.

ბოლშევიზმის პარტიული იდეოლოგები ასეთივე აღმატებულობას ავლენენ მათივე დეკლარირებული დოგმების მიმართ. მათ მშვენივრად შეუძლიათ კაპიტალიზმთან უცაბედი ალიანსით შეწყვიტონ ყველანაირი არსებული კლასობრივი ბრძოლა ისე, რომ არც თავისი კადრების ერთგულება შეარყიონ, და არც ამ უკანასკნელთ დაავალდებულონ კლასობრივი ბრძოლისადმი რწმენის ღალატი. კლასობრივი ბრძოლის დიქოტომიური პრინციპის ორგანიზაციულ ინსტრუმენტად გადაქცევით, და მთელი სამყაროს წინააღმდეგ – რუსეთში საიდუმლო პოლიციის კადრების, ხოლო საზღვარგარეთ კომიტერნის აგენტების საშუალებით – უკომპრომისო ბრძოლაში, ასე ვთქვათ, გაქვავებით, ბოლშევიკური პოლიტიკა შესამჩნევად გათავისუფლდა „ცრურწმენებისგან“.

ის, რაც ტოტალიტარული იერარქიის უმაღლეს საფეხურებს ახასიათებს, საკუთარი იდეოლოგიების შინაარსისგან თავისუფლებაა. ეს ადამიანები ყველას და ყველაფერს ორგანიზაციის თვალსაზრისით განიხილავენ, და ეს ეხება ლიდერსაც, რომელიც მათთვის არც შთამაგონებელი თილისმაა და არც ის, ვინც შეუცდომლად მართალია, არამედ ამ ტიპის ორგანიზაციის მარტივი შედეგია; ის საჭიროა არა როგორც პერსონა, არამედ როგორც ფუნქცია, და როგორც ასეთი, იგი შეუცვლელია მოძრაობისთვის. თუმცაღა, მმართველობის სხვა დესპოტური ფორმებისგან განსხვავებით, სადაც ხშირად რაიმე დაჯგუფება განაგებს, ხოლო დესპოტი კი მხოლოდ მარიონეტი მმართველისთვის დამახასიათებელ როლს თამაშობს, ტოტალიტარული ლიდერები სინამდვილეში თავისუფალნი არიან, გააკეთონ ყველაფერი ის, რაც სურთ და შეუძლიათ, მათი გარემოცვის ლოიალობის იმედი ჰქონდეთ მაშინაც კი, თუკი მათ მოკვლას გადაწყვეტენ.

ამ სუიციდური ლოიალურობის უფრო ტექნიკური მიზეზი ისაა, რომ უმაღლეს თანამდებობაზე ჩანაცვლებადობა არ რეგულირდება არანაირი მემკვიდრეობით ან კანონით. წარმატებული სასახლის აჯანყება მთლიანად მოძრაობისთვის იქნებოდა სამხედრო მარცხის მსგავსად საზარელი შედეგი. მოძრაობის ბუნებაშია, რომ, როგორც კი ლიდერი თავის პოზიციას დაიკავებს, მთელი ორგანიზაცია აბსოლუტურად გაიგივებულია მასთან ისე, რომ ამ უკანასკნელის მიერ ნებისმიერი შეცდომის დაშვება ან კაბინეტის დატოვება განძარცვავდა მას შეუცდომლო-

119 ჰიმლერი, ციტირებული ნაშრომი, *ნაცისტური კონსპირაცია,* IV, გვ. 616 და შემდგომი.

120 Yellow Peril – ყვითელი საშიშროება, ყვითელი რასის დამამცირებელი სახელდება (მთარგმნელის შენიშვნა).

ბის მომნუსხველობისგან, რომელიც გარს აკრავს ლიდერის პოზიციას და აღსასრულს მოუტანდა ყველას, ვინც მოძრაობასთანაა დაკავშირებული. სტრუქტურის საფუძველი ლიდერის სიტყვების ჭეშმარიტება კი არა, მისი მოქმედებების შეუცდომლობაა. ამის გარეშე და დისკუსიის სიმწვავეში, რომელიც გულისხმობს ცდომილობის შესაძლებლობას, ტოტალიტარიზმის მთელი გამონაგონი სამყარო ნაწილებად იშლება, მაშინვე შემუსრულია რეალური სამყაროს ფაქტობრივობით, რომლისგან დაცვის უნარიც მხოლოდ მოძრაობას ქონდა, წარმართულს ლიდერის მიერ უტყუარად სწორი მიმართულებით.

თუმცა, მათ ლოიალობას, ვისაც არც იდეოლოგიური კლიშეების სჯერა და არც ლიდერის შეუმცდარობის, უფრო ღრმა, არატექნიკური მიზეზები აქვს. ის, რაც ამ ადამიანებს ერთად შეაკავშირებს, არის მტკიცე და გულწრფელი რწმენა ადამიანის ყოვლისშემძლეობისა. მათი მორალური ცინიზმი, მათი წარმოდგენა, რომ ყველაფერი დაშვებულია, ეფუძნება მყარ მრწამსს, რომ ყველაფერი შესაძლებელია. მართალია, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც მცირერიცხოვანნი არიან, იოლად ვერ გამოიჭერ მათსავე საკუთარ, სპეციფიკურ ტყუილებში და რომ მათ სულაც არ სჯერათ რასიზმის ან ეკონომიკის, ებრაელების ან უოლ სტრიტის შეთქმულების.

თუმცა ისინიც არიან მოტყუებულები, მოტყუებულები მათი უტიფარი, პატივმოყვარე იდეით, რომ ყველაფერი შეიძლება იქნას ჩადენილი, და იქედნური მრწამსით, რომ ყველაფერი, რაც არსებობს მხოლოდ დროებითი წინაღობაა, რომელსაც ყველაფერზე აღმატებული ორგანიზაცია უეჭველად გაანადგურებს. დარწმუნებულნი, რომ ორგანიზაციის ძალას შეუძლია გაანადგუროს სუბსტანციის ძალა, მსგავსად იმისა, როგორც კარგად ორგანიზებულ ბანდას შეუძლია, გაძარცვოს მდიდარი ადამიანი ცუდად დაცული სიმდიდრისგან, ისინი მუდმივად აკნინებენ სტაბილური გაერთიანებების სუბსტანციურ ძალას, მოძრაობის მამოძრავებელ ძალას კი გადამეტებულად აფასებენ. უფრო მეტიც, რადგანაც მათ რეალურად არ სჯერათ, რომ მათ წინააღმდეგ მსოფლიო შეთქმულება ნამდვილად არსებობს, არამედ ამას მხოლოდ ორგანიზაციულ მექანიზმად იყენებენ, ვერ ახერხებენ გაიაზრონ, რომ შესაძლოა მათივე საკუთარმა შეთქმულებამ მთელი სამყარო გამოიწვიოს მათ წინააღმდეგ გასაერთიანებლად.

მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს, ორგანიზაციის გზით ადამიანურ ყოვლისშემძლეობზე შლეგური წარმოდგენა როგორ არის საბოლოოდ დამარცხებული, მოძრაობის შიგნით მისი პრაქტიკული შედეგი ისაა, რომ ლიდერის გარემოცვის წევრები, მასთან უთანხმოების შემთხვევაში, არასდროს იქნებიან ძალიან დარწმუნებულები მათსავე საკუთარ შეხედულებებში, ვინაიდან მათ სჯერათ, რომ მათი უთანხმოებები სინამდვილეში უმნიშვნელოა, რომ ყველაზე შეშლილ გეგმასაც კი აქვს წარმატების კარგი შანსი, თუკი სათანადოდ იქნება ორგანიზებული. მათი ლოიალობის არსი არაა ის, რომ მათ ლიდერის შეუცდომლობის სწამთ, არამედ ის, რომ ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ნებისმიერს, ვინც განაგებს ძალადობის ინსტრუმენტებს ტოტალიტარული ორგანიზაციის უმაღლესი მეთოდებით, შეუძ-

ლია გახდეს შეუმცდარი. ეს ბოდვა უსაზღვროდ ძლიერდება, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმები იმის ძალაუფლებას ფლობენ, რომ წარმატებისა და მარცხის ფარდობითობის დემონსტრირება მოახდინონ, და აჩვენონ, თუ როგორ შეიძლება სუბსტანციის დაკარგვა გახდეს ორგანიზაციაში აღმასვლის მომტანი (ინდუსტრიული საწარმოების წარმოუდგენლად ცუდმა მართვამ საბჭოთა რუსეთში გამოიწვია მშრომელი კლასის ატომიზაცია, ხოლო ნაცისტური ოკუპაციის პირობებში სამოქალაქო პატიმრებისადმი შემზარავი მოპყრობა აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, მიუხედავდა იმისა, რომ მან გამოიწვია „სამუშაო ძალის სავალალო დაკარგვა“, „თაობათა გადმოსახედიდან, სანანებელი არ უნდა ყოფილიყო“[121]). უფრო მეტიც, ტოტალიტარულ გარემოებებში წარმატებასა და მარცხთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ძალიან დიდადაა დამოკიდებული ორგანიზებულ და ტერორიზებულ საჯარო აზრზე. სრულიად გამონაგონ სამყაროში, მარცხების წერილობით აღნუსხვა, აღიარება და დამახსოვრება არაა საჭირო. ფაქტობრიობის არსებობის გაგრძელება არატოტალიტარული სამყაროს არსებობაზეა დამოკიდებული.

121 ჰიმლერი მის მიერ პოზენში წარმოთქმულ სიტყვაში, *ნაცისტური კონსპირაცია*, IV, გვ. 558.

მერაბ მამარდაშვილი

1930-1990

შესავალი

მერაბ მამარდაშვილი მე-20 საუკუნის ყველაზე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსია. მიუხედავად იმისა, რომ ის დაიბადა საბჭოთა კავშირში და ამ სახელმწიფოს დაშლამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა, არ იქნებოდა სწორი, მისთვის საბჭოთა ფილოსოფოსი გვეწოდებინა. საქმე ისაა, რომ მამარდაშვილის ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საბჭოთა კავშირის, როგორც საზოგადოებისა და კულტურის გარკვეული ტიპის, ანალიზი და კრიტიკა, რამაც ის ანტისაბჭოთა მოაზროვნედ აქცია. ასე ესმოდა მას საკუთარი თავი და ასე ესმოდა ის საბჭოთა სისტემას.

მამარდაშვილს „ქართველ სოკრატედ“ მოიხსენიებდნენ ხოლმე (ეს სახელი მას განთქმულმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან-პიერ ვერნანმა შეარქვა), რადგან მისი აზროვნება უფრო მეტყველების სტიქიაში მიმდინარეობდა, ვიდრე ნაწერისა. მსმენელები აღნიშნავდნენ მამარდაშვილის უნარს, გაეცოცხლებინა რთული ფილოსოფიური აზრი, ჩაერთო აუდიტორია ფილოსოფიის დრამაში, მოეჯადოებინა ისინი აზროვნების სპონტანური პროცესის დემონსტრირებით. ცხადია, განსხვავებით სოკრატესაგან, რომელიც იმითაც არის ცნობილი, რომ არაფერი დაუწერია, მამარდაშვილი წერდა და აქვეყნებდა. ოღონდ მისი რეპუტაცია საჯარო გამოსვლებმა და იმპროვიზირებულმა ლექციებმა უფრო შექმნა, ხოლო მის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებს შორის მაინც, პირველ რიგში, მისი ლექციების ჩანაწერები გვახსენდება: „ლექციები პრუსტზე“, „კარტეზიანული მედიტაციები“, „საუბრები ფილოსოფიაზე“.

მერაბ მამარდაშვილი დაიბადა 1930 წელს ქალაქ გორში. 1949 წელს ის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება, რომელსაც 1954 წელს ასრულებს ფილოსოფიის განხრით. იქვე აგრძელებს სწავლას ასპირანტურაში, იცავს დისერტაციას (1961 წელს), მუშაობს ჟურნალში „ფილოსოფიის საკითხები“, ხოლო 1961 წელს მიემგზავრება პრაღაში, რომელიც იმ დროს სოციალისტური ბანაკის წევრი ქვეყნის ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქია. ხუთი წლის განმავლობაში მამარდაშვილი მუშაობს საერთაშორისო ჟურნალში „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“, ხშირად სტუმრობს დასავლეთ ევროპას, გაიცნობს იმდროინდელი ინტელექტუალური და არტისტული წრეების მნიშვნელოვან წარმომადგენლებს.

1966 წელს ბრუნდება საბჭოთა კავშირში, მუშაობს სხვადასხვა ჟურნალებში, კვლევით ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში. სულ უფრო და უფრო უფუჭდება ურთიერთობა ხელისუფლებასთან, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია

მისი ფილოსოფიის არადოგმატური ხასიათით – საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო გაბატონებული ფილოსოფიური დოქტრინის, მარქსიზმ-ლენინიზმისგან განსხვავებული აზრების საჯაროდ გამოთქმა. შესაბამისად, ხდება მამარდაშვილის მარგინალიზაცია – 1980 წელს მას მოუხდება მოსკოვის დატოვება. ის მშობლიურ თბილისში ბრუნდება, სადაც გაატარებს კიდეც დარჩენილი სიცოცხლის ათ წელიწადს.

თბილისში ის ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობს. საბჭოთა ხელისუფლების კონტროლის დასუსტების შემდეგ მას კვლავ აძლევენ დასავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის უფლებას. 1987-1990 წლებში კითხულობს ლექციებსა და მოხსენებებს აშშ-ში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში. ამასთანავე, ის აქტიურად არის ჩართული საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ პროცესებში.

მერაბ მამარდაშვილი გარდაიცვალა 1990 წლის მიწურულს. დასაფლავებულია თბილისში. თბილისშივე, ფილოსოფიის ინსტიტუტის ყოფილი შენობის (ახლა – სასტუმრო „ბილტმორი“) მახლობლად აღმართულია მამარდაშვილის ძეგლი, რომელიც ცნობილმა, ამერიკაში ემიგრირებულმა რუსმა სკულპტორმა, ერნსტ ნეიზვესტნიმ შექმნა.

„საუბრები ფილოსოფიაზე“ არის ლექციების კურსი, რომელიც მამარდაშვილმა 1990 წელს თბილისში ქართულ ენაზე წაიკითხა. ამ პერიოდში საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, თუმცა საბჭოთა ძალაუფლება უკვე უკიდურესად იყო დასუსტებული. მიმდინარეობდა საჯარო დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლებოდა და როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს მომავალი. მამარდაშვილის ლექციები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფილოსოფიურ ჟანრს განეკუთვნება, მუდმივად განიხილავენ საბჭოთა მემკვიდრეობას და მის განსაკუთრებულად ნეგატიურ ხასიათს.

კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი – მამარდაშვილი იწყებს საუბარს რელიგიურ ტექსტებსა და ტრადიციაზე, რომელიც იმდროინდელ საქართველოში დავიწყებას არის მიცემული. როგორც ცნობილია, საბჭოთა იდეოლოგიის ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მისი ათეისტური ხასიათი წარმოადგენდა, რის გამოც რელიგია ან აკრძალული, ან უაღრესად შეზღუდული და მარგინალიზებული იყო. 1990 წელს ეს აკრძალვები უკვე გამქრალია, მაგრამ რელიგიური კულტურა, სამოცდაათწლიანი დევნის შედეგად, მოსახლეობაში თითქმის გამქრალია. შესაბამისად, მამარდაშვილი ცდილობს ამ კულტურის სიმბოლოების შემოტანას, რათა გააცოცხლოს კულტურული ველი, ოღონდ იმის გარეშე, რომ რაიმე თქვას რწმენაზე ან რწმენის საგანზე.

მამარდაშვილი იწყებს პავლე მოციქულის „რომაელთა მიმართ წერილის“ განხილვით, რომლის მიხედვითაც არსებობს აქტები, რომლებსაც მე კი არ ჩავდივარ, არამედ ცოდვა ჩადის ჩემში. არ არის საჭირო, აუცილებლად მორწმუნე ქრისტიანი იყო იმისათვის, რომ პავლეს ამ სიტყვების სიღრმე და სიზუსტე დაიფასო. მამარდაშვილის აზრით, არსებობს სიმბოლური ანუ კულტურული აპარა-

ტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ის, რაც მის გარეშე გაუგებარი დარჩებოდა. მაგალითად, ის ხშირად ციტირებს ანგელუს სილეზიუსის, მე-17 საუკუნის რელიგიური მწერლის აზრს იმის თაობაზე, რომ ქრისტე ათასჯერაც რომ დაბადებულიყო ბეთლემში, თუ ის ამ წამს არ დაიბადა შენში, მაინც დაღუპული ხარ. სწორედ აქ ნახულობს მამარდაშვილი ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოს ფილოსოფიურ გასაღებს. ის, რომ რაღაც კეთილი, ამაღლებული და ღვთაებრივი ოდესღაც მოხდა, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შენ სწორი ცხოვრებით იცხოვრო. საჭიროა, რომ ეს კეთილი, ამაღლებული და ღვთაებრივი შენში, შენს სულში მოხდეს და სწორედ ამის სიმბოლოა ფილოსოფოსისათვის ქრისტეს შობა. სწორედ ეს არის მაგალითი იმისა, როგორ ახდენს რელიგიური სიმბოლოს ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას მამარდაშვილი.

ასევე, თუ ვართ სიტუაციაში, როდესაც ჩვენი მეგობრული თუ ახლობლური კავშირები ხელს გვიშლის იმაში, რომ სწორი, მორალური პოზიცია დავიკავოთ, ნათლად გავარჩიოთ ერთმანეთისაგან კარგი და ცუდი, ზნეობრივი და უზნეო. მოქალაქეობრივი და ეგოისტური საქციელი, მაშინ სწორედ ჩვენში „ცოდვა“ მოქმედებს. ეს ცოდვა მამარდაშვილთან არ არის რელიგიური კატეგორია, არამედ იმ სოციალურ მექანიზმებს აღნიშნავს, რომლებიც ხელს გვიშლის პიროვნული, ინდივიდუალური აქტი შევასრულოთ.

ეს არის სწორედ მთავარი პრობლემა, რომელსაც მამარდაშვილის ფილოსოფია უტრიალებს. როგორ არის შესაძლებელი ნამდვილი, ავთენტური, საკუთრივი ცხოვრება? როგორ არის შესაძლებელი, შენი ქმედება ნამდვილად შენ გეკუთვნოდეს? მეტიც, როგორ არის შესაძლებელი, იყო იმ სიტუაციაში, როდესაც შეგიძლია ნამდვილი აქტის განხორციელება?

ამ შეკითხვებს არა მხოლოდ პიროვნული, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვთ – მხოლოდ პიროვნული აქტების შედეგად შეიძლება შეიქმნას ადამიანების ერთობა, როგორც ერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ეთნოსი – სისხლითა და ნათესაობით ერთმანეთთან დაკავშირებული ადამიანების ჯგუფი, რომელიც, მამარდაშვილის აზრით, ვერ შევა ისტორიაში. ეთნოსი ბუნებაა, რომელიც მხოლოდ პიროვნული აქტის შედეგად შეიძლება გარდაიქმნას ისტორიის სუბიექტ ერად, ნაციად.

საუბრები ფილოსოფიაზე

I ლექცია. მეორე ნაწილი. 10/11–1990 წ.

განვაგრძოთ. მაშასადამე, მე კი აღარ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა: ჩემში შეიძლება მოქმედებდეს ვიღაც სხვა, ჩემგან განსხვავებული. აქ ფარულად ნაგულისხმევია ცნება შენი საკუთარი აქტისა, რომელიც არის უცხო აქტი შენში. შეიძლება, რაღაც გაიფიქრო ან გააკეთო და ამავე დროს შენს საკუთარ თავში რაღაცის მარიონეტად იქცე. რასაც ახლა გეუბნებით, არ არის მორალისტური ქადაგება, აქ სულ სხვა სიღრმეებია. ჩვენ ვიმყოფებით პოსტტოტალიტარულ სიტუაციაში, გამოვდივართ გვირაბიდან და საშუალება გვეძლევა, დავინახოთ ჩვენი საკუთარი თავი. ეს ნიშნავს, რომ აქამდე ჩვენში ჩვენი საკუთარი თავი არ მოქმედებდა. ჩვენ ვიყავით მარიონეტი საკუთარი აზრებისა, რომლებიც ჩვენი აზრები არ იყო. პავლე მოციქულის ტერმინოლოგიით, ეს ხმა, რომელიც ჩვენი საკუთარი ხმა გვგონია, არის ცოდვის ხმა ჩვენში.[1] ჩვენ არ ვუწყით, რას ვაკეთებთ, ვერ ვცნობთ ჩვენს საქციელს. როგორ გამოვარჩიოთ ჩვენი საკუთარი ხმა სხვისი ხმისგან? დარწმუნებული ხართ, რომ ცნობთ მას? რა არის თქვენს თავში თქვენი საკუთარი ხმა და რა არის, ვთქვათ, იდეოლოგიის ხმა? იდეოლოგიის ხმა გვეუბნება, თუ რა გვჭირდება: რა სჭირდება ჩვენს სხეულს, რომელსაც სურს, თავი აარიდოს ზღვრის, სიკვდილის სახეს. არ უნდა დაინახოს ის, რაც მიღმაა და განსხვავებულია იმისაგან, რაც, ჩემი წარმოდგენით, ხელს მაძლევს. ეს ხმა, ხმა იმისი, რაც მაწყობს, არის არა ჩემი ხმა, არამედ, პავლეს თქმით, ცოდვის ხმა. მაგრამ, ვიმეორებ, მისი გამორჩევა ძნელია, რადგან ჩვენ ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ იმის მიხედვით, რაც სიმყუდროვეს შეგვინარჩუნებს და გადაგვარჩენს ზღვრულ სიტუაციას, ე.ი. სიტუაციას, რომელშიც რეალობის დანახვა უნდა გავბედოთ. რეალობა კი ყოველთვის სიკვდილის ენაზე გველაპარაკება. ამას გვეუბნება პავლე მოციქული და ამას გვეუბნება ფილოსოფია.

ისევ გავიმეორებ: მე კი არ ვმოქმედებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია. ამავე სიტუაციის აღწერა შეიძლება ისე, რომ „ცოდვა“ და მისი მსგავსი ტერმინები, რომლებიც რელიგიური ქადაგების ენას განეკუთვნება, სულ არ ვიხმაროთ; იგივე შინაარსი, შეიძლება ფილოსოფიის ენაზეც გადმოიცეს. რაკი ჩემში, ე.ი. ჩემს სხეულში, სიკეთე არ იმყოფება, თუნდაც სიკეთის ქმნის სურვილი მქონდეს, მას რეალურად ვერ განვახორციელებ. არ ვიდენ სიკეთეს, რომელიც მნებავს, არამედ ვაკეთებ ბოროტებას, რომელიც არ მნებავს. აქ მთავარი კვანძია. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მე შეიძლება ვიცოდე ის, რაც სინამდვილეში არ ვიცი, და არ

ვიცოდე ის, რაც სინამდვილეში ვიცი; შეიძლება მინდოდეს კარგი და ვაკეთებდე ცუდს. ამის უკან იმალება ფარული მნიშვნელობა, რომელიც ძალიან ადვილად გასაგებია, ჩვენს დღევანდელ ქართულ სიტუაციაში, თუმცა, სინამდვილეში, ის ქართული არ არის, იგი უნივერსალურია იმ არესთვის, რომელსაც ჰქვია საბჭოთა საზოგადოება ან საბჭოთა კავშირი. ჩვენ ცოცხალნი გადავრჩით იმიტომ, რომ ერთმანეთისა გვესმის და საბჭოური ცხოვრების წესი მოვირგეთ. მოვირგეთ, რადგან ინდივიდუალური გადარჩენის მიზანი გვამოძრავებდა; თანაც ჭკვიანები ვართ ქართველები, ან ჭკვიანი გვგონია თავი. ზოგადად ყოველთვის ოპოზიციონერები ვართ, მაგრამ მაინც ხშირად არ ვაკეთებთ იმას, რაც ჩვენს ღირსებას ეკადრება ან მართებულია. რატომ? იმიტომ, რომ ერთმანეთისა გვესმის, იმიტომ, რომ ერთმანეთში თბილი ურთიერთობა გვაქვს, მე მესმის, რომ შენც უნდა იცხოვრო, ოჯახი, შვილები გყავს სარჩენი. ქურდობ? ვიცი, რასაც ამ შემთხვევაში კანონი მიკარნახებს, მაგრამ არ ვაკეთებ, რადგან მესმის შენი. ჩვენ შერწყმულნი ვართ ადამიანის სითბოში. მაშასადამე, რაში? პავლე მოციქულის სიტყვებით, ხორცში, სხეულში. ამიტომ ეძახის იგი ამას ცოდვას. რამდენჯერ გვქონია ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის მართებული, და არ გაგვიკეთებია, რადგან ვითარება ისე ეწყობოდა, რომ თუ გვიყვარდა ნათესავი, ახლობელი და ა.შ., ამის გაკეთება არ შეგვეძლო. მეტსაც ვიტყვი: სწორედ იმიტომ, რომ ახლობელი გიყვარს, ვერ დააკვირდები ჭეშმარიტების ნათელს და ვერ გაიფიქრებ იმ ერთადერთს, რაც საფიქრალია. რაღაც ნაპერწკალი, რაღაც ნაწილი ნათლისა კი გექნება, მაგრამ დაგეკარგება, ე.ი. შეხვედრა არ მოხდება: ჭეშმარიტების ან სიცოცხლის ნაკადი არ გაივლის იმ წერტილებში, სადაც შენ ხარ. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ნაპერწკალი ეწინააღმდეგება შენს სხეულს, ანუ შენს ურთიერთობებს, სიყვარულს, გაგებას, ხათრიანობასა და ა.შ. საბოლოოდ აკეთებ იმას, რაც გძულს, ე.ი. რაც იცი, რომ ბოროტებაა. მთელი სტრუქტურის აღსაწერად სრულიად არ გვჭირდება ისეთი თანამედროვე ტერმინები, როგორიცაა „არაცნობიერი“, „ქვეცნობიერი“ და ა.შ. მე მხოლოდ ცნობიერების სტრუქტურებზე ვლაპარაკობ; ცნობიერება ცნობიერებაა. არ არსებობს ქვეცნობიერი, ნახევრადცნობიერი და ა.შ.

ყოველივე ეს ჩვენი ფუნდამენტური სიტუაციის მახასიათებელია, ადამიანური კავშირების ხორციელი ბმულობა, რომელსაც ჰქვია „ურთიერთგაგება“, ჩვენი აზროვნებისა და ჭეშმარიტების მტერია. ამ გაგების ზღვრული გამოხატულება არის კლასიკური რუსული “ты меня уважаешь?”[2] ეს არის უზარმაზარი ფსიქიკური ისტერიული ძალა, რომელიც მოქმედებს რუსულ ისტორიაში. მასში გამოვლენილია ღრმა მეტაფიზიკა, რომელიც შინაარსია იმისა, რაც გარეგნულად ვლინდება, როგორც ისტორია, ხდომილება. ამ ხდომილებათა უკან დამალული შინაარსების დანახვის პროცესია სწორედ აზროვნება. თუკი აზროვნება საერთოდ მოხერხდა, მე უკვე შემოვიტანე აზროვნების სიძნელის თემა: რაღაც არის ჩვენში ისეთი, რაც ხელს გვიშლის, დავინახოთ. ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ არ გვინდა დავინახოთ; ან პარადოქსული ფორმით ვიტყვი: ვერ ვხედავთ, ან არ გვინდა დავინახოთ, იმიტომ, რომ უკვე დავინახეთ. უკვე გავიგეთ და ამიტომ ვეღარასოდეს გავიგებთ იმას,

რაც გასაგები იყო. ურთიერთდათმობის, ურთიერთშველის, ურთიერთმორიგების პროცესში ჩვენ უკვე გავუგეთ ერთმანეთს. რაკი ოჯახი მაქვს სარჩენი, უკანონობის ტრიალი ჩემ გარშემო ჩემსავე გადასარჩენად უნდა გამოვიყენო. მაშასადამე, უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი ხერხი დამრჩენია: მეც უკანონო უნდა გავხდე. მთელი ჩვენი ეკონომიკა აგებულია არა შექმნისა, არამედ დაბრუნების პრინციპზე: იმაზე კი არ ვფიქრობთ, რაიმე შევქმნათ, არამედ ვცდილობთ, ნებისმიერი ხერხით დავიბრუნოთ ის, რაც უკანონოდ წაგვართვეს. ამის შემდეგ კი ყველა ერთად ვიღუპებით: ისინიც, ვინც წაგვართვა, და ჩვენც, ვინც მოვერგეთ სიტუაციას და მთელი ჩვენი ეკონომიკური საქმიანობა უკანონოდ წართმეულის დაბრუნებაზე დავიყვანეთ. შევხედოთ, მაგალითად, ჩვენს სოფელს. რატომ არ უნდა გლეხს, რომ კოლმეურნეობა დაიშალოს? გასაგებია, რატომაც. იმიტომ, რომ მოერგო ამ მოდელს. მაგრამ ამგვარი მორგება ფუჭია, იგი აგებულია ცოდვის პრინციპზე, რომელიც დამღუპველია ადამიანისთვის, განსაკუთრებით დღევანდელ სიტუაციაში, როცა ყველანი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

ასეთი ეკონომიკური პრინციპის განხორციელება ყოველთვის გულისხმობს ერთ წანამძღვარს: სივრცე, რომელშიც მასზე აგებული ცხოვრება მიდის, უსასრულო უნდა იყოს ან, ეკონომიკური ტერმინებით რომ ვთქვათ, რესურსები უნდა იყოს უსასრულო. უსაზღვრო უნდა იყოს იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც შეიძლება ყოველივე ამას შეეწიროს. მაგალითად, სამოქალაქო ომი ბოლშევიკებმა მოიგეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიაში პირველად გამოიყენეს ტოტალური ომის ხერხები. ეს იყო ომი, რომელიც, ტრადიციული ომისგან განსხვავებით, მიმდინარეობდა ქვეყნის ყველა წერტილში და გამიზნული იყო მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ; აქ ცივილიზებული წესები და ხერხები არ მოქმედებდა: ქმნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებს, მასობრივად იყვანდნენ მძევლებს და ა.შ. რაც მთავარია, ჯარისკაცები არ ენანებოდათ, რადგან ეს რესურსი – ადამიანური რესურსი – უსასრულო ეგონათ. მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირმა პრაქტიკულად წააგო, მაგრამ მოჩვენებითად მოიგო იმით, რომ ადამიანების ხორცით გაიკაფა გზა და გერმანელების ამბრაზურები მეომართა სხეულებით ამოლესა. ეს იყო ფიზიკური აქციის მკვდარ სხეულთა რიცხვით მოგება. უბრალოდ, ათი კაცი რომ დაეცემა ერთს და ათივე ცხედრად იქცევა, იმ ერთს ფიზიკური მასა მოკლავს. აქედან მოდის მსხვერპლის შეფარდება გერმანულ და საბჭოთა მხარეებს შორის: ერთი ათზე. ასევე გვეგონა, რომ უსასრულოა გაზის რესურსი, ნავთის რესურსი და ა.შ. მაგრამ ამ შემთხვევაში თითქოს ღმერთმა მოგვიგდო რაღაც თოკი, რომელიც თავიდან უსასრულო გვეგონა, ის კი მაინც ბოლოს და ბოლოს გათავდა – და დღეს აღარც გაზია, აღარც ნავთი. მიწაც მოწამლულია, ჰაერიც და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ ადამიანური სისულელისთვის სივრცე არ დარჩენილა.

რაზე ვსაუბრობდით? რით დავიწყეთ? „ცხოვრებას მოწყვეტილი“ ტექსტით – სახარებით, რომელიც თითქოს მხოლოდ მორალისტური ქადაგებაა. სინამდვილეში ის უფრო მეტია: მასში მოცემულია სიმბოლოები ჩვენი სულის სტრუქტურისა. ჩვენი სულის სტრუქტურა კი ამავე დროს ისტორიის სტრუქტურაა: რაკი

ისტორიაში ვცხოვრობთ, ჩვენი ბედი იკვანძება ისტორიაში და არა ბუნებაში: მაშასადამე, არა იმაში, რასაც ჩვენი სხეულის კანონებით, ან, პავლე მოციქულის ტერმინოლოგიით, ცოდვის მიხედვით ვაშენებთ, ცოდვა არის ციხე, იგივე ჩვენი ტანი – ოღონდ არა პირდაპირი, არამედ გადატანთი, მეტაფორული გაგებით. „ტანი“ შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც მოვირგეთ, რაც გავიგეთ ამ თბილი ციხის შიგნით. აქ თითქოს დედის მუცელში ვართ, გარშემორტყმულნი რაღაც თბილი, მყუდრო ეთერით. გვინდა ისევ იმ ელემენტში გავაგრძელოთ ცხოვრება. მაგრამ სინამდვილეში ჩვენი ცხოვრების ელემენტები სხვაა, სახელდობრ, ისტორიულია, მაშასადამე, ისინი ჩვენ მიღმაა. ისტორიაში იკვანძება ის, რაც ჩვენ უნდა დაგვემართოს: რაც დაემართება გლეხს, რომელმაც მოირგო კოლმეურნეობა და რაც უნდა დაემართოს თვითონ კოლმეურნეობას. კოლმეურნეობა მოისპობა მაშინ, როცა აღმოჩნდება, რომ შესაძლებლობების უსასრულობა მოჩვენებითი ყოფილა. იგი ყოველთვის მოჩვენებითი იყო, მაგრამ რაღაც ეტაპზე ეს ფიზიკურად თვალნათლივი ხდება. მანამდე, სანამ ეს მოხდება, პირჯვარი არ უნდა გადავიწეროთ? ანუ – რაც იგივეა – მანამდე არ უნდა ვიაზროვნოთ?

აქამდე მე უფრო მორალისტურ-რელიგიურ ტერმინებს ვხმარობდი. მაგრამ შემიძლია, მაგალითად, განლაგების ანუ ტოპოლოგიის[3] ტერმინები ვიხმარო. ტოპოლოგიაში ღრმად შეჭრას არ ვაპირებ, მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდა: არსებობს ისეთი მდგომარეობები, სადაც იცით, რისი გაკეთება გსურთ, მაგრამ ვერ აკეთებთ ამას და აკეთებთ საწინააღმდეგოს. აქ არის კვანძების რაღაცგვარი ტრიალი, რომელსაც თავისთავად მივყავართ ისეთ წერტილთან, სადაც ხდება ან არ ხდება ის, რასაც მე დავარქვი „შეხვედრა.“ ხშირად ამას „ბედისწერას“ ვეძახით, მაგრამ, ალბათ, მასაც არ აქვს თავისი კანონები: რატომაა, რომ ხან აღმოვჩნდები ისეთ წერტილში, საიდანაც შემიძლია დავინახო ან შევასრულო, ან ისეთ წერტილში, საიდანაც ვერ ვხედავ (თუ არ ვხედავ) და ვერ ვასრულებ?

ამის უკან ძევს პრობლემა, რომელიც ფილოსოფიის ძირითადი პრობლემაა და რომელიც მე პრაქტიკულად უკვე ვახსენე. რას ნიშნავს, ვთქვათ, ასეთი შემთხვევა: საბედისწერო შეხვედრის დროს, გადამწყვეტ მომენტში მავიწყდება რაღაც, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და რაც, ნამდვილად ვიცი, რომ ჩემშია. დროისა და სივრცის მოცემულ წერტილში სრულად არ ვფლობ ყველაფერს, რაც მაქვს. გარკვეულ წერტილში რატომღაც ვერ ვახერხებ ძალისა და ყურადღების კონცენტრაციას, რომლის უნარი აბსტრაქტულად გამაჩნია. რაღაც ვიცოდი, აი, ახლა დამჭირდა და მაინცდამაინც ახლა დამავიწყდა; ან სწორი სიტყვა ვერ მოვძებნე. ვიმეორებ, ამის უკან იმალება პრობლემა: სრულად ვფლობდე იმას, რაც მაქვს. ვფლობდე გარკვეულ მომენტში, რომელსაც შეიძლება დავარქვათ „ისტორიული მომენტი“: როცა ყველაფერი სრულდება და კუთვნილი შეხვედრა ხდება. ამის გასაგებად შეგვიძლია ფიზიკურ ანალოგიას მოვუხმოთ. ვთქვათ, კაცი დავარდა, მე კი შემწევს ძალა, რომ ხელი გავუწოდო მას და წამოვაყენო. მაგრამ მე თვითონ უნდა ვიყო ისეთ წერტილში, საიდანაც ხელის მიწვდენა შემეძლება: წარმოიდგინეთ, რომ ხელიც მაქვს, კუნთიც მაქვს, სიყვარულიც მაქვს, დახმარე-

ბის სურვილიც მაქვს, მაგრამ ჩემმა სივრცობრივმა გადაადგილებებმა ისეთ წერტილში მიმიყვანა, რომ მეტისმეტად შორს აღმოვჩნდი და ვერ ვწვდები იმას, ვისი წამოყენებაც მინდა. ეს ფიზიკური მდგომარეობაა, ფიზიკური მეტაფორაა. მაგრამ ამის მსგავსი მორალური მდგომარეობაც არსებობს. შეიძლება ჩემი მიმართებების ტრიალმა, ჩემს ახლობლებთან ურთიერთობებმა ისეთ წერტილში მომახვედროს, რომ ვეღარ გავაკეთო ის, რაც გასაკეთებელია. ან რაღაცას ისეთი კუთხით შევხედო, რომ ვერ დავინახო ის, რაც დასანახია. რატომ ხდება ასე? რატომ ხვდები ასეთ წერტილში?

ამ პრობლემის შუქზე უნდა გავიზიაროთ ფილოსოფიის – და საერთოდ აზროვნების თვისება, რომ ის ქმნადობაა და არა თეორია. ადამიანი ყოველთვის უნდა ესწრაფოდეს, მოხვდეს იმ წერტილში, სადაც ფლობს იმას, რაც აქვს, და შეძლებს იმის გაკეთებას, რაც უნდა. იმას, რის გამოც აღმოვჩნდები, ან არ აღმოვჩნდები ასეთ წერტილში, თავისი კანონები აქვს. ხელის მიწვდენა ფიზიკური მეტაფორაა. აზროვნებაშიც იგივეა – მისწვდები ან ვერ მისწვდები, ამიტომ არსებობს სულიერი ცხოვრების ტექნიკა ანუ ხელოვნება. ამ გაგებით აზროვნებაც ხელოვნებაა: ხელოვნება სულიერი ცხოვრებისა.

ჩვენი ამოსავალია რელიგიური ტექსტი, რომელშიც გამოხატულია ადამიანის ფუნდამენტური მეტაფიზიკური მდგომარეობა, მისი სიტუაცია და ამ სიტუაციაში აზრობრივი ელემენტის როლი. ეს ტექსტი მთავრდება იესო ქრისტეს სიმბოლოთი და მეც დღეს ამით დავამთავრებ: „ვინაიდან შინაგანი ადამიანის მიხედვით მესიამოვნება ღმერთის სჯული“ (რომაელთა მიმართ, თავი 7, ლექსი 22). აქ უკვე ორი ადამიანი ჩანს: ერთია ადამიანი, როგორც ასეთი, და მეორე – შინაგანი ადამიანი. ეს შინაგანი ადამიანია, რომელიც ან რეალიზდება, ან არა; იგია ის, რომელმაც იცის ის, რაც იცის, და არის ის, რაც არის; არა ის, რომელსაც უყვარს და სინამდვილეში სძულს, ან სძულს და სინამდვილეში უყვარს, არამედ ის, რომელსაც უყვარს, როცა უყვარს და სძულს, როცა სძულს. როცა გვაქვს ეს შეხვედრა, მაშინ გვაქვს შინაგანი ადამიანი. მაგრამ სხეულში, მის ასოებში მე ვხედავ სხვა კანონს (აქ უკვე „სჯულის“ მაგივრად ტერმინი „კანონია“ ნახმარი; ეს სიტყვა საერთოდ შეიძლება „სჯულის“ მაგივრად ვიხმაროთ), რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების კანონს და მხდის ჩემს ასოებში ჩაბუდებული ცოდვის კანონის ტყვედ. რა თქმა უნდა, „სხეული“, „ასო“ ყოველთვის არაპირდაპირი აზრით უნდა გაიგოთ. ასე ტექსტში „სხეული“ არასდროს აღნიშნავს სხეულს, როგორც ასეთს. სხეული არის, მაგალითად, ტოპოლოგიური სტრუქტურა იმ სივრცისა, ადგილისა, სადაც ან ხდება რაღაც, ან არ ხდება. მე რომ მეტაფორა გამოვიყენე – ხელის გაწვდენა – ესეც სხეულის სტრუქტურაა. ჰოდა, ისმის კითხვა: ვინ დამიხსნის მე, უბადრუკ ადამიანს, სიკვდილის სხეულისაგან? ეს ასოები, ეს სხეული სიკვდილის სხეულია, იმ აზრით, რითაც, ვთქვათ, კოლმეურნეობის ან საბჭოთა ხელისუფლების მორგება სიკვდილის სხეულია. ეს სხეული სწორედ იმიტომ აიგო, რომ ჩვენ ესენი მოვირგეთ, და პირიქით; სინამდვილე რომ დავინახოთ, ეს მორგების ჯაჭვი უნდა გავწყვიტოთ, რაც ნიშნავს, რომ ხანდახან მოგვიხდება გავწყვიტოთ სიყ-

ვარულის ურთიერთგაგების კავშირები, დავარღვიოთ ადამიანური სიმყუდროვე. თუ საიმისო ძალა და ვაჟკაცობა გვეყო, რომ ამის მიღმა დავდგეთ, გაგვიჩნდება „შეხვედრის“, „დანახვის“ შანსი.

ბოლოს კი ნათქვამია: „ვმადლობ ღმერთს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. ამრიგად, ჩემი გონებით ღმერთის სჯულის მონა ვარ, ხოლო სხეულით ცოდვის კანონისა“. აქ (უკვე გადავედი მეორე თავზე) შემოდის მოტივი სხეულის გამოსყიდვისა იესო ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის მეშვეობით. აქ ნაჩვენებია, რომ სიმბოლოსთან შერწყმა საშუალებას გვაძლევს, შევასრულოთ ის, რაც ადამიანურად ანუ სხეულის კანონის მიხედვით არ შეგვიძლია. აი, რა იგულისხმება, როცა ხსნაზეა ლაპარაკი. ამასთან დაკავშირებით დაგვჭირდა, ხელოვნებასთან ანალოგია გამეტარებინა. სულიერი ცხოვრების ხელოვნება ანუ ტექნოსი, ტექნიკა – ეს არის სიმბოლური აპარატი; ამ აპარატის ელემენტი შეიძლება იყოს იესო ქრისტეს სიმბოლო. არსებობს სხვა სიმბოლოებიც. ამ სიმბოლოებთან შერწყმა, თქვენ ან ჩემ მიერ შესრულებული, ქმნის დაძაბულობის ველს, რომელშიც შეიძლება მოხდეს ის, რაც ადამიანურად ვერ მოხდებოდა. ჩვეულებრივი გაგებით ხელოვანიც ამას აკეთებს. ითვლება, რომ მხატვარი ხატავს იმას, რასაც ხედავს; სინამდვილეში მხატვარი ხატავს იმას, რასაც ხედავს, იმისათვის, რომ დაინახოს ის, რასაც ხედავს. ვიმეორებ, მხატვარი იმას კი არ ხატავს, რაც დაინახა, ის ხატავს იმისათვის, რომ დაინახოს ის, რასაც ხედავს.[4] და რაც უფრო ნამდვილია მისი ხელოვნება, მით უფრო დანახულია ის, რასაც იგი ხედავს. შეიძლება ითქვას, ჩვენც ასე ვხატავთ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში: რაღაცას რომ ვაკეთებთ, კი არ უნდა ავრეკლოთ ის, რასაც ვხედავთ, არამედ ის, რასაც ვხედავთ, პირველად ამ კეთების მეშვეობით უნდა დავინახოთ. ეს ნიშნავს, რომ უნდა დავინახოთ საკუთარი თავი და გავიგოთ, რას ვაკეთებთ, რას ვგრძნობთ, რანი ვართ, რას ვფიქრობთ. უნდა გავიფიქროთ ის, რასაც სინამდვილეში ვფიქრობთ, შევიგრძნოთ ის, რასაც ვგრძნობთ, განვიცადოთ ის, რასაც განვიცდით. რადგანაც თავდაპირველად, რაღაც დონეზე ჩვენ განვიცდით არასრულყოფილად: ერთმანეთში გვერევა იერარქიის სხვადასხვა შრე. მაგალითად, მუსიკა მიყვარს, მაგრამ მგონია, რომ მიყვარს ქალი, რომელიც ასოციაციურად უკავშირდება მუსიკისადმი ჩემს მიმართებას. ბოლომდე რომ განვიცადო, რასაც განვიცდი, განვიცადო ის მისი სიხარულითა და ნამდვილობით, თვითონ ამ განცდის ფიზიკური თუ გრძნობადი ენერგიის გარდა, მჭირდება რაღაც აპარატი, ანუ ტექნიკა, ტექნოსი, ხელოვნება, სიმბოლოებთან ჩემი თავის შერწყმა.

რას უბრუნდება პავლე მოციქული ამ თავის ბოლოს? იგი უბრუნდება იესო ქრისტეს სიმბოლოს, მის მსხვერპლს, რომლითაც მან გამოისყიდა ჩვენი სიკვდილის სხეული და რისი წყალობითაც ჩვენ თავისუფალნი ვართ, როგორც განთავისუფლებული მონები, თავისუფალნი ვართ საიმისოდ, რომ საკუთარ განცდას გავყვეთ. ჩვენ არ უნდა გავშეშდეთ, გავჩერდეთ, რაკი მან უკვე გამოისყიდა ჩვენი ცოდვა. გამოსყიდვა სიმბოლურად მოხდა და ყურადღების კონცენტრაციის საშუალებათა ველში, რომელიც ამ სიმბოლოს გარშემო შეიქმნა, არის იმის ალ-

ბათობა, რომ განხორციელდება ნამდვილი ხედვა; რომ განცდა გადაებმევა საკუთარ თავს – განცდას და დასრულებულ სახეს მიიღებს სამყაროში. ის იქცევა ხდომილებად, რომელიც ისტორიის ნაწილია. ამიტომ გავიმეორებ იმას, რაც თავში ვთქვი. ჩვენ ისტორიაში ვცხოვრობთ და არა ბუნებაში, ისტორიაში და არა ეთნოსში. ჩვენთვის ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, ქართველები, როგორც ქრისტიანი ერი, ერი ვართ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამ ერის წევრმა პიროვნებებმა თავიანთ ქართულ ეთნიკურ სხეულში შეასრულეს გარკვეული სულიერი აქტები და ამის შემდეგ იშვნენ, როგორც ერი და არა, როგორც ეთნოსი.

განმარტებები

1. ციტატა პავლე მოციქულის წერილიდან რომაელთა მიმართ, 7: 20.
2. „შენ მე პატივს მცემ?“ (რუსულად)
3. ტოპოლოგია – მათემატიკური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სივრცის გარკვეულ მახასიათებლებს.
4. სავარაუდოდ, ეს არის ციტატა დიდი გერმანელი მხატვრის პაულ კლეეს (1879-1940) ტექსტიდან („ხელოვნება არ ასახავს ხილულს, არამედ ხელოვნება ხილულად აქცევს“). მამარდაშვილისათვის დამახასიათებელია ციტატების შეფარული ჩაწვნა საკუთარი განაზრებების პროცესში.

იუვალ ნოა ჰარარი

1976

შესავალი

თქვენ წინაშეა იუვალ ნოა ჰარარის გახმაურებული წიგნი „საპიენსი: კაცობრიობის მოკლე ისტორია“. როგორც სათაურიდან ჩანს, ესაა ჩვენი, ადამიანის მოდგმის ისტორია. ამგვარი შინაარსის წიგნი ბევრი დაწერილა, მაგრამ ასეთი ხმაური არ მოჰყოლია… რითია ჰარარის წიგნი გამორჩეული? ჰარარი არღვევს ტრადიციას, რომელიც ისტორიის ცენტრში ადამიანთა საზოგადოების განვითარებას აქცევს. ის გვთავაზობს ჩვენი, როგორც ბიოლოგიური სახეობის უფრო სრულ ისტორიას, სამყაროს გაჩენიდან დღემდე და თავის დასკვნებს, ასევე ბიოლოგიური ევოლუციიის ჭრილში, იყენებს ჩვენი მომავლის შესაფასებლად. გზადაგზა ჰარარი არაორდინალურ აზრებსაც გამოთქვამს, რომლებსაც ან დავეთანხმებით, ან არა, მაგრამ ცოტანი თუ დავრჩებით გულგრილნი ჩვენი ისტორიის ჰარარისეული შეფასებების მიმართ. წიგნი ისეა დაწერილი, რომ კითხვის მოყვარულ ადამიანს აუცილებლად გაიტაცებს, ჰარარისეული მოსწრებული გამონათქვამები კი კითხვას ერთობ სახალისოდ ხდის. მკითხველისთვის ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება თავად ავტორის გაცნობაც – უფრო სწორად, ზოგიერთი ფაქტის შეტყობა მისი აკადემიური კარიერისა თუ მოქალაქეობრივი შეხედულებების შესახებ. ამის შემდეგ ჩვენთვის უფრო გასაგები ხდება ამ არაორდინალური პიროვნებისათვის დამახასიათებელი ასევე არაორდინალური წერის სტილი.

იუვალ ნოა ჰარარი დაიბადა 1976 წელს ისრაელში, ისრაელშივე გაიზარდა, დაამთავრა სკოლა და უნივერსიტეტი (ებრაული უნივერსიტეტი იერუსალიმში), სტუდენტობისას სპეციალობად აირჩია შუა საუკუნეების ისტორია. სადოქტორო კურსი გაიარა ოქსფორდის უნივერსიტეტის იესოს კოლეჯში, სადაც უმთავრესად სამხედრო ისტორიას სწავლობდა. იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში დაბრუნდა როგორც პოსტ-დოქტორი, აქვე გახდა ტენუირებული პროფესორი და ახლაც ამ პოზიციაზე მუშაობს. სწავლის პერიოდშივე აქვეყნებდა საყურადღებო სტატიებს და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის დაწესებული ბევრი პრიზი აქვს მოპოვებული. ის საერთაშორისო მკითხველისათვის ცნობილი გახდა, უპირველეს ყოვლისა, წინამდებარე წიგნით, რომელიც 2011 წელს ებრაულ ენაზე, 2014 წელს კი ინგლისურად გამოვიდა. ამ წიგნში ჩვენ ვხედავთ ჰარარის ინტერესების გადანაცვლებას შუა საუკუნეებისა და სამხედრო ისტორიიდან გლობალიზაციის პროცესისადმი. ნება მიბოძეთ, ერთი სპეკულაციური ვარაუდიც გამოვთქვა: ჰარარის სიჭაბუკის წლები, რომლებიც ასე ძლიერ განსაზღვრავს პიროვნების მისწრაფებებისა და ხასიათის ჩამოყალიბებას, დაემთხვა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-წლების პირველ ნახევარს. ეს წლები მსოფლიო ისტორიაში მართლაც

რომ მნიშვნელოვანი მოვლენებითაა სავსე… თავად განსაჯეთ: საბჭოთა ბლოკმა დაიწყო რღვევა; გაერთიანდა გერმანია; დაიშალა საბჭოთა კავშირი; სამხრეთ აფრიკაში გაუქმდა აპარტეიდის სისტემა; დაიშალა იუგოსლავია; აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური დიქტატურები ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიშალა, დამყარდა პლურალისტური დემოკრატიები და სულ მალე ეს ქვეყნები ნატოსა და ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდენ, მათ შორის საბჭოთა კავშირის ყოფილი ნაწილებიც – ბალტიისპირეთის რესპუბლიკები; საერთაშორისო კოალიციამ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ერაყის მაშინდელი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის ჯარები გამორეკა ოკუპირებული კუვეიტიდან… მაშინ ეს მოვლენები შეფასდა, როგორც დიდი ნახტომები გლობალიზაციისკენ, ზოგიერთი კომენტატორი ამას გლობალიზაციის საბოლოო გამარჯვებასაც კი უწოდებდა. ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (მამამ) გამოაცხადა, რომ ამიერიდან მსოფლიო ერთპოლუსიანი გახდა – რა თქმა უნდა, ამ ერთადერთ პოლუსად ამერიკა მოიაზრებოდა. ვფიქრობ, ამ მოვლენებს არ შეეძლო შთაბეჭდილების გარეშე დაეტოვებინა ისტორიით დაინტერესებული ისეთი ცოცხალი გონების ახალგაზრდა, როგორიც ჰარარი იყო. თითქოს ამ ვარაუდის დასტურად, ერთ-ერთ ინტერვიუში ჰარარიმ განაცხადა, რომ მასზე დიდი გავლენა იქონია ჯარედ დაიამონდის ცნობილმა წიგნმა „თოფები, მიკრობები და ფოლადი“, რომელშიც დაიამონდი აანალიზებს მსოფლიოში არსებული ცივილიზაციების განვითარებას და სხვა ცივილიზაციებთან კონფლიქტის შედეგად გაქრობას თუ გამარჯვებას. ჰარარიზე შთაბეჭდილება სწორედ დაიამონდის ისტორიისადმი გლობალურმა მიდგომამ მოახდინა და იქცა კიდეც წინამდებარე წიგნის დაწერის ერთ-ერთ მთავარ მოტივად.

იუვალ ჰარარის უჩვეულო პიროვნება მის მოქლაქეობრივ პოზიციებსა და პირად ცხოვრებაშიც ვლინდება. იგი რელიგიური არაა, საერთოდაც, სეკულარულ ოჯახში გაიზარდა. მაგრამ მისდევს ბუდისტური სუნთქვითი ვარჯიშებისა და მედიტაციების ერთ-ერთ სკოლას, რომელსაც ვიპასანა ეწოდება; რეგულარულად (წელიწადში ერთხელ) მთელი თვე განდეგილის ცხოვრებით ცხოვრობს და სრულიად წყდება საზოგადოებასა და გარემოს. ამავე დროს, ჰარარი ვეგანია, როგორც ფიზიკური, ისე იდეური მნიშვნელობით.[1]

ახლა კი ისევ „საპიენსი: კაცობრიობის მოკლე ისტორია“: ამ წიგნში ჰარარიმ ჩვენი, ადამიანთა მოდგმის ბიოლოგიური ევოლუციისა და ჩვენივე საზოგადოებრივი განვითარების ისტორია ერთ ნაშრომში მოაქცია. ამისათვის კი საჭირო გახდა ბუნების მეცნიერებების საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან

1 ამ სიტყვას – ვეგანობას – მასმედიაში ხშირად არასწორი მნიშვნელობით იყენებენ, როცა გულისხმობენ ადამიანის მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული წარმოშობის საკვებით კვებას, მაშინ როცა ვეგეტარიანობა უშვებს ზოგიერთ ცხოველურ საკვებსაც (კვერცხს, რძეს, თევზს). სინამდვილეში, ვეგანობა მცენარეული დიეტის გარდა გულისხმობს ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელიც უარყოფს შინაური პირუტყვის (სახორცედ, სარძევედ, გამწევ ძალად თუ სპორტში გამოყენებული ცხოველების) ყიდვა-გაყიდვის ობიექტად, ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით საქონლად ქცევას.

შეერთება. სპეციალისტებმა იციან, რომ ეს რთული ამოცანაა, იმის გამო, რომ მეცნიერების ამ ორი დიდი დომენის წარმომადგენლები ფაქტებსა და თეორიებს სხვადასხვანაირად ეპყრობიან. ბუნების მკვლევართათვის ფაქტის დადგენის სიზუსტე უპირველესი პრიორიტეტია, ამ ფაქტების ინტერპრეტაციებს კი მხოლოდ ჰიპოთეზის სტატუსი აქვთ; ჰიპოთეზების თეორიებად გადაქცევა შესაძლებელია მხოლოდ დიდი ოდენობის ფაქტებზე დაყრდნობით. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ასეთ მიდგომას დიდი გასაქანი არ აქვს, რადგან, პირველ რიგში, ცდების ჩატარება ადამიანებსა და მათს საზოგადოებებზე და ამ გზით ფაქტობრივი მასალის დაგროვება შეუძლებელია. ამიტომ ფაქტების შესახებ ინტერპრეტაციები უკვე თეორიებად განიხილება და ამ თეორიების სისწორე ფასდება მათი პოპულარობით მკვლევართა შორის. ხატოვნად რომ ვთქვათ, ბუნებისა და საზოგადოების მეცნიერებები სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ. ცხადია, შეიძლება, რომ ერთი მკვლევარი ორივე ენას დაეუფლოს, მაგრამ ამ ორი დიდი დომენიდან ცოდნის შეერთება ერთ ნაშრომში, ანუ ერთდროულად ორ ენაზე მეტყველება, მაინც განსაკუთრებულ უნარს საჭიროებს. ასეთი ნაშრომები დიდი იშვიათობაა, მაგრამ მაინც არსებობს. პირველი, ვინც უნდა გავიხსენოთ, მით უმეტეს, როცა ადამიანის ევოლუციაზეა საუბარი, არის დარვინი და მისი დიდი ნაშრომი „ადამიანის ჩამომავლობა და სქესის მიხედვით გადარჩევა“ (The Descent of Man and Selection in Relation to Sex). სამწუხაროა, რომ ეს შრომა ჯერ ქართულ ენაზე გამოცემული არაა. მასში დარვინი განიხილავს იმ დროისათვის (XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი) დაგროვილ პალეონტოლოგიურ მასალას მისივე ევოლუციის თეორიის კუთხით, რომელშიც ძლიერადაა წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტი (მალთუსის თეორია). ამავე წიგნში დარვინი აღწერს და ასაბუთებს ბუნებრივი გადარჩევის თავისებურ, მხოლოდ რთული ქცევის ცხოველებისათვის დამახასიათებელ პროცესს ბუნებრივი გადარჩევისა, რომელშიც ფიზიკურ გარემოსთან შეგუება მეორე პლანზე გადადის და უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ქცევას, რომელიც სქესობრივი შერჩევით გამოიხატება. ამ პროცესს დარვინი სქესობრივ გადარჩევას უწოდებს. რა თქმა უნდა, ჰარარი დარვინის სიმაღლეებს ვერ სწვდება, მაგრამ სრულიად აშკარაა მისი უნარი, ხიდები გადოს ბუნებისმეტყველებას, საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის. ჩემი აზრით, ეს ჰარარის წიგნის უძლიერესი მხარეა. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ადამიანის წარმოშობისა და მისი ისტორიის კიდევ ერთი ძლიერი სინთეზი – მხედველობაში მაქვს ტეიარ დე შარდენის „ადამიანის ფენომენი“. ეს წიგნი პირველად 1955 წ. გამოვიდა ფრანგულ ენაზე და სასიამოვნოა, რომ უკვე გვაქვს ქართული თარგმანი, რომელიც 2010 წ. გამოქვეყნდა.

ჰარარის წიგნის კიდევ ერთი დიდი ღირსებაა ის, რომ ადამიანის მოდგმის ბიოლოგიისა და ისტორიის სინთეზში მას ჩართული აქვს თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო და აქტუალური პრობლემები. ამათგან პირველია გლობალიზაცია, პროცესი, რომელიც ალბათ ჩვენი მიმიდინარე ისტორიული მომენტის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია. მეორე კი არის სამუდამო კითხვა, ვართ

თუ არა ბედნიერები და შეიძლება თუ არა უფრო ბედნიერები ვიყოთ? მეტად ორიგინალურად, ჰარარი ამ კითხვას უკავშირებს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ცხოველთა უფლებების დაცვას. ქვემოთ ძალიან მოკლედ განვიხილავ ჰარარის უმთავრეს აზრებს, გამოთქმულს „საპიენსში“.

ადამიანის ევოლუციის პირველი ეტაპი ჰარარისათვის მთავრდება სამეტყველო ენის განვითარებით, რომელსაც ის კოგნიტურ რევოლუციას უწოდებს. ძნელი სათქმელია, რატომ შეარჩია ეს ტერმინი ჰარარიმ. საერთოდ „კოგნიტურ რევოლუციაში“ გულისხმობენ ე.წ. კოგნიტური ფსიქოლოგიის დაბადებას, რომლის იდეების განვითარებამ გასული საუკუნის 50- და 60-იან წლებში მართლაც რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია ფსიქოლოგიაში. ხოლო იმას, რასაც ჰარარი გულისხმობს, უფრო ესადაგება „ქცევითი თანამედროვეობა“ (behavioural modernity), როგორც ეს გაგებულია, მაგალითად, ფრანჩესკო დ'ერიკოს მიერ (d'Errico, F. (2003). The invisible frontier. A multiple species model for the origin of behavioral modernity. Evolutionary Anthropology: Issues, News, and Reviews, 12(4), 188-202.): ესაა ქცევითი და აზროვნებითი ნიშნები, რომელიც ადამიანს გამოარჩევს უახლოესი მონათესავე პრიმატებისა და უშუალო წინაპრებისგან. პირველ რიგში, ესაა აბსტრაქტული აზროვნება, გრძელვადიანი დაგეგმვის უნარი, სიმბოლოების გამოყენება და ტექნოლოგიების ფლობა. ამათგან ჰარარი განსაკუთრებულ და გადამწყვეტ მნიშვნელობას მიაწერს ჩვენი წინაპრების მიერ წარმოსახვის უნარის შეძენას, რაც სინამდვილეში არის კიდეც ჩვენი სახეობის გაჩენის აქტი. ჰარარის აზრით, ჩვენი სახეობა მთელ მსოფლიოს მოედო, კონკურენციაში დაამარცხა ჩვენივე მსგავსი, სხვა სახესხვაობის თუ სახეობის ადამიანები (რომელთაც წარმოსახვის უნარი შეზღუდული აღმოაჩნდათ) და შეძლო ყველა დანარჩენ ბიოლოგიურ არსებაზე გაბატონება იმიტომ, რომ კონკურენტებისგან განსხვავებით, ჩვენ შეგვეძლო დიდ კოლექტივებში ორგანიზებულად ცხოვრება და დიდი პროექტების შესრულება, რისთვისაც საერთო მიზნის ქონა და თანამშრომლობაა საჭირო – ეს კი წარმოსახვის უნარის გარეშე შეუძლებელია. წარმოსახვის უნარი აჯერებს ადამიანს ჯერ არარსებული ქმნილებების, მოვლენების, გარემოებების და ნივთებისაც კი არსებობაში, ან მათ მიღწევადობაში. წარმოსახვის ასეთ ნაყოფებს ეკუთვნის ღმერთები, ერი, ფული, კანონები… ასე რომ, ადამიანთა ერთობლივი მოქმედების ყველა მასშტაბური გამოვლინება, როგორიცაა რელიგია, ხელისუფლება, სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნების შიგნით თუ გარეთ, სასამართლო სისტემა – გაჩენას უნდა უმადლოდეს ადამიანის წარმოსახვის უნარს. ჰარარის ეს აზრები, სულ ცოტა, ახალი კუთხით გვაჩვენებს ჩვენს ისტორიასა და ყოფას და უდავოდ იმსახურებს არსებობის უფლებას იმისდა მიუხედავად, გაიზიარებს თუ არა მათ სწავლულთა უმრავლესობა.

ჰარარი მწვავედ აყენებს ცხოველთა უფლებების დაცვის პრობლემას და თვლის, რომ მეცხოველეობა-მეფრინველეობა და საერთოდ, სოფლის მეურნეობა ამ უფლებებს უხეშად არღვევს. საქონელზე ძალადობას ადამიანის მხრიდან მართლაც აქვს ადგილი, თუმცა შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ჰარარი განზრახ

ამუქებს ამ თემას და მას არცთუ მართებულად სხვა დიდ თემას – ჩვენს ბედნიერებას უკავშირებს (პრობლემების გადაჭარბებით მუქ ფერებში წარმოჩენას კიდევ შევეხები ქვემოთ, ჰარარის წიგნის მიმართ გამოთქმული კრიტიკის განხილვისას). ჰარარი უპირველესად იმ ცხოველებს ეხება, რომელთაც „საქონელს“ ვუწოდებთ და ასაბუთებს, რომ სოფლის მეურნეობაზე გადასვლამ მკვეთრად გააერთფეროვნა ადამიანის და შინაური ცხოველების ყოფა-ცხოვრება, მათ შორის დიეტაც. ეს კი ცხოველებისა და ჩვენს ბედნიერებას მნიშვნელოვნად ზღუდავს. თუმცა, რადგან ჯერ ამის დამტკიცება შეუძლებელია, საჭიროა დამატებითი ინტენსიური კვლევა.

სასოფლო-სამეურნეო რევოლუციიდან მოყოლებული, ადამიანის ისტორია ჰარარის ესახება, როგორც თანდათანობითი, მაგრამ უწყვეტი გლობალიზაციის პროცესი, ადამიანთა ცალკეული საზოგადოებების პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების განუხრელი ზრდა. ეს გამოიხატება იმპერიების შექმნითა და არსებობით ისე, რომ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას ცხოვრება მსხვილ იმპერიებში უწევდა პირველი ცივილიზაციიდან დღემდე. დღეს კი კაპიტალისტური გლობალიზაცია პრაქტიკულად გაერთიანებულ, მსოფლიო იმპერიას ქმნის. ჰარარი ხაზს უსვამს, რომ ფული, იმპერიები და უნივერსალური რელიგიები ამ პროცესის მამოძრავებელი ძალებია და რომ ამ მოვლენების არსებობა, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ადამიანის წარმოსახვის უნარს, ანუ ჩვენი კოგნიტური რევოლუციის ნაყოფს ეფუძნება. ჰარარის აზრით, გლობალიზაცია განსაკუთრებით დაჩქარდა პროცესით, რომელსაც ის სამეცნიერო რევოლუციას უწოდებს და რომელიც 500 წლის წინ დაიწყო. ჰარარის სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინდელმა ევროპულმა ელიტებმა „აღაირეს საკუთარი უწიგნურობა“ და გასაქანი მისცეს განათლებასა და მეცნიერებას ისე, რომ მეცნიერულმა ცოდნამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პოლიტიკურ მმართველობაში. ამან დიდი უპირატესობა მოუტანა დასავლეთის კულტურებს, რადგან მეცნიერებამ დააჩქარა ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური ზრდა, რასაც მოჰყვა ევროპული ექსპანსია მთელი დედამიწის ზურგზე და მსოფლიოს კულტურების გაღარიბება იმის გამო, რომ ზოგჯერ თავსმოხვევით, ზოგჯერაც მიმბაძველობით, ადგილობრივ კულტურებს გადმოჰქონდათ დასავლური ღირებულებები. აქ ჰარარი ისევ უბრუნდება ბედნიერების პრობლემას და კითხულობს: მიუხედავად ჩვენი, ადამიანების, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ზრდისა და სიძლიერისა, ვართ კი უფრო ბედნიერები? ჰარარის აზრით, არც ისე. და აქვე ასკვნის, რომ სამეცნიერო პროგრესმა შეიძლება ჩვენი სახეობა საერთოდ გააქროს იმ სახით, როგორიც ეხლა ვართ. ჩვენ გვემუქრება რადიკალური და, შეიძლება, ფატალური ცვლილებებიც კი, თუ მივაღწიეთ გენეტიკური ინჟინერიის გზით უკვდავებას და არაორგანული სიცოცხლე შევქმენით ემოციების მქონე რობოტების სახით. აქ ჰარარი გვეუბნება: თუ ეს მოხდა, მაშინ ჩვენ, ადამიანები, ვიქცევით ღმერთად, რომელიც ახალ სახეობას ქმნის… ამ თემას – ჩვენს მომავალს – ჰარარი თავის მეორე წიგნს უძღვნის. ამ წიგნის სათაურია „ჰომო ღმერთი“ და უფრო ფუტუროლოგიურ შრომას წარ-

მოადგენს, ვიდრე ისტორიულს. მთავარი იდეა აქ ისაა, რომ ბუნებრივი გადარჩევა, რომელმაც ადამიანის ევოლუცია წარმართა დღემდე, შეიძლება ჩანაცვლდეს უკვე ადამიანების მიერ წარმართული გონიერი ქმნით, ამას კი დრამატული ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს, ისე, რომ ადამიანი ახლანდელი სახით გაქრეს და არც ჩვენი პლანეტის მომავალია ცხადი და ნათელი…

დავუბრუნდეთ „საპიენსს“: ჰარარი, როგორც ჩანს, ეკუთვნის იმ ისტორიკოსებს, რომელნიც თვლიან, რომ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების მთავარი წარმმართველია ჩვენივე აზროვნება და ნება: ჰარარი გლობალიზაციას უპირატესად მიაწერს არა ეკონომიკის განვითარების შინაგან, „ობიექტურ“, ანუ ადამიანების ნებისგან დამოუკიდებელ კანონებს, არამედ ჩვენს მისწრაფებას ქონებისა თუ ძალაუფლებისადმი. ამიტომაც, ჰარარი იხრება იმ აზრისკენ, რომ ცხოველთა მოშინაურებასა და მისგან გამომდინარე უარყოფით შედეგებზე უპირატესად ჩვენ ვაგებთ პასუხს და ამის ისტორიული აუცილებლობა, გამოწვეული „ობიექტური კანონებით“, პრინციპში არც არსებობს. ამას შეიძლება დაუპირისპირდეს აზრი, რომ ზოგიერთი, ე.წ. მოშინაურებადი ცხოველები შედარებით იოლად გახდნენ ადამიანთა თანამგზავრები. მათ დაკარგეს თავისუფლება, სამაგიეროდ აღარ უწევდათ თავიანთი გენების მომავალ თაობებზე გადაცემისათვის ბრძოლა, ადამიანებმა კი გარანტირებული ხორცი, ცხიმი, გამწევი ძალა და ა.შ. მიიღეს; ანუ მოშინაურება ეკონომიკურ და ბიოლოგიურ კანონზომიერებებში ჯდება. ირონიული ჩანს, მაგრამ ავტორი ამ „მოშინაურებადობის“ კონცეფციისა სწორედ ის ჯარედ დაიამონდია, რომლის ნაწერებმა ჰარარიზე დიდი გავლენა მოახდინა.

უნდა ითქვას, რომ ჰარარის „საპიენსის“ ციტირება უფრო ხშირად მასმედიაში ხდება და არა სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს შეიძლება სენსაციონალიზმს მივაწეროთ, რაშიც კიდეც სდებენ ბრალს ჰარარის მისი კრიტიკოსები. სენსაციონალიზმად უთვლიან, როცა ჰარარი ადამიანის წარმოსახვის უნარის უდიდეს გამოხატულებად ჭორაობის უნარს მიიჩნევს, სინამდვილისა და გამოგონილი ამბების აღრევას, გონებაში ქიმერების კონსტრუირებას… და პრინციპში, ადამიანის მოდგმის განვითარებას თითქმის სრულიად ამ კუთხით განიხილავს. სენსაციონალიზმადვე ეთვლება ჰარარის დასკვნები, რომ „კაპიტალიზმი ყველაზე წარმატებული რელიგიაა, რაც კი აქამდე მოუგონიათ“; რომ „ისტორიაში უდიდესი დანაშაულია“ ის, როგორც ეპყრობიან პირუტყვს მეცხოველეობაში, ეკონომიკის ამ რესპექტაბელურ დარგში; რომ მიუხედავად ჩვენი ძლევამოსილებისა, არც ისე ბედნიერები ვართ. ჰარარის წიგნს სხვა მხრიდანაც აკრიტიკებენ: არიან ისტორიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ ჰარარი ახალს არაფერს ამბობს. თუ ავიღებთ მხოლოდ ფაქტობრივ მასალას, ეს მართლაც ასეა: ჰარარის არც ერთი ახალი ისტორიული ფაქტი არ გამოუვლენია ან აღმოუჩენია. მაგრამ ეს არც იყო მისი მიზანი. მან მოგვცა ახლებური ხედვა უკვე ცნობილი ფაქტებისა, რითაც დიდ სამსახურს გვიწევს.

დაბოლოს, მისასალმებელია, რომ ჰარარის წიგნი ითარგმნა – ეს ჩვენს კულტურას უთუოდ ამდიდრებს. საქმე ისაა, რომ ჟანრი, რომელსაც ეს წიგნი ეკუთვნის, საერთოდ განუვითარებელი დარჩა საბჭოთა კავშირში და ამიტომ ჩვენშიც

ასეთივე ვითარებაა… ვგულისხმობ აზროვნებას, რომელიც გადის ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების ჩარჩოებიდან და ბუნების მეცნიერებებსაც რთავს აზრთა მიმოქცევაში. ცხოველი ინტერესი ბუნებისადმი და მისი ძირეული კავშირი კულტურასთან, საერთოდ, დასავლური აზროვნებისთვის არის დამახასიათებელი. ამ მხრივ ჩვენ საგრძნობლად უკან ვართ და ამიტომაც ჰარარის „საპიენსი: კაცობრიობის მოკლე ისტორია“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველი მკითხველისათვის.

ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში დამკვიდრდა Homo neanderthalensis (ადამიანი ნეანდერის ველიდან). ჩვეულებრივ მათ „ნეანდერტალებად“ მოიხსენიებენ. ისინი საპიენსისგან მოზრდილი და დაკუნთული სხეულით გამოირჩეოდნენ, რაც გამყინვარების პერიოდის აღმოსავლეთ ევრაზიის ცივ კლიმატთან ადაპტირებაში ეხმარებოდა. აზიის აღმოსავლეთ რეგიონებში დასახლდა Homo erectus (ორ ფეხზე მოსიარულე ადამიანი), რომელიც ამ ტერიტორიაზე თითქმის 2 მილიონი წელი გადარჩა და ადამიანის ყველაზე გამძლე სახეობა შექმნა. ამ რეკორდს ალბათ ჩვენი სახეობაც ვერ დაამხობს. ჰომო საპიენსის არსებობა დღეიდან ათასი წლის მერე უკვე საეჭვოა, შესაბამისად, 2 მილიონი წელი ჩვენთვის მიუწვდომელი ვადაა.

ინდონეზიაში, კუნძულ იავაზე ცხოვრობდა Homo soloensis (ადამიანი სოლოს ველიდან), რომელიც ტროპიკებში ცხოვრებას იყო მორგებული. ინდონეზიის კიდევ ერთ კუნძულზე – კერძოდ, პატარა კუნძულ ფლორესზე – ჯუჯა ადამიანები ჩამოყალიბდნენ. ამ კუნძულს პირველად ადამიანი მაშინ მიადგა, როდესაც ზღვის დონე ისეთი დაბალი იყო, რომ კონტინენტიდან მარტივად შეიძლებოდა გადასვლა. როდესაც ზღვის დონემ მოიმატა ზოგი ადამიანი ამ მცირე რესურსებიან კუნძულზე გამოიკეტა. ფიზიკურად დიდი ადამიანები, რომლებსაც არსებობისთვის ბევრი საკვები სჭირდებოდათ, პირველები დაიხოცნენ, მცირე ზომის ადამიანები კი გადარჩნენ. თაობიდან თაობამდე ფლორესის მოსახლეობა ჯუჯებად იქცა. ამ უნიკალური სახეობის წევრები, რომელთაც მეცნიერებმა Homo floresiensis დაარქვეს, მაქსიმუმ ერთ მეტრ სიმაღლეს და 25 კგ. წონას აღწევდნენ. მიუხედავად ამისა, მათ შექმნეს რამდენიმე ქვის იარაღი და ადგილობრივ სპილოებზე ნადირობდნენ კიდეც, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ფლორესის კუნძულზე სპილოებიც მცირე ზომისა იყო.

2010 წელს ციმბირში, დენისოვის გამოქვაბულის გათხრებისას მეცნიერებმა გაქვავებული თითის ძვალი აღმოაჩინეს, რითიც ადამიანის კიდევ ერთი ნათესავი დავიწყებისგან იხსნეს. გენეტიკურმა კვლევამ გამოავლინა, რომ თითი ადამიანის აქამდე უცნობ სახეობას მიეკუთვნებოდა, რომელსაც მეცნიერებმა Homo denisova უწოდეს. ვინ იცის, კიდევ რამდენი დაკარგული ნათესავი ელოდება აღმოჩენას სხვა გამოქვაბულებში, კუნძულებსა თუ კლიმატურ ზონებში.

ევროპისა და აზიის პარალელურად, ადამიანის ევოლუცია აღმოსავლეთ აფრიკაში არ შეჩერებულა. კაცობრიობის აკვანი განაგრძობდა მრავალი ახალი სახეობის გამოზრდას: Homo rudolfensis – „ადამიანი რუდოლფის ტბიდან“, Homo ergaster – „მომუშავე ადამიანი“ და საბოლოოდ ჩვენი სახეობა, რომელსაც ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე Homo sapiens – „ჭკვიანი ადამიანი“ დავარქვით.

ამ სახეობათა ზოგი წევრი მასიური იყო, ზოგიც ჯუჯა, ზოგი მრისხანე მონადირე, ზოგი მცენარეების მშვიდი შემგროვებელი, ზოგი განცალკევებულ კუნძულზე ცხოვრობდა, ზოგი კონტინენტებზე მომთაბარეობდა, თუმცა ყოველი მათგანი Homo-ს გვარს მიეკუთვნებოდა, ისინი ყველანი ადამიანები იყვნენ.

ამ სახეობების მემკვიდრეობით თანმიმდევრობად წარმოდგენა პოპულარული შეცდომაა. მოსაზრება, რომ ერგასტერისგან წარმოიშვა ერექტუსი, ერექტუ-

სისგან ნეანდერტალი და ნეანდერტალისგან ჩვენ, არ არის მართებული. ეს სწორხაზოვანი მოდელი გვაძლევს მცდარ წარმოდგენას, თითქოს დროის კონკრეტულ მომენტში დედამიწაზე მხოლოდ ერთი სახეობის ადამიანები სახლობდნენ და თითქოს ადრეული სახეობები მხოლოდ ჩვენი ძველი მოდელი იყო. სიმართლე კი ისაა, რომ 2 მილიონი წლის წინა დროიდან, დაახლოებით 10 000 წლის წინანდელ პერიოდამდე, დედამიწა ერთდროულად ადამიანთა რამდენიმე სახეობის სახლი იყო. რატომ არის ეს შეუძლებელი? დღეს ხომ მელიების, დათვების და ღორების მრავალი სახეობა არსებობს. ასი ათასწლეულის წინანდელ დედამიწაზე მინიმუმ 6 სახეობის ადამიანი ცხოვრობდა. სწორედ ჩვენი ამჟამინდელი ექსკლუზიურობაა საეჭვო და ალბათ ჩვენივე მამხილებელი და არა წარსული, სადაც მრავალი სახეობა გვხვდება. როგორც ჩვენ ვნახავთ, საპიენსებს ჩვენი წინაპრების შესახებ მოგონებების ჩასახშობად საკმარისი მიზეზები გვაქვს.

აზროვნების ფასი

მრავალი განსხვავების მიუხედავად ადამიანის ნაირსახეობებს რამდენიმე, მკვეთრად გამორჩეული საერთო მახასიათებელი აქვს. პირველ რიგში ადამიანებს ყველა სხვა ცხოველისგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი ზომის ტვინი აქვთ. 60 კილოგრამიან ძუძუმწოვარ ცხოველებს საშუალოდ 200 კუბური სანტიმეტრის ზომის ტვინი აქვთ. 2.5 მილიონი წლის წინანდელი პირველი ადამიანის ტვინის ზომა 600 კუბურ სანტიმეტრს შეადგენდა. თანამედროვე საპიენსის ტვინის მოცულობა 1200-1400 კუბური სანტიმეტრია, ნეანდერტალების ტვინი კი კიდევ უფრო დიდია.

ევოლუციური განვითარება რომ უფრო მოზრდილ ტვინს ირჩევს, ეს ჩვენთვის შესაძლოა თავისთავად ცხადი ბანალურობა იყოს. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ საკუთარი მაღალი ინტელექტით და ვთვლით, რომ რაც უფრო დიდია ტვინი, მით უფრო გონიერია. ეს რომ ასე იყოს, კატისებრთა ოჯახშიც იქნებოდნენ მათემატიკის მცოდნე კატები. რატომ გახდა Homo-ს გვარი ერთადერთი ცხოველი, რომელიც აზროვნების ასეთ მძლავრ და მასიურ აპარატს ფლობს?

დიდი ტვინი სხეულისგან დიდ დანახარჯს მოითხოვს. მისი თან ტარება რთულია, განსაკუთრებით, თუ ტვინი ასევე უზარმაზარ თავის ქალაშია მოთავსებული. მისი შენახვა და რესურსებით მომარაგება კიდევ უფრო ძნელია. ჰომო საპიენსის ტვინი მისი საერთო წონის მხოლოდ 2-3%-ს შეადგენს, თუმცა მოსვენებულ მდგომარეობაში სხეულის ენერგიის 25%-ს მოიხმარს. შედარებისთვის, მაიმუნის ტვინს იგივე მდგომარეობაში, ენერგიის მხოლოდ 8%-ს სჭირდება. ძველი ადამიანები დიდი ტვინის საფასურს ორმაგად იხდიდნენ: ისინი დიდ დროს ხარჯავდნენ საკვების მოსაპოვებლად და მათი კუნთები სუსტდებოდა. როგორც მთავრობა გადაანაწილებს ქვეყნის ბიუჯეტს თავდაცვიდან განათლების სისტემაში, ისევე ნაწილდებოდა ადამიანის ენერგია კუნთებიდან ნეირონებში. ველურ სავანებში

გადასარჩენად ეს არცთუ სასარგებლო სტრატეგიაა. შიმპანზე ვერ აჯობებს ჰომო საპიენსს კამათში, თუმცა თავისუფლად გაგლეჯს მას.

დღეს ჩვენი დიდი ტვინი თავის დიდ დანახარჯებს ანაზღაურებს: ჩვენ შევქმენით მანქანები და თოფები, რაც შიმპანზეებთან ჭიდაობის ნაცვლად, მათი უსაფრთხო მანძილიდან დახოცვის საშუალებას გვაძლევს. მაგრამ მანქანები და თოფები ახალი გამოგონებებია. ორი მილიონი წლის მანძილზე ადამიანის ნეირონული ქსელი გამუდმებით იზრდებოდა, როდესაც წაწვეტებული ჯოხებისა და ქვის დანების გარდა თითქმის არაფერი ჰქონდა. მაშ რამ განსაზღვრა ევოლუცია მასიური ტვინის სასარგებლოდ ამ ორი მილიონი წლის განმავლობაში? უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენ არ ვიცით.

ადამიანის კიდევ ერთი უნიკალური უნარი ორ ფეხზე სიარულია. ვერტიკალურად აღმართული ადამიანი უკეთ ზვერავს სავანას ნადავლის და მტრის ძიებაში, ხოლო თავისუფალი ხელების გამოყენება ქვის სასროლად ან სიგნალის მისაცემად შეიძლება. რაც უფრო მეტი ფუნქცია ჰქონდა ხელებს, მით უფრო წარმატებული იყო მისი პატრონი, შედეგად ევოლუციამ მკლავებსა და მტევნებში მოქნილი, დახვეწილი კუნთების და ნერვების კონცენტრაციას შეუწყო ხელი. აქედან გამომდინარე, ადამიანმა საკმაოდ რთული ამოცანების ხელებით გადაჭრა შეძლო, კერძოდ, შექმნა და გამოიყენა სასარგებლო იარაღები და ხელსაწყოები. პირველი ხელსაწყოები დაახლოებით 2.5 მილიონი წლით თარიღდება. მათი დამზადება და მოხმარება არქეოლოგებისთვის ძირძველი ადამიანების განსასაზღვრი მთავარი კრიტერიუმია.

თუმცა, ორ ფეხზე სიარულს თავისი მინუსებიც აქვს. ჩვენი პრიმატი წინაპრების ჩონჩხი ორი მილიონი წლის მანძილზე ვითარდებოდა და ერგებოდა არსებას, რომელიც ოთხ ფეხზე გადაადგილდებოდა და შედარებით პატარა თავი ჰქონდა. ორ ფეხზე დადგომა საკმაოდ რთული გამოწვევა იყო, განსაკუთრებით როდესაც არაპროპორციულად დიდი თავის შემაგრებაც აუცილებელი იყო. ვრცელ მანძილებზე ხედვისა და მოქნილი ხელების საფასურს კაცობრიობა დღემდე კისრის და წელის ტკივილით იხდის.

ქალებმა კიდევ უფრო დიდი საფასური გადაიხადეს. ორ ფეხზე სიარულმა თეძოები დაავიწროვა, შესაბამისად მშობიარობაც გაართულა, თან ბავშვების თავის ქალები ზრდას განაგრძობდა. სიკვდილი მშობიარობისას ქალთა მთავარი საფრთხე გახდა. ქალებს, რომლებიც შედარებით ადრე მშობიარობდნენ, სანამ ბავშვის თავი ბოლომდე გაიზრდებოდა, სიცოცხლის შენარჩუნების და მომავალში ბავშვის ყოლის მეტი შანსი ჰქონდათ. შესაბამისად ბუნებრივი გადარჩევა ადრეული მშობიარობისკენ გადაიხარა. მართლაც, სხვა ცხოველებთან შედარებით, ადამიანი უფრო განუვითარებელი იბადება, მისი სასიცოცხლო სისტემები დაბადებისას ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. კვიცს დაბადებიდან მოკლე ხანში სირბილი შეუძლია; სულ რამდენიმე კვირის კნუტი დედას ტოვებს და საკვებს თავისით მოიპოვებს. ადამიანის შვილი კი მრავალი წლის მანძილზე უფროსებზეა დამოკიდებული და მათგან გამოკვებას, დაცვას და განათლების მიცემას საჭიროებს.

ამ ვითარებამ ხელი შეუწყო კაცობრიობაში შთამბეჭდავი სოციალური უნარების და უნიკალური სოციალური პრობლემების განვითარებას. მარტოხელა დედა ვერ გამოკვებავს შვილს და საკუთარ თავს, თუ ახალშობილის მუდმივი მოვლაც ევალება. ბავშვის გაზრდა ოჯახის სხვა წევრებისგან და მეზობლებისგან მუდმივ დახმარებას საჭიროებდა. შესაბამისად, ევოლუცია მჭიდრო სოციალური კავშირების მქონე ადამიანთა ჯგუფებს დაეხმარა. ამასთან ერთად, რადგანაც ადამიანი განუვითარებელი იბადება, წვრთნას და სოციალიზაციას გაცილებით მეტად ითვისებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცხოველი. ძუძუმწოვართა უმეტესობა დედის საშოდან უკვე ჩამოყალიბებული გამოდის, ისევე როგორც თიხის ჭურჭელი ღუმელიდან. ასეთი ჭურჭელის გადაკეთების ან ფორმის შეცვლის ყველა მცდელობა მისი დამსხვრევით ან დაზიანებით დასრულდება. ადამიანი კი თხევადი მინასავით იბადება, მისთვის ფორმის მიცემა და გადაკეთება თავისფულად და უსასრულოდ შეიძლება. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს შეგვიძლია ჩვენი შვილები ავღზარდოთ ქრისტიანებად ან ბუდისტებად, კაპიტალისტებად ან სოციალისტებად, მილიტარისტებად ან პაციფისტებად.

* * *

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დიდი ტვინი, ხელსაწყოებით სარგებლობა, დასწავლის შესაძლებლობა და კომპლექსური სოციალური სტრუქტურები დიდი უპირატესობაა. ცხადია, რომ ამ ყველაფერმა ადამიანი დედამიწაზე ყველაზე ძლიერ ცხოველად აქცია. თუმცა ადამიანს ეს უპირატესობები 2 მილიონი წლის განმავლობაში გააჩნდა და მაინც ერთ-ერთ ყველაზე სუსტ და მარგინალურ არსებად რჩებოდა. დიდი ტვინებისა და ბასრი იარაღების მიუხედავად, მილიონი წლის წინანდელი ადამიანი მტაცებლების მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდა, იშვიათად ნადირობდა დიდ ნადავლზე, ძირითადად მცენარეებს და მწერებს აგროვებდა, დასდევდა პატარა ცხოველებს და უფრო მოხერხებული და ძლიერი არსებების ნადავლის ნარჩენებით იკვებებოდა.

ადრეული ქვის იარაღების მთავარი დანიშნულება ძვლის დამსხვრევა და ტვინამდე შეღწევა იყო. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ადამიანის თავდაპირველი ეკოლოგიური ნიშა სწორედ ეს იყო. კოდალის მსგავსად, რომელიც ხიდან მწერების გამოტანით არის დაკავებული, ადამიანი ძვლიდან ტვინს იღებდა. რატომ მაინცდამაინც ტვინი? წარმოვიდგინოთ, რომ ვუყურებთ ლომებს, რომლებმაც ჟირაფი მოინადირეს და შეჭამეს. ჩვენ მოთმინებით ველით, როდის მორჩებიან ნადიმს. მაგრამ ჩვენი ჯერი აფთრების შემდეგ დგება. ჩვენ ვერ ვბედავთ ხელი შევუშალოთ მათ ნარჩენების ათვისებაში. მხოლოდ მათ შემდეგ, ჩვენი გუნდი, ფრთხილად მიუახლოვდება ჩონჩხს და შეეცდება საკვებად ვარგისი ნაწილები იპოვოს.

სწორედ ეს გარემოებაა ჩვენი ისტორიისა და ფსიქოლოგიის გააზრებისთვის საჭირო გასაღები. კვების ჯაჭვში Homo-ს გვარი დიდი ხნის მანძილზე შუა პოზიციას იკავებდა. მილიონი წელი ადამიანები მცირე ზომის ცხოველებზე ნადი-

რობდნენ და აგროვებდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ, ამავდროულად კი მათზე უფრო დიდი მტაცებლების ნადავლიც ხდებოდნენ. მხოლოდ 400 000 წლის წინ დაიწყო ადამიანთა ზოგიერთმა სახეობამ დიდ ნადავლზე რეგულარულად ნადირობა და მხოლოდ ბოლო 100 000 წელია – ჰომო საპიენსის გაჩენიდან დაწყებული – რაც ადამიანი კვების ჯაჭვის სათავეში მოექცა.

შუა პოზიციიდან სათავეში ამ შთამბეჭდავი ნახტომის შედეგები კოლოსალური გამოდგა. სათავეში მყოფი სხვა ცხოველები – მაგალითად, ლომები და ზვიგენები – ამ პოზიციისკენ მილიონობით წლის განმავლობაში მიდიოდნენ. შესაბამისად ეს დრო საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეკოსისტემას გარკვეული სახის ცვლილებები და რეგულაციები განეცადა, რაც ლომებს და ზვიგენებს გარემოსთვის დიდი ზიანის მიყენებაში ხელს შეუშლიდა. როდესაც ლომი უფრო საშიში გახდა, ქურციკებმა სწრაფად სირბილი ისწავლეს, აფთრებმა გუნდურად მოქმედება დახვეწეს, მარტორქები კი უფრო ავები გახდნენ. განსხვავებული სიტუცია იყო ადამიანის შემთხვევაში, რომელიც იმდენად უეცრად მოექცა ცხოველთა პირამიდის სათავეში, რომ ეკოსისტემამ ადაპტირება უბრალოდ ვერ მოასწრო. უფრო მეტიც, ახალ პოზიციაზე მორგება თვითონ ადამიანმაც ვერ მოახერხა. ჩვენი პლანეტის მტაცებელთა უმრავლესობა დიადი ქმნილებაა. მილიონობით წლების მბრძანებლობამ მათ თვითრწმენა შემატა. მათგან განსხვავებით, საპიენსი ბანანის რესპუბლიკის დიქტატორს ჰგავს. ახლო წარსულში ველური სავანების აუტსაიდერად ყოფნამ ჩვენი დომინანტი პოზიციის მიმართ შიშითა და შფოთვით განგვაწყო, ეს კი ჩვენ ორმაგად სასტიკებს და საშიშებს გვხდის. მრავალი ისტორიული უბედურება, სასიკვდილო ომებით დაწყებული ეკოლოგიური კატასტროფებით დამთავრებული, სწორედ ამ ნაჩქარევი ნახტომის შედეგია.

მზარეულთა რასა

მწვერვალისკენ მიმავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ცეცხლის მოთვინიერება იყო. დაახლოებით 800 000 წლით აღინიშნება ადამიანთა ზოგი სახეობის მიერ ცეცხლის არასისტემატური გამოყენება. დაახლოებით 300 000 წლის წინ ჰომო ერექტუსები, ნეანდერტალები და ჰომო საპიენსის წინაპრები ცეცხლს უკვე ყოველდღიურად იყენებდნენ. ადამიანს გაუჩნდა სინათლისა და სითბოს მიღების საიმედო ხერხი და სასიკვდილო იარაღი გარშემო ჩასაფრებული ლომების წინააღმდეგ. სავარუდოდ, მალევე ადამიანებმა საკუთარი ტერიტორიისთვის მიზანმიმართულად ცეცხლის მოკიდება დაიწყეს. ხელოვნურად გაჩენილი და მიმართული ცეცხლი გაუვალ ზღუდეებს აღმართავდა უსიერ და დაბურულ ადგილებზე, სადაც უხვი ნადავლი აფარებდა თავს. როდესაც ცეცხლი ჩაქრებოდა, ქვის ხანის მწარმოებლები ნახანძრალ ტერიტორიაზე ცხოველთა დამწვარ ნარჩენებს, კაკლებს და ბოლქვებს აგროვებდნენ.

თუმცა, ცეცხლის საუკეთესო დანიშნულება საკვების მოხარშვა იყო. ბუნებაში არსებული საკვები, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი უმად ვერ გადაამუ-

შავებს – მაგალითად, ხორბალი, ბრინჯი და კარტოფილი – ადამიანის რაციონის ძირითადი პროდუქტი სწორედ ცეცხლის ამ თვისების შედეგად გახდა. ცეცხლმა შეცვალა საკვების როგორც ქიმიური, ასევე ბიოლოგიური შემადგენლობა. ხარშვისას პროდუქტში არსებული მიკრობები და პარაზიტები ნადგურდებოდა. ძველი საყვარელი საჭმელი – ხილი, კაკალი, მწერები და ლეში – მოხარშვის შემდეგ გაცილებით ადვილად დასაღეჭი და გადასამუშავებელი გახდა. როდესაც შიმპანზე უმ საკვებს ხუთი საათი ღეჭავდა, ადამიანი მოხარშულ პროდუქტს ერთ საათში ჭამდა.

ხარშვის ტექნიკის დაუფლებით ადამიანს შეეძლო უფრო მრავალფეროვანი საკვები მიეღო, ნაკლები დრო დაეთმო ჭამისთვის; ასევე მას აღარ სჭირდებოდა დიდი ეშვები და გრძელი ნაწლავები. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ხარშვის უნარის განვითარებამ ადამიანის ნაწლავების დაპატარავება და ტვინის ზრდა გაანაპირობა. ვინაიდან გრძელი ნაწლავები და დიდი ტვინი ორგანიზმის ენერგიას მასიურად მოიხმარს, ორივეს ერთდროულად ქონა საკმაოდ დიდი დატვირთვაა. ნაწლავების დამოკლებით და შედეგად ენერგიის დაზოგვით, ნეანდერტალების და საპიენსების ტვინი ზომაში გაიზარდა.[1]

ცეცხლის დამორჩილებას მოჰყვა პირველი დიდი უფსკრულის გაჩენა ადამიანებსა და სხვა ცხოველებს შორის. თითქმის ყველა ცხოველის ძალა მის სხეულზეა დამოკიდებული: კუნთების ძალა, ეშვების სიგრძე, გაშლილი ფრთების სიგანე. მართალია მათ შეუძლიათ ქარისა და წყლის დინებების გამოყენება, მაგრამ ბუნების ძალას ისინი ვერ იმორჩილებენ და მუდამ თავისი ფიზიკური აღნაგობით არიან შეზღუდულები. მაგალითად, არწივი ნიადაგიდან წამოსულ თბილ თერმულ ნაკადს თავისი ფრთების ქვეშ აქცევს და ცხელი ჰაერის ძალით ზევით იჭრება. თუმცა არწივი ვერ მიუჩენს ცხელ ჭავლს კონკრეტულ ადგილს და ნაკადის ამწევი ძალა ყოველთვის მისი ფრთების გაშლის ფართობის პროპორციული იქნება.

ცეცხლის მოშინაურებით ადამიანს მიეცა წვდომა კონტროლირებად და პოტენციურად უშრეტ ენერგიის წყაროზე. არწივისგან განსხვავებით ადამიანს შეეძლო ზუსტად განესაზღვრა სად და როდის დაანთებდა ცეცხლს და ამ რესურსს უამრავ საქმეში იყენებდა. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ცეცხლის ძალა, ადამიანის სხეულის ფორმით, სტრუქტურით ან ღონით არ იზღუდებოდა. ერთ ქალს უბრალო კაჟის ქვით ან ჯოხით მთელი ტყის გადაწვა სულ ერთ საათში შეეძლო. ცეცხლის ათვისებამ სამომავლო სურათი განსაზღვრა.

თანამოძმეთა მცველები

ცეცხლის გამოყენების მიუხედავად 150 000 წლის წინანდელი ადამიანი მაინც მარგინალ არსებად რჩებოდა. მართალია მათ უკვე შეეძლოთ მოეგერიებინათ ლომები, გამთბარიყვნენ ცივ ღამეს და გადაეწვათ მთლიანი ტყე, მაგრამ ადამიანთა ყველა სახეობა რომ დავაჯამოთ, ინდონეზიის არქიპელაგიდან იბე-

მასხვავებელი ნიშანი არასოდეს ყოფილა. თანამედროვე საპიენსები ერთმანეთის მოკვლას და დატერორებას კანის ფერის, დიალექტის თუ რელიგიური განსხვავებულობის გამოც იწყებენ. რატომ იქნებოდა უძველესი საპიენსი ტოლერანტული სულ სხვა სახეობის ადამიანის მიმართ? სრულიად დასაშვებია, რომ როდესაც საპიენსები და ნეანდერტალები ერთმანეთს შეხვდნენ, ისტორიაში პირველ და მნიშვნელოვან ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი.

როგორც არ უნდა მომხდარიყო, ფაქტია, რომ ნეანდერტალებმა (ადამიანთა სხვა სახეობებთან ერთად) ისტორიას ყველაზე დიდი თავსატეხი დაუტოვეს. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, ჰომო საპიენსთან ერთად ნეანდერტალები და დენისოვებიც რომ გადარჩენილიყვნენ. რა ტიპის კულტურები, საზოგადოებები და პოლიტიკური სისტემები ჩამოყალიბდებოდა მსოფლიოში, სადაც ადამიანთა რამოდენიმე, განსხვავებული სახეობა იცხოვრებდა? რა ფორმით წარმოიქმნებოდა რელიგიები? შერაცხავდა ბიბლია ნეანდერტალებს ადამ და ევას შთამომავლებად? მოკვდებოდა იესო დენისოვების ცოდვების გამოსასყიდად? მიუჩენდა ყურანი ადგილს სასუფეველში ყველა პატიოსან ადამიანს, განურჩევლად სახეობისა? შეძლებდნენ ნეანდერტალები რომის იმპერიის ლეგიონებში მსახურებას ან ჩინეთის იმპერიის დაქსაქსულ ბიუროკრატიულ აპარატში მუშაობას? ჩაიწერებოდა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომ ჰომოს გვარის ყველა წარმომადგენელი თანასწორად შეიქმნა? მოუწოდებდა კარლ მარქსი შეერთებისკენ ყველა სახეობის მშრომელს?

ბოლო 10 000 წლის მანძილზე ჰომო საპიენსი იმდენად შეეჩვია თავის უნიკალურობას დედამიწის ზურგზე, რომ სხვა შესაძლებლობის დაშვება მისთვის ძალზე რთულია. ჰომო სოლოენსის უკანასკნელი კვალი 50 000 წლით თარიღდება, ჰომო დენისოვაც მალევე გაქრა, ბოლო ნეანდერტალი დაახლოებით 30 000 წლის წინ მოკვდა, კუნძულ ფლორესზე მოსახლე ჯუჯა ადამიანები 12 000 წელია აღარ არსებობენ. მათ დაგვიტოვეს ძვლები, ქვის იარაღები, რამდენიმე გენი ჩვენს დნმში და უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა. მათ ასევე დატოვეს ჰომო საპიენსი, ადამიანის ბოლო სახეობა.

რა არის საპიენსების წარმატების საიდუმლო? როგორ მოვახერხეთ ასეთ ვრცელ და ეკოლოგიურად განსხვავებულ გარემოში ასე სწრაფად დამკვიდრება? როგორ მოვისროლეთ ადამიანის ყველა სხვა სახეობა დავიწყების მორევში? რატომ ვერ მოიგერიეს უფრო ძლიერმა, ტვინიანმა და ყინვაგამძლე ნეანდერტალებმა ჩვენი შეტევები? დავა ამ საკითხებზე კვლავ გრძელდება. კამათის ყველაზე სავარაუდო პასუხი ისაა, რაც თვით ამ დისკუსიას შესაძლებელს ხდის: ჰომო საპიენსმა მსოფლიო თავისი უნიკალური იარაღით – სასაუბრო ენით დაიპყრო.

2

ცოდნის ხე

როგორც წინა თავში ვნახეთ, საპიენსი აღმოსავლეთ აფრიკაში 150 000 წლის წინ დასახლდა, თუმცა დედამიწის სხვა ტერიტორიებზე გადასვლა და ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება მხოლოდ 70 000 წლის წინ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ძველი საპიენსები ჩვენნაირად გამოიყურებოდნენ და ტვინიც ჩვენხელა ჰქონდათ, გარდამავალი ათასწლეულების განმავლობაში ისინი ადამიანთა სხვა სახეობებზე უპირატესობით არ სარგებლობდნენ, არც განსაკუთრებით რთული ხელსაწყოები შეუქმნიათ და არც გამორჩეული უნარი განუვითარებიათ.

ფაქტია, რომ საპიენსის და ნეანდერტალის პირველი შეხვედრა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. დაახლოებით 100 000 წლის წინ საპიენსების პირველმა ჯგუფმა ჩრდილოეთით, ნეანდერტალების მიერ ათვისებული ლევანტის ტერიტორიისკენ დაიწყო მიგრაცია, თუმცა იქ ვერ დაფუძნდა. ისინი ან ადგილობრივ მაცხოვრებლებს ვერ შეეგუვნენ, ან მკაცრ კლიმატს ვერ გაუძლეს, ან უცხო პარაზიტები ვერ აიტანეს. ასეა თუ ისე, საპიენსებმა უკან დაიხიეს და ახლო აღმოსავლეთის მბრძანებლებად ნეანდერტალები დარჩნენ.

საპიენსების ამ წარუმატებლობამ მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ მათი ტვინი ჩვენისგან განსხვავდებოდა. მართალია ისინი ჩვენნაირად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათი კოგნიტური უნარები – დასწავლა, დამახსოვრება, კომუნიკაცია – საკმაოდ ლიმიტირებული იყო. ამ ძველი საპიენსისთვის ინგლისური ენის, ქრისტიანობის ეთიკის ან ევოლუციის თეორიის სწავლების მცდელობა უშედეგო იქნებოდა. ისევე როგორც ჩვენთვის იქნებოდა შეუძლებელი მათი ენისა და აზროვნების გაგება.

თუმცა, 70 000 წლის წინ ჰომო საპიენსმა გასაოცარი ქმედებების ჩადენა დაიწყო. დაახლოებით ამ პერიოდში საპიენსების მეორე ჯგუფმა აფრიკა დატოვა და ამჯერად არა მხოლოდ ნეანდერტალები გააძევა ახლო აღმოსავლეთიდან, არამედ ადამიანთა ყველა სხვა სახეობა – მთლიანი დედამიწიდან. ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში საპიენსი ძალიან მოკლე ხანში შევიდა. დაახლოებით 45 000 წლის წინ მან გადაკვეთა ღია ზღვა და აქამდე უკაცრიელ, ავსტრალიის კუნძულზე დადგა ფეხი. 70 000-დან 30 000-მდე წლების წინანდელ პერიოდში მან შექმნა ნავი, ზეთის სანათი, მშვილდ-ისარი და ნემსი (აუცილებელი ნივთი თბილი ტანსაცმლის შესაკერად). პირველი ნივთები, რაც თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ხელოვნებას (იხ. შტადელის გამოქვაბულში ნაპოვნი ადამიანი-ლომის ფიგურა), რელიგიას, ვაჭრობას თუ სოციალურ სტრატიფიკაციას, სწორედ ამ ეპოქით თარიღდება.

მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ასეთი უპრეცედენტო მიღწევების მიზეზი კოგნიტური რევოლუცია იყო: ადამიანი, რომელმაც ნეანდერტალები შეავიწროვა და გადააშენა, ავსტრალიის კუნძულზე დასახლდა და ლომკაცის ქანდაკება გამოძერწა, ინტელექტუალურად, კრეატიულად და სენსიტიურად ჩვენი მსგავსი

რამდენიმე ათეული ინდივიდის მუდმივად ცვალებადი ურთიერთობების კონტროლი უზარმაზარი ინფორმაციის ათვისებასა და შენახვას საჭიროებს (50 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფში 1225 ინდივიდუალურ და უზომოდ ბევრ კომპლექსურ ურთიერთობის ფორმას ვხვდებით). სოციალური ინფორმაციის მიმართ ინტერესს ყველა მაიმუნი გამოხატავს, თუმცა ჭორაობა მათ უჭირთ. სავარაუდოდ, ერთმანეთის ზურგს უკან ლაპარაკი კარგად არც ნეანდერტალებსა და ძველ საპიენსებს გამოსდიოდათ. ეს ქმედება მართალია გაკიცხვას იმსახურებს, თუმცა დიდ კოლექტივებში თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ახალი ლინგვისტური უნარები, რომელიც თანამედროვე საპიენსებს 70 000 წლის წინ განუვითარდათ, მათ საათობით ჭორაობის საშუალებას აძლევდა. სანდო ინფორმაცია მავანთა საიმედოობის და გულწრფელობის შესახებ, პატარა ჯგუფებს დიდ გაერთიანებებად გარდაქმნისკენ გზას უადვილებდა. ამგვარად საპიენსები თანამშრომლობის უფრო რთულ და მჭიდრო ფორმებს ქმნიდნენ.[3]

ჭორაობის თეორია შესაძლოა სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ მას ბევრი კვლევა ამყარებს. დღესაც კი ადამიანთა კომუნიკაციის დიდი ნაწილი – მათ შორის ელექტრონული მიმოწერა, სატელეფონო საუბრები თუ საგაზეთო სვეტები – სწორედ ჭორაობაა. ჭორები ჩვენთვის ისეთი ბუნებრივი ფენომენია, რომ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჩვენი ენის მთავარი დანიშნულებაც ესაა. როგორ ფიქრობთ, ისტორიის პროფესორები ლანჩის შესვენებისას პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებზე საუბრობენ? ან ბირთვული ფიზიკოსები ყავის სმისას კვარკებს განიხილავენ? შესაძლოა ხანდახან ასეც ხდება, თუმცა ძირითადად ისინი ჭორაობენ სხვა პროფესორზე, რომელსაც ქმარი ღალატობს, ან კონფლიქტზე კათედრის გამგესა და დეკანს შორის, ან კოლეგის შესახებ, რომელმაც თურმე სამეცნიერო გრანტით ახალი „ლექსუსი“ იყიდა. ჭორაობის მთავარი თემა ძირითადად ცუდი საქციელია. ჭორიკნები წარმოადგენენ მეოთხე ხელისუფლების – ჟურნალისტების წინაპრებს. ისინი ზრუნავენ საზოგადოების ინფორმირებულობაზე და ამგვარად მას თაღლითებისა და მუქთახორებისგან იცავენ.

სავარაუდოდ, ორივე თეორია მართებულია. თუმცა ჩვენი ენის უნიკალურობა ლომების და ადამიანების შესახებ ინფორმაციის გადაცემაში არ დევს, უნიკალურობას მას საერთოდ არარსებული რაღაცეების შესახებ საუბრის უნარი ანიჭებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ საპიენსებს შეუძლიათ ისაუბრონ ერთობებზე, ნივთებსა და თემებზე, რომელიც არასოდეს უნახავთ, არც შეხებიან და არც ყნოსვით შეუგრძნიათ.

კოგნიტურ რევოლუციასთან ერთად წარმოიშვა პირველი ლეგენდები, მითები, ღმერთები და რელიგიები. ამ დრომდე მრავალ ცხოველს თუ ადამიანის სახეობას შეეძლო ეთქვა: „ფრთხილად ლომი!“ კოგნიტური რევოლუციის წყალობით კი ჰომო საპიენსმა გამოიმუშავა უნარი, ეთქვა, რომ „ლომი ჩვენი ტომის მფარველი სულია.“ ფანტასტიკაზე და შეთხზულ თემებზე საუბარი საპიენსის ენის გამორჩეული მახასიათებელია.

უდავო ფაქტია, რომ რეალობაში არარსებულზე საუბარი და საუზმის მირთმევამდე ექვსი წარმოუდგენელი მოვლენის დაჯერება მხოლოდ ჰომო საპიენსს შეუძლია. თქვენ ვერასოდეს დაიყოლიებთ მაიმუნს ბანანის მოცემაზე იმ პირობით, რომ სიკვდილის შემდეგ სამოთხეში უთვალავ ბანანს მიიღებს. რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი? ფიქციას და გამონაგონს ხომ ჩვენი შეცდომაში შეყვანა და საფრთხის ქვეშ დაყენება შეუძლია? ტყეში ფერიების მაძებარ ადამიანს გადარჩენის გაცილებით ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე სოკოების შემგროვებელს და ირმებზე მონადირეს. არ სჯობს, არარსებული მფარველი სულებისადმი ლოცვაში გატარებული ძვირფასი დრო საკვების მოპოვებაში, მტერთან ბრძოლაში ან სქესობრივ კავშირში დავხარჯოთ?

თუმცა ფიქციამ ადამიანს არა მხოლოდ წარმოდგენის საშუალება მისცა, არამედ ამ წარმოდგენას კოლექტიური ფორმა შესძინა. ჩვენ შეგვიძლია შევთხზათ საერთო მითები ბიბლიური კრეაციონიზმის, აბორიგენი ავსტრალიელების საწყისი დროის თუ თანამედროვე სახელმწიფოების ნაციონალისტური ისტორიების შესახებ. ამგვარი მითები საპიენსებს განსაკუთრებით დიდ ჯგუფებში მოქნილად თანამშრომლობის საშუალებას აძლევს. დიდ კოლექტივებში თანამშრომლობა ჭიანჭველებსა და ფუტკრებსაც შეუძლიათ, მაგრამ ისინი ამას მხოლოდ მკაცრად დადგენილი წესებით და მხოლოდ „ოჯახის“ შიგნით ახერხებენ. მგლები და შიმპანზეები უფრო მოქნილად კოოპერირებენ, ვიდრე ჭიანჭველები, თუმცა მათი კოლექტივი მცირერიცხოვანია და მხოლოდ კარგად ნაცნობ თანამოძმეებს მოიცავს. საპიენსი კი ნებისმიერი რაოდენობის უცხოსთან გაცილებით მოქნილად და მოხერხებულად აკეთებს საერთო საქმეს. სწორედ ამიტომაა ის სამყაროს მბრძანებელი, ხოლო ჭიანჭველა მისი ნარჩენებით იკვებება, შიმპანზე კი ზოოპარკში ან კვლევით ლაბორატორიაშია გამოკეტილი.

PEUGEOT-ის ლეგენდა

ჩვენი მონათესავე შიმპანზეები ჩვეულებრივ მცირე, რამდენიმე ათეული ინდივიდისგან შემდგარ ჯგუფებში ცხოვრობენ. ისინი მჭიდროდ მეგობრობენ, ერთად ნადირობენ და მხარდამხარ იბრძვიან ბაბუინების, ლეოპარდების თუ მტერი შიმპანზეების წინააღმდეგ. მათი სოციალური სტრუქტურა რთული და იერარქიულია. მეთაურს, რომელიც როგორც წესი ხვადია, ჩვენ „ალფა-მამრს“ ვუწოდებთ. ჯგუფის სხვა წევრები მის მიმართ მოწიწებას და პატივისცემას თავის დაკვრით და ღმუილით გამოხატავენ, ზუსტად ისე, როგორც ვასალები მონარქის წინაშე. ალფა-მამრი თავის ჯგუფში სოციალურ ჰარმონიას უზრუნველყოფს. ორი ინდივიდის ჩხუბისას ის ჩაერევა და შეეცდება ძალადობის შეჩერებას. სამაგიეროდ კი საკვების ყველაზე სასურველ ულუფას მიითვისებს და დაბალი რანგის ხვად წევრებს მდედრებთან სქესობრივ კავშირს დაუშლის.

როდესაც ორი მამრი დომინანტი ალფას წოდებისთვის იბრძვის, ისინი საკუთარი ჯგუფის შიგნით მომხრეებს იკრებენ. ასეთ კოალიციებში ორივე სქესის

შიმპანზეები შედიან. სოციალური კავშირები კოალიციების წევრებს შორის ყოველდღიური ინტიმური კონტაქტებით მყარდება, როგორიცაა ჩახუტება, კოცნა, ტილების გაცლა და სხვა ურთიერთსასარგებლო ქმედებები. ისევე როგორც ადამიანი პოლიტიკოსები საარჩევნო კამპანიისას თავის ელექტორატს ხვდებიან, ხელს ართმევენ და ბავშვებს ლოყაზე კოცნიან, უმაღლესი პოზიციისთვის მებრძოლი შიმპანზეც თავისი კოალიციის წევრების ჩახუტებაში და მხარზე ხელის ტყაპუნში ბევრ დროს ხარჯავს. ჩვეულებრივ იმარჯვებს არა ის, რომელიც ფიზიკურად უფრო ძლიერია, არამედ ის, ვისაც უფრო დიდი და სტაბილური კოალიცია ჰყავს. ეს კოალიცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ ალფა-მამრის პოზიციისთვის გამართულ ღია ბრძოლაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ქმედებებშიც. მისი წევრები უფრო მეტ დროს ატარებენ ერთად, იყოფენ საჭმელს და ერთმანეთს ეხმარებიან.

ერთი ლიდერის მიერ შექმნილი და კონტროლირებადი ჯგუფის ზომები მკაცრად ლიმიტირებულია. ეფექტური ფუნქციონირებისთვის ჯგუფის ყველა წევრი ერთმანეთს ახლოს უნდა იცნობდეს. შიმპანზეებს, რომლებიც ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან, ერთად არ უბრძოლიათ და ერთმანეთისთვის ტილები არ მოუშორებიათ, ვერ ეცოდინებათ, ღირს თუ არა ერთმანეთის ნდობა, სარგებლიანი იქნება თუ არა დახმარება. მათ არც ერთმანეთის პოზიცია ეცოდინებათ სოციალურ იერარქიაში. ბუნებრივ მდგომარეობაში შიმპანზეების ჯგუფი 20-დან 50-მდე წევრს ითვლის. რაოდენობის მომატების შემთხვევაში სოციალური წესრიგი არასტაბილური ხდება, რაც საბოლოო ჯამში გაყოფით და ახალი კოალიციის ფორმირებით სრულდება. ზოოლოგებისთვის ასზე მეტი წევრის მქონე სულ რამოდენიმე ჯგუფია ცნობილი. სხვადასხვა ჯგუფები იშვიათად თანამშრომლობენ და როგორც წესი, ერთმანეთს ტერიტორიისა და საჭმელისთვის ეჯიბრებიან. მკვლევრებს ჯგუფებს შორის ხანგრძლივი ომიანობის პერიოდი და „გენოციდის“ შემთხვევაც კი აქვთ აღწერილი, როდესაც ერთი ჯგუფი მეზობელი ჯგუფის წევრებს სისტემატურად ხოცავდა.[4]

სავარაუდოა, რომ სოციალური ქცევის მსგავსი წესები ადრეული ადამიანების, მათ შორის ჰომო საპიენსების, ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო. შიმპანზეების მსგავსად ჩვენს წინაპარ ადამიანებსაც ჰქონდათ სოციალური ინსტინქტები, რაც მათ მეგობრობის, იერარქიული სტრუქტურის ჩამოყალიბების და ერთად ნადირობისა და ბრძოლის საშუალებას აძლევდა. კვლავ შიმპანზეების სოციალური ინსტინქტების მსგავსად, ადამიანებიც ამას მხოლოდ მცირე ინტიმურ დაჯგუფებებში აკეთებდნენ. ჯგუფის ზრდასთან ერთად სტაბილურობაც იკლებდა და ჯგუფი იყოფოდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსაკუთრებით ნაყოფიერ მდელოს 500-მდე საპიენსის გამოკვება შეეძლო, ამდენი უცხოს ერთ ტერიტორიაზე თანაცხოვრება გამორიცხული იყო. როგორ უნდა შეთანხმებულიყვნენ ისინი, თუ ვინ იქნებოდა ლიდერი, ვინ ინადირებდა ერთად ან ვინ ვისთან დაწვებოდა?

კოგნიტური რევოლუციის დადგომასთან ერთად, ჭორაობის უნარმა ჰომო საპიენსს უფრო დიდი და სტაბილური ერთობის ფორმირების საშუალება მისცა.

თუმცა თავისი საზღვრები ჭორაობასაც აქვს. სოციოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ჭორაობით შეკავშირებული ჯგუფის მაქსიმალური „ბუნებრივი“ ზომა 150 ინდივიდია. თუ ეს რიცხვი უფრო დიდია, ადამიანთა უმეტესობა ვერც ერთმანეთს გაიცნობს და ვერც იჭორავებს.

დღესაც კი, ორგანიზაციებში ადამიანთა რაოდენობის კრიტიკული ზღვარი დაახლოებით ამ მაგიურ რიცხვთანაა ახლოს. ამ ზღვარის ქვემოთ არსებული თემები, საზოგადოებები, ბიზნესები, სოციალური კომუნები თუ სამხედრო დანაყოფები, თავის სტაბილურობას ძირითადად პირად ნაცნობობაზე, მეგობრობასა და ჭორებზე აფუძნებენ. წესრიგის შესანარჩუნებლად ფორმალური წოდებების, თანრიგების თუ წესების შემოღება საჭირო არ არის.[5] ოცდაათი ჯარისკაცისგან შემდგარი რაზმი ან თუნდაც ასი მეომრისგან შემდგარი დივიზია პირადი ურთიერთობების ხარჯზე, მინიმალური ფორმალური დისციპლინით, ეფექტურად იმოქმედებს. სერჟანტმა შესაძლოა ისეთი პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვოს, რომ მას ოფიცრებმაც კი დაუგდონ ყური. მცირე ოჯახური ბიზნესი არ საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელ დირექტორსა და ფინანსურ დეპარტამენტს.

როგორც კი ჯგუფის სიდიდე 150 ადამიანს აღემატება, სტრუქტურა ასე ვეღარ იმუშავებს. ათასობით ჯარისკაცისგან შემდგარ არმიას ვერ მართავ იმავე მეთოდებით, როგორითაც მცირე რაზმს. წარმატებულ ოჯახურ ბიზნესს, როგორც წესი, მაშინ ეწყება კრიზისი, როდესაც იზრდება და მეტი პერსონალის დაქირავება ესაჭიროება. წარუმატებელი ტრანსფორმაციის შემთვევაში კომპანია კოტრდება.

როგორ შეძლო ჰომო საპიენსმა ამ ზღვარზე გადაბიჯება და ისეთი ქალაქების და იმპერიების შექმნა, სადაც ასიათასობით და მილიონობით ადამიანი ცხოვრობდა? საიდუმლო ალბათ ფიქციის ენის გაჩენაშია. დიდი რაოდენობით უცხო ადამიანების წარმატებული თანამშრომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მათ რაიმე საერთო მითი სწამთ.

ადამიანების ნებისმიერი მსხვილმასშტაბიანი ორგანიზაცია – იქნება ეს თანამედროვე სახელმწიფო, შუა საუკუნეების ეკლესია, ანტიკური ქალაქი თუ არქაული ტომი – თავის საფუძველს იმ საერთო მითში პოულობს, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრთა კოლექტიურ წარმოდგენაში არსებობს. ეკლესიებს საერთო რელიგიური მითი აქვს. ორი, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო კათოლიკე, უპრობლემოდ წავა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ან ააგროვებს ფულს საავადმყოფოს მშენებლობისთვის, რადგანაც ორივეს სწამს, რომ განსხეულებული ღმერთი მოევლინა მიწიერ სამყაროს, რათა მათი ცოდვების გამოსასყიდად ჯვარზე გაკრულიყო და თავი შეეწირა. სახელმწიფოების საყრდენი ნაციონალისტური მითია. ერთმა სერბმა შესაძლოა საკუთარი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენოს და ამით მეორე, სრულიად უცხო სერბი იხსნას და ეს იმიტომ გააკეთოს, რომ მას სერბი ერის, სამშობლოს და დროშის სჯერა. სამართლებრივი სისტემა იურიდიულ მითს ეფუძნება. ორ ადვოკატს, რომლებიც ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან,

იმ პერიოდში რომ გეცხოვრათ, საკუთარი კომერციული საწარმოს გახსნაზე კარგად დაფიქრდებოდით. ამგვარი სამართლებრივი გარემო მეწარმეობას ნამვდილად არ უწყობდა ხელს. ხალხს ეშინოდა ბიზნესის წამოწყება და ეკონომიკური რისკების გაწევა. საკუთარი ოჯახის გაკოტრების ან, უარეს შემთხვევაში, დაპატიმრების რისკად არაფერი ღირდა.

სწორედ ამიტომ, ადამიანმა თანდათან შექმნა წარმოსახვის კოლექტიური მოდელი, რომელსაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაერქვა. ასეთი კომპანიები მისი დამფუძნებლების, ინვესტორების თუ თანამშრომლებისგან სამართლებრივად დამოუკიდებლად არსებობს. ბოლო რამოდენიმე საუკუნეა ასეთი კომპანიები ეკონომიკური ავანსცენის მთავარი მოთამაშეები არიან. ჩვენ მათ ისე შევეჩვიეთ, რომ დაგვავიწყდა, რომ ისინი მხოლოდ ჩვენი წარმოსახვის ნაყოფია. აშშ-ში ამგვარ კომპანიებს „კორპორაციები“ ეწოდება, რაც თავისთავად ირონიულია, რამდენადაც სიტყვის საფუძველი ლათინური სიტყვა corpus-ია, რაც სხეულს ნიშნავს და რაც ასეთ კომპანიას სწორედაც რომ არ აქვს. ამ დანაკლისის მიუხედავად, ამერიკის სამართლებრივი სისტემა ამ კომპანიებს სამართლებრივი კერძო პირებივით ეპყრობა, თითქოს ისინი ძვალისა და ხორცისგან შემდგარი ადამიანები იყვნენ.

მსგავსად მოქმედებდა ფრანგული სასამართლო სისტემაც, როდესაც 1896 წელს არმან პეჟომ მემკვიდრეობით მიღებული მეტალურგიული საწარმო, რომელიც ზამბარებს, ხერხებს და ველოსიპედებს აწარმოებდა, მანქანების დამამზადებელ ქარხანად გადააკეთა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად აქცია. კომპანიას მან თავისი სახელი მისცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მისგან დამოუკიდებელი იყო. კომპანიის წარმოებული მანქანა რომ გაფუჭებულიყო, მომხმარებელი Peugeot-ს უჩივლებდა და არა არმან პეჟოს. კომპანიას მილიონობით ფრანკი რომ ესესხა და შემდეგ გაკოტრებულიყო, არმან პეჟოს კრედიტორებისთვის არცერთი ფრანკი არ ექნებოდა გადასახდელი. სესხი ხომ კომპანია Peugeot-ის მიმართ იქნებოდა გაცემული და არა ჰომო საპიენსი არმან პეჟოს მიმართ. არმან პეჟო 1915 წელს გარდაიცვალა, მისი დაარსებული კომპანია კი დღესაც არსებობს და ვითარდება.

როგორ შექმნა არმან პეჟომ ამგვარი იურიდიული მოდელის კომპანია? მსგავსად მღვდლებისა და შამანებისა, რომლებიც ისტორიის განმავლობაში ქმნიდნენ ღმერთებს და დემონებს, ან მსგავსად კიურებისა (curé – მღვდელმსახური ფრანგულენოვან ეკლესიაში), რომლებიც ყოველ კვირა დღეს თავის მრევლს ქრისტეს სხეულს აზიარებენ. მოქმედების სტრუქტურა ერთია: ამბის მოყოლა და ხალხისთვის ამ ამბის სიმართლის დაჯერება. ფრანგი კიურების შემთხვევაში მთავარი ამბავი კათოლიკური ეკლესიის მიერ მოთხრობილი იესო ქრისტეს ცხოვრებისა და სიკვდილის ისტორიაა. ამ ამბის მიხედვით, თუ სარიტუალო სამოსში გამოწყობილი კათოლიკე მღვდელი საზეიმოდ წარმოთქვამს შესაბამის სიტყვებს შესაბამის დროს, ჩვეულებრივი პური და ღვინო ღმერთის ხორცად და სისხლად იქცევა. მღვდელი შესძახებს *“Hoc est corpus meum”* (ლათ. „ეს არის სხეული ჩემი“) და აბრა-

კადაბრა – პური ქრისტეს ხორცად იქცევა. რიტუალის მიმდინარეობისას მღვდლის გულმოდგინე და სათანადო ქმედებების შემყურე მილიონობოთ ფრანგი კათოლიკე ისე იქცევა, თითქოს ნაკურთხი პური და ღვინო მართლაც ღვთის ნაწილები იყოს.

კომპანია Peugeot SA-ს დაარსებისას კი საკვანძო სიუჟეტი საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი იყო. ფრანგული სამართლებრივი სისტემის მიხედვით, თუ სერტიფიცირებული იურისტი ყველა შესაფერის რიტუალს თანმიმდევრულად შეასრულებს, მართებულ ფიცებს და შელოცვებს სპეციალურად განკუთვნილ ფურცელზე დაწერს და დოკუმენტს თავისი ხელმოწერით დაადასტურებს, აბრაკადაბრა – ახალი კომპანიაც დაფუძნდება. როდესაც 1896 წელს არმან პეჟომ კომპანიის დაარსება განიზრახა, მან ამ საკრალური პროცედურების შესასრულებლად იურისტი დაიქირავა. პროცედურით გათვალისწინებული ყველა წესის, რიტუალის, ფიცის თუ შელოცვის შესრულების შემდეგ საფრანგეთის მილიონობით მოქალაქისთვის კომპანია Peugeot არსებული და რეალური გახდა.

ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი ამბის მოფიქრება არც ისე ადვილია. სირთულე არა მის მოყოლაში, არამედ სხვების დარწმუნებაში მდგომარეობს. ისტორია მეტწილად სწორედ ამ შეკითხვას უტრიალებს: როგორ ახერხებს მავანი მილიონობოთ ადამიანის დარწმუნებას სხვადასხვა ამბებში, ღმერთების, ნაციების თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ? მაგრამ როდესაც ეს პროცესი წარმატებით სრულდება, საპიენსი იღებს უზომო ძალას, რადგან მილიონობოთ უცხო ადამიანს საერთი მიზნის მისაღწევად თანამშრომლობის საშუალება ეძლევა. წარმოიდგინეთ, როგორი რთული იქნებოდა სახელმწიფოების, ეკლესიების ან სამართლებრივი სისტემების შექმნა, ჩვენ რომ მხოლოდ რეალურად არსებულ ფენომენებზე – მდინარეებზე, ხეებზე და ლომებზე – შეგვეძლოს საუბარი.

წლების განმავლობაში ადამიანებმა ამბების და ისტორიების გასაოცრად კომპლექსური ქსელი შეთხზეს. ამ ქსელის შიგნით Peugeot-ის ისტორიის მსგავსი ფიქციები არა მხოლოდ არსებობს, არამედ უზომო ძალასაც იკრებს. ამგვარ ქსელში წარმოქმნილ ფენომენებს აკადემიურ წრეებში „ფიქციას," „სოციალურ კონსტრუქტს" ან „წარმოსახვით რეალობას" უწოდებენ. წარმოსახვითი რეალობა ტყუილი არ არის. მე ვტყუი, როდესაც დანამდვილებით ვიცი, რომ მდინარესთან ლომი არ არის და საპირისპიროს ვამტკიცებ. ტყუილი განსაკუთრებული არაფრით არის; მოტყუება მწვანე მაიმუნებსაც და შიმპანზეებსაც შეუძლიათ. მწვანე მაიმუნი მეცნიერებმა ტყუილში ამხილეს, როდესაც ლომის საფრთხის მომასწავებელი შეძახილი უსაფუძვლოდ გამოსცა. საგანგაშო შეძახილმა დააფრთხო იქვე მყოფი სხვა მაიმუნი, რომელსაც ბანანი ჰქონდა ნაპოვნი. შეშინებულმა თავისი ნადავლი დატოვა და თავს უშველა, მატყუარამ კი ხილი მიითვისა.

ტყუილისგან განსხვავებით წარმსოახვითი რეალობის ყველას სჯერა და სანამ ეს საერთო რწმენა არსებობს, წარმოსახვითი რეალობა დიდ ძალას ფლობს. შტადელის გამოქვაბულის სკულპტორს შესაძლოა მართლაც სჯეროდა, რომ ლომკაცი მფარველი სული მართლაც არსებობს. მართალია შამანებს შორის შარ-

ლატანებიც გამოერევიან, თუმცა მათ უმეტესობას ღმერთების და დემონების არსებობაში ეჭვიც არ ეპარება. ისევე როგორც მილიონერთა უმეტესობას სწამს ფულის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების არსებობის. უფლებადამცველებს გულწრფელად სჯერათ ადამიანის უფლებების. არავინ ტყუოდა, როდესაც 2011 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ლიბიას თავისი მოქალაქეების უფლებების დაცვა მოსთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ გაეროც, ლიბიაც და ადამიანის უფლებებიც მხოლოდ ჩვენი მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია.

ამგვარად, კოგნიტური რევოლუციის შემდეგ საპიენსი ორმაგ რეალობაში ცხოვრობს – მდინარეების, ხეებისა და ლომების ობიექტურ რეალობასა და ღმერთების, ერების და კორპორაციების წარმოსახვით რეალობაში. დროთა განმავლობაში წარმოსახვითმა რეალობამ იმხელა ძალაუფლება მოიპოვა, რომ დღესდღეობით მდინარეების, ხეებისა და ლომების ფიზიკური გადარჩენა სწორედ ღმერთების, ერებისა და კორპორაციების წარმოსახვითი იდეების მოწყალებაზეა დამოკიდებული.

გავცდეთ გენომს

წარმოსახვითი რეალობის სიტყვებით შექმნის უნარმა, უცხო ადამიანების დიდ რაოდენობას ეფექტურად თანამშრომლობის საშუალება მისცა. რამდენადაც ადამიანთა ფართომასშტაბიანი ორგანიზაციები მითებს ეფუძნება, ადამიანთა თანამშრომლობის ფორმის ცვლაც მარტივად, მითის შეცვლით – ანუ სხვა ამბის მოყოლით – შეიძლება. გარკვეულ გარემოპირობებში მითი შეიძლება უმალ შეიცვალოს. 1789 წელს საფრანგეთის მოსახლეობამ თითქმის ერთ ღამეში შეიცვალა აზრი მეფეთა საღვთო უფლების შესახებ და ხალხთა სუვერენიტეტის მითი ირწმუნა. კოგნიტური რევოლუციის შემდეგ ჰომო საპიენსს შეუძლია თავისი ქცევის წესებს გადახედოს და ცვალებად საჭიროებებს უცბად მოარგოს. ამან კულტურულ ევოლუციას გაუხსნა სწრაფი სავალი ზოლი და გენეტიკური ევოლუციის საცობებით გადატვირთული გზა უკან მოიტოვა. ამ ჩქაროსნულ ზოლში მოძრაობით ჰომო საპიენსმა, სწორედ თანამშრომლობის განვითარებული უნარით გადაუსწრო ყველა სხვა ცხოველისა და ადამიანის სახეობას.

სხვა სოციალური ცხოველების ქცევა დიდწილად მათი გენებით არის განპირობებული, თუმცა არა ყველაფერი. ცხოველთა ქცევაზე გავლენას გარემოპირობები და ინდივიდუალური მახასიათებლებიც ახდენს. მიუხედავად ამისა, კონკრეტულ გარემოში არსებული ერთი სახეობის ცხოველები მსგავსი ქცევისკენ არიან მიდრეკილი. გენეტიკური მუტაციის გარეშე მნიშვნელოვან ცვლილებებს ცხოველთა სოციალურ ქცევაში ვერ აღმოვაჩენთ. ასე მაგალითად, შიმპანზეების გენეტიკური ტენდენცია მათ ალფა-მამრის მეთაურობით, იერარქიულ დაჯგუფებებში ცხოვრებისკენ უბიძგებს. შიმპანზეების ერთ-ერთი ახლო სახეობა – ბონობო – უფრო თანასწორ ჯგუფს ქმნის, რომლის სათავეშიც, ჩვეულებრივ, მდედრთა ალიანსია. მდედრი შიმპანზეები ვერ იხელმძღვანელებენ მათი მონათესავე ბონობოების მაგა-

ლითით და თავის დაჯგუფებაში ფემინისტურ რევოლუციას ვერ მოაწყობენ, ისევე, როგორც მამრი შიმპანზეები ვერ გამართავენ საკონსტიტუციო კრებას, ვერ გააუქმებენ ალფა-მამრის მბრძანებლობას და ყველა შიმპანზეს თანასწორობის დეკლარაციას ვერ გამოსცემენ. ქცევაში ასეთი რადიკალური ცვლილებები მხოლოდ შიმპანზეების დნმ-ში მომხდარმა გარკვეულმა მუტაციამ შეიძლება გამოიწვიოს.

არქაულმა ადამიანებმა რევოლუციის წამოწყება სწორედ მსგავსი მიზეზების გამო ვერ მოახერხეს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სოციალური ქცევის მოდელების ცვლილება, ახალი ტექნოლოგიების გამოგონება თუ უცხო ტერიტორიებზე დასახლება, გენეტიკური ცვლილებების და გარემო პირობების წნეხის შედეგი იყო და არა კულტურული ინიციატივების. სწორედ ამიტომ დასჭირდათ ადამიანებს ამგვარი ნაბიჯების გადასადგმელად ასობით ათასი წელი. ორი მილიონი წლის წინ გენეტიკურმა მუტაციამ ადამიანის ახალი სახეობა – ჰომო ერექტუსი წარმოშვა. ამ ადამიანმა ქვისგან შრომის ახალი იარაღები შექმნა, რაც ამ სახეობის მთავარ მონაპოვრად ითვლება. სანამ მასში სხვა გენეტიკური ცვლილებები არ მოხდა, ქვის იარაღები არ განვითარებულა – და ეს თითქმის ორი მილიონი წელი გაგრძელდა!

ამის საპირისპიროდ, კოგნიტური რევოლუციის შემდეგ, საპიენსს თავისი ქცევის შეცვლა მყისიერად შეეძლო და ამ ცვლილებას ყველანაირი გენეტიკური მოდიფიკაციისა და გარემოს ცვლის წნეხის გარეშე გადასცემდა შემდეგ თაობას. ამ ტენდენციის ნათელი მაგალითი კათოლიკურ სამღვდელოებაში, ბუდისტურ მონასტრებში ან ჩინეთის საჭურისთა ბიუროკრატიულ სისტემაში უშვილო ელიტების მომრავლებაა. ამგვარი ელიტების არსებობა ბუნებრივი გადარჩევის ფუნდამენტურ პრინციპს ეწინააღმდეგება, ვინაიდან საზოგადოების დომინანტი წევრები ნებაყოფლობით თმობენ შთამომავლობის ყოლის უფლებას, როდესაც შიმპანზეების ალფა-მამრი თავის ძალაუფლებას სწორედ იმისათვის იყენებს, რომ სქესობრივი კავშირი თავისი ჯგუფის ყველა მდედრ წევრთან დაამყაროს და ამგვარად საკუთარი გენები მაქსიმალურად განავრცოს, კათოლიკეთა ალფა-მამრი საერთოდ იზღუდავს სექსუალურ ლტოლვას და შთამომავლობას არ აგრძელებს. ეს თავშეკავება არც გარემოპირობების განსაკუთრებული წნეხის გამო ხდება (მაგალითად საკვების ან პოტენციური სექსუალური პარტნიორების ნაკლებობა) და არც თავისებური გენეტიკური მუტაციის შედეგია. კათოლიკურმა ეკლესიამ საუკუნეებს გაუძლო არა „ცელიბატის გენის“ პაპიდან პაპზე გადაცემით, არამედ ახალი აღთქმისა და კათოლიკური კანონიკის თაობიდან თაობაზე გადაცემით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც არქაულ ადამიანს ქცევის წესების შესაცვლელად ასობით ათასი წელი სჭირდებოდა, საპიენსს თავისი სოციალური სტრუქტურის, ინტერპერსონალური ურთიერთობების, ეკონომიკური აქტივობების თუ ქცევის სხვა ფორმების შეცვლა ერთ ან ორ ათწლეულში შეეძლო. წარმოიდგინეთ 1900 წელს დაბადებული ბერლინის მოქალაქე, რომელმაც, დავუშვათ, ასი წელი იცოცხლა. თავისი ბავშვობა მან ვილჰელმ II-ის ჰოჰენცოლერების იმპერიაში გაატარა, მოზარდობა ვაიმარის რესპუბლიკაში; მან ნაცისტების მესა-

იქცა. თუმცა რამდენჯერაც ამ ორ ჯგუფს შორის ძალადობრივმა კონფილქტმა იფეთქა, ნეანდერტალები ველურ ცხენებზე ოდნავ უკეთ თუ მოქმედებდნენ. ტრადიციული სტატიკური ტაქტიკით მოქმედი 50 ნეანდერტალი ვერაფერს აკლებდა მოქნილ და ინოვაციურ საპიენსთა 500 კაციან ჯგუფს. პირველ რაუნდში დამარცხების შემთხვევაშიც კი, საპიენსები უცბად მოიფიქრებდნენ ახალ საბრძოლო ხრიკებს და სტრატეგიას და საბოლოოდ მაინც იმარჯვებდნენ.

რა მოხდა კოგნიტური რევოლუციის დროს?

ახალი უნარი	მნიშვნელოვანი შედეგები
გარესამყაროს შესახებ დიდი მოცულობის ინფორმაციის გადაცემის უნარი	რთული ქმდებების დაგეგმვა და განხორციელება: მაგ. ლომისგან გაქცევა და ბიზონზე ნადირობა
სოციალური ურთიერთობების შესახებ დიდი მოცულობის ინფორმაციის გადაცემის უნარი	უფრო დიდი და მჭიდრო ჯგუფების ფორმირება: დაახლოებით 150 წევრამდე
ფიქციის შესახებ ინფორმაციის გადაცემის უნარი (ტომთა მფარველი სულები, ერები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები თუ ადამიანთა უფლებები)	ა) უზომოდ ბევრ უცხო ადამიანს შორის თანამშრომლობა ბ) სოციალური ქცევის მყისიერი ადაპტაცია

ისტორია და ბიოლოგია

საპიენსების გამოგონილი უთვალავი წარმოსახვითი რეალობა და ამ რეალობებისგან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტი სოციალური ქცევის ფორმები, ქმნის „კულტურებს“. წარმოშობისთანავე კულტურა მუდმივი ცვლილებისა და განვითარების პროცესში ერთვება, ამ პროცესს კი ისტორია ჰქვია.

კოგნიტური რევოლუცია მოხდა მაშინ, როდესაც ისტორია ბიოლოგიას გამოეყო. ამ რევოლუციამდე ადამიანის ყველა სახეობის მოქმედება მხოლოდ ბიოლოგიური ან, თუ გნებავთ, „პრეისტორიული“ იყო (ამ ტერმინს შეგნებულად ვარიდებ თავს, რადგანაც ის შეცდომით გულისხმობს, რომ ადამიანები კოგნიტურ რევოლუციამდეც საკუთარ, წმინდა ადამიანურ, კატეგორიას განეკუთვნებოდნენ). კოგნიტური რევოლუციის შემდეგ კაცობრიობის განვითარების ამბავს ბიოლოგიური თეორიების ნაცვლად ისტორიული ნარატივი ყვება. ქრისტიანობის აღზევების ან საფრანგეთის რევოლუციის ფენომენის გასაგებად გენების, ჰორმონების თუ ორგანიზმების ურთიერთქმედების გააზრება საკმარისი აღარაა. ჩვენ იდეების, ფორმებისა და ფანტაზიების ინტერაქციასაც უნდა ჩავწვდეთ.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჰომო საპიენსი და მისი კულტურა ბიოლოგიური კანონებისგან გათავისუფლდა. ჩვენ კვლავ ცხოველებად ვრჩებით და ჩვენს ფიზიკურ, ემოციურ თუ კოგნიტურ უნარებს კვლავ ჩვენი დნმ განსაზღვრავს. ჩვენი საზოგადოების საშენი მასალა ზუსტად იმ აგურებისგან შედგება, რითიც ნეანდერტალების ან შიმპანზეების საზოგადოებებია ნაშენი. რაც უფრო გულდასმით შევისწავლით ამ აგურებს – შეგრძნებებს, განცდებს, ოჯახურ კავშირებს –, მით ნაკლებ განსხვავებას აღმოვაჩენთ ჩვენსა და მაიმუნებს შორის.

თუმცა ამ განსხვავებების ინდივიდების ან ოჯახების დონეზე ძებნა არასწორია. ერთეულობით ან თუნდაც ათეულობით ადამიანი იგივე რაოდენობის შიმპანზეებს რომ შევადაროთ, მსგავსებამ შესაძლოა შეგვაცბუნოს კიდეც. თვისობრივი განსხვავებები მხოლოდ 150-ზე მეტი წევრის მქონე ჯგუფების შედარებისას ჩნდება, ხოლო როდესაც 1000-2000 ინდივიდისგან შემდგარ ჯგუფებს ვადარებთ, სხვაობა უკვე აშკარად თვალშისაცემია. ათასობით შიმპანზე ტიანანმენის მოედანზე, უოლ სტრიტზე, ვატიკანში ან გაეროს სათაო ოფისში რომ შევკრიბოთ, შედეგად ჯოჯოხეთურ აურზაურს და ქაოსს მივიღებთ. საპიენსები კი ამგვარ ადგილებში რეგულარულად იკრიბებიან და სოციალური ქცევის სხვადასხვა მოწესრიგებულ ფორმებს ახორციელებენ: სავაჭრო ქსელებს, სახალხო ზეიმებს და პოლიტიკურ ღონისძიებებს. ეს სისტემები იზოლაციაში ვერასოდეს განვითარდება. რეალური განსხვავება ჩვენსა და შიმპანზეებს შორის ის მისტიური წებოა, რომელიც ჩვენ ერთმანეთთან გვკრავს და პატარა ოჯახებიდან დიდ ერებამდე გვაერთიანებს. სამყაროს მბრძანებლობას ჩვენ სწორედ ამ წებოს უნდა ვუმადლოდეთ.

რასაკვირველია, ჩვენს განვითარებაში თავისი წვლილი იარაღების დამზადებისა და მოხმარების უნარმაც შეიტანა. თუმცა სხვებთან თანამშრომლობის უნარის გარეშე იარაღისგან ცოტა სარგებელი იქნებოდა. როგორ მოხდა, რომ დღეს ინტერკონტინენტულ ბირთვულ რაკეტებს ვფლობთ, როდესაც 30 000 წლის წინ მხოლოდ ჯოხზე დამაგრებული წაწვეტებული ქვებით დავრბოდით? ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ბოლო 30 000 წლის განმავლობაში იარაღის დამზადების უნარი ჩვენ მნიშვნელოვნად არ გაგვიუმჯობესებია. ამ საქმეში ძველი მონადირე-შემგროვებელი გაცილებით მარჯვეა, ვიდრე, მაგალითად, ალბერტ აინშტაინი. სამაგიეროდ უცხო ადამიანებთან თანამშრომლობის უნარი ჩვენ შთამბეჭდავად განვივითარეთ. ძველი ადამიანი, თანატომელების რჩევების გათვალისწინებით, ქვის იარაღის დამზადებას ალბათ რამდენიმე წუთს ანდომებდა. ბირთვული ჭურვის დამზადება კი მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის თანამშრომლობას საჭიროებს: დედამიწის სიღრმეებში ურანის მომპოვებელი მაღაროელებიდან დაწყებული, ატომში მიმდინარე პროცესების ამხსნელი, რთული მათემატიკური ფორმულების შემდგენი ფიზიკოსებით დამთავრებული.

შევაჯამოთ ისტორიისა და ბიოლოგიის ურთიერთმიმართება კოგნიტური რევოლუციის შემდეგ:

ა) ბიოლოგია განსაზღვრავს ჰომო საპიენსის ქცევისა და განვითარების საბაზისო პარამეტრებს. მთელი ისტორია ბიოლოგიის მიერ შემოსაზღვრულ ჩარჩოებში მიმდინარეობს.

ბ) თუმცა ეს ჩარჩოები იმდენად დიდია, რომ საპიენსებს ძალზე მრავალფეროვნად თამაშის საშუალება ეძლევათ. წარმოსახვითი რეალობის შექმნის უნარით საპიენსი სულ უფრო რთულ და კომპლექსურ თამაშებს იგონებს. ყოველი შემდეგი თაობა კი ამ თამაშს სულ უფრო ავითარებს.

გ) ამგვარად, საპიენსის ქცევის გასაგებად, ჩვენ მისი ქმედებების ისტორიული ევოლუცია უნდა განვიხილოთ. მხოლოდ ბიოლოგიური პარამეტრების კვლევით ჩვენ დავემსგავსებოდით სპორტულ რადიომიმომხილველს, რომელიც მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის რეპორტაჟებისას მსმენელს მხოლოდ მოედნის შესახებ ესაუბრება და არა ამ მოედანზე ფეხბურთელების მოქმედების შესახებ.

რა თამაშს თამაშობდნენ ჩვენი ქვისხანელი წინაპრები ისტორიის მოედანზე? რამდენადაც ცნობილია, 30 000 წლის წინ შტადელის ლომკაცის ფიგურის სკულპტორები ჩვენს მსგავს ფიზიკურ, ემოციურ და ინტელექტუალურ უნარებს ფლობდნენ. რას აკეთებდნენ ისინი, როდესაც დილით იღვიძებდნენ? რას მიირთმევდნენ საუზმეზე? როგორი იყო მათი საზოგადოება? ქმნიდნენ ისინი მონოგამიურ ოჯახებს? ჰქონდათ თავიანთი ცერემონიები, მორალური კოდექსები, სპორტული შეჯიბრებები და რელიგიური რიტუალები? მართავდნენ ომებს? შემდეგ თავში შევეცდებით გავიხედოთ ათასწლეულების მიღმა და დავინახოთ, თუ როგორ ცხოვრობდა ადამიანი ეპოქაში, რომელიც კოგნიტური რევოლუციიდან აგრარულ რევოლუციამდე გრძელდებოდა.

შენიშვნები

1. Ann Gibbons, "Food for Thought: Did the First Cooked Meals Help Fuel the Dramatic Evolutionary Expansion of the Human Brain?", *Science* 316:5831 (2007), 1,558-60.
2. საპიენსების ენაზე საუბრისას იგულისხმება ჩვენი სახეობის ზოგადი ლინგვისტური შესაძლებლობები და არა რაიმე კონკრეტული დიალექტი. ინგლისური, ჰინდი ან ჩინური ენა საპიენსების ენის სხვადასხვა ვარიანტებია. აქვე ავღნიშნავ, რომ კოგნიტური რევოლუციის დროსაც კი, საპიენსთა სხვადასხვა ჯგუფები განსხვავებულ დიალექტებს იყენებდნენ.
3. Robin Dunbar, *Grooming, Gossip and the Evolution of Language* (კემბრიჯი, Mass.: Harvard University Press, 1998).
4. Frans de Waal, *Chimpanzee Politics: Power and Sex among Apes* (ბალტიმორი: John Hopkins University Press, 2000); Frans de Waal, *Our Inner Ape: A Leading Primatologist Explains Why We Are Who We Are* (ნიუ-იორკი: Riverhead Books, 2005); Michael L. Wilson და Richard W. Wrangham, "Intergroup Relations in Chimpanzees," *Annual Review of Anthropology* 32 (2003), 363-92; M. McFarland Symington, "Fission-Fusion Social Organization" *Ateles and Pan, International Journal of Primatology* 11:1 (1990), 49; Colin A. Chapman და Lauren J. Chapman, "Determinants of Groups Size in Primates: The Importance of Travel Costs", *On the Move: How and Why Animals Travel in Groups*, ed. Sue Boinsky და Paul A. Garber (ჩიკაგო: University of Chicago Press, 2000), 26.
5. Dunbar, Grooming, Gossip and the Evolution of Language, 69-79; Leslie C. Aiello და R.I.M. Dunbar, "Necortex Size, Group Size, and the Evolution of Language", *Current Anthropology* 34:2 (1993), 189. ამ მიდგომის კრიტიკა იხ. Christopher McCarty "Comparing Two Methods for Estimating Network Size", *Human Organization* 60:1 (2001), 32; R.A. Hill და R.I.M. Dunbar, "Social Network Size in Humans", *Human and Nature* 14:1 (2003), 65.
6. Yvette Taborin, "Shells of the French Aurignacian and Perigordian", Before Lascaux: The Complete Record of the Early Upper Paleolithic, ed. Heidi Knecht, Anne Pike-Tay, Randall White (ბოკა-რატონი: CRC Press, 1993), 211-28.
7. G.R. Summerhayes, "Application of PIXE-PIGME to Archeological Analysis of Changing Patterns of Obsidian Use in West New Britain, Papua New Guinea", Archeological Obsidian Studies: Method and Theory, ed. Steven M. Shackley (ნიუ-იორკი: Plenum Press, 1998), 129-58.